ალექსანდრე დუგინი

# გეოპოლიტიკის საფუძვლები

## რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი

გამომცემლობა „მთაწმინდელი“

თბილისი 1999

გეოპოლიტიკის საფუძვლები; ალ.დუგინი; — /შპს/ გამომცემლობა „მთაწმინდელი“: 1999 — 449 გვ.

წიგნი წარმოადგენს დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოს გეოპოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისათვის. მასში დაწვრილებით არის გადმოცემული გეოპოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები, მისი ისტორია, გეოპოლიტიკური თეორიები. წარმოდგენილია გეოპოლიტიკურ სკოლათა და შეხედულებათა ფართო სპექტრი. ჩამოყალიბებულია საქართველოს მეზობლის — რუსეთის გეოპოლიტიკური დოქტრინა.

წიგნი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პოლიტიკაში მოღვაწე პირებს. იგი თანაბრად დააინტერესებს პოლიტოლოგებს, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს, დიპლომატებს, პარლამენტარებს, ისტორიკოსებს, სამხედროებს, იურისტებს, ეკონომისტებს და გეოპოლიტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

**რუსულიდან თარგმნეს:** ვანო ცერცვაძემ და ზვიად აბაშიძემ

**წიგნზე მუშაობდნენ *ევერთიანება „ოთხმოცდაათიანელების“* საერთა–შორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრის წევრები:**

თენგიზ ბინიაშვილი, ლია მეხაშიშვილი, გვანცა ნინოშვილი,
დავით ისაკაძე, აკაკი კობალაძე, მუხრან ნადირაძე,
თედო გობეჯიშვილი, მამუკა მენთეშაშვილი,
შალვა ახვლედიანი, ვახტანგ ჩიკვაიძე.

**სამეცნიერო რედაქტორი:** ვლადიმერ ჭანუყვაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

**რეცენზენტი:** ბიმურზა აფრასიძე,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
სოციოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე.

**რუსული გამოცემის სამეცნიერო კონსულტანტი:**
რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის სამხედრო
აკადემიის სტრატეგიის კათედრის უფროსი
გენერალ-ლეიტენანტი ნ. პ. კლოკოტოვი

© Арктогея, 1997
© სპეციალური მეტასტრატეგიული კვლევების ცენტრი, 1997
© გამომცემლობა „მთაწმინდელი“, 1999
© ქართული: ალ. ბაბაევი, ვ. ცერცვაძისა და ზვ. აბაშიძისა, 1999

შეცვლა თუ არ შეუძლიათ, მათი კორექტირება და მოსალოდნელი შედეგების თავიანთ სასიკეთოდ გამოყენება ხელეწიფებათ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ნებისმიერი გეოპოლიტიკური დოქტრინის გონივრული განსჯით, ურთიერთმოლაპარაკებით და შეთანხმებით კაცობრიობამ შეიძლება თავიდან აიცდინოს ის უბედურება, რაც შეიძლება მოჰყვეს აგრესიული დოქტრინის ჯიუტად განხორციელებას.

ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია გეოპოლიტიკური განათლება.

ამ თვალსაზრისით ალ. დუგინის ნაშრომი მდიდარ მასალას იძლევა. ამ ნაშრომში მკითხველი საფუძვლიანად ეცნობა არა მხოლოდ გეოპოლიტიკის ისტორიას, ცნობილ გეოპოლიტიკოსთა — რატცელის, კელენის, მაკინდერის, ვიდალ დე ლა ბლაშის, ჰაუსჰოფერის, მეჰენისა და სხვა მეცნიერთა შეხედულებებს, არამედ ყველა დოქტრინას, რომელიც დღეს მსოფლიოში ასე თუ ისე არსებობს.

აქედან გამომდინარე, მისასალმებელია ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგების ვ. ცერცვაძისა და ზვ. აბაშიძის განზრახვა ქართველ მკითხველს გააცნონ ალ. დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლები".

ალ. დუგინის წიგნში გამოთქმული ბევრი შეხედულება და აზრი ჩვენთვის არა მხოლოდ საკამათო, აშკარად მიუღებელია (ახალი ევრაზიული იმპერიის შექმნის იდეა, რუსი ხალხის მესიანისტური და ცივილიზატორული როლის გაზვიადება, პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში „კოლონიური ადმინისტრაციების" არსებობა, კავკასიის ახლებურად მოწყობის გეგმა და ა.შ.), მაგრამ ამის გამო მისი გამოუცემლობა სწორი არ იქნებოდა. პირიქით, ჩვენთვის საინტერესოა უფრო ღრმად და საფუძვლიანად გავეცნოთ ყველა არსებულ და მომზადების პროცესში მყოფ დოქტრინას, რომელიც ჩვენს ინტერესებს უშუალოდ ეხება; გავაანალიზოთ ყველა მათგანი და შესაბამისად განვსაჯოთ მათი ავტორების წადილი და გულისთქმა. ამას კი შევძლებთ ყველა მასალის დედანში გაცნობის შედეგად.

მიმაჩნია რომ ალ. დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლების" გამოცემა მეტად საშური საქმეა და იგი დააინტერესებს ქართველ მკითხველს.

ვლადიმერ ჭანუყვაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

# ალექსანდრე დუგინი

# „გეოპოლიტიკის საფუძვლები“

## წინასიტყვაობა

გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების, ისტორია და ბედი მეტად უცნაურია. ერთი მხრივ, თვით ცნება, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი გახდა და ხშირად გამოიყენება თანამედროვე პოლიტიკაში. იზრდება გეოპოლიტიკური ჟურნალებისა და ინსტიტუტების რაოდენობა, გამოიცემა და ითარგმნება ამ დისციპლინის დამაარსებლების შრომები, ეწყობა კონფერენციები, სიმპოზიუმები, იქმნება გეოპოლიტიკური კომიტეტები და კომისიები.

თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი ჯერჯერობით ვერ მოხვდა საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერებათა შორის. გერმანელი რატცელის, შვედი ჩელენისა და, განსაკუთრებით, ინგლისელი მაკინდერის პირველ გეოპოლიტიკურ ნაშრომებს სამეცნიერო საზოგადოება მძაფრი კრიტიკით შეხვდა. კლასიკური მეცნიერება, რომელმაც ადრეული პოზიტივიზმისაგან მემკვიდრეობით მიიღო ზეკრიტიკული სულისკვეთება, თვლიდა, რომ გეოპოლიტიკას პრეტენზია ჰქონდა მეტისმეტ განზოგადებაზე და, მაშასადამე, მხოლოდ „თაღლითობის“ ნაირსახეობას წარმოადგენდა.

გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების, მწარე ხვედრი, გარკვეული თვალსაზრისით, დაკავშირებული იყო პრობლემის პოლიტიკურ მხარესთანაც. ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ მესამე რაიხის სამხედრო დანაშაულობები — ექპანსია, ომები, დეპორტაცია და ა. შ. თეორიულად მნიშვნელოვნად იყო მომზადებული გერმანელი გეოპოლიტიკოსების მიერ, რომლებმაც, თითქოს, უზრუნველყვეს ჰიტლერის რეჟიმი ფსევდომეცნიერული ბაზით (ძირითადად მხედველობაში ჰყავდათ გერმანელი გეოპოლიტიკოსი კარლ ჰაუსჰოფერი, ერთ დროს ფიურერთან საკმაოდ დაახლოებული პირი), თუმცა თეორიული დონით გერმანული გეოპოლიტიკა არსობრივად არაფრით განსხვავდებოდა ანგლოსაქსური (მაკინდერი, მეჰენი, სფიქმენი), ფრანგული (ვიდალ დე ლა ბლაში) გეოპოლიტიკისაგან, რუსული „სამხედრო გეოგრაფიისაგან“ (მილიუტინი, სნესარევი) და ა. შ. განსხვავება იყო არა ჰაუსჰოფერის სპეციფიკურ შეხედულებებში, რომელნიც სრულიად ლოგიკურნი იყვნენ და დისციპლინას შეესაბამებოდნენ, არამედ მეთოდებში, რომლითაც მტკიცდებოდა მისი ზოგიერთი გეოპოლიტიკური დებულება.

უფრო მეტიც, 30-40-იანი წლების გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკა მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ჰაუსჰოფერის იდეებს: „კონტინენტური ბლოკის“ (ბერლინი-მოსკოვი-ტოკიოს ღერძის) საპირისპიროდ — თავდასხმა სსრკ-ზე; „სასიცოცხლო სივრცის“ (Lebensraum-ის), დოქტრინის შინაარსობრივი გაგების ნაცვლად (შმიტის „ხალხთა უფლებების“ თეორიის სულისკვეთების შესაბამისად) — ვულგარული ნაციონალიზმისა და იმპერიალიზმის აღმოცენება და ა. შ. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჰაუსჰოფერის სკოლა და მისი ჟურნალი „Zeitschrift fur Geopolitik“ არასდროს ყოფილა ოფიციალური ნაცისტური სისტემის ნაწილი. ე. წ. „კონსერვატიული რევოლუციონერების“ მრავალი

ინტელექტუალური ჯგუფის მსგავსად, მესამე რაიხში მათ მიმართ დამოკიდებულება ორაზროვანი იყო. მათ უბრალოდ ითმენდნენ, თანაც ეს მოთმენა წუთიერ პოლიტიკურ კონიუნქტურასთან დამოკიდებულებაში მერყეობდა.

გეოპოლიტიკის ისტორიული შევიწროების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ იგი მეტისმეტად ააშკარავებდა საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად მექანიზმებს, რომელთაც სხვადასხვა რეჟიმები ბუნდოვანი რიტორიკით ან აბსტრაქტული იდეოლოგიური სქემებით ნიღბავდნენ. ამ თვალსაზრისით შეიძლება მარქსიზმთან პარალელის გავლება (მის წმინდა ანალიტიკურ, მეცნიერულ ნაწილთან), ისევე, როგორც მარქსი (რომელიც მეტად დამაჯერებლად წარმოაჩენს საწარმოო ურთიერთობების მექანიკას და მათ კავშირს ისტორიულ ფორმაციებთან), ასევე გეოპოლიტიკაც ამხელს საგარეო პოლიტიკური დისკურსის ისტორიულ დემაგოგიას და გვიჩვენებს სახელმწიფოთა, ერთაშორის და ეთნოსთა ურთიერთობებზე გავლენის მქონე რეალურ, ძლიერ ბერკეტებს.

თუ მარქსიზმი წარმოადგენს კლასიკური ეკონომიკური ისტორიის გლობალურ გადასინჯვას, გეოპოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების გადასინჯვაა. ეს უკანასკნელი მოსაზრება გვიხსნის თუ რა არის გეოპოლიტიკოსი მეცნიერების მიმართ საზოგადოების ორმაგი დამოკიდებულების საფუძველი. სამეცნიერო საზოგადოება ჯიუტად არ ღებულობს მათ თავის რიგებში, მკაცრად აკრიტიკებს და ხშირად საერთოდ არ ითვალისწინებს მათ დასკვნებს. სახელისუფლო ინსტანციები კი, პირიქით, აქტიურად იყენებენ გეოპოლიტიკურ გაანგარიშებებს საერთაშორისო სტრატეგიის შესამუშავებლად. ამის მაგალითია ერთ-ერთი პირველი გეოპოლიტიკოსი, ამ დისციპლინის ნამდვილი დამაარსებელი სერ ჰელფორდ მაკინდერი, რომლის იდეებს აკადემიური წრეები არ ღებულობდნენ, მაგრამ იგი უშუალოდ მონაწილეობდა XX საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და ინგლისის საგარეო სტრატეგიას თეორიულ საფუძველს უქმნიდა. შემდგომში, შუა ასწლეულში, ეს სტრატეგია გადაიღეს მაკინდერის ამერიკელმა (უფრო ზუსტად ატლანტისტმა) მიმდევრებმა და განავითარეს აშშ-ში.

ჩემი აზრით, მარქსიზმთან პარალელის გავლება სწორია. ერთი და იგივე მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმდინარეობის მიერ. მარქსისტული ანალიზი თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც კაპიტალის დაგროვების, ისე შრომის გათავისუფლების მომხრეებისათვის.

ასევეა გეოპოლიტიკაც: დიდი სახელმწიფოების (იმპერიების) წარმომადგენლებს იგი აძლევს ინსტრუქციას, თუ როგორ შეიძლება ტერიტორიის უკეთ შენარჩუნება და ექსპანსიის განხორციელება; მათი მოწინააღმდეგეები კი იქვე ხედავენ „ეროვნული გათავისუფლების" რევოლუციური თეორიის კონცეპტუალურ პრინციპებს. მაგალითად, ვერსალის ხელშეკრულება შექმნილი იყო მაკინდერის გეოპოლიტიკური სკოლის მიერ, რომელიც დასავლეთის ინტერესებს გამოხატავდა და მიმართული იყო შუა ევროპის სახელმწიფოების დასუსტებისა და გერმანიის დათრგუნვისაკენ. იგივე მოსაზრებიდან გამომდინარე, მაკინდერის გერმანელმა მოწაფემ, კარლ ჰაუსჰოფერმა განავითარა „ევროპის გათავისუფლების" აბსოლუტურად საწინააღმდეგო თეორია, რომელიც წარმოადგენდა ვერსალის ხელშეკრულების ლოგიკის სრულ უარყოფას და

საფუძვლად დაედო ახლად აღმოცენებულ ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკა, რომელიც ჯერჯერობით არც კი ირიცხება კლასიკურ მეცნიერებათა შორის, საკმაოდ ეფექტურია პრაქტიკაში და გარკვეულ ასპექტებში მისი მნიშვნელობა აღემატება მრავალ კონვენციურ დისციპლინას.

ასეა თუ ისე, გეოპოლიტიკა დღესდღეობით არსებობს და ნელ-ნელა, ბრძოლით მოიპოვებს ოფიციალურ აღიარებასა და შესაბამის სტატუსს. თუმცა ეს პროცესი არ არის უმტკივნეულო. გამუდმებით მახინჯდება „გეოპოლიტიკის" ცნება, რადგან ამ ტერმინის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა არაპროფესიონალთა შორის. დისციპლინის დამაარსებლების მიერ შექმნილი, სრულფასოვანი და გლობალური სქემებიდან აქცენტი გადატანილია კერძო რეგიონულ საკითხებსა და გეოეკონომიკურ სქემებზე. ამასთან, თავდაპირველი პოსტულატები — გეოპოლიტიკური დუალიზმი[2], სტრატეგიების კონკურენცია, ცივილიზაციური დიფერენციაცია და ა. შ. ხან უგულებელყოფილია, ხან მიჩქმალული, ხან კი საერთოდ უარყოფილია. წარმოუდგენელია რაიმე მსგავსი სხვა მეცნიერებასთან დაკავშირებით. რა მოუვიდოდა კლასიკურ ფიზიკას, სწავლულებს „მასის", „ენერგიის", „აჩქარების" და ა. შ. ცნებათა დამახინჯებით რომ დაეწყოთ მსოფლიო მიზიდულობის კანონის ფარული, თანდათანობითი უარყოფა ან დავიწყება, ხოლო ნიუტონი მიეჩნიათ „რეალურად არარსებულ მითოლოგიურ ფიგურად" ან „ბნელ რელიგიურ ფანატიკოსად". მაგრამ სწორედ ეს mutatis mutandis[3] ემართება გეოპოლიტიკას დღეს.

ამ წიგნის მიზანია გარკვეული, წინასწარ შექმნილი აზრების, იდეოლოგიური სიმპათიებისა თუ ანტიპათიების ჩამოშორებით, ობიექტურად და მიუკერძოებლად გადმოსცეს გეოპოლიტიკის ძირითადი პრინციპები. როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს ამ მეცნიერების მიმართ, მასზე გარკვეული აზრის შექმნა შეგვეძლება მხოლოდ მისი პრინციპების, ისტორიისა და მეთოდოლოგიის გაცნობის შემდეგ.

# შესავალი

## თავი 1. „გეოპოლიტიკის“ განსაზღვრება

გეოპოლიტიკური სკოლების მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა შრომები, მათი განსხვავებული და ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათის მიუხედავად, ქმნიან ერთ მთლიანობას, რომელიც უფლებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ მასზე, როგორც გარკვეული, დასრულებული და განსაზღვრული საგნის შესახებ. სპეციალისტები ერთმანეთს ემიჯნებიან ამ მეცნიერების შესწავლის ძირითადი საგნისა და მთავარი მეთოდოლოგიური პრინციპების განსაზღვრაში. ასეთი განსხვავება გამომდინარეობს ისტორიული მდგომარეობებიდან, აგრეთვე, გეოპოლიტიკისა და მსოფლიო პოლიტიკის, მმართველობის პრობლემებისა და არსებული იდეოლოგიების მჭიდრო კავშირიდან. ამ დისციპლინის სინთეზური ხასიათი გულისხმობს მასში სხვა, დამატებითი მეცნიერებების: გეოგრაფიის, ისტორიის, დემოგრაფიის, სტრატეგიის, ეთნოგრაფიის, რელიგიათმცოდნეობის, ეკოლოგიის, სამხედრო საქმის, იდეოლოგიის ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის და ა. შ. ჩართვას. მაგრამ, რადგან აღნიშნული საშხედრო, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებები თვითონ მოიცავს მრავალ სკოლასა და მიმართულება, ამიტომ გარკვეული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური დისციპლინის შესახებ საუბარი მიზანშეუწონელია.

გეოპოლიტიკა — ეს არის მსოფლმხედველობა. უმჯობესია მისი შედარება არა მეცნიერებასთან, არამედ მეცნიერებათა სისტემებთან. იგი იმყოფება იმავე დონეზე, რომელზეც არის მარქსიზმი, ლიბერალიზმი და ა. შ. ანუ საზოგადოებისა და ისტორიის შესწავლის, განხილვისა და წარმოსახვის ის სისტემები, რომლებიც ძირითად პრინციპებად გამოყოფენ რაიმე უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს და მასზე დაჰყავთ ადამიანისა და ბუნების ყველა დანარჩენი ურიცხვი ასპექტი.

მარქსიზმი[1] და ლიბერალიზმი კაცობრიობის არსებობის საფუძველში ერთნაირად ათავსებენ ეკონომიკურ მხარეს, „ეკონომიკის, როგორც ბედისწერის“ პრინციპს. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ ამ ორ იდეოლოგიას საპირისპირო დასკვნები გამოაქვს — მარქსი მიდის ანტიკაპიტალისტური რევოლუციის აუცილებლობამდე, ხოლო ადამ სმიტის მიმდევრებს კაპიტალიზმი საზოგადოების ყველაზე სრულყოფილ მოდელად მიაჩნიათ. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში იყენებენ ისტორიული პროცესის ვრცლად განხილვის მეთოდს, განსაკუთრებული ტიპის სოციოლოგიის, ანთროპოლოგიისა და პოლიტოლოგიის სახით. ალტერნატიულ (და მარგინალურ) სამეცნიერო წრეებში „ეკონომიკური რედუქციონიზმის“[2] ფორმების გამუდმებული კრიტიკის მიუხედავად, ისინი ძირითად სოციალურ მოდელებად რჩებიან, რომელთა საფუძველზე ადამიანები უბრალოდ წარსულის გაცნობიერებას კი არ ახდენენ, არამედ ქმნიან მომავალს, გეგმავენ, ჩაიფიქრებენ და ახორციელებენ მთელ კაცობრიობაზე ზეგავლენის მომხდენ მსხვილმასშტაბიან ქმედებებს.

სწორედ ამგვარად მდგომარეობს საქმე გეოპოლიტიკის მიმართ, თუმცა, „ეკონომიკური იდეოლოგიებისაგან“ განსხვავებით, იგი დაფუძნებულია თეზისზე: „გეოგრაფიული რელიეფი, როგორც ბედისწერა“. გეოგრაფია და სივრცე გეოპოლიტიკაში იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც ფული და საწარმოო

ურთიერთობები მარქსიზმსა და ლიბერალიზმში — მათზე დაიყვანება ადამიანური არსებობის ყველა ძირითადი ასპექტი, ისინი წარმოადგენენ წარსულის შესწავლის უმთავრეს მეთოდს, არიან ადამიანური ყოფის მთავარი ფაქტორები და თავის ირგვლივ აყალიბებენ არსებობის ყველა დანარჩენ მხარეს.

ეკონომიკური იდეოლოგიების მსგავსად, გეოპოლიტიკა დაფუძნებულია „დაახლოებაზე", რედუქციონიზმზე, სიცოცხლის მრავალფეროვან გამოვლინებათა რამდენიმე პარამეტრში თავმოყრაზე. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს თეორიებს ყოველთვის თან ახლავს აშკარა შეცოდებები, იგი შთამბეჭდავად ამტკიცებს საკუთარ სიმწყობრესა და უკიდურეს ეფექტიანობას წარსულის შესწავლის, აწმყოს მოწყობისა და მომავლის დაგეგმარების საკითხში.

თუ პარალელს გავავლებთ მარქსიზმთან და კლასიკურ ბურჟუაზიულ პოლიტეკონომიასთან, ვნახავთ, რომ ეკონომიკურ იდეოლოგიათა მსგავსად, რომლებიც ქადაგებდნენ განსაკუთრებული კატეგორიის — „ეკონომიკური ადამიანის" (homo economikus) შესახებ, გეოპოლიტიკა საუბრობს „სივრცულ ადამიანზე", რომელსაც განსაზღვრავს, აყალიბებს და განაპირობებს სივრცის სპეციფიკური მახასიათებლები — რელიეფი და ლანდშაფტი. ეს განპირობებულობა ნათლად მეღავნდება ადამიანის ისეთ მასშტაბურ სოციალურ გამოვლინებებში, როგორიცაა სახელმწიფო, ეთნოსი, კულტურა, ცივილიზაცია და ა. შ. თითოეული ინდივიდის დამოკიდებულება ეკონომიკაზე აშკარაა, როგორც დიდ, ასევე მცირე პროპორციებში. ამიტომ ეკონომიკური საკითხები გასაგებია, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისათვის, ისე სახელმწიფო მოხელეთათვის, რომლებიც ურთიერთქმედებენ დიდ სოციალურ კატეგორიებთან. შესაძლებელია, რომ სწორედ ამ მიზეზის გამო გახდა ეკონომიკური იდეოლოგიები ესოდენ პოპულარული და თავის დროზე ასრულებდნენ სამობილიზაციო ფუნქციას. ყოველივე ამან გასტანა იმ რევოლუციებამდე, რომლებიც მრავალი ცალკეული ადამიანის ცნობიერებაში უკავშირდებოდა პირად ანგაჟირებულობას.

გეოპოლიტიკის ძირითადი თეზისი — ადამიანის დამოკიდებულება სივრცეზე — ცალკეული ინდივიდისთვის ვლინდება მხოლოდ გარკვეულ მანძილზე. ამის გამო გეოპოლიტიკა (მიუხედავად წინაპირობებისა) ვერ იქცა განყენებულ იდეოლოგიად, უფრო ზუსტად, „მასობრივ იდეოლოგიად". მისი დასკვნები და მეთოდები, შესწავლის საგნები და ძირითადი თეზისები გასაგებია მხოლოდ იმ სოციალური ინსტანციებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან ისეთი მსხვილმასშტაბიანი პრობლემების გადაჭრით, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმარება, გლობალური სოციალური და ისტორიული კანონზომიერებების გაანალიზება და ა. შ. სივრცე თავის თავს ამეღავნებს დიდ სიდიდეებში, ამიტომ გეოპოლიტიკა განკუთვნილია იმ სოციალური ჯგუფებისთვის, რომელთაც საქმე აქვთ ზოგად რეალობებთან — ქვეყნებთან, ხალხებთან და ა. შ.

**გეოპოლიტიკა არის ხელისუფლების მსოფლმხედველობა, მეცნიერება ხელისუფლების შესახებ და ხელისუფლებისთვის.** გეოპოლიტიკა მხოლოდ მაშინ ამეღავნებს თავის მნიშვნელობას, აზრს, სარგებლიანობას, როცა ადამიანი მიუახლოვდება სოციალურ სიმაღლეს, მანამდე კი აბსტრაქციად აღიქმება. გეოპოლიტიკა — პოლიტიკური ელიტების (როგორც აქტიური, ასევე ალტერნატიულის) დისციპლინაა. მთელი მისი ისტორია დამაჯერებლად ადასტურებს, რომ მასზე მუშაობდნენ სწორედ ის პიროვნებები, რომლებიც ან აქტიურად

მონაწილეობდნენ ქვეყნებისა და ერების მართვის პროცესში, ან ამ როლისათვის ემზადებოდნენ (საუბარია ისტორიული პირობების გამო ხელისუფლებიდან ჩამოშორებული, ალტერნატული, ოპოზიციური ბანაკების შესახებ).

გეოპოლიტიკა არ აცხადებს პრეტენზიას მეცნიერულ სიზუსტეზე და თვითონ განსაზღვრავს, თუ რა არის მისთვის ღირებული და რა არა. ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს იშველიებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან გეოპოლიტიკური მეთოდების ძირითად პრინციპებს. გეოპოლიტიკა, გარკვეულწილად, თვითონ ირჩევს მისთვის სასარგებლო მეცნიერებებსა და სამეცნიერო მიმდინარეობებს, ხოლო დანარჩენს უურადღების გარეშე ტოვებს. თანამედროვე მსოფლიოში იგი წარმოადგენს „მოკლე ცნობარს მბრძანებლისათვის“, ხელისუფლების სახელმძღვანელოს, სადაც მოცემულია დასკვნები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ გლობალური (საბედისწერო) გადაწყვეტილებების დროს, ისეთების, როგორიცაა კავშირების შექმნა, ომების დაწყება, რეფორმების განხორციელება, საზოგადოების სტრუქტურული გარდაქმნა, მასშტაბური ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების შემოღება და ა. შ.

*გეოპოლიტიკა — ესაა მეცნიერება მართვის შესახებ.*

## თავი 2. სახმელეთო და საზღვაო მმართველობა

გეოპოლიტიკის მთავარ კანონს წარმოადგენს ფუნდამენტური დუალიზმი, რომელშიც ასახულია მსოფლიოს გეოგრაფიულ მოწყობისა და ცივილიზაციების ისტორიული ტიპოლოგია. აღნიშნული დუალიზმი გამოიხატება სახმელეთო („თელეროკრატიისა“) და საზღვაო („თალასოკრატიის“) მმართველობების დაპირისპირებაში. ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათი დაიყვანება სავაჭრო (კართაგენი, ათენი) და სამხედრო-ავტორიტარული ცივილიზაციების (რომი, სპარტა) დაპირისპირებამდე. სხვა სიტყვებით, ეს არის „დემოკრატიისა“ და „იდეოკრატიის“ დუალიზმი.

დუალიზმი ხასიათდება მისი ორი შემადგენელი პოლუსის ალტერნატიულობითა და მტრობით, თუმცა მათი ხასიათი შეიძლება იცვლებოდეს შემთხვევიდან შემთხვევამდე. ამგვარად, ადამიანურ საზოგადოებათა მთელი ისტორია განიხილება, როგორც ორი — „წყლისა“ („თხევადი“, „მოძრავი“) და „ხმელეთის“ („მყარი“, „მუდმივი“) სტიქიების დაპირისპირება.

„თელეროკრატია“ ანუ „სახმელეთო მმართველობა“ დაკავშირებულია სივრცის მდგრადობასთან, მისი თვისობრივი ორიენტაციებისა და მახასიათებლების სიმყარესთან. ცივილიზაციურ დონეზე ეს გამოიხატება მკვიდრობით, კონსერვატიზმით, მკაცრი იერიდიული ნორმატივებით, რომელსაც ემორჩილება ადამიანთა გაერთიანებები — გვარები, ტომები, ხალხები, სახელმწიფოები, იმპერიები. ხმელეთის მდგრადობა, კულტურულ ასპექტში, მჟღავნდება ეთიკისა და სოციალური ტრადიციების სიმტკიცეში. ხმელეთის (განსაკუთრებით მკვიდრი) ხალხებისათვის უცხოა ინდივიდუალიზმი, სამეწარმეო სულისკვეთება. მათთვის დამახასიათებელია კოლექტივიზმი და იერარქიზმი.

„თალასოკრატია“ ანუ „საზღვაო მმართველობა“ წარმოადგენს საპირისპირო ღირებულებებზე დაფუძნებულ ცივილიზაციურ ტიპს. იგი გამოირჩევა

დინამიურობით, მოძრავია და ახასიათებს ტექნიკური განვითარებისაკენ სწრაფვა. მისი პრიორიტეტებია — მომთაბარეობა (განსაკუთრებით ზღვაოსნობა), ვაჭრობა და ინდივიდუალური სამეწარმეო სულისკვეთება. ინდივიდი, როგორც კოლექტივის ყველაზე მოძრავი ნაწილი, აღიარებულია უმაღლეს ფასეულობად, ხოლო ეთიკური და იურიდიული ნორმები ფერმკრთალდებიან, ხდებიან ფარდობითნი და ხშირად იცვლებიან. ცივილიზაციის ასეთი ტიპი სწრაფად ვითარდება, ადვილად იცვლის გარეგან კულტურულ ნიშნებს და უცვლელად ინარჩუნებს მხოლოდ საერთო შინაგანი განწყობის იდენტურობას.

კაცობრიობის ისტორიის დიდი ნაწილი მიმდინარეობს ცივილიზაციის ამ ორი ტიპის ბრძოლის ფონზე, „სახმელეთო მმართველობის" საყოველთაო წარმატების პირობებში. მიწის ელემენტი (ხმელეთი) ჭარბობს ცივილიზაციების მთელ ანსამბლში, ხოლო წყლის ელემენტის (ზღვა, ოკეანე) გამოვლინება კი მხოლოდ ფრაგმენტულია. დუალიზმი, განსაზღვრულ მომენტამდე, გეოგრაფიულად შემოსაზღვრულია — საზღვაო ნაპირები, მდინარეთა შესართავები, აუზები და ა. შ. წინააღმდეგობა მსოფლიოს სხვადასხვა ზონებში სხვადასხვა ინტენსივობითა და განსხვავებული ფორმებით ვითარდება.

მიწასთან დაკავშირებული ხალხების პოლიტიკური ისტორია თვალსაჩინოს ხდის პოლიტიკური ფორმების თანდათანობით ზრდას (რომლებიც სულ უფრო მასშტაბური ხდება). ასე აღმოცენდნენ სახელმწიფოები და იმპერიები. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ეს პროცესი მიუთითებს კაცობრიობის ისტორიაში სივრცის ფაქტორის გაძლიერებას. მსხვილი პოლიტიკური წარმონაქმნების (სახელმწიფოებისა და იმპერიების) ხასიათს მით უფრო შთამბეჭდავად გამოხატავს სტიქიათა დუალიზმი, რაც უფრო უნივერსალურია ცივილიზაციური ტიპის დონე.

გარკვეულ პერიოდში (ანტიკური სამყარო) „მაკინდერის რუკაზე" გამოისახა საკმაოდ მდგრადი სურათი. სახმელეთო მმართველობის ზონა გაიგივებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ ევრაზიის შიდაკონტინენტურ სივრცესთან (რომელიც ზოგადად ემთხვევა მეფის რუსეთისა და სსრკ-ს ტერიტორიას). თალასოკრატია კი შეესაბამება ევრაზიის კონტინენტის სანაპირო ზონას, ხმელთაშუა ზღვის არეალს, ატლანტის ოკეანესა და იმ ზღვებს, რომლებიც ევრაზიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრებიან.

ამგვარად მსოფლიო რუკა იძენს ასეთ გეოპოლიტიკურ სახეს:

1) შიდაკონტინენტური სივრცეები წარმოადგენენ „უძრავ პლატფორმას", შუაგულ მიწას (Heartland), „ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს", რომელიც მყარად ინარჩუნებს სახმელეთო ცივილიზაციის სპეციფიკას.

2) „შიდა ანუ კონტინენტური ნახევარმთვარე", „სანაპირო ზონა" Rimland წარმოადგენს ინტენსიური კულტურული განვითარების სივრცეს. სადაც ცხადად ჩანს „საზღვაო მმართველობის" (თალასოკრატიის) ნიშნები, რომლებიც გაწონასწორებულია „სახმელეთო მმართველობის" (თელუროკრატიის) მრავალი ტენდენციით.

3) „გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე" წარმოადგენს „შეუსწავლელ მიწებს", რომელთან დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ საზღვაო საშუალებებით. პირველად იგი თავს იჩენს სავაჭრო სახელმწიფოებში — კართაგენსა და ფინიკიაში, როდესაც მათ გარედან მოახდინეს ზემოქმედება ევროპის „შიდა ნახევარმთვარეზე".




მსოფლიოს ძირითადი გეოპოლიტიკური სქემა. HEARTLAND – ევრაზია – ისტორიის გეოგრაფიული ღერძი. RIMLAND – სანაპირო სივრცე. WORLD ISLAND (მაკინდერის მიხედვით) – „საზღვაო მმართველობის“ (SEA POWER) მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები.

საზღვაო და სახმელეთო მმართველობის ურთიერთდამოკიდებულების აღნიშნული გეოპოლიტიკური სურათი პოტენციურად მეღავნდება ქრისტიანული ეპოქის დასაწყისში, პუნიკური ომების შემდეგ. ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVII-XIX საუკუნეებში, ინგლისის დიდ საზღვაო სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერიოდში. XV საუკუნის ბოლოს დაწყებულმა „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქამ“ გამოიწვია ის, რომ საზღვაო მმართველობა (თალასოკრატია) საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მსოფლიო წარმონაქმნად. იგი გამოეყო ევრაზიას, ევრაზიულ სანაპიროებს და მთლიანად მოიყარა თავი ანგლოსაქსურ სამყაროსა (ინგლისი, ამერიკა) და მის კოლონიებში. ანგლოსაქსური კაპიტალიზმი და ინდუსტრიალიზმი, „ახალი კართაგენის“ სახით, ჩამოყალიბდა ერთ მთლიანობად და ამის შემდეგ გეოპოლიტიკურმა დუალიზმმა შეიძინა მკვეთრად განსხვავებული იდეოლოგიური და პოლიტიკური შინაარსი და ფორმები.

XVIII-XIX საუკუნეებში (+ XX საუკუნის მეორე ნახევარი) ინგლისის პოზიციური ჰიდილი კონტინენტური სახელმწიფოების (ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და რუსეთის) წინააღმდეგ, ამ თეორიის გააზრების შედეგი იყო. ჩვენი საუკუნის შუა ხანებიდან თალასოკრატიის მთავარი ბურჯი აშშ გახდა.

1946-1991 წლების „ცივი ომის“ დროს, ძველისძველმა გეოპოლიტიკურმა დუალიზმმა მაქსიმალურ პროპორციებს მიაღწია: თალასოკრატიას წარმოადგენდა აშშ, ხოლო თელეოკრატიას – სსრკ.

ცივილიზაციის, კულტურის, მეტაიდეოლოგიის ორმა გლობალურმა ტიპმა დასრულებული გეოპოლიტიკური სახე მიიღო და დასრულდა სტიქიათა დაპირისპირების მთელი გეოპოლიტიკური ისტორია. ამავე დროს განსაცვიფრებელია, რომ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური დუალიზმის ფორმებს იდეო-

ლოგიურ დონეზე შეესაბამებოდა ორი, ასევე სინთეზური რეალობა — მარქსიზმის (სოციალიზმის) და ლიბერალ-კაპიტალისტური იდეოლოგიის სახით.

ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში განხორციელდა „რედუქციონიზმის" ორ ტიპი: ეკონომიკური (რომელიც იშვა ადამ სმიტისა და კარლ მარქსის იდეების ურთიერთდაპირისპირებიდან) და გეოპოლიტიკური რედუქციონიზმი, რომელიც წარმოიშვა თალასოკრატიასა (ახალი კართაგენი, აშშ) და თელუროკრატიას (ახალი რომი, სსრკ) შორის მსოფლიოს სექტორების საკონტროლო ზონებად გაყოფის შედეგად.

ისტორიის გეოპოლიტიკური თვალთახედვა წარმოადგენს მსოფლიო დუალიზმის მაქსიმალურ პროპორციებამდე განვითარების მოდელს. ხმელეთი და ზღვა თავიანთ დაპირისპირებას ავრცელებენ მთელ მსოფლიოზე. კაცობრიობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ამ ჭიდილის გამოხატულება და მისი აბსოლუტიზაციის გზა.

ასეთია გეოპოლიტიკის მთავარი კანონის — სტიქიათა დუალიზმის კანონის (ხმელეთი ზღვის წინააღმდეგ) — ყველაზე ზოგადი ფორმულირება.

## თავი 3. გეოპოლიტიკური ტელეოლოგია

გეოპოლიტიკური დუალიზმი თავდაპირველად, ცივ ომში აშშ-ს საბოლოო გამარჯვებამდე, თალასოკრატიისა და თელუროკრატიის მიერ მაქსიმალური სივრცული, სტრატეგიული და ძალისმიერი არეალის მოპოვების მიმართულებით ვითარდებოდა. ორივე მხარის მიერ ბირთვული პოტენციალის დაგროვების გამო, ზოგიერთ პესიმისტ გეოპოლიტიკოსს ამ პროცესის დასასრული კატასტროფად ესახებოდა, ვინაიდან მსოფლიოს მთლიანი ათვისების შემდეგ, ამ ორ ძალას მათ შორის არსებული წინააღმდეგობა ან დედამიწის ფარგლებს მიღმა უნდა გადაეტანა (ვარსკვლავეთის ომების თეორია) ან ერთმანეთი უნდა გაენადგურებინა (ბირთვული აპოკალიფსი).

თვალსაჩინოა ისტორიის ძირითადი გეოპოლიტიკური პროცესის ხასიათი — თალასოკრატიისა და თელუროკრატიის მაქსიმალური სივრცული გაფართოება. რაც შეეხება ამ პროცესის შედეგს, იგი გაურკვეველია.

მაშასადამე, გეოპოლიტიკური ტელეოლოგია, ანუ გეოპოლიტიკურ ტერმინებში ისტორიის მიზნის გააზრება შესაძლებელია მხოლოდ დუალიზმის გლობალიზაციამდე.

მიუხედავად ამისა, წმინდა თეორიულ დონეზე შეიძლება გამოიყოს მოვლენათა განვითარების რამდენიმე სავარაუდო ვერსია (მას შემდეგ, რაც შესაძლებელი იქნება ორი სისტემიდან ერთ-ერთის გამარჯვების დაფიქსირება):

*I ვარიანტი.* საზღვაო მმართველობის (თალასოკრატიის) გამარჯვება ძირეულად აუქმებს სახმელეთო მმართველობის (თელუროკრატიის) ცივილიზაციას. მყარდება ერთფეროვანი ლიბერალურ-დემოკრატიული წესრიგი. თალასოკრატია ახდენს თავისი არქეტიპის აბსოლუტირებას და გადაიქცევა ადამიანის ცხოვრების ორგანიზების ერთადერთ სისტემად. აღნიშნულ ვარიანტს აქვს ორი უპირატესობა:

პირველი, იგი ლოგიკურად არ არის წინააღმდეგობრივი, რადგან მასში შეიძლება დავინახოთ გეოპოლიტიკური ისტორიის განვითარების კანონზომიერი დასასრული — ხმელეთის (ტრადიციული სამყაროს) სრული ბატო-

ნობის შეცვლა, ზღვის (თანამედროვე სამყაროს) სრული ბატონობით;

მეორე, სწორედ ეს ხორციელდება დღეს.

*II ვარიანტი.* თალასოკრატიის გამარჯვება ასრულებს ორი ცივილიზაციის წინააღმდეგობის ციკლს, მაგრამ თავის მოდელს მთელ მსოფლიოზე არ ავრცელებს, გადაჭრის რა მის პრობლემებს, იგი უბრალოდ ასრულებს გეოპოლიტიკურ ისტორიას. ისევე, როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიები ამტკიცებენ ამ საზოგადოებაში კლასიკური პოლიტეკონომიის (და მარქსიზმის) ძირითადი წინააღმდეგობრიობის პრობლემის არარსებობას, ასევე ზოგიერთი მონდიალისტური თეორიაც ასაბუთებს, რომ მომავალ მსოფლიოში ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირება საერთოდ აღარ იარსებებს. ეს იგივე „ისტორიის დასასრულია" იმ განსხვავებით, რომ მოვლენათა შემდგომ განვითარებას არ ეხება ისეთი მკაცრი ანალიზი, როგორც პირველ ვარიანტთან დაკავშირებით გავაკეთეთ.

ორივე ზემოთ მოყვანილი ანალიზი თელეოკრატიის დამარცხებას განიხილავს შეუქცევად და აღსრულებად ფაქტად. შემდეგი ორი ვარიანტი ამ საკითხს სხვაგვარად ხსნის.

*III ვარიანტი* — თელეოკრატიის დამარცხება დროებითი მოვლენაა. ევრაზია ახალი ფორმით უბრუნდება თავის კონტინენტურ მისიას. ამასთან გათვალისწინებული იქნება ის გეოპოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც კატასტროფამდე მიიყვანა კონტინენტური ძალები (ახალ კონტინენტურ ბლოკს ექნება საზღვაო საზღვრები სამხრეთსა და დასავლეთში, ანუ განხორციელდება „მონროს დოქტრინა ევრაზიისათვის"). ასეთ შემთხვევაში მსოფლიო კვლავ ბიპოლარული იქნება, ოღონდ განსხვავებული დონითა და ხარისხით.

*IV ვარიანტი* (წარმოადგენს წინას განვითარებას). ახალ დაპირისპირებაში იმარჯვებს სახმელეთო მმართველობა (თელეოკრატია). იგი მიისწრაფვის საკუთარი ცივილიზაციური მოდელი გადაიტანოს მთელ პლანეტაზე და თვითონ „დაასრულოს ისტორია". მთელი მსოფლიო ტიპოლოგიურად ხმელეთად გადაიქცევა და ყველგან „იდეოკრატია" გამეფდება. ასეთ შედეგს ელიან „მსოფლიო რევოლუციისა" და მესამე რაიხის მსოფლიო ბატონობის იდეები.

ისტორიული პროცესების განვითარებაში სუბიექტური და რაციონალური ფაქტორის როლი ისე დიდი არასდროს ყოფილა, როგორც დღეს. ამიტომ აღნიშნული ოთხი ვარიანტი უნდა იქნას განხილულ არა მხოლოდ გეოპოლიტიკური პროცესის განვითარების უბრალო განყენებულ დადასტურებად არამედ, როგორც აქტიური გეოპოლიტიკური პოზიცია, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ გლობალური მასშტაბის მოქმედებების სახელმძღვანელოდაც.

ამ შემთხვევაში გეოპოლიტიკა ვერ შემოგვთავაზებს რაიმე განსაზღვრულ ვერსიას. იგი მხოლოდ თავს უყრის იმ შესაძლებლობებს, რომელთა განხორციელება დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე და თავსდება წმინდა გეოპოლიტიკური ანალიზის ფარგლებში.

## თავი 4. RIMLAND და „სანაპირო ზონები"

გეოპოლიტიკურ კვლევათა მთელი მეთოდოლოგია ემყარება ხმელეთისა და ზღვის გლობალური გეოპოლიტიკური დუალიზმის პრინციპების გამოყენებას უფრო ლოკალური კატეგორიების მიმართ. ნებისმიერი ვითარების ანალიზის

დროს, უმთავრეს განმსაზღვრელს სწორედ მსოფლიო მოდელი წარმოადგენს და მისთვის დამახასიათებელი ურთიერთობები მეორდება უფრო კერძო დონეზეც.

თალასოკრატიისა და თელუროკრატიის ორი ძირითადი პრინციპის შემდეგ, სხვა უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს „სანაპირო ზონა" (Rimland). ეს არის საკვანძო კატეგორია, რომელიც საფუძველად უდევს გეოპოლიტიკურ კვლევა-ძიებას.

Rimland წარმოადგენს შედგენილ სივრცეს, რომელსაც აქვს პოტენციური შესაძლებლობა იყოს ან თალასოკრატიის, ან თელუროკრატიის ფრაგმენტი. ეს არის რთული და კულტურით მდიდარი რეგიონი. ზღვის სტიქიის — წყლის გავლენა „სანაპირო ზონაში" იწვევს აქტიურ და დინამიურ განვითარებას. კონტინენტური მასა ზეწოლით აიძულებს ენერგიის გამომუშავებას. ერთი მხრივ, Rimland გარდაიქმნება კუნძულად და ხომალდად, მეორე მხრივ — იმპერიად და სახლად.

მიუხედავად ამისა, Rimland-ი არ წარმოადგენს მხოლოდ შუალედურ და გარდამავალ გარემოს, რომელშიც მიმდინარეობს ორი იმპულსის ურთიერთ-დაპირისპირება. ეს არის დამოუკიდებელი შინაარსისა და თალასოკრატიასა და თელუროკრატიაზე უზარმაზარი გავლენის მქონე ურთულესი რეალობა. ეს არის არა ისტორიის ობიექტი, არამედ აქტიური სუბიექტი. თალასოკრატიისა და თელუროკრატიის ჭიდილი Rimland-ისათვის, მხოლოდ სტრატეგიული პოზიციების დაკავებასთან დაკავშირებული პაექრობა როდია. მას გააჩნია საკუთარი ბედი და საკუთარი ისტორიული ნება, რომელიც არ შეიძლება გადაიჭრას საბაზისო გეოპოლიტიკური დუალიზმის გარეშე. Rimland გარკვეულწილად თავისუფალია არჩევანში და არა არჩევანის სტრუქტურაში, რადგან თალასოკრატიისა და თელუროკრატიის გარდა მესამე გზა არ არსებობს.

„შიდა ნახევარმთვარე" ასეთი თვისების გამო ხშირად გაიგივებულია კაცობრიობის ცივილიზაციის გავრცელების არეალთან. კონტინენტის წიაღში მეფობს კონსერვატიზმი, მის კიდეებზე კი მოძრავი ქაოსის გამოძახილი.

„სანაპირო ზონები", თავისივე პოზიციის გამო, ვალდებულნი არიან უპასუხონ გეოგრაფიის მიერ წამოჭრილ პრობლემებს.

სანაპირო ზონა (Rimland) ეს არის სასაზღვრო ზონა, სარტყელი, ზოლი. ამასთანავე იგი საზღვარია. ასეთ შეხამებას მივყავართ საზღვრების გეოპოლიტიკურ განსაზღვრამდე.

სახელმწიფო საზღვრებისაგან განსხვავებით, გეოპოლიტიკა სხვაგვარად აღიქვამს აღნიშნულ ტერმინს, გამომდინარეობს რა საწყისი მოდელიდან, რომელშიც პირველ საზღვარს ან ყველა საზღვრის არქეტიპს წარმოადგენს სანაპირო ზონების (Rimland-ის) კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული და კულტურული გაგება.

სანაპირო ზონის სივრცული მოცულობა წარმოადგენს მატერიკის გარედან, „ზღვიდან მოსულების" აღქმის შედეგს. „ზღვის ძალებისათვის" ნაპირი არის განვრცობილი ზოლი ხმელეთის სიღრმეში — მატერიკისთვის პირიქით, ნაპირი არის მიჯნა, ხაზი.

საზღვარი, როგორც ხაზი (სწორედ ასეა იგი განსაზღვრული საერთაშორისო სამართალში), არის უძველესი ტრადიციიდან თანამედროვე სამართალში მემკვიდრეობით გადმოსული „სახმელეთო იურისპრუდენციის" ნაშთი. ეს

უაღრესად სახმელეთო შეხედულებაა.

ზღვა სანაპირო ტერიტორიებს აღიქვამს პოტენციურ კოლონიებად, მიწის ზოლად, რომლებიც შეიძლება მოწყვიტოს დანარჩენ კონტინენტურ მასას და გადააქციოს თავის ბაზად, სტრატეგიულ სივრცედ. ამასთან სანაპირო ზონა არ ხდება ბოლომდე „საკუთარი“, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება ჩაჯდე გემში და გაცურო სამშობლოსაკენ ანუ „კუნძულზე“. ნაპირის ზოლად აღქმა ხდება იმის ხარჯზე, რომ ზღვიდან მოსულებისათვის კონტინენტის სიღრმეში შესვლა უსაფრთხოა მხოლოდ გარკვეულ მანძილზე.

იმის გამო, რომ გეოპოლიტიკა მოიცავს სივრცის მიმართ ორივე — საზღვაო და სახმელეთო შეხედულებას, სანაპირო ზონა აღიქმება განსაკუთრებულ რეალობად, საზღვრად და ზოლად, ამასთან მისი მოცულობის ხარისხი დამოკიდებულია, იმაზე თუ მოცემულ სექტორში რომელი იმპულსია — სახმელეთო თუ საზღვაო. ინდოეთისა და ჩინეთის გიგანტური, ნაოსნობისათვის სრულიად გამოსადეგი ოკეანის სანაპირო ხაზი, თავისი არსით, მცირე მოცულობის ზოლია. შესაბამის კულტურებს გააჩნიათ სახმელეთო ორიენტაცია და სანაპირო ზოლების მოცულობა მიისწრაფვის ნულისაკენ და გადაიქცევა უბრალოდ მატერიკის კიდედ, ხოლო ევროპაში და, განსაკუთრებით, ხმელთაშუა ზღვისპირეთში კი სანაპირო ზონები მატერიკში ღრმად შეჭრილი ფართო ზოლებია, მაქსიმალური მოცულობით. ორივე შემთხვევაში საუბარია გეოპოლიტიკური საზღვარის შესახებ. მაშასადამე აღნიშნული კატეგორია ცვალებადი ხასიათისაა და მერყეობს ხაზსა და ზოლს შორის.

გეოპოლიტიკის ამგვარი ხედვა გავლენას ახდენს საზღვრებთან დაკავშირებული უფრო კერძო პრობლემების ანალიზზე. იგი სახელმწიფოთა შორის არსებულ საზღვრებს განიხილავს „გარდამავალი მოცულობის ზონებად“. ამ მოცულობის შეკვეცა ან გაფართოება დამოკიდებულია ზოგად კონტინენტურ დინამიკაზე. აქედან გამომდინარე, ეს ზონები იცვლიან ფორმასა და ტრაექტორიას გარკვეულ ფარგლებში. „გეოპოლიტიკური საზღვრების“ ცნებაში შეიძლება შედიოდეს მთელი სახელმწიფოები მაგალითად, რუსეთსა და გერმანიას შორის „სანიტარული კორდონის“ ინგლისური იდეა გულისხმობს „საყაიმო“ (ნახევრადკოლონიური და ინგლისზე ორიენტირებული) ზონის შექმნას, რომელიც შედგება ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან. რუსეთისა და გერმანიის კონტინენტური პოლიტიკა კი, პირიქით, მიისწრაფოდა ამ ზონის ხაზად გადაქცევისაკენ (ბრესტლიტოვსკი, რაპალო, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი). თალასოკრატი-ატლანტისტები, ხელოვნურად შექმნილი „შუალედური სახელმწიფოების“ (Etats-tampons) შექმნით ცდილობდნენ მის მაქსიმალურ გაფართოებას.

დასრულებული და სრულყოფილი თალასოკრატია (ინგლისი, აშშ) ამ შემთხვევაში იყენებს ორმაგ სტანდარტს: ისინი ესწრაფვიან საკუთარი კუნძულების სასაზღვრო ხაზის გადაყვანას ზოლში და ევრაზიის სანაპირო ზონების მაქსიმალურ გაფართოებას. კონტინენტური გეოპოლიტიკისათვის კი დამახასიათებელია ამ პრინციპის საწინააღმდეგო მიმართულებით გამოყენება: ევრაზიის საზღვრები — ხაზებია, ამერიკის საზღვრები — ზოლები.

ანალოგია ისტორიულ სანაპირო ზონასთან (Rimland-თან), როგორც „ცივილიზაციის აკვანთან“, გვიჩვენებს „ზონა-საზღვრების“ უდიდეს მნიშვნელობას უფრო კერძო შემთხვევებში. სანაპირო ზონები თავისუფალნი არიან

ისტორიის გეოგრაფიული მუხტის სიმძიმის ტარების აუცილებლობისაგან და თავიანთ ენერგიას ძირითადად წარმართავენ კულტურულ-ინტელექტუალური სფეროებისაკენ. ამ „მსუბუქი“ გეოპოლიტიკური პოტენციალის მარჯვედ გამოყენება წარმოადგენს დაპირისპირებულ მხარეთა გეოპოლიტიკური სტრატეგიის ხელოვნებას.

სწორედ ამას დაეუფლნენ „ზღვის ძალები“ სრულყოფილად, ვინაიდან მათი საყრდენი პრინციპი ყოველთვის იყო კოლონიური ტერიტორიებიდან სარგებლის მაქსიმალური და უსწრაფესი მიღება. ეს განასხვავებს მათ ხმელეთელი დამპყრობლებისაგან, რომლებიც ტერიტორიას დაკავებისთანავე თავისად მიიჩნევდნენ და, მაშასადამე, მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ იქიდან ნედლეულისა და სხვა საშუალებების „ამოქაჩვას“.

## თავი 5. გეოპოლიტიკა. როგორც ბედისწერა

გეოპოლიტიკის კანონები განსაკუთრებით მოსახერხებელია პოლიტიკური ისტორიის, დიპლომატიური ისტორიისა და სტრატეგიული დაგეგმარების ანალიზისათვის. ეს მეცნიერება ხშირად ეხება სოციოლოგიას, პოლიტოლოგიას, ეთნოლოგიას, სამხედრო სტრატეგიას, დიპლომატიას, რელიგიის ისტორიას და ა. შ. ეკონომიკასთან მისი კავშირი იმდენად აშკარა იყო, რომ ზოგიერთი გეოპოლიტიკოსი ახალი მეცნიერების — გეოეკონომიკის დაარსებას მოითხოვდა. ასეა თუ ისე, გეოპოლიტიკური მეთოდების ზოგიერთ საკითხში ეკონომიკური რეალობების გათვალისწინება აუცილებელია.

ამჟამად, ყველა სახის მეცნიერებათა სინთეზის, შერწყმის, ახალი მეცნიერებათშორისი მიკროდისციპლინებისა და მრავალფეროვანი მოდელების შექმნისაკენ სწრაფვის პერიოდში, გეოპოლიტიკა თავის მნიშვნელობას ამჟღავნებს, როგორც წმინდა თეორიულ კვლევებში, ასევე რთული ცივილიზაციური პროცესების მართვის პრაქტიკულ ღონისძიებებში, რომელიც თავსდება ან მსოფლიო, ან ცალკეული სახელმწიფოების, ან კიდევ სახელმწიფოთა ბლოკების მასშტაბებში. ეს არის მომავლის მეცნიერება, რომლის საფუძვლების სწავლებას უახლეს პერიოდში დაიწყებენ არა მარტო სპეციალიზებულ უმაღლეს სასწავლებლებსა და აკადემიებში, არამედ ჩვეულებრივ სკოლებშიც. გეოპოლიტიკური ანალიზის დახმარებით, ადვილია ქვეყნებისა და ხალხების ისტორიული განვითარების მთელი ეპოქების გააზრება. ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი, ინფორმაციული ზონების გაფართოების პერიოდში, ასეთი უბრალო და თვალსაჩინო რედუქციული მეთოდოლოგიის გამოჩენა გარდაუვალია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანმა შეიძლება საბოლოოდ დაკარგოს ყოველგვარი ორიენტირი მრავალსახოვანი ინფორმაციისა და სწავლების რთულ და მრავალგანზომილებიან ქაოსში.

შეუფასებელია გეოპოლიტიკის როლი განათლების საკითხებში. მისი სტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი გახდეს თანამედროვე სკოლების განვითარების საფუძველი.

სულ უფრო აშკარაა გეოპოლიტიკის როლი სოციალურ სფეროში. ინფორმაციის განვითარების დონე, ჩვეულებრივი ადამიანის ჩართვა მთელ კონტინენტზე გათამაშებულ მოვლენებში, მასმედიის „მონდიალიზაცია“ — ყველაფერი ეს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გეოპოლიტიკურ ტერმინებში სივრცულ აზრო-

ვნებას, რაც გვეხმარება ხალხების, სახელმწიფოების, რეჟიმებისა და რელიგიების ერთიან, გამარტივებულ „დახარისხებაში“, რათა ტელევიზიითა თუ რადიოთი გადმოცემული ყველაზე ელემენტარული ინფორმაცია დაახლოებით მაინც გახდეს გასაგები.

თუ გამოვიყენებთ უბრალო გეოპოლიტიკურ ბადეს — „შუაგული მიწა“ (Heartland), „სანაპირო ზონა“ (Rimland), „მსოფლიო კუნძული“ (World island) და მივუსადაგებთ ნებისმიერ ცნობას საერთაშორისო ამბების მოსმენის დროს, მაშინვე აღმოცენდება გარკვეული, ნათელი ინტერპრეტაციული მოდელი, რომელიც არ საჭიროებს დამატებით ვიწრო სპეციალურ ცოდნას. ამგვარი მიდგომით „ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთით“ ნიშნავს „სანაპირო ზონის მოცულობის გაზრდას, თალასოკრატიის სასარგებლოდ“; „ხელშეკრულება გერმანიასა და საფრანგეთს შორის განსაკუთრებული დანიშნულების წმინდა ევროპული შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ“ — კონტინენტური, თელუროკრატიული კონსტრუქციის შექმნისაკენ გადადგმული ნაბიჯია“; „ერაყ-ქუვეითის კონფლიქტი — კონტინენტური სახელმწიფოს მცდელობაა გაანადგურის ხელოვნური თალასოკრატული წარმონაქმნი, რომელიც ხელს უშლის სასაზღვრო ზონებზე უშუალო კონტროლს“ და ა. შ.

დაბოლოს, რაც შეეხება საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე გეოპოლიტიკური მეთოდოლოგიის გავლენას. თუკი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების გარკვეული ნაბიჯების, აგრეთვე, სახელისუფლო სტრუქტურების გეოპოლიტიკური მნიშვნელობა თვალსაჩინო იქნება, ადვილი გახდება მათი დაკავშირება გლობალური ინტერესების სისტემასთან ანუ გაიშიფრება მათი შორეული მიზნები. მაგალითად, რუსეთის ინტეგრაცია ევროპის ქვეყნებთან (განსაკუთრებით გერმანიასთან) — თელუროკრატიული ძალების (ევრაზიელების) ნაბიჯია. აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ ქვეყნის შიგნით „იდეოკრატიული“ („სოციალისტური“) ტენდენციების გაძლიერება. პირიქით, მოსკოვის დაახლოება ვაშინგტონთან ნიშნავს თალასოკრატული მიმართულებისადმი დაქვემდებარებას, რაც აუცილებლად გამოიწვევს „ბაზრით დაინტერესებულთა“ პოზიციების გაძლიერებას და ა. შ. ზუსტად ასევე შიდა გეოპოლიტიკურ კანონზომიერებების განუვრეტით, ადვილია განიმარტოს შიდაპოლიტიკური პროცესებიც — ხალხთა სეპარატიზმი რუსეთში, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები სხვადასხვა ადმინისტრაციულ წარმონაქმნებსა და ოლქებს შორის.

ყოველი მოვლენა გეოპოლიტიკაში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აზრს. გეოპოლიტიკური აზრი არ შეიძლება განიხილებოდეს Ultimo ratio[4] მოვლენად, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ანალიზისა და პროგნოზისათვის იგი უაღრესად შინაარსობრივი და სასარგებლოა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული სასწავლო წიგნის არარსებობამ გვიბიძგა დაგვეწერა ეს წიგნი, რომელიც გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების შესავალს წარმოადგენს.

# პირველი ნაწილი. გეოპოლიტიკის მამამთავრები

## თავი 1. ფრიდრიხ რატცელი – სახელმწიფოები, როგორც სივრცული ორგანიზმები

### 1.1. განათლება: გერმანული „ორგანიციზმული სკოლა“

ფრიდრიჰ რატცელი (1844-1904) თამამად შეიძლება ჩაითვალოს გეოპოლიტიკის „მამამთავრად“, თუმცა თავის შრომებში მას ტერმინი „გეოპოლიტიკა“ არ გამოუყენებია. იგი წერდა – „პოლიტიკური გეოგრაფიის“ შესახებ. რატცელის მთავარი შრომა, რომელიც 1897 წელს გამოვიდა, ასევე იწოდება: „Politische Geographie“.

რატცელმა დაამთავრა კარლსრუეს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც ისმენდა გეოლოგიის, პალეონტოლოგიის, ზოოლოგიის კურსებს. განათლება დაასრულა ჰაიდელბერგში პროფესორ ერნესტ ჰეკელის (რომელმაც პირველად გამოიყენა ტერმინი „ეკოლოგია“) ხელმძღვანელობით. რატცელის მსოფლმხედველობა დაეფუძნა ევოლუციონიზმსა[2] და დარვინიზმს[3], რაც შელამაზებული იყო ბიოლოგიისადმი მკვეთრად გამოხატული ინტერესით.

რატცელი მოხალისედ მონაწილეობს 1870 წლის ომში და მამაცობისათვის ჯილდოვდება რკინის ჯვრით. პოლიტიკაში იგი თანდათანობით ხდება მტკიცე ნაციონალისტი. 1890 წელს შედის კარლ პეტერსის „პანგერმანისტულ ლიგაში“. რატცელი ბევრს მოგზაურობს ევროპასა და ამერიკაში და თავის სამეცნიერო ინტერესებს უმატებს გამოკვლევებს ეთნოლოგიაში. იგი მუშაობს გეოგრაფიის მასწავლებლად მიუნჰენის ტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1886 წელს გადადის ლაიფციგში ანალოგიურ კათედრაზე.

1876 წელს რატცელი იცავს დისერტაციას თემაზე: „ემიგრაცია ჩინეთში“. 1882 წელს შტუტგარტში გამოდის მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ანთროპოგეოგრაფია“ („Antropogeographie“), რომელშიც იგი აყალიბებს თავის ძირითად იდეებს: ხალხთა ევოლუციისა და დემოგრაფიის კავშირი გეოგრაფიულ მონაცემებთან, ადგილის რელიეფის გავლენა ხალხთა პოლიტიკურ ჩამოყალიბებაზე და ა.შ.

თუმცა მის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ნაშრომს „პოლიტიკური გეოგრაფია“ წარმოადგენს.

### 1.2. სახელმწიფოები, როგორც ცოცხალი ორგანიზმები

ნაშრომში „პოლიტიკური გეოგრაფია“ რატცელი ამტკიცებს, რომ ნიადაგი (მიწა) წარმოადგენს ძირითად, უცვლელ საფუძველს, რომლის გარშემო ბრუნავს ხალხთა ინტერესები. ისტორიის მოძრაობა წინასწარ არის განსაზღვრული ნიადაგითა და ტერიტორიით. შემდეგ მოყვანილია ევოლუციონისტური დასკვნა იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო ცოცხალი, ნიადაგში ფესვგადგმული ორგანიზმია: იგი ყალიბდება ტერიტორიული რელიეფისა და მასშტაბისაგან ხალხის მიერ მათი გააზრების შედეგად.

ამგვარად, „სახელმწიფოში“ აირეკლება ობიექტური გეოგრაფიული

მონაცემები და პოლიტიკაში მათი გამოხატული, საერთო ეროვნული სუბიექტური გააზრება. „ნორმალურ“ სახელმწიფოდ რატცელი მიიჩნევს ისეთ ქვეყანას, რომელშიც ყველაზე ბუნებრივადაა შეხამებული ერის გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ეთნო-კულტურული პარამეტრები.

იგი წერს: „სახელმწიფოები თავიანთი განვითარების ყველა სტადიაზე განიხილებიან ორგანიზმებად, რომლებიც აუცილებლად ინარჩუნებენ კავშირს თავიანთ ნიადაგთან და ამიტომ ისინი შესწავლილ უნდა იქნას გეოგრაფიული თვალთახედვით. როგორც ეთნოგრაფია და ისტორია გვიჩვენებს, სახელმწიფოები ვითარდებიან სივრცის საფუძველზე, სულ უფრო მეტად და მეტად ერწყმიან მას, მისგან იღებენ სულ უფრო მეტ ენერგიას. ამგვარად, სახელმწიფო სივრცული მოვლენაა, რომელსაც აცოცხლებს და მართავს სივრცე; სივრცეების აღწერა, შედარება, გაზომვა გეოგრაფიის მოვალეობაა. სახელმწიფო ერთვება სიცოცხლის ექსპანსიურ მოვლენათა სერიაში და წარმოადგენს ამ მოვლენათა უმაღლეს წერტილს“ („პოლიტიკური გეოგრაფია“[4]).

ასეთი ორგანიციზმული თვალსაზრისიდან ცხადად ჩანს, რომ სახელმწიფოს სივრცული ექსპანსია რატცელის მიერ აღიქმება ცოცხალი ორგანიზმების ზრდის მსგავს ბუნებრივ სასიცოცხლო პროცესად.

მისი ორგანიციზმული თვალსაზრისი თავს იჩენს სივრცის (Raum) აღქმაშიც. „სივრცე“ რაოდენობრივ-მატერიალური კატეგორიიდან გადადის ახალ ხარისხში და გარდაიქმნება „სასიცოცხლო სფეროდ“, „სასიცოცხლო სივრცედ“ (LebensRaum), ერთგვარ „ეკოლოგარემოდ“. აქედან გამომდინარეობს რატცელის ორი სხვა მნიშვნელოვანი ტერმინი: „სივრცული აზრი“ (Raumsinn) და „სასიცოცხლო ენერგია“ (Lebensenergie). ეს ტერმინები ერთმანეთის მსგავსია და აღნიშნავენ გეოგრაფიული სისტემებისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ თავისებურებას, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მათ პოლიტიკურ გაფორმებას ხალხთა და სახელმწიფოთა ისტორიაში.

ეს თეზისები წარმოადგენს გეოპოლიტიკის ძირეულ პრინციპებს იმ ფორმით, როგორც იგი მოგვიანებით განავითარეს რატცელის მიმდევრებმა. უფრო მეტიც, დამოკიდებულება სახელმწიფოს, როგორც „სივცობრივი ნიადაგში ჩანერგილი ცოცხალი ორგანიზმის მიმართ“, არის გეოპოლიტიკური მეთოდიკის საფუძველი. ასეთი მიდგომა მიმართულია მოვლენათა მთელი კომპლექსის სისტემური გამოკვლევებისადმი, მიუხედავად იმისა მიეკუთვნებიან ისინი თუ არა ადამიანურ სფეროს. სივრცე, როგორც ბუნების, გარემოს კონკრეტული გამოხატულება, განიხილება ეთნოსის უწყვეტ სასიცოცხლო სხეულად. ეს დასახლებულთა სივრცეა. საგნის სტრუქტურა თავად კარნახობს ხელოვნების ქმნილების საბოლოო პროპორციებს.

ამ თვალსაზრისით, რატცელი მთელი გერმანული ორგანიციზმული სრციოლოგიური სკოლის პირდაპირი მემკვიდრეა: იმ სკოლისა, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ფერდინანდ ტენისი[5] იყო.

## 1.3. სივრცე (RAUM) – ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია

ეთნოსსა და სივრცეს შორის ურთიერთდამოკიდებულების რატცელისეული ხედვა კარგად ჩანს „პოლიტიკური გეოგრაფიის“ შემდეგი ფრაგმენტიდან:

„სახელმწიფო ყალიბდება დედამიწის ზედაპირის გარკვეულ ნაწილზე მიჯაჭვულ ორგანიზმად, მისი თვისებები კი ვითარდება ხალხისა და ნიადაგის ხასიათის მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებებია: სიდიდე, ადგილმდებარეობა და საზღვრები. შემდეგ მოდის ნიადაგის ტიპი, მცენარეული საფარი, ირიგაცია და, ბოლოს, ურთიერთდამოკიდებულება დედამიწის ზედაპირის დანარჩენ კონგლომერატებთან, უპირველეს ყოვლისა, მიმდებარე ზღვებსა და დაუსახლებელ მიწებთან, რომლებიც ერთი შეხედვით არ წარმოადგენენ განსაკუთრებული პოლიტიკური ინტერესის სფეროს. ამ მახასიათებელთა ერთობლიობა ქმნის ქვეყანას (das Land), მაგრამ როდესაც ამბობენ „ჩვენი ქვეყანა", ამას ემატება ყველაფერი ის, რაც ადამიანმა შექმნა, აგრეთვე, მიწასთან დაკავშირებული ყველა მოგონება. ამგვარად, წმინდა გეოგრაფიული ცნება თანდათანობით გარდაიქმნება ქვეყნის მოსახლეობისა და მისი ისტორიის სულიერ და ემოციურ კავშირად.

სახელმწიფო არის ორგანიზმი არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შემოქმედებით უნარს ანიჭებს ერის ცხოვრებას მიწაზე, არამედ იმიტომ, რომ ეს კავშირი ურთიერთმოქმედების შედეგად მტკიცდება და გარდაიქმნება ერთ მთლიანობად, რომელიც წარმოუდგენელი იქნებოდა ერთიმეორეს გარეშე. უკაცრიელი სივრცე უძლურია გამოკვებოს სახელმწიფო. დასახლებული სივრცე კი პირიქით, ხელს უწყობს სახელმწიფოს განვითარებას, განსაკუთრებით თუ ეს სივრცე გარშემორტყმულია ბუნებრივი საზღვრებით. თუ ერი ბუნებრივად გრძნობს თავს საკუთარ ტერიტორიაზე, იგი მუდმივად აწარმოებს ერთსა და იმავე თვისებებს, რომლებიც წარმოიქმნება რა ბუნებრივი პირობებიდან ერის ხასიათზე აისახება"[6].

## 14. ექსპანსიის კანონი

სახელმწიფოს, როგორც ცოცხალი ორგანიზმის მიმართ, დამოკიდებულება გულისხმობდა „საზღვრების ურღვევობის" კონცეფციაზე უარის თქმას. ცოცხალი არსების მსგავსად, სახელმწიფო იბადება, იზრდება და კვდება. აქედან გამომდინარე, მისი სივრცობრივი გაფართოება და შეკუმშვა წარმოადგენს მის შინაგან სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებულ ბუნებრივ პროცესს. რატცელმა, თავის წიგნში „სახელმწიფოთა სივრცული ზრდის კანონების შესახებ" (1901), გამოჰყო **ექსპანსიის შვიდი კანონი:**

1) სახელმწიფოს მოცულობა იზრდება მისი კულტურის განვითარების შესაბამისად.

2) სახელმწიფოს სივრცულ ზრდას თან ახლავს მისი განვითარების სხვა გამოვლინებებიც: იდეოლოგიის, წარმოების, კომერციული საქმიანობის, ძლიერი „მიმზიდველი გამოსხივების" და პროზელიტიზმის სფეროებში.

3) სახელმწიფო ფართოვდება მცირე მნიშვნელობის პოლიტიკური ერთეულების შთანთქმით.

4) საზღვარი ეს არის სახელმწიფოს განაპირას არსებული ორგანო.

5) სივრცული ექსპანსიის განხორციელების დროს სახელმწიფო მიისწრაფვის თავისი განვითარებისათვის დაიკავოს რეგიონები, სანაპიროები, მდინარეთა აუზები, ველები, ყველა მდიდარი და საჭირო ტერიტორია.

6) ექსპანსიის საწყისი იმპულსი მომდინარეობს გარედან. სახელმწიფოს გაფართოებისაკენ აქეზებს უფრო დაბალი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფო (ან ტერიტორია).

7) შედარებით სუსტი ერების ასიმილაციის ან შთანთქმის საერთო ტენდენცია უბიძგებს მას ტერიტორიის უფრო მეტად გაფართოებისაკენ, რომლის საშუალებითაც თავისთავს თვითონვე ასაზრდოებს[8].

გასაკვირი არაა, რომ რატცელს ბევრი კრიტიკოსი ბრალს სდებდა „იმპერიალისტებისათვის კატეხიზმოს" დაწერის გამო. იგი სულაც არ ესწრაფვოდა, გაემართლებინა გერმანული იმპერიალიზმი (თუმცა იმას მალავდა, რომ ეროვნული მრწამსის მიმდევარი იყო), მისთვის მთავარი იყო შეექმნა სახელმწიფოთა და ხალხთა ისტორიის სივრცისადმი დამოკიდებულების შესაბამისი აღქმის კონცეპტუალური ინსტრუმენტი. პრაქტიკაში იგი მიისწრაფვოდა „სივრცის შეგრძნება" („Raumsinn") გაეღვიძებინა გერმანიის წინამძღოლებში, რომელთათვისაც მშრალი აკადემიური მეცნიერების გეოგრაფიული მონაცემები წმინდა წყლის აბსტრაქციას წარმოადგენდა.

## 1.5 „მსოფლიო სახელმწიფო" WELTMACHT და ზღვა

რატცელზე დიდი გავლენა იქონია ჩრდილოეთ ამერიკის გაცნობამ, რომელიც კარგად შეისწავლა და ორი წიგნიც მიუძღვნა: „ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქებისა და ცივილიზაციების რუკები" (1874) და „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები" (1878-1880). მან შეამჩნია, რომ ამერიკელებს უმაღლეს დონემდე აქვთ განვითარებული „სივრცის შეგრძნება", რადგან ისინი იდგნენ „უკაცრიელი" სივრცეების ათვისების წინაშე. მათ ზურგს უმაგრებდა ევროპის ისტორიის მნიშვნელოვანი *„პოლიტიკურ-გეოგრაფიული"* გამოცდილება. აქედან გამომდინარე, ამერიკელები შეგნებულად ახორციელებდნენ იმას, რისკენაც ძველი სამყარო ინტუიციურად და ნელ-ნელა მიდიოდა. რატცელის შრომებში ვხვდებით მეორე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური კონცეფციის — „მსოფლიო სახელმწიფოს" (Weltmacht) პირველ ფორმულირებებს. მან შენიშნა, რომ დიდ ქვეყნებს თავიანთ განვითარებაში აქვთ თანდათანობით მსოფლიო დონეზე გამავალი მაქსიმალური გეოგრაფიული ექსპანსიის ტენდენცია.

ამრიგად, ადრე თუ გვიან გეოგრაფიული განვითარება თავის კონტინენტურ ფაზაში უნდა შევიდეს.

რატცელმა ეს პრინციპი, კონტინენტური სივრცის პოლიტიკური და სტრატეგიული გაერთიანების ამერიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, მიუსადაგა გერმანიას და მას კონტინენტური სახელმწიფოს ბედი უწინასწარმეტყველა.

რატცელმა განუვრიტა გეოპოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც — ზღვის მნიშვნელობა ცივილიზაციის განვითარებაში. წიგნში — „ზღვა ხალხთა ძლიერების სათავე" (1900)[9], მიუთითა იმ აუცილებლობაზე, რომ ყოველმა ძლიერმა სახელმწიფომ განსაკუთრებით უნდა განავითაროს საკუთარი საზღვაო-სამხედრო ძალები, ვინაიდან ამას ითხოვს სრულფასოვანი ექსპანსიის მსოფლიო მასშტაბი. იმას, რასაც ზოგი ხალხი და სახელმწიფო (ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია და სხვანი) სპონტანურად ახორციელებდა, სახმელეთო სახელმწიფოებმა (რატცელს, ბუნებრივია, მხედველობაში გერმანია ჰყავდა),

შეგნებულად უნდა გააკეთონ: ფლოტის განვითარება აუცილებელი პირობაა „მსოფლიო სახელმწიფოს“ (Weltmacht) სტატუსთან მიახლოებისთვის.

ზღვა და „მსოფლიო სახელმწიფო“ რატცელთან უკვე განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა ეს თემა ძირითადი და სრულყოფილი გახდა მომდევნო ხანის გეოპოლიტიკოსების მიერ (მეჰენი, მაკინდერი, ჰაუსჰოფერი, შმიტი).

რატცელის შრომები აუცილებელი საფუძველია გეოპოლიტიკის ყველა მკვლევარისთვის. მისი შრომები, შეკვეცილი სახით, შეიცავენ პრაქტიკულად ყველა ძირითად თეზისს, რომელიც საფუძვლად დაედო აღნიშნულ მეცნიერებას. რატცელის წიგნებზე თავიანთი კონცეფციები დააფუძნეს შვედმა ჩელენმა და გერმანელმა ჰაუსჰოფერმა. მის მოსაზრებებს ითვალისწინებდა ·ფრანგი ვიდალ დე ლა ბლაში, ინგლისელი მაკინდერი, ამერიკელი მეჰენი, რუსი ევრაზიელები (პ. სავიცკი, ლ. გუმილიოვი და სხვ.).

რატცელისადმი ასეთი სიმპათია არაა შემთხვევითი. პრაქტიკულად ყველა გეოპოლიტიკოსი შთაგონებული იყო ნაციონალიზმის ძლიერი გრძნობით, მიუხედავად მათი „დემოკრატიული“ (ანგლოსაქსი გეოპოლიტიკოსები — მაკინდერი, მეჰენი) თუ „იდეოკრატიული“ (ჰაუსჰოფერი, შმიტი, ევრაზიელები) შეხედულებებისა.

## თავი 2. რუდოლფ ჩელენი და ფრიდრიხ ნაუმანი. „შუა ევროპა“

### 2.1 ახალი მეცნიერების განსაზღვრება

პირველად ცნება „გეოპოლიტიკა“ გამოიყენა შვედმა რუდოლფ ჩელენმა (1864-1922).

ჩელენი იყო უფსალისა და გეტებორგის უნივერსიტეტების ისტორიისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი. გარდა ამისა, იგი აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკაში, იყო პარლამენტის წევრი და გამოირჩეოდა გამოკვეთილი გერმანოფილური ორიენტაციით. რატცელისგან (მას თავის მასწავლებლად მიიჩნევდა) განსხვავებით, ჩელენი არ იყო პროფესიონალი გეოგრაფი და გეოპოლიტიკას (რომლის საფუძვლები თავად განავითარა) პოლიტოლოგიის ნაწილად თვლიდა.

ჩელენმა გეოპოლიტიკა შემდეგნაირად განსაზღვრა: „ესაა მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც სივრცეში განფენილი გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ“[10].

„გეოპოლიტიკის“ გარდა ჩელენმა შემოგვთავაზა კიდევ ოთხი ახალი სიტყვა რომლებმაც, მისი აზრით, პოლიტიკური მეცნიერების ძირითადი ნაწილები უნდა შეისწავლონ:

— ეკოპოლიტიკა („სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური ძალის შესწავლა“);

— დემოპოლიტიკა (იმ „დინამიკური იმპულსების გამოკვლევა, რომელსაც გადასცემს ხალხი სახელმწიფოს“, რატცელის „ანთროპოგეოგრაფიის“ ანალოგი);

— სოციოპოლიტიკა („სახელმწიფოს შესწავლა სოციალურ ასპექტში“);

— კრატოპოლიტიკა („მართვის და ხელისუფლების ფორმების შესწავლა სამართლისა და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების პრობლემებთან მიმართებაში“)[11].

თუმცა ჩელინმა გეოპოლიტიკის პარალელურად განავითარა ეს დისციპლინები, მაგრამ მათ მაინც ვერ ჰპოვეს გავრცელება, ხოლო ტერმინი „გეოპოლიტიკა“ კი მყარად დამკვიდრდა საზოგადოებაში.

## 2.2 სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა და გერმანიის ინტერესები

ჩელენმა, თავის ძირითად ნაშრომში — „სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა“[12] (1916), ჩამოაყალიბა ის საფუძვლები, რომლებიც რატცელის შრომაში იყო ჩადებული. ჩელენი, რატცელის მსგავსად, გერმანული „ორგანიციზმის“ მიმდევარი იყო და სახელმწიფოსა და საზოგადობისადმი მექანისტურ მიდგომაზე უარს ამბობდა. შესასწავლი საგნების „უსულო .ობიექტებად“ (ფონი) და „ადამიანურ სუბიექტებად“ (შემოქმედები) მკაცრ დაყოფაზე უარის თქმა, გეოპოლიტიკოსების უმრავლესობისათვის წარმოადგენს განმასხვავებელ ნიშან-თვისებას. ამ თვალსაზრისის მანიშნებელია თვით ჩელენის ძირითადი ნაშრომის სათაური.

ჩელენმა, იმდროინდელი ევროპის კონკრეტულ ისტორიულ ვითარებასთან მისადაგების მიზნით, განავითარა რატცელის გეოპოლიტიკური პრინციპები.

მან ლოგიკურად დაასრულა რატცელის „კონტინენტური სახელმწიფოს“ იდეა გერმანიასთან მიმართებაში და აჩვენა, რომ გერმანია, ევროპულ კონტექსტში, არის ღერძული დინამიზმის მფლობელი სივრცე, რომელმაც თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს დანარჩენი ევროპული სახელმწიფოები. პირველ მსოფლიო ომს ჩელენი განიხილავდა ბუნებრივ გეოგრაფიულ კონფლიქტად, რომელიც წარმოიშვა გერმანიის მზარდ ექსპანსიასა („ღერძის ქვეყნის“) და მასთან დაპირისპირებულ, პერიფერიულ, ევროპულ (და გარეევროპულ) ქვეყნებს შორის. დაცემის გზაზე მდგარ ინგლის-საფრანგეთისა და აღმავლობის გზაზე მდგარ გერმანიის გეოპოლიტიკურ განვითარებას შორის არსებულმა განსხვავებამ განსაზღვრა ძალთა ძირითადი გადანაწილება. ჩელენის აზრით, გერმანიის ევროპასთან გეოპოლიტიკური გაიგივება გარდაუვალი იყო, მიუხედავად გერმანიის დროებითი მარცხისა პირველ მსოფლიო ომში.

ჩელენმა განამტკიცა რატცელის მიერ მოხაზული გეოპოლიტიკური მაქსიმა — გერმანიის ინტერესები (ევროპის ინტერესები) საწინააღმდეგოა დასავლეთ ევროპის ქვეყნების (განსაკუთრებით საფრანგეთისა და ინგლისის) ინტერესებისა. თუმცა გერმანული სახელმწიფო „ნორჩია“, ხოლო გერმანელები „ნორჩი ერია“ (ჩელენის მიერ მრავალჯერ ციტირებული „ნორჩი ერის“ ეს იდეა, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ რუსები და გერმანელები, ეკუთვნის თ. დოსტოევსკის[13]). „შეაევროპული სივრცით“ შთაგონებული „ნორჩი“ გერმანელები უნდა ისწრაფვოდნენ მსოფლიო მასშტაბის კონტინენტური სახელმწიფოს შექმნისაკენ იმ ტერიტორიების ხარჯზე, რომლებსაც აკონტროლებენ „ძველი ხალხები“ — ფრანგები და ინგლისელები. რაც შეეხება გეოპოლიტიკური წინააღმდეგობის იდეოლოგიურ ასპექტს, იგი ჩელენს მეორეხარისხოვნად მიაჩნდა.

## 2.3. შუა ევროპის კონცეფციისაკენ

თუმცა ჩელენი შვედი იყო და დაჟინებით მოითხოვდა შვედური პოლიტიკის გერმანულთან დაახლოებას, მისი გეოპოლიტიკური შეხედულებები დამოუკიდებელად ინტეგრირებადი გერმანული სივრცის მნიშვნელობის შესახებ, ზუსტად ემთხვევა ფრიდრიპ ნაუმანის მიერ ჩამოყალიბებულ „შუა ევროპის" (Mitteleuropa) თეორიას.

თავის წიგნში „Mitteleuropa"[14] (1915 წ.) ნაუმანმა გააკეთა რუდოლფ ჩელენის კონცეფციის შესაბამისი გეოპოლიტიკური დიაგნოზი. მისი აზრით, იმისათვის, რომ გაუძლო კონკურენციას ისეთ ორგანიზებულ გეოპოლიტიკურ წარმონაქმნებთან, როგორიცაა ინგლისი (და მისი კოლონიები), აშშ და რუსეთი, საჭიროა ცენტრალურ ევროპაში მოსახლე ხალხები გაერთიანდნენ და შექმნან ახალი ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიური სივრცე. ასეთი სივრცის ღერძი, ბუნებრივია, გერმანელები იქნებიან.

„შუა ევროპა" (Mitteleuropa) წმინდა „პანგერმანული" პროექტებისაგან განსხვავებით იყო არა ნაციონალური, არამედ უაღრესად გეოპოლიტიკური ცნება, რომელშიც ძირითადი ყურადღება ეთმობოდა არა ეთნიკურ ერთობას, არამედ გეოგრაფიული ბედის ერთიანობას. ნაუმანის პროექტი გულისხმობდა გერმანიის, ავსტრიის, დუნაისპირა სახელმწიფოების, ხოლო შორეულ პერსპექტივაში კი საფრანგეთის, ინტეგრაციას.

გეოპოლიტიკური პროექტი განმტკიცებული იყო კულტურული პარალელებითაც. გერმანია, როგორც ორგანული წარმონაქმნი, იგივდებოდა „შუაგული მდებარეობის" („Mittellage"-ის), სულიერ ცნებასთან. რომელიც ჯერ კიდევ 1818 წელს არნდტმა[15] ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: **„ღმერთმა ჩვენ გერმანელები ევროპის ცენტრში მოგვათავსა; ჩვენ სამყაროს ამ ნაწილის გული ვართ".**

რატცელის „კონტინენტური" იდეები ჩელენისა და ნაუმანის მეშვეობით თანდათანობით გამოკვეთილ ხასიათს იძენდნენ.

# თავი 3. ჰელფორდ მაკინდერი „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი"

## 3.1 მეცნიერი და პოლიტიკოსი

სერ ჰელფორდ ჯ. მაკინდერი (1861-1947) ყველაზე გამოჩენილი პიროვნება იყო გეოპოლიტიკოსთა შორის.

მაკინდერი, გეოგრაფიული განათლების მიღების შემდეგ, 1887 წლამდე ოქსფორდში ასწავლიდა. შემდეგ დაინიშნა ლონდონის ეკონომიკური სკოლის დირექტორად. 1910-1922 წლებში იყო თემთა პალატის წევრი, შუალედში 1919-1920 წწ. — ბრიტანეთის დესპანი სამხრეთ რუსეთში.

მაკინდერი ინგლისის პოლიტიკურ სამყაროში ცნობილია თავისი დიდი გავლენით. მან ინგლისის საერთაშორისო ორიენტაციაზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა. მასვე ეკუთვნის მსოფლიო პოლიტიკური ისტორიის გააზრების ყველაზე თამამი და რევოლუციური სქემა.

მაკინდერის მაგალითზე ყველაზე ცხადად მეღავნდება გეოპოლიტიკის

დამახასიათებელი ტიპიური პარადოქსი. მაკინდერის დიდი სამეცნიერო და პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, მისი იდეები არ მიიღო არა მარტო პოლიტიკურმა, არამედ სამეცნიერო საზოგადოებამაც კი. თვით იმ ფაქტმაც კი, რომ იგი, საკუთარ დასკვნებზე დაყრდნობით, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდა მსოფლიო პოლიტიკური და გეოგრაფიული ისტორიის საერთაშორისო საკითხებში ინგლისის სტრატეგიის შესაქმნელად, ვერ აიძულა სკეპტიკოსები ეცნოთ გეოპოლიტიკის, როგორც დისციპლინის ღირებულება და შედეგიანობა.

## 3.2 ისტორიის გეოგრაფიული ღერძი

მაკინდერის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო 1904 წელს „გეოგრაფიულ ჟურნალში" გამოქვეყნებული მოხსენება „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი"[16]. მასში გადმოცემულია ისტორიისა და გეოგრაფიის მისეული ხედვის საფუძველი, რომელიც მომდევნო შრომებშია გაღრმავებული. მაკინდერის ეს მოხსენება შეიძლება ჩაითვალოს მთავარ გეოპოლიტიკურ ნაშრომად ამ დისციპლინის ისტორიაში, რადგან მასში განზოგადებულია „პოლიტიკური გეოგრაფიის" განვითარების ყველა ადრინდელი პრობლემა და ჩამოაყალიბებულია ამ მეცნიერების ძირითადი კანონები.

მაკინდერი ამტკიცებს, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სახელმწიფოსათვის ყველაზე ხელსაყრელია ცენტრალური მდებარეობა. ცენტრალურობა ფარდობითი ცნებაა და იგი შეიძლება მერყეობდეს ნებისმიერ კონკრეტულ გეოგრაფიულ კონტექსტში. მსოფლიო თვალსაზრისით სამყაროს ცენტრში მდებარეობს ევრაზიის კონტინენტი, ხოლო მის ცენტრში — „შუაგული მიწა" ანუ „Heartland". „შუაგული მიწა" (Heartland) არის ევრაზიის კონტინენტურ მასათა თავმოყრა. ესაა ყველაზე მოსახერხებელი გეოგრაფიული პლაცდარმი მთელს მსოფლიოზე კონტროლის დასამყარებლად.

„შუაგული მიწა" საკვანძო ტერიტორიაა უფრო ზოგად კონტექსტში — მსოფლიო კუნძულის (World island) ფარგლებში. „მსოფლიო კუნძულში" მაკინდერი აერთიანებს სამ კონტინენტს — აზიას, აფრიკასა და ევროპას.

ამგვარად, მაკინდერმა კონცენტრული წრეების სისტემათა მეშვეობით ჩამოაყალიბა მსოფლიო სივრცის იერარქია: ცენტრში — „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" ანუ „ღერძული არეალი" (Pivot area). ეს გეოპოლიტიკური ცნება გეოგრაფიულად უტოლდება *რუსეთს*. იგივე „ღერძული" რეალობა იწოდება „შუაგულ მიწად" (Heartland-ად).

შემდეგ მოდის „შიდა ანუ განაპირა ნახევარმთვარე" (Inner or marginal crescent). ეს არის სარტყელი, რომელიც ემთხვევა ევრაზიის კონტინენტის მონაპირე სივრცეებს. მაკინდერის აზრით, „შიდა ნახევარმთვარე" ცივილიზაციის ყველაზე ინტენსიურად განვითარებული ზონაა. ეს მოსაზრება შეესაბამება ისტორიულ ჰიპოთეზას ე. წ. „პოტამისტურ თეორიას", რომლის მიხედვითაც თავდაპირველად ცივილიზაციები აღმოცენდნენ მდინარეებისა და ზღვების სანაპიროებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თეორია ყველა გეოპოლიტიკურ კონსტრუქციაში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. წყლისა და ხმელეთის სივრცეების გადაკვეთა ხალხთა და სახელმწიფოთა ისტორიების საკვანძო







Heartland-ის გეოპოლიტიკური დაყოფის 2 ვერსია.

1) საბაზისო. პირველად გამოყენებულია 1905 წელს მაკინდერის („ისტორიის გეოგრაფიული ღერძი") მიერ.

2) გადამუშავებული. იმავე მაკინდერის მიერ გამოყენებული 1943 წელს. განსხვავება მხოლოდ ენისეის აღმოსავლეთით მდებარე ციმბირის ტერიტორიების — Lenaland-ის საკითხშია.

ფაქტორია. ეს თემა შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავდა და განვითარდა შმიტისა და სფიქმენის შრომებში, თუმცა ეს გეოპოლიტიკური ფორმულა პირველად სწორედ მაკინდერმა გამოიყვანა.

„შიდა ნახევარმთვარის" შემდეგ მდებარეობს „გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე" — (Outer or insular crescent), რომელიც მსოფლიო კუნძულის

(World Island) მატერიკულ მასასთან შედარებით მთლიანად გარეგანია (გეოგრაფიულად და კულტურულად).

მაკინდერს მიაჩნია, რომ ისტორიის მიმდინარეობა განსაზღვრულია შემდეგი პროცესებით: შუაგული მიწის ცენტრალური ნაწილიდან მისი პერიფერიებისაკენ მუდმივ ზეწოლას ახდენდნენ ე. წ *„ხმელეთის ყაჩაღები“*. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აისახა მონღოლთა დაპყრობების დროს. მათ უსწრებდნენ სკვითები, ჰუნები, ალანები და ა. შ. „ისტორიის გეოგრაფიული ღერძიდან“ შუაგული მიწის (Heartland-ის ყველაზე შიდა სივრცეებიდან) გამომდინარე ცივილიზაციები, მაკინდერის აზრით, ავლენენ „ავტორიტარულ“, „იერარქიულ“, „არადემოკრატიულ“ და „არასავაჭრო“ ხასიათს. ძველ მსოფლიოში იგი განსახიერდა დორიული სპარტის ან ძველი რომის მსგავს საზოგადოებებში.

„მსოფლიო კუნძულზე“ გარედან, „კუნძულოვანი ნახევარმთვარის“ რეგიონებიდან, ზეწოლას ახორციელებდნენ ე. წ. *„ზღვის ყაჩაღები“* ანუ „კუნძულელები“. ეს იყო გარე ევრაზიული ცენტრიდან მომდინარე კოლონიური ექსპედიციები, რომლებიც მიისწრაფოდნენ გაეწონასწორებინათ კონტინენტის შიდა მიჯნებიდან წამოსული სახმელეთო იმპულსები. „გარე ნახევარმთვარის“ ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია „სავაჭრო“ ხასიათი და პოლიტიკის „დემოკრატიული ფორმები“. ძველად ამ მხრივ გამოირჩეოდა ათენისა და კართაგენის სახელმწიფოები.

ამ ორ, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ ცივილიზაციურ-გეოგრაფიულ იმპულსს შორის მდებარეობს „შიდა ნახევარმთვარის“ ზონა, რომელიც გაორებულია და მუდმივად განიცდის დაპირისპირებულ კულტურათა ზეგავლენას. იგი გაცილებით მოძრავია და ამის გამო იქცა ცივილიზაციის განვითარების პრიორიტეტულ ადგილად.

ისტორია, მაკინდერის აზრით, გეოგრაფიულად კონტინენტური ღერძის გარშემო ტრიალებს, ეს ყველაზე ნათლად იგრძნობა სწორედ „შიდა ნახევარმთვარის“ სივრცეში, მაშინ როცა „შუაგულ მიწაზე“ გაყინული არქაიზმია, ხოლო „გარე ნახევარმთვარეში“ ერთგვარი ცივილიზაციური ქაოსი სუფევს.

## 3.3. რუსეთის საკვანძო პოზიცია

მაკინდერი თავის ინტერესებს ანგლო-საქსური კუნძულოვანი სამყაროს ინტერესებთან ანუ „გარე ნახევარმთვარის“ პოზიციებთან აიგივებდა. ასეთ ვითარებაში კუნძულოვანი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ორიენტირად მას მიაჩნდა „შუამდებარე მიწის“ მაქსიმალური შესუსტება და „შიდა ნახევარმთვარეზე“ „გარე ნახევარმთვარის“ გავლენის უკიდურესი გაფართოება. მაკინდერი ხაზს უსვამდა „ისტორიის გეოგრაფიულ ღერძის“ სტრატეგიულ უპირატესობას მთელი მსოფლიოს პოლიტიკაში და ჩამოაყალიბა კიდეც უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კანონი: „ის ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს „შუამდებარე მიწაზე“, ის ვინც ბატონობს „შუამდებარე მიწაზე“, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ის ვინც ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ბატონობს მსოფლიოზე“[7] პოლიტიკურ დონეზე, სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს ნიშნავდა რუსეთის წამყვანი როლის აღიარებას. მაკინდერი

წერდა:

„რუსეთს უკავია ისეთივე ცენტრალური სტრატეგიული პოზიცია მთელს მსოფლიოში, როგორც გერმანიას ევროპაში. მას შეუძლია განახორციელოს თავდასხმა ყველა მიმართულებით და განიცადოს თავდასხმა ყველა მხრიდან გარდა ჩრდილოეთისა. რკინიგზის შესაძლებლობის სრული განვითარება კი მხოლოდ დროის საკითხია" („ისტორიის გეოგრაფიული ღერძი").[18]

აქედან გამომდინარე მაკინდერს მიაჩნდა, რომ ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ არ დაუშვას „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" (რუსეთის) გარშემო სტრატეგიული კონტინენტური კავშირის წარმოქმნა. ამგვარად, „გარე ნახევარმთვარის" ძალების სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ მიიტაცოს „შუამდებარე მიწის" სანაპირო სივრცეების მაქსიმალური რაოდენობა და მოაქციოს ისინი „კუნძულოვანი ცივილიზაციის" გავლენის ქვეშ.

„ღერძული სახელმწიფოს" (რუსეთის — ა. დ.) სასარგებლოდ ძალთა წონასწორობის გადანაცვლება, ევრაზიის პერიფერიული სივრცეების ექსპანსიით, საშუალებას იძლევა უზარმაზარი კონტინენტური რესურსების გამოყენებით შეიქმნას მძლავრი საზღვაო ფლოტი. ამის შემდეგ მსოფლიო მბრძანებლობამდე ორიოდე ნაბიჯია. რაც შესაძლებელი იქნება თუ რუსეთი გაერთიანდება გერმანიასთან. მსგავსი საფრთხე საფრანგეთს აიძულებს შეეკრას ზღვისიქითა სახელმწიფოებს და ამგვარად საფრანგეთი, იტალია, ეგვიპტე, ინდოეთი და კორეა გადაიქცევიან სანაპირო ბაზებად, სადაც ღუზას ჩაუშვებენ „გარე" სახელმწიფოთა ფლოტილიები. ამ პლაცდარმიდან ისინი აღკვეთენ „ღერძული არეალის" ძალების გავრცელებას ყველა მიმართულებით და ხელს შეუშლიან მათ ძლიერი სამხედრო ფლოტის შესაქმნელად ძალების გაერთიანებაში" („ისტორიის გეოგრაფიული ღერძი")[19].

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ მაკინდერი არა მარტო აყალიბებდა თეორიულ ჰიპოთეზებს, არამედ აქტიურად მონაწილეობდა ანტანტის მიერ „თეთრი მოძრაობის" (მაკინდერი მას მიიჩნევდა პროგერმანულად განწყობილი ევრაზიელი ბოლშევიკების ძლევამოსილების შესასუსტებლად მიმართულ ატლანტურ ტენდენციად[20]) საერთაშორისო მხარდაჭერის ორგანიზაციაში. მაკინდერი პირადად უწევდა კონსულტაციას თეთრგვარდიელ ბელადებს და ცდილობდა მათთვის ინგლისის მთავრობის მაქსიმალური მხარდაჭერის მოპოვებას. მან იწინასწარმეტყველა არა მარტო ბრესტის ზავი, არამედ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტიც.

1919 წელს წიგნში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა" იგი წერდა: **„რა მოუვა ზღვის ძალებს, თუ ერთ დღესაც დიდი კონტინენტი პოლიტიკურად გაერთიანდება იმისთვის, რათა იქცეს უძლეველი არმადის შექმნის საფუძვლად?"[21]**

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ სწორედ მაკინდერმა ჩადო ანგლოსაქსურ გეოპოლიტიკაში ის ძირითადი ტენდენცია, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ აშშ-ს და ჩრდილო ამერიკული კავშირის გეოპოლიტიკურ კონცეფციად იქცა: ნებისმიერი ხერხით გაეწიოს წინააღმდეგობა ევრაზიული ბლოკის შექმნის შესაძლებლობასაც კი, რუსეთისა და გერმანიის კავშირის ჩამოყალიბებას, „შუამდებარე მიწის" გეოპოლიტიკურ გაძლიერებას და მის ექსპანსიას.

დასავლეთის მყარ რუსოფობიას XX საუკუნეში გააჩნია არა იმდენად იდეოლოგიური, რამდენადაც გეოპოლიტიკური ხასიათი. თუმცა ამა თუ იმ ძალების ცივილიზაციის ტიპსა და გეოპოლიტიკურ ხასიათს შორის, მაკინდერის მიერ ხაზგასმული კავშირის გათვალისწინებით, შესაძლებელია ისეთი ფორმულის გამოყვანა, რომლის მიხედვით გეოპოლიტიკური ტერმინები ადვილად გარდაიქმნებიან იდეოლოგიურ ტერმინებად: „გარე ნახევარმთვარე" — ლიბერალური დემოკრატია; „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" — არადემოკრატიული ავტორიტარიზმი, „შიდა ნახევარმთვარე" — შუალედური მოდელი, ორივე იდეოლოგიური სისტემის შეთავსება.

მაკინდერი მონაწილეობდა ვერსალის ხელშეკრულების მომზადებაში, რომლის ძირითადი გეოპოლიტიკური იდეა ნათლად ასახავს მაკინდერის მსოფლმხედველობის არსს. აღნიშნული შეთანხმება იმგვარად იქნა შედგენილი, რომ დასავლეთ ევროპა განემტკიცებინათ საზღვაო ძალის (ანგლოსაქსური სამყარო) სანაპირო ბაზად. ამასთან, იგი ითვალისწინებდა ისეთი სახელმწიფოების შექმნას, რომელიც გერმანელებს და სლავებს გამიჯნავდა ერთმანეთისაგან და ყოველნაირად წინ აღუდგებოდა „კუნძულოვანი სახელმწიფოებისათვის" და, შესაბამისად, დემოკრატიისათვის ესოდენ საშიში სტრატეგიული კონტინენტური ალიანსის შექმნას.

მაკინდერის შრომებში აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება „შუამდებარე მიწის" გეოგრაფიული საზღვრების ევოლუციას. თუ 1904 და 1919 წლებში (სტატიაში „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" და წიგნში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა") „შუამდებარე მიწის" მოხაზულობა ზოგადად ემთხვევა რუსეთის იმპერიის, ხოლო მოგვიანებით სსრკ-ს საზღვრებს. 1943 წლის სტატიაში „მრგვალი პლანეტა და სამყაროს დაპყრობა"[22], მან ცვლილებები შეიტანა თავის უწინდელ შეხედულებებში და „შუამდებარე მიწას" ჩამოაშორა ენისეის მიღმა არსებული აღმოსავლეთ ციმბირის ტერიტორიები. ამ მცირედ დასახლებულ მიწებს მან უწოდა „რუსეთის Lenaland", მდინარე ლენას სახელწოდების მიხედვით.

„რუსეთის Lenaland 9 მილიონი ადამიანითაა დასახლებული, რომელთაგან 5 მილიონი ცხოვრობს ტრანსკონტინენტური სარკინიგზო გზის გასწვრივ ირკუტსკიდან ვლადივოსტოკამდე. დანარჩენ ტერიტორიაზე მოსახლეობის სიმჭიდროვე 8 კვადრატულ კილომეტრზე ერთ ადამიანზე ნაკლებია. ამ მიწის ბუნებრივი სიმდიდრეები (ხე-ტყე, მინერალები და სხვ.) — პრაქტიკულად ხელუხლებელია" („მრგვალი პლანეტა და სამყაროს დაპყრობა")[23].

„შუამდებარე მიწის" გეოგრაფიული საზღრებიდან ე. წ. Lenaland-ის გამოყოფა ნიშნავდა ამ ტერიტორიების „შიდა ნახევარმთვარის" ზონად ანუ სანაპირო სივრცედ განხილვის შესაძლებლობას, რომელიც „კუნძულოვანი" სახელმწიფოების მიერ შეიძლება გამოყენებული იყოს „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" წინააღმდეგ ბრძოლაში. მაკინდერმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ანტანტის ინტერვენციისა და „თეთრი მოძრაობის" ორგანიზებაში, ევრაზიული ცენტრის მოწინააღმდეგე კოლჩაკის ისტორიული პრეცენდენტი ალბათ, საკმაოდ საფუძვლიანად მიიჩნია საიმისოდ, რომ კოლჩაკისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიები პოტენციურ „სანაპირო ზონად" განეხილა.

## 3.4 სამი გეოპოლიტიკური პერიოდი

მაკინდერმა მსოფლიოს მთელი გეოპოლიტიკური ისტორია სამ ეტაპად დაჰყო:[24]

1) *კოლუმბამდელი ეპოქა — როცა „მსოფლიო კუნძულის" პერიფერიის ხალხები, მაგალითად რომაელები, ცხოვრობდნენ „შუამდებარე მიწის" მხრიდან მოსალოდნელი დაპყრობის მუდმივი საფრთხის ქვეშ.* რომაელთათვის ესენი იყვნენ გერმანელები, ჰუნები, ალანები, პართელები და ა. შ. ხოლო შუასაუკუნოვანი ოიკუმენებისათვის[25] — ოქროს ურდო.

2) *კოლუმბის ეპოქა.* ამ პერიოდში „შიდა ნახევარმთვარის" (სანაპირო ზონა) წარმომადგენლები მიემართებიან მსოფლიოს უცნობი ტერიტორიების დასაპყრობად და არასდ სერიოზულ წინააღმდეგობას არ აწყდებიან.

3) *კოლუმბის შემდგომი ეპოქა.* დაუპყრობელი მიწები აღარ არსებობს. ცივილიზაციების დინამიური პულსაცია განწირულია შეჯახებისათვის, რომლის დროსაც დედამიწის მრავალი ხალხი ჩათრეული აღმოჩნდა სამოქალაქო ომში.

მაკინდერის ამ პერიოდიზაციას, შესაბამისი გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციით, მივყავართ გეოპოლიტიკის უახლეს ტენდენციებთან, რომელთაც ჩვენ ამ წიგნის სხვა ნაწილში განვიხილავთ.

# თავი 4. ალფრედ მეჰენი – „საზღვაო ძალაუფლება"

## 4.1. SEA POWER

ამერიკელი ალფრედ მეჰენი (1840-1914), რატცელის, ჩელენისა და მაკინდერისაგან განსხვავებით, სამხედრო პირი იყო და არა მეცნიერი. იგი არ სარგებლობდა ტერმინით „გეოპოლიტიკა", თუმცა მისი ანალიზის მეთოდიკა და ძირითადი დასკვნები ზედმიწევნით შეესაბამება საკითხის გეოპოლიტიკურ ხედვას.

ამერიკის Union Navy-ის ოფიცერი მეჰენი 1885 წლიდან ასწავლიდა სამხედრო ფლოტის ისტორიას ნიუ-პორტის (როუდ-აილენდი) „Navel War College"-ში. 1890 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი წიგნი, რომელიც სამხედრო სტრატეგიაში იმთავითვე კლასიკურ ნაშრომად იქცა: — „საზღვაო ძალების როლი ისტორიაში (1660-1890)"[26]. მცირე შუალედის შემდეგ მას მოჰყვა სხვა შრომები: „საზღვაო ძალის გავლენა საფრანგეთის რევოლუციასა და იმპერიაზე (1793-1812)"[27], „ამერიკის დაინტერესება საზღვაო ძალებით აწმყოსა და მომავალში"[28], „აზიის პრობლემა და მისი ზეგავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე"[29], „საზღვაო ძალა და ომისადმი მისი დამოკიდებულება"[30].

პრაქტიკულად ყველა წიგნი ერთ თემას — „საზღვაო ძალაუფლებას", „Sea Power"-ს ეძღვნებოდა, რის გამოც მეჰენის სახელი ამ ტერმინის სინონიმად იქცა.

მეჰენი იყო არა მარტო სამხედრო სტრატეგიის თეორეტიკოსი, არამედ პოლიტიკაშიც აქტიურად მონაწილეობდა. კერძოდ, მან დიდი გავლენა მოახდინა ისეთ პოლიტიკოსებზე, როგორიც იყვნენ ჰენრი ქებოთ ლოჯი და თეოდორ რუზველტი. უფრო მეტიც, თუ რეტროსპექტულად განვიხილავთ ამერიკის სამხედრო სტრატეგიას მთელი XX საუკუნის განმავლობაში,

დავინახავთ, რომ იგი მეჰენის იდეებთან ზუსტ შესაბამისობაშია. თუ პირველ მსოფლიო ომში ამ სტრატეგიას დიდი წარმატება არ მოჰყოლია, სამაგიეროდ მეორე მსოფლიო ომში მისი შედეგი საკმაოდ საგრძნობი იყო, ხოლო „ცივ ომში" საბჭოთა კავშირზე გამარჯვებამ საბოლოოდ განამტკიცა საზღვაო ძალის სტრატეგიის წარმატება.

## 4.2. საზღვაო ცივილიზაცია = სავაჭრო ცივილიზაცია

მეჰენისათვის პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს ვაჭრობა წარმოადგენს. სამხედრო მოქმედებებმა მხოლოდ უნდა უზრუნველყოს უფრო ხელსაყრელი პირობები მსოფლიო სავაჭრო ცივილიზაციების შესაქმნელად. მეჰენი ეკონომიკურ ციკლს სამ მომენტად განიხილავს:

1) წარმოება (საქონლისა და მომსახურების გაცვლა საწყლოსნო გზების საშუალებით).

2) ნავიგაცია (რომელიც ახორციელებს ამ გაცვლას).

3) კოლონიები (რომლებიც აწარმოებენ საქონელბრუნვას მსოფლიო დონეზე)[31].

მეჰენი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს პოზიციის ანალიზი და გეოპოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს 6 კრიტერიუმს:

1. სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ზღვებში გასვლის საშუალება და სხვა ქვეყნებთან საზღვაო კომუნიკაციების შესაძლებლობა. სახმელეთო საზღვრების განფენილობა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონების გაკონტროლების უნარი. საკუთარი ფლოტით მოწინააღმდეგის ტერიტორიებზე დამუქრების უნარი.

2. სახელმწიფოს „ფიზიკური კონფიგურაცია" ანუ საზღვაო სანაპიროების მოხაზულობა და მათზე განლაგებული პორტების რაოდენობა. ამაზეა დამოკიდებული ვაჭრობის აყვავება და სტრატეგიული უსაფრთხოება.

3. ტერიტორიის განფენილობა. იგი სანაპირო ხაზის სიგრძის თანასწორია.

4. მოსახლეობის რაოდენობა. ეს მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ხომალდების აგებისა და მათი მომსახურების შესაძლებლობის შესაფასებლად.

5. ეროვნული ხასიათი. ხალხის ვაჭრობის უნარიანობა, რამეთუ საზღვაო ძლიერება მშვიდობიან და ფართომასშტაბიან ვაჭრობას ეფუძნება.

6. მართვის პოლიტიკური ხასიათი. ამაზეა დამოკიდებული საუკეთესო ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გადასროლა ძლევამოსილი საზღვაო ძალის შესაქმნელად[32].

ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ მეჰენი თავის გეოპოლიტიკურ თეორიას აგებს „საზღვაო ძალის" ინტერესებიდან გამომდინარე. მისთვის სანიმუშო საზღვაო ძალას წარმოადგენდა ძველი კართაგენი, ხოლო უფრო ახლო წარსულში XVII და XIX საუკუნეების ინგლისი.

*„საზღვაო მმართველობის" ცნება, მეჰენის გაგებით, ეფუძნება „საზღვაო ვაჭრობის" თავისუფლებას, სამხედრო-საზღვაო ფლოტი კი ასრულებს გარანტის როლს ვაჭრობის უზრუნველყოფის საქმეში. მეჰენი* უფრო ავითარებს ამ ცნებას და „საზღვაო ძალას" ცივილიზაციის განსაკუთრებულ, საუკეთესო, ყველაზე ეფექტურ და მსოფლიო ბატონობისათვის ზედგამოჭრილ ტიპად (განჭვრიტა რა კარლ შმიტის იდეები) მიიჩნევს.



აშშ-ს მსოფლიო სახელმწიფოდ გადაქცევის პირველი ეტაპი. მონროს დოქტრინის განხორციელება.. მერიდიანული ექსპანსია.



აშშ-ს მსოფლიო სახელმწიფოდ გადაქცევის მეორე ეტაპი. განედური ექსპანსია. თალასოკრატიული იმპერიალიზმი. ევრაზიის აღმოსავლეთიდან, დასავლეთისა და სამხრეთიდან შეკიწროება.

## 4.3. აშშ-ს მიერ მსოფლიოს დამორჩილება – MANIFEST DESTINY

მეპენის იდეები მთელ მსოფლიოში გავრცელდა და გავლენა იქონია მრავალ ევროპელ სტრატეგზე. სახმელეთო და კონტინენტურმა გერმანიამაც კი — ადმირალ ტირპიცის სახით — მეპენის თეზისების გათვალისწინებით აქტიურად დაიწყო საკუთარი ფლოტის განვითარება. 1940-41 წლებში მეპენის

ორი წიგნი სსრკ-შიც გამოიცა.

მიუხედავად ამისა ეს იდეები, უპირველეს ყოვლისა, ამერიკისა და ამერიკელებისათვის იყო განკუთვნილი. მეჰენი მთლიანად იზიარებდა პრეზიდენტ მონროს დოქტრინას (1758-1831), რომელმაც 1823 წელს ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ურთიერთჩაურევლობის პრინციპის დეკლარარაცია მოახდინა, ხოლო აშშ-ს ძლევამოსილების ზრდა მახლობელი ტერიტორიების ტერიტორიულ ექსპანსიას დაუკავშირა. მეჰენს მიაჩნდა, რომ ამერიკას „*საზღვაო ბედი*" უწერია და რომ ეს „manifest destiny" („გამეფლავნებული ბედი")[33] პირველ ეტაპზე მთელი ამერიკის კონტინენტის სტრატეგიულ გაერთიანებაში, ხოლო შემდეგ მსოფლიოზე ბატონობის დამყარებაში მდგომარეობს.

პატივი უნდა მიეგოს მეჰენის, თითქმის, წინასწარმეტყველურ ჭვრეტას. მის დროს აშშ ჯერ კიდევ არ იყო მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფო, უფრო მეტიც, ცხადად არ იყო წარმოჩენილი მისი „მსოფლიო ცივილიზაციური ტიპიც" კი. ჯერ კიდევ 1905 წელს, სტატიაში „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" მაკინდერი აშშ-ს აკუთვნებდა „სახმელეთო სახელმწიფოთა" რიცხვს, რომლებიც შედიოდნენ „გარე ნახევარმთვარის" შემადგენლობაში, როგორც საზღვაო ინგლისის ნახევრადკოლონიური, სტრატეგიული დანამატები. მაკინდერი წერდა: „*აშშ ახლახან აღმოსავლეთის სახელმწიფოდ იქცა. იგი ევროპაში ძალთა წონასწორობაზე მოქმედებს არა უშუალოდ, არამედ რუსეთის მეშვეობით*"[34].

მაკინდერის ნაშრომების გამოცემამდე 10 წლით ადრე ადმირალი მეჰენი სწორედ ამერიკას უწინასწარმეტყველებდა მსოფლიოს ბედზე პირდაპირი ზეგავლენის მქონე წამყვანი საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევის მომავალს.

წიგნში „ამერიკის დაინტერესება საზღვაო ძალით", იგი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო სახელმწიფოდ გადაქცევისთვის ამერიკამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პუნქტები:

1) აქტიურად ითანამშრომლოს ბრიტანეთის საზღვაო სახელმწიფოსთან;

2) წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიის საზღვაო პრეტენზიებს;

3) ფხიზლად ადევნოს თვალყური და წინ აღუდგეს იაპონიის ექსპანსიას წყნარ ოკეანეში;

4) ევროპელებთან ერთად განახორციელოს ერთობლივი მოქმედებები აზიის ხალხების წინააღმდეგ[35].

მეჰენი აშშ-ს მომავალს ხედავდა არა როგორც პასიურ მონაწილეს „გარე ნახევარმთვარის" პერიფერიულ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირში, არამედ მოწინავე პოზიციის დაკავებაში ეკონომიკურ, სტრატეგიულ და იდეოლოგიურ ურთიერთობებშიც კი.

„საზღვაო ცივილიზაციის" მთავარ საშიშროებასთან დაკავშირებით მაკინდერისაგან დამოუკიდებლად იგივე დასკვნებამდე მივიდა მეჰენი. ამ საშიშროებას წარმოადგენენ ევრაზიის კონტინენტური სახელმწიფოები — უპირველეს ყოვლისა, რუსეთი და ჩინეთი, ხოლო შემდეგ — გერმანია. ბრძოლა „მცირე აზიიდან იაპონიის მერიდიანამდე" გადაჭიმულ რუსეთთან, „რუსეთის იმპერიის უსასრულო კონტინენტურ მასასთან", საზღვაო ძალებისთვის, მთავარი, გრძელვადიანი მიზანი იყო.

მეჰენმა მსოფლიო დონეზე გადაიყვანა ამერიკელი გენერალის მაკლელანის მიერ ჩრდილოეთ ამერიკის 1861-1865 წლების სამოქალაქო ომში




„ანაკონდის" სტრატეგია. მუქი ფერით გამოყოფილია ატლანტიზმის სტრატეგიული კონტროლის ქვეშ მყოფი ევრაზიის მატერიკის ქვეყნები. ამ სანაპირო ზონების ერთმანეთთან დაკავშირება (Linkage-ს დოქტრინა) და მისი საზღვრების გაფართოება — ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა. ისრებით ნაჩვენებია ატლანტიზმის გეოპოლიტიკური აქტიურობის ვექტორი.

გამოყენებული „ანაკონდის" პრინციპი. ეს პრინციპი მდგომარეობს ზღვიდან და სანაპირო მისადგომებიდან მტრის ტერიტორიების ბლოკირებაში, რასაც თანდათანობით მოწინააღმდეგის სტრატეგიული გამოფიტვა მოჰყვება. ვინაიდან მეჰენს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს ძლიერება განისაზღვრება მისი საზღვაო ძალად გადაქცევის პოტენციალით, ამიტომ დაპირისპირების შემთხვევაში, უპირველეს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს მტრის ბანაკში ასეთი გაძლიერების დაუშვებლობა. აქედან გამომდინარე, ამერიკის ისტორიული წინააღმდეგობის მიზანი არის თავისი პოზიციების განმტკიცება ზემოთ ჩამოთვლილი 6 ძირითადი პუნქტის მიხედვით და იმავე პუნქტებით მოწინააღმდეგის დასუსტება.

კონტროლს უნდა დაექვემდებაროს საკუთარი სანაპირო სივრცეები, ხოლო მოწინააღმდეგის შესაბამისი ზონები ნებისმიერი საშუალებით უნდა ჩამოშორდნენ კონტინენტურ მასებს. იმის გამო, რომ მონროს დოქტრინა (მისი ტერიტორიული ინტეგრაციის ნაწილში) სიძლერეს მატებს სახელმწიფოს, დაუშვებელია ანალოგიური ინტეგრაციული წარმონაქმნების შექმნა მოწინააღმდეგის ბანაკში. მეტოქე და მოწინააღმდეგე (მეჰენთან ესენია: ევრაზიული სახელმწიფოები — რუსეთი, ჩინეთი, გერმანია) უნდა მოიგუდოს „ანაკონდის" კონტინენტური მასის რკალში, გაისრისოს მისი კონტროლიდან გამოსული სანაპირო ზონების ხარჯზე და, შეძლებისდაგვარად, უნდა გადაეკეტოს საზღვაო სივრცეებისაკენ ყველა გასასვლელი.

პირველ მსოფლიო ომში ევრაზიის პერიფერიებში, თეთრების მოძრაობის

ხელშეწყობით, ეს სტრატეგია განახორციელა ანტანტამ (გერმანელებსა და ბოლშევიკებს შორის დამყარებული მშვიდობის საპასუხოდ). მეორე მსოფლიო ომში ეს სტრატეგია კვლავ იქნა მიმართულ შუა ევროპის, კერძოდ, ღერძის ქვეყნებისა და იაპონიის წინააღმდეგ სამხედრო-საზღვაო ოპერაციების მეშვეობით, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი „ცივი ომის" ეპოქაში, როდესაც აშშ-სა-და სსრკ-ს შორის დაპირისპირებამ მიაღწია იმ საყოველთაო, მსოფლიო მასშტაბებს, რომელთა შესახებ გეოპოლიტიკოსები თეორიულ დონეზე უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდან მსჯელობდნენ.

ფაქტიურად, ნატო-სა და სხვა ბლოკების სსრკ-ს შეკავებისაკენ მიმართული სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები („შეკავების" კონცეფცია იგივეა რაც „ანაკონდის" სტრატეგიული და გეოპოლიტიკური კონცეფცია) — ASEAN, ANZUS, CENTO — წარმოადგენენ ადმირალ მეჰენის ძირითადი თეზისების განვითარებას, რაც საფუძველს გვაძლევს თამამად ვუწოდოთ მეჰენს მთელი თანამედროვე ატლანტიზმის მამამთავარი.

## თავი 5. ვიდალ დე ლა ბლაში „საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ"

### 5.1 საფრანგეთის გეოგრაფიული სურათი

ვიდალ დე ლა ბლაში (1845-1918 წწ.) ითვლება ფრანგული გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებლად. როგორც პროფესიონალი გეოგრაფი, გატაცებული იყო რატცელის „პოლიტიკური გეოგრაფიით" და მასზე აგებდა თავის თეორიებს, თუმცა გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის მრავალ ასპექტს მკაცრად აკრიტიკებდა. თავის წიგნში „საფრანგეთის გეოგრაფიული სურათი" (1903) გერმანელი გეოპოლიტიკოსებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი — „ადგილმდებარეობის თეორიის" შესახებ იგი წერდა:

„ადამიანს და ადგილმდებარეობას შორის დამოკიდებულება საფრანგეთში აღნიშნულია სიძველის, მარადიულობის ორიგინალური ხასიათით. ჩვენს ქვეყანაში შეიძლება ხშირად შეამჩნიოთ, რომ ხალხი უხსოვარი დროიდან ცხოვრობს ერთსა და იმავე ადგილებში. წყაროები, კლდეები, როგორც ცხოვრებისა და თავდაცვისათვის მოსახერხებელი ადგილები თავიდანვე იზიდავდნენ ადამიანებს. ჩვენთან ადამიანი ადგილმდებარეობის ერთგული შეგირდია, ადგილმდებარეობის შესწავლა დაგვეხმარება გაგვერკვეთ მოსახლეობის ხასიათში, ჩვევებსა და არჩევანის უპირატესობაში".

მიუხედავად ასეთი (საკმაოდ გერმანული) დამოკიდებულებისა გეოგრაფიული ფაქტორის მიმართ და კულტურაზე მისი გავლენისადმი, ვიდალ დე ლა ბლაშს მიაჩნდა, რომ რატცელი და მისი მიმდევრები, აშკარად აჭარბებდნენ ბუნებრივი ფაქტორის შეფასებაში, თვლიდნენ რა მას გადამწყვეტად.

დე ლა ბლაშის აზრით, ადამიანი *„მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ფაქტორია"*, რომელიც ამასთანავე „აღჭურვილია ინიციატივით". იგი დეკორაციის ფრაგმენტიც არის და სპექტაკლის მთავარი მსახიობიც.

### 5.2. პოსიბილიზმი

რატცელისეული სივრცულობის ფაქტორის ზედმეტი განდიდების კრიტიკამ ვიდალ დე ლა ბლაში მიიყვანა განსაკუთრებული გეოპოლიტიკური

კონცეფციის — „*პოსიბილიზმის*“ (სიტყვიდან „possible“ — შესაძლებელი) შემუშავებამდე. ამ კონცეფციის თანახმად, პოლიტიკურ ისტორიას აქვს ორი ასპექტი: სივრცული (გეოგრაფიული) და დროითი (ისტორიული). გეოგრაფიული ფაქტორი ასახულია *გარემოში*, ისტორიული — ადამიანში („ინიციატივის მატარებელში“) . ვიდალ დე ლა ბლაშს მიაჩნდა, რომ გერმანელი „პოლიტიკური“ გეოგრაფების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი რელიეფს თვლიან სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორიის განმსაზღვრელ ფაქტორად. ამის გამო (დე ლა ბლაშის აზრით) მცირდება ადამიანური თავისუფლებისა და ისტორიულობის ფაქტორი. თავად იგი გვთავაზობს გეოგრაფიული სივრცული მდგომარეობა განვიხილოთ „პოტენციურობად“, „შესაძლებლობად“, რომელიც შეიძლება განხორციელდეს და იქცეს ნამდვილ პოლიტიკურ ფაქტორად, თუმცა ეს შეიძლება არც მოხდეს. ეს, ძირითადად, დამოკიდებულია სუბიექტურ ფაქტორზე — ადამიანზე, რომელიც სივრცეს იყენებს დასახლებისათვის.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გაითვალისწინა ჰაუსჰოფერის გერმანულმა გეოპოლიტიკურმა სკოლამ, რომელსაც დე ლა ბლაშის კრიტიკა საკმაოდ დასაბუთებულად და საფუძვლიანად მიაჩნდა. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, იზრდებოდა ეთნიკური და რასობრივი ფაქტორის როლი სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორიის განხილვის დროს, რამაც გამოხმაურება ჰპოვა 20-იანი წლების გერმანიის რასობრივი პრობლემატიკის საერთო აფეთქების სახით.

დე ლა ბლაშის „პოსიბილიზმი“ გეოპოლიტიკური სკოლების უმრავლესობამ მიიღო, როგორც წინამორბედი გეოპოლიტიკოსი ავტორების მოსაზრების *მკაცრი გეოგრაფიული გამაზღვრელობის შესწორება*.

## 5.3. საფრანგეთი მხარს უჭერს „საზღვაო ძალას“

ვიდალ დე ლა ბლაში განსაკუთრებულ ყურადრებას უთმობდა გერმანიას, რომელიც იმ დროს საფრანგეთის მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო. მას მიაჩნდა, რომ გერმანია ერთადერთი ძლიერი ევროპული სახელმწიფოა, რომლის გეოპოლიტიკური ექსპანსია განგებაა შეკავებული ბლოკირებული, სხვა განვითარებული ევროპული ქვეყნების მიერ, ინგლისი და საფრანგეთი ფლობენ საკუთარ ვრცელ კოლონიებს აფრიკასა და მთელ მსოფლიოში, აშშ-ს შეუძლია, თითქმის, თავისუფლად იმოძრაოს სამხრეთსა და ჩრდილოეთში, რუსეთს აქვს აზია, ხოლო გერმანია კი შებოჭილია ყოველი მხრიდან და მისი ენერგია მოქმედების არეალის გარეშე რჩება. ამაში დე ლა ბლაში ხედავდა ევროპის მშვიდობის მთავარ საფრთხეს და აუცილებლად მიაჩნდა ამ საშიში მეზობლის განვითარების ნებისმიერი ხერხით შესუსტება.

გერმანიისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ლოგიკურად განაპირობა ის გარემოება, რომ საფრანგეთი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ყოფილიყო კონტინენტური სახელმწიფოების საწინააღმდეგოდ მიმართული და „საზღვაო ძალების“ საერთო ფრონტის შემადგენელი სახელმწიფო. დე ლა ბლაშის პოზიცია არ იყო ერთადერთი ფრანგ გეოპოლიტიკოსთა შორის, მის პარალელურად არსებობდა ადმირალ ლავალის და გენერალ დე გოლის მიერ წარმოდგენილი საწინააღმდეგო, გერმანოფილური, მიმართულება.

1917 წელს ვიდალ დე ლა ბლაშმა გამოაქვეყნა წიგნი „აღმოსავლეთ საფრანგეთი“, რომელშიც ამტკიცებდა ელზას-ლოტარინგიის პროვინციის

საფრანგეთისადმი უხსოვარი დროიდან კუთვნილებას და გერმანელთა მხრივ ამ ოლქისადმი პრეტენზიების უსაფუძვლობას. ამასთან იგი ამართლებდა საფრანგეთის რევოლუციას, რადგან თვლიდა, რომ იაკობინელების სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და უნიფიკაციისაკენ გეოგრაფიული ინტეგრაციის გავლით ფრანგი ხალხის გეოპოლიტიკური ტენდენციის გამოხატულება იყო. პოლიტიკურ ლიბერალიზმსაც იგი ხალხის ადგილმდებარეობისადმი მიზიდულობითა და კერძო საკუთრებაში მისი მიღების ბუნებრივი სურვილით ხსნდა. ამგვარად, ვიდალ დე ლა ბლაშმა თავისებურად დააკავშირა გეოპოლიტიკური რეალობა იდეოლოგიურ რეალობასთან: *დასავლეთ ევროპის (საფრანგეთის) სივრცული პოლიტიკა უწყვეტადაა დაკავშირებული „დემოკრატიასთან“ და „ლიბერალიზმთან“. ამ მაგალითით ადვილად შეიძლება დე ლა ბლაშის გეოპოლიტიკური თვალსაზრისის მაკინდერისა და მეჰენის შეხედულებებთან დაკავშირება.*

დე ლა ბლაშის მიერ „საზღვაო ორიენტაციის“ არჩევა მშვენივრად ეთანხმება ამ სქემას.

## თავი 6. ნიკოლას სფიქმენი – „მაკინდერის რევიზია. RIMLAND-ის ცენტრალურობა“

### 6.1 ამერიკის სამსახურში

ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელი ნიკოლას სფიქმენი (1893-1943) ადმირალ მეჰენის ხაზის პირდაპირი გამგრძელებელია. სფიქმენი საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი, იელის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი იყო. წინამორბედი გეოპოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, მისთვის გეოგრაფია არ წარმოადგენდა დიდი ინტერესის საგანს, უფრო ნაკლებად აღელვებდა მას ხალხის ადგილმდებარეობასთან კავშირის პრობლემა, რელიეფის გავლენა ეროვნულ ხასიათზე და ა. შ. სფიქმენი გეოპოლიტიკას განიხილავდა, როგორც კონკრეტული საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, როგორც ეფექტური სტრატეგიის შემუშავების ხელშემწყობ ანალიტიკურ მეთოდსა და ფორმულათა სისტემას. ამ თვალსაზრისით, იგი მკაცრად აკრიტიკებდა გერმანულ გეოპოლიტიკურ სკოლას (განსაკუთრებით წიგნში „მსოფლიო გეოგრაფია“[38]), რადგან წარმოდგენები „სამართლიანი ან უსამართლო საზღვრების შესახებ – მეტაფიზიკურ სისულელედ“ მიაჩნდა.

სფიქმენისათვის, ისევე, როგორც მეჰენისათვის, დამახასიათებელია საკითხისადმი გამოყენებითი მიდგომა, უფრო ეფექტური გეოპოლიტიკური ფორმულის მიღების სურვილი, რომლის დახმარებითაც აშშ შესძლებს უსწრაფესად მოიპოვოს „მსოფლიო ბატონობა“. ამ პრაგმატული მოსაზრებით არის გამსჭვალული ყველა მისი ნაშრომი.

### 6.2. მაკინდერის შესწორება

სფიქმენმა, რომელსაც დაკვირვებით ჰქონდა შესწავლილი მაკინდერის შრომები, შემოგვთავაზა მისი მოდელისაგან რამდენადმე განსხვავებული

საბაზისო გეოპოლიტიკური სქემის საკუთარი მოდელი. სფიქმენის ძირითადი იდეა იყო ის, რომ მაკინდერმა თითქოს გადააჭარბა „შუამდებარე მიწის" (Heartland-ის) გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შეფასების საკითხში. ეს გადაფასება ეხებოდა არა მხოლოდ ძალთა აქტუალურ განლაგებას მსოფლიო რუკაზე (კერძოდ, სსრკ-ს ძლევამოსილებას) არამედ საწყის ისტორიულ სქემასაც. სფიქმენს მიაჩნდა, რომ „შიდა ნახევარმთვარის", „სანაპირო ზონების" გეოგრაფიული ისტორია თავისთავად და არა (როგორც მაკინდერს ეგონა) „ხმელეთის მომთაბარეების" ზეწოლის ქვეშ ხორციელდებოდა. მისი თვალსაზრისით Heartland წარმოადგენს მხოლოდ პოტენციურ სივრცეს, რომელიც ყოველ კულტურულ იმპულსს სანაპირო ზონებიდან იღებს, ხოლო თვითონ არ ატარებს არანაირ დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ მისიას ან ისტორიულ იმპულსს. მისი აზრით Rimland (და არა heartaland) წარმოადგენს „მსოფლიო ბატონობის" გასაღებს.

სფიქმენმა მაკინდერის გეოპოლიტიკური ფორმულა *„ის ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, ბატონობს Heartland-ზე, ის ვინც ბატონობს Heartland-ზე, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ის ვინც ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ბატონობს მსოფლიოზე"* — შეცვალა საკუთარი ფორმულით — *„ის, ვინც ბატონობს rimland-ზე, ბატონობს მთელ ევრაზიაზე, ის, ვინც ბატონობს ევრაზიაზე, განაგებს მსოფლიოს ბედს.*[39]

ამით სფიქმენს ახალი არაფერი უთქვამს. მაკინდერისთვისაც „სანაპირო ზონა", „გარე ნახევარმთვარე" თუ Rimland საკვანძო სტრატეგიულ პოზიციას წარმოადგენდა კონტინენტის გასაკონტროლებლად. თუმცა მაკინდერი ამ ზონას აღიქვამდა არა როგორც დამოუკიდებელ შეხედულებების მქონე გეოპოლიტიკურ წარმონაქმნს, არამედ ორი იმპულსის — „ზღვისა" და „ხმელეთის" — დაპირისპირების სივრცედ. ამასთან, იგი, Heartland-ზე კონტროლის დამყარებაში არასდროს გულისხმობდა რუსეთსა და მასთან მიმდებარე კონტინენტურ მასებზე ძალაუფლების დამყარებას. აღმოსავლეთ ევროპა არის შუალედური სივრცე „ისტორიის გეოგრაფიულ ღერძსა" და Rimland-ს შორის, აქედან გამომდინარე, მსოფლიო ბატონობის პრობლემის გასაღები Heartland-ის პერიფერიებზე ძალთა თანაფარდობაში ძევს. სფიქმენმა მაკინდერის შეხედულებებთან შეფარდებით თავის გეოპოლიტიკურ დოქტრინაში აქცენტების გადანაცვლება რადიკალურად ახალ მოვლენად შეაფასა, სინამდვილეში კი მსჯელობა მიმდინარეობდა მხოლოდ ცნებათა ცალკეული ნიუანსების შესახებ.

## 6.3. ძლევამოსილების განსაზღვრის სკალა

სფიქმენი თავის წიგნებში „ამერიკული სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში"[40] და „მსოფლიოს გეოგრაფია"[41], გამოჰყოფს 10 კრიტერიუმს, რომელთა საფუძველზე მიზანშეწონილია განისაზღვროს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ძლევამოსილება (ეს არის მეჰენის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების განვითარების პირველი მცდელობა), ესენია:

1) ტერიტორიის ზედაპირი;
2) საზღვრების ბუნება;
3) მოსახლეობა;
4) სასარგებლო წიაღისეულის ქონა-არქონა;

5) ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება;
6) ფინანსური სიძლიერე;
7) ეთნიკური ერთგვაროვნება;
8) სოციალური ინტეგრაციის დონე;
9) პოლიტიკური სტაბილურობა;
10) ეროვნული სულისკვეთება.

თუ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური შესაძლებლობების შეფასების ჯამური შედეგი ამ კრიტერიუმების მიხედვით სხვასთან შედარებით მცირე აღმოჩნდება, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ აღნიშნული სახელმწიფო იძულებული გახდება გლობალური სტრატეგიული გეოპოლიტიკური პროტექციისათვის ჩაებას საერთო სტრატეგიულ კავშირში და დათმოს თავისი სუვერენიტეტის ნაწილი.

## 6.4. ხმელთაშუა ოკეანე

სფიქმენმა, სანაპირო ზონების მნიშვნელობის გადაფასების გარდა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ დახასიათებაში შემოიტანა კიდევ ერთი — „ზღვის ძალის" პოზიციიდან დანახული მნიშვნელოვანი დამატება. მან დაამკვიდრა *„ხმელთაშუა ოკეანის"* („Midland Ocean") ფრიად საყურადღებო ცნება. ამ გეოპოლიტიკური წარმოსახვის საფუძველში ხაზგასმულია მსგავსება ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ძველ ისტორიაში ხმელთაშუა ზღვისა და დასავლური ცივილიზაციის უახლეს ისტორიაში ატლანტის ოკეანის მნიშვნელობებს შორის. ვინაიდან სფიქმენი „სანაპირო ზონას" მიიჩნევდა ცივილიზაციის ძირითად ისტორიულ ტერიტორიად, ამიტომ ხმელთაშუა ზღვის არეალი მას ძველი კულტურის მაგალითად ესახებოდა, რომელმაც შემდეგ გავრცელება ჰპოვა კონტინენტის შიგნით (ხმელეთის ბარბაროსების გაკულტურება) და შორეულ ტერიტორიებზე, რომლებთან მიღწევაც მხოლოდ საზღვაო გზებით იყო შესაძლებელი (ზღვის ბარბაროსების გაკულტურება). ხმელთაშუა ზღვის ამ მოდელის მსგავსად, ჩვენს დროში და გაზრდილ მსოფლიო მასშტაბში, ზუსტად იგივე ფუნქცია აქვს ატლანტის ოკეანეს, რომლის ორივე (ამერიკული და ევროპული) ნაპირი ტექნოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით დასავლეთის ცივილიზაციის უფრო მეტად განვითარებულ არეალს წარმოადგენს.

„ხმელთაშუა ოკეანე" (Midland Ocean) ასეთ პერსპექტივაში გადაიქცევა არა გამყოფ, არამედ გამაერთიანებელ ფაქტორად, *„შიდა ზღვად"* (mare internum). ამგვარად, სფიქმენი აღნიშნავს განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ რეალობას, რომელსაც პირობითად შეიძლება „ატლანტის კონტინენტი" ეწოდოს. მის ცენტრში კი, როგორც ტბა ხმელეთის რეგიონში, მდებარეობს ატლანტიკის ოკეანე. ეს თეორიული „კონტინენტი", „ახალი ატლანტიდა" გაერთიანებულია დასავლეთევროპული წარმოშობის კულტურული ერთიანობით, ლიბერალ-კაპიტალიზმისა და დემოკრატიის იდეოლოგიით, მსგავსი პოლიტიკური, ზნეობრივი და ტექნოლოგიური ბედით.

სფიქმენი ამ *„ატლანტურ საზოგადოებაში"* განსაკუთრებით გამოყოფდა ინტელექტუალური ფაქტორის როლს. დასავლეთ ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპირო (განსაკუთრებით ნიუ-იორკი) ახალი „ატლა-




თალასოკრატიის თვალსაზრისით ატლანტის ოკეანე წარმოადგენს დასავლეთის „შიდა ოკეანეს“, გეოპოლიტიკურ ტბას, რომლის ნაპირებზეც განლაგებულია ერთიანი ცივილიზაციის წარმომადგენლები.

*ნტური საზოგადოების*“ ტვინი ხდება. ნერვულ ცენტრსა და ძალისმიერ მექანიზმს წარმოადგენს აშშ და მისი სავაჭრო და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. ევროპა არის აშშ-ს გონების დანამატი, რომლის გეოპოლიტიკური ინტერესები და სტრატეგიული ხაზი დასავლეთის ყველა სახელმწიფოსთვის ერთადერთი და უმთავრესი ხდება. ამიტომ თანდათან უნდა მოხდეს ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური სუვერენიტეტის შემცირება, ხოლო ძალაუფლება უნდა გადაეცეს ისეთ განსაკუთრებულ ინსტანციას, რომელიც გააერთიანებს ყველა „ატლანტური“ სივრცის წარმომადგენელს და დაუმორჩილებს მათ აშშ-ს პრიორიტეტულ მეთაურობას.

სფიქმენმა იწინასწარმეტყველა ისეთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესები როგორიცაა: „ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის“ (ნატო-ს) შექმნა, ომის შემდგომ მსოფლიოში ევროპული სახელმწიფოების სუვერენიტეტის შემცირება, აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონია და სხვ.

## 6.5. ამერიკული გამარჯვების არქიტექტორი

სფიქმენმა თავისი პოლიტიკური დოქტრინის საფუძვლად აირჩია არა იმდენად მსოფლიოში აშშ-ს, როგორც „ზღვის ძალის“ მნიშვნელობის გეოპოლიტიკური გააზრება (როგორც ეს გააკეთა მეჰენმა) შეიძლება იმიტომაც, რომ ეს უკვე ფაქტი იყო, რამდენადაც ევრაზიის სანაპირო ტერიტორიების (ევროპის, არაბული ქვეყნების, ინდოეთის, ჩინეთის და ა. შ.) გაკონტროლების აუცილებლობა კონტინენტისა და საზღვაო ძალების დუელში საბოლოო გამარჯვებისათვის. თუ მაკინდერის თეორიებში მსოფლიო დუალობა განიხილე-

ბოდა, როგორც რაღაც „მარადიული“ და „წარუხოცელი“, სამაგიეროდ, სფიქმენს მიაჩნდა, რომ „საზღვაო ძალების“ მიერ სანაპირო ზონებზე სრულფასოვანი კონტროლი ამ ძალებს საბოლოო და სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს, სახმელეთო სახელმწიფოები ამის შემდეგ მთლიანად დაექვემდებარებიან მათ კონტროლს.

ფაქტიურად ეს იყო მეჰენის მიერ უკვე დასაბუთებული „ანაკონდის ტაქტიკის“ უკიდურესი განვითარება. სფიქმენმა ამ კონცეფციას დასრულებული სახე მისცა.

ცივ ომში, აშშ-ს, როგორც „საზღვაო ძალის“ გამარჯვებამ, სფიქმენის თეორიის (რომელსაც შეიძლება ევრაზიაზე „ლიბერალ-დემოკრატიული ქვეყნების მსოფლიო გამარჯვების არქიტექტორი“ ეწოდოს) სრული გეოპოლიტიკური სამართლიანობა დაამტკიცა.

აღნიშნულ საკითხში ჩანს, რომ სფიქმენის თეზისები Rimland-ის უზენაესობისა და „ხმელთაშუა ოკეანის“ მნიშვნელობის შესახებ, თვით ისტორიამ დაამტკიცა. თუმცა მაკინდერისეული (პოლიტიკური აღორძინებისა და კონტინეტური ექსპანსიისაკენ ევრაზიის ცენტრის პერმანენტული მისწრაფების შესახებ) თეორიის მთლიანად უარყოფაც ნაადრევია.

მეორე მხრივ, სფიქმენის ზოგიერთი იდეა მხარდაჭერილ იქნა ზოგიერთი ევროპელი გეოპოლიტიკოსის მიერ (განსაკუთრებით მისი მიმდევრის კირკის მიერ, რომელმაც უფრო დაწვრილებით განავითარა სანაპირო ზონების თეორია), რომლებმაც „სანაპირო ტერიტორიების“ მისეულ სტრატეგიაში დაინახეს ევროპის, მსოფლიოს ბედის განმსაზღვრელი ქვეყნების რიცხვში ხელახალი შეყვანის შესაძლებლობა. თუმცა, ამისათვის საჭირო გახდა „ხმელთაშუა ოკეანის“ კონცეფციის უარყოფა.

ზოგიერთი ევროპელი გეოპოლიტიკოსის ამ თეორიული ნაბიჯის მიუხედავად (რომელიც საკმაოდ ორაზროვანი იყო), სფიქმენი, არის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა და თანამიმდევრული „ატლანტისტი“. უფრო მეტიც, მას ადმირალ მეჰენთან ერთად, შეიძლება ეწოდოს „ატლანტიზმის მამამთავარი“ და „ნატო-ს იდეური სულისჩამდგმელი“.

## თავი 7. კარლ ჰაუსჰოფერი – კონტინენტური ბლოკი

### 7.1 ომი და ფიქრები

კარლ ჰაუსჰოფერისაგან (1869-1946) გეოპოლიტიკა დიდადაა დავალებული იმით, რომ მისი „წყალობით“ ეს მეცნიერება განიხილებოდა არა უბრალოდ როგორც „ფსევდო მეცნიერება“, არამედ იგი დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ „კაცთმოძულეობის“, „ფაშიზმის“, „კაციჭამიობის“ თეორიად.

კარლ ჰაუსჰოფერი დაიბადა მიუნჰენში პროფესორის ოჯახში. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, გამხდარიყო პროფესიონალი სამხედრო პირი და დახლოებით ოცი წელი მსახურობდა არმიაში ოფიცრად. 1908-10 წლებში იგი იმყოფებოდა იაპონიასა და მანჯურიაში გერმანიის სამხედრო ატაშეს თანამდებობაზე, სადაც გაიცნო იაპონიის იმპერატორის ოჯახი და უმაღლესი არისტოკრატია.

სუსტმა ჯანმრთელობამ ჰაუსჰოფერი აიძულა თავი დაენებებინა საკმაოდ წარმატებული სამხედრო კარიერისათვის. 1911 წელს იგი დაბრუნდა გერმანიაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრა. მან დაიწყო მეცნიერული მოღვაწეობა და მიუნჰენის უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის წოდება. ამ ხნის განმავლობაში ჰაუსჰოფერი რეგულარულად აქვეყნებდა გეოპოლიტიკისადმი და, კერძოდ, წყნარი ოკეანის გეოპოლიტიკისადმი მიძღვნილ წიგნებს. მისი პირველი წიგნი იყო „Dai nihon"[42], რომელშიც საუბარი იყო იაპონიის გეოპოლიტიკის შესახებ.

თავისი მოსწავლის, რუდოლფ ჰესის, მეშვეობით ჰაუსჰოფერმა გაიცნო ჰიტლერი იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი წარუმატებელი პუტჩის შემდეგ ციხეში იჯდა. არის დაუმტკიცებელი ვერსია, რომ ჰაუსჰოფერი მონაწილეობას ღებულობდა „მაინ კამპფის" იმ ადგილების დაწერაში, რომლებიც ეძღვნება ზოგიერთ გეოპოლიტიკურ საკითხს, თუმცა, კონცეფციური ანალიზი მიუთითებს არსებით განსხვავებაზე ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკურ შეხედულებებსა და ჰიტლერის მარტივ რასისტულ პროპაგანდისტულ პასაჟებს შორის.

1924 წლიდან 20 წლის განმავლობაში ჰაუსჰოფერი უშვებდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე გეოპოლიტიკურ ჟურნალს — „Geopolitik" ("შემდგომში სახელშეცვლილი სათაურით „Zeitschrift fur Geopolitik").

თავისი შრომების უმრავლესობა მან სწორედ ამ ჟურნალებში გამოაქვეყნა. ჰაუსჰოფერის დამოკიდებულება ნაციზმთან რთული იყო. ზოგიერთ საკითხში მისი შეხედულებები უახლოვდებოდა ნაციონალ-სოციალისტების შეხედულებებს, ზოგიერთში კი რადიკალურად განსხვავდებოდა. ნაცისტური მმართველობის პერიოდებიდან და პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე იცვლებოდა ჰაუსჰოფერისადმი დამოკიდებულება მესამე რაიხშიც.

1936 წლამდე მის მიმართ კარგად იყვნენ განწყობილნი (განსაკუთრებით მისი უმცროსი მეგობრის — ჰესის მეოხებით). მოგვიანებით კი დაიწყო ურთიერთობების გაცივება. ჰესის ინგლისში გაფრენის შემდეგ ჰაუსჰოფერს აღარ წყალობდნენ, ხოლო მას მერე, რაც ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით 1944 წელს სიკვდილით დასაჯეს მისი შვილი ალბრეხტი, ჰაუსჰოფერი, თითქმის, „ერის მტრად" ითვლებოდა.

ესოდენ ორაზროვანი მდგომარეობის მიუხედავად, იგი მოკავშირეების მიერ „თვალსაჩინო ნაცისტებში" იქნა ჩარიცხული. კარლ ჰაუსჰოფერმა ვერ გადაიტანა ბედისაგან ამდენი დარტყმა და ყველა იმედის დამხობა. 1946 წელს მან თავის ცოლთან, მართასთან ერთად თავი მოიკლა.

## 7.2. ახალი ევრაზიული წესრიგი

ჰაუსჰოფერმა ყურადღებით შეისწავლა რატცელის, ჩელენის, მაკინდერის, ვიდალ დე ლა ბლაშის, მეჰენისა და სხვა გეოპოლიტიკოსთა შრომები. მსოფლიო დუალიზმის თეორია — „საზღვაო მმართველობა" („თალასოკრატია"), („*თელუროკრატიის*") წინააღმდეგ — მას იმ გასაღებად მოეჩვენა, რომელიც ხსნიდა საერთაშორისო პოლიტიკის ყველა საიდუმლოს და რომლის მონაწილეც იგი იყო (მაგალითად, იაპონიაში მას საქმე ჰქონდა იმ ძალებთან, რომლებიც იღებდნენ ძალზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს სივრცის საკი-

თხთან დაკავშირებით). აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ახალი წესრიგი," რომელსაც ხშირად იყენებდნენ ნაცისტები, ხოლო ჩვენს დროში „ახალი მსოფლიო წესრიგის" ფორმით — ამერიკელები, პირველად სწორედ იაპონიაში იქნა გამოყენებული წყნარი ოკეანის რეგიონში გავლენათა გადანაწილების იმ გეოპოლიტიკურ სქემასთან მისასადაგებლად, რომლის განხორციელებასაც მაშინ ჭადაგებდნენ იაპონელი გეოპოლიტიკოსები.

„საზღვაო მმართველობისა" და „სახმელეთო მმართველობის" მსოფლიო დუალიზმი გერმანიას აყენებდა გეოპოლიტიკური მიმსგავსების პრობლემის წინაშე. ეროვნული იდეის მომხრეები (ეპვგარეშეა მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ჰაუსჰოფერიც) მიისწრაფვოდნენ გაეძლიერებინათ გერმანული სახელმწიფოს პოლიტიკური ძლევამოსილება, რაც გულისხმობდა ინდუსტრიულ განვითარებას, კულტურულ აღმავლობასა და გეოპოლიტიკურ ექსპანსიას. გერმანიის სივრცობრივი და კულტურული არსებობა ევროპის ცენტრში ამ ქვეყანას ბუნებრივად უპირისპირებდა დასავლეთის საზღვაო სახელმწიფოებს — ინგლისს, საფრანგეთსა და, პერსპექტივაში, აშშ-ს. „ატლანტისტი" გეოპოლიტიკოსები არ ფარავდნენ თავიანთ უარყოფით განწყობას გერმანიის მიმართ და მას (რუსეთთან ერთად) მიიჩნევდნენ საზღვაო დასავლეთის ერთ-ერთ მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ.

ასეთ ვითარებაში გერმანიას „გარე ნახევარმთვარის" სახელმწიფოებთან მყარი ალიანსის იმედი არ უნდა ჰქონოდა, მითუმეტეს, რომ ინგლისსა და საფრანგეთს გერმანიის მიმართ ისტორიული ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ. მაშასადამე, „დიდი ეროვნული გერმანიის" მომავალი დასავლეთთან, განსაკუთრებით ანგლოსაქსურ სამყაროსთან (რომელთანაც ფაქტიურად გაიგივებულია „Sea Power") გეოპოლიტიკური წინააღმდეგობით განვითარდებოდა.

ამ ანალიზს ეფუძნება კარლ ჰაუსჰოფერისა და მისი მიმდევრების გეოპოლიტიკური დოქტრინა. რომლის არსი მდგომარეობს „კონტინენტური ბლოკის" ან ბერლინი-მოსკოვი-ტოკიოს ღერძის შექმნის აუცილებლობაში. ამ ბლოკში არაფერი შემთხვევითი არ ყოფილა, ეს იყო ერთადერთი სრულფასოვანი და შესაბამისი პასუხი მოწინააღმდეგე ბანაკის სტრატეგიის მიმართ, რომელიც არ ფარავდა, რომ მისთვის ყველაზე დიდი საშიშროება იქნებოდა ანალოგიური ევრაზიული ალიანსის შექმნა. ჰაუსჰოფერი სტატიაში „კონტინენტური ბლოკი" წერდა:

„შეუძლებელია ევრაზია მოახრჩო მანამ, სანამ მისი ორი ყველაზე დიდი ხალხი, გერმანელები და რუსები — ყოველნაირად ცდილობენ, თავი აარიდონ ერთმანეთს შორის ისეთ კონფლიქტს, როგორიც იყო ყირიმის ომი ან 1914 წელი. ესაა ევროპული პოლიტიკის აქსიომა"[43].

აქვე ის ახდენს ამერიკელი მეცნიერის ჰომერ ლის ციტირებას — *„ანგლოსაქსური პოლიტიკის ბოლო საათი მაშინ ჩამოჰკრავს, როდესაც გერმანელები, რუსები და იაპონელები გაერთიანდებიან"*.

ამ აზრს ჰაუსჰოფერი სხვადასხვანაირად გამოხატავდა თავის წიგნებსა და სტატიებში. ამ მიმართულებამ მიიღო დასახელება „Ostorientierung" ანუ „ორიენტაცია აღმოსავლეთისკენ", რადგანაც გულისხმობდა, რომ გერმანია, მისი ხალხი, მისი კულტურა, წარმოადგენს ევრაზიული, აზიური ტრადიციის დასავლეთით გაგრძელებას. შემთხვევითი არაა, რომ ინგლისელები მეორე






1. დიდი ევრაზიული სივრცეების ბუნებრივი გეოპოლიტიკური ეკსპანსიის ვექტორები.
2. სამი ევრაზიული არეალი: 1. დასავლური (ევროაფრიკა), 2. ცენტრალური (თვით ევრაზია), 3. აღმოსავლური (წყნარი ოკეანის).

მსოფლიო ომის დროს გერმანელებს დამამცირებლად „ჰუნებად" მოიხსენიებდნენ. ჰაუსჰოფერის სკოლის გეოპოლიტიკოსებისათვის ეს სრულიად მისაღები იყო.

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჰაუსჰოფერის „ღია აღმოსავლეთის" კონცეფცია სრულიად არ ნიშნავდა „სლავური მიწების ოკუპაციას". საუბარი ეხებოდა მხოლოდ ორი კონტინენტური სახელმწიფოს — რუსეთისა და გერმანიის ერთობლივ ცივილიზაციურ ძალისხმევას, რომელთაც უნდა დაემყარებინათ *„ახალი ევრაზიული წესრიგი"*, ხელახლა ჩამოეყალიბებინათ „მსოფლიო კუნძულის" კონტინენტური სივრცე ისე, რომ მთლიანად გამოეყვანათ იგი „ზღვის ძალების" გავლენის ზეწოლიდან. ჰაუსჰოფერის მიერ გერმანული Lebensraum გაფართოება იგეგმებოდა არა რუსული მიწების კოლონიზაციის, არამედ დაუსახლებელი გიგანტური აზიური სივრცეების ათვისებისა და აღმოსავლეთ ევროპის რეორგანიზაციის ხარჯზე.

## 7.3. კომპრომისი თალასოკრატიასთან

პრაქტიკაში კი ყველაფერი ეს ასე ცხადად არ გამოიყურებოდა. ჰაუსჰოფერის წმინდა მეცნიერული გეოპოლიტიკური თეორია, რომელიც ლოგიკურად ავითარებდა მოსკოვთან „კონტინენტური ბლოკის" შექმნის აუცილებლობას, პირდაპირ ეჯახებოდა გერმანული ეროვნული თვითშეგნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების მრავალრიცხოვან ტენდენციებს. ეს ეხება ისტორიისადმი უაღრესად რასისტულ მიდგომას, რომლითაც ჰიტლერი იყო დაავადებული. ამ მიდგომას ყველაზე მთავარ ფაქტორად მიაჩნდა რასობრივი სიახლოვე და არა გეოგრაფიული ან გეოპოლიტიკური სპეციფიკა. ასეთ შემთხვევაში ანგლოსაქსი ხალხები — ინგლისი, აშშ მოჩანდნენ გერმანელების ბუნებრივ მოკავშირეებად, რადგან ეთნიკურად მათთან უფრო ახლოს იდგნენ. სლავები და, განსაკუთრებით, მუქი კანის ევრაზიელი ხალხები რასობრივ მოწინააღმდეგედ აღიქმებოდა. ამას თან ერთვოდა, ასევე, რასობრივ პრინციპზე აგებული იდეოლოგიური ანტიკომუნიზმი (მარქსი და ბევრი კომუნისტი ებრაელები იყვნენ), რაც ანტისემიტების თვალში თავისთავად ნიშნავდა, რომ კომუნიზმი ანტიგერმანული იდეოლოგია იყო.

ნაციონალ-სოციალისტური რასიზმი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა გეოპოლიტიკას ან, უფრო ზუსტად, გერმანელებს უბიძგებდა საპირისპირო, ანტიევრაზიული, „ატლანტისტური" სტრატეგიისაკენ. რასიზმის თვალსაზრისით გერმანიას უნდა დაედო კავშირი ინგლისთან და აშშ-სთან, რათა ერთობლივი ძალისხმევით შეწინააღმდეგებოდნენ სსრკ-ს, მაგრამ ამავე დროს ვერსალის დამამცირებელი გამოცდილება ჯერ კიდევ ცინცხალი იყო. ამ გაორებიდან გამომდინარეობს მესამე რაიხის სრულიად ორაზროვანი საერთაშორისო პოლიტიკა. ეს პოლიტიკა მუდმივ წონასწორობაში იყო ერთ მხრივ თალასოკრატიულ ხაზს, გარედან გამართლებულ რასიზმსა და ანტიკომუნიზმს (ანტისლავური განწყობა, სსრკ-ზე თავდასხმა, კათოლიკური ხორვატიის წახალისება ბალკანეთის წინააღმდეგ და სხვ.) და მეორე მხრივ წმინდა გეოპოლიტიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ ევრაზიულ თელეოკრატიას (ომი ინგლისთან და საფრანგეთთან, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი და სხვ.) შორის.

ვინაიდან კარლ ჰაუსჰოფერი კონკრეტული პოლიტიკური პრობლემების

გადაწყვეტისათვის იყო დაჭირავებული, შეიძლება ითქვას, ამიტომაც იგი იძულებული გახდა თავისი თეორიები კონკრეტულ პოლიტიკასთან შეეფარდებინა. აქედანაა გამოწვეული მისი კავშირი ინგლისის უმაღლეს ეშელონებთან. გარდა ამისა, ანტიკომინტერნის პაქტის დადებას ანუ ბერლინი-რომი-ტოკიოს ღერძის შექმნას ჰაუსჰოფერი გარეგნულად ეთანხმებოდა და ცდილობდა ეს ფაქტი წარმოედგინა სრულფასოვანი „ევრაზიული ბლოკის" შექმნის გზაზე გათვლილ ნაბიჯად. შეუძლებელია მას არ სცოდნოდა, რომ ამ კავშირის ანტიკომუნისტური მიმართულება და Heartland-ის ცენტრის (მოსკოვის) ნაცვლად, Rimland-ის მეორეხარისხოვანი, ნახევარკუნძულოვანი სახელმწიფოს — იტალიის — გამოჩენა, ნამდვილი *„კონტინენტური ბლოკის"* საპირისპირო კარიკატურა იქნებოდა.

და მაინც, ასეთი, პოლიტიკური კონფორმიზმით ნაკარნახევი ნაბიჯები არ წარმოადგენდა ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკის მაჩვენებელს. მისი სახელი და იდეები ყველაზე სრულფასოვნად ჩამოყალიბდა სწორედ გერმანიის *„აღმოსავლური ბედისწერის"* კონცეფციაში, რომელიც დაფუძნებული იყო მყარ და ხანგრძლივ ევრაზიულ კავშირზე.

## თავი 8. კარლ შმიტი – „ბეჰემოთი VERSUS ლევიათანი"

### 8.1. კონსერვატიული რევოლუციონერი

გერმანელი კარლ შმიტი (1888-1985 წ. წ.) ცნობილია როგორც გამოჩენილი იურისტი, პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი. მაგრამ მისი ყველა ნაშრომი მჭიდროდაა დაკავშირებული გეოპოლიტიკურ კონცეფციებთან, ხოლო მისი ძირითადი შრომები — „მიწის ნომოსი"[44], „მიწა და ზღვა"[45] და სხვ. ეძღვნება სწორედ გეოპოლიტიკური ფაქტორების გააზრებასა და მათ გავლენას ცივილიზაციასა და პოლიტიკურ ისტორიაზე.

კარლ შმიტი ახლოს იყო კონსერვატიული რევოლუციის გერმანელი წარმომადგენლების იმ პარადოქსულ მიმდინარეობასთან, რომელიც თავისთავში აერთიანებდა ნაციონალ-კონსერვატიულ და სოციალ-რევოლუციურ ელემენტებს. შმიტის ბედი ესაა მისი წიგნების, მისი იურიდიულ-ფილოსოფიური სკოლის ბედი. ბევრი სხვა კონსერვატორი რევოლუციონერის მსგავსად მისი ურთიერთობა ნაციონალ-სოციალისტურ რეჟიმთან გაორებული იყო. ერთი მხრივ, მისმა თეორიებმა გავლენა მოახდინა ნაცისტურ იდეოლოგიაზე. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა მისი პოლიტოლოგიური წიგნები „პოლიტიკური თეოლოგია"[46] და „პოლიტიკურის ცნება"[47], რომლებშიც შმიტმა დასაბუთებულად გააკრიტიკა ლიბერალური სამართალი და „სამართლებრივი სახელმწიფოს" იდეები. ამ შრომებში უკვე გამოხატულია შმიტის მთელი შემდგომი ინტელექტუალური შემოქმედების ჩარჩოები, მათში შეიმჩნევა უკიდურესი პოლიტიკური რეალიზმი, მისწრაფება დაიხსნას პოლიტოლოგიური პრობლემები ჰუმანიტარული რიტორიკის, სენტიმენტალური პათოსისა და სოციალური დემაგოგიისაგან, რაც მთლიანად შეესაბამებოდა ნაციონალ-სოციალისტურ სულისკვეთებას.

ამასთან შმიტის ყველა კონცეფცია დაფუძნებული იყო „ხალხთა

უფლებების" (Volksrechte) იდეაზე, რომელსაც იგი უპირისპირებდა „ადამიანის უფლებების" ლიბერალურ თეორიას. მისი აზრით ყველა ერს აქვს უფლება კულტურულ სუვერენულობაზე, თავისი სულიერი, ისტორიული და პოლიტიკური იდენტურობის შენარჩუნებაზე. ასეთივე მიდგომა დამახასიათებელი იყო ზოგიერთი ნაციონალ-სოციალისტისთვისაც, რომლებიც ამ იდეოლოგიას მიიჩნევდნენ უნივერსალურად და დედამიწის ყველა ხალხისათვის მისაღებად. თუმცა რეჟიმის საფუძვლად სწორედ შოვინიზმსა და ვიწრო ნაციონალურ თვალთახედვაზე დაფუძნებული პანგერმანიზმი იქცა. ამიტომ შმიტი და მისი „ხალხთა უფლებების" თეორია ძლიერი კრიტიკის ცეცხლში მოექცა, განსაკუთრებით სს-ის (სპეციალური სამსახური) იდეოლოგების მხრიდან (1936 წელს სს-ის ორგანოში „Schwarre Korps" გამოქვეყნდა აგრესიული მუქარით აღსავსე სტატია).

შმიტის იდეოლოგიური ჩამოყალიბება იმავე „ორგანიზმული სოციოლოგიის" იდეების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, როგორშიც რატცელისა და ჩელენის. მაგრამ შმიტზე გავლენა იქონია, აგრეთვე, „ჩრდილოეთის ნათების" (Nordlicht) რომანტიულმა თეორიებმა, რომელთა თანახმად სოციალურ-პოლიტიკური ფორმები და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების საფუძველი ემყარება არა ცალკეული პირებისაგან შემდგარი მათემატიკური კონგლომერატის ტექნიკურ საქმიანობას, არამედ მითოლოგიას, „სტიქიებისა და სულების"[48] საკრალურ სამყაროს. შმიტის თეორიებში ყველგან გამოსჭვივის „პოლიტიკური რომანტიზმისა" და „მკაცრი რაციონალიზმის" პარადოქსული შეხამებები. მისი დახვეწილი გონებრივი აპარატი ემსახურება სულიერი მითოლოგიის გამოხატვას.

ნიურბერგის პროცესზე ჰიტლერის რეჟიმთან მისი თანამშრომლობის საფუძველზე იყო მცდელობა კარლ შმიტი გამოეყვანათ „სამხედრო დამნაშავედ". კერძოდ, მას ბრალი ედებოდა სამხედრო აგრესიის ლეგიტიმურობის თეორიულ დასაბუთებაში. მოსამართლეების მიერ საქმის არსის დეტალური გაცნობის შემდეგ ბრალდება მოხსნილ იქნა. თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად, შმიტი ისევე, როგორც ჰაიდეგერი, იუნგერი და სხვა „კონსერვატორი რევოლუციონერები", პერსონა ნონ-გრატად იქცნენ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში, ხოლო მათი შრომები უარყოფილი იქნა.

მხოლოდ 70-იან წლებში, ზოგიერთი მემარცხენე სოციალისტური მოაზროვნის კოლოსალური გავლენის წყალობით, შმიტის შრომები ნელ-ნელა იქნა რეაბილიტირებული.

ამჟამად იგი აღიარებულია პოლიტოლოგიისა და იურისპრუდენციის კლასიკოსად.

## 8.2. მიწის ნომოსი (ფესრიგი)

შმიტი ამტკიცებდა საწყის კავშირს პოლიტიკურ კულტურასა და სივრცეს შორის. მისი აზრით, არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ მთელი სოციალური რეალობა და, განსაკუთრებით, სამართალი, სივრცის თვისობრივი ორგანიზაციიდან მომდინარეობს.

აქედან შმიტმა შექმნა „ნომოსის" კონცეფცია. ბერძნული ტერმინი „ნომოსი" სამართლებრივი თვალსაზრისით ნიშნავს „რაღაც ჩამოყალიბებულს,

მოწესრიგებულს, ორგანიზებულს". ეს ტერმინი ახლოსაა რატცელის „რელიეფისა" და რუსი ევრაზიელების (სავიცკი) „ადგილგანვითარების" ცნებასთან. შმიტი გვაჩვენებს, რომ „ნომოსი" არის ყოფიერების ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომელიც უფრო მეტად აყალიბებს ჰარმონიულ ურთიერთობებს, როგორც სოციალური ანსამბლის შიგნით, ასევე ამ ანსამბლებს შორის. „ნომოსი" არის პოლიტიკური და იურიდიული სისტემების შექმნაში გამოვლენილი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების განსაკუთრებული სინთეზური შენაერთი. „ნომოსში" მეღავნდება ადამიანთა კოლექტივის გარემოსთან შეხამებული ბუნებრივი და კულტურული თავისებურებები.

წიგნში „მიწის ნომოსი" შმიტი აღწერს, თუ რა ზეგავლენას ახდენს დედამიწის ამა თუ იმ სივრცის სპეციფიკა მასში განვითარებულ კულტურებსა და სახელმწიფოებზე. იგი ერთმანეთს ადარებს განსხვავებულ ისტორიულ „ნომოსებს", რითაც განსაკუთრებულად უსვამს ხაზს სივრცისადმი დამოკიდებულების ფუნდამენტურ დუალიზმს მომთაბარე და მკვიდრ ხალხებს შორის.

„მიწის ნომოსის" ანალიზის ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ შმიტი ძალიან მიუახლოვდა ხმელეთისა და ზღვის ცივილიზაციებს შორის გლობალური ისტორიული და ცივილიზაციური დაპირისპირების ამოხსნას. „მიწის ნომოსის" გამოკვლევის დროს იგი შეეჯახა თვისობრივად და არსობრივად საწინააღმდეგო „ზღვის ნომოსს". აღნიშნულმა კვლევებმა მას მსოფლიოს პოლიტიკური ისტორიის შესაცნობად, განსაკუთრებული მეთოდოლოგიის შექმნისაკენ უბიძგა.

## 8.3. ხმელეთი და ზღვა

1942 წელს შმიტმა გამოსცა ნაშრომი „ხმელეთი და ზღვა"[49]. იგი, უფრო გვიანდელ ნაშრომთან „მსოფლიო დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ხმელეთისა და ზღვის დაპირიპირება"[50] ერთად, წარმოადგენს გეოპოლიტიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს.

*ხმელეთისა და ზღვის* წინააღმდეგობა შმიტის მიერ დაიყვანება ორ, სრულიად განსხვავებულ, ერთმანეთისადმი შეუთავსებელ მტრულ ცივილიზაციებამდე (და არა ერთნაირი ცივილიზაციური კომპლექსის ვარიანტებამდე). ასეთი დაყოფა, თითქმის, ზუსტად ემთხვევა მაკინდერის მიერ შექმნილ სქემას, მაგრამ შმიტი მის ძირითად ელემენტებს — თალასოკრატიასა (საზღვაო მმართველობა) და თელუროკრატიას (სახმელეთო მმართველობა) აძლევს საბაზისო იურიდიულ და ეთიკურ სისტემებთან დაკავშირებულ, ღრმა ფილოსოფიურ განმარტებას. ძალზე საინტერესოა ის გარემოება, რომ შმიტი „ხმელეთის ძალებთან" მიმართებაში იყენებს სახელს „*ბეჰემოთი*", „ზღვის ძალებს" კი „*ლევიათანის*" სახელით გამოხატავს. ეს არის შეხსენება ძველი აღქმის ორ ურჩხულზე, რომელთაგან ერთი თავისთავში განასახიერებს ხმელეთის, ხოლო მეორე წყლის (ზღვის) ყველა ქმნილებას.

მიწის „ნომოსი" უალტერნატივოდ არსებობს კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ნაწილის განმავლობაში. ამ „ნომოსის" ყველა სახესხვაობა ხასიათდება მკაცრი და მყარი საკანონმდებლო (და ეთიკური) ფორმის არსებობით, რომელშიც ასახულია ხმელეთის, მიწის უძრაობა, ფიქსირებულობა. ეს არის

მყარი კავშირი მიწასთან, რომლის სივრცე ადვილად ექვემდებარება შემადგენელ ნაწილებად დაყოფას (საზღვრების სიმყარე, საკომუნიკაციო გზების მუდმივობა, გეოგრაფიული და რელიეფური თავისებურებების უცვლელობა) და სოციალურ, კულტურულ და ტექნიკურ სფეროებში არსებით კონსერვატიზმს წარმოშობს. მიწის „ნომოსის" ფორმების ერთობლიობა სწორედ „ტრადიციული საზოგადოების" ისტორიას წარმოადგენს.

ამ ვითარებაში ზღვა, წყალი წარმოადგენს მხოლოდ პერიფერიულ ცივილიზაციურ მოვლენას, რომელიც არ იპრება (ან ეპიზოდურად იპრება) „ეთიკურ" სფეროში. მსოფლიო ოკეანის აღმოჩენის შემდეგ, XVI საუკუნის ბოლოს, მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, კაცობრიობა (უპირველეს ყოვლისა კუნძული ინგლისი) იწყებს მიჩვევას „საზღვაო არსებობისადმი", იწყებს საკუთარი თავის შეცნობას წყლებს შორის არსებულ კუნძულად, *ნომალოდად*.

წყლის სივრცე მკვეთრად განსხვავდება ხმელეთისაგან. იგი არ არის საიმედო, მტრულია, უცხო და მუდმივად ცვლილებადი. მასში არაა ფიქსირებული გზები, ბუნდოვანია ორიენტაციებს შორის სხვაობა. ზღვის „ნომოსს" თან ახლავს ცნობიერების გლობალური ცვალებადობა. სოციალური, იურიდიული და ეთიკური ნორმატივები დროებითი ხდება, წარმოიშობა ახალი ცივილიზაცია. შმიტს მიაჩნია, რომ ახალი დრო და ტექნიკური ნახტომი, რომელმაც კარი გაუღო ინდუსტრიალიზაციის ეპოქას, თავისი არსებობისათვის უნდა უმადლოდეს გეოპოლიტიკურ ფენომენს — კაცობრიობის ზღვის „ნომოსზე" გადასვლას.

ამგვარად, ანგლოსაქსური სამყაროს, „გარე ნახევარმთვარის" გეოპოლიტიკურმა წინააღმდეგობამ შმიტთან შეიძინა სიციალურ-პოლიტიკური განსაზღვრა. ზღვის „ნომოსი" არის ტრადიციული რეალობა, რომელიც მტრულადაა განწყობილი ტრადიციული საზოგადოების მიმართ, რის გამოც სახმელეთო და საზღვაო სახელმწიფოების გეოპოლიტიკური დაპირისპირება იძენს ისტორიულ, იდეოლოგიურ და ფილოსოფიურ მნიშვნელობას.

## 8.4. დიდი სივრცე – GROSSRAUM

შმიტმა შეიმუშავა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური თეორია — „*დიდი სივრცის*" (Grossraum) თეორია. ეს კონცეფცია სახელმწიფოს განვითარების პროცესს განიხილავს, როგორც მისწრაფებას უდიდესი ტერიტორიული მოცულობის მოპოვებისაკენ. იმპერიული გაერთიანების პრინციპი წარმოადგენს სინთეზისადმი კაცობრიობის ლოგიკური და ბუნებრივი მისწრაფების გამოხატვას. ამგვარად, სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოების ეტაპები შეესაბამება ადამიანის სულის უნივერსალიზმისაკენ მოძრაობის ეტაპებს.

ეს გეოპოლიტიკური კანონი ვრცელდება, როგორც ტექნიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროებზე. შმიტი ამტკიცებს, რომ გარკვეული პერიოდიდან დაწყებული სახელმწიფოს ტექნიკური და ეკონომიკური განვითარება მოითხოვს თავისი ტერიტორიის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას. სავალდებულო არაა ამის გამოხატულება იყოს კოლონიზაცია, ანექსია, სამხედრო შეპრა. „დიდი სივრცის" („Grossraum"-ის) ჩამოყალიბება შეიძლება მიმდინარეობდეს სხვა კანონების მიხედვითაც, რამდენიმე სახელმწიფოს ან ხალხის მიერ ერთიანი

რელიგიური ან კულტურული ფორმის მიღების საფუძველზე.

შმიტის მიხედვით, მიწის „ნომოსის" განვითარებას უნდა მოჰყვეს სახელმწიფო-კონტინენტის ჩამოყალიბება. სახმელეთო სახელმწიფო-კონტინენტის, მატერიკული „დიდი სივრცის" (Grossraum-ის) ჩამოყალიბება წარმოადგენს ისტორიულ და გეოპოლიტიკურ აუცილებლობას. სახელმწიფო-კონტინენტისაკენ მოძრაობის ეტაპები მომდინარეობს ქალაქი-სახელმწიფოებიდან ტერიტორიული სახელმწიფოების გავლით.

1940 წლის ნაშრომში „სივრცე და დიდი სივრცე ხალხთა უფლებებში"[51] შმიტმა „დიდი სივრცე" ასე განსაზღვრა: *„დაგეგმარების, ორგანიზაციისა და ადამიანის მოღვაწეობის სფერო ფესვს იდგამს მომავალი განვითარების აქტუალურ და მოცულობით ტენდენციაში"*[52]. ამ ცოტა არ იყოს ბუნდოვანი ფორმულირების დაზუსტებისას შმიტი მიუთითებდა, რომ ამის მაგალითია მონროს ამერიკული დოქტრინის ცხოვრებაში ნებაყოფლობითი გატარებით შექმნილი „დიდი სივრცე".

„დიდი სივრცე" გარკვეულწილად შეიძლება გაიგივდეს სახელმწიფოსთანაც, უფრო სწორედ იმპერიასთან (das Reich), ეს კონცეფცია გამოდის ჩვეულებრივი სახელმწიფოს ჩარჩოებიდან. იგი სტრატეგიულ, გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებული ზეეროვნული გაერთიანების ახალი ფორმაა.

ჰიტლერის უნიფიკაციური პანგერმანული მოდელისაგან და საბჭოთა ინტერნაციონალიზმისაგან განსხვავებით, შმიტის „დიდი სივრცე" დაფუძნებულია კულტურულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე, ფართო ავტონომიაზე, რომელიც შეზღუდულია მხოლოდ სტრატეგიული ცენტრალიზმითა და უმაღლესი ხელისუფლებისადმი ტოტალური ლოიალობით. ამასთან შმიტი ხაზს უსვამდა, რომ ახალი „დიდი სივრცის" შექმნა არაა დამოკიდებული არც დოქტრინის სამეცნიერო ღირებულებაზე, არც კულტურულ კომპეტენტურობაზე, არც შემადგენელი ნაწილების ან, თუნდაც, ინტეგრაციისაკენ იმპულსის მიმცემი ტერიტორიული და ეთნიკური ცენტრის ეკონომიკურ განვითარებაზე. ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ ასეთი გეოპოლიტიკური ნაბიჯის ისტორიული აუცილებლობის პოლიტიკურ ნებაზე. შმიტმა ამ დოქტრინაში იწინასწარმეტყველა თანამედროვე ინტეგრაციული პოლიტიკის ძირითადი შტრიხები.

## 8.5. ტოტალური ომი და „პარტიზანის" ფიგურა

შმიტის მიერ განხილულ პრაქტიკულად ყველა თემაში გამოირჩევა გეოპოლიტიკური მოტივი. კერძოდ, იგი იკვლევდა სამი კონცეფციის კავშირს — *„ტოტალური მტერი, ტოტალური ომი, ტოტალური სახელმწიფო"*. მისი აზრით „ტოტალური სახელმწიფო" ესაა ტრადიციული სახელმწიფოს ყველაზე სრულყოფილი ფორმა ანუ ხმელეთის განვითარების პიკი. ასეთი სახელმწიფოს, თითქმის, Grossraum-ის მასშტაბებამდე შესაძლებელი ისტორიული ევოლუციის მიუხედავად, მასში უცვლელადაა შენარჩუნებული არსებითი თვისება. „ტოტალური სახელმწიფო" გამორიცხავს „ტოტალური მტრისა" და „ტოტალური ომის" პრინციპს, ვინაიდან წარმოდგენას მოწინააღმდეგის, „მტრის" (შმიტი

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა „*მეგობარი*“ /„*მტერი*“ amicus/hostis ცნებათა ფორმულირებას) შესახებ ის აგებს თავისი შეხედულებების მიხედვით და შედეგად შემოაქვს „ფორმათა ომის“ კონცეფცია, რომელშიც მოქმედებენ Jus bellum[53] და მონაწილეობენ მხოლოდ პროფესიონალი სამხედროების შეზღუდული კონტიგენტები. მშვიდობიანი მოსახლეობა და კერძო საკუთრება თავის მხრივ იმყოფებიან კანონის დაცვის ქვეშ და მოცილებულნი არიან (თეორიულად მაინც) საომარ მოქმედებათა მსვლელობას.

„ტოტალური სახელმწიფოს“ უარყოფით კი ლიბერალური დოქტრინა (რომელსაც შმიტი აშკარად უკავშირებდა ახალ დროებას და, შესაბამისად, „ზღვის ცივილიზაციას“, ზღვის „ნომოსს“) გზას უხსნის „ტოტალურ ომსა“ და „ტოტალური მტრის“ კონცეფციას. 1941 წელს სტატიაში „სახელმწიფო სუვერენიტეტი და ღია ზღვა“ იგი წერდა:

„ომი ხმელეთზე იურიდიულ ნორმებს ექვემდებარება, ვინაიდან იგი სახელმწიფოთა ანუ მოწინააღმდეგე სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს შორის მიმდინარე ომია. მისი გონივრული წარმართვა მჟღავნდება საბრძოლო მოქმედებების შემოფარგლულობაში და მოსახლეობისა და კერძო საკუთრების ობიექტების ბრძოლის არიდან გამოყვანის მისწრაფებაში. ომი ზღვაზე, კი პირიქით, არ წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრულ და იურიდიული ნორმატივებისადმი მორჩილ მოწინააღმდეგეებს შორის ომს, ვინაიდან იგი დაფუძნებულია ტოტალური მტრის კონცეფციაზე“[54].

შმიტის მიერ აღწერილი საერთო გეოპოლიტიკური სურათი დაიყვანება დაძაბულ ცივილიზაციურ დუალიზმამდე, ორი „დიდი სივრცის“ (ანგლოსაქსურისა — ინგლისი + ამერიკა) და კონტინენტურ-ევროპულის (ევრაზიულის) წინააღმდეგობამდე. ეს ორი „დიდი სივრცე“ (თალასოკრატიული და თელეოკრატიული) ურთიერთშორის აწარმოებენ მსოფლიო შერკინებას, რათა გადაიდგას საბოლოო ნაბიჯი უნივერსალიზაციისაკენ და განხორციელდეს გადასვლა კონტინენტურიდან მსოფლიო ბრძანებლობაზე.

ამასთანავე, შმიტი პესიმიზმით ეკიდებოდა ამ კონფლიქტის გარკვეულ, მკაცრ იურიდიულ ბაზაზე დაყვანის შესაძლებლობას, რადგან ორივე „დიდი სივრცის“ ცივილიზაციური მაკროკონცეფცია ურთიერთგამომრიცხავ — „მიწისა“ და „ზღვის“ ნომოსებს ეფუძნება.

ბოლო, გამანადგურებელი ელემენტი შემოაქვს საჰაერო ფრენის განვითარებას, ვინაიდან „საჰაერო სივრცე“ „საზღვაო სივრცეზე“ კიდევ უფრო ნაკლებად ექვემდებარება ეთიკურ-სამართლებრივ სტრუქტურიზაციას.

სიცოცხლის ბოლოს შმიტმა თავისი გულისყური მიაპყრო „პარტიზანის“ ფიგურას. ეს ფიგურა შმიტის მიხედვით არის მიწის „ნომოსის“ ბოლო წარმომადგენელი, რომელიც „ცივილიზაციის მინავლებისა“ და მისი იურიდიულ-კულტურული ფესვების გათქვეფის მიხედვით თავდაპირველი მოწოდების ერთგული რჩება. „პარტიზანი“ მშობლიურ მიწასთან მტკიცედაა დაკავშირებული, ამ კავშირის ისტორიული ხასიათი მას კარნახობს ზოგადი და აბსტრაქტული ნორმატივებისაგან მკვეთრად განსხვავებული ომის ეთიკის საფუძვლებს. „ზღვის მოდელისა“ და „სავაჭრო ეთიკის“ უნივერსალიზაციის შესაბამისად, რომლებიც, ბუნებრივია მოიცავენ საომარი მოქმედების სფეროსაც, „პარტიზანის“ ფიგურა, შმიტის აზრით, იძენს სულ უფრო მეტ ცივილიზაციურ მნიშვნელობას, რამეთუ „პარტიზანი“ ისტორიის ის უკანასკნელი გმირია,

რომელიც ყველა საშუალებით იცავს „სახმელეთო წესრიგს“ თალასოკრატიის ტოტალური შეტევის წინაშე. აქედან გამომდინარეობს მისი, თითქმის, „სოტერიოლოგიური“[55] ისტორიული ფუნქცია.

## თავი 9. პეტრე სავიცკი „ევრაზია – შუამდებარე მიწა“

### 9.1. ევრაზიელთა ბედისწერა

პეტრე ნიკოლოზის ძე სავიცკი (1895-1968 წწ.) — ალბათ, პირველი (და ერთადერთი) რუსი მეცნიერია, რომელსაც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით შეიძლება გეოპოლიტიკოსი ეწოდოს. იგი განათლებით ეკონომისტი იყო; ვ. ვერნადსკისა და პ. სტრუვეს მოსწავლე. ომამდე ახლოს იყო კადეტებთან, რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა ბულგარეთში, ხოლო მერე გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში. 1921 წელს თავად ნ. ს. ტრუბეცკოისთან ერთად მეთაურობდა ევრაზიულ მოძრაობას, რომელშიც გეოპოლიტიკური ფაქტორები ძირითად როლს თამაშობდნენ. სავიცკი ყველა სხვა ევრაზიელებთან შედარებით უფრო მეტად იყო დაინტერესებული გეოპოლიტიკით.

სავიცკის მსოფლმხედველობა, ევრაზიელთა უმრავლესობის მსგავსად, ჩამოყალიბდა სლავოფილების — დანილევსკისა და, განსაკუთრებით, ლეონტიევის შრომების გავლენით. ეს იყო რევოლუციური სლავოფილობის სახესხვაობა, შერწყმული „ველოკორუსების“ ისტორიული იდენტურობის განსაკუთრებულობის ძირითად იდეასთან, რომელიც არ დაიყვანებოდა არც რელიგიურ, არც ეთნიკურ სლავურ რაობამდე. ამ საკითხში ისინი კონსტანტინე ლეონტიევის მსოფლმხედველობას იზიარებდნენ, რომელსაც ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი თეზისი *„სლავობა არის, სლავიზმი არ არსებობს“* ანუ „სლავი ხალხების ეთნიკური და ლინგვისტური სიახლოვე არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ მათ კულტურულ და თვისობრივ ერთობაზე“.

ევრაზიული მოძრაობა, საყვარელი თემებისა და კონცეფციების ნაკრებით, საოცრად ახლოს იყო გერმანელ კონსერვატიულ რევოლუციონერებთან. ისევე, როგორც კონსერვატიული რევოლუციონერები, ევრაზიელებიც ესწრაფვოდნენ ფესვებისადმი ერთგულება მომავლისაკენ შემოქმედებით წინსვლასთან, ხოლო რუსული ეროვნული ტრადიციის სიმყარე — სოციალურ მოდერნიზმთან, ტექნიკურ განვითარებასა და არატრადიციული ფორმების პოლიტიკასთან შეეხამებინათ. ამაზეა დაფუძნებული ევრაზიელების ფრთხილი პოზიტიური დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოსა და ოქტომბრის რევოლუციის მიმართ.

საბჭოთა კავშირის მიმართ სიმპათიების მიუხედავად, რაც ევრაზიელების არა მხოლოდ აშკარად პროსაბჭოური ფრთისთვის (გაზეთ „ევრაზიის“ გამომცემელი პარიზის წრე, რომელთანაც სავიცკიმ ოფიციალურად გაწყვიტა კავშირი), არამედ ყველაზე ზომიერი და „კონსერვატიული“ ადამიანებისთვისაც იყო დამახასიათებელი.

საბჭოთა ჯარების მიერ პრაღის აღების შემდეგ, 1945 წელს სავიცკი დააპატიმრეს და 10 წლით გადასახლება მიუსაჯეს. ბანაკში მან გაიცნო პოეტ ნიკოლოზ გუმილიოვის შვილი ლევი, რომელიც მისი მოწაფე გახდა, შემდგომში იგი ერთ-ერთ საუკეთესო თანამედროვე რუს ეთნოგრაფად და ისტორიკოსად

მოგვევლინა.

1956 წელს სავიცკი რეაბილიტირებულ იქნა და დაბრუნდა პრაღაში, სადაც 12 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

## 9.2. რუსეთი – ევრაზია

სავიცკის ძირითადი იდეის თანახმად, რუსეთი წარმოადგენს „შუაგულობის" თვისებით განსაზღვრულ განსაკუთრებულ ცივილიზაციურ წარმონაქმნს. მისი ერთ-ერთი სტატია – „ევრაზიულობის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საფუძვლები" (1933) – ასეთი სიტყვებით იწყება – *„რუსეთს უფრო მეტი საფუძველი აქვს იწოდებოდეს „შუამდებარე სახელმწიფოდ", ვიდრე ჩინეთს"*[56].

თუკი გერმანიის „შუაგულობა" (Mittellage) ევროპული კავშირითაა შეზღუდული, ხოლო თვით ევროპა მხოლოდ ევრაზიის „დასავლეთ კონცხს" წარმოადგენს, სამაგიეროდ რუსეთს კონტინენტის ფარგლებში უკავია ცენტრალური პოზიცია. რუსეთის „შუაგულობა", სავიცკისათვის, მისი ისტორიული იდენტურობის საფუძველს წარმოადგენს – ის არც ევროპის ნაწილია და არც აზიის გაგრძელება. იგი დამოუკიდებელი სამყაროა, დამოუკიდებელი და განსაკუთრებული სულიერ-ისტორიული გეოპოლიტიკური რეალობა, რომელსაც სავიცკი „ევრაზიას" უწოდებს.

ეს ცნება აღნიშნავს არა მატერიკს ან კონტინენტს, არამედ რუსულ სივრცესა და რუსულ კულტურაში არეკლილ იდეას, ისტორიულ ნიმუშს, განსაკუთრებულ ცივილიზაციას. სავიცკიმ რუსული პოლუსიდან წამოაყენა მაკინდერის გეოპოლიტიკურ სქემასთან ძალიან დაახლოებული კონცეფცია – მხოლოდ აბსტრაქტული „ხმელეთის ყაჩაღები" ან „ისტორიის გეოგრაფიული ღერძიდან გამომავალი ცენტრისკენული იმპულსები" იძენენ რუსული კულტურის, რუსული ისტორიის, რუსული სახელმწიფოებრიობის, რუსული ტერიტორიის მკვეთრად გამოხატულ მონახაზს. სავიცკის „რუსეთ-ევრაზია" ისეთი სახით აქვს წარმოდგენილი, როგორც „სივრცე" (Raum) რატცელს, უფრო ზუსტად კი, „დიდი სივრცე" (Grossraum) შმიტს.

თუ მაკინდერს მიაჩნია, რომ Heartland-ის უდაბნოდან მოემართება მექანიკური ბიძგი, რომელიც აიძულებს სანაპირო ზონებს („შიდა ნახევარმთვარეს") შექმნან კულტურა და ისტორია, სამაგიეროდ სავიცკი ამტკიცებს, რომ რუსეთ-ევრაზია (= მაკინდერის Heartland-ს) არის კიდეც, სივრცესა და დროში გაშლილი, მსოფლიო კულტურისა და ისტორიის სინთეზი. ამასთან რუსეთის ბუნება საკუთარი კულტურის შექმნის თანამონაწილეა.

გეოპოლიტიკურად სავიცკი რუსეთს აღიქვამს არა როგორც ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ როგორც ცივილიზაციის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც მოიცავს არიულ-სლავური კულტურის, თურქული მომთაბარეობისა და მართლმადიდებლური ტრადიციის საფუძვლებს. ყოველივე ეს ქმნის უნიკალურ, „შუაგულ" წარმონაქმნს, რომელიც მსოფლიო ისტორიის სინთეზს წარმოადგენს.

სავიცკი ველოკორუსებს აღმოსავლეთელი სლავების უბრალო განშტოებად კი არ მიიჩნევს, არამედ განსაკუთრებულ იმპერიულ წარმონაქმნად, რომლებშიც ერთმანეთთანაა შეხამებული სლავური და თურქული კულტურები. ამ მომენტს მივყავართ მეტად მნიშვნელოვან – *თურანის* თემასთან.

## 9.3. თურანი

თურანთან, როგორც პოზიტიურ ორიენტაციასთან დამოკიდებულება, სკანდალური გამოდგა ბევრი რუსი ნაციონალისტისთვის. ასე მაგალითად, სავიცკი ირიბად ამართლებდა მონღოლურ-თათრულ უღელს, რომლის წყალობითაც *„რუსეთმა შეიძინა საკუთარი გეოპოლიტიკური თვითმყოფადობა და შეინარჩუნა საკუთარი სულიერი დამოუკიდებლობა რომანულ-გერმანული სამყაროს აგრესიულობის მიუხედავად“*. თურქული სამყაროს მიმართ ასეთი დამოკიდებულება მიმართული იყო რუსეთ-ევრაზიის, ევროპისა და მისი ბედისაგან ჩამოსაცილებლად, რუსების ეთნიკური განსაკუთრებულობის დასამტკიცებლად.

*„თათრების გარეშე არ იქნებოდა რუსეთი“* — სავიცკის ეს თეზისი სტატიიდან „სტეპი და ბინადარი ცხოვრება“[57] ევრაზიულობის მთავარ ფორმულად იქცა. აქედან გამომდინარეობს წმინდა გეოპოლიტიკური მტკიცებულება:

„ვაღიაროთ: მსოფლიო ისტორიის მანძილზე ზღვის დასავლეთევროპულ აღქმას თანასწორად მხოლოდ პოლარულად საწინააღმდეგო უპირსპირდება — კონტინენტის მონღოლური აღქმა; ამავე დროს რუსების მიერ ახალი მიწების აღმოჩენებში, მათ დაპყრობებსა და ათვისებაში იგრძნობა იგივე სული, კონტინენტის იგივე აღქმა“[58].

შემდეგ:

„რუსეთი — დიდი ხანების მემკვიდრე, ჩინგიზისა და თემურის საქმის გამგრძელებელია, აზიის გამაერთიანებელი. (...) მასში შერწყმულია ისტორიული „ბინადარი“ და „სტეპური“ სტიქია“[59].

რუსული ლანდშაფტის ფუნდამენტური გაორება — მისი დაყოფა ტყედ და სტეპად — ჯერ კიდევ სლავოფილებმა შენიშნეს. სავიცკის შრომებში რუსეთ-ევრაზიის გეოპოლიტიკური არსი წარმოდგენილია ორი რეალობის — ევროპული ტყისა და აზიური სტეპის სინთეზად. თანაც ასეთი სინთეზი ორი გეოპოლიტიკური სისტემის უბრალო შერწყმა როდია. ესაა გარკვეული ორიგინალური მთლიანობა, რომელიც ფლობს შეფასების საკუთარ საზომებს და მეთოდოლოგიას.

მთლიანობაში რუსეთ-ევრაზია არ დაიყვანება თურანამდე. იგი უფრო დიდია. თუმცა დამოკიდებულება ევროპასთან (რომელიც ყველაფერს, რაც მისი აღქმის „სანაპირო“ ფარგლებს სცდება „ბარბაროსობად“ მიიჩნევს), რუსების, როგორც „მონღოლური სულის მატარებლის“ თვითკვალიფიკაცია წარმოადგენს გამოწვევას, რომელიც წარმოაჩენს ევრაზიელების ისტორიულ და სულიერ აღმატებულებას.

## 9.4. ადგილგანვითარება

სავიცკის ნაშრომებში უმთავრესია „ადგილგანვითარების“ კონცეფცია. ეს ტერმინი ისეთივე შინაარსის მატარებელია, როგორისაც რატცელის „პოლიტიკურ გეოგრაფიასა“ და გერმანულ გეოპოლიტიკაში (+ ჩელენი) გამოყენებული ტერმინი „სივრცე“ (Raum). ამ ცნებაში არეკლილია ევრაზიელების „ორგანიციზმი“, რომელიც ზუსტად შეესაბამება გერმანულ ორგანიციზმულ სკოლას და აშკარა წინააღმდეგობაშია ანგლოსაქსი გეოპოლიტიკოსების პრაგმატიზმთან. სფიქმენი, რომ გაცნობოდა სავიცკის შრომებს,

მაშინ მისი აღშფოთება „მეტაფიზიკურ ნონსენსის“ მიმართ უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე ჰაუსჰოფერის შემთხვევაში. ასე მაგალითად, სავიცკი წიგნში „რუსეთ-ევრაზიის გეოგრაფიული მიმოხილვა“ წერს:

*„სოციალურ-პოლიტიკური გარემო და მისი ტერიტორია ჩვენთვის უნდა იქცეს ერთ მთლიანობად შერწყმულ, გეოგრაფიულ ინდივიდუუმად ან ლანდშაფტად“*[60].

სწორედ ეს არის „ადგილგანვითარების“ არსი, რომელშიც ობიექტური და სუბიექტური ერთმანეთთან შერწყმულია განუყოფელ ერთობად, მთლიანობად. ესაა კონცეპტუალური სინთეზი. იქვე სავიცკი აგრძელებს:

*„სინთეზი აუცილებელია. აუცილებელია გვქონდეს უნარი ერთბაშად დავინახოთ სოციალურ-ისტორიული გარემო და მის მიერ დაკავებული ტერიტორია“.*[50]

ამ საკითხში სავიცკი ახლოს დგას ვიდალ დე ლა ბლაშის მოსაზრებებთან. ფრანგი გეოპოლიტიკოსის მსგავსად, რომელმაც, ელზას-ლოტარინგიის მაცხოვრებლების ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად დაასაბუთა საფრანგეთის ერთიანი კულტურული ტიპის განუყოფელობა. სავიცკის მიაჩნია:

„რუსეთ-ევრაზია არის „ადგილგანვითარება“, „ერთი მთლიანობა“, „გეოგრაფიული ინდივიდუუმი“ — ერთდროულად გეოგრაფიული, ეთნიკური, სამეურნეო, ისტორიული და ა. შ. „ლანდშაფტი“[62].

რუსეთ-ევრაზია წარმოადგენს ისეთ „ადგილგანვითარებას“, რომელიც მრავალი უფრო მცირე „ადგილგანვითარების“ არსებობის ინტეგრალური ფორმაა. ესაა შმიტის „დიდი სივრცე“ (GrossRaum), რომელიც შედგენილია პატარა „სივრცეების“ (Raum) მთელი იერარქიისაგან.

„ადგილგანვითარების“ ცნების შემოღებით ევრაზიელებმა თავი აარიდეს ისტორიული ფენომენების ანალიტიკური ყოფის პოზიტივისტურ აუცილებლობას, რომელიც მექანიკურ სისტემებად ყოფდა არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ კულტურულ მოვლენებსაც. „ადგილგანვითარების“, „გეოგრაფიული ინდივიდუუმის“ გამოყენება ევრაზიელებს საშუალებას აძლევდა ეროვნულ, რასობრივ, რელიგიურ, კულტურულ, ენობრივ, იდეოლოგიურ საკითხებში თავი დაეღწიათ ძალზე კონკრეტული რეცეპტებისაგან. „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის“ მაცხოვრებელთა მიერ ინტიუციურად შეგრძნობილმა გეოპოლიტიკურმა ერთობამ შეიძინა ახალი „სინთეზური“ ენა, რომელიც არ დაიყვანებოდა დასავლური რაციონალიზმის შესაბამის ნაწილობრივ ანალიტიკურ კონცეფციებამდე.

ამაში გამომჟღავნდა სავიცკის მემკვიდრობა რუსული ინტელექტუალური ტრადიციის მიმართ, რომელიც მოუწოდებდა ადამიანს „მთლიანობის“, „კრებადობის“, „საყოველთაო ერთობის“ და ა. შ. გააზრებისაკენ.

## 9.5. იდეოკრატია

სავიცკის თეორიის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს „იდეოკრატიის“ პრინციპი. სავიცკი ფიქრობდა, რომ ევრაზიული სახელმწიფო, საწყისი სულიერი იმპულსიდან გეზის აღების შემდეგ, უნდა შენდებოდეს ზემოდან ქვემოთ. შესაბამისად, მთელი მისი სტრუქტურა უნდა იქმნებოდეს აპრიორულ იდეასთან შეთანხმებით, ხოლო თვით სტრუქტურის სათავეში უნდა იდგეს „ქურუმების“ განსაკუთრებული კლასი. ეს პოზიცია ძალზე ახლოსაა შმიტის თეორიებთან დიდი სივრცის წარმოშობის სათავეებთან მდგომი „ნებითი“,

„სულიერი“ იმპულსის შესახებ.

იდეოკრატია სახელმწიფო მოწყობის საქმეში გულისხმობს პრაგმატული, მატერიალური და კომერციული მსოფლმხედველობის მცირე ღირებულებას. „გეოგრაფიული პიროვნების“ ღირსება, სავიცკის აზრით, მდგომარეობს მატერიალურ აუცილებლობაზე ამაღლებაში, ფიზიკური სამყაროს გლობალური, ისტორიული შესაქმის ერთიან სულიერ-შემოქმედებით იმპულსში ორგანული ჩართვით.

იდეოკრატია — ის ტერმინია, რომელიც აერთიანებს იდეალისტურ და ანტიუტილისტურ[3] მოტივებზე დაფუძნებულ არადემოკრატიული, არალიბერალური მმართველობის ყველა ფორმას. ამასთან სავიცკი შეგნებულად ერიდება ამ ცნების დაზუსტებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც საყოველთაო თეოკრატიულ წყობაში, ასევე სახალხო მონარქიაშიც, ეროვნულ დიქტატურაშიც და საბჭოური ტიპის პარტიულ სახელმწიფოშიც. შინაარსობრივად ტერმინის ასეთი სიდიდე შეესაბამება ევრაზიულობის წმინდა გეოპოლიტიკურ ჰორიზონტებს, რომელიც მოიცავს უზარმაზარ ისტორიულ და გეოგრაფიულ სივრცეებს. ეს იყო კონტინენტის ინტუიციური ნების უფრო ზუსტად გამოხატვის მცდელობა.

ცხადია, რომ იდეოკრატია ეწინააღმდეგება მაკინდერის, მეჰენისა და სფიქმენის დოქტრინებში ჩამოყალიბებულ პრაგმატულ-კომერციულ მიდგომას.

ამგვარად, რუსმა ევრაზიელებმა გასაგებად ახსნეს ზღვისა და ხმელეთის ისტორიული წინააღმდეგობის ამსახველი იდეოლოგიური ტერმინები. ზღვა — ეს არის ლიბერალური დემოკრატია, „სავაჭრო წყობა“, პრაგმატიზმი. ხმელეთი კი არის იდეოკრატია (მისი ყველა სახესხვაობა), „იერარქიული მართვა“, რელიგიური იდეალის უპირატესობა.

სავიცკის შეხედულებები იდეოკრატიაზე ემთხვევა გერმანელი სოციოლოგისა და ეკონომისტის ვერნერ ზომბარტის იდეებს, რომელიც ყველა სოციალურ მოდელსა და ტიპს ორ საერთო კლასად — „გმირებად“ და „ვაჭრებად“ — ჰყოფდა. გეოპოლიტიკურ დონეზე ტერმინი „გმირი“ („გმირობა“) კარგავს მგზნებარე მეტაფორულ მნიშვნელობას და წარმოადგენს იდეოკრატიული მმართველობის იურიდიული და ეთიკური სპეციფიკის აღმნიშვნელ ტექნიკურ ტერმინს.

## 9.6. სსრკ და ევრაზიულობა

გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების განვითარებაში უდიდესია პეტრე სავიცკისა და, ზოგადად, რუსი ევრაზიელების როლი. საკვირველია მხოლოდ ის, რომ ამ მიმართულებას დასავლურ სასწავლო ლიტერატურაში მცირე ყურადღება ეთმობა. სავიცკის სახით ჩვენ გვყავს გეოპოლიტიკოსი, რომელიც სრულფასოვნად და დასაბუთებულად გამოხატავს Heartland-ის პოზიციას, რომელმაც ბიძგი მიიღო Heartland-ის მეტად ღრმა, რუსული რაიონებიდან. სავიცკის გეოპოლიტიკური დოქტრინა — ესაა მეჰენის, მაკინდერის, სფიქმენის, ვიდალ დე ლა ბლაშის და სხვა „თალასოკრატების“ შეხედულებების ანტითეზა. ამასთან (მხოლოდ ამ შემთხვევაში) საუბარი ეხება სრულყოფილ და ვრცლად განხილულ ალტერნატიულ დოქტრინას, რომელიც დაწვრილებით განიხილავს იდეოკრატიულ, ეკონომიკურ, კულტურულ და ეთნიკურ ფაქტო-

რებს. კარლ შმიტის ტერმინოლოგიის მიხედვით, სავიცკი და ევრაზიელები წარმოადგენენ „მიწის ნომოსს“ თავის აქტუალურ მდგომარეობაში, „თელეროკრატიის“ იდეოლოგებს, ანგლოსაქსური Grossraum-ის ალტერნატიული „რუსული სივრცის“ მიმდევრებს.

რუსი ევრაზიელების იდეების შედარება გერმანელი გეოპოლიტიკოს-კონტინენტისტების (ჰაუსჰოფერი, შმიტი, და სხვები) თეორიებთან, რომლებიც ასევე ცდილობდნენ საკუთარი გეოპოლიტიკური თეორიების აგებას „ზღვის ძალის“ ანტითეზად, გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით გერმანელებმა გაიარეს მხოლოდ ნახევარი გზა, ხოლო რუსებმა (პირველ რიგში კი სავიცკიმ) შექმნეს დასრულებული, შეთანხმებული და სრულფასოვანი მსოფლიო გეოპოლიტიკური სქემა.

ამ თვალსაზრისით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ გარკვეული კანონი: *„რაც უფრო ახლოა გერმანელი კონტინენტისტების შეხედულებები რუსულ ევრაზიულობასთან, მით უფრო სრულად ღებულობენ ისინი Ostorientierung-ს, მით უფრო თანმიმდევრულია და ლოგიკურია მათი დოქტრინები, ეფექტურია მათ მიერ გეოპოლიტიკურ საფუძველზე შექმნილი პოლიტიკური პროექტები“*.

ამ თვალსაზრისით სავიცკის იდეებთან ყველაზე ახლოსაა გერმანელი ნაციონალ-ბოლშევიკების თეორიები (კერძოდ, ერნესტ ნიკიში), რომლებიც მშვენივრად გრძნობდნენ გერმანიის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გაორებას. მისი „შუაგულობა“ შეფარდებითი და მეორადია რუსეთის „შუაგულობის“ კულტურულ და კონტინენტურ აბსოლუტთან შედარებით. აქედან ისინი ასკვნიდნენ, რომ გერმანია ვერ შესძლებს პრეტენზია განაცხადოს გეოპოლიტიკური სინთეზის როლზე, რომ მან უნდა აირჩიოს გზა სამხრეთ-დასავლური სლავოფობიური, კათოლიკური და, გარკვეულ ასპექტში, „თალასოკრატიულ“ (ბურჟუაზიულ) გერმანიასა (ავსტრიასთან ერთად) და ჩრდილო-აღმოსავლურ გერმანულ-სლავურ, სოციალისტურ-რუსოფილურ, პროტენსტანტულ და სპარტანულ პრუსიას შორის.

ნიკიშს ეკუთვნის ცნობილი გეოპოლიტიკური თეზისი — „ევროპა ვლადივოსტოკიდან ფლესინგამდე“. გერმანელთა მხრიდან, მხოლოდ ასეთი მიდგომა შეეხამება თანმიმდევრულ კონტინენტურ ევრაზიულობას. ბუნებრივია, რომ ავსტრიელი კათოლიკე, ანტიკომუნისტი და სლავოფობი ჰიტლერის ქმედებები (როგორადაც არ უნდა ცდილობდეს მის შელამაზებას ზოგიერთი კონსერვატი რევოლუციონერი და გეოპოლიტიკოსი) გერმანიას აქამდე არ მიიყვანდა. გერმანიამ დიდი ხნით დაკარგა საკუთარი ისტორიული ყოფა, რადგან სასტიკად დამარცხდა იმ ძალების მიერ რომელთან „მარადიულ კავშირსაც“ შეეძლო უზრუნველეყო თელეროკრატიის მსოფლიო ბატონობაში გერმანიის თანამონაწილეობა.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საბჭოური რეალობა, ბევრგან თანხვდებოდა სავიცკისა და სხვა ევრაზიელების კონცეფციებს, თუმცა საბჭოთა ხელმძღვანელობაზე მათი პირდაპირი გავლენის შესახებ სარწმუნო ცნობები არ არსებობს. სმენოვეხოველები და ნაციონალ-ბოლშევიკები (განსაკუთრებით ნიკოლოზ უსტრიალოვი), რომლებიც ბევრ საკითხში ახლოს იდგნენ ევრაზიელებთან, აშკარა გავლენას ახდენდნენ ბოლშევიკებზე და, განსაკუთრებით, სტალინზე, თუმცა მათ არასდროს ჰქონიათ მაღალი თანამდებობები და ხშირად თავიანთ ცხოვრებას საკონცენტრაციო ბანაკებში ამთავრებდნენ.

ევრაზიელების ნაწილი — ეფრონი, კარსავინი და სხვები ღიად თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირთან, თუმცა მადლობა არც მათ მიუღიათ. მიუხედავად ამისა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის (თითქმის პეროსტროიკის დაწყებამდე) ანალიზი ბადებს დასკვნას, რომ იგი მუდმივად მიჰყვებოდა სწორედ ევრაზიულ კურსს, რაც აშკარად არასოდეს განუცხადებია.

ამ შემთხვევაში შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ გარკვეული ვარაუდი: ან საბჭოთა რეჟიმის შიგნით არსებობდა უცნობი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობდა სავიცკის იდეებით, ახდენდა მათ შეთანხმებას არსებულ პოლიტიკურ სინამდვილესთან და ხვევდა მათ ოფიციალურ „მარქსისტულ" ლექსიკაში, ან შეიძლება Heartland-ის ობიექტური მდგომარეობა აიძულებდა საბჭოთა კავშირს ინერციით გადაედგა ის ნაბიჯები, რომელიც უნდა გადაედგა გეოპოლიტიკურად შეგნებულ კონტინენტურ სახელმწიფოს — ევრაზიას.

## თავი 10. გეოპოლიტიკა. როგორც ერთიანული პოლიტიკის ხელსაწყო

### 10.1. მსოფლიო დუალიზმი – გეოპოლიტიკის ძირითადი კანონი

გეოპოლიტიკური მეცნიერების დამაარსებელთა იდეების გაცნობის შემდეგ, შეჯამებისას, შეიძლება გავაკეთოთ რამდენიმე ზოგადი დასკვნა.

სხვადასხვაგვარი მსოფლმხედველობის მიუხედავად, საქმე გვაქვს მსოფლიოს ისეთი სახის წარმოდგენასთან, რომელსაც შეიძლება დავარქვათ გეოპოლიტიკა. იგი მიისწრაფვის ისტორიული პროცესების, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ანალიზში ერთდროულად ჩართოს რამდენიმე მეცნიერული დარგის ცოდნა (გეოგრაფიული, პოლიტოლოგიური, იდეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და ა. შ.). ყველა გეოპოლიტიკური დოქტრინის ძირითადი თვისებაა სწრაფვა დისციპლინათშორისი სინთეზისაკენ.

ყველა გეოპოლიტიკოსის მიერ გაზიარებულ საერთო მეთოდოლოგიურ ფორმულას წარმოადგენს ფუნდამენტური ისტორიული დუალიზმის მტკიცება, ერთი მხრივ — ხმელეთი, თელეოკრატია, მიწის „ნომოსი", ევრაზია, Heartland, „შუამდებარე მიწა", იდეოკრატიული ცივილიზაცია, „ისტორიის გეოგრაფიულ ღერძი" და მეორე მხრივ — ზღვა, თალასოკრატია, Sea Power, „ზღვის ნომოსი", ატლანტიკა, ანგლოსაქსური მსოფლიო, სავაჭრო ცივილიზაცია, „გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე", რაც შეიძლება განხილულ იქნას, გეოპოლიტიკის მთავარ კანონად. თუ დუალიზმს ამოსავალ დებულებად არ მივიჩნევთ, ყველა დანარჩენი დასკვნა აზრს დაკარგავს. კერძო საკითხებში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გეოპოლიტიკური მეცნიერების არცერთი დამაარსებელი ეპვის ქვეშ არ აყენებდა ასეთი წინააღმდეგობის ფაქტს, რაც თავისი მნიშვნელობით უტოლდება მსოფლიო მიზიდულობის ფიზიკურ კანონს.

### 10.2. გეოპოლიტიკოსი არ შეიძლება არ იყოს დაქირავებული

გეოპოლიტიკის ფუძემდებლების შეხედულებათა სხვა თავისებურებას წარმოადგენს მათი მუდმივი პოლიტიკური დაქირავება. პრაქტიკულად არ

არსებობს გეოპოლიტიკოსი, რომელიც ჩამოშორებული იქნებოდა საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისაგან. სწორედ საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისაკენ ილტვოდა ყველა მათგანი, გამონაკლისის გარეშე. გეოპოლიტიკოსმა, რომელიც იწყებს სამეცნიერო ძიებებს, აუცილებლად უნდა განსაზღვროს საკუთარი ადგილი გეოპოლიტიკური პოლუსების რუკაზე. ამაზე იქნება დამოკიდებული შეხედულებათა ის კუთხე, რომლის მიხედვითაც იგი გაანალიზებს ყველა მსოფლიო პროცესს.

გეოპოლიტიკის ისტორიაში ვერ შევხვდებით ისეთ მეცნიერს, რომლისთვისაც უმნიშვნელო იქნებოდა საკუთარი სახელმწიფოსა და ხალხის ბედი, რომელიც არ გაიზიარებდა მის ძირითად ეთიკურ და ისტორიულ ორიენტაციას. ეს განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება უკიდურეს პოლუსებზე — ანგლოსაქსი მეცნიერები, აყალიბებენ რა თავიანთ თეორიებს ატლანტიზმის უპირობო მომხრეთა პოზიციებიდან, შეუცდომლად და გულდასმით მიჰყვებიან თალასოკრატიის, Sea Power-ის ლოგიკასა და ფასეულობების სისტემას. რუსი ევრაზიელები, ასევე თანამიმდევრულად, ერთგულობენ Heartland-ის იდეალებს — ისინი ეჭვქვეშაც კი არ აყენებენ იდეოკრატიისა და რუსეთ-ევრაზიის აბსოლუტურ ეთიკურ და ისტორიულ აღმატებულობას.

ფრანგებთან, რომელთაც გააჩნიათ „მიმხრობის" თეორიული არჩევანის შესაძლებლობა — ან თალასოკრატია, ან თელეოკრატია — ეს საკითხი უფრო რთული და ბუნდოვანია. პირველ შემთხვევაში ეს ნიშნავს სოლიდარობას ანგლოსაქსურ სამყაროსთან, Sea Power-თან, მეორე შემთხვევაში კი გერმანოფილიას. ორივე შემთხვევაში იგულისხმება უპირობო ეროვნული სიმპათიები. თეორიულად ორივე ტენდენცია ასახულია ფრანგ გეოპოლიტიკოსთა ნაშრომებში, მაგრამ უფრო მეტად ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კონცეფცია გამოიმუშავა ამ სფეროს ძირითადი ფიგურის, ვიდალ დე ლა ბლაშის მიმდევარმა „ატლანტისტების" ჯგუფმა. თეორიული თვალსაზრისით მას მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ლავალი და დე გოლი, ამ გეოპოლიტიკური მიმართულების ანტიპოდები.

გაორებული მდგომარეობაა გერმანიაშიც. თუმცა, ძირითადად, მისი გეოპოლიტიკური მსოფლმხედველობა უპირატესად მიმართულია კონტინენტურად და ევრაზიულად, თუმცა, ამასთანავე, ეს მიმართულება იზღუდება სლავურ სამყაროსთან, აზიასთან და, განსაკუთრებით, რუსეთთან რთული დამოკიდებულებით. ეს შეზღუდვა იმდენად მნიშვნელოვანია, ხოლო გერმანიის ვოლუნტარული მცდელობანი (რუსეთ-ევრაზიის ისტორიული მნიშვნელობის უგულებელყოფით გაათანაბროს თავისი შუაგული ევროპული მდგომარეობა შუაგულ ევრაზიულობასთან) იმდენად შეუპოვარია, რომ ორივე მსოფლიო ომში იგი იძულებული იყო, ეომა არა მხოლოდ თალასოკრატიული სახელმწიფოების წინააღმდეგ, არამედ თავისი ლოგიკური ევრაზიული მოკავშირის რუსეთის (სსრკ) წინააღმდეგაც. შეიძლება ითქვას, რომ გერმანული გეოპოლიტიკისათვის დამახასიათებელია „არაევრაზიული" კონტინენტიზმი. ასეთი მდგომარეობა გეოპოლიტიკურ ფორმულაში აჯამებს გერმანიის მთელ ისტორიას და განსაზღვრავს გერმანული ეროვნული შემეცნების სტრუქტურას.

იმის აუცილებლობამ, რომ გეოპოლიტიკოსმა თავიდანვე უნდა განსაზღვროს საკუთარი პოზიცია მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე და მის

სარტყელებზე (ამ თვალსაზრისით მაკინდერის სქემა წარმოადგენს საკმაოდ ნათელ ილუსტრაციას), გამოიწვია ამ მეცნიერების განვითარება მხოლოდ „მსოფლიო მმართველობაზე" (Weltmacht), „ზესახელმწიფოებრიობაზე" ამბიციის მქონე მსხვილ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის.

ამერიკელი მეჰენი და სფიქმენი, ინგლისელი მაკინდერი წარმოადგენენ „კუნძულოვან ნახევარმთვარეს". ისინი არიან ატლანტიზმის, თალასოკრატიის მამამთავრები.

ვიდალ დე ლა ბლაში (და მისი სკოლა) წარმოადგენს ატლანტურ საფრანგეთს. ლავალი და დე გოლი იხრებიან კონტინენტიზმის, „ევროპიზმის", ანტიატლანტიზმის მხარეს. აქედან გამომდინარეობს მათი საერთო გერმანოფილია, რომელიც გეოპოლიტიკურად აახლოებს მათ მიუხედავად იმისა, რომ ისინი მტრულ ბანაკებში იმყოფებოდნენ: ლავალი იყო ვიშის კოლაბორაციონისტული მთავრობის ხელმძღვანელი, ხოლო დე გოლი ანტიფაშისტური საფრანგეთის არმიის მეთაური.

გერმანელები — რატცელი, ჰაუსჰოფერი, შმიტი გერმანიას აიგივებენ ხმელეთის ღერძთან, თელეოკრატიასთან და ცდილობენ გერმანიისაგან შექმნან „დიდი სივრცე", რომელიც წინ უნდა აღუდგეს ანგლოსაქსურ თალასოკრატიას. ამ ჯგუფს უერთდება შვედი რუდოლფ ჩელენი, მხოლოდ იგი აზროვნებს, როგორც გერმანული ევროპული სივრცის, შუა ევროპის წარმომადგენელი და არა როგორც „ვიწრო შვედური გაგების" ნაციონალისტი. ყველაზე უკიდურესი კონტინენტისტები — ერნესტ ნიკიში, ფრიდრიხ გეორგ იუნგერი, არტურ მიულერ ვან დენ ბრუკი და სხვები უფრო შორს მიდიან და გერმანიის მომავალს ხედავენ მხოლოდ ევრაზიულ რუსეთთან სტრატეგიულ ინტეგრაციაში.

დაბოლოს, რუსი ევრაზიელები (სავიცკი, ტრუბეცკოი და სხვ.) გვთავაზობენ კონტინენტიზმის ყველაზე უფრო დასრულებულ ვერსიას, რომლითაც გამოხატავენ ხმელეთის „ნომოსის", თელეოკრატიის ყველაზე უფრო რადიკალურ პოზიციას. სხვა ქვეყნების გეოპოლიტიკოსთა შორის მეტ-ნაკლებად ცნობილი სახელების არარსებობა (თუმცა ისინი მოღვაწეობდნენ იტალიაში, ესპანეთში, ბელგიაში, რუმინეთში, ჰოლანდიაში და სხვაგან) მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მეორეხარისხოვანი მასშტაბის სახელმწიფოებს გეოპოლიტიკური დუალიზმი მხოლოდ გაკვრით ეხება; მათი გავლენა გლობალური წინააღმდეგობის მსვლელობაზე მცირეა, შესაბამისად თვით გეოპოლიტიკის არსი, მისი სიმწვავე, „საბედისწერო" განზომილება მათთვის არ არის აქტუალური.

## 10.3. მეცნიერთა ბედი – სახელმწიფოთა ბედი

გეოპოლიტიკოს მეცნიერთა მოქალაქეობა აისახება მათ მსოფლმხედველობაზე. კავშირი ნათელია, გეოპოლიტიკოსები ის ხალხია, რომელთაც თავიანთი დიდი გამჭრიახობითა და მოვალეობის გრძნობით შეუძლიათ გამოიცნონ გლობალური განვითარების ისტორიული ტენდენციები სივრცობრივ სფეროში, გააცნობიერონ თავიანთი სახელმწიფოსა და ხალხის ადგილი ამ კონტექსტში, ჩამოაყალიბონ მომავლის დასაბუთებული და უფრო მეტად სასარგებლო პროექტი. ამიტომაც ხშირად ისინი პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებენ მსოფლიოს ისტორიაზე, თუმცა მას ახორციელებენ სრულიად სხვა ძალები,

პარტიები, ლიდერები, მოქმედებენ რა სრულიად განსხვავებული, იმწუთიერი, აქტუალური ლოზუნგების გამოყენებით.

საინტერესოა კიდევ ერთი კანონზომიერება. მკვეთრად განსხვავებულია გეოპოლიტიკოსების პირდაპირი გავლენის ხარისხი ხელისუფლებაზე, სამეცნიერო შრომებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში შესაბამისი სახელმწიფოების პოლიტიკურ კურსს შორის.

მეჰენს, სფიქმენსა და მაკინდერს მაღალი თანამდებობები ეკავათ თავიანთ სახელმწიფოში. მათ პოლიტიკურ აქტიურობას უშუალო შედეგები ჰქონდა. მათი პირდაპირი გავლენა ანგლოსაქსურ პოლიტიკაზე ცხადი და უდიდესია. მიუხედავად თავიანთი ქვეყნების სამეცნიერო სამყაროსთან გარკვეული კამათისა და მთლიანობაში მთელი „საზღვაო ცივილიზაციისათვის" მათი იდეების მნიშვნელობის გარკვეული (ტაქტიკური) მიჩქმალვისა, ისინი ცხოვრებაში პატივისცემით სარგებლობდნენ, მათ უწევდნენ ყოველნაირ მხარდაჭერას, მათი ბედი და კარიერა თვალსაჩინო და წარმატებული იყო.

განსხვავებული მდგომარეობაა კონტინენტის გეოპოლიტიკოსებში. ვიდალ დე ლა ბლაში მხოლოდ იმ გეოგრაფად მიაჩნდათ, რომელიც ცდილობდა თავისი გამოკვლევების სფეროს გაფართოებას გეოპოლიტიკურ მასშტაბამდე. მთავრობის მხრიდან მისდამი დამოკიდებულება საპატიო, თუმცა მთლიანობაში გულგრილი იყო. მიუხედავად ამისა ბევრი პრაქტიკული პრინციპი (განსაკუთრებით „აღმოსავლეთ საფრანგეთში" გადმოცემული) გამოყენებული იქნა. იგი არ სარგებლობს ისეთი პატივისცემით როგორც ინგლისელი და ამერიკელი გეოპოლიტიკოსები, მაგრამ მისი თეორიული მემკვიდრეობა გათვალისწინებულია.

გერმანელებთან, განსაკუთრებით ჰაუსჰოფერისა და შმიტის შემთხვევაში, მდგომარეობა უკვე სერიოზულია. ვაიმარის რესპუბლიკაშიც და ჰიტლერის დროსაც მათდამი დამოკიდებულება მკვეთრად იცვლებოდა — ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღებიდან რეპრესიებამდე. „თალასოკრატ" გეოპლიტიკოსებთან შედარებით მათი ბედი ტრაგიკულია, მათი კარიერა ზიგზაგისებურია. განსაზღვრულ მომენტებში ისინი იმ რეჟიმების მსხვერპლნი ხდებიან, რომელთა ეროვნული მიზნები ძირითადად ემთხვევა მათ აზრებს. აქ სუფევს არა თაყვანისცემა ან პატივი, არამედ ისტორიული ყურადღების მონაცვლეობა დევნასთან.

ევრაზიელების ბედი უფრო მეტად ტრაგიკულია. არავითარი ყურადღება მათდამი, ისინი ოფიციალურ წყაროებში არსად მოხსენიება, მხოლოდ კოლონიები, დაპატიმრებები ან დევნა საბოლოო უარყოფით. თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა ისტორიის განსაზღვრულ მომენტამდე, საერთაშორისო დონეზე, ძირითად გადაწყვეტილებებს იღებდნენ პეტრე სავიცკის მიმდევრები, უთანხმებდნენ რა ყველა ნაბიჯს ევრაზიელების პუბლიკაციებს. 1989 წელს დგება გარდამტეხი ჟამი, როდესაც ირკვევა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობაში არავინაა შემძლე ახსნას ტრადიციული საგარეო პოლიტიკის ლოგიკა, შედეგად კი ელვისებურად ინგრევა ომის, უუფლებობის, ტანჯვა-წამების გადამტანი სამი თაობის ძალისხმევით შექმნილი უზარმაზარი ევრაზიული ორგანიზმი.

გეოპოლიტიკოსთა პიროვნული როლი და გავლენა ხელისუფლებაზე მკვეთრად მცირდება დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძის გასწვრივ. მეჰენისა და სფიქმენისადმი პატივისცემა კონტრასტშია მუდმივ მუქარასთან შმიტის მიმართ სს-ის მხრიდან და ჰაუსჰოფერის დევნასთან (მისი შვილი დახვრიტეს).

კიდევ უფრო მკვეთრია კონტრასტი სავიეტისა და კარსავინის მიმდევრებთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ალბათ, განსაცვიფრებელი არ უნდა იყოს, რომ საბოლოოდ სწორედ იმ ქვეყნებმა, რომლებიც უფრო მეტად იზიარებდნენ და აფასებდნენ თავიანთ გეოპოლიტიკოსების იდეებს, მიაღწიეს ბრწყინვალე შედეგებს და ძალიან მიუახლოვდნენ ერთპიროვნული მსოფლიო ბატონობის საბოლოო მიზანს. გერმანიამ კი პაუსპოფერის თეზისების — „კონტინენტური ბლოკის" — უგულებელყოფის გამო განიცადა საშინელი დამარცხება, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამოვარდა ისტორიული პროცესებიდან და გადაეშვა პოლიტიკურ არარაობაში. საბჭოთა კავშირის (რომელმაც არ მიაქცია ყურადღება ყველაზე ღრმა და გამჭრიახი რუსი პატრიოტების შრომებს), უომრად და წინააღმდეგობის გარეშე აღმოჩნდა თითქმის ისეთივე სიტუაციაში, როგორშიც გერმანია ომის შემდეგ. მისი გავლენა მსოფლიოში ნულზე დაეცა, მკვეთრად შეიზღუდა გავლენის სფეროები, ნანგრევებად იქცა ეკონომიკა და სოციალური სფერო.

# ნაწილი II.

# თანამედროვე გეოპოლიტიკური სკოლები და თეორიები (XX საუკუნის მეორე ნახევარი)

## თავი 1. საერთო მიმოხილვა

XX საუკუნის მეორე ნახევარში გეოპოლიტიკა ამ მეცნიერების დამაარსებელთა თეორიების მიხედვით ვითარდებოდა. ჰაუსჰოფერს და მის სკოლას თან ახლდათ მესამე რაიხთან ინტელექტუალური თანამშრომლობის ავბედითი აჩრდილი. მათი ისტორია ამ დისციპლინაში მოღვაწე მეცნიერებს, „ფაშიზმში" დადანაშაულებისაგან თავდასაღწევად, შემოვლითი გზების ძიებას აიძულებდა. მაგალითად, ამერიკელმა ქოლინს გრეიმ გეოპოლიტიკის აღსანიშნავად ორი სიტყვის გამოყენება შემოგვთავაზა: ინგლისური „geopolitics" და გერმანული „Geopolitik". პირველს უნდა აღენიშნა ამ მოვლენის ანგლოსაქსური და პრაგმატული ვერსია ე. ი. იმ მეცნიერთა შრომები, რომლებშიც გამოყენებულია მეპენის, მაკინდერის და სფიქმენის თეორიაში, ხოლო მეორეს — „კონტინენტური ვარიანტი", ჰაუსჰოფერის სკოლის მემკვიდრეობა, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ „სულიერ", „მეტაფიზიკურ" ფაქტორებს. ამგვარი დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია და „პოლიტიკური კორექტულობის" მოსაზრებით ნაკარნახევ დემაგოგიურ სვლას წარმოადგენს.

გეოპოლიტიკაში ამერიკული და, ზოგადად, ატლანტური (თალასოკრატიული) მიმართულება ვითარდებოდა პრაქტიკულად ტრადიციისაგან მოუწყვეტლად. „მსოფლიო სახელმწიფოდ" ჩამოყალიბების ამერიკული პროექტების განხორციელების პერიოდში. ომის შემდგომ ატლანტისტი გეოპოლიტიკოსები, გამოყენებითი სფეროების განვითარებით, აზუსტებდნენ და დეტალურად ამუშავებდნენ თეორიის ცალკეულ ნაწილებს. „ზღვის ძალისა" და მისი გეოპოლიტიკური პერსპექტივების ძირითადი მოდელი, ცალკეული სამხედრო-გეოგრაფიული სკოლების სამეცნიერო ნაშრომებიდან გადაიქცა აშშ-ს ოფიციალურ საერთაშორისო პოლიტიკად.

აშშ-ს ზესახელმწიფოდ გადაქცევამ და თალასოკრატიის საბოლოო მსოფლიო ჰეგემონიის წინა ეტაპზე გამოსვლამ, ამერიკელი გეოპოლიტიკოსები დააყენა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური მოდელის განხილვის წინაშე, რომელშიც მონაწილეობდა არა ორი, არამედ მხოლოდ ერთი ძალა.

არსებობდა მოვლენათა განვითარების ორი პრინციპული ვარიანტი: 1) აღმოსავლეთთან გეოპოლიტიკურ დუელში დასავლეთის საბოლოო გამარჯვება. 2) ორი იდეოლოგიური ბანაკის ერთიანი კონვერგენცია[1] და მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება (ამ მოდელმა მიიღო „*მონდიალიზმის*" სახელწოდება — ფრანგული სიტყვიდან „monde", „მსოფლიო"). ორივე შემთხვევაში საჭირო იყო ცივილიზაციათა ისტორიის ასეთი შესაძლო დასასრულის ახალი გეოპოლიტიკური გააზრება. ამგვარმა ვითარებამ ბიძგი მისცა გეოპოლიტიკის განსაკუთრებულ მიმართულებას — „მონდიალიზმის გეოპოლიტიკას". სხვაგვარად ეს თეორია ცნობილია „*ახალი მსოფლიო წესრიგის*" დოქტრინის სახელწოდებით. იგი ამერიკელი გეოპოლიტიკოსების მიერ 70-იანი წლების დასაწყისიდან მუშავდებოდა. პირველად მის შესახებ ხმამაღლა განაცხადა აშშ-ს პრეზიდე-



ავღნეთში შეკრა გამოიწვია მოსკოვის ბუნებრივმა მისწრაფებამ გაერღვია „ანაკონდის რგოლი“ და გასულიყო „თბილ ზღვებზე“.

ნტმა ჯორჯ ბუშმა, 1991 წლის სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომის დროს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დამოუკიდებელი ევროპული გეოპოლიტიკა პრაქტიკულად აღარ არსებობდა. ვითარება ოდნავ შეიცვალა 1959-1968 წლების საკმაოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი იყო „კონტინენტალისტი“ შარლ დე გოლი. 1963 წლიდან დე გოლმა აშკარად ანტიატლანტური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რომლის შედეგად საფრანგეთი გამოვიდა ჩრდილო-ატლანტიკური კავშირიდან და შეეცადა საკუთარი გეოპოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებას. მაგრამ მარტოდ დარჩენილ სახელმწიფოს არ შეეძლო წინ აღდგომოდა თალასოკრატიულ სამყაროს, ამიტომ საჭირო გახდა შიდაკონტინენტური ფრანგულ-გერმანული თანამშრომლობისა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობათა გაუმჯობესება. ამ დროს ჩამოყალიბდა გოლის ცნობილი თეზისი — „ევროპა ატლანტიდან ურალამდე“. ამგვარი ევროპა მოიაზრებოდა სუვერენულ, სტრატეგიულად კონტინენტურ წარმონაქმნად — სრულიად ზომიერი *„ევროპული კონტინენტურობის“* სახით.

70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც აშშ-ში უაღრესად პოპულარული გახდა გეოპოლიტიკური კვლევები, ევროპელი მეცნიერებიც ჩაერთვნენ აღნიშნულ პროცესში, მაგრამ მათი კავშირი ომამდე არსებულ გეოპოლიტიკურ სკოლებთან გაწყვეტილი იყო და იძულებულნი გახდნენ შეგუებოდნენ საკითხის ანგლოსაქსური განხილვის ნორმებს. ასე მაგალითად, ევროპელი მეცნიერები მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ნატოში, გაეროში და ა. შ. ტექნიკურ ექსპერტებად, დაკავებულნი არიან გამოყენებითი გეოპოლიტიკური კვლევებით და არ სცდებიან ვიწრო, კონკრეტული საკითხების ჩარჩოებს.

აღნიშნული ძიებები თანდათანობით გადაიქცა ერთგვარ დამოუკიდებელ *„რეგიონულ გეოპოლიტიკად“*. ეს მიმართულება საკმაოდ ძლიერად განვითარდა საფრანგეთში (ჟურნალ „ჰეროდოტეს“ გამომცემელი ივ ლაკოსტას სკოლა). „რეგიონული გეოპოლიტიკა“ მაკინდერის, მეჰენის თუ ჰაუსჰოფერის გლობალური სქემების განზოგადების შედეგია, რომელიც მცირე ყურადღებას აქცევს მსოფლიო დუალიზმის საკითხს და გეოპოლიტიკურ მეთოდებს იყენებს მხოლოდ ეთნოსთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების, დემოგრაფიული პროცესებისა და, აგრეთვე, „პოლიტიკური არჩევნების გეოპოლიტიკის“ აღსაწერად.

გეოპოლიტიკის ერთადერთი უწყვეტი ტრადიცია, რომელიც ომამდელი ხანიდან არსებობას განაგრძობდა ევროპაში, პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყული იმ ჯგუფების მონაპოვარია, რომლებიც ამა თუ იმ სახით დაკავშირებული იყვნენ ომის შემდგომ ნაციონალისტურ პარტიებთან თუ მოძრაობებთან. ამ ვიწრო და პოლიტიკურად პერიფერიულ ჯგუფებში ვითარდებოდა ჰაუსჰოფერისა და სხვათა სკოლის „კონტინენტალიზმთან“ დაკავშირებული გეოპოლიტიკური იდეები. ამ მოძრაობამ თავისთავად მიიღო ევროპელი „ახალი მემარჯვენეების“ სახელწოდება. გარკვეულ დრომდე საზოგადოებრივი აზრი მათ უბრალოდ უგულვებელყოფდა, მიაჩნდათ რა ისინი „ფაშიზმის გადმონაშთებად“.

მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში, ძირითადად ფრანგი ფილოსოფოსის ალენ დე ბენუას განმანათლებლური და ჟურნალისტური მოღვაწეობის წყალობით, სერიოზული სამეცნიერო წრეები დიდ ყურადღებას უთმობენ აღნიშნულ მიმართულებას. ევროპელი „ახალი მემარჯვენეების“ ინტელექტუალური ჯგუფების სახელისუფლო ინსტანციებიდან მნიშვნელოვანი სიშორისა და „დისიდენტობის“ მიუხედავად, მათი შრომები (წმინდა თეორიული თვალსაზრისით) გეოპოლიტიკის განვითარებაში უზარმაზარი შენაძენია. ეს, პოლიტიკური კონფორმიზმის ჩარჩოებისაგან თავისუფალი აზროვნება, შედარებით დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ვითარდებოდა. 90-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ოფიციალური ევროპელი გეოპოლიტიკოსები (ხშირად მემარცხენე და უკიდურესად მემარცხენე პარტიებიდან გამოსულები) სრულყოფილი გეოპოლიტიკური სქემის სიზუსტის აღსადგენად იძულებულნი იყვნენ გამოეყენებინათ „ახალი მემარჯვენეების“ შრომები, თარგმანები და კვლევები.

დაბოლოს, რუსული გეოპოლიტიკის შესახებ. გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერების დარგი, საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. იგი ოფიციალურად იყო აღიარებული „ფაშისტურ“ და „ბურჟუაზიულ“ ფსევდომეცნიერებად. მის ფუნქციებს რამდენიმე დისციპლინა ასრულებდა — სტრატეგია, სამხედრო გეოგრაფია, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია და ა. შ. ამასთან ერთად, მსოფლიო არენაზე საბჭოთა კავშირის ზოგადი გეოპოლიტიკური მოქმედება, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ რაციონალური ქცევის მოდელს ასახავს: საბჭოთა კავშირს სწრაფვა, განემტკიცებინა საკუთარი პოზიციები ევრაზიის სამხრეთში, „სანაპირო ზონებში“, აფრიკაში შეღწევის მცდელობა, სამხრეთ ამერიკაში მადესტაბილიზირებელი მოქმედებები (რომელიც მიმართული იყო აშშ-ს მიერ, მონროს დოქტრინის მიხედვით, კონტროლირებულ სივრცეში განხეთქილების შესატანად), აგრეთვე, საბჭოთა ჯარების შესვლა ავღანეთში (ამერიკული „ანაკონდის“ გასარღვევად, რომელიც ცდილობდა „თალასოკრატიის“

სტრატეგიული საზღვრების მჭიდროდ მიახლოებას „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის“ სამხრეთ საზღვრებთან) და ა. შ.

საბჭოთა კავშირს ამგვარი თანმიმდევრული და გეოპოლიტიკურად დასაბუთებული პოლიტიკა აშკარად მიუთითებს ერთგვარი „გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრის“ არსებობაზე, სადაც, ალბათ, თავს იყრიდა სხვადასხვა ტრადიციული მეცნიერების კვლევების შედეგები. ამ „ცნობებისა“ და „სინთეზის“ საფუძველზე ხორციელდებოდა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გადაწყვეტილებები. თუმცა, ამ „კრიპტოგეოპოლიტიკური“ ცენტრის მდებარეობა ძალიან ბუნდოვანია. არსებობს ვერსია, რომ ამ საქმიანობას აწარმოებდა საბჭოთა დაზვერვის რომელიმე საიდუმლო განყოფილება.

გეოპოლიტიკა კი ვითარდებოდა მხოლოდ და მხოლოდ „დისიდენტურ“ წრეებში. აღნიშნული მიმართულების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი იყო ისტორიკოსი ლევ გუმილიოვი, თუმცა მას თავის შრომებში არასდროს გამოუყენებია ტერმინები „გეოპოლიტიკა“ და „ევრაზიულობა“. უფრო მეტიც იგი ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა სოციალურ-პოლიტიკური რეალობებისადმი უშუალო მიმართვისაგან. ამგვარი „ფრთხილი“ მიდგომის წყალობით, მან საბჭოთა რეჟიმის პირობებში, შეძლო ეთნოგრაფიის ისტორიისადმი მიძღვნილი რამოდენიმე წიგნის გამოქვეყნება.

ვარშავის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულ საზოგადოებაში გეოპოლიტიკა კვლავ აქტუალური გახდა. იდეოლოგიური ცენზურის გაუქმებამ ბოლოსდაბოლოს შესაძლებელი გახადა საგნებს თავისი სახელი დარქმეოდათ. არაა გასაკვირი, რომ გეოპოლიტიკის ასაღორძინებელი პირველი ქმედებები ეროვნულ-პატრიოტულმა წრეებმა წამოიწყეს (გაზეთი „დენ“, ჟურნალი „ელემენტი“). მეთოდოლოგია იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ ინიციატივა ზოგიერთმა „დემოკრატიულმა“ მოძრაობამაც კი გადაიღო. გარდაქმნის შემდეგ გეოპოლიტიკა რუსულ საზოგადოებაში ერთ-ერთ უპოპულარულეს თემად იქცა.

სწორედ ამასთანაა დაკავშირებული თანამედროვე რუსეთში „ევრაზიელებისა“ და მათი მემკვიდრეების მიმართ გაზრდილი ინტერესი.

## თავი 2. თანამედროვე ატლანტიზმი

### 2. 1 სფიქმენის მიმდევრები – დ. უ. მეინიგი, უ. ქირქი, ს. ბ. კოენი, ჟ. ბრეი, ჰ. კისინჯერი

1945 წლის შემდეგ ამერიკული, წმინდა ატლანტური გეოპოლიტიკური მიმდინარეობების განვითარება ნიკოლას სფიქმენის თეზისების გაუმჯობესებას წარმოადგენს. ისევე, როგორც მან დაიწყო საკუთარი თეორიების განვითარება მაკინდერის თეორიების შესწორებით, ასევე მისი მიმდევრები, ძირითადად, მის შეხედულებებს უკეთებდნენ შესწორებას.

1956 წელს, სფიქმენის მოწაფემ, დ. მეინიგმა გამოაქვეყნა ნაშრომი „Hartland და Rimland ევრაზიის ისტორიაში“. მეინიგი შეგნებულად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ *„გეოპოლიტიკურ კრიტერიუმებში განსაკუთრებით უნდა იყოს გათვალისწინებული არა მხოლოდ ტერიტორიის წმინდა გეოგრაფიული ურთიერთდამოკიდებულება ხმელეთისა და ზღვის მიმართ, არამედ მოსახლეობისა*

*და სახელმწიფოს ფუნქციური ორიენტაცია*"[2]. ამ სიტყვებში აშკარად იგრძნობა ვიდალ და ლა ბლაშის გავლენა.

მეინიგი ამბობს, რომ ევრაზიის Rimland-ის მთელი სივრცე თავისი კულტურულ-ფუნქციური მიდრეკილების მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

„ჩინეთი, მონღოლეთი, ჩრდილოეთ ვიეტნამი, ბანგლადეში, ავღანეთი, აღმოსავლეთ ევროპა (პრუსიის ჩათვლით), ბალტიისპირეთი და კარელია — ორგანულად Heartland-ისკენ მიდრეკილების მქონე სივრცეებია. სამხრეთ კორეა, ბირმა, ინდოეთი, ერაყი, სირია, იუგოსლავია — გეოპოლიტიკურად ნეიტრალურნი არიან. დასავლეთ ევროპა, საბერძნეთი, თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ტაილანდი — თალასოკრატიული ბლოკისაკენ იხრებიან"[3].

1965 წელს სფიქმენის მეორე მიმდევარმა უ. კირკმა გამოსცა წიგნი[4], რომელიც იმეორებდა მაკინდერის ცნობილი სტატიის „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" სახელწოდებას. ამ წიგნში კირკმა განავითარა სფიქმენის თეზისი გეოპოლიტიკურ ძალთა წონასწორობისათვის Rimland-ის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ. მან გამოიყენა მეინიგის კულტურულ-ფუნქციური ანალიზი, „სანაპირო ზონების" „თელეოკრატიულად" და „თალასოკრატიულად" განწყობის მიხედვით დაჰყო და ააგო ისტორიული მოდელი. მასში მთავარ როლს ასრულებენ სანაპირო ცივილიზაციები, საიდანაც კულტურული იმპულსები, დიდი თუ მცირე სიხშირით აღწევს კონტინენტის შიგნით. „უმაღლესი" კულტურული ფორმები და ისტორიული ინიციატივა მიეწერება „შიდა ნახევარმთვარის" იმ სექტორებს, რომლებიც მეინიგის აზრით „თალასოკრატიისკენ არიან მიმართულნი".

ამერიკელმა სოლ კოენმა, წიგნში „გაყოფილი მსოფლიოს გეოგრაფია და პოლიტიკა"[5], გეოპოლიტიკური კვლევის მეთოდისათვის შექმნა დამატებითი კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ძირითადი გეოპოლიტიკური რეალობების ბირთვად (Nucleus) და „დისკონტინურ[6] სარტყელად" გაყოფას. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს თითოეული კონკრეტული რეგიონი შეიძლება დაიყოს 4 გეოპოლიტიკურ ნაწილად:

„1) საგარეო საზღვაო (წყლის) გარემო, რომელიც დამოკიდებულია სავაჭრო ფლოტსა და პორტებზე;

2) კონტინენტური ბირთვი (Nucleus), ოგივე „Hinterland" (გეოპოლიტიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს „სანაპიროებიდან დაშორებულ შიდა რეგიონებს");

3) დისკონტინური სარტყელი (სანაპირო სექტორები, რომლებიც მიმართულნი არიან კონტინენტის შიგნით ან მის გარეთ);

4) რეგიონები, რომლებიც გეოპოლიტიკურად დამოუკიდებელი არიან ამ ანსამბლისაგან"[7].

„დისკონტინური სარტყელების" კონცეფცია გამოიყენა ისეთმა ცნობილმა ამერიკელმა სტრატეგმა, როგორიცაა ჰენრი კისინჯერი. მას მიაჩნდა, რომ აშშ-ს პოლიტიკური სტრატეგია „დისკონტინურ" სანაპირო ზონების მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ ერთად შეკრას მისი ყველა ნაწილი და მათი საშუალებით უზრუნველყოს ატლანტიზმის სრული კონტროლი საბჭოთა ევრაზიაზე. ამ დოქტრინამ მიიღო „Linkage"[8]-ის სახელწოდება (ინგლისური „Link"-დან „კავშირი", „რგოლი"). „ანაკონდის" სტრატეგია ბოლომდე წარმატებული რომ ყოფილიყო, აუცილებელი გახდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ევრაზიის იმ „სანაპირო სექტორებისათვის" რომლებიც ან ნეიტრალიტეტს

ინარჩუნებდნენ, ან კონტინენტის შიდა სივრცეებისაკენ იხრებოდნენ. ეს პოლიტიკა პრაქტიკულად ხორციელდებოდა ვიეტნამის ომის საშუალებით, ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების გაუმჯობესებით, ირანის პროამერიკული რეჟიმის, უკრაინის, ბალტიიისპირეთის და ა. შ. ნაციონალისტ-დისიდენტების მხარდაჭერით.

ისევე, როგორც წინა პერიოდში, ომის შემდეგომი ამერიკული ატლანტური სკოლის წარმომადგენლები მუდმივად ინარჩუნებდნენ კავშირს ხელისუფლებასთან.

„ბირთვული ეპოქისადმი" მისადაგებულ გეოპოლიტიკურ შეხედულებათა განვითარებას ვხვდებით იმავე ამერიკული სკოლის სხვა წარმომადგენლთან, ქოლინ გრეისთან. თავის წიგნში „ბირთვული ხანის გეოპოლიტიკა"[9] იგი გვთავაზობს აშშ-სა და ნატოს სამხედრო სტრატეგიის მიმოხილვას, რომელშიც მსოფლიოში ბირთვული ობიექტების ადგილმდებარეობა დამოკიდებულია რეგიონების გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ თავისებურებებთან.

## 2.2. ცივი ომი ატლანტისტებმა მოიგეს

ატლანტიზმის გეოპოლიტიკური განვითარება თავის კულმინაციას 90-იანი წლების დასაწყისში აღწევს, როდესაც „ანაკონდის" სტრატეგია აბსოლუტური ეფექტურობის დემონსტრირებას ახდენს. თუ ზერელედ მაინც გადავხედავთ ამ პერიოდს შევამჩნევათ? პირველი ანგლოსაქსი გეოპოლიტიკოსების, მაკინდერის, მეჰენისა და სფიქმენის თეორიების, თითქმის, „წინასწარმეტყველურ" ჭეშმარიტებას.

ვარშავის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლა ატლანტური სტრატეგიული ორიენტაციის ზეიმს ნიშნავს, რომელიც მთელი XX საუკუნის მანძილზე ხორციელდებოდა. ცივ ომში დასავლეთი ამარცხებს აღმოსავლეთს. ზღვის ძალა („Sea Power") Heartland-ზე თავის გამარჯვებას დღესასწაულობს.

აღნიშნული მოვლენა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, შემდეგნაირად აიხსნება:

საბჭოთა ბლოკისა და ნატოს წინააღმდეგობა ისტორიაში იყო ხმელეთისა და ზღვის, ბეჰემოთისა და ლევიათანის დაპირისპირების პირველი, წმინდა ისტორიული და უმაგალითო ფორმა. ამავე დროს ძალების ასეთი გეოპოლიტიკური წინასწორობა ასახავდა არა უბრალო იდეოლოგიურ, არამედ გეოპოლიტიკურ მუდმივასაც[10].

საბჭოთა კავშირი, როგორც Heartland, როგორც ევრაზია, განასახიერებდა საბჭოთა ტიპის იდეოკრატიას. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს იყო ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებული „დიდი სივრცე", კოლოსალური ბუნებრივი რესურსებითა და ძლიერი სტრატეგიული შეიარაღებით. საბჭოთა კავშირის მთავარ უპირატესობას წარმოადგენდა მის სივრცეებზე ან მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მისკენ „კულტურულ-ფუნქციური" მიდრეკილება და ძნელად მისაწვდომი შიდა კონტინენტური სივრცეების არსებობა, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ შექმნილიყო საიმედო თავდაცვითი და ტექნოლოგიური პლაცდარმები. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით გააჩნდა საზღვაო საზღვრები, რომელთა დაცვაც სახმელეთო საზღვრებთან შედარებით გაცილებით იოლი იყო.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით აღმოსავლური ბლოკი ნატოსა და აშშ-ზე თავიდანვე სუსტი იყო. ნატო მთლიანად აკონტროლებდა ამერიკის კონტინენტსა და ევრაზიის, თითქმის, მთელ სანაპირო ზონას. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ბლოკი სტრატეგიულად დასრულებული იყო მხოლოდ ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში. ასეთი დაუსრულებლობა საბოლოოდ აღმოჩნდა ცივ ომში სსრკ-ს დამარცხების ძირითადი მიზეზი.

ცენტრალიზებული ეკონომიკის ხარჯზე, საბჭოთა კავშირმა მიაღწია სასაქონლო-სასურსათო დამოუკიდებლობას და ზესახელმწიფოს სამხედრო სტატუსს. იგი, შეძლებისდაგვარად, მიისწრაფოდა გაევრცელებინა საკუთარი გავლენა სხვა კონტინენტებზეც.

მიუხედავად ამისა აღმოსავლურ ბლოკს რამდენიმე პრინციპული გეოპოლიტიკური ნაკლი ჰქონდა. ყველაზე მთავარი სისუსტე იყო მისი სახმელეთო საზღვრების დიდი სიგრძე. თუ სამხრეთის საზღვრები მიჰყვებოდა ევრაზიულ მთაგრეხილებს (მანჯურია, ტიან-შანი, პამირი და კავკასიონი), სამაგიეროდ დასავლეთის საზღვრები გადიოდა ევროპის ვაკის შუაგულზე, რომელიც ატლანტიზმის სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენდა (მაშინ, როცა ატლანტიზმის ცენტრალური ბაზა „ხმელთაშუა ოკეანის" (Midland Ocean) დასავლეთ სანაპიროზე იყო განლაგებული. სამხრეთით არსებული მთები მართალია ხელსაყრელი იყო თავდაცვისათვის, მაგრამ გარკვეულ დაბრკოლებებსაც ქმნიდნენ, ვინაიდან გზას უხშობდნენ შესაძლო ექსპანსიას და სამხრეთის ზღვებზე გასვლას.

ამასთან, აღმოსავლეთის ბლოკი იძულებული იყო სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიკური, ინტელექტუალური, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსებისათვის თავი მოეყარა ერთ გეოპოლიტიკურ ცენტრში.

ასეთი მდგომარეობისაგან მკვეთრად განსხვავებული იყო დასავლეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა (ამის აღნიშვნა აუცილებელია, ვინაიდან, ძალთა ამგვარი განაწილების დროს დასავლეთ ევროპის მდებარეობა საკმაოდ ცუდი

იყო; იგი იძულებული იყო ყოფილიყო მოწინააღმდეგე ბანაკის საზღვართან მდებარე აშშ-ს სახმელეთო ბაზა და შეესრულებინა, „*სანიტარული კორდონის*" როლი). ამერიკა მთლიანად დაცული იყო „*სა ზღვაო სა ზღვრებით*". უფრო მეტიც, კონტინენტის სტრატეგიული გაერთიანებით მან უფლება მიიღო კონტროლი განეხორციელებინა ევრაზიის სანაპიროების, Rimland-ის უზარმაზარ ნაწილზე. დასავლეთ ევროპიდან, საბერძნეთისა და თურქეთის გავლით (ნატოს წევრი ქვეყნები), ატლანტისტების კონტროლი აღწევდა შორეულ აღმოსავლეთამდე (ტაილანდი, სამხრეთ კორეა, სტრატეგიულად კოლონიზებული იაპონია). ეს ზონა თანდათან, მწყობრად გადიოდა ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში განლაგებულ უმნიშვნელოვანეს სამხედრო ბაზებზე (კუნძული სან-დიეგო და ფილიპინები, უფრო შორს გუამა, კარიბი და ჰაიტი). მაშასადამე, შესაძლებელი კონფლიქტები გადატანილი იყო ძირითადი სტრატეგიული სივრცის მიღმა.

ატლანტისტებმა შექმნეს ძალოვანი „ბირთვების" გეოპოლიტიკური განაწილების ძალზე რთული და დიფერენციული სისტემა, რომელშიც აშშ-მ უზრუნველყო თავისი სამხედრო-სტრატეგიული ძლევამოსილება. ინტელექტუალური, ფინანსური, საწარმოო სტრუქტურები, აგრეთვე, მაღალი ტექნოლოგიების დამუშავების ცენტრები თავს იყრიდნენ დასავლეთ ევროპაში, ვინაიდან იგი თავისუფალი იყო საკუთარ სამხედრო უსაფრთხოებაზე ზრუნვისაგან (პოლიციისა და წმინდა დეკორატიული სამხედრო ძალების შენახვის გარდა).

ბუნებრივი რესურსები მოედინებოდა მესამე სამყაროს ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული რეგიონებიდან. ხშირად აქედანვე, მოდიოდა იაფი მუშახელიც.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბებული „სტატუს ქვოს" შენარჩუნება შემტევი პოზიცია იყო. ატლანტისტი გეოპოლიტიკოსების აზრით, ამგვარ ვითარების აუცილებლად უნდა გამოეწვია კონტინენტური ბლოკის გამოფიტვა. იგი განწირული იყო სრული მარტოობისათვის და იძულებული იქნებოდა დამოუკიდებლად და ერთდროულად განევითარებინა ყველა სტრატეგიული მიმართულება.

ამგვარ სიტუაციაში, Heartland-ს მხოლოდ ორი გამოსავალი ჰქონდა. პირველი — სამხედრო ექსპანსია დასავლეთში, ევროპის ატლანტიკამდე დაპყრობის მიზნით. ამგვარი ძალისხმევის შემდეგ, საბჭოთა კავშირი მოიპოვებდა მშვიდ საზღვაო საზღვრებსა და სამრეწველო-ინტელექტუალურ და ტექნოლოგიურ პოტენციალს. ამავე დროს მსგავსი მოქმედებები უნდა განხორციელებულიყო სამხრეთით, რათა საბოლოოდ მოეპოვებინა თბილ ზღვებზე გასასვლელი და გაერღვია „ზღვის ძალის" „ანაკონდის" რკალი (Sea Power). ეს იყო ურთულესი გზა, რომელსაც წარმატების შემთხვევაში შეეძლო გამოეწვია სტაბილური კონტინენტური მშვიდობის დამყარება, ხოლო უახლოეს მომავალში „სანაპირო ზონებიდან" (Rimland-იდან) გაძევებულ ამერიკას კრახამდე მიიყვანდა.

მეორე გზა, პირიქით, იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა კავშირსა და მის სამხედრო ძალებს დასავლეთ ევროპიდან ნატოს ძალების გაყვანის სანაცვლოდ უნდა დაეტოვებინათ აღმოსავლეთ ევროპა. ამის შედეგად უნდა შექმნილიყო ერთიანი, მკაცრად ნეიტრალური ევროპული ბლოკი („შეზღუდული „დისუაზიური" ბირთვული პოტენციალის დაშვებით). აღნიშნული ვარიანტი, შარლ დე გოლის

მმართველობის პერიოდში, სერიოზული განხილვის საგანს წარმოადგენდა.

იგივე შეიძლება განხორციელებულიყო აზიის მიმართაც. შუა აზიის ზოგიერთი რესპუბლიკის უშუალო პოლიტიკურ კონტროლზე უარის თქმის სანაცვლოდ უნდა შექმნილიყო ავღანეთის, ირანისა და ინდოეთის (შესაძლოა ჩინეთის) შიდაკონტინენტურად ორიენტირებული მძლავრი სტრატეგიული ანტიამერიკული ბლოკი.

დაბოლოს, შესაძლებელი იყო ორივე ვარიანტის შეჯერებაც (დასავლეთისაკენ მშვიდობიანი გზით წასვლა, ხოლო აღმოსავლეთისაკენ სამხედრო ლაშქრობა, ან პირიქით). საჭირო იყო მხოლოდ ამ ორი გეოპოლიტიკური ქმედების სინქრონული დაწყება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაჩნდებოდა ძალთა მსოფლიო წონასწორობის შეცვლის იმედი და ხმელეთის აშკარად წამგებიანი პოზიციიდან მოსაგებ პოზიციაში გადასვლა. აუცილებელი იყო ნებისმიერ ფასად, გარღვეულიყო „*შეკავება*" (ცივი ომის პერიოდში ამ ტერმინით აღინიშნებოდა „ანაკონდის" სამხედრო გეოპოლიტიკური ტაქტიკა).

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა არ გადადგა ამგვარი რადიკალური გეოპოლიტიკური ნაბიჯი, ატლანტისტ სახელმწიფოებს ისღა დარჩენოდათ, რომ მიეღოთ კარგად გათვლილი და გეოპოლიტიკურად შემოწმებული გრძელვადიანი პოზიციური სტრატეგიის ნაყოფი.

ყოველმხრივი დაძაბულობის გამო საბჭოთა სახელმწიფომ ვერ გაუძლო იზოლაციას და დაიშალა. ხოლო ავღანეთში სამხედრო ინტერვენციამ, რომელიც დასავლეთ ევროპაში პარალელური სტრატეგიული ნაბიჯების გარეშე მიმდინარეობდა, საქმის შველის ნაცვლად, ფრიად დაამძიმა სიტუაცია.

## 2.3. აეროკრატია და ეთეროკრატია

ტრადიციული ატლანტური გეოპოლიტიკა, „ზღვის ძალას" მიიჩნევს რა თავისი კონცეფციის ცენტრად, „ზღვის გეოპოლიტიკას" წარმოადგენს. ამგვარ გეოპოლიტიკაზე დაფუძნებულმა გლობალურმა სტრატეგიამ დასავლეთი, მსოფლიო ძლევამოსილებამდე მიიყვანა. ტექნიკის განვითარებამ კი განაპირობა საჰაერო სივრცის ათვისება, რამაც აუცილებელი გახადა „ჰაერის გეოპოლიტიკის" შემუშავება.

დასრულებული და ძირფესვიანად დამუშავებული „ზღვის გეოპოლიტიკისაგან" განსხვავებით, სრულფასოვანი „ჰაერის გეოპოლიტიკა" არ არსებობს. საერთო გეოპოლიტიკურ სქემას ემატება საჰაერო მიმოსვლის ფაქტორი. საჰაერო გარემოს აქტუალიზაციისა და მასთან დაკავშირებული შეიარაღების ახალი ტიპების (სტრატეგიული ავიაცია, საკონტინენტთაშორისო რაკეტები და ბირთვული ავიაცია) გამო ზოგიერთი გეოპოლიტიკური თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვალა.

საჰაერო სივრცის ათვისებამ, გარკვეული თვალსაზრისით, გაათანაბრა ხმელეთი და ზღვა, ვინაიდან თვითმფრინავებისა და რაკეტებისათვის ამ სივრცეებს შორის მანძილს დიდი მნიშვნელობა არა აქვს (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ავიამზიდების შექმნა, რომელმაც ხმელეთს საბოლოოდ ჩამოაშორა საჰაერო ბაზები).

ამასთანავე, ავიაციის გავითარებამ შეცვალა მსოფლიოს მასშტაბის

პროპორციები, დედამიწა მნიშვნელოვნად „მცირე“ გახდა, ხოლო მანძილი — „მოკლე“. რაკეტათმშენებლობისა და სტრატეგიული ავიაციის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ტრადიციული გეოპოლიტიკური ფაქტორები: საზღვაო და სახმელეთო საზღვრები, შიდაკონტინენტური ბაზები და ა. შ.

შეიარაღების დედამიწის ორბიტაზე გატანა და კოსმოსური სივრცის სტრატეგიული ათვისება მსოფლიოს „შეკუმშვის“ ბოლო ეტაპსა და სივრცულ განსხვავებათა საბოლოო რელატივიზაციას[13] წარმოადგენდა.

მოქმედი გეოპოლიტიკა იძულებული გახდა, ხმელეთისა და ზღვის გარდა, გაეთვალისწინებინა კიდევ ორი სტიქია — ჰაერი და ეთერი (კოსმოსური სივრცე). სამხედრო დონეზე, ამ სტიქიებს შეესაბამება ბირთვული იარაღი (ჰაერი) და „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა (კოსმოსი). თელეროკრატიისა და (თალასოკრატიის) მმართველობის მსგავსად გეოპოლიტიკური სისტემის ამ ორ უახლეს სახეს შეიძლება ეწოდოს აეროკრატია (ჰაერის მმართველობა) და ეთეროკრატია (ეთერის მმართველობა).

კარლ შმიტმა შექმნა ამ ორი ახალი სფეროს ზოგადი სქემა. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრინციპული შენიშვნა ის გახლავთ, რომ „აეროკრატია“ და „ეთეროკრატია“ ერთობლივად წარმოადგენენ „ზღვის წესრიგის“ (ნომოსის) განვითარებას, „თალასოკრატიის“ განვითარებულ ფაზებს, ვინაიდან ახალ სფეროთა ათვისების მთელი ტექნიკური პროცესი მიისწრაფვის გარემოს „გათავხედების“ მიმართულებით, რასაც შმიტის აზრით, თან ახლავს შესაბამისი კულტურული და ცივილიზაციური პროცესები — ხმელეთის წესრიგისაგან (ნომოსისაგან) მზარდი დაშორება არა მხოლოდ სტრატეგიული, არამედ ეთნიკური, სულიერი, სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჰაერო და კოსმოსური გარემოს ათვისება თალასოკრატიული ტენდენციის გაგრძელებას წარმოადგენს. მაშასადამე, იგი შეიძლება განიხილულ იქნას როგორც ატლანტური სტრატეგიის უმაღლესი სტადია.

ამ ვითარებაში, ცივ ომში სახელმწიფოთა კავშირების ბირთვული დაპირისპირება წარმოადგენს „ზღვის ძალის“ მიერ Heartland-ისათვის თავს მოხვეულ კონკურენციას. Heartland იძულებული იყო, მიეღო მოწინააღმდეგე მხარის მიერ ნაკარნახევი სტრატეგიულ-პოზიციური დუელის პირობები. ტექნოლოგიური და სტრატეგიული განვითარების თვალსაზრისით, დასავლეთის სამყაროს განვითარების ლოგიკას თან ახლავს „სტიქიის გათავხედების“ აქტიური პროცესი. იგი მიმდინარეობს ატლანტისტების შეტევის პარალელურად, რომლის მიზანია წაართვას კონტინენტურ ცენტრს სანაპირო ზონები, ორივე შემთხვევაში სახეზეა ერთი გეოპოლიტიკური ბანაკის შემტევი ინიციატივა და მეორის საპასუხო თავდაცვითი რეაქცია.

ინტელექტუალურად ეს იმაში მყღავნდება, რომ ატლანტისტები თეორიულ დონეზე ამუშავებენ *„აქტიურ გეოპოლიტიკას“* და ამ მეცნიერებას ღიად და გეგმაზომიერად სწავლობენ.

დასავლეთის თვალსაზრისით, გეოპოლიტიკა წარმოადგენს ისეთ დისციპლინას, რომელიც აყალიბებს საერთაშორისო სტრატეგიის ზოგად კონტურებს. აღმოსავლეთში კი, გეოპოლიტიკა დიდი ხნის მანძილზე ოფიციალურად არც კი იყო აღიარებული მეცნიერებად, იგი წარმოადგენდა (და კვლავ წარმოადგენს)

„რეაქციას“ პოტენციური მოწინააღმდეგის მოქმედებაზე. ეს იყო და არის *„პასიური გეოპოლიტიკა“*, რომელიც ინერციულად პასუხობს ატლანტიზმის სტრატეგიულ გამოწვევას.

ბირთვულ სამყაროში და ორბიტული სივრცის ათვისების პირობებში გეოპოლიტიკური პროცესების არსის გაგებისათვის კარლ შმიტის შენიშვნა, იმის შესახებ, რომ აეროკრატია და ეთეროკრატია წარმოადგენენ არა დამოუკიდებულ ცივილიზაციურ სისტემებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ზღვის „წესრიგის“ განვითარების შედეგს, ძალიან ზუსტად ასახავს საქმის ვითარებას.

## 2.4 უახლესი ატლანტიზმის ორი ვერსია

საბჭოთა კავშირზე ატლანტიზმის გამარჯვება მკვეთრად განსხვავებულ ეპოქაში გადასვლის ნიშანი იყო და ორიგინალური გეოპოლიტიკური მოდელის დამუშავებას მოითხოვდა. მკვეთრად იცვლებოდა ყველა ტრადიციული ტერიტორიის, რეგიონის, სახელმწიფოსა და კავშირის გეოპოლიტიკური სტატუსი. ცივი ომის დამთავრების შემდეგ, მსოფლიო რეალობის გააზრებამ, ატლანტისტი გეოპოლიტიკოსები ორ უმთავრეს სქემასთან მიიყვანა.

მათ შორის ერთს შეიძლება ვუწოდოთ „პესიმისტური“ (ატლანტიზმისათვის). იგი აგრძელებს ატლანტიზმისათვის ტრადიციული კონფრონტაციის ხაზს Heartland-თან, ვინაიდან ითვლება, რომ ეს დაპირისპირება საბჭოთა კავშირს დაცემასთან ერთად არ დასრულებულა და დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, ამასთანავე არაა გამორიცხული ცივილიზაციურ ტრადიციებსა და მტკიცე ეთნიკურ არქეტიპებზე დაფუძნებული ახალი ევრაზიული ბლოკების წარმოქმნა. ამ სქემას შეიძლება ეწოდოს „ნეოატლანტიზმი“. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ კვლავ გაგრძელდება მსოფლიოს გეოპოლიტიკური სქემის განხილვა დუალისტური თვალსაზრისით, რაც გამოიხატება დამატებითი გეოპოლიტიკური ზონების (ევრაზიის გარდა) გამოყოფის სახით, რომლებიც, აგრეთვე, შეიძლება დასავლეთთან მომავალი დაპირისპირებების მიზეზად იქცნენ. ამგვარი ნეოატლანტიკური მსოფლმხედველობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია სამუელ ჰანთინგტონი.

მეორე სქემა, რომელიც იმავე საწყის გეოპოლიტიკურ სურათს ეფუძნება, პირიქით, ოპტიმისტურია (ატლანტიზმისათვის). იგი ცივ ომში დასავლეთის გამარჯვების შედეგად შექმნილ ვითარებას განიხილავს, როგორც საბოლოო და შეუქცევად პროცესს. ამის საფუძველზე შენდება „მონდიალიზმის“ თეორია, *ისტორიის აღსასრულისა* და *One World-ის (ერთიანი მსოფლიო)* კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს, რომ გეოპოლიტიკური დაყოფის ყველა ფორმა — კულტურული, ეროვნული, რელიგიური, სახელმწიფოებრივი და ა. შ. სულ მალე საბოლოოდ შეიცვლება და დადგება ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი საკაცობრიო ცივილიზაციის ხანა. ისტორია დასრულდება იმ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებასთან ერთად, რომელიც მას (ისტორიას) მთავარ, საწყის იმპულსს ანიჭებდა. ეს გეოპოლიტიკური პროექტი უკავშირდება ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ფრენსის ფუკუიამას სახელს, რომელმაც გამოაქვეყნა საპროგრამო ნაშრომი სახელწოდებით „ისტორიის აღსასრული“. ამ მონდიალისტური თეორიის შესახებ მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

განვიხილოთ ჰანთინგტონის კონცეფციის ის ძირითადი დებულებები,

რომლებიც დასავლეთის ტრადიციული ატლანტისტური გეოპოლიტიკის ულტრათანამედროვე განვითარებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჰანთინგტონი თავის პროგრამულ შრომას „ცივილიზაციათა შეჯახება" („The Clash of civilisation"), აგებს ფუკუიამას „ისტორიის აღსასრულის" თეზისის საპასუხოდ. აღსანიშნავია, რომ ეს პოლემიკა პოლიტიკურ დონეზე შეესაბამება აშშ-ს ორი წამყვანი პოლიტიკური პარტიის პოზიციას — ფუკუიამა გამოხატავს დემოკრატების, ხოლო ჰანთინგტონი — რესპუბლიკელების გლობალურ სტრატეგიულ პოზიციას. რაც საკმოდ ზუსტად გამოხატავს ორი უახლესი გეოპოლიტიკური პროექტის არსს, ნეოატლანტიზმი მიჰყვება კონსერვატიულ ხაზს, ხოლო „მონდიალიზმი" უპირატესობას ანიჭებს სრულიად ახლებურ მიდგომას, ისეთს, რომელშიც ყველა გეოპოლიტიკური რეალობა ძირფესვიან გადასინჯვას საჭიროებს.

## 2.5. ცივილიზაციათა შეჯახება: ჰანთინგტონის ნეოატლანტიზმი

ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული, ჯონ ოლინის სახელობის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორის სამუელ ჰანთინგტონის თეორიის არსი, რომელიც ჩამოყალიბებულია მის შრომაში „ცივილიზაციათა შეჯახება"[14] (რომელიც წარმოადგენს დიდი გეოპოლიტიკური პროექტის — „ცვლილებანი გლობალურ უსაფრთხოებაში და ამერიკის ეროვნული ინტერესები" — რეზიუმეს), შემდეგში მდგომარეობს:

კონტინენტური ძალების უკანასკნელი საყრდენის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელ მსოფლიოში ატლანტიზმის თვალსაჩინო გეოპოლიტიკური გამარჯვება სინამდვილის მხოლოდ ზედაპირული მხარეა. ნატოს სტრატეგიული წარმატება, თანმხლები იდეოლოგიური გაფორმებით — მთავარ, დაპირისპირებულ კომუნისტურ იდეოლოგიაზე უარის თქმა — არ ეხება ღრმა ცივილიზაციურ შრეებს. ფუკუიამასგან განსხვავებით, ჰანთინგტონი ამტკიცებს, რომ სტრატეგული გამარჯვება არ ნიშნავს ცივილიზაციურ გამარჯვებას; დასავლური იდეოლოგია — ლიბერალური დემოკრატია, ბაზარი და ა. შ. — უალტერნატივოა მხოლოდ დროებით, ვინაიდან ძალიან მალე არადასავლური ხალხები გამოავლენენ თავიანთ ცივილიზაციურ და გეოპოლიტიკურ თავისებურებებს. ეს იქნება სავიცკის მიერ მოხსენიებული „გეოგრაფიულ ინდივიდუუმების" მსგავსი.

კომუნისტური იდეოლოგიის უარყოფა და ტრადიციული სახელმწიფოების სტრუქტურაში ცვლილებები (ერთი წარმონაქმნის დაცემა, მეორის აღმოცენება და ა. შ.) არ გამოიწვევს მთელი კაცობრიობის ავტომატურ გათანაბრებას ატლანტური ფასეულობების უნივერსალურ სისტემასთან, პირიქით, ხელახლა იჩენს თავს ზედაპირული იდეოლოგიური ჩარჩოებისაგან გათავისუფლებული ყველაზე ღრმა კულტურული შრეები.

ჰანთინგტონი იმოწმებს ჯორჯ ვეიგელს: „*მსოფლიო დესეკულარიზაცია, XX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური მოვლენაა*".[15] მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ ხალხებმა თავიდან მოიცილონ რელიგიური განსხვავება ერთიან მსოფლიოში, რის შესახებაც ფუკუიამა საუბრობს, ისინი უფრო ცხოვლად შეიგრძნობენ თავიანთ რელიგიურ კუთვნილებას.

ჰანთინგტონი ამტკიცებს, რომ დასავლური (ატლანტური) ცივილიზაციის




რვა ცივილიზაცია (ჰანტინგტონის მიხედვით)

გვერდით, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპას, შეიძლება შევამჩნიოთ კიდევ შვიდი შესაძლო ცივილიზაციის გეოპოლიტიკური არსებობა:

1) სლავურ-მართლმადიდებლური;
2) კონფუციური (ჩინური);
3) იაპონური;
4) ისლამური;
5) ინდუისტური;
6) ლათინურ-ამერიკული;
და შესაძლოა 7) აფრიკული[16].

რა თქმა უნდა ყველა ეს ცივილიზაცია ერთნაირი მნიშვნელობის არ არის, მაგრამ ისინი ერთმანეთის მსგავსია იმით, რომ მათი განვითარებისა და გაძლიერების ვექტორი ატლანტიზმისა და დასავლეთის ცივილიზაციის განვითარების საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული. ჰანთინგტონს მიაჩნია, რომ ეს პრაქტიკულად გარდუვალია და უკვე დღეს, მონდიალისტური წრეების ეიფორიის მიუხედავად, დასავლეთის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგ ფორმულას: „*The West and The Rest*" („დასავლეთი და დანარჩენები")[17].

საკითხის ამგვარი ხედვის გეოპოლიტიკური დასკვნები ნათელია: ჰანთინგტონს მიაჩნია, რომ ატლანტისტებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ საკუთარი ცივილიზაციის სტრატეგიული პოზიციები, მოემზადონ წინააღმდეგობისათვის, შექმნან ერთიანი სტრატეგიული ძალისხმევა, შეაკავონ ანტიატლანტური ტენდენციები სხვა გეოპოლიტიკურ წარმონაქმნებში და არ დაუშვან მათი გაერთიანება დასავლეთისათვის საშიშ კონტინენტურ ალიანსში.

მისი აზრით: „დასავლეთის ინტერესები აშკარად მოითხოვს:

1) თანამშრომლობისა და ერთიანობის განმტკიცებას საკუთარი ცივილიზაციის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის;

2) აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების ინტეგრაცია დასავლეთის შემადგენლობაში, რომლებიც ახლოსაა მის კულტურასთან;

3) რუსეთსა და იაპონიასთან თანამშრომლობის განმტკიცება და გაფართოება;

4) ლოკალური კონფლიქტების გაფართოებისა და ცივილიზაციებს შორის დიდმასშტაბიან ომებში მათი გადაზრდის საფრთხის თავიდან აცილება;

5) კონფუციური და ისლამური ქვეყნების სამხედრო ძლიერების ზრდის შეზღუდვა;

6) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უპირატესობის შენარჩუნება;

7) კონფუციურ და ისლამურ ქვეყნებს შორის კონფლიქტებისა და უთანხმოების გამოყენება;

8) სხვა ცივილიზაციების იმ წარმომადგენლების მხარდაჭერა, რომლებიც ამყღავნებენ სიმპათიას დასავლური ფასეულობებისა და ინტერესების მიმართ;

9) ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების განმტკიცება, რომლებიც ამყღავნებენ და ლეგიტიმურობას ანიჭებენ დასავლეთის ინტერესებსა და ფასეულობებს, არადასავლური ქვეყნების მოზიდვა ამ ინსტიტუტებში მონაწი-

ლეობისათვის"[18].

ეს გახლავთ ნეოატლანტიზმის დოქტრინის მოკლე და ყოვლისმომცველი ფორმულირება.

წმინდა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ეს წარმოადგენს მეჰენისა და სფიქმენის პრინციპების ერთგულებას. აქცენტი, რომელსაც ჰანთინგტონი სვამს კულტურულ და ცივილიზაციურ განსხვავებებზე, როგორც უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, მიუთითებს, რომ იგი ეკუთვნის „ორგანიზმულ" ფილოსოფიასთან დაკავშირებულ კლასიკურ გეოპოლიტიკურ სკოლას. ფილოსოფიის ამ მიმართულებისთვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო სოციალური სტრუქტურებისა და სახელმწიფოების განხილვა „ბიოლოგიურ ორგანიზმებად" და არა მექანიკურ ან წმინდა იდეოლოგიურ წარმონაქმნებად.

ჰანთინგტონი დასავლეთის ყველაზე შესაძლო მოწინააღმდეგეებად მიიჩნევს ჩინეთსა და ისლამურ სახელმწიფოებს (ირანი, ერაყი, ლიბია და სხვ.). რაშიც მკაფიოდ ჩანს მეინიგისა და კირკის დოქტრინის უშუალო გავლენა. ისინი თვლიდნენ, რომ „სანაპირო ზონების" (Rimland) ორიენტაცია („კონფუციური" და ისლამური ცივილიზაციები გეოპოლიტიკურად, ძირითადად, სწორედ „სანაპირო ზონებს" (Rimland) ეკუთვნიან) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე Heartland-ის პოზიცია. ამიტომ ნეოატლანტიზმის სხვა წარმომადგენლებისაგან, კერძოდ, პოლ ვოლფოვიცისაგან განსხვავებით, ჰანთინგტონი მთავარ საფრთხეს სრულიადაც არ ხედავს რუსეთ-ევრაზიის, Heartland-ის აღორძინებაში ან სხვა რომელიმე ახალი ევრაზიული კონტინენტური წარმონაქმნის ჩამოყალიბებაში.

ამერიკელი პოლ ვოლფოვიცი (უშიშროების საკითხთა მრჩეველი) აშშ-ს მთავრობისადმი 1992 წლის მარტის მოხსენებაში საუბრობს: „ევროპისა და აზიის კონტინენტებზე ისეთი სტრატეგიული ძალის წარმოშობის დაუშვებლობის შესახებ, რომელიც შესძლებდა დაპირისპირებოდა აშშ-ს"[19]. შემდეგ იკვეთება, რომ ყველაზე მეტად, ასეთ შესაძლო ძალად (რომელზეც აქ არის საუბარი), მიჩნეულია რუსეთი, ამიტომ მის წინააღმდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნების საფუძველზე უნდა შეიქმნას „სანიტარული კორდონი". ამ შემთხვევაში ამერიკელი სტრატეგი ვოლფოვიცი თავისი შეხედულებებით უფრო ახლოს დგას მაკინდერთან, ვიდრე სფიქმენთან და ეს განასხვავებს კიდეც მას ჰანთინგტონისაგან.

სხვა შემთხვევებში, კონკრეტული პოზიციური მოწინააღმდეგის მიუხედავად, ყველა ატლანტისტის პოზიცია, ძირითადად, ერთია: ცივ ომში გამარჯვება დასავლეთს არ უხსნის იმ საშიშროებას, რომელიც მომდინარეობს სხვადასხვა გეოპოლიტიკური წარმონაქმნებიდან (თანამედროვე თუ სამომავლო). მაშასადამე, „ერთიანი მსოფლიოს" შესახებ საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია და XXI საუკუნის მთავარ გეოპოლიტიკურ სქემად ისევ თელეოროკრატიისა და აეროკრატიითა და ეთეროკრატიით განმტკიცებული თალასოკრატიის დაპირისპირება რჩება.

ამგვარი დუალიზმის ახალ და უფრო ზოგად ფორმულირებას წარმოადგენს ჰანთინგტონის თეზისი: „The West and The Rest" (დასავლეთი და დანარჩენები).

# თავი 3. მონდიალიზმი

## 3.1. მონდიალიზმის წარმოშობის ისტორია

„მონდიალიზმის" კონცეფცია წარმოიშვა დიდი ხნით ადრე, ვიდრე დასავლეთი ცივ ომში საბოლოო გამარჯვებას მიაღწევდა.

მონდიალიზმის არსი მდგომარეობს მრავალრიცხოვანი სახელმწიფოების, ხალხების, ერებისა და კულტურების არსებობიდან ერთგვაროვან მსოფლიომდე (One World) გაერთიანების გარდაუვალობის მტკიცებაში.

ამ იდეის სათავეებს შეიძლება მივაკვლიოთ შუა საუკუნეებსა და უფრო ძველ პერიოდებში აღმოცენებულ ზოგიერთ უტოპიურ და ჰილიალურ მოძრაობაში. რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ისტორიის რომელიღაც კულმინაციურ მომენტში მოხდება დედამიწის ყველა ხალხის გაერთიანება ერთ სამეფოდ, სადაც აღარ იარსებებენ ჩვეულებრივი მიწიერი ისტორიისათვის დამახასიათებელი დაპირისპირებები, ტრაგედიები, კონფლიქტები და პრობლემები.

მონდიალისტური უტოპიის წმინდა მისტიკურ ვერსიებთან ერთად, არსებობს მისი რაციონალური ვერსიებიც. ერთ-ერთ მათგანად შეიძლება მივიჩნიოთ, პოზიტივისტ ოგიუსტ კონტის სწავლება „მესამე დროების" შესახებ ან ლესინგის[20] ჰუმანისტური ესქატოლოგია[21] და ა. შ.

მონდიალისტური იდეები ყველაზე მეტად დამახასიათებელია ზომიერი ევროპელი და, განსაკუთრებით, ინგლისელი სოციალისტებისათვის (ზოგიერთი მათგანი გაერთიანებული იყო „ფაბიანეს საზოგადოებაში"). ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შესახებ მსჯელობდნენ კომუნისტებიც. სხვა მხრივ, მსგავსი მონდიალისტური ორგანიზაციები იქმნებოდა XIX საუკუნის მიწურულიდან მსოფლიო ბიზნესის მსხვილი წარმომადგენლების მიერ (მაგალითად, სერ სესილ როუდსის მიერ ორგანიზებული ჯგუფი „მრგვალი მაგიდა"). მის წევრებს „ხელი უნდა შეეწყოთ მთელ მსოფლიოში დაუბრკოლებელი სავაჭრო სისტემის დამყარებისა და ერთიანი მსოფლიო მთავრობის შექმნისათვის". ხშირად ხდებოდა, რომ სოციალისტური და ლიბერალ-კაპიტალისტურ მოტივები გადაეჯაჭვებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და კომუნისტები, ამ ორგანიზაციებში, ემეზობლებოდნენ უმსხვილესი ფინანსური კაპიტალის წარმომადგენლებს. მათ ყველას მსოფლიოს გაერთიანების უტოპიური იდეის რწმენა აერთიანებდათ.

აღსანიშნავია, რომ ისეთი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა ერთა ლიგა, მოგვიანებით კი გაერო და იუნესკო, სწორედ ამგვარი, მსოფლიო პოლიტიკაზე დიდი გავლენის მქონე მონდიალისტური ორგანიზაციების გაგრძელებას წარმოადგენენ.

XX საუკუნის განმავლობაში, ამ მონდიალისტურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ერიდებოდნენ გადამეტებულ რეკლამას და ხშირად ატარებდნენ „საიდუმლო" ხასიათს, მრავალჯერ გამოიცვალეს სახელი. არსებობდა ჰარი დევისის „უნივერსალური მოძრაობა მსოფლიო კონფედერაციისათვის", „ფედერალური კავშირი" და, აგრეთვე, „ჯვაროსნული ლაშქრობა მსოფლიო მთავრობისათვის " (რომელიც შექმნილი იყო ინგლისელი პარლამენტარის ჰენრი ასბორნის მიერ 1946 წელს).

აშშ-ში დასავლეთის მთელი კონცეპტუალური და სტრატეგიული ხელისუფლების თავმოყრასთან ერთად, იგი (აშშ) გადაიქცა მონდიალიზმის მთავარ ბანაკად. მისმა წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს ხელისუფლების პარალელური სტრუქტურა, რომელშიც შედიოდნენ მრჩეველები, ანალიტიკოსები და სტრატეგიული კვლევების ცენტრები.

ასე ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მონდიალისტური ორგანიზაცია, რომელთა არსებობის შესახებ დასავლეთის საზოგადოებამ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შეიტყო. ოფიციალური სტრუქტურებისაგან განსხვავებით, ეს ჯგუფები სარგებლობდნენ პროექტირებისა და კვლევების საკმაოდ დიდი თავისუფლებით, ვინაიდან ისინი თავისუფალნი იყვნენ გაეროს კომისიებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობის მარეგლამენტირებელი ფორმალური და ფიქსირებული პროცედურებისაგან.

*პირველი — „საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო“* (Counsil on Foreign Relations, შემოკლებით C.F.R.). მისი დამაარსებელი იყო უმსხვილესი ამერიკელი ბანკირი — მორგანი. ეს არაოფიციალური ორგანიზაცია დაკავებული იყო ამერიკის მსოფლიო სტრატეგიის შემუშავებით, „რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა მთელი მსოფლიოს უნიფიკაცია“ და მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება. ეს ორგანიზაცია წარმოიშვა ჯერ კიდევ 1921 წელს, როგორც „კარნეგის ფონდი მსოფლიო მშვიდობისათვის“ გაგრძელება. აქ ხდებოდა მასში შემავალი მაღალი თანამდებობის პოლიტიკოსებისათვის მსოფლიოს მომავლის მონდიალისტური შეხედულებების გაცნობა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ C.F.R-ის წევრთა უმრავლესობა ამასთანავე იყო შოტლანდიური მასონობის მაღალი წრის წარმომადგენელი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გეოპოლიტიკურ პროექტებს გააჩნდათ გარკვეული ჰუმანისტურ-მისტიკური განზომილებაც.

1954 წელს შეიქმნა მეორე მონდიალისტური სტრუქტურა — *ბილდერბერგის კლუბი ანუ ბილდერბერგის ჯგუფი.* ამჯერად იგი აერთიანებდა არა მარტო ამერიკელ ანალიტიკოსებს, პოლიტიკოსებს, ფინანსისტებსა და ინტელექტუალებს, არამედ მათ ევროპელ კოლეგებსაც. ამერიკელთა მხრიდან იგი წარმოდგენილი იყო მხოლოდ და მხოლოდ C.F.R-ის წევრებით და განიხილებოდა მის საერთაშორისო გაგრძელებად.

1973 წელს ბილდერბერგის ჯგუფის აქტივისტების მიერ ჩამოყალიბდა მესამე უმნიშვნელოვანესი მონდიალისტური სტრუქტურა — *„სამხრივი კომისია“* ანუ *„ტრილატერალი“ (Trilateral).* მას სათავეში ედგნენ C.F.R-ისა და ბილდერბერგის ჯგუფის ამერიკელი წარმომადგენლები. ამერიკის გარდა (სადაც არის მისი შტაბ-ბინა, მისამართი — 345 East 46th street, New York), მას გააჩნია კიდევ ორი შტაბ-ბინა — ევროპასა და იაპონიაში.

სახელწოდება „სამხრივი კომისია“ შერჩეულია უმთავრესი გეოპოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე. იგი მიზნად ისახავს, ატლანტიზმისა და აშშ-ს ფრთებქვეშ გააერთიანოს ტექნიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაში დაწინაურებული *სამი* დიდი სივრცე:

1. ამერიკული სივრცე, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ჩათვლით;
2. ევროპული სივრცე;
3. იაპონიის მიერ კონტროლირებადი წყნარი ოკეანის სივრცე.

ბილდერბერგისა და ტრილატერალის უმნიშვნელოვანესი მონდიალისტური ჯგუფების სათავეში დგას C.F.R-ის მაღალი წრის პირი, უმსხვილესი ბანკირი, „ჩეიზ მენჰეთენ ბენქის" მფლობელი დევიდ როკფელერი.

როკფელერის გარდა, ყველა მონდიალისტური პროექტის ცენტრში დგანან ატლანტიზმის უცვლელი ანალიტიკოსები, გეოპოლიტიკოსები და სტრატეგები — ზბიგნევ ბზეჟინსკი[23] და ჰენრი კისინჯერი, მათთან არის ცნობილი ჯორჯ ბოლიც.

ყველა მონდიალისტური პროექტის ძირითადი მიზანია, ერთიანი მსოფლიო სისტემის შექმნა დასავლეთის სტრატეგიული უპირატესობისა და „პროგრესული", „ჰუმანისტური", „დემოკრატიული" ფასეულობების გაბატონება. ამ მიზნით მუშავდებოდა პარალელური სტრუქტურები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ინტელექტუალები, ფინანსისტები, ანალიტიკოსები და ა. შ. მათ ნიადაგი უნდა შეემზადებინათ ამგვარი მსოფლიო მთავრობის მონდიალისტური პროექტის ფართო გამომზეურებისათვის, ვინაიდან შემზადების გარეშე იგი, ალბათ, შეეჯახებოდა იმ ხალხებისა და სახელმწიფოების მძლავრ ფსიქოლოგიურ პროტესტს, რომლებიც არ მოისურვებდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის გათქვეფას მსოფლიო დომხალში.

ამ ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მონდიალისტური პროექტი არ ყოფილა ერთადერთი. არსებობდა ორი ძირითადი ვერსია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მეთოდით, თუმცა, საბოლოოდ, ორივე ერთსა და იმავე მიზანს ისახავდა.

## 3.2. კონვერგენციის თეორია

მონდიალიზმის, პირველი, უფრო პაციფისტური[24] და „შემწყნარებლური" ვერსია ცნობილია „კონვერგენციის თეორიის" სახელწოდებით. 70-იან წლებში, C.F.R-ის „მემარცხენე" დაჯგუფების ანალიტიკოსების მიერ ზბიგნევ ბზეჟინსკის ხელმძღვანელობით შემუშავებული ეს თეორია მიზნად ისახავდა ცივი ომის დროინდელი იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური დუალიზმის გადალახვას ახალი ტიპის კულტურულ-იდეოლოგიური ცივილიზაციის შექმნით, რომელიც შუალედური სისტემა იქნებოდა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს, წმინდა ატლანტიზმსა და წმინდა კონტინენტიზმს შორის.

საბჭოთა მარქსიზმი განიხილებოდა როგორც დაბრკოლება, რომლის გადალახვაც შეიძლებოდა, რომელიც „პროლეტარიატის დიქტატურის", „კლასობრივი ბრძოლის", „საწარმოო საშუალებების ნაციონალიზაციისა" და „კერძო საკუთრების გაუქმების" თეზისებზე უარის თქმით, ზომიერ სოციალ-დემოკრატიულ, რევიზიონისტულ ვერსიაში უნდა გადასულიყო. თავის მხრივ, კაპიტალისტური დასავლეთი მოვალე იყო, შეეზღუდა ბაზრის თავისუფლება, შემოეღო ეკონომიკის ნაწილობრივი სახელმწიფო რეგულირება და ა. შ. საერთო კულტურული ორიენტაციის პოვნა შეიძლებოდა ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის ტრადიციებში, რომელსაც აღიარებს, როგორც დასავლეთის დემოკრატიული რეჟიმი, ისე კომუნიზმის სოციალური ეთიკაც (მის შერბილებულ სოციალ-დემოკრატიულ ვერსიებში).

მსოფლიო მთავრობა, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს „კონვერგენციის

თეორიის" საფუძველზე, გულისხმობს მსოფლიოს ატლანტურ მართვაში ვაშინგტონთან ერთად მოსკოვის დაშვებას. ამ შემთხვევაში დაიწყება საყოველთაო მშვიდობა, დასრულდება ცივი ომი, ხოლო ხალხები თავიდან აიცილებდნენ გეოპოლიტიკური დაძაბულობის სიმძიმეს.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ ტექნოლოგიური სისტემის „თალასოკრატიიდან" „ეთეროკრატიისაკენ" გადასვლას: მონდიალისტი პოლიტიკოსები მსოფლიოს უყურებენ არა ზღვით შემოსაზღვრული დასავლეთ კონტინენტის მცხოვრები (როგორც ტრადიციული ატლანტისტები), არამედ „კოსმოსურ ორბიტაზე მყოფი ასტრონავტების" თვალებით. ამ დროს მათ თვალწინ მართლაც არის გადაშლილი ერთიანი მსოფლიო (One World).

მონდიალისტურ ცენტრებს თავისი კორესპონდენტები მოსკოვშიც ჰყავდათ. აქ მთავარი ფიგურა იყო სისტემურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გვიშიანი, რომელიც, ფაქტიურად, საბჭოთა კავშირში „ტრილატერალის" ფილიალს წარმოადგენდა. მონდიალისტური ცენტრების საქმიანობა განსაკუთრებით წარმატებული იყო დასავლეთ ევროპის ულტრამემარცხენე პარტიებს შორის. ამ პარტიათა უმრავლესობა, მათი წყალობით, „ევროკომუნიზმის" გზას დაადგა, რაც საყოველთაო კონვერგენციის ძირითად კონცეპტუალურ ბაზას წარმოადგენდა.

## 3.3. დასავლეთის მსოფლიო გამარჯვება

კონვერგენციის თეორიები წარმოადგენდა იმ იდეოლოგიურ საფუძველს, რომელსაც ეყრდნობოდნენ მიხეილ გორბაჩოვი და მისი მრჩევლები „პერესტროიკის" განხორციელების დროს. საბჭოთა „პერესტროიკის" დაწყებამდე, რამდენიმე წლით ადრე, ანალოგიური პროექტის განხორციელება დაიწყო ჩინეთში, რომელთანაც 70-იანი წლების დასასრულიდან „სამშრივი კომისიის" წარმომადგენლებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს. საბჭოთა და ჩინური „პერესტროიკის" ბედი განსხვავებული იყო. ჩინეთი დაჟინებით მოითხოვდა როლების „სამართლიან" განაწილებასა და შესაბამის ძვრებს დასავლურ იდეოლოგიაში სოციალიზმის მიმართ. საბჭოთა კავშირმა კი დათმობებით მნიშვნელოვნად შორს შეტოპა.

გორბაჩოვი მიჰყვებოდა ამერიკელი მონდიალისტების ლოგიკას. მან წამოიწყო საბჭოთა სივრცის სტრუქტურული გარდაქმნა „დემოკრატიზაციისა" და „ლიბერალიზაციის" მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს, ხოლო შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკებს, რასაც მოჰყვა სტრატეგიული შეიარაღების შემცირება და დასავლეთთან იდეოლოგიური დაახლოება. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ გორბაჩოვის მმართველობის ხანა დაემთხვა აშშ-ში უკიდურესი რესპუბლიკელების — რეიგანისა და ბუშის პრეზიდენტობის პერიოდს. რეიგანი ბოლო წლების პრეზიდენტებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც უარს აცხადებდა ყოველგვარ მონდიალისტურ ორგანიზაციაში მონაწილეობაზე. თავისი მრწამსით იგი იყო მკაცრი, გამჭრიახი, გეგმაზომიერი და უკომპრომისო ატლანტისტი, ლიბერალი-მოვაჭრე. იგი არასოდეს მიდიოდა კომპრომისზე „მემარცხენე იდეოლოგიასთან", ყველაზე ზომიერ დემოკრატიულ ან სოციალ-დემოკრა-

ტიულთანაც კი. მაშასადამე, მოსკოვის მიერ კონვერგენციისა და მსოფლიო მთავრობების შექმნისაკენ გადადგმული ნაბიჯები, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ჰქონოდათ აღმოსავლეთის ბლოკის წარმომადგენლებს, საპირისპირო პოლუსზე აწყდებოდნენ ყველაზე არახელსაყრელ იდეოლოგიურ წინააღმდეგობებს. ატლანტისტი რეიგანი (შემდეგ კი ბუში) გორბაჩოვის მონდიალისტურ რეფორმებს მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის იყენებდა. Heartland-ის ნებაყოფლობით დათმობებს არ მოჰყოლია შესაბამისი დათმობები „ზღვის ძალის" მხრიდან. დასავლეთი არ წავიდა არც გეოპოლიტიკურ და არც იდეოლოგიურ კომპრომისზე თვითლიკვიდირების პროცესში მყოფი ევრაზიის წინაშე. ნატო არ დაშლილა და არც მის ძალებს დაუტოვებიათ ევროპა და აზია, რითაც ლიბერალურ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ კიდევ უფრო მეტად განიმტკიცა პოზიციები.

ამ შემთხვევაში მონდიალიზმი გამოვიდა არა როგორც პრაქტიკაში რეალიზებული დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური დოქტრინა, არამედ როგორც „ცივ ომში" პრაგმატულად გამოყენებული ინსტრუმენტი. მაკინდერისა და მეჰენის თეზისებზე დაფუძნებული „ცივი ომის" ლოგიკაზე კი აშშ-ს უარი სულაც არ უთქვამს.

## 3.4. ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის აღსასრული"

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დასავლეთის, ატლანტიზმის, გამარჯვების შემდეგ მონდიალისტურ პროექტებს ან უნდა შეეწყვიტათ არსებობა, ან უნდა შეეცალათ თავისი ლოგიკა.

პოსტსაბჭოურ ეპოქაში ახალ მონდიალისტურ ვერსიად იქცა ფრენსის ფუკუიამას დოქტრინა. ფუკუიამამ 90-იანი წლების დასაწყისში გამოაქვეყნა საპროგრამო სტატია „ისტორიის აღსასრულის" სახელწოდებით, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ნეომონდიალიზმის იდეურ ბაზად.

ფუკუიამა ისტორიული პროცესის შემდეგ ვერსიას წარმოგვიდგენს. ბნელი, „პირქუში" „ძალის კანონის" და „სოციალური რეალობების ირაციონული მმართველობის" ეპოქიდან კაცობრიობა მიისწრაფოდა უფრო გონიერი და ლოგიკური წყობისაკენ, რომელიც გამოიხატა კაპიტალიზმში, თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციაში, საბაზრო ეკონომიკასა და ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიაში. ისტორია და განვითარება მიმდინარეობდა მხოლოდ ირაციონული ფაქტორების ხარჯზე, რომლებიც ნელ-ნელა უთმობდნენ ადგილს გონების კანონებს, ყველა ფასეულობის საერთო ფულად ექვივალენტს და ა. შ. საბჭოთა კავშირის დაშლა უკანასკნელი „ირაციონალური" ბასტიონის დაცემას ნიშნავს. ამასთან არის დაკავშირებული ისტორიის აღსასრული და განსაკუთრებული მსოფლიო არსებობის დასაწყისი, რომელიც „ბაზრისა" და „დემოკრატიის" იდეებით წარიმართება და სამყაროს მოწესრიგებულ, რაციონალურად მომუშავე მანქანაში ერთიანდება.

ამგვარი ახალი წესრიგი, თუმცა წმინდა ატლანტისტური სისტემების უნივერსალიზაციაზეა დაფუძნებული, სცდება ატლანტიზმის ფარგლებს და მსოფლიოს ყველა რეგიონი ახალი მოდელის მიხედვით დაიწყებს უფრო მეტად განვითარებული ეკონომიკური ცენტრების ირგვლივ ხელახალ ჩამოყალიბებას.

## 3.5. ჟაკ ატალის „გეოეკონომიკა“

ფუკუიამას თეორიის მსგავსი არსებობს ევროპელ მეცნიერთა შორისაც. ასე მაგალითად, ჟაკ ატალიმ, რომელიც წლების მანძილზე იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის პირადი მრჩეველი და, გარკვეული დროის მანძილზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორი, დაამუშავა მსგავსი თეორია, რომელიც გადმოსცა თავის წიგნში „ჰორიზონტის ხაზები“.

ატალის მიაჩნია, რომ დგება მესამე ხანა — „ფულის ეპოქა“. ფული წარმოადგენს ფასეულობათა უნივერსალურ ექვივალენტს, ვინაიდან ყველა საგანის მატერიალურ ციფრულ გამოხატვასთან გათანაბრებით, მისი მართვა რაციონალური წესით უკიდურესად მარტივია. ამგვარ მიდგომას, თვით ატალი უკავშირებს მესიანისტური ხანის დადგომას, იუდეურ-კაბალისტურ კონტექსტში გააზრებით (დაწვრილებით აღნიშნულ საკითხს იგი აყალიბებს სხვა, სპეციალურად მესიანიზმისადმი მიძღვნილი წიგნში — „იგი მოვა“). ეს განასხვავებს მას ფუკუიამასაგან, რომელიც წმინდა პრაგმატიზმისა და გამომყენებლობის ფარგლებში რჩება.

ჟაკ ატალი გვთავაზობს მომავლის საკუთარ ვერსიას, რომელიც „უკვე დადგა“. მთელ მსოფლიოში ერთიანი ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიისა და საბაზრო სისტემის გაბატონება საინფორმაციო ტაქნოლოგიების განვითარებასთან ერთად მიგვიყვანს იქამდე, რომ მსოფლიო გადაიქცევა ერთიან და ერთგვაროვან სამყაროდ, ხოლო გეოპოლიტიკური რეალობები, რომლებიც ბატონობდნენ მთელი ისტორიის განმავლობაში, „მესამე ეპოქაში“ თავიანთ მნიშვნელობას კარგავენ. გეოპოლიტიკური დუალიზმი უქმდება.

და მაინც, ამჯერად *„გეოეკონომიკის“* პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი მსოფლიო ღებულობს ახალ გეოპოლიტიკურ სტრუქტურას. პირველად „გეოეკონომიკის“ კონცეფციის განვითარება შემოგვთავაზა ისტორიკოსმა ფრიტც რერიგმა, ხოლო მის პოპულარიზებას ეწეოდა ბერნან ბროდელი.

„გეოეკონომიკა“, ეს არის მონდიალისტური გეოპოლიტიკის განსაკუთრებული ვერსია, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევს არა გეოგრაფიულ, კულტურულ, იდეოლოგიურ, ეთნიკურ, რელიგიურ და ა. შ. ფაქტორებს, რომლებიც გეოპოლიტიკური მიდგომის არსს შეადგენენ, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ წმინდა ეკონომიკურ რეალობებს. „გეოეკონომიკისათვის“ არ არის მნიშვნელოვანი რომელი ხალხი სად ცხოვრობს, როგორია მისი ისტორია, კულტურული ტრადიციები და ა. შ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის განლაგებული მსოფლიო ბირჟების ცენტრები, სასარგებლო წიაღისეული, საინფორმაციო ცენტრები, მსხვილი საწარმოები. „გეოეკონომიკა“ პოლიტიკურ რეალობებს განიხილავს ისე, თითქოს მსოფლიო მთავრობა და ერთიანი მსოფლიო სახელმწიფო უკვე არსებობს.

გეოეკონომიკურ მიდგომას ატალი მიჰყავს სამი მნიშვნელოვანი რეგიონის გამოყოფამდე, რომლებიც ერთიან მსოფლიოში ეკონომიკური სივრცის ცენტრებად გადაიქცევიან:

1) ამერიკული სივრცე, რომელშიც ორივე ამერიკა საბოლოოდ არის გაერთიანებული ერთიან ფინანსურ-სამრეწველო ზონაში;

2) ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შემდეგ აღმოცენებული სივრცე;

3) წყნარი ოკეანის რეგიონი, „ხელახალი აყვავების" ზონა, რომელსაც გააჩნია რამდენიმე კონკურენციული ცენტრი: ტოკიო, ტაივანი, სინგაპური და სხვ[25].

ატალის აზრით, ამ სამ მონდიალისტურ სივრცეს შორის არ იქნება არავითარი განსაკუთრებული განსხვავება და დაპირისპირება, ვინაიდან იდეოლოგიური და ეკონომიკური ტიპები ყველა შემთხვევაში ზუსტად ერთნაირი იქნება. ერთადერთი განსხვავება იქნება განვითარებული ცენტრების გეოგრაფიულ მდებარეობაში, რომელთა ირგვლივ თავს მოიყრის მცირედ განვითარებული რეგიონები. ამ სახით თავმოყრილი რეგიონების ჩამოყალიბება განხორციელდება მხოლოდ „ისტორიის აღსასრულის" ჟამს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გეოპოლიტიკის მიერ ნაკარნახევი ტრადიციული რეალობის შეცვლის დროს.

ცივილიზაციურ-გეოპოლიტიკური დუალიზმი უქმდება. ატლანტიზმის საპირისპირო პოლუსის არ არსებობა სივრცის ძირეულ გადააზრებას მოითხოვს. დგება გეოეკონომიკის ხანა.

ატალის მოდელში დასრულებული სახით აისახა ის იდეები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს „სამმხრივ კომისიას". ეს კომისია წარმოგვიდგება კონცეპტუალურ-პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს ამგვარ პროექტებს.

საგულისხმოა, რომ „ტრილატერალის" ხელმძღვანელები (დევიდ როკფელერი, ჟორჟ ბერტუენი — ევროპის განყოფილების მაშინდელი მეთაური და ჰენრი კისინჯერი) 1989 წლის იანვარში იმყოფებოდნენ მოსკოვში, სადაც ისინი შეხვდნენ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ გორბაჩოვს და ალექსანდრე იაკოვლევს. მიღებაში მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის სხვა პირებიც: მედვედევი, ფალინი, ახრომეევი, დობრინინი, ჩერნიაევი, არბატოვი და პრიმაკოვი. ატალის პირადი კონტაქტები ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან.

ერთი რამ უდაოა: გეოეკონომიკურ ლოგიკასა და ნეომონდიალიზმზე გადასვლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ევრაზიული საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური თვითლიკვიდაციის შემდეგ.

ნეომონდიალიზმი არ წარმოადგენს ისტორიული მონდიალიზმის პირდაპირ გაგრძელებას, რომელიც თავიდანვე ვარაუდობდა საბოლოო მოდელში მემარცხენე სოციალისტური ელემენტების არსებობას, ეს არის შუალედური ფორმა ატლანტიზმსა და მონდიალიზმს შორის.

## 3.6. პროფესორ სანტოროს პოსტკატასტროფული მონდიალიზმი

არსებობს ნეომონდიალიზმის უფრო დეტალური ვერსიებიც. რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მილანის საერთაშორისო პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტის (ISPI) მიერ პროფესორ კარლო სანტოროს ხელძღვანელობით დამუშავებული ფუტუროლოგიური გეოპოლიტიკური კონცეფცია.

სანტოროს მოდელის თანახმად, კაცობრიობა იმყოფება ბიპოლარული სამყაროდან მონდიალისტური ვერსიის მრავალპოლარული სამყაროსაკენ გარდამავალ სტადიაში (ატალის მსგავსად ხედავ გეოეკონომიკურია). თუ

ფუკუიამას ოპტიმისტური მონდიალიზმის თვალსაზრისით, საერთაშორისო ინსტიტუტები (გაერო და ა. შ.) საკმაოდ არიან განვითარებულნი იმისათვის, რომ „მსოფლიო მთავრობის" ბირთვად გადაიქცნენ, სანტოროსათვის პირიქით, ისინი არ არიან ქმედუნარიანნი და ორპოლარული სამყაროს მოძველებულ ლოგიკას ასახავენ. უფრო მეტიც, მთელი სამყარო „ცივი ომის" მტკიცე ანაბეჭდს ატარებს, რომლის გეოპოლიტიკური ლოგიკა გაბატონებული რჩება. სანტოროს აზრით, ამგვარი ვითარება აუცილებლად დასრულდება *ცივილიზაციური კატასტროფების* პერიოდით.

იგი ამ კატასტროფების შესაძლო სცენარებს შემდეგი სახით გადმოგვცემს:

1. შესუსტდება საერთაშორისო ინსტიტუტების როლი;

2. გაიზრდება ყოფილი ვარშავის პაქტისა და მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის ეროვნული ტენდენციები, რაც გამოიწვევს ქაოსურ პროცესებს;

3. დაიწყება ტრადიციული ბლოკების დეზინტეგრაცია (ეს არ შეეხება ევროპას) და არსებული სახელმწიფოების პროგრესირებადი დაშლა;

4. დაიწყება მცირე და საშუალო ხანგრძლივობის ომების ეპოქა, რომელთა შედეგად ჩაყალიბდება ახალი გეოპოლიტიკური წარმონაქმნები;

5. მსოფლიო ქაოსის საფრთხე აიძულებს სხვადასხვა ბლოკებს დიდი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობისაკენ, რაც, ფაქტიურად, მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებას მოასწავებს;

6. ჩამოყალიბდება მსოფლიო სახელმწიფოს, ახალი, საბოლოო საერთაშორისო ინსტანცია (მსოფლიო მთავრობა)[26].

აღნიშნული მოდელი შუალედურია ფრენსის ფუკუიამას მონდიალისტურ ოპტიმიზმსა და სამუელ ჰანთინგტონის ატლანტურ პესიმიზმს შორის.

## თავი 4. გამოყენებითი გეოპოლიტიკა

### 4.1 „ შიდა გეოპოლიტიკა" – ივ ლაკოსტას სკოლა

ევროპაში გეოპოლიტიკური რენესანსი დაკავშირებულია გეოგრაფ ივ ლაკოსტას მოღვაწეობასთან, რომელმაც 1976 წელს დააარსა ჟურნალი „ჰეროდოტე". ამ ჟურნალში, პირველად ომისშემდგომი, ევროპაში, დაიწყეს გეოპოლიტიკური შრომების რეგულარული გამოქვეყნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ საქმეს სათავეში ედგა მემარცხენე პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული პიროვნება. ამ მომენტამდე კი ევროპაში გეოპოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ მხოლოდ ულტრამემარჯვენე და ნაციონალისტური ჯგუფები.

1983 წელს ჟურნალ „ჰეროდოტეს" ქვესათაური ხდება „გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის ჟურნალი". ამ დროიდან იწყება გეოპოლიტიკის ახლებური გააზრება, იგი ოფიციალურად აღიარეს საერთაშორისო ვითარების კომპლექსურ ანალიზში დამხმარე, განსაკუთრებულ პოლიტოლოგიურ დისციპლინად,

ივ ლაკოსტა ცდილობს მიუსადაგოს გეოპოლიტიკური პრინციპები თანამედროვე ვითარებას. იგი არ იზიარებს არც კონტინენტური სკოლისათვის დამახასიათებელ „ორგანიზმულ" ხედვას და არც „ზღვის ძალის" იდეოლოგების წმინდა პრაგმატულ და მექანისტურ გეოპოლიტიკურ სარგებლიანობას.

მისი თვალთახედვით, გეოპოლიტიკური მოსაზრებები წარმოადგენენ მხოლოდ *„მოპაექრე სახელისუფლო ინსტანციათა ექსპანსიური პოლიტიკის გამამართლებელ საბუთს, განსაზღვრული ტერიტორიების დაპყრობისა და მათზე დასახლებული ადამიანების დამორჩილების საკითხში“*[27]. და ეს ეხება, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებს, ასევე ვიწრო რეგიონულ პრობლემებსაც.

ლაკოსტასათვის გეოპოლიტიკა მხოლოდ საშუალებაა კონკრეტული ვითარების ანალიზისათვის, ხოლო ამ დისციპლინის უმთავრესი, გლობალური თეორიები დაყვანილია ისტორიულად განპირობებულ ფარდობით ცნებამდე.

ამრიგად, ლაკოსტა გვთავაზობს გეოპოლიტიკის სრულიად ახალ განსაზღვრებას. ეს ფაქტიურად ახალი დისციპლინაა. იგი აღარ წარმოადგენს მსოფლიო ცივილიზაციურ-გეოგრაფიულ დუალიზმზე დაფუძნებულ და გლობალურ იდეოლოგიურ სისტემებთან შეუღლებულ კონტინენტურ აზროვნებას. იგი იყენებს ზოგიერთ მეთოდოლოგიური მოდელს, მაგრამ კლასიკოსი გეოპოლიტიკოსებისაგან განსხვავებით ლაკოსტა ამ მოდელებს აძლევს არა ზოგად, არამედ შინაარსიდან ამოგლეჯილ რაღაც დამოუკიდებელი ელემენტის სახეს. ასეთი *მიმართება* (გეოპოლიტიკის ვიწრო ანალიტიკურ მეთოდამდე დაყვანა) წარმოადგენს ამ მეცნიერების *„დეგლობალიზაციას“*.

ამგვარმა გეოპოლიტიკამ „შიდა გეოპოლიტიკის“ (la geopolitique interne) სახელწოდება მიიღო, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ ლოკალური პრობლემებითაა დაკავებული.

## 4.2 ელექტრული „გეოპოლიტიკა“

შიდა გეოპოლიტიკის სახესხვაობას წარმოადგენს სპეციალური მეთოდიკა, რომელიც დამუშავებულია მოსახლეობის პოლიტიკური სიმპათიებისა და ამ მოსახლეობის საცხოვრებელ ტერიტორიებს შორის დამოკიდებულების შესასწავლად. მისი ავტორი იყო ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და გეოგრაფი ანდრე ზიგფრიდი (1875-1956). მან პირველმა სცადა გამოეკვლია „შიდა გეოპოლიტიკის“ დამოკიდებულება ამა თუ იმ რეგიონის პოლიტიკურ სიმპათიებთან მიმართებით. მასში აისახა იმ კანონზომიერებათა პირველი ფორმულირებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ივ ლაკოსტას „ელექტრული გეოპოლიტიკის“ ახალ სკოლას.

ზიგფრიდი წერდა: „ყოველ პარტიას ან, უფრო ზუსტად, ყოველ პოლიტიკურ მიმართულებას გააჩნია საკუთარი პრივილეგირებული ტერიტორია; ადვილი შესამჩნევია, რომ გეოლოგიური და ეკონომიკური რეგიონების არსებობის მსგავსად, ასევე არსებობენ პოლიტიკური რეგიონებიც. პოლიტიკური კლიმატი შეიძლება შესწავლილ იქნას ისევე, როგორც შეისწავლება ბუნებრივი კლიმატი. მე შევნიშნე, რომ მაცდური იერსახის მიუხედავად საზოგადოებრივი აზრი, რეგიონების მიხედვით გარკვეულ მდგრადობას ინარჩუნებს. პოლიტიკური არჩევანის მუდმივად ცვალებადი სურათის უკან რეგიონული ტემპერამენტის ამსახველი სიღრმისეული და მარადიული ტენდენციების ამოცნობა შეიძლება“[28].

ლაკოსტას სკოლაში ამ თეორიამ სისტემური განვითარების სახე მიიღო და იმ ძირითად სოციოლოგიურ ინსტრუმენტად იქცა, რომელმაც ფართო გამოიყენება ჰპოვა პოლიტიკურ პრაქტიკაში.

## 4.3. მედიაკრატია, როგორც „გეოპოლიტიკური" ფაქტორი

ივ ლაკოსტამ მიზნად დაისახა გეოპოლიტიკაში ინფორმაციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უახლესი კრიტერიუმების შეტანა. იმ ინფორმაციულ სისტემათა შორის, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ გეოპოლიტიკურ პროცესებზე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, განსაკუთრებით, ტელევიზიას. თანამედროვე საზოგადოებაში მოქმედებს არა კონცეპტუალურ-რაციონალური მიდგომა, არამედ „ხატება" („იმიჯი"). საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ტელეკომუნიკაციათა გავლენის წყალობით უყალიბდება პოლიტიკური, იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური შეხედულებები. მედიასეული „ხატება" ატომურ სინთეზს წარმოადგენს, რომელშიც ერთბაშად თავს იყრის საკითხის რამდენიმე ხედვა — ეთნიკური, კულტურული, იდეოლოგიური და პოლიტიკური. სინთეზურობა „იმიჯს" აახლოებს იმ კატეგორიებთან, რომლებითაც ტრადიციულად მოქმედებს გეოპოლიტიკა.

საინფორმაციო რეპორტაჟმა ამა თუ იმ ცხელი რეგიონიდან, რომლის შესახებაც არაფერი იცის, მაგალითად კაპიტოლიუმის მაცხოვრებელმა, უმოკლეს დროში უნდა წარმოადგინოს რეგიონის გეოგრაფიული, ისტორიული, რელიგიური, ეკონომიკური, კულტურული, ეთნიკური სახე და, ამასთანავე, ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხებზე, რომლებიც მის პოლიტიკურ მიზნებს შეესაბამება. ამგვარად, ჟურნალისტის (განსაკუთრებით ტელეჟურნალისტის) პროფესია ძალიან ახლოს დგას გეოპოლიტიკოსის პროფესიასთან. თანამედროვე საზოგადოებაში მას-მედია ძველებურად აღარ ასრულებს დამბმარე როლს. იგი გახდა უძლიერესი დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ფაქტორი, რომელსაც შეუძლია უზარმაზარი გავლენა მოახდინოს ხალხების ისტორიულ ბედისწერაზე.

## 4.4. გეოპოლიტიკის ისტორია

ევროპული გეოპოლიტიკის „აღორძინების" პროცესში არსებობს კიდევ ერთი მიმართულება — გეოპოლიტიკის ისტორია. იგი არ წარმოადგენს წმინდა გეოპოლიტიკურ მიმდინარეობას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ვინაიდან მიზნად ისახავს დისციპლინის ისტორიულ რეკონსტრუქციას, წყაროებთან მუშაობას, ქრონოლოგიას, სისტემაციზაციას, ბიბლიოგრაფიულ აღწერას და ა. შ. გარკვეული თვალსაზრისით ეს „მუზეუმური მიდგომაა", რომელიც პრეტენზიას არ აცხადებს, გამოიტანოს დასკვნები და განზოგადებები აქტუალური ვითარების მიმართ. გეოპოლიტიკის ამგვარი ისტორიული თვალთახედვა წარმოდგენილია პიერ-მარი გოლუასა და ისეთი მეცნიერების შრომებში, როგორებიც იყვნენ: ერვე კუტო-ბეგარი, ჟერარ შალიანი, ჰანს-ადოლფ იაკობსენი და სხვები.

ამ სახით ქვეყნდება და ხელახლა გამოიცემა ისტორიული გეოპოლიტიკოსების — მაკინდერის, მეჰენის, ჩელენის, ჰაუსჰოფერისა და სხვათა ნაშრომები.

ასეთი ტიპის ისტორიული კვლევა-ძიებანი ხშირად ქვეყნდება ფრანგულ ჟურნალში „ჰეროდოტე" და ახალ იტალიურ გეოპოლიტიკურ ჟურნალში „Limes", რომელსაც ივ ლაკოსტასთან ერთად გამოსცემენ ლუჩო კარაჩოლო და მიშელ კორენმანი.

## 4.5. „გამოყენებითი გეოპოლიტიკა“ არ არის გეოპოლიტიკა

ივ ლაკოსტასა და სხვა გამოჩენილი სპეციალისტების — მიშელ კორენმანის, პოლ-მარი დე ლა გორსისა და სხვების მიერ ჩამოყალიბებული გამოყენებითი ანუ „შიდა გეოპოლიტიკა“ დამახასიათებელია თანამედროვე ევროპული პოლიტოლოგიისათვის და შეგნებულად გაურბის კონცეპტუალურ განზოგადებებსა და ფუტუროლოგიურ პროექტებს. ამაშია მთელი ამ მიმდინარეობის პრინციპული თავისებურება (განსაკუთრებით იტალიასა და საფრანგეთში), რომლითაც იგი განსხვავდება აშშ-სა და ინგლისის ატლანტური და მონდიალისტური სკოლებისაგან.

გამოყენებით გეოპოლიტიკას გაცილებით ნაკლები კავშირი აქვს ისტორიულ, ომამდელ გეოპოლიტიკასთან, ვიდრე ატლანტიზმსა და მონდიალიზმს, რომ აღარაფერი ვთქვათ „კონტინენტური“ ტრადიციის შესახებ. ეს წმინდა ანალიტიკური, პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური მეთოდიკაა და მეტი არაფერი. ამიტომ ეს მიმდინარეობა აუცილებლად უნდა განვასხვაოთ გლობალური მსოფლიო გეოპოლიტიკური პროექტებისაგან. სინამდვილეში, საქმე ეხება ორ დისციპლინას, რომელთაც საერთო აქვთ მხოლოდ ტერმინოლოგია და ზოგიერთი მეთოდი. „გამოყენებითი გეოპოლიტიკა“ უგულვებელყოფს გეოპოლიტიკურ დუალიზმს, მიიჩნევს მას გადალახულ წინააღმდეგობად ან ძირითადი შესასწავლი საგნის ფარგლებს მიღმა დარჩენილ პრობლემად. ამის გამო იგი აღარ არის გეოპოლიტიკა (ამ სიტყვის საწყისი მნიშვნელობით) და წარმოადგენს მხოლოდ სტატისტიკურ-სოციოლოგიური მეთოდიკის ნაირსახეობას.

რეალურად, ევროპისა და მისი ხალხების ბედთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები და პროექტები მუშავდება ატლანტიზმისა და მონდიალიზმის სტრატეგიულ ცენტრებთან დაკავშირებულ ინსტანციებში. ასე მაგალითად, ევროპის ინტეგრაციის პროექტი შემუშავდა „სამმხრივი კომისიის“ ინტელექტუალთა ძალისხმევით ანუ იმ მონდიალისტურ, ზეეროვნულ ორგანიზაციაში, რომელსაც არც ზუსტი იურიდიული სტატუსი აქვს და არც პოლიტიკური ლეგიტიმურობა. ფრანგი ჟაკ ატალი თავისი გეოპოლიტიკური თეორიების დამუშავების დროს ეყრდნობოდა სწორედ ამ ორგანიზაციის მონაცემებს (რომლის წევრიც თვითონ იყო) და არა თანამედროვე ევროპული სკოლის „გამოყენებით“ გეოპოლიტიკას.

# თავი 5. ევროპელი „ახალი მემარჯვენების“ გეოპოლიტიკა

## 5.1 ასი დროშის ევროპა – ალენ დე ბენუა

ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ევროპულ გეოპლიტიკურ სკოლათაგან, რომელთაც შეინარჩუნეს უწყვეტი კავშირი ომამდელი გერმანელი გეოპლიტიკოს-კონტინენტალისტების იდეებთან, არიან „ახალი მემარჯვენეები“. ეს მიმართულება აღმოცენდა საფრანგეთში 60-იანი წლების ბოლოს და დაკავშირებულია ამ მოძრაობის ლიდერის ფილოსოფოსისა და პუბლიცისტის ალენ დე ბენუას პიროვნებასთან.

„ახალი მემარჯვენეები“ ტრადიციული ფრანგი მემარჯვენეებისაგან (მონარქისტები, კათოლიკეები, გერმანოფობები, შოვინისტები, ანტიკომუ-

ნისტები და ა. შ.) მკვეთრად განსხვავდებიან პრაქტიკულად ყველა საკითხში. „ახალი მემარჯვენეები" ემხრობიან „ორგანულ დემოკრატიას". ისინი არიან კერპთაყვანისმცემელნი, გერმანოფილები, სოციალისტები, მოდერნისტები და ა. შ. თავდაპირველად, საფრანგეთში ტრადიციულად უღრეესად გავლენიანმა „მემარცხენეთა ბანაკმა" მიიჩნია, რომ ეს იყო მემარჯვენეების ჩვეულებრივი „ტაქტიკური მანევრი", თუმცა კი დროთა განმავლობაში ევოლუციის სერიოზულობა დამტკიცებული და აღიარებული იქნა ყველას მიერ.

„ახალი მემარჯვენეების" იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი (რომლის ანალოგები მალე გაჩნდა ევროპის სხვა ქვეყნებში) იყო „კონტინენტური გეოპოლიტიკის" პრინციპი. „ძველი მემარჯვენეებისა" და კლასიკური ნაციონალისტებისაგან განსხვავებით დე ბენუას მიაჩნდა, რომ *„ერი-სახელმწიფოს"* (Etat-Nation) პრინციპი ისტორიულად ამოწურულია და მომავალი მხოლოდ „დიდ სივრცეებს" ეკუთვნის. ამასთან, ასეთი „დიდი სივრცეების" შექმნის საფუძველი უნდა გახდეს არა იმდენად სხვადასხვა სახელმწიფოების პრაგმატულ პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანება, რამდენადაც სხვადასხვა მასშტაბის ეთნიკური ჯგუფების თანაბარ საფუძვლებზე შესვლა ერთიან *„ფედერაციულ იმპერიაში"*. ასეთი „ფედერაციული იმპერია" სტრატეგიულად მთლიანი, ხოლო ეთნიკურად განსხვავებული უნდა იყოს. თანაც სტრატეგიული მთლიანობა უნდა გამყარდეს საერთო კულტურით.

„დიდი სივრცე", რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებდა დე ბენუას, არის ევროპა. „ახალ მემარჯვენეებს" მიაჩნდათ, რომ ევროპის ხალხებს გააჩნიათ საერთო სიწყისი — ინდოევროპული წარმოშობა. ეს არის *„საერთო წარსულის"* პრინციპი. თუმცა თანამედროვე ეპოქა (რომელშიც ნამდვილი გეოპოლიტიკური სუვერენიტეტისათვის საჭირო სტრატეგიული და ეკონომიკური ინტეგრაციის ტენდენციები აქტიურია) გაერთიანების აუცილებლობას წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით მოითხოვს.

ამგვარად ევროპის ხალხებისათვის გარდაუვალია *„საერთო მომავალი"*. აქედან გამომდინარე დე ბენუა ასკვნის, რომ ძირითად გეოპლიტიკურ პრინციპად უნდა იქცეს თეზისი — „ასი დროშის გაერთიანებული ევროპა"[29]. ასეთ პერსპექტივაში („ახალი მემარჯვენეების" ყველა სხვა კონცეფციების მსგავსად) ნათლად ჩანს „კონსერვატული" და „მოდერნისტული", ანუ „მემარჯვენე" და „მემარცხენე" ელემენტების შეხამებისაკენ სწრაფვა. ბოლო წლებში „ახალმა მემარჯვენეებმა" უარი თქვეს ასეთ განსაზღვრაზე, ვინაიდან ჩათვალეს, რომ ისინი ისევე არიან „მემარჯვენეები", როგორც „მემარცხენეები".

ბენუას გეოპოლიტიკური თეზისები ეფუძნება *„ევროპის კონტინენტური მედის"* თეორიის მტკიცებას. ამ საკითხში იგი მთლიანად ემხრობა ჰაუსჰოფერის სკოლის კონცეფციებს. აქედან გამომდინარეობს, „ახალი მემარჯვენეებისათვის" დამახასიათებელი, *„ევროპისა"* და *„დასავლეთის"* დაპირისპირება.

„ევროპა" მათთვის ესაა ინდოევროპული წარმოშობის ეთნიკურ კავშირზე დაფუძნებული, საერთო კულტურული ფესვების მქონე კონტინენტური გეოპოლიტიკური წარმონაქმნი.

„დასავლეთი", პირიქით, თანამედროვე მსოფლიოსთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური და ისტორიული ცნებაა, რომელიც უარყოფს ეთნიკურ და სულიერ ტრადიციებს და უპირატესობას ანიჭებს არსებობის წმინდა მატერიალურ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს; ეს არის მომხვეჭელური და რაციო-

ნალური, მექანისტური ბურჟუაზიული ცივილიზაცია, რომლის ყველაზე სრულყოფილი გამოხატულებას აშშ წარმოადგენს.

აქედან გამომდინარეობს „ახალი მემარჯვენეების" კონკრეტული პროექტი. ევროპა უნდა გაერთიანდეს დასავლეთისა და აშშ-სადმი დაპირისპირებულ „ფედერალურ იმპერიაში", ამასთანავე აუცილებელია რეგიონული ტენდენციების წახალისება, ვინაიდან რეგიონებმა და ეთნიკურმა უმცირესობებმა უფრო მეტად შეინარჩუნეს ტრადიციული სახე, ვიდრე „დასავლური სულით" დაავადებულმა მეგაპოლისებმა და კულტურულმა ცენტრებმა. საფრანგეთმა ორიენტაცია უნდა აიღოს გერმანიასა და შუა ევროპაზე. აქედან წარმოიშვა „ახალი მემარჯვენეების" ინტერესი დე გოლისა და ფრიდრიპ ნაუმანის მიმართ. 70-იანი წლების შემდეგ, პრაქტიკული პოლიტიკის დონეზე, „ახალი მემარჯვენეები", მოითხოვენ ევროპის მკაცრ სტრატეგიულ ნეიტრალიტეტს, NATO-დან გამოსვლას და საჭირო ევროპული ბირთვული პოტენციალის შექმნას.

საბჭოთა კავშირთან (შემდეგ რუსეთთან) ურთიერთობაში „ახალი მემარჯვენეების" პოზიცია ევოლუციას განიცდიდა. კლასიკური თეზისიდან — „არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი, არამედ ევროპა" ისინი თანდათან მივიდნენ თეზისამდე — „უპირველეს ყოვლისა ევროპა, მაგრამ უმჯობესია აღმოსავლეთთან, ვიდრე დასავლეთთან". პრაქტიკულ დონეზე თავდაპირველი ინტერესი ჩინეთისადმი და „ამერიკული და საბჭოთა იმერიალიზმის" საწინააღმდეგოდ შექმნილი ევროპა-ჩინეთის ალიანსის პროექტი, ზომიერი „სოვეტოფილიითა" და ევროპა-რუსეთის კავშირის იდეით შეიცვალა.

„ახალი მემარჯვენეები" რადიკალურად ანტიატლანტურად და ანტიმონდიალისტურად არიან მიმართულნი. ისინი ევროპის მომავალს ხედავენ, როგორც ატლანტისტური და მონდიალისტური პროექტების ანტითეზას. ისინი თალასოკრატიისა და „ერთიანი მსოფლიოს" კონცეფციის წინააღმდეგენი არიან.

უნდა აღინიშნოს რომ ცივი ომის პერიოდის ევროპაში, ატლანტიზმის საყოველთაო სტრატეგიული და პოლიტიკური ბატონობის პირობებში, დე გენუას გეოპოლიტიკური პოზიცია (თეორიულად და ლოგიკურად შესანიშნავად ჩამოყალიბებული) იმდენად ეწინააღმდეგებოდა „პოლიტიკური აზროვნების ნორმებს", რომ ფართო გავრცელება ვერ შესძლო. ეს იყო თავისებური „დისიდენტობა" და, როგორც ყოველგვარი „დისიდენტობა" და „ნონკონფორმიზმი", ატარებდა „იატაკქვეშა" ხასიათს. „ახალი მემარჯვენეების" ინტელექტუალური დონე, მათი პუბლიკაციებისა და გამოცემების მაღალ ხარისხი, აგრეთვე, თვით მათი მიმდევრების მრავალრიცხოვნება ევროპის აკადემიურ წრეებში, დღემდე მკვეთრ კონტრასტშია იმ უმნიშვნელო ყურადღებასთან, რომელსაც მათ მიმართ იჩენენ სახელისუფლო ინსტანციები და ანალიტიკური სტრუქტურები.

## 5.2. ევროპა ვლადივოსტოკიდან დუბლინამდე – ჟან ტირიარი

კონტინენტური გეოპოლიტიკის მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვერსია შექმნა სხვა ევროპელმა „დისიდენტმა", ბელგიელმა ჟან ტირიარმა (1922-1992). 60-იანი წლების დასაწყისიდან იგი საერთოევროპული რადიკალური მოძრაობის „ახალგაზრდა ევროპის" ლიდერი იყო.

ევრაზიაზე მორგებული ამერიკული „მონროს დოქტრინი“ მსგავსი ევრო-საბჭოთა იმპერია (ჯან ტირიარის მიხედვით).

ტირიარი გეოპოლიტიკას მთავარ გეოპოლიტიკურ დისციპლინად მიიჩნევდა, რომლის გარეშეც შეუძლებელია გათვლილი და შორსმჭვრეტელური პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სტრატეგიის აგება. ჰაუსჰოფერისა და ნიკიშის მიმდევარი, თავის თავს ევროპელ „ნაციონალ-ბოლშევიკად“ და „ევროპული იმპერიის“ მშენებლად მიიჩნევდა. სწორედ მისმა იდეებმა შთაბერეს სული „ახალი მემარჯვენეების“ უფრო განვითარებულ და ვრცელ პროექტებს.

ჯან ტირიარი თავის პოლიტიკურ თეორიას აგებდა „დიდი სივრცეების დამოუკიდებლობის“ პრინციპზე. XIX საუკუნეში გერმანელი ეკონომისტის ფრიდრიჰ ლისტის მიერ ჩამოყალიბებული ეს თეორია ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს სრულფასოვანი და სტრატეგიული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია საკმარისი გეოპოლიტიკური მასშტაბი და დიდი ტერიტორიული შესაძლებლობები. ტირიარი ამ პრინციპით მიუდგა არსებულ ვითარებას და დაასკვნა, რომ ევროპული სახელმწიფოების მსოფლიო მნიშვნელობა საბოლოოდ დაიკარგება, თუ ისინი არ გაერთიანდებიან აშშ-ს საპირისპირო ერთიან იმპერიაში. ამასთანავე ტირიარს მიაჩნდა, რომ ასეთი იმპერია უნდა ყოფილიყო არა „ფედერალური“ და „რეგიონალურად ორიენტირებული“, არამედ იაკობინელთა მოდელის შესაბამისი, ზომიერად უნიფიცირებული და ცენტრალიზებული. იგი უნდა გადაიქცეს ერთიან, კონტინენტურ, ერ-სახელმწიფოდ. ამაში მდგომარეობს დე ბენუასა და ტირია-

რის შეხედულებებს შორის ძირითადი სხვაობა.

70-იანი წლების ბოლოს ტირიარის შეხედულებები ოდნავ შეიცვალა. გეოპოლიტიკური ვითარების ანალიზმა იგი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ევროპის მასშტაბი არ არის საკმარისი ამერიკული თალასოკრატიისაგან გასათავისუფლებლად. ამგვარად „ევროპის გათავისუფლების" მთავარ პირობას წარმოადგენს ევროპის გაერთიანება საბჭოთა კავშირთან. სამი ძირითადი ზონის (დასავლეთი, ევროპა, რუსეთი (სსრკ)) მომცველი გეოპოლიტიკური სქემიდან იგი გადავიდა ორკომპონენტიან (დასავლეთი და ევრაზიული კონტინენტი) სქემაზე. ამასთან ტირიარმა გააკეთა რადიკალური დასკვნა იმის შესახებ, რომ ევროპისათვის უმჯობესია აირჩიოს საბჭოური სოციალიზმი, ვიდრე ანგლოსაქსური კაპიტალიზმი.

ასე გაჩნდა პროექტი *„ევროსაბჭოთა იმპერია ვლადივოსტოკიდან დუბლინამდე"*[30]. მასში თითქმის წინასწარმეტყველურადაა აღწერილი ის მიზეზები, რომლებმაც საბჭოთა კავშირს უნდა განაცდევინონ კრახი, თუ იგი უახლოეს მომავალში აქტიურ გეოპოლიტიკურ ნაბიჯებს არ გადადგამს ევროპასა და სამხრეთში. ტირიარს მიაჩნდა, რომ ჰაუსჰოფერის იდეები „ბერლინი-მოსკოვი-ტოკიოს კონტინენტური ბლოკის" შესახებ დღემდე უაღრესად აქტუალურია. ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტირიარმა ეს თეზისები ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის დაშლამდე 15 წლით ადრე, ამასთანავე აბსოლუტური სიზუსტით გათვალა ამ პროცესის ლოგიკა და მიზეზები. ტირიარი ცდილობდა თავის შეხედულებათა გაზიარებას საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის. მან ეს ვერ შესძლო, თუმცა 60-იან წლებში ჰქონდა პირადი შეხვედრები ნასერთან, ჩაოუ ენლაისთან და იუგოსლავიის უმაღლეს ხელმძღვანელ პირებთან. ნიშანდობლივია, რომ მოსკოვმა უარყო მისი პროექტი — ჩამოეყალიბებინათ ევროპაში იატაკქვეშა „ევროპის გათავისუფლების რაზმები", რომელთა საქმიანობა იქნებოდა „ატლანტიზმის აგენტების" წინააღმდეგ ტერორისტული ბრძოლა.

ჟან ტირიარის შეხედულებები საფუძვლად უდევს ევროპელ ნაციონალ-ბოლშევიკთა ახლად გააქტიურებულ ნონკონფორმისტულ მოძრაობას („ევროპის განთავისუფლების ფრონტი"). რომლის იდეები ძალიან უახლოვდებიან თანამედროვე რუსულ ნეოევრაზიულ პროექტებს.

## 5.3. აზროვნება კონტინენტებით – იორდის ფონ ლოქჰაუზენი

ტირიარის შეხედულებებთან ძალზე ახლოსაა ავსტრიელი გენერალი იორდის ფონ ლოქჰაუზენი. ტირიარის ან დე ბენუასაგან განსხვავებით იგი უშუალოდ მონაწილეობს პოლიტიკაში და არ ქმნის კონკრეტულ სოციალურ პროექტებს. იგი ემხრობა მკაცრ სამეცნიერო მიდგომას და იფარგლება მხოლოდ წმინდა გეოპოლიტიკური ანალიზით. მისი საწყისი პოზიცია, ნაციონალ-ბოლშევიკებისა და „ახალი მემარჯვენეების" პოზიციის მსგავსია, იგი კონტინენტალისტი და ჰაუსჰოფერის მომდევარია.

ლოქჰაუზენი თვლის, რომ პოლიტიკურ ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს საშუალება გახდეს მუდმივი და მყარი, როდესაც მმართველები აზროვნებენ არა წუთიერი და ლოკალური კატეგორიებით, არამედ „ათასწლეულებითა და კონტინენტებით". მისი მთავარი ნაშრომის სახელწოდებაც ასეთია „ბატონობის გამბედაობა. აზროვნება კონტინენტებით"[31].

ლოქჰაუზენს მიაჩნია, რომ გლობალური ტერიტორიული, ცივილიზაციური, კულტურული და სოციალური პროცესები გასაგებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მოჩანს „ზორსმჭვრეტ“ პერსპექტივაში, რომელსაც იგი უპირისპირებს ისტორიულ „ახლომხედველობას“. ხელისუფლება ადამიანთა საზოგადოებაში (რომელზედაცაა დამოკიდებული ისტორიული გზის არჩევანი და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები) უნდა ხელმძღვანელობდეს ძალზე ზოგადი სქემებით, რომლებიც საშუალებას აძლევენ ამა თუ იმ ხალხს ან სახელმწიფოს იპოვოს თავისი ადგილი უსაზღვრო ისტორიულ პერსპექტივაში. ამიტომ, ხელისუფლების სტრატეგიის განსაზღვრის აუცილებელ დისციპლინას წარმოადგენს გეოპოლიტიკა თავისი ტრადიციული შინაარსით — ანალიტიკური მიკერძოების გარეშე იმოქმედოს გლობალური კატეგორიებით (და არა ლაკოსტას სკოლის „შიდა“ გამოყენებითი გეოპოლიტიკა). რა თქმა უნდა, მსოფლიოს რელიეფს ცვლიან თანამედროვე იდეოლოგიები, უახლესი ტექნოლოგიური და ცივილიზაციური ძვრები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გვერდი აუარონ ათასწლეულების მანძილზე მიმდინარე ბუნებრივ და კულტურულ ციკლებთან დაკავშირებულ ზოგიერთ ძირეულ კანონზომიერებას.

ასეთი გლობალური კატეგორიებია — სივრცე, ენა, ეთნოსი, რესურსები და ა. შ.

ლოქჰაუზენი გვთავაზობს ხელისუფლების ასეთ ფორმულირებას:

„ძლევამოსილება = ძალა X ადგილმდებარეობაზე“

შემდეგ ის აზუსტებს: „ვინაიდან ძლევამოსილება არის ძალის ნამრავლი ადგილმდებარეობაზე, ამიტომ მხოლოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა შიდა ძალების სრული განვითარების შესაძლებლობას“[32].

ამგვარად ხელისუფლება (პოლიტიკური, ინტელექტუალური და ა.შ.) პირდაპირ უკავშირდება სივრცეს.

ლოქჰაუზენი გამოჰყოფს ევროპის ბედს დასავლეთის ბედისაგან. იგი ევროპას თვლის კონტინენტურ წარმონაქმნად, რომელიც დროებით მოექცა თალასოკრატიული კონტროლის ქვეშ. ევროპის პოლიტიკური გათავისუფლებისათვის აუცილებელია სივრცობრივი (პოზიციური) მინიმუმი, რომელიც მიიღწევა მხოლოდ გერმანიის გაერთიანების, შუა ევროპაში ინტეგრაციული პროცესების, გდრ-ს, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გაყოფილი პრუსიის ტერიტორიის მთლიანობის აღდგენისა და ევროპის სახელმწიფოების ატლანტიზმისაგან დამოუკიდებელ, ახალ თავისუფალ ბლოკში თავმოყრის გზით. ლოქჰაუზენი განსაკუთრებით აღნიშნავს პრუსიის მნიშვნელობას. მას (ნიკიშისა და შპენგლერის მსგავსად) მიაჩნია, რომ პრუსია გერმანიის ყველაზე კონტინენტური, „ევრაზიული“ ნაწილია და გერმანიის დედაქალაქი ბერლინის მაგივრად კენიგსბერგი, რომ ყოფილიყო ევროპის ისტორია სხვა, უფრო სწორი მიმართულებით განვითარდებოდა, აიღებდა რა ევროპა ორიენტაციას რუსეთზე, ანგლოსაქსური თალასოკრატიის საწინააღმდეგოდ.

ლოქჰაუზენს მიაჩნია, რომ ევროპის მომავალი სტრატეგიულ პერსპექტივაში წარმოუდგენელია რუსეთის გარეშე და პირიქით, რუსეთისათვის (საბჭოთა კავშირი) ევროპა აუცილებელია, ვინაიდან იგი მის გარეშე გეოპოლიტიკურად არასრულყოფილი და ამერიკისათვის ადვილად ხელმისაწვდომია, რომლის ადგილმდებარეობა გაცილებით უკეთესია და, მაშასადამე, ადრე თუ გვიან მისი სიძლიერე ბევრად გაასწრებს საბჭოთა კავშირის სიძლიერეს. ლოქჰაუზენი

ხაზს უსვამდა, რომ საბჭოთა კავშირს დასავლეთში შეეძლო ჰყოლოდა ოთხი სახის ევროპა: *„მტრული ევროპა, დაქვემდებარებული ევროპა, გაუკაცრიელებული ევროპა და მოკავშირე ევროპა“*. პირველი სამი ვარიანტი გარდაუვალია ევროპული პოლიტიკის იმ კურსის პირობებში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებდა „ცივი ომის“ განმავლობაში. ამ ფატალური გეოპოლიტიკური ვითარების გამოსწორება შეუძლია მხოლოდ მის სწრაფვას — ნებიმიერი საშუალებით გადააქციოს ევროპა „მოკავშირედ და მეგობარად“ და გეოპოლიტიკის ისტორიაში გახდეს ახალი, ევრაზიული ეპოქის დამწყები.

ლოქჰაუზენის პოზიცია შეგნებულადაა შემოფარგლული წმინდა გეოპოლიტიკური მუდმივებით. იგი არ ეხება იდეოლოგიურ საკითხებს. მაგალითად, მისთვის ბოიარული, ცარისტული და საბჭოთა რუსეთის გეოპოლიტიკა სახელმწიფო წყობისა და იდეოლოგიათა ცვლისაგან დამოუკიდებელი უწყვეტი პროცესია. რუსეთი გეოპოლიტიკურად Heartland-ია და, მაშასადამე, რეჟიმის მიუხედავად მისი ბედ-იღბალი წინასწარაა განსაზღვრული მისი მდებარეობითა და მიწებით.

ლოქჰაუზენმა, ისევე, როგორც ტირიარმა, იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური კრახი, რომელიც გარდაუვალი იყო იმ შემთხვევაში თუ იგი ჩვეულ კურსს გააგრძელებდა. თუ ატლანტისტი გეოპოლიტიკოსებისათვის ასეთი დასასრული გამარჯვებაა, ლოქჰაუზენისათვის ეს კონტინენტური ძალების მარცხია. თუმცა იმ განსხვავებით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოჩენილმა ახალმა შესაძლებლობებმა მომავალში შეიძლება შექმნან ხელსაყრელი პირობები ახალი ევრაზიული ბლოკის, კონტინენტური იმპერიის შესაქმნელად, ვინაიდან ამ შემთხვევაში აღარ იარსებებენ მარქსისტული იდეოლოგიით გამოწვეული წინასწარგანსაზღვრული წინააღმდეგობები.

## 5.4. დასასრულის ევრაზიული იმპერია – ჟან პარვულესკო

გეოპოლიტიკის მეტად რომანტიკულ ვერსიას აყალიბებს ფრანგი მწერალი ჟან პარვულესკო. პირველად გეოპოლიტიკურ საკითხებზე ლიტერატურაში ნაწარმოებები შექმნა ჯორჯ ორუელმა, რომელმაც ანტიუტოპიაში „1984“ ფუტუროლოგიურად აღწერა მსოფლიოს დაყოფა სამ უზარმაზარ კონტინენტურ ბლოკად — „ოსტაზია, ევრაზია და ოკეანეთი“. მსგავს თემებზე წერდნენ არტურ კესტლერი, ოლდოს ჰაქსლი, რაიმონ აბელიო და სხვ.

ჟან პარვულესკო გეოპოლიტიკურ თემას ყველა ნაწარმოებში ძირითადად აქცევს და ქმნის ახალ ჟანრს — *„გეოპოლიტიკურ ბელეტრისტიკას“*.

პარვულესკოს კონცეფცია მოკლედ ასეთია[13]: კაცობრიობის ისტორია არის ძლევამოსილების, ძალაუფლების ისტორია. ცივილიზაციაში უმთავრესი პოზიციის დასაკავებლად ანუ უკიდურესი ძლევამოსილების მისაღწევად ისწრაფვიან სხვადასხვა ნახევრადსაიდუმლო ორგანიზაციები, რომელთა არსებობის ციკლები ბევრად აღემატება ჩვეულებრივი პოლიტიკური იდეოლოგიების, მმართველი დინასტიების, რელიგიური ინსტიტუტების, სახელმწიფოებისა და ხალხების არსებობის ხანგრძლიობას. ამ ორგანიზაციებს, რომლებიც ისტორიაში გამოდიან სხვადასხვა სახელებით, პარვულესკო მოიხსენიებს, „ატლანტისტების ორდენად“ და „ევრაზიელების ორდენად“. მათ შორის

მიმდინარეობს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობენ პაპები, პატრიარქები, მეფეები, დიპლომატები, მსხვილი ფინანსისტები, რევოლუციონერები, მისტიკოსები, გენერლები, მეცნიერები, მხატვრები და სხვები. ამგვარად, ყოველგვარი სოციალურ-კულტურული გამოვლინება საწყის, თუმცა კი რთულ, გეოპოლიტიკურ არქეტიპებამდე დაიყვანება.

ეს არის ლოგიკურ ზღვრამდე დაყვანილი გეოპოლიტიკური ხაზი, რომლის წანამძღვრებიც ნათლად შეინიშნება გეოპოლიტიკის, როგორც, სრულიად რაციონალურ და „მისტიციზმისაგან" შორს მდგომი მეცნიერების, დამაარსებელთა შრომებშია.

პარვულესკოს სიუჟეტში მთავარ როლს თამაშობს გენერალი დე გოლი და მის მიერ დაფუძნებული გეოპოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც მისი პრეზიდენტობის შემდეგ ჩრდილში დარჩა. პარვულესკო ამას უწოდებს „გეოპოლიტიკურ გოლიზმს". ასეთი „გეოპოლიტიკური გოლიზმი" — ესაა ჰაუსჰოფერის სკოლის კონტინენტალიზმის ფრანგული ანალოგი.

ამ მიმართულების მომხრეთა ძირითად მიზანს წარმოადგენს ევროპული კონტინენტური ბლოკის „პარიზი-ბერლინი-მოსკოვი" შექმნა. ამ საკითხში პარვულესკოს თეორიები ერწყმის „ახალ მემარჯვენეთა" და „ნაციონალ-ბოლშევიკთა" თეზისებს.

პარვულესკოს მიაჩნია, რომ დღევანდელი ისტორიული ეტაპი წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი გეოპოლიტიკური წინააღმდეგობის კულმინაციას, როდესაც კონტინენტურ-ცივილიზაციური დუელის დრამატული ისტორია უახლოვდება კვანძის გახსნას. ის წინასწარ ჭვრეტს გიგანტური კონტინენტური კონსტრუქციის, „დასასრულის ევრაზიული იმპერიის" აღმოცენებას და საბოლოო შეჯახებას „ატლანტის იმპერიასთან". ამ აპოკალიფსურ ფერებში აღწერილ ესქატოლოგიურ შერკინებას იგი უწოდებს „Endkampf"-ს („ფინალური ბრძოლა"). საინტერესოა, რომ პარვულესკოს გამოგონილი პერსონაჟები შეესაბამებიან რეალურ ისტორიულ პირებს, რომელთა უმრავლესობასთან ავტორს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა (ზოგიერთთან დღესაც აქვს). მათ შორის არიან დე გოლის გარემოცვის პოლიტიკოსები, ინგლისელი და ამერიკელი დიპლომატები, პოეტი ეზრა ფაუნდი, ფილოსოფოსი იულიუს ევოლა, პოლიტიკოსი და მწერალი რაიმონ აბელიო, მოქანდაკე არნო ბრეკერი, ოკულტური ორგანიზაციის წევრები და სხვ.

ბელეტრისტიკული ფორმის მიუხედავად, პარვულესკოს შრომებს უდიდესი გეოპოლიტიკური ღირებულება აქვთ, რადგან, მის მიერ 70-იან წლების ბოლოს გამოქვეყნებული ზოგიერთი ნაწარმოები, ზედმიწევნით ზუსტად აღწერს 90-იანი წლებში მსოფლიოში შექმნილ ვითარებას.

## 5.5. ინდოეთის ოკეანე, გზა მსოფლიო ბატონობისაკენ – რობერ სტოიკერსი

პარვულესკოს „გეოპოლიტიკური ვიზიონერის" სრული უარყოფაა ბელგიელი გეოპოლიტიკოსი და პუბლიცისტი, ორი პრესტიჟული ჟურნალის „ორიენტასიონისა" და „ვულუარის" გამომცემელი რობერ სტოიკერსი. სტოიკერსი გეოპოლიტიკას უყურებს წმინდა მეცნიერული, რაციონალისტური




ინდოეთის ოკეანეზე კონტროლი ევრაზიის მნიშვნელოვან ზონებზე — ახლო აღმოსავლეთზე, ინდოეთზე, ჩინეთზე, ირანზე, ინდოჩინეთზე, შორეულ აღმოსავლეთზე, წყნარი ოკეანის რეგიონებზე და ა.შ. — სტრატეგიული ზემოქმედების საშუალებას იძლევა. ინდოეთის ოკეანის „სტრატეგიული " ცენტრში მდებარეობს პატარა კუნძული დიეგო გარსია, რომელზედაც განლაგებულია აშშ-ს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული სამხედრო-საზღვაო ბაზა.

პოზიციიდან და ისწრაფვის გაათავისუფლოს ეს დიპლომატია ყოველგვარი „შემთხვევითისაგან". „ახალი მემარჯვენეების" აკადემიური მიმართულების ლოგიკაზე დაყრდნობით, იგი მიდის იმ დასკვნებამდე, რომლებიც საოცრად ახლოს დგანან პარსკულესკოს წინასწარმეტყველებებთან.

სტოიკერსს, აგრეთვე, მიაჩნია, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ბლოკების სოციალურ-პოლიტიკური და, განსაკუთრებით, დიპლომატიური პროექტები, როგორ იდეოლოგიურ ფორმასაც არ უნდა ატარებდნენ ისინი, წარმოადგენენ გლობალური გეოპოლიტიკური პროექტების ირიბ და შენიღბულ გამოხატულებას. ამაში იგი ხედავს „მიწის" ფაქტორის გავლენას კაცობრიობის ისტორიაზე. ადამიანი მიწიერი არსებაა (შექმნილია მიწისაგან). მაშასადამე მიწა, სივრცე, განსაზღვრავს ადამიანს, მის მეტად მნიშვნელოვან გამოვლინებებში. ეს „გეოისტორიის" წინამძღვარია.

სტოიკერსისათვის პრიორიტეტულია კონტინენტური ორიენტაცია: იგი ატლანტიზმს ევროპის მტრად მიიჩნევს და ევროპის კეთილდღეობას გერმანიასა და შუა ევროპას უკავშირებს[4]. სტოიკერსი ევროპისა და მესამე სამყაროს ქვეყნების (განსაკუთრებით არაბულ ქვეყნებთან) აქტიური თანამშრომლობის მომხრეა.

ამასთანავე, სტოიკერსი აღნიშნავს ინდოეთის ოკეანის უდიდეს მნიშვნელობას მსოფლიოს მომავალი გეოპოლიტიკურ სტრუქტურისათვის. იგი ინდოეთის ოკეანეს განსაზღვრავს ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებს შორის მდებარე „შუაგულ ოკეანედ". ინდოეთის ოკეანე მდებარეობს ზუსტად აფრიკის კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროსა და წყნარი ოკეანის ზონას შორის,

რომელშიც შედიან ახალი ზელანდია, ავსტრალია, ახალი გვინეა, მალაიზია, ინდონეზია, ფილიპინები და ინდოჩინეთი. საზღვაო კონტროლი ინდოეთის ოკეანეზე წარმოადგენს საკვანძო პოზიციას გეოპოლიტიკურ გავლენის განსახორციელებლად სამ უმთავრეს „დიდ სივრცეზე" — აფრიკაზე, სამხრეთ-ევრაზიულ Rimland-სა და წყნარი ოკეანის რეგიონზე. აქედან გამომდინარეობს ინდოეთის ოკეანის ზოგიერთი მცირე კუნძულის სტრატეგიული პრიორიტეტი, განსაკუთრებით, ყველა სანაპირო ზონიდან თანაბრად დაშორებული დიეგო გარსიასი.

სტოიკერსის მტკიცებით ინდოეთის ოკეანე არის ის ტერიტორია, რომლისკენაც უნდა მიემართოს მთელი ევროპული სტრატეგია, ვინაიდან ამ ზონის მეშვეობით ევროპა შესძლებს გავლენის მოხდენას აშშ-ზე, ევრაზიასა და იაპონიაზე. მისი აზრით, სწორედ ამ სივრცეზე გაიშლება გადამწყვეტი გეოპოლიტიკური დაპირისპირება, რომელმაც უნდა განსაზღვროს მომავალი XXI საუკუნის სურათი.

სტოიკერსი აქტიურად სწავლობს გეოპოლიტიკის ისტორიის, მას ეკუთვნის სტატიები ამ მეცნიერების დამფუძნებელთა შესახებ „ბრიუსელის ენციკლოპედიის" ახალ გამოცემაში.

## 5.6. რუსეთი + ისლამი = ევროპის სსნას – კარლო ტერაჩანო

კონტინენტური ორიენტაციის მოქმედი გეოპოლიტიკური ცენტრი არსებობს იტალიაშიც, სადაც მსოფლიო ომის შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა კარლ შმიტის გეოპოლიტიკურმა იდეებმა და რომლის წყალობითაც გეოპოლიტიკური აზროვნება, სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, ძალზე განვითარდა. გარდა ამისა, ყველაზე მეტად სწორედ იტალიაში განვითარდა ჟან ტირიარის მოძრაობა „ახალგაზრდა ევროპა" და, მაშასადამე, კონტინენტური ნაციონალ-ბოლშევიზმის იდეები.

„ახალი მემარჯვენეების" იმ მრავალრიცხოვან პოლიტოლოგიურ და სოციოლოგიურ ჟურნალებსა და ცენტრებს შორის, რომლებიც იკვლევენ გეოპოლიტიკას, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მილანის „ორიონი", სადაც ბოლო 10 წლის მანძილზე რეგულარულად ქვეყნდება დოქტორ კარლო ტერაჩანოს გეოპოლიტიკური ანალიზები. ტერაჩანო გამოხატავს ევრაზიულობასთან მჭიდროდ დაკავშირებული ევროპული კონტინენტალიზმის უკიდურეს პოზიციას.

ტერაჩანო მთლიანად იზიარებს მაკინდერისა და მეჰენის მიერ წარმოდგენილ სქემას და ეთანხმება მათ მიერ ხაზგასმულ მკაცრ ცივილიზაციურ და გეოგრაფიულ დუალიზმს. ამასთან იგი აშკარად უპერს მხარს Heartland-ს და მიაჩნია, რომ ევროპის ბედი მთლიანად არის დამოკიდებული რუსეთისა და ევრაზიის, აღმოსავლეთის ბედზე. მისთვის კონტინენტური აღმოსავლეთი პოზიტივია, ატლანტიკური დასავლეთი — ნეგატივი. ასეთი რადიკალური მიდგომა ევროპელის მხრიდან გამონაკლისია თვით კონტინენტური ორიენტაციის გეოპოლიტიკოსებს შორისაც კი, ვინაიდან ტერაჩანო აქცენტირებასაც არ აკეთებს ევროპის საგანგებო სტატუსზე, რადგანაც მიაჩნია, რომ ეს საკითხი თალასოკრატიისა და თელუროკრატიის მსოფლიო დაპირისპირების წინაშე

მეორეხარისხოვან საკითხს წარმოადგენს.

იგი მთლიანად იზიარებს ერთიანი ევრაზიული სახელმწიფოს („ევროსაბჭოთა იმპერია ვლადივოსტოკიდან დუბლინამდე") იდეას, რომელიც აახლოებს მის თეორიებს ჟან ტირიარის თეორიებთან, მაგრამ ამასთანავე იგი არ იზიარებს ტირიარის „იაკობინელობასა" და „უნივერსალიზმს", რადგან დაჟინებით მოითხოვს ეთნოკულტურულ დაყოფას და რეგიონალიზმს, რითაც უახლოვდება ალენ დე ბენუას თეორიებს.

ტერაჩანოს მიერ რუსეთის ფაქტორის ცენტრალურობის ხაზგასმას თან ახლავს სხვა საინტერესო მომენტი: მას მიაჩნია, რომ ატლანტიზმთან ბრძოლაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ისლამურ სამყაროს, განსაკუთრებით ანტიამერიკული რეჟიმის ქვეყნებს: ირანს, ლიბიას, ერაყსა და ა. შ. აქედან გამომდინარე იგი ასკვნის, რომ ისლამური სამყარო ყველაზე ძლიერად გამოხატავს კონტინენტურ გეოპოლიტიკურ ინტერესებს, ამასთან მას პოზიტიურად სწორედ ისლამის „ფუნდამენტალური" ვერსია მიაჩნია.

საბოლოო ფორმულა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ტერაჩანოს გეოპოლიტიკური შეხედულებები ასეთია:

„რუსეთი (Heartland) + ისლამი აშშ-ს (ატლანტიზმის, მონდიალიზმის) წინააღმდეგ"[35].

ევროპას ტერაჩანო განიხილავს, როგორც რუსულ-ისლამური ანტიმონდიალისტური ბლოკის პლაცდარმს. მისი აზრით, მხოლოდ საკითხის ასე რადიკალურად დაყენებას შეუძლია მიიყვანოს ევროპა ჰეშმარიტ აღორძინებამდე.

ტერაჩანოს შეხედულებების მსგავს იდეებს ემხრობიან „ორიონის" და მის ბაზაზე დაფუძნებული ინტელექტუალური ცენტრის თანამშრომლები (პროფესორები კლაუდიო მუტი, მაურიციო მურელი, სოციოლოგი ალესანდრა კოლა, მარკო ბატარა და სხვები). ამ ნაციონალისტურ-ბოლშევიკური მიმართულებისაკენ იხრებიან ზოგიერთი მემარცხენე, სოციალ-დემოკრატიული და ანარქისტული წრეები — გაზეთი „უმანიტა", ჟურნალი „ნუოვი ანგულაციონი" და ა. შ.

## თავი 6. ნეოევრაზიულობა

### 6.1 „ევრაზიული პასიონარობა" – ლევ გუმილიოვი

ევრაზიელი სავიცკის ყველაზე გამოჩენილი მოწაფე იყო ცნობილი რუსი მეცნიერი, ისტორიკოსი ლევ ნიკოლოზის ძე გუმილიოვი. იგი თავის შრომებში უშუალოდ არ ეხებოდა გეოპოლიტიკურ თემებს, მაგრამ ეთნოგენეზისა და ეთნიკური ციკლების მისეული თეორია აშკარად აგრძელებს „ორგანიზმული" მიდგომისა და, ნაწილობრივ, „გეოგრაფიული აუცილებლობის" ხაზს, რომლებიც ჯერ კიდევ რატცელის, ჩელენის, ჰაუსჰოფერის და სხვების თეორიებში შეადგენდნენ გეოპოლიტიკის არსს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუმილიოვის გამოკვლევები ევრაზიის სტეპების მომთაბარე ხალხებისა და მათი ცივილიზაციების ეთნიკური რუკების ძველ პერიოდებთან მიმართებაში. მის შრომებში ყალიბდება პოლიტიკური ისტორიის სრულიად ახალი ხედვა, რომელშიც ევრაზიული აღმოსავლეთი

წარმოადგენს არა ბარბაროსულ მიწას ცივილიზაციის პერიფერიაზე (დასავლეთ ცივილიზაციასთან შედარებით), არამედ ეთნოგენეზის, კულტურის, პოლიტიკური ისტორიის, სახელმწიფოებრივი და ტექნიკური განვითარების დამოუკიდებელ და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ცენტრს. დასავლეთი და მისი ისტორია უფერულდება, ხოლო ევრაზიული კულტურა და ევრაზიული ეთნოსების თანავარსკვლავედი კი წარმოჩინდება, როგორც მრავალფეროვანი და სრულიად შეუსწავლელი სამყარო — თავისი ფასეულობათა სისტემით, რელიგიური პრობლემებით, ისტორიული კანონზომიერებებით და ა. შ.

გუმილიოვი ავითარებს და მწყობრ სახეს აძლევს საერთოევრაზიულ იდეას იმის შესახებ, რომ ეთნიკური ველოკორუსები, რუსები, წარმოადგენენ არა უბრალოდ აღმოსავლეთ სლავთა შტოს, არამედ თურქულ-სლავური შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბებულ განსაკუთრებულ ეთნოსს. აქედან ირიბად გამომდინარეობს რუსების მიერ იმ ევრაზიული მიწების კონტროლის დასაბუთება, რომლებიც თურქული ეთნოსითაა დასახლებული. ველიკორუსული ცივილიზაცია ჩამოყალიბდა თურქულ-სლავური ეთნოგენეზის საფუძველზე, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ხორციელდებოდა ტყისა და სტეპის ისტორიული ალიანსის სახით. სწორედ ტყისა და სტეპის გეოპოლიტიკური შეხამება წარმოადგენს რუსეთის ისტორიულ არსს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავდა მისი კულტურის, ცივილიზაციის, იდეოლოგიისა და პოლიტიკური ბედ-იღბლის ხასიათს.

შპენგლერისა და ტოინბის მსგავსად გუმილიოვი გამოჰყოფს ცივილიზაციებისა და კულტურების, აგრეთვე, მათი შესაბამისი ეთნოსების ციკლს. მისი თვალსაზრისით ეთნო-კულტურული წარმონაქმნები — ერები, სახელმწიფოები, რელიგიური ერთობები — ყველაფერში ცოცხალ ორგანიზმებს გვანან. ისინი გადიან დაბადების, ახალგაზრდობის, სიმწიფის, სიბერის პერიოდებს და შემდეგ ქრებიან ან გარდაიქმნებიან „რელიქტებად". აქ ისევ აშკარად ვლინდება, ყველა კონტინენტალისტური გეოპოლიტიკური სკოლისათვის საერთო „ორგანიცისმული ფილოსოფიის" გავლენა.

უაღრესად საინტერესოა გუმილიოვის თეორიები ეთნოგენეზის ანუ ხალხის ან სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით. ამ პროცესის აღწერისათვის მას შემოაქვს „პასიონარობის"[36] ანუ *„ვნებათა ბიძგის"*[37] ტერმინი. ბიოლოგიური და სულიერი ენერგიის ეს აუხსნელი, სინქრონული ამოხეთქვა, რომელსაც მოულოდნელად მოძრაობაში მოჰყავს „ძველი" ხალხებისა და კულტურების დუნედ მიმდინარე ისტორიული არსებობა, იპყრობს განსხვავებულ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს სივრცითი, სულიერი და ტექნიკური ექსპანსიის დინამიური აღმაფრენის პროცესში, რასაც მივყავართ დაპყრობებამდე და სხვადასხვაგვარი „ნარჩენი ეთნოსების" ახალ, აქტიურ და სიცოცხლისუნარიან ფორმებში შერწყმამდე. ნორმალურ შემთხვევაში მაღალ და სრულფასოვან პასიონარობასა და ეთნოგენეზის დინამიურ პროცესს მივყავართ განსაკუთრებული სუპერეთნოსის აღმოცენებამდე, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციის მოწყობის იმპერიის ფორმას უფრო შეესაბამება ვიდრე ეროვნულ-სახელმწიფოებრივს.

„ვნებები" თანდათან კლავს „პასეიზმს" (გუმილიოვისათვის ეს პოზიტიური კატეგორიაა, რომელსაც იგი უთანაბრებს „ჰეროიზმს", გმირობას, ეროვნული ტრადიციის ერთგულების ნიშნად უანგარო აღმშენებლობისაკენ, ღვწისაკენ

ეთიკურ სწრაფვას) და მის ადგილს (ტრადიციისაგან მოწყვეტით და მომავალი თაობების ბედის უგულებელყოფით) იკავებს „აქტუალიზმი", ანუ აწმყოთი, ამწუთიერი სიამოვნებით ცხოვრება. ამ ფაზაში ხდება „ვნებათა გარდატეხა" და ეთნოგენეზი შედის უარყოფით — კონსერვაციისა და დაშლის სტადიაში. შემდეგ მოდის „ფუტურისტული" ფაზა, რომელშიც ძირითადია „მეოცნებეთა", „ფანტაზიორთა", „რელიგიურ მაჩანჩალათა" უძლური ტიპი, მათ დაკარგული აქვთ გარემომცველი ყოფისადმი რწმენა და ესწრაფვიან „ამ ქვეყანის მიღმა" გასვლას (გუმილიოვი ამას საბოლოო დაცემის ნიშნად მიიჩნევს). ეთნოსი იხრწნება და იშლება, სუპერეთნოსები იშლება შემადგენელ ნაწილებად, იმპერიები ინგრევა.

ასეთი ვითარება გრძელდება ახალ „ვნებათა ბიძგამდე", როდესაც ჩნდება ახალი ეთნოგენეზის აღმგზნები ახალი ეთნოსი, რომელშიც გადაიხარშება ძველ კონსტრუქციათა ნარჩენები. ამ პროცესში, ზოგიერთი ეთნოსი რჩება „რელიქტურ" მდგომარეობაში (გუმილიოვი მათ „ქიმერებს" უწოდებს), ხოლო დანარჩენები ეთნოგენეზური პროცესის დინამიკაში გაითქვიფებიან და გაქრებიან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუმილიოვის მტკიცება იმის შესახებ, რომ ველოკორუსები შედარებით „ახალ", „ახალგაზრდა" ეთნოსს წარმოადგენენ, რომლებსაც თავის ირგვლივ ჩამოაყალიბეს რუსულ-ევრაზიული ანუ ევრაზიის იმპერიის სუპერეთნოსი.

გუმილიოვის ევრაზიულობიდან იკვეთება შემდეგი სახის გეოპოლიტიკური დასკვნები (რომლებიც თავად მას არ გაუკეთებია გასაგები პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ანიჭებდა რა უპირატესობას არ გასცილებოდა ისტორიული მეცნიერების ჩარჩოებს):

1) *ევრაზია წარმოადგენს სრულფასოვან „ადგილგანვითარებას", ეთნოგენეზისა და კულტუროგენეზისათვის ნაყოფიერ, უმდიდრეს ნიადაგს.* მაშასადამე, მსოფლიო ისტორია უნდა განიხილებოდეს არა ერთპოლარული თვალსაზრისით „დასავლეთი და სხვა დანარჩენები" (როგორც ახასიათებს ეს ატლანტურ ისტორიოგრაფიას), არამედ მარავალპოლარულით, სადაც ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ევრაზია განსაკუთრებული ინტერესს იწვევს, ვინაიდან დასავლეთისთვის წარმოადგენენ მნიშვნელოვანი მსოფლიო ცივილიზაციური პროცესების ალტერნატიულ წყაროს. თავის ნაშრომებში გუმილიოვი უფრო ვრცლად განმარტავს მაკინდერის „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" შესახებ თეზისის სქემას და ამ ღერძს ანიჭებს კონკრეტულ ისტორიულ და ეთნიკურ შინაარსს.

2) *ველოკორუსული სახელმწიფოებრიობის საფუძველი — ტყისა და სტეპის გეოპოლიტიკური სინთეზი წარმოადგენს საკვანძო რეალობას აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის კულტურულ-სტრატეგიული კონტროლისათვის.* ასეთი კონტროლი ხელს უწყობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჰარმონიულ ბალანსს, მაშინ როცა დასავლური ცივილიზაციის (ტყე) კულტურულ შეზღუდულობასა და მის სწრაფვას ბატონობისაკენ (აღმოსავლური კულტურის (სტეპის) სრული იგნორირებით) კონფლიქტებისა და ნგრევისაკენ მივყავართ.

3) *დასავლური ცივილიზაცია წარმოადგენს რა „ქიმერული" ეთნოსების კონგლომერატს იმყოფება ეთნოგენეზის უკანასკნელ, დაღმავალ სტადიაში.* მაშასადამე, სიმძიმის ცენტრი აუცილებლად გადაინაცვლებს უფრო ახალგაზრდა ხალხებისაკენ.

4) *ასევე შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში მოხდეს გამოუცნობი და გაუთვალისწინებელი „ვნებათა ბიძგი“.* იგი მკვეთრად შეცვლის მსოფლიოს პოლიტიკურ და კულტურულ რუკას, რადგან „რელიქტური“ ეთნოსების ბატონობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

## 6.2. ახალი რუსი ევრაზიელები

თვითონ გუმილიოვი არ აყალიბებდა გეოპოლიტიკურ დასკვნებს მსოფლიოს საკუთარი სქემის საფუძველზე. ეს გააკეთეს მისმა მიმდევრებმა მარქსისტული იდეოლოგიური ცენზურის შესუსტების (შემდეგ გაუქმების) პერიოდში. ამ მიმართულებამ მიიღო სახელი „ნეოევრაზიულობა“, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი. ყველა მათგანი არ არის გუმილიოვის იდეათა მემკვიდრე, თუმცა საერთოდ მისი გავლენა ამ გეოპოლიტიკურ იდეოლოგიაზე უზარმაზარია.

არსებობს ნეოევრაზიელობის რამდენიმე სახე:

პირველი (ყველაზე მთავარი და განვითარებული) წარმოადგენს დასრუ-




კონტინენტური ასამბლეის ცივილიზაციური სივრცეები:
1. ევროპული;
2. რუსულ-ევრაზიული (ღერძული);
3. ისლამური;
4. წყნარი ოკეანის;
5. ინდოეთის კონტინენტის;
6. ჩინეთის;
7. „ტრანს საჰარის აფრიკის“ პოტენციური კონტინენტი.

ლებულ და მრავალფეროვან იდეოლოგიას, რომელიც ჩამოაყალიბეს ეროვნული ოპოზიციის გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა 1990-1994 წლების პერიოდში ლიბერალური რეფორმების წინააღმდეგობების პერიოდში. საუბარია გაზეთ „დენ"-ისა (მოგვიანებით „ზავტრა") და ჟურნალ „ელემენტის"[38] ირგვლივ გაერთიანებულ ინტელექტუალთა ჯგუფზე.

ეს ნეოევრაზიულობა ეყრდნობა პ. სავიცკის, გ. ვერნადსკის, თავად ნ. ტრუბეცკოის და, აგრეთვე, რუსული ნაციონალ-ბოლშევიზმის იდეოლოგის ნიკოლოზ უსტრიალოვის იდეებს. ისტორიული ევრაზიელების ანალიზს მიიჩნევენ უაღრესად აქტუალურად და სრულიად მისაღებად თანამედროვე ვითარების ანალიზისათვის. იმპერიული კონტინენტური მასშტაბის ეროვნული იდეოკრატიის თეზისი ერთდროულად უპირისპირდება, როგორც ლიბერალურ დასავლურობას, ასევე, ვიწრო ეთნიკურ ნაციონალიზმს. რუსეთი განიხილება, როგორც დიდი გეოპოლიტიკური სივრცის ღერძი, მისი ეთნიკური მისია იგივდება იმპერიის შექმნასთან.

სოციალურ-პოლიტიკურ დონეზე ეს მიმართულება აშკარად მზარს უჭერს ევრაზიულ სოციალზმს, ვინაიდან ლიბერალურ ეკონომიკას ატლანტისტური ბანაკის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევს. რუსეთის ისტორიის საბჭოთა პერიოდი განიხილება სმენოვეხოვურ პერსპექტივაში — როგორც მსოფლიო დაპყრობისაკენ და „ევრაზიული ანტიატლანტური უნივერსალიზმისაკენ" ტრადიციული რუსული ეროვნული სწრაფვის თანამედროვე ფორმა. აქედან გამომდინარეობს ნეოევრაზიულობის ამ ვერსიის „პროკომუნისტური" ტენდენციები.

ლევ გუმილიოვის მემკვიდრეობას იღებენ, მაგრამ ამასთან პასიონარობის თეორია წყვილდება იტალიელი სოციოლოგის ვილფრედ პარეტოს „ელიტათა ცირკულაციის" სწავლებასთან, ხოლო გუმილიოვის რელიგიური შეხედულებანი კორექტირდება ევროპელ ტრადიციონალისტთა სკოლის საფუძველზე (ჰენონი, ევოლა და სხვანი).

ტრადიციონალისტთა იდეები — „თანამედროვე სამყაროს კრიზისი", „დასავლეთის დეგრადაცია", „ცივილიზაციის დესაკრალიზაცია" და ა. შ. — წარმოადგენენ ნეოევრაზიულობის მნიშვნელოვან კომპონენტებს, რითაც ავსებენ და ავითარებენ იმ საკითხებს, რომლებიც რუს მეცნიერებთან მხოლოდ ინტუიციური და ფრაგმენტული სახით იყო წარმოდგენილი.

გარდა ამისა, დაწვრილებით შეისწავლება ევროპელ კონტინენტალისტთა პროექტები (ჰაუსჰოფერი, შმიტი, ნიკიში, „ახალი მემარჯვენეები" და ა.შ.), რომელთა წყალობითაც ევრაზიული დოქტრინის ჰორიზონტები ვრცელდება ევროპაზეც, რომელიც პოტენციურ კონტინენტურ ძალად აღიქმება. ეს მოტივი სრულიად უცხოა ისტორიული ევრაზიელი ემიგრანტებისათვის, რომლებიც თავიანთ ძირითად ნაშრომებს ქმნიდნენ ისეთ ვითარებაში, როდესაც აშშ-ს ჯერაც არ გააჩნდა დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, ხოლო თეზისი ევროპისა და დასავლეთის განსხვავების შესახებ სათანადოდ არ იყო განვითარებული. ნეოევრაზიულობა, ევროპელ კონტინენტალისტთა მსგავსად, აღიარებს ევროპის სტრატეგიულ მნიშვნელობას ევრაზიული „დიდი სივრცის" გეოპოლიტიკური სრულფასოვნებისათვის, განსაკუთრებით ითვალისწინებს იმას, რომ სწორედ ევროპის გადაწყვეტილების ცვალებადობამ მიიყვანა საბჭოთა კავშირი „ცივ ომში" დამარცხებამდე.

ნეოევრაზიულობის კიდევ ერთი თავისებურებაა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მოკავშირის სახით ისლამური ქვეყნების (განსაკუთრებით კონტინენტური ირანის) არჩევა. კონტინენტური რუსულ-ისლამური კავშირის იდეა საფუძვლად უდევს ანტიატლანტურ სტრატეგიას ევრაზიის კონტინენტის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. დოქტრინის დონეზე ეს კავშირი ემყარება რუსული და ისლამური ცივილიზაციების ტრადიციულ ხასიათს, რომელიც აერთიანებს მათ ტრადიციის არ მქონე, პრაგმატული დასავლეთის წინააღმდეგ.

ნეოევრაზიულობის ამ მიმართულების წარმომადგენელთა აზრით, თანამედროვე ვითარებაში, ყველა გეოპოლიტიკური სქემა განიცდის სრულყოფის პროცესს, რადგან იდეოლოგიურად, სტრატეგიულად, პოლიტიკურად და პოზიციურად ნეოევრაზიული პროექტი წარმოადგენს ყველა დასავლური გეოპოლიტიკური პროექტის (როგორც ატლანტურის ისე მონდიალისტურის) ყველაზე სრულ, ლოგიკურ დასასრულს და ისტორიულად დასაბუთებულ საპირისპირო პროექტს.

მონდიალიზმი და ატლანტიზმი გამოხატავენ უკიდურესი დასავლეთის გეოპოლიტიკური იდეოლოგიის ორ სახესხვაობას. ევროპელი გეოპოლიტიკოსების ევროპიზმი და ზომიერი კონტინენტალიზმი წარმოადგენს შუალედურ რეალობას. დაბოლოს, „დენ"-ისა და განსაკუთრებით „ელემენტის" ნეოევრაზიულობა გამოხატავს რადიკალურად ანტიდასავლურ თვალსაზრისს, რომელიც ემთხვევა ყველა დანარჩენ ალტერნატიულ გეოპოლიტიკურ პროექტს — ევროპული ნაციონალ-ბოლშევიზმიდან ისლამურ ფუნდამენტალიზმამდე (ანუ ისლამურ სოციალიზმამდე), მესამე სამყაროს ყველა კუთხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ჩათვლით.

ნეოევრაზიულობის სხვა განშტოებები შედარებით ნაკლებად თანმიმდევრულია და წარმოადგენენ ზემოთაღნიშნული იდეების მთელი კომპლექსის შეგუებას ცვლად პოლიტიკურ სინამდვილესთან. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის მიმდინარეობები, რომლებსაც მიზნად აქვთ დასახული განახორციელონ ან მხოლოდ პრაგმატული ეკონომიკური „ევრაზიულობა", რომელიც ითვალისწინებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკურ თანამშრომლობას (ყაზახეთის პრეზიდენტის, ნაზარბაევის პროექტი), ან ექსპანსიური თეზისების დასაბუთება (ჟირინოვსკის „ველიკოდერჟავული" პროექტი), ან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში რუსებისა და ეროვნულ უმცირესობათა (ძირითადად თურქები და მაჰმადიანები) ერთობის შენარჩუნება, რომელიც გამოიხატება რიტორიკულ მოწოდებაში „ევრაზიული ერთობის" შესახებ (ელცინის მთავრობის ზოგიერთი მოღვაწის პროექტი), ან სავიცკის, ტრუბეცკოის, სუვჩინსკის, კარსავინისა და ა. შ. წრის მემკვიდრეობის წმინდა ისტორიულ ინტერესზე დაფუძნებული თეორიები. ყველა ეს ვერსია ხელოვნურია, ფრაგმენტული და ალოგიკური. მათ არ შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ დამოუკიდებელ და სერიოზულ გეოპოლიტიკურ იდეოლოგიასა და მეთოდოლოგიაზე. ამის გამო მათზე დაწვრილებით შეჩერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნებისმიერი მიმართულება ევრაზიულობის ან ევრაზიის ცნებებში (მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეზღუდულ შინაარს ანიჭებენ ისინი მათ) პირდაპირ ან ირიბად სწორედ იმ ნეოევრაზიულ პროექტებს იმოწმებენ, რომლებიც დამუშავებულია ოპოზიციურ წრეებში და ასახულია

„დენ“-ისა და „ელემენტის“ ავტორების შრომებში. მხოლოდ ამიტომ, ამ შემთხვევებში, რუსული გეოპოლიტიკური სკოლის უფლებამონაცვლეობისა და რუსეთს გარეთ არსებული მსოფლიო მასშტაბის გეოპოლიტიკური პროექტების საერთო სახესთან შესაბამისობის გამო, გამართლებულია სიტყვა „ევრაზიულობის“ გამოყენება.

## 6.3. ახალი ბიპოლარობისაკენ

ნეოევრაზიულობა, გარდა თავისი გეოპოლიტიკური ინტელექტუალური მემკვიდრეობისა და კონტინენტური გეოპოლიტიკის საერთო პრინციპებისა, დასავლეთის უკანასკნელი გეოპოლიტიკური პროექტების სახით ახალი პრობლემების წინაშე დგას. უფრო მეტიც, ეს გეოპოლიტიკური მიმართულება მნიშვნელობას იძენს იმდენად, რამდენადაც მას ძალა შესწევს არა უბრალოდ გეოპოლიტიკურად ახსნას მიმდინარე ისტორიული მოვლენების ლოგიკა, არამედ შექმნას კიდეც დასავლეთის პროექტებისადმი წინააღმდეგობების გაწევის უნარის მქონე თანმიმდევრული ფუტუროლოგიური პროექტი.

„ცივ ომში“ დასავლეთის გამარჯვება ზოგადად ნიშნავს ბიპოლარული სამყაროს დასასრულსა და ერთპოლარულის დასაწყისს. ამასთან, თუ ჰეშმარიტი ატლანტისტები (ჰანთინგთონი) ფიქრობენ, რომ ერთპოლარობა შეფარდებითი იქნება — გამარჯვებული დასავლეთი (The West) იძულებული იქნება გამუდმებით აწესრიგოს მოძალებული ცივილიზაციათშორისი კონფლიქტები „მთელ დანარჩენ სამყაროსთან“ (The Rest), სამაგიეროდ მონდიალისტებს (ფუკუიამა, ატალი) დასავლეთის უპრობლემო ბატონობა მთელ მსოფლიოზე უკვე მომხდარ ფაქტად მიაჩნიათ. პროფესორ სანტოროს ყველაზე კონფლიქტური ვარიანტიც ხომ საბოლოოდ მსოფლიო მმართველობის დაყარებას გულისხმობს.

ეს არის გეოპოლიტიკურად გამარჯვებულთა პროექტები, რომელთაც დღესდღეობით უდაო უპირატესობები და სტრატეგიული ინიციატივები გააჩნიათ. მათი გათვალისწინება აუცილებელია. ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან ერთ საკითხში: მსოფლიოში ადრე თუ გვიან უნდა გაიმარჯვოს დასავლური ტიპის უნივერსალიზმმა ანუ ყველგან უმთავრესად უნდა იქცეს ფასეულობათა ატლანტური, თალასოკრატიული სისტემა. „ცივი ომის“ პერიოდის ორპოლუსიანი მსოფლიო საბოლოოდ გადალახულ წინააღმდეგობად ითვლება. ევრაზიას და ევრაზიულობას ამგვარ სქემაში ადგილი არა აქვთ. ყოველივე ეს ლოგიკურია და უშუალოდ გამომდინარეობს პირველი ანგლოსაქსი გეოპოლიტიკოსების ნაშრომებიდან, რომლებიც ყოველნაირად ესწრაფვოდნენ შეესუსტებინათ ხმელეთის ძალები, ძირი გამოეთხარათ მათი ძლევამოსილებისათვის და შეეკავებინათ მათი განვითარება სხვადასხვა სტრატეგიული მეთოდების საშუალებით — განსაკუთრებით „ანაკონდას“ სტრატეგიით, რომელიც სანაპირო მიწების (Rimland) დიდ სექტორებზე მკაცრი კონტროლის დამყარებას ითვალისწინებდა.

ნეოევრაზიულობას არ შეუძლია ცნოს ასეთი მდგომარეობის მართებულობა, იგი იძულებულია გამონახოს ამ პროცესების წაღმა დატრიალების შესაძლებლობები. იგი იწყებს ყველაზე ძირითადი — ერთპოლარობის — საკითხით. ერთპოლარობა (ატლანტიზმის ბატონობის ნებისმიერ ფორმა, როგორც წმინდა სახით, ასევე მონდიალიზმის საშუალებით) ევრაზიას, როგორც Heartland-ს სწირავს ისტორიული არარაობისათვის. ნეოევრაზიელობა მოითხოვს

რომ წინააღმდეგობა გაეწიოს ერთპოლარობას.

ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ *ახალი ბიპოლარობის* საშუალებით.

ეს განმარტებას საჭიროებს. არსებობს მოსაზრება, რომ აშშ-საბჭოთა კავშირი წინააღმდეგობის დასასრულის შემდეგ მსოფლიო თვითონ მივა მრავალპოლარულ მოწყობამდე — გაიზრდება ჩინეთის როლი, დემოგრაფიული პროცესები ისლამურ ქვეყნებს გადააქცევენ გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს ქვეყნებად, წყნარი ოკეანის რეგიონი განაცხადებს ევროპასა და აშშ-სთან თავისი კონკურენტუნარიანობის შესახებ და ა. შ. ყოველივე ეს შესაძლებელია, მაგრამ აქ არ არის გათვალისწინებული, რომ ასეთი მრავალპოლარობა განხორციელდება „ატლანტურ ფასეულობათა სისტემის" მეთვალყურეობის ქვეშ, ანუ ეს იქნება თალასოკრატიული სისტემის ტერიტორიული სახესხვაობა და არავითარ შემთხვევაში არ იქნება აყვანილი გეოპოლიტიკური ალტერნატივის ხარისხში. დასავლეთის, ბაზრისა და ლიბერალური დემოკრატიის გამოწვევა უნივერსალურია. Heartland-ზე გამარჯვების შემდეგ ხალხებისა და სახელმწიფოების მცდელობას — გაჰყოლოდნენ დასავლურისაგან განსხვავებულ რაიმე გზას — ძირითადი საყრდენი გამოეცალა. „მესამე გზაზე" მდგომი პროსაბჭოთა რეჟიმები და ყველა „შემოუერთებული" ქვეყანა, არსებობდნენ ბიპოლარობის, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის პოზიციური გეოპოლიტიკური ჭიდილის შედეგად წარმოქმნილი თავისუფალი სივრცის არსებობის ხარჯზე. გამარჯვებული თანამედროვე დასავლეთი ამიერიდან ყველას, ვისაც კი პრეტენზია ექნება განვითარებული რეგიონის როლზე, უკარნახებს თავის იდეოლოგიურ და ეკონომიკურ პირობებს. ამიტომ ნებისმიერი ერთპოლარობა, სტატუს ქვოს შენარჩუნების პირობებში, ფიქტიური და მონდიალისტური იქნება.

ეს კარგად ესმით დასავლეთის სტრატეგებს, რომლებიც მშვენივრად ხვდებიან, რომ დასავლეთის მთავარ გეოპოლიტიკურ ამოცანას ამ ეტაპზე წარმოადგენს ამა თუ იმ სიდიდით ატლანტიზმის ძალების თანაბარი კონტინენტური მოცულობის მასშტაბური გეოპოლიტიკური ბლოკის ჩამოყალიბების შესაძლებლობის დაუშვებლობა. ეს წარმოადგენს აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინის მთავარ პრინციპს, რომელიც ჩამოყალიბებულია პოლ ვოლფოვიცის მოხსენებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასავლეთს ყველაზე მეტად არ სურს ბიპოლარობისაკენ დაბრუნება. ეს მისთვის სასიკვდილოდ საშიშია.

ნეოევრაზიულობა, გამომდინარეობს რა „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" ინტერესებიდან ამტკიცებს დასავლეთის საწინააღმდეგოს. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ ახალი ბიპოლარიზმი, რადგანაც ევრაზია მხოლოდ ამით შესძლებს მოიპოვოს ჭეშმარიტი გეოპოლიტიკური სუვერენიტეტი. მხოლოდ ახალ ბიპოლარიზმს შეუძლია შემდგომში გზა გაუხსნას ისეთ მრავალპოლარობას, რომელიც გასცდება თალასოკრატიული ლიბერალ-დემოკრატიული სისტემის ფარგლებს. ეს იქნება ისეთი ჭეშმარიტი მრავალპოლარობა, სადაც ყოველ ხალხს და გეოპოლიტიკურ ბლოკს საშუალება ექნება თავად აირჩიოს ფასეულობათა საკუთარი სისტემა. ეს მოხდება მხოლოდ ახალი მსოფლიო დაპირისპირების გზით, ატლანტიზმის საყოველთაო ბატონობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია, რომ ევრაზიული კონტინენტური ბლოკი არ შეიძლება იყოს ვარშავის პაქტის უბრალო აღდგენა. ძველი კონტინენტური გეოპოლიტი-

კური კონსტრუქციის დაშლა შეუქცევადი პროცესი იყო და მიზეზი მის სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ. ახალმა კონტინენტურმა ალიანსმა კი უნდა მოიცვას მთელი ევროპა ატლანტიკამდე, ევრაზიის სამხრეთ სანაპიროს ზოგიერთ მნიშვნელოვან სექტორთან ერთად (ინდოეთი, ირანი, ინდოჩინეთი და ა. შ.), ან უნდა უზრუნველყოს ამავე სივრცეების მეგობრული ნეიტრალიტეტი, ე. ი. გამოიყვანოს ისინი ატლანტიზმის დაქვემდებარებიდან. ძველ ბიპოლარიზმთან დაბრუნება შეუძლებელია მრავალ, მათ შორის იდეოლოგიური მიზეზთა, გამო. ახალი ევრაზიული ბიპოლარიზმი უნდა ეყრდნობოდეს სრულიად სხვა იდეოლოგიური წინაპირობებსა და სრულიად განსხვავებულ მეთოდებს.

„ახალი ბიპოლარიზმის" ეს თეორია საკმაოდაა განვითარებული ნეოევრაზიულ პროექტებში და წარმოადგენს ევროპისა და მესამე სამყაროს ნონკონფორმისტული გეოპოლიტიკური მოძღვრებების თეორიულ საფუძველს. ისევე, როგორც Heartland ობიექტურად არის ერთადერთი წერტილი, რომელსაც უნარი აქვს იქცეს თალასოკრატიის მსოფლიო ალტერნატივის საყრდენად, ასევე ნეოევრაზიულობა წარმოადგენს ერთადერთ თეორიულ საყრდენს, რომლის საფუძველზეც შეიძლება გამომუშავდეს ატლანტიზმისა და მის ფასეულობათა ცივილიზაციური სისტემის, მსოფლიო ბატონობის უარმყოფელი (ბაზარი, ლიბერალური დემოკრატია, საერო კულტურა, ინდივიდუალიზმის ფილოსოფია და ა. შ.) მსოფლიო სტრატეგიების მთელი სისტემა.

# ნაწილი III. რუსეთი და სივრცე

## თავი 1. „შუამდებარე მიწა“ (HEARTLAND)

სტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთი წარმოადგენს გიგანტურ კონტინენტურ მასას, რომელიც იგივდება ევრაზიასთან. ციმბირის ათვისებისა და მისი ინტეგრაციის შემდეგ, რუსეთის საზღვრები დაემთხვა Heartland-ს, ანუ კონტინენტის „შუამდებარე მიწის“ გეოპოლიტიკურ ცნებას. მაკინდერმა რუსეთის დიდ სივრცეს „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“ უწოდა. რუსეთი გეოგრაფიულად, ლანდშაფტურად, ლინგვისტურად, კულტურულად და რელიგიურად, ევრაზიული დასავლეთისა და ევრაზიული აღმოსავლეთის სინთეზურ ერთიანობას წარმოადგენს. ამასთან მისი გეოპოლიტიკური ფუნქცია არ დაიყვანება დასავლური და აღმოსავლური ტენდენციების შეჯამებამდე ან გასაშუალოებამდე. რუსეთი არის რაღაც მესამე, განსაკუთრებული და დამოუკიდებელი — არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი. რუსი ევრაზიელები, რომლებიც კულტურულ ასპექტში აღიქვამდნენ რუსეთის „შუაგულ“ მდებარეობას, საუბრობდნენ „შუამდებარე იმპერიის“ განსაკუთრებული კულტურის შესახებ, სადაც გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური წინააღმდეგობები ქრებიან სულიერი, ვერტიკალურ სინთეზისას. სტრატეგიული თვალსაზრისით, რუსეთი იგივდება ევრაზიასთან, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ მისი ტერიტორია, მოსახლეობა და ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური განვითარება წარმოადგენს ისეთ სიდიდეს, რომელიც საკმარისია გადაიქცეს კონტინენტური დამოუკიდებლობის, ავტარკიის ბაზად და წარმოადგენდეს სრული კონტინენტური ინტეგრაციის საფუძველს. გეოპოლიტიკური კანონებით ასეთი ბედი ელის ყველა „კუნძულს“, მათ შორის თვით „მსოფლიო კუნძულსაც“ (world island) ანუ ევრაზიას.

რუსეთ-Heartland-თან მიმართებაში ყველა დანარჩენი ევრაზიული სახელმწიფო და ტერიტორია მიმდებარე სარტყელს, „სანაპირო ზონას“ (Rimland) წარმოადგენს. რუსეთი ეს არის „ისტორიის ღერძი“, რადგან „ცივილიზაცია“ მის გარშემო ბრუნავს და თავის ყველაზე უფრო თვალსაჩინო გამომხატველ და დასრულებულ ფორმებს ჰქმნის არა თავის მაცოცხლებელ კონტინენტურ წიაღში, არამედ „სანაპირო ზონაში“, იმ კრიტიკულ ზოლში, სადაც ხმელეთის სივრცე ესაზღვრება წყლის, ზღვის ან ოკეანის სივრცეს.

სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთი წარმოადგენს დამოუკიდებელ ტერიტორიულ სტრუქტურას, რომლის უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა იგივდება მთელი კონტინენტის უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობასთან. ეს არ შეიძლება ითქვას არცერთი სხვა მსხვილი ევრაზიული სახელმწიფოს შესახებ — არც ჩინეთზე, არც გერმანიაზე, არც საფრანგეთზე და არც ინდოეთზე. თუკი თავის სანაპირო მეზობლებთან ან სხვადასხვა „კუნძულებისა“ და კონტინენტების სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში ჩინეთს, გერმანიას, საფრანგეთს, ინდოეთსა და ა. შ. შეუძლიათ შეასრულონ კონტინენტური ძალების ფუნქცია, სამაგიეროდ რუსეთთან მიმართებაში ისინი ყოველთვის დარჩებიან „სანაპირო ზოლად“, Rimland-ად, ყველა შესაბამისი სტრატეგიული, კულტურული და პოლიტიკური შედეგებით. მხოლოდ რუსეთს აქვს სრული გეოპოლიტიკური საფუძველი, რათა ისარგებლოს Heartland-ის სახელით. მისი სტრატეგიული ინტერესები არა მხოლოდ ახლოს არის კონტინენტის ინტერესე-

ბთან, არამედ ემთხვევა კიდეც მათ (ყოველ შემთხვევაში ტექნოსფეროს განვითარების აქტუალურ ეტაპზე საქმე სწორედ ასე მდგომარეობს).

## თავი 2. „სანაპირო ზონების" (RIMLAND-ის) პრობლემა

მეზობელ დასავლეთში რომანულ-გერმანულ, ხოლო აღმოსავლეთში სამ უძველეს (ისლამურ, ინდუსურ და ჩინურ) კონტინენტურ ცივილიზაციებთან რუსეთის დამოკიდებულებას, სულ მცირე, ორი განზომილება აქვს, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას ერთმანეთში არეული, რადგან ეს აუცილებლად მრავალ გაუგებრობას გამოიწვევს.

უპირველეს ყოვლისა, რუსეთის არსი ისტორიულ-კულტურულად (მისი სულიერი თვითგამორკვევა, მისი „იდენტურობა") უდაოდ განისაზღვრება ფორმულით „არც აღმოსავლეთი, არც დასავლეთი" ან „არც ევროპა, არც აზია, არამედ ევრაზია" (რუსი ევრაზიელების მიხედვით). რუსეთის სულიერებაში არის რაღაც მესამე, რაღაც განსაკუთრებული და დამოუკიდებელი, რაც არ გამოიხატება, არც აღმოსავლეთის და არც დასავლეთის ტერმინებში. ამის გამო რუსეთის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს თავისი უნიკალურობის ნებისმიერ ფასად შენარჩუნება, დასავლეთის კულტურისა და აღმოსავლეთის ტრადიციის გამოწვევის წინაშე თავისი თვითმყოფადობის დაცვა. ეს არ ნიშნავს სრულ იზოლაციონიზმს, მაგრამ მაინც ზღუდავს შესაძლო ნასესხობათა სპექტრს.

ისტორიული რეალიზმი ჩვენგან მოითხოვს იმის მამაცურ აღიარებას, რომ „საკუთარის", „ჩვენის" მტკიცება ყოველთვის მიმდინარეობს „უცხოს", „სხვისის" უარყოფის პარალელურად. მტკიცებაც და უარყოფაც წარმოადგენენ ხალხისა და სახელმწიფოს ეროვნული, კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ძირითად ელემენტებს. ამიტომაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურული სივრცის უარყოფა წარმოადგენს რუსეთის დამოუკიდებლობის ისტორიულ იმპერატივს. ამ საკითხში ბუნებრივია, რომ შეიძლება არსებობდეს სრულიად განსხვავებული ნიუანსები და დისკუსიები — თვითმყოფადობის აღიარებით ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესია უფრო მეტად გაეღოს კარი აღმოსავლეთს, ვიდრე დასავლეთს („აზიური მიმართულება"), სხვები პირიქით ფიქრობენ („დასავლეთელები"), მესამენი ამჯობინებენ სრულ უარს ყოველგვარ დიალოგზე („იზოლაციონისტები"), მეოთხენი კი უპირატესობას ანიჭებენ ორივე მხარესთან თანაბარ ურთიერთობას („არაევრაზიულობის" ზოგიერთი მიმართულება).

სტრატეგიულ და წმინდა გეოპოლიტიკურ დონეებზე ვითარება სრულიად განსხვავებულია. ვინაიდან რუსეთ-ევრაზიას თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე მსოფლიო მოწინააღმდეგედ ჰყავს არა იმდენად „სანაპირო" ცივილიზაციები, Rimland, რამდენადაც საწინააღმდეგოდ მდებარე „კუნძული" — ატლანტიკური ამერიკა, ამიტომ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მოთხოვნად წარმოგვიდგება „სანაპირო ტერიტორიების" გარდაქმნა საკუთარ მოკავშირეებად, სტრატეგიული შეღწევა „მიმდებარე" ზონებში, საერთოევრაზიული პაქტის დადება ან სულ მცირე, რაც შეიძლება მეტი *Rimland*-ის სრული და მკაცრი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა ატლანტიკის მიღმელ დასავლეთთან პოზიციური წინააღმდეგობის დროს. ამ შემთხვევაში რუსეთის სტრატეგიულ ფორმულად უნდა იქცეს ფორმულა „აღმოსავლეთიც და დასავლეთიც", რა-

დგან მხოლოდ ევრაზიის კონტინენტურ გაერთიანებას (ცენტრით რუსეთში) შეუძლია უზრუნველყოს ყველა თავისი ხალხისა და სახელმწიფოს ნამდვილი სუვერენიტეტი, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობას მაქსიმუმი.

ამჟამად სტრატეგიულ დონეზე უმნიშვნელოვანესია ერთადერთი დაპირისპირება: მონდიალიზმი (ამერიკანიზმის და ატლანტიზმის საერთო მსოფლიო ბატონობა) და კონტინენტალიზმი (მსოფლიოს დაყოფა ორი ან უფრო მეტი პოლიტიკური, სამხედრო, სტრატეგიული და გეოპოლიტიკური სუვერენიტეტით მოსარგებლე სივრცედ). რუსეთის ნამდვილად სუვერენულ, კონტინენტურ გეოპოლიტიკურ ძალად გადაქცევისთვის აუცილებელია Rimland-ები. ამჟამად, სამხედრო, სტრატეგიული და ეკონომიკური ტექნოლოგიების აქტუალური განვითარების ეპოქაში, სხვაგვარი, არაკონტინენტური სუვერენიტეტი არ არსებობს; სტრატეგიულ სფეროში რუსეთის სახელმწიფო პრობლემის გადაჭრის ყველა „ეთნოკრატიული", „იზოლაციონისტური" პროექტები იძლევა მონდიალისტური გეგმების (მსოფლიოს ტოტალური კონტროლის, ევრაზიისა და რუსეთის სრული სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ოკუპაციის) მსგავს შედეგებს.

ცხადია, რუსეთის კულტურულ-ისტორიული პრობლემატიკის გადატანა სტრატეგიულ ან გეოპოლიტიკურ დონეზე (ანუ, ფორმულის „არც აღმოსავლეთი არც დასავლეთი" უაღრესად გეოპოლიტიკური მნიშვნელობით დატვირთვა) არის რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის სტრატეგიული დეზორიენტაციისაკენ მიმართული პოლიტიკური დივერსია. რაც არ უნდა იდოს რუსეთის სახელმწიფოებრიობის „ვიწრო-ეთნიკური", „რასობრივ-ნაციონალისტური" თუ „შოვინისტური" მოდელების საფუძველში — უმეცრება, გულუბყვრილობა თუ საკუთარი ხალხისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეგნებული მუშაობა — საბოლოო შედეგს წარმოადგენს მონდიალისტურ მიზნებთან სრული იგივეობა. აშშ ვერ შესძლებს განახორციელოს მსოფლიოზე სრული კონტროლი რუსეთის „ეთნიკურ რეზერვუარად" გადაქცევის გარეშე.

Rimland-ის პრობლემა ამგვარია მხოლოდ დღეს, როდესაც ჩვენს ზურგს უკან რჩება ბიპოლარული მსოფლიოს, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მსოფლიო ცივი ომის მთელი სტრატეგიული ისტორია. რუსი ევრაზიელების პოლიტიკური აქტიურობის პიკის დროს სტრატეგიული ვითარდება სრულიად სხვა იყო და მომავლის განსაზღვრა ძალიან ცოტას თუ შეეძლო. ამიტომ ევრაზიელების ზოგიერთი გეოპოლიტიკური პროექტი საჭიროებს სიფრთხილით განხილვას, კერძოდ, Rimland-ის პრობლემა მათ მიერ განიხილებოდა უფრო კულტურული, ვიდრე სტრატეგიული სახით. ეს ყველაფერი აუცილებლადაა გასათვალისწინებელი იმისათვის, რათა რუსეთმა შეძლოს სერიოზული და საფუძვლიანი, რეალისტური და პერსპექტიული გეოპოლიტიკური პროგრამის შექმნა, რომლის სათავეში უნდა დადგეს მთავარი გეოპოლიტიკური იმპერატივი — დიდი რუსეთის დამოუკიდებლობა, სუვერენობა, თვითმყოფადობა, ავტარკია და თავისუფლება.

## თავი 3. იმპერიის გაერთიანება

გეოპოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მტკიცებას წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა უფრო მეტად მნიშვნე-

ლოვანია, ვიდრე ამ სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის თავისებურებები. პოლიტიკა, კულტურა, იდეოლოგია, მმართველი ელიტის ხასიათი და რელიგიაც კი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი, მხოლოდ მეორეხარისხოვანი ფაქტორები ძირითად გეოპოლიტიკურ პრინციპთან — სახელმწიფოსა და სივრცის ურთიერთდამოკიდებულებასთან — შედარებით. ხშირად (განსაკუთრებით რუსეთში) გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების, ასეთი თავისებურება თითქმის „ცინიზმად" და „ანტიეროვნულ" მიდგომადაც კი მიიჩნევა. ეს რა თქმა უნდა, დიდი შეცდომაა. გეოპოლიტიკა სულაც არ არის ერთადერთი და უმაღლესი ინსტანცია ერის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრის საკითხში. გეოპოლიტიკა, ეს არის ერთ-ერთი რამოდენიმე საბაზისო დისციპლინიდან. იგი საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს საერთაშორისო და სამხედრო დოქტრინა.

რუსეთის ერთ-ერთ უაღრესად საჭირბოროტო გეოპოლიტიკურ მოთხოვნილებას წარმოადგენს „იმპერიის გაერთიანება". როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს „სოციალიზმის", საბჭოთა კავშირის, აღმოსავლეთის ბლოკის, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების და ა. შ. მიმართ, როგორადაც არ უნდა ვაფასებდეთ ორიდან ერთი ზესახელმწიფოს პოლიტიკურ და კულტურულ რეალობას, აღმოსავლეთ ბლოკის არსებობა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით აშკარად წარმოადგენდა ევრაზიის შესაძლო გაერთიანების, კონტინენტური ინტეგრაციისა და ჩვენი დიდი სივრცის სუვერენიტეტის საკითხის დადებით ფაქტორს. სწორედ გეოპოლიტიკურმა ლოგიკამ აიძულა ბელგიელი თეორეტიკოსი ჟან ტირიარი ემტკიცებინა „ვლადივასტოკიდან დუბლინამდე ევრო-საბჭოთა იმპერიის" შექმნის აუცილებლობა. მხოლოდ აღმოსავლეთ ბლოკს შეეძლო ჰქონოდა ევრაზიის იმპერიად გაერთიანების საფუძველი, თუმცა, ევროპის დაყოფა და საბჭოური პოლიტიკის ხშირი ცვლილება აზიაში სერიოზულ დაბრკოლებად იქცა ამ მიზნების განხორციელების გზაზე. ბევრი თანამედროვე გეოპოლიტიკოსის აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლა მნიშვნელოვნად განაპირობა სწორედ მისმა სტრატეგიულმა სისუსტემ დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე — აშშ ისე მარჯვედ და თანამიმდევრულად აკონტროლებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ Rimland-ს, რომ საბოლოოდ, მათ არც კი დაუშვეს კონტინენტური გაერთიანება და ხელი შეუწყვეს აღმოსავლეთ ბლოკის დაშლას. ორპოლარული სამყაროს დასასრული ეს არის სტრატეგიული დარტყმა ევრაზიაზე, კონტინენტალიზმზე და ყველა ევრაზიული სახელმწიფოს შესაძლო სუვერენიტეტზე.

რუსეთის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული სუვერენიტეტის ძირითადი მიზანი მდგომარეობს არა მხოლოდ „ახლო საზღვარგარეთის" დაკარგული რეგიონების აღდგენაში, არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამოკავშირეო ურთიერთობის განახლებაში, არამედ, აგრეთვე, ახალ ევრაზიულ სტრატეგიულ ბლოკში კონტინენტური დასავლეთისა (უპირველეს ყოვლისა, ფრანკო-გერმანული ბლოკი, რომელიც მიისწრაფვის, ატლანტიკური, პროამერიკული ნატოს მზრუნველობისაგან განთავისუფლებისაკენ) და კონტინენტური აღმოსავლეთის (ირანი, ინდოეთი და იაპონია) სახელმწიფოების ჩართვაში.

გეოპოლიტიკურად „იმპერიის გაერთიანება" რუსეთისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ განვითარების ერთ-ერთ შესაძლო გზას, სახელმწიფოს სივრცესთან ერთ-ერთ შესაძლო დამოკიდებულებას, არამედ საწინდარსა და აუცილე-

ბელ პირობას დამოუკიდებელი სახელმწიფოს, უფრო მეტიც, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამოუკიდებელ კონტინენტზე არსებობისათვის.

თუ რუსეთი დაუყოვნებლივ არ დაიწყებს დიდი სივრცის ხელახლა შექმნას, ანუ თავისი სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროდან დროებით დაკარგული ევრაზიული სივრცეების დაბრუნებას, იგი კატასტროფაში თავის თავთან ერთად „მსოფლიო კუნძულის" მაცხოვრებელ სხვა ხალხებსაც ჩაითრევს.

შესაძლო მოვლენების მსვლელობა ადვილი განსასაზღვრია. თუ რუსეთი აირჩევს „იმპერიის გაერთიანების" გეზისაგან" განსხვავებულ გზას, Hertland-ის კონტინენტურ მისიას თავის თავზე აიღებენ ახალი სახელმწიფოები ან სახელმწიფოთა ბლოკები. ამ შემთხვევაში რუსეთის ტერიტორიები გადაიქცა იმ ძალების სტრატეგიულ სამიზნეებად, რომლებიც გამოაცხადებენ თავის თავს „ევრაზიის ახალ ციტადელად". ეს სრულიად გარდაუვალია, ვინაიდან კონტინენტის კონტროლი წარმოუდგენელია „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" კონტროლის გარეშე. ან ჩინეთი დაიწყებს თავგანწირულ სვლას ჩრდილოეთისაკენ ყაზახეთსა და აღმოსავლეთ ციმბირში, ან შუა ევროპა დაიძვრება დასავლეთ-რუსულ მიწებზე — უკრაინაზე, ბელორუსიაზე, დასავლეთ ველიკორუსეთზე, ან ისლამური ბლოკი შეეცდება შუა აზიის, ვოლგის-პირეთისა და ურალისპირეთის, აგრეთვე, სამხრეთ რუსეთის ზოგიერთი ტერიტორიების ინტეგრაციას. ამ ახალი კონტინენტური ინტეგრაციისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია, რადგანაც თვით მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუკა ეწინააღმდეგება მის ერთპოლარულ, ატლანტიკურ ორიენტაციას.

გეოპოლიტიკაში ყოველთვის მოქმედებს საკრალური კანონი — „წმინდა ადგილი ვერ იტანს სიცარიელეს". ამასთან რუსეთის მიწების ექსპანსიისაკენ სხვა ევრაზიულ ბლოკებს უბიძგებს არა „ტერიტორიული ეგოიზმი" ან „რუსოფობია", არამედ სივრცის ულმობელი ლოგიკა და რუსეთის გეოპოლიტიკური პასიურობა. კონტინენტური სტრატეგიის სფეროში უაზროა იმის მოლოდინი, რომ სხვა ხალხები თავს შეიკავებენ რუსეთის მიწების ტერიტორიული ექსპანსიისაგან მხოლოდ „რუსეთის კულტურის თვითმყოფადობის" პატივისცემის გამო. ამ სფეროში მოქმედებს მხოლოდ ძალისმიერი ტერიტორიული იმპულსები და პოზიტიური უპირატესობები. იმპერიის დაუყოვნებლივ გაერთიანების საკითხში მერყეობის ფაქტორიც კი იმის საფუძველს წარმოადგენს, რომ რუსეთის საზღვრებისაკენ დაიძვრებიან ალტერნატიული დიდი გეოპოლიტიკური სივრცეები. ეს, ბუნებრივია, გამოიწვევს რუსების რეაქციას, რასაც თან მოჰყვება საშინელი და უპერსპექტივო შიდაევრაზიული კონფლიქტი. უპერსპექტივო იმიტომ, რომ მას არ ექნება თეორიულად პოზიტიური გადაწყვეტა, ვინაიდან არარუსული ევრაზიის შექმნისათვის აუცილებელია სრულიად განადგურდეს რუსი ხალხი. ამის გაკეთება კი, როგორც ისტორია გვიჩვენებს, არა მხოლოდ რთულია, არამედ ფაქტიურად შეუძლებელიც.

მეორე მხრივ, ასეთი კონფლიქტი ფრონტის ხაზს გაავლებს კონტინენტური და ანტიატლანტიკური ორიენტაციის მქონე მეზობელ ქვეყნებს შორის, რაც მხოლოდ გააძლიერებს მესამე ძალის, ანუ მონდიალისტური პროექტების მოხედვით აშშ-სა და მისი კოლეგების პოზიციას. უმოქმედობა, ესეც ერთგვარი მოქმედებაა და „იმპერიის გაერთიანების" მცდელობის შეფერხებას (რომ არაფერი ვთქვათ რუსეთის გეოპოლიტიკური ექსპანსიის შესაძლო უარზე) აუცილე-

ბლად მოჰყვება დიდი ევრაზიული სისხლისღვრა. ბალკანეთის მოვლენები სწორედ იმის საშინელი მაგალითია, რაც შეიძლება მოხდეს რუსეთში, შეუდარებლად უფრო გრანდიოზულ მასშტაბში.

ევრაზიის ტერიტორიების გაერთიანება რუსეთის, როგორც „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" მფარველობის ქვეშ, დღესდღეობით გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, თუმცა, იგი არაფერია იმ კატასტროფასთან შედარებით, რომელიც აუცილებლად დაიწყება თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყება „იმპერიის გაერთიანების" პროცესი.

## თავი 4. თბილი და ცივი ზღვები

„იმპერიის გაერთიანების" პროცესი თავიდანვე უნდა იყოს მიმართული ისეთ შორეულ სამიზნეზე, როგორსაც წარმოადგენს რუსეთის თბილ ზღვებზე გასვლა. ატლანტიკური ინგლისი ევრაზიის გარშემო არსებულ ყველა „სანაპირო სივრცეზე", თავისი კონტროლის შენარჩუნებას ახერხებდა რუსეთის ექსპანსიის შეკავებით სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით. რუსეთი გეოპოლიტიკურად წარმოდგებოდა, როგორც „დასრულებული" სახელმწიფო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში, სადაც მისი პოლიტიკური საზღვრები ემთხვეოდა ევრაზიის მატერიკის ბუნებრივ გეოგრაფიულ საზღვრებს. პარადოქსი იმაში მდგომარეობდა, რომ ეს სანაპიროები ცივ ზღვებზე გადიან, რაც წარმოადგენს გადაულახავ ბარიერს ზღვაოსნობის განვითარებაში იმდენად, რამდენადაც ეს ფაქტორი ხელს უშლის სერიოზული კონკურენციის გაწევას ზღვებზე დასავლეთ კუნძულის (ინგლისისა და ამერიკის) ფლოტებთან. გარდა ამისა, რუსეთის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე მიწები არასოდეს ყოფილა საკმარისად ათვისებული ბუნებრივი და კულტურული თავისებურებების გამო, ხოლო რუსეთის მიერ აზიის ინტეგრაციის ყველა პროექტი (დოქტორ ბადმაევის მიერ უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ მეორესადმი შეთავაზებული წინადადებიდან ბრეჟნევისეულ ბამამდე) რაღაც საკვირველი კანონზომიერებებით ინგრეოდა უეცარი ან მართვადი ისტორიული კატაკლიზმების ზემოქმედების გამო.

ასეა თუ ისე, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ცივი ზღვებისაკენ გასასვლელს უნდა დაემატოს სამხრეთით და დასავლეთით მდებარე თბილი ზღვებისაკენ გასასვლელები. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაიქცევა რუსეთი გეოპოლიტიკურად „დასრულებულ" სივრცედ. სწორედ ამის გამო მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის უსასრულო ომები. მათ ნაყოფს იმკიდნენ არა თურქები ან რუსები, არამედ ინგლისელები, რომლებიც სისხლისგან ცლიდნენ უკანასკნელი სამი ტრადიციული იმპერიიდან ორს (მესამე ავსტრია-უნგრეთი).

რუსეთისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სამხრეთის ზღვებისაკენ გასვლის მცდელობას, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის წარუმატებელი ექსპანსია ავღანეთში. გეოპოლიტიკური ლოგიკა გარკვევით მიგვანიშნებს, რომ რუსეთს აუცილებლად მოუწევს იქ დაბრუნება, თუმცა გაცილებით უკეთესი იქნებოდა იქ ერთგულ მოკავშირედ, დამცველად, მეგობრად და არა სისხლისმსმელ ჯალათად შესვლა. მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის სამხრეთით და დასავლეთით მდებარე საზღვრები გადაიქცევა სანაპირო ზოლად, შესაძლებელი

იქნება კონტინენტური მშენებლობის საბოლოო დასასრულზე საუბარი. ამასთან აუცილებელი არაა ეს მოხდეს დაპყრობით, ექსპანსიითა ან ანექსიით. მტკიცე ანტიატლანტიკური პარიტეტული სტრატეგიული კავშირი კონტინენტური ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან საკმარისი იქნება ამ მიზნის მისაღწევად.

თბილ ზღვებზე გასასვლელი შეიძლება მოპოვებულ იქნას არა მარტო სისხლისმღვრელი ომების გზით, არამედ ყველა კონტინენტური სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესებისათვის მისაღები გონივრული მშვიდობის გზით, ვინაიდან ევრაზიის სტრატეგიული ინტეგრაციის პროექტი ყველა ამ სახელმწიფოს საშუალებას მისცემს მოიპოვოს რეალური სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა და თამამად დადგეს მონროს სტრატეგიული დოქტრინის საფუძველზე გაერთიანებული მოწინააღმდეგე ატლანტიკური კუნძულის წინააღმდეგ.

სრუტეები და თბილი ზღვები მიუდგომელი იყო რუსეთისათვის მაშინ, როცა მთელი ევროპისა და აზიის ინტერესებისთვის საშიში ისეთი აშკარა ატლანტიკური ფაქტორი, როგორცაა აშშ, ჯერ კიდევ არ არსებობდა, ხოლო მატერიკის სხვადასხვა სახელმწიფოები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობაში (ინგლისის საპირწონედ და ლიდერობისთვის) ტერიტორიულ-სტრატეგიული გაერთიანების საკითხში.

მონროს დოქტრინის ამერიკაში განხორციელებამ გამოავლინა რუსეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის სრული არსი. ამიტომ რუსეთთან კავშირი (რა პოლიტიკურ ფორმებშიც არ უნდა ჰპოვოს მან გამოხატულება გარემოებათა მიხედვით) გახდა ცხადი იმპერატივი მატერიკის ყველა რეალისტი გეოპოლიტიკოსისათვის. მონდიალიზმისა და ატლანტიკური გლობალიზმის საფრთხე რუსეთს გამოწვეული Heartland-ისა და Rimland-ის შეკავშირებით თეორიულად უხსნის გზას თბილი ზღვებისაკენ ბუნებრივად — ოკეანისმიღმელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

# ნაწილი IV. რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი

## თავი 1. რადიკალური ალტერნატივის აუცილებლობა

რუსეთის მომავლის შესახებ ჩვენს საზოგადოებაში დღეისათვის არსებობს ორი ძირითადი პროექტი, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით ეხება ეროვნული ცხოვრების ყველა ასპექტს — ეკონომიკას, გეოპოლიტიკას, საერთაშორისო ურთიერთობებს, ეთნიკურ ინტერესებს, სამრეწველო სტრუქტურას, სამეურნეო წესს, სამხედრო აღმშენებლობასა და ა. შ.

პირველი პროექტი ეკუთვნის რადიკალ-ლიბერალებს, „რეფორმატორებს", რომელთაც მაგალითის სახით მოჰყავთ დასავლური საზოგადოება, თანამედროვე „სავაჭრო წყობა". ისინი უყოყმანოდ ეთანხმებიან პროექტებს „ისტორიის აღსასრულის" შესახებ, რომელიც ჩამოაყალიბა ფრენსის ფუკუიამამ თავის იმავე დასახელების მქონე ცნობილ სტატიაში. ეს პროექტი უარყოფს ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა ხალხი, ერი, ისტორია, გეოპოლიტიკური ინტერესები, სოციალური სამართლიანობა, რელიგია და ა. შ. მასში ყველაფერი აგებულია მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტურობის პრინციპზე, ინდივიდიზმის პრიმატზე, მოხმარებასა და „თავისუფალ ბაზარზე".

ლიბერალებს რუსეთის სანაცვლოდ სურთ ააშენონ ახალი, ისტორიულად ჯერ არარსებული საზოგადოება, რომელშიც დამყარდება ის წესები და კულტურული ღირებულებები, რომელთა მიხედვითაც ცხოვრობს თანამედროვე დასავლეთი და, განსაკუთრებით, აშშ. ამ ბანაკს, უკვე არსებული, დასავლური მოდელიდან გამომდინარე, ადვილად შეუძლია რუსული სინამდვილის ამა თუ იმ საკითხის შესახებ პასუხის ჩამოყალიბება, რომლის დროსაც იგი სარგებლობს დასავლურ-ლიბერალური ტერმინოლოგიითა და იურიდიული ნორმებით და მთლიანად ეყრდნობა ლიბერალ-კაპიტალიზმის შემუშავებულ თეორიულ სტრუქტურას. ეს პოზიცია, სულ მცირე ხნის წინ, თითქმის დომინირებდა ჩვენს საზოგადოებაში, დღესაც იგი უფრო მეტად არის ცნობილი, რადგან ძირითადად ეთანხმება ლიბერალური რეფორმების საერთო კურსსა და პრინციპულ ლოგიკას.

მეორე პროექტი რუსეთის მომავლის შესახებ ეკუთვნის ე. წ. „ეროვნულ-პატრიოტულ ოპოზიციას", რომელიც წარმოადგენს რეფორმატორების მიერ ნაქადაგები ლიბერალური რეფორმებისადმი მტრობითა და ლიბერალური ლოგიკის უარყოფით გაერთიანებულ მრავალფეროვან და მრავალსახოვან პოლიტიკურ რეალობას. ეს ოპოზიცია უბრალოდ ეროვნულ და პატრიოტულ ემოციებს კი არ გამოხატავს, არამედ წარმოადგენს „ვარდისფერ-თეთრ" ოპოზიციას, ანუ მასში სჭარბობენ კომუნისტების წარმომადგენლები (რომლებიც ბევრ საკითხში დასცილდნენ უხეშ მარქსისტულ-ლენინურ დოგმატიკას) და მართლმადიდებლურ-მონარქიული, ცარისტული ტიპის სახელმწიფოს მომხრენი.

„გაერთიანებული ოპოზიციის" ორივე ნაწილის შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა მსგავსება არის არა მხოლოდ „საერთო მტრის" განსაზღვრაში, არამედ ზოგიერთი ისეთი აზრობრივი და იდეოლოგიური საკითხის მიმართ, რომელსაც იზიარებს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. უფრო მეტიც, პატრიოტული „ოპოზიციის" უმრავლესობა წარმოდგენილია გარდაქმნამდელი სისტემის მოღვაწეებით, რომელთაც თვით

„თეთრ“, „ცარისტულ პროექტებშიც“ კი უაღრესად საბჭოური აზროვნების ელემენტები შემოაქვთ. მათ პერესტროიკის დაწყებამდე ამ იდეების მიმართ, არავითარი ისტორიული, ოჯახური თუ პოლიტიკური დამოკიდებულება არ აკავშირებდათ და მშვენივრად გრძნობდნენ თავს ბრეჟნევისეულ რეალობაში.

ასეა თუ ისე ოპოზიციის პროექტს შეიძლება ვუწოდოთ „საბჭოთა ცარისტული“, ვინაიდან იგი დაფუძნებულია ზოგიერთ იმ იდეოლოგიურ, გეოპოლიტიკურ, პოლიტიკურ-სოციალურ და ადმინისტრაციულ არქეტიპზე, რომელიც ობიექტურად აახლოებს საბჭოთა და საბჭოთამდელ პერიოდს (სულ მცირე XX საუკუნის ფარგლებში მაინც). პატრიოტების იდეოლოგია უფრო მეტად წინააღმდეგობრივი და აბსურდულია, ვიდრე ლიბერალების ლოგიკური და დასრულებული კონსტრუქციები. სწორედ ამიტომ იგი ხშირად ვლინდება არა დასრულებული კონცეფციისა თუ დოქტრინის, არამედ ფრაგმენტული, ემოციური, არათანამიმდევრული და წყვეტილი ფორმებით. და მაინც, ასეთ, საბჭოთა-ცარისტული მენტალობის ნამსხვრევებით შეკოწიწებულ ამ გროტესკულ კონგლომერატს აქვს გარკვეული ერთიანობა, მთლიანობა, რომლის რაციონალურად ჩამოყალიბება, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ საკმაოდ რთულია.

ორივე ეს პროექტი (ლიბერალურიცა და საბჭოთა ცარისტულიც) რუსი ხალხისა და რუსეთის ისტორიისათვის ნამდვილ ჩიხს წარმოადგენს. ლიბერალური პროექტი, ზოგადად, გულისხმობს რუსების ეროვნული თავისებურებების თანამიმდევრულ წარხოცვას „ისტორიის აღსასრულისა“ და „მსოფლიო ბაზრის“ კოსმოპოლიტურ ეპოქაში, ხოლო საბჭოთა ცარისტული კი ძალის მეშვეობით ცდილობს ერისა და სახელმწიფოს სწორედ იმ ისტორიული ფორმებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რომლებმაც თანდათანობით დააყენა კიდეც რუსეთი კრახის წინაშე.

„რეფორმატორების“ ლიბერალიზმისა და „გაერთიანებული ოპოზიციის“ საბჭოური ცარიზმის გვერდით მწიფდება მოთხოვნილება „მესამე გზის“ მიმართ, ისეთი განსაკუთრებული პროექტის მიმართ, რომელიც იქნება არა კომპრომისი, არა „ცენტრიზმი“ ერთსა და მეორეს შორის, არამედ სრულიად რადიკალურ უსაწყისო დუალისტურ ლოგიკასთან („ან ლიბერალები, ან ოპოზიცია“) კავშირის გამწყვეტი ნოვატორული ფუტურისტული გეგმა, სადაც, როგორც გამოუვალ ლაბირინთში, გამოიწრთობა რუსების ამჟამინდელი საზოგადოებრივი შემეცნება.

აუცილებელია გადაიჭრას გორდიასის კვანძი და დამტკიცდეს ორივეს მიმართ საპირისპირო, ჭეშმარიტი ალტერნატივა. დღეს საფრთხის წინაშე დგას დიდი ერი, მისი ინტერესები, მისი მომავალი.

## თავი 2. რას წარმოადგენს „რუსეთის ეროვნული ინტერესები“?

### 2.1. დღეს რუსებს სახელმწიფო არ გააჩნიათ

თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში შეუძლებელია „რუსეთის სტრატეგიული პერსპექტივების“ შესახებ მსჯელობა. მით უფრო შეუძლებელია რუსეთის საგარეო და შიდა პოლიტიკის თაობაზე რაიმე პროექტების წარმოდგენა, რამდენ მთავარი კითხვა — **რას წარმოადგენს რუსეთი დღეს?** — არც კი დასმულა სერიოზულად, რომ აღარაფერი ვთქვათ მასზე პასუხის გაცემაზე.

ყოფილ სსრკ-ში მომხდარი მთელი პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური და სოციალური წესების გამალებულმა ცვლილებებმა ძირფესვიანად გადაატრიალა ყველა არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური კრიტერიუმი და ნორმა. ერთიანი სოციალისტური სისტემის დამხობამ, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა სახელმწიფოს დაშლამ, ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებზე გამოიწვია სრული განუსაზღვრელობის ველის შექმნა, რომელშიც აღარ არსებობენ აღარც ნათელი ორიენტირები, აღარც მკაცრი იურიდიული ჩარჩოები, აღარც კონკრეტული სოციალური პერსპექტივები. ის გეოპოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც სსრკ-ს დაშლის შემდეგ ინერციულად, „ავტომატურად" წარმოიშვა, შემთხვევითი გარდამავალი და უკიდურესად ცვალებადია. ეს ეხება არა მარტო მოსკოვისაგან გამოყოფილ რესპუბლიკებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვით რუსეთსაც.

„სახელმწიფო ინტერესების" შესახებ გეგმების დასაწყობად აუცილებელია მკაფიო წარმოდგენა გვქონდეს იმის შესახებ თუ როგორი სახელმწიფოს შესახებ არის საუბარი, ანუ, დაგეგმვას აზრი აქვს მხოლოდ მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური სუბიექტის არსებობის დროს. ამჟამად, მსგავსი სუბიექტი რუსეთის შემთხვევაში არ არსებობს.

რუსეთის (რუსეთის ფედერაცია) არსებობა აშკარად არ აკმაყოფილებს „სახელმწიფოს" სტატუსის განმსაზღვრელ არანაირ სერიოზულ კრიტერიუმს. საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთის ფედერაციის სტატუსის შეფასებაში არსებული უთანხმობა აშკარად ადასტურებს საქმის სწორედ ასეთ მდგომარეობას. რას წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია? სსრკ-ს მემკვიდრესა და უფლებამონაცვლეს? რეგიონის ზესახელმწიფოს? მონოეროვნულ ქვეყანას? ეთნოსთაშორის ფედერაციას? ევრაზიის ჟანდარმს? პაიკს ამერიკულ პროექტებში? შემდგომი დანაწევრებისათვის განკუთვნილ ტერიტორიას? ასეთი განსაზღვრებების აბსოლუტური ურთიერთწინააღმდეგობობის მიუხედავად, კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, რუსეთი თამაშობს ერთ-ერთ ამ როლთაგანს. რაღაც მომენტში იგი არის მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფო, სხვა მომენტში იგი მეორეხარისხოვანი რეგიონული ზესახელმწიფოა, მესამე შემთხვევაში კი სეპარატისტული ექსპერიმენტების ველი. თუ ერთი და იგივე ტერიტორიულ-პოლიტიკური წარმონაქმნი ერთდროულად თამაშობს ყველა ამ როლს, ცხადია, რომ საუბარი მიმდინარეობს რაღაც პირობითი კატეგორიის შესახებ, რაღაც გარდამავალი სიდიდის შესახებ და არა იმ დასრულებული და სტაბილური პოლიტიკური ფენომენის შესახებ, რომელსაც შეიძლება დაერქვას სახელმწიფო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

რუსეთის ფედერაცია არ წარმოადგენს რუსეთს, სრულფასოვან რუსულ სახელმწიფოს. ეს არის გარდამავალი წარმონაქმნი დიდ და დინამიურ გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებში, მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციას პერსპექტივაში შეუძლია გადაიქცეს რუსულ სახელმწიფოდ, მაგრამ სრულიადაც არ არის ცხადი, რომ ეს მოხდება, ასევე არავინ იცის ღირს კი ამისკენ სწრაფვა?

როგორც არ უნდა იყოს, ისეთი ცვალებადი და დროებითი მოვლენის „სტრატეგიული ინტერესების" შესახებ, როგორიც არის რუსეთის ფედერაცია, შეუძლებელია საუბარი გრძელვადიან პერსპექტივაში. მითუმეტეს, საქმის

დღევანდელ მდგომარეობაზე დაყრდნობით უმეცრებაა „რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული დოქტრინის“ ჩამოყალიბების მცდელობა. „რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესები“ შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გამომჟღავნდება, დალაგდება და განისაზღვრება ამ ინტერესების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სუბიექტი. ჯერჯერობით კი სანამ ეს არ მომხდარა, ნებისმიერი პროექტი ამ მიმართულებით წუთიერ ფიქციად გადაიქცევა.

რუსეთის ფედერაციას არა აქვს სახელმწიფოებრიობის ისტორია. მისი საზღვრები შემთხვევითია, მისი კულტურული ორიენტირები შემღვრეულია, მისი პოლიტიკური რეჟიმი მორყეული და ბუნდოვანი, ეთნიკური შემადგენლობა მრავალგვარი, ხოლო ეკონომიკური სტრუქტურა ფრაგმენტული და, ნაწილობრივ, გახრწნილი, რაც დიდი გლობალური გეოპოლიტიკური წარმონაქნის დაშლის შედეგია. იმპერიის ამ ჩონჩხზე რაიმე სტაბილური სისტემის შესაქმნელად, საჭიროა ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის მსგავსი გარდაქმნები, რომელმაც ოსმანური იმპერიის ფრაგმენტისაგან თანამედროვე საერო თურქეთი შექმნა (თუმცა აქ ხელახლა ისმის კითხვა — ღირს კი ამისკენ სწრაფვა?).

თუ რუსეთის ფედერაცია არ არის რუსული სახელმწიფო, მაშინ მითუმეტეს, არც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა არ იქნება ასეთი, მიუხედავად იმისა რომ, დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა ქვეყანა (მცირე გამონაკლისის გარდა) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და მაშასადამე, ოდესღაც რუსეთის სახელმწიფოს ნაწილებს წარმოადგენდნენ. ამჟამად დსთ-ს ქვეყნებს ავტონომიის საკმაო დონე აქვთ და „დე იურე“ ითვლებიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნებად. ამ ქვეყნების შესახებ შეიძლება იგივეს მტკიცება (უფრო მეტი საფუძვლით) რასაც ვამბობდით რუსეთის ფედერაციის მიმართ, კერძოდ ის, რომ ამ წარმონაქმნებს არ აქვთ ნამდვილი სახელმწიფოებრიობის არანაირი სერიოზული ნიშანთვისება, ჩამორთმეული აქვთ ფაქტიური სუვერენობის ატრიბუტები და უფრო „ტერიტორიულ პროცესს“ გვანან, ვიდრე სტაბილურ და განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ ერთეულებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მზარდ ნაციონალიზმს, რომელიც ხშირად ანტირუსულადაა განწყობილი, ამ არაბუნებრივი, არასტაბილური და თავისთავად ურთიერთწინააღმდეგო ფრაგმენტებისაგან შეუძლებელია ერთი ჰარმონიული სურათის შეკოწიწება. ბელგიელ გეოპოლიტიკოსს ჟან ტირიარს ამის შესახებ მოჰყავს ერთი ზუსტი შედარება — „სსრკ ჰგავდა შოკოლადის ფილას უჯრა-რესპუბლიკების აღნიშნული საზღვრებით. მას შემდეგ რაც უჯრები ჩამოტყდებიან, უკვე საკმარისი აღარ იქნება მათი ერთად დალაგება ფილის მთლიანობის აღსადგენად. ამიერიდან ამის მიღწევა მხოლოდ მთელი ფილის გადადნობითა და ხელახალი ჩამოსხმითაა შესაძლებელი“. „რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესები“ — ისეთივე ფუჭი გამონათქვამია, როგორც „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სტრატეგიული ინტერესები“. რუსების სტრატეგიული ინტერესების მიმართ მათ ერთობ ირიბი დამოკიდებულება გააჩნიათ.

## 2.2. „პოსტიმპერიული ლეგიტიმობის“ კონცეფცია

რუსული სახელმწიფოს არარსებობის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) მიუხედავად, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე მოქმედებს განსაზღვრული სამართლებრივი პრინციპები, რომელზეც დაფუძნებულია, როგორც დასავლეთის რეაქცია რუსეთის ფედერაციის ამა თუ იმ ქმედებათა მიმართ, ასევე რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ ქმედებათა იმწუთიერი ლოგიკა. ერთი შეხედვით სწორედ ეს პრინციპები იცავენ რუსეთის ფედერაციას და, ზოგადად, დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობას, ტოტალური ქაოსისაგან. საუბარია „პოსტიმპერიული ლეგიტიმობის“ დოქტრინის შესახებ. ევრაზიაში მიმდინარე ამჟამინდელი გეოპოლიტიკური პროცესების არსის გასაგებად, აუცილებელია აღნიშნული კონცეფციის ძირითადი თეზისების მოკლედ გადმოცემა.

„პოსტიმპერიული ლეგიტიმობა“ წარმოადგენს რეგიონის პოლიტიკური განვითარების უშუალოდ წინმსწრებ ფაზასთან ანუ „იმპერიის ლეგიტიმობასთან“ („Legacy of empire“) მჭიდროდ დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას. იმპერია (სულ მცირე, „საერო“-ლიბერალური ანუ სოციალისტური) თავისი კოლონიების ტერიტორიული მოწყობისას ხშირად ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული და ეკონომიკური ნიშნების მიხედვით და არ ითვალისწინებს არც ეთნიკურ, არც რელიგიურ და არც ეროვნულ ფაქტორებს. იმპერიის ფარგლებში ადმინისტრაციული საზღვრები თვითნებურია, ვინაიდან ისინი მეტროპოლიის მოხერხებული ცენტრალიზებული კონტროლისათვის წინასწარ შექმნილ პირობით დაბრკოლებას წარმოადგენენ. იმპერია თავისი არსებობის მანძილზე აიძულებს დანარჩენ სახელმწიფოებს ლეგიტიმურად აღიარონ მისი შიდა ადმინისტრაციული სისტემა. თუმცა იმპერიის დაშლის დროს ყოველთვის წარმოიშობა „სამართლებრივი განუსაზღვრელობის ზონები“, ვინაიდან არსებობას წყვეტს ის სტრუქტურა, რომელიც იურიდიულად არეგულირებდა თავისი შემადგენელი ნაწილების სტატუსს.

პოსტკოლონიური გარდაქმნების პროცესში ჩამოყალიბდა საერთაშორისო-სამართლებრივი კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო პოსტიმპერიული ტერიტორიულ-პოლიტიკური წარმონაქმნების უფლებამოსილებისა და უუფლებობის კლასიფიკაციას. ეს არის „პოსტიმპერიული ლეგიტიმურობის“ კონცეფცია. მისი არსი შემდეგია — იმპერიის, როგორც ერთი მთლიანის არარსებობის მიუხედავად, მისი წმინდა ადმინისტრაციული შემადგენლები იძენენ სამართლებრივ სტატუსს დამოუკიდებლად იმისა, ეს წარმონაქმნები აკმაყოფილებენ სრულფასოვანი სახელმწიფოს კრიტერიუმს თუ არა. ასეთ მიდგომას საფუძვლად ედევს საერო ლიბერალური იდეა ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის, როგორც ისტორიული შემთხვევითობის ნებითობის შესახებ. ამ ლოგიკის მიხედვით ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და სოციალური კომპონენტები უმნიშვნელო ხდება, ვინაიდან მოსახლეობა აქ აღიქმება, როგორც ეკონომიკურ-სტატიკურ ერთეულთა უბრალო ერთობლიობად. ამაში გამოსჩვივის „იმპერიული“, „კოლონიური“ მიდგომის ინერცია, რომელიც მიჩვეულია საერთო კონტექსტის ფარგლებში „კოლონიებისა“ და „პროვინციების“ შერაცხვას რაღაც მეორეხარისხოვან და უმნიშვნელო, „დამატებით“ წარმონაქმნებად.

„პოსტიმპერიული წარმონაქმნები“ არასდროს (ან თითქმის არასდროს) არ გარდაიქმნებიან სრულფასოვან სახელმწიფოებად და არსებობას აგრძელებენ ყოფილი (ან ახალი) მეტროპოლიის ეკონომიკურ-პოლიტიკური დანამატების სახით. ამ წარმონაქმნების მმართველი ელიტა თითქმის ყოველთვის კოლონიური ადმინისტრაციის პირდაპირი მემკვიდრეა (ხშირად მის მიერაა დაყენებული), ეკონომიკა მთლიანადაა დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე, ხოლო პოლიტიკურ-სოციალური წყობა ყოფილი ცენტრის მოდელის მიხედვით იგება. ასეთი „პოსტიმპერიული ლეგიტიმობის“ შენარჩუნება ხშირად იწვევს ერთი და იგივე მკვიდრი ეთნოსის მიერ სხვადასხვა, პოსტიმპერიული ტერიტორიების დასახლებას, ხოლო ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრობს რამდენიმე ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი. ფაქტიურად ინტერესების შეფარდებითი ბალანსი ამ შემთხვევაში განმტკიცებულია მხოლოდ საგარეო ფაქტორებისადმი აპელირებით — ყველაზე ხშირად ამ დროს უჩივიან ყოფილი მეტროპოლიის (ან იმ განვითარებული სახელმწიფოს, რომელმაც შეიძლება შესცვალოს იგი) აშკარა ან ფარულ ძალას.

ნიშანდობლივია, რომ აფრიკის „გათავისუფლების“ ბოლო ეტაპზე პანაფრიკულმა კონგრესმა მიიღო ისეთი დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყველა ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოსათვის უნდა მიესადაგებინათ სწორედ „პოსტიმპერიული ლეგიტიმობის“ პრინციპი, თუმცა ბევრი დიდი აფრიკელი ხალხი — კერძოდ ბანტუ, ზულუსები და ა. შ. — ერთდროულად დასახლებული აღმოჩნდა ორ ან სამ სახელმწიფოში. ეს იყო გაკეთებული ეთნიკური, ტომთაშორისი და რელიგიური ომების თავიდან აცილების საბაბით. სინამდვილეში, ეს იყო პოსტიმპერიული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მისწრაფება შეენარჩუნებინა თავისი ხელოვნური ელიტა ხელისუფლებაში და არ დაეშვა ეროვნული აღმავლობის პროცესში ორგანული ეროვნული იერარქიის ახალი წარმომადგენლობის შექმნა. აფრიკის სტრატეგიული და სოციალ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის გათვალისწინებით, ახალი და საციოცხლო სახელმწიფოებრივი ტრადიციების უქონლობის გამო, ასეთი მიდგომა საკმაოდ წარმატებული გამოდგა.

„პოსტიმპერიული ლეგიტიმობის“ პრინციპი გამოიყენება სსრკ-ს ნანგრევებზე აღმოცენებული ქვეყნების მიმართ. ყოფილ „მოკავშირე რესპუბლიკებში“, თითქმის, ყველგან ხელისუფლებაში იმყოფება „კოლონიური ადმინისტრაციის“ მემკვიდრეები, მთლიანად საბჭოთა იმპერიულ კონტექსტში ჩამოყალიბებული, ნაწილ-ნაწილ დაშლილი ერთიანი მმართველობითი სისტემის ნამსხვრევები. ეს ელიტა გაუცხოებულია თავისი ხალხის ეროვნულ-კულტურულ ტრადიციებთან და ინერციით ორიენტირებულია მეტროპოლიასთან ეკონომიკურ-პოლიტიკური დამოკიდებულების შენარჩუნებისაკენ. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სომხეთი, სადაც „პოსტიმპერიული ლეგიტიმობის“ ლოგიკა დაირღვა (მთიანი ყარაბახის შემთხვევაში) და სადაც, შესაბამისად, ეროვნულ პოლიტიკურ ძალებს უფრო დიდი წონა აქვთ, ვიდრე დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ყველა დანარჩენ ქვეყანაში. გარდა ამისა სომხეთი ერთადერთი მონოეთნიკური რესპუბლიკაა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებს შორის.

ერთი შეხედვით შეიძლება ჩამოყალიბდეს შთაბეჭდილება, რომ „პოსტ-

იმპერიული ლეგიტიმობის“ პრინციპი აწყობს რუსეთის ფედერაციას და მოსკოვს, რადგან ქმნის წინაპირობებს „ახლო საზღვარგარეთში“ რუსეთის ფედერაციის გავლენის შენარჩუნებისათვის და ამარტივებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს გეოგრაფიულ მეზობლებთან, თუმცა სინამდვილეში ყველაფერი ცოტა უფრო რთულადაა. როგორც მესამე სამყაროს ქვეყნების „დეკოლონიზაციის“ შემთხვევაში, იმპერიის დაშლა ასუსტებს მეტროპოლიის გეოპოლიტიკურ ძლიერებას, ხოლო კოლონიებისა და დომინიონების ნაწილი ამ დროს გადადის სხვა უფრო ძლიერი სახელმწიფოს უჩინარი კონტროლის ქვეშ, რომელიც „პოსტიმპერიული ლეგიტიმობის“ სისტემას თავისი საკუთარი მიზნებისათვის იყენებს. ამის ნათელი მაგალითია — აშშ, რომელმაც „დეკოლონიზაციის“ პროცესის მსვლელობისას ფაქტიურად დაუმორჩილა თავის გავლენას ინგლისის, ესპანეთის, პორტუგალიის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ყოფილი კოლონიების უმრავლესობა. ამგვარად დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებს პოსტსაბჭოთა „კოლონიური ადმინისტრაციის“ ნაცვლად შეიძლება მოევლინოს (და ევლინება კიდეც) თავისი მიზნებისთვის უკვე არსებული ხელოვნური სტრუქტურების გამომყენებელი სხვა „კოლონიური ადმინისტრაცია“.

სხვა მხრივ, „პოსტიმპერიული ლეგიტიმობა“ რუსეთის ფედერაციასაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის სხვა ქვეყნების გვერდით აყენებს, ამ შემთხვევაში სრულიად იგნორირდება **რუსი ხალხის** „პოსტიმპერიული“, წმინდა ადმინისტრაციული სამართლის აბსტრაქტული ნორმების ქვეშ მოხვედრილი და მისთვის უცხო, ფსევდოსახელმწიფოებრივ და კვაზიეროვნულ წარმონაქმნებში გაფანტული ეროვნულ-კულტურული, რელიგიური და ეთნიკური ინტერესები. რუსეთის ფედერაციის ფარგლებში იმპერიული ადმინისტრაციის ნარჩენები (პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი) ისევე უცხოა რუსების ეროვნული ხასიათისათვის, როგორც სხვა რესპუბლიკებისათვის, ვინაიდან იმპერიის სისტემა აშენებული იყო სხვა, წმინდა ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და არა ეროვნულ და კულტურულ პრინციპებზე. რუსები „გათავისუფლდნენ“ რა რესპუბლიკებისაგან, არ იღებენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ისინი კარგავენ თავიანთი ეროვნული ერთობის მნიშვნელოვან ნაწილს და ინარჩუნებენ დამოკიდებულ მდგომარეობას უწინდელ ნომენკლატურაზე და დამატებით ექვემდებარებიან უფრო ძლიერი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ მოხვედრის საფრთხეს. ეს უკანასკნელი საშიშროება არც ისე ახლო ჩანდა იმპერიის არსებობის ხანაში, მაგრამ უბრალო „რეგიონული სახელმწიფოს“ რანგში რუსეთის ფედერაცია სრული სიცხადით დადგა ამ მოვლენის წინაშე.

ყველა ეს მოსაზრება იძულებულს გვხდის ეჭვქვეშ დავაყენოთ „იმპერიული ლეგიტიმობის“ პრინციპის სარგებლიანობა თანამედროვე პირობებში, ვინაიდან იგი მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება რუსების ეროვნულ ინტერესებს.

მაშ, რა კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ „რუსების ეროვნული ინტერესების“ განსაზღვრისას? ვინ უნდა მივიჩნიოთ მთავარ სუბიექტად, რომელთან დამოკიდებულებაშიც შესაძლებელი იქნება განისაზღვროს, თუ რომელი კრიტერიუმია ხელსაყრელი და რომელი არა? რომელ კატეგორიებში სჯობს დღეს **რუსეთის** გააზრება?

## 2.3. რუსი ხალხი – გეოპოლიტიკური კონცეფციის ცენტრი

საბჭოთა იმპერიის დაშლა, მის ტერიტორიაზე არსებული ახალი პოლიტიკური წარმონაქმნების სიმყიფე და სახელმწიფოებრივი უძლურება (რუსეთის ფედერაციის ჩათვლით) მოითხოვს „რუსების ეროვნული ინტერესების" გამომხატველი უფრო კონკრეტული კატეგორიის მოძებნას. ამ საკითხში ორგანულად, ბუნებრივად, ისტორიულად დაფუძნებული ერთადერთი რეალობა შეიძლება იყოს მხოლოდ **რუსი ხალხი.**

რუსი ხალხი — ეს ისტორიული ერთობაა, რომელსაც აქვს სრულყოფილი და სტაბილური პოლიტიკური სუბიექტის ყველა ნიშან-თვისება. რუსი ხალხი გაერთიანებულია ეთნიკურად, კულტურულად, ფსიქოლოგიურად და რელიგიურად. თუმცა მხოლოდ ეს არ არის იმის მთავარი საფუძველი, რომ იგი პოლიტიკური და სოციალური-სტრატეგიის სუბიექტის გეოპოლიტიკური კონცეფციის ცენტრში დავაყენოთ.

რუსი ხალხი, ბევრი, სხვა ხალხისაგან განსხვავებით, **განსაკუთრებული ცივილიზაციის** მატარებელ ხალხად ჩამოყალიბდა, რომელსაც გააჩნია თვითმყოფადი და სრულფასოვანი მსოფლიო-ისტორიული გამოვლინების ყველა განსხვავებული ნიშანი. რუსი ხალხი ისეთი ცივილიზაციური მუდმივაა, რომელიც ღერძად ემსახურებოდა არა ერთ, არამედ მრავალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას: აღმოსავლეთსლავური სამთავროებიდან დაწყებული მოსკოვის რუსეთით დამთავრებული, პეტრეს იმპერიისა და საბჭოთა ბლოკის ჩათვლით. ამასთან ეს მუდმივა განსაზღვრავდა სწორედ მემკვიდრეობასა და კავშირს პოლიტიკურად, სოციალურად, ტერიტორიულად და სტრუქტურულად განსხვავებულ წარმონაქმნთა შორის. რუსი ხალხი იძლეოდა არა მარტო ეთნიკურ ბაზას ამ სახელმწიფო ფორმაციებისათვის, არამედ იგი, ასევე, გამოხატავდა მათში განსაკუთრებულ, ყველასათვის განსხვავებულ **ცივილიზაციურ იდეას.** სახელმწიფოს კი არ ჩამოუყალიბებია რუსი ერი, არამედ პირიქით რუსი — ერი, რუსი ხალხი ატარებდა ექსპერიმენტებს განსხვავებული სახელმწიფო სისტემების ტიპებით და სხვადასხვაგვარად გამოხატავდა (ვითარებათა მიხედვით) თავისი უნიკალური მისიის სპეციფიკას.

რუსი ხალხი უეჭველად მიეკუთვნება მესიანისტურ ხალხთა რიცხვს და როგორც ყველა მესიანისტურ ხალხს, მასაც აქვს უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო დანიშნულება, რომელიც მეტოქეობს არა მხოლოდ განსხვავებულ ეროვნულ იდეებთან, არამედ ცივილიზაციური უნივერსალიზმის ტიპების სხვა ფორმებთან. კ. ლეონტიევმა და რუსმა ევრაზიელებმა საკმაოდ სრულყოფილად ჩამოაყალიბეს ეს იდეა.

გარდამავალი პერიოდისა და პოლიტიკური კატაკლიზმებისათვის დამახასიათებელი არეულობებისაგან დამოუკიდებლად, რუსი ხალხი ყოველთვის ინარჩუნებდა თავის მესიანისტურ იდენტურობას, შედეგად კი ყოველთვის წარმოადგენდა ისტორიის **პოლიტიკურ** სუბიექტს. ყოველი მორიგი სახელმწიფო რყევის შემდეგ ერთი და იგივე, ძველი და ძლევამოსილი რუსული ძალა კვლავ ქმნიდა ახალ პოლიტიკურ კონსტრუქციებს და თავის სულიერ აღმაფრენას ახალი გეოპოლიტიკური ფორმებით მოსავდა.

დღევანდელ გარდამავალ პერიოდში სწორედ რუსი ხალხი უნდა იქნეს

გააზრებული მთავარ პოლიტიკურ სუბიექტად, აგრეთვე, სოციალ-ეკონომიკური ინტერესების საზომად. სწორედ რუსი ხალხი არის დღეს რუსეთი, არა როგორც გამოკვეთილი კონტურების მქონე სახელმწიფო, არამედ, როგორც რეალური და კონკრეტული გეოპოლიტიკური პოტენცია, თუმცა ჯერ კიდევ განუსაზღვრელი ახალი სახელმწიფო სტრუქტურით. მას არ განუსაზღვრია არც თავისი იდეოლოგია, არც თავისი ტერიტორიული მიჯნები და არც თავისი სოციალურ-პოლიტიკური მოწყობა.

მიუხედავად ამისა, „პოტენციური რუსეთი" დღეს გაცილებით მეტ გამოკვეთილ მახასიათებელს ფლობს, ვიდრე ეფემერული რუსეთის ფედერაცია ან დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა. ეს მახასიათებლები პირდაპირ კავშირშია იმ ცივილიზაციურ მისიასთან, რომლის განხორციელებაშიც მდგომარეობს რუსი ხალხის არსებობის არსი.

პირველი, რუსი ხალხი (=რუსეთი), უეჭველად პასუხისმგებელია ევრაზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონების კონტროლზე. ეს რუსული „Drang nach Osten und Norden" არის უკანასკნელი საუკუნეების რუსეთის ისტორიის ბუნებრივი გეოპოლიტიკური პროცესი, რომელიც არანაირი პოლიტიკური კატაკლიზმის დროს არ შეწყვეტილა. მაკინდერი რუსეთს „ისტორიის გეოპოლიტიკურ ღერძად" მოიხსენიებდა და ეს სრული ჭეშმარიტებაა, ვინაიდან რუსი ხალხი მართლაც ტრადიციულად მიისწრაფოდა ყველა იმ შიდაკონტინენტური ევრაზიული სივრცის ცივილიზაციური ათვისებისაკენ, რომლებიც მატერიკული მასის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რუსების სტრატეგიული ინტერესები განუყოფელია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ევრაზიის სივრცეებისაგან. ამაში მდგომარეობს რუსეთის (=რუსი ხალხის) გეოპოლიტიკის რეალური პერსპექტივების (განსაზღვრის შემდგომ) ძირითადი პრინციპი.

მეორე, რუსი ხალხი (=რუსეთი) აღჭურვილია რელიგიურობისა და კულტურის განსაკუთრებული ტიპით, რომელიც მკვეთრად განსხვავდება კათოლიკურ-პროტესტანტული დასავლეთისაგან და იქ ჩამოყალიბებული პოსტქრისტიანული ცივილიზაციისაგან. რუსეთის კულტურულ და გეოპოლიტიკურ ანტითეზად აღებულ უნდა იქნას სწორედ მთლიანი „დასავლეთი" და არა მხოლოდ მისი ერთ-ერთი შემადგენელი ქვეყანა. თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია უნივერსალურადაა ორიენტირებული: მის ყველა ნაწილში არსებობს განსაკუთრებული კულტურული ერთიანობა, რომელიც მთავარი ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი პრობლემების სფეციფიურ გადაწყვეტაზეა დაფუძნებული. რუსული უნივერსალიზმი, რუსული ცივილიზაციის საფუძველი, რადიკალურად განსხვავდება დასავლეთისაგან ყველა ძირითად კომპონენტში. გარკვეულწილად ეს არის ორი ერთმანეთის მეტოქე, საპირისპირო პოლუსების მქონე მოდელი. აქედან გამომდინარე რუსი ხალხის სტრატეგიული ინტერესები მიმართული უნდა იყოს ანტიდასავლურად (რაც გამომდინარეობს რუსული ცივილიზაციურობის იდენტურობის შენარჩუნების იმპერატივიდან), ხოლო პერსპექტივაში შესაძლებელია ცივილიზაციური ექსპანსია.

მესამე, რუს ხალხს (=რუსეთს) არასოდეს ჰქონდა მიზნად მონოეთნიკური, რასობრივად ერთგვარი სახელმწიფოს შექმნა. რუსების მისია უნივერსალურ ხასიათს ატარებდა და სწორედ ამიტომ რუსი ხალხი ისტორიაში გეგმაზო-

მიერად მიემართებოდა იმპერიის შექმნისაკენ, საზღვრებისაკენ, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდებოდა და თავის არეალში რთავდა ხალხების, კულტურების, რელიგიების, ტერიტორიებისა და რეგიონების სულ უფრო და უფრო მეტ რაოდენობას. რუსების გეგმაზომიერი და აშკარად გამოხატული „ექსპანსიონიზმის" მიჩნევა ისტორიულ შემთხვევითობად აბსურდია. ეს „ექსპანსიონიზმი" შეადგენს რუსი ხალხის ყოფიერების განუყოფელ ნაწილს და მჭიდროდაა დაკავშირებული მისი ცივილიზაციური მისიის ხარისხთან. ეს მისია გულისხმობს გარკვეული „საერთო მნიშვნელის" არსებობას რომელიც ნებას აძლევს რუსებს საკუთარ იმპერიაში გააერთიანონ ერთმანეთისაგან ესოდენ ძლიერ განსხვავებული კულტურების მქონე ხალხები და სახელმწიფოები. თუმცა „საერთო მნიშვნელს" აქვს თავისებურებები და მისი მისადაგება შეიძლება მხოლოდ იმ ხალხებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ განსაზღვრული ისტორიული და კულტურული თავისებურება, მაშინ როცა დანარჩენ ხალხები (კერძოდ დასავლეთის ზოგიერთი ერები) ძლიერ შორს არიან რუსული უნივერსალიზმისაგან (რაც ისტორიულად მეღავნდება ევროპაში რუსეთის პოლიტიკური გავლენის ცვალებადობაში და წინააღმდეგობაშიც კი).

მეოთხე, რუსი ხალხი (=რუსეთი) თავის ყოფიერებაში, მომდინარეობს უფრო გლობალური „სოტერიოლოგიური" პერსპექტივიდან, რომელსაც საბოლოოდ მსოფლიო მნიშვნელობა ენიჭება. აქ საქმე ეხება არა რუსების „სასიცოცხლო სივრცის" შეუზღუდავ გაფართოებას, არამედ მსოფლმხედველობის განსაკუთრებული რუსული ტიპის ჩამოყალიბებას. რომელიც აქცენტირებულია ესქატოლოგიურად და პრეტენზიას აცხადებს „ბოლო სიტყვაზე" მსოფლიო ისტორიაში. ეს არის ერის, როგორც „ღვთის ხალხის" უზენაესი ამოცანა.

შესაბამისად, თეორიულად მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ერი, კულტურა ან ტერიტორია, რომლის ბედი და გზა განურჩეველი იქნება რუსული შემეცნებისათვის. ეს ვლინდება რუსების ურყევ რწმენაში სიმართლის, სულისა და სამართლიანობის საბოლოო ზეიმის მიმართ, არა მხოლოდ რუსული სახელმწიფოს ფარგლებში, არამედ ყველგან. ამ ესქატოლოგიური რწმენის ჩაქრობა რუსებისათვის სულიერი გამოფიტვის ტოლფასია. რუსებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ყველაფერისა და ყველას მიმართ, ამიტომ, საბოლოოდ, რუსი ერის ინტერესები არ იფარგლება არც რუსული ეთნოსით, არც რუსული იმპერიით და არც მთელი ევრაზიით. რუსი ერის ამ „ტრანსცენდენტური" ასპექტის გათვალისწინება აუცილებელია მომავალი გეოპოლიტიკური სტრატე-გიის შემუშავებისას.

ცხადია, რომ დღევანდელ პირობებში, ზოგადად აღიარებული იურიდიული მსჯელობის, დასავლური, საერო, რაოდენობრივ-ლიბერალური ნორმებით არ არსებობს იმის არანაირი ობიექტური შესაძლებლობა, რომ არათუ სამართლებრივი სახით გამყარდეს „რუსი ხალხის", როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის სტატუსი, არამედ იურიდიულ და დიპლომატიურ წესებში შევიდეს ისეთი ტერმინი, როგორიცაა „ხალხი". თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (რომლის ძირითადი დებულებები რომის სამართლის ასლს წარმოადგენს) სრულფასოვან პოლიტიკურ სუბიექტად მხოლოდ **სახელმწიფოს და ინდივიდუმს** აღიარებს.

ამიტომაც არსებობს „სახელმწიფოთა სამართლისა" და „ადამიანთა უფლებების" კოდექსი, ხოლო „ერის უფლებების" ცნება საერთოდ უარყო-

ფილია. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან საერო და რაოდენობრივი მიდგომა ვერ ითვალისწინებს ისეთ კულტურულ სულიერ კატეგორიებს, როგორიცაა ეთნოსი, ერი და ა. შ. მსგავსი რაოდენობრივი დამოკიდებულება ახასიათებდა საბჭოთა წყობასაც და „დემოკრატიულ" მსოფლიოსაც. ხოლო ვინაიდან რუსი ხალხი დღეს სახლობს იმ ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს „პოსტიმპერიული" ან ლეგიტიმობის ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები, საერთოდ წარმოუდგენელია „ერის" პოლიტიკური სტატუსის ავტომატური აღიარება. მაშასადამე, „რუსების ეროვნული ინტერესების" გამორკვევისა და დაცვის ლოგიკა მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს არსებულ იურიდიულ პრაქტიკაში, უფრო მეტიც, საჭიროებს ამ პრაქტიკის რადიკალურ გარდაქმნას ეროვნული თვალსაზრისით.

ამგვარი ტრანსფორმაცია შეუძლებელია, როდესაც საუბარია ერთ რომელიმე სუსტად განვითარებულ და ტექნოლოგიურად აღუჭურვილ ერზე, საბედნიეროდ, რუსების შემთხვევაში ეს ასე არ არის. დღეისათვის ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დანარჩენი მსოფლიოსაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური გარდაქმნების უნარი, რადგან ჩვენს ხელთ არსებული შეიარაღების სტრატეგიული სახეობები საშუალებას გვაძლევს გარკვეული წინააღმდეგობა გაეწიოს დასავლეთის ზეწოლას. აქაც ყოველივე დამოკიდებულია იმ პირების პოლიტიკურ ნებასა და გამბედაობაზე, რომლებიც იკისრებენ რუსეთისა და რუსი ხალხის ბედის პასუხისმგებლობას.

ასეა თუ ისე, „რუსი ხალხის ეროვნული ინტერესების" გამორკვევის გზაზე პირველ ნაბიჯად ამ ერის **დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტად** აღიარება გვესახება. რომელსაც უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს, თუ რა არის მისთვის ხელსაყრელი და რა არა. აგრეთვე, ვითარებათა მიხედვით, დამოუკიდებლად გადადგას გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სტრატეგიული ნაბიჯები.

## თავი 3. რუსეთი წარმოუდგენელია იმპერიის გარეშე

### 3.1 რუსები „ერი-სახელმწიფოს" გარეშე

რუსეთი არასდროს ყოფილა ისეთი „ერი-სახელმწიფოების" მსგავსი, როგორებიც დამახასიათებელია ახალი დროის ევროპისათვის და რომელთა მოდელიც შემუშავებული იყო კოლონიურ და პოსტკოლონიურ ეპოქაში აზიისა და მთლიანად მესამე სამყაროსათვის.

„ერი-სახელმწიფო" ეფუძნება ადმინისტრაციულ ერთიანობასა და ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს, რომლებიც აყალიბებენ სახელმწიფოს მიერ შექმნილ და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პოლიტიკურ ერთობას. ეჭვგარეშეა, რომ „ერი-სახელმწიფოს" პირველი მოდელი ჩამოყალიბდა აბსოლუტურ საფრანგეთში, ხოლო შემდეგ გამყარებულ იქნა იაკობინურ რევოლუციურ მოდელში. „ერი-სახელმწიფო" იმთავითვე მკვეთრად საერო ხასიათის იყო და უპირველეს ყოვლისა წარმოადგენდა პოლიტიკურ ერთობას. ასეთ კონცეფციაში ცნება „ერი" ასახავდა მხოლოდ „მოქალაქეთა ერთობლიობას" და არა „ერს" ან „ერებს" ორგანული, „ჰოლისტური" შინაარსით. სახელმწიფოს ასეთი ტიპი დამყარებულია მოსახლეობის ეთნიკურ, სარწმუნოებრივ და საგვარეულო ფასეულობათა ნიველირებაზე, მთელ საზოგადოებაში ერთმანეთის

მსგავსი ისეთი იურიდიული და პროცესუალური ნორმატივების განმტკიცებაზე, რომლებიც არ ითვალისწინებენ არც რეგიონულ, არც რელიგიურ და არც რასობრივ თავისებურებებს. ნომინალურად „ერი-სახელმწიფო" შეიძლება იყოს მონარქიულიც, დემოკრატულიც და სოციალისტურიც. მისი არსობრივი ელემენტია არა პოლიტიკური მოწყობის სპეციფიკა, არამედ სახელმწიფოს, როგორც ყველა სოციალურ-ეთნიკური და კულტურულ-რელიგიურ განსხვავებებზე ზეაღმატებული ადმინისტრაციულ-ცენტრალიზებული ინსტანცია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ცნება „ერი" ასახავს, წმინდა პოლიტიკურ თვალსაზრისს, რაც მკვეთრად განსხვავდება ამ ცნების ნაციონალისტური აღქმისაგან.

„ერი-სახელმწიფო" ისტორიულად წარმოიშვა ევროპაში, იმ პერიოდში როდესაც განადგურდა ფეოდალური რეგიონული სტრუქტურების სახით შემორჩენილი იმპერიული სისტემის უკანასკნელი ნარჩენები და ამის გამო საზოგადოდ დაირღვა იმპერიული ერთიანობა. თავის არსით „ერი-სახელმწიფო" დაკავშირებულია პროფანულ, ბურჟუაზიულ ფასეულობებთან, რომლებიც თვისობრივ სოციალურ განსხვავებებს გარდაქმნიან გამარტივებულ რაოდენობრივ ადმინისტრაციულ სტრუქტურებად. „ერი-სახელმწიფო", ძირითადად იმართება არა „ღვთიური იდეით" (როგორც თეოკრატია ან იმპერია) ან „გმირული არისტოკრატული პიროვნებით" (ფეოდალური სისტემის მსგავსად), არამედ „კანონის დიქტატით" („ნომოკრატიით"), რომელიც უდიდეს ძალაუფლებას ანიჭებს სამართალმცოდნეებსა და იურიდიულ ბიუროკრატიას. ფაქტიურად „ერი-სახელმწიფო" არის ყველაზე იოლად სამართავი და რაოდენობრივად ყველაზე მოწესრიგებული პოლიტიკური რეალობა, რადგან მასში ყველა არარაოდენობრივი და „არარაციონალური" ფაქტორები დაყვანილია მინიმუმამდე.

საბოლოოდ, რუსეთის ისტორიაში „ერი-სახელმწიფო" არ წარმოშობილა. როდესაც მე-18 საუკუნის შემდეგ ევროპაში სწორედ ამ მოდელმა დაიწყო დამკვიდრება, რუსეთი თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდა მას. სამეფო რეჟიმი ცდილობდა მაქსიმალურად ხელშეუხებლად შენარჩუნებინა სწორედ იმპერიული სტრუქტურა, თუმცა გარკვეული დათმობები ევროპული მოწყობის მიმართ ყოველთვის შეინიშნებოდა. პეტრესეული პროევროპული რეფორმების მიუხედავად, რუსეთის იმპერია ინარჩუნებდა თეოკრატიულ ელემენტებსაც და არისტოკრატულ პრინციპსაც, ხოლო სამღვდელოების და მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების სახელმწიფო ბიუროკრატებად გადაქცევა სრული ფორმით პრაქტიკულად არასდროს განხორციელებულა (დასავლეთ-ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით).

ეროვნული სტიქია ეწინააღმდეგებოდა იმპერიის ასეთ გადაგვარებას, რაც გამუდმებით წარმოშობდა სპონტანურ ან შეგნებულ რეაქციულ ტალღებს, როგორც ხალხის, ისე ელიტის მხრიდან. ერთი და იგივე ხელისუფლის დროსაც კი რუსეთში ხშირად მონაცვლეობდა რეფორმისტული და რეაქციული განწყობილებანი, ლიბერალური რეფორმების შემდეგ ხშირად მიმართავდნენ მისტიურ რესტავრაციულ პროექტებს (ყველაზე ცხადად ეს გამოვლინდა საღმრთო კავშირის დამაარსებლის, ალექსანდრე I მეფობის დროს).

რუსეთში მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ევროპული ნიმუშის მიხედვით „ერი-სახელმწიფოს" შექმნა მაგრამ პროცესი ჩაიშალა რევოლუციური აფეთქების გამო, რომელიც შეიცავდა (თუნდაც გაუცნობიე-

რებლად) სიღრმისეულ ეროვნულ პროტესტს სახელმწიფოებრივი მოწყობის ისეთი ტიპის მიმართ, სადაც არ იყო გათვალისწინებული რუსი ხალხის სულიერი მისიის გამოვლინება. ბოლშევიზმის მოდერნისტული რიტორიკის მიღმა რუსებმა ბუნდოვნად დაინახეს საკუთარი ესქატოლოგიური იდეალები — იდეის, სიმართლისა, და სამართლიანობის გამარჯვება. საბჭოთა სახელმწიფო ხალხის მიერ აღიქმებოდა, როგორც „ახალი იმპერიის", „სინათლის სამეფოს", „სულის სასუფევლის" მშენებლობა და არა ყველაზე რაციონალური ადმინისტრაციული მოწყობისა და რაოდენობრივი ერთეულებით მმართველობის შექმნა. ბოლშევიკური კატაკლიზმების ტრაგიზმი და ფანატიზმი სწორედ ამ ამოცანის „იდეალურობით" იყო განპირობებული და არა — ადამიანური რესურსების უფრო „ჰუმანური" და მეტად ეკონომიური ორგანიზაციის უუნარობით.

საბჭოთა კავშირი ვერ გახდა „ერი-სახელმწიფო", იგი იყო მძლავრი იმპერიული ნაციონალური ტრადიციების გამგრძელებელი, რომლებიც გამოხატული იყო ექსტრავაგანტული ფორმით და უპირისპირდებოდა გვიანდელ სამეფოს მოდელს, რომელიც მისწრაფოდა ჩვეულებრივი ბურჟუაზიული საზოგადოებისკენ, „კანონის დიქტატურისკენ". საბჭოთა იმპერიამ, ყველა სხვა ნებისმიერი პოლიტიკური კონსტრუქციის მსგავსად, გაიარა სამი ეტაპი — უნიკალური სისტემის დამყარების „რევოლუციური ეტაპი" (ლენინი — სიყრმე), სახელმწიფოს განმტკიცების და გაფართოების სტაბილური ეტაპი (სტალინი — მოწიფულობა) და დაშლისა და დაჩაჩანაკების ეტაპი (ბრეჟნევი — სიბერე). თანაც, სწორედ გვიანბრეჟნევისეულმა პერიოდმა წარმოშვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც ყველაზე მეტად წააგავდა ტიპიური „ერი-სახელმწიფოს" ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს. გარდაქმნის დროს მთელი ამ საბჭოთა ფორმაციის სასიცოცხლო ციკლი დასრულდა და მასთან ერთად განვლო რუსი ხალხის ეროვნული ისტორიის მორიგმა ეტაპმაც.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ისტორიაში არსებობს შემდეგი კანონზომიერება: როდესაც ვითარება რუსეთს უბიძგებს „ერი-სახელმწიფოდ" გარდაქმნას, იწყება კატასტროფები და ახალ სარბიელზე ერი პოულობს თითქოსდა გარდუვალი ტრანსფორმაციისაგან თავის დაღწევის მორიგ (ზოგჯერ საკმაოდ ექსტრავაგანტულ) საშუალებას. რუსები ნებისმიერი ხერხით ცდილობენ თავი აარიდონ მოვლენების ასეთ შემობრუნებას, ვინაიდან მათი პოლიტიკური ნება ვერ უთავსდება ბიუროკრატიულად ეფექტური მექანიზმის ჩარჩოებში მოქცეულ, რაციონალურ და გასაშუალებულ რაოდენობრივ არსებობას. რუსები მზად არიან წარმოუდგენელი მსხვერპლი გაიღონ და უკიდურესად გაიჭირვონ, ოღონდ განხორციელდეს და განვითარდეს ეროვნული იდეა (უდიდესი რუსული ოცნება), ხოლო ამ იდეის საზღვრებად მათ, სულ მცირე, იმპერია წარმოუდგენიათ.

## 3.2. რუსები — იმპერიის ერი

რუსეთი იმთავითვე არ ყოფილა არც მონოეთნიკური სახელმწიფო და არც „ერი-სახელმწიფო", არამედ წარმოადგენდა პოტენციურ იმპერიულ ქვეყანას. რიურიკის[1] მიერ სლავური და უნგრულ-ფინური ტომების გაერთიანების შემდეგ (სსრკ-ს გიგანტური მასშტაბებითა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიების შემომტკიცებით) რუსი ერი მტკიცედ მიდიოდა პოლიტიკური და სივრცობრივი ინტეგრაციის, იმპერიის მშენებლობისა და ცივილიზაციური

ექსპანსიის გზით. აღსანიშნავია, რომ რუსულ ექსპანსიას სწორედ ცივილიზაციური ხასიათი ჰქონდა და სრულიადაც არ წარმოადგენდა უტილიტარულ[2] სწრაფვას კოლონიებისათვის ან ბანალურ ბრძოლას „სასიცოცხლო სივრცისათვის". არც ამ „სასიცოცხლო სივრცის" უკმარისობა და არც ეკონომიკური აუცილებლობა არ აიძულებდა რუს კაცს სულ უფრო მეტად გაეფართოებინა თავისი საზღვრები აღმოსავლეთით, სამხრეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით. მიწების უკმარისობა არასდროს არ ყოფილა რუსული იმპერიის მშენებლობის ნამდვილი მიზეზი. რუსები ფართოვდებოდნენ, როგორც განსაკუთრებული მისიის მატარებლები, რომლის გეოპოლიტიკური პროექცია გამოხატავდა ევრაზიული მატერიკის გიგანტური ტერიტორიების გაერთიანების აუცილებლობის სიღრმისეულ გათვითცნობიერებას.

ევრაზიული სივრცის პოლიტიკურ მთლიანობას რუსეთის ისტორიისათვის სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ რუსები გრძნობენ პასუხისმგებლობას ამ სივრცის, მისი მდგომარეობის, მისი კავშირის, მთლიანობის და დამოუკიდებლობის მიმართ. მაკინდერი სამართლიანად მიიჩნევდა რუსეთს თანამედროვეობის მთავარ სახმელეთო სახელმწიფოდ, რომელმაც დაიმკვიდრა და განაგრძობს რომის, ალექსანდრე დიდის, ჩინგის ხანისა და ა. შ. გეოპოლიტიკურ მისიასა. ეს არის „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი", რომელსაც, გარეგანი და გარდამავალი ფაქტორების მიუხედავად, არ შეუძლია არ განახორციელოს თავისი გეოპოლიტიკური დანიშნულება.

რუსი ერი იმდენადაა დაკავშირებული გეოპოლიტიკურ რეალობასთან, რომ თვით სივრცემ, მისმა განცდამ, გათვითცნობიერებამ, სულიერმა აღქმამ ჩამოაყალიბა ხალხის ფსიქოლოგია, რის გამოც იგი იქცა მისი იდენტურობისა და არსის ერთ-ერთ მთავარ განსაზღვრებად.

რეალური სახმელეთო სივრცე არ წარმოადგენს სუფთა რაოდენობრივ კატეგორიას. ჰავა, ლანდშაფტი, მიდამოს გეოლოგია, საწყლისნო გზები და სამთო ქედები აქტიურად მონაწილეობენ ეთნიკური და, ზოგადად, ცივილიზაციური ტიპის ჩამოყალიბებაში. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ცივილიზაცია და მისი სპეციფიკა ზუსტად არის განსაზღვრული დეტერმინებული[3] გეოგრაფიით და აუცილებლად ემორჩილება განსაკუთრებულ თვისობრივ კანონებს. რუსები — სახმელეთო, კონტინენტური, ჩრდილო-ევრაზიული ერია. ამასთანავე, მისი კულტურული სპეციფიკა ისეთია, რომ „სული" მაქსიმალურადაა განწყობილი „გულგახსნილობისაკენ", „გამაერთიანებელი" ფუნქციის განხორციელებისაკენ, განსაკუთრებული მატერიკული, ევრაზიული ერთობის ფაქიზი და სიღრმისეული პროცესის გამომუშავებისაკენ.

კულტურული ფაქტორი წარმოადგენს რუსეთის წმინდა გეოპოლიტიკური დანიშნულების ბუნებრივ დანამატს. გეოპოლიტიკური მისიის გააზრება წარმოებს კულტურულ დონეზე და პირიქით, კულტურა აცნობიერებს, აყალიბებს და მოქმედებისაკენ უბიძგებს გეოპოლიტიკურ იმპულსს. სივრცე და კულტურა — ეს არის რუსი ხალხის, როგორც, ძირითადად, იმპერიის მშენებელი ხალხის, უმნიშვნელოვანესი ორი შემადგენელი ნაწილი. სისხლმა, რასამ, ადმინისტრაციულმა კონტროლმა და რელიგიამაც კი ვერ შესძლო აღმოსავლეთი სლავების ნაწილებისაგან ჩამოეყალიბებინა განსაკუთრებული უნიკალური ერთობლიობა — რუსი ხალხი. ეს მოახერხა სწორედ უკიდეგანო ევრაზიულმა

სივრცემ და უკიდურესმა კულტურულმა, სულიერმა გულგახსნილობამ. „სივრცისა და კულტურის“ ნიშნის ქვეშ მოხდა ეთნიკური, პოლიტიკური, ეთიკური და რელიგიური ასპექტების ახლებური გააზრება. რუსები ერად ჩამოყალიბდნენ, განვითარდნენ და მომწიფნდნენ სწორედ იმპერიაში, მისი მშენებლობის ჰეროიკაში, მისი დაცვისათვის თავდადებაში, მისი გაფართოებისათვის ლაშქრობებში. იმპერიათმშენებლობის ფუნქციის უარყოფა ნიშნავს რუსი ხალხის, როგორც ისტორიული რეალობის, როგორც ცივილიზაციური მოვლენის არსებობის დასრულებას. ასეთი უარი ეროვნული თვითმკვლელობაა.

რომისაგან (პირველი რომისაგან) განსხვავებით, მოსკოვს, რუსეთს თავის იმპერიულ იმპულსში აქვს სიღრმისეული ტელეოლოგიური[4], ესქატოლოგიური მნიშვნელობა. ჰეგელმა ჩამოაყალიბა საინტერესო კონცეფცია იმის შესახებ, რომ ესქატოლოგიურ ვითარებაში აბსოლუტური იდეა საბოლოო, „შეგნებული“ სახით უნდა გამოვლინდეს პრუსიის სახელმწიფოს ფორმით, თუმცა მსოფლიო მასშტაბით მხოლოდ პრუსია (და თუნდაც გერმანია) გეოპოლიტიკურად არ არის საკმარისი იმისათვის, რათა ამ კონცეფციას მიენიჭოს სერიოზული მნიშვნელობა. რუსეთი კი, მესამე რომი რელიგიურად, კულტურულად, სივრცობრივად და სტრატეგიულად მნიშვნელოვნად შეესაბამება ისტორიის არსის თაობაზე ამგვარ ტელეოლოგიურ შეხედულებას და აშკარად მიისწრაფვის სწორედ ამ მისიის შესრულებისაკენ. ჰეგელის აბსოლუტური იდეა რუსეთის შემთხვევაში არის ევრაზიის კონტინენტის ცივილიზაციური ათვისებისაკენ მიდრეკილი რუსული იმპერიათმშენებლობის სულიერი ღერძი. მართებული არ იქნებოდა ასეთი სერიოზული ჰეგელისეული კრიტერიუმების მისადაგება იმ „ერი-სახელმწიფოს“ მიმართ, რომელიც წინასწარ გულისხმობს სხვა „ერი-სახელმწიფოების“ მეზობლობას თავიანთი საკუთარი მიზნებით, მითებითა და ინტერესებით. ასეთი შეფარდებითი სტრუქტურის მიმართ აბსოლუტური მნიშვნელობის თვისების მინიჭება საკმაოდ აბსურდულია. თუმცა, სპეციფიური, მრავალ საკითხში პარადოქსული, ხოლო ზოგჯერ საკმაოდ ბუნდოვან პრინციპებზე დაფუძნებული გიგანტური იმპერიის შემთხვევაში — სულ სხვა საკითხია. შემთხვევითი არაა, რომ უძველეს იმპერიებს „საღვთო იმპერიები“ ეწოდებოდათ: „ღვთიურობის“ თვისება, განსაკუთრებული სულიერი მისიის გამო, რომელიც, თითქმის, წინასწარ ასახავდა „დასასრულის იმპერიას“, აბსოლუტური იდეის კონტინენტურ სამეფოს.

რუსი ერი ნაბიჯ-ნაბიჯ სწორედ ამ მიზნისაკენ მიისწრაფვოდა. საკუთარი სახელმწიფოს გაფართოების ყოველ ეტაპზე რუსები გადადიოდნენ მესიანისტური უნივერსალიზმის მომდევნო საფეხურზე — თავდაპირველად აღმოსავლეთ სლავების გაერთიანებით, შემდეგ სტეპებისა და ციმბირის თურქული ნაკადის შემოერთებით, ხოლო მოგვიანებით სამხრეთისაკენ, უდაბნოებსა და მთებში გადაადგილების შემდეგ გიგანტური პოლიტიკური ბლოკის შექმნით, რომელიც საბჭოთა პერიოდში კონტროლს უწევდა, თითქმის, ნახევარ მსოფლიოს. თუ გავაცნობიერებთ, რომ რუსი ხალხი თავისი არსით წარმოადგენს სწორედ ამ იმპერიათმშენებელობის პროცესს, „აბსოლუტური იდეის სახელმწიფოს“ შექმნის მამოძრავებელ გეოპოლიტიკურ ვექტორს, მაშინ სრულიად ნათელია, რომ რუსი ერის არსებობა პირდაპირაა დამოკიდებული ამ პროცესის გაგრძელებაზე, მის განვითარებასა და გაძლიერებაზე. ამ ვექტორის შემცირებით

ან ჩახშობით ჩვენ გავგმირავთ რუსების გულს, ჩამოვართმევთ მათ ეროვნულ თვითმყოფადობას, გადავაქცეთ მათ ისტორიულ რუდიმენტად და ჩავშლით გლობალურ ტელეოლოგიურ, ესქატოლოგიურ მსოფლიო პროცესს.

## 3.3. „რეგიონული სახელმწიფოს" მახე

რუსი ხალხი თავისი ცივილიზაციური და გეოპოლიტიკური მისიით ტრადიციულად წარმოადგენდა (და წარმოადგენს) დედამიწაზე დასავლური ნიმუშის ლიბერალური მოდელის ყოველმხრივი გავრცელების სერიოზულ დაბრკოლებას. სამეფო და საბჭოთა რეჟიმები ემორჩილებოდნენ ულმობელ ეროვნულ ლოგიკას და ეწინააღმდეგებოდნენ დასავლეთის კულტურულ-პოლიტიკურ ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ და, განსაკუთრებით, ევრაზიული კონტინენტის სიღრმეში. ამასთანავე გეოპოლიტიკური წინააღმდეგობის სერიოზულობა ყოველთვის აისახებოდა იმით, რომ რუსეთი თავის თავში და თავის ირგვლივ სხვადასხვა ქვეყნებსა და ერებს მძლავრ სტრატეგიულ იმპერიულ ბლოკად აერთიანებდა. სწორედ კონტინენტური იმპერიის სახით მონაწილეობდა რუსეთი მსოფლიო პოლიტიკაში და იცავდა თავის ეროვნულ და ცივილიზაციურ ინტერესებს.

თანამედროვე პერიოდში, სსრკ-ს დაშლის შემდეგ, დასავლეთი ცდილობს თავს მოახვიოს რუსეთს სხვა გეოპოლიტიკური ფუნქცია, გადააქციოს რუსეთი ისეთ პოლიტიკურ სტრუქტურად, რომელიც უუნარო იქნება მსოფლიო პოლიტიკაში უშუალო მონაწილეობისა და დიდი ცივილიზაციური მისიის განხორციელებისათვის. 1992 წელს ამერიკის კონგრესის წინაშე, პოლ ვოლფოვიცის მოხსენებაში პირდაპირ წერია, რომ „აშშ-ს მთავარი სტრატეგიული ამოცანა არის ის, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ დაიშვას აშშ-საგან დამოუკიდებელი პოლიტიკის მწარმოებელი მსხვილი და დამოუკიდებელი სტრატეგიული წარმონაქმნის შექმნა". სწორედ დასავლეთის ასეთი საჭირბოროტო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე იქნა რუსეთისათვის შეთავაზებული „რეგიონული სახელმწიფოს" როლი.

„რეგიონული სახელმწიფო" — ეს არის თანამედროვე გეოპოლიტიკური კატეგორია, რომელიც ახასიათებს მსხვილ და საკმაოდ განვითარებულ სახელმწიფოს, თუმცა რომლის პოლიტიკური ინტერესები, შემოფარგლულია მხოლოდ უშუალოდ მის ტერიტორიასთან მიმდებარე ან მის შემადგენლობაში შემავალი ოლქებით. რეგიონულ სახელმწიფოებად ითვლება ინდოეთი, ირანი, თურქეთი, პაკისტანი, ჩინეთი და ა. შ. რეგიონული სახელმწიფოს სპეციფიკა გამოიხატება იმით, რომ მას გააჩნია უფრო დიდი პოლიტიკური წონა, ვიდრე ჩვეულებრივ რიგით სახელმწიფოს, მაგრამ უფრო ნაკლები, ვიდრე ზესახელმწიფოს ან იმპერიას. სხვაგვარად, რეგიონული სახელმწიფო ვერ ახდენს პირდაპირ ზეგავლენას მსოფლიო ცივილიზაციაზე, გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებზე და ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებში ემორჩილება უფრო მძლავრი იმპერიების ძალთა წონასწორობას. ამავე დროს, რეგიონული სახელმწიფო ფლობს გარკვეულ თავისუფლებას თავისი უშუალო (უფრო სუსტი) მეზობლების მიმართ და შეუძლია მათზე მოახდინოს პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა (ბუნებრივია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება ზესახელმწიფოთა ინტერესებს).

„რეგიონული სახელმწიფოს“ სტატუსი, რომელიც დღეს რუსეთს შესთავაზა დასავლეთმა, რუსი ერისათვის თვითმკვლელობის ტოლფასია. საუბარია იმის შესახებ, რომ ხელოვნურად და ძლიერი გარეგანი ზემოქმედებით მოხდეს რუსული ეროვნული ისტორიის ვექტორის შებრუნება და შეწყდება რუსეთის იმპერიად ჩამოყალიბების გეოპოლიტიკური პროცესი. რეგიონული სახელმწიფოს სახით რუსეთი უარყოფს ერის იმ სიღრმისეულ იმპულსს, რომელიც წარმოადგენს მისი უზენაესი და უღრმესი იდენტურობის საფუძველს. რუსებისათვის იმპერიული მასშტაბების დაკარგვა ნიშნავს ცივილიზაციაში მისი მონაწილეობის დასასრულსა და ჩაშლას, მისი სულიერი და კულტურული სისტემის ფასეულობების დამარცხებას, მათი უნივერსალური და მესიანური იმედების გაცრუებას, იმ ეროვნული იდეოლოგიის გაუფასურებასა და გაქარწყლებას, რომელიც აცოცხლებდა რუსი ხალხის მრავალ თაობას, ანიჭებდა მათ შემოქმედების, ბრძოლისა და გაჟირვებათა გადალახვის ძალასა და ენერგიას.

თუ გავითვალისწინებთ რუსების ეროვნული იმპერიული თვითიდენტიფიკაციის სპეციფიკას, აშკარა გახდება, რომ რუსეთის მიერ „რეგიონული სახელმწიფოს“ სტატუსის მიღება არ უნდა იყოს დაცვის ბოლო ხაზი. ამ შემთხვევაში რუსების ეროვნულ თვითშეგნებაზე მიყენებული დარტყმა იქნება იმდენად ძლიერი, რომ საქმე არ შემოიფარგლება რუსეთის ფედერაციის ან ანალოგიური ტერიტორიული სივრცით. საკუთარი მისიის დაკარგვის შემდეგ რუსები ვერ შესძლებენ იმ ძალების მოპოვებას, რითაც ღირსეულად განამტკიცებენ თავის ახალ, „შემცირებულ“ იდენტურობას „რეგიონულ სახელმწიფოში“, რადგან ამ იდენტურობის განმტკიცება შეუძლებელია იმ აფექტურ მდგომარეობაში, რომელიც ლოგიკურად წარმოიქმნება ერის მიერ იმპერიული მასშტაბის დაკარგვის შემდეგ. შესაბამისად, დეზინტეგრაციის პროცესები, ალბათ, გაგრძელდება „რეგიონულ სახელმწიფოშიც“ და, გაუბედურებული რუსები, რეგიონული და რელიგიური სეპარატიზმის აგორებულ ტალღას უკვე ვეღარაფერს დაუპირისპირებენ.

ამისათვის კი რათა დაფიქსირდეს პოსტიმპერიული რუსეთის „რეგიონული სტატუსი“, აუცილებელი იქნება ეროვნულობის მძლავრი ტალღის გამოღვიძება, თანაც სრულიად ახალი, ხელოვნური, იმ ენერგიებსა და იდეებზე დაფუძნებული ნაციონალობისა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ტრადიციულ და ერთადერთ, ჭეშმარიტ და ისტორიულად გამართლებულ რუსულ იმპერიულ მისწრაფებასთან. ეს შეიძლება შევადაროთ ახალი თურქების მცირე, „საერო“ ნაციონალიზმს, რომლებმაც „ეროვნული რევოლუციის“ საშუალებით ოსმალური იმპერიის ნანგრევებზე შექმნეს თანამედროვე „რეგიონული სახელმწიფო“ — თურქეთი. ახალთურქების ნაციონალიზმს არაფერი ეცხო ოსმანური იმპერიის გეოპოლიტიკური და რელიგიური ნაციონალიზმისა და, ფაქტიურად, თანამედროვე თურქეთი თავისი სულიერი, ეთნიკური და კულტურული ხასიათით წარმოადგენს სრულიად სხვა რეალობას, ვიდრე საუკუნის დასაწყისის თურქული იმპერია.

იგივე ემუქრება (თუ უფრო მეტი არა) რუსეთსაც. თანაც, ალბათ, ცივილიზაციური მისიისა და უნივერსალური ფასეულობების უარმყოფელი (ახალთურქების მსგავსად) „რეგიონული სახელმწიფოს“ სახით ჩამოყალიბება გამოიწვევს „ახალრუსების“ ტიპის პოლიტიკოსების ჩამოყალიბებას, რომლებიც ალბათ, აღიარებენ განსაკუთრებულ სექტანტურ იდეოლოგიას, რომელსაც

არავითარი საერთო არ ექნება რუსული ეროვნული იდეის ძირითად ხაზთან. ასეთი საერო და ხელოვნური, რუსული „არაიმპერიული" ნაციონალიზმი გეოპოლიტიკურად მხოლოდ ხელს შეუწყობს დასავლეთს, რათა მან მიანიჭოს რუსეთს „რეგიონული" სტატუსი, დაამყაროს ილუზიური და ხანმოკლე შინაგანი სტაბილიზაცია და, ამავე დროს, საფუძველი ჩაუყაროს მომავალ შიდარუსულ ეთნიკურ და რელიგიურ კონფლიქტებს. მაგრამ, თუ თურქეთს გააჩნია ახალ-თურქული ცენტრალიზმის საწინააღმდეგო ორი ან სამი მძლავრი აქტიური ეთნიკური გაერთიანება, რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს იმპერიულ მოდელს მშვენივრად მორგებული ასეულობით ხალხი, რომლებიც ვერანაირად ვერ შეუთავსდება „მცირე რუსული ნაციონალიზმის" ჩარჩოებს. შედეგი ცხადია: რუსეთი თანდათანობით ჩაებმება შინაგანი კონფლიქტებისა და ომების დაუსრულებელ ჯაჭვში და საბოლოდ დაიშლება.

ეს იქნება რუსების მიერ თავინთი იმპერიული მისიის დაკარგვის კანონზომიერი შედეგი, რადგან ეს პროცესი არ შეიძლება შემოიფარგლოს ტერიტორიების შეფარდებითი შეკვეცით და აუცილებლად მიაღწევს თავის ლოგიკურ დასასრულს — რუსი ერის, როგორც ისტორიული, გეოპოლიტიკური და ცივილიზაციური სუბიექტის, საბოლოო განადგურებას.

## 3.4. საბჭოთა სახელმწიფოებრიობის კრიტიკა

რუსი ხალხის იმპერიული მოწყობის ბოლო ფორმა იყო საბჭოთა კავშირი და მასზე დამოკიდებული გეოპოლიტიკური სივრცე (ვარშავის ხელშეკრულებების ქვეყნები). საბჭოთა პერიოდში რუსების გავლენის სფერო გეოგრაფიულად გაფართოვდა ადრე წარმოუდგენელ საზღვრებამდე. მიწების ათვისებამ და საშინაო ლაშქრობებმა რუსების გეოპოლიტიკურ ზონას მიუერთა უზარმაზარი ტერიტორიები.

სივრცობრივი თვალსაზრისით ასეთი ექსპანსია, თითქოსდა, რუსული სახელმწიფოებრიობის უმაღლეს ფორმას უნდა ასახიერებდეს და არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფაც, რომ საბჭოთა იმპერიის ღერძისეული კონსტრუქცია იყო სწორედ რუსი ხალხი, რომელმაც თავისი სპეციფიკური უნივერსალიზმი (ნაწილობრივ მაინც) საბჭოთა იდეოლოგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ მოდელში განახორციელა.

ამჟამად, ერთი შეხედვით თითქოს ჩანს, რომ ახლანდელ პირობებში ჭეშმარიტი რუსული ეროვნული განვითარების პერსპექტივა არის სსრკ-ს რესტავრაცია და საბჭოთა მოდელისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ეს ნაწილობრივ სწორია და ლოგიკურიც. ამგვარი თვალთახედვით სსრკ-ს აღდგენისთვის მებრძოლი ნეოკომუნისტური მოძრაობა უფრო კარგად აღიქვამს რუსი ერის გეოპოლიტიკური ინტერესებს, უფრო მკაფიოდ და ცხადად აცნობიერებს რუსი ხალხის სტრატეგიული და ცივილიზაციური მისწრაფებების შინაარსს, ვიდრე ზოგიერთი ნეონაციონალური ჯგუფი, რომლებიც „ახალრუსების" („ახალთურქების" მსგავსად) „მცირე", „შეკვეცილი", „ეთნიკური" ნაციონალიზმის მოდელისაკენ იხრებიან. უდაოდ, ნეოკომუნისტების გეოპოლიტიკური რესტავრაციონიზმი უფრო გამართლებულია და მათი ნაციონალიზმი უფრო ორგანული და „ეროვნული", ვიდრე პატრიოტების სლავოფილური მართმადიდებლურ-მონარქისტული ან რასისტული ფრთის, რომანტიკული და ფორმით

უვარგისი ვიწრო ნაციონალური პროექტები. თუ ვალდებულნი ვიქნებით არჩევანი სსრკ-ს აღდგენასა და მონოეთნიკური ან მონოკულტურულ ველიკორუსული სახელმწიფოს აშენებას შორის გავაკეთოთ, მაშინ, რუსი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო ლოგიკური და მართებული იქნებოდა სსრკ-ს პროექტის არჩევა.

მაგრამ, სსრკ-ს დაშლის მიზეზები და საბჭოთა იმპერიის მარცხი საჭიროებს ობიექტურ ანალიზს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეფუძნოს გარეგანი (მტრული) და შინაგანი (ძირგამომთხრელი) ზეგავლენის გამოძიებას ანუ „შეთქმულების თეორიას". სსრკ-ზე ლიბერალურ-დემოკრატიული დასავლეთის ზეწოლა ნამდვილად უზარმაზარი, ხოლო „ძირგამომთხრელი ელემენტების" მოღვაწეობა ქვეყნის შიგნით, მეტად ეფექტური და კარგად აწყობილი იყო. მიუხედავად ამისა, ეს ორი ფაქტორი გადამწყვეტი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა იმპერია თვით საბჭოთა სისტემისა და წყობის სპეციფიკის სიღრმიდან აღმოცენებული ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული შინაგანი კრიზისის სტადიაში შევიდა.

დაშლის ამ შინაგანი მიზეზების შესწავლისა და ანალიზის გარეშე, საბჭოთა კავშირის აღდგენის (მითუმეტეს ახალი იმპერიის შექმნის) ნებისმიერი მცდელობა ამაო და უშედეგო იქნება. უფრო მეტიც, ამ საკითხში ნებისმიერი წმინდა ინერციული კონსერვატულობა უფრო გაამწვავებს საქმის ვითარებას.

გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ დამარცხებას:

1) სოციალური რეჟიმის არსებობის განმავლობაში წმინდა ეროვნული, ტრადიციული და სულიერი ელემენტები საბოლოოდ მაინც ვერ შეუერთდა კომუნისტური იდეოლოგიის საერთო კომპლექსს. ეს, მრავალ საკითხში „დე ფაქტო" ნაციონალ-კომუნისტური იდეოლოგია ვერ გახდა ასეთივე „დე იურე", რამაც დააბრკოლა რუსულ-საბჭოური საზოგადოების ორგანული განვითარება, წარმოიშვა ორმაგი სტანდარტი და იდეოლოგიური წინააღმდეგობები წარმოშვა გეოპოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროექტების განხორციელების დროს. ათეიზმი, მატერიალიზმი, პროგრესი, „საგანმანათლებლო ეთიკა" და ა. შ. უცხო იყო რუსული ბოლშევიზმისათვის და მთლიანად რუსი ხალხისათვის. პრაქტიკულად მარქსიზმიდან აღებული ეს დებულებები (უნდა ითქვას, რომ თვით მარქსიზმშიც კი ისინი საკმაოდ ნებაყოფლობითი ელემენტებია — მარქსმა თითქოს ანგარიში გაუწია ფოირბახის სტილში გადაწყვეტილ ძველმოდურ პოზიტივისტურ ჰუმანიზმს) რუსი კომუნისტების მიერ გააზრებულ იქნა ხალხურ-მისტიურ, ხანდახან კი არაორთოდოქსული ესქატოლოგიური იმედების თვალსაზრისით და არა დასავლურ-ევროპული კულტურის მიერ გამოსხმული რაციონალისტური ნაყოფის სახით. მაგრამ, ნაციონალ-ბოლშევიზმის იდეოლოგია (რომელსაც შეეძლო ახალი სოციალურ-პოლიტიკური წყობისათვის უფრო შესაბამისი, უფრო რუსული ტერმინები გამოეძებნა) საბოლოოდ ვერ ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ადრე თუ გვიან, იდეოლოგიურად ასეთ შეუსაბამო კონსტრუქციის შეზღუდულობა ნეგატიურ ხატად უნდა გადაქცეულიყო. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი გვიანსაბჭოურ პერიოდში, როდესაც უაზრო დოგმატებმა და კომუნისტურმა დემაგოგიამ საბოლოოდ დათრგუნა საზოგადოების ყოველგვარი იდეოლოგიური ცხოვრება. მმართველი იდეოლოგიის ასეთმა „გაშეშებამ" და მასში ორგანული, ეროვნული და რუსი ხალხისათვის ბუნებრივი

კომპონენტების ჩართვის ჯიუტად უარყოფამ განაპირობა მთელი საბჭოთა სისტემის დამარცხება. ამის პასუხისმგებლობა არა მხოლოდ „გავლენის აგენტებს" ეკისრება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც „პროგრესულ", ისე „კონსერვატიული" ფრთის ძირითად საბჭოელ იდეოლოგებს. საბჭოთა იმპერია იდეოლოგიურად და ფაქტობრივად დაშალეს კომუნისტებმა. ამჟამად მისი აღდგენა იმ ფორმით და იგივე იდეოლოგიით არამც თუ შეუძლებელია, არამედ უაზროა, რადგან ჰიპოთეზურადაც კი ამ დროს განახლდება იგივე მიზეზები, რამაც ერთხელ უკვე გამოიწვია სახელმწიფოს დაშლა.

2) გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ დონეზე საბჭოთა კავშირი უუნარო იყო ატლანტისტური დასავლური ბლოკის მიმართ — გაეწია ხანგრძლივი კონკურენცია. სტრატეგიული თვალსაზრისით, სახმელეთო საზღვრები მნიშვნელოვნად უფრო ფაქიზია, ვიდრე საზღვაო, თანაც ყველა დონეზე (სასაზღვრო ჯარების რაოდენობა, სამხედრო ტექნიკის ღირებულება, სტრატეგიული შეიარაღების გამოყენება, მათი განლაგება და ა. შ.). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს ირგვლივ მყოფი დასავლეთის კაპიტალისტური ბლოკის წინაშე სსრკ უთანაბრო ვითარებაში აღმოჩნდა, აშშ ფლობდა უზარმაზარ საკუნძულო ბაზას (ამერიკის კონტინენტი), რომელიც იყო სრულიად დამორჩილებული და ყველა მხრიდან გარშემორტყმული ოკეანეებითა და ზღვებით, რომელთა დაცვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ამასთანავე, აშშ კონტროლს უწევდა სამხრეთისა და ევრაზიის დასავლეთის, თითქმის, ყველა სანაპირო ზონას, რითაც უზარმაზარ საფრთხეს უქმნიდა სსრკ-ს და იმავდროულად პრაქტიკუ-ლად მიუღწეველი იყო საბჭოთა კავშირის მხრიდან მოსალოდნელი პოტენციუ-რი დესტაბილიზაციური აქციებისათვის. ევროპის დაყოფამ აღმოსავლურ (საბჭოურ) და დასავლურ (ამერიკულ) ევროპებად მხოლოდ გაართულა სსრკ-ს გეოპოლიტიკური მდგომარეობა დასავლეთში, რადგან გაიზარდა სახმელეთო საზღვრების მოცულობა და ისინი მიუახლოვდა პოტენციურად საშიშ მოწინააღმდეგეს.

ყოველივე ამას დაემატა თვით ევროპელი ხალხების პასიური მტრობის ვითარება, რადგან ისინი მძევლების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ამ გეოპოლიტიკურ დუელში, რომლის შინაარსი მათთვის საკმაოდ ბუნდოვანი იყო.

იგივე შეინიშნებოდა სამხრეთის მიმართულებით — აზიაში და შორეულ აღმოსავლეთში, სადაც საბჭოთა კავშირის მეზობლები იყვნენ დასავლეთის მიერ მართვადი (პაკისტანი, ავღანეთი, ჰომეინის მმართველობამდელი ირანი) ან საბჭოური სოციალისტური ორიენტაციის მიმართ საკმაოდ მტრულად განწყობილი ქვეყნები. ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირი შედარებით მდგრადობას მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძენდა: ან სწრაფად გადაიწევდა ოკეანისაკენ დასავლეთით (ატლანტიკისაკენ) და სამხრეთით (ინდოეთის ოკეანისაკენ), ან ევროპასა და აზიაში ჩამოაყალიბებდა ნეიტრალურ პოლიტიკურ ბლოკებს, რომლებიც არ იქნებოდა დამორჩილებული არც ერთი ზესახელმწიფოს მიერ. ამ კონცეფციის (ნეიტრალური გერმანიის) წამოყენება ჯერ კიდევ სტალინმა სცადა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ბერიამ. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი (ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან ერთად) ერთდროულად იყო მეტისმეტად დიდიც და მეტისმეტად მცირეც. სტატუს კვოს შენარჩუნება აწყობდა მხოლოდ აშშ-ს და ატლანტიზმს, რადგან ამ დროს საბჭოთა კავშირის სამხედრო, ინდუსტრიული და სტრატეგიული პოტენციები სულ უფრო იფიტებოდა, ხოლო აშშ-ს, დაცული კუნძუ-

ლის, სიმძლავრე სულ უფრო იზრდება. ადრე თუ გვიან აღმოსავლური ბლოკის დაშლა გარდაუვალი იყო. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის აღდგენა არა მხოლოდ თითქმის შეუძლებელია, არამედ სრულიად უმართებულოა, რადგან პრაქტიკულად წარმოუდგენელი წარმატების შემთხვევაშიც კი მას მოუხდება მხოლოდ წინასწარ განწირული გეოპოლიტიკური მოდელის განახლება.

3) საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციული მოწყობა ეფუძნებოდა შიდასახელმწიფოებრივი დაყოფის საერო, წმინდა ფუნქციურ და რაოდენობრივ განსაზღვრებას. სამეურნეო და ბიუროკრატიული ცენტრალიზმი არ ითვალისწინებდა შიგნითა ტერიტორიების რეგიონულ და, მითუმეტეს, ეთნიკურ და რელიგიურ თავისებურებებს. საზოგადოების გაერთფეროვნებისა და წმინდა ეკონომიკური სტრუქტურიზაციის პრინციპმა განაპირობა უხეში სისტემების ჩამოყალიბება, რომლებიც თრგუნავდნენ ან, უკეთეს შემთხვევაში, „აკონსერვებდნენ" სხვადასხვა ხალხების, მათ შორის რუსი ხალხის, ეროვნული ცხოვრების ბუნებრივ ფორმებს. ტერიტორიული პრინციპი მოქმედებდა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხებოდა ნაციონალურ რესპუბლიკებს, ავტონომიებს ან ოლქებს. ამ დროს, რეგიონულ-ეთნიკური გაერთფეროვნების პროცესი მთელი საბჭოური პოლიტიკური სისტემის დაბერებისთანავე სულ უფრო გამოკვეთილი ხდებოდა, რადგან თავისი არსებობის ეს ბოლო სისტემა სულ უფრო მეტად იძენდა საბჭოური „ერი-სახელმწიფოს" და არა იმპერიის სახეს.

ნაციონალიზმი, რომელმაც თავდაპირველად მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის შექმნას, საბოლოოდ იქცა სრულიად უარყოფით ფაქტორად, მეტისმეტმა ცენტრალიზაციამ და უნიფიკაციამ წარმოშვა ბუნებრივი პროტესტი და უკმაყოფილება. იმპერიული საწყისის ატროფიამ, ბიუროკრატიული ცენტრალიზმის გაქვავებამ, მაქსიმალური რაციონალიზაციისაკენ და წმინდა ეკონომიკური პროდუქტიულობისაკენ ლტოლვამ თანდათანობით საბჭოთა კავშირისაგან ჩამოაყალიბა პოლიტიკური სიცოცხლის უუნარო ურჩხული, რომელიც ასახავდა ცენტრის მიერ თავსმოხვეულ ტოტალიტარიზმს. ყოველივე ამის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ინტერნაციონალიზმის" ასო-ასო აღქმულმა ზოგიერთმა კომუნისტურმა თეზისმა. შესაბამისად, ყოვლად დაუშვებელია საბჭოური მოდელის იმ ასპექტის აღდგენა, რომელიც ითვალისწინებს არა კონკრეტულ ეთნოსთან, კულტურასთან და რელიგიასთან ურთიერთობას, არამედ აბსტრაქტული „მოსახლეობით" და „ტერიტორიით" ოპერირებას. პირიქით, საჭიროა შეძლებისდაგვარად სწრაფად აღმოიფხვრას ასეთი რაოდენობრივი მიდგომის შედეგები, რისი ანარეკლიც დღეს ასე ტრაგიკულად ვლინდება ჩეჩნეთში, ყირიმში, ყაზახეთში, ყარაბაღში, აფხაზეთში, დნესტრისპირეთში და ა. შ.

4) საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემა ეფუძნებოდა ისეთ „გრძელ" სოციალისტურ ციკლს, რომ, თანდათან, ერთი კონკრეტრული ადამიანისადმი მთელი საზოგადოების დამორჩილება საერთოდ აღარ შეიგრძნობოდა. უკიდურესმა სოციალიზაციამ და წმინდა ეკონომიკურ პროცესებზეც კი სახელმწიფოს ზედმიწევნითმა კონტროლმა, აგრეთვე, მხოლოდ ცენტრალიზებული, მხოლოდ სამთავრობო ინსტანციისათვის გადანაწილების ფუნქციის მინიჭებამ, საზოგადოებაში ჩამოაყალიბა სოციალური გაუცხოების, აპათიის, დაუინტერესებლობის განწყობა. სოციალიზმი და ყველა მისი უპირატესობა გახდა ბუნდოვანი და შეუმჩნეველი, დაიჩრდილა ბიუროკრატიული სახელმწიფო მანქანის

უზარმაზარი კონსტრუქციის მიერ. ადამიანმა, კონკრეტულმა კოლექტივმა დაკარგა თავისი სახე „საზოგადოების" აბსტრაქტის წინაშე. სოციალური გადანაწილების ციკლმა დაკარგა კავშირი რეალობასთან, გადაიქცა უსულო მანქანის გაუგებარ, განყენებულ ლოგიკად. სოციალიზმმა თვითონ კი არ განაპირობა საქმეთა ასეთი ვითარება, არამედ მისმა იმ ვერსიამ, რომელიც ისტორიულად საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით მის გვიან ეტაპებზე. თუმცა, ასეთი გადაგვარების საწყისის მოძიება მართებული იქნებოდა, როგორც თვით დოქტრინაში, ისე თეორიაშიც.

ტოტალიტარულმა სოციალიზმმა ეკონომიკას წაართვა მოქნილობა, ხოლო ხალხს — ენთუზიაზმი და შემოქმედებით პროცესში მონაწილეობის შეგრძნება, ხელი შეუწყო საზოგადოების მიმართ პარაზიტული დამოკიდებულების დამყარებას, რამაც დღეს თავისი აბსოლუტური გამოხატულება მაფიოზურ-ლიბერალურ განწყობაში ჰპოვა. ამ პოსტსაბჭოური ექსცესისათვის პასუხისმგებლობა კომუნისტებს ეკისრებათ, რომლებიც უუნარონი აღმოჩდნენ გარდაექმნათ სოციალიზმი ეროვნული სტიქიის შესაბამისად და შეენარჩუნებინათ მასში ღირსეული ცხოვრება.

ყოფილი საბჭოური მოდელის ეს ოთხი ძირითადი ასპექტი წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის მარცხის მთავარ ფაქტორებს და სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა საბჭოთა იმპერიის დაშლისათვის. სრულიად ბუნებრივია, რომ სსრკ-ს ჰიპოთეზური აღდგენის დროს ამ თვალსაზრისით საჭიროა რადიკალური დასკვნების გამოტანა და იმ მიზეზების ძირფესვიანად აღმოფხვრა, რომლებიც ერთხელ უკვე ისტორიულ საფუძვლად დაედო დიდი ერის სახელმწიფოებრივ კატასტროფას.

მაგრამ, თუ სსრკ-ს აღდგენის პროცესი შექმნის ისეთ იდეოლოგიას, რომელიც უარყოფს მატერიალიზმს, ათეიზმს, ტოტალიტარიზმს, სახელმწიფოებრივ სოციალიზმს, საბჭოურ გეოპოლიტიკურ სივრცეს, ადმინისტრაციულ მოწყობას, ინტერნაციონალიზმს, ცენტრალიზმს და ა. შ. მართებული იქნება თუ არა საუბარი „სსრკ-ზე" ან „საბჭოურ სახელმწიფოზე" „კომუნიზმზე" „რესტავრაციაზე" და ა. შ.? უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა ამ პროცესს ეწოდოს „ახალი იმპერიის" შექმნა?

## 3.5. საერთო სახელმწიფოებრიობის კრიტიკა

დღეს სულ უფრო ხშირად გაისმის მიწოდებები სამეფო, მონარქისტული მოდელისაკენ დაბრუნების თაობაზე. ეს საკმაოდ კანონზომიერია, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს დისკრედიტაცია რუსებს აიძულებს ეძებონ სახელმწიფოებრიობის ისეთი ფორმები, რომლებიც არსებობდა რუსეთის ისტორიის კომუნისტურ პერიოდამდე. ამ მოდელს აქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. კომუნისტებამდელი სახელმწიფო სისტემის რესტავრაციის წარმოუდგენელი სირთულის მიუხედავად ეს პროექტი დღეს სულ უფრო სერიოზულად განიხილება.

რუსი ერის გეოპოლიტიკური განვითარების ისტორიული ლოგიკის გათვალისწინებით, კარგი იქნება რომანოვების მმართველობის გვიანი პერიოდების გახსენება, იმ პერიოდის, როდესაც რუსეთმა თავისი ტერიტორიული იმპერიული მოცულობის მაქსიმუმი დაიკავა.

აღნიშნულ პროექტში ყველაზე პოზიტიურია სამეფო რუსეთის იდეოლოგიური საფუძველი, სადაც (თუნდაც ნომინალურად) გამოხატული იყო ეროვნული სულის (ხალხურობა), რელიგიური ჭეშმარიტების (მართლმადიდებლობა) და ტრადიციული საკრალური პოლიტიკური მოწყობის (თვითმპყრობელობა) მიმართ ერთგულება. თუმცა, როგორც სამართლიანად აღნიშნეს რუსმა ევრაზიელებმა, უვაროვის ფორმულა (მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ხალხურობა) სამეფო რუსეთის ბოლო პერიოდებში წარმოადგენდა უფრო იდეალისტურ ლოზუნგს, ვიდრე პოლიტიკური ცხოვრების და სოციალური მოწყობის რეალურ შინაარსს. პეტრეს საერო რეფორმებით შერყეული რუსული მართლმადიდებლობა საკმაოდ დაშორდა „წმიდა რუსეთის" იდეალს და ფაქტიურად დაემორჩილა სახელმწიფო კონტროლს, მნიშვნელოვნად დაკარგა თავისი საკრალური ავტორიტეტი და მართლმადიდებლური სიმფონიის ჰარმონიულობა. სულიერი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ რუსული ეკლესია იძულებული გახდა კომპრომისი დაემყარებინა საერო ხელისუფლებასთან, რაც ჩამოყალიბდა მეფეს დამორჩილებული სინოდის სახით. ყოველივე ამის გამო შეიკვეცა ეკლესიის მიერ ღვთიური ჭეშმარიტებების ნამდვილი აღმსარებლობის თავისუფლება.

თვითმპყრობელობა კი სულ უფრო მეტად კარგავდა საკრალურ მნიშვნელობას, ხშირად იწყებდა წმინდა პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას და ხანდახან ავიწყდებოდა კიდეც თავისი უზენაესი მისია და რელიგიური დანიშნულება. თუმცა, რუსეთში სამეფო ხელისუფლების დესაკრალიზაცია არასოდეს არ უტოლდებოდა იმ უშინაარსო პაროდიას, რადაც გადაიქცა ევროპული მონარქიები — უპირველეს ყოვლისა ფრანგული და ინგლისური. მაგრამ, ამ სფეროში ევროპის ზეგავლენა მაინც ძალიან დიდი იყო.

დაბოლოს, ცნობილი ლოზუნგი „ხალხურობა" ალბათ უფრო დეკრალაციული ხასიათის იყო, ხოლო ხალხი — ღრმად დაშორებული პოლიტიკურ ცხოვრებას, რაც გამოვლინდა საყოველთაო გულგრილობით თებერვლის და, მოგვიანებით, ოქტომბრის რევოლუციის მიმართ, რომელმაც ძირფესვიანად დაანგრია მონარქისტული მოდელი.

ჩვენს პირობებში ამ ტრიადის აღდგენის პირდაპირი მცდელობა, ალბათ, გამოიწვევს იმ სუსტი და, მნიშვნელოვანწილად, დემაგოგიური კომპრომისის აღდგენას, რომელიც გვიანრომანოვულ ეპოქაში (როდესაც იგი ჩამოყალიბდა) ამ სამი პრინციპის უკან იმალებოდა. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ტახტზე აშკარა პრეტენდენტების არარსებობას, ამჟამინდელი მართლმადიდებლური ეკლესიის არასტაბილურ და გაურკვეველ მდგომარეობას და, აგრეთვე, ტერმინ „ხალხურობის" აბსტრაქტულ მნიშვნელობას (ხშირად იგი აღიქმება, როგორც ზედაპირული, ფოლკლორული სტილი ან მეოცნებე ინტელიგენტების „ეგალხურება"), იოლია დასკვნა, რომ უვაროვის იდეოლოგიის აღდგენა იქცევა რევოლუციამდელი სამეფო რეჟიმის დიდ პაროდიად.

სამეფო მოდელს, გარდა ამისა, აქვს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ნაკლი, რომელმაც იმავე წესით დასცა რუსეთის იმპერია, როგორც საბჭოთა კავშირი სამოცდაათი წლით უფრო გვიან. სამეფო, შესაბამისად, „სლავური" გეოპოლიტიკისაკენ დაბრუნება წარმოადგენს საშინელ საფრთხეს. საქმე იმაშია, რომ რომანოვების მეფობის უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მმართველი სახლის გარეგან პოლიტიკას განსაზღვრავდნენ არა ალექსანდრე

პირველის ევრაზიული ტრადიციები და წმინდა კავშირის (რომელიც ეფუძნებოდა რუსეთისა და შუა ევროპის სახელმწიფოთა ალიანსს) კონტინენტური პერსპექტივები, არამედ პროინგლისური და პროფრანგული პროექტები, რომელთა გამოც რუსეთი ებმებოდა თვითმკვლელობის ტოლფას კონფლიქტებში, სადაც მხარს უჭერდა თავის ბუნებრივ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს და იბრძოდა თავისი ბუნებრივი გეოპოლიტიკური მოკავშირეების წინააღმდეგ. სერბეთის მოთხოვნების მხარდაჭერა, უაზრო მითი „ბოსფოროსა და დარდანელების" შესახებ, ფრანგი მასონების ანტიგერმანულ ევროპულ ინტრიგებში მონაწილეობა — ყოველივე ეს აიძულებდა რუსეთს შეესრულებინა არა მხოლოდ არაბუნებრივი, არამედ მისთვის დამღუპველი როლი.

სლავიანოფილურ საფუძველზე აღმოსავლეთ ევროპაში დამკვიდრების მცდელობითა და თანდათან შუა ევროპის სახელმწიფოებთან (რუსეთის ბუნებრივ მოკავშირეებთან) კონფლიქტის გაღვივებით, სამეფო რეჟიმი გეგმაზომიერად უთხრიდა ძირს რუსული სახელმწიფოს საძირკველს და აშკარად მიაქანებდა რუსეთს გეოპოლიტიკური თვითმკვლელობისაკენ. ამასვე მიეკუთვნება ომები თურქეთთან და იაპონიასთან. პარადოქსულია, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი იმის მაგივრად, რომ შეესრულებინა თავისი ბუნებრივი ევრაზიული მისია და კავშირი დაემყარებინა ყველა მსგავს პოლიტიკურად და სულიერად კონსერვატიულ და იმპერიულ რეჟიმთან, თითქმის ცდილობდა შეძლებისდაგვარად საუკეთესო სამსახური გაეწია პროგრესისტული საფრანგეთისა და ატლანტიკური ინგლისის ინტერესებისათვის. სლავიანოფილურ გეოპოლიტიკურ უტოპიას რუსეთმა შესწირა მეფე, ეკლესია, იმპერია და მხოლოდ ევრაზიულად განწყობილი ბოლშევიკების მოსვლით გადაურჩა ქვეყანა და ხალხი ტოტალურ დეგრადაციას, „რეგიონულ სახელმწიფოდ" გადაქცევას.

ჩვენს პირობებში ასეთი — გვიანრომანოვული, „სლავიანოფილური" გზით წასვლა აუცილებლად გამოიწვევს მსგავს შედეგებს. თვით რევოლუციამდელი რუსეთისკენ აპელაციაც კი პოტენციურად თვითგამანადგურებელ პოლიტიკურ მოტივებს შეიცავს, რომელიც რუსი ხალისათვის საბჭოეთის რესტავრაციის პროექტებზე მნიშვნელოვნად უფრო საშიშია.

არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მონარქისტული ტენდენციების შემთხვევაში უკიდურესად სახიფათოა. საუბარია ეკონომიკის იმ კაპიტალისტური ფორმის თაობაზე, რომელიც ახასიათებდა რუსეთს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო სახელმწიფოებრივი, სოციალური და კულტურული საზღვრებით შემოფარგლული ნაციონალური კაპიტალიზმის ვარიაცია და არა „ველური" თავისუფალი ბაზარი, ნებისმიერი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური გაუცხოების ეფექტი უკუდურესად ძლიერი იყო.

რუსმა ბურჟუამ მტკიცედ დაიმკვიდრა სახელმწიფოებრივი და სამხედრო არისტოკრატიის, სასულიერო საზოგადოების ადგილი და შეავიწროვა მოხელეები და მოსამსახურეები. რუსი ბურჟუას ეს ტიპი (რომელიც საკმაოდ განსხვავდებოდა მოვაჭრეების ტრადიციული, კაპიტალიზმამდელი, ფეოდალური ტიპისაგან) ფაქტიურად ეწინააღმდეგებოდა კულტურულ, სოციალურ და ეთიკურ ნორმებს, რომელიც რუსული ეროვნული ფასეულობების სისტემის საფუძველი იყო. რუსმა ბურჟუამ, რომელმაც მიიღო ინგლისური ეკონომიკური

ლიბერალიზმის გაკვეთილები, შეიგრძნო ფინანსური და საბაჟო სპეკულაციების გემო, ზუსტად გამოიყენა ჯერ კიდევ სინდისის კოდექსით შებოჭილი რუსული არისტოკრატიის ეკონომიკური უმოქმედობა, სწრაფად დამკვიდრდა რუსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში და შესანიშნავად შეეზავა მონარქისტული ცრუპატრიარქალურობის სურათს, რომელმაც დაკარგა მთელი თავისი ცხოვრებისეული, საკრალური მნიშვნელობა. სწორედ ეს რუსი კაპიტალისტები (თანაც ძალიან ხშირად ნაციონალისტური, „შავრაზმული" ორიენტაციის) გახდნენ რუსეთში ინგლისური და ფრანგული ზეგავლენის გამტარები, იმ ატლანტისტური სავაჭრო მოდელის ბუნებრივი აგენტები, რომელიც განვითარდა და ჩამოყალიბდა ანგლოსაქსურ და ფრანგულ საზოგადოებაში.

გვიანრომანოვული სახელმწიფოებრივი წყობა — ეს არის დესაკრალიზაციურ-მონარქისტული ფასადი, თვითგამანადგურებელი სლავიანოფილური გეოპოლიტიკისა და ატლანტისტურად განწყობილი საბაზრო კაპიტალიზმის კომბინაცია. ყველა შემთხვევაში ნაციონალური რიტორიკა იყო მხოლოდ სიტყვის ნიღაბი და ფიგურა, რომლის უკანაც იდგა რუს ინტერესებისაგან არა უბრალოდ დაშორებული, არამედ ამ ინტერესების საპირისპირო პოლიტიკურ-სოციალური ტენდენციები.

ძალიან საეჭვოა ამ მოდელის კიდევ ერთი ელემენტი — რუსეთის იმპერიის გუბერნიული ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულ ცხოვრებაში ეს თითქოს ხელს არ უშლიდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების თავისუფალ განვითარებას და, ნორმალურ შემთხვევაში, რუსები მხოლოდ ხელს უწყობდნენ ეთნოსებს ჩამოეყალიბებინათ და განევითარებინათ თავისი სპეციფიური კულტურა, მაგრამ იმის გამო, რომ კულტურულ-ეთნიკური და რელიგიური ავტონომიები იურიდიულად დაუკანონებელი იყო და ყველგან მკაცრი სახელმწიფო ერთფეროვანი ცენტრალიზმი სუფევდა, ვერ მოხერხდა ერების ჩაბმა საერთო და თავისუფალ კონტინენტურ იმპერიათმშენებლობაში. „ერი-სახელმწიფოს" ელემენტები ზუსტად ისევე გამოვლინდა რომანოვების ბოლო პერიოდში, როგორც სსრკ-ს უკანასკნელ ათწლეულში. უნდა აღინიშნოს, რომ ამის შედეგიც საკმაოდ მსგავსი იყო — ერებმა ზურგი შეაქციეს მოსკოვს (სანკტ-პეტერბურგს) და რუსებს, დაიწყო სეპარატისტული მოძრაობები, წარმოიშვა „მცირე ნაციონალიზმი" და ა. შ. ყოველივე ამას, საპასუხო რეაქციის სახით, მოჰყვა დიდი რუსული მესიანური ნების გადაგვარება ბანალურ ნაციონალ-შოვინიზმად.

მონარქიულ რუსეთში დადებითი იყო სწორედ კულტურულ-რელიგიური მხარე, ერთგულება საკრალური ტრადიციების მიმართ, წმინდა რუსეთის, წმინდა სამეფოს იდეალი, მოსკოვი — მესამე რომი. მართმადიდებლური ეკლესია, როგორც დოგმატური ჭეშმარიტების ფუძე, ხელისუფლების სიმფონია, რუსი ხალხის საღვთისმეტყველო მისიის გაცნობიერება და გააზრება — არის ჭეშმარიტი რუსული იმპერიის სულიერი სიმბოლო, რომელსაც აქვს არქეტიპული, უცვლელი ღირებულება, თუმცა საჭიროა მისი გაწმენდა ფორმალურობის, დემაგოგიისა და ფარისევლური ნადებისაგან. მაგრამ გვიანდელი რომანოვების არაბუნებრივი გეოპოლიტიკა, მიდრეკილება კაპიტალიზმისაკენ, მცირე შიდაიმპერიული ხალხების ეთნიკური და რელიგიური ფაქტორების უგულებელყოფა, ანტიგერმანული, ანტიიაპონური და ანტიოსმალური ორიენტაცია — ეს არის პოლიტიკური გზა, რომელიც მთავრდება ჩიხით, რომელსაც საერთო არა

აქვს რუსი ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებთან, რაც დაადასტურა კიდეც ამ მოდელის ისტორიულმა დამარცხებამ.

## 3.6. ახალი ევრაზიული იმპერიისაკენ

ზემოხსენებული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება მომავალი იმპერიის პერსპექტივების თაობაზე, რადგან მხოლოდ იმპერია წარმოადგენს რუსი ხალხის ღირსეული და ბუნებრივი არსებობის ფორმას და ერთადერთ საშუალებას ამ ხალხის ისტორიული და ცივილიზაციური მისიის სრულფასოვანი განხორციელებისათვის.

**1. მომავალი იმპერია არ უნდა იყოს „რეგიონული სახელმწიფო" ან „ერი-სახელმწიფო", ეს ცხადია.** მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი იმპერია ვერასოდეს გახდება რეგიონული სახელმწიფოს ან „ერი-სახელმწიფოს" გაგრძელება, რადგან მსგავსი გარდამავალი ეტაპი უდიდეს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს სიღრმისეულ ნაციონალურ იმპერიულ ტენდენციებს, შეიტყუებს რუს ხალხს ამოუცნობი გეოპოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობების ლაბირინთში, რაც თავისთავად შეუძლებელს გახდის გეგმაზომიერ და თანმიმდევრულ, ლოგიკურ იმპერიათმშენებლობას.

**2. ახალი იმპერია იმთავითვე უნდა აშენდეს იმპერიის სახით და მის პროექტს აქედანვე უნდა დაედოს საფუძვლად სრულფასოვანი და განვითარებული წმინდა იმპერიული პრინციპები.** არ შეიძლება მომავალში ხელსაყრელი პირობების იმედად ეს პროცესი შორეულ პერსპექტივად იქცეს. დიდი რუსული იმპერიის შექმნისათვის ასეთი პირობები არასოდეს შეიქმნება, თუ უკვე, ახლავე, ხალხი და ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცდილობენ იმეტყველონ მისი სახელით, გააზრებულად და თვალნათლივ არ დაამკვიდრებენ თავის ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ და გეოპოლიტიკურ ორიენტაციას. იმპერია მხოლოდ დიდი სახელმწიფო როდია. იგი რაღაც სულ სხვაა. ეს არის სტრატეგიული ბლოკი, რომელიც აღემატება ჩვეულებრივი სახელმწიფოს პარამეტრებს, ეს ზესახელმწიფოა. პრაქტიკულად არცერთი სახელმწიფო არ ქცეულა იმპერიად. იმპერიები იმთავითვე იქმნებოდა, როგორც განსაკუთრებული ცივილიზაციური ნების გამოხატულება, როგორც ზემიზანი, როგორც სამყაროს მომწყობი გიგანტური იმპულსი. ამიტომ დღეს უკვე გარკვევით უნდა ითქვას: არა რუსული სახელმწიფო, არამედ რუსეთის იმპერია. არა სოციალურ-პოლიტიკური ევოლუციის გზა, არამედ გეოპოლიტიკური რევოლუციის გეზი.

**3. რუსების ახალი იმპერიის გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური კონტურები უნდა განისაზღვროს იმ საკითხების გადაჭრის საფუძველზე, რომლებმაც გამოიწვიეს წინამორბედი იმპერიული ფორმების დასამარება.** შესაბამისად, ახალი იმპერია:

— არ უნდა იყოს მატერიალისტური, ათეისტური, ეკონომიკურ-ცენტრისტული;

— უნდა ფლობდეს საზღვაო საზღვრებს ან მიმდებარე კონტინენტურ ტერიტორიებზე უნდა ჰყავდეს მეგობრული ბლოკები;

— უნდა აყალიბებდეს შინაგანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის მოქნილ და დიფერენციულ ეთნორელიგიურ სტრუქტურას ე. ი. უნდა ითვალისწინებდეს რეგიონების ადგილობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ, ეთიკურ და ა. შ. თავისებურებებს და ანიჭებდეს ამ ელემენტებს იური-

დიულ სტატუსს;

— სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვა უნდა იყოს მოქნილი და მოიცავდეს მხოლოდ სტრატეგიულ სფეროებს, მკვეთრად უნდა შემცირდეს სოციალური ციკლი, განაწილების საკითხებში აუცილებლად უნდა დაიწყოს მონაწილეობა ხალხმა.

(ეს პირველი ოთხი პუნქტი გამომდინარეობს საბჭოთა იმპერიის დამარცხების ანალიზიდან).

— რელიგიურ-მონარქისტული ფორმულა უნდა აღივსოს ჭეშმარიტად რეალური შინაარსით, რომელიც მოისპო რომანოვთა დინასტიაზე საერო დასავლეთის ზეგავლენის გამო, უნდა განხორციელდეს მართმადიდებლური „კონსერვატიული რევოლუცია", რათა ყოველივე დაუბრუნდეს ჭეშმარიტი ქრისტიანული მსოფლმხედველობის წყაროებს.

— ტერმინი „ხალხურობა" უვაროვის ფორმულიდან გარდაიქმნას სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის ძირითად ასპექტად, ხალხი იქცეს მთავარ, ფუძემდებელ პოლიტიკურ და სამართლებრივ კატეგორიად, ლიბერალური და სოციალისტური იურისპრუდენციის რაოდენობრივ ნორმებს წინ უნდა აღუდგეს ეროვნულობის ორგანული კონცეფცია, შემუშავდეს „ერის უფლებათა" თეორია.

— სლავოფილური გეოპოლიტიკის ნაცვლად ყურადღება მიექცეს იმ ევრაზიულ პროექტებს, რომლებიც უარყოფენ რუსეთის ანტიგერმანულ პოლიტიკას დასავლეთით და ანტიიაპონურს აღმოსავლეთით, ბოლო მოეღოს ატლანტისტურ ტენდენციას, რომელიც შემოსილია „რუსული ნაციონალიზმის" ნიღბით.

— იმპერიაში უნდა შეწყდეს პრივატიზაციისა და კაპიტალიზაციის პროცესები, დასრულდეს საბირჟო თამაშები და ფინანსური სპეკულაციები, ეკონომიკურ რეალობას ესაჭიროება ხალხის კორპორაციული, კოლექტიური და სახელმწიფოებრივი კონტროლი, უნდა მოისპოს საეჭვო „ნაციონალური კაპიტალიზმი".

— გუბერნიული პრინციპის ნაცვლად უნდა შეიქმნას ეთნიკურ-რელიგიური ოლქები კულტურული, ენობრივი, ეკონომიკური და იურიდიული ავტონომიის მაქსიმალური ხარისხით, თუმცა, მკაცრად უნდა შეიზღუდოს მათი პოლიტიკური, სტრატეგიული, გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური სუვერენიტეტი.

(ეს ხუთი პუნქტი გამომდინარეობს სამეფო მოდელის კრიტიკიდან).

ახალი იმპერიის მშენებლები აქტიურად უნდა აღუდგნენ წინ რუსული ნაციონალიზმის სულისკვეთებით გადაწყვეტილ „ახალრუსულ" ტენდენციებს, რომლებიც ცდილობენ რუსეთს მიაკერონ „ერი-სახელმწიფოს" სტატუსი. წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს, აგრეთვე, ყველა ნოსტალგიურად განწყობილ პოლიტიკურ ძალას, რომელიც თავის პროექტებში შეიცავს აპელაციას იმ ელემენტებისკენ, რომლებმაც წინათ უკვე გამოიწვიეს იმპერიის კატასტროფა.

რუსი ხალხი ვერასდროს გახდება ორგანული ისტორიული საზოგადოება, თუ მან არ აწარმოა იმპერიათმშენებლური პოლიტიკა, არ ჩამოაყალიბა კონტინენტური შემოქმედების განწყობა. რუსები შეინარჩუნებენ ეროვნულობას მხოლოდ ახალი იმპერიის ფარგლებში.

ეს იმპერია (გეოპოლიტიკური ლოგიკის თანახმად) ამჯერად სტრატეგიულად და სივრცობრივად უნდა აღემატოს წინამორბედ ვარიანტს (სსრკ).

შესაბამისად, ახალი იმპერია უნდა იყოს ევრაზიული, დიდკონტინენტური, ხოლო პერსპექტივაში — მსოფლიო.

რუსების ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის ჯერ არ დასრულებულა.

## თავი 4. სამყაროს გადაკეთება

### 4.1. ხმელეთი და ზღვა. საერთო მტერი

ახალ იმპერიას, რომლის აგებაც მომავალში მოუწევს რუს ხალხს, აქვს თავისი შინაგანი, მსოფლიოს გეოგრაფიული სივრცის ბუნებრივ სტრუქტურაში მოთავსებული გეოპოლიტიკური ლოგიკა.

ძირითადი გეოპოლიტიკური კანონი, რომელიც ყველაზე ზუსტად მაკინდერმა ჩამოაყალიბა, იუწყება, რომ ისტორიაში მუდმივ და ძირითად გეოპოლიტიკურ პროცესს წარმოადგენს სახმელეთო, კონტინენტური სახელმწიფოების (რომლებსაც აქვთ იდეოკრატიული პოლიტიკური წყობის ბუნებრივი ფორმა) ბრძოლა კუნძულოვანი, საზღვაო სახელმწიფების წინააღმდეგ (რომლებსაც სავაჭრო, საბაზრო-ეკონომიკური წყობა აქვთ). ეს არის რომისა და კართაგენის, სპარტისა და ათენის, ინგლისისა და გერმანიის და ა. შ. მუდმივი ბრძოლა. XX საუკუნის დასაწყისიდან ამ ორი გეოპოლიტიკური მუდმივების დაპირისპირებამ გლობალური ხასიათი შეიძინა. საზღვაო სავაჭრო პოლუსად (რომელმაც თავის ორბიტაში დაიწყო ყველა სახის ქვეყნის ჩართვა) ამერიკის შეერთებული შტატები იქცა, ხოლო სახმელეთო პოლუსად — რუსეთი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორმა ზესახელმწიფომ საბოლოოდ გაინაწილა ცივილიზაციური როლები. აშშ-მ სტრატეგიულად შთანთქა დასავლეთი და ევრაზიის სანაპირო ტერიტორიები, ხოლო სსრკ-მ გარს შემოიკრიბა ევრაზიული სივრცეების გიგანტური კონტინენტური მასა. გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების, თვალსაზრისით, ცივი ომის სახით გამოვლინება ჰპოვა ზღვისა და ხმელეთის, პლუტოკრატიისა და იდეოკრატიის, ვაჭართა და გმირთა ცივილიზაციების ძველმა არქეტიპულმა დაპირისპირებამ (ვერნერ ზომბარტის გამონათქვამით — „გმირთა და ვაჭართა“ დუალიზმმა).

აღმოსავლური ბლოკის, ხოლო შემდგომ სსრკ-ს, რღვევის გამო შეფარდებითი გეოპოლიტიკური ბალანსი ატლატიზმის ე. ი. დასავლური ბლოკის და, საერთოდ, სავაჭრო ცივილიზაციის სასარგებლოდ გადაიხარა. მაგრამ, გეოპოლიტიკური ტენდენციები წარმოადგენენ ობიექტურ ფაქტორს და მათი მოცილება ვოლუნტარისტული“, „სუბიექტური“ ხერხებით შეუძლებელია. ხმელეთის ტენდენციები, კონტინენტური იმპულსები, ვერ განადგურდება ცალმხრივი წესით, შესაბამისად, ახალი სახმელეთო, აღმოსავლეთის კონტინენტური იმპერიის შექმნა გეოპოლიტიკურად გარდაუვალია.

ცივილიზაციის ატლანტიკური, საზღვაო, სავაჭრო პოლუსი სადღეისოდ უდაოდ უკიდურესად ძლიერია, მაგრამ ობიექტური ფაქტორები პრაქტიკულად გარდაუვალს ხდის აღმოსავლეთის კონტინენტურ რეაქციას. სახმელეთო იმპერია პოტენციურად ყოველთვის არსებობს და ეძებს მხოლოდ ხელსაყრელ ვითარებას, რათა იქცეს პოლიტიკურ რეალობად. ამ გეოპოლიტიკური ბედისწერის მკაფიო გააზრებით უნდა აიგოს ახალი იმპერია. ამ იმპერიაში ბუნებრივ საკვანძო ფუნქციას სწორედ რუსები დაეუფლებიან, რადგან ისინი მართავენ




დასავლეთის მსოფლიო დომინაციის საწინააღმდეგო გეოპოლიტიკური რევოლუცია დამყარებულია ღარიბი სამხრეთისა და რუსეთ-ევრაზიასთან გაერთიანებაზე.

იმ მიწებს, რომლებიც ღერძისეულია ევრაზიული კონტინენტური მასისათვის. ახალი იმპერია ვერ იქნება სხვა, თუ არა რუსული, რადგან ტერიტორიულად, კულტურულად, ცივილიზაციურად და სოციალ-ეკონომიურად რუსები ბუნებრივად შეესაბამებიან ამ მსოფლიო მისიას და მიისწრაფვიან მისი განხორციელებისაკენ მთელი თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ისტორიის განმავლობაში. რუსულ მიწებს მაკინდერმა „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი" უწოდა ე. ი. სივრცე, რომლის ირგვლივ, საზღვარ (გარეგანი) და სახმელეთო (შინაგანი) კულტურულ-პოლიტიკური იმპულსების დიალექტიკური დაპირისპირების ზეგავლენით, იქმნებოდა ევრაზიის სანაპირო ცივილიზაცია (რომელიც ხშირად საერთოდ „ცივილიზაციასთან" არის გაიგივებული). რომელიმე სხვა ერმა ან სხვა სახელმწიფომ შეიძლება შეასრულოს ევრაზიული კონტინენტური იმპერიის როლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეუფლება რუსული მიწების ერთობლიობას, ხოლო ამისათვის უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად შეუძლებელი — უნდა განადგურდეს რუსი ხალხი. რადგან ეს კი ნაკლებად სავარაუდოა, რუსებმა უნდა აღიარონ, გააცნობიერონ და კიდევ ერთხელ იკისრონ ევრაზიული იმპერიის ცენტრის რთული როლი.

ამ იმპერიის გეოპოლიტიკურ კონსტრუქციას საფუძვლად უნდა დაედოს უმთავრესი პრინციპი — „საერთო მტერი". ატლანტიზმის და აშშ-ს სტრატეგიული კონტროლის გამორიცხვა, ეკონომიკური და საბაზრო-ლიბერალური ფასეულობების უპირატესობის უარყოფა — აი ის ზოგადი ცივილიზაციური ბაზა, ის საერთო იმპულსი, რომელიც გზას გაუკაფავს მყარ პოლიტიკურ და სტრატეგიულ კავშირს, შექმნის მომავალი იმპერიის ღერძისეულ ჩონჩხს. ევრაზიული სახელმწიფოებისა და ერების უმეტესობას აქვს ეროვნული ისტორიის, სახელმწიფოებრივი ტრადიციების, ეკონომიკური ეთიკის „სახმელეთო" სპეციფიკა. ამ ერებისა და სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი ამერიკულ პოლიტიკურ და სტრატეგიულ ზეგავლენას აღიქვამს, როგორც უმძიმეს

ტვირთს, რომელიც აშორებს ერს მისი ისტორიული დანიშნულებისაგან. ევრაზიული სახელმწიფოებს ყველა შინაგანი ცივილიზაციური, რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებების მიუხედავად, მათ აერთიანებთ მტკიცე და ურყევი „საერთო ნიშანი" — მტრობა ატლანტიკური კონტროლის საყოველთაო ხასიათის მიმართ, გათავისუფლების სურვილი იმ სავაჭრო წყობის ოკეანისმიღმა ზედამხედველობისაგან, რომელსაც ასე დაჟინებით ნერგავს მთელი „საზღვაო" ცივილიზაციის საყრდენი — აშშ.

ევრაზიულ სახელმწიფოთა რეგიონული ინტერესების სახესხვაობა, სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი და კულტურული ორიენტაცია, იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომ საჭიროებენ ჯეროვან ყურადღებას, თუმცა, მათი სერიოზული და სრულფასოვანი განხილვა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაქარწყლდება „საერთო მტრის" სულისმხუთავი ეკონომიკური და სტრატეგიული ზეგავლენა. ეს უკანასკნელი ცდილობს დანერგოს ისეთი მოდელი, რომელიც ეუცხოება ყველას — ქრისტიანსაც, მაჰმადიანსაც, ბუდისტსაც, ინდუისტსაც, სოციალისტსაც, ნაციონალ-კაპიტალისტსაც და კომუნისტსაც. ხოლო ვიდრე არსებობს აშშ-ს ასეთი უპირატესობა, ყველა შიდაევრაზიული კონფლიქტი და დაპირისპირება ხელოვნური ხასიათისაა, რადგან ურთიერთობათა გამორკვევა შინაარსს შეიძენს მხოლოდ იმ გლობალური ფაქტორის გამორიცხვის შემდეგ, რომელიც პრაქტიკულად აწყობს და მართავს კიდეც ამ კონფლიქტებს, რათა ევრაზიაში არ შეწყდეს და შენარჩუნდეს განცალკევება და დანაწევრება. ამ თვალსაზრისით, ევრაზიის ყველა „რეგიონული სახელმწიფო" ლოგიკურად ატლანტისტების ინტერესებს ემსახურება, რადგან იმის გამო, რომ მათ უნარი არ შესწევთ მაშტაბური წინააღმდეგობა გაუწიონ ამ უკანასკნელებს (ეს შესაძლებელია მხოლოდ იმპერიულ სტრატეგიულ კონტექსტში), ისინი მთლიანად დამოკიდებულნი არიან ერთადერთ ზესახელმწიფოზე და თავის ენერგიას მეზობლებზე მხოლოდ ოკეანისმიღმელ ხელისუფალთა ნებართვის შემდეგ მიმართავენ.

„საერთო მტერი" (ანტიატლანტიზმი) ახალი გეოპოლიტიკური კონსტრუქციის შემკვრელ კომპონენტად უნდა იქცეს. ამ ფაქტის ეფექტურობა ეჭვგარეშეა, ხოლო ყველა ის მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია ამ დებულების წინააღმდეგ ან გულუბრყვილოდ არ ითვალისწინებს ატლანტისტური ბატონობის ობიექტურ სერიოზულობას და საყოველთაო ხასიათს, ან შეგნებულად ცდილობს მიმართოს გეოპოლიტიკური ყურადღება ერთადერთი მნიშვნელოვანი და რეალური პერსპექტივიდან მეორეხარისხოვანი რეგიონული პრობლემების სასარგებლოდ, რომლებიც ძალთა გლობალური განაწილების გარეშე ვერ ჰპოვებენ გადაწყვეტილებას.

ევრაზიის გეოგრაფიული და სტრატეგიული გაერთიანება გარდაუვალია. ეს არის აშკარა და ზუსტი მეცნიერული გეოპოლიტიკური ფაქტი. ასეთი გაერთიანების ცენტრად აუცილებლად უნდა იქცეს რუსეთი. გაერთიანების მამოძრავებელ ძალად აუცილებლად უნდა გახდეს რუსი ხალხი. ამ მისიას სრულფასოვნად შეესაბამება რუსების ცივილიზაციური მისია. მათი უნივერსალური ადგილი, ერის და სახელმწიფოს ისტორიული ჩამოყალიბების ლოგიკა. ახალი ევრაზიული იმპერია მსოფლიო ისტორიისა და მსოფლიო გეოპოლიტიკის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ წინასწარმეტყველებაშია ჩაწერილი. ეს გარემოება ეჭვგარეშეა. რუსი ხალხის ინტერესები განუყოფელია ასეთი კონტინენტური კონსტრუქციის აღმშენებლობისაგან.

ახალი იმპერიის ევრაზიული გეოპოლიტიკა არ არის უბრალოდ გეოგრაფიული აბსტრაქცია ან განუსაზღვრელი ექსპანსიისაკენ მიმართული ჰიპოთეზური ნების გამოხატულება. მისი პრინციპები და ძირითადი მიმართულებები ითვალისწინებენ გეოპოლიტიკურ მუდმივებს, არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, რეალურ საერთაშორისო ტენდენციებს, ძალთა სტრატეგიულ წონასწორობას, ეკონომიკურ-სარესურსო კანონზომიერებებს. ამიტომ ევრაზიული იმპერიის პროექტი ერთდროულად მოიცავს რამდენიმე განზომილებას — კულტურულს, სტრატეგიულს, ისტორიულს, ეკონომიკურს, პოლიტიკურს და ა. შ. აუცილებელია თავიდანვე აღინიშნოს, რომ როდესაც იმპერიის შექმნის დროს საუბარია ამა თუ იმ „ღერძისეულ" ალიანსზე, იგულისხმება ინტეგრაციის სულ სხვადასხვა ხარისხი — დონეების მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია კულტურული ან ეთნიკური დაახლოება, სხვა შემთხვევაში — რელიგიური, ეკონომიკური და ა. შ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ საკითხებს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა. ერთადერთ უნივერსალურ ინტეგრაციულ რეალობად მომავალ ევრაზიულ იმპერიაში უნდა გახდეს სტრატეგიული გაერთიანების კატეგორიული მოთხოვნა, ე. ი. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი გეოპოლიტიკური ალიანსი, რომელიც ყველა სტრატეგიული მიმართულებით უზრუნველყოფს ეფექტურ წინააღმდეგობას ატლანტიკური ზეგავლენის, ამერიკული გეოპოლიტიკური ზეწოლისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური დიქტატის მიმართ.

იმ კონტინენტის სტრატეგიულმა გაერთიანებამ, რომელზეც არის საუბარი, უნდა უზრუნველყოს ევრაზიის საზღვაო საზღვრების კონტროლი სამყაროს ყველა მხარეს, განახორციელოს ეკონომიკური, სამრეწველო და სარესურსო ავტარკია[7], შეიარაღებული ძალების ცენტრალიზებული მართვა. შიდაევრაზიული ინტეგრაციის ყველა დანარჩენი ასპექტი გადაწყდება მოქნილი, დიფერენციული პრინციპების საფუძველზე, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. ეს უმთავრესი მოსაზრება ყოველთვის საჭიროებს ამის გათვალისწინებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ყველა ის დაუსაბუთებელი ეჭვი და საწინააღმდეგო აზრი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული გაერთიანების ნაცვლად ვინმე შეცდომით მიიჩნევს, რომ საქმე ეხება პოლიტიკურ, ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ ან ეკონომიკურ გაერთიანებას. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ჩანაცვლებას აუცილებლად და სრულიად შეგნებულად განახორციელებენ ყველა ერის „მცირე ნაციონალიზმის" წარმომადგენლები, როდესაც დაადანაშაულებენ ევრაზიელებს და კონტინენტურ იმპერიათმშენებლებს, რომ მათ სურთ განაზაონ თავისი ეთნოსები, რელიგიები, კულტურები და ა. შ. ახალ „ინტერნაციონალისტურ უტოპიაში". ევრაზიული პროექტი ვერანაირად ვერ გამოიწვევს ერების გაერთფეროვნებას, პირიქით, იგი გამომდინარეობს ხალხებისა და კულტურების იდენტურობის შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებლობიდან, ამ დროს იგულისხმება არა „მცირე ნაციონალისტების" უპასუხისმგებლო რომანტიული ოცნებები (რომლებიც სინამდვილეში იწვევენ მხოლოდ შოვინიზმს და გამანადგურებელ ეთნიკურ კონფლიქტებს), არამედ აქტიური ვითარების სერიოზული და ობიექტური აღქმა, სადაც მიზნის მოღწევის ერთადერთი პირობაა ის, რომ ძირფესვიანად მოირყეს დასავლეთის ატლანტისტური მსოფლიო ზეგავლენა მისი მსოფლიო ბატონობისაკენ მიმართულ საბაზრო, ლიბერალურ იდეოლოგიასთან ერთად.

ახლა გასარკვევი დარჩა ამ კონტინენტური პროექტის სპეციფიკა, სადაც გასათვალისწინებელია ის უარყოფითი ფაქტორები, რომლებმაც წინა პერიოდებში ჩაშალა ამ გრანდიოზული ცივილიზაციური გეგმის განხორციელება.

## 4.2. დასავლეთის ღერძი: მოსკოვი – ბერლინი. ევროპული იმპერია და ევრაზია

დასავლეთით ახალი იმპერია ფლობს მყარ გეოპოლიტიკურ პლაცდარმს – შუა ევროპას.

შუა ევროპა წარმოადგენს სტრატეგიულად, კულტურულად და, ნაწილობრივ, პოლიტიკურად გაერთიანებულ გეოპოლიტიკურ წარმონაქმნს. ეთნიკურად ეს სივრცე შედგება ყოფილი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ხალხების, აგრეთვე, გერმანიის, პრუსიის, პოლონეთისა და დასავლეთ უკრაინელებისაგან. შუა ევროპის კონსოლიდაციური ძალა ტრადიციულად არის გერმანია, რომელიც კონტროლს უწევს ამ გეოპოლიტიკურ კონგლომერატს.

ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული მოსაზრებით შუა ევროპა მკვეთრად გამოხატული „სახმელეთო", კონტინენტური ხასიათისაა, რითაც იგი განსხვავდება დასავლეთ ევროპის „საზღვაო", „ატლანტისტური" სივრცეებისაგან. პრინციპში, შუა ევროპის პოლიტიკური ზეგავლენა შეიძლება გავრცელდეს სამხრეთისკენაც – იტალიასა და ესპანეთში, რაც მრავალი ისტორიული პრეცენდენტით დასტურდება. შუა ევროპის გეოპოლიტიკურ დედაქალაქად ყველაზე ლოგიკურია დასახელდეს გერმანიის სიმბოლო – ბერლინი, რადგან თვით გერმანია არის მთელი ამ წარმონაქმნის სიმბოლო და ცენტრი. მხოლოდ გერმანია და გერმანელი ხალხი ფლობს ამ გეოპოლიტიკური რეგიონის ეფექტური ინტეგრაციისათვის საჭირო ყველა აუცილებელ თვისებას – ისტორიულ ნებას, ბრწყინვალედ განვითარებულ ეკონომიკას, პრივილეგიურ გეოგრაფიულ მდგომარეობას, ეთნიკურ ერთგვაროვნებას, თავისი ცივილიზაციური მისიის გაცნობიერებას. სახმელეთო და იდეოკრატიული გერმანია ტრადიციულად უპირისპირდებოდა სავაჭრო-საზღვაო ინგლისს და ამ გეოპოლიტიკური და კულტურული წინააღმდეგობის თავისებურებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ევროპის ისტორიაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანელებმა საბოლოოდ შესძლეს, ჩამოეყალიბებინათ საკუთარი სახელმწიფო.

გეოპოლიტიკურად ინგლისი ყველაზე ნაკლებადაა ევროპული სახელმწიფო, რომლის სტრატეგიული ინტერესები ტრადიციულად ეწინააღმდეგება შუაევროპულ სახელმწიფოებს და, ზოგადად, ევროპის კონტინენტურ მისწრაფებებს. თუმცა, აშშ-ს როლის გაძლიერების პარალელურად და ინგლისურ კოლონიებზე მათ მიერ ფაქტიურად სრული კონტროლის დაუფლებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ინგლისის სტრატეგიული როლი და სადღეისოდ ევროპაში ეს სახელმწიფო უფრო მეტად წარმოგვიდგება, როგორც აშშ-ს ექსტერიტორიული მოტივტივე ბაზა, ვიდრე რაიმე დამოუკიდებელი ძალა. ასეა თუ ისე, ევროპის ფარგლებში ინგლისი არის კონტინენტური ინტერესების მიმართ ყველაზე მტრულად განწყობილი სახელმწიფო, შუა ევროპის ანტიპოდი და, შესაბამისად, მისი სახით ახალ ევრაზიულ იმპერიას ჰყავს პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური მოწინააღმდეგე. საეჭვოა, რომ მხოლოდ

ნებით შეიცვალოს ამ სპეციფიური ქვეყნის ცივილიზაციური გზა. ქვეყნისა, რომელმაც თავის დროზე შექმნა წმინდა „საზღვაო“ ტიპის უზარმაზარი სავაჭრო-კოლონიური იმპერია და ასე შეუწყო ხელი ვაჭრობაზე, რაოდენობაზე, სპეკულაციასა და საბირჟო თამაშებზე აგებული მთელი დასავლური ცივილიზაციის ჩამოყალიბებას. ამის გამო ეს სრულიად წარმოუდგენელია, რის გამოც ევრაზიულ პროექტში ინგლისი აუცილებლად იქცევა „განტევების ვაცად“, რადგან კონტინენტური ინტეგრაციის ევროპული პროცესები იმოძრავებს არა მხოლოდ ინგლისური ინტერესების გათვალისწინების გარეშე, არამედ ამ ინტერესებს სრულიად საწინააღმდეგოდ. აღნიშნულ კონტექსტში საკმაოდ დიდი როლი უნდა შეასრულოს ირლანდიური, შოტლანდიური და უელსური ნაციონალიზმის ევროპულმა და, უფრო მეტად, ევრაზიულმა მხარდაჭერამ, რამაც შეიძლება სეპარატისტული ტენდენციების წაქეზებისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური დესტაბილიზაციის სახეც კი მიიღოს.

სხვა დაპირისპირებული გეოპოლიტიკური წარმონაქმნია საფრანგეთი. საფრანგეთის ისტორია, ძირითადად, ატლანტისტური ხასიათის იყო, რითაც იგი უპირისპირდებოდა კონტინენტურ და შუაევროპულ ტენდენციებს. საფრანგეთი იყო ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ძირითადი ისტორიული მოწინააღმდეგე, ყველანაირად ხელს უწყობდა გერმანული სამთავროების დანაწევრებული მდგომარეობის შენარჩუნებას, მიისწრაფოდა ანტიტრადიციული და არაბუნებრივი ტიპის „პროგრესიზმის“ და „ცენტრალიზმისაკენ“. საერთოდ, ევროპული კონტინენტური ტრადიციის მორყევის თვალსაზრისით საფრანგეთს ყოველთვის მოწინავე ადგილი ეკავა, მრავალფეროვანი ფრანგული პოლიტიკა ყველაზე აგრესიული ატლანტიზმის გამომხატველი იყო, ყოველ შემთხვევაში, ვითარება ამგვარი იყო, ვიდრე აშშ-მ არ იკისრა ატლანტიზმის მთავარი პოლუსის მსოფლიო ფუნქცია.

საფრანგეთში არსებობს, აგრეთვე, ალტერნატიული გეოპოლიტიკური მისწრაფებები, რომელიც დასაბამს იღებს ნაპოლეონის კონტინენტური ხაზიდან (ნაპოლეონს ჯერ კიდევ გოეთე აღიქვამდა, როგორც ევროპის სახმელეთო ინტეგრაციის ბელადს) და საკმაოდ გამოკვეთილად აისახა დე გოლის ევროპულ პოლიტიკაში. დე გოლი გერმანიასთან ალიანსისა და ა.შ.შ-საგან დამოუკიდებელი ევროპული კონფედერაციის შექმნისაკენ მიემართებოდა. გარკვეულწილად ეს მიზანი ამოძრავებდა მიტერანის ფრანკო-გერმანულ პროექტებსაც. ასეა თუ ისე, ჰიპოთეზურად მოსალოდნელია მოვლენათა ისეთი განვითარება, რომ საფრანგეთი აღიარებს შუა ევროპის პირველობას და ნებაყოფლობით ჩაერთვება ანტიამერიკული და კონტინენტური მიმართულების ევროპულ ბლოკში. საფრანგეთის ტერიტორია ევრაზიული ბლოკის აუცილებელი კომპონენტია დასავლეთის მხარეს, რადგან ამ გარემოებაზე პირდაპირაა დამოკიდებული ატლანტიკის სანაპიროს კონტროლი და, შესაბამისად, ახალი იმპერიის დასავლეთ საზღვრების უსაფრთხოება. ფრანგულ-გერმანული კავშირი ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს ევრაზიული გეოპოლიტიკის მთავარ რგოლს კონტინენტურ დასავლეთზე, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქ პრიორიტეტული იქნება შუა ევროპის ინტერესები, მისი ავტარკია და გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობა. ასეთი პროექტი ცნობილია „ევროპული იმპერიის“ სახელწოდებით. ევროპის ინტეგრაცია

გერმანიის ეგიდით (როგორც ასეთი ევროპული იმპერიის საფუძველი) იდეალურად თავსდება ევრაზიულ პროექტში და ყველაზე სასურველი პროცესია უფრო გლობალური კონტინენტური ინტეგრაციის საქმეში.

გერმანიის (შუა ევროპის) ირგვლივ ევროპის გაერთიანების ყველა მისწრაფება დადებით შინაარსს შეიძენს მხოლოდ ერთი, ძირითადი პირობის შესრულების შემთხვევაში — უნდა შეიქმნას მტკიცე გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ღერძი მოსკოვი-ბერლინი. შუა ევროპა დამოუკიდებლად ვერ ფლობს საკმარის პოლიტიკურ და სამხედრო პოტენციალს იმისათვის, რომ მოიპოვოს ქმედითი დამოუკიდებლობა აშშ-ს ატლანტიკური კონტროლისაგან. უფრო მეტიც, დღევანდელ პირობებში ევროპისაგან, რუსული ფაქტორის რევოლუციური ზემოქმედების გარეშე, თითქმის არ არის მოსალოდნელი ჭეშმარიტი გეოპოლიტიკური და ეროვნული გამოღვიძება. ევროპული იმპერია მოსკოვის და, ზოგადად, ევრაზიის გარეშე არამც თუ უუნაროა სრულფასოვნად მოაწესრიგოს თავისი სტრატეგიული სივრცე სამხედრო ძალის, პოლიტიკური ინიციატივისა და ბუნებრივი რესურსების დეფიციტის დროს, არამედ ცივილიზაციური თვალსაზრისითაც ვერ ისახავს მკაფიო იდეალებსა და ორიენტირებს, რადგან საკუთრო წყობისა და საბაზრო ლიბერალური ფასეულობების ზეგავლენამ ძალიან დააზიანა ევროპული ხალხების ეროვნული მსოფლმხედველობის საფუძვლები, ძირი მოუთხარა მათი ფასეულობების ისტორიულ ბუნებრივ სისტემებს. ევროპული იმპერია იქცევა სრულფასოვან გეოპოლიტიკურ და ცივილიზაციურ რეალობად მხოლოდ კონტინენტის სიღრმიდან ე. ი. რუსეთიდან მომავალი ახალი იდეოლოგიური, პოლიტიკური და სულიერი ენერგიის ზეგავლენით. გარდა ამისა, მხოლოდ რუსეთსა და რუსებს შესწევთ უნარი ევროპაში უზრუნველყონ სტრატეგიული და პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სარეზერვო ავტარკია. ამის გამო, ევროპული იმპერია უნდა ჩამოყალიბდეს სწორედ ბერლინის ირგვლივ, რომელიც პირდაპირი და სასიცოცხლო ღერძით დაუკავშირდება მოსკოვს.

ევრაზიული იმპულსი აუცილებლად მოსკოვიდან უნდა მომდინარეობდეს, გადასცემდეს რუსების ცივილიზაციურ მისიას (ევროპულ სპეციფიკასთან შესაბამისი შეგუების პირობებში) ბერლინს, რომელიც, თავის მხრივ დაიწყებს ევროპულ ინტეგრაციას უმთავრესი გეოპოლიტიკური, კონტინენტური იმპულსით შემართული პრინციპებისა და პროექტების მიხედვით. ევროპული იმპერიის ჰარმონიულობის თავდებია რუსოფილური მისწრაფებების უპირატესობა თვით გერმანიაში, როგორც ამას აღიქვამდნენ საუკეთესო გერმანელი მოაზროვნეები — მიულერ ვან დერ ბრუკი, ერნსტ ნიკიში, კარლ ჰაუსჰოფერი, იორდის ფონ ლოჰაუზენი და ა. შ. შესაბამისად, ამგვარი გეოპოლიტიკური რუსოფილობის გაგრძელების სახით დანარჩენი ევროპა (უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთმა) უნდა მიჰყვეს გერმანოფილურ ორიენტაციას. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება ევრაზიული იმპერიის დასავლური ვექტორი ჰარმონიული და მყარი, სტრატეგიულად უზრუნველყოფილი და იდეოლოგიურად თანმიმდევრული. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ევროპის რაიმე სხვაგვარი გაერთიანება შინაგანი წინააღმდეგობისა და განხეთქილებების გარეშე უბრალოდ შუძლებელია. მაგალითად, ევროპის ამჟამინდელი გაერთიანება ამერიკული, ნატოსეული კონტროლის ქვეშ ძალიან სწრაფად გამოავლენს მთელ თავის გეოპო-

ლიტიკურ და ეკონომიკურ შეუსაბამობას და, შესაბამისად, აუცილებლად ან ჩაიშლება, ან შეჩერდება, ან სპონტანურად შეიძენს მოულოდნელ, ანტიამერიკულ (და პოტენციურ ევრაზიულ) განზომილებას, რომელიც თავის დროზე იწინასწარმეტყველა ჟან ტირიარმა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის გარშემო ევროპის გაერთიანების დროს აუცილებელია წინამორბედი მცდელობების მსხვილი პოლიტიკური შეცდომების (უპირველეს ყოვლისა, ჰიტლერის ეპოპეის და მესამე რაიხის დამარცხების) გათვალისწინება. შუა ევროპის ირგვლივ ევროპის გაერთიანება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გულისხმობდეს გერმანელების ეთნიკურ ბატონობას ან გიგანტური გერმანული სახელმწიფოს სახით იაკობინური ყაიდის ცენტრალიზებული სტრუქტურის შექმნას. ტირიარის სიტყვებით: „**ჰიტლერის მთავარი შეცდომა არის ის, რომ მან მოინდომა მთელი ევროპა გაეხადა გერმანული, იმ დროს როცა მას უნდა ეცადა გაეხადა იგი ევროპული**“ ეს თეზისი დღევანდელ ეტაპზეც ინარჩუნებს აქტუალობას და საერთოდ შეიძლება მიეკუთვნოს ყველა ახალ იმპერიულ პროცესებს, მათ შორის რუსეთშიც. გერმანიის ირგვლივ ორგანიზებული ევროპული იმპერია უნდა იყოს სწორედ ევროპული, თავისუფალი რომელიმე ერის ეთნიკური და ენობრივი ბატონობისაგან. იმისათვის რათა გერმანია იქცეს ევროპის გეოპოლიტიკურ შუაგულად, მან უნდა შეიძინოს ზეეროვნული, ცივილიზაციური, საკუთრივ იმპერიული ხასიათი, უარყოს რასობრივი, ერთგვაროვანი „ერი-სახელმწიფოს“ შექმნის შინაარსმოკლებული მცდელობები. ევრაზიის დასავლური პლაცდარმის აღშენებაში ევროპული ერები უნდა წარსდგნენ თანაბარუფლებიანი პარტნიორების სახით და შეუსაბამონ საერთო იმპერიული იმპულსი საკუთარ ეროვნულ და კულტურულ სპეციფიკას. ევროპულმა იმპერიამ კი არ უნდა დათრგუნოს ევროპული ერები და დაუმორჩილოს ისინი გერმანელებს ან რუსებს, არამედ პირიქით, გაათავისუფლოს ისინი რაოდენობრივი, მომხმარებლობითი, საბაზრო ცივილიზაციის ტყვეობისაგან, გამოაღვიძოს მათი შინაგანი ეროვნული ენერგიები, დააბრუნოს ისინი ისტორიის წიაღში დამოუკიდებელი, ცოცხალი და სრულფასოვანი პოლიტიკური სუბიექტების სახით, რომელთა თავისუფლებაც უზრუნველყოფილი იქნება მთელი ევრაზიის სტრატეგიული ძალით.

ევრაზიული იმპერიის დასავლური მზიდი კონსტრუქციის სახით ბერლინ-მოსკოვის ღერძის შექმნა ითვალისწინებს რამდენიმე სერიოზულ ღონისძიებას რუსეთსა და გერმანიას შორის მოთავსებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაკავშირებით. ამ რეგიონში ტრადიციული ატლანტისტური პოლიტიკა ეფუძნება მაკინდერისეულ თეზისს „სანიტარული კორდონის“ შექმნის თაობაზე, რომელიც შეასრულებს კონფლიქტური ბუფერული ზონის როლს და დააბრკოლებს მთელი ატლანტიკური ბლოკისათვის მეტად სახიფათო რუსულ-გერმანულ კავშირს. ამ მიზნით ინგლისი და საფრანგეთი ყველა ღონეს იღებდა, რათა გამოეწვია აღმოსავლეთ-ევროპის ხალხების დესტაბილიზაცია, შთაეგონებინა მათთვის „დამოუკიდებლობისკენ“ ლტოლვის და გერმანული და რუსული ზეგავლენისაგან გათავისუფლების აზრი. გარდა ამისა, ატლანტისტების დიპლომატიური პოტენციალი ყველა ხერხით ცდილობდა განემტკიცებინა რუსოფობიული განწყობა გერმანიაში და გერმანოფობული რუსეთში, რათა გავლენის სფეროების გაყოფასთან დაკავშირებით ეს ორი სახელმწიფო

ჩაეთრია შუამდებარე სივრცეებზე ადგილობრივ კონფლიქტში (პოლონეთში, რუმინეთში, სერბეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბალტიისპირეთში, დასავლეთ უკრაინაში და ა. შ.). ამავე პოლიტიკას ახორციელებენ, აგრეთვე, ნატოს ამჟამინდელი სტრატეგები, როდესაც გამოთქვამენ სახელმწიფოთა „შავი ზღვა-ბალტიის ფედერაციის" შექმნის იდეას, რომელიც უშუალოდ დაუკავშირდება ატლანტიზმს და პოტენციურად მტრულად განწყობილი იქნება, როგორც რუსეთის, ისე გერმანიის მიმართ.

ბერლინ-მოსკოვის ღერძის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს აღმოსავლეთ ევროპაში „სანიტარული კორდონის " ორგანიზების ჩაშლას და აქტიურ ბრძოლას გერმანიაში რუსოფობიისა და რუსეთში გერმანოფობიის მქადაგებლებთან. ორმხრივი ზეგავლენის ზონაში რეგიონული ინტერესებით ხელმძღვანელობისა და ამ რეგიონის პოლიტიკურად და ეთნიკურად დაახლოებული ხალხების ცალმხრივი მზარდაჭერის მაგვრად, რუსეთმა და გერმანიამ ყველა სადაო საკითხი უნდა გადაჭრან ერთობლივად და წინასწარ გამოიმუშაონ ამ რეგიონში გავლენის სფეროების გეოგრაფიის განაწილების საერთო გეგმა, ხოლო შემდეგ მკაცრად აღკვეთონ დასავლეთევროპული ერების ყველა ლოკალური ინიციატივა რუსულ-გერმანული გეგმების გადასინჯვასთან დაკავშირებით. ამ დროს უმთავრესი მიზანია ყოველგვარი „სანიტარული კორდონის" მსგავსი წარმონაქმნების კატეგორიული მოცილება, გეოპოლიტიკურად მძლავრი მეზობლებისგან შუამდებარე სახელმწიფოთა პოტენციური დამოუკიდებლობის ილუზიების წინასწარი გაქარწყლება. აუცილებელია უშუალო და მკაფიო საზღვრის შექმნა რუსეთსა და შუა ევროპას (გერმანიას) შორის. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბერლინ-მოსკოვის ღერძის გასწვრივ ერთიანი სტრატეგიული ბლოკის ჩამოყალიბების პერსპექტივის თვალსაზრისითაც კი ამ საზღვარმა უნდა შეინარჩუნოს თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ერთგვაროვნების ლიმიტის სახით, რათა წინასწარ გამორიცხოს სასაზღვრო სივრცეების ეთნიკური ან სარწმუნოებრივი ექსპანსია. რუსულ-უკრაინული, რუსეთ-ბალტიისპირეთის, რუსულ-რუმინული, რუსულ-პოლონური და ა. შ. ურთიერთობები თავიდანვე საჭიროებენ არა ორმხრივ, არამედ სამმხრივ განხილვას გერმანიის მონაწილეობით. იგივე ითქმის გერმანიისა და აღმოსავლეთ-ევროპული ქვეყნების (ერების) ურთიერთობის თაობაზე. ისინიც, აგრეთვე, სამმხრივი ხასიათის უნდა იყოს, რუსული მხარის აუცილებელი მონაწილეობით (ყველა შემთხვევაში უცხო, ატლანტიკური, ამერიკული ჩარევის გამორიცხვით). მაგალითად გერმანულ-უკრაინული ურთიერთობები აუცილებლად უნდა იყოს გერმანულ-რუსულ-უკრაინული; გერმანულ-ბალტიისპირული — გერმანულ-რუსულ-ბალტიისპირული; გერმანულ-პოლონური — გერმანულ-რუსულ-პოლონური და ა. შ.

ბერლინ-მოსკოვის ღერძის საშუალებით შესაძლებელია ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების მთელი კომპლექსის გადაწყვეტა, რომლებსაც დღეს აწყდება რუსეთი და გერმანია. რუსეთი ასეთ ალიანსში გაიკაფავს გზას მაღალი ტექნოლოგიებისაკენ, მრეწველობაში მძლავრი ინვესტიციებისაკენ, შეიძენს ევროპის გარანტირებულ თანამონაწილეობას რუსული მიწების ეკონომიკურ აღორძინებაში. ამ დროს რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ გახდება ეკონომიკურად დამოკიდებული გერმანიაზე, რადგან გერმანია დაეხმარება




ევრაზიული სტრატეგიული ბლოკის ძირითადი ღერძები




ევროპული ინტეგრაციის ღერძი

რუსეთს არა ქველმოქმედის სახით, არამედ, როგორც თანაბარუფლებიანი პარტნიორი, რომელიც ყოველივე ამის ნაცვლად მოსკოვისაგან იღებს სტრატეგიულ თავშესაფარს, რაც უზრუნველყოფს გერმანიის პოლიტიკურ გათავისუფლებას აშშ-ს ბატონობისაგან და სარესურსო დამოუკიდებლობას მესამე სამყაროს ენერგეტიკული რეზერვებისაგან, რომელთა მმართველი და გამნაწილებელი ატლანტიზმია (ამაზეა აგებული ევროპის ენერგეტიკული შანტაჟი აშშ-ს მხრიდან). დღეს გერმანია — ეკონომიკური გოლიათი და პოლიტიკური ჯუჯაა. რუსეთი კი, პირიქით პოლიტიკური გიგანტი და ეკონომიკური ხეიბარია. ღერძი მოსკოვი-ბერლინი განკურნავს ორივე პარტნიორის სენს და საფუძველს ჩაუყრის დიდი რუსეთის და დიდი გერმანიის სამომავლო აყვავებას. ხოლო შემდგომ პერსპექტივაში ეს განაპირობებს მტკიცე სტრატეგიული და ეკონომიკური კონსტრუქციის წარმოქმნას მთელი ევრაზიული იმპერიის შექმნისათვის — ევროპული იმპერიის ევრაზიის დასავლეთით და რუსული იმპერიის ევრაზიის აღმოსავლეთით. ამ დროს ამ კონტინენტური კონსტრუქციის ცალკეული ნაწილების კეთილდღეობა ხელს შეუწყობს მთლიანის აყვავებას.

მოსკოვ-ბერლინის ღერძის ჩამოყალიბებაში, თავდაპირველად, მიზანშეწონილია ურთიერთობის კულტურულ-ისტორიული პერსპექტივა ზედმიწევნით გაიწმინდოს რუსულ-გერმანული ომების წარსული ისტორიის ბნელი მხარეებიდან. ეს ომები ჩვენი კონტინენტური ხალხების პოლიტიკური ნების გამოხატულება კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა გერმანიაში და რუსეთში არსებული ატლანტიკური ლობის წარმატებული ძირგამომთხრელი მოღვაწეობის შედეგს. ამ თვალსაზრისით სასურველია კალინინგრადის ოლქი (აღმოსავლეთ პრუსია)




აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთსა და გერმანიას შორის, მმართველობის ზონების გეოპოლიტიკური გადანაწილება

დაუბრუნდეს გერმანიას, რათა საბოლოოდ აღიკვეთოს საშინელი ძმათამკვლელი ომის უკანასკნელი ტერიტორიული სიმბოლო. იმისათვის, რომ ეს მოქმედება რუსების მიერ არ იქნეს აღქმული, როგორც მორიგი ნაბიჯი გეოპოლიტიკური კაპიტულაციისაკენ, ევროპას შეუძლია შესთავაზოს რუსეთს სხვა ტერიტორიული ანექსიები ან ზეგავლენის სტრატეგიული ზონის გაფართოების სხვაგვარი ფორმები, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოთა რიცხვიდან, რომლებიც ჯიუტად ცდილობენ შეუერთდნენ „შავი ზღვა-ბალტიის ფედერაციას".

აღმოსავლეთ პრუსიაში რესტიტუციის[8] საკითხი, აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს რუსეთის ტერიტორიულ და სტრატეგიულ გაფართოებას და გერმანიამ, კალინინგრადის ოლქში რუსეთის სამხედრო ბაზების შენარჩუნების გარდა, თავის მხრივ დიპლომატიურად და პოლიტიკურად ხელი უნდა შეუწყოს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით რუსეთის სტრატეგიული პოზიციების გაძლიერებას. ბალტიისპირეთის ქვეყნების: პოლონეთის, მოლდავეთის და უკრაინის, როგორც პოტენციური „სანიტარული კორდონის" გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია უნდა განხორციელდეს არა პრუსიის რესტიტუციის შემდეგ, არამედ ამ პროცესის პარალელურად, რადგან ყოველივე ეს დაძმობილებულ რუსეთსა და შუა ევროპას შორის საზღვრების საბოლოო ფიქსაციის ერთი და იგივე პროცესის ელემენტებია.

ბისმარკის სიტყვები: „აღმოსავლეთით გერმანიას მტერი არ ჰყავს" კვლავ უნდა იქცეს გერმანული პოლიტიკური დოქტრინის განმსაზღვრელად; აგრეთვე, საპირისპირო მაქსიმა უნდა მიიღონ რუსმა მმართველებმაც — „დასავლეთის საზღვრებზე, შუა ევროპაში, რუსეთს მხოლოდ მეგობრები ჰყავს". თუმცა, იმისათვის, რომ ყოველივე ეს რეალობად იქცეს და მხოლოდ კეთილ სურვილად არ დარჩეს, აუცილებელია, რომ სწორედ გეოპოლიტიკა იქცეს გერმანიისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყველა ძირითადი გადაწყვეტილების მიღების მთავარ ბაზად. რადგან მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება უმჯიდროვესი რუსულ-გერმანული კავშირის აუცილებლობისა და გარდაუვალი ხასიათის საყოველთაოდ და ამომწურავად გაცნობიერება, აღქმა და ათვისება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისტორიული კონფლიქტებისაკენ, გაუგებრობებისა და დავებისაგან შემობრუნება ჩაშლის მოსკოვ-ბერლინის ღერძისათვის მტკიცე და საიმედო საფუძვლის შექმნის ყოველგვარ მცდელობას.

## 4.3. ღერძი მოსკოვი-ტოკიო. პანაზიური პროექტი სამხრეთი ევრაზიული კომისიისკენ

ახალი იმპერია უნდა ფლობდეს ზუსტ სტრატეგიას აღმოსავლეთით მდებარე თავისი შემადგენლის მიმართ. ამიტომ ევრაზიის აღმოსავლეთის საზღვრები ამ იმპერიისათვის დასავლეთის მსგავსი სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

„საერთო მტრის" ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, რუსეთი უნდა მიისწრაფვოდეს სტრატეგიული ალიანსისკენ სწორედ იმ ქვეყნებთან, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან ატლანტიკური ზესახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას, აქვთ ატლანტიზმის საწინააღმდეგო გეოპოლიტიკური პროექტების ისტორიული ტრადიცია, ფლობენ საკმარის ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ ძალას, რათა იქცნენ ახალი ბლოკის ძირითად გეოპოლიტიკურ რეალობად.

ამ პერსპექტივით უდაოა მაჭიმალური დაახლოება ინდოეთთან, რომელიც აზიაში წარმოადგენს რუსეთის ბუნებრივ გეოპოლიტიკურ მოკავშირეს რასობრივი, პოლიტიკური და სტრატეგიული პარამეტრების მიხედვით. დეკოლონიზაციის შემდეგ ინდოეთი ყველანაირად ცდილობდა თავი აერიდებინა კაპიტალისტურ ბლოკში ჩართვისაგან და ფაქტიურად სათავეში ჩაუდგა „მიუერთებელი ქვეყნების" მოძრაობას, რომლებიც ვიწრო, „არავის" გეოპოლიტიკურ სივრცეში ცდილობდნენ განეხორციელებინათ „მესამე გზის" პოლიტიკა, რასაც თან ახლდა საკმაოდ გამოხატული სიმპათია სსრკ-ს მიმართ. დღეს კი, როდესაც რუსეთში მოისპო მკაცრი კომუნისტური დოგმატიკა, ინდოეთთან უმჭიდროესი დაახლოების რაიმე დაბრკოლება საერთოდ გამქრალია.

ინდოეთი თავისთავად კონტინენტია. თუმცა, მისი გეოპოლიტიკური ზეგავლენა შემოიფარგლება მხოლოდ ინდოჩინეთითა და ინდოეთის ოკეანეში განლაგებული მცირე ზონით, რომელიც ნახევარკუნძულის სამხრეთით მდებარეობს. ინდოეთი აუცილებლად გახდება ახალი სტრატეგიული მოკავშირე, თუმცა, ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ ინდური ცივილიზაციისათვის არ არის დამახასიათებელი გეოპოლიტიკური დინამიკა და იგი არ მიილტვის ტერიტორიული ექსპანსიისაკენ. გარდა ამისა, ინდუისტური ტრადიცია არ შეიცავს უნივერსალურ რელიგიურ განზომილებას, რის გამოც ამ ქვეყანამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მხოლოდ აზიის განსაზღვრულ მონაკვეთზე. ამავე დროს, ამ ქვეყნის საკმაოდ სუსტი ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების გამო შეუძლებელია მასზე სრული დაყრდნობა და, შესაბამისად, მასთან ალიანსით ახალი იმპერია ვერავითარ პრობლემას ვერ გადაჭრის. ინდოეთმა შეიძლება შეასრულოს ევრაზიის სტრატეგიული ფორპოსტის როლი და ამით მისი მისია ფაქტიურად ამოიწურება (თუ არ გავითვალისწინებთ ინდოეთის სულიერ კულტურას, რომლის გაცნობაც ხელს შეუწყობს იმპერიის უმნიშვნელოვანესი მეტაფიზიკური ორიენტირების გამორკვევას).

ინდოეთი ევრაზიის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა მთავარი მოკავშირეა. ევრაზიის ჭეშმარიტი აღმოსავლური პოლუსის როლი დღევანდელ სამყაროში შეიძლება შეასრულოს ორმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ — ჩინეთმა და იაპონიამ. მაგრამ, ამ ორ ქვეყანას შორის არსებობს ღრმა გეოპოლიტიკური ანტაგონიზმი, რომელიც შეესაბამება ორი ცივილიზაციის ტიპოლოგიას და აქვს ხანგრძლივი ისტორია. შესაბამისად, რუსეთმა უნდა აირჩიოს რომელიმე ერთი, საკითხი ვერ დაისმება ასეთი სახით: ერთდროულად ჩინეთიც და იაპონიაც. აქ აუცილებელია არჩევანი.

თვალის გადავლებით, თითქოს, ჩინეთი წარმოადგენს სახმელეთო კონტინენტურ მასას, მისი ცივილიზაცია ტრადიციულად ავტორიტარული (არასავაჭრო) ხასიათისაა და თვით კომუნისტური იდეოლოგიის შენარჩუნება ლიბერალური რეფორმების ფონზე თანამედროვე ჩინეთში საბოლოოდ უნდა გადაწონიდეს არჩევანს თითქოს სწორედ ჩინეთის და არა კაპიტალისტური, კუნძულოვანი იაპონიის მხარეს. თუმცა, ისტორია ცხადყოფს, რომ გეოპოლიტიკურად ევრაზიულ კონტინენტზე სწორედ ჩინეთი (და არა იაპონია) წარმოადგენდა ანგლოსაქსური ძალების უმნიშვნელოვანეს ბაზას, როდესაც იაპონია, პირიქით, ინარჩუნებდა კავშირს საწინააღმდეგო ორიენტაციის ცენტრალურ-ევროპულ ქვეყნებთან.

ამ პარადოქსის განმარტებისათვის ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ რუკა და მასზე აღვნიშნოთ ორი უკანასკნელი მსოფლიო ომის გეოგრაფია. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში პირობითად შეიძლება ოთხი გეოპოლიტიკური ზონის გამოყოფა, რომლებიც შეესაბამება მსოფლიო კონფლიქტების მთავარ მონაწილეებს (ქვეყნებს ან სახელმწიფოთა ბლოკებს):

პირველი ზონა — განაპირა დასავლეთი, ატლანტიზმი, მოიცავს აშშ-ს, ინგლისს, საფრანგეთს და რამდენიმე სხვა ევროპულ ქვეყანას. ამ ზონას ახასიათებს სრულიად განსაზღვრული გეოპოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც ზუსტად შეესაბამება მსოფლიო ისტორიის „საზღვაო", „კართაგენულ" ხაზს. ესაა მაქსიმალური ცივილიზაციური აქტიურობის სივრცე, რომელიც წარმოადგენს ყველა ანტიტრადიციული, „პროგრესული" გარდაქმნის წყაროს.

მეორე ზონა — შუა ევროპა, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი. ეს არის სივრცე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ატლანტისტურ ბლოკს აღმოსავლეთის მხრიდან. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით იგი ფლობს ანტიატლანტისტური, კონტინენტური სახმელეთო ორიენტაციის ყველა ნიშანს და გეოგრაფიულად მიისწრაფვის აღმოსავლეთისაკენ.

მესამე ზონა — რუსეთი, რომელიც მდებარეობს კონტინენტის სიმძიმის ცენტრში და პასუხისმგებელია ევრაზიის ბედ-იღბალზე. რუსეთის სახმელეთო, არალიბერალური, „კონსერვატიული" არსი თვალსაჩინოა.

დაბოლოს, მეოთხე ზონას წარმოადგენს წყნარი ოკეანის არეალი, სადაც ცენტრალური როლით დაჯილდოებულია სწორედ იაპონია, რომელიც სწრაფად და დინამიურად ვითარდება, ფლობს ტრადიციული ფასეულობების ზუსტ სისტემას და კარგად აცნობიერებს თავის გეოპოლიტიკურ როლს. ამავე დროს იაპონია შინაგანად განწყობილია ანტიდასავლურად და ანტილიბერალურად, ვინაიდან მისი ფასეულობების სისტემა „პროგრესული" ატლანტისტური კაცობრიობის იდიალების სრულიად საწინააღმდეგოა.

დასავლური სამყარო (ატლანტიზმი) თავისი ყველაზე დიდი იდეოლოგების სახით (მაკინდერი, მეჰენი და ა. შ.) ბრწყინვალედ აცნობიერებდა, რომ ევრაზიის სამივე ზონის კონსოლიდაცია (შუა ევროპიდან წყნარ ოკეანემდე, რუსეთის ძირითადი როლით — ანგლო-საქსური და ფრანგული „პროგრესიზმის" წინააღმდეგ) ყველაზე დიდ საფრთხეს შეუქმნიდა მსოფლიო ატლანტიზმს. ამის გამო, ატლანტელი სტრატეგების ძირითადი მიზანი იყო ეს სამი ევრაზიული ზონა რაიმე ხერხით დაეპირისპირებინათ თავის უშუალო მეზობლებთან და პოტენციურ მოკავშირეებთან. რუსულ-გერმანული და რუსულ-იაპონური კონფლიქტების აქტიურ პროვოკაციას სწორედ ატლანტისტები აწარმოებდნენ, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც ევრაზიული ხელისუფლებების შიგნით, ისე გარეთ, დიპლომატიური და ძალისმიერი ბერკეტების გამოყენებით. დაწყებული ჰაუსჰოფერიდან, ატლანტიზმის ყველა მოწინააღმდეგემ საბოლოოდ დაასკვნა, რომ ატლანტიზმისათვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სამ ევრაზიულ ზონაზე თავსმოხვეული ლოგიკის უარყოფის ე. ი. რუსების მიერ გერმანო- და იაპონიაფობიის, ხოლო გერმანელებისა და იაპონელების მიერ რუსოფობიის კატეგორიული უარყოფის შემდეგ, როგორი ისტორიული პრეცენდენტებიც არ უნდა მოიშველიონ ამ „ფობიების" მომხრეებმა.

ამ ანტიატლანტისტურ პროექტში სწორედ იაპონიას, როგორც მთელი წყნარი ოკეანის სივრცის სიმბოლოს, ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, რადგან იაპონიის სტრატეგიული მდებარეობა, განვითარების დინამიკა და ფასეულობების სისტემის სპეციფიკა მისგან აყალიბებს იდეალურ პარტნიორს დასავლური ცივილიზაციის წინააღმდეგ მსოფლიო ბრძოლისათვის. ჩინეთი კი, ამ გეოპოლიტიკურ სქემაში ვერ ასრულებს რაიმე განსაკუთრებულ როლს, რადგან იმთავითვე მოკლებული იყო პოლიტიკურ დამოუკიდებლობას (ინგლისური კოლონიზაცია), ხოლო შემდეგ გეოპოლიტიკურ დინამიკას. მხოლოდ მაოიზმის პერიოდში წარმოიქმნა ჩინეთში წმინდა „მიწისეული", ევრაზიული ტენდენცია, როდესაც გაიმარჯვა „გლეხური სოციალიზმის", სრულიად ჩინეთის ნაციონალიზმისა და მკვეთრად გამოხატული საბჭოთაფილიის პროექტებმა. მაგრამ, ასეთმა მდგომარეობამ მეტად მცირე ხანს გასტანა და ჩინეთი, განვითარების საბჭოურ მოდელთან უთანხმოების მიზეზით, კვლავ დაუბრუნდა თავისი საეჭვო გეოპოლიტიკური ფუნქციის აღსრულებას — ევრაზიის შორეული აღმოსავლეთის ინტერესების დესტაბილიზაციასა და რუსეთთან კონფლიქტების გაღვივებას.

ეჭვგარეშეა, რომ 80-იანი წლებიდან დაწყებული ჩინური გარდაქმნა საბოლოო შემობრუნება იყო მაოისტური პერიოდიდან პროატლანტისტური მოდელისკენ, რასაც საბოლოოდ უნდა განემტკიცებინა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის განხეთქილება და გაემყარებინა ჩინეთის დასავლური ორიენტაცია, თანაც თანამედროვე ჩინეთის „ატლანტიზაცია", რუსეთთან შედარებით, გაცილებით უფრო იოლად წარიმართა, რადგან პოლიტიკურ დემოკრატიზაციას მოკლებული ეკონომიკური ლიბერალიზაციის საშუალებით ჩინეთი უკონფლიქტოდ გახდა დამოკიდებული დასავლეთის ფინანსურ ჯგუფებზე და, ამავე დროს შეინარჩუნა ტოტალიტალური სისტემა და მოჩვენებითი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ლიბერალიზმი ჩინეთში დაინერგა ტოტალიტარული მეთოდებით და სწორედ ამ მიზეზით მიაღწია რეფორმამ სრულ წარმატებას. პარტიული ოლიგარქიის პოლიტიკურ ხელისუფლებას მიემატა იმავე ოლიგარქიის ეკონომიკური ხელისუფლება, რაც გამოიხატა სახალხო მრეწველობისა და ეროვნული სიმდიდრეების წარმატებულ პრივატიზაციაში, რის შედეგადაც ჩინეთის ოლიგარქია მთლიანად და მტკიცედ შეერწყა სავაჭრო წყობის ინტერნაციონალურ კოსმოპოლიტურ ელიტას.

ჩინეთის ეკონომიკური წარმატებები წარმოადგენენ საკმაოდ ბუნდოვან რეალობას, რადგან ისინი მიღწეულია დასავლეთთან სიღრმისეული კომპრომისის ფასად და არ შეესაბამება არცერთ ცნობილ გეოპოლიტიკურ კონცეფციას, რომელიც პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის თავდები იქნებოდა. ახალი ლიბერალური ჩინეთი (რომელსაც მეზობლად ორი სერიოზული კონკურენტი — ეკონომიკურად ძლიერი იაპონია და სტრატეგიულად მძლავრი რუსეთი ეგულება) შორეულ აღმოსავლეთში, ალბათ, კვლავ დაუბრუნდება, წმინდა ატლანტისტურ ფუნქციას, რისთვისაც შეაერთებს პოლიტიკურ დიქტატურას და კაპიტალისტური განვითარების პოტენციას. უფრო მეტიც, წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, რუსეთისა და ჩინეთის სტრატეგიული ალიანსი დაუყოვნებლივ ჩამოაშორებს რუსებს იაპონიას და, შესაბამისად, კვლავ მტრული გახდება წყნარი ოკეანის ის რეგიონი, რომლის მონაწილეობაზეც

საერთო ევრაზიულ პროექტში დამოკიდებულია ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირების საბოლოო გეოპოლიტიკური წარმატება.

ახალ იმპერიაში აღმოსავლურ ღერძად უნდა იქცეს ღერძი მოსკოვი-ტოკიო. ეს ევრაზიულობის აღმოსავლური, აზიური შემადგენელის კატეგორიული მოთხოვნაა. სწორედ ამ ღერძის ირგვლივ უნდა აიგოს ევრაზიის აზიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. იაპონია, რომელიც წყნარი ოკეანის კუნძულებს შორის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტია, მდებარეობს უკიდურესად ხელსაყრელ გეოგრაფიულ წარტილში სამხრეთისკენ სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელებისათვის. წყნარი ოკეანის სივრცის ფედერაცია იაპონიის ირგვლივ ე. წ. „პანაზიური პროექტის" ძირითადი იდეა იყო. ამ პროექტის რეალიზაცია დაიწყო 30-იან — 40-იან წლებში და შეწყდა ომში „ღერძის" ქვეყნების დამარცხების გამო. დღეს ამ პანაზიური პროექტისკენ დაბრუნება აუცილებელია, რათა ამ რეგიონში საფუძველი გამოეცალოს ამერიკული ზეგავლენის ექსპანსიას და ატლანტისტებს მოაკლდეთ მათი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და ეკონომიკური ბაზები. ზოგიერთი ფუტუროლოგიური პროგნოზის თანახმად, სამომავლოდ წყნარი ოკეანის რეგიონი იქცევა ერთიანი ცივილიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად, რის გამოც ამ რეგიონში ზეგავლენისათვის ბრძოლა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ საჭირო. ეს არის ბრძოლა მომავლისათვის.

პანაზიური პროექტი არის ახალი იმპერიის აღმოსავლური ორიენტაციის ცენტრი. ალიანსი იაპონიასთან სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ღერძი მოსკოვი-ტოკიო უფრო პრიორიტეტული და პერსპექტიულია, ვიდრე ღერძი მოსკოვი-პეკინი. მისი საშუალებით იხსნება კონტინენტური იმპერიათმშენებლობის ისეთი ჰორიზონტები, რომელთა საშუალებითაც ევრაზია საბოლოოდ გახდება გეოპოლიტიკურად დასრულებული, ხოლო დასავლეთის ატლანტისტური იმპერია ამის გამო უკიდურესად დასუსტდება და, საბოლოოდ, შეიძლება დაიშალოს კიდეც.

იაპონელების (რომლებსაც კარგად ახსოვთ ბირთვული გენოციდი და, რომლებიც კარგად აცნობიერებენ პოლიტიკური ოკუპაციის სირცხვილს) ანტიამერიკანიზმი ეშვგარეშეა. „საერთო მტრის" პრინციპი აქ აშკარაა. ამერიკელი სერჟ ფრიდმანის წიგნში მომავალი ომი იაპონიასთან (წიგნს ასევე ეწოდება „Coming war with Japan") წარმოდგენილია გარდაუვალ მოვლენად. იაპონიისა და აშშ-ს ომი უკვე დაწყებულია. რუსეთი, რომელიც აშენებს ახალ იმპერიას, ვერ მოძებნის უკეთეს მოკავშირეს.

ღერძი მოსკოვი-ტოკიო გადაწყვეტს ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ორივე ქვეყანაში. უპირველეს ყოვლისა, რუსეთი დაიძმობილებს ეკონომიკურ გიგანტს, რომელიც აღჭურვილია უახლოესი ტექნოლოგიით და ფლობს უზარმაზარ ფინანსურ პოტენციალს. მაგრამ, იაპონიას არ აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სამხედრო-სტრატეგიული სისტემა, პირდაპირი მისადგომი რესურსებთან. ყოველივე რასაც მოკლებულია იაპონია უხვად მოიპოვება რუსეთში, ხოლო ყველაფერი რაც აკლია რუსეთს, ჭარბად აქვთ იაპონელებს. თუ რუსები და იაპონელები ერთად დაიწყებენ კონტინენტური იმპერიის მშენებლობას, ისინი უმოკლეს ვადაში შექმნიან არნახული ძალის გეოპოლიტიკურ ცენტრს, რომელიც მოიცავს ციმბირს, მონღოლეთს, თვით

იაპონიას და, პერსპექტივაში, მთელ წყნარი ოკეანის რეგიონს. სტრატეგიული დაცვისა და ევრაზიის რესურსებთან პირდაპირი მიდგომის სანაცვლოდ იაპონიას შეუძლია სწრაფად და ეფექტურად დაეხმაროს რუსებს ტექნოლოგიურ განვითარებასა და ციმბირის ათვისებაში, რითაც საფუძველი ჩაეყრება დამოუკიდებელ რეგიონულ ორგანიზმს. იაპონიის ტექნოლოგიური და ფინანსური დახმარება მრავალ პრობლემას გადაჭრის რუსეთში.

გარდა ამისა, რუსეთი და იაპონია ერთობლივად შესძლებენ, აგრეთვე, კონტინენტური ევრაზიის შორეულ-აღმოსავლური ნაწილის ხელახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მონღოლურ-იაპონური კონტაქტების სულ უფრო მზარდი ინტენსივობა. ეს კონტაქტები ეფუძნება წარმოშობის ერთიანობას, რასობრივ სიახლოვეს და სასულიერო-რელიგიურ ნათესაობას. მონღოლეთი (შესაძლებელია, შიდა მონღოლეთიც და ტიბეტიც, რომლებიც სადღეისოდ ჩინური ოკუპაციის ქვეშაა), ყალმუხეთი', ტუვა, ბორიატია წარმოქმნიან ევრაზიულ-ბუდისტურ ანკლავს, რომელიც შეიძლება იქცეს მტკიცე შემაკავშირებელ ელემენტად რუსეთსა და იაპონიას შორის, შეასრულოს მოსკოვ-ტოკიოს ღერძის შუამდებარე რგოლების როლი. აღსანიშნავია, რომ ეს რეგიონები მჭიდროდ და განუყრელადაა დაკავშირებული რუსეთთან, თუმცა, კულტურულად და რასობრივად ისინი უფრო მეტად უახლოვდება იაპონიას. ბუდისტურმა ბლოკმა შეიძლება უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს შორეულ აღმოსავლეთში მყარი გეოპოლიტიკური კონსტრუქციის მშენებლობაში, სადაც იგი იქნება წყნარი ოკეანის პანაზიური კავშირის კონტინენტური რგოლი. ჩინეთთან ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში (რაც გარდაუვალია მოსკოვი-ტოკიოს ღერძის რეალიზაციის დაწყებისთანავე) ბუდისტური ფაქტორი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ტიბეტისა და შიდა მონღოლეთის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ბაირაღი თვით ევრაზიული, კონტინენტური სივრცეების გაფართოებისათვის (პროატლანტისტური ჩინეთის საზიანოდ).

ზოგადად კი, ჩინეთს ყველა შანსი აქვს გახდეს გეოპოლიტიკური „განტევების ვაცი" პანაზიური პროექტის რეალიზაციის დროს. ეს შეიძლება განხორციელდეს, როგორც ჩინეთის შიგნით სეპარატიზმის (ტიბეტელები, მონღოლები, სინცზიანის მაჰმადიანური მოსახლეობა) პროვოცირების გზით, ისე რეგიონულ უთანხმოებებზე თამაშით. ეს, აგრეთვე, მიიღწევა თვით ჩინეთის შიგნით პოტენციური ბუდისტური (და დაოსისტური) ლობის წმინდა კონტინენტური, ანტიატლანტისტური ძალების აქტიური პოლიტიკური მხარდაჭერით, რამაც, საბოლოოდ, ჩინეთში შეიძლება განამტკიცოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ხელსაყრელი იქნება ევრაზიული იმპერიისათვის. გარდა ამისა, ჩინეთისათვის საჭიროა რეგიონული პოლიტიკის განსაკუთრებული ვექტორის შეთავაზება, რომელიც მიმართული იქნება მხოლოდ სამხრეთით — ტაივანისა და ჰონკონგისაკენ. ექსპანსია სამხრეთის მიმართულებით ნაწილობრივ კომპენსაციას გაუწევს ჩინეთის პოლიტიკური ზეგავლენის დანაკლისს ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში.

ახალი იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონებში ჩინეთი გაიგივებული უნდა იქნას არა ინგლისთან, არამედ საფრანგეთთან, რადგან მის მიმართ ევრაზიული იმპერია იხელმძღვანელებს ორი კრიტერიუმით — ევრაზიული პროექტების




1) ტრილატერალი. სამი დიდი სივრცის აქტუალური სტრატეგიული გაერთიანება (1+2+3). ცენტრში — ამერიკა. მიმართული რუსეთ-ევრაზიის წინააღმდეგ. ტრილატერალის გამყარება და გაფართოება — მონდიალისტური გეოპოლიტიკის არსი.




2) ანტი-ტრილატერალი. სამი დიდი სივრცის შესაძლო სტრატეგიული გაერთიანება (2+3+4). ცენტრში რუსეთი. მიმართულია ამერიკის წინააღმდეგ. ანტი-ტრილატერალის შექმნა — ევრაზიული გეოპოლიტიკის არსი.

მიმართ აქტიური წინააღმდეგობის შემთხვევაში ჩინეთს მოეპყრობიან, როგორც გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით, მაგრამ თუ ქვეყნის შიგნით მოხერხდა ერთდროულად ძლიერი პროიაპონური და პრორუსული პოლიტიკური ლობის ჩამოყალიბება, მაშინ პერსპექტივაში თვით ჩინეთი იქცევა კონტინენტური პროექტის სრულფასოვან და სრულუფლებიან მონაწილედ.

ღერძი მოსკოვი-ტოკიო (დასავლურ ღერძ მოსკოვ-ბერლინთან ერთად) შექმნის ისეთ გეოპოლიტიკურ ღერძს, რომელიც ატლანტისტური იდეოლოგების (რომელთა უმაღლეს ინსტანციად დღეს იქცა „სამმაგი ლატერალი", „სამმხრივი კომისია") მთავარი მოდელის სრულიად საწინააღმდეგო იქნება. უმაღლესი ისტებლიშმენტის[10] ამერიკული წრეების მიერ ჩამოყალიბებული „სამმხრივი კომისია" მსოფლიოს ახალი კონფიგურაციის სახით, მიზნად ისახავს სამი პოლიტიკური ზონის სტრატეგიულ გაერთიანებას, რომლებიც ზუსტად შეესაბამება უკვე ზემოთხსენებული ოთხი გეოპოლიტიკური ელემენტიდან სამს. ამ კომისიის (რომელიც ცდილობს შეასრულოს „მსოფლიო ხელისუფლების" ფუნქცია) სამი მხარე შეესაბამება:

1) ამერიკულ ზონას (აშშ, განაპირა დასავლეთი, წმინდა ატლანტიზმი),

2) ევროპულ ზონას (კონტინენტურ ევროპას, შუა ევროპას, მაგრამ ყოველივე საფრანგეთისა და ინგლისის (და არა გერმანიის) ეგიდით.

3) წყნარი ოკეანის ზონას (გაერთიანებულს იაპონიის ირგვლივ).

ამგვარად „სამმაგი ლატერალი" ცდილობს ააგოს ისეთი გეოპოლიტიკური მოდელი, სადაც ევრაზია (ანუ რუსეთი) ორივე მხრიდან გარშემორტყმული იქნება აშშ-ს საიმედო პარტნიორებით ე. ი. მსოფლიოს ჩრდილოეთის რეგიონების მომცველი ოთხი ზონიდან სამი პირდაპირ დაექვემდებარება აშშ-ს. ამავე დროს, ატლანტისტების პოტენციურ ევრაზიულ მოწინააღმდეგეს (ევრაზიის) და თვით ატლანტიზმის ცენტრს (აშშ-ს) შორის განთავსებულია ორი სამომსახურეო გეოპოლიტიკური სივრცე (ევროპა და იაპონია). აუცილებელია აღინიშნოს, რომ 80-იან წლებში ჩინეთში დაწყებული გარდაქმნა ნაკარნახევი იყო სწორედ „სამმხრივი კომისიის" წარმომადგენლების მიერ, რომლებიც ცდილობდნენ საბოლოოდ დაებრუნებინათ ჩინეთი ატლანტისტური პოლიტიკის კალაპოტში.

ევრაზიული პროექტი „სამმაგი ლატერალის" გეგმების სრული ანტაგონისტია. ახალი იმპერია არის „ანტი-სამმაგი ლატერალი", მისი საწინააღმდეგო მოდელი. ეს არის ამერიკის საწინააღმდეგოდ განწყობილი სამი გეოპოლიტიკური ზონის გაერთიანება ცენტრით რუსეთში. იმავე ლოგიკით (რომლის მიხედვითაც აშშ ცდილობს თავის კონტროლის ქვეშ გეოპოლიტიკურად დაიქვემდებაროს ევროპა და იაპონია) რუსეთმაც, ახალი იმპერიის აღმშენებლობის დროს ყველა ღონე უნდა იღონოს ევროპასთან და იაპონიასთან მტკიცე სტრატეგიული კავშირის მიღწევისათვის, რათა უზრუნველყოს საკუთარი გეოპოლიტიკური სტაბილურობა, ძალა და იქცეს ყველა ევრაზიული ხალხის პოლიტიკური თავისუფლების გარანტად. პრინციპში, საუბარია ევრაზიული „სამმხრივი კომისიის" შექმნაზე (რუსული, ევროპული და იაპონური განყოფილებებით), სადაც მონაწილეობას მიიღებენ არა ატლანტისტური და პროამერიკული ყაიდის პოლიტიკოსები, არამედ ეროვნული სულისკვეთების ინტელექ-

ტუალური და პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც კარგად აცნობიერებენ მსოფლიოში არსებული აქტუალური ვითარების გეოპოლიტიკურ ლოგიკას. ამ დროს (რასაკვირველია, ატლანტისტური „სამმაგი ლატერალისგან" განსხვავებით) ევრაზიულ „სამმხრივ კომისიაში" ევროპის მთავარი წარმომადგენელი უნდა იყოს გერმანელი და არა ფრანგი.

ევრაზიულ პროექტში იაპონური ფაქტორის სტრატეგიული აუცილებლობის გათვალისწინებით, სრულიად თვალსაჩინოა, რომ კურილიის კუნძულების რესტიტუციის საკითხმა არ უნდა დააბრკოლოს რუსულ-იაპონური ალიანსი. კურილიის კუნძულების შემთხვევაში, კალინინგრადის ოლქის მსგავსად, ჩვენ ვაწყდებით მეორე მსოფლიო ომის ტერიტორიულ სიმბოლოებს. ომისა, რომლის ალიანსები და მთელი მსვლელობა ატლანტისტების სრული ტრიუმფი იყო, ვინაიდან მათ ბოლო მოუღეს ერთდროულად ყველა მოწინააღმდეგეს — სსრკ-ს უკიდურესი გამოფიტვის (ისეთი გეოპოლიტიკური პოზიციის თავსმოხვევის გზით, რომელიც საბოლოოდ აუცილებლად გამოიწვევდა „გარდაქმნისეულ" დაშლას), ხოლო ევროპასა და იაპონიას პირდაპირი ოკუპაციის გზით. კურილიის კუნძულები — რუსებისა და იაპონელების შინაარსმოკლებული და არაბუნებრივი ძმათმკვლელი სასაკლაოს მოგონებაა, რომლის დავიწყებაც ჩვენი ორმხრივი აყვავების აუცილებელი პირობაა. ეს კუნძულები უნდა დაუბრუნდეს იაპონიას, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს ევრაზიული შორეული აღმოსავლეთის ახალი ორგანიზების საერთო პროცესის ჩარჩოებში. გარდა ამისა, კურილიის კუნძულების რესტიტუცია ვერ განხორციელდება, თუ რუსეთსა და იაპონიაში შენარჩუნდა პოლიტიკური ძალების ამჟამინდელი განაწილება. ამის უნარი მხოლოდ ევრაზიულ, იმპერიათმშენებლობის სურვილით გამსჭვალულ პოლიტიკოსებს შესწევთ, რომლებიც იკისრებენ სრულ პასუხისმგებლობას თავისი ხალხების ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესებისათვის. მაგრამ, კურილიის კუნძულების რესტიტუციის აუცილებლობას ევრაზიული ელიტა ახლა უნდა აცნობიერებდეს.

## 4.4. ღერძი მოსკოვი-თეირანი

## შუა აზიის იმპერია. პანარაბული პროექტი

ევრაზიული იმპერიის პოლიტიკა სამხრეთის მიმართულებით უნდა ითვალისწინებდეს მყარი კონტინენტური ალიანსის ჩამოყალიბებას ისეთ ძალასთან, რომელიც სტრატეგიულად, იდეოლოგიურად და კულტურულად შეესაბამება ანტიამერიკანიზმის ზოგად ევრაზიულ მისწრაფებას. „საერთო მტრის" პრინციპი აქაც გადამწყვეტ ფაქტორად უნდა იქცეს. ევრაზიის სამხრეთში არსებობს რამდენიმე გეოპოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც თეორიულად იკისრებდა ახალი იმპერიის სამხრეთი პოლუსის ფუნქციას. ვინაიდან ინდოეთი და ჩინეთი უფრო მართებულია მიეკუთვნოს აღმოსავლეთს და დაკავშირებულ იქნას პანაზიური ინტეგრაციის პერსპექტივასთან, რჩება მხოლოდ ფილიპინებიდან და პაკისტანიდან „მაღრიბის" ე. ი. დასავლეთ აფრიკის ქვეყნებამდე განფენილი ისლამური სამყარო. მთლიანობაში მთელი ისლამური ზონა წარმოადგენს ევრაზიული იმპერიის მიმართ ბუნებრივად მეგობრულად განწყობილ

გეოპოლიტიკურ რეალობას, რადგან სხვა ევრაზიულ კონფესიებთან შედარებით უფრო პოლიტიზებული და მოდერნიზებული ისლამური ტრადიცია ბრწყინვალედ აცნობიერებს ამერიკანიზმისა და რელიგიის სულიერ შეუთავსებლობას. თვით ატლანტისტები ისლამურ სამყაროს მიიჩნევენ თავის პოტენციურ მოწინააღმდეგედ, შესაბამისად, ამ სამყაროს სახით ევრაზიულ იმპერიას ჰყავს ერთგული პოტენციური მოკავშირეები, რომლებიც მიისწრაფვიან ერთი მიზნისაკენ — მსოფლიოში ამერიკული, დასავლური ბატონობის მორყევა და, პერსპექტივაში, სრული გაუქმება. იდეალური იქნება ევრაზიული იმპერიის სამხრეთ შემადგენლის სახით წარმოდგენილიყო შუა აზიიდან დასავლეთ აფრიკამდე გაშლილი, რელიგიურად ერთიანი და პოლიტიკურად სტაბილური ინტეგრირებული ისლამური სამყარო, რომელიც ტრადიციისადმი ერთგულების პრინციპზე ააგებს თავის პოლიტიკას. ყოველივე ამის გამო, ისლამური იმპერია („ახალი ხალიფატი") შორეულ პერსპექტივაში შეიძლება ახალი ევრაზიის უმნიშვნელოვანეს სამხრეთ ელემენტად იქცეს.

მაგრამ, ამჟამად ისლამური სამყარო უკიდურესად დანაწევრებულია და მის შიგნით მოქმედებს სხვადასხვა იდეოლოგიური და პოლიტიკური ტენდენციები, აგრეთვე, ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკური პროექტები. ყველაზე გლობალურად მიჩნეულია შემდეგი მიმდინარეობები:

1) ირანული ფუნდამენტალიზმი (კონტინენტური ტიპის, ანტიამერიკული, ანტიატლანტისტური და გეოპოლიტიკურად აქტიური);

2) თურქული საერო რეჟიმი (ატლანტისტური ტიპის, უპირატესობას ანიჭებს პანთურქულ ხაზს);

3) პანარაბიზმი, რომელსაც ქადაგებს სირია, ლიბია, სუდანი, ნაწილობრივ ეგვიპტე და საუდის არაბეთი (საკმაოდ მრავალსახოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო პროექტები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში);

4) ფუნდამენტალიზმის საუდის არაბეთისეული ვაჰაბისტური ტიპი (გეოპოლიტიკურად სოლიდარულია ატლანტიზმთან);

5) „ისლამური სოციალიზმის" სხვადასხვა ვერსიები (ლიბია, ერაყი, სირია, მოდელები წააგავს „მემარცხენე" ყაიდის პანარაბიზმს).

აშკარაა, რომ ისლამურ სამყაროში არსებული წმინდა ატლანტისტური პოლუსები, თუნდაც „საერო" (როგორც თურქეთის შემთხვევაში) ან ისლამური (საუდის არაბეთი), ვერ შეასრულებენ ევრაზიის სამხრეთი პოლუსის ფუნქციას კონტინენტური იმპერიის გლობალურ პროექტში. რჩება „ირანული ფუნდამენტალიზმი" და „პანარაბიზმი" (მემარცხენე ყაიდის).

გეოპოლიტიკური მუდმივების თვალსაზრისით, უპირატესობა ამ საკითხებში უდაოდ ირანს აქვს. ვინაიდან აკმაყოფილებს ყველა ევრაზიულ პარამეტრს, იგი მსხვილი კონტინენტური სახელმწიფოა, შუა აზიასთან მჭიდროდ დაკავშირებული, რადიკალურად ანტიამერიკულია, ტრადიციონალისტური და აქცენტს აკეთებს „სოციალურ" პოლიტიკურ ვექტორზე („მუსტაზაფების", „გაღატაკებულთა" დაცვა). გარდა ამისა, მატერიკის რუკაზე ირანს ისეთი პოზიცია უჭირავს, რომ მოსკოვ-თეირანის ღერძის შექმნა ახალი იმპერიისათვის უამრავ პრობლემას გადაჭრის. იმპერიაში ირანის სამხრეთ პოლუსად ჩართვით, რუსეთი მყისვე მიაღწევს იმ სტრატეგიულ მიზანს, რომლისკენაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიდიოდა მცდარი გზებით — კერძოდ, გავა თბილ ზღვებზე.




ისრებით ნაჩვენებია, თუ აზიის რომელ ქვეყნებს უნდა დაუპიროს მხარი ევრაზიულმა პოლიტიკამ რეგიონულ კონფლიქტებში.

ეს სტრატეგიული ასპექტი (რუსეთისთვის ასეთი გასასვლელის არარსებობა) მთავარი კოზირი იყო ატლანტისტურ გეოპოლიტიკაში ჯერ კიდევ კოლონიური ინგლისის დროიდან, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა აზიასაც და აღმოსავლეთსაც, სარგებლობდა რა იმით, რომ რუსეთს არ ჰქონდა გასასვლელი სამხრეთ სანაპიროზე. რუსეთის ყველა მცდელობა გასულიყო ხმელთაშუაზღვისპირეთში ბოსფორითა და დარდანელით, იყო მისწრაფება მონაწილეობა მიეღო ევრაზიის სანაპირო რაიონების პოლიტიკურ ორგანიზაციაში, სადაც ერთპიროვნულად ბატონობდნენ ინგლისელები, რომლებიც ადვილად კვეთდნენ რუსეთის ექსპანსიის ყველა მცდელობას სანაპირო ზოლის კონტროლის მეშვეობით. თუმცა, რუსეთს ამის გაკეთება რომც შეძლებოდა, ჰიბრალტარზე ატლანტისტური კონტროლი დიდი წინაღობა იქნებოდა მსხვილმასშტაბიანი საზღვაო ოპერაციებისათვის და რუსეთს ინგლისის სიძლიერის დასუსტების საშუალებას არ მისცემდა. მხოლოდ ირანს, კონტინენტურად რუსეთის მომიჯნავეს და უშუალოდ ინდოეთის ოკეანეზე გამავალს, შეეძლო და შეუძლია იყოს ამ ურთულესი გეოპოლიტიკური პრობლემისა რადიკალური გადაწყვეტა.

მიიღებს რა სტრატეგიულ გასასვლელს — პირველ რიგში, სამხედრო საზღვაო ბაზებს — ირანის სანაპიროებზე, ევრაზია იქნება სრულ უსაფრთხოებაში „ანაკონდის რკალების“ სტრატეგიისაგან, ე. ი. ტრადიციული ატლანტისტური მატერიკის კონტინენტური სივრცეების „მოხრჩობის გეგმის“ რეალიზებისაგან, მთელი ევრაზიის, განსაკუთრებით, სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროს გაყოლებით ტერიტორიების ხელში ჩაგდების გზით.

მოსკოვი-თეირანის ღერძის შექმნა ერთი დარტყმით გადაკვეთს „ანაკონდას“ ყველაზე ნაზ ადგილში და გზას გაუხსნის რუსეთის ახალ-ახალი პლაცდარმების მოპოვების უსაზღვრო პერსპექტივებს ევრაზიაში და მის გარეთ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია.

მეორე მხრივ, არსებობს ყოფილი საბჭოთა შუა აზიის პრობლემა, სადაც დღეს სამი გეოპოლიტიკური ტენდენციის კონკურენციაა — „პანთურქიზმი“ (თურქეთი, ატლანტიზმი). „ვაჰაბიზმი“ (საუდის არაბეთი, ატლანტიზმი) და

„ფუნდამენტალიზმი“ (ირანი, ანტიატლანტიზმი). გასაგები მიზეზების გამო შუა აზიაში „პანარაბიზმის“ მიზეზები თურქულენოვანი ხალხების უმტესობაში არ არსებობს. ამის პარალელურად ძლიერი პროორუსული ორიენტაციის არსებობა კი აუცილებლად გასათვალისწინებელია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, როგორ შესძლებენ ეს ქვეყნები ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების პროცესში კვლავ უსისხლოდ და უმტკივნეულოდ შეურთდნენ რუსეთს. ცხადია, რომ „არამოსკოვურ“ ტენდენციათა შორის ახალი იმპერია მხოლოდ პროირანულ ორიენტაციაზე დაყრდნობას შესძლებს, რაც გამოიყვანს ამ რეგიონს ატლანტისტების პირდაპირი თუ ირიბი კონტროლიდან. ამასთანავე ღერძი მოსკოვი-თეირანი განმუხტავს რუსოფილიას და ისლამიზმს (ირანული ტიპის) შორის შეუთავსებლობას, მათ ერთსა და იმავე გეოპოლიტიკურ მისწრაფებად აქცევს, რომელიც ერთდროულად ორიენტირებული იქნება მოსკოვსა და თეირანზე. ამის პარალელურად, ასეთ ღერძში ავტომატურად იგულისხმება ტაჯიკეთსა და ავღანეთში სამოქალაქო კონფლიქტის შეწყვეტა, რომელთაც მხოლოდ იმ წარმონაქმნთა გეოპოლიტიკური გაურკვევლობა ასაზრდოებს, რომლებიც გაორებულნი არიან ისლამურ-ირანულ ფუნდამენტალურ ვექტორსა და რუსეთისაკენ სწრაფვას შორის შეუთავსებლობის გამო. ბუნებრივია, ასეთი წინააღმდეგობის ფონზე მწვავდება მცირე ეთნიკური უსიამოვნებები, უადვილდება მოღვაწეობა ატლანტისტურ „გავლენის აგენტებს“, რომლებიც პირდაპირი და ირიბი მეთოდებით (თურქეთისა და საუდის არაბეთის მეშვეობით) ცდილობენ დესტაბილიზაციის შეტანას აზიის შიდა რეგიონებში, მათ ძირითად ცენტრებში.

ირანი გეოპოლიტიკურად შუა აზიაა (როგორც გერმანია შუა ევროპა). მოსკოვმა როგორც ევრაზიის ცენტრმა, მისმა პოლუსმა, ახალი იმპერიის ფარგლებში თეირანს დელეგირება უნდა გაუკეთოს ამ სივრცეში „ირანული მშვიდობის“ (Pax Persica) დამყარებას, მტკიცე შუა აზიური გეოპოლიტიკური ბლოკის ორგანიზებას, რომელიც შესძლებს მთელ რეგიონში დაუპირისპირდეს ატლანტისტურ გავლენას, რაც ნიშნავს, რომ აღიკვეთება პანთურქული ექსპანსია, აგრეთვე, საუდისტების ფინანსურ-პოლიტიკური შემოჭრა. თურქეთის და საუდის არაბეთის ტრადიციული მტერი — ირანი ამ ფუნქციას ბევრად უკეთ შეასრულებს, ვიდრე რუსეთი.

აქ, ისევე, როგორც გერმანიის შემთხვევაში, არ უნდა ვილაპარაკოთ ირანის იმპერიის შექმნაზე და შუა აზიის ირანიზაციაზე. საუბარი მიზანშეწონილია მხოლოდ „შუა აზიის იმპერიის“ შექმნაზე, რომელიც ფედერალურ საწყისებზე შესძლებს სხვადასხვა ხალხების კულტურებისა და ეთნოსების საერთო სამხრეთულ გეოპოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებას, შექმნიდა რა ამით, სტრატეგიულად ერთგვაროვან, მაგრამ ეთნიკურად და კულტურად, მთელი ევრაზიის იმპერიის ინტერესებთან მჭიდროდ დაკავშირებულ მრავალფეროვან ისლამურ წარმონაქმნს.

მოსკოვი-თეირანის ღერძის საკითხში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სომხურ საკითხს, ვინაიდან იგი ამიერკავკასიაში დასტაბილიზაციის ტრადიციული ცენტრია. უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხები არიული წარმოშობის ხალხია, მათ კარგად აქვთ გააზრებული თავისი იაფეტური ბუნება და ინდოევროპულ ხალხებთან ნათესაობა, განსაკუთრებით აზიელებთან — ე. ი. ირანელე-

ბთან და ქურთებთან. მეორე მხრივ, სომხები ქრისტიანები არიან, მათ მონოფიზიტური ტრადიცია კარგად ეხამება აღმოსავლური ეკლესიის განწყობას (მიუხედავად იმისა, რომ მართმადიდებლობის მიერ ერეტიკულ მიმართულებად არის მიჩნეული) და რუსეთთან გეოპოლიტიკური კავშირის საჭიროებაც კარგად ესმით. სომხებს უკავიათ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მიწები, ვინაიდან სომხეთსა და არცახზე გადის გზა თურქეთიდან აზერბაიჯანში და შემდეგ შუა აზიაში. მოსკოვ-თეირანის ღერძში ერევანი ავტომატურად ხდება მნიშვნელოვანი სტრატეგიული რგოლი, ირანთან რუსეთის დამატებითი კავშირი და თურქეთის შიდაკონტინენტური სივრცეებისაგან მომწყვეტი. ბაქოს ანკარიდან თეირანზე ორიენტაციის შეცვლის შესაძლებლობის შემთხვევაში მოსკოვ-თეირანის ერთიან პროექტში სწრაფად გადაწყდება ყარაბაღის საკითხიც, ვინაიდან ოთხივე მხარე დაინტერესებული იქნება სტაბილურობის დაუყოვნებლივ აღდგენაში, ასევე მნიშვნელოვან რეგიონში (წინაალმდეგ შემთხვევაში ანუ აზერბაიჯანის პროთურქული ორიენტაციის შენარჩუნების შემთხვევაში ყარაბაღი გაიყოფა ირანს, რუსეთს და სომხეთს შორის). თითქმის, იგივე ეხება კავკასიის სხვა რეგიონებსაც — ჩეჩნეთს, აფხაზეთს, დაღესტანს და ა. შ. რომლებიც დარჩებიან კონფლიქტის ზონებად და არასტაბილურობის კერებად ატლანტისტური თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესებისა ევრაზიული რუსეთის ინტერესებთან შეჯახების გამო. ამაში ირანის გეოპოლიტიკური ხაზის ჩართვა მყისვე უშინაარსოს გახდის კავკასიაში „ისლამის და მართმადიდებლობის" შეჯახების ალბათობას, რომელსაც ქმნიან ატლანტიზმის თურქი და რუსი „გავლენის აგენტები" და აღადგენს მშვიდობასა და ჰარმონიას".

შუა აზიის გარდაქმნის ამ პროექტში, აღნიშვნის ღირსია, რომ რუსების ეთნიკური ინტერესები საუკეთესოდ იქნება დაცული, ვინაიდან შუა აზიის იმპერია აშენდება არა ხელოვნური პოლიტიკური კონსტრუქციების საფუძველზე, ფიქტიურ „პოსტიმპერიულ ლეგიტიმურობაზე", არამედ ეროვნულ ერთგვაროვნებაზე, რაც გულისხმობს მშვიდობიან გადასვლას შუა აზიის ყველა (განსაკუთრებით ყაზახეთის) რუსებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიების მოსკოვის იურისდიქციაში. ის ტერიტორიები კი, რომელთა ეთნიკური შემადგენლობა სადაოა, მიიღებენ განსაკუთრებულ უფლებებს რუსულ-ირანული პროექტების საფუძველზე ამა თუ იმ იმპერიის ფარგლებში. ამრიგად, ევრაზიული გეოპოლიტიკური პროექტის გზით რუსები მიაღწევენ იმას, რაც წარმოადგენს „მცირე (ეთნიკური) ნაციონალიზმის" მიზანს, მაგრამ რასაც დამოუკიდებლად ეს ნაციონალიზმი ვერ მიაღწევს.

აუცილებელია გავითვალისწინოთ, აგრეთვე, ამ პროექტში თურქეთისთვის „განტევების ვაცის" როლის არსებობა, ვინაიდან ამ ქვეყნის ინტერესები (კავკასიური და შუაა ზიური) საერთოდ მიუღებელია. უფრო მეტიც ალბათ საჭიროა ქურთების სეპარატიზმის, აგრეთვე, თურქი სომხების ავტონომიური მოთხოვნების ირანთან ეთნიკურად ახალი ხალხების საერო-ატლანტისტური კონტროლისგან გამოგლეჯის მიზნით. კომპენსაციის სახით თურქეთს შეიძლება შევთავაზოთ ან გაფართოება სამხრეთით — არაბულ სამყაროში (ბაღდადის, დამასკოსა და ერ-რიადის მიმართულებით) ან თურქეთში (პროირანული ფუნდამენტალისტების პროვოცირებით), გეოპოლიტიკური კურსის კარდინალური გადახედვა და შუა აზიის ბლოკში ანტიატლანტისტური და ევრაზიული დროშის ქვეშ გაერთიანება.

ღერძი მოსკოვი-თეირანი ძირითადია ევრაზიის გეოპოლიტიკურ პროექტში. ირანული ისლამი — ისლამის საუკეთესო ვერსიაა კონტინენტურ ბლოკში შესვლისთვის და სწორედ ეს ვერსია უნდა იყოს მოსკოვის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული.

სამხრეთთან ევრაზიული ალიანსის მეორე მიმართულებას წარმოადგენს პანარაბული პროექტი, რომელიც მოიცავს წინა აზიისა და ჩრდილო აფრიკის ნაწილს. ეს ბლოკი, ასევე, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კონტინენტური გეოპოლიტიკისათვის, რადგან იგი წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზონას ევროპის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს კონტროლის საკითხში. სწორედ ამიტომ, ამ რეგიონში, ინგლისის შემდეგ ამერიკის არსებობა წარმოადგენს ისტორიულ-სტრატეგიულ მუდმივას. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის კონტროლით, ატლანტისტებს ტრადიციულად ეკავათ (და უკავიათ) კონტინენტური ევროპა პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ.

თუმცა პანარაბული პროექტის საერთო ევრაზიულ იმპერიასთან ინტეგრაცია სჭობს დაეკისროს ევროპულ ძალებს ევროაფრიკის პროექტებთან დაბრუნებით, რაც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს არა ორ კონტინენტს, არამედ ერთს. ევროპული იმპერია სასიცოცხლოდ დაინტერესებულია რა აფრიკის კონტინენტის სამხრეთით მაქსიმალურად ღრმა შეეპრა"ში, პერსპექტივაში მთლიანად უნდა აკონტროლოს აფრიკა საპარამდე და ამისთვის დაეყრდნოს პანარაბულ ბლოკს. მომავალში კი ეცადოს სტრატეგიულად დაეფუძნოს მთელ აფრიკის მატერიკზე. ევროაფრიკის პერაპექტივაში ხმელთაშუა ზღვა არ წარმოადგენს ჭეშმარიტ „ზღვას", იგი მხოლოდ შიგა „ტბაა", რომელიც არც წინაღობას წარმოადგენს, არც დაცვას ატლანტისტური გავლენისაგან. არაბული აფრიკის საზღვრებს გარეთ საჭიროა შევიმუშაოთ დაწვრილებითი პოლიეთნიკური პროექტი, რომელიც შეგვაძლებინებს „შავი" მატერიკის ეროვნულ-ეთნიკური და კულტურული ნიშნით მის ხელახალ სტრუქტურიზაციას, იმ ერთ-ერთ საწინააღმდეგო პოსტკოლონიური კონგლომერატის მაგიერ, რასაც დღეს წარმოადგენენ თანამედროვე აფრიკული სახელმწიფოები. ნიუანსებამდე დახვეწილი პანაფრიკული (არააარაბული) ეროვნული პროექტი გახდება პანარაბული ინტეგრაციის გეგმის გეოპოლიტიკური დამატება.

იმის გათვალისწინებით, რომ ირანული ფუნდამენტალიზმის მოდელი ბევრ საკითხში საეჭვოა არაბულ სამყაროში უნივერსალურად მისაღები გახდეს (ირანული ისლამის შიიტური, არიული ვერსიის სპეციფიკის გამო), პანარაბული პროექტი უნდა ესწრაფვოდეს დამოუკიდებელი ანტიატლანტისტური ბლოკის შექმნისაკენ, სადაც პრიორიტეტული პოლუსები იქნება ერაყი, ლიბია და გათავისუფლებული პალესტინა (გარკვეული პირობებით სირიაც) ე. ი. ის არაბული ქვეყნები, რომლებსაც სხვებზე ცხადად ესმით ამერიკული საფრთხის არსი და სხვებზე რადიკალურად უარყოფენ დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ საბაზრო-კაპიტალისტურ მოდელს. პანარაბულ პროექტში „განტევების ვაცი" უპირველეს ყოვლისა გახდება საუდის არაბეთი, რომელიც იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ატლანტისტურ გეოპოლიტიკასთან, რომ ნებაყოფლობით არ გაერთიანდება ევრაზიისადმი მეგობრულ, პანარაბულ ბლოკში. სხვანაირადაა საქმე ეგვიპტის, ალჟირის და მაროკოს მიმართ, ვინაიდან მმართველი პროატლანტისტური ძალები ამ ქვეყნებში არ გამოთქვამენ ეროვნულ მისწრაფებებს, ვითარების ბოლომდე ვერ აკონტროლებენ და მხოლოდ ამერიკულ

ძალას და ფულს ემყარებიან. პანარაბული განმათავისუფლებელი ომის საკმარისად ინტენსიურ დონეზე დაწყებისთანავე ეს რეჟიმები დაეცემა.

მაგრამ აუცილებელია კარგად გავიაზროთ, რომ პანარაბული სივრცის ყველაზე ჰარმონიული კონსტრუქციის შექმნის საკითხი იმდენად რუსეთის საქმე არ არის, რამდენაც ევროპის, შუა ევროპის, გერმანიის, კიდევ უფრო ზუსტად კი ევროპული იმპერიის. რუსეთი (უფრო ზუსტად კი სსრკ) ერეოდა არაბულ პრობლემებში მხოლოდ მაშინ, როცა მარტო თვითონ წარმოადგენდა ევრაზიულ სახელმწიფოს ამერიკანიზმის წინააღმდეგ. ევრაზიული ორიენტაციის ევროპული ბაზის არსებობისას ე. ი. მოსკოვი-ბერლინის ღერძის შექმნის შემდეგ, ეს ფუნქცია მთლიანად ბერლინს და ევროპას გადაეცემა. რუსეთის უშუალო საზრუნავი ისლამურ სამყაროში სწორედ ირანი უნდა იყოს, რომელთან კავშირზეც დამოკიდებულია რუსების სასიცოცხლო სტრატეგიული და ვიწრო ეთნიკური ინტერესებიც კი.

შუა აზიის (პაკისტანის, ავღანეთისა და თურქეთის ან „თურქეთის პროირანული რევოლუციის შემდგომ" ნარჩენების ჩათვლით) მაკონტროლებელი ირანი რუსეთთან ერთად, წარმოადგენს მოსკოვის პრიორიტეტულ ინტერესთა ცენტრს. ამასთან, უნდა გამოვიყენოთ რუსეთის ტრადიციული გავლენა პანარაბული ორიენტაციის „მემარჯვენე" რეჟიმზე (პირველ რიგში ერაყი და ლიბია) არაბული ქვეყნების ირანთან დაახლოებისა და ხელოვნური, ატლანტისტების მიერ ინსპირირებული ირან-ერაყის კონფლიქტის სასწრაფო მივიწყებისათვის.

## 4.5. მრავალ იმპერიათა იმპერია

ახალი იმპერია, რომლის აშენება რუსი ხალხის გლობალური, პლენეტარულ ცივილიზაციური მისიის შესაფერისი იქნება, ზეპროექტია, რომელსაც მრავალი ქვეეტაპი აქვს. ამ ახალ ევრაზიულ იმპერიას ექნება რთული და დიფერენცირებული სტრუქტურა, რომლის შიგნით იარსებებს ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვა ხარისხები. სრულად აშკარაა, რომ ახალი იმპერია არ იქნება არც რუსეთის და არც საბჭოთა იმპერია.

ამ ახალი იმპერიის მთავარი გამაერთიანებელი ფაქტორი იქნება ბრძოლა ატლანტიზმთან და მძლავრი წინააღმდეგობა იმ ლიბერალურ საბაზრო, „საზღვაო", „კართაგენულ" ცივილიზაციასთან, რომელსაც წარმოადგენს აშშ და ის მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მსოფლიო სტრუქტურები, რომლებიც ატლანტიზმს ემსახურებიან. ამ ბრძოლის წარმატებისათვის საჭიროა **სტრატეგიულად** ერთიანი, გიგანტური გეოპოლიტიკური კონტინენტური ბლოკის შექმნა. სწორედ სტრატეგიულად კონტინენტური საზღვრების ერთიანობა იქნება ახალი იმპერიის მთავარი გამაერთიანებელი. ეს იმპერია ერთიანი და განუყოფელი ორგანიზმი იქნება **სამხედრო-სტრატეგიული** თვალსაზრისით, ეს კი მოახდენს ყველა შიდა ქვეიმპერიული ფორმირებების პოლიტიკურ შეზღუდვას. ყველა ბლოკი, რომელიც ახალი იმპერიის შემადგენლობაში შევა, პოლიტიკურად ერთ საკითხში იქნებიან შეზღუდულნი — მათ კატეგორიულად აეკრძალებათ ატლანტისტური გეოპოლიტიკური ინტერესების სამსახური, სტრატეგიული ალიანსიდან გასვლა, კონტინენტური უსაფრთხოებისათვის ვნების მიყენება. მხოლოდ და მხოლოდ ამ ფორმით იქნება ახალი იმპერია მთლიანი გეოპოლიტიკური წარმონაქმნი.

შემდეგ, უფრო დაბალ დონეზე, ახალი იმპერია „დიდ სივრცეთა“ ან მეორად იმპერიათა კონფედერაცია იქნება. მათგან უნდა გამოიყოს ოთხი ძირითადი — დასავლეთში ევროპული იმპერია (გერმანიის და შუა ევროპის გარშემო), აღმოსავლეთში წყნარი ოკეანის იმპერია (იაპონიის გარშემო), სამხრეთით შუა აზიის იმპერია (ირანის გარშემო) და ცენტრში რუსეთის იმპერია (რუსეთის გარშემო). სრულად ლოგიკურია, რომ ამ პროექტში მთავარია ცენტრალური პოზიცია, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული კონტინენტური ბლოკის სხვა შემადგენელთა ტერიტორული დაკავშირებულობა და ერთგვაროვნება. გარდა ამისა, ცალკეული, დამოუკიდებელი დიდი სივრცეები იარსებებენ აღნიშნული ბლოკების გარეშეც — ინდოეთი, პანარაბული სამყარო, პანაფრიკული კავშირი, შესაძლოა, ჩინეთის განსაკუთრებული რეგიონის არსებობაც, რომლის სტატუსის დაახლოებით განსაზღვრაც კი ჯერჯერობით ძნელია. მეორად იმპერიათაგან თითოეული დაემყარება განსაკუთრებულ რასობრივ, კულტურულ, რელიგიურ, პოლიტიკურ ან გეოპოლიტიკურ გამაერთიანებელ ფექტორს, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა იქნება, იმპერიათა ინტეგრაციის ხარისხიც ცვალებადი იქნება და დაეფუძნება დამოუკიდებელ, კონკრეტულ იდეოლოგიურ ბაზას, რომელზეც შეიქმნება ესა თუ ის იმპერია.

ამ მეორადი იმპერიების შიგნით იმოქმედებს, აგრეთვე, კონფედერაციული პრინციპი, მაგრამ გამოყენებული იქნება უფრო წვრილი ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ერთეულების მიმართ, მათ მიმართ, რაც მეტ-ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს „ქვეყნად“ ან „სახელმწიფოდ“. ბუნებრივია ამ „ქვეყნების“ სუვერენიტეტს ექნება მნიშვნელოვანი შეზღუდვები — პირველ რიგში, სტრატეგიული (გამომდინარე მთელი კონტინენტური ახალი იმპერიის პრინციპებიდან), მეორე, იმ დიდ სივრცეთა სპეციფიკასთან დაკავშირებული, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შევლენ. ამ საკითხშიც გამოვიყენებთ უკიდურესად მოქნილი დიფერენციაციის პრინციპს, რომელიც გაითვალისწინებს ყოველი რეგიონისა ისტორიულ, სულიერ, გეოგრაფიულ, რასობრივ თავისებურებას.

ველიკორუსები, მაგალითად, რუსეთის იმპერიის ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ ცალკე ხალხად და როგორც „ქვეყანაც“ კი (უკრაინელებთან, ბელორუსებთან, შესაძლოა სერბებთან და სხვ. ერთად), მაგრამ ისინი ამასთანავე მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებულნი სლავურ-მართმადიდებლური ტიპის იურისდიქციასთან, რომელიც ხორცშესხმული იქნება სპეციფიურ სახელმწიფო სისტემაში. ამასთანავე, რუსეთის იმპერია დამოკიდებული იქნება ევრაზიულ იმპერიაზე, ახალ იმპერიაზე, რომლის სტრატეგიული ინტერესები დაყენებული იქნება აღმოსავლეთ მართმადიდებელი სლავების ეროვნულ-რასობრივ და კონფესიურ ინტერესებზე მაღლა.

იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, ფრანგებზე, რომლებიც დარჩებიან ხალხად ან „ქვეყნად“ ევროპის იმპერიის ფარგლებში გერმანელებთან და იტალიელებთან ერთად, მათთან საერთო ევროპული იმპერიული ტრადიციით, ქრისტიანული რელიგიით და ინდოევროპული რასისადმი კუთვნილებით დაკავშირებულნი. მაგრამ თვით ევროპული იმპერია, თავის მხრივ, დაექვემდებარება ახალი და დიდი კონტინენტური იმპერიის სტრატეგიულ მოთხოვნებს.

მსგავსი ვითარება იქნება შუა აზიაში და წყნარი ოკეანის სივრცეზე,

არაბულ სამყაროშიც და აფრიკაშიც, ინდოეთშიც და ა. შ. ამასთან გლობალურ დონეზე ახალი მსოფლიოს იმპერიის მშენებლობის „განტევების ვაცი“ სწორედ აშშ იქნება, რომლის ძალაუფლების ჩამორთმევა (ამ გეოპოლიტიკური კონსტრუქციის სრულ დანგრევამდეც კი) განხორციელდება გეგმაზომიერად და უკომპრომისოდ ახალი იმპერიის ყველა წევრის მიერ. ამ მხრივ ევრაზიული პროექტი გულისხმობს ევრაზიულ ექსპანსიას სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში ჩრდილოეთის კონტროლისაგან მისი გამოყვანის მიზნით (აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ესპანური ფაქტორი, როგორც ანგლო-საქსების ტრადიციული ალტერნატივა), აგრეთვე, აშშ-ის ფარგლებში ყველა სახის არასტაბილურობის და სეპარატიზმის პროვოცირება (შესაძლოა დავეყრდნოთ აფრო-ამერიკული რასისტების პოლიტიკურ ძალებს). ძველი რომაული ფორმულა „კართაგენი უნდა დაინგრეს“ გახდება ევრაზიის იმპერიის აბსოლუტური ლოზუნგი, რადგან სრულად გამოხატავს თავისი ჭეშმარიტი მისიის რეალიზაციისთვის გამოლვიძებული კონტინენტის მთელი გეოპოლიტიკური მსოფლიოს სტრატეგიის არსს.

ამა თუ იმ ხალხის, „ქვეყნის“ ან „დიდი სივრცეების იმპერიის“ სტატუსის დაკონკრეტება საერთო კონტინენტური ბლოკის ფარგლებში აქტუალური გახდება მხოლოდ გეოპოლიტიკური გაერთიანებისათვის საჭირო ღერძების შექმნის შემდეგ და მხოლოდ მაშინ შესძლებენ ევრაზიის ხალხები და სახელმწიფოები გადაწყვიტონ საკითხით შინაგანი პრობლემები სრულად თავისუფლად, იმ ატლანტისტური ძალების ზეწოლის გარეშე, რომლებიც მხოლოდ ერთი საკითხით არიან დაინტერესებულნი — არ დაუშვან მშვიდობა, ჰარმონია, აყვავება, დამოუკიდებლობა, ღირსება და ტრადიციათა გაფურჩქვნა ევრაზიაში.

## თავი 5. რუსეთის ბედი იმპერიულ ევრაზიაში

### 5.1. გეოპოლიტიკური მაგია ეროვნული ინტერესებისათვის

რუსეთის ეროვნული ინტერესები შეიძლება რამდენიმე — გლობალურ, საერთო-პლანეტარულ, გეოპოლიტიკურ, ცივილიზაციურ (წინა თავებში ამაზე გვქონდა საუბარი), აგრეთვე, ვიწრო ეროვნულ, კონკრეტულ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე განვიხილოთ (ამაზე ვისაუბრებთ ამ თავში). როგორ შეუთავსდება ერთმანეთს კონტინენტური იმპერიათამშენებლობის მაკროპროექტები და რუსი ხალხის ეთნიკური ხასიათი? ამაზე მცირეოდენი უკვე ითქვა. ახლა კი საჭიროა პრობლემის უფრო დაწვრილებით განხილვა.

„იმპერიათამშენებლობის ორიენტაცია“, „კონტინენტალიზმი“, „ევრაზიულობა“ — ყველა ეს ტერმინი და შესაბამისი პროექტი ხშირად აფრთხობს იმ რუსებს, რომლებიც ცუდად იცნობენ რუსული ისტორიის სიმბოლიზმს, ვერ სწვდებიან ერის ისტორიულ მისწრაფებას, მიჩვეული არიან ბანალური ყოველდღიური კლიშეებით აზროვნებას ხალხის ცნების და მისი ინტერესების შეცნობისას, რაც, თვით ნაციონალისტებს შორის, უამრავ გაუგებრობას ბადებს, ახდენს ფუყე დისკუსიებისა და უშინაარსო პოლემიკების პროვოცირებას. სინამდვილეში, რუსული ნაციონალიზმის სპეციფიკა მდგომარეობს სწორედ მის გლობალურობაში იგი იმდენად სისხლთან არაა დაკავშირებული, რამდე-

ნადაც სივრცესთან, მიწასთან, ნიადაგთან. იმპერიის გარეშე რუსები თავის იდენტურობას დაკარგავენ და გაქრებიან, როგორც ერი.

მაგრამ ევრაზიული გეგმის განხორციელებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიგვიყვანოს რუსების, როგორც იმპერიის „ღერძული" ეთნოსის ეთნიკურ გაქრობამდე. ველიკორუსებს მზარდაჭერა და ეთნიკური იდენტურობის შენარჩუნება ჭირდებათ, რის გარეშეც კონტინენტის ცენტრი დაკარგავს თავის ცივილიზაციურ და კულტურულ განსაზღვრულობას. სხვა სიტყვებით, თვით ზეეროვნული გეოპოლიტიკური იმპერიის ფარგლებში უნდა არსებობდეს განსაზღვრული ნორმები (მათ შორის იურიდიულიც), რომლებიც უზრუნველყოფენ რუსების ეთნიკური იდენტურობის შენარჩუნებას. ახალი იმპერიის სპეციფიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ გეოპოლიტიკურ ინტეგრაციაში არ უნდა მოხდეს არარუსული ტერიტორიების „რუსიფიკაცია", ვინაიდან ამგვარი „რუსიფიკაცია" ერთი მხრივ დაამახინჯებს იმპერიის არსს, მეორე მხრივ კი, დაშლის რუსულ ერთიანობას სხვა ეროვნულ გარემოში.

კონტინენტური ბლოკის ფარგლებში რუსი ხალხის როლი არც „იზოლაციონისტური" იქნება („მცირე ნაციონალიზმის" პროექტის მიუხედავად) და არც ეთნოექსპანსიური („ეთნიკური იმპერიალისტების" და, ნაწილობრივ, სლავოფილების საწინააღმდეგოდ). ამ ორი პროექტიდან ზოგიერთი საკითხი უნდა ავიღოთ, ხოლო ზოგიერთი კი უნდა უარვყოთ. სტრატეგიულ დონეზე მართლაც დაისმება „ექსპანსიონიზმის" საკითხი, მაგრამ არა ეთნიკური, არამედ გეოპოლიტიკური ხასიათის, რაც აშკარად გამორიცხავს რუსული ან სლავური რასიზმის ყველა ფორმას. წმინდა ეთნიკურ დონეზე კი, პირიქით, ასე თუ ისე უნდა განხორციელდეს „იზოლაციონისტური" ვარიანტი, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი იზოლაციონიზმის უარყოფით. რუსები იარსებებენ, როგორც ერთიანი ეროვნული ერთობა ზეეროვნული იმპერიული კომპლექსის სივრცეში. ეთნიკური სინამდვილე ხალხის ფარგლებში იქნება კონსოლიდირებული, ზეეთნიკური მისია კი იმპერიის ფარგლებში იქნება გამოხატული. მხოლოდ ასეთი შეფარდებით შეიძლება მივაღწიოთ ერთდროულად ჯანმრთელი ეროვნული ბირთვის შენარჩუნებასაც და გეოპოლიტიკური გავლენის მაქსიმალურ გაფართოებასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული ფაქტორი განსაზღვრული იქნება ეთნიკურის და პოლიტიკურის ისეთი, სრულიად ახალ, შეფარდებიდან გამომდინარე, როგორიც არ არსებობდა რუსების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ისტორიის არცერთ წინამორბედ ეტაპზე. რუსეთში ეთნიკური ერთგვაროვნება არსებობდა მხოლოდ სახელმწი-ფოებრიობის ადრეულ ეტაპზე საკმაოდ შეზღუდულ ტერიტორიებზე. ცარისტული მოდელი ეფუძნებოდა გარკვეული „რუსიფიკაციის" პრინციპს, საბჭოები კი, აფართოებდნენ რა რუსეთის გეოპოლიტიკურ ჩარჩოებს, უგულვებელყოფდნენ რუსი ხალხის ეთნიკურ ხარისხს. ახალ იმპერიაში ეს ფაქტორები თანამედროვე გეოპოლიტიკური და ეთნოგრაფიული პირობების, აგრეთვე, რუს ხალხში სტაბილური ეთნოპოლიტიკური წონასწორობის აღდგენის აუცილებლობის მიზნით ახალი პროპორციებით უნდა იყოს გამოხატული.

რუსები ახალ იმპერიაში ერთდროულად ორ როლში მოგვევლინებიან:

1) როგორც ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ხალხი — ეროვნებათა ფედერაციული იმპერიის პოლიტიკურ სუბიექტად.

2) როგორც ფედერაციულ იმპერიაში ამ ერების კონტინენტური ინტეგრაციის ინიციატორი.

ამგვარად, რუსები პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვინაიდან იქნებიან რა იმპერიის ერთ-ერთ მეტნაკლებად თანასწორი ეთნიკური კომპლექსთაგანი, ისინი მთელი პოლიტიკური პროცესის შუაგულში იქნებიან. ასეთი ორმაგი ფუნქცია იმპერიათმშენებლობის პროცესში საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ გარეეთნიკური გავლენა და გავაერთიანოთ შიდაეთნიკური ძალები. იმპერიათმშენებლობა ერთადერთი გზაა ერთაშორისი კონფლიქტების, ომებისა და პოლიტიკური საზღვრების გადახედვის გარეშე რუსული ეთნოსის შენარჩუნების, გაძლიერების და გაერთიანებისთვის. იმპერიის მშენებლობისას ევრაზიის ყველა პოლიტიკური საზღვარი თანდათან გაქრება, როგორც პოლიტიკური საზღვარი, მათ მაგიერ კი გაჩნდება ბუნებრივი, ორგანული, ეთნიკური საზღვრები, რომლებსაც საერთო არაფერი ექნებათ იმასთან, რაც თანამედროვე გაგებით იგულისხმება სიტყვაში „საზღვარი", ვინაიდან ისინი გაივლება ეთნოკულტურული, კონფესიური ნიშნით, რაც უმცირესობებზე პოლიტიკურ ბატონობას თუნდაც იმიტომ ვერ შესძლებს, რომ ამ ეთნოწარმონაქმნებს არ ექნებათ სრულყოფილი პოლიტიკური სუვერენიტეტი, რადგან იქნებიან ისეთი იმპერიის სტრატეგიული ინტერესებით შეზღუდულნი, რომელიც დაინტერესებულია თავის ფარგლებში მშვიდობისა და ჰარმონიის დაცვით. ასე, რომ რუსებს არ ექნებათ ეროვნული სახელმწიფო, როგორც ეთნიკური ერთობის პოლიტიკური გამოხატულება, მაგრამ ექნებათ ეროვნულ ერთობა და უზარმაზარი კონტინენტური სახელმწიფო, რომლის მართვაშიც მათი როლი ძირითადი იქნება.

ასეთი პროექტის მხოლოდ შექმნაც კი უკვე ხსნის იმ მოსალოდნელი კონფლიქტების საშიშროებას, რომლებიც მწიფდება დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ფარგლებში საბჭოთა კავშირის დანაწევრებით წარმოშობილ „სახელმწიფოთა" წყალობით. აღნიშნული სახით საკითხისადმი ამგვარ მიდგომას აზახეთში რუსებისა და აზახების, უკრაინაში რუსების და უკრაინელების, თათრებისა და რუსების ურთიერთობის საკითხი სხვა, სრულად განსხვავებულ განზომილებაში გადაჰყავს. ეს შეფარდება აღარ იქნება პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი პრობლემა, რომელიც შეიძლება გადაწყდეს ამა თუ იმ მხარისათვის გარკვეული პოლიტიკურ-ტერიტორიული ზონის გამოყენების შემთხვევაში (მაგ.: აზახეთის ეთნიკური დაყოფა, რუსეთის ფედერაციაში სეპარატიზმი, ჩეჩნეთის სამხადრო ძალით დამორჩილება, უკრაინის კონფესიური და ეროვნული დახლეჩა, ყირიმის პრობლემა და ა. შ.) ასეთ შემთხვევაში ეთნიკური კონსოლიდაცია (ვთქვათ აზახეთში მცხოვრები რუსებისა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ რუსებთან აღარ განიხილება, როგორც „აზახეთის ეროვნული სახელმწიფოს" პოლიტიკური სუვერენიტეტის ძირგამომთხრელი საქმიანობა „რუსეთის ეროვნული სახელმწიფოს" სასარგებლოდ, არამედ გახდება ორგანული კულტურულ-ეთნიკური პროცესი, რომელიც არც შელახავს და არც აამაღლებს არც ერთი მხარის ღირსებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არავითარი „აზახეთის ეროვნული სახელმწიფო", ისევე, როგორც რუსეთის ეროვნული სახელმწიფო არ იარსებებს. საბჭოური მოდელი ამით რაღაცით გავდა ამ პროექტს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი შესწორებით საბჭოთა კავშირში „ეთნოსის" ცნება განიხილებოდა ერთგვარ რუდიმენტად,

ისტორიულ ატავიზმად, შიდაპოლიტიკური სუბიექტის სტატუს-მოკლებულად. ახალ იმპერიაში, პირიქით, ეთნოსს არ ეკნება რა პირდაპირი ხელმწიფოებრივი გამოხატულება, ჩაითვლება მთავარ პოლიტიკურ ფასეულობად და უმაღლეს იურიდიულ სუბიექტად ყველა შიდაიმპერიულ საკითხში.

ამ საკითხის შეკამებისას, შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეობა გლობალურ გეოპოლიტიკურ პროექტებში, ერთი შეხედვით შორს დგას რუსების ვიწრო ეთნიკური მიზნების მიღწევისაგან, სინამდვილეში კი, მიგვიყვანს კონკრეტული ეროვნული მიზნების საუკეთესოდ გადაწყვეტამდეც კი.. უკმარისსა და ძალზე მცირეზე უარის თქმით („რუსული სახელმწიფო რუსეთის ფედერაციის ფარგლებში") დაპყრობებისა და ანექსიის, სისხლიანი, ძმათამკვლელი ომების უარყოფით თუ რუსები ევრაზიის ხალხებს შესთავაზებენ თანაბარ პირობებში კონტინენტური ბლოკის მშენებლობას, შეიძენენ იმ დიდ და ღირსეულ პატივს, რაც წინაღმდეგ შემთხვევაში სამუდამოდ მიუღწეველი დარჩება.

ეთნიკურ სახელმწიფოზე უარის თქმით, ჩვენ შევიძენთ ხალხის ერთიანობას და დიად იმპერიას. ახლანდელ პირობებში მხოლოდ ამ გზით (და არა სხვანაირად) შეიძლება რუსი ხალხის ხსნა პოლიტიკური უძლურებისაგან და ეთნიკური გადაშენებისაგან, მისი მთლიანად გამოღვიძება მსოფლიო მისიისათვის და, ბოლოსდაბოლოს, იმის მიგება რასაც მართლაც იმსახურებს.

## 5.2. რუსული ნაციონალიზმი. ეთნიკური დემოგრაფია და იმპერია

რუსი ხალხი, ვიწრო ეთნიკური თვალსაზრისით, მძიმე დამოგრაფიულ მდგომარეობაში იმყოფება. შორეულ პერსპექტივაში იგი გვემუქრება საშინელი შედეგებით, როგორც თვით ერისათვის, ასევე, მომავალი იმპერიისათვის, ვინაიდან რუსების, როგორც კონტინენტური გაერთიანების მთავარი მოქმედი გმირის, რომელიმე სხვა ეროვნებით ჩანაცვლება, აუცილებლად მიგვიყვანს კონტინენტური ბლოკის ბუნებრივი ცივილიზაციური მისიისაგან გადახრამდე, რაც წარმოშობს ქაოსს და კონფლიქტებს ევრაზიაში, გეოპოლიტიკურ სტრუქტურას ჩამოაშორებს მნიშვნელოვან კულტურულ-პოლიტიკურ კომპონენტს.

რუსების ასეთი სუსტი დემოგრაფიული მდგომარეობა განსაკუთრებით შემაშფოთებელია ევრაზიული სამხრეთის დემოგრაფიული ზრდის ფონზე, რომელიც მკვეთრად იზრდება. თუ ეს ტენდენცია არსებული პროპორციებით შენარჩუნდება, აუცილებლად მოხდება იმპერიაში რუსების ცენტრალური პოზიციებიდან განდევნა, ერის ერთგვაროვნების წაშლა ან ეთნოსის სამხრეთის ხალხებში გათქვეფა ან მისი გადაქცევა რელიქვიურ ნარჩენად, რომელიც მხოლოდ რეზერვაციაში არსებობის ღირსი იქნება. ამას უნდა დავუმატოთ რუსებით ევრაზიის მნიშვნელოვანი სივრცეების მეჩხერი დასახლება, რომლებსაც ისინი მხოლოდ პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად აკონტროლებენ. ეს უკანასკნელი ფაქტორი შეიძლება ევრაზიულ იმპერიაში ეთნიკური ბალანსის დარღვევის მიზეზი გახდეს და დემოგრაფიულად სწრაფად მზარდ სამხრეთელ ხალხებს რუსულ ტერიტორიებზე ეროვნული ექსპანსიისაკენ უბიძგოს (განსაკუთრებით ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში).

ეს პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს, მაგრამ ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას, რომ მისი გადაწყვეტა იმპერიის შექმნის წინ ან შექმნი-

სთანავე არ უნდა მოხდეს. გეოპოლიტიკური გეგმების რეალიზაციას თავიდანვე სინქრონულად თან უნდა ახლდეს რუსების დემოგრაფიული ზრდისა და, ერის „სასიცოცხლო სივრცის" მთლიანად ათვისების მიზნით, ეთნიკური გადაჯგუფებისაკენ მიმართული ქმედებები. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ ისეთი პოლიტიკური მეთოდებით შეიძლება, რომლებიც მიგვიყვანს საძიებელ შედეგამდე და, შესაბამისად, განსაზღვრავს ეკონომიკურ ზომებს.

პოლიტიკური გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — რუსული ნაციონალიზმის კონცეფციის წინ წამოწევა. ეს ნაციონალიზმი, უნდა იყენებდეს არა სახელმწიფოებრივ, არამედ კულტურულ-ეთნიკურ ტერმინოლოგიას იმ კატეგორიებზე განსაკუთრებული ხაზგასმით, როგორიცაა „ეროვნება" და „რუსული მართლმადიდებლობა". ამასთან ამ რუსულ ნაციონალიზმს თანამედროვე ეღერადობა უნდა ჰქონდეს და თავი აარიდოს იმ ფორმათა პირდაპირი რესტავრაციის ყველა ფორმას, რომლებმაც ისტორიულად უკვე ამოწურეს თავისი თავი. სწორედ სახალხო, ეთნიკური, ეთნიკურ-რელიგიური ტიპის ნაციონალიზმი და არა „სახელმწიფოებრიობა" და „მონარქიზმი" უნდა იყოს პრიორიტეტული ამ ვითარებაში. ყველა რუსს უნდა ჩავუნერგოთ ის ძირითადი იდეა, რომ ყოველი ცალკეული ადამიანის თვითიდენტიფიკაცია ეროვნული თვითიდენტიფიკაციისაგან წარმოებული მეორეხარისხოვანი სიდიდეა. რუსებმა უნდა შეიგნონ, რომ პირველ რიგში, ისინი არიან მართლმადიდებლები, შემდეგ — რუსები და მხოლოდ ამის შემდეგ — ადამიანები. აქედან გამომდინარე პრიორიტეტების იერარქია, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყველაზე მაღლა დგას ერის, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის წევრის თვითშეგნება, შემდეგ — განუყოფელობის, ერთიანობის, ტოტალურობის და რუსული ეთნიკური ორგანიზმის ერთობის მკაფიო გაცნობიერება (რომელიც შედგება არა მხოლოდ ცოცხალი, არამედ წინაპრებისა და მომავალი თაობებისაგან) და მხოლოდ შემდეგ, ბოლოს, კონკრეტული პიროვნების განცდა, როგორც დამოუკიდებელი ატომური ერთეულისა.

პოლიტიკურ პრაქტიკაში ასეთი ნაციონალიზმის განხორციელება უნდა ნიშნავდეს რუსების ტოტალურ „გაეკლესიურებას" და ყველა კულტურული ინსტიტუტის ერთიანი ეკლესიის გაგრძელებად გარდაქმნას. აქ რასაკვირველია იგულისხმება გარდაქმნის არა ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული, არამედ სულიერი და ინტელექტუალურ-ეთნიკური ხასიათი. ასეთმა „გაეკლესიურებამ" კულტურა და მეცნიერება უნდა გამოიყვანოს ყოფიერებითი საწყისებისაგან მათი პროფანაციული[12] მოწყვეტილობიდან, ჩართოს ისინი სულიერი აღმშენებლობის პროცესში, აქციოს პრაგმატული და დეცენტრალიზებული ტექნიკური განვითარება ეკლესიის აღქმისა და შეცნობის საშუალებად უმთავრესი, ნაწინასწარმეტყველები აღთქმის რეალიზაციად, ზემატერიალური გეგმის დაქვემდებარებულ ინსტრუმენტებად. მხოლოდ ამგვარად შესძლებენ რუსები დაუბრუნდნენ იმ ეკლესიას, რომელიც მათი ისტორიული, ეროვნული ყოფიერების საფუძველია და, რომელმაც ძირითად ფორმებში ჩამოაყალიბა ის, რასაც ყველაზე კარგი გაგებით ჰქვია რუსული. სწორედ მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის ტოტალურ რესტავრაციას შეუძლია დააბრუნოს ხალხი მის სულიერ საწყისთან. ეკლესიის, როგორც ვიწროკონფესიური, რელიგიური სტრუქტურის ყოველი შედარებითი აღორძინება, მხოლოდ გარეგნული წესებით

შემოფარგლული რესტავრაცია უშედეგო იქნება. „გაეკლესიურებას", რუსული ნაციონალიზმის ფარგლებში, უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ ინდივიდები, არამედ მთელი რუსული კულტურა, მეცნიერება, აზრი მთლიანობაში. ამგვარად ერის კოლექტიურ თვითშეგნებას მიეცემა სულიერი ძალა, რომელიც თავის მხრივ, დამოგრაფიული ზრდის პრობლემას გარკვეულ სულიერ ამოცანად აქცევს, რომელიც, მაგალითად მართმადიდებლური ეთიკის საფუძველზე, აკრძალავს კონტრაცეფციასა და აბორტს.

შემდეგი საფეხური — ეთნიკური თვითშეგნებაა, წარმოდგენა ხალხზე, როგორც ერთიან სხეულსა და ერთიან სულზე. თანაც ამ ერთიანი ორგანიზმის ყოფიერება უნდა გავიგოთ, როგორც ზედროული, სივრცისა და დროის კატეგორიებით შეუზღუდავი. რუსული ნაციონალიზმი უნდა მიმართავდეს არა მხოლოდ ერის აწმყოს, არამედ მის წარსულსაც და მომავალსაც ერთად აღებულს, როგორც ერთიან სულიერ არსებას. ეს „არსება" — დიადი რუსი ხალხი თავის ზეისტორიულ ტოტალურობაში — გააზრებული და შეცნობილი უნდა იქნას ყოველი რუსის მიერ. რუსი ერისადმი კუთვნილების ფაქტი უნდა აღიქმებოდეს რჩეულობად, როგორც წარმოუდგენელი ყოფითი ფუფუნება, როგორც უმაღლესი ანთროპოლოგიური ღირსება. ამ ეროვნული გამორჩეულობის პროპაგანდა (ქსენოფობიის ან შოვინიზმის მცირე დონის გარეშეც კი) ხალხის პოლიტიკური აღზრდის ღერძი უნდა გახდეს. პირველ რიგში, დემოგრაფიული აფეთქება უზრუნველყოფილი იქნება იდეოლოგიურად, კულტურულად და ეთნიკურად. ხალხს უნდა შთააგონო აზრი, რომ რუსი ბავშვის დაბადებისას, ყოველი ოჯახი მონაწილეობს ნაციონალურ მისტერიაში და სრულყოფს მთელი ხალხის **სამშვინველს და სულიერ** სიმდიდრეს. ბავშვები აღქმულნი უნდა იქნან საერთო ეროვნულ ფასეულობად, დიდი ერის შინაგანი ენერგიის ფიზიკურ გამოხატულებად. რუსი ბავშვი პირველ რიგში გაგებული უნდა იქნას, როგორც **რუსი**, შემდეგ კი — როგორც ბავშვი.

დღევანდელი დღის მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ეროვნული იდეების პროპაგანდა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს, ამასთან გამოყენებული უნდა იქნას ნებისმიერი პოლიტიკური და იდეოლოგიური მეთოდი. აუცილებელია ეროვნული მისწრაფებების მაქსიმალური გაღვივება, რაც გამოიწვევს დიდი და ძლიერი ეთნოსის დრამატულ და სწრაფ გამოღვიძებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერანაირი ეკონომიკური ზომები ვერ მოგვცემს დადებით დემოგრაფიულ შედეგს შესაბამისი რელიგიურ-ეთნიკური და იდეოლოგიური უზრუნველყოფის გარეშე. დემოგრაფიული დაცემა შეიძლება გაჩერდეს ნულამდე, შემდეგ კი შესაბამისი იდეოლოგიის დახმარებით განვითარდეს საპირისპირო პროცესი, რომელიც, ძირითადად, ყურადღებას მიაპყრობს ხალხის შეგნების შეცვლას, მისი აზროვნების გარდაქმნას, ასობით და ათასობით სიმბოლოს დანერგვას ყოველდღიურ ცხოვრებაში. რუსული ეთნოსის ფარგლებში რუსული ნაციონალიზმი უნდა იყოს ერთადერთი და ყოვლისმომცველი იდეოლოგია, რომელსაც ექნება თავისი სხვადასხვა ვერსია და დონე, მაგრამ იქ, სადაც საუბარია „ინდივიდუალურობის" კატეგორიის წინაშე „ერის" კატეგორიის უპირატესობის თაობაზე, იგი ყოველთვის ყველაფერში უცვლელი რჩება. საბოლოოდ კი წამოყენებული უნდა იქნას რადიკალური

ლოზუნგი: „ერი — ყველაფერია, ინდივიდუუმი — არაფერი."

ეროვნულობისაკენ პოლიტიკური ორიენტაცია უნდა განმტკიცდეს წმინდა ეკონომიკური ხასიათის ზომებითაც, რადგან ეროვნული მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა წმინდა მატერიალური იარაღებიც. დახმარება გაეწევათ დედებს, მრავალშვილიან ოჯახებს, სოციალურად უზრუნველყოფილნი იქნებიან დიდი ოჯახების მქონე მამაკაცები. მაგრამ ამ ეკონომიკურ კომპონენტს ეფექტი ექნება მხოლოდ ეროვნული იდეოლოგიის მოქმედებისას, რომელმაც მარტო ეკონომიკურად კი არ უნდა დაუჭიროს მხარი რუსების დემოგრაფიულ ზრდას, არამედ ეკონომიკას უნდა მისცეს ორიენტაცია ნაციონალიზაციისაკენ, დააყენოს ეთნოსის მატერიალური ინტერესები პიროვნების ინდივიდუალურ ინტერესებზე მაღლა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შობადობის ეკონომიკური მხარდაჭერა წარმოადგენს ეკონომიკის მთლიანი ტენდენციის კერძო შემთხვევას, რომელიც მთლიანად უნდა გამოდიოდეს ეროვნული ინტერესებიდან და არა ინდივიდუალური ეგოისტური მოტივებიდან ან უტოპიური აბსტრაქციებიდან.

ერთი შეხედვით, ეროვნული იდეოლოგიასთან დაბრუნებამ, თითქოსდა, უნდა წარმოშვას ეთნიკური კონფლიქტები, გააუარესოს ურთიერთობა რუსებსა და მეზობელ ეთნოსებს შორის, წარმოშვას მრავალი გადაუჭრელი წინააღმდეგობა. ასეც მოხდება თუ რუსული ნაციონალიზმი გაავრცელებს თავის პრეტენზიებს სახელმწიფოებრიობაზე, ამ ცნების კლასიკური განმარტებით. რუსულ ეროვნულ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ნამდვილად არ მოინდომებენ ცხოვრებას სხვა ეთნოსისა და სარწმუნოების წარმომადგენლები. ამ ერთიან, გეოპოლიტიკურად და სტრატეგიულად გაერთიანებულ კონტინენტურ იმპერიაში, სადაც შინაგანი მოწყობა მოქნილია და დიფერენციული, არავის არ გაუჭირდება ცხოვრება ეროვნული იდეოლოგიის მიმდევარი რუსი ხალხის გვერდით, რადგან ამ სახელმწიფოში ყოველთვის იქნება უზენაესი ინსტანცია, რომლის წინაშეც ეთნო-რელიგიურ თემებს თანაბარი სტატუსი ენიჭება და, რომელიც იმპერიული ჰარმონიისა და სამართლიანობის მიუკერძოებელი პრინციპების ხელმძღვანელობს. ახალი იმპერიის პროექტი ეთნიკურ დონეზე სწორედ იმით გამოიხატება, რომ არა მხოლოდ რუსმა ერმა უნდა განმტკიცოს და განადიდოს მკვეთრად გამოხატული ნაციონალურ-რელიგიული იდეოლოგია, არამედ იგივე უფლება აქვს ყველა იმ სხვა ხალხებსაც, რომლებსაც მოიცავს იმპერია. ამგვარად წარმოიქმნება „პოზიტიური ნაციონალიზმების" კონგლომერატი, რომელიც ერთი საერთო ნიშნით — იმპერიული ორიენტაციის ვერტიკალით ხასიათდება.

მხოლოდ ამგვარად შესძლებს ყველაზე რადიკალური რუსული ნაციონალიზმი მთლიანად განხორციელებას, რადგან ძირითადი დაბრკოლება აცილებული იქნება — არც ერთი მეზობელი ერი არ იგრძნობს თავს დამცირებულად და დათრგუნულად, რადგან კულტურულ-ეთნიკურ და კონფესიურ საზღვრებს იმპერიის ხალხებს შორის აღარ ექნება ჰოლიტიკური მნიშვნელობა. რუსები იცხოვრებენ საკუთარ ეროვნულ რეალობაში თათრები, ჩეჩნები — საკუთარში, სომხები და ა. შ. საკუთარში. ნაციონალიზმი, რომელიც თავისუფალია სახელმწიფოებრიობისა და საზღვრების პრობლემებისაგან, გაამყარებს ერების ურთიერთგაგებას, რითაც მათ მიეცემათ, როგორც ერთმანეთთან თავისუფალი კონტაქტის, ისე ეთნიკური იზოლაციის საშუალება.

დღევანდელ მძიმე ვითარებაში რუსი ერის გადარჩენის, მისი დემოგრაფიული აღმაფრენის, აგრეთვე, მისი მძიმე ეკონომიური, ბიოლოგიური და სულიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა რუსული ნაციონალიზმის ყველაზე უკიდურესი ფორმების გამოყენება, რომლის გარეშეც ყველა ტექნიკური თუ ეკონომიური ზომები აღმოჩნდება უშედეგო. მაგრამ ასეთი ნაციონალიზმის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ გეოპოლიტიკის კონტინენტური იმპერიის პრინციპთან ორგანული ერთიანობით.

## 5.3. რუსეთის საკითხი მომავალი გამარჯვების შემდეგ

თეორიული თვალსაზრისით შესაძლოა საჭიროა იმ მდგომარეობის განხილვა, რომელშიც რუსები აღმოჩნდებიან ატლანტიზმზე ევრაზიული იმპერიის გამარჯვების შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს იმდენად შორეული პერსპექტივაა, რომ იმ პრობლემების სერიოზული განხილვა, რომლებიც ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება, დღესდღეობით, თითქმის, უაზრობაა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ატლანტიზმის კოლაფსი შეიძლება მოხდეს უცებ, ევროპული იმპერიათმშენებლობის ნებისმიერ ეტაპზე, რადგან დასავლეთის გეოპოლიტიკური სიმტკიცე დაფუძნებულია განსაკუთრებით სწორ და მოხერხებულ ოპერაციებზე და არავითარ შემთხვევაში რეალურ ინდუსტრიულ, ეკონომიურ ან სამხედრო შესაძლებლობებზე. ატლანტიზმის კონსტრუქცია იმდენად სუსტია, რომ საკმარისია ერთი სტრატეგიული ნაწილის, მაგალითად შუა ევროპის, წყნარი ოკეანის არეალის ან ევრაზიის კონტინენტური სამხრეთის გამოყოფა, რომ მაშინვე დაეცემა ატლანტიზმის ეს გიგანტური, ერთი შეხედვით ასეთი ძლიერი და მყარი ნაგებობა. იმ მომენტში, როდესაც „სამხრივი კომისიის" გეოპოლიტიკური სტრატეგიები გარკვეულწილად მაინც იქნება ბლოკირებული ალტერნატიული ევრაზიის პროექტით, მოვლენები უფრო სწრაფად განვითარდება, როგორც ეს საბჭოთა იმპერიის დაშლის დროს მოხდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ატლანტიზმზე გამარჯვება საკმაოდ შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს, ჰიპოთეზურ პოსტატლანტურ გარემოში რუსების მდგომარეობასთან დაკავშირებით საჭიროა რამდენიმე თეზისის ჩამოყალიბება.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ აშშ-ს გეოპოლიტიკური დამარცხება ბევრ პრობლემას შეუქმნის ევრაზიის იმპერიას. ასეთ შემთხვევაში გაქრება ის მთავარი ფაქტორი, რომელიც საფუძვლად უდევს ერისა და ხალხის გეოპოლიტიკურ გაერთიანებას ახალ იმპერიაში — გაქრება „საერთო მტრის" პრინციპი. ეს კონსოლიდირებული ენერგია დაკარგავს თავის მნიშვნელობას და ეჭვის ქვეშ დადგება ევრაზიის იმპერიის მომავალი არსებობის მნიშვნელობაც კი. ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაიწყოს ახალი პოლარული მსოფლიო წყობილების (ევრაზია ატლანტიკის წინააღმდეგ) გადასვლა მრავალპოლარულ მოდელში. უცილებელია, აგრეთვე, რომ აქცენტი გადავიტანოთ იმ ფაქტზე, რომ მრავაპოლარული მოდელის შექმნა შესაძლებელი გახდება მხოლოდ ატლანტიზმზე გამარჯვების შემდეგ. სანამ ატლანტიზმი არსებობს, როგორც ძალა, რომელსაც პრეტენზია აქვს უნივერსალურობაზე, არავითარი მრავალპოლარული წყობა არ შეიქმნება. მხოლოდ ახალი იმპერიის, გლობალური ევრაზიული იმპერიის ჩარჩოებს და ატლანტიზმთან სტრატეგიულ პირისპირ დგო-

მას შეუძლია შექმნას ობიექტური წინაპირობები მეტნაკლებად ბალანსირებული მრავალპოლარობის შესაქმნელად. მრავალპოლარობის ჩანასახი ყალიბდება მხოლოდ იმ დიფერენცირებული იმპერიის მოდელის რეალიზაციის შემდეგ, რომელიც დაამკვიდრებს პოლიტიკური სუბიექტის სტატუსს ისეთ ორგანულ, კულტურულ კატეგორიებს, როგორიცაა — ხალხი, ეთნოსი, რელიგია, ერი, დღესდღეობით არსებული, გაბატონებული სისტემის ნაცვლად, როდესაც საუბარია მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსზე და ცალკეულ პიროვნებებზე („ადამიანის უფლება"). „ცივილიზაციების შეჯახება" (ჰანთინგტონის აზრით) მრავალპოლარულ სამყაროში რეალური იქნება იმ შემთხვევაში თუ ეს ცივილიზაციები შესძლებენ განმტკიცებასა და არსებობის უფლების მოპოვებას ატლანტიკის სტრატეგიული ალიანსის კონტექსტში. დღესდღეობით კი არსებობს მხოლოდ ერთი „ცივილიზაცია" — ატლანტიკის, დასავლეთის, ლიბერალურ-საბაზრო, რომელიც უპირისპირდება ,ყველა დანარჩენ ისტორიული და ორგანული კულტურის მოდელებს.

ატლანტიზმის კრახი ახალი იმპერიის ხალხსა და იმპერიის ცალკეულ სექტორებს სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენებს: შეინარჩუნონ გეოპოლიტიკური ერთიანობა თუ განამტკიცონ მსხვილი ცივილიზებული ბლოკები იმპერიის შიგნით, როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური სინამდვილე? მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში წინა პლანზე გადმოვა ხალხების ეროვნული და სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა.

ასეთ შემთხვევაში, შინაგანი წინააღმდეგობის ყველაზე ჰარმონიული გზით გადაჭრის მიზნით, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა იმპერიის სტატუსის შენარჩუნება. ისევე, როგორც არასოდეს არსებული დოქტრინა „ევროპის სამოქალაქო კანონი" (Jus Publicum Europeum) საერთოა ევროპის ყველა ხალხისთვის, ევრაზიულ იმპერიას პოსტატლანტიკურ ეპოქაში შეუძლია დაეყრდნოს მსგავს, მაგრამ უფრო გაფართოებულ დოქტრინას — „ევრაზიის სამოქალაქო კანონი" (Jus Publicum Euroasiaticam). თავისი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის დაკარგვისას, იმპერიის კონტინენტურ კომპლექსს შეუძლია გამოვიდეს, როგორც უმაღლესი იურიდიული ინსტანცია, რომელიც მოხსნიდა დაძაბულობას ევრაზიის ხალხებს შორის, რომელთა კავშირიც „საერთო მტერზე" გამარჯვების შემდეგ აუცილებლად დასუსტდება. ასეთი გამოსავალი იდეალური იქნება.

მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, აგრეთვე, კონტინენტური ერთიანობის დაშლა და ევრაზიულ სივრცეში რამდენიმე ცივილიზებული ბლოკის წარმოქმნა — რუსულ-სლავური, ევროპული, შუაზიური, ისლამური და ა. შ. მათი ურთიერთობა, საზღვრები და სტრუქტურები დღესდღეობით არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, მაგრამ ასეთ ჰიპოთეზურ პერსპექტივაში, რუსი ერის მომავალი მოწყობის პროექტში დღეს უკვე უნდა იყოს ჩადებული მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შორეულ მომავალში (მხოლოდ ატლანტიზმის დამთავრების შემდეგ) მსოფლიო ისტორიაში რუსების დამოუკიდებელი მონაწილეობის საკითხი, რომელიც დაუბრუნდება თავის ჩვეულ სვლას ატლანტიკური ანომალიის გრძელი პერიოდის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში რუსი ერი მზად უნდა იყოს ისეთი საკუთარი სახელმწიფოს შექმნისათვის რომელიც შეკავშირებული იქნება ერთიანი ტრადიციით, კულტურითა და

რელიგიით. რუსული სახელმწიფოს შექმნის საკითხი, შეიძლება დადგეს მხოლოდ პოსტევრაზიულ პერიოდში, რომელიც თავის მხრივ ძალიან პრობლემატური და ჰიპოთეზურია.

მაგრამ, უკვე ამჟამად, რუსებმა უნდა გამოიყენონ მთელი თავისი ძალღონე ეროვნული კონსოლიდაციის, ხალხის სულიერი, კულტურული და რელიგიური აღორძინებისათვის, რათა მომავალში (თუ საჭირო აქნება) დაიცვას თავისი ეროვნული სიმართლე არა მხოლოდ მტრებისაგან, არამედ იმპერიამშენებლობის მოკავშირეებისგანაც, რომლებიც ფლობენ საკუთარ ისტორიულად განსაზღვრულ ეროვნულ მსოფლმხედველობას. რუსებმა არა მარტო უნდა შეინარჩუნონ თავისი იდენტურობა იმპერიაში, არამედ უნდა გაამყარონ და უკიდურესად გააღრმაონ იგი. მომავალში კი, ატლანტიზის კრახის შემდეგ რუსები მზად უნდა იყვნენ საკუთარი ცივილიზებული მისიის და უნივერსალური ეროვნული გზის ბოლომდე დასაცავად.

რუსები ნებისმიერ შემთხვევაში ევრაზიის იმპერიის სივრცეში სტრატეგიულად ცენტრალურ ადგილზე აღმოჩნდებიან და, მაშასადამე, პოსტატლანტურ პერიოდში (თუ იმპერია მაინც იარსებებს) იმპერიის ცივილიზაციურ პრიორიტეტებთან დაკავშირებით, ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობაში იქნებიან. ამიტომ, ეს იმპერია ასე თუ ისე მაინც იქნება დაკავშირებული რუსულ იდეასთან, რომელშიც გიგანტური სივრცე და კოსმიური გრძნობა ერთმანეთთანაა შერწყმული. თუ კონტინენტური ბლოკი დაიწყებს შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რუსები (რომლებსაც ნაციონალისტური პერიოდისა და იმპერიამშენებლობის ენერგიული პროცესის შედეგად უკვე ექნებათ აღდგენილი თავისი ძალა) კვლავ დაიკავებენ გეოპოლიტიკურად ხელსაყრელ მდგომარეობას, ანუ ცენტრალურ პოზიციას კონტინენტის გათავისუფლებულ ხალხთა და სახელმწიფოთა შორის, რაც მყარ და სტაბილურ გეოპოლიტიკურ რეალობად აქცევს მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ რუსულ სახელმწიფოს, რუსულ იმპერიას.

ეს ორივე შესაძლებლობა გათვალისწინებულ უნდა იქნას დღესაც, ახალი იმპერიის საძირკველის ჩაყრისა და მთელი რუსული ეროვნული სინამდვილის პოლიტიკური, იდეოლოგიური და ადმინისტრაციული რეორგანიზაციისას.

## თავი 6. იმპერიის სამხედრო ასპექტები

### 6.1. ბირთვული და საკონტინენტთაშორისო პოტენციალის პრიორიტეტი

სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ახალი იმპერია შეიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შენარჩუნებული იქნება ყოფილი სსრკ-ს ბირთვული ძალები, აგრეთვე, ევრაზიული ბლოკის ხელში გადავა სტრატეგიული და კოსმოსური შეიარაღების ყველა სახეობა. ეს მთავარი პირობაა არა მხოლოდ მომავალი კონტინენტური წარმონაქმნის ქმედუნარიანობის, არამედ მისი შექმნისთვისაც. მხოლოდ სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნება ატლანტიზმსა (ნატო) და რუსეთს (სსრკ-ს სამხედრო-სტრატეგიული მემკვიდრე და ევრაზიული ბლოკის პოლუსი) შორის ხდის ახალი იმპერიის პოლიტიკურ გეგმებს სერიოზულსა და პრაქტიკულად მისაღწევს.

ამჟამად, ყოფილი საბჭოთა კავშირის პოტენციალი კვლავ ინარჩუნებს პროპორციულობას ნატოსთან სტრატეგიული ავიაციის საკითხში, აგრეთვე, ბირთვული შეიარაღების, ატომური წყალქვეშა ნავებისა და ზოგიერთი სამხედრო-კოსმოსური პროგრამის სფეროში, როგორც კი ეს ბალანსი გადაიწევა ატლანტიზმის სასარგებლოდ, შეუძლებელი გახდება ევრაზიის იმპერიის არსებობა, რუსეთი კი საბოლოოდ გადაიქცევა „რეგიონულ სახელმწიფო" სივრცედ და შესამჩნევად შემცირდება მისი ტერიტორიული გავლენა. ამის შემდეგ ვერანაირი გეოპოლიტიკური ღერძები და პოლიტიკური პროექტები ვერ შესძლებენ რაიმეს შეცვლას. მხოლოდ ამ ეტაპზე, სანამ სტრატეგიულ სფეროში „ცივი ომის" დროინდელი ძალების განლაგება არ შეიცვლება, რუსეთის გეოპოლიტიკასა და პოლიტიკას ჯერ კიდევ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ფაქტიურად, თავისუფალი და დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური პროექტირების შესაძლებლობა დამოკიდებულია რუსული და ატლანტიკური პოტენციალის სტრატეგიული შეფარდების შენარჩუნებაზე, როგორც კი ეს პროპორცია დაირღვევა რუსეთი გადაიქცევა გეოპოლიტიკის სუბიექტიდან მის ობიექტად. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მხოლოდ სხვის მიერ დახლართულ სიტუაციებში ლავირება, როლისა და პრიორიტეტის არჩევა „სხვის" თამაშში.

ასეთი მდგომარეობა ევრაზიულ პროექტს რუსული (ყოფილ საბჭოთა) არმიის ღირსებასა და პოტეციალთან მტკიცედ დაკავშირებულს ხდის. შესაბამისად შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ასეთ პირობებში არმია არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული მოკლევადიან პოლიტიკურ ვითარებებზე მოსკოვში. პირიქით, არმიის ხარისხი (უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია სტრატეგიული შეიარაღების საკითხზე) მთავარია მთელი რუსული პოლიტიკისთვის, მისი მამოძრავებელი ღერძისთვის და ამიტომ არმიის სტრუქტურა ან უნდა განსაზღვრავდეს ამ პოლიტიკის საერთო კონტურებს, ან ამტკიცებდეს განსაკუთრებულ პოლიტიკურ ორიენტირებს. მანამდე, სანამ ასე თუ ისე შენარჩუნებულია სტრატეგიული ბალანსი, არმია დარჩება რუსული პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორად, რადგან ასეთ სიტუაციაში თვით ქვეყნის პოლიტიკური ვითარება, მისი შესაძლებლობები და მომავალი დამოკიდებულია შეარაღებულ ძალებზე.

ამჟამად რუსულ არმიაში ატლანტიზმის ზეწოლით მიმდინარეობს ძალზე საშიში პროცესი, მთელი სამხედრო დოქტრინები კონტინენტურ-საბჭოთა სტრუქტურიდან გადადის რეგიონულ-ლოკალურში. ეს კი ნიშნავს, რომ რუსეთის „პოტენციური მოწინააღმდეგეების" როლში გამოდიან არა აშშ და ნატო, არამედ რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნები, ასევე, რუსეთის ფედერაციის შიდა რეგიონები, რომელთაც შეუძლიათ მიმართონ სეპარატიზმს. ახალი სამხედრო დოქტრინის ასეთი შემოტრიალება, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ფაქტიურად მთლიანად უპირისპირდება შეიარაღებული ძალების პოზიციას, რადგან ამ შემთხვევაში „პოტენციური მოწინააღმდეგეები" ხდებიან ის ქვეყნები, რომლებიც ლოგიკურად რუსების „მოკავშირეები" უნდა გამხდარიყვნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ „პოტენციური მოკავშირეები" განიხილებიან „პოტენციური მოწინააღმდეგეების" როლში, ხოლო რუსეთის მთავარი „პოტენციური მოწინააღმდეგე" — ატლანტიკური ბლოკი — საერთოდ ამოღებულია სათვალავიდან.

სამხედრო საკითხი პირდაპირ არის დამოკიდებული გეოპოლიტიკურ არჩევანთან. თუ რუსეთს მომავალში საკუთარი თავი წარმოუდგენია, როგორც იმპერია, მაშინ მთელი მისი შეიარაღებული ძალები აუცილებლად ორიენტირებული უნდა იყოს ბირთვულ და სტრატეგიულ შეიარაღებაზე. იმპერიის გეგმით ძირითადი სამხედრო მოქმედებები განვითარდება „კონტინენტების ომის" პერსპექტივაში და ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკონტინენტთაშორისო რაკეტებს, სტრატეგიულ ავიაციას, ავიამზიდებსა და ატომურ წყალქვეშა ნავებს, აგრეთვე, კოსმოსური სამხედრო პროგრამების ყველა ფორმას. სწორედ ასეთი სახის შეიარაღების პრიორიტეტი შეუწყობს საუკეთესოდ ხელს კონტინენტურ ინტეგრაციას, აგრეთვე, გახდის რუსეთთან ალიანსს მიმზიდველსა და საფუძვლიანს ევრაზიის დანარჩენი ბლოკებისა და ქვეყნებისათვის. შეიარაღების სწორედ ასეთი სახეობები პირდაპირ უკავშირდება რუსეთის შესაძლებლობას კონტინენტის დონეზე გაათამაშოს გეოპოლიტიკური რუკა. შესაბამისად, უფრო კონკრეტული გეგმის მიხედვით, შუა ევროპის განვითარებულ რეგიონებსა და იაპონიასთან თანამშრომლობის საფუძველზე გზადაგზა გადაჭრას თავისი ეკონომიკური პრობლემები. საყურადღებოა, რომ სწორედ ბირთვული ფაქტორი, რომელიც აშშ-მ წარმოადგინა „საბჭოთა ტოტალიტარიზმისაგან დასავლეთისა და დემოკრატიის დაცვის გარანტის" სახით, იყო ომის შემდგომი პერიოდის ამერიკული ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, როდესაც დასავლეთის ეკონომიკურად ძლიერი, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყნები (მათ შორის იაპონიაც) იძულებულნი გახდნენ Pax Americana-ს სტრატეგიული მეურვეობის სანაცვლოდ სუბსიდია მიეცათ ამერიკის ეკონომიკისა და მრეწველობისთვის. ამჟამად, გარკვეულწილად უკვე რუსეთსაც შეუძლია შესთავაზოს მსგავსი სისტემა, როგორც ევროპას, ასევე, იაპონიას, იმის დამატებით, რომ რუსეთის ინტერესებშია ხელი შეუწყოს ამ ორი „პოტენციური იმპერიის" პოლიტიკურ მომწიფებას (და არა დაასუსტოს და მკაცრად გააკონტროლოს ისინი, როგორც ეს ამერიკული, ატლანტიკური ბატონობის შემთხვევაში შეინიშნება). რუსეთის ეკონომიკური კრიზისის გადალახვა წმინდა პრაგმატულ დონეზე შეიძლება სტრატეგიული ფაქტორისა და შესაბამისი შეიარაღების აქტიური გეოპოლიტიკური გამოყენებით. რამდენიმე წყალქვეშა ნავს შესაბამისი პოლიტიკური უზრუნველყოფით მშვიდობიანი გზით შეუძლია მოუტანოს რუსეთს განვითარებული მრეწველობის ქვეყნები, მაშინ, როდესაც სამხედრო ქარხნების გადაკეთებით სარეცხის მანქანების ქარხნებად, რუსეთი საკუთარ თავს გამოუსწორებელ ეკონომიკურ ზიანს მიაყენებს.

მთელი ჯარის „რეგიონალურად" გარდაქმნა ნიშნავს ყველა არასტრატეგიული, ჩვეულებრივი სახის შეიარაღების განვითარებას. გონივრულად და თანმიმდევრობით, რომ ჩატარდეს ასეთი სამხედრო რეფორმა (რისი დაჯერებაც ჩვენს პირობებში ძალიან ძნელია) მაშინ რუსები შედეგად მიიღებენ ეფექტურ მობილურ არმიას, რომელიც მზად არის კონტინენტურ პირობებში საომარი მოქმედებების განხორციელებისათვის და შესწევს უნარი წარმატებითა და უპრობლემოდ მოაგვაროს ავღანეთის, ტაჯიკეთის ან ჩეჩნეთის მასშტაბის პრობლემები. ლოკალურ კონფლიქტებში საბჭოთა ჯარების უეფექტობა (რომლისთვისაც თვალყურის დევნება შეიძლებოდა ავღანეთის ომში და გარდა-

ქმნის კონფლიქტების დროს) მდგომარეობდა სსრკ-ს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში და იყო სტრატეგიული პრიორიტეტის შედეგი, რომელიც მიმართული იყო გლობალურ ბირთვული კონფლიქტისაკენ და არა პატარა და საშუალო სიდიდის ომებისაკენ. არმიის გარდაქმნას „რეგიონული ორიენტაციის" პრინციპით აუცილებლად მიჰყავს სტრატეგიული შეიარაღება დაშლისაკენ, რადგან დღესდღეობით არც ერთ, თუნდაც ყველაზე განვითარებული ქვეყნის (მაგალითად აშშ-ს) არმიას არ შეუძლია ეფექტურად წარმართოს თავისი მშენებლობა ერთდროულად ორი — სტრატეგიული და რეგიონული მიმართულებით. ამიტომ არმიის ერთი შეხედვით „პოზიტიური გარდაქმნა", თითქოსდა შესაფერის დროს, ნიშნავს რუსების სტრატეგიული უშიშროების დასასრულს, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის სერიოზულ საფრთხეს და მომავალში გეოპოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შეუძლებლობას.

ამჟამად რუსეთის ეროვნული ინტერესები იმაში მდგომარეობს, რომ საკონტინენტთაშორისო დონეზე შეინარჩუნოს თავისი სტრატეგიული პოტენციალი. ამის უზრუნველსაყოფად შეიძლება ნებისმიერ პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ, ეკონომიურ და ტერიტორიულ კომპრომისებზე წასვლა. სტრატეგიული პოტენციალის შესანარჩუნებლად ნებისმიერი დღევანდელი დათმობა, მომავალში აუცილებლად რუსეთის სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს.

დღეს რუსების ბედი და მათი გრანდიოზული მომავალი დამოკიდებულია არა იმაზე თუ რამდენი რუსი არ აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციაში ან კიდევ თუ როგორი პოლიტიკური და ეკონომიური ვითარებაა აქ ამ დროისათვის, არამედ იმაზე — ექნებათ თუ არა მათ შესაბამისი დონის შეიარაღება, რათა სამხედრო გზით დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა აშშ-სა და ჩრდილოატლანტიკური ბლოკისაგან — რუსეთის ერთადერთი და ბუნებრივი „პოტენციური მტრისაგან". აქედან გამომდინარეობს ყველა დანარჩენი საკითხი. ამაზევეა დამოკიდებული იმის მკაფიო განსაზღვრა, არის თუ არა კიდევ შესაძლებელი გლობალური ევრაზიული იმპერიის პროექტის განხორციელება.

## 6.2. როგორი შეიარაღებული ძალები სჭირდება რუსეთს?

სამხედრო კომპლექსის განვითარების იერარქია აშკარად გამომდინარეობს ევრაზიის იმპერიის შექმნისათვის საჭირო ძირითადი გეოპოლიტიკური მოთხოვნებიდან:

1) პრიორიტეტით სარგებლობს შეიარაღების კოსმოსური სახეობები, რომელსაც ტერიტორიული ზეგავლენის ისეთი პოტენციური მასშტაბი აქვს, რომ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ბლოკის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტრადიციული ფორმები, მათთან შედარებისას მთლიანად კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და ეფექტურობას, რის გამოც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის რუსული მოდელის შექმნას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, „ატმოსფერულ" იარაღს და შეიარაღების ისეთი უახლესი ტიპების ექსპერიმენტებს, რომელიც ადამიანის ფსიქიკურ კომპონენტებზე ახდენს ზემოქმედებას. შეიარაღების ეს, ეკონომიკურად და მეცნიერულად ძვირადღირებული, სფერო, რომელიც პრაქტიკულად

გამოუყენებელია ლოკალური კონფლიქტების დროს, წარმოადგენს სახელმწიფოსა და ერის ჭეშმარიტი უსაფრთხოების მთავარ ღერძს. ამ გამოკვლევებისა და შესაბამისი შედეგების გარეშე ხალხი პრაქტიკულად დაუცველი ხდება „პოტენციური მოწინააღმდეგის" წინაშე და „დამოუკიდებლობის", „სუვერენიტეტისა" და „გეოპოლიტიკური პროექტების" ყველა საკითხი თავისთავად უუნარო ხდება.

2) შემდეგია ბირთვული იარაღი — სარაკეტო პოტენციალი და სტრატეგიული ავიაცია. შეიარაღების ეს საკონტინენტთაშორისო სფერო, რომელიც გამიზნულია ატლანტიკურ პოლუსთან პოტენციური კონფლიქტებისათვის, ქმნის მუდმივ საშიშროებას იმ რეგიონებისათვის, რომლებიც საზღვაო საზღვრებით საიმედოდ არიან დაცულნი სხვა სახის სამხედრო თავდასხმებისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ თავის დროზე სწორედ საბჭოთა რაკეტათმშენებლობის განვითარებამ გამოიწვია პანიკა აშშ-ში და ამ დარგში დიდმა წარმატებებმა სსრკ-სა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს, უაღრესად ცუდი გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და სახმელეთო საზღვრების მიუხედავად, შეაძლებინა ეარსებათ ამდენი ხანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მხოლოდ საკონტინენტთაშორისო შეიარაღების სახეობები ხდიდნენ სსრკ-ს „კონტინენტთან" მიახლოებულს, რათა სტრატეგიული პრიორიტეტი ჰქონოდა ნამდვილ კონტინენტთან — აშშ-სთან.

3) ამის შემდეგ მნიშვნელოვანია სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკითხი. ისევე, როგორც საკონტინენტთაშორისო რაკეტები და სტრატეგიული ავიაცია, შეიარაღების ამ სახეობის დანიშნულებაა უპირველეს „პოტენციურ მოწინააღმდეგესთან" — აშშ-სთან შეტაკების დროს გლობალური სამხედრო დავალებების შესრულება. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კონტინენტური ბლოკის შექმნისათვის საჭიროა პორტების გიგანტური სისტემის შექმნა, როგორც სამხრეთით, ასევე დასავლეთით (რასაც რუსეთი და სსრკ ყოველთვის მოკლებული იყო). ავიამზიდებსა და ატომურ წყალქვეშა ნავებს უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება. სამხედრო-საზღვაო ფლოტი სტრუქტურულად ორიენტირებული უნდა იყოს ზღვაზე, სანაპირო ზოლისა და სახმელეთო ბაზებისაგან მაქსიმალურად დაშორებულ სივრცეებში სამხედრო მოქმედებების განხორციელებისათვის. ეს პოტენციური სამხედრო კონფლიქტი უნდა გახდეს სამხედრო მოქმედებების პრიორიტეტული ფორმა, რადგან წარმატებული სტრატეგიის ძირითადი მოთხოვნა ითვალისწინებს სამხედრო მოქმედებების გაძლოლას პოტენციური მოწინააღმდეგის ან ნეიტრალურ ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, თავიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის არსებული მოდელის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული სპეციფიკის შეგუება სამხრეთის ზღვებისა და ოკეანეების, ასევე, ატლანტიკის პირობებთან. შავი ზღვისა და ბალტიის ფლოტები აღრე თუ გვიან დაკარგავენ რუსეთისთვის, როგორც იმპერიისათვის საჭირო მნიშვნელობას, რადგან ისინი მხოლოდ „რეგიონული სახელმწიფოებისათვის" წარმოადგენენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს.

ამიტომ, კონტინენტური ბლოკებისათვის ინდოეთის ოკეანეზე და ატლანტიკაზე კონტროლი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეორეხარისხოვან პორტებზე. სამხედრო-საზღვაო ფლოტი თავდაპირველად მთლიანად მიმართული უნდა იყოს შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ზღვებისაკენ, შემდეგ

კი ინდოეთის, ირანისა და დასავლეთ ევროპისაკენ, რადგან სწორედ ეს ტერიტორიები წარმოადგენენ რუსეთის იმპერიის (და არა რეგიონის) ჭეშმარიტ გეოპოლიტიკურ საზღვრებს.

4) სახმელეთო ჯარებს იმპერიის პერსპექტივაში უმცირესი მნიშვნელობა აქვთ და თავისი ფუნქციით უფრო „შინაგან ჯარებს" წარმოადგენს. რეალურ კონტინენტთაშორისო კონფლიქტში სახმელეთო ჯარები მხოლოდ დამხმარის ფუნქციას უნდა ასრულებდნენ. სწორედ ამით განისაზღვრება მათი ადგილი და იერარქია სამხედრო მშენებლობაში. ამ საკითხის გამონაკლისს წარმოადგენს საჰაერო დესანტი და სპეცდანიშნულების ჯარები, რომელთაც თავიანთი მობილურობის გამო აქტიური მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სერიოზულ საკონტინენტთაშორის ოპერაციებში.

რუსეთისა და მომავალი ახალი იმპერიის შეიარაღებული ძალების ასეთი სტრუქტურა ძალიან ჰგავს ომის შემდგომი პერიოდის საბჭოთა არმიის მოდელს. ეს მოდელი წარმოადგენს ბუნებრივი გეოპოლიტიკური პროცესის შედეგს (რომელიც გეოპოლიტიკის ისტორიას აძლევს შესაბამის პასუხს), რომელიც ყველაზე კარგად იქნა გაცნობიერებული არმიის ხელმძღვანელობის მიერ იმ დროს, როდესაც პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა კლიშეებმა სსრკ-ს პარტიულ ხელმძღვანელობას არ მისცა უფლება შეთანხმებულად მოქცეულიყო, რითაც ხელი შეუშალა საბჭოთა სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ და სტრატეგიულ განვითარებას. გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ექსპანსიონიზმის პერსპექტივა რუსეთის გეოგრაფიული მდგომარეობის უმთავრეს სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს და სხვებისაგან განსხვავებით სწორედ არმიას ესმოდა ეს სრულად, სწორად და გარკვევით. შესაძლოა სსრკ-ს შეიარაღებული ჯარები სწორი მიმართულებით მოქმედებდნენ „პოტენციური მოწინააღმდეგის" ამოსაცნობად, ამა თუ იმ სახეობის შეიარაღებების პრიორიტეტის ასარჩევად, არმიის ახალი ტექნოლოგიებით აღსაჭურვად, მაგრამ ძალიან დიდმა იდეოლოგიურმა ზეწოლამ გავლენა იქონია შეიარაღებულ ძალებზე, რომელმაც, ალბათ, დაივიწყა საკუთარი ინტერესები (რომლებიც ემთხვეოდა ყველა რუსის ეროვნული ინტერესებს თავისუფლებისა და ერის უსაფრთხოების საკითხში) და ცალკეულმა შეცდომებმა ყურადღება ძირითადი სტრატეგიული საკითხებიდან სხვა თემაზე გადაიტანეს.

არმიის აქტიური გარდაქმნა, რომელიც გამომდინარეობს კონცეფციიდან „რუსეთი — რეგიონული სახელმწიფო" თავდაყირა დააყენებს იმ იერარქიას, რომელიც უნდა არსებობდეს ახალ იმპერიაში და, რომელიც გარკვეულწილად არსებობდა სსრკ-ს შეიარაღებულ ძალებში.

რუსეთის ფედერაციის „რეგიონულ" არმიაში, უპირველეს ყოვლისა, პრიორიტეტი ენიჭება სახმელეთო ჯარებს, შემდეგ სამხედრო-საზღვაო ფლოტს ავიამზიდებითა და ატომური წყალქვეშა ნავებით, ხოლო ავიაციასა და რაკეტათმშენებლობას კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა. სტრატეგიული ავიაცია და საკონტინენტთაშორისო რაკეტები კი მთლიანად ნადგურდება. პარალელურად მზადდება უარი ატომურ იარაღზე. რაც შეეხება კოსმოსური ტიპის შეიარაღების გაფართოების პროგრამას, იგი სრულიად ზედმეტია რეგიონული კონფლიქტების დროს.

არმიის მშენებლობის ორი მოდელის პრიორიტეტების შედარებისას აშკარად

დავინახავთ, რომ ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოდელს წარმოადგენენ.

პირველი არმია (კონტინენტური ვარიანტი) განკუთვნილია „პოტენციური მოწინააღმდეგისგან" (რომელიც იყო და რჩება აშშ და ატლანტიური ბლოკი) კონტინენტური ბლოკის, ევრაზიისა და რუსეთის დასაცავად. ეს არმია იქმნება რუსების ჭეშმარიტი ინტერესების უზრუნველყოფისათვის და წარმოადგენს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარანტიას. გარდა ამისა, ასეთი არმია საშუალებას იძლევა ეფექტურად განხორციელდეს გლობალური ევრაზიული პროექტი, რომელსაც შეუძლია რუსეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა უსაფრთხო და სტაბილური გახადოს, ასევე, გადაჭრას უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემები.

მეორე არმია („რეგიონული" ტიპი) სჭირდება მხოლოდ რუსეთს, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ ლოკალური და საშინაო პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად. ასეთ არმიას არ შეუძლია იყოს ეროვნული უსაფრთხოების ჭეშმარიტი გარანტი. პოტენციური კონფლიქტის საშიშროების გამო მისი საწყისი დამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებთან აიძულებს რუსებს, რომ ყოველთვის გვერდიდან დარტყმის მოლოდინში იყოს. მისი სტრუქტურა შესაძლებლობას ართმევს რუსებს, ჰქონდეთ შესაბამისი გეოპოლიტიკური ურთიერთობა ევროპასა და იაპონიასთან, რადგან მას არ შეუძლია დაიცვას ეს გეოპოლიტიკური წარმონაქმნები აშშ-ს პოტენციური აგრესიისაგან. უფრო მეტიც, ასეთი სტრუქტურა აიძულებს რუსებს ევრაზიის მომავალი გეოპოლიტიკური ღერძის სამივე მონაწილე — ბერლინი, თეირანი და ტოკიო — „პოტენციურ მოწინააღმდეგედ" ჩათვალოს და, შესაბამისად, პროვოცირებს, რომ ამ ქვეყნებსაც ასეთი დამოკიდებულება ჰქონდეთ რუსეთთან. გეოპოლიტიკაში — ხოლო ეს უკანასკნელი კი ყველაზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებათა მიღების დროს აღემატება ყველა წმინდა პოლიტიკურ მოსაზრებას — ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებათა ხასიათი მნიშვნელოვნად უფრო მეტს მეტყველებს, ვიდრე დიპლომატებისა და პოლიტიკური ლიდერების ყველა ოფიციალური თუ არაოფიციალური განცხადება.

# თავი 7. ტექნოლოგიები და რესურსები

## 7.1. ტექნოლოგიური დეფიციტი

ცივ ომში სსრკ-ს დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი ტექნოლოგიური ჩამორჩენა მოწინააღმდეგე გეოპოლიტიკური ბანაკის ქვეყნებთან შედარებით. ატლანტისტების ტექნოლოგიური ნახტომი კი გამოწვეული იყო ნატოში შემავალ ქვეყნებს შორის როლების ეფექტური განაწილებით. აშშ-მ კონცენტრაცია მოახდინა სამხედრო-სტრატეგიულ პოლუსზე, სხვა კაპიტალისტურმა ქვეყებმა კი ვაჭრობის ფინანსურ და ტექნოლოგიური ასპექტის განვითარებისათვის ხშირად იყენებდა უკვე მზა ტექნოლოგიებს, რომლებიც იქმნებოდა და მუშავდებოდა ევროპაში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში. აშშ-ს „მეურვეობის" ქვეშ მყოფი ქვეყნები, გეოპოლიტიკური პროტექციისთვის პატრონს „ტექნოლოგიურ ხარკს" უხდიდნენ. ამ დროს კი საბჭოთა კავშირი ახდენდა თავისი

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ცენტრალიზებას, რაც ართულებდა კვლევებისა და უახლესი გამოგონებების განხორციელებას, რადგან ცენტრალიზებულ და გეგმიურ ადმინისტრაციულ ორგანიზმში მკვეთრად მცირდებოდა ტექნოლოგიური ნოვატორობის რაოდენობა, იმის გამო, რომ ერთსა და იმავე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ცენტრალიზებულ სტრუქტურას ჰქონდა ორი დავალება — პლანეტური სამხედრო სტრატეგიული კომპლექსის შექმნა და ამ კომპლექსის ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. ტექნოლოგიების, საინფორმაციო პროგრამების, გამოთვლითი ტექნიკის და ა. შ. ყველა დარგი დაკავშირებული იყო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან, რაც მას უკარგავდა მისთვის საჭირო მოქნილობასა და დამოუკიდებლობას. აშშ-ს კი, რომ არ ჰყოლოდა ისეთი გეოპოლიტიკური „ვასალები", როგორებიც არიან საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, იაპონია, ტაივანი, სამხრეთ კორეა და ა. შ. მისი ტექნოლოგიური დონე გაცილებით დაბალი იქნებოდა.

სსრკ-ს ტექნოლოგიური ჩამორჩენა გარდაუვალი იყო. რუსები დღეს, ამ დარგში, სსრკ-ს წარუმატებლობის შედეგებს იმკიან — დღითი-დღე ძლიერდება რუსეთის მრეწველობისა და ეკონომიკის დამოკიდებულება დასავლეთელ პარტნიორებზე. ტექნოლოგიური განვითარების გარკვეული დონე კი აუცილებელია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც იღწვის, რათა ჰქონდეს გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაში და ფლობდეს ეფექტურ, კონკურენტუნარიან ეკონომიკურ სტრუქტურას. ხოლო თუ ვილაპარაკებთ რუსი ერის იმპერიულ პერსპექტივაზე, მაშინ მაღალი ტექნოლოგიური დონე მითუმეტეს აუცილებელია ყველა სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ფაქტორების უზრუნველსაყოფად. ჩნდება კითხვა: რომელი მიმართულებით წასვლისას შესძლებენ რუსები დაკარგულის აღდგენას და ტექნოლოგიური ჩამორჩენის გადალახვას?

არის სამი ჰიპოთეზური საშუალება. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთი უარს ამბობს დამოუკიდებლობის ყველა თავის გეოპოლიტიკურ პრეტენზიაზე, კაპიტულაციას აცხადებს ატლანტიზმის წინაშე და „ჯილდოდ" ამერიკელებისაგან იღებს რამდენადმე მოძველებულ „ახალ ტექნოლოგიას". ეს გზა ფაქტიურად რამდანჯერმე იყო მოსინჯული მესამე სამყაროს მიერ, რომლებმაც ამ გზით ეკონომიკურ, ფინანსურ და მრეწველობის სფეროში შესძლეს რამდენიმე ნაბიჯის წინ გადადგმა. აშშ, რუსეთთან დაკავშირებით, უფრო წინდახედული იქნება, რადგან რუსეთის გეოპოლიტიკური და ისტორიული მასშტაბი იმდენად დიდია, რომ მისი ეკონომიკისა და ტექნოლოგიის გამოსწორებამ შეიძლება რუსეთი კვლავ აშშ-ს „პოტენციურ მტრად" აქციოს. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, რომ რუსებისათვის „მაღალი ტექნოლოგიები" არ იქნება ხელმისაწვდომი, თუნდაც სრული კაპიტულაციისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სტრატეგიული ასპექტების ტოტალური დემონტაჟის დროსაც კი.

მეორე ვარიანტი (რომელიც „მცირე ნაციონალიზმის" მომხრეებისთვის არის დამახასიათებელი) მდგომარეობს იმაში, რომ შინაგანი რესურსების ძალისხმევით გამოსწორდეს ტექნოლოგიური მდგომარეობა სხვების დახმარების გარეშე. ეს გულისხმობს მთელი ერის უკიდურეს, თითქმის ტოტალურ მობილიზაციას და დასავლეთთან ურთიერთობების მკვეთრად გაფუჭებას. თუ ყველაფერი რუსეთის ფედერაციით ან რუსეთით შემოიფარგლება, ასეთი

მცდელობა მარცხს განიცდის, რადგან გაჩნდება იგივე პრობლემები, რომლებიც იყო სსრკ-ს დროს — რუსებს ერთდროულად მოუწევთ საკუთარი თავის დაცვა და ისეთი სფეროების განვითარება, როგორიცაა გამოკვლევები მაღალი ტექნოლოგიების დარგში. თუ ეს ვერ შეძლო სტაბილურმა და მკაცრად ორგანიზებულმა სსრკ-მ, მითუმეტეს ვერ შესძლებს ამას კრიზისული და დესტაბილიზებული რუსეთის ფედერაცია. ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში, საჭირო გახდება „ტოტალიტარიზმის" ელემენტების გამოიყენება, რაც აუცილებლად გამოიწვევს დიდ შინაგან პროტესტს. ასე, რომ არც ეს ვარიანტი არ გამოდგება.

მესამე, უკანასკნელი ვარიანტი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპისა და აზიის განვითარებული ქვეყნები (და არა აშშ) გაცვლიან მაღალ ტექნოლოგიებს სტრატეგიულ ალიანსსა და რუსეთის რესურსებთან დაშვებაში. ამ შემთხვევაში არის წარმატების ყველანაირი შანსი, ამასთანავე, ასეთი გზა დაიცავს რუსეთის დამოუკიდებლობას აშშ-სგან. ეს პროცესი დაუყოვნებლივ გამოიწვევს აშშ-ს გამძვინვარებას, მუქარას რუსეთის და, რაც მთავარია, „მოღალატე ვასალების" მიმართ, ასე, რომ ზოგიერთი ქვეყანა ამ ნაბიჯს გადადგამს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ძლიერება იქნება აშშ-ს ძლიერების თანაბარი და რუსეთის იდეოლოგია არ იქნება აშკარად იმპერიალისტური (ან კომუნისტური). გარდა ამისა, მაღალი ტექნოლოგიები გაიცვლება გერმანიის, იაპონიისა და სხვა განვითარებული ქვეყნებისთვის საჭირო იმ კომპონენტ-რესურსებზე, რასაც მთელ მსოფლიოში მკაცრად აკონტროლებს აშშ. სასარგებლო წიაღისეულს, ნედლეულს და ენერგიის წყაროებს დამატებულმა ძლიერმა სამხედრო-სტრატეგიულმა პროტექციამ შეიძლება დაიყოლიოს ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა რუსეთთან თანამშრომლობაზე და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მიღწევების რუსეთის ხელში გადასვლაზე.

პრობლემების გადაწყვეტის ეს მესამე გზა წარმოადგენს საერთო ევრაზიული პროექტის საუკეთესო ვარიანტს და წარმოადგენს მისი პრაქტიკული განხორციელების დაწვრილებით ფორმას. ფაქტიურად ეს ნიშნავს, რომ ბერლინი-მოსკოვი-ტოკიოს გეოპოლიტიკური ღერძის შექმნა მხოლოდ პოლიტიკურ-გეოგრაფიული გეგმა კი არ არის, არამედ რუსეთის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის საკითხის საუკეთესო გადაწყვეტაც.

## 7.2. რუსული რესურსები

რუსეთი არის სხვა ქვეყნებში რესურსების ბუნებრივი მიმწოდებელი. ამ საკითხს საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს და იგი რუსეთის გეოპოლიტიკური სტატუსისათვის გადამწყვეტი ფაქტორია. განვიხილოთ რესურსების ექსპორტის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და რესურსებით მომარაგების როლი მთლიანად.

რესურსები მსოფლიოში თანაბრად არ არის განაწილებული — ჩრდილოეთის ოთხი განვითარებული სექტორიდან ორს (აშშ და რუსეთი), აუცილებელი ავტარკიის დროს, ხელი მიუწვდება ამ რესურსებზე, ხოლო ორი კი (ევროპა და იაპონია) რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდის. გარდა ამისა, ორ, რესურსებით ღარიბ ზონაზე კონტროლი განისაზღვრება ორ დანარჩენ ზონასთან ურთიერთობით. აქ აღსანიშნავია ერთი თავისებურება — აშშ მისწრაფვის გააკონტროლოს კოლონიური ან ნახევრადკოლონიური ტერიტო-

რიების რესურსები და მათი მეშვეობით იქონიოს გავლენა განვითარებულ ქვეყნებზე. საკუთარ რესურსებს კი აშშ უფრთხილდება და ძალიან მომჭირნეობით ხარჯავს, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში აშშ-სთვის დიდი პრობლემა არ იქნება ამ სფეროში შექმნას საკუთარი სარესურსო ავტარკია კოლონიური სტრატეგიის გარეშე. რუსეთი კი ტრადიციულად მანიპულირებს საკუთარი რესურსების ექსპორტით. ამ ორი სახელმწიფოს ამ განსხვავებულ პოზიციებს აქვთ, როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეები. აშშ-ს ყოველთვის აქვს ხელშეუხებელი სტრატეგიული მარაგი, კოლონიური რესურსების ბაზები კი ყოველთვის შეიძლება გამოვიდეს კონტროლიდან. რუსეთი, თავისი მხრივ, უზრუნველყოფილია რესურსებით, რადგან იგი მის ტერიტორიაზე იმყოფება, მაგრამ ექსპორტის დროს რუსეთი ყოველთვის საკუთარ სტრატეგიულ მარაგს ხარჯავს.

ასეთი მდგომარეობა კონტინენტური ბლოკის შექმნის დროს შეიძლება რუსეთის სასიკეთოდ იქნას გამოყენებული. საწყის ეტაპზე რუსეთს შეუძლია შესთავაზოს თავის პოტენციურ პარტნიორებს (დასავლეთსა და აღმოსავლეთში) საკუთარი რესურსები აშშ-სთან ურთიერთობების გამწვავების საკომპენსაციოდ, რომელიც აუცილებლად მოჰყვება ევრაზიული პროექტის რეალიზაციის პირველ ეტაპებს. ეს შესაძლებელია იმიტომაც, რომ ევროპასა და იაპონიასთან შეიძლება დამყარდეს სახმელეთო კავშირი, ანუ კავშირი, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ატლანტიზმის მთავარ გეოპოლიტიკურ კოზირზე — საზღვაო და სანაპირო კონტროლზე. რა თქმა უნდა, ასეთი ექსპორტი არ იქნება ცალმხრივი დახმარება, რამეთუ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს საერთო გეოპოლიტიკური გეგმის მიხედვით, რომელიც გულისხმობს ევროპისა და იაპონიის აქტიურ ფინანსურ და ტექნოლოგიურ მონაწილეობას რუსეთის სტრატეგიული განვითარებისათვის, ამას გარდა, მისი პოლიტიკური და თავდაცვითი მიჯნების არსებით გაფართოებას აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

მომდევნო ეტაპზე რუსეთი უნდა შეეცადოს აფრიკიდან, ახლო აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონიდან აშშ-ს განდევნას. შემდეგ კი ხელახლა უნდა გადაანაწილოს რესურსებით მდიდარი ტერიტორიები ევრაზიელი პარტნიორებისა და თავის სასარგებლოდ. ეს არის ატლანტიზმის „ანაკონდის გეგმის“ (რომელიც გულისხმობს სამხრეთ ევრაზიის, აფრიკისა და წყნარი ოკეანის რეგიონების ტერიტორიებზე აშშ-ს მკაცრ კონტროლს) საწინააღმდეგო გეგმა. როდესაც მოხერხდება ატლანტიზმის „ანაკონდის“ ისევ ამერიკის კონტინენტზე დაბრუნება, ევრაზიის სამხრეთი გახდება უფრო განვითარებული ევრაზიული ჩრდილოეთის დამატება. არაბეთის ნავთობი, აფრიკის სასარგებლო წიაღისეული და წყნარი ოკეანის რეგიონების რესურსები მოხვდება ევრაზიული ბლოკის ქვეყნებში. ასეთ შემთხვევაში რუსეთი შესძლებს არა მარტო რესურსების შეგროვებას, არამედ სამხრეთის მიმართულებით მიიღებს ახალი მოქმედებების შესაძლებლობას. ევრაზიული ევროპა მიიწევს სამხრეთისაკენ, რათა გახდეს ევროაფრიკული, იაპონია კი წყნარ ოკეანეში დაამყარებს იმ „ახალ წესრიგს“, რომლის განხორციელებაც მას 30-იან წლებში სურდა. თავად რუსეთი კი იმ ტექნოლოგიური გამოცდილებით (რომელიც მას ან უკვე აქვს ან იძენს თავისი ტექნოლოგიურად განვითარებული პარტნიორების რესურსებით მომარაგების პერიოდში) შესძლებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს

შუა და აღმოსავლეთ აზიაში ახალი სასარგებლო წიაღისეულის ძიებაში და თანდათან დააკონსერვოს ის საბადოები, რომლებიც აუცილებელია საკუთარი სტრატეგიული მომავლის უზრუნველსაყოფად.

რესურსების საკითხთან დაკავშირებით „ანტი-ტრილატერალის" (ბერლინი-მოსკოვი-ტოკიოს ბლოკი) შექმნის გეგმა რეალურია, რადგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის გარდამავალი პერიოდი, რომელთაც მკაცრი ზეწოლა ექნებათ აშშ-საგან, შემსუბუქებული იქნება რუსეთის რესურსული შესაძლებლობებით. იგი მათ თავისი ექსპორტით შეუქმნის ყველა აუცილებელ პირობას პოლიტიკური და სტრატეგიული აღორძინებისათვის. ამის შემდეგ ეს დიდი სივრცეები შესძლებენ ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსიის გაძლიერებას ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რუსეთი ამ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შესძლებს საბადოების დასამუშავებლად ეფექტური ტექნოლოგიებით აღჭურვას და განვითარებული მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიური მოდელების შემოწმებას, რომელიც მოწოდებული იქნება ევროპული დასავლეთისა და იაპონიის მიერ. ეს ფაქტი, მომავალში მოვლენების განვითარების მიუხედავად, განსაკუთრებით გააძლიერებს რუსების სტრატეგიულ ავტარკიას.

რა თქმა უნდა, ამჟამად რუსეთის რესურსების პრობლემა არ წყდება რუსების სასარგებლოდ. დღეს იგი რესურსებს ყიდის დემპინგურ[13] ფასებში, ამასთან, ან უშუალოდ აშშ-ს, ან მისი შუამდგომლობით (ამერიკული მონოპოლიური კომპანიების ან ტრანსეროვნული კომპანიების საშუალებით, რომლებსაც ფარულად აკონტროლებენ ატლანტისტები) დასავლეთ ევროპის ფიქტიურ ფულსა და საქონელზე. ალტერნატივის სახით „ნაციონალისტები" აყენებენ განუხორციელებელ მოთხოვნილებებს — რესურსების ექსპორტის მთლიანად შეწყვეტას და მათი გადამუშავებისა და მოხმარების რუსეთისთვის დაკისრებას. ამ პროექტის განხორციელებას ეროვნული ძალების ისეთი დაძაბვა სჭირდება, რომელიც შეიძლება მოხდეს მხოლოდ პოლიტიკური დიქტატურის პირობებში, რომელიც დღესდღეობით წარმოუდგენელია. აქაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც მაღალი ტექნოლოგიის შემთხვევაში. მხოლოდ „მესამე გზა" — არც რესურსების ექსპორტი აშშ-ს სასარგებლოდ და არც მათზე საერთოდ უარის თქმა — შეიძლება იყოს დღევანდელი ვითარებიდან რეალური გამოსავალი.

და კვლავ ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკური აუცილებლობის — კონტინენტური ევრაზიული ბლოკის სასწრაფოდ შექმნაზე.

## თავი 8. „ახალი იმპერიის" ეკონომიკური ასპექტები

### 8.1. „მესამე გზის" ეკონომიკა

რუსეთში საჭიროა მრეწველობის გარდაქმნა. საბჭოთა სისტემა, რომელიც თავის დროზე ეფექტური და კონკურენტუნარიანი იყო, თანდათან ისეთი მოუქნელი გახდა, რომ მისი დანგრევა გარდაუვალი გახდა, ნანგრევებში კი, სამწუხაროდ, სოციალიზმის მრავალი ეფექტური და პოზიტიური ასპექტი მოყვა.

ეკონომიკის გარდაქმნის ლოგიკა რუსეთში დაფუძნებული იყო ეკონომიკისადმი დუალისტური მიდგომით. ერთი მხრივ არსებობდა მკაცრად ცენტრა-

ლიზებული სახელმწიფო სოციალიზმის არსებული მოდელი, „ტოტალური დირიჟიზმი", როდესაც სახელმწიფო ერეოდა წარმოებისა და განაწილების მცირე ნიუანსებშიც კი, ახშობდა ნებისმიერ კერძო ინიციატივას და გამორიცხავდა ყველა საბაზრო ელემენტს. ასეთი სტრუქტურული სიმკაცრე მთელ ეკონომიკურ სისტემას არა მარტო უზარმაზარსა და მოუქნელს ხდიდა (ამიტომ ვერ გაუძლო მან კაპიტალიზმთან კონკურენციას), არამედ ამახინჯებდა სოციალიზმის ძირითად პრინციპს, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკურ პროცესებში საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას. მარქსის ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში არის გაფრთხილება სოციალისტური სისტემის ასეთი გადაგვარების შესახებ, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც „გაუცხოება სოციალიზმის დროს".

ასეთი ცენტრალიზებული ეკონომიკის კრიტიკა ძალიან სწრაფად გადავიდა მოპირდაპირე — ლიბერალურ-კაპიტალისტური სისტემის, მისი „ბაზრის კანონების", „უხილავი ხელის", „თავისუფალი ვაჭრობის" და ა. შ. მხარეს. ლიბერალმა რეფორმატორებმა გადაწყვიტეს მაღალი ცენტრალიზმიდან (თუნდაც მხოლოდ თეორიულად) გადასულიყვნენ მაღალ ლიბერალიზმში. საბჭოთა სოციალიზმის ბოლო ეტაპზე მოწინააღმდეგე გეოპოლიტიკურ ბლოკებთან კონკურენცია მხოლოდ ასუსტებდა სახელმწიფო ავტარკიას, მაშინ, როდესაც საბაზრო რეფორმები იწვევს ამ ავტარკიის სრულ დაშლას და ამას სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა „ეროვნული ინტერესების ღალატი". რე-ფორმები აუცილებელია, მაგრამ დუალისტურმა ლოგიკამ — საბჭოთა სოცია-ლიზმი თუ კაპიტალისტური ლიბერალიზმი — თავიდანვე მცდარად დასვა საკითხი, რადგან კამათმა წმინდა ეროვნული ხასიათი მიიღო, რუსეთის გეოპოლიტიკური ავტარკიის მოსაზრებები კი უკანა პლანზე იქნა გადაყვანილი. „ჩიკაგო ბოიზის" პროგრამისა და ფონ ჰაიეკის თეორიული სტილის ლიბერალურმა გარდაქმნებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას. მაგრამ რესტავრაციული ეკონომიკური გარდაქმნებიც, რომელთაც „კონსერვატიული" ოპოზიცია მოითხოვდა, არ იყო უკეთესი. ორივე შემთხვევაში ეს არის პოლემიკა ორ უტოპიურ აბსტრაქტულ მოდელებს შორის, სადაც „რუსების ეროვნული ინტერესების" საკითხი სადღაც მეორე ან მესამე ადგილზე დგას.

ეს სავსებით ლოგიკური იყო, რადგან საბჭოთა ეკონომისტები, თავიანთი განათლების სპეციფიკის ძალით მიეჩვივნენ, რომ საქმე ჰქონოდათ მხოლოდ ორ ეკონომიკურ მოდელთან — დოგმატურ საბჭოთა სოციალიზმთან (რომელსაც ისინი ყოველთვის იცავდნენ) და ლიბერალურ კაპიტალიზმთან (რომელსაც ისინი ყოველთვის აკრიტიკებდნენ). ორივე ეს მოდელი იმ ფორმით, რომლითაც ისინი ისწავლებოდა და მუშავდებოდა, არასოდეს განეკუთვნებოდა ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა „ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესები", რადგან ეს თემა (თუმცა სხვა ფორმით) იყო სამხედრო და იდეოლოგიური სტრუქტურის პრიორიტეტი (განსაკუთრებით სახელმწიფო დაზვერვის სამმართველოსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისათვის). ეკონომიკაზე ძირითადი აქცენტის გადატანით გარდაქმნის ლიდერებმა წინ წამიწიეს „ეროვნული უსაფრთხოებისა და ძლიერების" საკითხი და, როგორც კი ეს მოხდა, ქვეყანა აღმოჩნდა მცდარად ფორმულირებული პრობლემის მახეში, რომლის ნებისმიერი გადაწყვეტილება ჩიხში ექცეოდა.

ზუსტად, რომ ვთქვათ, ხალხს უნდა ამოერჩია არა ლიბერალურ-კაპიტალიზმსა და საბჭოთა სოციალიზმს შორის, არამედ ლიბერალ-კაპიტალზმს, საბჭოთა სოციალიზმსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ დოქტრინას შორის შესაბამისი ბაზრისა და დაგეგმვის ელემენტები, ძირითად მოთხოვნაზე — ეროვნულ წინსვლასა და აღორძინებასთან ქვეყნის უსაფრთხოების დაქვემდებარებით („მესამე გზა"). ეკონომიკაში ეს „მესამე გზა" სულაც არ არის სხვადასხვაგვარი ელემენტების მქონე ორი ეკონომიკური მოდელის კომპრომისი და სინკრეტული[14] შეთანხმება, არამედ იგი არის დამთავრებული და დამოუკიდებელი დოქტრინა, რომელსაც გრძელი ისტორია და უამრავი მაგალითების რეალიზაციის პრაქტიკა აქვს. მაგრამ ეს „მესამე გზა" პრაქტიკულად არასოდეს იხსენიებოდა საზოგადოებრივ კამათში. ასეთი ვარიანტის სერიოზულ განხილვაზე უარის თქმის შედეგი სახეზეა: დანგრეული და დასუსტებული ქვეყანა, დაქცეული ეკონომიკა, რუსეთის მზარდი პარაზიტული დამოკიდებულება სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და საერთაშორისო ბანკთან, სამეურნეო და სამრეწველო კავშირების დარღვევა და ა. შ. დღესდღეობით არ არის არც სოციალიზმი, არც ბაზარი და არც არაფრის გამოსწორება შეიძლება მანამდე, სანამ რუსეთი იმოქმედებს იმ ლოგიკით, რომელიც აქამდე სჭარბობდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური საკითხების გადაჭრის დროს.

„მესამე გზის" ეკონომიკა არ ჰგავს არც შვეციისა და არც შვეიცარიის მოდელებს. არც შვეცია და არც შვეიცარია არ არიან სრულყოფილი გეოპოლიტიკური წარმონაქმნები და არ ფლობენ სერიოზულ სტრატეგიულ სუვერენიტეტს და, მაშასადამე, სახელმწიფო სამრეწველო და სამხედრო სექტორების ის უდიდესი ნაწილი, რომელიც აუცილებელია რეალური ავტარკიის უზრუნველსაყოფად, საერთოდ არ გააჩნიათ ამ ქვეყნებს. ამ ქვეყნებში გარკვეული კომპრომისი სოციალურად ორიენტირებულ საზოგადოებრივ სტრუქტურასა და საბანკო ეკონომიკას შორის, ნამდვილად მიღწეულია, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია განსაკუთრებული, ხელოვნური მოდელის შესახებ, რომელიც შეიძლებოდა შექმნილიყო ამ ქვეყნებში დეპოლიტიზაციისა და ევროპაში გეოპოლიტიკური ძალების განლაგების აქტიურ როლზე შეგნებული უარის ხარჯზე. რუსეთი თავისი მასშტაბების გამო ვერასოდეს გახდება ვერც „მეორე შვეცია" და ვერც „მეორე შვეიცარია", რადგან მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქტიურ როლს აკისრებს მას, ნეიტრალიტეტი ამ შემთხვევაში უბრალოდ შეუძლებელია, მაშასადამე, ასეთი მაგალითების გამოყენება უაზრობაა.

მეორე ილუზია (რომელიც დამახასიათებელია მათთვის, ვინც ინტუიციურად ეძებს რუსეთისათვის „მესამე გზის" მოდელებს) არის ჩინეთი და მისი რეფორმები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს შეცდომას, რომელიც გამოწვეულია ჩინეთში არსებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ ობიექტური ინფორმაციის უქონლობით. ჩინეთის ეკონომიკური გარდაქმნები მხოლოდ გარეგნულად ჰგავს „მესამე გზის" მოდელს. სინამდვილეში საუბარია საზოგადოების (რომელიც წააგავს საბჭოურს) წმინდა ლიბერალურ წყობად ტრანსფორმაციის შესახებ, მაგრამ პოლიტიკაში დემოკრატიული გარდასახვების გარეშე, ანუ იგულისხმება პოლიტიკურ სიტუაციაზე მმართველი ელიტის ტოტალიტარული კონტროლის შენარჩუნება. საუბარია იმის შესახებ, რომ კომუნისტური ნომენკლატურის პოლიტიკური ტოტალიტარიზმი თანდათან

გარდაიქმნება იმავე ნომენკლატურის ეკონომიკურ, მონოპოლიურ ტოტალიტარიზმად, ხოლო ეს ნომენკლატურა კი ამ დროს ცდილობს საწყისშივე ჩაახშოს ეკონომიკური კონკურენციის ყოველგვარი შესაძლებლობა. „გაუცხოებულთა საზოგადოების" ერთი მოდელი თანდათან გადადის „გაუცხოებულთა საზოგადოების" მეორე მოდელში, ხოლო პოლიტიკური ექსპლოატაცია შეუმჩნევლად გარდაიქმნება ერთი და იგივე სოციალური ჯგუფის ეკონომიკურ ექსპლოატაციად.

ასეთი სახის რეფორმები შემუშავებული იყო „სამმხრივი კომისიის" მიერ, რომლის წარმომადგენლები 80-იანი წლების დასაწყისში შეუთანხმდნენ ჩინეთის ნომენკლატურას ჩაერთოთ ჩინეთი მონდიალისტური ზონის გავლენის პერსპექტივაში, რომელიც მას მიანიჭებდა „რეგიონული სახელმწიფოს" სტატუსს. ატლანტისტების ეს ქმედება განპირობებული იყო არა მარტო სსრკ-ს წინააღმდეგ „ცივი ომით", არამედ შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ტრადიციული კონკურენტის დახმარებისა და მისი ეკონომიკური ექსპანსიის შეზღუდვის სურვილით.

ეკონომიკის ჭეშმარიტმა „მესამე გზამ" თავისი კლასიკური განხორციელება ჰპოვა ფრიდრიჰ ლისტის[15] შრომებში, სადაც ჩამოყალიბებულია „დიდი სივრცეების ეკონომიური ავტარკიის" პრინციპები. ეს თეორია გამომდინარეობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში უთანასწორო ეკონომიკური განვითარების ფაქტიდან და შედარებით „მდიდარი" ქვეყნების მიერ შედარებით ღარიბი ქვეყნების ეკონომიური კოლონიზაციის ლოგიკური შედეგებიდან, ამასთან ასეთ პირობებში „თავისუფალი ვაჭრობა" „მდიდრებისთვის" ხელსაყრელია, „ღარიბებისთვის" კი პირიქით — წამგებიანი. აქედან ფრიდრიჰ ლისტმა გააკეთა დასკვნა, რომ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ეროვნული და სახელმწიფო დამოუკიდებლობის, აგრეთვე, სტრატეგიული ძლიერების მისაღწევად საჭიროა გამოყენებულ იქნას პროტექციონიზმი, დირიჟიზმი და საბაჟო შეზღუდვები, აგრეთვე, საერთაშორისო დონეზე, „თავისუფალი ვაჭრობის" პრინციპის შეზღუდვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლისტისთვის ცხადი იყო, რომ ეკონომიკა უნდა ექვემდებარებოდეს ეროვნულ ინტერესებს და ყველანაირი აპელაცია „ბაზრის ავტონომიური ლოგიკის" მიმართ არის მხოლოდ მდიდარი ქვეყნების მიერ უფრო ღარიბი ქვეყნების საზარალოდ ეკონომიკური (მისი შედეგით კი პოლიტიკური) ექსპანსიისა და საბოლოო დამონების საფარი. საქმისადმი ასეთი მიდგომა მაშინვე ავლებს მკაფიო საზღვრებს თუ რომელში უნდა იმოქმედოს „ბაზრის" და რომელში „სოციალიზმის" პრინციპებმა. საინტერესოა, რომ რატენაუ, გერმანული „ეკონომიკური საოცრების" ავტორი, ვიტე, ლენინი და კეისიც კი თავიანთ ეკონომიკურ პრინციპებს ფრიდრიჰ ლისტის დოქტრინის მიხედვით აყალიბებდნენ, თუმცა ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა წმინდა კაპიტალისტურ. და კომუნისტურ ლექსიკასთან მიახლოებული ენა.

ეკონომიკური იერარქია, რომელიც ლისტის მიერ არის დაწყობილი, შეიძლება მივამსგავსოთ უბრალო ფორმულას: სამეურნეო ცხოვრების იმ ასპექტებმა, რომლებიც მაშტაბურად შეჯერებულია კერძო პირის, ინდივიდუუმის, ინტერესებთან თავი უნდა გაართვან საბაზრო პრინციპებს და ამასთან უნდა ეფუძნებოდნენ „კერძო საკუთრებას". საუბარი ეხება საცხოვრებელ ადგილს, მცირე წარმოებას, მცირე მიწის მფლობელობას და ა. შ. რამდენადაც

იზრდება ამა თუ იმ სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელობა, წარმოების ფორმამ უნდა მიიღოს კოლექტიური მფლობელობის თვისებები, რადგან ამ შემთხვევაში „კერძო საკუთრება" და ინდივიდუალური ფაქტორი შეიძლება დაუპირისპირდეს კოლექტიურ ინტერესებს. აქ უნდა მოქმედებდეს „კოოპერაციული" და „კორპორაციული" კრიტერიუმი და, საბოლოოდ, ეკონომიკურ სფეროებს, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან სახელმწიფოსა და მის სტრატეგიულ სტატუსთან, უნდა აკონტროლებდნენ და განაგებდნენ სახელმწიფო ინსტიტუტები, რადგან საქმე ეხება უფრო მაღალი დონის ინტერესებს, ვიდრე „კერძო საკუთრება" და „კოლექტიური სარგებლობაა". ასე, რომ ასეთი ეკონომიკური წყობილების დროს არც ელიტა, არც ბაზარი და არც კოლექტივი არ განსაზღვრავს საზოგადოების სამეურნეო, სამრეწველო და ფინანსურ მხარეს, იგი ყალიბდება კონკრეტული სახელმწიფოს კონკრეტული ინტერესების საფუძველზე კონკრეტულ ისტორიულ პირობებში და, შესაბამისად, ამ მოდელში არ შეიძლება არსებობდეს არანაირი დოგმატიკა, მხოლოდ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური სტატუსის შეცვლითა და ისტორიული და ეროვნული პირობების ძალით სამეურნეო იერარქიის ამ სამ საფეხურს შორის მოცულობის პროპორციები შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს. მაგალითად, მშვიდობიან დროს კერძო სექტორი კოლექტიურ სექტორთან ერთად შეიძლება გაიზარდოს, სახელმწიფო კი შემცირდეს და პირიქით, ეროვნული ისტორიის რთულ პერიოდებში სახელმწიფო სექტორის უფლებამოსილება იზრდება ზოგიერთი კოლექტიური მეურნეობის ხარჯზე.

ძალიან საინტერესოა, რომ სწორედ ფრიდრიჰ ლისტის მოდელები იყო გამოყენებული ისტორიულად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიერ კრიზისულ მომენტებში. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, „თავისუფალი ვაჭრობის" პრინციპის რადიკალური დამცველები, „ეკონომიკური დეპრესიის" დროს პერიოდულად იყენებდნენ სამრეწველო სექტორში პროტექციონისტულ ზომებსა და სახელმწიფო სუბსიდიებს. სწორედ ასეთი პერიოდები იყო New Deal-ის რეალიზაციის ეტაპი, როდესაც ამერიკელებმა თითქმის ლისტის პრინციპი შექმნეს კეინსის ვარიანტის გამოყენებით, რომელიც „ეკონომიკური ინსულაციის" თეორიის ავტორია, რაც, საბოლოოდ, სხვა არაფერია თუ არა თეორიის — „დიდი სივრცეების ეკონომიკური ავტარკია" — ახალი სახელწოდება. სხვათაშორის თავად ლისტი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა აშშ-ში და აკვირდებოდა კაპიტალისტური მშენებლობის პროცესის პირველ ეტაპებს. ამ დაკვირვების საფუძველზე გერმანიისთვის მან ჩამოაყალიბა თავისი თეორიის ძირითადი პრინციპები. მაგრამ, რა თქმა უნდა უფრო გრანდიოზული შედეგები ჰქონდა ლისტის მიერ ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის დოქტრინის რეალიზაციას, რომლის იდეებიც ცხოვრებაში მთლიანად და ყოველგვარი ლიბერალური თუ მარქსისტული შესწორებების გარეშე განხორციელდნენ.

„მესამე გზის" ეკონომიკის დოქტრინას აქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი — ფინანსური და საწარმოო ფაქტორების თანაფარდობა. როგორც ჩანს ადრეულმა კაპიტალიზმმა და საბჭოთა სოციალიზმმა ძირითადი აქცენტი გააკეთეს წარმოების განვითარებაზე, ფინანსურ სისტემას კი მეორეხარისხოვანი როლი დააკისრეს. განვითარებული კაპიტალიზმი კი პირიქით, მიილტვის

ფინანსური კაპიტალიზმის გაძლიერებისაკენ, წარმოების სისტემა კი მეორეხარისხოვანი მომენტი ხდება. „შრომის“ პრინციპის დომინაცია აღრე თუ გვიან პოლიტიკურ ძალმომრეობისაკენ მიდის, „კაპიტალიზმის“ დომინაცია კი — ეკონომიური ძალმომრეობისკენ. პირველ შემთხვევაში შრომა ავტონომიზირდება და შორდება კონკრეტულ ფასეულობებს, მეორე შემთხვევაში კი, ფულის ავტონომიზირებისას, ასევე წყდება კავშირი ფასეულობებთან და ყალიბდება კრედიტულ-პროცენტულ ფიქციად. „მესამე გზა“ მოითხოვს შრომისა და ფასეულობების (მაგალითად ოქროს მარაგების, უფრო ზოგადად კი რესურსების) მტკიცე კავშირს და მოხმარების სფეროს, საქონელბრუნვისათვის მეორეხარისხოვანი, წმინდა ინსტრუმენტული როლის მინიჭებას. ამ შემთხვევაში შრომისა და ფასეულობების ასეთი შეთანხმებები ნაკარნახევია ისეთივე „ეროვნული ძლიერებისა“ და სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველყოფის მოსაზრებით, როგორიც არის ამ ეკონომიკური დოქტრინის მთელი სტრუქტურა. ამ იდეის მარტივად გამოხატვა შეიძლება ფორმულით — „არც ფუფუნება არც სიღატაკე“, „გონივრული მინიმუმით დაკმაყოფილება“. ეს ნიშნავს შრომისადმი უფრო მოქნილ და თავისუფალ მიდგომას, ვიდრე საბჭოთა სოციალიზმის დროს იყო, მაგრამ პირადი გამდიდრების შესაძლებლობების უფრო დიდ შეზღუდვას, ვიდრე ეს კაპიტალიზმის დროს არის. ასეთი მოდელი ერს საშუალებას აძლევს, რომ სტრატეგიულ სფეროებში არ იყოს დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებზე და ეკონომიკურ სისტემებზე, მაგრამ ამავე დროს სპობს იძულებითი ხასიათის მუშაობის პროცესს და აკავშირებს მას მატერიალურ ექვივალენტთან.

„მესამე გზის“ ეკონომიკის სწორედ ასეთი ვარიანტი წარმოადგენს ერთადერთი ალტერნატივას ახლანდელ რუსეთში, რომელიც ერთდროულად უპირისპირდება აღვირახსნილ ლიბერალიზმსა და იმ ნეოკომუნისტების რესტავრაციონისტულ პროექტებს, რომელთაც არ სურთ მოძველებული და უშედეგო დოგმების საფუძვლიანი შესწორება. რომ არა ჰიტლერის რეჟიმთან უეცრად წარმოქმნილი ასოციაცია, ამ პროექტისთვის შეიძლება „ნაციონალური ტიპის სოციალიზმი“ გვეწოდებინა. ლისტის თეორიის (განვითარებული ისეთი ცნობილი კომუნისტების მიერ, როგორებიც არიან სისმონდი[16], შუმპეტერი[17], დიუმონი[18] და ა. შ.) წინ წამოწევა რუსეთისთვის (მისი ამჟამინდელი ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით) დიდი მიღწევა იქნებოდა, რადგან აქ შეიძლება ყველაზე საჭირბოროტო კითხვებზე პასუხის პოვნა და ერთი ხელის მოსმით გამოუვალი დუალიზმის — „რეფორმატორების და ანტირეფორმატორების“ — მოსპობა. უფრო მეტიც, ლიბერალური გარდაქმნებისა და ჯერ კიდევ სოციალიზმისგან შემორჩენილი სტრუქტურების პოზიტიური მხარეები შეიძლება შესანიშნავად ჩაერთოს ამ ეკონომიკურ პროექტში. მაგრამ ეს ყველაფერი დადებით შედეგს მოგვცემს მხოლოდ შეგნებულად და თეორიულად კარგად დამუშავებული დოქტრინის და არა პრაგმატული სვლების სახით, რომლებიც შემთხვევიდან შემთხვევამდე სრულდება. „მესამე გზის“ ეკონომიკას უნდა ჰქონდეს საკუთარი ერთმნიშვნელობიანი პოლიტიკური ლოზუნგი, რომელიც დაუპირისპირდება „ლიბერალური“ თუ „კომუნისტური“ პარტიების ლოზუნგებს. მომავალში ყოველგვარი ინერციული ცენტრიზმი, პრაგმატიზმი და კომპრომისი უეჭველად განწირული იქნება დამარცხებისთვის.

ფრიდრიპ ლისტი და მისი იდეები უნდა გახდეს ისეთივე სიმბოლო, როგორიც არის ადამ სმიტი და კარლ მარქსი. „მესამე გზა" საჭიროებს ამ იდეოლოგიური დოგმის ისეთ მატარებლებს, რომლებიც მომზადებით, რწმენითა და ინფორმირებულობით შეედრება ლიბერალებსა და კომუნისტებს. „მესამე გზის" ეკონომიკის პრინციპები ისეთივე მკაცრი და ცალმხრივია, როგორიც დანარჩენი ორი იდეოლოგიის პრინციპები. მათგან ბუნებრივი და განსაზღვრული გზით შეიძლება ყველა აუცილებელი მეორადი შედეგისა და დანართის გამოტანა.

„მესამე გზის" ეკონომიკური ტენდენცია, „დიდი სივრცეების ავტარკიის" პრინციპი, გულისხმობს იმ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მაქსიმალურ მოცულობას, სადაც გამოყენებული იქნება ეს მოდელი. ლისტი მიიჩნევდა, რომ ეს თეორია ვერ განხორციელდება იმ სახელმწიფოში, სადაც არ არის საკმარისი დემოგრაფიული, სარესურსო და ინდუსტრიული მოცულობები, რადგან ასეთ შემთხვევაში ავტარკია უბრალო ფიქცია იქნება. ამ მოსაზრებით მან წამოაყენა „საბაჟო ინტეგრაციის" („Zollverein") მოთხოვნა, რომლის დანიშნულება იყო გერმანიის, პრუსიისა და ავსტრიის გაერთიანება ერთიან სამრეწველო-ფინანსურ ბლოკად, რადგან მხოლოდ ასეთი სივრცის შემთხვევაში შეიძლებოდა ლაპარაკი ეფექტური კონკურენციის თამაზე იმდროინდელ განვითარებულ სახელმწიფოებთან — ინგლისსა და საფრანგეთთან.

ამჟამად სუვერენული სახელმწიფოს ეტალონია აშშ, აგრეთვე, ის პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცე, რომელიც შედის მონროს დოქტრინის შემადგენლობაში — ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტური ერთობლიობა, რომელსაც აშშ აკონტროლებს. როგორც ჩანს, ასეთ ტრანსატლანტიკურ „დიდ სივრცეს" სრულფასოვანი კონკურენცია, დღესდღეობით, შეუძლია გაუწიოს მხოლოდ ევრაზიის კონტინენტურმა ანალოგიამ. „მესამე გზის" ეკონომიკა კი თავის თეორიაში გვთავაზობს ისეთ გეოპოლიტიკურ ინტეგრაციას, სადაც სუბიექტია არა „ერი-სახელმწიფო", არამედ თანამედროვე იმპერიის ანალოგი. წინაალმდეგ შემთხვევაში მოხდება ან ერის ძალების ზედმეტი დაძაბვა (სსრკ-ს დაშლის მიზეზი) ან უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი მეზობლის (ევროპა, იაპონია და ა. შ.) გავლენის ქვეშ მოხვედრა. ასეთი მოსაზრება გვიჩვენებს, რომ ამ თეორიის მიუხედავად მისი რეალიზაციის წარმატება დამოკიდებულია საერთო გეოპოლიტიკურ პროცესზე. ეკონომიკის „მესამე გზას" მაქსიმალური შედეგები მხოლოდ ასეთი მასშტაბისა და მოცულობის დროს ექნება. ამას გარდა ასეთი გეოპოლიტიკური მოდელის ამოქმედება კონტინენტური ბლოკის ყველა პოტენციური მონაწილისათვის საუკეთესო თეორიული მნიშვნელი გახდება. რადგან თვით ლიბერალი მეცნირებიც კი (მაგ.: მიშელ ალბერი წიგნში „კაპიტალიზმი, კაპიტალიზმის. წინაალმდეგ") ხაზს უსვამენ „რეინულ-ნიპონური" („მესამე გზის" ეკონომიკის მრავალი თვისების მქონე) მოდელის ანგლოსაქსურთან შედარებით უდიდეს უპირატესობას. თუ ამ გზას დაადგება რუსეთი, ევრაზიული ჯაჭვი ბუნებრივად ჩაიკეტება. ამ შემთხვევაში უნდა იქნას წამოყენებული „Zollvevein"-ის ახალი ვერსია, რომელიც შეესაბამება ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ პირობებს, კერძოდ, „ევრაზიული საბაჟო ინტეგრაციის" პროექტი, რომელსაც ატლანტიკური ბლოკისთვის სერიოზული კონკურენციის გაწევა და ევრაზიის ხალხებისათვის კეთილდღეობის მოტანა შეუძლია.

## 8.2. ეკონომიკური რეგიონალიზმი

საბჭოთა ეკონომიკის საფუძველში ჩადებული იყო ცენტრალიზმის პრინციპი. უმაღლესი ინსტანცია, რომელიც იღებდა მნიშვნელოვან, შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან და, საერთოდ, უმნიშვნელო გადაწყვეტილებებს, არსებობდა მოსკოვში, საიდანაც მოდიოდა ინსტრუქციები და დირექტივები. ასეთი ცენტრალიზმი ეკონომიკას მოუქნელს ხდიდა, ხელს არ უწყობდა რეგიონული ინიციატივის განვითარებას, ამუხრუჭებდა ეკონომიკური პოტენციალის ბუნებრივ ზრდას. გარდა ამისა საბჭოთა ეკონომიკა ყველგან ქმნიდა საწარმოო-ფინანსური ურთიერთობების სტანდარტული ნიმუშების რეპროდუქციას, არ ითვალისწინებდა, არც რეგიონულად, არც ეთნიკურად და არც კულტურულად სხვადასხვა მხარეებისა და გარემოს თავისებურებებს. ასეთი უხეში სისტემა ერთ-ერთი მიზეზი იყო ჩამორჩენისა და ეკონომიკური კრახისა.

ლიბერალებმა, რომლებმაც კომუნისტები შეცვალეს, თავიანთი თეორიული პროექტების მიუხედავად, დატოვეს საქმეთა ძველი მდგომარეობა, მხოლოდ ცენტრალიზმი, გეგმიურის ნაცვლად, საბაზრო გახდა. დღეს, როგორც ადრე, ძირითადი ეკონომიკური გადაწყვეტილებები ხორციელდება ცენტრალიზებულად და მთავარი ეკონომიკური მიმართულებები განისაზღვრება მოსკოვში, სადაც ლიბერალური მთავრობა მკაცრად აკონტროლებს რეგიონებში რეფორმების სვლას. აბსტრაქტული რეპროდუქცირების ერთი ფორმა შეიცვალა სხვა ფორმით, მაგრამ ეკონომიკურ სტრუქტურაში ცენტრალიზმის პრინციპი უცვლელი დარჩა. საბაზრო გარდაქმნის ჩავარდნა სწორედ ისეთი ინერციული ცენტრალიზმით შეიძლება აიხსნას, როდესაც მოსკოველი ჩინოვნიკები იღწვიან, მკაცრად აკონტროლონ რეგიონების ეკონომიკური განვითარება.

ასეთი მდგომარეობის სწორ შეფასებასა და რუსეთის ეკონომიკური ვითარების ყველაზე განვითარებულ ეკონომიკურ სისტემებთან შედარებას (პირველ რიგში რეინულ-ნიპონურ ტიპთან) იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ასეთი ეკონომიკური მიდგომა აუცილებლად უნდა შეიცვალოს ისეთი სამეურნეო მოდელით, რომელიც აგებულია რეგიონულ და ლოკალურ საფუძველზე. სსრკ-ს ყველა რეგიონის სამეურნეო კავშირი ხელოვნურად იყო შექმნილი. ეს კავშირი, რომელიც უფრო მეტად დამყარებული იყო მწყობრ ვოლუნტარისტულ მეთოდებზე, ვიდრე მაქსიმალურად ეფექტურ პრინციპებზე, ხშირად აფერხებდა რეგიონული ეკონომიკის ავტონომიურ განვითარებას. საერთო ქსელის გაწყვეტითა და მთავრობაში ლიბერალების მოსვლით მრეწველობის მრავალი სექტორი თავიანთ ნებაზე იქნა მიშვებული და დეგრადაციისა და გადაშენებისთვის გაიწირა, მთელი აქცენტი კი გადატანილ იქნა რესურსების მომპოვებელი დარგების განვითარებაზე. დასავლეთის საქონელი კი, რომელიც მიიღეს მოსკოველმა ლიბერალებმა მონოპოლიური ფსევდობაზრული სტრუქტურებისაგან, კვლავ ცენტრალიზებული წესით განაწილდა სხვადასხვა რეგიონში. ასე რომ რეგიონულმა ეკონომიკამ კვლავ იზარალა, ხოლო ცენტრზე მისი დამოკიდებულება, კომუნისტების წასვლის შემდეგ, კიდევ უფრო გაიზარდა.

„ეკონომიკის მესამე გზის" გეგმების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს სულ სხვა მეთოდებს. ცენტრალიზმი აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს სტრატეგიული და პოლიტიკური და არავითარ შემთხვევაში ეკონომიკური,

რადგან მაქსიმალურ ეკონომიკურ ეფექტს იმპერია მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც ყველა მის შემადგენელ ნაწილს ექნება ეკონომიკური ავტონომია და უფრო თავისუფლად და ბუნებრივად განვითარდება. კონტინენტური პროექტის მსგავსად, მისი ყოველი ნაწილი უნდა იღწვოდეს, რომ მაქსიმალურად დამოუკიდებელი იყოს. ამგვარად, რუსეთის ფარგლებში უნდა შეიქმნას უკიდურესად მოქნილი რეგიონული ეკონომიკა, არა ცენტრის ინტერესებისა და გეგმის მოთხოვნილებების, არამედ იმ ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარების გათვალისწინებით, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება ამ რეგიონს. რა თქმა უნდა ეკონომიკის სტრატეგიული ასპექტები (რესურსები, სტრატეგიული ნედლეული, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი) ცენტრალური ხელისუფლების ხელში უნდა იყოს, მაგრამ მრეწველობის სხვა დარგებში, აგრეთვე, დაფინანსების საკითხებში, მხარეებს უნდა მიეცეთ თავისუფლების მაქსიმუმი.

კონკრეტული რეგიონების კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, გეოგრაფიული, კლიმატური და ა. შ. თავისებურებებიდან გამომდინარე, საჭიროა განისაზღვროს არა მხოლოდ ეკონომიკური ან სამრეწველო ორიენტაცია, არამედ ეკონომიკური მოწყობის წესი. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმპერიის ტერიტორიაზე შეიძლება ჩამოყალიბდეს განსხვავებული ეკონომიკური წყობის მქონე რეგიონები, დაწყებული მაქსიმალური საბაზრო ეკონომიკიდან, დამთავრებული თითქმის კომუნისტური ეკონომიკური წყობით. საბანკო სისტემის უარმყოფელმა ხალხებმა (მაჰმადიანებმა), უნდა შექმნან ისეთ საკუთარი საფინანსო მოდელები, რომლებიც გამორიცხავენ მრეწველობის პროცენტულ დაფინანსებას, მაშინ როდესაც სხვა რეგიონებში პირიქით, შეიძლება განვითარდეს და აყვავდეს საბანკო სისტემა. ამ პროექტში ყველაზე მთავარია ისეთი ურთიერთობის სისტემის შექმნა, როდესაც ყოველ რეგიონს ან მხარეს შეეძლება დამოუკიდებლად დააკმაყოფილოს საკუთარი მოსახლეობის ყველაზე არსებითი მოთხოვნილება, პირველ რიგში, საცხოვრებელით, საკვებით, ტანსაცმლითა და ჯანმრთელობის დაცვით. ამასთან, თავდაპირველად აუცილებელი საგნებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სწორედ რეგიონული ავტონომიის პირობებში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ცხოვრების დონის ამაღლების, ტექნოლოგიების სრულყოფის, ტექნიკური და სამრეწველო განვითარებისაკენ მიმართული პროექტების განხორციელება. ყოველი რეგიონი უნდა ფლობდეს თვითუზრუნველყოფის ძლიერ და მოქნილ სისტემას მომარაგებაში, რათა საერთაშორისო მდგომარეობის ან ცენტრში არსებული ეკონომიკური ვითარების შესაძლო კრიზისის დროს რეგიონს ჰქონდეს მთელი მოსახლეობისათვის სამყოფი მინიმუმი.

ეკონომიკის სტრატეგიული, გლობალური ასპექტი განხილულ უნდა იქნას იმ რეგიონული სტრუქტურებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც მოსახლეობის თვითუზრუნველყოფისათვის მუშაობენ. მოსახლეობის მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ რეგიონში ამა თუ იმ სტრატეგიული დარგის პრიორიტეტულ განვითარებაზე. სხვაგვარად, რომ ვთქვათ დაცული უნდა იქნას შემდეგი პრინციპი — „აუცილებელი საცხოვრებელი მინიმუმი უნდა არსებობდეს ყოველთვის და ყველაფრის მიუხედავად“, ხოლო ამა თუ იმ სტრატეგიულ გლობალურ დარგზე რეგიონის ძალების კონცენტრაცია შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ იმ დამოუკიდებელი

სამეურნეო სტრუქტურების შენარჩუნებაზე კონტროლის პირობებში, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელია ამ დარგისაგან. ამ შემთხვევაში ამა თუ იმ წარმოების პროფილის შეცვლა, უარის თქმა მოძველებულ წარმოებაზე, საწარმოთა ტერიტორიული გადაადგილება ან პრიორიტეტის მინიჭება ხელსაყრელი იმპორტისათვის, ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს რეგიონის ცხოვრების საერთო დონეზე, რომელიც თავიდანვე გარანტირებული იქნება.

ცენტრის კომპეტენციაში დარჩება მხოლოდ სტრატეგიული წარმოება და დაგეგმვა, რომელიც მიიღებს არა დამოუკიდებელი ეკონომიკური მიმართულების სახეს, არამედ იგი იქნება უკვე არსებულ ავტონომიურ სამეურნეო ქსელზე გარკვეული გლობალური სუპერსტრუქტურის ზედნაშენი, თანაც ამ ორმა სფერომ გავლენა არ უნდა მოახდინოს ერთმანეთზე. საცხოვრებლის მიღება, სოციალური უზრუნველყოფა ან საკვები პროდუქტებით მომარაგება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული ამ მხარეში განლაგებული სამრეწველო ან სტრატეგიულ საწარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე (როგორც ეს ამჟამად არის). საჭიროა მიღწეული იქნას ცალკეული რეგიონების ისეთი სამეურნეო დამოუკიდებლობა (ყველაზე მცირეთა ჩათვლით), რომ ყველაზე მთავარი ეკონომიკური პრობლემები გადაწყდეს მოსახლეობის სტრატეგიულ წარმოებაში მონაწილეობისაგან მოუწყვეტლად. ეს პრინციპი უნდა გაბატონდეს სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში, იგი აუცილებლად იარსებებს სახელმწიფოებრივ დონეზე, თუნდაც ყველაზე ფართო ეკონომიკური თავისუფლების პირობებში.

რეგიონალიზმი გადატანილი უნდა იქნას ფინანსურ სისტემაზეც. მაგალითისათვის უნდა ავიღოთ გერმანიის რეგიონული და მხარეების ბანკების გამოცდილება, სადაც ხშირად, ერთი ან რამდენიმე სოფლით შემოფარგლული მცირე ფინანსური სტრუქტურები მეურნეობის განვითარებაში ეფექტიანობის სასწაულს აჩვენებენ, ვინაიდან ასეთ პატარა სივრცეზე უაღრესად გაადვილებულია სესხებზე კონტროლი (რის გამოც ზედმეტია სახაზინო მომსახურეობა), ხოლო სესხების მოცულობა, მათი დაბრუნების პროცენტები და ვადები განისაზღვრება კონკრეტული, ბუნებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე და წარმოადგენს არა რაოდენობრივ, აბსტრაქტულ-მექანიკურ, არამედ ცხოვრებისეულ, ეთიკურ სამეურნეო ელემენტს. ზოგადად კი, რეგიონულმა საფინანსო სისტემამ, ეთნოკულტურული და გეოგრაფიული პეიზაჟის ლოგიკასთან შეგუების პირობებში შეიძლება მიიღოს ძალზე ორიგინალური ფორმა. ამასთან, აუცილებელია კაპიტალის ცენტრალიზაციის თავიდან აცილება, იგი მაქსიმალურად უნდა გადანაწილდეს ავტონომიურ რეგიონულ საფინანსო სტრუქტურებში, რათა მოემსახუროს მეურნეობას (და არა პირიქით, როდესაც მეურნეობა აღმოჩნდება ხოლმე მასზე დამოკიდებული).

შესაძლებელია ორი პარალელური საფინანსო სისტემის, ორი „ვალუტის" შემოღება: პირველი განკუთვნილი იქნება საერთოიმპერიული სფეროს სტრატეგიული მოწყობისათვის, ხოლო მეორე რეგიონული საჭიროებისათვის. პირველ შემთხვევაში ადგილი ექნება ზუსტ სახელმწიფო დაგეგმვას, რომელიც დაეფუძნება ფინანსირებისა და წარმოების სპეციფიკურ პრინციპებს. მეორე შემთხვევაში კი — რეგიონულ ბაზარს და რეგიონულ საფინანსო ფონდს. ეს იქნება სახელმწიფო და სამხარეო კაპიტალი. კერძო საკუთრება უნდა წარმოა-

დგენდეს სწორედ სამხარეო, რეგიონული კაპიტალის საფუძველს, მაშინ როდესაც სახელმწიფო კაპიტალს, პრინციპში, კერძო საკუთრებასთან არანაირი საერთო შესების წერტილი არ უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაივლება ზუსტი ზღვარი სახელმწიფოებრივს, საზოგადოებრივსა და კერძოს შორის. მაშასადამე, იმპერიის შიდა სტრუქტურისა და ავტარკიის მდგრადობა და მოქნილობა მაქსიმალური იქნება.

ზოგადად, ეკონომიკამ უნდა იხელმძღვანელოს უმთავრესი პრინციპით — ზღვრულ სტრატეგიულ ცენტრალიზმს პლუს ზღვრული რეგიონული პლურალიზმი და „ლიბერალიზმი".

## თავი 9. დასკვნა

ჩვენს მიერ, კონტინენტური პროექტის ძალზე ზოგად ფორმებში და რუსეთისა და რუსი ხალხისთვის ევრაზიული გეოპოლიტიკის ყველაზე გლობალური და ღერძული მომენტების გამოყოფის გამოსახვისათვის წამოწყებული მცდელობა, რა თქმა უნდა საფუძვლიან განვითარებას საჭიროებს. ეს მოითხოვს კოლოსალური სამუშაოების ჩატარებას, აღნიშნული თემის სხვადასხვა მომენტებისა და ასპექტების დაზუსტებას, არგუმენტაციასა და წარმოჩენას. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო წარმოგვედგინა რუსი ხალხის გეოპოლიტიკური მომავლის იმ ერთადერთი მოდელის ყველაზე მიახლოებული ვარიანტი, რომელიც წინაწარ ჩამოყალიბებულ, გამოუვალ მდგომარეობაზე გვერდის ავლით, შესძლებს მსოფლიო და ცივილიზაციურ დონეზე მის გამოყვანას. იმ დონეზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება მის მისიასთან და დააკმაყოფილებს მის ეროვნულ, სულიერ და რელიგიურ მოთხოვნილებებს. ბევრი რამ ამ პროექტში შეიძლება სიახლედ, უჩვეულოდ და დაუჯერებლადაც კი მოგვეჩვენოს. ერის მომავლის უმნიშვნელოვანესი ასპექტების განხილვის აუცილებლობამ გვაიძულა მოვრიდებოდით ახსნა-განმარტებებს, შესაძლო კრიტიკის გაჭარწყლებას, გრძელ ციტატებს, არ მოგვიყვანია სახელები და ციფრები. ყველაფერი ეს მხოლოდ აუცილობლობის შემთხვევაში იქნება გაკეთებული. ჯერჯერობით კი ყველაზე მნიშვნელოვანია ვუჩვენოთ იმ „მესამე გზის" ზოგადი კონტურები, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს დიადი რუსი ხალხი და რუსული სახელმწიფო, დაცემიდან და უძირო ქაოსიდან, რუსული ცის მოელვარე სიმაღლეებამდე.

# ნაწილი V. რუსეთის შიდა გეოპოლიტიკა

## თავი 1. საგანი და მეთოდი

### 1.1. რუსეთის შიდა გეოპოლიტიკა დამოკიდებულია მის მსოფლიო ფუნქციაზე

რუსეთის შიდა გეოპოლიტიკური პრობლემების ანალიზი არ შეიძლება განხორციელდეს გეოპოლიტიკურ ანსამბლში რუსეთის გლობალური ადგილის გათვალისწინების გარეშე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში მუდმივად გვექნება რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა შესაძლებელი გახდება სწორად და დასაბუთებულად განვიხილოთ და აღვწეროთ მისი შიდა გეოპოლიტიკური აგებულება.

„შიდა გეოპოლიტიკის" ევროპული სკოლისაგან (ივ ლაკოსტა და ა. შ.) განსხვავებით, რომელიც ცალკე გამოჰყოფს ადგილობრივ და რეგიონულ პრობლემებს და არ ითვალისწინებს ძალთა დაპირისპირებას მსოფლიო მასშტაბში. რუსეთის საკითხის განხილვა არ შეიძლება მისი მსოფლიო მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე და, მაშასადამე, მისი ყველა კერძო, შიდა პრობლემა, შესაბამისად, მხოლოდ საერთო ინტეგრალური გეოპოლიტიკური ბლოკის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს (რომ არაფერი ვთქვათ მათი გადაჭრის შესახებ).

რუსეთი არ არის მატერიკის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ქვეყანა, იგი გეოპოლიტიკის უმთავრესი პრინციპების კატეგორიაა. რუსეთი ხმელეთია „Heartland-ია", „ისტორიის გეოგრაფიული ღერძია". რუსეთი ევრაზიაა. მისი ასეთი მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული ბლოკზე, იდეოლოგიებზე, პოლიტიკურ ორიენტაციებზე, რეჟიმის სპეციფიკაზე: კონტინენტურობა მისი ისტორიული, გეოგრაფიული, და გეოპოლიტიკური ხვედრია. რუსეთთან დაკავშირებით არ შეიძლება დაისვას „ატლანტიზმსა" და „ევრაზიულობას" შორის არჩევანის გაკეთების საკითხი. იგი ევრაზიული ძალაა. რუსეთის მიერ მსოფლიოში თავისი ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ მისი სრული გეოგრაფიული განადგურების შემდეგ, ვინაიდან რუსეთის სახელმწიფოს მიერ ამ მისიის განხორციელებაზე უარის თქმის მიუხედავად, ევრაზიული კონტინენტური მასის შენარჩუნების პირობებში, სულერთია, ადრე თუ გვიან იმავე საზღვრებში მაინც ჩამოყალიბდება ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც თავის თავზე აიღებს „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" ფუნქციას. ჯერჯერობით რუსეთი არსებობს და იგი რჩება მსოფლიო მნიშვნელობის ევრაზიული ვექტორის ღერძად.

სწორედ ეს თვისება განსაზღვრავს შიდა გეოპოლიტიკური პრობლემების განხილვის სფეროს, რომლებიც შემდეგნაირად გვესახება: როგორი სახით და როგორი ბუნებრივი (თუ ხელოვნური) წინაპირობების გამოყენებით არის შესაძლებელი რუსეთის მაქსიმალური გეოპოლიტიკური მოცულობის შენარჩუნება, როგორ უნდა გადანაწილდეს ყველა შიდა გეოპოლიტიკური ფაქტორი ისე, რომ უფრო უკეთ იქნას უზრუნველყოფილი შესაძლო მსოფლიო გეოპოლიტიკური ექსპანსია?

საკითხის ამგვარი სახით წამოჭრა, თვითონ აყენებს ანალიზის პირობებს — აუცილებელია გულდასმით გამოვიკვლიოთ შემდეგი საკითხები:

1) რეგიონების ცენტრისკენული ტენდენციების შესაძლებლობები;

2) ცენტრის სივრცული გავლენის გაფართოების შესაძლებლობები პერიფერიებსა და მის ფარგლებს გარეთ.

ეს გულისხმობს ორი უმთავრესი კრიტერიუმის მკვეთრ გამოყოფას, ესენია: გეოპოლიტიკური ცენტრისა და გეოპოლიტიკური პერიფერიის ცნებები. სწორედ მათ შორის დამოკიდებულება წარმოადგენს რუსეთის შიდა გეოპოლიტიკის კვლევის არსს.

## 12. შიდა გეოპოლიტიკა და სამხედრო დოქტრინა

რუსეთის სივრცეთა გეოპოლიტიკური ორგანიზაციის საკითხში, უდიდეს როლს თამაშობს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ვინაიდან სამოქალაქო დასახლებები ბევრგან (განსაკუთრებით მცირედ დასახლებულ ტერიტორიებზე) სწორედ სამხედრო ქალაქებსა და ბაზებთან არის მიჯაჭვული. მასვე უკავშირდება უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრების განლაგება, რომელთაც, ასევე, თან ახლავთ ე. წ. „თავდაცვითი წარმოების" მოთხოვნილებები. სამხედრო დოქტრინის მოდელზეა დამოკიდებული რუსეთის მთელი გეოპოლიტიკური აგებულება.

სამხედრო დოქტრინა, თავის მხრივ, შედგება ორი ნაწილისაგან: ხელმძღვანელობის პოლიტიკური ორიენტაცია (რომელიც შეიძლება შეიცვალოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფაქტორების მიხედვით) და გეოპოლიტიკური მუდმივები, რომლებიც აწესებენ პოლიტიკური კურსის დასაშვები ცვლილებების საზღვრებს. მეორე ნაწილი (რუსეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა) აძლიერებს რუსეთის სამხედრო ძალების კონტინენტურ მნიშვნელობას და რუსეთის მთავარ „პოტენციურ მოწინააღმდეგედ" სწორედ ატლანტიკურ ბლოკს წარმოსახავს. რაც შესაბამისად, მოასწავებს მთელი სამხედრო დოქტრინის კონტინენტურ ორიენტაციას, შეიარაღების სტრატეგიულ სახეობათა უცილობელ უპირატესობას, გეზის აღებას მსოფლიო მასშტაბის გლობალური კონფლიქტისაკენ.

ამასთან, სრულიად უმნიშვნელოა, როგორი იქნება მმართველობის პოლიტიკური სახე. სრულიად არ არის აუცილებელი, რომ გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ გაიმეოროს იდეოლოგიური. ეს დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებაზე და შეიძლება გავლენა მოახდინოს პოლიტიკური კურსის სიტყვიერ გაფორმებაზე, რომელიც არბილებს, ან პირიქით, აღვივებს გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობებს, რომლებიც ნებისმიერ პირობებში არსებობენ. გეოპოლიტიკა ბოლომდე არ განსაზღვრავს სამხედრო დოქტრინას იგი მხოლოდ ისეთ სახეს აძლევს მას, რომლის დაშლა დაუყოვნებლივ იწვევს ტოტალურ სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისსა და სახელმწიფოს ტერიტორიულ რღვევას.

ატლანტიზმთან სრული იდეოლოგიური თანხმობის პირობებშიც კი, რუსეთის სამხედრო დოქტრინამ ნომერ პირველ პოტენციურ მოწინააღმდეგედ მაინც აშშ და დასავლეთის ბანაკი უნდა მიიჩნიოს. ამ პრინციპიდან გამომდინარე უნდა შექმნას მან თავისი სამხედრო ძალების მთელი სტრუქტურაც, რაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს რუსეთის საშინაო გეოპოლიტიკის საერთო აგებულებაზე.

რუსეთის სამხედრო დოქტრინა მთლიანად ევრაზიული უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი რუსეთის შიდა გეოპოლიტიკის გულდასმითი ანალიზი და განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების წინასწარ განსაზღვრა. ამის გარეშე ნებისმიერი ანალიზი გვიწინასწარმეტყველებს რუსეთის რეგიონების კატასტროფულ დეგრადაციას, ტერიტორიულ რღვევას, ნგრევისა და გეოპოლიტიკური თვითლიკვიდაციის ჯაჭვურ რეაქციას. თეორიულად, მოვლენათა ამგვარი განვითარება გამორიცხული არ არის და რუსეთის ფედერაციის თანამედროვე „სამხედრო დოქტრინა" (რომელიც „პოტენციურ მოწინააღმდეგეებს" შორის არ გულისხმობს აშშ-სა და ნატოს ბლოკს პირიქით, მიიჩნევს მათ რუსეთის პოტენციურ გეოპოლიტიკურ მოკავშირეებად) ევრაზიული ბლოკის სახით ასეთი მომავალისათვის საკმაო საფუძველს იძლევა. თუმცა, უფრო ზოგადი ისტორიული და გეოგრაფიული პერსპექტივიდან გამომდინარე, ეს ვითარება „დროებით ანომალიად" უნდა განვიხილოთ, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მალე იქნება დაძლეული, როგორც დროებითი გადახრა რთული, გარდამავალი პერიოდის გამო.

შესაძლებელია „კატასტროფათა გეოპოლიტიკის" სცენარის აღწერა, რომელიც გამოჰყოფს „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" რღვევის ფაზებს, მაგრამ მოვლენათა ამგვარმა შესაძლო მსვლელობამ უფრო მეტად ატლანტიკური ბანაკი უნდა დააინტერესოს, ამიტომ სრულიად ბუნებრივია თუ მსგავსი მოდელები შეისწავლება თალასოკრატიული სახელმწიფოების გეოპოლიტიკოსთა მიერ. თანამედროვე და მომავალი ვითარების ანალიზის საფუძველზე, კონტინენტური და ცივილიზაციური დუალიზმის განვითარების ნორმალური ისტორიული და გეოპოლიტიკური კანონებიდან გამომდინარე, რუსულმა გეოპოლიტიკამ (რომელიც შეუძლებელია არ იყოს ევრაზიული), შესაბამისად, დადებითი პერსპექტივისაკენ უნდა აიღოს გეზი. ამ შემთხვევაში კი უნდა ვივარაუდოთ (მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ეს ასე არაა), რომ რუსეთის „სამხედრო დოქტრინა" შეესაბამება საერთო კონტინენტურ ლოგიკას და დაეფუძნება მკაცრ გეოპოლიტიკურ მუდმივებს.

ეს გარემოება, შემდგომი თხრობის მანძილზე აუცილებლად უნდა გვქონდეს მხედველობაში.

## 13. ცენტრი და პერიფერია

„შუამდებარე მიწის" (Heartland-ის ისტორიული ცენტრი არ წარმოადგენს მუდმივ გეოგრაფიულ სიდიდეს. რუსეთის ამჟამინდელი დედაქალაქი მოსკოვი, ერთდროულად აგრძელებს, როგორც სლავური დედაქალაქების (კიევისა და ვლადიმირის), ისე ჩინგიზხანის სტეპური ბანაკების მემკვიდრეობას. რუსეთი ტყისა და სტეპის გეოპოლიტიკური სინთეზია და ამის გამო მას აქვს ორი ისტორიულ-გეოპოლიტიკური ტრადიცია, რომელთა ერთობლიობაც საფუძვლად უდევს რუსული გზის თავისებურებას.

პეტერბურგულ პერიოდს თან ახლავდა ტერიტორიული ექსპანსია, თუმცა სანკტ-პეტერბურგის ბალტიის სანაპიროზე მდებარეობა სახელმწიფოს ევროპულ ორიენტაციას, ე. წ. „გეოპოლიტიკურ დასავლურობას" გამოხატავდა.

პეტერბურგულ პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით, რუსების ტერიტორიული ექსპანსია უფრო ხელოვნური და ნაკლებად ბუნებრივი იყო. სინთეზის ხასიათი მაინცდამაინც თვალსაჩინო არ იყო, თუმცა ციმბირისა და აზიის მრავალმა ხალხმა, უძველესი კონტინენტური ტრადიციებიდან გამომდინარე, მიიღო „თეთრი მეფის" ხელისუფლება.

მოსკოვი გეოგრაფიულად უფრო მეტად პასუხობს რუსეთის ევრაზიულ მისიას. იგი თანაბრად არის დაშორებული ყველა ძირითადი გეოგრაფიული ზონიდან. მანძილი პოლარულ ჩრდილოეთამდე, აღმოსავლეთ-ევროპულ დასავლეთამდე, სტეპურ და სუბტროპიკულ სამხრეთამდე, ტაიგურ აღმოსავლეთამდე დაახლოებით თანაბარია, ამიტომ „ნორმალურ" (გეოპოლიტიკური თვალსაზრისით) „ევრაზიულ დედაქალაქად", კონტინენტურ ცენტრად სწორედ იგი უნდა მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით საქმეთა ამჟამინდელი მდგომარეობა, ზოგადად, გეოპოლიტიკურ მუდმივებს ემთხვევა. მოსკოვი Heartland-ის ბუნებრივი დედაქალაქია.

ამასთანავე, რუსეთის ზერელე კარტოგრაფიული ანალიზის დროსაც კი, მაშინვე შეიმჩნევა გარკვეული ასიმეტრია. საქმე იმაშია, რომ ურალის მიღმა (სხვათაშორის იგი არ წარმოადგენს არავითარ რუსეთის შიდა ბუნებრივ საზღვარს მთების დაბალი სიმაღლისა და ქედის ორივე მხარეს კლიმატის მსგავსების გამო) საკმაოდ ერთგვაროვანი ტაიგური ზონა ერცელდება ათასობით კილომეტრზე ციმბირის წიაღში. ამგვარად, ეს გარემოება მოსკოვს მხოლოდ „ევროპული რუსეთის" ცენტრად ხდის. თუმცა ამგვარი წმინდა რაოდენობრივი ხედვა ბათილდება სხვა გეოპოლიტიკური მოსაზრებებით.

უპირველეს ყოვლისა, ციმბირი არ წარმოადგენს იმგვარ კლიმატურ და რელიეფურ სტრუქტურულ მრავალფეროვნებას, რომელიც ახასიათებს ურალს აქეთა რუსეთს. ამ თვალსაზრისით, მთელი ეს გიგანტური სივრცე მხოლოდ აღმოსავლეთ ლანდშაფტისაგან მკვეთრად განსხვავებული განვრცობაა, რომლის მასშტაბი ბევრად აჭარბებს რუსეთის ზონურ სურათს. ამგვარად, ლანდშაფტური თვალსაზრისით, გიგანტური სივრცული მოცულობა დაიყვანება შეზღუდულ, კლიმატურ თვისებამდე.

მეორე მხრივ, ზუსტად ამგვარი მკვეთრი განსხვავება შეიმჩნევა დემოგრაფიულადაც. ურალის ქედს მიღმა ცხოვრობს იმავე რაოდენობის მოსახლეობა, რამდენიც ევროპული რუსეთის მკვეთრად გამოყოფილ ბუნებრივ ლანდშაფტურ ზონებში.

მესამე მხრივ, კომუნიკაციების, ქალაქების, კავშირებისა და ა. შ. თვალსაზრისით ამ რეგიონის ათვისება, ასევე არ შეესაბამება მის სივრცულ მოცულობას.

ამიტომ, თანამედროვე ვითარებაში ციმბირის გეოპოლიტიკური როლი არ შეიძლება განხილულ იქნას მისი სივრცის შესაბამისად. ეს არის განსაკუთრებული, „სარეზერვო სივრცე", რომელიც წარმოადგენს უკანასკნელ, საპირო დონეზე „აუთვისებელი" ევრაზიული მატერიკის ნაწილს.

ამგვარად, ციმბირის განსაკუთრებული თვისების გათვალისწინებით, მოსკოვი ნამდვილად იგივდება „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" გეოპოლიტიკურ ცენტრთან. აქვე შევნიშნავთ, რომ სწორედ ციმბირის აუთვისებლობის გამო ჩართო მაკინდერმა თავის გვიანდელ ნაშრომებში „Lenaland-ის" საკითხი;

სივრცის, რომელიც მდებარეობს მდინარე ლენას აღმოსავლეთით. ეს არის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც სუსტადაა დაკავშირებული Heartland-თან.

ჯერ კიდევ შპენგლერი აღნიშნავდა იმას, რომ ციმბირი წარმოადგენს იმგვარ გეოგრაფიულ სივრცეს, რომლის ფუნქცია თანდათან გამომჟღავნდება და შეიძლება გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს ისტორიულ მიმდინარეობაზე. მან იწინასწარმეტყველა, რომ სწორედ ციმბირიდან განვითარდებოდა უნიკალური კულტურა, რომელიც ბოლოს მოუღებდა „დასავლეთის დაცემას" და მის „ფაუსტურ" ცივილიზაციას. ამავე იდეას ემხრობოდენ რუსი „აზიელები" (ევრაზიელთა უკიდურესი განშტოება), რომელთაც მიაჩნდათ, რომ აღმოსავლეთი დასავლეთსა და ევრაზიაზეც გაცილებით დიდი მნიშვნელობისა (კერძოდ, ვ. ივანოვი და ზოგიერთი „წყნაროკეანისტი", Pazifiker, ჰაუსჰოფერის სკოლიდან კურტ ფონ ბეკმანი და ა. შ.). ამგვარად, შორეულ მომავალში (რომელიც გულისხმობს ციმბირის დემოგრაფიული და საინფორმაციო მდგომარეობის განვითარებას და მის გაწონასწორებას დანარჩენ რუსულ ანუ ევროპულ რეგიონებთან), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსკოვის გეოგრაფიული მდგომარეობა დაკარგავს თავის ცენტრალურობას და ევრაზიის გეოპოლიტიკური ცენტრი გადაინაცვლებს აღმოსავლეთისაკენ.

თუმცა, ამჟამად, ყოველივე ეს მხოლოდ ფუტუროლოგიურ პერსპექტივად აღიქმება (ამის შესახებ ვრცლად ვისაუბრებთ რუსული აღმოსავლეთისადმი მიძღვნილ თავში).

ცენტრიდან (მოსკოვი) რუსეთის პერიფერიულ მიწებამდე შეიძლება გავავლოთ სხივები, რომლებიც არ წარმოადგენენ მონაკვეთებს, ვინაიდან მათი სიგრძე არ არის განსაზღვრული. ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალები რეგიონებზე ცვლადი სიდიდით ზემოქმედებენ, რაც დამოკიდებულია მრავალ ისტორიულ ფაქტორზე. გარდა ამისა, გეოპოლიტიკური ცენტრიდან ფიზიკური დაშორება ყოველთვის არ შეესაბამება „გეოპოლიტიკურ მანძილებს". ისინი დამოკიდებულია კავშირების არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ, აგრეთვე, ხარისხობრივ თვისებაზე დამოუკიდებელ რეგიონულ წარმონაქმნებზე, მათ ფორმებსა და კულტურულ-ეთნიკურ სპეციფიკაზე.

ცენტრიდან გამომავალი ყველა სხივი შეიძლება დავიყვანოთ ოთხ ძირითად კატეგორიამდე ანუ „შიდა ღერძებამდე":

1) მოსკოვი-აღმოსავლეთი;
2) მოსკოვი-დასავლეთი;
3) მოსკოვი-ჩრდილოეთი;
4) მოსკოვი-სამხრეთი.

ამასთანავე, შესაბამისი პერიფერიული სივრცეები წარმოადგენენ „ზონებს" ანუ „ზოლებს", რომელთაგან ყოველი მათგანი ფლობს სპეციფიკურ მახასიათებლებს და განსაკუთრებულ სტრუქტურას. ამ ზოლებს შეიძლება ვუწოდოთ, შესაბამისად, „რუსული აღმოსავლეთი", „რუსული დასავლეთი", „რუსული სამხრეთი", „რუსული ჩრდილოეთი". განსაზღვრებას „რუსული", ამ შემთხვევაში გააჩნია არა ეთნიკური, არამედ გეოპოლიტიკური შინაარსი, რომელიც ხაზს უსვამს რეგიონის კავშირს ცენტრალურ „კონტინენტურ ღერძთან" — მოსკოვთან.

რუსეთის „შიდა გეოპოლიტიკის“ მთავარი შინაარსი არის ამ ოთხი „პერიფერიული ზონისა“ და „სხივების“ თვისებისა და ხასიათის (რომელნიც მათ ცენტრთან აკავშირებენ) გეოპოლიტიკური სტრუქტურების გარკვევა. ზონების სტრუქტურა ვრცლად იქნება განხილული მომდევნო თავებში. სხივების ხასიათი კი, ზოგადად, ახლა განვიხილოთ.

## 14 შიდა ღერძები (გეოპოლიტიკური სხივები)

ოთხი გეოპოლიტიკური სხივი მოსკოვს აკავშირებს „რუსული სივრცის“ პერიფერიებთან. ეს სხივები ფლობენ სხვადასხვა თვისებებს.

შესაძლებელია მათი დაყოფა ორ წყვილად: პირველი, მოსკოვი-დასავლეთისა და მოსკოვი-სამხრეთის სხივები; მეორე, მოსკოვი-აღმოსავლეთისა და მოსკოვი-ჩრდილოეთის სხივები.

**პირველი ორი სხივი** გეოპოლიტიკური თვალსაზრისით „დაუსრულებელია“, „ღიაა“. ისინი ეყრდნობიან მნიშვნელოვანი ტერიტორიული მოცულობის მქონე რთულ გეოპოლიტიკურ სისტემას, რომელიც აცალკევებს რუსეთის კონტინენტურ მასას იდეალური საზღვრიდან — სანაპირო ხაზიდან. რუსეთის სამხრეთი და დასავლეთის საზღვრები გეოპოლიტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ფართო სარტყელებს, რომლებიც ცენტრალურ ნაწილს აცალკევებენ სანაპირო ხაზიდან. ამ თვალსაზრისით ეს ორი სხივი წარმოადგენს რუსეთისათვის ყველაზე სუსტ და დაუცველ მხარეებს. გეოპოლიტიკური დინამიკა ამ ღერძების გასწვრივ უკიდურესად დაძაბულია, რთულია და აქვს მრავალი სახე და განზომილება.

ღერძი მოსკოვი-დასავლეთი, მოსკოვი-სამხრეთი მოიცავს, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ ასპექტებს, რადგან აქ რუსეთ-ევრაზიის ყველა რეგიონი თანდათანობით გადადის იმ ზონებში, რომლებიც იმყოფებიან სხვა სახელმწიფოების კონტროლის ქვეშ, ხოლო ამ სახელმწიფოთაგან ზოგიერთი საწინააღმდეგო, თალასოკრატიულ ბანაკს მიეკუთვნება.

**სხივების მეორე წყვილი**, მოსკოვი-ჩრდილოეთისა და მოსკოვი-აღმოსავლეთის ღერძი მკვეთრად განსხვავდება პირველი წყვილისაგან. აქ რუსეთის საზღვარი თანხვდება სანაპირო ხაზს, „სახელმწიფო-საფენები“ აქ არ არსებობენ, ამიტომ ამ მიმართულებით პოლიტიკური დინამიკა ამოწურულია შიდა პოლიტიკური საკითხებით. ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით რუსეთი ფლობს დასრულებულ გეოპოლიტიკურ საზღვრებს და, ამ შემთხვევაში, მთავარ მიზანს წარმოადგენს სტატუს ქვოს შენარჩუნება.

უფრო მეტიც, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი სწორედ საოკეანო საზღვრების ხარჯზე წარმოადგენენ „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის“ სარეზერვო და შესანიშნავად დაცულ ზურგს, სადაც კრიტიკულ ვითარებაში ყოველთვის შეიძლება დამატებითი სივრცული საყრდენების შექმნა გეოპოლიტიკური და სტრატეგიული გადახალისების მიზნით.

განსხვავება „დასავლეთისა“ და „სამხრეთის“ ღერძებსა და „ჩრდილოეთისა“ და „აღმოსავლეთის“ ღერძებს შორის არ წარმოადგენს ისტორიული შემთხვევითობის შედეგს. შესაბამისი რეგიონების გეოგრაფიული ლანდშაფტი, ხოლო მოგვიანებით ეთნიკური და კულტურული რუკა წარმოადგენს იმ

საფუძველს, რომელსაც პოლიტიკური ისტორიის მიმდინარეობის დროს ეძლეოდა კონკრეტული სახელმწიფოებრივი შინაარსი. რუსეთის დასავლეთისა და სამხრეთის შემოგარენზე, აგრეთვე, მეზობელი ქვეყნების მახლობელ ტერიტორიებზე წარმოიქმნა კულტურათა, სახელმწიფოთა და ეთნოსთა დაჯგუფება, საკუთარი პოლიტიკური და სულიერი ტრადიციებით, სახელმწიფოებრიობით და ა. შ. აქ ძლიერია „სეპარატიზმის" ობიექტური და ხელოვნური წანამძღვრები. სეპარატიზმი კი თავის მხრივ, მსოფლიო მასშტაბში, იგივდება თალასოკრატიულ სტრატეგიასთან.

რუსეთის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი, პირიქით, ლანდშაფტურად უკიდურესად ერთგვაროვანია და ხალხებით მეჩხერადაა დასახლებული, რომელთაც ან არ გააჩნიათ განვითარებული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ტრადიციები, ან დიდი ხანია დაკარგული აქვთ იმპერიული მშენებლობის ისტორიული ინიციატივა (მაგალითად ალტაის თურქები, ბურიატები). აქ მოსკოვს თავისუფლად შეუძლია მიუდგეს ზღვებს, თუმცა ზღვების ხარისხიც, მნიშვნელობის თვალსაზრისით შესაბამისია. მათ მცირე სანაოსნო მნიშვნელობა აქვთ, ისინი წლის უმეტესი ნაწილის განმავლობაში დაფარულია ყინულით, მოწყვეტილია ცენტრალური ნაწილისაგან ცუდი კომუნიკაციების გამო, პორტები განუვითარებელია. განსაზღვრული სტრატეგიული უპირატესობები გაწონასწორებულია შესაბამისი ნაკლოვანებებით.

სხივების ორი წყვილი იძლევა სრულ გეოპოლიტიკურ სიმეტრიას. რუსეთის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების განფენილობას თან ახლავს დემოგრაფიული სიმეჩხერე, კომუნიკაციური განუვითარებლობა. დასავლეთისა და სამხრეთის საზღვარი სახმელეთოა, მჭიდროდაა დასახლებული, ლანდშაფტურად მრავალფეროვანია და წარმოადგენს მნიშვნელოვანი ფართობის მქონე მოცულობით ზოლებს.

ამგვარად, რუსეთში ცენტრისა და პერიფერიების გეოპოლიტიკური ურთიერთობები ორად იყოფა: წმინდა შიდა ღერძებად (საოკეანო სასაზღვრო ხაზებით ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით) და ნახევრად შიდა ღერძებად (სახმელეთო სასაზღვრო „ზოლებად" („ზონებად") დასავლეთით და სამხრეთით).

„სამხრეთისა და დასავლეთის დინამიკა" გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობის, დიპლომატიის სფეროში ფეხის შედგმას. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის დინამიკა იფარგლება შიდა პოლიტიკური პრობლემებით. თუმცა წმინდა გეოპოლიტიკური მიდგომა ამ სქემას, ნაწილობრივ ფარდობითად აქცევს. იქ სადაც ამჟამად იმყოფება „დამოუკიდებელი" სახელმწიფო, გეოპოლიტიკოსი ხედავს „მომავალ პროვინციას" და, პირიქით, ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის სანაპირო ნაწილი გარკვეულ მომენტში შესაძლებელია ალტერნატიული გეოპოლიტიკური ძალის სანაპირო პლაცდარმად გადაიქცეს (ანუ ახალ „სუვერენულ" სახელმწიფოდ).

ცენტრიდან პერიფერიისკენ მიმავალი სხივები, „კონტინენტური ექსპანსიის იმპულსები", ეჯახებიან მუდმივად საწინააღმდეგო ძალას. ატლანტიკური ბლოკი განაპირა ხალხებისა თუ მეზობელი სახელმწიფოების „სეპარატისტული" ტენდენციების გამოყენებით, მიისწრაფვის მოსკოვის ცენტრიდანული ენერგიის შეზღუდვისაკენ, ამასთან იგი ეყრდნობა იმ სანაპირო ზონებს, რომლებიც უკვე იმყოფებიან თალასოკრატიის უშუალო კონტროლის ქვეშ.

სამხრეთსა და დასავლეთში, კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებაში, ეს წინააღმდეგობა ადვილად შესამჩნევია. ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში ეს წინააღმდეგობა ნაკლებად ცხადი და თვალსაჩინოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოკეანის სანაპირო ზონაში მაინც არსებობს ატლანტისტების სტრატეგიული სამხედრო თანდასწრება (ბირთვული წყალქვეშა ნავები), რომელიც გარკვეულ კრიტიკულ პერიოდებში შეიძლება გამოიხატოს რუსეთის შიდა საქმეებში უშუალო პოლიტიკური ჩარევითა და ეთნიკური და კულტურული უმცირესობების სეპარატისტულ განწყობათა მხარდაჭერაში.

## თავი 2. გზა ჩრდილოეთისაკენ

### 2.1. ანალიზის მოდელი

მოსკოვი-ჩრდილოეთის გეოპოლიტიკური სხივი სხივების მთელ სპექტრად იშლება და ცენტრიდან ყინულოვანი ოკეანის მთელ სანაპროს ეფინება. ამგვარად, ჩვენ ვღებულობთ გართულებულ მოდელს, რომელშიც თავს იჩენს სამი პრობლემა:

1) ჩრდილოეთის სექტორების თანაფარდობა;

2) მათი თანაფარდობა ცენტრთან (მოსკოვთან);

3) რუსეთის სივრცეების თანაფარდობა სხვა მხარეებთან (სამხრეთთან, აღმოსავლეთთან, დასავლეთთან).

გეოპოლიტიკური ანალიზი იყოფა რამდენიმე სექტორად და პრობლემად. ამასთან ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულ იქნას რეგიონის ხასიათი და არსებითი წვრილმანები, მხედველობიდან არ უნდა დაიკარგოს „რუსეთის შიდა გეოპოლიტიკის" საერთო აგებულება და უფრო ზოგადი მსოფლიო შინაარსი.

ცენტრის უმთავრესი გეოპოლიტიკური მიზანი ჩრდილოეთთან მიმართებაში მდგომარეობს ამ მხარეებზე სტრატეგიული კონტროლის მაქსიმალურად განმტკიცებაში. იმის გამო, რომ ჩრდილოეთ პოლარული სარტყლის მიღმა მდებარე ტერიტორიები ნაკლებადაა დასახლებული და იმის გათვალისწინებით, რომ აქ მცხოვრებ ეთნოსებს არ გააჩნიათ განვითარებული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ტრადიციები, ამიტომ ყველა კულტურულ-პოლიტიკური საკითხი აქ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის ხდება. ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სანაპიროებზე სამხედრო კონტროლის დაწესება (სამხედრო, სამხედრო-საპაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები), საინფორმაციო უწყების გამართული მუშაობა, ენერგეტიკული უზრუნველყოფა და სასაქონლო და საცხოვრებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

### 2.2. რუსეთის არქტიკის გეოპოლიტიკური ხასიათი

ჩრდილოეთ ტერიტორიების კლიმატური ხასიათი გულისხმობს ამ მხარის წერტილოვან და არა „ზოლოვან" დასახლება-ათვისებას. იზრდება ცენტრების როლი, რომლებიც დიდ მნიშვნელობას იძენენ და გარკვეულწილად ექვივალენტური ხდებიან იმისა, რასაც სხვა რაიონებში ტერიტორიას უწოდებენ.






1. „არქტიკული ტრაპეცია".
2. სტრატეგიული კონტროლის ღერძები, „არქტიკული ტრაპეციის" გეოპოლიტიკურ ცენტრებზე.

ცენტრისა და ტერიტორიის იგივეობა ჩრდილოეთში მაქსიმალურია, ვინაიდან შუალედური სივრცეები არა თუ საცხოვრებლად არ არის ხელსაყრელი, არამედ სასიკვდილო საფრთხესაც წარმოადგენს (ტუნდრა, სიცივე, დასახლებებისა და გზების არარსებობა).

ამგვარად, გეოპოლიტიკურად ჩრდილოეთი ეს არის არქტიკულ ზონაში განლაგებული წერტილების სისტემა, საკმაოდ ერთგვაროვან სივრცეზე (კლიმატურად და რელიეფურად) მიმოფანტულ ნაწყვეტ დასახლებათა თანავარსკვლავედი. ჩრდილოეთის მიწების უმეტესობა წარმოადგენს ტუნდრას, ანუ ჩრდილოეთის უდაბნოს — იშვიათი მცენარეულობით (მღიერით[1]), ეს არის მუდმივი გამყინვარების ზონა.

ჩრდილოეთის სივრცის ხასიათი ახლოს დგას წყლის სტიქიასთან, ტერიტორიებს შორის საზღვრებს პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, ამა თუ იმ მიწის კონტროლი არ იძლევა არანაირ განსაკუთრებულ

უპირატესობას. თუ გავითვალისწინებთ ამ რეგიონის მცირედ დასახლებულობას, ავტომატურად მყისვე მოიხსნება მეირმეობის მიმდევარ ხალხებთან „სამომთაბარეო კონკურენციის" გაწევის საკითხი.

ჩრდილოეთის მოსახლეობა, წარმოადგენს უძველესი ევრაზიელი ეთნოსების მრავალფეროვნების ერთობლიობას, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ათასწლეულების მანძილზე ცხოვრობდნენ განსაკუთრებული კულტურული, მიგრაციული თუ ეთნიკური ცვლილებების გარეშე. საინტერესოა, რომ რუსეთის დასავლეთ საზღვრის ჩრდილოეთში გადის ეთნიკური ნიშნების მიხედვით გამყოფი ხაზი: ევროპის ჩრდილოეთი — სკანდინავია, გერმანია, დანია, ისლანდია, ირლანდია ინდოევროპული წარმოშობის „განვითარებული" ხალხებითაა დასახლებული (ახალგაზრდა ეთნოსები). ფინეთიდან და კარელიიდან ჩუკოტკამდე რუსული ჩრდილოეთი დასახლებულია უფრო ძველი და არქაული ეთნოსებით, ვიდრე ევროპული ჩრდილოეთის მოსახლეობა (უიღურები, არქაული თურქები და პალეოაზიელები — ჩუქჩები, ესკიმოსები და ა. შ.). ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ აღმოსავლეთისაკენ გადაადგილების შესაბამისად ეთნოსთა არქაულობა იზრდება. უფრო ახალგაზრდა ინდოევროპელები (ანუ თურქები), განუწყვეტლივ მოძრაობდნენ ევრაზიის დასახლებული ნაწილების გასწვრივ და ავტოქტონებს ტალღებივით მიერეკებოდნენ ჩრდილოეთისაკენ.

დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კარელებისა და ფინების (რომლებიც საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ თანამედროვე ისტორიაში, თუმცა კი მეორეხარისხოვან როლებში) შემდეგ უფრო ძველი ხალხები არის ნენები[2], კომები, შემდეგ ხანტები და მანსები, დოლღანები, ევენკები, ხოლო შემდეგ ჩუქჩები და ესკიმოსები. აღმოსავლეთ ციმბირის დიდი ნაწილი უკავია იაკუტიას (სახა), მაგრამ იაკუტები (თურქთა ერთ-ერთი განშტოება) ჩრდილოეთ პოლარული სარტყელის სამხრეთით ცხოვრობენ, ხოლო რაიონის ჩრდილოეთი, თითქმის, აუთვისებელია.

უიღურებიდან და ესკიმოსებიდან რუსული ჩრდილოეთის სივრცე ჩვენ გვიჩვენებს ცივილიზაციის ისტორიულ ჭრილებს.

„რუსული ჩრდილოეთის" ცნება წარმოადგენს ტრაპეციას, რომელიც მთლიანობაში ევრაზიის მოხაზულობას იმეორებს. დასავლეთით ის ვიწროვდება, აღმოსავლეთით კი ფართოვდება. რუსეთ-ფინეთის საზღვარზე ეს ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 10 გრადუსს მერიდიანის გასწვრივ, ხოლო ჩუკოტკა, კამჩატკასთან ერთად, უკვე 20 გრადუსს აღწევს. მაგრამ ეს სივრცული გაფართოება ნაკლებად მოქმედებს ტერიტორიის გეოპოლიტიკურ ხასიათზე. აღმოსავლეთით განვრცობისაკენ მიდრეკილების მქონე ეს გეოგრაფიული ტრაპეცია დემოგრაფიული ნიშან-თვისებებით, ათვისების ხარისხით, კომუნიკაციებისა და დასახლებების სიხშირით, დასავლეთისაგან განსხვავებულ სურათს იძლევა, ვინაიდან ჩრდილოეთ სექტორის „ვიწრო" დასავლეთ ფლანგი უფრო მეტადაა ათვისებული და დასახლებული, ვიდრე აღმოსავლეთის საპირისპირო ფლანგი.

თუ ციმბირი წარმოადგენს რუსეთის გეოპოლიტიკურ „რეზერვს", მაშინ ჩრდილოეთი და, განსაკუთრებით, ციმბირის ჩრდილოეთი, წარმოადგენს თვით ციმბირის რეზერვს, ვინაიდან იგი ცივილიზაციიდან საკმაოდ დაშორებული

ევრაზიის რეგიონია. ეს არის რუკებში ფორმალურად აღწერილი ყინულოვანი, აუთვისებელი მიწა, რომელსაც არავითარი ისტორიული მნიშვნელობა, არავითარი გლობალური კულტურული ღირებულება (ყოველ შემთხვევაში ეს ასეა, სულ მცირე, წარსულის შესწავლისათვის შესაძლებელი ცნობილი ისტორიული ფაქტების მიხედვით) არ გააჩნია. ასეთი ვითარება საკმაოდ უცნაურ წინააღმდეგობაშია იმ როლთან, რომელსაც „ჩრდილოეთი" თამაშობს მრავალი ხალხის მითოლოგიაში. აქ მას მინიჭებული აქვს „დიადი წინარე სამშობლოს", „აღთქმული მიწის", „ძველი სამოთხის" თვისება. ამჟამად, იგი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება — ცივი, უსიამოვნო, ადამიანებისადმი მტრულად განწყობილი, გაუცხოებული სივრცე ცივილიზაციის ხელოვნური კერების იშვიათი ჩანართებით.

## 2.3. ჩრდილოეთი + ჩრდილოეთი

ადმინისტრაციულად ჩრდილოეთის მიწების უმრავლესობა წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ მხარეებს, გარდა კარელიისა, კომისა და იაკუტიისა, რომლებსაც გააჩნიათ უფრო ფართო პოლიტიკური სტატუსი (რესპუბლიკა). პოლიტიკური მხარეები განლაგებულია შემდეგნაირად (დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ): კარელია, ჩრდილოეთით მურმანსკის მხარე, არხანგელსკის მხარე, კომის რესპუბლიკა და ნენის ავტონომიური ოლქი, იამალო-ნენის ავტონომიური ოლქი, ტაიმირის (დოლგან-ნენის) ავტონომიური ოლქი, იაკუტიის ჩრდილოეთ სექტორები, ჩუკოტკის ავტონომიური ოლქი, მაგადანის მხარე, კორიაკის ავტონომიური ოლქი და კამჩატკა.

ამ ტერიტორიების გეოპოლიტიკური თვისებების მსგავსება საკმარისია იმისათვის, რომ მათ შეძლონ გარკვეული ტერიტორიულ-სტრატეგიული ბლოკის ჩამოყალიბება განსაზღვრულ ინტეგრაციულ სტრუქტურათა საფუძველზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მხარე აწყდება ერთმანეთისათვის დამახასიათებელ მსგავს სირთულეებს; მათი განვითარება მიმდინარეობს ერთნაირი ტრაექტორიით. ეს ბუნებრივი მსგავსება, (რომელიც ასე ცხადად მჟღავნდება ყველაზე ზერელე გეოპოლიტიკური ანალიზის დროსაც კი) მიუთითებს გარკვეული კონსოლიდაციის აუცილებლობაზე. ამ გაერთიანებას, ერთგვარ „არქტიკული მიწების" პაქტს, შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე დონე — სულიერ-კულტურულით დაწყებული და პრაქტიკულითა და ეკონომიკურით დამთავრებული.

შესაძლებელია თავიდანვე ვივარაუდოთ ამგვარი ბლოკის საერთო მიმართულებები.

მის კულტურულ ბაზად შეიძლება იქცეს ტრადიციული ცივილიზაციის სოციალური მოწყობის პოზიტიურ მოდელად გადააზრების ევრაზიული თეორია, რომელსაც შენარჩუნებული ექნება ხსოვნა კოსმოსური პროპორციების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ ჩრდილოეთის ხალხების არქაიზმი (განუვითარებლობა, ჩამორჩენილობა, პრიმიტიულობა და ა. შ.) წარმოადგენს არა სულიერ ნაკლს, არამედ სულიერ ღირებულებას. ძველი ეთნოსები არა თუ არ ექვემდებარებიან „ხელახლა გამოზრდას" და „თანამედროვე ცივილიზაციაში" ჩართვას, არამედ პირიქით, ისინი საჭირობენ თავიანთი არსებობის პირობების მაქსიმალურ შეჯერებას თავიანთ ტრადიციებთან. თანაც ამ ტრადიციებზე მზრუნველობა ნაწილობრივ უნდა გაუნაწილდეს სახელმწიფოსაც, რომელიც

მიისწრაფვის ამ ტერიტორიებზე საკუთარი სტრატეგიული კონტროლის უზრუნველყოფისაკენ.

ამის პარალელურად, აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული ჩრდილოეთის, როგორც კაცობრიობის უძველესი სამშობლოს, „მითოლოგიური" ასპექტი და „ჩრდილოეთის სულიერი აღორძინება", რომელიც ამ შემთხვევაში შეიძენს სოლიდურ ისტორიულ მასშტაბს. ამასთან აქცენტი უნდა გაკეთდეს არქტიკული წლის სეზონურ სპეციფიკაზე — პოლარულ დღესა და პოლარულ ღამეზე, რომლებიც ინდუსებსა და ძველ სპარსელებს „ღმერთების დღეებად და ღამეებად" მიაჩნდათ. არქტიკულ პირობებში არსებობა (რაც საერთოა მთელი ევრაზიული ჩრდილოეთისათვის) ადამიანის არსებას განსაკუთრებული კოსმიური რიტმის პირობებში აბრუნებს. აქედან გამომდინარეობს არქტიკული ზონების სულიერად გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა.

მატერიალურ დონეზე და, განსაკუთრებით, სამხრეთელი მიგრანტების (რომელთა უმრავლესობა რუსეთია) არსებობის პირობებთან მისადაგებით უნდა გავაერთიანოთ ჩრდილოეთის ყველა ცენტრის ძალისხმევა, რათა კლიმატური პირობების გათვალისწინებით შემუშავდეს ქალაქებისა და დასახლებების მშენებლობის საუკეთესო მოდელი. ამ მხრივ საჭიროა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება — ენერგიათა არატრადიციული წყაროების ათვისება (მზის ენერგია, ქარის ელექტროსადგურები), მარადიული გამყინვარების პირობებში სამშენებლო ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, რეგიონთა შორის საჰაერო მიმოსვლის განვითარება და ა. შ. საწყისად უნდა იქცეს საერთო არქტიკული განვითარების პროექტი, ისეთი ერთიანი და ეფექტური ფორმულის შემუშავება, რომელიც დასახლებათა უმოკლეს დროში განვითარების საშუალებას მოგვცემს.

ამ პრობლემის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ლოგიკური იქნება მისი გადაწყვეტა თავად არქტიკულ მხარეებს მივანდოთ, ხოლო ცენტრმა, ამ შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მთელი პროექტის სახელმწიფო მხარდაჭერა. „არქტიკული ფორმულის" შემუშავება ჩრდილოეთის საქმეა.

ჩრდილოეთი, გეოპოლიტიკურად, რუსეთის „რეზერვთა რეზერვია", ამიტომ ეს რეგიონები უნდა მომზადდეს სამხრეთის მოსახლეობის შესაძლო გადმოსახლებისათვის. ეს ეხება პრობლემის მეორე მხარეს — ჩრდილოეთის ახალ დასახლებას. აღრე თუ გვიან, დემოგრაფიული პროცესების გათვალისწინებით, იგი აუცილებელი გახდება და ამიტომ, უმჯობესია ახლავე დაგვეწყო ამისათვის სტრუქტურული წინაპირობების შექმნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საკითხის სამხედრო მხარე. ჩრდილოეთი წარმოადგენს რუსეთის გიგანტურ სტრატეგიულ სამხედრო ზონას, მისი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს სარტყელს. აქ თავმოყრილია მრავალი სარაკეტო და სტრატეგიული ავიაციის ბაზა. მურმანსკი და არხანგელსკი რუსეთში წარმოადგენენ უმსხვილეს სამხედრო-საზღვაო ბაზებს. ასეთი მდგომარეობა არ არის ცივი ომის დროს ორი ბანაკის იდეოლოგიური წინააღმდეგობის თვითნებური შედეგი. სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთისათვის ჩრდილოეთის სტრატეგიული დანიშნულება ნებისმიერ შემთხვევაში ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, ვინაიდან აქ საუბარი ეხება ევრაზიის, Heartland-ის ინტერესების დაცვას. რუსეთის ჩრდილოეთში სამხედრო თანდასწრების მნიშვნელობა გამომდინარეობს რუსეთის სამხედრო ძალების სტრუქტურის კონტინენტური

ხასიათიდან და საკუთარი თავის „ზღვის ძალების“ მოწინააღმდეგე კონტინენტურ ბანაკად ბუნებრივი აღიარებიდან. ამ სამხედრო ობიექტების ძირითადი დანიშნულებაა სანაპირო ზონის დაცვა შესაძლო საჰაერო და საზღვაო შემოტევებისაგან და აუცილებლობის შემთხვევაში ჩრდილოეთი პოლუსის გავლით ამერიკის კონტინენტზე ატომური თავდასხმის უზრუნველყოფა. ეს არის უმოკლესი მანძილი რუსეთიდან აშშ-ს ტერიტორიამდე. ამავე მიზეზით აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის პრიორიტეტული განვითარების ზონას.

ამჟამად, ჩრდილოეთს რუსეთის მრეწველობაში საკმაოდ დიდი წილი შეაქვს, ამავე დროს არ ხდება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის მისი მნიშვნელობის გათვალისწინება. მრავალი სასარგებლო წიაღისეული (კერძოდ, მარილი, ნიკელი და ა. შ.), ძირითადად, არქტიკასთან ახლოს მდებარე მიდამოებში მოიპოვება. თუმცა, ჩრდილოეთის მრეწველობის ამგვარ განვითარებასა და სხვა დარგების ჩამორჩენას შორის დიდი ბზარია. გეოპოლიტიკური ლოგიკა ითხოვს სიტუაციის სასწრაფო გაწონასწორებას. ამის გაკეთება ყველაზე მოსახერხებელია „არქტიკის პაქტის“ ფარგლებში. ამგვარ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა განგვესაზღვრა ჩრდილოეთის დედაქალაქი (ან რამდენიმე დედაქალაქი), სადაც თავს მოიყრიდა ინტელექტუალურ-ტექნოლოგიური პოტენციალი და სადაც შეერთდებოდა ძირითადი ეკონომიკური, ფინანსური და საინჟინრო ბერკეტები. ეს მნიშვნელოვნად გაათავისუფლებდა ცენტრს ჩრდილოეთის კონტროლის ყველა წვრილმანისაგან, ხოლო ჩრდილოეთი შეიქმნიდა მოქნილი რეგიონული განვითარებისა და სწრაფი სამრეწველო-ეკონომიკური რეაქციის რეზერვებს.

ზემოთ განხილულიდან აშკარად გამომდინარეობს ჩრდილოეთის ინტეგრაციის აუცილებლობა. ყოველივე ეს საჭიროა სულიერი, ეთნიკური, კულტურული, სამხედრო-სტრატეგიული, სამრეწველო, სოციალური, ფინანსური თვალსაზრისით. ასეთი მრავალსაფეხურიანი ინტეგრაციის შედეგი (რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ პოტენციურად არსებობს) იქნება სრულიად ახალი გეოპოლიტიკური რეალობა, რომელშიც ავტონომიური და რეგიონული დამოუკიდებლობის ამაღლება არ შეასუსტებს ცენტრთან სტრატეგიულ კავშირს. ჩრდილოეთის ათვისება იქნება მომავლისაკენ გადადგმული ნაბიჯი, სივრცის სრულიად ახლებური გაგების პლაცდარმი გრძელვადიან პერსპექტივაში.

ჩრდილოეთის მიწა უნაყოფო უდაბნოდან ხელახლა გადაიქცევა პოლარულ სამოთხედ, განამტკიცებს კონტინენტის მსოფლიო მნიშვნელობას და შექმნის სამომავლო ევრაზიულ საზოგადოებას, რომელიც დაეფუძნება ტრადიციისა და განვითარების, ფესვებისადმი ერთგულებისა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის ურთიერთშეხამებას.

## 2.4. ჩრდილოეთი + ცენტრი

ჩრდილოეთის გეოპოლიტიკის პირველადი ანალიზი (ჩრდილოეთი + ჩრდილოეთი) ემყარება „პოლარული ტრაპეციის“ გამოყოფას ერთიან დამაკავშირებელ რეგიონად, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას დამოუკიდებელ სივრცულ ფიგურად. ჩრდილოეთის ასეთი ვერტიკალური განვითარების ყველაზე მოქნილი მოდელის შექმნის საშუალებას იძლევა, ვინაიდან ყველაზე მდგრადი

გეოპოლიტიკური კონსტრუქცია არის ის, რომელიც შედგება თვითკმარი დამოუკიდებელი (შეზღუდული სახის) ელემენტებისაგან. თუმცა მსგავსი ფარდობითი დამოუკიდებლობა მოითხოვს განსაზღვრულ ტერიტორიულ მასშტაბს. რუსული ჩრდილოეთის „ტრაპეცია" პასუხობს ყველა აუცილებელ პირობას იმისათვის, რათა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ, რუსეთის შიდა „დიდ სივრცედ". უფრო მეტიც, ასეთმა ინტეგრაციულმა ავტონომიამ შეიძლება გარკვეულწილად გააწონასწოროს სახელმწიფოსათვის გარდაუვალი სტრატეგიული ცენტრალიზმი.

მეორე გეოპოლიტიკური თვალთახედვა მდგომარეობს ცენტრი-ჩრდილოეთის ღერძის გასწვრივ სისტემური ფუნქციონირების ანალიზში. ეს ღერძი იყო და რჩება ჩრდილოეთის ტერიტორიების ადმინისტრაციული მართვის ერთადერთ და მთავარ მიმართულებად. ცალკეული რეგიონები და ჩრდილოეთის ცენტრები უშუალოდ ექვემდებარებოდნენ მოსკოვს, რომელიც აკონტროლებდა ამ ტერიტორიათა განვითარების ყველა ძირითად ვექტორს. ასეთი აშკარა ცენტრალიზმი არ იძლეოდა ჩრდილოეთის შიდა გეოპოლიტიკური პოტენციის მაქსიმალურად შედეგიანი განვითარების საშუალებას და რეგიონები წინასწარ იყვნენ მიმართულნი მთელი ქვეყნის მასშტაბზე. მართალია, ეს მკაცრი ცენტრალიზმის რეჟიმის შენარჩუნების საშუალებას იძლეოდა, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად ამუხრუჭებდა შიდა შესაძლებლობების აღმოჩენას.

ლოგიკა გვკარნახობს, რომ ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობის საკითხი (ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, მოსკოვი-ჩრდილოეთი) უნდა დაიყოს ორ ნაწილად:

1) მკაცრი ცენტრალიზმი, მაკროპოლიტიკისა და სტრატეგიული დაქვემდებარების საკითხში;

2) ქვეყნის შიდა შესაძლებლობების მაქსიმალური გათავისუფლება ზღვრული კულტურული და ეკონომიკური ავტონომიის ხარჯზე.

სხვა სიტყვებით: სტრატეგიული ცენტრალიზმი + კულტურულ-ეკონომიკური რეგიონალიზმი.

როლების გეოპოლიტიკური გადანაწილების ყველაზე ეფექტური მოდელის შემუშავების დროს ხელახლა წამოიჭრება „ჩრდილოეთის დედაქალაქის" საკითხი, რომელსაც შეეძლება შუალედური როლის შესრულება ცენტრსა და დანარჩენ მხარეებს შორის. „ჩრდილოეთის დედაქალაქი", სამხედრო თვალსაზრისით, დააკავშირებს ბაზებს, სამხედრო ნაწილებს, პორტებს და ა. შ. გარდა ამისა, აქ განლაგდება „ჩრდილოეთის მთავრობა". ეს იქნება „პოლარული ტრაპეციის" ყველა ნაწილის პოლიტიკური კოორდინაციის მოქნილი ინსტანცია, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება მოსკოვს და ამავე დროს მის წინაშე მთელი ჩრდილოეთის სახელით წარსდგება. ეს შეიძლება იყოს „ჩრდილოეთის ხალხების პარლამენტი" და შესაბამისი აღმასრულებელი სტრუქტურები.

ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანია სამხედრო ხელმძღვანელობის რეგიონულ წარმომადგენლებთან ჰარმონიული შეხამების მიღწევა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, სტრატეგიული კონტროლის ცენტრალური ხასიათი შეეფარდება ჩრდილოეთის მიწების რეგიონული ნების გამოხატულებას. მოსკოვის სამხედრო წარმომადგენლისა და „ჩრდილოეთის ხალხების" სამოქალაქო წარმომადგენლის ტანდემი, ამ გეოპოლიტიკურ დედაქალაქში, შეიძლება გადაიქცეს მთელი

ევრაზიული სივრცის ცენტრთან მჭიდროდ დაკავშირებულ, მეტად ეფექტური და ოპერატიული, მოქნილი სისტემის იდეალურ წინაპირობად. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ინტეგრაციულ პროცესში ჩრდილოეთის ხალხებს შორის ეთნიკური და კულტურული დაკვები მინიმალური იქნება ისტორიულ და გეოგრაფიულ მიზეზთა გამო — განსახლებათა მიმოფანტულობისა და მოზაიკურობის, აგრეთვე, ეთნოსთა მცირერიცხოვნობის გამო.

სწორედ ჩრდილოეთშია საჭირო წმინდა გეოპოლიტიკურ წინაპირობებზე დამყარებული ამ სივრცული რეორგანიზაციის მოდელის გამოცდა. ასეთი პროექტისათვის ყველა პირობა არსებობს: ჩრდილოეთის ყველა რეგიონი რუსეთს ეკუთვნის, ტერიტორიული და დემოგრაფიული სირთულე არ არსებობს, მომწიფებულია სამრეწველო-ეკონომიკურ სისტემათა გადახალისების მოთხოვნილება, რომელთა ნაწილი ამოვარდნილია „შრომის გადანაწილების" საერთო ეროვნული სისტემიდან, აგრეთვე, დემოგრაფიული კრიზისი, ჩრდილოეთის ხალხებთან კრიტიკული დამოკიდებულება, ენერგეტიკული სისტემებისა და კომუნიკაციების მოშლა, სამხედრო ძალების აუცილებელი რეფორმა და ა. შ.

მოსკოვისა და ჩრდილოეთის ურთიერთობა უშუალოდაა დამოკიდებული ჩრდილოეთის რეგიონების ერთიან კავშირში გაერთიანებაზე და კიდევ ერთ მიზეზზე: რუსეთს აქვს განედური გეოგრაფიული სტრუქტურა, იგი განფენილია პარალელის გასწვრივ. მისი განვითარების ძირითად მიმართულებებს განედური დინამიკა ჰქონდათ. რუსეთის სახელმწიფო იქმნებოდა განედების გასწვრივ სივრცეეთა გაერთიანებების შედეგად, ამიტომ ძირითადი კომუნიკაციები და კავშირის სისტემები ამ მოდელის მიხედვით ყალიბდებოდა. განედური პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიხატა ციმბირის ათვისებასა და „ოკეანისაკენ ნახტომში". ამ მიზეზების გამო რუსეთის შიდა სტრუქტურის მდგრადობა უშუალოდაა დამოკიდებული სრულყოფილ და დინამიურ განედურ ინტეგრაციაზე. თუ რუსეთს მთლიანობაში განვიხილავთ, მაშინ მისი კონტინენტური და სტრატეგიული სრულფასოვნების მისაღწევად აუცილებელია მისი ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გასწვრივ განვითარება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ექსპანსიას მის ფარგლებს გარეთ, ვინაიდან სივრცის ნებისმიერი გეოპოლიტიკური მოწყობა ვერტიკალის გასწვრივ სტრატეგიული დამოუკიდებლობის მაქსიმალურ ხარისხს იძლევა. რუსეთის ფარგლებში ასეთი დამოუკიდებლობა სრულიად დაუშვებელია. აქ პირიქით, დაჟინებით უნდა მოვითხოვოთ სტრატეგიული ცენტრალიზმი რეგიონული სივრცეებისა და ცენტრის ურთიერთკავშირზე. ამიტომ შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ გეოპოლიტიკური კანონი: **რუსეთის შიგნით პრიორიტეტულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ინტეგრაციული ღერძი, რუსეთის გარეთ კი ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძი (მცირედი განსხვავებით ეს კანონი ასე ჟღერს: რუსეთისა და რუსების მიერ ეთნიკურად და პოლიტიკურად კარგად გაკონტროლებული სივრცეები მოითხოვენ განედურ ინტეგრაციას, მაშინ, როდესაც რუსეთის შიდა მიწები (რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებული პოლიტიკური სეპარატიზმის ისტორიული ტრადიციების მქონე სხვადასხვა ეთნოსებით) საჭიროებენ ინტეგრაციას მერიდიანული ნიშნით.**

დინამიკა დამოუკიდებლობას ანიჭებს მერიდიანის გასწვრივ პოლიტიკურ წარმონაქმნებს მარჯვენა და მარცხენა მეზობლებისაგან. ეს საჭიროა ქვეყნი-

სათვის, მაგრამ ზედმეტია ამ ქვეყნის ცალკეული სექტორებისათვის. დინამიკა პარალელის გასწვრივ, პირიქით, ცენტრს მჭიდროდ აკავშირებს პერიფერიასთან. ეს სასარგებლოა სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური მოწყობისათვის, მაგრამ სახელმწიფოთაშორისო დონეზე იგი კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს იწვევს.

ამ კანონზომიერების საფუძველზე, თუ გავითვალისწინებთ ჩრდილოეთის მიწების არა წმინდა გეოგრაფიული, არამედ ერთიანი კლიმატური და რელიეფური ზონისადმი კუთვნილებას (და ზოგიერთ შემთხვევაში ეთნიკურ) სიახლოვეს სხვა (სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ) მხარეებთან, აუცილებელია მოვითხოვოთ ამ რეგიონების განედური გაერთიანება. ჩრდილოეთის განედური გაერთიანება ხელს შეუწყობს მის კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებას, სამაგიეროდ ხელს შეუწყობს პოტენციური პოლიტიკური და სტრატეგიული სუვერენიტეტის შექმნის წინამძღვრებს. მხოლოდ ასეთ სტრუქტურას შეუძლია მაქსიმალურად დადებითად გადაჭრას „ცენტრი-პერიფერიის" დამოკიდებულების საკითხი.

## 2.5. ფინეთის საკითხი

ერთადერთი საერთაშორისო პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის ჩრდილოეთთან არის კარელიის (და ფინეთის) პრობლემა. კარელიის ეთნოსი ენათესავება ფინურს და მასთან დაკავშირებულია კულტურულ-ისტორიული ერთობით. თუ ვიხელმძღვანელებთ განედური ინტეგრაციის ლოგიკით, კარელიის საკითხი ანომალიად წარმოგვიდგება. აქ შეიძლება არსებობდეს ორი თვალსაზრისი.

პირველი მდგომარეობს კარელიისა და ფინეთის საზღვრის გეოპოლიტიკურ სრულყოფასა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გასწვრივ კარელიის რესპუბლიკის გაერთიანებაში ძველთაძველ რუსულ რეგიონებთან ონეგისა და ლადოგის ტბების გარშემო. განვითარების ასეთი ვექტორი ხელოვნურია და იგი უნდა გამოვიყენოთ უკიდურეს შემთხვევაში, ვინაიდან ეთნიკური ერთობის წმინდა პოლიტიკური საზღვრის ხელოვნური გახლეჩა ადმინისტრაციული ხაზით არასოდეს მატებს რეგიონს გეოპოლიტიკურ მდგრადობას. საქმე მწვავდება იმითაც, რომ კარელია-ფინეთის საზღვარი წარმოადგენს ადვილად გადასალახ ტყიან და ჭაობიან რელიეფს და აქვს დიდი ფართობი. ასეთი საზღვრის საიმედოდ დაცვა უაღრესად რთული და საკმაოდ ძვირი საქმეა.

მეორე თვალსაზრისი გულისხმობს კულტურულად და, ნაწილობრივ, ეკონომიკურად ერთიანი კარელია-ფინეთის გეოპოლიტიკური ზონის შექმნას, რომელიც შემდგომში ევრაზიის ცენტრის სტრატეგიულ საყრდენად იქცევა. ევროპულ ენებში ხშირად იხმარება ტერმინი „ფინეთიზაცია", იგი ცივი ომის მსვლელობის დროს შეიქმნა. ამ ტერმინში იგულისხმება ნომინალურად ნეიტრალური სახელმწიფო კაპიტალისტური ეკონომიკით, რომელიც სტრატეგიულად საბჭოთა კავშირისაკენ, Heartland-ისაკენ იხრება. ფინეთი უაღრესად ცვალებადი და დამოუკიდებელი არსებობისაგან შორს მდგომი წარმონაქმნია, რომელიც, ბუნებრივად და ისტორიულად, რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში შედის. ეს მეღავნდებოდა ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში. ცენტრს კარელია-ფინეთის გაერთიანების ფართო ავტონომიის დაშვება შეუძლია მხოლოდ







1. არქტიკული ტრანზიტის „რუსეთის ციმბირთან", ურალსა და ცენტრალურ რუსეთთან მაკავშირებელი ღერძები.
2. „რუსეთის ჩრდილოეთის" ძირითადი გეოპოლიტიკური ვექტორები.

ერთი პირობით — სტრატეგიული კონტროლი ბოტნიის სრუტეზე და ევრაზიული სასაზღვრო ჯარების განლაგება ფინეთ-შვედეთისა და ფინეთ-ნორვეგიის საზღვარზე, რაც საზღვრის სიგრძეს ორჯერ შეამცირებს (თანაც აღნიშნული საზღვრები რელიეფური თვალსაზრისით გაცილებით ძნელი გადასალახია, ვიდრე კარელია-ფინეთის საზღვარი), გარდა ამისა, რუსეთი მიიღებს ბალტიის

ზღვის ჩრდილოეთიდან გაკონტროლების საშუალებას.

მეორე თვალსაზრისი უფრო ხელსაყრელია და კონტინენტურმა ცენტრმა სწორედ ამგვარი ტაქტიკა უნდა მიუსადაგოს სახელმწიფოს საზღვრებთან მდებარე ყველა ეთნიკურ და კულტურულ ზონას. გახლეჩილი ეთნიკური ერთობა შესაბამისად მოასწავებს სასაზღვრო ზონისა და საზღვრების ცვალებადობას. ატლანტელი მოწინააღმდეგე ადრე თუ გვიან შეეცდება ხელიდან არ გაუშვას ეს მდგომარეობა, რათა ეთნიკური ინტეგრაცია თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს (ანუ გააძლიეროს კონტროლი Rimland-ზე და შეასუსტოს Heartland). ამიტომ, კონტინენტურმა ძალებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ანალოგიური ტაქტიკა და არ უნდა შეეშინდეთ კულტურული და, ნაწილობრივ, ეკონომიკური სუვერენიტეტის დათმობა სასაზღვრო ხალხებისათვის, სტრატეგიული კონტროლისა და პოლიტიკური დაყვავების სანაცვლოდ.

როდესაც საზღვრების მდგრადობა ვერ მიიღწევა უშუალო სამხედრო ან პოლიტიკური ექსპანსიის გზით, საჭიროა გამოვიყენოთ ასეთი მოქნილი ვარიანტი, შუალედური, რომელსაც თალასოკრატია მუდმივად და წარმატებით იყენებს ევრაზიის წინააღმდეგ.

## 2.6 ჩრდილოეთი და არა მხოლოდ ჩრდილოეთი

რუსული ევრაზიის არქტიკული სანაპიროს გეოგრაფიული თავისებურება, ჩრდილოეთისა და დანარჩენი რეგიონების ურთიერთობას უფრო გამარტივებული ფორმულით „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სახით წარმოადგენს, ვინაიდან განედური პრობლემები (სწორედ დასავლეთთან მიმართებაში) მხოლოდ კარელიასთან დაკავშირებით წარმოიშობა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს იაკუტია, რომელსაც, უაღრესად ხელოვნური, მაგრამ ისტორიულად არსებული პოლიტიკური სეპარატიზმის ტენდენცია გააჩნია. რაც ჩანს მაკინდერის ევრაზიის გვიანდელ კლასიფიკაციაში, სადაც მან გამოჰყო „Lenaland“, „მდინარე ლენას მიწები“, ხოლო იაკუტია (სახა) წარმოადგენს იმ რეგიონის ღერძს, რომელიც ვრცელდება ლაპტევების ზღვიდან ამურის მხარემდე და ალტაიმდე სამხრეთით.

იაკუტიის საკითხი, მისი მნიშვნელობისა და თავისებურებების გამო, ცალკე უნდა განვიხილოთ.

ამჟამად კი დავიწყოთ „ჩრდილოეთის ტრაპეციის“ დასავლეთ ნაწილიდან. აქ გამოიყოფა კოლის ნახევარკუნძული, მურმანსკი და კარელიის რესპუბლიკა. ფინეთთან ერთად ყოველივე ეს ქმნის ერთიან გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ სექტორს, რომლის გაერთიანება ყველაზე ეფექტური იქნება დამოუკიდებელ და დასრულებულ სისტემაში, რომელშიც სამხედრო გადაწყვეტილებათა ცენტრის სტრატეგიული პრიორიტეტებითა და თვისებებით აღჭურვილი იქნება მურმანსკის ოლქი და თვითონ მურმანსკი. ხოლო კარელია-ფინეთის სივრცეს მიენიჭება ფართო კულტურულ-ეკონომიკური სუვერენიტეტი. ამ შემთხვევაში მურმანსკის მხარის გაზრდა შეიძლება ფინეთის — ფინური ლაპლანდიის ჩრდილოეთ რაიონების ხარჯზე. მურმანსკსა (მოსკოვის სტრატეგიულ პროექციასა) და კარელია-ფინეთის სივრცეს შორის წონასწორობა კონტინენტის ევრაზიული მოწყობის კონკრეტული გამოხატულება იქნებოდა

— იგი გადაიქცევა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებულ პირობებში „ახალი ფინეთიზაციის“ მაგალითად.

ამ ბლოკის შემდგომ გადაადგილებას სამხრეთისაკენ განვიხილავთ რუსული დასავლეთისადმი მიძღვნილ თავში. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უმთავრესი სტრატეგიული ღერძი იქნება მურმანსკი-მოსკოვის ღერძი.

შემდეგ მოდის არხანგელსკის მხარე. ზოგადი წესებიდან ამ შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ გამონაკლისი და აღვნიშნოთ ინტეგრაციის მნიშვნელობა არა მხოლოდ ჩრდილოეთი-ჩრდილოეთის განედის, არამედ მერიდიანის გასწვრივაც. საქმე იმაშია, რომ არხანგელსკის მხარე მდებარეობს რუსეთის ცენტრალურ-ევროპული ნაწილის ზემოთ, მაშასადამე, ამ ვერტიკალური სექტორის სუვერენიტეტის იდეა (თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე) სრულიად გამორიცხულია, ვინაიდან იგი სწორედ რომ რუსეთის საკუთრებაა. ამიტომ არხანგელსკი და არხანგელსკის მხარე იმ სტრატეგიულ პოზიციაში იმყოფება, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს ცენტრის ინტერესებს ჩრდილოეთის სტრატეგიული ინტეგრაციის შესახებ. მოსკოვი-არხანგელსკის ღერძი ერთადერთია შიდა „გეოპოლიტიკური სხივებიდან“, რომელიც არ წარმოადგენს უბრალო სამხედრო-სტრატეგიულ კონსტრუქციას. აქ აუცილებელია სამხრეთთან მაქსიმალური და მრავალმხრივი ინტეგრაციის მიღწევა, ხოლო გადასვლა ვოლოგდის ოლქის მეჩიდრო დასახლებული რაიონებიდან ზღვისპირეთის მეჩხერი მოსახლეობისაკენ შეძლებისდაგვარად თანაბრად უნდა განორციელდეს. რუსული მოსახლეობის მიგრაცია ჩრდილოეთში, მისი აქტიური ათვისება, განვითარება და გარდასახვა სწორედ არხანგელსკიდან უნდა დაიწყოს. ეს უმსხვილესი პორტი ძალიან მომგებიან პოზიციაში იმყოფება ჩრდილოეთის დანარჩენ დასახლებულ პუნქტებთან შედარებით, ამიტომ ყველაზე ლოგიკური იქნება არხანგელსკის არჩევა „არქტიკული პაქტის“ დედაქალაქად. მოსკოვი-არხანგელსკის ღერძის განვითარება ყოველმხრივი და პრიორიტეტული უნდა იყოს. მთელ ჩრდილოეთში ამ ერთადერთი მერიდიანული ინტეგრაციის ხარისხსა და დინამიკაზე იქნება დამოკიდებული „არქტიკული პაქტის“ თავისუფლება და ეფექტურობა.

აღმოსავლეთით, ჩრდილოეთის ზონაში შედის ორი ადმინისტრაციული წარმონაქმნი, ნენის ავტონომიური ოლქი და კომის რესპუბლიკა. ამ სივრცეების ინტეგრაციას არავითარი უარყოფითი მხარე არ აქვს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ნენის ავტონომიური ოლქის უმნიშვნელო რაოდენობის მოსახლეობას. არხანგელსკთან სიახლოვე ამ რეგიონის აქტიურად და პრიორიტეტულად განვითარების საშუალებას იძლევა. დიდი მნიშვნელობა აქვს კუნძულების — ახალი მიწისა და ფრანც-იოსების მიწის ათვისებას. ამ არქტიკულ მიწებს საკონტინენტთაშორისო დაპირისპირებათა დროს უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. ეს არის პოლუსთან და, შესაბამისად, აშშ-სთან ყველაზე ახლო მდებარე რუსული ტერიტორიები. ისინი სამხედრო-სტრატეგიულ ბაზებად გამოიყენება. ისევე, როგორც კარელია და მურმანსკი, ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე სივრცეები უპირატესად სამხედროების მიერ კონტროლდება, მაშინ როდესაც სამხრეთში უფრო მეტად სამოქალაქო ადმინისტრაციაა განვითარებული. მთელი რეგიონის ცენტრია ვორკუტა, სადაც თავს იყრის ძირითადი კომუნიკაციები და მიმოსვლითი გზები.

ვორკუტა მსხვილი სამრეწველო და სტრატეგიული ცენტრია, რომელიც

მდებარეობს იამალო-ნენის და ოლქის მახლობლად, აქ არ არსებობს მსგავსი მნიშვნელობის სხვა ცენტრი. მაშასადამე, ვორკუტას შეუძლია გააკონტროლოს კარის ზღვის სანაპიროებიდან ენისეის შესართავამდე და ობის აუზის შესართავამდე გადაჭიმული გიგანტური ტერიტორია. ამ მხრივ იამალისა და ნენის ოლქთან გეოგრაფიულად ახლოს დგას ხანტი-მანსიის ოლქი. ისინი ორივე შედიან ერთიან გეოპოლიტიკურ სექტორში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში თუ „ჩრდილოეთ ტრაპეციის" სამხრეთი საზღვარი იქნება კომის რესპუბლიკა, მაშინ მას ექნება დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში ჩრდილოეთ ურალის რეგიონის ინტეგრაციული პროცესები დანარჩენ ურალთან (და ჩრდილოეთ ვოლგისპირეთთან) არა მხოლოდ მიზანშეუწონელია, არამედ აშკარად მავნეა, ვინაიდან სამხრეთ-დასავლეთით (კომი-პერმის ოლქის იქით) განლაგებულია თათარსტანი, სადაც სეპარატისტულ ტენდენციებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. თათარსტანი, რომელიც რუსული მიწების შუაგულში მდებარეობს, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს, თუმცა ყველა ანალოგიურ შემთხვევაში „სეპარატისტული ლოგიკა" მოითხოვს ზღვებისაკენ ან უცხო ტერიტორიებისაკენ გასასვლელის ძიებას, ამიტომ, ამ შემთხვევაში, ნებისმიერი ინტეგრაციული პროცესი ვერტიკალის გასწვრივ, ადრე თუ გვიან, შეიძლება საკმაოდ საშიში აღმოჩნდეს. აქ აუცილებელია სპირისპირო გზაზე დადგომა (არხანგელსკის ოლქის შემთხვევისაგან განსხვავებით), თანაც მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ მთელი ჩრდილოეთ ურალის რეგიონისა და მის აღმოსავლეთითა და დასავლეთით მდებარე მეზობელი სექტორების ჩამოშორებას ვოლგისპირეთიდან და ურალიდან. ამ შემთხვევაში „ჩრდილოეთის ტრაპეცია" აუცილებლად უნდა გამოეყოს სამხრეთით განლაგებულ მთელ კონტინენტურ სივრცეს.

კიდევ უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს ენისეის აუზის მიწები, რომელიც ადმინისტრაციულად ტაიმირისა და ევენკის ავტონომიურ ოლქებსა და ყოფილი ტურუხანსკის, ამჟამად კი კრასნოიარსკის მხარის ჩრდილოეთ ნაწილში შედის. ამ რაიონში გამოირჩევა ნორილსკი, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს ამ გიგანტური რეგიონის ცენტრი. ამ შემთხვევაში, მერიდიანული დინამიკა ჩრდილოეთ-სამხრეთ ღერძის გასწვრივ არ გამოირიცხება, ვინაიდან სამხრეთ ციმბირი ომსკიდან ბაიკალამდე მჭიდროდაა დასახლებული რუსებით, ამიტომაც ამ მიმართულებით ინტეგრაციას განსაკუთრებული საფრთხის მოტანა არ შეუძლია. მთელი ეს ბლოკი მდებარეობს იმ შუალედურ ტერიტორიაზე, სადაც მთავრდება ტერიტორიის მეტნაკლებად თანაბრად დასახლებული ზონა და იწყება მაკინდერის „Lenaland", „უპატრონო მიწა". ეს ზონა და უფრო აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია წარმოადგენენ გიგანტურ კონტინენტურ უდაბნოს, ჩრდილოეთში უსიცოცხლო ტუნდრით, ხოლო სამხრეთში გაუვალ ტაიგას. ეს „პოტენციური სივრცეა". სამხრეთიდან იგი ნაწილობრივ ათვისებულია რუსებისა და შედარებით განვითარებული პოლიტიკური კულტურის მქონე ძველი თურქულ-მონღოლური ხალხების მიერ. თუმცა ნამდვილ ჩრდილოეთში იგი წარმოგვიდგება, როგორც „no man land". ასეთი მდგომარეობის სწრაფად, ერთი ნახტომით შეცვლა არ შეიძლება, მაშასადამე გიგანტური რეგიონი ცენტრით ნორილსკში კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში იარსებებს, როგორც კონტინენტური რუსეთის „შიდა საზღვარი" ჩრდილო-

აღმოსავლეთში და ცენტრის სტრატეგიული ფორპოსტი ჩრდილოეთში. ეს ლოგიკურად გვიბიძგებს ნორილსკის, შესანიშნავი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ქალაქის, განსაკუთრებული განვითარების აუცილებლობისაკენ. მას ევალება ჩრდილოეთში ტაიმირზე (და კუნძულ ჩრდილოეთის მიწაზე), ხოლო სამხრეთში ენისეის აუზზე კონტროლის განხორციელება, ამასთან ერთად, ამ წერტილიდან უნდა იწყებოდეს ცენტრის ნაკლებად ფართო ანუ მეტად შევიწროებული, ვიწროდმიმართული კონტროლის ზონა ევრაზიის „შორეულ ჩრდილო-აღმოსავლეთზე", Lenaland-ზე.

მაკინდერის Lenaland მოიცავს იაკუტიას, ჩუკოტკას, კამჩატკას, მაგადანის, ხაბაროვსკის, ამურისა და ზღვისპირეთის მხარეს, სახალინისა და კურილიის კუნძულებს. მთელი სივრცე იყოფა ორ გეოპოლიტიკურ ოლქად — ერთი მხრივ, ესაა „ჩრდილოეთ ტრაპეციის" ფრაგმენტი, ხოლო მეორე მხრივ — სამხრეთ იაკუტია, ამურისპირეთი, ზღვისპირეთის მხარე და ხაბაროვსკის მხარის სამხრეთის ნახევარი. ორივე სივრცე თვისობრივად სრულიად განსხვავებულია. სამხრეთ ნაწილი, განსაკუთრებით ოხოტისა და იაპონიის ზღვები, შედარებით მჭიდროდაა დასახლებული, აქვს ძველი პოლიტიკური ტრადიციები, წარმოადგენს საკმაოდ აქტიური ევრაზიული ეთნოსების საცხოვრებელ ადგილს. ტექნიკური განვითარებისა და კლიმატური თვალსაზრისით, სამხრეთ სექტორი წარმოადგენს სამხრეთ ციმბირის გაგრძელებას.

სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაა Lenaland-ის ჩრდილოეთ ნაწილში. ეს არის ევრაზიის ყველაზე განუვითარებელი და „ველური" ნაწილი, გიგანტური მატერიკული ფენა, ჩანასახოვანი ინფრასტრუქტურითა და, პრაქტიკულად, მოსახლეობის გარეშე. ამ რეგიონში ერთადერთ მსხვილ ცენტრს წარმოადგენს მაგადანი, თუმცა იგი არის პორტი, რომელიც ძალიან სუსტადაა დაკავშირებული კოლიმის, ჩრდილოეთ იაკუტიის უსაზღვრო კონტინენტურ სივრცეებთან. ანადირი ჩუკოტკაზე, ასევე, არ წარმოადგენს ცენტრს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და, ასევე, არ არის დაკავშირებული კონტინენტთან. ეს სექტორი, საზღვაო საზღვრებით ბრწყინვალედ დაცული, მრავალრიცხოვანი სასარგებლო წიაღისეულის მქონე (თუმცა ამასთან სრულიად განუვითარებელი და აუთვისებელი) პოტენციურ მდგომარეობაში მყოფი გამოცალკევებული მატერიკია. ციმბირის ეს ნაწილი გამოსულია ისტორიის საზღვრებიდან და, ძირითადად, სწორედ მას ეხება შპენგლერის ფუტუროლოგიური წინასწარმეტყველება „მოსალოდნელი ციმბირული ცივილიზაციის" შესახებ. ეს არის ძველი სამყაროს უნიკალური სექტორი, რომელსაც ჯერაც არ უთქვამს თავისი სიტყვა ცივილიზაციის ისტორიაში და არაფრით გამოუვლენია საკუთარი გეოპოლიტიკური ფუნქცია.

ამ რეგიონის ასეთი განუვითარებლობა იხსნება ე. წ. „ცივილიზაციის სამდინარო (პოტამიური) თეორიის" საფუძველზე, რომლის თანახმადაც რეგიონის კულტურული განვითარება გაცილებით სწრაფად მიმდინარეობს იმ შემთხვევებში, როდესაც ძირითადი მდინარეების კალაპოტები მასში მდებარეობს არა ერთმანეთის პარალელურად, არამედ ერთმანეთის გადამკვეთ პოზიციაში. ციმბირი (განსაკუთრებით აღმოსავლეთ ციმბირი) ამ პრინციპის კლასიკური მტკიცებულებაა, ვინაიდან აქ ყველა მსხვილი მდინარე, ერთმანეთის გადაუკვეთავად, ერთი მიმართულებით მიედინება. თუმცა, განვითარების დაგვიანება არ არის წმინდა ნეგატიური მახასიათებელი. ისტორიული




„რუსეთის ჩრდ ლოეთის" გეოპოლიტიკური სექტორები. 1. კარელია-ფინეთის; 2. არხანგელსკის (განსაკუთრებულად ა დაკავშირებული ცენტრთან); 3. სიკტივკარის; 4. ვორკუტის; 5. ხანტი-მანტიი ; 6. ტ ი ირ (ნორილი); 7. ჩრდილოეთ იაკუტიის (იაკუტის დანარცენი რეგიონებისა-გან განსაკუთრებით გამოყოფილი); 8. ჩუკოტკის; 9. მაგადანის; 10. კამჩატკის.

ჩამორჩენილობა უმნიშვნელოვანესი ისტორიული გამოცდილების დაგროვების საშუალებას იძლევა (სხვა ტერიტორიებისა და ერების ისტორიების გააზრების საფუძველზე). ეს განსაზღვრული ვითარებების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გახდეს არნახული აღმაფრენის სიწინდარი.

წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით, Lenaland-ის ჩრდილოეთ ნახევარი განხილვას მოითხოვს ერთიან გეოპოლიტიკურ კომპლექსში. აქ წარმოიშობა ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა. რომელი ცენტრის ირგვლივ შეიძლება ჩამოყალიბდეს ეს მოსალოდნელი გეოპოლიტიკური წარმონაქმნი? როგორ ორიენტაციას აიღებს ის? თვით მაკინდერის ყოყმანის ფაქტი იმის შესახებ, მიეკუთვნებინა თუ არა Lenaland „ისტორიის გეოგრაფიული ღერძისათვის", მიუთითებს საკითხის ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლებლობაზე. ეს საკმარისია, რათა კონტინენტურმა სტრატეგიამ მოცემულ სექტორს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს.

ცხადია, რომ მიზნის მაქსიმუმს წარმოადგენს ამ მხარის ჩართვა „არქტიკის პაქტში" ცენტრის (მოსკოვის) კონტროლის ქვეშ და ჩრდილოეთ სარტყლის სხვა მეორად ცენტრებთან შეფარდება. თუმცა აქ წარმოიშობა ორი წინააღმდეგობა:

1) ამ რეგიონის ცენტრში არ არსებობს მსხვილი სტრატეგიული პუნქტი, რომლის გარშემოც შესაძლებელი იქნება ინტეგრაციული სისტემის მოწყობა;

2) იაკუტიის (რესპუბლიკა სახა) ღერძული მდგომარეობა ამ რეგიონში, რასაც განსაკუთრებულად ართულებს იაკუტიელებში არსებული, უმნიშვნელო, მაგრამ ისტორიულად დაფიქსირებული „სეპარატიზმი".

ამ შემთხვევაში „არქტიკული ტრაპეციის" ჩრდილოეთ ნახევარის

სამხრეთთან შეფარდება იძენს დრამატულ ხასიათს, ვინაიდან იაკუტიას გააჩნია ისეთი სტრატეგიული მდებარეობა, რომელიც მოსკოვისაგან დამოუკიდებელ, თავისუფალ რეგიონად გადასაქცევად ყველა წინაპირობას იძლევა. ამას ხელს უწყობს დიდი სანაპირო ხაზი, რესპუბლიკის ტერიტორიის მერიდიანული სტრუქტურა, მისი ტექნიკური განვითარება ციმბირის სხვა ჩამორჩენილ რეგიონებთან შედარებით და სხვ.

ვითარებათა გარკვეული შეხამების შემთხვევაში სწორედ იაკუტია შეიძლება გახდეს ატლანტური სტრატეგიის ძირითადი ბაზა, საიდანაც, თალასოკრატია გარდაქმნის ევრაზიის წყნარი ოკეანის სანაპიროს და შეეცდება მის გადაქცევას „საზღვაო მმართველობის" დაქვემდებარებულ კლასიკურ Rimland-ად.

წყნარი ოკეანის არეალისადმი ატლანტისტების გაზრდილი ყურადღება და მაკინდერის მიერ Lenaland-ის საკმაოდ ხაზგასმით გამოყოფა განსაკუთრებულ კატეგორიად, ხოლო შემდგომში ამ ტერიტორიის ჩართვა Rimland-ის ზონაში ატლანტისტი სფიქმენისა და კირკის რუკებში — ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში ანტიკონტინენტური ძალები შეეცდებიან ცენტრთან სუსტად დაკავშირებული მთელი ამ რეგიონის გამოყვანას ევრაზიის დაქვემდებარებიდან.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1) მკვეთრად უნდა შეიზღუდოს იაკუტიის იურიდიული პოლიტიკური სუვერენიტეტი;

2) იაკუტია უნდა დაიყოს ორ ან რამდენიმე რეგიონად, ამასთანავე ყველაზე მნიშვნელოვანია ლაპტევების ზღვის სანაპიროსა და აღმოსავლეთ ციმბირის ზღვის რეგიონის გამოყოფა მდინარე ლენას კონტინენტური აუზიდან. აუცილებელია, აგრეთვე, მაქსიმალურად გაიზარდოს წყნარი ოკეანის სანაპიროდან იაკუტიის საზღვრების დაცილების ზონა და გაძლიერდეს სტრატეგიული კონტროლი ამ სანაპირო ზონებზე;

3) დამყარდეს მოსკოვის წარმომადგენლის სპეციალური, მკაცრი კონტროლი მთელ ტერიტორიაზე;

4) გაუკეთდეს ორგანიზება იაკუტიის სამრეწველო-ფინანსურ ინტეგრაციას სხვა რეგიონებში, ოღრე მაქსიმალურად დაექვემდებაროს ცენტრს ან მის პროექციას ჩრდილოეთსა და სამხრეთ ციმბირში.

აღნიშნული ღონისძიებები გულისხმობს ამ ტერიტორიის ისეთ რეორგანიზებას, რომელიც შექმნის სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ კონსტრუქციას — ახალ ცენტრს და ახალ სხივურ კავშირებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ მოხდება Lenaland-ის რეორგანიზება ატლანტური სცენარის მიხედვით და სანამ ეს ოღრე არის რუსეთის შემადგენლობაში, აუცილებელია კონტინენტური Lenaland-ის დროულ მშენებლობაზე გადასვლა ევრაზიული მოდელის შესაბამისად.

ამ სექტორისათვის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას განსაკუთრებული თავისებურება აქვს: აქ, ამ ღერძის გასწვრივ, აუცილებელია არა მხოლოდ კონტაქტების შეზღუდვა, არამედ მთელი ჩრდილოეთის სივრცის ხელახალი რეორგანიზება და იაკუტიის კონტინენტური სივრცეებისაგან მისი პოლარული და სანაპირო ზონების მოწყვეტა. ეს არის არა მხოლოდ თავდაცვითი ნაბიჯი, არამედ ეს არის გეოპოლიტიკური

შეტევა, პოზიციური ომი Lenaland-ისათვის, ციმბირის მომავალისათვის, მისი კონტინენტური მომავლისათვის. ჯერჯერობით ამ საკითხს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ შიდა პოლიტიკური მნიშვნელობა. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ იგი გადაიქცეს საგარეო პოლიტიკურ საკითხად და შეიძინოს საერთაშორისო მნიშვნელობა.

## 2.7. რეზიუმე

რუსეთში შემავალი ევრაზიული მატერიკის ჩრდილოეთის სარტყელი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ რეალობას, რომლის მნიშვნელობა განუწყვეტლივ გაიზრდება მსოფლიო დინამიკის განვითარებასთან ერთად. ამასთანავე ეს რეგიონი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის გეოპოლიტიკური სტატუსის — „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" — განმტკიცებაში.

მხოლოდ ატლანტიზმის, თალასოკრატიის, როგორც თავისი ძირითადი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის განსაზღვრისას იძენს ჩრდილოეთის მთელი სისტემა რეალურ სტრატეგიულ სისრულეს. სამხედრო დოქტრინის ან საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე გეოპოლიტიკური დუალიზმის აღიარებაზე უარის თქმით ეს თემა მაშინვე აზრს კარგავს. ამასთან გარდაუვალია რუსული ჩრდილოეთის არა მხოლოდ სწრაფი დაკნინება, არამედ შორეულ პერსპექტივაში, მისი დანაწევრება და ზოგიერთი რეგიონის რუსეთიდან ჩამოშორებაც კი.

დღესდღეობით გეოპოლიტიკური პროცესების საერთო რიტმი ისეთია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ გეოპოლიტიკურ მუდმივებთან შესაბამისობაში, ჩრდილოეთის გეოპოლიტიკური რეორგანიზაციის საკითხი უაღრესად აქტიური და არსებითია. მხოლოდ იმისათვისაც კი, რათა შენარჩუნებულ იქნას სტატუს ქვო, აუცილებელია დაიწყოს ამ სივრცეთა გეოპოლიტიკური რეორგანიზება.

რუსეთის მომავალი პირდაპირ კავშირშია ჩრდილოეთის გეოპოლიტიკურ მომავალთან. ეს კანონი წარმოადგენს მომავალი გეოპოლიტიკის საფუძველს.

ჩრდილოეთი — ეს მომავალია, ეს ბედისწერაა.

# თავი 3. აღმოსავლეთის გამოწვევა

## 3.1. „შიდა აღმოსავლეთი" (ცნების შინაარსი)

რუსეთის აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური პრობლემების განხილვისათვის გამოვიყენოთ იგივე მეთოდი, როგორიც ჩრდილოეთის შემთხვევაში და საკითხი გავყოთ სამ შემადგენელ ნაწილად:

1) ცენტრი — აღმოსავლეთი;

2) აღმოსავლეთის სექტორების ურთიერთკავშირი;

3) ამ სექტორთა კავშირი სხვა რეგიონებთან და რუსეთის გეოპოლიტიკურ ზონებთან;

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განვსაზღვროთ, რა იგულისხმება „რუსეთის აღმოსავლეთში". საჭიროა ახლავე გავუსვათ ხაზი წმინდა გეოგრაფიულ აღმოსავლეთსა და კულტურულ, ცივილიზებულ, ისტორიულ აღმოსავლეთს შორის განსხვავებას. კულტურულ აღმოსავლეთს ეკუთვნის ჩრდილოეთ აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, წინა აზია, შუა აზია პაკისტნის ჩათვლით

(ისლამური სამყარო), ფილიპინები და ინდოეთი მაშინ, როცა ჩინეთი და ინდოჩინეთი, აგრეთვე, წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები იწოდებიან და ერთიანდებიან ცნებაში — „შორეული აღმოსავლეთი". რუსეთის პოზიციიდან, გეოგრაფიულად, ეს სივრცე წარმოადგენს შორეული მაღრიბული დასავლეთიდან წყნარი ოკეანის შორეულ აღმოსავლეთამდე გადაჭიმულ სამხრეთს.

მეორე მხრივ, კი თვითონ რუსეთის ფარგლებში აღმოსავლეთად წარმოგვიდგება სრულიად სხვაგვარი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური რეალობა — ეს არის ვოლგისპირეთიდან (თათრეთიდან) წყნარ ოკეანემდე გადაჭიმული ტერიტორია. ამ გეოპოლიტიკურ თანრიგს შეიძლება ეწოდოს „რუსეთის აღმოსავლეთი" ან შიდა „აღმოსავლეთი". რუსეთის შიდა გეოპოლიტიკის შესწავლისას „აღმოსავლეთში" უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ეს მეორე ცნება — „შიდა აღმოსავლეთი" — ის გეოგრაფიული ტერიტორიები, რომლებიც მდებარეობენ ცენტრიდან მოსკოვის აღმოსავლეთით.

ასეთ შემთხვევაში კავკასია და შუა აზია მოექცევიან „სამხრეთის" კატეგორიაში და განხილული იქნება შესაბამის თავში.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ რუსეთის შიდა გეოპოლიტიკას განვიხილავთ როგორც „ღია სისტემას", რომელიც არ თანხვდება რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ საზღვრებს, „გეოპოლიტიკური სხივების" მეთოდიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური ზონების გამოყოფა ნაწილობრივ ეხება მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებს, განსაკუთრებით მაშინ თუ მათ შორის არსებობს გეოპოლიტიკური, ეთნიკური და გეოგრაფიულ-ლანდშაფტური ერთობა. ამ მიზეზით რუსეთის „შიდა აღმოსავლეთად" შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც სამხრეთ ურალი, ასევე, ჩრდილო ყაზახეთი აკტიუბინსკიდან სემიპალატინსკამდე — დაახლოებით 50-ე განედის გასწვრივ არსებული ტერიტორია. გარდა ამისა, მონღოლეთი, სინ-ძიანი და მანჯურია, გეოპოლიტიკურად შედიან რუსეთის სამხრეთ სექტორში. შესაბამისად, მთელი სამხრეთ ციმბირი, ალტაი, ტუვა, ბურიატია, ამურისპირეთი და ზღვისპირეთი (აგრეთვე, ხაბაროვსკის მხარის სამხრეთის ნახევარი) შედის „შიდა აღმოსავლეთის" ზოლში „ჩრდილოეთის ტრაპეციის" სამხრეთით განლაგებულ ცენტრალურ რეგიონებთან ერთად.

ამრიგად, „შიდა აღმოსავლეთად" უნდა მივიჩნიოთ ყაზანიდან და ურალიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმული მართკუთხედი.

## 3.2. „რუსული ციმბირის" ზოლი (აგებულება)

კლიმატურად რუსეთის აღმოსავლეთი მკვეთრად განსხვავდება ჩრდილოეთისაგან. ეს არის ზონა ზომიერი კონტინენტური ჰავით. ვოლგისპირეთსა და ურალში, აგრეთვე ციმბირსა და ზღვისპირეთში უპირატესად ტყიანი ზონებია. ხოლო ჩრდილოეთ ყაზახეთიდან ბაიკალამდე სტეპები, რომელიც თანდათან სოლისებურად ვიწროვდება. ალტაი და ამურისპირეთი წარმოადგენს მცირე სიმაღლის მთათა მასივებს. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული და წარმოადგენს საცხოვრებლად და სამეურნეოდ ხელსაყრელ რელიეფს.

რუსეთის შიდა აღმოსავლეთის ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ რუსები, რომლებიც მიმოფანტულნი არიან







1. „რუსული ციმბირი". აღმოსავლეთი ტერიტორიები დასახლებულია ძირითადად რუსებით.
2. რუსეთის ყველაზე სუსტი ადგილი. თათარსტანის შესაძლო ალიანსმა სამხრეთით ყაზახეთთან და კომის გავლით ყინულოვან ოკეანეზე გასვლამ შეიძლება დაარღვიოს ევრაზიის მთელი კონტინენტური მოწყობილობა.

ეროვნულ რესპუბლიკებში, ხოლო კომპაქტურად ცხოვრობენ ციმბირის მიწებზე. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ეთნიკური ზონა, რომელიც თანხვდება ავტონომიებისა და რესპუბლიკების საერთო ფარგლებს.

ვოლგისპირეთში მდებარეობს თათარსტანი, საკმაოდ მონოლითური ეთნიკური წარმონაქმნი, პოლიტიკური დამოკიდებულობისა და რუსეთთან გარკვეული პაექრობის შემონახული ტრადიციებით, ეს ყველაზე მეტად მგრძნობიარე რეგიონია (რუსეთის მთლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით), ვინაიდან თათართა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა ძლიერაა განვითარებული. ყველაზე მთავარი ფაქტორი, რომლის გამო „თათრული სეპარატიზმის" პრობლემა მეორეხარისხოვნად იქცევა, არის თათარსტანის გეოგრაფიული მდებარეობა — მას არ აქვს საზღვაო საზღვრები, მდებარეობს კონტინენტური

სივრცის შუაში და ემეზობლება რუსულ სახელმწიფოს. სანამ გეოპოლიტიკური ვითარება ასეთია, მანამდე იგი რუსეთისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენს. თუმცა, ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, თათართა ისტორიული ტრადიცია მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ რეგიონის მიმართ და ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომლის წყალობითაც თათარსტანის გეოპოლიტიკური სისტემა დაუკავშირდება წმინდა რუსულ რეგიონებს (მათ შორის იმათაც, რომლებიც მას ტერიტორიულად არ ესაზღვრებიან) და, პირიქით, ბაშკირეთთან, უდმურტეთთან, მორდოვასთან და მარელთან ინტეგრაციული პროცესები წინააღმდეგობას საჭიროებს. გარდა ამისა, საჭიროა ხაზი გაესვას თათარსტანის ტერიტორიულ დაყოფას კულტურულ-ეთნიკური ნიშნით, რადგან თათრები ძირითადი ეთნოსია, როგორც რასობრივი, ასევე, კულტურულ-რელიგიური ფაქტორებით, ამიტომ საჭიროა ამ რესპუბლიკაში რუსული მიგრაციისათვის ხელშეწყობა.

თათრები თურქული წარმოშობის მაჰმადიანები არიან, რაც მათ თურქულ-ისლამური სამყაროს გეოპოლიტიკურ ნაწილად ხდის. ამასთან დაკავშირებით ცენტრი ეჯახება ისეთ პრობლემას, რომელიც სამხრეთის მთელი გეოპოლიტიკის განმსაზღვრელს წარმოადგენს (რის შესახებაც საუბარი შესაბამის თავში გვექნება). თათრების, როგორც ასიმილაციის, ასევე, აქტიური გეოგრაფიული იზოლაციის გზით ამ რეალობისაგან მთლიანი მოწყვეტა შეუძლებელია. ამიტომ „თათარსტანის საკითხი", როგორც რუსეთისა და ისლამის ურთიერთობის ცალკე მუხლი უფრო დიდ მასშტაბში განიხილება.

ყველა მსგავსი სიტუაციის გადაჭრის საერთო მსაზღვრელად წარმოგვიდგება „ისტორიის გეოგრაფიული ღერძისა" და ისლამური სამყაროს ინტერესების გეოპოლიტიკური წონასწორობის ძიება. ამ მიმართულებაში საერთო მსაზღვრელად ყველა შემთხვევაში, გამონაკლისის გარეშე, ანტიატლანტიზმი გვესახება, რომელიც უფლებას იძლევა დაფუძნდეს ხანგრძლივი მსოფლიო კავშირი. თათარსტანის საკითხის განხილვის შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას თათრების ბუნებრივ კონტინენტურ ხასიათს, რომლის ისტორიული ბედი მთლიანად დაკავშირებულია ევრაზიასთან. აქ კი, დღევანდელ პირობებში, ევრაზიისა და რუსეთის გეოპოლიტიკის გაიგივების დროს, შეგნებული და კეთილი ნების კავშირი წარმოგვიდგება გაცილებით დიდ იმპერატივად, ვიდრე ეთნო-კონფესიური განსხვავება.

უფრო ზოგადად, ევრაზიული სახელმწიფო — რუსეთი — დაფუძნებულია სლავური და თურქული ელემენტების შეხამებაზე, რომელმაც მოგვცა კიდეც „კონტინენტური სახელმწიფოს" ღერძად გამხდარი Heartland-თან გაიგივებული „ველიკორუსული" ეთნოსი. ამიტომ შემდგომში ეს ორი ეთნოსი, სლავები და თურქები (პლიურუგრები და მონღოლები) დარჩებიან ევროაზიული გეოპოლიტიკის ბურჯებად. მათი მომავალია — პოლიტიკური და ეთნიკური ინტეგრაცია, ამიტომ ეთნო-კულტურული განსხვავების ხაზგასმა და, განსაკუთრებით, მისწრაფება, მიეცეს ამ განსხვავებას პოლიტიკური ფორმა, ეწინააღმდეგება რუსებისა და თათრების ისტორიული არსებობის ლოგიკას. ეს თემა უნდა გახდეს მოსკოვსა და ყაზანს შორის ურთიერთობის მთავარი ღერძი. გამორიცხული არაა, რომ ამისათვის აუცილებელი გახდეს განსაკუთრებული პოლიტიკური (ან მეტაპოლიტიკური) ევრაზიის ინტერესების გამომხატველი „გეოპოლიტიკური ლობის შექმნა".

თითქმის, ასეთივე მოსაზრებები ესადაგება თათარსტანის სამხრეთით მდებარე ბაშკირეთსაც. ისიც, ასევე, ისლამის აღმარებელი თურქული ეთნოსითაა დასახლებული. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ თათრებისაგან განსხვავებით, რომლებიც სხვებზე მეტად აქტიური და „მოწინავე" ეთნოსი იყო მთელ ვოლგისპირეთში, ბაშკირებს არა აქვთ აშკარად გამოვლენილი სეპარატისტული ტრადიციები და მკვეთრად განსაზღვრული ეროვნული თვითშეგნება. ამ მიზეზით თათრულ-ბაშკირული კავშირი არავითარ შემთხვევაში არ შეუწყობს ხელს რუსეთის „შიდა აღმოსავლეთის" ამ სექტორის გეოპოლიტიკურ სტაბილურობას.

ცენტრმა უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა მოახდინოს ბაშკირეთის ინტეგრაცია რუსებით დასახლებული სამხრეთ ურალის რეგიონთან და მოწყვიტოს იგი ყაზანზე ორიენტაციას. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას ბაშკირული კულტურის გამორჩეულობას, მის უნიკალურობას, სხვა თურქულ-ისლამური ფორმებისაგან მათ განსხვავებულობას. თათრეთის გეოპოლიტიკური კავშირების გამყარება ბაშკირეთთან უზომოდ საშიშია რუსეთისათვის, რადგანაც ბაშკირეთის სამხრეთ ადმინისტრაციული საზღვარი გადის ჩრდილო ყაზახეთის შორიახლო, რომელიც (გეოპოლიტიკური სიტუაციის ყველაზე წარუმატებელი განვითარების შემთხვევაში) თეორიულად შეიძლება თურქულ-ისლამური სეპარატიზმის პლაცდარმად იქცეს. ამ შემთხვევაში Heartland-ს ზუსტად მატერიკული სივრცის შუაში თურქული (პროთურქული, ე. ი. პროატლანტური) სოლით გახლეჩის უდიდესი საშიშროება ემუქრება.

ამ თვალსაზრისით თათრების სამხრეთისაკენ ორიენტაცია, ბაშკირეთთან ინტეგრაციის მცდელობა, ასევე ბაშკირეთის დაახლოება ორენბურგის მხარესთანაც კი, უაღრესად ნეგატიურ ტენდენციას წარმოადგენს, რომელსაც ცენტრის კონტინენტური პოლიტიკა წინ უნდა აღუდგეს ნებისმიერ ფასად. ბაშკირეთმა სჯობს გაამყაროს განივი კავშირები კუიბიშევთან და ჩელიაბინსკთან, ხოლო ყაზანსა და ორენბურგთან მერიდიანული კონტაქტები კი, პირიქით, შეასუსტოს.

შემდეგ, სამხრეთ ურალიდან კრასნოიარსკამდე გაწელილია რუსებით მჭიდროდ დასახლებული და ათვისებული მიწები. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ აშკარად გამოსახულია გეოპოლიტიკური ღერძი, რომელიც შეესაბამება რუსების მიერ ციმბირის დამორჩილების დროს გავლილ გზას: ჩელიაბინსკი-ომსკი-ნოვოსიბირსკი-ტომსკი-კემეროვო-კრასნოიარსკი-ირკუტსკი. მთელი ეს ზოლი წარმოადგენს განვითარებულ სამრეწველო ზონას, ხოლო ქალაქი ნოვოსიბირსკი გვევლინება მსხვილ ინტელექტუალურ ცენტრად. ამასთან ეთნიკური თვალსაზრისით, ეს თითქმის წმინდა რუსული ზონაა. მსგავსი ვითარებაა ბაიკალის აღმოსავლეთითაც, სადაც ბაიკალ-ამურის მაგისტრალის გასწვრივ — ჩიტადან ხაბაროვსკამდე და შემდეგ სამხრეთით ვლადივოსტოკისაკენ თითქოს გრძელდება სამხრეთ ურალიდან დაწყებული ზოლი. ერთადერთ გადახრას წარმოადგენს ბურიატია, რომელიც ტერიტორიულად გარს ერტყმის ბაიკალს ჩრდილოეთის მხრიდან და „რუსეთის ციმბირის" ერთგვაროვანი ზოლის უწყვეტობას არღვევს.

ზუსტად ამ უაღრესად რუსული ზოლის სამხრეთით მდებარეობს პარალელური ზონა, უპირატესად, ჭარბი თურქული (აღმოსავლეთით — მონღოლური) მოსახლეობით. ეს ზონა იწყება ჩრდილო ყაზახეთში, აკტიუბინსკიდან,

მოიცავს ყაზახეთის ტერიტორიას სემიპალატინსკამდე და უსტ-კამენოგორსკამდე და გრძელდება რუსეთის ალტაიმდე (თურქული ეთნოსის აკვანი), ხაკასიამდე, ტუვამდე და ბურიატიამდე. ამასთან ალტაიდან იმიერბაიკალეთამდე (ჩიტა) ეს თურქულ-მონღოლური ზოლი ლანდშაფტურად და, გარკვეულწილად ეთნიკურად, რბილად გადადის მონღოლეთში, რომელთანაც სინამდვილეში არავითარი აშკარა გეოგრაფიული საზღვარი არ არსებობს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მთელი ეს ქვედა ზოლი შემადგენელ ნაწილად შედის „რუსეთის ციმბირის" სტრატეგიულ სივრცეში და ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ „რუსეთის აღმოსავლეთის" გაგრძელებად სამხრეთისკენ.

ერთადერთ გამონაკლისად გვევლინება ჩინეთის ტერიტორიის (ჩინეთის მანჯურია) ფრაგმენტი, რომელიც მდებარეობს მონღოლეთის აღმოსავლეთ საზღვრიდან მდინარე უსურიმდე. ლოგიკიდან გამომდინარე, მას, წესით, სტრატეგიულად უნდა აკონტროლებდეს რუსეთი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აუცილებლად გახდება პოზიციური დაპირისპირების საბაბი „ისტორიის გეოგრაფიულ ღერძსა" და გეოპოლიტიკურად Rimland-ში შემავალ ტერიტორიებს შორის, ჩინეთი კი ეპვგარეშე მიეკუთვნება Rimland-ის კატეგორიას (ამაში არცერთ გეოპოლიტიკოსს წამითაც არ უყოყმანია).

აღნიშნულ „რუსეთის ციმბირის" ზოლთან მიმართებაში მართებულია ერთი და იგივე გეოპოლიტიკური პრინციპი: მთელი ეს ტერიტორიული ფაქტორი აუცილებლად კარგად უნდა გაერთიანდეს ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცეში, აქ პრიორიტეტული მიმართულება იქნება განედური ინტეგრაცია ჩელიაბინს-ხაბაროვსკის გრძელი ღერძის გასწვრივ (მერიდიანული მოკლე ღერძი ხაბაროვსკი-ვლადივოსტოკი ამ ხაზის გაგრძელებაა განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ სექტორში).

ეს ელეგანტური განფენილობის სივრცე წარმოადგენს რუსეთის, როგორც ნამდვილი ევროპული სამფლობელოს, მთავარ სტრატეგიულ უპირატესობას. ამ სამხრეთ ციმბირული დერეფნის წყალობით რუსეთი იღებს შესაძლებლობას მჭიდროდ დააკავშიროს ცენტრის რეგიონები წყნარი ოკეანის სანაპიროსთან, რაც უზრუნველყოფს: პოტენციურ მაგისტრალს — ციმბირის სრულყოფილი ათვისებისათვის და წყნარ ოკეანეში გასვლას — მოსკოვისათვის. ეს ზოლი მთელი ევრაზიის (ევროპის ჩათვლით) მართვის ბერკეტს წარმოადგენს, რადგანაც მაღალტექნოლოგიური კონტინენტური კავშირის ორგანიზაცია შორეული აღმოსავლეთიდან შორეულ დასავლეთამდე საშუალებას იძლევა სტრუქტურული ცვლილება განიცადოს მსოფლიო რეალობამ და ოკეანეების გარედან თალასოკრატულმა კონტროლმა დაკარგოს თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობა. ციმბირის რესურსები, პერსპექტივაში, დაუკავშირდება განვითარებული კონტინენტური ევროპისა და იაპონიის მაღალ ტექნოლოგიებს და მაშინ შესაძლებელი გახდება ამ პროექტის განხორციელება. თალასოკრატიის მსოფლიო ბატონობას აღსასრული დაუდგება.

ციმბირის განედური ინტეგრაცია (ჩელიაბინსკ-ხაბაროვსკის ღერძი) წარმოადგენს უმთავრეს სტრატეგიულ უპირატესობას, რომელიც მხოლოდ რუსეთს აქვს. ამ მხარის ათვისებით შეიძლება დაიწყოს მომავლის ახალი გეოპოლიტიკური ისტორია და, ამ შემთხვევაში, შპენგლერის წინასწარმეტყველება გამართლდება.



„წყნარი ოკეანის სკოლის“ გეოპოლიტიკოსების თანახმად, (ფონ ბექმანი, ფრობენიუსი და სხვ.), მომავალი ათასწლეულის დასაწყისისთვის ციმბირის მიწები გადაიქცევა მსოფლიოს ცენტრალურ სტრატეგიულ რეგიონად.

უფრო ვიწრო, „შიდა“ თვალსაზრისით, „რუსეთის ციმბირის“ ინტეგრაციის განვითარება საშულებას იძლევა გაფართოვდეს გეოპოლიტიკური კონტროლი მერიდიანის გასწვრივ. სამხრეთ „თურქულ-მონღოლური“ ზოლი დაუკავშირდება უფრო თანამედროვე, უაღრესად რუსულ ტერიტორიებს, იმ პირობით, რომ მაქსიმალურად ფართო ეთნოკულტურულ ავტონომიას თან უნდა ახლდეს ჩელიაბინსკ-ვლადივოსტოკის რუსული ღერძის ეკონომიკური ინტეგრაცია და სტრატეგიული უპირატესობა. ამასთან ამ პროცესში უნდა ჩაერთოს ადმინისტრაციული თვალსაზრისით ისეთი განსხვავებული წარმონაქმნები, როგორიცაა ყაზახეთი, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებული ავტონომიური ოლქები და რესპუბლიკები, მონღოლეთი და შესაძლებელია ჩინეთის მანჯურიის ზოგიერთი რაიონი.

ამასთანავე, მსგავსი მერიდიანული ვექტორი იგულისხმება ჩრდილოეთის მიმართულებითაც, სადაც ვითარება მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ავტოქტონური, არარუსული მოსახლეობა გაცილებით განმუხტულია, პოლიტიკურად ნაკლებადაა განვითარებული და არ აქვს პოლიტიკური სუვერენიტეტის ცინცხალი, უახლესი ისტორიული გამოცდილება. „რუსეთის ციმბირის“ ზოლის ჩრდილოეთით გაფართოების ზღვარი ხანტი-მანსისა და ევენკის ოლქებში, აგრეთვე, ხაბაროვსკის მხარეში მყარდება „ჩრდილოეთის ტრაპეციის“ შიდა ინტეგრაციული პარალელური პროცესით. ამ ინტეგრაციას „რუსეთის ციმბირის“ (ჩელიაბინსკ-ხაბაროვსკის ღერძის) რთული გეოპოლიტიკური ფუნქციისაგან განსხვავებით, რომელსაც განვითარების სამი ვექტორი აქვს (განედური, ჩრდილოეთისა და სამხრეთის) და ზოგიერთ შემთხვევაში ეჯახება ჩამოყალიბებულ და საკმაოდ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფორმებს (სახელმწიფოებს), გააჩნია მხოლოდ წმინდა განედური ხასიათი. ამიტომ ორივე გეოპოლიტიკური პროცესი განვითარდება თანაბარ რიტმში. შედეგად კი კონკრეტული შედეგობ-

რივი საზღვარი „რუსეთის ციმბირის“ ჩრდილოეთის განვითარებასა და „ჩრდილო ტრაპეციის“ საერთო ინტეგრაციას შორის აღარ იქნება დამოკიდებული განუსაზღვრელ ფაქტორებზე.

განვითარების ყველა ეს გეოპოლიტიკური ვექტორი არ წარმოადგენს რაიმე ახალსა და მოულოდნელს, ვინაიდან ისინი მხოლოდ რუსეთის აღმოსავლეთისაკენ მოძრაობის მასშტაბური ისტორიული პროცესის გაგრძელებას და ევროაზიური სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიმართულებას ასახავენ. წყნარი ოკეანისაკენ რუსეთის მიერ არჩეული გზა შემთხვევითი არაა და ციმბირის ტერიტორიების რუსული ათვისება, ასევე, მიჰყვება გააზრებულ გეოგრაფიულ ლოგიკას. ეს გზა შეესაბამება ტყისა და სტეპის ისეთ რელიეფურ საზღვარს, რომელთა გეოპოლიტიკურ სინთეზზეა დაფუძნებული რუსეთის სახელმწიფო. ციმბირის რუსი ამთვისებლები მოძრაობდნენ და სახლდებოდნენ სტეპებთან (ტყეებთან) მოსაზღვრე ჩრდილოეთის ტაიგური ტყეების ნაპირის გასწვრივ, სოფლის მეურნეობისათვის ვარგის მიწებზე. ჩელიაბინსკიდან ბაიკალამდე ეს ლანდშაფტური სექტორი წარმოადგენს დავიწროებად, ხოლო ბაიკალიდან წყნარი ოკეანის სანაპირომდე ნელ-ნელა და შეუმჩნევლად ტროპიკულ ტყეებში გარდამავალ ჩრდილოური ტყეების ერთიან ზონას. ამასთან იზრდება მთიანეთისა და მთათა მასივების ფართობი.

ეს ზონა (ბაიკალიდან ამურის შესართავამდე) ხელახლა გვაბრუნებს „Lenaland“-ის პრობლემასთან, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ წამოიჭრა, როცა ჩვენ ვიხილავდით „ჩრდილო ტრაპეციის“ იაკუტიის სექტორს.

## 3.3 პოზიციური ბრძოლა LENALAND-ისათვის

იაკუტიის საკითხის მსგავსად (რუსეთის ჩრდილოეთის გეოპოლიტიკური ანალიზის დროს), ენისეის იქით გადაჭიმულ აღმოსავლეთ ციმბირის განხილვისას, ჩვენ ვეჯახებით უამრავ გეოპოლიტიკურ პრობლემას. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ, ამჯერად უკვე მესამედ, კვლავ შეგვხვდება სირთულეები, როდესაც დავიწყებთ „ევრაზიის სამხრეთის“ ყველაზე აღმოსავლეთ სექტორის განხილვას.

წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისითაც კი ბაიკალის იქით (ევრაზიის უფრო დასავლეთით მდებარე სექტორებთან შედარებით) იწყება რელიეფის სერიოზული ცვალებადობა. იქ ჩრდილოეთის კონტინენტურ ტყეებსა და სამხრეთის ტროპიკულ (მთიან) ტყეებს შორის მდებარეობს სტეპების ზონა, რომელიც ქმნის ბუნებრივ სიმეტრიას გამოყოფილი ცენტრალური არით, პირველი (სტეპური) პერიფერიული წრითა და ტროპიკული ტყეებისა და მთების მოსაზღვრე რელიეფებით. ასეთი ბუნებაა მოლდავეთიდან ალტაიმდე, ჩრდილოეთით შუასტეპური შრე ქრება. აღმოსავლეთ ციმბირის შემთხვევაში, საქმე გვაქვს სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ და ლანდშაფტურ რეგიონთან, რომელიც განსხვავებულ ხედვას მოითხოვს. მოულოდნელი ლანდშაფტური „გამოწვევის“ პარალელურად (კონტინენტური ტყეების თანდათანობითი გადასვლა ტროპიკულ ტყეებში მთების, მწვერვალების, ბორცვებისა და გორაკების ფონზე) ჩანს უაღრესად ცუდი ეთნო-პოლიტიკური სურათი. რეგიონში არსებობს რამდენიმე შიდა და გარე ეროვნული წარმონაქმნი, რომელთა გეოპო-

ლიტიკური დამოკიდებულება რუსეთისადმი ბუნდოვანია. Lenaland-ის მხარის რუსებით უაღრესად მეჩხერად დასახლების ფონზე გეოპოლიტიკური სურათი უკიდურესად შემაშფოთებელია.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბურიატიის ტერიტორია. იგი არღვევს რუსული ციმბირული ზოლის უწყვეტობას, იჭრება რა ბაიკალის ტბის იქით ჩრდილოეთში. ბურიატები ლამაისტები არიან და რუსეთის ისტორიის კრიტიკულ მომენტებში ისინი ცდილობდნენ დაეარსებინათ თავიანთ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი თეოკრატიული, მონღოლეთსა და ტიბეტზე ორიენტირებული სახელმწიფო. თავისთავად ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს შეშფოთების საბაბს, მაგრამ აქ წამოიჭრება სხვა პრობლემაც — იაკუტიის სამხრეთ საზღვრებისა და ბურიატიის ჩრდილოეთ საზღვრების ტერიტორიული სიახლოვე. იაკუტები მიეკუთვნებიან თურქულ ეთნოსს, რომელთა დიდი ნაწილი ქრისტიანია, თუმცა ხშირად შემორჩენილია შამანური ტრადიციებიც. ამასთან ზოგიერთი ჯგუფი ლამაიზმის აღმსარებელია. იაკუტიის ზღვაზე გასასვლელისა და ბურიატის მონღოლეთთან საერთო საზღვარის არსებობა ქმნის პოტენციური გეოპოლიტიკური ბლოკის შექმნის საშიშროებას, რომელსაც გაცილებით მეტი წინაპირობა ექნება შედარებით დიდი გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, ვიდრე თათარსტანს ან ზოგიერთ სეპარატისტულად განწყობილ ჩრდილოკავკასიელ ხალხს. თუ ამასთან, მხედველობაში მივიღებთ რუსებით საკმაოდ მეჩხერად დასახლებული წყნარი ოკეანის სანაპიროს სიახლოვეს, მაშინ საშიშროება ორმაგდება თალასოკრატიის მიერ სანაპირო ზონების (ან Lenaland-დან წყნარი ოკეანისაკენ შემაერთებელი პოტენციური დერეფნების — ზონების სექტორების) შესაძლო კონტროლის გამო. დაბოლოს, ვითარება ძალიან მწვავდება იმით, რომ (ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრამდე) იაკუტიის სამხრეთი დაშორებულია ამურის ოლქის საკმაო ვიწრო ზოლით, რაც ინდოეთის ოკეანის ჩინეთის სამხრეთ სანაპიროებიდან ჩრდილოეთით (ლაპტევების ზღვამდე) პირდაპირი გეოპოლიტიკური დერეფნის გახსნის საფუძველს იძლევა.

ეს პოტენციური გეოპოლიტიკური კონფიგურაციები უკიდურეს სიფხიზლეს გვაიძულებს. ეჭვგარეშეა, რომ მსგავსი სურათი ატლანტელი სტრატეგებისათვის არ შეიძლება მიმზიდველი არ იყოს, რადგან Lenaland, რომელიც მდიდარია მიწებით, რესურსებით და უნიკალური სტრატეგიული შესაძლებლობებით, წარმოგვიდგება გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სუსტ მდგომარეობაში. ამ რეგიონზე რუსეთის კონტროლის ნებისმიერმა შესუსტებამ შეიძლება დაუყონებლივ გამოიწვიოს ევრაზიის მატერიკის გიგანტური ნაწილის გამოყოფა ისტორიის გეოგრაფიული ღერძიდან. ამ მოვლენათა თავიდან ასაცილებლად საკმარისი არ არის მხოლოდ სამხედრო კონტიგენტის გაძლიერება, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში ან ამურისპირეთშია განლაგებული. აუცილებელია გადავდგათ მასშტაბური გეოპოლიტიკური ნაბიჯები, რადგან საუბარია პოტენციურ პოზიციურობაზე. აი ის საკითხები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება:

1) აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ცენტრის წარმომადგენელთა სტრატეგიული თანდასწრება იაკუტიის სამხრეთში. ეს უფრო მიიღწევა ხალხების მიზანმიმართული მიგრაციისა და მათ მიერ დასავლეთ რეგიონებიდან მიწების გეგმაზომიერი „კოლონიზაციის“ საშუალებით.

2) იგივე უნდა განხორციელდეს ბაიკალის ტბის ჩრდილოეთით მდებარე მიწების მიმართ. ამ შემთხვევაში საშიში საზღვრები ერთმანეთს დაშორდებიან.

3) ამავე დროს აუცილებელია გაძლიერებულად იქნას ათვისებული იაკუტიის ოლქის ჩრდილოეთი და მთელი ამურის ოლქი ამ ტერიტორიათა მიზანმიმართული „კოლონიზაციით".

ამ სამ ნაბიჯს აღნიშნულ ზონაში მხარი უნდა დაუჭიროს გაძლიერებულმა სამხედრო თანდასწრებამ, აგრეთვე, საჭიროა სტრატეგიულ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გაფართოებათა აქტივიზაცია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ყველაფერი ეს მიმართულია „რუსული ზოლის" საშიში დავიწროების ტენდენციის გამოსწორებისაკენ.

4) აუცილებელია გააქტიურდეს პოზიციური ზეწოლა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთზე, განხორციელდეს პრევენციული დაწოლა ამ ოლქზე, რომელიც დაწყებისთანავე გასცემდა პასუხს ჩინეთის ნებისმიერ გეოპოლიტიკურ განვრცობას ჩრდილოეთისაკენ.

5) აუცილებელია მაქსიმალურად გამყარდეს ქალაქებს — ბლაგოვეშჩენსკ-კომსომოლსა და ხაბაროვსკს შორის განლაგებული დემოგრაფიული და სტრატეგიული სექტორი, რათა შეიქმნას მასიური ფარი პოტენციური თალასოკრატული (ზღვიდან) ან ჩინური გეოპოლიტიკური აგრესიისაგან დასაცავად.

6) ყველა ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გამყარდეს რუსეთ-მონღოლეთის ურთიერთობათა მაქსიმალური აქტივიზაციით, რადგან უნაყოფო და ნაკლებად მიმზიდველი მონღოლეთი, ამ რეგიონის გეოპოლიტიკისათვის წარმოადგენს საკვანძო და უმნიშვნელოვანეს ტერიტორიას. რუსეთის მასიური სამხედრო განლაგება მთელი მონღოლურ-ჩინური საზღვრის გასწვრივ (განსაკუთრებით, მის აღმოსავლეთ ნაწილში) მინიმუმამდე დაიყვანს Lenaland-ის გამოყოფის გეოპოლიტიკურ რისკს.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთის გეოპოლიტიკა გულისხმობდა განსაკუთრებული ძალისხმევის კონცენტრირებას ამ სექტორში მხოლოდ ჩრდილოეთიდან, ყინულოვანი ოკეანის სანაპიროებიდან. ორივე გეოპოლიტიკური სტრატეგიის გაერთიანება და მათი პარალელური განხორციელება საშუალებას მისცემს რუსეთს გაიმაგროს პოზიციური საფუძველი შორეული მომავლისათვის, როდესაც ამ მიწების საჭიროება იმდენად ცხადი გახდება, რომ მათ კონტროლზე დამოკიდებული იქნება ევრაზიის მსოფლიო მნიშვნელობა.

Lenaland-ისათვის გეოპოლიტიკური ბრძოლა უნდა დაიწყოს ახლა, თუმცა დიდი ყურადღება ამ რეგიონს მოგვიანებით მიექცევა. მაგრამ თუ თავიდანვე არ ჩაიდება სწორი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მოდელი, კონფლიქტის მოგვარება მას შემდეგ, რაც იგი დაიწყება, გაცილებით რთული (და, შეიძლება, მოუგვარებელიც კი) გახდეს.

ძირითადი დაპირისპირებები გეოპოლიტიკაში გაცილებით ადრეა მოგებული, ვიდრე ისინი გადაიზრდებიან პოლიტიკური თუ საერთაშორისო კონფლიქტების ღია ფორმებში.

## 3.4. ციმბირის დედაქალაქი

ციმბირის ინტეგრაციის პროექტი ამ პროცესის გეოგრაფიული ცენტრის საკითხს წარმოშობს, ანუ იმ წერტილის მდებარეობის საკითხს, რომელიც

შეიძლება იქცეს ურალს იქით მოსკოვის სრულუფლებიან წარმომადგენლად და შეასრულოს დანარჩენი რეგიონების მიზიდვის ფუნქცია. ამ ფუნქციას ყველაზე მეტად შეესაბამება ნოვოსიბირსკი, რომელიც ციმბირის უმსხვილესი ქალაქია და ამასთანავე წარმოადგენს მთელი რუსეთის მასშტაბის უმნიშვნელოვანეს ინტელექტუალურ ცენტრს.

დასავლეთის ღერძი ნოვოსიბირსკიდან მიემართება ურალის დედაქალაქის — ეკატერინბურგის მიმართულებით, ხოლო აღმოსავლეთი — ირკუტსკისაკენ, შემდეგ კი ხაბაროვსკისა და ვლადივოსტოკის მიმართულებით. ნოვოსიბირსკი ასრულებს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას მთელი „ციმბირის რუსული ზოლის" შეკავშირების თვალსაზრისით, რომელშიც იგი მთავარ როლს წარმოადგენს. ღერძი მოსკოვი-ნოვოსიბირსკი ნელ-ნელა ხდება რუსეთის „შიდა გეოპოლიტიკის" მნიშვნელოვანი ძალისმიერი ხაზი, ის მთავარი „სხივი", რომლის გასწვრივაც ხორციელდება ცენტრიდან ცენტრიდანული და პერიფერიიდან ცენტრისკენული ენერგეტიკული ნაკადების გაცვლის ურთიერთშექცევადი პროცესი. ურალის რეგიონი, ცენტრით ეკატერინბურგში, უმჯობესია უშუალოდ მოსკოვს მიეკრას, ვიდრე გადაიქცეს შუალედურ ინსტანციად რუსეთის ცენტრალურ ნაწილსა და ციმბირს შორის. ნოვოსიბირსკის გეოპოლიტიკური პოზიცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს ქალაქი და მასთან მიმდებარე რეგიონები უნდა ფლობდნენ განსაკუთრებულ სტატუსსა და უფლებამოსილებებს, რადგან სწორედ აქედან უნდა გაიშალოს მეორადი გეოპოლიტიკური სხივები მთელ ციმბირზე — ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ასეთი მეორადი ცენტრალიზაციიდან გამონაკლისი შეიძლება გაკეთდეს ზღვისპირეთისა და ხაბაროვსკის მხარეების სამხრეთ სექტორებისათვის. ეს არის სრულიად განსაკუთრებული ზონა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული Lenaland-ის პრობლემასთან და მასზე კონტროლის პოზიციურ ბრძოლასთან. ამის გამო განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს ხაბაროვსკსა და ვლადივოსტოკს და ისინი უშუალოდ უნდა დაუკავშირდნენ მოსკოვს (ისევე, როგორც ეკატერინბურგი).

„ჩრდილო ტრაპეციასთან" ურთიერთობისათვის საჭიროა დამატებითი სტრატეგიული ღერძების, ნოვოსიბირსკი-ნორილსკი და ხაბაროვსკი-მაგადანის განხორციელება. ამგვარად, აღმოსავლეთი სტრატეგიულად შეუღლდება ჩრდილოეთთან.

აღმოსავლეთი, ისევე, როგორც ჩრდილოეთი, წარმოადგენს მომავალი გეოპოლიტიკის პლაცდარმს. აქ არის ევრაზიის მომავალი. „რუსეთის ციმბირის" ხელსაყრელი კლიმატი ხელს უწყობს მას იმისათვის, რომ ზუსტად აქედან დაიწყოს ახალი კონტინენტური მოდელის შექმნის გრანდიოზული პროექტი. აქ უნდა აშენდეს ახალი ქალაქები, უნდა გაიდოს ახალი მაგისტრალები, ათვისებულ იქნას ახალი მიწები და საბადოები, უნდა შეიქმნას ახალი სამხედრო ბაზები. ამასთანავე, აუცილებელია პროექტში თავიდანვე ჩაიდოს ორი საწყისის, ერთი მხრივ — რელიეფის, ლანდშაფტის, ეთნო-კულტურული ფაქტორის და ეკოლოგიის, ხოლო მეორე მხრივ — ტექნიკური და სტრატეგიული კრიტერიუმების ჰარმონიული შეხამება. არქაული ტრადიციები შეერთებული უნდა იქნას ახალ ტექნოლოგიებთან. უნდა იქნას გათვალისწინებული ადამიანის უძველესი სადგომი ადგილები ამ მიწებზე, რასაც უნდა შეუხამდეს არჩევანი

მრეწველობის განვითარებასა და სამხედრო ბაზების განლაგებაში.

ასეთ ლოგიკას ჯერჯერობით ციმბირის ახალი ცენტრის გამოჩენის პერსპექტივასთან მივყავართ. მთელი რუსული აღმოსავლეთის განვითარების, წყნარი ოკეანის, როგორც „მომავლის ოკეანის" აქტივიზაციის შემდეგ გამორიცხული არაა, რომ სწორედ ამ მიწებზე დადგეს მთელი ევრაზიის დედაქალაქის გადატანის საკითხი. ეს იქნება ჯერ არარსებული, ენით აუწერელი და არნახული ბრწყინვალე დედაქალაქი.

მოვა დრო, როდესაც მოსკოვი დაკარგავს თავის „შუაგულ" მნიშვნელობას. იგი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მეტისმეტად „დასავლური" გახდება და მაშინ საკითხს, ციმბირის ახალი დედაქალაქის შესახებ, მიენიჭება არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი, არამედ საერთო კონტინენტური, მსოფლიო მნიშვნელობა.

თუმცა არ შეიძლება ერთი წამითაც მზედველობიდან გამოგვრჩეს, რომ ასეთი პერსპექტივა შესაძლებელია მხოლოდ Lenaland-ისათვის პოზიციური ბრძოლის მოგების შემთხვევაში, რომლის გარეშე ევრაზიის გეოპოლიტიკური აღორძინება უაზრობა იქნება.

## თავი 4. სამხრეთის ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი

### 4.1. სამხრეთის „ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი"

სამხრეთის (ისევე, როგორც დასავლეთის) რეგიონების გეოპოლიტიკა უფრო მეტადაა დაკავშირებული რუსეთ-ევრაზიის მსოფლიო ფუნქციასთან, ვიდრე ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის პრობლემა. თუ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის, შიდა რუსული გეოპოლიტიკური ტერიტორიების განხილვის დროს საგარეო პოლიტიკური ფაქტორი მუდმივად წამოიჭრებოდა, სამხრეთის (ისევე, როგორც დასავლეთის) საკითხების გარჩევისას მხოლოდ რუსეთის „შიდა გეოპოლიტიკის" შესახებ საუბარს უბრალოდ აზრი არა აქვს, რადგან რუსეთის ყველა შიდა პრობლემა იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული საგარეო პოლიტიკურთან, რომ მათი გამიჯვნა, საერთო გეოპოლიტიკური მდგომარეობის მთლიანად დარღვევის გარეშე, უბრალოდ შეუძლებელია.

სამხრეთთან მიმართებაში „ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს" აქვს მხოლოდ ერთი მოთხოვნა — გეოპოლიტიკური ექსპანსია ინდოეთის ოკეანის სანაპიროების ჩათვლით. ეს ნიშნავს მერიდიანული განვითარების უმთავრესობას და ერთადერთობას, ჩრდილოეთ-სამხრეთი ღერძის ხაზგასმულ უპირატესობას. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით რუსეთის ტერიტორიისა და ევრაზიის სამხრეთ სანაპირო ხაზის გამმიჯნავი მთლიანი სივრცე წარმოადგენს იმ ზოლს, რომლის ფართობი აუცილებლად ნულამდე უნდა იქნას დაყვანილი. თვით ის ფაქტი, რომ Rimland წარმოადგენს არა ხაზს, არამედ ზოლს, არის კონტინენტური გაერთიანების საწყისი იმპულსისადმი საწინააღმდეგოდ განწყობილი თალასოკრატიული ზემოქმედების გამოვლინება. თუ ევრაზიის Rimland რუსეთის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ნულამდეა დაყვანილი და კონტინენტი აქ გეოპოლიტიკურად მთავრდება (ერთადერთი რაც რჩება — ეს არის პოზიციური სტატუს ქვოს შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს

თალასოკრატული იმპულსის ზემოქმედებით ხაზის ზოლად გადაქცევის შესაძლებლობის წინასწარ შეტყობინებას), სამაგიეროდ Rimland სამხრეთით (და დასავლეთით) წარმოადგენს ღია პრობლემას. აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში რუსეთის Rimland-ს აქტიური ხაზი, მაგრამ პოტენციური ზოლი გააჩნია, ხოლო სამხრეთსა და დასავლეთში, პირიქით აქტიური ზოლი, მაგრამ პოტენციური ხაზი. პირველ შემთხვევაში ძირითადი მოთხოვნაა თავდაცვა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და გამაფრთხილებელი გეოპოლიტიკური ნაბიჯები, მეორე შემთხვევაში კი პირიქით — საჭიროა აქტიური შემტევი გეოპოლიტიკა, ექსპანსია, ერთიანი თავდასხმითი სტრატეგია.

რუსეთმა ევრაზიის მთელ სამხრეთში (საერთოკონტინენტური ინტეგრაციის პრინციპიდან გამომდინარე) უნდა დაამყაროს „ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი", ამიტომ სამხრეთში არსებული ყველა პოლიტიკური წარმონაქმნი (ისლამური სახელმწიფოები, ინდოეთი, ჩინეთი, ინდოჩინეთი) აუცილებლად წინასწარ უნდა იქნას განხილული, როგორც კონტინენტური პოზიციური მანევრების თეატრი, რომლის საბოლოო ამოცანა იქნება სტრატეგიულად მჭიდროდ შეადუღაბოს ყველა ეს შუალედური რეგიონი ევრაზიის ცენტრის — მოსკოვის გარშემო.

აქედან გამომდინარეობს ცენტრიდან პერიფერიებისაკენ მიმავალი „ღია სხივების" კონცეფცია, რომლებიც არ ჩერდება რუსეთის საზღვრებზე და უნდა გაგრძელდნენ სამხრეთით, ინდოეთის ოკეანის სანაპიროებამდე. „სხივთა" ის მონაკვეთები, რომლებიც გადიან რუსეთის ტერიტორიაზე, არიან აქტიური სხივები, ხოლო რომლებიც გადიან რუსეთისადმი სტრატეგიულად მეგობრულად განწყობილ ქვეყნებზე — ნახევრად აქტიური, ხოლო საკუთარი გეოპოლიტიკური კურსის მიმდევარ ან (ყველაზე ცუდ შემთხვევაში) ატლანტური კონტროლის ქვეშ მყოფ ქვეყნებზე გამავალი სხივები — პოტენციური სხივები. აქედან გამომდინარე, ევრაზიული გეოპოლიტიკის ლოგიკა მიმართულია იქით, რომ სხივები მთელ სიგრძეზე გახდნენ აქტიურნი, ან ნახევრად აქტიურნი.

აქედან გამომდინარე ევრაზიის კონტინენტის მთელი სანაპირო ანატოლიიდან კორეამდე პოტენციურ „რუსეთის სამხრეთად" უნდა განვიხილოთ.

## 4.2. საზღვრები — ზონები და მთები

სამხრეთით მიმართული გეოპოლიტიკური ექსპანსიის მოთხოვნა განსაზღვრავს იმ არეთა ურთიერთშეფარდების სტრუქტურასაც, რომლებიც შედიან რუსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოების შემადგენლობაში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა), ამიტომაც აქტიური და ნახევრად აქტიური გეოპოლიტიკური სხივების პერიფერიების ანალიზი არავითარ შემთხვევაში წამითაც არ უნდა ასცდეს გეოპოლიტიკური კანონებით ნაკარნახევ საწყის მიმართულებას.

შეზღუდული სახით „რუსეთის სამხრეთში" შედის შემდეგი ზონები:

1) ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი სერბეთიდან ბულგარეთამდე;
2) მოლდოვა, სამხრეთი და აღმოსავლეთ უკრაინა;
3) როსტოვის ოლქი და კრასნოდარის მხარე (ნოვოროსიისკის ნავსადგური);
4) კავკასია;



რუსეთის გეოპოლიტიკური სამხრეთი: 1. ბალკანეთი, 2. რუმინეთ-მოლდავეთი, 3. ყირიმი — სამხრეთ-აღმოსავლეთი უკრაინა, 4. შუა აზია (სინ-ძიანის ჩათვლით), 5. ტიბეტი, მონღოლეთი და მანჯურია.

5) კასპიის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ სანაპიროები (ყაზახეთისა და თურქმენეთის ტერიტორია);

6) შუა აზია (ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ჩათვლით);

7) მონღოლეთი;

ამ ზონებზე კონტინენტური სტრატეგიული კონტროლი დამყარებულია, მაგრამ ისინი უნდა განვიხილოთ არა, როგორც რუსეთის მუდმივი საზღვრები, არამედ, როგორც სამხრეთში შემდგომი გეოპოლიტიკური ექსპანსიის ბაზები. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით Heartland-ის მიერ გაუკონტროლებელი სანაპირო ზოლის არსებობა შემცირების მუდმივ საშიშროებას უქადის იმ ტერიტორიებსაც კი, რომლებიც ამჟამად ევრაზიის ცენტრთან მჭიდროდ არიან შეერთებული.

საბჭოთა კავშირის დაშლა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ადგილას დამოუკიდებელი პოლიტიკური წარმონაქმნების გამოჩენა იმის ნათელი მაგალითია, რომ კონტინენტის სამხრეთ სანაპიროების ექსპანსიაზე ხელის აღება (საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან) აუცილებლად გამოიწვევს მოსკოვისათვის საიმედო საზღვრების გადაწევას კონტინენტის სიღრმეში, ჩრდილოეთის მიმართულებით. თუმცა კონტინენტური თანადასწრების შესუსტება არასოდეს წარმოშობს ვაკუუმს ან „გათავისუფლებული" ტერიტორიების სუვერენიტეტის გაძლიერებას, ვინაიდან მათი პროვინციული სტატუსი წინასწარ გამორიცხავს მათ გეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მოსკოვის თელეოკრატული გავლენა მყისვე შეიცვლება ატლანტიზმის თალასოკრატიული გავლენით (ამა თუ იმ ფორმით).

მაშასადამე, „რუსეთის სამხრეთის" მთელი შიდა ზოლის სტრუქტურა

თავიდანვე უნდა განვიხილოთ, როგორც პოტენციური თავდასხმითი პლაცდარმი.

თუმცა საქმე იმით რთულდება, რომ პრაქტიკულად მთელი სასაზღვრო ტერიტორია მთიან (ხშირად მაღალმთიან) რაიონებს უკავია.

ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით ესაა — ბალკანეთის მთები, აღმოსავლეთით — კავკასია, შემდეგ კოპეტდაღის და ჰინდიკუშის ქედები, შემდეგ პამირი, ტიან-შანი, ალტაი. რუსეთ-ევრაზიის სამხრეთ საზღვრის მთიანი რელიეფი, რომელმაც ძირითადად განსაზღვრა მთელი აღმოსავლეთის ისტორია, დღეისათვის წარმოადგენს ატლანტიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ კოზირს. ძველი ინდოევროპელები მთელ ევრაზიულ აღმოსავლეთს ყოფდნენ ორ შემადგენელ ნაწილად — ჩრდილოეთ თურანად (ყველაფერი რაც ევრაზიის მთაგრეხილთა ზემოთაა) და სამხრეთ ირანად (ამ მთაგრეხილთა ქვემოთ განფენილი). ასეთი დაყოფა ზუსტად შეესაბამება თანამედროვე გეოპოლიტიკურ ტერმინებს — Heartland (თურანი) და Rimland (ირანი). რამდენიმე ათასწლეულის შემდეგ რუსეთის სამხრეთ ფრონტი წარმოაჩენს იგივე გეოპოლიტიკურ პრობლემას, რომელიც დამახასიათებელი იყო დამოკიდებულების — „სტეპის მომთაბარეები სპარსეთის მობინადრე მხვნელ-მთესველების წინააღმდეგ" დიალექტიკისადმი.

თუმცა, ამ შემთხვევაში ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა იმ თვალსაზრისით, რომ სტეპურ თურანს დაემატა თურანელი მომთაბარეების მოძრაობის გამაწონასწორებელი და შემაჩერებელი სლავური ჩრდილოეთის ტყე. ბინადარმა ინდოევროპელებმა (სლავებმა) კულტურული ფორმებით, რომლებიც, ძირითადად, იმეორებდნენ ირანული სამხრეთის არქეტიპებს, ჩაკეტეს სტეპი ჩრდილოეთიდან. რუსეთი, როგორც ევრაზია, როგორც ტყისა და სტეპის სინთეზი, თვისობრივად აღემატება თურანს, შესაბამისად კი ირანის პრობლემა (ზოგადად — არარუსული შუა აზიის) იძენს სხვაგვარ ცივილიზაციურ და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. განსაკუთრებით ეს ვლინდება ირანში ისლამური რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა შაჰის რეჟიმის ატლანტურ, თალასოკრატიულ პოლიტიკას.

ეს გეოპოლიტიკური ასპექტები გულისხმობენ „ევრაზიული მთების" პრობლემის მიმართ მკვეთრად განსხვავებული მიდგომის აუცილებლობას, რომლებმაც უნდა დათმონ სტრატეგიული საზღვრების ფუნქცია და იქცნენ არა დაბრკოლებად, არამედ კონტინენტური გაერთიანების გზაზე გადებულ ხიდებად.

რუსეთის სამხრეთში მთათა ფუნქციების (და მისი სტრატეგიულ არეალის) შეცვლის მოთხოვნა წარმოადგენს მომავალი გეოპოლიტიკის ბურჯს. ასეთი წინასწარი ოპერაციის გარეშე ევრაზია ვერასოდეს მიაღწევს ნამდვილ მსოფლიო ბატონობას, უფრო მეტიც, ვერც კი მოითხოვს თალასოკრატიასთან ნამდვილ, თანასწორ დიალოგს.

## 4.3. ბალკანეთი

იმის გამო, რომ რუსეთის სამხრეთ მიწებისა და მისი სტრატეგიული არეალის უმეტესობა რუსული ცივილიზაციისაგან რასობრივად, კულტურულად და რელიგიურად განსხვავებული მიწებია (გარდა ბალკანეთისა და უკრაინისა),

ამიტომ გეოპოლიტიკური ღერძები აუცილებლად მერიდიანული უნდა იყოს. აქედან დასკვნა: ხელი უნდა შეეწყოს ყველა ვერტიკალურ (გრძედულ) ინტეგრაციულ პროცესს და წინააღმდეგობა გაეწიოს ყველა ჰორიზონტალურ (განედურ) ინტეგრაციულ პროცესებს, ე. ი. რუსული სივრცეებისაგან ეთნიკურად და პოლიტიკურად განსხვავებულ სფეროში გამოყენებულ უნდა იქნას ეთნო-კულტურული ერთგვაროვნობის პირობებში გამოყენებული და საჭირო პრინციპის ზუსტად საპირისპირო პრინციპი.

გამოვყოთ „რუსეთის სამხრეთის" (ზოგადი გაგებით) გეოპოლიტიკური სტრუქტურის ძირითადი ფორმები და მიმდევრობით განვიხილოთ ყველა ადგილობრივი გეოპოლიტიკური სისტემა დასავლეთიდან აღმოსავლეთით.

**ბალკანეთის ნახევარკუნძული.**

აქ არის ოთხი განსაკუთრებული ზონა.

ა) ბოსნიურ-ხორვატული (ყველაზე დასავლეთით მდებარე და ატლანტიკისკენ მიმართული, წმინდა Rimland);

ბ) სერბული (უფრო აღმოსავლეთით მდებარე და გამოკვეთილი ევრაზიული ორიენტაციით);

გ) ბულგარული (კიდევ უფრო აღმოსავლეთით მდებარე, „Rimland-ის ლევანტური ვერსიისა" და კონტინენტური ევრაზიული სინთეზის ელემენტების შემცველი — უფრო მკვეთრად ეს მოდელი წარმოდგენილია თურქეთის მიერ);

დ) ბერძნული (მართლმადიდებლური, მაგრამ ატლანტურ ბლოკში შემავალი).

„ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი" (კონტინენტური და ევრაზიული) ამ სფეროში (როგორც ყველგან) დაფუძნებულია ყველა ინტეგრაციული პროცესის წახალისებაზე ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის მიმართულებით. ეს ნიშნავს, რომ მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი ბელგრად-ათენისა და სოფია-ათენის კავშირთა გამყარებას.

იმის გამო, რომ ბალკანეთის მთელი რეგიონი წარმოადგენს მოზაიკურ და უკიდურესად რთულ კონფიგურაციას, სერბეთის, ბულგარეთის, მაკედონიის, ჩერნოგორიისა და სერბიული ბოსნიის მომცველი ერთიანი სამხრეთსლავური ფედერაციის პროექტი (რომელიც თეორიულად იდეალური გამოსავალი იქნებოდა), საეჭვოა რომ უახლოეს ხანებში განხორციელდეს. უფრო მეტიც, იგი გულისხმობს განედური ინტეგრაციის საშიშ პროცესს, რომელიც ასეთ რთულ ეთნიკურ რეგიონებში ყოველთვის პრობლემების შემქმნელია. გავიხსენოთ მაგალითად, გააფთრებული ბალკანური ომები მართლმადიდებელ სახელმწიფოებს — სერბეთს, ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის, აგრეთვე, პოტენციურად კონტინენტურ და ევრაზიულ მართლმადიდებლურ სახელმწიფოებს შორის „განხეთქილების ვაშლად" ქცეული მაკედონიის მუდმივად არსებული პრობლემა. ამიტომ შუასაუკუნოვანი ნემანიჩების[4] სერბული „იმპერიის" მაგალითი შეიძლება აღებულ იქნას, როგორც კარგი გეოპოლიტიკური მაგალითი. უფრო მეტიც, საბერძნეთის ყველა მნიშვნელოვანი წარმატება გლობალურ გეოპოლიტიკურ პროექტებში (კერძოდ ალექსანდრე დიდის დაპყრობები) იკვებებოდა ბალკანეთის ჩრდილოეთიდან მომდინარე ენერგიებით (მაკედონური დინასტია, უფრო ადრე ინდოევროპული სპარტის დორიული ტიპი).

მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის მცირე მოდელის ფარგლებში,

სერბები (და ნაწილობრივ ბულგარელები) წარმოადგენენ ევრაზიულ იმპულსს, გამოდიან, როგორც Heartland-ის იდეის მატარებლები. სამხრეთით მდებარე საბერძნეთი გეოპოლიტიკურად განფენილია ამ ჩრდილო კონტინენტურ იმპულსსა და Rimland-თან მდგრად ისტორიულ ოგივეობას შორის, ამიტომ საბერძნეთისა და ბალკანეთის ჩრდილოეთის გამაერთიანებელმა ინტეგრაციულმა პროექტებმა შეიძლება ხელი შეუწყოს საბერძნეთში შიდაკონტინენტური იმპულსების გაძლიერებას, რაც შეიძლება დაეფუძნოს მართლმადიდებელ რუსეთთან სარწმუნოებრივ სიახლოვეს.

თუ შორეულ პერსპექტივაში შეიძლება წარმოვიდგინოთ ევრაზიულად განწყობილი საერთო ბალკანური ფედერაცია, სამაგიეროდ გეოპოლიტიკური პროგრამა-მინიმუმი შეიძლება იყოს არასწორი რომბის, სოფია-მოსკოვი-ბელგრადი-ათენი-სოფია, ჩამოყალიბება, რომელშიც ცენტრიდან გამოდის ორი სხივი, რუსულ-სერბული და რუსულ-ბულგარული, რომლებიც ერთდება ათენში. მაკედონიის საკითხი შეიძლება გადაიჭრას განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებით, რათა ბალკანეთის სამივე, მართლმადიდებელ და პოტენციურად ევრაზიულ (სხვადასხვა ხარისხით) სახელმწიფოებს შორის მოიხსნას დაპირისპირების მიზეზი. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს მოსკოვის არსებითი ინტერესი მაკედონიის პრობლემის მიმართ.

თუ ამ ვითარებას განვიხილავთ საწინააღმდეგო თვალსაზრისით, ატლანტისტების პოზიციიდან, მაშინვე ცხადი გახდება რომ თალასოკრატიისათვის მნიშვნელოვანია რათა მთელ გეოპოლიტიკურ პროცესებს მიეცეს ზუსტად საპირისპირო ხასიათი.

უპირველეს ყოვლისა, „საზღვაო ძალისათვის" მთავარია მხარი დაუჭიროს პროატლანტისტურ ძალებს ბალკანეთის ჩრდილოეთში (ხორვატებსა და მაჰმადიანებს), ამასთანავე ჩამოაშოროს სერბეთი და ბულგარეთი საბერძნეთთან გეოპოლიტიკურ კავშირს. ამისათვის ყველაზე ხელსაყრელია მაკედონიის გამოყენება, რომელიც შესძლებს ყველა კონტინენტური პროექტის ჩაშლას ამ რეგიონში. თუ ამას დაუმატებენ თურქეთ-ბულგარეთის პრობლემას, ე. ი. ბულგარეთ-რუსეთის ურთიერთობათა საზიანოდ, ხელს შეუწყობენ თურქეთ-ბულგარეთის ურთიერთობების გაუმჯობესებას, მაშინ მთელი ევრაზიული, კონტინენტური პოლიტიკა იგემებს დამარცხებას. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ევრაზიელმა გეოპოლიტიკოსებმა.

## 4.4. დამოუკიდებელი უკრაინის პრობლემა

შემდეგია. უკრაინის საკითხი. უკრაინის დამოუკიდებლობა რუსეთის გეოპოლიტიკისათვის იმდენად უარყოფით მოვლენას წარმოადგენს, რომ პრინციპში, ადვილად შეუძლია შეიარაღებული კონფლიქტის გამოწვევა. შავი ზღვის სანაპიროს გარეშე, იზმაილიდან ქერჩამდე რუსეთი ღებულობს (არავინ იცის ვის მიერ) რეალურად კონტროლირებად, ისეთ უზარმაზარ მანძილზე გადაჭიმულ სანაპირო ზოლს, რომ თვით მისი (რუსეთის), როგორც ნორმალური და დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა ეჭვქვეშ დგება. შავი ზღვა არ ცვლის „თბილი ზღვებისაკენ" გასასვლელს და მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მკვეთრად ეცემა ბოსფორსა და დარდანელზე მყარი ატლანტური კონტრო-

ლის გამო, მაგრამ ის სულ ცოტა, საშუალებას იძლევა გააუვნებელყოს ცენტრალურ რაიონებში თურქული გავლენის შესაძლებელი ექსპანსია და წარმოადგენს უსაზღვროდ მოხერხებულ, საიმედო და იაფ საზღვარს. ამიტომ ამ მიწებზე ახალი გეოპოლიტიკური სუბიექტის წარმოშობა (რომელიც, ამასთანავე, ატლანტური კავშირისკენ მიილტვის) წარმოადგენს აბსოლუტურ ანომალიას. აქამდე შეიძლება მივეყვანეთ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მხოლოდ სრულიად უპასუხისმგებლო ნაბიჯებს.

უკრაინა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო გაურკვეველი ტერიტორიული ამბიციებით, მთელი ევრაზიისათვის უაღრესად დიდ საშიშროებას წარმოადგენს. უკრაინის პრობლემის გადაწყვეტის გარეშე კონტინენტურ გეოპოლიტიკაზე რაიმე საუბარი უაზრობაა. ეს არ ნიშნავს, იმას რომ უკრაინის კულტურულ-ენობრივი, ან ეკონომიკური ავტონომია უნდა შეიზღუდოს და ის რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს წმინდა ადმინისტრაციულ სექტორად იქცეს (როგორც დაახლოებით ეს იყო მეფის რუსეთში ან საბჭოთა კავშირში). სტრატეგიულად უკრაინა უნდა იყოს მოსკოვის ზუსტი პროექცია სამხრეთითა და დასავლეთით (თუმცა დაწვრილებით, ხელახალი სტრუქტურული ცვლილებების შესაძლო მოდელების შესახებ, საუბარი იქნება თავში დასავლეთის შესახებ).

შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთის გეოპოლიტიკის აბსოლუტურ მიზნად წარმოგვიდგება მოსკოვის საყოველთაო და შეუზღუდავი კონტროლი მთელ მის სიგრძეზე — უკრაინიდან აფხაზეთამდე. შესაძლოა მთელი ამ ზონის რამდენიმე ნაწილად დაყოფა კულტურული ნიშნით — მიეცეს ეთნიკური და კონფესიური ავტონომია ყირიმელ რუსებს, თათრებს, კაზაკებს, აფხაზებს, ქართველებს და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოსკოვის მიერ სამხედრო და პოლიტიკურ სიტუაციაზე აბსოლუტური კონტროლის ქვეშ. ეს სექტორები რადიკალურად უნდა ჩამოშორდნენ როგორც დასავლეთიდან, ასევე თურქეთიდან (ან საბერძნეთიდან) მომავალ თალასოკრატულ გავლენას. შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ევრაზიული და ცენტრალიზებულად ემორჩილებოდეს მოსკოვს.

## 4.5. შავ და კასპიის ზღვებს შორის

კავკასია შედგება ორი გეოპოლიტიკური დონისაგან: ჩრდილოეთ კავკასიისა და სამი კავკასური რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის — ტერიტორიებისაგან. ამ სექტორს მჭიდროდ ეკვრის რუსული მიწების არეალი ტაგანროგიდან ასტრახანამდე, ე. ი. შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ყველა რუსული მიწა, სადაც, აგრეთვე, სოლისებურადაა შეჭრილი ყალმუხეთის ტერიტორია.

მთელი ეს რეგიონი წარმოადგენს უკიდურესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ კვანძს, რადგან მასზე დასახლებული ხალხები ფლობენ უდიდეს სოციალურ დინამიკას, უძველეს გეოპოლიტიკურ ტრადიციებს, ეს რეგიონი ესაზღვრება ატლანტურ თურქეთს, რომელიც თავის მხრივ სტრატეგიულად აკონტროლებს მოსაზღვრე ზონას. ეს ზონა რელიეფის თვალსაზრისით მიეკუთვნება კავკასიის მთიანი მასივის ერთიან სივრცეს.

ეს არის რუსეთის გეოპოლიტიკური სივრცის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ადგილი და შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ეს ტერიტორიები იყო რუსეთ-Heartland-ის გააფთრებული სამხედრო მოქმედებების ტრადიციული არენა სასაზღვრო ზონების ქვეყნების, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ. კავკასიაზე კონტროლი ხსნის „თბილი ზღვებისკენ" გასასვლელს და საზღვრის ყოველი გადანაცვლება (ყველაზე უმნიშვნელოც კი) სამხრეთისაკენ (ან ჩრდილოეთი-საკენ) წარმოადგენს მნიშვნელოვან მოგებას (ან წაგებას) მთელი კონტინენტური ძალისათვის, თელეროკრატიისათვის.

ამ რეგიონის სამ ჰორიზონტალურ სიბრტყეს — რუსულ მიწებს, რუსეთის შემადგენელ ჩრდილო კავკასიასა და თვით კავკასიას გააჩნია, აგრეთვე, საკუთარი შესაძლებელი გაგრძელებები სამხრეთისაკენ. ეს დამატებითი, წმინდა პოტენციური ზოლი (რომელიც იმყოფება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებს გარეთ) შედგება სამხრეთ აზერბაიჯანისა (ირანის ტერიტორიაზე) და თურქეთის ჩრდილო რაიონებისაგან, რომლებიც მჭიდროდ არიან დასახლებულნი ქურთებითა და სომხებით. ეს რეგიონი წარმოადგენს ისეთივე ეთნო-კულტურულ პრობლემას თურქეთისა და ირანისათვის, როგორც რუსეთის შემადგენლობაში შემავალი (ან არშემავალი) კავკასიური ეთნოსები. ამის გამო ყველა ობიექტური წინა-პირობა არსებობს კავკასიური სივრცის სიღრმეში კონტინენტური გავლენის გასავრცელებლად. მაშასადამე, შავ და კასპიის ზღვებს შორის გამოიყოფა ოთხი დონე ან სიბრტყე, რომელიც ცენტრის მხრიდან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს.

პირველი, რუსული სიბრტყე, უნდა შეიკრას განედური კავშირით, რითაც შეიქმნება მყარი კონსტრუქცია: დონის როსტოვი-ვოლგოგრადი-ასტრახანი. ეს არის რუსეთის სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან იგი ჩრდილოეთით ეყრდნობა რუსეთის ცენტრალურ ნაწილს, ხოლო უფრო ჩრდილოეთით არხანგელსკს, უმნიშვნელოვანეს ჩრდილოეთის ნავსადგურსა და „ჩრდილოეთის ტრაპეციის" შესაძლო დედაქალაქს.

ევროპის ცენტრალურ ნაწილთან შედარებითი სიახლოვის, დემოგრა-ფიულად მჭიდროდ დასახლებისა და ტექნიკური განვითარების გამო სამკუ-თხედი დონის როსტოვი-ვოლგოგრადი-ასტრახანი, წარმოადგენს რუსეთის უმთავრეს საყრდენს სამხრეთში. ეს არის ევრაზიული ცენტრის თავისებური ჩანაცვლება მეორადი, სიღრმისეულ სივრცეებთან დაკავშირებული უწყვეტი ტერიტორიების ცენტრით. სწორედ ამიტომ, ეს რეგიონი ევრაზიის მთელი კავკასიური სტრატეგიის გეოპოლიტიკურ ბირთვად უნდა იქცეს. ამისათვის კი საჭიროა მისი სტრატეგიული, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური ხელშეწყობა. აქ სასურველია შეიქმნას განსაკუთრებულად შედუღაბებული, ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად შეკავშირებული რუსული ზონა.

ამასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ რაიონებთან მიმართებაში წარმოი-შობა ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ მეჩხერად არიან დასახლებულნი. ამიტომ კარგი იქნება ამ ჩრდილოეთის სტეპუ-რი რეგიონების ჩართვა საერთო ინტეგრაციულ ზოლში, მათი გეოპოლიტიკური „გაჭიმვა" დონის როსტოვსა და ასტრახანს შორის, რათა სამკუთხედი, წვერით ვოლგოგრადში, ქვემოდან შეიკრას. ამით აღდგენილი იქნება პირველი ათას-

წლეულის დასაწყისში ამ რეგიონის მაკონტროლებელი ძველი ხაზარების გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული საზღვრები, ამ გეოპოლიტიკურ წარმონაქმნს პირობითად შეიძლება „ხაზარული სამკუთხედი" ვუწოდოთ.

„ხაზარული სამკუთხედის" წმინდა რუსული ზონიდან გადასვლის შემდეგ, რომელმაც უნდა მისდიოს განედურ (ჰორიზონტულ) ლოგიკას, ინტეგრაციის ვექტორი მკვეთრად იცვლის თავის ხასიათს. ჩრდილოეთთან და ცენტრთან (მოსკოვთან) მჭიდრო კავშირის მიუხედავად, მთელი ჩრდილო კავკასია და ყველაფერი, რაც მისგან სამხრეთითაა, უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ და მხოლოდ მერიდიანულ ორიენტაციას. „ხაზარული სამკუთხედის" სტრატეგიულმა ცენტრებმა უნდა განავითარონ სამხრეთისაკენ განშლადი დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ჯაჭვი: როსტოვიდან კრასნოდარის გავლით მაიკოპის, სოხუმისა და ბათუმისაკენ, სტავროპოლიდან კისლოვოდსკის, ნალჩიკის, ორჯონიკიძის, ცხინვალისა და თბილისისაკენ, ასტრახანიდან მახაჩკალისაკენ.

ამიერკავკასიის ეთნიკური რეგიონების ყოველგვარი განედური გამიჯვნა მხარდაჭერილ უნდა იქნას, ხოლო გრძედური ინტეგრაცია პირიქით, უნდა გამყარდეს. ამგვარად, აუცილებელია აქტიური, სეპარატისტული ჩეჩნეთი ნებისმიერი ხერხით ჩამოვაშოროთ დაღესტანს (და ინგუშეთს) და ჩაიკეტოს გასასვლელი კასპიის ზღვაზე. თუ ჩეჩნეთს დავუტოვებთ მხოლოდ სამხრეთით მდებარე საქართველოს, მაშინ იგი გეოპოლიტიკურად გაკონტროლდება ყოველი მხრიდან და მისი მართვა შესაძლებელი იქნება მართლმადიდებელი საქართველოს მხრიდანაც. საქართველოს ნაწილობრივ უნდა მიებას, აგრეთვე, დაღესტანი და ინგუშეთი, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ეკონომიკურად განვითარებულ, მაგრამ სტრატეგიულად მთლიანად რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი, ევრაზიული ორიენტაციის მქონე, ავტონომიური, ჩრდილო-კავკასიური ზონის შექმნამდე.

ჩრდილოეთ კავკასიის გადაკეთებას შეუძლია გადაჭრას ოსური პრობლემებიც, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ახალი ეთნიკური წარმონაქმნი, მაგალითად, გაერთიანებული ოსეთი, დაკარგავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მნიშვნელობას და შეიძენს წმინდა ეთნიკურ, კულტურულ, ლინგვისტურ და რელიგიურ შინაარსს. ამავე მერიდიანული ლოგიკით, აუცილებელია აფხაზეთის უშუალოდ რუსეთთან დაკავშირება.

ყველა ეს ნაბიჯი მიმართულია ერთი გეოპოლიტიკური მიზნისაკენ — გამყარდეს ევრაზიული თელეოკრატიული კომპლექსი და მომზადდეს მისი მსოფლიო გამარჯვება ატლანტიზმთან დუელში. ამიტომ მთელ ამ გეგმას შეიძლება ვუწოდოთ „ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი კავკასიაში". იგი გულისხმობს არსებული პოლიტიკური წარმონაქმნების, როგორც „ერი-სახელმწიფოების" ანუ მუდმივი საზღვრებისა და დასრულებული სახელისუფლებო სტრუქტურის მქონე, მკაფიოდ გამოკვეთილი ადმინისტრაციული წარმონაქმნების მიმართ ტრადიციულ ურთიერთობაზე უარის თქმას. „ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი კავკასიაში" გულისხმობს არსებული პოლიტიკური რეალობების სრულ გადაკეთებას და სახელმწიფო-სახელმწიფო ან ერი-ერი ურთიერთდამოკიდებულების მოდელიდან წმინდა გეოპოლიტიკურ სისტემაზე — ცენტრი-პერიფერია — გადასვლას. ამასთან, პერიფერიის სტრუქტურა უნდა განისაზღვროს არა პოლიტიკური, არამედ ეთნო-კულტურული დიფერენციაციით.

ეს შეიძლება განხორციელდეს „კავკასიის ფედერაციის“ შექმნით, რომლის შემადგენლობაში შევა, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამივე კავკასიური რესპუბლიკა, აგრეთვე, რუსეთის შიდა ავტონომიური წარმონაქმნები. ცენტრი მთელ ამ რაიონს მისცემს კულტურულ-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მაგრამ უზრუნველყოფს უმკაცრეს სტრატეგიულ ცენტრალიზმს. ეს მიგვიყვანს უაღრესად მოქნილ სისტემამდე, რომელიც დაეფუძნება არა ძალადობას, ოკუპაციას ან კავკასიური მრავალფეროვნების გაერთიანირებას, არამედ ერთიანობასა და საერთო კონტინენტური ბედის გაზიარებას.

განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ როლს თამაშობს სომხეთი, რომელიც კავკასიაში რუსეთის ტრადიციული და საიმედო მოკავშირეა. სომხეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ბაზას ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში — შუა აზიის თურქულ სამყაროში თურქული ექსპანსიის თავიდან ასაცილებლად. შემტევ გეოპოლიტიკურ ასპექტში, კი პირიქით სომხეთი მნიშვნელოვანია, როგორც ეთნოკულტურული ერთობა, რომელიც უწყვეტად გრძელდება სამხრეთისაკენ, თურქეთის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს ძველი სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და სომხების მთავარი სიწმინდე — მთა არარატი. რასობრივი და ლინგვისტური მსგავსება სომხებს, ქურთებთან, მეორე უმნიშვნელოვანეს ეთნიკურ ფაქტორთან აკავშირებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას თურქეთის შიგნით გეოპოლიტიკური ძვრების პროვოცირებისათვის. ამასთან ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი სახმელეთო დერეფნის შეიქმნა, რომელიც გადაკვეთს მთელ კავკასიას და საიმედოდ დააკავშირებს სომხეთს „ხაზართა სამკუთხედთან“.

სომხეთი მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მოსაზრებით. სომხეთსა და ირანს შორის არსებულ ისტორიულ და ეთნიკურ სიახლოვეზე დაყრდნობით, სწორედ სომხეთს შეუძლია გადასცეს ევრაზიული იმპულსი ცენტრიდან ირანის საზღვაო ზონებამდე. ეს ნიშნავს მოსკოვი-ერევანი-თეირანის ღერძის შექმნას.

ირანს (და არავითარ შემთხვევაში თურქეთს) უნდა მიებას აზერბაიჯანი, შიიტობის, ირანის სამხრეთ აზერბაიჯანთან ეთნიკური სიახლოვისა და ისტორიული კავშირების აქცენტირებით. ამგვარად, უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული სხივი მოსკოვი-თეირანი-ერევნის გავლით, დაწყვილებული იქნება მოსკოვი-ბაქო-თეირანის სხივით, რაც შექმნის ბალკანური რომბის სიმეტრიულ რომბს. საერთოდ ბალკანეთსა და კავკასიას შორის არსებობს მრავალი გეოპოლიტიკური მსგავსება და მათ შორის ყველაზე მთავარია ის, რომ ყველაზე აშკარად სწორედ აქ ვლინდება უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კანონის მოქმედება — **ეანედური პროცესები იწვევენ საშინელ კონფლიქტებს, გრძელდულ კავშირებს მივყავართ სტაბილურობისა და მდგრადობისაკენ.** ეს გამოიხატა იუგოსლავიის ომში და სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში მთიანი ყარაბაღის გამო. თვით ყარაბაღის პრობლემა კი, ზოგიერთ შემთხვევაში მაკედონიის პრობლემის მსგავსია. ამიტომ მთელი რეგიონის სტაბილიზაციისათვის მოსკოვმა უნდა გააბას უშუალო კავშირები ყარაბაღთან, რათა ეს ტერიტორია გადააქციოს მთელი კავკასიის გეოპოლიტიკური სისტემის წონასწორობის წერტილად. ამისათვის ყარაბაღის მოლაპარაკებებს უნდა ესწრებოდეს ოთხი მხარე: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და ირანი, ყველა ატლანტური მონაწილის გამორიცხვით, რომელთა პოლიტიკური თანდასწრება რეგიონში, მიზანშეუწონელია გეოპოლიტიკური მოსაზრებებით.

## 4.6. ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი შუა აზიაში

შუა აზიად მიიჩნევენ ევრაზიის ხმელეთის უზარმაზარ ფრაგმენტს, ჩრდილო ყაზახური სტეპებიდან არაბეთის ზღვამდე. ყოფილი საბჭოთა შუა აზიის რესპუბლიკებიდან, ეს ზონა კოპეტდაღის ქედის და პამირის გავლით ვრცელდება სამხრეთით — ირანის დაბლობზე და სამხრეთ-აღმოსავლეთით — ავღანეთზე. შუა აზია წარმოადგენს იმ გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელსაც სხვებთან შედარებით უფრო ადრე შეუძლია მიიყვანოს Heartland აღთქმულ მიზნამდე — ინდოეთის ზღვამდე. თუ მოსკოვი შესძლებს პოზიციური ომის მოგებას თალასოკრატიასთან ამ მიმართულებით, მყისვე გადაწყდება მრავალი საკითხი — ინდოეთის ინტეგრაცია კონტინენტურ ბლოკში, ერაყის სტრატეგიული მხარდაჭერა თურქეთის წინააღმდეგ, პირდაპირი დერეფანი ახლო აღმოსავლეთში და ა. შ. ყოველივე ამის გამო აღნიშნული სივრცე უდიდეს მნიშვნელობას იძენს ევრაზიული სამხრეთის გეოპოლიტიკური რესტრუქტურიზაციის საკითხში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შუა აზია მთათა ჯაჭვით იყოფა არა მხოლოდ პოლიტიკურად და გეოპოლიტიკურად, არამედ რასობრივადაც. შუა აზიის ყოფილი საბჭოთა ზონა (ტაჯიკეთის გამოკლებით) დასახლებულია თურქსუნიტებით, თურანის მემკვიდრეებით, რომელთა უმრავლესობა, ძირითადად, კვლავ მომთაბარეობასა და მესაქონლეობას მისდევს. „არასაბჭოთა" შუა აზია — ირანი, ავღანეთი (ეთნო-კულტურულად მონათესავე პაკისტანი) დასახლებულია ბინადარი ინდოევროპელებით. ამგვარად, გეოპოლიტიკურ ერთობას აქვს მკვეთრად გამოხატული რასობრივი საზღვარი.

ეს ზონა იყოფა სამ ნაწილად:

1) ცენტრალური ყაზახეთი (50-ე პარალელის სამხრეთით, რადგან ჩრდილოეთით მდებარეობს „რუსეთის აღმოსავლეთში" ჩათვლილი მიწები);

2) უდაბნოს თურქმენეთი და უზბეკეთი, მთიანი ყირგიზეთი (წმინდა თურანული მიწები);

3) ირანი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთი (ეს არის ირანი ზოგადი მნიშვნელობით —„არიანა", „არიელთა მიწა").

„ახალი ევრაზიული წესრიგი შუა აზიაში" ეფუძნება ამ მიწების გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ღერძით დაკავშირების აუცილებლობას ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ამასთან, როგორც ყველა მსგავს შემთხვევაში, საჭიროა სივრცის ჩამოყალიბება მხოლოდ და მხოლოდ მერიდიანული მიმართულებით, ცალკეული მხარეების გრძედური დაახლოების ხელშეწყობით.

ჩრდილოეთის საკითხიდან დაწყებული საუბარი მიმდინარეობს მთელი ყაზახეთის, რუსული სამხრეთ ურალისა და დასავლეთ ციმბირის კავშირის შესახებ. ეს კავშირი მთელ შუააზიურ სივრცეს კონსტრუქციად უნდა მოემსახუროს. საერთო კონტინენტურ ბლოკში რუსეთთან ყაზახეთის თანმიმდევრულ და გათვლილ ინტეგრაციაში ძევს მთელი კონტინენტური პოლიტიკის საფუძველი. ამასთან ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონში თურქეთის მიერ ყოველგვარი გავლენის მოპოვების დასაწყისშივე უმკაცრესი აღკვეთის ამოცანა, წინააღმდეგობის გაწევა ატლანტური თურქეთიდან გამომდინარე „თურანული" ინტეგრაციის ნებისმიერი პროექტისადმი, რომელიც ყოფილ „საბჭოთა" შუა

აზიას განედურ გეოპოლიტიკურ განვითარებას შესთავაზებს, ინდოევროპული ჩრდილოეთისა (რუსეთი) და, ასევე, ინდოევროპული სამხრეთის (ირანი, ავღანეთი, პაკისტანი, ინდოეთი) წინააღმდეგ.

თურანული ინტეგრაცია წარმოადგენს ევრაზიული გეოპოლიტიკის საწინააღმდეგოს და მიზნად ისახავს თელეოკრატიული ძალების გაბლეჩას სამ ნაწილად: დასავლეთ (ევროპული რუსეთი), აღმოსავლეთ (რუსული სამხრეთ ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი) და სამხრეთ (ირანი, ავღანეთი, პაკისტანი, ინდოეთი) ნაწილებად. მსგავსი „თურანიზმი" მიზნად ისახავს დაამსხვრიოს ტყისა და სტეპის რასობრივი და გეოპოლიტიკური კავშირი, რომელმაც საწყისი მისცა, როგორც რუსეთის სახელმწიფოს, ასევე ველიკორუსულ ეთნოსსაც. ირანთან და ავღანეთთან ურთიერთობაში იგი ნაწილებად ხლეჩს ისლამური სამყაროს რელიგიურ ერთობას. აქედან გამომდინარე, Heartland-მა თურქეთსა და სხვა „პანთურქისტებს" მწვავე პოზიციური გეოპოლიტიკური ომი უნდა გამოუცხადოს, რომელშიც რუსეთის მთავარი მოკავშირე ისლამური, არიული ირანი იქნება.

შუა აზია უნდა „გადაიჭიმოს" შვეულად ორ გლობალურ ინდოევროპულ რეალობას — რუსებსა და სპარსელებს — შორის. ამასთან ყოველნაირად უნდა ვისწრაფოთ, რათა მთელ თურქულ სივრცეში გამოიყოს ადგილობრივი ავტონომიური, კულტურული ტენდენციები, მხარი დავუჭიროთ რეგიონულ ძალებს ავტონომიურ ოლქებში, გაღრმავდეს დაპირისპირება კლანებს, ტომებს, „ულუსებს" და ა. შ. შორის. ამ სივრცეში ყოველგან უნდა ვეცადოთ სტრატეგიული ობიექტების, ტერიტორიების, ოლქების, სამრეწველო კომპლექსების, ეკონომიკური ციკლების შეკვრას თურქული სივრცის გარეთ არსებული ტერიტორიებიდან ან მათ დაკავშირებას მერიდიანული მიმართულებით. ასე მაგალითად, უზბეკეთის დასავლეთით მდებარე ყარაყალპაკეთი ტერიტორიულად უნდა გაერთიანდეს არა აღმოსავლეთთან (ბუხარა, სამარყანდი, ტაშკენტი), არამედ ჩრდილოეთთან (ყაზახეთი) და სამხრეთთან (თურქმენეთი). ამავე პრინციპით უნდა შევქმნათ სასაზღვრო ოლქების ახალი სტრუქტურა უზბეკეთსა და ტიჯიკეთს შორის. სამარყანდი და ფერღანის ველი ისტორიულად და ეთნიკურად არანაკლებაა დაკავშირებული ტაჯიკურ ტერიტორიებთან, ვიდრე უზბეკურთან. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას სამხრეთ ყირგიზეთის მიმართთაც. თელეოკრატიის მთელი შუაზიური გეოპოლიტიკური სტრატეგიის ბირთვად ტაჯიკეთი უნდა იქცეს. ეს მხარე ითავსებს რუსეთის „drand nach suden"-ის, „სამხრეთისკენ ნახტომის" უმნიშვნელოვანეს ასპექტებს. ტაჯიკები — ინდოევროპული წარმოშობის მაჰმადიანები — ეთნიკურად ენათესავებიან ირანელებსა და ავღანელებს ე. ი. ისინი ამ რეგიონში წარმოადგენენ „ირანული" სამყაროს ფრაგმენტს. ამასთან ტაჯიკეთი შედიოდა რუსეთისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ანუ გაერთიანებული იყო კონტინენტურ, ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სისტემაში. ამიტომაც, ამ პატარა მაღალმთიანი ქვეყნის ბედი მტკიცედ უკავშირდება შუა აზიაში ახალი ევრაზიული წესრიგის დამყარების წარმატებას (ან ჩავარდნას).

ტაჯიკეთსა და ავღანეთს შორის ფაქტიური საზღვარი არ უნდა აღიქმებოდეს ზუსტად დადგენილ საზღვრად. ეს არის არა ისტორიული მოცემულობა, არამედ გეოპოლიტიკური დავალება, ვინაიდან Heartland-ის ინტერესებშია

გაუქმდეს აქ მკაცრი შეზღუდვები და სტრატეგიული მიჯნა გადავიდეს შორს სამხრეთში, ხოლო მთელი შუალედური ოლქი გადაეწყოს ეთნოკულტურულ, ტომობრივ და რეგიონულ საზღვრებზე. ავღანეთს არა აქვს დასრულებული ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის ტრადიცია. იგი დასახლებულია უამრავი მომთაბარე და ბინადარი ტომებით (პუშტუნები, ტაჯიკები, უზბეკები და ა. შ.), რომლებიც უფრო მეტად რელიგიით (ისლამით) არიან დაკავშირებულნი, ვიდრე სახელმწიფოებრიობით და პოლიტიკით. ამიტომ რუსეთის გეოპოლიტიკური დაბრუნება ავღანეთში გარდაუვალია და თვით გეოგრაფიის მიერ არის წინასწარგანსაზღვრული. ერთადერთი, რასაც ამ დროს უნდა დავეყრდნოთ არის არა სამხედრო ძალა, არამედ ორი მხარის შეგნებულ და კეთილ ნებაზე დამყარებული სტრატეგიული კავშირი, რომელიც ეფუძნება „დასავლეთის ძალებისა" და „ატლანტიზმის" მიმართ საერთო წინააღმდეგობის აუცილებლობით გამოწვეულ კარგად მოფიქრებულ გეოპოლიტიკურ სტრატეგიას. აღნიშნული პოზიცია ავტომატურად დაახლოებს რუსებსა და მაჰმადიანებს.

ტაჯიკეთი ამ პროცესში ძირითადი ბაზის როლს თამაშობს, ამასთანავე მისი ტერიტორია წარმოგვიდგება გეოპოლიტიკურ ლაბორატორიად, რომელშიც თავს იყრის განსხვავებული მიმართულების ორი — ინდოევროპული, ევრაზიული სამხრეთის ისლამური და Heartland-დან, ჩრდილოეთიდან მომავალი რუსული გეოპოლიტიკური იმპულსი. აქ, ტაჯიკეთში, დუშანბეში ან ნებისმიერ ქალაქში უნდა შემუშავდეს ერთობლივი რუსულ-ისლამური სტრატეგია უფრო ჩრდილოეთით მდებარე „თურანის" რეორგანიზაციისათვის. ამ სივრცის დანიშნულებაა „ახალი ევრაზიის" შექმნის შესახებ გადაწყვეტილების შემუშავება, რომელშიც საბოლოოდ გამყარდებოდა კავშირი, ერთი მხრივ, სტეპსა და ჩრდილოეთის ტყეს, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე სტეპსა (თურანსა) და ირანს შორის.

ამგვარად, ლოგიკურია ევრაზიული ცენტრიდან კიდევ ერთი სხივის გაყვანა: მოსკოვი-დუშამბე-ქაბული-თეირანი, რომლის გასწვრივაც უნდა ჩამოყალიბდეს არნახული გეოპოლიტიკური რეალობა.

ტაჯიკეთის ნაწილი (მთიანი ბადახშანი) მცირე მანძილითაა დაშორებული პაკისტანისა და ინდოეთიდან, რომლებიც ჩინეთთან თითქმის ერთ წერტილში (სინ-ძიანი) ერთდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზონები, თითქმის, გაუვალია, რადგან მდებარეობს ძალიან მაღლა, პამირის მთებში. თვით მთიანი ბადახშანის ოლქს აქვს დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. იგი დასახლებულია ისმაელიტებით, ისლამური ერეტიკული სექტის წარმომადგენლებით, ეს მიმდინარეობა ყველაზე უკიდურესი შიიზმის გამოვლინებას, ანუ ისლამის უფრო ინდოევროპულ (სულიერი თვალსაზრისით) ვერსიას წარმოადგენს. ბადახშანელი ისმაელიტები სახლობენ პაკისტანის რეგიონების გვერდით, ხოლო ეს სახელმწიფო (თუმცა კი ოფიციალურად სუნიტურია) ეთნიკურად წარმოადგენს გამაჰმადიანებულ ინდუსთა ერთობას. ეს მიუთითებს, რომ მათთვის უდაოდ უფრო ახლოა ინდოევროპული ტენდენციები ამ რელიგიის ფარგლებში, რაც შეიძლება გამოვლინდეს არა ღია „შიიზმში", არამედ „კრიპტოშიიზმში".

იქვეა მაჰმადიანებითა და შივაისტებით დასახლებული ინდოეთის ქაშმირი. მაჰმადიანი-უიღურებითაა დასახლებული, აგრეთვე, სინ-ძიანის ოლქი ჩინეთში, ამიტომ ბადახშანის რელიგიური სპეციფიკა და მისი სტრატეგიული




1. იაკუტიის გეოპოლიტიკური მდებარეობა საფრთხეს უქმნის Heartland-ის უსაფრთხოებას, რადგან ტერიტორიულად იაკუტია შეესაბამება „Lenaland"-ის გეოპოლიტიკურ კატეგორიას – ე.ი. იმ სექტორს, რომელიც უნდა მოწყდეს ძირითად კონტინენტურ მასას (მაკინდერის მიხედვით);
2. თანამედროვე თურქეთის მიერ წამოყენებული პანთურანული გეოპოლიტიკური პროექტი ითვალისწინებს ყველა თურქულენოვანი ხალხის ერთ ზესახელმწიფოდ გაერთიანებას. თავისი შინაარსით ემთხვევა Heartland-ის დახლეჩის ატლანტიკურ პროექტს. ამ პროექტში მთავარი ფუნქცია ენიჭებათ ყაზახეთს, თათარსტანსა და იაკუტიას.

მდებარეობა Heartland-ს საშუალებას აძლევს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც სწორედ ამ ოლქში იყრიან თავს – პაკისტან-ინდოეთის ომები, პოტენციური უიღურული ისლამური სეპარატიზმი ჩინეთში, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ტიბეტში, სიქჰური მოძრაობა ფენჯაბის უფრო სამხრეთით და ა. შ. აზიის ამ კრიტიკული კვანძის ყველა ბოლო თავს იყრის ტაჯიკეთში, უფრო ზუსტად – ბადახშანში. აქედან გამომდინარე, თავისთავად მოითხოვება დამატებითი და დამოუკიდებელი ღერძი მოსკოვი-ხოროგი (ბადახშანის დედაქალაქი). უფრო მეტიც, რადგანაც ბადახშანის კავშირი დანარჩენ ტაჯიკეთთან არც ისე მყარია (ეთნო-რელიგიური და კლასობრივი წინააღმდეგობები), მოსკოვმა ეს რეგიონი უნდა გამოყოს ცალკე გეოპოლიტიკურ რეალობად (მაკედონიის ან ყარაბაღის მსგავსად) რადგან ხოროგის სტრატეგიული მნიშვნელობა უდიდესია ამ გიგანტური რეგიონისათვის, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება არა მხოლოდ ტაჯიკეთის, არამედ მთელი შუა აზიის მასშტაბებს.

ეს რთული სივრცე თელეოროკრატიის მოდელის საფუძველზე მთლიანად უნდა გარდაიქმნას „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" (რუსეთის) აქტიური

გავლენით, ანუ იმ გეგმების საწინააღმდეგოდ, რომლებიც თალასოკრატიულ, ატლანტურ, ელემენტებს შეიცავენ, ცნობილია რომ სწორედ ინგლისი უწყობდა ხელს ინდოელი მაჰმადიანების სეპარატისტულ მოძრაობას, რამაც პაკისტანის გამოყოფა გამოიწვია. ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტები ხელსაყრელია ატლანტისტებისათვის, რადგანაც მათ საშუალება ეძლევათ გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების გამოყენებით გაამყარონ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა ორივე რეგიონში და დაუქვემდებარონ ისინი ამერიკისა და ინგლისის სამხედრო-სტრატეგიულ ნებას.

ამჟამად პაკისტანი, ინდოეთი და ჩინეთი მყარად შედიან თალასოკრატიის მიერ კონტროლირებად სანაპირო ზონაში. ტაჯიკეთისა და ბადახშანის გეოპოლიტიკური ფუნქციაა ასეთი ვითარების რადიკალური შეცვლა და მთელ ამ სივრცეზე კონტინენტური ინტეგრაციის ევრაზიული სისტემის ორგანიზება. ამასთან, იდეოლოგიურ სფეროში აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას უმცირესი ეთნო-რელიგიური და კულტურულ-ლინგვისტური ნიუანსები, ხოლო სამხედრო-სტრატეგიულ სფეროში აუცილებელია სწრაფვა მტკიცე და უალტერნატივო ცენტრალიზმისაკენ.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ფუნდამენტალისტური ირანის ანტიამერიკანიზმი და ინდოეთის მკაცრი „ნეიტრალიტეტი", ევრაზიული სტრატეგიის წარმატების სერიოზულ საფუძველს იძლევა. დანარჩენი დამოკიდებულია მოსკოვის, უფრო ზოგადად კი, რუსეთ-ევრაზიის გეოპოლიტიკურ ნებაზე.

## 4.7. THE FAII OF CHINA

რუსეთისთვის სამხრეთში ყველაზე საშიშ გეოპოლიტიკურ მეზობელს ჩინეთი წარმოადგენს. მისი როლი რაღაცით თურქეთის მსგავსია, მაგრამ თუ თურქეთი აშკარადაა ნატოს წევრი და მისი სტრატეგიული ატლანტიზმი ცხადია, სამაგიეროდ ჩინეთთან დაკავშირებით უფრო რთული ვითარებაა.

ჩინეთის გეოპოლიტიკა თავიდანვე ორაზროვანი იყო. ერთი მხრივ იგი მიეკუთვნებოდა Rimland-ს, წყნარი ოკეანის „სანაპირო ზონას" (აღმოსავლეთ მხრიდან), მეორე მხრივ — იგი არასოდეს ჩამოყალიბებულა თალასოკრატიულად, პირიქით, ყოველთვის მიმართული იყო კონტინენტური არქეტიპებისაკენ. ამიტომ, პოლიტიკური ტრადიციის მიხედვით ჩინეთს „შუაგულ იმპერიას" უწოდებენ, ამ ტერმინით კი გამოიხატება სწორედ თელეოკრატიული სახელმწიფოს არსი. ამასთან ინდოეთის ოკეანისაგან ჩინეთი გამოყოფილია ინდოჩინეთის ნახევარკუნძულით, რომელზედაც მდებარეობს აშკარა თალასოკრატიული ორიენტაციის მქონე სახელმწიფოები.

დასავლეთის მიერ აღმოსავლეთის ათვისების (კოლონიზაციის) მომენტში მარიონეტულ, პროინგლისურ მთავრობასთან ერთად (ცინის დინასტიის იმპერატორების ბოლო თაობა) ჩინეთი თანდათან გადაიქცა ნახევარკოლონიად. XIX საუკუნის დასაწყისადან 1949 წლის ჩათვლით (გომინდანზე ჩინეთის კომპარტიის გამარჯვებამდე) ჩინეთის გეოპოლიტიკა წმინდა ატლანტურ ტენდენციებს მიჰყვებოდა (თანაც ჩინეთი გამოდიოდა არა, როგორც დამოუკიდებელი თალასოკრატია, არამედ, როგორც დასავლეთის ევრაზიული ბაზა). კომპარტიის გამარჯვებამ შეცვალა საქმის ვითარება და ჩინეთი მცირე ხნის

განმავლობაში (1949-1958 წლებში) ევრაზიულ, პრორუსულ, პოლიტიკას დაადგა. თუმცა ისტორიული ტრადიციის გამო ევრაზიული ხაზი მალე იქნა მიტოვებული და ჩინეთმა „დამოუკიდებლობა" არჩია. რჩებოდა მხოლოდ ცდა იმ დრომდე, როდესაც ევრაზიული ორიენტაცია იმდენად მისუსტდებოდა, რომ პოტენციური ატლანტიზმი და ჩინეთის, როგორც „სანაპირო ზონის" გეოპოლიტიკური იდენტურობა აშკარა გახდებოდა. ეს მოხდა 70-იანი წლების შუაში, როდესაც ჩინეთმა დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები მონდიალისტური „სამმხრივი კომისიის" წარმომადგენლებთან. ეს ნიშნავდა ჩინეთის ხელახალ შესვლას ატლანტური გეოპოლიტიკის სტრუქტურაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი, გარკვეულ პირობებში შეიძლება კვლავ დაადგეს ევრაზიული ალიანსის გზას, მხოლოდ ამ იმედზე ყოფნა მიზანშეწონილი არაა. წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით, ჩინეთისთვის გაცილებით მომგებიანია ურთიერთობა დასავლეთთან, ვიდრე რუსეთთან, რომელსაც არ შეუძლია ხელი შეუწყოს ამ ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებას, ხოლო ასეთი „მეგობრობა" მხოლოდ ფრთებს შეუკვეცავს ჩინეთის გეოპოლიტიკურ მოქმედებებს შორეულ აღმოსავლეთში, მონღოლეთსა და სამხრეთ ციმბირში. გარდა ამისა, ჩინეთის დემოგრაფიული ზრდა ამ ქვეყანას აყენებს „თავისუფალი ტერიტორიების" პრობლემის წინაშე. ყაზახეთისა და ციმბირის მიწები კი, ამ მხრივ, ძლიერ მიმზიდველად გამოიყურება.

ჩინეთი რუსეთისთვის საშიშია ორი მიზეზის გამო, როგორც ატლანტიზმის გეოპოლიტიკური ბაზა და, როგორც „უპატრონო სივრცეების" მაძიებელი, გაზრდილი დემოგრაფიული სიმჭიდროვის ქვეყანა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში Heartland-ს საქმე აქვს პოზიციურ მუქარასთან, რომლის ადგილმდებარეობა უკიდურესად საშიშია — ჩინეთი იკავებს Lenaland-ის სამხრეთით განლაგებულ მიწებს.

გარდა ამისა, ჩინეთი ფლობს ჩაკეტილ რასობრივ-კულტურულ სპეციფიკას და ისტორიულად თვალმისაწვდომ პერიოდებში იგი არასდროს მონაწილეობდა ევრაზიის კონტინენტურ მშენებლობაში.

ყველა ეს მოსაზრება (პოლიტიკური დაწვრილმანებისაგან დამოუკიდებლად) ჩინეთს აქცევს რუსეთის პოტენციურ, გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ სამხრეთსა და აღმოსავლეთში. ეს აღიარებული უნდა იქნას გეოპოლიტიკურ აქსიომად, ამიტომ რუსეთის გეოპოლიტიკური ამოცანა საკუთარი „შიდა" სამხრეთ სარტყელის ყველაზე- აღმოსავლეთით მდებარე სექტორის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმალურად განავრცოს საკუთარი გავლენის ზონა სამხრეთით, რაც შეიძლება უფრო ფართო „სასაზღვრო ზონის" შექმნით. სამომავლოდ ევრაზიამ თავისი გავლენა უნდა გაზარდოს ინდოჩინეთამდე, თუმცა ამის მიღწევა, ურთიერთმომგებიანი კავშირის გზით, პრაქტიკულად დაუჯერებელია. სწორედ ამით, ჩინეთი პრინციპულად განსხვავდება ისლამური აზიისა (თურქეთის გარდა) და ინდოეთისაგან. თუ ევრაზიის სხვა სამხრეთ სექტორებთან ევრაზიული ალიანსი უნდა დაფუძნდეს ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით, ანუ წარმოადგენდეს საერთო გეოპოლიტიკური მისიის გააზრებაზე დაფუძნებულ შეგნებული და კეთილი ნების კავშირს, სამაგიეროდ ჩინეთთან საჭიროა ძალისმიერი პოზიციური გეოპოლიტიკური ზეწოლა, ტერიტორიული დეზინტეგრაცია, პროვოკაცია, დანაწევრებას, სახელმწიფოს

Heartland-ის უმთავრესი სტრატეგიული სივრცეები, რომელზე დამოკიდებულია „თბილ ზღვებზე“ გასვლა.




ჩინეთის გეოპოლიტიკური დანაწევრების მიახლოებითი ხაზი. ჩრდილოეთი რეგიონები უნდა შევიდნენ Heartland-ის სტრატეგიულ სივრცეში.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გადაკეთება. იგივე ეხება თურქეთსაც. ჩინეთი და თურქეთი პოტენციური გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები არიან, ხოლო ერაყი, ირანი, ავღანეთი, პაკისტანი, ინდოეთი, კორეა, ვიეტნამი, იაპონია — პოტენციური გეოპოლიტიკური მოკავშირეები. ეს გულისხმობს ორი განსხვავებული გეოპოლიტიკური სტრატეგიის გამოყენებას. მოწინააღმდეგეებს უნდა მივაყენოთ ზარალი, ხოლო მოკავშირეებს უნდა განვუმარტოთ გეოპოლიტიკური მიზნების საერთოობა.

ახლა ადვილია რუსეთის „შიდა გეოპოლიტიკური“ პრიორიტეტების გამოყვანა ბადახშანიდან ვლადივოსტოკამდე არსებულ სივრცეზე.

აქ საჭიროა ჩრდილოეთ ჩინეთის ტერიტორიების ჩამოშორება სამხრეთის მიწებიდან. გეოპოლიტიკური ანალიზი მაშინვე იძლევა ამის სერიოზულ საფუძველს. ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სინ-ძიანი, ხანგრძლივი პოლიტიკური ავტონომიის ისტორიის მქონე უძველესი მხარე. ისტორიულად, აქ ერთმანეთის მონაცვლეობით მრავალი სახელმწიფო არსებობდა. უფრო მეტიც, ამჟამად ეს მიწები დასახლებულია უიღურებით — ისლამის აღმსა-

რებელი თურქული ეთნოსით. ჩინელები ამ მხარის კონტროლს ახორციელებენ პირდაპირი ძალისმიერი ზეწოლის ხარჯზე, უშუალო კოლონიზაციით, ადგილობრივი მოსახლეობის ჩაგვრითა და მათი რელიგიური და ეთნიკური ავტონომიის დაცვის მცდელობათა ჩახშობით. რუსეთთან სინ-ძიანის შეერთების იდეები (ციმბირის ათვისების პროექტის ფარგლებში) ჯერ კიდევ რუს იმპერატორებს ჰქონდათ, ამიტომ აუცილებელი იქნება ამ გზაზე დაბრუნება.

სინ-ძიანის სამხრეთით მდებარეობს კუნ-ლუნი და ტიბეტი, სადაც ჩვენ ხელახლა ვაწყდებით მსგავს ვითარებას. ტიბეტი ცალკე ქვეყანაა განსაკუთრებული თავისი მოსახლეობით, სპეციფიკური რელიგიით, უძველესი პოლიტიკური და ეთნიკური ტრადიციებით. პეკინის ხელისუფლება აქაც ისევე ხელოვნური და ძალადობაზე დაფუძნებულია, როგორც სინ-ძიანში. გეოპოლიტიკურად რუსეთი დაინტერესებულია, რომ ამ სფეროში აქტიურად შეუწყოს ხელი სეპარატიზმსა და ამ მხარეში ანტიჩინური ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დაწყებას. პერსპექტივაში ეს ტერიტორიები ჰარმონიულად ჩაეწერებოდნენ ევრაზიულ კონტინენტურ ფედერაციაში, რამდენადაც მათ ატლანტიზმთან არ აკავშირებთ არც გეოგრაფია და არც ისტორია. სინ-ძიანი და ტიბეტი უნდა შევიდეს თელეოკრატიულ სარტყელში. ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი და რუსეთისთვის შექმნის საიმედო ფარს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩინეთი უარს არ იტყვის ანტიევრაზიულ გეოპოლიტიკურ პროექტებზე. სინ-ძიანისა და ტიბეტის გარეშე ჩინეთის გეოპოლიტიკური შეღწევა აზიისა და დასავლეთ ციმბირში შეუძლებელი გახდება. ამასთან რუსეთი სტრატეგიულად მომგებიან პოზიციაში იქნება არა მარტო ამ ტერიტორიების ჩინეთის კონტროლისაგან სრული გათავისუფლების შემთხვევაში, არამედ ამ რეგიონებში არასტაბილური ვითარების პირველი ეტაპების განხორციელებითაც კი.

უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს მონღოლეთის, რუსეთის ტრადიციული სტრატეგიული მოკავშირის სექტორი. აქ საჭიროა პროფილაქტიკური თავდაცვითი მოქმედება და მონღოლურ პოლიტიკაში თვით პროჩინური ფაქტორის გაძლიერების შესაძლებლობის დაუშვებლობა. მონღოლეთის სტეპები და უდაბნოები სამხრეთ ციმბირს მშვენივრად იცავენ ჩინეთისაგან. ამასთან აუცილებელია მონღოლეთის ურთიერთობების გაძლიერება სინ-ძიანსა და ტიბეტთან, რათა ჩინეთისა და მისი გეოპოლიტიკური გავლენის თანდათანობით შევიწროებით შეიქმნას მთელი რეგიონის „ახალი წესრიგის" წინაპირობები. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას მონღოლურ-ტიბეტური ფედერაციის პროექტი, სადაც შევა, აგრეთვე, ბურიატია, ტუვა, ხაკასია და ალტაის რესპუბლიკა. ამ ხალხების გაერთიანება ლამაისტური ტრადიციების გარშემო მოსკოვისთვის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს ანტიჩინური გეოპოლიტიკური სტრატეგიის განსახორციელებლად.

სამხრეთ სარტყელის ბოლო რგოლს წარმოადგენს მანჯურია — ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ტერიტორია, რომელიც არის ჩინეთის სუსტი გეოპოლიტიკური წერტილი. ამ ტერიტორიაზე უკვე არსებობდნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტრადიციის მქონე ძველი სახელმწიფოები. XX საუკუნეში იაპონიამ ხელახლა აღადგინა მანჯურიის სახელმწიფო დედაქალაქით ხარბინში, რომელიც წარმოადგენდა იაპონიისათვის კონტინენტურ პლაცდარმს ჩინეთზე თავდასასხმელად. რუსეთისათვის მანჯურიაში ჩინეთისადმი ურჩი, განსაკუთრებული პოლიტიკური სახელმწიფოს არსებობა ძლიერ სასურ-

ველია და რადგან იაპონია თვითონ შედის ევრაზიის პოტენციურ გეოპოლიტიკურ მოკავშირეთა რიცხვში, ამიტომ ამ საკითხში შესაძლებელია ძალისხმევათა გაერთიანება.

ტიბეტი-სინ-ძიანი-მონღოლეთი-მანჯურია ერთად ქმნიან რუსეთის უსაფრთხოების სარტყელს. ძირითად ამოცანას, ამ რეგიონში, წარმოადგენს ამ მიწების Heartland-ისადმი დამორჩილება, რუსეთის პოტენციური გეოპოლიტიკური მოკავშირეების — ინდოეთისა და იაპონიის, აგრეთვე, პეკინის დიქტატისაგან გატანჯული ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით. ჩინეთისათვის ეს სარტყელი წარმოადგენს ყაზახეთსა და ციმბირში შესაძლო „ჩრდილოეთისკენ ნახტომის" სტრატეგიულ პლაცდარმს. ეს არის მიწები, რომლებიც მუდმივად ეკვრიან Lenaland-ს სამხრეთიდან, რომლის ირგვლივაც აუცილებლად გაიშლება მოწინავე მსოფლიო ძალების პოტენციური გეოპოლიტიკური წინააღმდეგობა. რუსეთმა უნდა გამოგლიჯოს ეს პლაცდარმი ჩინეთს, განდევნოს იგი სამხრეთით და გეოპოლიტიკურ კომპენსაციად შესთავაზოს ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გასწვრივ სამხრეთის — ინდოჩინეთის (ვიეტნამის გამოკლებით), ფილიპინების, ინდონეზიის, ავსტრალიის — მიმართულებით განვითარება.

## 4.8. ბალკანეთიდან მანჯურიამდე

ევრაზია უნდა „მიაწვეს" სამხრეთს ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ჩინეთამდე არსებულ მთელ სივრცეზე. მთელი ეს სარტყელი წარმოადგენს რუსეთის უსაფრთხოების სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზონას. ამ სივრცის სხვადასხვა სექტორზე მაცხოვრებელი ხალხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეთნიკურად, რელიგიურად და კულტურულად, თუმცა უკლებლივ ყველა ფლობს ისეთ ელემენტებს, რომლებიც აახლოებს მათ Heartland-ის გეოპოლიტიკურ ფორმულასთან. მავანთათვის ეს მართლმადიდებლობაა, მავანთათვის — ერთიანი სახელმწიფოსადმი ისტორიული კუთვნილება, ზოგისათვის — ეთნიკური და რასობრივი სიახლოვეა, ზოგისათვის — საერთო მოწინააღმდეგე, დანარჩენებისთვის კი პრაგმატული მიდგომა.

სამხრეთის ასეთი მრავალფეროვნება გვკარნახობს კავშირების, ალიანსებისა და ა. შ. აუცილებლობის დამასაბუთებელ უკიდურესად მოქნილი გეოპოლიტიკისა და საგანგებოდ განვითარებული არგუმენტაციის საჭიროებას. არცერთი კრიტერიუმი არ წარმოადენს პრიორიტეტს, არ შეიძლება დაყრდნობა მხოლოდ ერთ მათგანზე — ეთნოსზე, რელიგიაზე, რასაზე, ისტორიაზე, გამორჩენაზე და ა. შ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა სხვადასხვაგვარად მოქცევა. ყველაზე უზენაეს კრიტერიუმად ამ დროს რჩება გეოპოლიტიკა და მისი კანონზომიერებები, რომლებსაც უნდა დაემორჩილოს ყველა დანარჩენი მოსაზრება და არ უნდა გადაიქცეს მხოლოდ ამა თუ იმ ცალკეულ და დამოუკიდებელ პრინციპზე დაფუძნებული საგარეო (ან შიდა) პოლიტიკის ინსტრუმენტად. ევრაზია მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს სტაბილურობის მიღწევას, ხოლო რუსეთი საიმედოდ უზრუნველყოფს თავის კონტინენტურ უსაფრთხოებასა და თავისი თელეოკრატიული მისიის განხორციელებას.

# თავი 5. დასავლეთის შუქარა

## 5.1. ორი დასავლეთი

სივრცის ორგანიზაციის პრობლემა ევრაზიის დასავლეთში, წარმოადგენს იმ თემას, რომელიც გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების, საფუძველია. დასავლეთ ევროპა, ეს არის ევრაზიის „სასაზღვრო ზონა", ამასთან დასრულებული, აშკარა და ისტორიულად არსებული სასაზღვრო ზონა. რუსეთ-Heartland-თან მიმართებაში დასავლეთი წარმოადგენს მთავარ მსოფლიო მოწინააღმდეგეს — „სანაპირო ცივილიზაციის" იმ სექტორს, რომელმაც სრულად აიღო თავის თავზე დასრულებული თალასოკრატიის ფუნქცია და თავისი ისტორიული ბედი დაუკავშირა ზღვას. ამ პროცესის ავანგარდში ინგლისი იყო, შემდეგ კი ყველა ის ევროპული ქვეყანა, რომელმაც მიიღო ინდუსტრიალიზაციის, ტექნიკური განვითარებისა და „სავაჭრო წყობის" ფასეულობითი ნორმატივების ესტაფეტა და ნელ-ნელა გაერთიანდა ამ თალასოკრატულ კავშირში.

დასავლეთის საბოლოო გეოგრაფიული სქემის ისტორიული ჩამოყალიბების პროცესში პირველობა ინგლისიდან ამერიკის კონტინენტზე, აშშ-ში გადავიდა. ამრიგად, თალასოკრატიის მაქსიმალურ გამოხატულებად, მისი ყველა სტრატეგიული, იდეოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტით, იქცა აშშ და მისდამი დაქვემდებარებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსი.

მსოფლიო ძალთა ასეთი საბოლოო გეოპოლიტიკური ჩამოყალიბება, ატლანტიზმისა და თალასოკრატიის პოლუსს ათავსებს ატლანტიკის მიღმა, ამერიკის კონტინენტზე. ევროპა (ინგლისის ჩათვლით) თალასოკრატიის ცენტრიდან გადაიქცა აშშ-ს „ბუფერულ ზონად", „სანაპირო სარტყლად", „სტრატეგიულ დანამატად". თალასოკრატული ღერძის გადატანა ოკეანის მიღმა რამდენადმე ცვლის გეოპოლიტიკურ განლაგებას. თუ ასი წლის წინ რუსეთის ძირითადი მოწინააღმდეგე იყო ევროპა (ინგლისი და საფრანგეთი), მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ რეგიონმა დაკარგა დამოუკიდებელი სტრატეგიული მნიშვნელობა და აშშ-ს სტრატეგიულ კოლონიად გადაიქცა. ასეთი ცვლილება ძალიან ჰგავს „ზღვიდან ცქერას", რომელიც ახასიათებს მატერიკისადმი თალასოკრატიული მმართველობის ტიპიურ, კოლონიურ, დამოკიდებულებას. თუ ადრე ევროპის „სანაპირო" ბუნება განსაკუთრებული გეოპოლიტიკური წარმონაქმნის — „ინგლისის კუნძულის" — მიერ განხორციელებული შესაძლებლობა იყო, სამაგიეროდ ახლა, ეს ზუსტად შეესაბამება ძალთა გადანაწილების არსებულ სურათს — აშშ (ევროპიდან გამოსული ევროპის ხელოვნური წანამგვანი) გახდა გეოპოლიტიკური რეალობა, სრულიად დამოუკიდებელი პოლუსი, დასავლეთი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ხოლო ევროპა მეტროპოლიიდან კოლონიად გადაიქცა. ყოველივე ეს სრულიად შეესაბამება თალასოკრატიული გეოპოლიტიკის მკაცრ ლოგიკას.

ამგვარად, დღეისათვის მსოფლიო დასავლეთის გეოპოლიტიკური პრობლემა რუსეთისათვის იშლება ორ შემადგენელ ნაწილად და იყოფა: დასავლეთი — როგორც ამერიკა და დასავლეთი — როგორც ევროპა. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ამ ორ რეალობას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. დასავლეთი, როგორც ამერიკა, წარმოადგენს რუსეთის ტოტალურ

გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, ევრაზიის საპირისპირო ტენდენციის პოლუსს, ატლანტიზმის ცენტრს და შტაბს.

XX საუკუნიდან დაწყებული, როდესაც აშშ-ს ფუნქცია მკაფიოდ გამოჩნდა, მასთან პოზიციური გეოპოლიტიკური ომი შეადგენდა და შეადგენს მთელი ევრაზიული გეოპოლიტიკის არსს. ამ საკითხში Heartland-ის პოზიცია ნათელია — აუცილებელია წინააღმდეგობა გაეწიოს აშშ-ს ატლანტურ გეოპოლიტიკას ყველა დონეზე და დედამიწის ყველა რეგიონში. ამ მცდელობამ მაქსიმალურად უნდა დაასუსტოს, მორალურად გატეხოს, მოატყუოს და, საბოლოოდ, დაამარცხოს მოწინააღმდეგე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური არეულობის გამოწვევა ამერიკაში, ხელი უნდა შეეწყოს ყოველნაირ სეპარატიზმს, სხვადასხვა ხასიათის ეთნიკურ, სოციალურ და რასობრივ კონფლიქტებს, აქტიურად დაეჭიროს მხარი ყველა დისიდენტურ მოძრაობას — ექსტრემისტებს, რასისტებს, სექტანტურ დაჯგუფებებს, აშშ-ში დესტაბილიზაციის გამომწვევ სხვა შიდა პოლიტიკურ პროცესებს. ამასთანავე, მიზანშეწონლია ხელი შეეწყოს ამერიკის პოლიტიკაში იზოლაციონისტურ ტენდენციებს, იმ წრეების თეზისებს (მემარჯვენე — რესპუბლიკელები), რომლებსაც მიაჩნიათ, რომ აშშ უნდა შემოიფარგლოს თავისი შიდა პრობლემებით. საქმის ამგვარად დაყენება უაღრესად მომგებიანია რუსეთისათვის, იმ შემთხვევაშიც კი თუ „იზოლაციონიზმი" მაინც განხორციელდება მონროს დოქტრინის საწყის ფორმაში ე. ი. თუ აშშ შეზღუდავს თავის გავლენას ორივე ამერიკაზე. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ევრაზიამ ამ დროს უარი უნდა თქვას ლათინური ამერიკის დესტაბილიზაციაზე, ცალკეული რეგიონების აშშ-ს კონტროლიდან გამოსაყვანად. აშშ-ზე გეოპოლიტიკური ზეწოლის ყველა საშუალება ერთდროულად უნდა ჩაირთოს, ატლანტიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის მსგავსად, რომელიც ერთდროულად „სპონსორობას" უწევს სტრატეგიული ბლოკის (ვარშავის ხელშეკრულება) სახელმწიფო მთლიანობის დაშლისა და შემდგომი ეთნიკურ-ტერიტორიული დანაწევრების პროცესებს და რუსეთის რეგიონალიზაციის ქვეშ ახორციელებს მის მზარდ დასუსტებას საბოლოო განადგურებამდე. Heartland იძულებულია Sea Power-ს სამაგიერო მიუზღოს. ასეთი სიმეტრია ლოგიკური და დასაბუთებულია, ყოველივე ეს წარმოადგენს რუსეთის „გარე გეოპოლიტიკის" უმთავრეს ამოცანას.

მეორე რეალობას, რომელიც ასევე „დასავლეთის" სახელით მოიხსენიება განსხვავებული დანიშნულება აქვს. ეს არის ევროპა, რომლის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა. მსოფლიოს სხვა ნაწილების ტრადიციული მეტროპოლია, პირველად აღმოჩნდა სტრატეგიული, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა. შ. კოლონიის მდგომარეობაში. ამერიკული კოლონიალიზმი განსხვავდება წარსულის მეტად მკვეთრი და მკაცრი ფორმებისაგან, მაგრამ მისი არსი იგივე რჩება. ამჟამად ევროპას არ აქვს საკუთარი გეოპოლიტიკა და საკუთარი გეოგრაფიული ნება. მისი ფუნქციები იმით იფარგლება, რომ იგი წარმოადგენს აშშ-ს დამხმარე მეურნეობას ევრაზიაში და ევრაზიასთან მოსალოდნელი კონფლიქტის ადგილას. ასეთ ვითარებას ავტომატურად მივყავართ იქამდე, რომ ანტიამერიკული მიმართულება ევროპის სახელმწიფოთა საერთო გეოპოლიტიკური ალტერნატივა ხდება. რაც ამ ქვეყნებს მანამდე არარსებული

ერთიანი პროექტით აერთიანებს. მაასტრიხტში ევროპის გაერთიანება ევროპის მთლიან და დამოუკიდებელ ორგანიზმად შეკვრის პირველი ნიშანია, იმ ევროპისა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს საკუთარი ისტორიული მნიშვნელობისა და გეოპოლიტიკური სუვერენიტეტის დაბრუნებაზე. ევროპას არ სურს იყოს არც რუსული და არც ამერიკული. „ცივი ომის" დასრულების შემდეგ ეს სურვილი მთელი სიცხადით გამჟღავნდა.

იბადება კითხვა: როგორია, ზოგადად, ევრაზიის დამოკიდებულება თავისი დასავლეთ ნახევარკუნძულის მიმართ?

წმინდა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ევრაზია აშკარადაა დაინტერესებული ევროპის, აშშ-ს კონტროლიდან გამოყვანით. ეს წარმოადგენს პრიორიტეტულ ამოცანას. დასავლეთით რუსეთს უნდა ჰქონდეს საზღვაო საზღვრები, ეს ევრაზიის გეოპოლიტიკური განვითარების სტრატეგიული მოთხოვნაა. სწორედ ამგვარი საზღვრების მაგივრად ევროპის შუაზე გამავალი სახმელეთო ხაზის არსებობამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური დამარცხება. ასეთი შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს, ხოლო მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ევრაზია Sea Power-ისაგან მხოლოდ მას შემდეგ გათავისუფლდება, როდესაც მისი სტრატეგიული საზღვრები ჩრდილოეთში, აღმოსავლეთში, სამხრეთსა და დასავლეთში იქნება ოკეანეები (ამერიკის მსგავსად). ცივილიზაციათა დუელი მხოლოდ ამ შემთხვევაში წარიმართება თანაბარ პირობებში.

რუსეთს აქვს ორი გამოსავალი — ან ევროპის სამხედრო ოკუპაცია, ან ევროპული სივრცის ისეთი მოწყობა, რომელიც ამ გეოპოლიტიკურ სექტორს მისი სუვერენიტეტის, ავტონომიებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებით, მოსკოვისთვის საიმედო სტრატეგიულ მოკავშირედ გადააქცევს. პირველი ვარიანტი იმდენად არარეალურია, რომ მისი სერიოზული განხილვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. მეორე ვარიანტი მართალია რთულია, მაგრამ შეიძლება მისი განხორციელება, ვინაიდან ნახევარი საუკუნე ამერიკის კოლონიად ყოფნამ, ევროპულ ცნობიერებას სერიოზული კვალი დაუჩნია.

რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე — მეგობარი ევროპა — შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება ერთიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ატლანტელი მოწინააღმდეგე უამრავ საშუალებას მონახავს ევროპის ბლოკის დანაწევრებისა და გახლეჩისათვის, გამოიწვევს წინა ორი მსოფლიო ომის მსგავს კონფლიქტებს. მოსკოვმა მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ევროპის გაერთიანებას. განსაკუთრებით მხარი უნდა დაუჭიროს ცენტრალურ ევროპულ სახელმწიფოებს, პირველ რიგში, გერმანიას. გერმანიის ალიანსი საფრანგეთთან, პარიზი-ბერლინის ღერძი (დე გოლის პროექტი) ის ხერხემალია, რომლის გარშემო ახალი ევროპის სხეულის აშენება ყველაზე ლოგიკური იქნებოდა. გერმანიასა და საფრანგეთში არსებობს მყარი ანტიატლანტური პოლიტიკური ტრადიცია (როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე მიმდინარეობაში). გარკვეული დროის განმავლობაში იგი პოტენციური და დაფარულია, მაგრამ დადგება დრო და თავისი არსებობის შესახებ ქვეყნიერებას ამცნობს. მოსკოვი აქედანვე უნდა მიჰყვეს ამ მიმართულებას და არ უნდა დაელოდოს მოვლენების საბოლოო განვითარებას.

მოსკოვის მიზანია — ევროპა გამოგლიჯოს აშშ-ს (ნატოს) კონტროლს, ხელი შეუწყოს მის გაერთიანებას, გაამყაროს ინტეგრაციული კავშირები

ცენტრალურ ევროპასთან, განსაკუთრებით, ძირითადი, მოსკოვი-ბერლინის ღერძის საგარეო-პოლიტიკური მიმართულებით. ევროზიას სჭირდება მოკავშირე, მეგობრული ევროპა, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით, აშშ-ს გარეშე დიდი ხნის მანძილზე რაიმე სერიოზულ საფრთხეს ვერ შექმნის, ხოლო ეკონომიკური კოოპერაცია ცენტრალურ ევროპასთან გადაჭრის რუსეთისა და აზიის ტექნოლოგიურ პრობლემათა უმრავლესობას — რესურსებისა და სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის სანაცვლოდ.

ამ საგარეო პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა რუსეთის შიდა პოლიტიკური ვითარების ანალიზი მის დასავლეთ რეგიონებში.

## 5.2. „სანიტარული კორდონის“ დანგრევა

„რუსული დასავლეთის“ გეოპოლიტიკის ანალიზის ძირითადი პრინციპია: „ევროპას ევროპისა, რუსეთს რუსეთისა“. აქ ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც ისლამურ სამყაროსთან მიმართებაში — გარდაუვალია ახალი საზღვრების წარმოქმნა, ზოგიერთი რეგიონი ხელახლა უნდა გადანაწილდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მთავარ ამოცანას წარმოადგენს დასავლეთში მაქსიმალური ეთნოკულტურული, ეკონომიკური და სოციალური თავისუფლებებით აღჭურვილი, მაგრამ სტრატეგიულად მოსკოვზე დამოკიდებული მეგობრულ-ნეიტრალურ წარმონაქმნთა შექმნა. მიზნის მაქსიმუმს წარმოადგენს მთელი ევროპის „ფინეთიზაცია“, თავიდან უნდა დაიწყოს რუსეთთან უშუალოდ მიმდებარე სივრცეების რეორგანიზაცია.

აქ წარმოიშობა ძალიან რთული ე. წ. „სანიტარული კორდონს“ პრობლემა. ატლანტისტი გეოპოლიტიკოსები მშვენივრად აცნობიერებენ რუსეთისა და ევროპის (განსაკუთრებით გერმანიის) სტრატეგიული კავშირის საშიშროებას. თალასოკრატიის ყველაზე ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს „სანიტარული კორდონი“, ანუ რამდენიმე სახელმწიფოსაგან შექმნილი ზოლი, რომელიც მტრულადაა განწყობილი თავისი აღმოსავლეთითა და დასავლეთით მდებარე მეზობლების მიმართ და უშუალოდაა დაკავშირებული ატლანტურ პოლუსთან. ასეთი სანიტარული კორდონის როლში ტრადიციულად გამოდიან პოლონეთი და სამხრეთით განლაგებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები — ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და ა. შ. ასეთი „კორდონის“ იდეა შემუშავებული იყო მაკინდერის მიერ და საკმაოდ წარმატებით განხორციელდა საუკუნის დასაწყისში და მეორე მსოფლიო ომის წინ, თანაც ორივე შემთხვევაში მიზანი მიღწეულ იქნა — ბოლოსდაბოლოს ორ კონტინენტურ სახელმწიფოს, რუსეთსა და გერმანიას შორის დაიწყო კონფლიქტი, რომლის შედეგად ატლანტისტები აღწევდნენ სტრატეგიულ გამარჯვებებს. ამერიკა თავის ადგილს დასავლეთში, სწორედ იმ ორ მსოფლიო ომს უნდა უმადლოდეს, რომლებმაც სისხლისაგან დაცალა ევროპა და განსაკუთრებით დაასუსტა გერმანია და რუსეთი (ატლანტიზმის მთავარი მოწინააღმდეგეები).

ცხადია, რომ მსგავსი „სანიტარული კორდონი“ იქმნება ახლაც. ეს არის მცირე, გაბოროტებული, ისტორიულად უპასუხისმგებლო ხალხებისა და სახელმწიფოებისაგან შექმნილი კონგლომერატი, მანიაკური პრეტენზიებითა და თალასოკრატულ დასავლეთზე მონური დაქვემდებარებით.

საუბარია ბალტიისა და შავ ზღვებს შორის გეოპოლიტიკური ზოლის

წარმოშობის შესახებ. იგი შედგება სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ არ შეუძლიათ შევიდნენ ევროპაში სრულფასოვან წევრებად, თავგამოდებით ეწინააღმდეგებიან მოსკოვსა და ევრაზიას. ახალი „სანიტარული კორდონის" პრეტენდენტთა სია ამგვარია: ბალტიისპირა ხალხები (ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები), პოლონეთი (დასავლეთ პრუსიის ჩათვლით), ბელორუსია (ამ იდეას ლობირებას უწევს კათოლიკური ანტიევრაზიული უმცირესობა), უკრაინა (განსაკუთრებით უნიატურ-კათოლიკური დასავლეთ უკრაინა), უნგრეთი, რუმინეთი (ასევე უნიატების[3] გავლენით), ჩეხეთი და სლოვაკეთი. ნათლად ჩანს, რომ თითქმის ყველგან საქმე ეხება აღმოსავლეთ ევროპის კათოლიკურ სექტორს, რომელიც, ტრადიციულად, დასავლეთის გავლენის ზონას განეკუთვნება. თანაც ჩვენ საქმე გვაქვს იმავე ქვეყნებთან, რომლებიც გეოპოლიტიკის ისტორიაში ერთხელ უკვე იყვნენ კონტინენტური სახელმწიფოების — რუსეთის იმპერიის, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირის — დამანგრეველი ბერკეტის როლში.

ევრაზიის მიზანია, რომ ამ კორდონმა საერთოდ არ იარსებოს. ეს შედის, როგორც ევროპის, ასევე, რუსეთის ინტერესებში. ეს წარმონაქმნები, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უვარგისი, ეთნიკურად და სარწმუნოებრივად წინააღმდეგობრივი, სტრატეგიულად და ეკონომიკურად განუვითარებელი, რესურსებს მოკლებული სუბიექტები არიან. სხვა სიტყვებით, ეს ფიქტიური სახელმწიფოები თავიანთ დანიშნულებას მხოლოდ ატლანტიზმის მიერ ხელოვნურად შექმნილ სტრატეგიულ ზონებში პოულობენ. არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლებიც მათ ევრაზიასთან აახლოებენ (მართლმადიდებლობა, სლავური ნათესაობის შეგრძნება, რუსული მოსახლეობის არსებობა, ისტორიული სიახლოვე ან ამ კომპონენტთა ერთობლიობა), თუმცა არსებობენ საწინააღმდეგო ფაქტორებიც, რომლებიც პირიქით, მათ დასავლეთთან აკავშირებენ (კათოლიკობა, უნიატობა, ეთნიკური სახესხვაობა, სუვერენიტეტის პოლიტიკური ტრადიციები). სანამ ეს წარმონაქმნები რაიმე მთლიანობას განასახიერებენ, ისინი ვერ აირჩევენ ვერცერთ ორიენტაციას და სწორედ ამ მიზეზის გამო გადაიქცევიან „სანიტარულ კორდონად". ზოგი მოსაზრება ხელს უშლის აღმოსავლეთთან, ზოგი დასავლეთთან შეერთებას. ამ მიზეზით, აღნიშნულ წარმონაქმნში გამოწვეული საშინაო და საგარეო არეულობები ხელს აძლევს თალასოკრატიას და წარმოადგენს მუდმივ წინააღმდეგობას ევრაზიული გეოპოლიტიკისა და კონტინენტური ბლოკის შექმნის გზაზე.

„სანიტარული კორდონის" შექმნის ხელის შეშლის ერთადერთი გზაა, წმინდა გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სრული გადაკეთება.

ამ სიტყვებში არ იგულისხმება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების ანექსია. შეიძლება მათ ადგილზე ფედერაციების ან რამოდენიმე სახელმწიფოს შექმნა, რომელთა გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აშკარად მცირე იქნება, როგორც ეთნიკურად, ისე კულტურულად და კონფესიურად, შესაძლებელი იქნება მათი მსხვილ გეოპოლიტიკურ ბლოკებში გაერთიანება, ხოლო რუსეთსა და ევროპას შორის, მყარი სამოკავშირეო ურთიერთობების შემთხვევაში, ახალი საზღვრები ვეღარ წარმოქმნიან დაბრკოლებებსა და განხეთქილებებს. უფრო მეტიც, მხოლოდ „სანიტარული კორდონის" არარსებობას შეუძლია

აქციოს ეს საერთოევროპული ურთიერთობა ნორმალურად, სივრცე — „დუბლინიდან ვლადივოსტოკამდე" გარდაქმნას ევრაზიული კოოპერაციის, თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ზონად.

## 5.3. ბალტიის ფედერაცია

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ რუსეთთან მიმდებარე დასავლეთ სარტყელი. ეს სივრცე იყოფა რამდენიმე სექტორად. ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს ნორვეგიიდან ფინეთამდე გადაჭიმული სკანდინავიური სარტყელი. ფინეთთან დაკავშირებული ზოგადი გეოპოლიტიკური პროექტი ჩვენ განვიხილეთ ჩრდილოეთისადმი მიძღვნილ თავში. აქ კი საქმე ეხება კარელია-ფინეთის ეთნო-ტერიტორიული წარმონაქმნის შექმნას და ევრაზიულ ბლოკში მის სტრატეგიულ გაერთიანებას, მაქსიმალური კულტურული ავტონომიის შენარჩუნებით. ნორვეგია და შვეცია, აგრეთვე, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები მიეკუთვნებიან უფრო ზოგადი, განსხვავებული გეოპოლიტიკური შინაარსის საკითხს, ვიდრე ეს კარელიურ-ფინური პრობლემატიკაა.

აქ ჩვენ ვაწყდებით უფრო ზოგად საკითხს — ბალტიისა და სკანდინავიის გეოპოლიტიკას. ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი იქნება გამოვიყენოთ შვედი გეოპოლიტიკოსის რუდოლფ ჩელენის მოსაზრებები (რომელმაც პირველად გამოიყენა ტერმინი გეოპოლიტიკა) და მთელი ბალტიის რეგიონი განვიხილოთ გერმანიასთან არსებულ, შუა ევროპის ჩრდილოეთ გაგრძელებად. ჩელენს მიაჩნდა, რომ სკანდინავიური გეოპოლიტიკის ერთადერთი არჩევანია ეთნიკურ, კულტურულ და გეოგრაფიულ ერთობაზე დაფუძნებული სტრატეგიული გაერთიანება გერმანიასთან. მთელი კონსტრუქციის დამაკავშირებელი ელემენტად უნდა იქცეს გერმანული სახელმწიფო — პრუსია, სკანდინავიელებთან ზიარი პროტესტანტული სარწმუნოებით. პროტესტანტულ-სკანდინავიური ბლოკი პრუსიის, ბერლინის ჩრდილოეთ გაგრძელებად უნდა იქცეს. მთელი ეს სივრცე გვერდს ვერ აუქცევს პრუსიული ერთობის გეოპოლიტიკურ აღდგენას. დღეისათვის პრუსია არ არსებობს, მისი მიწები განაწილებულია გერმანიას, პოლონეთსა და რუსეთს შორის. მაშასადამე, პოლიტიკურად „ნეიტრალური" და მოსკოვისადმი მეგობრული ბალტიის ფედერაციის შექმნის ყველაზე მთავარი წინაპირობა არ არსებობს. ამიტომ, ჯერჯერობით, არ არსებობს ამ რეგიონის ევრაზიულ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის პრაქტიკული შესაძლებლობა.

წმინდა თეორიული თვალსაზრისით პრობლემის გადაჭრა შეიძლება ორ ეტაპად:

1) ისტორიული პრუსიის ფარგლებში იქმნება ახალი ეთნიკურ-სარწმუნოებრივი სივრცე. ამ საქმის წამოწყება უნდა ითავოს მოსკოვმა და ბერლინმა. ეს უზრუნველყოფს აღნიშნული ღერძული ფიგურის ლოიალობას მოსკოვის მიმართ. რუსეთი მას მეორე მსოფლიო ომის დროს მოპოვებული პრუსიული მიწების ნაწილს დაუთმობს (კალინინგრადის მხარე) და ეს წარმონაქმნი სასიცოცხლო ძალას შეიძენს.

2) პრუსიის ირგვლივ იწყება ერთიან ბლოკში ბალტიის რესპუბლიკების სტრატეგიული გაერთიანების პროცესი. ბლოკში შედიან ნორვეგია, შვეცია, ესტონეთი, ფინეთი-კარელია, დანია და, შესაძლოა, ჰოლანდიაც. განსაკუთრე-

ბული სტატუსი ენიჭება პოლონეთს, ლიტვასა და ლატვიას. ეს ქვეყნები გამოდიან ნატოდან და ბალტიისპირეთში ქმნიან დემილიტარიზებულ ზონას. სამომავლოდ სტრატეგიული კონტროლი გადადის მოსკოვისა და „ნეიტრალური" ევროპის შეიარაღებული ძალების ხელში (ანუ გადაეცემა ევრაზიის თავდაცვის კომპლექსს).

ამ სისტემაში ერთადერთ სუსტ რგოლს წარმოადგენს პოლონეთი და ლიტვა, სადაც ძირითადი სარწმუნოება კათოლიკობაა. ეს მიწები არის ევრაზიისა და კონტინენტური ბლოკის შესაძლო შექმნის წინააღმდეგ მიმართული თალასოკრატიული გეოპოლიტიკის მთავარი ბერკეტი. უფრო მეტიც, არსებობს პოლონეთ-ლიტვური სათავადოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, ხოლო ზოგიერთი ისტორიკოსი (კერძოდ, შპენგლერი) საუბრობდა განსაკუთრებული „ბალტიური ცივილიზაციის" არსებობის შესახებ, რომელიც გეოგრაფიულად პოლონეთისა და ლიტვის ისტორიულ საზღვრებს ემთხვეოდა. მხოლოდ გარკვეულმა ისტორიულმა პირობებმა არ მისცა საშუალება ამ ცივილიზაციას საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო, პირიქით, ისტორიამ ეს ცივილიზაცია შპენგელის ტერმინით „აბორტულად" აქცია.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საკითხს დადებითი გადაწყვეტა არ აქვს, რადგან იგი ასე გამოიხატება: ან პოლონურ-ლიტვურმა სამყარომ უნდა იარსებოს როგორც დამოუკიდებელმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ (ამ შემთხვევაში იგი გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა პრუსიის ირგვლივ გაერთიანებული პროევრაზიული ბალტიის კავშირის შექმნის გზაზე), ან მისი ფრაგმენტები უნდა გაერთიანდეს სხვა გეოპოლიტიკურ ბლოკებში, ხოლო პოლონურ-ლიტვური სივრცის შექმნის იდეა ჩანასახშივე დანაწევრდეს და მოისპოს. ამ რეგიონში კათოლიკობაზე დაფუძნებული ნებისმიერი გაერთიანება მუდმივად წარმოშობს დაძაბულობას აღმოსავლეთის (მოსკოვი), ჩრდილოეთისა (სკანდინავიის პროტესტანტული სამყარო) და დასავლეთის (გერმანია) მიმართ. მაშასადამე, პოლონეთსა და ლიტვაში, ევრაზიის მთავარი გეოპოლიტიკური პარტნიორები უნდა გახდნენ ამ ქვეყნების კათოლიკური ორიენტაციის მოწინააღმდეგეები — საერო „სოციალ-დემოკრატიის" მომხრეები, „ახალი წარმართები", „ეთნოცენტრისტები", პროტესტანტები და მართლმადიდებლები, ეთნიკური უმცირესობები. გარდა ამისა, პოლონეთისა და ლიტვის ურთიერთობებში ეთნიკური უთანხმოება წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც არ უნდა იჭნას ხელიდან გაშვებული და შეძლებისდაგვარად უნდა გაღრმავდეს.

პრუსიის აღორძინება მნიშვნელოვნად გადაჭრის პოლონეთთან დაკავშირებულ სიძნელეებს, რომელსაც ამ შემთხვევაში მხოლოდ სამხრეთისაკენ მიმავალი გზა დარჩება (ბალტიის რეგიონი ამ დროს გერმანულ-რუსული კონტროლის ქვეშაა), სამაგიეროდ ამის თქმა შეუძლებელია ლიტვასთან დაკავშირებით. ლიტვა წარმოადგენს კათოლიკური სამყაროს ყველაზე ჩრდილოეთ ნაწილს, აქვს გრძელი სანაპირო ხაზი ბალტიის ზღვაზე და რუსეთის სივრცეს ჰყოფს შუა ევროპის ჩრდილოეთ კიდურა ნაწილისაგან. ლიტვა არასოდეს მიეკუთვნებოდა ამა თუ იმ სამყაროს. აშკარაა, რომ ატლანტისტი გეოპოლიტიკოსები არ დაახანებენ და ისარგებლებენ ამ მდგომარეობით. ისინი

შეეცდებიან სწორედ ლიტვა აქციონ განხეთქილების მიზეზად და ევროპის რეორგანიზაციის ძირითად დაბრკოლებად. ლიტვის გეოპოლიტიკური მდებარეობის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ. ეს შეიძლება განხორციელდეს ამ სივრცის სტრატეგიული ერთობის განმტკიცებით და ამ სივრცის ჩაკეტვით ჩრდილო-დასავლეთიდან შვედურ-დანიური კავშირის მეშვეობით.

## 5.4. შუა ევროპაში სლავი კათოლიკეები შედიან

უფრო სამხრეთით მდებარეობს სლავურ-კათოლიკური ანუ უნიატური რეგიონი, რომელიც პოლონეთის გარდა მოიცავს დასავლეთ ბელორუსიას, დასავლეთ უკრაინას, ვოლინს, გალიციას, სლოვაკიასა და ჩეხეთს. ამ სივრცეს გეოპოლიტიკურად გარს ეკვრის უნგრეთი, ავსტრია და ბავარია, რომლებიც, შესაბამისად, დასახლებულია კათოლიკე უნგრელებითა და გერმანელებით. უნიატური ეკლესია არსებობს, აგრეთვე, მართლმადიდებელ რუმინეთშიც. რუსეთთან ეთნიკური და რასობრივი ნათესაობის მიუხედავად, ეს, უპირატესად სლავებით დასახლებული სივრცე, თავს არასდროს აიგივებდა აღმოსავლეთ-სლავურ სახელმწიფოსთან, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსკოვის ევრაზიული იმპერიის შესახებ. ეთნიკური ნათესაობა ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს გეოპოლიტიკური ინტეგრაციის საფუძველს. ამ ფაქტორის ისტორიული ბუნდოვანება ხელს უწყობდა კონფლიქტებსა და ომებს რუსეთსა და გერმანიას (უფრო ზოგადად, ევროპას) შორის, იგი ეწინააღმდეგებოდა ორგანული და სრული თანხმობის მქონე შუა ევროპის გეოპოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბებას.

სლავი კათოლიკე ხალხები კულტურულად ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში ჩამოყალიბდნენ, ხოლო მასთან ეთნიკური დაპირისპირებები (რომლებმაც შეიწირა კიდეც ეს იმპერია) წარმოიშვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვენამ უარყო საკუთარი ზეეროვნული იმპერიის გეოპოლიტიკური მისია და ნელ-ნელა ეთნიკური „გერმანიზმის" გზას დაადგა. აქ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ბოჰემია, მორავია და ბოსნია, სადაც სლავობა თავიდანვე აცნობიერებდა საკუთარ სულიერ განსხვავებულობას გერმანულ-კათოლიკური საწყისისაგან, რამაც ასახვა ჰპოვა ჰუსისტურ[6] ომებში, რეფორმაციულ დუღილსა და სექტანტობის აფეთქებებში (ბოსნიელი სერბი-ბოგომილების შემთხვევაში). გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ეს ხალხები მიეკუთვნებიან შუა ევროპას და უნდა ჩამოყალიბდნენ ევროპის ცენტრში, რომლის როლსაც ბუნებრივად ასრულებს გერმანია. მოსკოვის უშუალო ზემოქმედება ამ მხარეებზე არასოდეს იქნება პრიორიტეტული, ვინაიდან ეთნიკური სიახლოვე მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ და სულიერ-სარწმუნოებრივ განსხვავებებს უსვამს ხაზს.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, რუსეთმა აუცილებლად უნდა თქვას უარი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უშუალო კონტროლზე. მოსკოვმა პასიურად არ უნდა უცადოს მოვლენების თავისთავად განვითარებას, პირიქით, აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ამ სფეროში განვითარებულ ძირითად პროცესებს. მოსკოვი, ბერლინთან ერთად, მთელი ამ პროცესის წამომწყები და განმახორციელებელი უნდა გახდეს, რაც მას ყველა დელიკატური პრობლემის განხილვის დროს გეოპოლიტიკურ წონას შემატებს. ამასთან ერთად,

რუსეთმა დასავლეთ უკრაინის ზოგიერთ რეგიონზე (გალიცია და იმიერკარპატეთი, რომლებიც უნიატებითა და კათოლიკეებით მჭიდროდაა დასახლებული) ბატონობისგანაც უნდა შეიკაოს თავი. იგივე ეხება ბელორუსიის ზოგიერთ რეგიონსაც. ზოგიერთ ტერიტორიაზე უშუალო პოლიტიკური ბატონობის განხორციელების სანაცვლოდ, მოსკოვმა უნდა მიიღოს მთელი შუაევროპული რეგიონის დასავლეთ საზღვრებზე სტრატეგიული თანდასწრების უფლება. სწორედ ამაშია აღმოსავლეთ ევროპის რეორგანიზაციის მნიშვნელობა. მოსკოვმა სლავურ-კათოლიკურ სივრცეს შუა ევროპაში გაერთიანების საშუალება უნდა მისცეს. ეს სამყარო, რომლის დასაწყისი ბერლინი იქნება, ჩაკეტავს ზონას ჩრდილოეთ-სამხრეთის პრინციპის მიხედვით. მათგან აუცილებლად უნდა გამოძევდეს ლიტვა (იმ მიზეზების გათვალისწინებით, რომელთა შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, რათა მთელი შუა ევროპა გაკონტროლებულ იქნას რუსეთისა და გერმანიის მხრიდან), ამასთანავე სრულიად უნდა გამოირიცხოს დასავლეთის — თალასოკრატიის მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი სარტყელი შეიძენს საპირისპირო მნიშვნელობას და „სანიტარულ კორდონად" გადაიქცევა (მიუხედავად იმისა, რომ ეს სარტყელი იქმნება სწორედ იმისათვის, რომ არ დაუშვას მსგავსი „კორდონის" აღმოცენება).

## 5.5. ბელორუსიისა და დიდი რუსეთის გაერთიანება

აღმოსავლეთ ევროპის სარწმუნოებრივი სტრუქტურის ამსახველ რუკაზე ცხადად ჩანს, რომ სამხრეთისკენ გადააადგილების შესაბამისად მართლმადიდებელი მოსახლეობა სულ უფრო დასავლეთისკენ ინაცვლებს და კათოლიკობას ავიწროებს. სერბეთის ზოგიერთი მიწა ადრიატიკის სანაპირომდეც კი აღწევს, გარდა ამისა მართლმადიდებელთა გარკვეული რაოდენობა ალბანელთა შორისაც სახლობს (დამოუკიდებელი ალბანეთის დამაარსებელი ფან ნოლი[7] მართლმადიდებელი მღვდელი იყო).

ამ ტერიტორიებს, რომლებსაც მოიცავს ბელორუსია, უკრაინის ცენტრალური ნაწილი, მოლდოვა, რუმინეთი, სერბეთი და ბულგარეთი, აქვს ორმაგი გეოპოლიტიკური ბუნება — გეოგრაფიულად ისინი მიეკუთვნებიან შუა ევროპის სამხრეთ ნაწილს, ხოლო კულტურული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით რუსეთ-ევრაზიას. ამ ხალხების სულიერი თვითმყოფადობა იწრთობოდა სამხრეთში ისლამის, ხოლო დასავლეთში კათოლიკობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მათი ეროვნული იდეა განუყოფლადაა დაკავშირებული მართლმადიდებლობასთან. ამგვარ ვითარებაში მოსკოვს არ შეუძლია არც გერმანიის რეგიონზე სრული კონტროლის განხორციელება და არც ამ ქვეყნებზე უშუალო პოლიტიკური გავლენის შესახებ საქვეყნოდ გამოცხადება. მითუმეტეს, რომ რუსულ-მოლდავურ და რუსულ-რუმინულ ურთიერთობებში (რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინის შესახებ) ყველაფერი კარგად არაა. უფრო მჭიდროა რუსეთის ისტორიული ურთიერთობები სერბებთან, თუმცა მათზე დაყრდნობით შეუძლებელია მთელი რეგიონის ინტეგრაციული ტაქტიკის აგება, ვინაიდან სერბებს თავის მართლმადიდებელ მეზობლებთან ტრადიციულად საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები აქვს. გარდა ამისა ბალკანეთზე რუსეთის გეოპოლიტიკური სტრატეგიის საერთო სურათი ჩვენ გავაშუქეთ თავში, რომელიც სამხრეთს

ეხებოდა. აქ კი უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ის ტერიტორიები, რომლებიც ბელორუსიას, უკრაინასა და რუმინეთს (მოლდოვასთან ერთად) უკავიათ.

ბელორუსიასთან დამოკიდებულებაში გეოპოლიტიკური ვითარება საკმაოდ ცხადია. გაპოლონებული ბელორუსების მცირე ნაწილის გარდა (კათოლიკები და უნიატები, აგრეთვე, პოლონელები), მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა აშკარად რუსეთის სივრცეს მიეკუთვნება და კულტურული, რელიგიური, ეთნიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ისინი უნდა განვიხილოთ შუაევრაზიულ ეთნოსად ე. ი. „რუსებად". ენობრივი სპეციფიკა, ზოგიერთი ეთნიკური და კულტურული თავისებურება საერთო მდგომარეობაზე გავლენას ვერ ახდენს. ამიტომ მოსკოვმა ბელორუსიასთან უნდა დაამყაროს ძალზე მჭიდრო ურთიერთობა, ამასთან მოსკოვმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ბელორუსების კულტურული და ენობრივი თვითმყოფადობის წახალისება, მნიშვნელოვან დადებით საკითხს წარმოადგენს მთელი ევრაზიული სისტემის ინტეგრაციისათვის. ერთიან სახელმწიფოში შემავალ ეთნოსებთან ურთიერთობაში, ეს პრინციპი ისევე მკაცრად უნდა იქნას დაცული, როგორც მოსაზღვრე ხალხების ან მეზობლების მიმართ. ერთადერთი მტკივნეული ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიდგას ბელორუსიაში ცენტრიდანული და ძირგამომთხრელი ტენდენციების აღმოსაფხვრელად, ეს არის კათოლიკეებითა და უნიატებით დასახლებული მხარეებისათვის განსაკუთრებული ადმინისტრაციული კატეგორიის მინიჭება. ეს შეიძლება გამოიხატოს მნიშვნელოვან ავტონომიაში, რომელიც საკმარისი იქნება შუა ევროპულ სივრცეში გასაერთიანებლად. ნებისმიერ ფასად ბელორუსიის მოსკოვის უშუალო და მკაცრი კონტროლის ქვეშ შენარჩუნების მცდელობა გამოიწვევს პოტენციური გეოპოლიტიკური კონფლიქტის საფრთხეს, როგორც რუსეთის შიგნით, ასევე მისი მეზობლების მხრიდან. ასეთი კონფლიქტი შეიძლება გადაიზრას ყველა დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ (ლიტვისაგან განსხვავებით).

ბელორუსია უნდა განვიხილოთ რუსეთის ნაწილად. ამიტომ მასთან ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძის გასწვრივ, რომელიც პრიორიტეტულია ეთნიკურად ერთგვაროვანი სივრცის შიდა მოწყობის ყველა შემთხვევაში. რუსეთის დასავლეთის ნამდვილი საზღვარი უნდა გადიოდეს უფრო დასავლეთით, ამიტომ სრულფასოვანი გეოპოლიტიკური სქემის მიხედვით ბელორუსიის მიწები უფრო ცენტრალურ მხარეებს მიეკუთვნება, ვიდრე დასავლეთით მდებარე კიდურა ნაწილს.

## 5.6. უკრაინის გეოპოლიტიკური დეკომპოზიცია

უკრაინის საკითხი გაცილებით რთულია, თუმცა ამ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური შემადგენლობის მოდელი ბელორუსიის მსგავსია. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს უკრაინის გეოპოლიტიკური მასშტაბი. იგი წარმოადგენს გიგანტურ ტერიტორიულ წარმონაქმნს, რომელიც მოცულობით ბევრად აღემატება სხვა დიდ ევროპულ წარმონაქმნებს. უკრაინაში ძალიან ძლიერია სეპარატიზმისა და პოლიტიკური სუვერენიტეტის ტენდენცია. უკრაინას, როგორც სახელმწიფოს, არანაირი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვს. მას

არ აქვს არც უნივერსალური მნიშვნელობის კულტურა, არც გეოგრაფიული განუმეორებლობა, იგი არც ეთნიკური გამორჩეულობით ხასიათდება. უკრაინის ისტორიული მნიშვნელობა აისახა მის სახელწოდებაში „უკრაინა“ ანუ „განაპირა“, „სასაზღვრო ტერიტორია“. კიევის რუსეთის ეპოქაში დღევანდელი უკრაინის ტერიტორიები აღმოსავლეთ სლავების სახელმწიფოებრივი ცენტრი იყო, რომელთათვისაც იმ დროინდელი ვლადიმირი (მოგვიანებით მოსკოვი) აღმოსავლეთით მდებარე განაპირა „окраина“ ტერიტორიას წარმოადგენდა, ხოლო ნოვგოროდი — ჩრდილოეთით მდებარე განაპირა ქალაქს. სლავური სახელმწიფოდან ევრაზიულ იმპერიად გადაქცევის შესაბამისად მკვეთრად შეიცვალა დიდი რუსული ცენტრების გეოპოლიტიკური ფუნქციები. იმპერიის დედაქალაქი მოსკოვი გახდა, ხოლო კიევი მეორეხარისხოვან ცენტრად იქცა, რომელშიც თავს იყრიდა ევრაზიული და შუაევროპული გავლენა. უკრაინაში კულტურათა არანაირი სინთეზის შესახებ არ შეიძლება საუბარი. აქ უფრო არქაული, ჭეშმარიტად რუსული, მართლმადიდებლური ფენები განიცდიდნენ დასავლეთ ევროპის „მოდერნისტულ“ დინამიკურ ზეგავლენას, განსაკუთრებით დასავლეთით მდებარე პოლონეთისა და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ავსტრია-უნგრეთის მხრიდან. რა თქმა უნდა, უკრაინული კულტურა და ენა თავისებური და უნიკალურია, მაგრამ რაიმე უნივერსალურ მნიშვნელობას მოკლებულია. კაზაკური დასახლებები (რომლებმაც, ძირითადად, ჩამოაყალიბა უკრაინული ეთნოსი) გამოირჩეოდა დამოუკიდებლობითა და განსაკუთრებული ეთნიკური, სამეურნეო და სოციალური წესით, თუმცა მათი ერთობლიობა საკმარისი არ არის გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, ხოლო უკრაინის სამდინარო რუკა, სადაც მთავარი მდინარეები (დნესტრი, დნეპრი და ა. შ.) ერთმანეთის პარალელურად მიედინება, უკრაინული სახელმწიფოებრიობის შენელებულ განვითარებაზე მიუთითებს.

ამ მიზეზით უკრაინის დამოუკიდებელ არსებობას (განსაკუთრებით თანამედროვე საზღვრებში) აზრი ექნება მხოლოდ „სანიტარული კორდონის“ სახით, რადგან გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები უფლებას არ მისცემენ ამ ქვეყანას მთლიანად მიუერთდეს ან აღმოსავლეთ, ან დასავლეთ ბლოკს, ანუ რუსეთ-ევრაზიასა და ცენტრალურ ევროპას. ამის გამო უკრაინა განწირულია მარიონეტული არსებობისა და ევროპაში თალასოკრატიული სტრატეგიისათვის გეოპოლიტიკური სამსახურის გასაწევად. ამ თვალსაზრისით უკრაინის როლი წააგავს ბალტიისპირა რესპუბლიკების როლს. ამის გამო, ერთ დროს სერიოზულად განიხილებოდა „შავი ზღვა-ბალტიისპირეთის ფედერაციის“, ანუ ტიპიური „სანიტარული კორდონის“ შექმნის პროექტი. ეს იქნებოდა ძირგამომთხრელი გეოპოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც გამოიწვევდა არეულობებს აღმოსავლეთ ევროპაში და მოამზადებდა შეიარაღებული კონფლიქტების წინაპირობებს. უკრაინის არსებობა თანამედროვე საზღვრებში და „სუვერენული სახელმწიფოს“ თანამედროვე სტატუსით, უტოლდება რუსეთის უსაფრთხოებისათვის მიყენებულ უსასტიკეს გეოპოლიტიკურ დარტყმას, ეს იგივეა, რაც რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრა.

უნიტარული უკრაინის შემდგომი არსებობა დაუშვებელია. ეს ტერიტორია, გეოპოლიტიკური და ეთნო-კულტურული სინამდვილის გათვალისწინებით, უნდა გაიყოს რამდენიმე ნაწილად:

უკრაინის ოთხი გეოპოლიტიკური ნაწილი:
1. დასავლეთ უკრაინა (მიეკუთვნება შუა ევროპას);
2. მალორუსეთი (დნეპრის მარცხენა სანაპირო);
3. დნეპრის მარჯვენა სანაპირო (დიდრუსეთისკენ მიმართული რეგიონები);
4. ყირიმი (დამოუკიდებელი პროევრაზიული გეოპოლიტიკური წარმონაქმნი).

1) **აღმოსავლეთ უკრაინა** (ყველაფერი, რაც განლაგებულია დნეპრის აღმოსავლეთით, ჩერნიგოვოდან აზოვის ზღვამდე) წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას ჭარბი ველოკორუსული მოსახლეობითა და მართლმადიდებელი მალოროსული მოსახლეობით. მთელი ეს ტერიტორია, რა თქმა უნდა, ახლოსაა რუსეთთან, დაკავშირებულია მასთან კულტურით, ისტორიით, ეთნოსით, რელიგიით. ამ მშვენივრად ათვისებულ, ტექნიკურად განვითარებულ მხარეს თავისუფლად შეუძლია შექმნას ფართო ავტონომიის, მაგრამ მოსკოვთან მტკიცედ დაკავშირებული, დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური რეგიონი. აქ უმჯობესია მერიდიანული ინტეგრაცია, ხარკოვის მხარე უნდა დაუკავშირდეს უფრო ჩრდილოეთით მდებარე რუსულ ტერიტორიებს (ბელგოროდის, კურსკისა და ბრიანსკის მხარეებს), შემდგომში მიზანშეწონილი იქნება ამ კონსტრუქციის სამხრეთისკენ გავრცელება.

2) **ყირიმი** ეს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური წარმონაქმნია, რომელიც, ტრადიციულად, ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა. მალოროსები, ველოკორუსები და ყირიმელი თათრები ცხოვრობენ ყირიმში ძალიან რთული კონფიგურაციით და ერთმანეთისადმი ძალიან მტრულად არიან განწყობილნი. ველოკორუსები აშკარად პრომოსკოვურად არიან განწყობილნი (აქ უფრო აგრესიულად, ვიდრე დანარჩენ, თუნდაც აღმოსავლეთ უკრაინაში). მალოროსები, პირიქით, უკიდურესი ნაციონალისტები არიან. ყირიმელი თათრები კი უფრო თურქეთისაკენ მიილტვიან და რუსეთისადმი საკმაოდ მტრული დამოკიდებულება აქვთ. ყირიმელი თათრების გეოპოლიტიკური ორიენტაციის გათვალისწინებაზე საუბარიც კი არ შეიძლება, ვინაიდან თურქეთი რუსეთის უშუალო გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გავითვალისწინოთ ყირიმში თათრების არსებობა. ყირიმის რუსეთთან პირდაპირი მიერთება გამოიწვევს მალოროსული მოსახლეობის უკიდურესად უარყოფით რეაქციას და შექმნის ამ ნახევარკუნძულის რუსეთის სისტემაში გაერთიანების პრობლემას (ვინაიდან შუაში არსებული უკრანული ტერიტორიების გამო ეფექტური კავშირის განხორციელება საკმაოდ რთული იქნება, ამის გამო ეს იდეა ნაკლებად რეალურია). მაგრამ „სუვერენული უკრაინისათვის" არც ყირიმის დატოვებაა მიზანშეწონილი, რადგან ეს უქმნის უშუალო საფრთხეს რუსეთის გეოპოლიტიკურ უსაფრთხოებას და წარმოშობს ეთნიკურ დაძაბულობას ყირიმში. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით თავისთავად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: ყირიმს აუცილებლად უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი და უზრუნველყოფილ იქნას მისი მაქსიმალური ავტონომია მოსკოვის უშუალო, სტრატეგიულ კონტროლთან ერთად, ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას უკრაინის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები და ყირიმელი თათრების ეთნო-კულტურული მოთხოვნილებები.

3) **უკრაინის ცენტრალური ნაწილი ჩერნიგოვოდან ოდესამდე** (სადაც შედის კიევიც) წარმოადგენს სხვა დასრულებულ მხარეს. აქ ჭარბობს მალოროსული ეთნოსი და ენა, მაგრამ ძირითადი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა. ეს მართლმადიდებელი მალოროსები განასახიერებენ დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ სინამდვილეს, რომელიც კულტურულად აღმოსავლეთ უკრაინას ენათესავება და, რა თქმა უნდა, ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სისტემაში შედის.

4) **დასავლეთ უკრაინა** მრავალფეროვანია. ჩრდილოეთში ეს არის ვოლინი, განცალკევებული რეგიონი, სამხრეთში — ლვოვის მხარე (გალიცია), კიდევ უფრო სამხრეთით — იმიერკარპატეთი (დასავლეთ მისადგომები), დაბოლოს, ბესარაბიის აღმოსავლეთ ნაწილი. ეს რეგიონები წარმოადგენენ საკმაოდ დამოუკიდებელ მხარეებს. ვოლინაში ჭარბობენ უნიატები და კათოლიკეები, ეს მხარე კულტურულად მიეკუთვნება შუა ევროპის კათოლიკურ გეოპოლიტიკურ სექტორს. თითქმის, იგივე ვითარებაა გალიციასა და იმიერკარპატეთში, თუმცა ეს, უფრო სამხრეთით განლაგებული, მიწები უკვე განცალკევებულ გეოპოლიტიკურ რეალობას ქმნიან. ვოლინი ისტორიულად დაკავშირებულია პოლონეთთან, ხოლო გალიცია და იმიერკარპატეთი — ავსტრია-უნგრეთის იმპერიასთან. უკრაინის ბესარაბიის მიწები დასახლებულია შერეული მოსახლეობით, აქ მალოროსები და ველოკორუსები მონაცვლეობენ რუმინელებთან და მოლდოველებთან. ეს რეგიონი პრაქტიკულად მთლიანად მართლმა-

დიდებლურია და წარმოადგენს მართლმადიდებლურ სარტყელს, რომელიც ველოკორუსეთიდან ბალკანეთის, სერბეთისაკენ მიემართება. ბესარაბიიდან ოდესამდე გადაჭიმული მთელი ეს სექტორი შუა უკრაინულ გეოპოლიტიკურ სივრცესთან ერთად უნდა განვიხილოთ, ამიტომ ლოგიკური იქნება თუ მას ჩავრთავთ დნეპრის მარცხენა სანაპიროს მერიდიანულ სარტყელში, რომლის დასავლეთ საზღვარი ვრცელდება როვნოდან ივანო-ფრანკოვსკამდე ჩრდილოეთი-სამხრეთი ღერძის გასწვრივ და უფრო შორს, სამხრეთისაკენ, დნესტრის გაყოლებაზე ოდესამდე.

ამგვარად, დასავლეთ უკრაინა, ამ ცნების ვიწრო მნიშვნელობით, შედგება სამი მხარისაგან, ესენია ვოლინა, გალიცია და იმიერკარპატეთი. ისინი ტერიტორიულად ახლოს მდებარეობენ, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეთნიკური შემადგენლობით, პოლიტიკური ტრადიციებითა და რელიეფით (იმიერკარპატეთი მთიანი მასივია, ისევე, როგორც სლოვაკეთი). ამ მხარეებს (რომლებიც დღეს აქტიურად ზემოქმედებენ უკრანის პოლიტიკურ ატმოსფეროზე და ანტიმოსკოვური, პროდასავლური გეოპოლიტიკური მიმართულება აქვთ), უნდა ეგოძოს დიდი უფლებების მქონე ავტონომია (პოლიტიკურიც კი), რათა ეს „ძირგამომთხრელი" ტერიტორიები ჩამოშორდნენ მართლმადიდებელ და მთლიანობაში პრორუსულ საერთო უკრაინულ სივრცეს (როგორც ცენტრალურს, ასევე აღმოსავლეთს).

რუსეთის სტრატეგიული საზღვარი ამ პარალელებზე არ შეიძლება იყოს დამოკიდებული უკრაინულ-პოლონური, უკრაინულ-უნგრული ან უკრაინულ-სლოვაკური საზღვრების გავლის ადგილზე. ეს სტრატეგიული საზღვარი მნიშვნელოვნად უფრო დასავლეთით უნდა მდებარეობდეს, სულ ცოტა, იგი შუა ევროპის დასავლეთ დაბოლოებაზე უნდა გადიოდეს, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში, ატლანტიკის გასწვრივ. ასეთი პერსპექტივიდან გამომდინარე, საჭიროა მთელი ამ რეგიონის ხელახლა ჩამოყალიბება, ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპაში გეოპოლიტიკურ გარდასახვათა ინიციატორისა და გერმანიის მთავარი პარტნიორის როლში, რუსეთმა, პირველ რიგში, დაჟინებით უნდა მოითხოვოს მთელი მხარის ატლანტური კონტროლიდან გამოყვანა და ამ ადგილზე ევრაზიული კონტინენტური თავდაცვითი სისტემის შექმნა, რომლის საფუძველი იქნება რუსეთისა და ევროპის სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა.

ვოლინი, გალიცია და იმიერკარპატეთი შეიძლება გაერთიანდნენ საერთო „დასავლეთ-უკრაინულ ფედერაციად", რომლის შიგნით გაერთიანების ხარისხი შეიძლება თავისით დამყარდეს კონკრეტული ვითარებებიდან გამომდინარე. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია კულტურულ-სარწმუნოებრივი საზღვრის გავლება დასავლეთ და ცენტრალურ (კიევის მიწასა) უკრაინას შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული დისჰარმონიული შუაევროპული კათოლიკური და უნიატური გავლენა მართლმადიდებელთა ტერიტორიებზე.

უკრაინის ფაქტორი ძალიან სუსტ ადგილს წარმოადგენს რუსეთის დასავლეთ სარტყელში. თუ სხვა ადგილებში Heartland-ის გეოპოლიტიკური მდგომარეობის დანგრევის საფრთხე პოტენციურია, ხოლო პოზიციური ბრძოლა ევრაზიული გეოპოლიტიკური სისტემისთვის, წარმოადგენს მხოლოდ თავდაცვით მიზნებს, სამაგიეროდ „სუვერენული უკრაინის" არსებობის ფაქტი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთისთვის გეოპოლიტიკური ომის

გამოცხადებას ნიშნავს (ეს კი იმდენად უკრაინის საქმე არაა, რამდენადაც ატლანტიზმისა და Sea Power-ისა). საქმე ეხება არა იმას, რომ უკრაინა შეგნებულად ამჯობინებს ატლანტური „სანიტარული კორდონის" როლს (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს ნაბიჯი შეუძლებელია გაცნობიერებული არ იყოს), არამედ იმას, რომ იგი პრაქტიკულად დაიწყებს ამ როლის შესრულებას, თუ მოსკოვი არ ჩართავს მას ინტეგრაციულ პროცესებში ან სულ მცირე, იგი (უკრაინა) არ დაიშლება ცალკეულ გეოპოლიტიკურ ნაწილებად.

უკრაინის საკითხი არის მოსკოვის წინაშე არსებული ყველაზე მთავარი და სერიოზული პრობლემა. თუ ჩრდილოეთისა და „პოლარული ტრაპეციის" პრობლემა შორეულ მომავალში რუსეთსა ევრაზიას უკავშირდება, თუ ციმბირის ათვისება და Lenaland-ისათვის ბრძოლის მნიშვნელობა ახლო მომავალში წარმოჩინდება და თუ აზიური სამხრეთის გარდაქმნის პოზიციურ სტრატეგიას რუსეთისათვის აქტიური, მაგრამ თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს, სამაგიეროდ დასავლეთის გეოპოლიტიკა და ამ გეოპოლიტიკის ცენტრი — „უკრაინის საკითხი", მოსკოვისაგან ითხოვს დაუყოვნებლივ საპასუხო ზომების მიღებას, ვინაიდან რუსეთისათვის ეს არის სტრატეგიული დარტყმა, რომელსაც „ისტორიის გეოგრაფიულმა ღერძმა" პასუხი უნდა გასცეს.

იმის გამო, რომ მოსკოვისა და კიევის უბრალო ინტეგრაცია შეუძლებელია და იგი ვერ შექმნის მყარ გეოპოლიტიკურ სისტემას (იმ შემთხვევაშიც თუ ეს მოხერხდება ყველა ობიექტური დაბრკოლების საწინააღმდეგოდ), ამიტომ მოსკოვი აქტიურად უნდა ჩაერთოს უკრაინული სივრცის ერთადერთ, ლოგიკურ და ბუნებრივ გეოპოლიტიკურ მოდელად გარდაქმნის პროცესში.

## 5.7. რუმინეთი და მოლდოვა – როგორი ნიშნით გაერთიანება?

რუმინეთი და მოლდოვა წარმოადგენენ ერთიანი გეოპოლიტიკური რეგიონის ორ ნაწილს. ისინი დასახლებულნი არიან ერთი მართლმადიდებელი ეთნოსით — დაკების შთამომავლებით, რომლებიც ლათინურენოვან ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. სლავური გარემოდან მათ შეითვისეს კულტურული, ენობრივი და რასობრივი ელემენტები. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რუმინეთისა და მოლდოვას გაერთიანება გარდაუვალია, ამიტომ მოსკოვმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ეს პროცესი თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს და ეს სივრცე თავისი უშუალო სტრატეგიული კონტროლის ზონაში ჩართოს. რუმინული კულტურა მართლმადიდებლურია, რომლის წყალობითაც მისი მიწები პირდაპირ უკავშირდება ევრაზიას. ამ მიწების სრულყოფილი გაერთიანების ერთადერთ დაბრკოლებას წარმოადგენს ენობრივი ფაქტორი და კათოლიკურ სამყაროსთან გეოპოლიტიკური სიახლოვე. გარდა ამისა, რუმინეთის დასავლეთში, ბანატეში, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ უნგრელი კათოლიკეები და რუმინელები.

რუმინეთზე, მოლდოვასა და ცენტრალურ უკრაინაზე გადის მართლმადიდებელი ხალხებით დასახლებული უწყვეტი ზოლი, რომელიც რუსეთს სერბეთთან, ბალკანეთის ევრაზიულ ფორპოსტთან აკავშირებს. ევრაზიის ინტერესებში შედის მთელი მხარის გადაქცევა ერთიან სტრატეგიულ და კულტურულ რეგიონად (ფაქტიურად ერთ ქვეყანად). ეს მოსკოვისაგან

მოითხოვს, რომ სწორედ იგი გამოვიდეს მოლდავურ-რუმინული ინტეგრაციის ინიციატორად, რომელიც თავიდანვე მართლმადიდებლური და ევრაზიული ნიშნით უნდა წარიმართოს. მნიშვნელოვანია, რომ რუმინელ მართლმადიდებლებს აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სლავი მართლმადიდებელი ხალხები — უკრაინელები და სერბები ემეზობლებიან და, ამგვარად, უზრუნველყოფენ ტერიტორიული გაერთიანების უწყვეტობას, რომელიც ეფუძნება არა იმდენად ეთნიკურ, რამდენადაც სარწმუნოებრივ თავისებურებებსა და კულტურულ ნათესაობას.

ასეთი, დნესტრიდან ჩერნოგორიამდე გადაჭიმული „მართლმადიდებლური ბლოკი" (რომლის ცენტრში იქნება გაერთიანებული რუმინეთი) უნდა ჩამოყალიბდეს ბერლინთან თანამშრომლობით, რომელსაც თავის მხრივ წილად ხვდა შუა ევროპის უფრო დასავლეთი ნაწილი: პრუსიის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, უნგრეთის, ავსტრიისა ხორვატიის ჩათვლით. თუ ამას დავუმატებთ პოლონეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის აღმოსავლეთ წაგრძელებას (რომელიც გერმანიას ჩრდილოეთიდან ეკვრის) მაშინ რუსეთის ბუნებრივი ლტოლვა დასავლეთით, ბალკანეთის რეგიონში ლოგიკური და მისაღები იქნება. იგი არ დაარღვევს შუა ევროპის გეოპოლიტიკურ ბალანსს, რომელიც გეოპოლიტიკურად გერმანიის გავლენის სფეროს განეკუთვნება.

## 5.8. პირობა: ნიადაგი და არა სისხლი

ყველა ზემოთ აღნიშნული მოქმედება გამომდინარეობს ევროპული გეოპოლიტიკის საერთო ვითარებიდან, რომელშიც, ვიწრო თვალსაზრისით, მკვეთრად გამოირჩევა შუა (გერმანიის ფრთებქვეშ) და დასავლეთ ევროპის რეგიონები. რუსეთს დასავლეთ ევროპასთან უშუალო საზღვრები არ აქვს, ამიტომ ევრაზიული სტრატეგიის გატარება ამ რეგიონში (რომლის ძირითადი მონაწილე საფრანგეთია) დამოკიდებულია საერთო ევროპული კონსტრუქციის აგებაზე ბერლინი-პარიზის ღერძის გასწვრივ. ევრაზიული ფაქტორი დასავლეთ ევროპაში არ შეიძლება მოსკოვის ხაზის უშუალო გაგრძელება იყოს. მოსკოვი აქ მოქმედებს მხოლოდ ბერლინის მეშვეობით, სადაც ევრაზიულ კონტინენტურ და ანტიატლანტურ ტენდენციებს ერთი ტერმინით — „გერმანოფილიად" აღიქვამენ. ფრანგებს იმაზე მეტად გამოკვეთილ „ევრაზიულობას" ვერ მოსთხოვ, ვიდრე ეს „გერმანოფილიაა", ვინაიდან Heartland-ის პრობლემატიკას დასავლეთ ევროპა გერმანული კონტინენტალიზმის საშუალებით ეზიარება. რუსეთი ამ შემთხვევაში „გეოპოლიტიკურ აბსტრაქციას" წარმოადგენს.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს დასავლეთევროპული პრობლემების გადაწყვეტაში. მის ინტერესებში შედის მთელი ევროპის ატლანტური დაქვემდებარებიდან გამოსვლა, ამიტომ მოსკოვმა აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი დასავლეთ ევროპის შუა ევროპისაკენ, გერმანიისაკენ გეზის აღებას.

გერმანიამ თავიდანვე უნდა გაითავისოს მთავარი პირობა: ყველა ინტეგრაციულმა პროცესმა შუა ევროპაში (სადაც ბერლინის გეოპოლიტიკური აღმატებულობა აშკარაა), აგრეთვე, დასავლეთ ევროპაში ყველა სახის გარდაქმნის პროცესმა (რომელიც თავის მიზნად ევროპული სახელმწიფოების

გერმანიაზე ორიენტირებას ისახავს) უნდა გამორიცხოს გერმანელების ეთნიკური ბატონობის პრინციპი კულტურულ, პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ ან იდეოლოგიურ სფეროში. ევროპა უნდა იყოს ევროპული, ხოლო შუა ევროპა შუაევროპული, ე. ი. ევროპელი ხალხების ენობრივი, ეთნიკური და სულიერი თვითმყოფადობის აყვავება წახალისებული უნდა იქნას ბერლინის მხრიდან. რომლის პრიორიტეტი, ამ დროს მხოლოდ გეოპოლიტიკური და სოციალური უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში რასობრივი. მრავალი შუაევროპული ეთნოსის მიმართ მოსკოვს ვალდებულებები და მოვალეობები აკისრია მათთან რასობრივი ნათესაობის გამო (სლავიანობა). უფრო მეტიც, სწორედ გერმანული ეთნოცენტრიზმი და ნაციონალურ-რასისტული ქედმაღლობა მრავალჯერ გახდა ევროპაში სისხლიანი კონფლიქტების მიზეზი. ევროპის გეოპოლიტიკური რეორგანიზაციის მიმდინარეობის დროს რუსეთი უნდა იქცეს გარანტად, რომ ბერლინი ერთმანეთისაგან მკაცრად გამიჯნავს გეოპოლიტიკასა და რასას, „მიწას და სისხლს", რათა დასაწყისშივე იქნას თავიდან აცილებული ჰიტლერის ავანტიურის მსგავსი ტრაგედიები. ევროპის გეოპოლიტიკური გარდაქმნის საკითხებში გერმანული ნაციონალიზმის ნებისმიერი გამოვლინება უმოწყალოდ უნდა იქნას ჩახშობილი თვით ბერლინის მიერ; ყველა პროცესი უნდა განვითარდეს „ხალხთა უფლებების", კულტურის, რწმენისა და ენის სრული ავტონომიის უმკაცრესი დაცვით.

ასეთივე მოთხოვნები უნდა წაუყენოს მოსკოვმა საკუთარ თავსაც და თავის მოკავშირეებსაც. გეოპოლიტიკურმა ცენტრმა მხოლოდ დადებითი მხრივ უნდა წაახალისოს და აქტიურად დაუჭიროს მხარი ეთნიკურ თვითმყოფადობას, როგორც დადებით რეალობას და ეროვნული განსხვავებულობის გამოვლენას. რა თქმა უნდა, არ უნდა ველოდოთ ეთნოსებს შორის დაპირისპირებებისა და ეროვნული თვითდამკვიდრების უარყოფითი მხარეების სრულ აღმოფხვრას, სწორედ ამ დროს აქტიურად უნდა ამოქმედდეს უმაღლესი ზეეთნიკური მსაჯული — გეოპოლიტიკური ცენტრალიზმის პრინციპი, რომელიც ევრაზიის ცხოვრებისეული პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესებისადან გამომდინარე, გადაჭრის ყველა საშინაო პრობლემას.

ეს პრინციპი უნივერსალურია რუსეთის ყველა რეგიონისათვის (როგორც შიდა, ასევე გარე), რომელშიც უნდა დამყარდეს „ახალი ევროპული წესრიგი".განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დასავლეთთან, ევროპასთან მიმართებაში, რადგან ამ სივრცეში არსებული ეთნიკური პრობლემები ყველა იმ საშინელი კონფლიქტის მიზეზია, რომლებმაც შეაძრწუნა მთელი XX საუკუნე.

# ნაწილი VI. ევრაზიული ანალიზი

## თავი 1. მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა

### 1.1. ქრისტიანული ოიკუმენის დასავლეთი და აღმოსავლეთი

მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკური ხასიათის განსაზღვრისას ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ ეკლესიის აღმოსავლეთში მდებარეობა. ამერიკის აღმოჩენამდე, ქრისტიანული სამყაროში (რომელიც გეოგრაფიულად ევრაზიის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთს, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას მოიცავდა) აშკარად იყო გამოკვეთილი საზღვარი მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სივრცეებს შორის. ეს დაყოფა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ისტორიულ შემთხვევითობას. მართლმადიდებლური სამყარო სულიერად და თვისობრივად აღმოსავლეთს ენათესავება, მაშინ როდესაც კათოლიციზმი — უაღრესად დასავლური მოვლენაა. თუ ეს ნამდვილად ასეა, თეოლოგიური ფორმულირებები, რომლებიც საფუძვლად დაედო 1054 წლის განხეთქილებას ამ ეკლესიებს შორის, აუცილებლად უნდა ატარებდეს გეოპოლიტიკურ ხასიათს.

კამათი „ფილიოკვეს" შესახებ, ანუ იმის თაობაზე თუ ვისგან გადმოდის სულიწმიდა — მხოლოდ მამისაგან თუ მამისაგან და ძისაგან[1], საღვთისმეტყველო ტერმინებით წინასწარ ასახავს ქრისტიანული და პოსტქრისტიანული ცივილიზაციების ორი ტიპის (დასავლური რაციონალურ-ინდივიდუალისტურისა და აღმოსავლური მისტიკურ-კოლექტივისტურის) შემდგომ განვითარებას. ნიკეის რწმენის სიმბოლოში „ფილიოკვეს" შესახებ დასავლეთის მიერ მიღებულმა ჩასწორებამ საბოლოოდ გაამყარა ე. წ. „სუბორდინატიზმის" (საღმრთო რეალობაში იერარქიულად დამორჩილებული ურთიერთობების შემოღება, რომელიც აკნინებს სამების საიდუმლო და ზეგონებრივ ბუნებას) რაციონალისტური თეოლოგიისკენ მიმართული ორიენტაცია.

განხეთქილებაზე, „ფილიოკვეს" საკითხთან ერთად, დიდი გავლენა მოახდინა რომის ტახტის უზენაესობისა და პაპის უმაღლესი საღვთისმეტყველო ავტორიტეტის იდეამ. ეს მოვლენაც კათოლიკური „სუბორდინატიზმის" ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენდა. იგი დაჟინებით მოითხოვდა მკაცრ და სწორხაზოვან იერარქიას იმ საკითხებშიც კი, რომლებიც სულიწმინდის პროვიდენციული[2] მოქმედების ნიშნის ქვეშ იმყოფება სამყაროს გადარჩენასთან მიმართებაში. ასეთი პოზიცია სრულიად ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი ეკლესიების ენობრივი ავტონომიისა და, საერთოდ, სულიერი რეალიზაციის სფეროში მართლმადიდებლობისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი თავისუფლების იდეას.

დაბოლოს, ეკლესიის აღმოსავლეთად და დასავლეთად გაყოფის უკანასკნელი, უმნიშვნელოვანესი ასპექტი იყო რომის მიერ მონარქიის შესახებ წმინდა მამათა მოძღვრების უარყოფა, რომელიც წარმოადგენს არა ეკლესიაზე უხეშად დაქვემდებარებულ საერო ადმინისტრაციულ აპარატს (როგორც ეს პაპებს სურდათ წარმოედგინათ), არამედ საიდუმლო სოტერიოლოგიურ[3] ორგანიზმს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ესქატოლოგიურ[4] დრამაში,

როგორც „ანტიქრისტეს მოსვლის დაბრკოლება", „კატექონი" („ვისაც უპყრია"), რომლის შესახებაც ლაპარაკია თესალონიკელთა მიმართ პავლე მოციქულის მეორე მიმართვაში.

ღვთაებრივი მოქმედების ზეგონიერება (აპოფატიკური[5] მისტიური თეოლოგიის პრიმატი), ადგილობრივი ეკლესიების სულიერი და ენობრივი თავისუფლება (რომელიც დასაბამს იღებს სულთმოფენობის დღეს მოციქულთა ღაღადიდან), მოძღვრება მეფისა და სამეფოს საკრალური როლის შესახებ (მართლმადიდებლური სიმფონიის თეორია) — ეს არის მართლმადიდებლობის თავისებურების განმსაზღვრელი ის ძირითადი საკითხები, რომლებიც განასხვავებს მას ქრისტიანობის ამ ასპექტების უარმყოფელი კათოლიციზმისაგან.

ეს განსხვავებები საბოლოო განხეთქილებამდე ბევრად ადრე შეიმჩნეოდა, თუმცა 1054 წლამდე შესაძლებელი იყო გარკვეული ბალანსის შენარჩუნება. ამ მომენტიდან კი ქრისტიანული სამყაროს გეოპოლიტიკური დუალიზმი სრულიად განისაზღვრა და ორივე სამყარო — მართლმადიდებლური და კათოლიკური — საკუთარი გზით წავიდნენ.

1453 წლამდე (თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების თარიღი) მართლმადიდებლური ეკლესია გეოპოლიტიკურად გაიგივებული იყო ბიზანტიის იმპერიის ბედთან. კათოლიციზმის სამყარო კი დასავლეთ ევროპასთან. ამ დრომდე რომი და კონსტანტინოპოლი ორ „დიდ ქრისტიანულ სივრცეს" (თუ გეოპოლიტიკური ტერმინებით ვიხელმძღვანელებთ) წარმოადგენდა თავისი გეოპოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესებით, აგრეთვე, მკაფიოდ განსაზღვრული და თვალსაჩინო საღვთისმეტყველო თავისებურებით, რომელიც მთელი თავისი ინტელექტუალურ-დოგმატიკური ერთგვაროვნებითა და ლოგიკური ურთიერთკავშირით გამოხატავდა და წინასწარ განსაზღვრავდა ეკლესიებს შორის განსხვავებას. დასავლეთი თომა აქვინელის[6] რაციონალურ ღვთისმეტყველებას ეყრდნობოდა, აღმოსავლეთი აგრძელებდა მისტიკური ღვთისმეტყველების, აპოფატიკისა და ბერ-მონაზონული გონისმიერი ქმედების გზას, რომელიც ნათლად არის ჩამოყალიბებული დიდი ათონელი ისიქასტის[7] წმინდა გრიგოლ პალამას შრომებში.

**გრიგოლ პალამა[8] თომა აქვინელის წინააღმდეგ** — ეს ის საღვთისმეტყველო ფორმულაა, რომელიც ასახავს ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთის გეოპოლიტიკური დუალიზმის არსს. თაბორისეული ნათელის მისტიური ჭვრეტა, ხელისუფლებათა სიმფონია და ადგილობრივ ეკლესიათა ლიტურგიული ღაღადი (მართლმადიდებლობა) უპირისპირდება რაციონალურ თეოლოგიას, ევროპელ მეფეთა საერო ცხოვრებაში პაპის დიქტატს[9] და ლათინური ენის, როგორც ერთადერთი წმინდა ლიტურგიული ენის, გაბატონებას (კათოლიციზმი). ორი სამყაროს გეოპოლიტიკური დაპირისპირება აშკარაა. მათ მკვეთრად განსხვავებული მიმართული კულტურული ორიენტაცია, ფსიქოლოგიური დომინანატა და თავისებური პოლიტიკური წყობა აქვთ.

ასეთია მართლმადიდებლური გეოპოლიტიკის საფუძვლების საერთო სქემა. ცხადია, რომ მსგავს ვითარებაში ბიზანტიისა და მართლმადიდებლური ეკლესიის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საკუთარი სტრუქტურის შენარჩუნება, საკუთარი პოლიტიკური და სულიერი გავლენის საზღვრების დაცვა, დამოუკიდებლობის განმტკიცება.

მართლმადიდებლობას ორი ძირითადი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე ჰყავდა:

1) **წარმართული სამყარო**, რომლის გავლენა გამოიხატებოდა ბარბაროსთა შემოსევებით იმპერიის პერიფერიებზე და გამაჰმადიანებული თურქების მასიური ზეწოლით.

2) **დასავლეთის ქრისტიანული სამყარო**, რომელიც განიხილებოდა არა მხოლოდ „ლათინური ერესის" მიწებად, არამედ, განდგომილების სამყაროდ, იმ ადამიანთა ქვეყნად, რომელთაც შეიცნეს ჭეშმარიტება და ცხონება, მაგრამ უარყვეს იგი და უღალატეს მას.

მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკური ადგილის ასეთ საწყის და სრულ სურათში ადვილია ყველა იმ გეოპოლიტიკური პრობლემის დანახვა, რომელიც ბიზანტიის დაშლის შემდეგ მრავალი საუკუნის მანძილზე აწუხებს აღმოსავლეთის ეკლესიასა და მართლმადიდებლურ სახელმწიფოებს. გარკვეულ მომენტში ბიზანტიის იმპერატორები ორმაგი საფრთხის (და, შესაბამისად, არჩევანის) წინაშე აღმოჩდნენ — „თურქული დოლბანდი ან ლათინური მიტრა". თუ გავითვალისწინებთ დასავლეთისა და რომისადმი თეოლოგიური დამოკიდებულების თავისებურებებს, ადვილად გავუგებთ იმ მართლმადიდებლებს, რომლებმაც, იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა გზა არ ჰქონდათ, თავიანთი არჩევანი „თურქული დოლბანდის" სასარგებლოდ გააკეთეს. სხვათაშორის, მრავალმა მართლმადიდებელმა კონსტანტინოპოლის დაცემა ღვთის რისხვად აღიქვა, რომელიც გამოიწვია ე. წ. „ფლორენციული უნიიის" მიღების დროს „ფილიოკვეს" მიღების ხარჯზე რომთან დაახლოებისათვის ბიზანტიის მიერ გადადგმულმა გეოპოლიტიკურმა ნაბიჯმა (თუმცა ელჩების კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ ეს აღიარება გაუქმებულ იქნა)[10].

## 1.2. პოსტბიზანტიური მართლმადიდებლობა

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მთელი გეოპოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურად დარჩა, მთელი სტრუქტურის წყობა დაიშალა. შეგახსენებთ, რომ მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო სწავლება მონარქიის სოტერიოლოგიური ფუნქციის შესახებ, მაგრამ ვინაიდან მართლმადიდებლური სამეფო (და შესაბამისად მართლმადიდებელი მეფე) აღარ არსებობდა, ეკლესია იძულებული იყო შესულიყო, თავისი არსებობის ახალ, განსაკუთრებულ და საკმაოდ პარადოქსულ პერიოდში. ამ მომენტიდან მთელი მართლმადიდებლური სამყარო იყოფა ორ ნაწილად, რომლებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც გეოპოლიტიკური, ისე საღვთისმეტყველო თვალთაზრისით.

პოსტბიზანტიური მართლმადიდებლური სამყაროს პირველ ნაწილს წარმოადგენენ ის ეკლესიები, რომლებიც აღმოჩნდნენ არამართლმადიდებლური სახელმწიფოების, განსაკუთრებით ოტომანთა იმპერიის, პოლიტიკური გავლენის სფეროში. ეს ეკლესიები, ბიზანტიის იმპერიის დაშლამდე, ადმინისტრაციულად შედიოდნენ ე. წ. მართლმადიდებლურ „მილეთში", რომელიც აერთიანებდა მართლმადიდებელ ბერძნებს, სერბებს, რუმინელებს, ალბანელებს, ბულგარელე-

ბსა და არაბებს. ამ მართლმადიდებელთა შორის უზენაეს პირად ითვლებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი, თუმცა მასთან ერთად არსებობდნენ ალექსანდრიის (ეგვიპტეში მცხოვრები მართლმადიდებელი ბერძნებისა და არაბების მწყემსმთავარი) და ანტიოქიის პატრიარქები (თანამედროვე სირიის, ერაყისა და ლიბანის ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებელი არაბების წინამძღოლი).

განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა იერუსალიმის მცირე საპატრიარქო, აგრეთვე, კვიპროსისა და სინას მთის ავტოკეფალური ეკლესიები. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მთელი მართლმადიდებლური სამყაროს მეთაურს წარმოადგენდა, თუმცა აქ არ არსებობდა რაიმე უშუალო იერარქია, როგორც ეს არის კათოლიკურ ეკლესიაში[11] და ავტოკეფალურ ეკლესიებს საკმაო დამოუკიდებლობა გააჩნდათ[12].

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო „ფანარის" უბანში მდებარეობს, ამ სიტყვიდან გამომდინარეობს ამ საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ბერძნული სამღვდელოების კრებითი სახელი „ფანარიოტები". აღსანიშნავია, რომ 1453 წლიდან მართლმადიდებლური სამყაროს ეს ნაწილი გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც გეოპოლიტიკურ, ასევე საღვთისმეტყველო საკითხებში. მართლმადიდებლური სახელმწიფოებრიობის უქონლობა უშუალო ზეგავლენას ახდენს მართლმადიდებლების მიერ პოლიტიკური ისტორიის ესქატოლოგიურ აღქმაზე და მოასწავებს ეკლესიის სუფევას განდგომილების სამყაროში, სადაც „ანტიქრისტეს" მისტიურ მოსვლას უკვე ხელს აღარაფერი უშლის. საერო ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია (და იგივე პოლიტიკური ხვედრის მქონე სხვა ეკლესიები) კარგავს თავის თავდაპირველ არსს. იცვლება მისი საღვთისმეტყველო და გეოპოლიტიკური ორიენტაციები. იცვლება მისი საკრალური ბუნებაც.

სრულფასოვან მართლმადიდებლურ დოქტრინაში ღვთისმეტყველებასა და პოლიტიკას შორის არსებული კავშირის საღად გააზრებამ რუსეთი აიძულა იმ გზას დადგომოდა, რომელსაც იგი XV საუკუნიდან მიჰყვება და რომელიც მჭიდროდ უკავშირდება „მოსკოვი — მესამე რომის" თეორიას. რუსეთი და რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, ეს არის პოსტბიზანტიური აღმოსავლური ქრისტიანობის მეორე ნაწილი, რომელსაც სრულიად განსხვავებული გეოპოლიტიკური და სულიერი ბუნება აქვს.

რუსეთში საპატრიარქოს დაარსებასა და მოსკოვის „მესამე რომად" აღიარება უშუალოდ უკავშირდება მართლმადიდებლობის მისტიურ ბედს. რუსეთი (კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ) ერთადერთი „დიდი გეოპოლიტიკური სივრცეა", სადაც ერთმანეთის გვერდით არსებობდა მართლმადიდებლური პოლიტიკა და მართლმადიდებლური ეკლესია. რუსეთი ბიზანტიის მემკვიდრეა, როგორც საღვთისმეტყველო, ისე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. მხოლოდ აქ, რუსეთში, იქნა შენარჩუნებული ის სამი ძირითადი პარამეტრი, რომლებმაც ასე ძლიერად განავითარა მართლმადიდებლობა, ლათინური დასავლეთისა და წარმართული რეჟიმების პოლიტიკური ძალაუფლებისაგან განსხვავებით. მაშასადამე, „წარწყმედის ძის მოსვლის ზღუდის" მისტიურ სტატუსთან ერთად, მოსკოვმა მემკვიდრეობით მიიღო კონსტანტინოპოლის მთელი გეოპოლიტიკური პრობლემატიკა. რუსეთი, ისევე, როგორც ბიზანტია, ორ მტრულ გეოპოლიტიკურ სინამდვილეს შეეჯახა — იგივე „ლათინურ მიტრას"

და იმავე „თურქულ დოლბანდს“. ამ შემთხვევაში ისტორიული პასუხისმგებლობა მთლიანად რუს მეფეებს, რუსულ ეკლესიასა და რუს ხალხს დააწვა. ის ფაქტი, რომ ეს პასუხისმგებლობა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მოსკოვს გადაეცა, ვითარებას განსაკუთრებული ესქატოლოგიური დრამატიზმით ამკობდა, რაც აისახა არა მხოლოდ რუსების ფსიქოლოგიაზე უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში, არამედ რუსული სახელმწიფოსა და რუსული ეკლესიის გეოპოლიტიკური ორიენტაციის თავისებურებაზე. ამის პარალელურად ჩამოყალიბდა რუსი ხალხის, როგორც „ღვთივდაცული ერის“ კონცეფცია.

ამავე დროს წამოიჭრა ახალი საკითხი: რუსეთის ფარგლებს გარეთ არსებულ მართლმადიდებლურ სამყაროსთან ურთიერთობა და მოსკოვის პატრიარქის დამოკიდებულება კონსტანტინოპოლის პატრიარქის სტატუსთან. საქმე იმაშია, რომ არარუსი მართლმადიდებლები დილემის წინაშე აღმოჩდნენ, მათ ან უნდა ეღიარებინათ რუსეთი „ხსნის კიდობნად“, ახალ „წმინდა მიწად“, „კატექონად“ და, შესაბამისად, დამორჩილებოდნენ მოსკოვის სასულიერო ავტორიტეტს, ან პირიქით, უნდა უარეყოთ „მართლმადიდებლური სამეფოს“ არსებობის შესაძლებლობა, ხოლო მოსკოვი განეხილათ ბიზანტიის ესქატოლოგიური ფუნქციის მიმტაცებლად. სხვა ეკლესიებთან თავისი ურთიერთობები მოსკოვს ამ არჩევანის მიხედვით უნდა აეწყო. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად ამ მომენტიდან მართლმადიდებლური სამყარო ორ განსხვავებულ გეოპოლიტიკურ და თეოლოგიურ ნაწილად გაიყო. ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის გავლენის სფეროში გაიმარჯვა ანტიმოსკოვურმა ხაზმა, ე. ი. ფანარიოტების დასმა მართლმადიდებლური დოქტრინა მოარგო იმ პირობებს, სადაც პოლიტიკური პროექციის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ბერძნულმა მართლმადიდებლობამ შეიცვალა თავისი ბუნება და ერთი მთლიანი სასულიერო-პოლიტიკური სწავლებიდან მხოლოდ ინდივიდუალური გადარჩენის რელიგიურ დოქტრინად გადაიქცა. ამიერიდან კონსტანტინოპოლისა და მოსკოვის მეტოქეობა თავისი არსით მართლმადიდებლობის ორი — სრულფასოვანი (მოსკოვი) და გამარტივებული (კონსტანტინოპოლი) ვერსიის დაპირისპირებად იქცა.

უფრო მეტიც, მართლმადიდებლობის მნიშვნელობის შეცვლამ ბერძნები, ნაწილობრივ, რომის ხაზს დაახლოვა, ვინაიდან დოგმატურ წინააღმდეგობათა სამი ძირითადი პუნქტიდან ერთ-ერთი („კატექონის“ საკითხი) თავისთავად ამოვარდა. ფანარიოტების სულიერ დაახლოებას ვატიკანთან თან ახლდა მათი პოლიტიკური დაახლოება თურქულ ადმინისტრაციასთან, რომელშიც ბევრ მართლმადიდებელ ბერძენს ტრადიციულად მაღალი თანამდებობა ეკავა. ასეთმა გაორებულმა არსებობამ (რომელსაც თან ახლდა მართლმადიდებლურ სამყაროზე გავლენისათვის რუსულ ეკლესიასთან მეტოქეობა) ბერძნულ მართლმადიდებლობას ფაქტიურად მოუსპო დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მისიის განხორციელების საშუალება და ერთ-ერთ მეორეხარისხოვან გეპოლიტიკურ ფაქტორად იქცა ოტომანური ხელისუფლებისა და პაპის ლეგატთა ინტრიგების ქსელში.

ასეა თუ ისე, XV საუკუნიდან ტერმინი „მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა“ თითქმის გაიგივდა ტერმინთან „რუსეთის გეოპოლიტიკა“.

ამასთან ერთად, მცდარი იქნება მთელი არარუსული მართლმადიდე-

ბლობის ფანაროტულ პოლიტიკაზე დაქვემდებარებულ სამყაროდ განხილვა. სხვადასხვა ადგილებში საწინააღმდეგო განწყობა იყო გამეფებული, რომელიც მართლმადიდებლური რუსეთის საღვთისმეტყველო და ესქატოლოგიურ პირველობას აღიარებდა. ეს განსაკუთრებით ეხება სერბებს, ალბანელებს, რუმინელებს და ბულგარელებს, სადაც ერთმანეთს ტრადიციულად ეპაექრება რუსოფილური და ფანარიოტული გეოპოლიტიკური ტენდენციები, რაც მთელი ძალით გამოვლინდა XIX საუკუნეში, როცა ოტომანთა იმპერიაში შემავალმა მართლმადიდებელმა ხალხებმა თავისი ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თავგანწირული ნაბიჯები გადადგეს.

## 1.3. პეტერბურგის პერიოდი

კონსტანტინოპოლის დაცემასა და მართლმადიდებელი ბალკანელი ხალხების მიერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებას შორის მოხდა ამბავი, რომელსაც მართლმადიდებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგულისხმება რუსული განხეთქილებისა და უშუალოდ მის შემდეგ პეტრე პირველის მიერ განხორციელებული რეფორმები. ამ დროს რუსეთში მოხდა მართლმადიდებლობის სტატუსის თვისობრივი შეცვლა და იმ დროიდან აღმოსავლური ეკლესიის დოგმატური საფუძვლები, რომლებიც 200 წლის განმავლობაში უცვლელად იყო დაცული, შეირყა. საქმე იმაშია, რომ დედაქალაქის მოსკოვიდან სანკტ-პეტერბურგში გადატანა და სინოდის დაარსების შემდეგ საპატრიარქოს გაუქმება იმას ნიშნავდა, რომ რუსეთმა, საღვთისმეტყველო და ესქატოლოგიური თვალსაზრისით შეწყვიტა არსებობა, როგორც დოგმატურად კანონიერმა, მართლმადიდებლურმა მონარქიამ. ფაქტიურად, მართლმადიდებლური გეოპოლიტიკური მოდელიდან, მივიღეთ პროტესტანტული სახელმწიფოს მსგავსი სისტემა. ამიერიდან, რუსული მართლმადიდებლობა ბუნდოვან რეალობად იქცა, რომელიც, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვეოდა რუსულ სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ დოგმატური საფუძველი აშკარად შერყეული იყო, რუსული გეოპოლიტიკის საერთო ლოგიკა აგრძელებდა თავიდან არჩეულ გზას, თუმცა უკვე სხვა დონეზე, რადგან საერო და წმინდა პოლიტიკური ინტერესები აშკარად ბატონობდნენ რელიგიურ-ესქატოლოგიურ პრობლემატიკაზე. ამასთანავე, დასავლეთში, ტრადიციული კათოლიკური მოდელი ადგილს უთმობდა წმინდა ეროვნულ-პოლიტიკურ წარმონაქმნებსა და ერ-სახელმწიფოებს. ასე რომ, თეოლოგიური პრობლემატიკა იქაც წაიშალა და მისი ადგილი უფრო პრაქტიკულმა, მერკანტილურმა და ვიწრო პოლიტიკურმა ინტერესებმა დაიკავა. თუმცა, ეკლესიათა სქიზმაში[13] დოგმატურად წინასწარ განსაზღვრული გეოპოლიტიკური განლაგება, საბოლოოდ, მაინც იგივე დარჩა, თუ არ ჩავთვლით პროტესტანტული ქვეყნების წარმოშობას.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, პროტესტანტიზმი იყოფა ორ ჯგუფად — პრუსიულ ლუთერანობად და ინგლისურ-შვეიცარიულ-ჰოლანდიურ კალვინიზმად. რომის წინააღმდეგ პროტესტის ორივე ტალღის სინქრონულობისა და გარეგნული მსგავსების მიუხედავად, ლუთერანობასა და კალვინიზმს, თითქმის, პოლარულად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. პრუსიულ სახელმწი-

ფოში თავმოყრილი ლუთერანული ბანაკი დოგმატური და მისტიური თვალსაზრისით „ახალი აღთქმის“ წინაპირობების რადიკალიზაციაზე და ამ კუთხით, ვატიკანის კრიტიკაზე იყო დაფუძნებული. ზოგადად იგი ასახავდა მართლმადიდებლობის მიერ კათოლიციზმთან წაყენებულ ტრადიციულ პრეტენზიებს. ლუთერანული პრუსია გეოგრაფიულად მართლმადიდებლურ .რუსეთსა და კათოლიკურ დასავლეთ ევროპას შორის მდებარეობდა. კალვინიზმი, ინგლისის სახელმწიფო რელიგია (შემდგომში ამ რელიგიამ დიდი გავლენა მოახდინა აშშ-ს პოლიტიკურ მოწყობაზე), პირიქით, დაფუძნებული იყო ძველ აღთქმისეულ მიდგომასა და ამ პოზიციიდან რომის კრიტიკაზე. შემთხვევით არ არის, რომ კალვინიზმი და მისგან გამომავალი სექტები გეოგრაფიულად უკიდურესი დასავლეთისაკენ მიისწრაფოდენ, როგორც ევროპაში, ასევე ატლანტიკის მიღმაც.

პეტრე პირველის შემდეგ, რომანოვების რუსეთი ახლოს იდგა პრუსიულ მოდელთან, იგი შორდებოდა მართლმადიდებლურ დოგმატიკას და ჩერდებოდა კათოლიციზმისაკენ მიმავალ შუა გზაზე, რომელიც, იმავე დროს, პოზიციებს ერ-სახელმწიფოებს უთმობდა. ამავე დროს, ძირითადი გეოპოლიტიკური დაძაბულობა თავს იყრიდა რუსეთის, ავსტრიისა და ბრიტანეთის იმპერიებს შორის. რელიგიური თვალსაზრისით, ეს იყო მართლმადიდებლობის დაპირისპირება კათოლიციზმისა (ავსტრია) და კალვინიზმის (ინგლისი) მიმართ. აბსოლუტური, ხოლო შემდეგ, რევოლუციური საფრანგეთი, ამ ვითარებაში გასაკუთრებულ როლს ასრულებდა და რესპუბლიკური იდეებისა და განმანათლებლობის გავრცელებას ცდილობდა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რუსეთსა და ავსტრიას მაინც ჰქონდათ გარკვეული საერთო გეოპოლიტიკური ინტერესები (კერძოდ თურქეთთან დაპირისპირება), მაშინ, როცა ინგლისის სტრატეგია პრაქტიკულად ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სტრატეგიას (ინსლისელების მიერ ოსმალეთის იმპერიის მხარდაჭერა).

ასეა თუ ისე, პეტრეს შემდგომმა რუსეთმაც მემკვიდრეობად ბიზანტიური გეოპოლიტიკის ძირითადი ნიშნები მიიღო, თუმცა დარღვეულ იქნა „მესამე რომის“ კონცეფციის დოგმატური სისრულე. ამიერიდან, ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ იმის ინერციულ გაგრძელებაზე, რასაც ისტორიაში ოდესღაც „ღვთივდაცული ერის“ სრულფასოვანი და თეოლოგიურად დასაბუთებული გზა წარმოადგენდა. ამ გარდაქმნის შესაბამისად მატერიალური და ვიწრო პოლიტიკური ინტერესები სულ უფრო დიდი როლის შესრულებას იწყებენ საგარეო პოლიტიკაში, ხოლო რელიგიური ფაქტორები ხშირად გამოიყენებოდა მხოლოდ ამა თუ იმ პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმის საბაბად, რომლებიც, თავის მხრივ, მიმართული იყო სახელმწიფოს საერო კეთილდღეობისათვის.

## 14. მართლმადიდებელი ხალხების ეროვნული გათავისუფლება

XIX საუკუნეში სხვადასხვა მართლმადიდებელმა ხალხმა — ბერძნებმა, სერბებმა, ბულგარელებმა, ალბანელებმა, რუმინელებმა და ა. შ. აქტიურად დაიწყეს თურქთა პოლიტიკური გავლენისაგან გათავისუფლება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად მოტივს რელიგიური ფაქტორი წარმოადგენდა და ამ პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ახალი მართლმადიდებლური სახელმწიფოების წარმოშობა და ოტომანთა იმპერიის ნგრევა რამდენიმე გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორის შედეგი იყო:

1) თურქთა პოლიტიკური ხელისუფლების გახრწნამ და განმანათლებლობის იდეების გავრცელებამ (რაშიც დიდ როლს ასრულებდა „მოდერნისტული იდეების" აკვანი — საფრანგეთი) ხელი შეუწყო ბერძნებისა და ბალკანეთის სხვა ხალხების ეროვნული გრძნობების გაღვივებას.

2) რუსეთი (თურქეთის გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე), მტრის შიგნიდან გამოსაფიტად აქტიურად იყენებდა სიტუაციას. რუსმა აგენტებმა საბერძნეთსა და ბალკანეთში ხელი შეუწყვეს იქ მცხოვრები მართლმადიდებლების მოთხოვნების გამოაშკარავებას, რასაც თან ახლდა რუსეთის მხრიდან საგარეოგეოპოლიტიკური ზეწოლა.

3) დაიწყო მართლმადიდებელ ხალხთა თავისებური რელიგიური რენესანსი და ბრძოლა პოლიტიკური და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რომელიც ესქატოლოგიური ხასიათის მესიანისტური წინათგრძნობების თანხლებით მიმდინარეობდა.

ამ პერიოდში ჩამოყალიბდა დიდი საბერძნეთის (ანუ დიდი იდეის, Megale Idea-ს), დიდი ბულგარეთის, დიდი სერბეთის, დიდი რუმინეთისა და ა. შ. პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონცეფციები.

## 1.5. MEGALE IDEA

დიდი საბერძნეთის შექმნის მომხრეები თურქების მიერ წართმეული ბერძნული ტერიტორიების მთლიანად დაბრუნებასა და „ახალი ბიზანტიის" ხელახლა შექმნას ესწრაფოდნენ, ისინი ცდილობდნენ სამეფო ხელისუფლების აღდგენას და მთელი მართლმადიდებლური სამყაროს მეთაურად კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაბრუნებას. 1830 წელს, მძვინვარე ბრძოლისა და ეროვნული აჯანყების შედეგად, ბერძნებმა შეძლეს დაეფუძნებინათ პატარა, დამოუკიდებელი, სახელმწიფო პელოპონესზე, რომელმაც 1913 წლის ბალკანეთის ომების შემდეგ ფაქტიურად გაიორმაგა საკუთარი ტერიტორია. „დიდი იდეის" განხორციელება შეეჯახა სხვა მართლმადიდებელი ხალხების გეოპოლიტიკურ ინტერესებს, ვინაიდან ბერძნები მოითხოვდნენ მაკედონიის, თრაკიისა და იმ სხვა ტერიტორიების შემოერთებას, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდნენ, აგრეთვე, ბულგარელები და სერბები. ამ გეგმის კულმინაცია იყო კონსტანტინოპოლის (სტამბულის) გათავისუფლება თურქების ბატონობისაგან. თუმცა, ათათურქის მიერ საბერძნეთის დამარცხების შემდეგ ეს პროექტი კატასტროფით დასრულდა, გატეხა ბერძენთა წინააღმდეგობა და ანატოლიის ბერძნული მოსახლეობა იძულებული გახდა მასიურად გადასახლებულიყო ბერძნულ მიწებზე.

აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ ფანარიოტების სასულიერო წრეები და კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე ზრუნვით მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა, ისინი პოლიტიკურ თანაგრძნობას უფრო ოტომანთა იმპერიას უცხადებდნენ, ვიდრე რუსულ გეოპოლიტიკას ან თავისუფლებისათვის მებრძოლ ბალკანელ ხალხებს. უფრო მეტიც, თურქული იმპერიის დაშლამ კატასტროფული დარტყმა მიაყენა




ვატიკანის გეოპოლიტიკა. 1493 წელს რომის პაპმა ალექსანდრე VI ბორჯიამ ბულში „Inter coetera" მსოფლიოს ახლად აღმოჩენილი ყველა მიწა გაჰყო ესპანეთსა და პორტუგალიას შორის. ამით აიხსნება, თუ რატომ ლაპარაკობს ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნიდან მხოლოდ ბრაზილია პორტუგალიურ ენაზე.

ფანარიოტების გავლენას რუსეთის საზღვრებს გარეთ არსებულ მართლმადიდებლურ სამყაროში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ ნაციონალიზმსა და „დიდ იდეას" აშკარად გამოხატული მართლმადიდებლური ხასიათი ჰქონდა, რომელიც თავდაპირველად მასონური ხასიათის მსგავსი, განსაკუთრებული საიდუმლო ორგანიზაციების საშუალებით მიიწევდნენ თავიანთი მიზნისაკენ, ამ ორგანიზაციებში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ რუსეთის აგენტები და ფრანგული განმანათლებლობის მომხრეები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართლმადიდებლური იდეა საბერძნეთში, თურქული ბატონობისაგან მისი გათავისუფლების კრიტიკულ პერიოდში, გარკვეული პარალელური რელიგიური სტრუქტურის მოღვაწეობის შედეგი იყო და დაკავშირებული იყო რუსეთსა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში არსებულ ბერძნულ დიასპორასთან. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ბერძნული არისტოკრატია, რომელიც გენეტიკურად და პოლიტიკურად ფანარიოტებთან არის დაკავშირებული, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ავსტრიისა და გერმანიისკენ იყო მიმართული, მაშინ, როდესაც ბერძნული ბურჟუაზია, სადაც მომწიფდა კიდეც „დიდი იდეა", რუსეთთან კავშირის მხურვალე მომხრე იყო. ამ ფაქტიდან ნათლად ჩანს ოფიციალური ბერძნული, პოსტბიზანტიური მართლმადიდებლობის გარკვეული სოლიდარობა ვატიკანთან.

## 1.6 „ნაჩერტანიე". დიდი სერბეთი

XIV საუკუნეში, ნამანიჩების სერბული დინასტიის მიერ შექმნილი, უზარმაზარი ბალკანური სახელმწიფოს ისტორიულ პრეცენდენტზე დაფუძნე-

ბული დიდი სერბეთის იდეა ხელახლა აღორძინდა სერბეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დროს. თავიდან, ამბოხებულმა სერბებმა ოტომანთა ბატონობიდან გაათავისუფლეს მცირე ტერიტორია, შუმადია. ამის შემდეგ ბრძოლა დაიწყეს ბალკანეთში დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფოს შექმნისათვის, რომელშიც მმართველობა სერბებსა და მართლმადიდებლურ დინასტიას უნდა განეხორციელებინა. 1815 წლიდან სერბებმა გარკვეული დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რომელიც მაინც ორ სხვადასხვა გეოპოლიტიკურ ორიენტაციას ატარებდა და რომელიც ობრენოვიჩებისა[14] და ყარაგეორგიევიჩების[15] ორი სერბული დინასტიის მმართველობით გამოიხატა. ობრენოვიჩები, მიუხედავად იმისა, რომ მართლმდიდებლები იყვნენ, მახლობელ ავსტრიასთან კავშირს უპერდნენ მხარს (აქ დიდი როლი ითამაშა ავსტრიასთან ყველაზე ახლოს მდებარე ტერიტორიის, ვოევოდინის გარკვეულმა პოლიტიკურ-ინტელექტუალურმა წრეებმა). ყარაგეორგიევიჩები, პირიქით, მხოლოდ რუსეთისკენ მიისწრაფოდენ. 1903 წელს რუსეთის სპეცსამსახურების ჩარევით ობრენოვიჩების დინასტია დაემხო და სერბია პრორუსულ ხაზზე მოექცა. 1920 წლისათვის ყარაგეორგიევიჩების მმართველობის დროს შეიქმნა იუგოსლავია, უზარმაზარი ბალკანური სახელმწიფო, რომელიც სერბული საწყისის ქვეშ ბალკანეთის მრავალ ხალხს აერთიანებდა, მათ შორის, კათოლიკე ხორვატებსა და სლოვენებს, მართლმადიდებელ მაკედონებს, ბოსნიელ მაჰმადიანებისა და ალბანელებს. გარდა ამისა, იუგოსლავიის ჩრდილოეთში სერბების ზედამხედველობის ქვეშ კათოლიკე უნგრელებიც აღმოჩნდნენ. თუმცა, ეს. გეოპოლიტიკური ნაგებობა მყარი არ აღმოჩნდა, რადგან იუგოსლავიის არამართლმადიდებელმა ხალხებმა (ავსტრიისა და თურქეთის აგენტების დახმარებით) ბრძოლა დაიწყეს სერბთა ეთნიკური ბატონობისა და მართლმადიდებლობის რელიგიური უზენაესობის წინააღმდეგ. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამწვავდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც პროგერმანული ორიენტაციის ხორვატია და ბოსნია, ფაქტიურად, მართლმადიდებელი სერბების გენოციდს ახორციელებდნენ.

## 17. დიდი რუმინეთი

ასევე მართლმადიდებლურ გარემოში წარმოიშვა დიდი რუმინეთის პროექტი, რომლის განხორციელების მიზნით საჭიროა იყო, როგორც თურქეთის ზედამხედველობისაგან სრული გათავისუფლება (თუმცა მოლდავეთი და ვალახეთი ოფიციალურად არასოდეს შედიოდა ოტომანთა იმპერიაში), ასევე, წინააღმდეგობის გაწევა ფანარიოტების პოლიტიკისათვის, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი გავლენისთვის დაექვემდებარებინათ რუმინული სამღვდელოება. ამ ანტითურქულ და ანტიფანარიოტულ განწყობილებებს მხარს უჭერდა რუსეთი. საქმეს აადვილებდა რუმინელებით დასახლებული ბესარაბიის ტერიტორიების რუსეთისადმი კუთვნილება.

XVIII საუკუნიდან რუმინეთში გააქტიურდა უნიატური ტენდენციები. უნიატობა, ეს არის მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარება ვატიკანზე, მართლმადიდებლური წესების შენარჩუნებით, თუმცა, სინამდვილეში, მოვლენათა ამგვარი მსვლელობა გეოპოლიტიკურად მხოლოდ ვატიკანისთვისაა მომგებიანი, მართლმადიდებლობა კი, ამ შემთხვევაში, აშკარად წაგებული

რჩება. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ მართლმადიდებლები უნიატობას განიხილავდნენ, როგორც მართლმადიდებელი ხალხების ხარჯზე თავისი მისიონერული, პოლიტიკური და სულიერი გავლენის გაფართოების მოსურნე კათოლიციზმის ტაქტიკურ ნაბიჯს. რუმინეთში, განსაკუთრებით ტრანსილვანიაში, გავრცელებულ უნიატობას, თავდაპირველად თან ახლდა რუმინების რომანული წარმომავლობითა და ენის ლათინური ფესვებით განპირობებული ლათინიზაციის კულტურული ტენდენციები. უნიატობა რუმინეთში ეყრდნობოდა კათოლიკურ ავსტრიას, მართლმადიდებლობას კი, ბუნებრივია, მხარს უჭერდა რუსეთი. აღსანიშნავია, რომ ბერძენი მართლმადიდებლები, ფანარიოტები, რუმინეთში ფაქტიურად პროთურქულ პოლიტიკას ატარებდნენ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა, როგორც ავსტრიულ-კათოლიკურ, ასევე, რუსულ-მართლმადიდებლურ გეოპოლიტიკურ ინტერესებს. დიდი რუმინეთის იდეას აშკარად მართლმადიდებლური შინაარსი ჰქონდა და სწორედ ამ იდეის მხარდამხარ იბრძოდნენ რუმინელები ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ რუმინულ ნაციონალიზმს აშკარა ანტიბერძნული ხასიათი აქვს და, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, ლათინურ კულტურაზე ორიენტირებული უნიატობა რომისა და დასავლეთ ევროპისაკენ მიისწრაფვის, მაშინ, როცა რუმინული მართლმადიდებლობა პრომოსკოვურ ხაზს ადგას. საინტერესოა, რომ რუმინეთის გასაბჭოების შემდეგ, 1948 წელს, ფორმალურად ათეისტურმა კომუნისტურმა რეჟიმმა მხარი დაუჭირა რუმინულ მართლმადიდებლობას და მას უნიატური კონფესიები დაუმორჩილა, ხოლო კათოლიკური უმცირესობა გარკვეული, რეპრესიული ნაბიჯების მსხვერპლად აქცია.

## 18. დიდი ბულგარეთი

ბულგარელთა მართმადიდებლური და, ამავე დროს, ეროვნული მოძრაობის აღორძინების დასაწყისი შეიძლება დათარიღდეს 1870 წლით, როდესაც რუსეთის ზეწოლითა და მისი მხარდაჭერით შეიქმნა ბულგარეთის საეგზარქოსო, რომელიც მიზნად ისახავდა ბალკანეთზე მცხოვრები მართლმადიდებლების ერთიან გეოპოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებას. ეს ბლოკი უნდა დაპირისპირებოდა პოლიტიკურად მტრულად განწყობილ ოსმალეთის იმპერიას და წინააღმდეგობა გაეწია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და ფანარიოტების ბატონობისათვის.

გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურად ბულგარეთმა შეიმუშავა „სამი ზღვის ბულგარეთის" ნაციონალისტური პროექტი, რომელიც მაკედონიის, თრაკიისა და კონსტანტინოპოლის შემოერთებას გულისხმობდა. ბულგარული მართლმადიდებლობა, ტრადიციულად, რუსოფილური იყო, მაგრამ ისტორიის გარკვეულ მომენტებში ისინი ღალატობდნენ ამ ხაზს ვიწრო ეროვნული მიზნების მისაღწევად, დგებოდნენ შუა ევროპის მხარეზე და გამოდიოდნენ ავსტრია-უნგრეთის მოკავშირეებად რუსეთის წინააღმდეგ (რუმინელი უნიატების, სერბი ობრენოვიჩების დინასტიის, საბერძნეთის არისტოკრატიისა და ზოგიერთი სხვა აღმოსავლეთ-ევროპული ძალის მსგავსად).

საინტერესოა, რომ ბალკანეთზე ახალი მართლმადიდებლური სახელმწი-

ფოების წარმოქმნასთან ერთად, მათი გეოპოლიტიკური ორიენტაცია მუდმივად მერყეობდა რუსეთსა და ავსტრიას, ანუ რუსულ მართლმადიდებლობასა და რომაულ კათოლიციზმს შორის. ასეთი გაორების ფორმალურ საბაბს, გარკვეული სადაო ტერიტორიები და, პირველ რიგში, მაკედონია წარმოადგენდა. მაკედონიის გამო ხშირი უთანხმოებები არსებობდა საბერძნეთს, ბულგარეთსა და სერბეთს შორის. ამ კონფლიქტში ერთი მხარისადმი რუსეთის მიერ გაწეული დახმარება დაპირისპირებულ მხარეს ავტომატურად ავსტრიისაკენ უბიძგებდა.

## 1.9. მართლმადიდებლური ალბანეთი

საზღვარი ბიზანტიურ და კათოლიკურ სამყაროებს შორის იყოფოდა ალბანელთა დასახლებების მიხედვით. ამ ხალხში არსებობს ოთხი კონფესია: სუნიტი ალბანელები (გათურქებული ალბანელები), ბექთაში ალბანელები (წევრები იმ სუფისტური ორგანიზაციისა, რომელსაც, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში, აქვს საგვარეულო და არა მხოლოდ ინიციატიური ხასიათი), კათოლიკე ალბანელები და მართლმადიდებელი ალბანელები. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ალბანელები მოსახლეობის უმცირესობაა, სწორედ ეს ჯგუფი იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრში. ალბანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიქმნა მართლმადიდებელი ეპისკოპოსის ფან ნოლის წყალობით, რომელიც 1918 წელს ალბანეთის პირველი მმართველი გახდა. ფან ნოლი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრე იყო და რუსული მართლმადიდებლობაც აქტიურად უწყობდა ხელს მის ყველა წამოწყებას. მართლმადიდებელმა ალბანელებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს და გააერთიანეს მთელი ერი (კონფესიების მიუხედავად), მაგრამ მათი ძირითადი მოწინააღმდეგეები და მეტოქეები იყვნენ არა კათოლიკეები, არამედ ალბანეთში ტრადიციულად ძლიერი მართლმადიდებელი სამღვდელოება! ალბანეთის მაგალითზე პოსტბიზანტიურ მართლმადიდებლურ სამყაროში ჩვენ ხელახლა ვაწყდებით გეოპოლიტიკურ დუალიზმს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ბერძნული და რუსული ეკლესიების გეოპოლიტიკური ინტერესები.

ფან ნოლმა შეინარჩუნა თავისი პრორუსული ორიენტაცია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც, ამის გამო იგი ჩამოგდებული იქნა აჰმედ ზოგუს[16] მიერ, რომელიც შემდეგ ალბანეთის მეფე გახდა. ფაშისტური იტალიის მიერ ალბანეთის ოკუპაციის დროს, ალბანელ მართლმადიდებლებს სდევნიდა პროკათოლიკური ხელისუფლება, მაგრამ „გასაბჭოების“ შემდეგ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კვლავ მიიღო სახლმწიფო მხარდაჭერა, ამჯერად უკვე კომუნისტური ხელისუფლებისაგან. მხოლოდ 1967 წელს, „კულტურული რევოლუციისა“ და მაოისტური გადახრის პერიოდში, საბჭოთა ალბანეთმა თავისი თავი გამოაცხადა „პირველ ათეისტურ სახელმწიფოდ მსოფლიოში“ და ყველა აღმსარებლობის მიმდევრების აშკარა დევნა დაიწყო.

## 1.10. გეოპოლიტიკური ლობები მართლმადიდებლურ ქვეყნებში

ბალკანეთის მართლმადიდებლური ქვეყნების გეოპოლიტიკური მისწრაფებების საერთო მიმოხილვის დროს თავს იჩენს ძალიან მნიშვნელოვანი კა-

ნონზომიერებები. კერძოდ, ყოველ ასეთ სახელმწიფოში, არსებობს ორი გეოპოლიტიკური ლობი მაინც, რომელთა ხასიათი განპირობებულია გარკვეული რელიგიური თავისებურებებით.

ჯერ ერთი, ყველგან მრავლადაა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გეოპოლიტიკაზე მიმართული პრორუსული ლობი. ეს ლობი რომისა და მასთან ყოველგვარი დაახლოების წინააღმდეგია (ანუ, იგი შუა ევროპის კათოლიკური სექტორის (ავსტრია, უნგრეთი და კათოლიკური გერმანია) წინააღმდეგია), ამავე დროს მას ანტითურქული და „ანტიფანარიოტული" პოზიცია უპირავს და გარკვეული თვალსაზრისით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უპირისპირდება. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, საბერძნეთში), ეს ლობები მოიცავენ არა მხოლოდ მართლმადიდებლურ წრეებს, არამედ მასონური ტიპის ზოგიერთ საიდუმლო საზოგადოებასაც.

მეორე, ამავე ქვეყნებში არსებობს საპირისპირო მიმართულების ლობები, რომლებიც იმის მიუხედავად, არიან თუ არა მართლმადიდებლურნი, თანაგრძნობით ეკიდებიან რომთან, შუა ევროპასა და ავსტრიასთან დაახლოებას.

მესამე, ყველგან აშკარაა თურქეთის ზემოქმედების კვალი, რომელსაც ამ რეგიონში მხარს უჭერდა ინგლისი. ეს ნიშნავს, რომ ანგლოსაქსურ გეოპოლიტიკას, ამ შემთხვევაში, სამხრეთული ორიენტაცია აქვს და ჩვენს დროშიც კი ბალკანურ ქვეყნებში არსებულ, ტრადიციულად ოსმალურ ადმინისტრაციასთან კავშირში მყოფ, მართლმადიდებლობის ფანარიოტულ ტენდენციებს ეყრდნობა.

იუგოსლავიის დაშლა, თვალსაჩინოს ხდის ბალკანეთში გეოპოლიტიკური ძალების განლაგების სქემას. რუსოფილური ტენდენციები ჩანს ბელგრადისა და ბოსნიელი სერბების პოზიციაში. ხორვატია და სლოვენია ცენტრალური ევროპისაკენ მიისწრაფვიან, ხოლო ანგლოსაქსები (აშშ და ინგლისი) აქტიურად უჭერენ მხარს თურქების მემკვიდრე ბოსნიელ მაჰმადიანების. ძველებურად მნიშვნელოვანია მაკედონიის საკითხი, რომლის გარშემო ისევ იწყება დავა სერბეთს, საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის. ახალი ძალით შეგვახსენა თავი ალბანეთის პრობლემამაც (კოსოვო). დნესტრისპირეთის ტრაგედია და ახლანდელ რუმინეთსა და მოლდოვაში არსებული ანტირუსული განწყობილებები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აქცევს უნიატურ და პროკათოლიკურ ლობს, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ამ მხარეებში ანტიმოსკოვური და ლათინური მისწრაფებები გააძლიეროს.

## 1.11. რუსული მართლმადიდებლური ეკლესია და საბჭოეთი

მართლმადიდებლობისა და საბჭოთა რეჟიმის ურთიერთობა ძალზე რთული საკითხია. ერთი მხრივ ცნობილია, რომ საბჭოთა მმართველობამ, ყველაფრის მიუხედავად, რევოლუციამდელი რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიიღო გეოპოლიტური ხაზი, რომელიც თავის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებში მთლიანად თანხვდებოდა რუსული ეკლესიის გეოპოლიტიკას. ამას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „სერგიანელობა" — მოსკოვის პატრიარქის სერგის[17] სახელის მიხედვით. მან ჩამოაყალიბა სახელგანთქმული თეზისი, რომელიც დღემდე მიმდინარე შიდასაეკლესიო უთანხმოებების ბიძგის მიმცემად იქცა: „თქვენი წარმატებები, ჩვენი წარმატებებია" (ეს სიტყვები ითქვა სტალინის ათეისტური, ანტიქრისტიანული რეჟიმის მიმართ).

ეს „სერგიანული“ ფორმულა არც იმდენად პარადოქსული და საშინელია, როგორც სურთ მისი წარმოდგენა მართლმადიდებელ კონსერვატორებს. საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკურმა რევოლუციამ რუსეთის საეკლესიო ცხოვრებაში თავისი სიმბოლიზმით გამოაგნებელი ცვლილებები გამოიწვია: საბჭოთა რეჟიმის დროს სინქრონულად აღდგა საპატრიარქო, დედაქალაქი გადავიდა მოსკოვში (სიმბოლური დაბრუნება „მოსკოვი — მესამე რომის“ იდეასთან), რუს მეფეთა მოსკოვის რეზიდენციაში, კოლომენსკში, „სახელისუფლო“ ხატის სასწაულ-ბრივი მოპოვება სანკტ-პეტერბურგული ორასწლიანი პერიოდის შემდეგ. მიანიშნებდა სამეფო ხელისუფლების უწინდელი, ზებუნებრივი განზომილების მქონე მისტიური, სოტერიოლოგიური და ესქატოლოგიური ფუნქციის დაბრუნებას. აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკებმა მემკვიდრეობით მიიღეს მთელი რუსული გეოპოლიტიკა, განამტკიცეს სახელმწიფო და გააფართოვეს მისი საზღვრები. ამასთან ერთად მიმდინარეობდა ეკლესიის სულიერი განახლება, რომელმაც ტანჯვა-წამებისა და დევნის მიუხედავად მაინც აღადგინა რელიგიური გრძნობის მივიწყებული სიმხურვალე, აღსარების საიდუმლო, ქრისტეს მოწამეობრივი გზა.

მეორე თვალსაზრისი საბჭოთა რუსეთს განიხილავს, როგორც მართლმადიდებლური რუსეთის სრულ მოწინააღმდეგეს, ხოლო „სერგიანელობას“ მიიჩნევს ანტიქრისტესთან კონფორმიზმად და განდგომილებად. ასეთი მიდგომა არ იძლევა საშუალებას განვიხილოთ საბჭოური პერიოდი მართლმადიდებლური გეოპოლიტიკის გაგრძელების თვალსაზრისით. ყველაზე გამოკვეთილად ასეთ იდეოლოგიას ქადაგებს საზღვარგარეთის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია და სექტანტური „ეშმარიტი მართლმადიდებლური ეკლესია“, რომელთა პოზიციები განპირობებულია ბოლშევიზმისა და ანტიქრისტეს მოსვლის ესქატოლოგიური გაიგივებით. საინტერესოა, რომ ასეთი მიდგომა უარს ამბობს მართლმადიდებლობისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირზე და ტიპოლოგიურად „ფანარიოტთა“ პოზიციას ემთხვევა, რომლებიც უარყოფენ მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკასთან შეფარდების აუცილებლობას (და არ ითვალისწინებენ, რომ პოლიტიკა სრულყოფილი მართლმადიდებლური დოქტრინის საფუძველს წარმოადგენს). ამასთან, ასეთი მიდგომა თანაგრძნობითაა განწყობილი „თეთრების“ მოძრაობისადმი, რომელიც გეოპოლიტიკურად ანტანტის, დასავლეთ ევროპისა და, განსაკუთრებით, ანგლოსაქსური ქვეყნების მხარდაჭერაზე იყო დაფუძნებული. შემთხვევითი არ არის, რომ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ცენტრი საზღვარგარეთ სწორედ აშშ-ში მდებარეობს. გეოპოლიტიკურად ასეთი „მართლმადიდებლური“ ანტისაბჭოურობა და „ანტისერგიანელობა“ ემთხვევა რუსეთის (საბჭოთა, ცარისტული, პატრიაქალური, მოდერნისტული, დემოკრატიული და ა. შ.) წინააღმდეგ მიმართულ, დასავლეთის ტრადიციულ ატლანტურ ხაზს და არ რის დამოკიდებული რუსეთის იდეოლოგიური სისტემაზე.

## 1.12. რეზიუმე

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკამ დაკარგა აშკარა საღვთისმეტყველო და ესქატოლოგიური ფუნქცია, რომელიც მას V-XV საუკუნეში „ათასწლოვანი მეფობის“ ეპოქაში ჰქონდა.

„მოსკოვი — მესამე რომის“ ორასი წელიწადიც იმ „წმინდა“ პერიოდს მიეკუთვნება, რომელსაც მართლმადიდებლური ცნობიერება სრულყოფილ ტრადიციასთან აიგივებს. განხეთქილებისა და პეტრეს რეფორმების შემდეგ იწყება გაურკვეველი მდგომარეობის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც რუსეთი, მართალია წინანდელ გეოპოლიტიკურ ხაზს მიჰყვებოდა, მაგრამ დოქტრინულ სიზუსტეს თანდათან კარგავდა. მართლმადიდებლობის მთელი პოსტბიზანტიური პერიოდი ხასიათდება დუალიზმით. რუსული სახელმწიფოს საშუალებით გეოპოლიტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული რუსული მართლმადიდებლობა ეწინააღმდეგებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ბერძნულ-ფანარიოტულ ხაზს, რომელიც, განასახიერებდა, პოლიტიკური რეალიზაციისაგან მკვეთრად გამიჯნული მართლმადიდებლობის ტიპს და ოსმალური მმართველობის სისტემის საერთო სტრუქტურაში დამხმარე როლს ასრულებდა.

რუსეთმა აიღო „ლათინურ მიტრასა და თურქულ დოლბანდს“ შორის დაპირისპირების ბიზანტიური ტრადიცია და ახლა იძულებულია მარტომ დაიცვას მართლმადიდებლობის ინტერესები გეოპოლიტიკურ და სახელმწიფო დონეზე. ეს ფუნქცია აიძულებს რუსეთს მონაწილეობა მიიღოს ბალკანეთის პოლიტიკაში, სადაც სხვადასხვა, მტრულად განწყობილ, გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და მისწრაფებებს აწყდება (მუდმივი, ანტირუსული „ფანარიოტული“ გავლენის ჩათვლით).

როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, საბჭოთა პერიოდში გეოპოლიტიკა აგრძელებს რუსული სახელმწიფოებრიობის მსოფლიო სტრატეგიას და მართლმადიდებლობის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნებისა და ხალხების ხარჯზე აფართოებს რუსეთის გავლენის სფეროებს. რა თქმა უნდა, აქ საუბარი არ არის საბჭოების მიერ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმატური მემკვიდრეობის მიღების შესახებ, მაგრამ, ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დოგმატური სიცხადე ჯერ კიდევ განხეთქილების პერიოდში მკვეთრად შეირყა, ხოლო პეტრეს დროს კი საბოლოოდ დაიკარგა. თუ მოვლენებს „სერგიანელობის“ თვალსაზრისით განვიხილავთ, საბჭოთა ზესახელმწიფოს (რომელმაც დაიმორჩილა რუსული მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და რუსული სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი ნახევარი მსოფლიო) გეოპოლიტიკური წარმატებები შეიძლება განხვიხილოთ, როგორც რუსული ეკლესიისა და მართლმდიდებლური გეოპოლიტიკის წარმატება. ეჭვგარეშეა, რომ ეს მოსაზრება ძალიან საკამათოა, მაგრამ თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ასევე საკამათოა პეტრეს შემდგომი რომანოვების რუსეთის გაიგივება ჭეშმარიტად მართლმდიდებლურ სახელმწიფოსთან[18], თუმცა, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში, აშკარაა გეოპოლიტიკური უფლებამონაცვლეობა, მემკვიდრეობითობა.

ჩვენს დროში აღარ არსებობს არც ცარისტული და არც საბჭოთა რუსეთი. რუსეთი მომაკვდავი, დასახიჩრებული და დაფლეთილი, დასავლეთისთვის (რუსეთის ცნობილი მტრისთვის) მიყიდული ქვეყანაა. ჩვენი მოვალეობაა მიუკერძოებლად და ობიექტურად გავიაზროთ მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკური ისტორია და ნათელვყოთ ის მისწრაფებები და მუდმივები, რომლებიც იქნება ახალი, ნამდვილად „რუსული“ სახელმწიფოს ხელისუფლების საფუძვლები.

# თავი 2. სახელმწიფო და ტერიტორია

## 2.1 სამი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კატეგორია

მსოფლიოს ახალ გეოპოლიტიკურ სქემასთან დაკავშირებული საკამათო საკითხების უმრავლესობა თავმოყრილია სამი უმთავრესი კატეგორიის გარშემო, ესენია:

1) „ერი-სახელმწიფო" („Etat-Nation"), ანუ ისტორიულად ჩამოყალიბებული, ტრადიციულად ცენტრალიზებული სახელმწიფო (საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ესპანეთი და ა. შ.)

2) რეგიონი, ანუ ისეთი ადმინისტრაციული, ეთნიკური ან კულტურული სივრცე, რომელიც ერთი ან რამდენიმე „ერი-სახელმწიფოს" ნაწილია, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ დიდი კულტურულ-ეკონომიკური ავტონომია გააჩნია (მაგალითად, ბრეტანი საფრანგეთში, ფლანდრია ბელგიაში, კატალონია, გალიცია და ბასკეთი ესპანეთში და ა. შ.)

3) დიდი სივრცე, „თანამეგობრობა", რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე „ერი-სახელმწიფო" ერთიან ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ბლოკში.

მრავალ მემარცხენე და მემარჯვენე „ევროპელს" მიაჩნია, რომ „ერი-სახელმწიფოს" კატეგორიამ, ანუ ტრადიციულმა ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ, მთლიანად ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ამიერიდან აქცენტი უნდა გაკეთდეს ორ დანარჩენ მოდელზე – რეგიონალიზმსა (და გარკვეულწილად ავტონომიზმზეც კი) და რეგიონების კონტინენტურ გაერთიანებაზე ერთიან ბლოკად.

საგულისხმოა, რომ აქ ერთმანეთს ემთხვევა სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობების წარმომადგენელთა თვალსაზრისი: „ახალ მემარცხენეებს" ერი-სახელმწიფო მეტისმეტად „მემარჯვენე", „ტოტალიტარულ" და „რეპრესიულ", „კონსერვატულ" წარმონაქმნად მიაჩნიათ, რომლის უარყოფაც აუცილებელია პროგრესისათვის, ხოლო „ახალი მემარჯვენეები", პირიქით, იგივე ერი-სახელმწიფოს მიაკუთვნებენ ევროპის ისტორიის მეტისმეტად „მოდერნისტულ", ანტიტრადიციულ ეტაპს, იმ ეტაპს, როდესაც ჭეშმარიტად ტრადიციული ევროპული იმპერია განადგურებული იქნა ნიჰილისტური და საერო ფრანგული აბსოლუტიზმის მიერ. გარდა ამისა, „ახალი მემარჯვენეები" რეგიონალიზმს იმ ეთნიკურ ტრადიციებსა და ეთნოკულტურული დაყოფის პრინციპებთან დაბრუნებად მიიჩნევენ, რომლებიც „ახალი მემარჯვენეების" მიმდინარეობის საფუძველს წარმოადგენს.

მეორე მხრივ, არსებობს პოლიტიკოსთა საკმაოდ დიდი ჯგუფი რომლებიც, პირიქით, იცავენ „ერი-სახელმწიფოს" ფასეულობებს. მათი აზრით სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის ერთგულებას კვლავ შეუძლია გააერთიანოს „მემარჯვენეებიც" და „მემარცხენეებიც", მაგრამ ამ პოზიციაზე, ძირითადად, დგანან არა „ახალი", არამედ „ძველი" მემარჯვენეები და მემარცხენეები. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ევროპულ გაერთიანებას წინააღმდეგობას სამი პოლიტიკური ძალა უწევდა: ლე პენის ეროვნული ფრონტი (უკიდურესი მემარჯვენეები), მარშეს კომუნისტები (უკიდურესი მემაცხენეები) და სოციალისტ-ცენტრისტები ჟან-პიერ შევენმანის ეროვნული სიმპათიებით. ამ მაგა-

ლითში აშკარად ჩანს, რომ ერთსა და იმავე გეოპოლიტიკური მისწრაფებების ფარგლებში შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს განსხვავებული იდეოლოგიური და პოლიტიკური მიმდინარეობების სიმპათიები.

მიუხედავად ამისა, ყველა პოლიტიკურ ძალას თავისებურად ესმის თანამედროვე საზოგადოების გეოპოლიტიკური მოწყობის სამი უმთავრესი ვერსია. საინტერესოა იმ სქემების განხილვა, თუ როგორ ხედავენ და აფასებენ სხვადასხვა ძალები ამ სამ პროექტს საკუთარი იდეოლოგიური თვალსაზრისით. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ის უკიდურესი პოზიციები, რომლებიც, ბუნებრივია, ნიუანსებსა და განსხვავებულ ელფერს პოლიტიკურ ცენტრთან მიახლოების შესაბამისად იძენენ.

## 2.2. მემარჯვენეებისა და მემარცხენეების რეგიონალიზმი

მემარცხენე იდეოლოგიათა საერთო ძალისხმევა მიმართულია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სახელმწიფო, ადმინისტრაციული და პოლიტიკური სტუქტურების ზემოქმედების შესუსტებისაკენ. ეს გულისხმობს დეცენტრალიზაციას, ხელისუფლების ერთი ცენტრიდან რამდენიმეზე თანდათანობით გადასვლას. თავის დროზე ეს თეორია შეიმუშავა ცნობილმა ანარქისტმა პრუდონმა[19]. მემარცხენეები ცდილობენ მართვის ცენტრალიზებული სისტემის ფორმების შესუსტებას და მის თანდათანობით შეცვლას. მათი გეოპოლიტიკური ორიენტაცია მიმართულია ტრადიციული სახელმწიფოს წინააღმდეგ (თავისი საზღვრებით, ჩინოვნიკური აპარატით, ძალისმიერი ორგანოებითა და ა. შ.). ყოველივე ეს გამომდინარეობს მემარცხენეთა მთავარ იდეოლოგიურ მიმართულებაში არსებული „ჰუმანიზმიდან", ცალკეული ადამიანების უფლებათა აღიარებიდან და არა ადამიანთა თავისუფლების შემზღუდავი რაღაც ზეინდივიდუალური სტრუქტურებიდან. ამ იდეურ საფუძველზე განვითარდა თანამედროვე ევროპული რეგიონალიზმის საკმაოდ ძლიერი ტენდენცია, რომელიც მიმართული იყო სოციალურ-ეკონომიკური დეცენტრალიზაციისა და დასავლეთის მიერ ტრადიციული ერი-სახელმწიფოს პრინციპის უარყოფისაკენ.

მემარცხენეთა ეს ლიბერალური მისწრაფება გარკვეულწილად უარყოფს „სახელმწიფოსა" და „ერის" ცნებას და მათ ისტორიულ გადმონაშთად მიიჩნევს. ამ პრინციპებს უპირისპირდება „ადამიანის უფლებების" „ჰუმანისტური" იდეა, რომელიც კარგა ხანია, რაც აღარ არის აბსტრაქტული ფილანთროპული ლოზუნგი და გადაიქცა ადამიანების, კოლექტივის წევრების, ტრადიციული ფორმების (ერის, ხალხის, სახელმწიფოს, რასის და ა. შ.) წინააღმდეგ აშკარად მიმართულ, საკმაოდ აგრესიულ, იდეოლოგიურ მიმართულებად. აქედან გამომდინარეობს მემარცხენეთა ლოგიკური აქცენტი რეგიონალიზმზე, რადგან მათი აზრით სახელმწიფოს ტერიტორიული ნაწილების ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა ინდივიდს უახლოებს ფასეულობათა ეტალონს და ზოგად საზოგადოებრივ კატეგორიებს უხსნის უდაო ავტორიტეტისა და კონტროლის ფუნქციის შარავანდედს.

ცხადია, რომ მემარცხენეთა ეს ტენდენცია ეწინააღმდეგება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგების (ანუ „ეტატისტებისა"[20] და „ნაციონალისტების") მოსაზრებებს, რომელთათვის ერი-სახელმწიფოში (Etat-Nation) გამოხა-




რუსეთი, როგორც მონოეთნიკური წარმონაქმნი.

ტული ხალხის ისტორიული და პოლიტიკური ერთობა წარმოადგენს უმთავრეს ფასეულობას. თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური პროცესები აქტიურად და დინამიურად ვითარდება გეოპოლიტიკურ პროექტებთან დაკავშირებით, ერი-სახელმწიფოს მოხრეებისა და ლიბერალ-რეგიონალისტების წინააღმდეგობა ცხარე დავების საგანს წარმოადგენს.

არსებობს „მემარჯვენე რეგიონალიზმიც", რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ტრადიციისა და ეთნოსის საკითხს. ასეთი რეგიონალიზმი გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ თანამედროვე ცენტრალიზებული სახელმწიფო წარმოადგენს მხოლოდ მისი წევრების კულტურული და იდეოლოგიური გაუფასურების საშუალებას, რომ მან უკვე დიდი ხანია დაკარგა საკრალური ფუნქციები და გადაიქცა ჰეშმარიტად კულტურული, ეთიკური და ეთნიკური ტრადიციების ნაშთების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიულ აპარატად. „მემარჯვენე რეგიონალისტები" დეცენტრალიზაციაში ხედავენ იმის შესაძლებლობას, რომ ნაწილობრივ მაინც ააღორძინონ ხალხების ცხოვრების ადათობრივი, საკულტო წესი, ხელოსნობის ტრადიციული დარგები, აღადგინონ მართვის ისეთი ფორმები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიო წესრიგის დამყარებამდე იყო დამახასიათებელი ტრადიციული ცივილიზაციისთვის. პრინციპში, მემარჯვენეები ფარულად ითვალისწინებდნენ პროვინციის მოსახლეობისათვის დამახასიათებელ „ბუნებრივ" განსხვავებულობას, რომლებიც გაცილებით უფრო მწვავედ და მტრულად გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს უცხოელების მიმართ, ვიდრე დიდი ქალაქების მცხოვრებლები.

ამგვარად, ყალიბდება პოლიტიკური დაპირისპირების მეორე ხაზი: „მემარჯვენე რეგიონალისტები", რომლებიც ხშირად ეთნიკურ-რასობრივი სიწმინდის მოწოდებებსაც კი იყენებენ და „მემარცხენე ეტატისტები", რომელთაც მიაჩნიათ, რომ საზოგადოებაში „პროგრესული", „ლიბერალური" ფასეულობების დანერგვის საუკეთესო გზა სახელმწიფო ცენტრალიზმზე გადის, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოებას „პროგრესის მიერ დაძლეული" გადმონაშთების შესაძლო აღდგენისაგან დაიცავს.

## 2.3. ახალი დიდი სივრცე, მონდიალიზმი თუ იმპერია?

ზესახელმწიფოებრივ გაერთიანებასთან დამოკიდებულებების საკითხში, ასევე საკმაოდ წინააღმდეგობრივი პოლიტიკური ვითარებაა. ერთი მხრივ, არსებობს „მონდიალისტური პროექტი", რომელიც გულისხმობს ტრადიციული სახელმწიფოების სრულ გაუქმებას და ერთიანი ცენტრიდან (პირობითი სახელით „მსოფლიო მთავრობა") მართვადი მსოფლიო ცივილიზაციური ველის შექმნას. პრინციპში, ასეთი პროექტი იმ ლიბერალური ტენდენციების ლოგიკური დასასრულია, რომლებიც ყველა ტრადიციული საზოგადოებრივი სტრუქტურის განადგურებას და მათ ადგილზე ერთიანი „ზოგადსაკაცობრიო" სივრცის ხელოვნურ შექმნას ცდილობენ, რომლის საფუძველი იქნება არა ხალხები, არამედ „ინდივიდუუმები", არა სახელმწიფოები, არამედ ტექნოკრატიული ასოციაციები და სამრეწველო შავი მუშები. სწორედ ასეთად წარმოედგინათ საუკუნის დასაწყისის მონდიალისტებს „ევროპის შეერთებული შტატები", სწორედ ამ იდეის ასრულებაზე ოცნებობდნენ, როგორც კაპიტალისტი-ლიბერალები (მონე, კუდენოფ-კალეგრი და ა. შ.) ასევე კომუნისტები (ტროცკი და ა.შ.) მოგვიანებით ამავე იდეებით იყვნენ შთაგონებულები მაასტრიხტის თავკაცები და „ახალი მსოფლიო წესრიგის" იდეოლოგები.

ასეთი მონდიალისტური პერსპექტივის პარალელურად არსებობს ალტერნატიული ვარიანტიც, რომელსაც იცავენ ნონკონფორმისტული პოლიტიკური ძალები, საუბარია ახალი იმპერიის თეორეტიკოსების შესახებ, რომელთაც თანამედროვე ერი-სახელმწიფოები იმ ტრადიციული იმპერიების ტრაგიკული დაშლის შედეგად მიაჩნიათ, რომლებიც სრულიად შეესაბამებოდნენ თვისობრივ დაყოფას, სასულიერო იერარქიას, კორპორაციულ და რელიგიურ ბაზაზე დაფუძნებული საზოგადოების ჭეშმარიტად საკრალურ მოწყობას. „ახალი დიდი სივრცის" ასეთი გაგება არ გამომდინარეობს ინტეგრაციისადმი წმინდა რაოდენობრივი მიდგომიდან (როგორც ეს მონდიალისტებთანაა), იგი ერთგვარი სულიერი და ზეეროვნული პრინციპია, რომელიც ტრანსცენდე-

რუსეთი (რფ)
ერი-სახელმწიფო
მოსკოვი
ბერლინი
ვენა
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბელგრადი
ალბანეთი
ბალკანეთი
ბალტიკა
ბალტიისპირეთი
ბელორუსი
ბალტიკა
ბალტიკა
ბალტიკა

ნტური იქნებოდა არსებული ისტორიული ფორმაციების მიმართ და შესძლებდა მათ გაერთიანებას უმაღლეს საკრალურ სინთეზში. გარემოებათა მიხედვით, „იმპერიული პროექტის" საფუძველი შეიძლება იყოს: რელიგიური ფაქტორი (ავსტრია-უნგრეთის იმპერიის აღდგენა კათოლიკურ ნიადაგზე), რასობრივი ფაქტორი (ინდო-ევროპული ხალხების ნათესაობაზე დაფუძნებული ევროპული იმპერია. ფრანგი „ახალი მემარჯვენეების" მიმართულება), გეოპოლიტიკურ ფაქტორი (ბელგიელი ჟან ტირიარის თეორიები), კულტურული ფაქტორი (რუსი ევრაზიელების პროექტები).

მაშასადამე, აქაც ორი საპირისპირო პოლიტიკური პოლუსი არსებობს,

| | რეგიონალიზმი | ერი-სახელმწიფო | დიდი სივრცე |
|---|---|---|---|
| მემარ-ცხენეები | ანტინაციონალიზმი ანარქია | განათლებული, „პროგრესული" სახელმწიფო | მონდიალიზმი |
| მემარ-ჯვენეები | ეთნიზმი ტრადიციები, მონიადაგეობა | ნაციონალიზმი, „ეტატიზმი" | იმპერია |

რომლებიც მსგავს გეოპოლიტიკურ რეალობებს სხვადასხვა პერსპექტივაში ხედავენ.

ასე, რომ ყოველ გეოპოლიტიკურ პროექტში ჩვენ გამოვყავით ორი რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი, რაც ერთობლიობაში წინასწარ განსაზღვრავს პრინციპულ საკითხთა გარშემო იდეოლოგიური ბრძოლის ყველა ძირითად შესაძლებლობას. ასეთი სქემის წყალობით შესაძლებლობა იქმნება

რუსეთი, როგორც ევრაზიული იმპერია.

ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული ძალები დავაჯგუფოდ სხვადასხვა პოლიტიკური ალიანსების მიხედვით.

## 2.4. რუსეთის გეოპოლიტიკა

თანამედროვე სამყაროს გეოპოლიტიკური მოწყობის საერთო პრობლემები უშუალოდ უკავშირდება რუსეთს, სადაც ძირითადი გეოპოლიტიკური პროექტების სამივე კატეგორიას (რეგიონალიზმი, „ერი-სახელმწიფო" და დიდი სივრცე) უშუალო ანალოგები გააჩნია.

რეგიონალიზმი შეესაბამება სეპარატისტულ მისწრაფებებს. იგი გვხვდება, როგორც ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში, ასევე, ჩვეულებრივ ტერიტორიულ წარმონაქმნებში, როდესაც ისინი სრულ ავტონომიაზე აცხადებენ პრეტენზიას (ციმბირის, ურალის და სხვა რესპუბლიკების შექმნის პროექტები).

ცენტრალიზებული სახელმწიფოს მოდელს იცავენ გეოპოლიტიკური პროექტის — „რუსეთი — რუსეთის ფედერაციის საზღვრებში" — მომხრეები.

ისინი, რომლებიც წუწუნებენ საბჭოთა კავშირის აღდგენაზე, რუსეთის იმპერიის საბჭოთა კავშირის ფარგლებში აღდგენაზე ან ევრაზიული იმპერიის შექმნაზე, მიეკუთვნებიან „ახალი დიდი სივრცის" იდეოლოგთა კატეგორიას.

ისევე, როგორც საერთო სქემაში აქაც არ არის აუცილებელი ამა თუ იმ პროექტის მხარდამჭერები ერთი და იგივე პოლიტიკური შეხედულებების მომხრეები იყვნენ. უფრო მეტიც, ყოველ პროექტს შეიძლება ჰქონდეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშანი, რომლებიც, პირობითად განისაზღვრება „მემარჯვენე" და „მემარცხენე" პროექტებად.

შეეცადოთ გამოვიკვლიოთ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების „მემარჯვენეებისა" და „მემარცხენეების" დამოკიდებულება ამ სამი გეოპოლიტიკური კატეგორიის მიმართ.

სეპარატისტული ტენდენციები, უკიდურესად „მარცხენა" ფლანგზე, ისეთი ძალების მიერ გამოიყენება, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საბჭოთა კავშირის დანგრევას. რუსმა ლიბერალებმა (რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს „რეაქციისა" და „ტოტალიტარიზმის" საყრდენად მიიჩნევდნენ) დიდი ხნის წინ წამოაყენეს „XIV საუკუნის ფარგლებში არსებული რუსეთის" იდეა, რაც გულისხმობდა რუსული ტერიტორიების დაყოფას ცალკეულ ფრაგმენტებად, ეთნიკური და წმინდა გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით. ასეთი „მემარცხენეებისათვის" რუსი ერის ერთობა და რუსული სახელმწიფოს ძლიერება არა თუ არ წარმოადგენს არანაირ ისტორიულ ღირებულებას, არამედ, პირიქით, განიხილება, როგორც დაბრკოლება ზოგადსაკაცობრიო „პროგრესის" გზაზე. აღნიშნულ რეგიონულ პროექტს მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის დაშლის მსურველი ზოგიერთი უკიდურესი ლიბერალი.

ასეთი ულტრალიბერალური ვარიანტი თანხვდება საწინააღმდეგო, უკიდურესი ნაციონალისტური ბანაკის გარკვეული ნაწილის ზოგიერთ იდეას, რომელთა აზრით რუსებისთვის აუცილებელია რასობრივი სიწმინდისა და ეთნიკური იზოლაციონიზმის პრინციპზე დაფუძნებული კომპაქტური მონოეთნიკური სახელმწიფოს შექმნა. ასეთია „რუსული რესპუბლიკის" შექმნის იდეა. დამოუკიდებელი მონოეროვნული სახელმწიფოების შექმნის მსგავსი პროექტები

არსებობს რუსეთის ფედერაციაში მოსახლე არარუს ეთნოსებს შორისაც.

რუსეთის ფედერაციის ფარგლებში „მემარცხენეთა" ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროგრამის ვარიანტი განასახიერებს გორბაჩოვის შემდგომი რუსეთის ხელმძღვანელობას. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რეფორმების განხორციელებისათვის ყველაზე მომგებიანი იქნებოდა ცენტრალიზებული მეთოდების გამოყენება და რუსეთის ყველა რეგიონის მოსკოვისადმი უშუალო დაქვემდებარება. მათი აზრით, სახელმწიფო ცენტრალიზმი რუსეთის სოციალ-პოლიტიკური რეალობის სახეცვლილების საუკეთესო და უსწრაფესი საშუალებაა, რომელიც ქვეყანას „ზოგადსაკაცობრიო", „პროგრესულ", „დასავლურ" და „ატლანტიკურ" სტანდარტებამდე მიიყვანს. „მემარცხენე" ცენტრისტები რეგიონალიზმში სამართლიანად ხედავენ თავიანთი მიზნების განხორციელების საფრთხეს. რეგიონების დეცენტრალიზაცია და ავტონომიზაცია ხელს უწყობს ისეთი რეჟიმების დამყარებას, რომლებიც უარს იტყვიან ლიბერალური რეფორმების განხორციელებაზე და შეუდგებოდნენ სხვა, ალტერნატიული (პიროობითად „მემარჯვენე"), სოციალურ-პოლიტიკური პროექტების განხორციელებას. იმპერიული ექსპანსია, ასევე, მიუღებელია ამ ძალებისათვის, რადგან საბჭოთა კავშირის აღდგენას შეიძლება მოჰყვეს მათთვის ცუდი იდეოლოგიური შედეგები.

ამჟამად ძალას იკრებს „მემარჯვენე" სახელმწიფო მოღვაწეთა მოძრაობა. ისინი საბჭოთა კავშირის დაშლას შეუგუებელი პატრიოტები არიან. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთის ფედერაციისაგან მძლავრი ცენტრალიზებული რუსული სახელმწიფოს შექმნა ხელს შეუწყობს ერის გამთლიანებას, დამოუკიდებელი, თავისუფალი სივრცის ჩამოყალიბებას. „მემარჯვენე" „სახელმწიფო მოღვაწეები უარყოფენ სეპარატიზმსაც და იმპერიალიზმსაც. მათ მიაჩნიათ რომ რუსეთის ფედერაციის დანაწილება რუსების მიერ კუთვნილი ტერიტორიების დაკარგვას მოასწავებს, იმპერიული ექსპანსია კი მრავალი განსხვავებული ეროვნული ელემენტის შემოჭრას გამოიწვევს, რითაც რუსების ეროვნულ ბატონობას საფრთხე დაემუქრება.

იმპერიის აღდგენის მომხრეთა შორისაც, აგრეთვე, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალა არსებობს: გორბაჩოვისა და მისი ლობის მიმდევარ რუსეთის „მემარცხენე" მონდიალისტებს აუცილებელობად მიაჩნიათ „ერთიანი დემოკრატიული სივრცის" უსწრაფესი შექმნა, არა მხოლოდ დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ევრაზიული სივრცის ფარგლებში.

ახალი დიდი სივრცის „მემარჯვენე" ვარიანტის არსი ჩამოყალიბებულია არსებული რეჟიმის მიმართ შეურიგებელი ოპოზიციის პოლიტიკურ პროგრამებში. ამ ოპოზიციის წარმომადგენელთა უმრავლესობა (ნაციონალ-კომუნისტები და ტრადიციონალ-იმპერიალისტები) თვლის, რომ რუსეთი რუსეთის ფედერაციის ფარგლებში წარმოადგენს არა მხოლოდ ტერიტორიულად დაუსრულებელ გეოპოლიტიკურ წარმონაქმნს, არამედ რუსეთის, ამ დიდი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების დაცვის საკითხში პრინციპულად მცდარ გამოსავალს. „მემარჯვენე" ევრაზიულობა გამომდინარეობს რუსეთის ისტორიული მისიის ზედმიწევნით იმპერიული გაგებიდან, რომელიც ან დამოუკიდებელი „კონტინენტი" უნდა იყოს, ან თავის ისტორიულ და გეოპოლიტიკურ გზას უნდა გადაუხვიოს.

ამგვარად, ამა თუ იმ ძალების იდეოლოგიური ორიენტაციის გათვა-

ლისწინებით, შეგვიძლია რუსეთის სახელმწიფოებრიობის შესახებ ყველა გეოპოლიტიკური ვარიანტები ერთ სქემად გამოვსახოთ:

| | რუსეთის რეგიონალიზმი | რუსეთის ცენტრალიზმი | ევრაზიულობა, დიდი სივრცე |
|---|---|---|---|
| რუსი „მემარცხენეები", ლიბერალ-რეფორმატორები | სეპარატიზმი, ეთნიკური რესპუბლიკები | ლიბერალური რეფორმები ავტარკიული ცენტრის დროს, „ელცინიზმი" | „ერთიანი დემოკრატიული სივრცე", „საერთოევროპული სახლი", გორბაჩოვის ლობი, „მემარცხენე მონდიალიზმი" |
| რუსი „მემარჯვენეები", პატრიოტი კონსერვატორები | „რუსული რესპუბლიკა" | „მემარჯვენე ელცინიზმი", „რუსეთის ფედერაციის პატრიოტიზმი" | ევრაზიული იმპერია, საბჭოთა კავშირის აღდგენა |

# თავი 3. ახლო საზღვარგარეთის გეოპოლიტიკური პრობლემები

## 3.1. დიდი სივრცის კანონები

გეოპოლიტიკის უმთავრესი კანონს წარმოადგენს **დიდი სივრცის პრინციპი**, რომელიც პირველად მაკინდერმა და ჰაუსჰოფერმა აღწერა, ხოლო შემდეგ განვითარებულ იქნა კარლ შმიტის მიერ. ამ პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოს ეროვნული სუვერენიტეტი დამოკიდებულია არა მხოლოდ მის სამხედრო ძალაზე, ტექნოლოგიურ განვითარებასა და ეკონომიკურ ბაზაზე, არამედ მისი მიწების, საზღვაო და საჰაერო ტერიტორიების სიდიდესა და გეოგრაფიულ მდებარეობაზე. გეოპოლიტიკის კლასიკოსებმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს იმის მტკიცებას, რომ სუვერენიტეტის პრობლემა უშუალოდაა დამოკიდებული გეოპოლიტიკურ თვითმყოფადობაზე, საკუთარი თავის უზრუნველყოფასა და რეგიონის ავტარკიულობაზე. იმ ხალხებმა და სახელმწიფოებმა, რომლებიც ნამდვილად იღწვიან დამოუკიდებლობისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყონ საკუთარი თავის ტერიტორიული მოთხოვნილებების საკითხი. ჩვენს ეპოქაში ასეთ თვითუზრუნველყოფას შეიძლება მიაღწიონ მხოლოდ დიდმა ქვეყნებმა, რომლებიც მდებარეობენ მოსალოდნელი თავდასხმისაგან (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური) სტრატეგიულად დაცულ რეგიონებში.

სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დაპირისპირების ხანაში ცხადი გახდა ბლოკების, „დიდი სივრცის" შექმნის აუცილებლობა. ქვეყანა შეიძლება ყოფილიყო „შეუერთებელი" მხოლოდ გამოცალკევების ფასად, მსოფლიო გეოპოლიტიკის სფეროდან ჩამოშორებისა და პერიფერიაზე გადანაცვლების ხარჯზე. გარდა ამისა, ყველა „შეუერთებელი" არჩევანს მაინც ერთ-ერთი ბანაკის სასარგებლოდ აკეთებდა, თუმცა ეს არჩევანი შედარებით ნაკლებად იყო



1). ევრაზიის 6 ცივილიზაციური სარტყელი: 1. დასავლეთ ევროპა, 2. შუა ევროპა, 3. რუსეთ-ევრაზია, 4. არაბული აზია (მაღრიბის ქვეყნების ჩათვლით), 5. შუა აზია, 6. უკიდურესი აღმოსავლეთი.
აშკარად ჩანს ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებს შორის პარალელური განლაგება.
2). ევრაზიის გეოპოლიტიკური დაყოფა მერიდიანის გასწვრივ. ტუდები, პირენეიდან ალტაიმდე და მანჯურიამდე წარმოადგენენ უმთავრეს საზღვარს ორ ევრაზიულ სამყაროს შორის.

რადიკალური, ვიდრე სოციალიზმსა თუ კაპიტალიზმს შორის უშუალო მომხრეების არჩევანი. ერთი ზესახელმწიფოს დაშლა, რა თქმა უნდა სერიოზულად ცვლის მიწების გეოპოლიტიკურ სივრცეს, მაგრამ, ამის გამო, დიდი სივრცის პრინციპი სულაც არ კარგავს თავის ძალას, პირიქით, დღეს ძალიანაა გავრცელებული „მონდიალიზმის" გეოპოლიტიკური პროექტი, რომლის მიხედვითაც დედამიწა უნდა გადაიქცეს ამერიკას დაქვემდებარებულ ერთიან დიდ სივრცედ.

## 3.2. PAX AMERICANA და მონდიალიზმის გეოპოლიტიკა

დიდი სივრცის პროამერიკული „ატლანტური" პროექტი — მსოფლიო Pax Americana-ს შექმნა, ან „ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარება ერთიანი „მსოფლიო მთავრობით" თავისი არსით გეოპოლიტიკური სინონიმებია. ამჟამად ზუსტად ასეთი გეგმა მუშავდება და ხორციელდება დასავლეთის და, პირველ რიგში, აშშ-ს მიერ საერთაშორისო პოლიტიკაში. ცხადია, რომ დიდი სივრცის მონდიალისტური კონცეფცია გამორიცხავს ჩვეულებრივი ხალხებისა და სახელმწიფოების ნამდვილი სახელმწიფოებრიობისა და პოლიტიკური სუვერენიტეტის ნებისმიერ ფორმას. უფრო მეტიც, ორპოლარული მსოფლიო თავისუფლების (სუვერენიტეტის) შეუდარებლად მეტ წილს აძლევდა სახელმწიფოებს, რომლებიც ორიდან ერთ-ერთი დიდი სივრცის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, ვიდრე ეს მონდიალისტური გეგმებით არის გათვალისწინებული. ეს გამოწვეული იყო თუნდაც იმით, რომ მსოფლიო წინააღმდეგობის დროს სახელმწიფო-სატელიტების ჩაგვრასთან ერთად მათი მოსყიდვაც ხდებოდა. მონდიალისტი ფუტუროლოგების „ერთიანი მსოფლიო დიდი სივრცე" ნიშნავს ყველანაირი სუვერენიტეტის, თუნდაც მცირე ნასახის, გაქრობას. გათიშული და დანაწევრებული „მცირე სივრცეების" ძალისმიერი დამორჩილება (სამხედრო ან ეკონომიკური მეთოდებით) კონტროლის ერთადერთი საშუალება გახდება (შესაძლო გეოპოლიტიკური კონკურენტის არარსებობის გამო მოსყიდვისა და მოტყუების აუცილებლობა თავისთავად კარგავს აზრს).

თანამედროვე ყოველი სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე (განსაკუთრებით, მანამდე ატლანტიკური დასავლეთის მოწინააღმდეგე ბლოკში შემავალი სახელმწიფოებისა და ხალხების წინაშე) აყენებს მნიშვნელოვან ალტერნატივას: **ან ატლანტისტების ხელმძღვანელობის ქვეშ ერთიან დიდ სივრცეში გაერთიანება, ან ახალი დიდი სივრცის ჩამოყალიბება, რომელიც შესძლებს დაუპირისპირდეს ერთადერთ ზესახელმწიფოს.**

საკითხს, ჟეშმარიტი გეოპოლიტიკური სუვერენიტეტის შესახებ, უშუალო დამოკიდებულება აქვს ამ ალტერნატივასთან, თუმცა არცერთ შემთხვევაში, ვერცერთი ცალკეული ხალხი თუ სახელმწიფო ვერ მიიღებს სრულ სუვერენიტეტს. მონდიალისტური მოდელის მიღება წინასწარ გამორიცხავს ყოველგვარ სუვერენიტეტს, რადგან „მსოფლიო სახელმწიფო" ხელისუფლების უალტერნატივო და ერთადერთ ცენტრად იქცევა. ასეთ შემთხვევაში სუვერენული იქნება მხოლოდ „ახალი მსოფლიო წესრიგის" მსოფლიო ფსევდოიმპერია, მისი ყველა ნაწილი ამ დროს კოლონიებად იქცევა. ახალი დიდი სივრცის ჩამოყალიბების დროს, ჩვენ საქმე გვაქვს ფარდობით სუვერენიტეტთან დიდი

გეოპოლიტიკური წარმონაქმნის ფარგლებში, რადგან ეს დიდი სივრცე შედარებით თავისუფალი იქნება იდეოლოგიური და მსოფლმხედველობითი მსაზღვრელების განსაზღვრის დროს. მაშასადამე, ამ ბლოკში შემავალ ხალხებსა და სახელმწიფოებს, სულ მცირე, ეთნოკულტურული თავისუფლებისა და ახალი მიკროიდეოლოგიის შემუშავებასა და შექმნაში უშუალო მონაწილეობის იმედი უნდა ჰქონდეთ, მაშინ, როდესაც „ახალი მსოფლიო წესრიგის" მონდიალისტური ვარიანტი იდეოლოგიურად უკვე დასრულებულიცაა და დამუშავებულიც, იგი დედამიწის ყველა ხალხს სავაჭრო-ლიბერალური ამერიკული მოდელის კოლონიად გახდომას სთავაზობს.

## 3.3. რუსეთის პარადოქსი

თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უკანასკნელ დრომდე სოციალისტური ბანაკის სახით არსებული დიდი ევრაზიული სივრცის დაშლის ინიციატივა თვით ამ ბანაკის ცენტრიდან, ევრაზიის დედაქალაქ მოსკოვიდან გამომდინარეობდა. სწორედ საბჭოთა კავშირი, გორბაჩოვის სახით, იქცა ევრაზიული ბლოკის მონდიალისტურ პროექტში ჩართვის ინიციატორად. „პერესტროიკის", „ახალი აზროვნებისა" და ა. შ. იდეები, გეოპოლიტიკურ დონეზე, მიგვანიშნებს ერთიანი დიდი სივრცის მოდელის მთლიანად მიღებასა და ორპოლარული მსოფლიოდან ერთპოლარულზე შეგნებულად გადასვლას. თავდაპირველად დაიშალა სოციალისტური ბანაკი, შემცირდა აღმოსავლეთის ბლოკი, შემდეგ გეოპოლიტიკური თვითლიკვიდაცია გაგრძელდა და რუსეთს ჩამოსცილდა ის რეგიონები, რომლებიც დღეს „ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებად" მოიხსენიება.

მიუხედავად ამისა, ევრაზიული კუნძულის გული რუსეთი, Heartland თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებაში ყველა დანარჩენ რეგიონზე უკეთ შესძლებს ატლანტიკურ გეოპოლიტიკასთან დაპირისპირებას და ალტერნატიული დიდი სივრცის ცენტრად გახდომას. გეოპოლიტიკური თვითლიკვიდაციის ფაქტმა იგი აიძულა დროებით ჩამოსცილებოდა გეოპოლიტიკური დაპირისპირების სცენას. ამიტომ აუცილებელია განვიხილოთ ალტერნატიული დიდი სივრცის შექმნის სხვა შესაძლებლობები, რათა მონდიალისტური პროექტის უარმყოფელმა ხალხებმა და სახელმწიფოებმა შესძლონ გარკვეული დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა რუსეთის გეოპოლიტიკურ გამოღვიძებამდე (სხვათაშორის, ამგვარი ნაბიჯები მხოლოდ დააჩქარებენ რუსეთის გამოღვიძებას).

## 3.4. რუსეთი რჩება „ისტორიის ღერძად"

ანტიმონდიალისტური ალტერნატივის გეოპოლიტიკურ არჩევანში, დროებით პარალიზებული რუსეთის მიუხედავად, გათვალისწინებული უნდა იყოს რუსული მიწისა და რუსი ხალხის სტრატეგიული და გეოგრაფიული საკვანძო ფუნქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ დაპირისპირება თანამედროვე მონდიალისტებთან, რომლებიც გარკვეულწილად აკონტროლებენ რუსეთის პოლიტიკურ სივრცეს, არ უნდა გადავიდეს საერთო რუსოფობიაში, უფრო მეტიც, რუსეთის უმთავრესი გეოპოლიტიკური ინტერესები ყოველმხრივ (კულტურუ-




1. მართლმადიდებლური ცივილიზაციის ქვეყნები. ევრაზიის ღერძი.
2. შუა ევროპის ქვეყნები. ევროპის ღერძი.
3. ევროპული დასავლეთის ქვეყნები. ანტიკონტინენტური ძალების ყველაზე შესაძლო მოკავშირეები.

ლად, რელიგიურად, ეკონომიკურად და სტრატეგიულად) ემთხვევა ალტერნატიული, ანტიმონდიალისტური და ანტიატლანტიკური დიდი სივრცის პერსპექტივას. ამ მიზეზით, რუსეთის შიგნით პოლიტიკური ოპოზიციის ეროვნული მისწრაფებები აუცილებლად თანხდება რუსეთის გარეთ არსებული გეოპოლიტიკური ინტეგრაციის ყველა ანტიმონდიალისტურ პროექტს.

## 3.5. MITTELEUROPA და ევროპული იმპერია

ახალი დიდი სივრცის ერთ-ერთ შესაძლებელ ალტერნატივას ევროპა წარმოადგენს, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური წრეები დასავლეთს — ანგლოსაქსურ სამყაროსა და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს უპირისპირებენ. ასეთი ანტიდასავლური ევროპა არ არის უტოპია, რადგან მსგავსი პროექტი მრავალჯერ განხორციელებულა ისტორიაში, თუმცა იგი არასოდეს ყოფილა სრულყოფილი და მას ყოველთვის გარკვეული წუნი ჰქონდა. მაგალითად XX საუკუნეში „ღერძის ქვეყნები" აყალიბებდნენ სწორედ ამგვარი ევროპის ჩონჩხს, თუმცა გერმანიის ხელმძღვანელობის გარკვეულ წრეებში არსებულმა ანგლოფილიამ და ფრანკოფობიამ (სხვა გარემოებასთან ერთად) ხელი შეუშალა ამ პროექტის სრულად განხორციელებას. მეორე

მსოფლიო ომის შემდეგ მსგავსი მცდელობა ჰქონდა დე გოლს. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია ის, რომ საფრანგეთი დღეს ოფიციალურად არ არის ნატოს წევრი. ანტიდასავლური, ტრადიციული, იმპერიული ევროპის იდეა დღეს თანდათანობით სულ უფრო აქტუალური ხდება, მითუმეტეს, რომ ამერიკული ჯარების ყოფნა ევროპის კონტინენტზე ვეღარ მართლდება „საბჭოთა საფრთხის" არსებობით და იძენს ღია ამერიკული ოკუპაციის ხასიათს. ევროპა, ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების დონით, ამერიკის სერიოზული კონკურენტია. ევროპული სახელმწიფოების პროამერიკულმა და მონდიალისტურმა მმართველმა წრეებმა შეიძლება უკან დაიხიონ ევროპელების ბუნებრივი გეოპოლიტიკური ინტერესების ქვემოდან მიწოლის შემთხვევაში და მაშინ ევროპა დაიწყებს თავისუფალ გეოპოლიტიკურ ცხოვრებას. ევროპაში ყოველდღიურად იზრდება პოლიტიკური გათანასწორებისა და იდეოლოგიური ალტერნატივის ძიების მისწრაფებები და მის პარალელურად იზრდება დამოუკიდებელი, ევროპული დიდი სივრცის, შექმნის შანსებიც.

## 3.6 გერმანია – ევროპის გული

ევროპული „დიდი სივრცე" უნდა ჩამოყალიბდეს ყველაზე კონტინენტური სახელმწიფოს, გერმანიის, უფრო ზუსტად Mitteleuropa-ს, ანუ შუა ევროპის გარშემო. გერმანიის გეოპოლიტიკური ინტერესები, ტრადიციულად, დასავლეთის ატლანტური მისწრაფებების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ეს ეხებოდა გეოპოლიტიკის, როგორც კონტინენტურ, ასევე კოლონიურ ასპექტებს. გერმანია ყოველთვის იყო ანგლოსაქსური კოლონიური დაპყრობების წინააღმდეგი და მუდამ მიისწრაფოდა სახმელეთო, კონტინენტური, ავტარკიული ცივილიზაციის შექმნისაკენ, რომელიც თავის მხრივ, ტრადიციულ, იერარქიულ და მიწის ღირებულებებს დაეყრდნობოდა. შუა ევროპა (Mitteleuropa), ჰაბსბურგების ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სახით, დიდი რომის იმპერიის უკანასკნელი ევროპული ნაკვალევი იყო, რომელსაც უკავშირდება კიდეც ევროპული ცივილიზაცია სახელმწიფოებრივ-სოციალურ ასპექტში. რომის იმპერია იყო ის დიდი სივრცე, რომელიც აერთიანებდა დასავლეთ და შუა ევროპას ერთიან გეოპოლიტიკურ სხეულად. დღესაც, ევროპული იმპერიის იდეა უშუალოდაა დაკავშირებული გერმანიასთან და გერმანული გავლენის ზონაში შემავალ ქვეყნებთან.

ამ თეზისებიდან გამომდინარე შეიძლება გამოვიტანოთ ერთი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დასკვნა: **დასავლეთის „ახლო საზღვარგარეთის" ყველა ქვეყნის (როგორც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ასევე, უკრაინისა და მოლდოვასათვის) ანტიმონდიალისტურ გეოპოლიტიკურ კავშირში გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ გერმანიაზე ორიენტირებული „შუა ევროპის"** ბლოკში შესვლის შემთხვევაში (თუ, რა თქმა უნდა, არ შეიცვლება ვითარება თავად რუსეთში). ასეთ ვითარებაში, საბჭოთა კავშირის დასავლეთით მდებარე რეგიონები გადაიქცევიან ევროპული „დიდი სივრცის" აღმოსავლეთ სასაზღვრო რაიონებად და შესძლებენ გარკვეული სუვერენიტეტის მოპოვებასაც კი (თუმცა იგი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ქვეყნების რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემთხვევაში, ან, თუ, შესაძლო ახალი ევრაზიული ბლოკის ცენტრი ანტიმონდიალისტურ რუსეთში იქნება).

ევროპული იმპერია შესძლებს გარკვეული კულტურული, ლინგვისტური და ეკონომიკური ავტონომიის უზრუნველყოფას ამ რეგიონებისათვის და მათ დაცვას მონდიალისტური სისტემის გამანადგურებელი შედეგებისაგან, რომელიც თავისი ლიბერალურ-საბაზრო, პლუტოკრატიული სტრუქტურით ეროვნული თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის თუნდაც მცირეოდენ გამოვლინებასაც კი ანადგურებს. არავითარ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე აქ საუბარი არ იქნება. უფრო მეტიც, ევროპულ იმპერიას, გერმანული ცენტრით, ყოველთვის ემუქრება გერმანული ნაციონალიზმის აფეთქების საფრთხე, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს ამ იმპერიის დაშლა, ისევე, როგორც დამარცხებისთვის იყო განწირული ჰიტლერის „პანგერმანიზმი".

## 3.7. „ევროპასთან მიკედლება"

ყველაზე მეტად ასეთი მომავალი ელის დასავლეთ უკრაინას და ესტონეთს, რადგან, სინამდვილეში, დასავლეთის კულტურასთან, ისტორიულად და რელიგიურად, მხოლოდ ეს მხარეები დგანან ყველაზე ახლოს, მხოლოდ მათი გეოპოლიტიკური ინტერესები ემთხვევა შუა ევროპის ინტერესებს. რაც შეეხება „ახლო საზღვარგარეთის" სხვა ქვეყნებს, ბელორუსიასა და უკრაინის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებს, ისინი პოლიტიკურად და კულტურულად რუსეთ-ევრაზიის ზონას მიეკუთვნებიან და თუ მაინც არსებობს მცირეოდენი კულტურული განსხვავება, იგი შეიძლება დაყვანილ იქნას კერძო დეტალებამდე. მან არ უნდა გამოიწვიოს აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური ბლოკის შეცვლა ცენტრალური (შუაევროპული) ბლოკით, ხოლო ყოველი საკითხი შეიძლება მოგვარდეს ეთნო-კულტურული (მაგრამ არა სახელმწიფოებრივი) ავტონომიის ფარგლებში. ლიტვა, თავის მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკაში ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. იგი ორმაგ ფუნქციას ასრულებდა: რუსეთთან მიმართებაში იგი წარმოადგენდა დასავლურ კულტურას, ხოლო შუა ევროპის მიმართ, პირიქით, პოლონეთთან ერთად იგი აღმოსავლური ძალის როლს თამაშობდა და ბალტიურ-დასავლურ-სლავურ დამოუკიდებლობას გერმანული გავლენისაგან იცავდა. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, უკანასკნელ ასწლეულში ლიტვა ხან გერმანული, ხან რუსული იყო. მხოლოდ, იგი კარგა ხანია აღარ ყოფილა ლიტვური და არც იქნება, რადგან ლიტვას არ გააჩნია საკმარისი გეოპოლიტიკური წინაპირობები, რათა უპასუხოს თანამედროვეობის მიერ სუვერენიტეტისთვის წამოყენებულ მოთხოვნებს.

ნაწილობრივ იგივეს თქმა შეიძლება ლატვიაზეც, თუმცა ლიტვისაგან განსხვავებით, მას არასოდეს შეუსრულებია რაიმე მნიშვნელოვანი, დამოუკიდებელი როლი გეოპოლიტიკის ისტორიაში და ბალტიისპირეთში ყოველთვის, „უცხოელი დამკვირვებელი" იყო.

რაც შეეხება მოლდავეთს, ამ ტერიტორიულ წარმონაქმნსაც არასოდეს ჰქონია საკუთარი სახელმწიფოებრიობა, ამიტომ რაიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ტრადიცია მოლდოველებს, ისევე, როგორც რუმინილებს არ გააჩნიათ. რუმინეთი ისტორიულად (მოლდავეთის სხვა ტერიტორიებთან ერთად) მაინც შედიოდა რუსეთ-ევრაზიისა და შუა ევროპის (ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში) გეოპოლიტიკურ ბლოკებში, აქედან გამომდინარე რუმინეთს უკვე ჰქონდა შუა ევროპასთან მჭიდრო კავშირის შემთხვევები. თუმცა, მართლმადიდებლობა, რომელსაც რუმინელებისა და

მოლდაველების უმრავლესობა აღიარებს, ამ მხარეებს მაინც აღმოსავლეთთან და რუსეთთან აახლოვებს.

## 3.8. „თავისუფლების“ საზღვრები და დაკარგული უპირატესობა

ევრაზიის იმპერიაში „ახლო საზღვარგარეთის“ დასავლეთ ქვეყნების გაერთიანებისა და შუა ევროპაში მათი ჩართვის პერსპექტივა შესაძლებელი და ისტორიულად გამართლებულია. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში (დასავლეთ უკრაინისა და ესტონეთის გამოკლებით, რომელიც ტევტონთა ორდენის კოლონიურ მიწას წარმოადგენდა და დასახლებული იყო მეურნე, ავტოქტონური, წყნარი და მორჩილი უგრო-ფინებით), წმინდა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მათი გაერთიანება გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა რუსეთ-ევრაზიის აღმოსავლურ ბლოკში, ვინაიდან, კულტურით, ეს რეგიონები აღმოსავლეთთან უფრო არიან დაკავშირებული, ვიდრე შუა ევროპასთან. ამგვარად, „ახლო საზღვარგარეთის“ დასავლეთის ქვეყნების კავშირი შუა ევროპასთან შეიძლება ანტიმონდიალისტური გეოპოლიტიკური ორიენტაციის შუალედურ ვარიანტად იქცეს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი კვლავ უარს იტყვის თავის ინტეგრაციულ მისიაზე.

აღსანიშნავია, რომ „ევრაზიული იმპერიის“ შემადგენლობაში შესვლის შემთხვევაში ეს ქვეყნები ვერავითარ პოლიტიკურ სუვერენიტეტს ვერ მიიღებენ, რადგან დიდი სივრცე, რომელიც თავის ქვეშევრდომებს გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დაცვას სთავაზობს, მათგან პოლიტიკურ-ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, საკუთარი იდეოლოგიური ან დიპლომატიური პოლიტიკის წარმოებაზე უარის თქმას მოითხოვს, რადგან ისინი, ნებისმიერ შემთხვევაში, იმპერიის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული. მიუხედავად იმისა, თუ როგორ იმოქმედებს ეს „მცირე ერების“ პატივმოყვარეობაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს დროში, სუვერენულობას შეიძლება ფლობდნენ მხოლოდ ერთ მთლიანობად ქცეული ზესახელმწიფოები, კონტინენტური იმპერიები.

## 3.9. „სანიტარული კორდონი“

დასავლეთით მდებარე „ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების“ გეოპოლიტიკურ პრობლემას აქვს კიდევ ერთი ასპექტი — ესაა **ატლანტიკური ფაქტორი**, რომელიც მოქმედებს უშუალოდ და ამ ქვეყნებს თავს ახვევს მონდიალიზმისა და ამერიკანიზმისათვის მომგებიან პოლიტიკურ სვლებს. ამ საკითხში არსებობს რამდენიმე საფეხური, განვიხილოთ ისინი რიგითობის მიხედვით:

აშშ მსოფლიოზე ნამდვილ ბატონობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს, თუ მსოფლიოში აღარ იარსებებს სხვა დიდი სივრცე. აქედან გამომდინარე, ამერიკული გეოპოლიტიკის მთავარი მიზანია პოტენციალურად ძლიერი გეოპოლიტიკური ბლოკის დაშლა ან მისი ჩამოყალიბების დაბრკოლება. ისტორიაში არსებობს ასეთი პოლიტიკის პრეცედენტი ინგლისის სახით, რომელიც ყოველთვის ცდილობდა კონტინენტზე „სანიტარული კორდონის“ შექმნას.

„სანიტარული კორდონი“ „წარმოადგენს სახელმწიფოების ან ხალხების ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს ორ დიდ გეოპლიტიკურ წარმონაქმნს შორის და მისი კავშირი დიდ სივრცესთან საფრთხეს უქმნის დაინტერესებულ სახელმწიფოს (ადრე ინგლისს, ახლა აშშ-ს). „სანიტარული კორდონის“ ქვეყ-

ნები, ძირითადად, იმავდროულად, ორი კონტინენტური ზესახელმწიფოს კონფლიქტის მიზეზიცაა, თანაც „დე ფაქტო" მათი გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობა შეუძლებელია და ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა გარეთ ეძებონ. აღნიშნულ ვითარებაში, მესამე მსხვილი გეოპოლიტიკური ძალის პოლიტიკური მიზანი, იმაში მდგომარეობს, რომ „სანიტარული კორდონი" „შუალედური" ქვეყნების მთავრობაზე დიპლომატიური ზეწოლით გამოწვეული კონფლიქტის გამწვავებით გადაიქცეს ორ დიდ სივრცეს შორის დაძაბულობის ზონად. „სანიტარული კორდონის" ყველაზე უკიდურესი ფორმაა, როდესაც „შუალედური" ქვეყანა მიისწრაფვის ორივე კონტინენტური მეზობლისაგან სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად, რაც, საბოლოოდ, მესამე „შორეული" ზესახელმწიფოს კოლონიად გადაქცევის მომასწავებელი ნიშანია.

საუკუნის დასაწყისში არსებული „სანიტარული კორდონის" ყველაზე ცნობილი მაგალითია რუსეთსა და გერმანიას შორის მდებარე, ინგლისის მიერ მართვადი ქვეყნები. ისინი ერთმანეთისაგან აცალკევებდნენ შუა ევროპისა და რუსეთ-ევრაზიის დიდ სივრცეებს, რისი წყალობითაც ისინი წარმოადგენდნენ უშუალო აგენტებსა და სატრაპებს ევროპული დასავლეთის ქვეყნების ხელში. იგივე ვითარებამ მრავალჯერ იჩინა თავი სხვა, შედარებით ლოკალურ სიტუაციებშიც. ჩვენს დროში, აშშ, უშუალო გეოპოლიტიკური აუცილებლობის გამო, იძულებულია „სანიტარული კორდონი" აქციოს თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად. აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის უშიშროების საკითხებში პოლ ვოლფოვიცის აშშ-ს მთავრობისადმი გაკეთებულ მოხსენებაში (1993 წლის მარტი) საუბარი ეხება „ევროპისა და აზიის კონტინენტებზე ისეთი სტრატეგიული ძალის აღმოცენების დაუშვებლობას, რომელსაც აღმოჩნდება უნარი მეტოქეობა გაუწიოს აშშ-ს". ამ თვალსაზრისით მითითებული იყო, რომ „სანიტარული კორდონის ქვეყნები" (კერძოდ, ბალტიის ქვეყნები) წარმოადგენენ „უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ტერიტორიებს და მათზე რუსეთის მხრიდან განხორციელებულმა თავდასხმამ უნდა გამოიწვიოს ნატოს ქვეყნების საპასუხო შეიარაღებული შეტევა". ეს არის გერმანიის და რუსეთის ორმხრივი ინტერესების ზონაში მესამე ზესახელმწიფოს გეოპოლიტიკური ლოგიკის იდეალური ნიმუში.

## 3.10. პროვინციიდან კოლონიად გადაქცევა

„სანიტარული კორდონის" პოლიტიკა შეიძლება გამოიხატოს ფორმულით: „ახლობელზე დამოუკიდებლობა და შორეულზე დამოკიდებულება". კარგად უნდა დავიხსომოთ ის, რომ ამ შემთხვევაში არავითარი ეშმარიტი დამოუკიდებლობა ან სუვერენულობა არც კი არსებობს, თუმცა ზოგიერთმა ახლომხედველმა „მესამე ზესახელმწიფოზე ასეთი კოლონიური დაქვემდებარება", დროებით შეიძლება „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის" გამარჯვებასთან გააიგივოს. აუცილებელია იმის შეხსენებაც, რომ ჩვენს კარგად მართვად სამყაროში მცირე სახელმწიფოები არა თუ გამარჯვებას ვერ მოიპოვებენ, არამედ სრულფასოვანი, ერთსულოვანი ბრძოლების წარმოებასაც კი ვერ შესძლებენ.

სხვადასხვა გეოპოლიტიკურ გარემოებათა გამო, რომელთა შორის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ძალიან მცირე ადგილი უკავია,

მოსკოვის გავლენიდან გამოსული „ახლო საზღვაგარეთის“ ქვეყნებს დიდი შანსი აქვთ კონტინენტზე აშშ-ს მონდიალისტური პოლიტიკის „სანიტარულ კორდონებად“ იქცნენ, რის შედეგადაც ისინი დაკარგავენ მეზობლების ნდობას და „ორმაგი მოღალატის“ იარლიყს მიიკერებენ, უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში ისინი ბროვინციიდან კოლონიად გადაიქცევიან. ძნელი წარმოსადგენი არაა რა საშინელება დაემართება მათ ეროვნულ კულტურას, ვინაიდან მონდიალიზმი სანაცვლოდ მათ შეთავაზებს უნივერსალურ კოლონიურ სუროგატს, კულტურულ „კოკა-კოლონიზაციას“. „სანიტარულ კორდონს“ მმართველად ეყოლებიან მარიონეტული ზედამხედველები, ეს ქვეყნები მთლიანად დაკარგავენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ხოლო მათი მოსახლეობის უსაფრთხოება ყოველთვის იქნება კონტინენტური მეზობლების საფრთხის წინაშე, რომლებიც არ დააყოვნებენ სამაგიეროს გადახდას.

ამგვარად, „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნებისათვის „სანიტარულ კორდონად“ გადაქცევის პერსპექტივა დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნასახის დაკარგვას ნიშნავს, რადგან „სანიტარული ფინია“, „კონტინენტური სპილოს“ გაღიზიანების საფასურად, ოკეანის გაღმელი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შეფებისაგან სრულ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ მონობას მიიღებს (ამას ისიც დაემატება, რომ არ დააყოვნებს „სპილოს“ სრულიად კანონიერი რეაქცია უახლოეს მომავალში).

„სანიტარული კორდონის“ პერსპექტივა „ახლო საზღვარგარეთის“ დასავლეთის ქვეყნების მიმართ ნათელია. მისი ფორმულაა — „არც გერმანია, არც რუსეთი“ (ანუ არც შუა ევროპა, არც ევრაზია“). იმის გამო, რომ გერმანია, როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ძალა, დღეს მომავლის საქმეა, ამიტომ მართებული იქნება ვივარაუდოთ, რომ „ახლო საზღვარგარეთის“ დასავლეთი ქვეყნების დამოუკიდებლობაში (სუვერენიტეტში) იგულისხმება მონდიალიზმისა და ამერიკანიზმის სამსახურში გადასვლა. სხვა სიტყვებით, „ახლო საზღვარგარეთის“ დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც მართლაც „დამოუკიდებლობისაკენ“ მიისწრაფვიან, შეგნებულად ირჩევენ აშშ-ს სამსახურში მყოფი „სანიტარული კორდონის“ როლს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც გერმანიასთან, ტრადიციულად, საკმაოდ მტრული დამოკიდებულება აქვთ.

„ახლო საზღვარგარეთის“ „სანიტარული კორდონის“ ქვეყნები, შუა ევროპის გვერდის ავლით, დასავლეთთან (დასავლეთ ევროპასთან) შედიან ალიანსში. ეს კი მონდიალისტური, ატლანტიკური ორიენტაციის ყველაზე აშკარა გამოვლინებას წარმოადგენს.

იგივე შეიძლება ითქვას „ახლო საზღვარგარეთის“ აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებაც, მაგრამ მათი გეოპოლიტიკური პერსპექტივის შესაბამისი გაგებისათვის საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ აღმოსავლეთში არსებული გეოპოლიტიკურ ძალთა განლაგება.

## 3.11. აზია არჩევანის წინაშე

აღმოსავლეთში არსებობენ სერიოზული გეოპოლიტიკური ძალები, რომელთაც შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ დიდ სივრცეებად ჩამოყალიბებაზე. ესენია — ჩინეთი, ირანი, თურქეთი და არაბული სამყარო. მოკლედ

მიმოვიხილოთ თითოეული დიდი სივრცის დამოკიდებულება „ახლო საზღვარგარეთის“ აღმოსავლეთ ქვეყნების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის გეოპოლიტიკა წარმოადგენს განსაკუთრებულ თემას, რომლის გაშუქებისათვის საკმარისი არ არის რამდენიმე ფრაზა. ვინაიდან აღმოსავლეთის „ახლო საზღვარგარეთი“ ისლამის გავრცელების რეგიონია, ჩინეთთან ერთიანი დიდი სივრცის ჩამოყალიბების პერსპექტივა ისლამური გეოპოლიტიკური კოალიციების შესაძლებლობების წინაშე მეორეხარისხოვანი ხდება. ყოველ შემთხვევაში ასეთი ვითარებაა ამჟამად, რაც, სხვათაშორის, უახლოეს მომავალში არ გამორიცხავს ჩინეთის ინტეგრაციული ფაქტორის მკვეთრ გააქტიურებას.

„ახლო საზღვარგარეთის“ აღმოსავლეთ ქვეყნებში ისლამური სამყაროს ფარგლებში მოქმედებს გლობალური პერსპექტივის მქონე სამი გეოპოლიტიკური ფაქტორი. ამასთან, ყველა ფაქტორს აქვს მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური თავისებურებები, ესენია: კონტინენტურ-ისლამური (რევოლუციური ირანი); საერო, ატლანტიკური (პროფანულ-ნაციონალისტური თურქეთი); ისლამის არაბული, „საუდური“, თეოკრატიული ფორმა. არაბულ სამყაროში არის სხვა გეოპოლიტიკური შესაძლებლობებიც (ერაყი, სირია, ლიბია), მაგრამ, ამჟამად, ვერცერთი მათგანი ვერ აცხადებს პრეტენზიას დიდი, გამაერთიანებელი სივრცის როლზე შუა აზიის ქვეყნების მიმართ. საუდის არაბეთზე ორიენტაცია პირობითად და გეოპოლიტიკურად შეიძლება გავუთანაბროთ „არაბულ (არასოციალისტურ) ისლამზე“ ორიენტაციას.

„ახლო საზღვარგარეთის“ აღმოსავლეთ ქვეყნებს (აზიური ბლოკის ფარგლებში) აქვთ გეოპოლიტიკური გაერთიანების სამი შესაძლებლობა.



**მაჰმადიანური სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ორიენტაცია.**

ანტიატლანტიკური წყობა;

პროატლანტიკური წყობა;

გარკვეული გეოპოლიტიკური მიმართულების ქვეყნები.

## 3.12. „ისლამური რევოლუციის“ კონტინენტური პერსპექტივები

ამჟამად ირანი ის უნიკალური ქვეყანაა, რომელიც აზიაში ისეთივე როლს ასრულებს, რასაც შუა ევროპა დასავლეთში. ნიშანდობლივია, რომ ირანელები თავიანთ თავს მკვეთრად მიჯნავენ, როგორც დასავლეთისაგან, ასევე აღმოსავლეთისაგან. „დასავლეთში“ ისინი გულისხმობენ „ევროპის პროფანულ[21], მონდიალისტურ ცივილიზაციას“, „აღმოსავლეთში“ კი „ინდოეთს, ჩინეთს და... რუსეთს“.

ირანული ისლამი წარმოადგენს დინამიურ და მძლავრ ძალას, რომელსაც გააჩნია აშკარა ანტიმონდიალისტური მიმართულება და პრეტენზიები საყოველთაო მსოფლიო ისლამურ რევოლუციაზე. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ირანი არის აშკარად კონტინენტური სახელმწიფო, რომელსაც ყველა შანსი აქვს (სტრატეგიულად, ეკონომიკურად და იდეოლოგიურად), რათა მსხვილი ევრაზიული ბლოკის ბირთვად იქცეს.

ირანული ორიენტაციის კავკასიისა და შუააზიის ქვეყნებს (უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანს თავისი ნავთობით და გიგანტურ ბირთვულ ყაზახეთს) თავისუფლად შეუძლიათ შექმნან ნამდვილი კონტინენტური სუვერენიტეტის წინამძღვრები. პროირანული კოალიცია იქნება შუა ევროპის შუააზიური ანალოგი (შეადარეთ, შუა აზია — შუა ევროპა), ვინაიდან ამ კონტინენტური რეგიონების ისტორიული პრეცენდენტები, იდეოლოგიური პრინციპები და კულტურულ-რელიგიური ერთგვაროვნება აღნიშნული სივრცეების სიმტკიცისა და ეფექტურობის საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ პროირანული „დიდი სივრცე“ პოტენციურად მოიცავს ავღანეთსა და პაკისტანს, რის შედეგადაც ირანს, ტაჯიკეთსა და უზბეკეთთან უწყვეტი ტერიტორიული ზოლი დააკავშირებს. თურქმენეთთან კი მას უშუალო საზღვარი აქვს.

## 3.13. „პანთურქიზმის“ მახე

სრულიად განსხვავებული ხასიათი აქვს თურქეთზე ორიენტაციას, რომელიც ხშირად თან ახლავს „პანთურქიზმი“ („ახლო საზღვარგარეთის“ შუაზიელი ხალხები ძირითადად თურქული წარმოშობის არიან).

თურქეთი, როგორც სახელმწიფო, აღმოცენდა ოსმალური იმპერიის ადგილას. თურქეთი ამ დიდი იმპერიის პაროდიაა. მრავალი ცენტრის მქონე და მრავალეროვნული ისლამური, იმპერიული სტრუქტურის ნაცვლად ქემალ ათათურქმა[22] შექმნა ფრანგული ერი-სახელმწიფოს (Etat-Nation) აღმოსავლური ვარიანტი საერო, ათეისტური, პროფანული და ნაციონალისტური წყობით. თურქეთი იყო აღმოსავლეთის პირველი სახელმწიფო, რომელმაც გაწყვიტა კავშირი თავის სულიერ, რელიგიურ და გეოპოლიტიკურ ტრადიციებთან. თურქეთი, რომელიც დღეს ნატოს წევრია, ატლანტიზმისა და მონდიალიზმის აღმოსავლეთის ფორპოსტს წარმოადგენს, იგი არის „სანიტარული კორდონი“ აზიურ აღმოსავლეთსა და არაბულ სამყაროს შორის. თურქეთის მიერ შემოთავაზებული გეოპოლიტიკური მოდელის მიღება ნიშნავს ინტეგრაციას ათეისტურ, მონდიალისტურ ცივილიზაციასა და დასავლურ სამყაროსთან.

იმის გამო, რომ თურქეთი, რომელიც მიისწრაფვის „ევროპისაკენ", მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ აშშ-ს „პოლიტიკურ-იდეოლოგიური" კოლონიაა და არა ევროპული დიდი სივრცის ჰეშმარიტი წევრი (რაც შუა ევროპაში თურქეთის გაერთიანების თეორიულად განხილვის შესაძლებლობას მაინც მოგვცემდა), ამიტომ თურქული ორიენტაცია ნიშნავს „ახლო საზღვარგარეთის" ქვეყნების მონდიალისტურ პროექტში ჩართვას „სანიტარული კორდონის" უფლებით, „კოლონიური საფენის" სახით, ევრაზიის აღმოსავლეთ კონტინენტურ მასასა (ირანი, ჩინეთი და ინდოეთი) და ფეთქებადსაშიშ არაბულ სამყაროს შორის, რომელიც ყოველთვის მონდიალისტური, მარიონეტული ხელმძღვანელობის უღლის გადაგდებას ცდილობს.

თურქეთის გზა, ესაა ატლანტიკური ზესახელმწიფოს სამსახურისა და „მსოფლიო მთავრობის" ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მსოფლიო დიდი სივრცის მონდიალისტური მოდელის მიღების გზა. შეიძლება შეგვედაონ, რომ თურქეთის მიერ გათამაშებულ „პანთურქიზმს" გარეგნულად ტრადიციული სახე აქვს. ეს ნაწილობრივ ასეა და თურქული პროპაგანდის მიერ აქტიურად მუშავდება „იაკუტიიდან სარაევომდე დიდი თურქეთის" შექმნის პროექტი. ეს პროექტი სერიოზულად შეიძლება აღქმული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელი თურქეთი რადიკალურად შეცვლის თავის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ კურსს. არც მეტი არც ნაკლები, ეს ნიშნავს რევოლუციას და გეოპოლიტიკური ინტერესების 180°-ით შემობრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შესაძლებლობა არაა გამორიცხული, მისი განხორციელება უახლოეს მომავალში ნაკლებადაა მოსალოდნელი. სამაგიეროდ ამგვარი პერსპექტივის დღევანდელმა პროპაგანდამ შეიძლება გამოიღოს საკმაოდ კონკრეტული გეოპოლიტიკური შედეგები და „ახლო საზღვარგარეთის" აღმოსავლეთ ქვეყნებმა, ირანის ნაცვლად აირჩიონ საზოგადოების საერო, ათეისტური მოდელი და პროატლანტურ „სანიტარულ კორდონში" გაერთიანება.

„პანთურქიზმი" ისეთივე ბუნდოვანი და გაუგებარია, როგორც „პანსლავიზმი" ან „პანგერმანიზმი", ანუ როგორც ყველა იდეოლოგია, რომელიც ეროვნულ ნიშან-თვისებებს სახელმწიფოებისა და ხალხების გეოპოლიტიკურ, სივრცულ და რელიგიურ ინტერესებზე მაღლა აყენებს.

## 3.14. ნავთობდოლარები და მონდიალიზმი

არაბული ისლამისა და ისლამური თეოკრატიის ბურჯი — საუდის არაბეთი — იდეოლოგიურ დონეზე წარმოადგენს ავტორიტარული, მორალური და „პურიტანული" მაჰმადიანობის განსაკუთრებულ „ვაჰაბიტურ" მოდელს, რომელიც ტიპოლოგიურად ძალზე ახლოს დგას ქრისტიანობის პროტესტანტულ ფორმებთან. აღმოსავლურ-აზიური ჰვრეტა, ასკეტიზმი და რელიგიური პასიონარობა აქ შეცვლილია რიტუალიზმითა და გაბატონებული საერთო ეთიკით. მაჰმადიანი ფუნდამენტალისტის ჰეიდარ ჯემალის შენიშვნით „თავისი დღევანდელი მდგომარეობით საუდის არაბეთი ეწინააღმდეგება „კონტინენტურ ისლამურ" სამყაროს". გეოპოლიტიკურად ვაჰაბიტური საუდის არაბეთის ინტერესები სრულიად ემთხვევა მონდიალისტური პროექტის არსებულ ვერსიას, ვინაიდან ამ ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო კეთილდღეობა ეყრდნობა

აშშ-ს მხარდაჭერას, რომელიც იცავს საუდის არაბეთის მეფეთა დინასტიურ ინტერესებს სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში. სამხედრო მხარდაჭერის მაგალითია ომი ერაყის წინააღმდეგ. ეკონომიკური „მხარდაჭერა" კი შემდეგში მდგომარეობს: საუდის არაბეთის მთელი ეკონომიკა დამყარებულია ნავთობზე, მთელი არაბული ნავთობი მსოფლიო ბაზარზე, ტრადიციულად, ინგლისისა და აშშ-ს გავლით ხვდება. ევრაზიული საბადოების დამუშავება და ათვისება კონკურენციას გაუწევს საუდის არაბეთს, გაამდიდრებს ევრაზიულ სახელმწიფოებს, ხოლო ევროპასა და იაპონიას გაათავისუფლებს აშშ-ს გავლენისაგან. ამგვარად, აშშ-ს (რომელიც ევროპის ეკონომიკას არაბული ნავთობის კონტროლის მეშვეობით მართავს) და საუდის არაბეთის მეფეებს (რომლებიც თავიანთ ეკონომიკას ამერიკულ ნავთობდოლარებზე აფუძნებენ) ერთი და იგივე ინტერესები აქვთ.

საუდის არაბეთის ვაჰაბიტური თეოკრატია ბევრჯერ იქცა არაბული „დიდი სივრცის" შექმნის დამბრკოლებლად, რადგან ეს ეწინააღმდეგება როგორც დინასტიის, ასევე, ატლანტისტების ინტერესებს. არაბებს უფრო მეტი საფუძველი აქვთ უფრთხოდნენ ევრაზიის კონტინენტის დიდ ისლამურ სივრცეს. რევოლუციურ ირანს, საუდის არაბეთში, ნომერ პირველ იდეოლოგიურ მტრად მიიჩნევენ. ამგვარად, საუდის არაბეთის გეოპოლიტიკური ინტერესები „ახლო საზღვარგარეთის" აღმოსავლეთის ქვეყნებში ეწინააღმდეგება აზიის დიდი ისლამური სივრცის შექმნას ე. ი. არაბულ-ისლამური ინტეგრაციის გზა „ვაჰაბიტური" დროშის ქვეშ ნიშნავს „ახლო საზღვარგარეთის" აღმოსავლეთ ქვეყნების მონდიალისტურ პროექტში ჩართვას (ოღონდ ეს იქნება მონდიალისტური პროექტის არა „პანთურქიზმის" საერო-ნაციონალისტური, არამედ მორალურ-თეოკრატიული ვერსია). გარკვეულწილად, ეს გზა იგივეა, რაც „სანიტარულ კორდონში" ჩართვა. ამ შემთხვევაში „საცდური" იქნება არა ნაციონალიზმი, არამედ რელიგიური ფაქტორი (და ფული).

ამ მოსაზრებათა შეჯამების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ „ახლო საზღვარგარეთის" აღმოსავლეთ ქვეყნებს ახალი დიდი სივრცის შესაქმნელად მხოლოდ ერთი გზა აქვთ, ეს არის „ისლამური რევოლუციის" გზა, რომელიც თეირანზე გადის. მხოლოდ ამ დროს შეიძლება შეწყდეს ეროვნული კონფლიქტები და განხორციელდეს რელიგიური ტრადიციებისა და წყობის რესტავრაცია. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ეს მოასწავებს მძლავრი კონტინენტური ბლოკის შექმნას, რომელიც თავისუფლად შესძლებს დაუპირისპირდეს მონდიალისტურ პროექტებს ამ რეგიონში. უფრო მეტიც, ასეთი მიმართულებით გადადგმული პირველივე ნაბიჯები არაბულ სამყაროში ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს, რაც მონდიალისტებს მთელ ისლამურ სამყაროზე კონტროლის დაკარგვის საფრთხეს შეუქმნის. გარდა ამისა, ასეთი გეოპოლიტიკური კავშირი აუცილებლად გამოაღვიძებს შუა ევროპის (ირანის ბუნებრივ და მთავარ მოკავშირეს დასავლეთში) და რუსეთ-ევრაზიის ანტიმონდიალისტურ ძალებს.

## 3.15. მინიმუმ ორი პოლუსი ან... სიკვდილი

თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებაში მეტისმეტად მწვავედ დგას საკითხი: ან „ახალი მსოფლიო წესრიგი" აშშ-ს ხელმძღვანელობით, სადაც

ყველა სახელმწიფო და ხალხი მონდიალისტური ტექნოკრატიული, ათეისტურ-ვაჭრული, „დისნეი-ლენდური", კოსმოპოლიტური მოდელის უსახო და მორჩილი „ჭანჭიკი" იქნება, ან ატლანტიზმისა და მონდიალიზმის წინააღმდეგ გეოპოლიტიკური ოპოზიციის დაუყოვნებელი შექმნა და პოტენციური ანტიმონდიალისტური, ტრადიციული და ნიადაგის ხალხებისა და სახელმწიფოების ალტერნატიული ბლოკის (ან ბლოკების) ჩამოყალიბება. დღეისათვის ვითარება იმდენად კრიტიკულია, რომ თითქმის შეუძლებელია რაიმე სახით ან რაიმე ნიშნით ასეთი ალტერნატიული „დიდი სივრცის" აღმოცენება. თუ იგი წარმოიქმნება და ნამდვილად დაუპირისპირდება მონდიალიზმს, ეს მცირედიც კი საკმარისი იქნება იმისათვის, რათა გაფართოვდეს, გამრავლდეს და გამრავალფეროვნდეს გეოპოლიტიკური ალტერნატივები, რათა ამაღლდეს შინაგანი თავისუფლების ხარისხი ანტიმონდიალისტური ოპოზიციის ფარგლებში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აშშ-ს „**მთავარი ამოცანაა, არ დაუშვას (ნებისმიერი სახის) გეოპოლიტიკური ალტერნატივის აღმოცენება**". აქედან გამომდინარე, ყველა ანტიმონდიალისტური ძალის „**მთავარი ამოცანაა, გეოპოლიტიკური ალტერნატივის შექმნა**" (რა სახისაც არ უნდა იყოს იგი).

ამჟამად, ვითარება იმდენად სერიოზულია, რომ აღარ დგას „კარგსა" და „საუკეთესოს" შორის არჩევანის საკითხი. კარგი იქნება თუ რუსეთი შესძლებს აღიდგინოს გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობა და გათავისუფლდეს ატლანტური გავლენისაგან. ასეთ შემთხვევაში, „ახლო საზღვარგარეთის" ქვეყნებს გაუჩნდებათ შესანიშნავი შესაძლებლობა, ისევ შევიდნენ „რუსეთის ევრაზიაში", ამჯერად ნეგატიური, ბუნდოვანი იდეოლოგიის — მარქსიზმის გარეშე. გარდა ამისა, „ახლო საზღვარგარეთის" ქვეყნების ნებაყოფლობითი და შეგნებული დაბრუნება ამ სივრცეში იქნება მომავალი კულტურული, რელიგიური, ენობრივი, ეკონომიკური და, შესაძლოა, პოლიტიკური (მაგრამ არა სახელმწიფოებრივი) ავტონომიის გარანტი. ეს იქნება საუკეთესო და ყველაზე მარტივი ვარიანტი. ამ გარდამავალ, კატასტროფულ პერიოდში მონდიალისტთა ნამდვილი კოლონიური მიზნების გაშიშვლება რუსეთ-ევრაზიის მოკავშირეებისა და სატელიტების რიცხვის გაზრდის უეჭველი წინაპირობა იქნება (როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთით).

თუ ეს არ მოხდება, მაშინ ანტიმონდიალისტური გეოპოლიტიკური პროექტის დეტონატორად შეიძლება იქცეს სხვა დიდი სივრცე — ან შუა ევროპა გერმანიის დროშის ქვეშ, ან „ისლამური რევოლუციის" ნიშნით გაერთიანებული შუა აზია. არსებობს, აგრეთვე, არაბულ სამყაროსა და ლათინურ ამერიკაში ანტიმონდიალისტური აჯანყების პერსპექტივა, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით, ეს პოტენციური დიდი სივრცეები საკმარისად არ არიან აღჭურვილნი იმისათვის, რათა კონკურენცია გაუწიონ ზესახელმწიფოს.

„ახლო საზღვარგარეთის" ქვეყნებისათვის პოტენციური დიდი სივრცის არსებობა ცენტრალური და სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს. დღეს ყველაფერი — ერი, რელიგია, კულტურა, თავისუფლება, კეთილდღეობა და უსაფრთხოება — დამოკიდებულია მომავალი გეოპოლიტიკური ორიენტაციის არჩევაზე. დღეს ყველა ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ მონდიალისტური მოდელის მიღება ნიშნავს სახელმწიფოებისა და ერების დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობისა, და ისტორიული სახის სრულ და საბოლოო განადგურებას, ეროვნული ისტორიის აღსასრულს.

# თავი 4. სამოქალაქო ომის პერსპექტივები

## 4.1. ეროვნული ინტერესები და მონდიალისტური ლობი

რუსეთში სულ უფრო აქტიური ხდება შესაძლო სამოქალაქო ომის საკითხი. ამიტომ აუცილებელია ამ საჭირბოროტო საკითხის ანალიტიკური თვალსაზრისით შესწავლა.

ამ საკითხის, ისევე, როგორც ერისა და სახელმწიფოს პოლიტიკური ყოფის ყველა უმნიშვნელოვანესი ასპექტების განხილვა, უნდა დავიწყოთ თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარების ზოგადი საზღვრების განმსაზღვრელი პრინციპული მომენტების შეხსენებით. სახელმწიფოს და ერის არსებობის მთავარ მოთხოვნას სუვერენულობის, დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს. ეროვნული სუვერენულობის მოთხოვნა ეროვნული ინტერესების სინონიმია. რუსეთსა და რუს ხალხს (მსოფლიო პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით) საკუთარი, უნიკალური ადგილი და დანიშნულება აქვს. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისიის თავისუფალი და სრული აღსრულება წარმოადგენს ხალხის, ამ ორგანული ერთობის, არსებობის მთავარი არსს.

მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ განსაკუთრებულ ეპოქაში, სადაც სახელმწიფოს შიდა ეროვნული პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მის საგარეო პოლიტიკურ ვითარებასთან. შესაძლოა ისტორიაში ჯერ არც კი ყოფილა ისეთი ძლიერი და ისეთი მუდმივი გარე ზეწოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებზე, როგორიც ახლა. უფრო მეტიც, თანამედროვე დასავლეთის მმართველი, პრივილეგირებული ჯგუფების ლამის ყველაზე მთავარ დოქტრინად მონდიალიზმის თეორია იქცა, ანუ მთელ მსოფლიოში ადამიანთა ცხოვრების მოწყობის ისეთი წესი, რომელშიც არ არსებობს არავითარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, სუვერენიტეტი და ეროვნული ინტერესები. მსოფლიო მონდიალისტური თანამეგობრობის ხელმძღვანელად აღიარებულია კოსმოპოლიტური ზედა ფენა, რომელსაც უნდა მართავდეს არა საზოგადოებები, არამედ ერთეული ადამიანების მათემატიკური კრებული. მაშასადამე, მონდიალისტური თეორია თავიდანვე მიმართულია ნებისმიერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმაციების წინააღმდეგ. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ერებად და სახელმწიფოებად დაყოფილი ძველი ტრადიციული სამყაროს მოსპობა და ისეთი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარება, რომელიც უარყოფს ისტორიული და ორგანული საზოგადოებრივ-სოციალური წარმონაქმნების ყოველგვარ ფორმას.

მონდიალიზმი, ბუნებრივია, მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ არაა მიმართული (სხვა ერები და სახელმწიფოებიც, აგრეთვე, დაბრკოლებას წარმოადგენს ამ პროექტისთვის), მაგრამ უკანასკნელ დრომდე სწორედ რუსეთი, ეს მძლავრი გეოპოლიტიკური წარმონაქმნი წარმოადგენდა იმ ძირითად ბასტიონს, რომელიც ხელს უშლიდა მონდიალისტური კონტროლის თანდათანობით გავრცელებას დასავლეთიდან მთელს მსოფლიოზე. საბჭოთა სისტემა, ნაწილობრივ, ატარებდა მონდიალისტურ შტრიხებს და დასავლეთელი მონდიალისტების ერთ-ერთი პროექტი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ საერთო, მსოფლიო,

სისტემაში საბჭოთა კავშირს თანდათანობით, „ევოლუციურ“ ჩართვას გულისხმობდა. მსოფლიოს გაერთიანების ეს ცნობილი თეორია წარმოადგენდა იმ ძალების მთავარ მიზანს, რომელთაც წამოიწყეს კიდეც პერესტროიკა. რუსეთის „მონდიალიზმის“ მსუბუქი ფორმა, ამა თუ იმ მიზეზების გამო ვერ ამოქმედდა და ამის შემდეგ მონდიალისტურმა პოლიტიკამ რუსეთის მიმართ აგრესიული ზეწოლის და აშკარა ძირგამომთხრელი ქმედების სახე მიიღო. საბჭოთა კავშირის უეცარმა და უსწრაფესმა დაშლამ „კონვერგენციის“ მომხრეებს დაუკარგა მართვის ბერკეტები და მონდიალისტური პოლიტიკა გადავიდა აშკარა აგრესიულ და რუსოფობიულ ფორმებზე.

რუსეთში არსებული თანამედროვე ვითარების მთავარი განმსაზღვრელი მონდიალიზმია. თუ ადრე გარე ზემოქმედება რუსეთზე ხორციელდებოდა სხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების მხრიდან, რომლებიც მიისწრაფოდნენ შეესუსტებინათ რუსული სახელმწიფოს ძლიერება ან ცდილობდნენ მის ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო კონფლიქტებში თავის სასარგებლოდ. თუ ადრე რუსეთის პოტენციური მოწინააღმდეგეები (ფარული თუ აშკარა) იყვნენ ის გეოპოლიტიკური ძალები, რომლებიც თავიანთი სტრუქტურით ფაქტიურად მისი მსგავსნი იყვნენ, სამაგიეროდ დღეისათვის მთავარ საგარეო ფაქტორად იქცა ზეწოლის განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც არ გააჩნია არავითარი მკაფიო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ან გეოპოლიტიკური მოხაზულობა და წარმოადგენს ზეეროვნულ, გლობალურ უტოპიურ სოციალურ-პოლიტიკურ პროექტს, რომლის უკანაც დგანან გიგანტური ეკონომიკურ-პოლიტიკური ძალის მქონე უხილავი მანიპულატორები. რა თქმა უნდა, ტრადიციული გარეპოლიტიკური ფაქტორები, ასევე, განაგრძობენ მოქმედებას (მონდიალისტური პროექტი სრულად ჯერ კიდევ ვერ განხორციელდა), მაგრამ მათი მნიშვნელობა და წონა ფერმკრთალდება მონდიალისტური ზეწოლის ტოტალურობასთან შედარებით. მაგალითად, რუსეთის ურთიერთობები გერმანიასთან, იაპონიასა და ჩინეთთან დღეს წარმოადგენს არა ორი მხარის,ორამედ, სულ მცირე, სამი მხარის (რუსეთის, სხვა ქვეყნის და მსოფლიო მონდიალისტური ლობის) ინტერესების სფეროს. ამ დროს ყველაზე ხშირად სწორედ „მესამე ძალა“ ანუ მონდიალიზმი ასრულებს გადამწყვეტ როლს, ვინაიდან მისი ზემოქმედების საშუალებები და გავლენის სტრუქტურები შეუდარებლად გამართული და მოქნილია, ვიდრე რუსეთის შესაბამისი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების, „არქაული“ მექანიზმები.

ამგვარად, რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი ელემენტი, რომლებიც დგანან ამა თუ იმ გადაწყვეტილებათა მიღების, ამა თუ იმ პროცესების მართვის, რუსეთის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების ამა თუ იმ ორიენტაციის განსაზღვრის უკან. ესენია: მონდიალისტური „გავლენის აგენტები“ და ჯგუფები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ორივე პოლუსი ერთმანეთს უპირისპირდება მთავარ საკითხში, ერთნი მიისწრაფვიან რუსეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ავტარკიულობის შემცირებისაკენ (მის სრულ გაუქმებამდე „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მონდიალისტურ კოსმოპოლიტიკურ კონტექსტში), მეორენი, პირიქით, ცდილობენ განამტკიცონ, გააძლიერონ და

გააფართოვონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ესწრაფვიან ერის გამოყვანას მსოფლიო მონდიალისტური სტრუქტურიდან, რომელიც მიმართულია ნებისმერი სრულფასოვანი ავტარკიული საზოგადოების არსებობის წინააღმდეგ. ეს ორი პოლუსი პოლიტიკაში წმინდა სახით, თითქმის, არასდროს გვხვდება, სახელისუფლო სტრუქტურების უმრავლესობა წარმოადგენს შერეულ სისტემას და ორივე ტენდენცია ერთმანეთის გვერდით არსებობს. მიუხედავად ამისა, სწორედ ეს ორი პოლუსი განსაზღვრავს იმ ძირითად ძალისმიერ ტენდენციებს, რომლებიც ერთმანეთთან მუდმივ და სრულ წინააღმდეგობაში იმყოფებიან. ეს დაპირისპირება შენიღბულია პოლიტიკოსების კომპრომისებით, გულუბრყვილობით, ახლომხედველობით ან კორუმპირებულობით.

ამგვარად, რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში ჩვენ გამოვყავით ორი პოლუსი. მათ შეესაბამება ორი განსხვავებული თვალსაზრისი რუსეთში მოსალოდნელ სამოქალაქო ომზე. საბოლოოდ, სწორედ ეს ორი ძალა იქცევა პოტენციური კონფლიქტის ძირითად სუბიექტებად, ძირითად მოწინააღმდეგეებად და ძირითად მხარეებად. თუმცა შეიძლება, მათი დაპირისპირება შეინიღბოს როლების მეტად რთული და დახლართული განაწილებით. რუსეთის პირველი სამოქალაქო ომის მაგალითმა აჩვენა, რომ ამ შემთხვევაში რუსეთის ეროვნული და ანტიეროვნული ძალები მოქმედებდნენ არა საკუთარი, არამედ სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაციების რთული და წინააღმდეგობრივი სისტემის სახელითა, რომელთა მიღმა გეოპოლიტიკური მოტივები და ტენდენციები იმალებოდა. იმისათვის, რომ აღარ განმეორდეს წარსულის შეცდომები, აუცილებელია ობიექტურად გაანალიზდეს (ყოველგვარი პოლიტიკური და იდეოლოგიური სიმპათიების უარყოფით) ახალი სამოქალაქო ომის საშინელი პერსპექტივა.

## 4.2. ძალთა განლაგების ვარიანტები

გამოვყოთ რუსეთის სამოქალაქო ომის ძირითადი სიუჟეტები, განვსაზღვროთ მოქმედი ძალები, უშუალო მოტივები და განვიხილოთ მიახლოებითი ვარიანტები.

1) სამოქალაქო ომის პირველი (და ყველაზე ნაკლებად სავარაუდო) ვარიანტი შეიძლება განვითარდეს დაპირისპირების შემდეგი ხაზით: **ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძალები მონდიალისტური ლობის წინააღმდეგ.**

როლების ამგვარი განაწილება საკმაოდ ლოგიკური იქნება, თუ გავითვალისწინებთ ორივე ძირითადი მიმართულების ერთმანეთთან სრულ შეუთავსებლობას. მონდიალისტები ყოველნაირად ცდილობენ შეასუსტონ რუსეთის სუვერენულობა, ძირი გამოუთხარონ მის ეკონომიკურ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და დაუქვემდებარონ იგი მბართველ კოსმოპოლიტურ მონდიალისტურ, პრივილეგირებულ ჯგუფებს, ჩამოართვან მას ეროვნული მისიის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა. ნაციონალისტებსა და სახელმწიფოებრიობის მომხრეებს, პირიქით, სურთ ავტარკიის განმტკიცება, მაქსიმალური პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სოციალ-ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის მიღწევა. ბუნებრივია, რომ ამ ორი ტენდენციის მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია, რადგან ისინი ყველაფერში ერთმანეთს უპირისპირდებიან.

სამოქალაქო ომის ასეთი ვარიანტი (კოსმოპოლიტები ნაციონალისტების

წინააღმდეგ) საერთოდ ვერ შესძლებს მიიღოს საყოველთაო და სახალხო ხასიათი, ვინაიდან მონდიალისტურ იდეოლოგიას პრინციპულად არ შეუძლია მასებში ჩანერგოს ფანატიზმი და თავისი იდეალების დასაცავად გამოიყვანოს ხალხის რაიმე მნიშვნელოვანი ნაწილი. მშვიდობიან პირობებში ინერციულობა, გულგრილობა და პასიურობა შეიძლება მონდიალისტების დამბმარე ფაქტორად იქცეს, მაგრამ სისხლიანი კონფლიქტების, მკვლელობებისა და სროლების შემთხვევაში აუცილებელია კაცობრიობის ფსიქიკის უფრო ღრმა ფენებისადმი მიმართვა, აუცილებელია ფანატიზმი და თავგანწირვა. ნაციონალისტებს კი, პირიქით, მონდიალისტებთან ღია და საყოველთაო სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეთ, თუ, რა თქმა უნდა, კონფლიქტი შეიძენს საერთო ეროვნულ ხასიათს და ლოკალიზებული არ იქნება მონდიალისტების ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ცენტრებში.

„**მონდიალისტები — ნაციონალისტები**" ამ სცენარის მიხედვით მოქმედი სამოქალაქო ომი არავითარ შემთხვევაში არ გადაიქცევა ჭეშმარიტ და ტოტალურ სამოქალაქო ომად, იმის გამო, რომ მონდიალისტებს წმინდა სახით არ გააჩნიათ და არც ექნებათ ისეთი იდეოლოგიურად მტკიცედ შედუღაბებული და პოლიტიკურად მყარი საფუძველი, რომლის საშუალებითაც ისინი შესძლებენ მასების დარაზმვას ნაციონალისტების წინააღმდეგ. თუ ასეთი კონფლიქტი მაინც გაჩაღდა, მისი დასასრული სწრაფი და აშკარა იქნება: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძალები სწრაფად გაანადგურებს ხალხთა პატრიოტული იდეების წინააღმდეგ გამოსულ ანტიეროვნულ ლობს. ასეთი სამოქალაქო ომი ძალზე ხანმოკლე და თითქმის უსისხლო იქნება, მონდიალისტების განადგურების შემდეგ ლიკვიდირებული იქნება კონფლიქტის შიდა სათავე, ხოლო სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება ზუსტად ეროვნული ინტერესების ფარგლებში განვითარდება, სწორედ ისე, როგორც ეს ხდებოდა ტრადიციულ სახელმწიფოებსა და ერებში.

მონდიალისტური ლობი საეჭვოა, რომ არ გრძნობდეს საკუთარ მდგომარეობას და ამგვარი სცენარის თვითმკვლელურ ხასიათს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ყოველნაირად ეცდება, თავი აარიდოს მოვლენათა ამგვარ მსვლელობას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ვარიანტის განხორციელება თითქმის დაუჯერებლია.

2) სამოქალაქო ომის მეორე ვარიანტი გამოიხატება ფორმულით „**რუსეთის ფედერაცია ახლო საზღვარგარეთის (ან რამდენიმე) რესპუბლიკის წინააღმდეგ**". ასეთი ვითარება შეიძლება ჩამოყალიბდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოებში, იქ არსებული უკიდურესი უწესრიგობის გამო. ეს სახელმწიფოები (რომელთა უმრავლესობას არ გააჩნია მყარი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ტრადიციები და შექმნილია სრულიად თვითნებური საზღვრებით, რომლებიც არ ემთხვევა ეთნიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და რელიგიურ ტერიტორიებს) აუცილებლად ჩათრეულნი აღმოჩნდებიან ღრმა საგარეო და საშინაო კრიზისში. **ისინი ვერ შესძლებენ ნამდვილი სუვერენიტეტის მოპოვებას, ვინაიდან მათი სტრატეგიული შესაძლებლობები გარედან დახმარების გარეშე არ იძლევა საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას.** ამ ქვეყნებში გარდაუვალია პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემების კრახი, რაც აუცილე-

ბლად მოახდენს გავლენას მათ დამოკიდებლებაზე რუსული (ან პრორუსული ორიენტაციის) მოსახლეობისა და თვით რუსეთის მიმართ.

ამ შემთხვევაში, ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ რუსეთი სწორედ მათი მხრიდან მიიღებს გამოწვევას. რუსეთის ფედერაცია იძულებული იქნება უპასუხოს ამ გამოწვევას აგრესიულობის შესაბამისი ხარისხით. ამ პროცესს, ალბათ, ჯაჭვური ხასიათი ექნება, ვინაიდან რუსეთში არსებული ეთნიკური ან ტერიტორიული წინააღმდეგობები და მათი მოსალოდნელი აფეთქება აუცილებლად გადაედება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს.

ცხადია, რომ რუსეთის ეროვნული ინტერესები და მის (აგრეთვე, ახალი რესპუბლიკების) შიგნით არსებული მონდიალისტური ლობის ინტერესები ამ შემთხვევაში ერთმანეთს უშუალოდ და ღიად არ შეეჯახება. ამ ომში რუსეთის ძირითადი მოწინააღმდეგეები მისი უშუალო მეზობლები იქნებიან, ამასთან აუცილებული არაა, მონდიალისტურმა ლობმა მაინცდამაინც რუსეთის ფედერაციის დამარცხება დაისახოს მიზნად. ასეთი კონფლიქტი, რომელსაც ამერიკელი სტრატეგები „მცირე ინტენსივობის (ხშირად „საშუალო (!) ინტენსივობის") ომებად" ნათლავენ, სრულიად დააკმაყოფილებს მონდიალისტური ლობის ინტერესებს, თუ იგი გამოიწვევს რუსეთისა და, ზოგადად, ევრაზიის სტრატეგიული და გეოპოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციას, თუ გადააქცევს მას ლოკალურ, გაჭიანურებულ და უაზრო კონფლიქტად. ასევე შესაძლებელია არ განხორციელდეს რუსეთის ეროვნული ინტერესები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამოქალაქო ომი პატრიოტული და ეროვნული ლოზუნგების ქვეშ წარიმართება. რუსეთის შეიარაღებული კონფლიქტები მეზობლებთან (გავიხსენოთ ავღანეთის მაგალითი), გამოიწვევს ამ სახელმწიფოებში რუსული გავლენის შესუსტებას და წინ აღუდგება რუსეთთან ერთად ერთიანი გეოპოლიტიკური, ევრაზიული, ბლოკის ჩამოსაყალიბებელ ინტეგრაციულ იმპულსს. რუსეთის ფედერაციასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ-სოციალური მსგავსება, ამ კონფლიქტს გადააქცევს ნამდვილ ძმათამკვლელ სამოქალაქო ომად. სლავურ რესპუბლიკებში (უპირველეს ყოვლისა, უკრაინაში) ეს შიდაეროვნულ ტრაგედიად იქცევა.

ამგვარად, სამოქალაქო ომის აღნიშნული ვარიანტი წინააღმდეგობრივია. მოვლენათა ასეთი მსვლელობის შედეგად რუსეთის ეროვნული ინტერესები, სუვერენულობის იმპერატივი, არ განმტკიცდება, ხოლო მონდიალისტური, რუსოფობული ლობი ამით მხოლოდ მოიგებს, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის გარშემო შექმნის „მცირე ინტენსივობის ომების" სარტყელს, მოახდენს რუსების დისკრედიტაციას საერთაშორისო დონეზე და ძირს გამოუთხრის მის ისედაც მერყევ სოციალ-ეკონომიკურ სტაბილურობას.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთმა არ უნდა დაიცვას ახლო საზღვარგარეთში მცხოვრები რუსები და პრორუსულად განწყობილი ხალხები, რომლის აღსრულების დროსაც მან განსაკუთრებით უნდა იზრუნოს თავისი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოებაზე. იმ შემთხვევაში, თუ რუსები შესძლებენ მეზობლებისაგან ბრძოლით დაიბრუნონ ოდითგანვე რუსული ტერიტორიები, ეს მათ ახალი მტრული სახელმწიფოების შეძენის ფასად დაუჯდებათ და ისინი შეურთდებიან რუსეთის მთავარი მოწინააღმდეგების ანუ მონდიალისტების ბანაკს და რუსეთისთვის ასე აუცი-

ლებელი, ახალი იმპერიული ინტეგრაცია განუსაზღვრელი ვადით გადაიდება.

3) სამოქალაქო ომის მესამე ვარიანტი, თავისი სტრუქტურით პირველის მსგავსია, მხოლოდ, სამოქალაქო ომი შეიძლება დაიწყოს რუსეთის ფედერაციის ფარგლებში, რუს და არარუს ხალხებს შორის[23]. მისი სცენარი, შეიძლება წინას მსგავსი იყოს: რომელიმე ეროვნულ ოლქში (ან შიდა რესპუბლიკაში) რუსული მოსახლეობა გახდება უცხოტომელთა აგრესიის მსხვერპლი და ეთნიკური სოლიდარობა სხვა რუსებს კონფლიქტში მონაწილეობისაკენ უბიძგებს; ეთნიკურ ნიადაგზე სამხედრო დაპირისპირებაში ჩართული აღმოჩნდება არარუსული ეროვნული რეგიონები; სამოქალაქო ომი მიიღებს „მცირე ინტენსივობის ომის" ხასიათს. ასეთი ვითარება კიდევ უფრო საშიშია რუსეთისათვის, რადგან მას შეიძლება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა მოჰყვეს ან მოხდება ეთნიკური მტრობის პროვოცირება იმ ადგილებში, სადაც მოხერხდება მათი „ჩახშობა". ამას აუცილებლად მოჰყვება რუსების წინააღმდეგ სხვა სახელმწიფო და ეროვნული წარმონაქმნების კონფლიქტში ჩაბმა რის გამოც ეს ომი გაჭიანურებული და ხანგრძლივი გახდება. ასეთი კონფლიქტი რუსების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მდგომარეობას ვიწრო ეთნიკურ დონეზე დაიყვანს და კიდევ უფრო შეზღუდავს რუსეთის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელსაც ჯერ ვარშავის ხელშეკრულების, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ისედაც დაკარგული ჰქონდა იმპერიული ხარისხი.

სამოქალაქო ომის ასეთი ვარიანტი მთლიანად ეწინააღმდეგება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს, ვინაიდან ეს ფაქტიურად დააკანონებს რუსული სივრცის შემდგომ დაშლას ეთნიკურ ერთეულებად და ოდესღაც იმპერიული ხალხის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, მომავლისთვის, წმინდა ეთნიკურ, თითქმის „ტომობრივ" მნიშვნელობამდე დაეცემა. სამაგიეროდ ეს ვარიანტი საკმაოდ მიმზიდველია რუსოფობული მონდიალიზმისათვის, რომელიც ესწრაფვის რუსული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტარკიის ძირის გამოთხრას და ცდილობს არა სახელმწიფოებრივი, არამედ ვიწრო ეთნიკური თვითგამორკვევის დამკვიდრებას, ყოველივე ეს, საბოლოო მიზნად, რუსეთის სტრატეგიული მნიშვნელობის შეზღუდვას ისახავს. მეორე მხრივ, მონდიალისტები ამ შემთხვევაშიც გარკვეულ რისკზე მიდიან — ეთნიკური თვითშეგნების აფეთქებამ შეიძლება დარტყმა მიაყენოს „გავლენის აგენტებსაც". რუსი პატრიოტებისათვის კი, ასეთი კონფლიქტი სრულიად მიუღებელია.

4) მეოთხე ვარიანტი ასევე შიდარუსული ხასიათისაა და ეფუძნება არა ეთნიკურ უთანხმოებებს, არამედ **რეგიონულ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წინააღმდეგობებს.** მოსკოვის ცენტრალური პოლიტიკა პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში, აუცილებლად გამოიწვევს მძლავრ დაპირისპირებას რეგიონებს შორის, რომლებიც, თავის მხრივ, დეზინტეგრაციის საერთო პროცესში მაქსიმალური ავტონომიის მოპოვებისაკენ მიისწრაფვიან. აქ, ისევე, როგორც ეთნიკურ უთანხმოებათა შემთხვევაში, საბჭოთა იმპერიის დაშლა ცენტრალურობისა და ინტეგრაციულობის იდეას უკარგავს ლეგიტიმურობას, მიმზიდველობასა და სიცხადეს. გარდა ამისა, ცენტრის დღევანდელი პოლიტიკა, რომელიც წინა სისტემის მართვის ტოტალური სტილის გაგრძელებაა, ფაქტიურად უარს ამბობს ცენტრი-რეგიონის ურთიერთობის მეორე მხარეზე, რომელიც დახმარებასა და სოციალ-ადმინისტრაციულ მხარდაჭერაში მდგომარეობს.

ცენტრს ძველებურად სურს ღებულობდეს და აკონტროლებდეს ისე, რომ ფაქტიურად, სამაგიეროდ არაფერი გასცეს. ეკონომიკური თვალსაზრისით, რეგიონები ამით მხოლოდ კარგავენ, მათი შესაძლებლობის ნაწილი ვიწროვდება და დამოკიდებული ხდება ცენტრზე. ამას ემატება რეგიონების პოლიტიკური თავისებურებები, სადაც მონდიალისტური რეფორმების ანტიეროვნული ხასიათი კიდევ უფრო მტკივნეულად იგრძნობა, ვიდრე დედაქალაქებში — კოსმოპოლიტურ მეგაპოლისებში.

რეგიონებმა სეპარატიზმისაკენ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგეს, თუმცა ეს მცდელობები ცენტრმა აღმოფხვრა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ რაიმე მომენტში, რუსებმა რუსეთის სამხრეთში, ციმბირში ან სხვაგან, მოინდომონ მოსკოვის პოლიტიკური და ეკონომიკური დიქტატისაგან „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ შექმნა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს წმინდა ეკონომიკური მიზნებით — რეგიონული რესურსების ან ადგილობრივი წარმოების საქონლის ყიდვა-გაყიდვა მოსკოვის გვერდის ავლით, რაც გარკვეულწილად გაუმჯობესებს კიდეც ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. თუმცა, მეორე მხრივ, „რეგიონულმა რევოლუციამ“ შეიძლება პოლიტიკური ამოცანებიც წამოაყენოს, მაგალითად, ცენტრის უკიდურესად ლიბერალური პოლიტიკის უარყოფა, სოციალური გარანტიების შენარჩუნება, იდეოლოგიაში ეროვნული ასპექტის გაძლიერება. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის სამოქალაქო ომის პერსპექტივას. რეგიონების გაჯიუტებას, ბუნებრივია, ცენტრის საწინააღმდეგო ქმედება მოჰყვება, რომელიც არ მოისურვებს კონტროლის დაკარგვას ამ ტერიტორიებზე.

წინა ორის მსგავსად, სამოქალაქო ომის ასეთი ვერსიაც საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, მოსკოვისაგან, რეფორმების ცენტრისაგან, გამოყოფის მსურველი რეგიონების მოთხოვნები შეიცავენ პატრიოტულ და ეროვნულ მოტივებს და ხალხის ინტერესებს პასუხობენ, ხოლო ცენტრის მონდიალისტური ძალები, რომლებიც რეგიონების წინააღმდეგ გამოვლენ, ამ დროს დაიცავენ არა ეროვნულ, არამედ ანტიეროვნულ ინტერესებს, რადგან ლიბერალების კონტროლი მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მომგებიანია სწორედ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შემოქმედთათვის. მეორე მხრივ, რეგიონული სეპარატიზმი გამოიწვევს რუსული სახელმწიფო ტერიტორიების დაშლას, დაასუსტებს საერთო ეროვნულ სიძლიერეს და მოამზადებს ნიადაგს რუსი ხალხის ერთიანი შინაგანი გათიშვისათვის. მონდიალისტები ასეთ კონფლიქტზე შეგნებულად წავლენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესუსტდება მათი მხრიდან რუსეთზე კონტროლი. ამის შემდეგ ქვეყნის ტერიტორიული დანაწევრება პირველი ნაბიჯი იქნება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტარკიის შესუსტების გზაზე.

ეროვნულმა ძალებმა, ამ საკითხში, უნდა იმოქმედონ სრულიად საწინააღმდეგო ლოგიკიდან გამომდინარე. სანამ ცენტრის ხელისუფლება ძლიერია, საჭიროა ავტონომიურობისაკენ რეგიონების სწრაფვის მხარდაჭერა. ამასთან, თავიდანვე ხაზი უნდა გაესვას იმპერიის სამომავლო აღდგენისათვის ყველა რეგიონის სტრატეგიული და პოლიტიკური ინტეგრაციის აუცილებლობას. ცენტრში მონდიალისტური ლობის შესუსტების შესაბამისად, პატრიოტებმა თანდათან უნდა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება, მოუწოდონ რეგიონებს გაერთიანებისაკენ და მოითხოვონ სამოქალაქო კონფლიქტის თავიდან აცილება.

ისევე, როგორც წინა ორ შემთხვევაში, სამოქალაქო ომი, რეგიონულ საფუძველზე, არაფრით არ შეიძლება დაემთხვეს რუსეთის ეროვნულ ინტერესებს.

აუცილებლად უნდა განვიხილოთ შემდეგი საკითხიც. თავისთავად იბადება სამოქალაქო ომის მეხუთე ვარიანტი, რომელშიც ძალები გადანაწილდებიან არა იდეოლოგიური, ეროვნული და ტერიტორიული ნიშნის, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მიხედვით, მაგალითად, „ახალი მდიდრები" „ახალი ღარიბების" წინააღმდეგ. ეს ვარიანტი არ გამორიცხება და, მომავალში, შეიძლება შეიქმნას ამის ყველა წინაპირობა. საზოგადოების ახლანდელ მდგომარეობაში ეკონომიკური ფაქტორი არაა გადამწყვეტი, საშინელი ეკონომიკური კატაკლიზმების, მშრომელი მასების უკიდურესი გაღარიბებისა და „ახალი რუსების" გროტესკული გამდიდრების მიუხედავად, რუსულ საზოგადოებას ჯერ არ ჩამოუყალიბებია თავისი მოთხოვნები ეკონომიკურ ტერმინებში. გეოპოლიტიკური, ეროვნული, იდეოლოგიური ასპექტები გაცილებით არსებითი და აქტუალურია, სწორედ ამ ნიშნით წამოყენებულ მოთხოვნებს შესწევს მასების ქუჩაში გამოყვანის, შეიარაღებისა და დარაზმვის უნარი. ეკონომიკური კრიზისი შესანიშნავი ფონია სამოქალაქო ომისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში იგი შეიძლება კატაკლიზმების ბიძგადაც კი იქცეს, მაგრამ ძირითად ძალისმიერ მიმართულებად სხვა არაეკონომიკური თეზისები იქნება. ეროვნული და პატრიოტული ლოზუნგები ცხოვრების მატერიალურ მხარეს ფარდობითად, მეორეხარისხოვნად აქცევს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მატერიალური მხარე მთავარი აღმოჩნდება, იგი მარქსისტული და სოციალისტური დოქტრინების მიერ დისკრედიტაციის გამო ვერ შესძლებს თავისი მოთხოვნების თანამიმდევრული პოლიტიკური იდეოლოგიის ფორმით გამოხატვას. ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ შესაძლო კონფლიქტებში, ეკონომიკური ფაქტორი იქნება თანმხლები, მაგრამ არა განმსაზღვრელი კატეგორია.

## 4.3. ანალიზის შედეგები

სამწუხაროდ, რუსეთში შეიძლება მოხდეს სამოქალაქო ომი. ძირეულ აზრთა სხვაობა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და მონდიალიზმის გეგმებს შორის, საეჭვოა მშვიდობითა და მეგობრობით გადაიჭრას. იმისათვის, რომ სერიოზულად ვიმსჯელოთ ამ ძალებს შორის „კონსესუსსა" და „დაზავებაზე", აუცილებელია ან საბოლოოდ განადგურდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისწრაფებების მატარებელი სუბიექტები (ეს კი შესაძლებელია მხოლოდ რუსული სახელმწიფოსა და რუსი ერის განადგურებით), ან კიდევ მონდიალისტური ლობის წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე ითქვას უარი.

სწორედ ამიტომ, სამოქალაქო ომის გაჩაღება რუსეთში ან „მცირე ინტენსივობის ომების" სარტყელის შექმნა მის ტერიტორიაზე, ნებისმიერ დროს შეიძლება მონდიალისტური ლობის მთავარ პროექტად იქცეს. ამასთან ეჭვგარეშეა, რომ ისინი შეეცდებიან ჩრდილქვეშ დარჩენას და თავიანთ იდეებს სხვისი (სეპარატისტული ან ცენტრალისტური) დროშის ქვეშ ამოფარებულნი განახორციელებენ.

არსებობს სამოქალაქო ომის სამი ვარიანტი: 1) რუსეთის ფედერაცია ახლო საზღვარგარეთის წინააღმდეგ; 2) რუსეთის ფედერაციის რუსი მოსა-

ხლეობა აქ მცხოვრები არარუსების წინააღმდეგ; 3) რეგიონები ცენტრის წინააღმდეგ; სამივე პრინციპულად მიუღებელია ყველასათვის, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული რუსეთისა და რუსი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის. სამომავლოდ მათ შეიძლება მოჰყვეს რუსეთის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული სივრცის გახლეჩა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ განსაზღვრული ტერიტორიები რუსეთის კონტროლს დაექვემდებარება. მაშასადამე, პატრიოტებმა, ნებისმიერი საშუალებით, თავიდან უნდა აიცილონ აღნიშნული სამი სახის სცენარით დადგმული სამოქალაქო ომი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ მორალური თვალსაზრისით მათთვის იგი უკიდურესად მიუღებელია. თუ ეს ასეა, ლოგიკური იქნება ვარაუდი, რომ ამ სახის კონფლიქტების პროვოცირებას (მათი გაღვივების შემთხვევაში) მხოლოდ მონდიალისტები შეუწყობენ ხელს.

რუსეთში სამოქალაქო ომის მსგავსი არეულობა მონდიალისტური ლობისათვის შეიძლება მომგებიანი იყოს კიდევ რამდენიმე მიზეზით. რუსების უშუალო მონაწილეობით სამხედრო კონფლიქტის დაწყება „ლიბერალებს ცენტრიდან" საშუალებას მისცემდა:

1) **შემოეღოთ პოლიტიკური დიქტატურა „მამულის გადარჩენის" საბაბით** და ძალისმიერი მეთოდებით ჩამოეშორებინათ პოლიტიკური მოწინააღმდეგები.

2) **გადაებრალებინათ ეკონომიკური კრახი ომზე** და დაექვემდებარებინათ ეკონომიკა ცენტრის უშუალო კონტროლისათვის.

3) **გადაეტანათ საზოგადოების ყურადღება „რეფორმატორების" მოღვაწეობიდან,** რომელიც დღესდღეობით მეტისმეტად საშიში ხდება.

4) **წინასწარ აღეკვეთათ რუსეთსა და მეზობელ ევრაზიულ და ევროპულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა შორის დასავლეთის ატლანტური ბატონობისა და მონდიალისტური პროექტების საწინააღმდეგო, კონტინენტური სოლიდარობის ნიშნით შესაძლებელი სამომავლო კავშირი.**

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ რუსეთში მონდიალიზმის მკაცრი ვარიანტის მქადაგებლები ადრე თუ გვიან „სამოქალაქო ომს" მიმართავენ. ეს პრობლემა უფრო გამწვავდება ლიბერალური რეჟიმის მდგრადობის თანდათანობითი შესუსტების პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მონდიალისტური ლობის შიგნით აუცილებლად მოხდება „სტრუქტურული გარდაქმნა" და მოსალოდნელია, რომ მისი ერთი ნაწილი გამოვა პატრიოტული, შესაძლოა, ნაციონალისტური და შოვინისტური ლოზუნგებითაც კი.

ზუსტად ძნელი სათქმელია, როდის მოხდება პირველი აფეთქება. ეს დამოკიდებულია მრავალ სპონტანურ და ხელოვნურ ფაქტორზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გარკვეული ხნის განმავლობაში მსგავსი არაფერი მოხდება, მოვლენათა ამგვარი მსვლელობის პოტენციური საფრთხე მაინც აქტუალური იქნება, რადგან მონდიალისტური ლობი არა თუ არსებობს რუსეთში, არამედ ხელთ უპყრია ხელისუფლების მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სადავეები.

რუსეთისა და პატრიოტებისათვის შეიძლება „სამოქალაქო ომის" მხოლოდ პირველი ვარიანტი (მონდიალისტები ნაციონალისტების წინააღმდეგ) იყოს ხანმოკლე, თითქმის უსისხლო და მომგებიანი. უფრო მეტიც, ერისა და მისი შინაგანი მტრების პირდაპირი შეჯახება უეჭველად გაამარჯვებინებს ეროვნულ ძალებს. ფაქტიურად ეს იქნება არა „სამოქალაქო ომი" ამ სიტყვის

სრული მნიშვნელობით, არამედ აქტიური დაპირისპირების ხანმოკლე აფეთქება, რომლის შედეგად სრულფასოვანი სამოქალაქო ომის შესაძლებლობა თუ არ მოისპობა, განსაზღვრელად ხანგრძლივი დროით მაინც გადაიდება. თუმცა, ამისათვის აუცილებელია მონდიალისტური ლობის პროვოცირება, რათა გამოვიდეს საკუთარი დროშებით, ხოლო პატრიოტული ძალები უნდა შეკავშირდნენ აშკარად გამოხატული და ზუსტად განსაზღვრული, რუსული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ირგვლივ. ამის გაკეთება ადვილი არ არის (თითქმის შეუძლებელია).

ერთი მხრივ, მონდიალისტები იმდენად მიამიტები არ არიან, რომ საყოველთაოდ გამოაცხადონ თავისი სიძულვილი იმ ქვეყნის მიმართ, რომელშიც მოქმედებენ, გამოააშკარაონ ამ ქვეყნის დაშლის მისწრაფება, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძალების წარმომადგენლები ხშირად უუნარონი არიან მარტივად და თანმიმდევრულად, ამასთანავე, მოკლედ და დამაჯერებლად ჩამოაყალიბონ თავიანთი იდეოლოგიური პოზიციების საფუძვლები. ამას ხელს უშლის დრომოჭმული, საბჭოთა კომუნისტური ზედაპირულობა, აღმატებული ემოციურობა, ანალიტიკური აზროვნების მდარე უნარი, გეოპოლიტიკის ძირითადი პრინციპების უგულებელყოფა და ა. შ.

ნამდვილი სამოქალაქო მშვიდობა არ შეიძლება დაფუძნებული იყოს ისეთ შეთანხმებაზე, როდესაც ორივე მხარე მაინც ურთიერთსაპირისპირო პოზიციებზე დგას. მანამ, სანამ ბატონობს ფასეულობათა მონდიალისტური სისტემა მისი არცერთი ფლანგი (მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტული), არსებულ განსხვავებათა მიუხედავად, ეჭვქვეშ არ აყენებს საერთო ორიენტაციას. დიახ, ასეთ ვითარებაში „მშვიდობა" შესაძლებელია სახელმწიფოს დაღუპვისა და დიალოგიდან ეროვნული ძალების სრული გამოთიშვის ხარჯზე. თუ გაბატონებულ მდგომარეობას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობათა სისტემა მიაღწევს, მაშინ შესაძლებელი გახდება კომპრომისის ძიება ნაციონალ-კაპიტალისტებს, ნაციონალ-სოციალისტებს, ნაციონალ-კომუნისტებს, ნაციონალ-მონარქისტებსა და ნაციონალ-თეოკრატებს შორის, თუმცა, ამ შეთხვევაში, ანტიეროვნული, მონდიალისტური, რუსოფობული ძალები გამოთიშულნი იქნებიან დიალოგიდან და იდეოლოგიურად კანონგარეშე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ჩვენი საზოგადოება მოსალოდნელი, საშინელი, სამოქალაქო კონფლიქტით არის დაავადებული. თუ ჩვენ ჯერ კიდევ დაგვრჩა შესაძლებლობა გავლენა მოვახდინოთ მოვლენათა მსვლელობაზე, მაშინ ჩვენ ორი ბოროტებიდან უმცირესი უნდა ავირჩიოთ.

# თავი 5. იუგოსლავიური კონფლიქტის გეოპოლიტიკა

## 5.1. იუგოსლავიის სიმბოლიზმი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იუგოსლავია ევროპაში წარმოადგენს იმ ტერიტორიას, სადაც ყველაზე სერიოზული და მასშტაბური ევროპული კონფლიქტები იწყება. ყოველ შემთხვევაში ასეთი ვითარება იყო XX საუკუნეში. ბალკანეთი ის კვანძია, რომელშიც გადახლართულია ევროპის ყველა

ძირითადი გეოპოლიტიკური ბლოკის ინტერესები და სწორედ ამიტომ ბალკანეთის ხალხთა ბედი სიმბოლურად განსაზღვრავს ევროპის ყველა ხალხის ბედს. იუგოსლავია მინიატურული ევროპაა. აქ დასახლებულ ხალხთა შორის შეიძლება მოიძებნოს მძლავრი კონტინენტური ძალების ზუსტი ანალოგები.

სერბები ბალკანეთზე წარმოადგენენ მართლმადიდებლურ რუსეთს (ანუ ევრაზიას), ხორვატები და სლოვენები — შუა ევროპას (ანუ გერმანიას, ავსტრიას, იტალიას და ა. შ.), მაჰმადიანი ალბანელები და ბოსნიელები — ოსმალური იმპერიის ნარჩენებს (ანუ თურქეთსა და მთელ ისლამურ სამყაროს), მაკედონელები კი — შერეულ სერბულ-ბულგარულ ეთნოსს, რომელიც, სერბეთისა და ბულგარეთის გაერთიანებაზე დაფუძნებული დიდი მართლმადიდებლური იუგოსლავიის სიმბოლოს განასახიერებს (მიუხედავად საუკუნის დასაწყისში არსებული სერბულ-ბულგარული კავშირის პროექტებისა, ისტორიაში ამ იდეის განხორციელებამდე საქმე არ მისულა).

## 5.2. სამი ევროპული ძალა

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ევროპის გეოპოლიტიკური რუკა სამ ძირითად ნაწილად იყოფა.

პირველი ნაწილი დასავლეთია. კონტინენტური დასავლეთი, რომელიც უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია საფრანგეთითა და პორტუგალიით. უფრო ზოგადად კი, მას მიეკუთვნება ინგლისი და, ატლანტიკის მიღმა, არაევროპული აშშ. მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტურ (საფრანგეთი), კუნძულოვან (ინგლისი) და ოკეანის გაღმა დასავლეთს (ამერიკა) შორის არსებობს შიდა უთანხმოებები, სხვა ევროპულ გეოპოლიტიკურ წარმონაქმნებთან მიმართებაში, დასავლეთი, ძირითადად, ერთიან გეოპოლიტიკურ ძალად გვევლინება.

მეორე ნაწილს წარმოადგენს შუა ევროპა (Mitteleuropa). მას მიეკუთვნება ყოფილი რომის საღვთო იმპერიის გერმანული ერების სახელმწიფოები — ავსტრია-უნგრეთის ყოფილი მიწები, გერმანია, იტალია და ა. შ. შუა ევროპისათვის დამახასიათებელია გეოპოლიტიკური დაპირისპირება, როგორც ევროპის დასავლეთთან, ისე აღმოსავლეთთან.

დაბოლოს, მესამე ნაწილი არის რუსეთი, რომელიც ევროპაში გამოდის არა მხოლოდ საკუთარი, არამედ აღმოსავლეთის ყველა ევრაზიელი ხალხის სახელით.

ზოგადად რომ ვთქვათ, ასევე, შეიძლება გამოვყოთ მეოთხე, ისლამური გეოპოლიტიკური ნაწილი — ჩრდილოეთ აფრიკის მაღრიბული ქვეყნებიდან პაკისტანამდე და ფილიპინებამდე, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს გეოპოლიტიკური ბლოკი ევროპის გარეთ მდებარეობს, გარდა ამისა, XX საუკუნეში მისი გეოპოლიტიკური გავლენა ევროპაზე ძალიან უმნიშვნელო იყო. თუმცა, შესაძლოა, რომ მომავალში ისლამური სამყარო კვლავ იქცეს ევროპული გეოპოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად (როგორც ეს იყო შუა საუკუნეებში).

ევროპის სამი გეოპოლიტიკური წარმონაქმნი კონტინენტზე ქმნის მუდმივი დაძაბულობის ზონებს. ისინი პირობითი და მუდმივად ცვალებადი საზღვრებით ერთმანეთისაგან მიჯნავენ, ერთი მხრივ, ევროპის დასავლეთსა

და შუა ევროპას (Mitteleuropa), ხოლო მეორე მხრივ, შუა ევროპასა და რუსეთ-ევრაზიას.

სქემატურად შეიძლება რამდენიმე გეოპოლიტიკური კავშირის, ან, პირიქით, დაპირისპირების გამოყოფა, რომლებიც ევროპული საერთაშორისო პოლიტიკის მუდმივებს შეადგენენ.

ევროპის დასავლეთი შეიძლება დაუპირისპირდეს შუა ევროპას, როგორც აღმოსავლეთიდან ყველაზე ახლო მეზობელს. უფრო ნათლად, ასეთმა გეოპოლიტიკურმა ტენდენციამ ასახვა ჰპოვა აბსოლუტური საფრანგეთისა (Etat-Nation) და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაპირისპირებაში. შემდგომში ეს დაპირისპირება მრავალრიცხოვან ფრანკულ-გერმანულ კონფლიქტებში გამოიხატა. მეორე მხრივ, არსებობს ფრანკულ-გერმანული გეოპოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბების თეორიული შესაძლებლობა, ამ იდეით იყო გამსჭვალული, როგორც ვიშის, ასევე, დე გოლის მოღვაწეობა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთს, შუა ევროპასთან კონფლიქტის შემთხვევაში, შეუძლია კავშირი შეკრას ევროპის აღმოსავლეთთან (რუსეთ-ევრაზიასთან). ყველა სხვა შემთხვევაში რუსეთი მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე იქნება, როგორც ევროპის დასავლეთის, ისე შუა ევროპის წინაშე.

შუა ევროპაც (გერმანია), ასევე, შეიძლება იმყოფებოდეს, როგორც დაპირისპირებულ მდგომარეობაში თავის აღმოსავლეთელ გეოპოლიტიკურ მეზობელთან (რაც პირდაპირ თუ ირიბად ხელს აძლევს ევროპის დასავლეთს), ასევე მასთან მოკავშირის სახითაც (რაც დასავლეთს ყოველთვის საშიშროებას უქმნის).

დაბოლოს, ევროპულ პოლიტიკაში რუსეთის გეოპოლიტიკური კეთილგანწყობა შეიძლება მიმართული იყოს, როგორც ანტიგერმანულ (ამ შემთხვევაში საფრანგეთი, ინგლისი და აშშ ლოგიკურად მოკავშირეები ხდებიან), ასევე, ანტიდასავლურ კავშირზე (ამ დროს გარდაუვალია რუსეთ-გერმანიის კავშირი).

ასეთია, ძალიან უხეშად, ევროპული პოლიტიკის ძირითადი გეოპოლიტიკური ფაქტორები. მათი გათვალისწინება უაღრესად აუცილებელია ბალკანური პრობლემის ანალიზის დროს, ვინაიდან სამივე ტენდენცია ერთმანეთს იუგოსლავიის კონფლიქტში ეჯახება და ახალი, დიდი ევროპული ომის პოტენციურ საშიშროებას ქმნის.

## 5.3. ხორვატების სიმართლე

ხორვატები (ისევე, როგორც სლოვენები) ტრადიციულად შედიოდნენ ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში. ისინი წარმოადგენდნენ შუა ევროპის გერმანიის კათოლიკურ სექტორში მთლიანად ინტეგრირებულ ეთნოსს. მათი გეოპოლიტიკური ბედი ბუნებრივად სწორედ ამ ევროპულ ბლოკს უკავშირდება. ამიტომ ხორვატთა ლტოლვა გერმანიისა და ავსტრიისაკენ სრულიადაც არ არის შემთხვევითი ოპორტუნისტული თვითნებობა. იგი წარმოადგენს ამ ხალხის ისტორიული ყოფის ლოგიკას. ავსტრია-უნგრეთის დაშლა და იუგოსლავიის შექმნა იმ ხანგრძლივი ომის შედეგი იყო, რომელიც წარმოებდა ევროპის დასავლეთსა და შუა ევროპას შორის. სწორედ ამით აიხსნება ფრანგების მიერ სერბთა პრაგმატული მხარდაჭერა (ვარიანტი: დასავლეთი, აღმოსავლე-

თთან ერთად, შუა ევროპის წინააღმდეგ). ის ხორვატები, რომლებსაც სურდათ იუგოსლავიის შექმნა, გარკვეული მოსაზრებით, საკუთარი გეოპოლიტიკური და რელიგიური ტრადიციების წინააღმდეგ მიდიოდნენ. შემთხვევითი არაა, რომ მათი უმრავლესობა მასონური ინსტიტუტების მეშვეობით მოქმედებდნენ „საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთის" იმ გეოპოლიტიკურ პროექტებში, რომლებიც მიმართული იყო ევროპაში დასავლეთის ძალების ტრიუმფისკენ. იუგოსლავიის შექმნას, ისევე, როგორც ძალთა განლაგებას პირველი მსოფლიო ომის დროს, თან ახლავს დასავლეთის მისწრაფებების ბატონობა, რომელიც წარმატებით იყენებდა აღმოსავლეთის ძალებს (როგორც სერბეთს, ისე დიდ რუსეთს) შუა ევროპის წინააღმდეგ.

იუგოსლავიის შექმნის დროს, ასეთი პოლიტიკის პირველ მსხვერპლად იქცნენ ხორვატები, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ისინი გერმანელებს ისე შეხვდნენ, როგორც განმათავისუფლებლებს (უკრაინული კათოლიკეებისა და უნიატების მსგავსად, რომლებიც ყოველთვის შუა ევროპის გავლენისაკენ მიისწრაფოდნენ). თუმცა დასავლეთის ძალების (საფრანგეთის სახით) მიერ სერბების მხარდაჭერა (რომელიც, სხვათაშორის ხორციელდებოდა, პირველ რიგში, მასონური არხების საშუალებით) ძალიან ბუნდოვანი იყო, რადგან სერბები, თავის მხრივ, ბალკანეთზე ისეთი გეოპოლიტიკური წარმონაქმნის მძევლები ხდებოდნენ, რომლის მთლიანობის შენარჩუნება შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალისმიერი კონტროლის საშუალებით.

გარდაქმნის პერიოდში, აღმოსავლეთის ბლოკის (ანუ რუსეთ-ევრაზიის გავლენის მთელი ზონის) კრიზისის დროს, ინტეგრაციული ძალები იუგოსლავიაში რამდენადმე შესუსტდნენ და ხორვატებმა (სლოვენებთან ერთად) არ დააყოვნეს განეცხადებინათ თავიანთი განსხვავებული გეოპოლიტიკური წარმოშობის შესახებ სერბეთის იმ იუგოსლავიასთან მიმართებაში, რომელიც ორგვარად, დასავლეთის ხელოვნურ ქმნილებად და შუა ევროპაში აღმოსავლეთის ფორპოსტად, მოიაზრება.

ამგვარად, ხორვატები გეოპოლიტიკურ დონეზე იმ პრინციპს იცავენ, რომლის მიხედვით შუა ევროპა უნდა დარჩეს ისეთი, როგორიც არის, ანუ ტერიტორიულად გაერთიანებულ, თავისუფალ და დამოუკიდებელ ევროპულ რეგიონად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, საფრანგეთის მსგავსად, თვით ხორვატიის დამოუკიდებელ, ეთნიკურად ერთგვაროვან, ჯუჯა, ბალკანურ „ერსახელმწიფოდ" (Etat-Nation) გადაქცევის იდეა არის წინასწარგამიზნული ნაღმი შუაევროპული სივრცის გეოპოლიტიკური ერთიანობის ასაფეთქებლად. ამ სივრცეს შეუძლია ჰარმონიულად იარსებოს, როგორც მოქნილმა, მაგრამ ერთიანმა სტრუქტურამ და არა, როგორც ეგოისტურ მიკროსახელმწიფოთა სახით დანაწევრებულმა კონგლომერატმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხორვატების გეოპოლიტიკური მისწრაფება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი ზეეროვნულ პოზიციაზე გადავლენ, რაც თავისთავად გამოიწვევს ხორვატიაში სერბული უმცირესობის პრობლემის მშვიდობიან მოგვარებას. ხორვატიული ნაციონალიზმი, როდესაც იგი გეოპოლიტიკური სიბრტყიდან უაღრესად ეთნიკურ სიბრტყედ გარდაიქმნება კარგავს თავის მართებულობას და იძენს საწინააღმდეგო ნიშანს.

## 5.4 სერბების სიმართლე

სერბების გეოპოლიტიკურ მომავალს აქვს გამოკვეთილად პრორუსული, ევრაზიული ხასიათი. რელიგიური და ეთნიკური ფაქტორის მეშვეობით სერბეთი უშუალოდ ეკვრის რუსეთს და წარმოადგენს მის გაგრძელებას ევროპის სამხრეთში. სერბებისა და რუსების ბედი, გეოპოლიტიკურ დონეზე, ერთი და იგივეა. ამიტომ იმისათვის, რათა სერბები დაუბრუნდნენ თავისი ევროპული მისიის სათავეს, მათ აუცილებლად უნდა მიმართონ აღმოსავლეთს, ევრაზიას, გააცნობიერონ რუსული გეოპოლიტიკის დანიშნულება და მიზანი. ამასთან, ჭეშმარიტი სერბული გეოპოლიტიკის საფუძველი უნდა გახდეს რუსეთის ღერძზე დაფუძნებული დიდი ევრაზიის პროექტი — ერთგვარი ოიკუმენურ-კონტინენტური მართმადიდებლური ნეობიზანტიზმი და არა მიამიტური და ხელოვნური პანსლავიზმი, რომლის უვარგისობა მშვენივრად დაასაბუთა რუსმა ფილოსოფოსმა კონსტანტინე ლეონტიევმა. სერბეთი მხოლოდ ამ შემთხვევაში დაუბრუნდება საკუთარ ფესვებს და შეწყვეტს მარიონეტული როლის შეასრულებს ატლანტისტების ხელში, რომლებიც მას შუა ევროპისა და სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყენებენ.

ევროპის გეოპოლიტიკურ ისტორიაში შეიძლება თვალი გავადევნოთ ერთ მუდმივ ტენდენციას, რომლის ამოცნობა დაგვეხმარება იმის გასაგებაში თუ რა წარმოადგენს სერბეთისათვის პოზიტიურ გამოსავალს. ეს ტენდენცია შემდეგია: აღმოსავლეთისა და შუა ევროპის კავშირი დასავლეთის წინააღმდეგ ყოველთვის მომგებიანია ორივე მხარისათვის, ზუსტად ისევე, როგორც კონტინენტური დასავლეთისათვის (საფრანგეთი) მომგებიანია შუა ევროპასთან (გერმანია) კავშირი კუნძულოვანი და ოკეანისმიღმა დასავლეთის (ანგლო-საქსური სამყარო) წინააღმდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრიორიტეტი, რომელიც ენიჭება გეოპოლიტიკურ აღმოსავლეთს (თუნდაც პირობითად აღმოსავლეთს, ვინაიდან შუაგული ევროპა აღმოსავლეთია საფრანგეთის მიმართ), პრაქტიკულად ყოველთვის ხელსაყრელია არა მხოლოდ აღმოსავლეთისთვის, არამედ ამ კავშირის დასავლეთელი მონაწილისთვისაც. პირიქით, გეოპოლიტიკური კავშირი დასავლური ტენდენციის პრიორიტეტით (საფრანგეთი ინგლისსა და აშშ-სთან ერთად გერმანიის წინააღმდეგ, საფრანგეთი და გერმანია რუსეთის წინააღმდეგ და ა. შ.) სულ ახალ-ახალი ევროპული კონფლიქტებისა და ომების ძაფებს ხლართავს.

ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სერბების გეოპოლიტიკური ორიენტირი უნდა დაემსგავსოს ბულგარული გეოპოლიტიკის ორიენტირს, რომელშიც რუსოფილობა და გერმანოფილობა პრაქტიკულად ყოველთვის შეთავსებული იყო. ეს სამხრეთ ევროპაში შექმნის პოლიტიკური სტაბილურობისა და ჰარმონიულობის სივრცეს, რომელსაც შეუძლია შუა ევროპისთვის, თანდათანობით, მაჰმადიანური სამხრეთისკენ გზის გახსნა. ყოველივე ეს ბოლოს მოუღებს, ამ რეგიონში ატლანტური დასავლეთის ბატონობას. უფრო მეტიც სერბეთმა უნდა გააცნობიეროს იმ მხარდაჭერის ბუნდოვნება, რომელსაც ოდესღაც უწევდა მას დასავლეთი და რომლის ფასიც კარგად ჩანს დასავლეთის ქვეყნების ანტისერბულ სანქციებში. ერთიან პრორუსულ და, ამავე დროს, მეგობრულ შუა ევროპაში, გეოპოლიტიკური ერთობა აღმოსავლეთ ევროპის სხვა მართმადიდებელ ხალხებთან

(უპირველეს ყოვლისა, ბულგარეთთან) შექმნის ბალკანეთში სტაბილურობის ზონას და ხმარებიდან ამოაგდებს სამარცხვინო ტერმინს — „ბალკანიზაციას".

ისევე, როგორც ზემოთ განხილულ (ხორვატები) შემთხვევაში, წმინდა სერბული „ერი-სახელმწიფოს" შექმნის იდეა ვერ გადაჭრის ვერანაირ პრობლემას იმ შემთხვევაში, თუ სერბეთის სახელმწიფო გადმოიღებს მასონების მიერ შექმნილი იუგოსლავიის გერმანოფობიასა და დასავლეთზე ორიენტაციას.

## 5.5. იუგოსლაველი მაჰმადიანების სიმართლე

იუგოსლავიის ბოსნიელი მაჰმადიანები და ალბანელები ევროპაში წარმოადგენენ ისლამურ, „ოსმალურ" გეოპოლიტიკურ ფაქტორს. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ თურქეთი, რომლის გავლენა ყველაზე უფრო იუგოსლავიელ მაჰმადიანთა შორის იგრძნობა, ევროპაში უკიდურესად დასავლური, ატლანტური ტენდენციის უდაო გამომხატველია. თუ დასავლეთმა, რომელიც ცდილობდა ევროპული აღმოსავლეთის (რუსეთის) გამოყენებას შუა ევროპის წინააღმდეგ, მაინც ვერ შეძლო საბოლოოდ ჩაეხშო ამ კონტინენტური რეგიონის დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა და, პირიქით, ხშირად აწყდებოდა რუსეთ-ევრაზიის საპირისპირო ექსპანსიას (რომელიც ხორციელდებოდა ან რუსეთ-გერმანიის კავშირით, ან უშუალოდ ვარშავის ბლოკის შექმნით), სამაგიეროდ ატლანტელ გეოპოლიტიკოსთა ხელში საერო ფსევდოისლამური თურქეთი საიმედო იარაღად იქცა და საერთოდ, ატლანტური გავლენა ისლამური ქვეყნების გეოპოლიტიკაზე უზომოდ დიდია. ამიტომ იუგოსლაველი მაჰმადიანების ანტისერბული ქმედებები შეუდარებლად უფრო გლობალურ, კონტინენტურ კონფლიქტზე მიგვანიშნებს ჩრდილო და სამხრეთ (რუსეთისა და მისი გეოპოლიტიკური ნაწილის) ევრაზიას შორის. აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ამგვარი კონფლიქტი ეწინააღმდეგება სამხრეთის ინტერესებს, ვინაიდან იგი ისეთივე ინსტრუმენტად გადაიქცევა ატლანტური დასავლეთის ხელში, როგორიც იყო ევროპული აღმოსავლეთი (სერბების სახით) შუა ევროპასთან (ავსტრია-უნგრეთისა და მისი ხორვატი წარმომადგენლების სახით) დაპირისპირების დროს.

იუგოსლაველი ბოსნიელი მაჰმადიანებისა და ალბანელებისათვის ერთადერთი ლოგიკური გამოსავალია ირანთან დაკავშირება და მისი პოლიტიკის გადმოღება. ვინაიდან დღეს მხოლოდ ეს ქვეყანა ახორციელებს დამოუკიდებლობის, თავისუფლების, კონტინენტური ჰარმონიისაკენ მიმართულ გეოპოლიტიკას და ამ რეგიონში ატლანტისტების ინტერესებისაგან დამოუკიდებლად საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. ირანთან კავშირის შემთხვევაში, იუგოსლაველი მაჰმადიანები ჯეროვან გეოპოლიტიკურ პერსპექტივას მოიპოვებენ, რადგან რადიკალურად ანტიდასავლური, კონტინენტური და ტრადიციების მიმდევარი ირანი ყველა აღმოსავლური ორიენტაციის მქონე ევროპული ბლოკის (რუსეთ-ევრაზიიდან დაწყებული შუა ევროპის ჩათვლით) პოტენციური მოკავშირეა. უფრო მეტიც, ევროპული აღმოსავლეთის დიდი სივრცეების მქონე ირანზე ორიენტაციას შეუძლია ძირეულად შეცვალოს ვითარება მთელ ისლამურ სამყაროში და მკვეთრად შეასუსტოს აქ ამერიკული გავლენა, რაც ხელსაყრელია არა მხოლოდ ევროპისათვის, არამედ გაათავისუფლებს ისლამურ ხალხებს ანგლოსაქსი ატლანტისტების ეკონომიკური და

სამხედრო დიქტატისაგან.

მხოლოდ ამგვარი ორიენტაციის შემთხვევაში იქნება იუგოსლაველი მაჰმადიანების გეოპოლიტიკური ყოფნა ევროპაში ჰარმონიული, ლოგიკური და უკონფლიქტო. შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა იყოფა სამ ეტაპად:

1) თურქული ორიენტაციიდან ირანულზე გადასვლა;

2) გეოპოლიტიკური კავშირის გამყარება შუა ევროპასა და ირანს (და მთლიანად ისლამურ სამყაროს) შორის.

3) უნდა დამყარდეს აღმოსავლეთისა და შუა ევროპის გეოპოლიტიკური ევრაზიული ალიანსი. ამასთან, აღნიშნული ეტაპები უნდა განხორციელდეს პარალელურად, თითოეული თავის დონეზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ პატარა ბალკანელი ხალხის გეოპოლიტიკური პრობლემა არ გადაიჭრება სერიოზული და გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებების გარეშე. არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა მსოფლიო ომი სწორედ პატარა, მაგრამ უზარმაზარი სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ლოკალური კონფლიქტებით იწყებოდა.

## 5.6. მაკედონელთა სიმართლე

თანამედროვე იუგოსლავიის მაკედონიის პრობლემას ფესვები სწორედ რეალურად არსებულ, ხელოვნურად შექმნილ, „იუგოსლავიაში" აქვს გადგმული. იუგოსლავია, რომ „სამხრეთელი სლავების სახელმწიფო" იყო, ეს მხოლოდ სახელწოდებაში ჩანდა. მაკედონელები შუალედური ეთნოსია სერბებსა და ბულგარელებს შორის, ისინი აღიარებენ მართლმადიდებლობას და წესით, სერბეთისა და ბულგარეთისაგან შექმნილ ნამდვილ იუგოსლავიაში, თავი ბუნებრივ კომპონენტად უნდა ეგრძნოთ. ბალკანეთზე, ერთი ფედერალური, „იმპერიული" ევრაზიული ორიენტაციის სლავური სახელმწიფოს ნაცვლად, ორი იაკობინური ტიპის სლავური სახელმწიფოს არსებობამ გამოიწვია ის, რომ პატარა მაკედონელი ხალხი ორი, საკმაოდ განსხვავებული პოლიტიკური თვისებების მქონე, პოლიტიკური რეგიონის საზღვარზე აღმოჩნდა.

ამჟამად საქმეს ართულებს ისიც, რომ დღევანდელ ბულგარეთში იზრდება იაკობინური ნაციონალიზმი, რომელმაც უკვე არაერთხელ დაუპირისპირა ერთმანეთს მართლმადიდებელი ბალკანური სახელმწიფოები და ჩამოაშორა ისინი ერთადერთ ჭეშმარიტ, ნეობიზანტიურ გეოპოლიტიკას. თავდაპირველად, ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ატლანტიკური ლობი (როგორც კათოლიკური, ისე ინგლისური), რომელიც, თუმცა სხვა ფორმით, მაგრამ მაინც, თავს იჩენს თანამედროვე ბულგარეთში.

დასავლური ტაქტიკა აქ არსებითად ისეთივე დარჩა, როგორიც საუკუნის დასაწყისში იყო. იმ დროს, ავსტრია-უნგრეთის დაშლის შემდეგ, დასავლეთმა არ დაუშვა მსხვილი სლავური გაერთიანების შექმნა და „ბალკანური ნაციონალიზმის" ბანქო გაათამაშა. დღეს, იგივე პოლიტიკური ძალები კვლავ ორმაგ დარტყმას აყენებენ შუა ევროპასა და იუგოსლავიის ერთობას, რითაც ხელს უწყობენ ამ ქვეყნის დასავლეთში ხორვატულ, ხოლო აღმოსავლეთში მაკედონური სეპარატიზმის გაღვივებას.

მაკედონიის შემთხვევაში, ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენ ბალკანურ კონფლიქტებში, გამოსავლის მოძებნა შეიძლება ევროპის დიდი

სივრცეების ჩამოყალიბების გლობალური ინტეგრაციული პროცესის საშუალებით და არა აშკარა სეპარატიზმისა და ჯუჯა სახელმწიფოების შექმნის გზით. მაკედონიის ბულგარეთთან შეერთება ვერანაირად ვერ გადაჭრის პრობლემას, პირიქით, მოამზადებს ახალ, ამჯერად ნამდვილ სახელმწიფოთაშორისო, სლავთაშორის კონფლიქტს.

## 5.7. იუგოსლავიის ომის პრიორიტეტები

იუგოსლავიის კონფლიქტი უაღრესად სიმბოლური და უკიდურესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი, ყოველი ქვეყნისაგან, ევროპის თითოეული პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ძალისაგან მოითხოვს მათი პოზიციებისა და პრიორიტეტების განსაზღვრას. აქ საქმე ეხება არა მხოლოდ ამა თუ იმ ადამიანების, ხალხებისა და სახელმწიფოების, სარწმუნოებრივ, ისტორიულ, ეთნიკურ თუ პოლიტიკურ შეხედულებებს, არამედ ევროპის, ევრაზიის მომავალს.

შუა ევროპის პრიორიტეტის მომხრეებმა და გერმანოფილებმა თავიდანვე პროხორვატული პოზიცია დაიკავეს. ეს არჩევანი ეფუძნებოდა იუგოსლავიის შექმნის მიზეზების გეოპოლიტიკურ ანალიზს, შუა ევროპაში საფრანგეთის მასონური პოლიტიკის აღმოფხვრის სურვილს, ერთიანი შუაევროპული სივრცის ბუნებრივი აღორძინების აუცილებლობის გაცნობიერებას „იალტის ხანის“ დამთავრების შემდეგ, რომლის განმავლობაში ევროპა ხელოვნურად გაიყო ორ და არა სამ, გეოპოლიტიკურ ბანაკად. სწორედ ამით აიხსნება ხორვატთა შორის მრავალი ევროპელი ნაციონალ-რევოლუციონერის არსებობა.

შუა ევროპისათვის უპირატესობის მინიჭების ლოგიკა არ ითვალისწინებს ერთ ძალიან მნიშვნელოვან მოსაზრებას. საქმე იმაშია, რომ დასავლეთის გეგმებში, შუა ევროპის წინააღმდეგ გეოპოლიტიკური აღმოსავლეთისთვის მინიჭებული ინსტრუმენტის როლის შესრულების გვერდით არსებობს (და ყოველთვის არსებობდა) ამ დიდი სივრცის სიღრმისეული, ევრაზიული, გეოპოლიტიკა, მართლმადიდებელი რუსეთის გეოპოლიტიკა, რომლის ორიენტირი კონტინენტური ინტერესებითა და, სამომავლოდ, ახალი საღვთო კავშირის შექმნით იყო განსაზღვრული. მაშინ, როდესაც სერბებსა და ხორვატებს შორის სასტიკი შინაგანი კონფლიქტის დროს, სერბულმა თვითშეგნებამ მთლიანად გაიღვიძა, მაშინ, როდესაც სერბი ხალხის სისხლმა, ქვეცნობიერი სიღრმეებიდან, კვლავ უხმო უძველეს გეოპოლიტიკურ, ეროვნულ და სულიერ არქეტიპებს, მაშინ, როდესაც აქტუალურად იქცა დიდი, სულიერი სერბეთის იდეა სწორედ მაშინ დამთავრდა იუგოსლავიის ინსტრუმენტური მისია და მისი ადგილი დიადი ევრაზიის, აღმოსავლეთის იდეამ დაიკავა.

სანამ სერბები ებრძოდნენ შუა ევროპას (ხორვატების სახით), ატლანტისტები, პარიზიდან ნიუ-იორკამდე, ფედერაციული იუგოსლავიის იდეას უჭერდნენ მხარს, ან სულ მცირე, „ნაციონალიზმსა“ და „პროფაშიზმში“ დებდნენ ხორვატებს ბრალს. როგორც კი სერბებმა გადაამჯეს განსაზღვრულ ზღვარს და მათმა ქმედებებმა დასავლეთისა და ატლანტიზმის იდეებთან ბრძოლის ხასიათი შეიძინა, სერბეთი მაშინვე გამოცხადებულ იქნა „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მშენებლობის მთავარ შემაფერხებელ მიზეზად, რასაც მის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების შემოღება მოჰყვა.

საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად, გამოვიყენოთ ჩვენს მიერ ზემოთ

ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური კანონი, რომლის თანახმად კონტინენტური ჰარმონია შესაძლებელია მხოლოდ აღმოსავლეთის პრიორიტეტის დროს, ევრაზიის, როგორც პოზიტიური ორიენტაციის არჩევის შემთხვევაში, რადგან შუა ევროპის თავისთავად პოზიტიური იდეა, რუსეთ-ევრაზიასთან დაპირისპირების შემთხვევაში, ნეგატიური და დამანგრეველი ხდება. ეს ნათლად გამოჩნდა ჰიტლერის მიერ წამოწყებული ანტიაღმოსავლური, ანტირუსული ექსპანსიის იმ უზარმაზარ და ტრაგიკულ შეცდომაში, რომელმაც საბოლოოდ სარგებელი მოუტანა დასავლურ, ატლანტიკურ ბლოკს, დაანგრია გერმანია და ხელი შეუწყო რუსეთში კრიზისის წინაპირობების შექმნას. სწორედ ამიტომ, იუგოსლავურ კონფლიქტში, გეოპოლიტიკური პრიორიტეტი სერბეთის ფაქტორს უნდა მიანიჭოს, მხოლოდ იმ ზომით, როგორითაც სერბები მისდევენ მძლავრი და მოქნილი სამხრეთსლავური ბლოკის შექმნის ხელშემწყობ ევრაზიულ, პრორუსულ გეოპოლიტიკურ ტენდენციებს, შუა ევროპის მნიშვნელობის გამაცნობიერებელ და დასავლეთის წინააღმდეგ გერმანულ-რუსული ალიანსის შექმნის იდეებს. მასონურ ფრანკოფილობასთან შეხამებული სერბული გერმანოფობია, როგორი კეთილშობილი საბურველითაც არ უნდა იყოს დაფარული, მაინც ვერასოდეს ვერ შესძლებს იუგოსლავიის კონფლიქტის დადებითად გადაწყვეტას.

უფრო მეტი უპირატესობა უნდა მიენიჭოს მართლმადიდებლობასთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ ფესვგადგმულ სერბ-ტრადიციონალისტებს, რომლებიც აცნობიერებენ სლავთა სულიერ მემკვიდრეობას და მიმართულნი არიან დასავლეთისა და ატლანტისტების წინააღმდეგ, ახალი, ჰარმონიული, პრორუსული გეოპოლიტიკური სტრუქტურების მშენებლობისაკენ.

მეორე მხრივ, ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ხორვატთა მოთხოვნებს და მათ ლტოლვას შუა ევროპის რეგიონისაკენ. ანტიატლანტური მისწრაფებების შეძენის შემთხვევაში, ხორვატები შეიძლება პოზიტიურ შიდაევროპულ ძალად იქცნენ.

იუგოსლაველი მაჰმადიანების თურქეთისაკენ მიმართების ირანულზე გადაწყობის დროს, ასევე გასათვალისწინებელია ბოსნიური ფაქტორი, რათა „შხამის წამლად გადაქცევის" შემდეგ ამ ბაზიდან სათავე დაედოს ისლამური ქვეყნების მიმართ აშშ-ს მიერ განხორციელებული ეკონომიკური და სამხედრო იმპერიალიზმის საწინააღმდეგო, სრულიად ახალ, ევროპულ პოლიტიკას ისლამურ სამყაროში.

დაბოლოს, მაკედონია, იმის ნაცვლად, რომ იქცეს „განხეთქილების ვაშლად" სამხრეთის მართმადიდებელ სლავების შორის, უნდა გახდეს სერბულ-ბულგარული გაერთიანების საწყისი ბაზა, იგი უნდა იყოს პირველი ნაბიჯი ჭეშმარიტად დიდი იუგოსლავიის შექმნის გზაზე.

აი, ამ დასკვნამდე მივყავართ იუგოსლავიის პრობლემის მიუკერძოებელ გეოპოლიტიკურ ანალიზს. რა თქმა უნდა, საშინელი ძმათამკვლელი ომის დროს ძნელია საღი გონების შენარჩუნება, უკვე დაღვრილი სისხლი მხოლოდ მრისხანებას და შურისძიების სურვილს ბადებს, თუმცა, ცივი გონებით გაკეთებულ ანალიზს (რომელიც ითვალისწინებს ისტორიულ ფესვებსა და გეოპოლიტიკურ კანონზომიერებებს), შეუძლია გვაჩვენოს ძმათამკვლელი ომის ჩიხიდან გამოსვლის სწორი გზა, მაშინ, როდესაც ემოციური სოლიდარობა რომელიმე მხარის მიმართ, მხოლოდ აღრმავებს სისხლიან კოშმარს და მდგომარეობას გამოუვალს ხდის. ამასთან ერთად, ასეთი ანალიზი ნათლად

გვიჩვენებს, რომ შიდასლავური გენოციდის წამქეზებელი ნამდვილი მტერი ჩრდილში, კადრს მიღმა რჩება და ამჯობინებს შორიდან უცქიროს, როგორ ანადგურებს ერთი სლავი ხალხი მეორეს. მტერი თესავს განხეთქილებას რათა ხანგრძლივი დროის მანძილზე გამორიცხოს კავშირისა და ძმური შვიდობის შესაძლებლობა, იგი არღვევს ერთ დროს ყველაზე ძლევამოსილი, ამჯერად კი საკმაოდ დაქუცმაცებული კონტინენტის დიდ სივრცეებს.

იუგოსლავიის სასაკლაოს ნამდვილი ინიციატორი **დასავლეთის ატლანტიკური ძალებია**[24]. ისინი ხელმძღვანელობენ პრინციპით — „მტრის ბანაკში ერთი უნდა წააქეზო მეორეზე და ყველანაირად ხელი უნდა შეუშალო ერთობას". ეს აუცილებელად უნდა გააცნობიეროს იუგოსლავური ომის ყველა მონაწილემ, რათა ეს ბრძოლა საბოლოოდ ევროპის წინააღმდეგ ომში არ გადაიზარდოს.

## 5.8. სერბეთი — ეს რუსეთია

იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ბალკანეთის პატარა ქვეყნებში თამაშდება უზარმაზარი კონტინენტური ომის სცენარი, რომელმაც შეიძლება რუსეთშიც იფეთქოს. ბალკანეთის კონფლიქტში მონაწილე ყველა გეოპოლიტიკურ ძალას რუსეთში თავიანთი ანალოგი გააჩნია (მხოლოდ შედარებით უფრო დიდ მასშტაბში). ხორვატები და სლოვანები (რომელთაც თვალი შუა ევროპისაკენ უჭირავთ) გეოპოლიტიკურად უკრაინელებს ემსგავსებიან, თუმცა ამ უკანასკნელთა ნათესაობა დიდ რუსეთთან განისაზღვრება არა რამდენიმე ათეული, არამედ რამდენიმე ასეული წლით, ხოლო სარწმუნოებრივი უთანხმოებები საერთოდ არ არსებობს (უნიატებისა და უკრაინელი კათოლიკეების გარდა). ასეა თუ ისე, განსაზღვრული მისწრაფებების გამო კიევში გარკვეულ ძალებს უმძიმთ „რუსული აღმოსავლეთი" და ეკონომიკურად გერმანიაზე დაქვემდებარებული ევროპული სივრცეებისაკენ მიისწრაფვიან. უკრაინაში მცხოვრები რუსები და სხვა ერები, შეიძლება ამ რესპუბლიკის მიერ გატარებული „შუა ევროპული" პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ, ამ შემთხვევაში ისინი ხორვატიაში მცხოვრები სერბების ხვედრს გაიზიარებენ.

ასეთი შედარება, გვიჩვენებს, რომ უკრაინასა და ბელორუსიასთან გეოპოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობაში რუსეთმა უნდა იხელმძღვანელოს შუა ევროპისა და გერმანიის პრობლემის საკუთარი ხედვის საფუძველზე. ამ საკითხის გადაჭრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ არა პათეტიკური ლოზუნგით — „სლავების ძმური ერთობის შესახებ" (როგორია ეს „ერთობა" სერბულ-ხორვატული სისხლისღვრიდანაც კარგად ჩანს), არამედ რუსეთ-გერმანიის ურთიერთობების ღრმა ანალიზით, რადგან, როგორც უკრაინა, ასევე პოლონეთი, არ არიან დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური წარმონაქმნები, ისინი ორი დიდი სივრცის — ევრაზია-რუსეთისა და შუა ევროპის სასაზღვრო რეგიონები არიან. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კონფლიქტი ამ სასაზღვრო ზონაში განსაკუთრებით მომგებიანია სხვა გეოპოლიტიკური ძალისათვის — დასავლეთისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ანგლოსაქსური დიპლომატია რუმინეთიდან ბალტიისპირეთამდე მთელ ტერიტორიას ყოველთვის განიხილავდა „სანიტარულ სარტყელად", რომელიც დასავლეთს მისთვის უკიდურესად უსიამოვნო რუსეთ-გერმანიის კავშირისაგან იცავდა.

სერბულ-მაჰმადიანური კონფლიქტი წარმოადგენს შუა აზიასა და კავკასიაში რუსულ-ისლამური შესაძლო დაპირისპირების ანალოგს. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი მაჰმადიანური რესპუბლიკები წარმოადგენენ თურქეთისა და ირანის კონკურენციული გეოპოლიტიკური გავლენის ზონას. ამ ფაქტის იუგოსლავიის მაჰმადიანებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ირანზე ორიენტირებულ რესპუბლიკებს უფრო მეტი შანსი აქვთ ჰარმონიულად შეუთავსდნენ ევრაზიის კონტინენტის ძირითად რუსულ ბლოკს, ხოლო თურქეთი, რომელიც ამჟამად, ამ რეგიონში ატლანტურ პოლიტიკას ატარებს, პირიქით, აუცილებლად გამოიწვევს დრამატული და კონფლიქტური სიტუაციების შექმნას.

იუგოსლავიის მაგალითზე ჩანს რა ემუქრება რუსეთს მოვლენათა მსგავსი განვითარების შემთხვევაში, ხოლო ის ფაქტი, რომ მოვლენები მართლაც ამ მიმართულებით წარიმართება, ეჭვს არ იწვევს. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ მოვლენათა განვითარების სიჩქარეში, რომელიც მით უფრო სწრაფად ვითარდება, რაც უფრო პატარაა სივრცე და მცირერიცხოვანია ხალხი. იმისათვის, რათა არ დაეუშვათ რუსეთში იუგოსლავური სისხლიანი სასაკლაოს გიგანტური განმეორება, წინასწარ უნდა გაეცეს პასუხი მთავარ გეოპოლიტიკურ კითხვებს, უნდა განისაზღვროს რუსეთის კონტინენტური სტრატეგია, რომელშიც შესწავლილი და გათვალისწინებული იქნება რუსული პოლიტიკური ტრადიციები და რუსეთ-ევრაზიის, „ისტორიის გეოგრაფიული ღერძის", ძირითადი გეოპოლიტიკური მიზნები. ინერცია და მოვლენათა ფატალური მსვლელობის პასიური გამოდევნება დაანგრევს კონტინენტური უსაფრთხოების მთელ სისტემას და მთელი კაცობრიობის სიკვდილს გამოიწვევს.

## თავი 6. საკრალური გეოგრაფიიდან გეოპოლიტიკისკენ

### 6.1. გეოპოლიტიკა „შუალედური" მეცნიერებაა

გეოპოლიტიკური კონცეფციები დიდი ხანია იქცა თანამედროვე პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად. ისინი ემყარება საერთო პრინციპებს, რომლებიც ცალკე აღებული ნებისმიერი ქვეყნისა თუ რეგიონის ვითარების ადვილად გაანალიზების საშუალებას იძლევა.

დღევანდელი სახით გეოპოლიტიკა საერო პროფანულ და სეკულარიზებულ[25] მეცნიერებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მან, სხვა თანამედროვე მეცნიერებათა შორის, ყველაზე მეტად შეინარჩუნა კავშირი ტრადიციასა და ტრადიციულ მეცნიერებებთან. რენე გენონი[26] ამბობდა, რომ თანამედროვე ქიმია ტრადიციული მეცნიერების, ალქიმიის დესაკრალიზაციის შედეგია, ხოლო თანამედროვე ფიზიკა — მაგიისა. სწორედ ასევე შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკა არის სხვა ტრადიციული მეცნიერების — საკრალური გეოგრაფიის სეკულარიზაციის, დესაკრალიზაციის ნაყოფი. იმის გამო, რომ გეოპოლიტიკას განსაკუთრებული ადგილი უკავია სხვა თანამედროვე მეცნიერებებს შორის და ხშირად მას „ფსევდომეცნიერებას" მიაკუთვნებენ, მისი პროფანაცია არ არის ისე სრულყოფილი და შეუქცევადი, როგორც ქიმიისა და ფიზიკის. საკრალურ გეოგრაფიასთან გეოპოლიტიკის კავშირი აშკარაა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ გეოპოლიტიკას უკავია შუალედური მდგომარეობა ტრადიციულ (საკრალურ გეოგრაფიისა) და პროფანულ მეცნიერებას შორის.

## 6.2 ხმელეთი და ზღვა

ხმელეთი და ზღვა გეოპოლიტიკის ორი საწყისი ცნებაა. სწორედ ეს ორი სტიქია, მიწა და წყალი, უდევს საფუძვლად ადამიანის წარმოდგენას დედამიწის სივრცის შესახებ. ხმელეთისა და ზღვის, მიწისა და წყლის გააზრების დროს ადამიანი ურთიერთობაში შედის თავისი არსებობის განმაპირობებელ ძირითად ასპექტებთან. ხმელეთი — ეს არის სტაბილური, მუდრო, მდგრადი სივრცე. წყალი — ეს არის მოძრაობა, მოქნილობა, დინამიკა, დრო.

ეს ორი სტიქია სამყაროს საგნობრივი ბუნების არსის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა. ისინი ადამიანის გარეთ არსებობენ: ეს არის ყველაფერი, რაც მდგრადი და თხევადია; ისინი ადამიანში სუფევენ: ეს არის სისხლი და ხორცი (უჯრედის დონეზე).

მიწისა და წყლის უნივერსალური გააზრება წარმოშობს ზეცის კონცეფციას, რადგან ზემო წყლების არსებობა (წვიმის წყარო) ზეცაში გულისხმობს სიმეტრიული და აუცილებელი ელემენტის — მიწის, ხმელეთისა და ზეცის არსებობას. ასეა თუ ისე, მიწა, ზღვა, ოკეანე სახმელეთო არსებობის მთავარი კატეგორიებია და შეუძლებელია კაცობრიობამ მათში ვერ შეამჩნიოს სამყაროს შექმნის ძირითადი ატრიბუტები. გეოპოლიტიკის ამ ორი ძირითადი ტერმინის მისადაგება შეიძლება, როგორც ცივილიზაციის ტრადიციული ტიპებისათვის, ასევე თანამედროვე სახელმწიფოების, ხალხებისა და იდეოლოგიური ბლოკებისათვის. გლობალური გეოპოლიტიკის დონეზე ხმელეთმა და ზღვამ წარმოშვა ტერმინები თალასოკრატია და თელუროკრატია, ანუ „საზღვაო მმართველობა“ და „სახმელეთო მმართველობა“.

ყოველი სახელმწიფო, ყველა იმპერია, თავის ძლიერებას ერთ-ერთი კატეგორიის უპირატეს განვითარებაზე აფუძნებს. იმპერია შეიძლება იყოს ან „თალასოკრატიული“ ან „თელუროკრატიული“. პირველი გულისხმობს მეტროპოლიისა და კოლონიის, მეორე კი დედაქალაქისა და პროვინციის „ერთიან სახმელეთო სივრცეში“ არსებობას. „თალასოკრატიის“ ტერიტორიები არ არის გაერთიანებული ხმელეთის ერთიან სივრცეში, ეს ქმნის წყვეტილობის ფაქტორს. ზღვა „თალასოკრატიული ძლევამოსილების“ ძლიერი და, ამასთანავე, სუსტი მხარეა. „თელუროკრატია“, პირიქით, ტერიტორიული უწყვეტობის ნიშან-თვისებებითაა დაჯილდოებული.

გეოგრაფიული და კოსმოლოგიური ლოგიკა თავიდანვე ართულებს ასეთი დაყოფის თითქოსდა უბრალო სქემას: მიწისა და ზღვის ელემენტების ერთმანეთზე ზედდება იძლევა „საზღვაო მიწისა“ და „სახმელეთო წყლის“ იდეას. საზღვაო მიწა კუნძულია, იგი წარმოადგენს საზღვაო იმპერიის საფუძველს, თალასოკრატიის პოლუსს. სახმელეთო წყალი ანუ „მიწის წყალი“ არის მდინარეები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ სახმელეთო იმპერიების განვითარებას. სწორედ მდინარეებზე იგება ქალაქები, მათ შორის დედაქალაქიც — თელუროკრატიის პოლუსი. ეს სიმეტრია ერთდროულად სიმბოლურიცაა, სამეურნეო-ეკონომიკურიც და გეოგრაფიულიც. აღსანიშნავია, რომ კუნძულისა და კონტინენტის სტატუსი განისაზღვრება არა იმდენად ფიზიკური სიდიდით, რამდენადაც მოსახლეობისათვის დამახასიათებელი შემეცნების მიხედვით. მაგალითად აშშ-ს გეოპოლიტიკა, მიუხედავად ჩრდილო ამერიკის სიდიდისა, ატარებს კუნძულოვან ხასიათს, ხოლო კუნძულოვანი იაპონია, გეოპოლი-

ტიკურად, კონტინენტური მენტალიტეტის მაგალითს წარმოადგენს და ა. შ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი: ისტორიულად თალასოკრატია დასავლეთთან და ატლანტიკის ოკეანესთანაა დაკავშირებული, ხოლო თელუროკრატია — აღმოსავლეთთან და ევრაზიის კონტინენტთან (ამრიგად, ზემოთ მოყვანილი იაპონიის მაგალითი შეიძლება ევრაზიის მხრიდან უფრო ძლიერი „მიზიდულობითა" და გავლენით აიხსნას).

თალასოკრატია და ატლანტიზმი სინონიმებად იქცა ჯერ კიდევ ბრიტანეთის კოლონიური ექსპანსიისა და პორტუგალიურ-ესპანურ დაპყრობებამდე დიდი ხნით ადრე. ჯერ კიდევ საზღვაო მიგრაციის ტალღის აგორებამდე დასავლეთის ერებმა თავიანთი კულტურით დაიწყეს მიგრაცია ატლანტიკაში განლაგებული ცენტრებიდან აღმოსავლეთისკენ. ხმელთაშუა ზღვისპირეთის ათვისებაც, აგრეთვე, ჰიბრალტარიდან ახლო აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული და არა პირიქით. თუმცა აღმოსავლეთ ციმბირისა და მონღოლეთის გათხრებმა ცხადჰყო, რომ სწორედ აქ მდებარეობდა ცივილიზაციის უძველესი კერები, ე. ი. კონტინენტის ცენტრალური მიწები გახდა ევრაზიული კაცობრიობის აკვანი.

## 6.3. ლანდშაფტის სიმბოლიზმი

ორი გლობალური კატეგორიის, ხმელეთისა და ზღვის, გარდა გეოპოლიტიკა უფრო კერძო ცნებებითაც ხელმძღვანელობს. თალასოკრატიულ რეალობათა შორის განასხვავებენ საზღვაო და საოკეანო წარმონაქმნებს. მაგალითად, შავი ან ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაცია თავისი ნიშან-თვისებებით ძლიერ განსხვავდება საოკეანო ცივილიზაციისაგან, ანუ იმ კუნძულოვანი სახელმწიფოებისა და ხალხებისაგან, რომლებსაც ღია ოკეანეების სანაპიროები აქვთ ათვისებული. კიდევ უფრო კერძო დაყოფას წარმოადგენს კონტინტებთან დაკავშირებული მდინარეებისა და ტბების ცივილიზაციები.

თავისი სპეციფიური ფორმები თელუროკრატიასაც გააჩნია. შეიძლება განვასხვაოთ სტეპისა და ტყის, მთისა და ვაკის, უდაბნოსა და ყინულის ცივილიზაცია. ლანდშაფტის მრავალფეროვნება, საკრალურ გეოგრაფიაში, აღიქმება ამა თუ იმ ხალხის სახელმწიფოებრივი, რელიგიური თუ ეთიკური იდეოლოგიის თავისებურებებთან დაკავშირებულ სიმბოლურ კომპლექსად. იმ შეთხვევაშიც კი, როდესაც საქმე გვაქვს უნივერსალურ, ეკუმენისტურ რელიგიასთან, მისი კონკრეტული განხორციელება ამა თუ იმ ხალხში, რასაში თუ სახელმწიფოში, მაინც საჭიროებს შეგუებას და ადგილობრივ, საკრალურ-გეოგრაფიულ შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანას.

უდაბნოები და სტეპები მომთაბარეთა გეოპოლიტიკური მიკროსამყაროა. სწორედ აქ, უდაბნოებსა და სტეპებში აღწევს ზენიტს თელუროკრატული ტენდენციები, რადგან „წყლის" ფაქტორი აქ მინიმუმამდეა დაყვანილი. ლოგიკურად სწორედ უდაბნოებისა და სტეპების იმპერიები უნდა წარმოადგენდეს თელუროკრატიის გეოპოლიტიკურ საფუძველს.

სტეპის იმპერიის მაგალითია ჩინგიზ-ხანის იმპერია, ხოლო უდაბნოსი — არაბთა სახალიფო, რომელიც მომთაბარეთა მიერ შეიქმნა.

მთის ცივილიზაცია ხშირად არქაული, ფრაგმენტული წარმონაქმნების სახითაა წარმოდგენილი. მთიანი ქვეყნები არ არიან ექსპანსიის მოთავეები,

პირიქით, მასთან თავს იყრიან სხვა თელეროკრატიული ძალების გეოპოლიტიკური ექსპანსიის მსხვერპლნი. არც ერთი იმპერიის ცენტრი არ არის განლაგებული მთიან რაიონში. აქედან იღებს სათავეს საკრალური გეოგრაფიის ფართოდ გავრცელებული მოტივი: „მთები დასახლებულია დემონებით". მეორე მხრივ, მთებში შემორჩენილია ძველი რასებისა და ცივილიზაციის ნაშთები. სწორედ მთებშია მდებარეობს ტრადიციის საკრალური ცენტრები. შეიძლება ითქვას კიდეც, რომ თელეროკრატიაში მთები ერთგვარ სულიერ ხელისუფლებას განასახიერებენ.

ორივე კონცეფციის ლოგიკურ შეხამებას (მთა — ქურუმთა საუფლო, ხოლო ვაკე — ხელმწიფეთა სამბრძანებლო) წარმოადგენს გორაკის, ანუ მცირე ან საშუალო შემაღლების ბორცვის სიმბოლიკა. გორაკი სამეფო ძალაუფლების სიმბოლოა, რომელიც აღზევებულია სტეპების ანუ ერის დონეზე, თუმცა სახელმწიფო ინტერესების ფარგლებში რჩება (ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს მთაში). გორაკი არის მეფის, ჰერცოგის, იმპერატორის (და არამც და არამც ქურუმის) სუფევის ადგილი. დიდი თელეროკრატიული იმპერიების ყველა დედაქალაქი განლაგებულია გორაკზე ან გორაკებზე (ხშირად შვიდ გორაკზე — პლანეტების რაოდენობის მიხედვით, ხუთ გორაკზე — სტიქიათა რაოდენობის მიხედვით (ეთერის ჩათვლით) და ა. შ.).

გარკვეული თვალსაზრისით, ტყე საკრალურ გეოგრაფიაში ახლოს დგას მთასთან. თვით ხის სიმბოლიკა მთის სიმბოლიკას ენათესავება (ერთიც და მეორეც სამყაროს ღერძს განასახიერებს). მთის მსგავსად ტყე თელეროკრატიაში პერიფერიულ ფუნქციას ასრულებს — ტყე „ქურუმთა ადგილია" (დრუიდები, მოგვები და განდეგილები), იგი ამავე დროს „დემონთა ადგილიცაა" ანუ გამქრალი წარსულის არქაულ ნაშთებსაც მოიცავს. ტყის ზონა, ასევე, არ შეიძლება იყოს სახმელეთო იმპერიის ცენტრი.

სტეპისა და უდაბნოს ჩრდილოურ ანალოგს ტუნდრა წარმოადგენს, თუმცა ცივი კლიმატის გამო, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ნაკლებ მნიშვნელოვანია. ეს „პერიფერიულობა" თავის ზენიტს ყინულეთში აღწევს, რომელიც, მთების მსგავსად, ღრმა არქაულობის ზონას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ესკიმოსების შამანური ტრადიცია ყინულებში განმარტოებას გულისხმობს, აქ მომავალი შამანის წინაშე იმქვეყნიური სამყაროს კარი იხსნება. ამგვარად, ყინულები ქურუმთა ზონა, სხვა განზომილებათა წინკარია.

ამ გეოპოლიტიკური რუკის საწყისი და ძალზე ზოგადი დახასიათების გათვალისწინებით, შეიძლება მათი საკრალური თვისებების მიხედვით გამოვარჩიოთ პლანეტის სხვადასხვა რეგიონები. ამ მეთოდის მისადაგება ლანდშაფტის ლოკალური თავისებურებებისადმი შეიძლება ცალკეული ქვეყნის ან თუნდაც ადგილის მიხედვით. ასევე შეიძლება სხვადასხვა ხალხების იდეოლოგიასა და ტრადიციებს შორის მსგავსების დანახვა იმ შემთხვევაში, თუ მათი ძირძველი საცხოვრისის ლანდშაფტი ერთნაირია.

## 6.4. აღმოსავლეთი და დასავლეთი საკრალურ გეოგრაფიაში

სამყაროს მხარეებს, საკრალური გეოგრაფიის შინაარსით, განსაკუთრებული თვისობრივი მახასიათებლები გააჩნია. საკრალური გეოგრაფიის სურათი სხვადასხვა ტრადიციებში და ამ ტრადიციების სხვადასხვა პერიოდებში შეი-

ძლება იცვლებოდეს მოცემული ტრადიციის განვითარების ფაზების შესაბამისად. ამასთანავე ხშირად იცვლება სამყაროს მხარეების სიმბოლური ფუნქციაც. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართ დაწვრილმანების გარეშეც კი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საკრალური გეოგრაფიის უნივერსალური კანონი.

„კოსმიური სიმბოლიზმის" მიხედვით, საკრალურ გეოგრაფიაში, აღმოსავლეთი ტრადიციულად ითვლება „სულის სასუფევლად", სამოთხის, სისავსის, სიუხვის მიწად, ყოველივე საკრალურის „სამშობლოდ". კერძოდ ამ იდეამ თავისი ასახვა ჰპოვა ბიბლიაში, სადაც მინიშნებულია „ედემის ბაღის" აღმოსავლეთით მდებარეობა. სწორედ ამგვარად აღიქვამენ აღმოსავლეთს სხვა აბრაამისეული ტრადიციები (ისლამი და იუდაიზმი), იგივე დამოკიდებულება აქვს ბევრ სხვა არააბრამისეულ ტრადიციასაც (ჩინური, ინდური და ირანული). „აღმოსავლეთი — ეს ღმერთების სავანეა" ღაღადებს ძველი ეგვიპტელების საკრალური ფორმულა, ხოლო სიტყვა „აღმოსავლეთი" (ეგვიპტურად „ნეტერი") ამავდროულად აღნიშნავდა ღმერთს. ბუნებისეული სიმბოლიზმის მიხედვით აღმოსავლეთი არის ადგილი, საიდანაც ამოდის, „აღმოედინება" მზე, სამყაროს სინათლე, ღვთაებისა და სულის მატერიალური სიმბოლო.

დასავლეთს გააჩნია საპირისპირო სიმბოლური შინაარსი. ეს არის „სიკვდილის ქვეყანა", „მკვდრების სამყარო", „მწვანე ქვეყანა" (ასე უწოდებენ მას ძველი ეგვიპტელები). მაჰმადიანი მისტიკოსების აზრით დასავლეთი — „განდევნის სამეფოა", „გაუცხოების ჭაა", დასავლეთი ეს „ანტი-აღმოსავლეთია", „დაისის", დაცემის, დეგრადაციის ქვეყანა, გაცხადებულიდან გაუცხადებელში, სიცოცხლიდან სიკვდილში, სისავსიდან სიღარიბეში გადასვლაა[27]. დასავლეთი ის ადგილია სადაც ჩადის, იკარგება მზე.

აღნიშნული ლოგიკის შესაბამისად, ბუნებრივი კოსმიური სიმბოლიზმის ტრადიციები აყალიბებენ საკუთარ „წმინდა სივრცეს", აფუძნებენ საკულტო ცენტრებს, სასაფლაოებს, ტაძრებსა და ნაგებობებს, მსჯელობენ მსოფლიო გეოგრაფიული, კულტურული და სახელმწიფოების ტერიტორიების ბუნებრივი და „ცივილიზაციური" თავისებურებების შესახებ. ამგვარად, მიგრაციის, ომების, ლაშქრობების, დემოგრაფიული ტალღების, იმპერიათა მშენებლობისა და ა. შ. სტრუქტურა განისაზღვრებოდა საკრალური გეოგრაფიის საწყისი ლოგიკით. აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ მცხოვრებ ხალხებსა და ცივილიზაციებს გააჩნდათ იერარქიული მახასიათებლები — აღმოსავლეთთან ახლოს ყოფნა საკრალობასთან, ტრადიციასთან, სულიერ სიმდიდრეებთან ახლოს ყოფნასაც ნიშნავდა, ხოლო დასავლეთთან სიახლოვე დაცემას, დეგრადაციასა და სულის მოკვდინებას მოასწავებდა.

რა თქმა უნდა, მსგავსი ლოგიკა არაა აბსოლუტური, თუმცა, ამავდროულად, არც მეორეხარისხოვანი და შეფარდებითია (როგორც ეს შეცდომით მიაჩნია ძველი რელიგიებისა და ტრადიციების მრავალ უვიც მკვლევარს). სინამდვილეში საკრალური ლოგიკა და კოსმიური სიმბოლიზმის კვალდაკვალ სვლა ძველ ხალხებში უფრო გაცნობიერებული, გააზრებული და ქმედითი იყო, ვიდრე დღეს ჭგონიათ ზოგიერთებს. ჩვენს ანტისაკრალურ სამყაროშიც კი, „ქვეცნობიერის" დონეზე, საკრალური გეოგრაფიის არქეტიპები თითქმის ყოველთვის ინარჩუნებენ მთლიანობას და თავს სოციალური კატაკლიზმების ყველაზე მნიშვნელოვანი და კრიტიკული მომენტების დროს იჩენენ ხოლმე.

ამგვარად, საკრალური გეოგრაფია გარკვევით ამტკიცებს „ხარისხობრი-

ვი სივრცის" კანონს, რომელშიც აღმოსავლეთი წარმოადგენს სიმბოლურ „ონტოლოგიურ პლიუსს", ხოლო დასავლეთი — „ონტოლოგიურ მინუსს".

ჩინური ტრადიციის თანახმად აღმოსავლეთი არის იანი — მამაკაცის (სიმამაცის), ნათელის, მზის პრინციპი, ხოლო დასავლეთი — ინი, ქალის, ბნელის, მთვარის პრინციპი.

## 6.5. აღმოსავლეთი და დასავლეთი თანამედროვე გეოპოლიტიკაში

ახლა განვიხილოთ, როგორ აისახება საკრალურ-გეოგრაფიული მსჯელობა გეოპოლიტიკაში, რომელიც თანამედროვე, უახლესი მეცნიერებაა და ითვალისწინებს მხოლოდ ფაქტებს, ხოლო საკრალურ პრინციპებს კადრს მიღმა ტოვებს.

გეოპოლიტიკა რატცელის, ჩელენისა და მაკინდერის (მოგვიანებით ჰაუსჰოფერისა და რუსი ევრაზიელების) თავდაპირველი განმარტებების მიხედვით, ბიძგს იღებდა ცივილიზაციებისა და სახელმწიფოების სხვადასხვა ტიპების გამორკვევიდან, რომლებიც სწორედ გეოგრაფიული თავისებურებებით იყო გამოწვეული. გეოპოლიტიკოსებმა აღნიშნეს უმთავრესი განსხვავებები „კუნძულოვან" და „კონტინენტურ" სახელმწიფოებს შორის, „დასავლურ", „პროგრესულ" ცივილიზაციასა და „აღმოსავლურ", „დესპოტურ" და „არქაულ" კულტურულ ფორმებს შორის. იმის გამო, რომ საკითხი სულის შესახებ, საკრალური და მეტაფიზიკური გაგებით, თანამედროვე მეცნიერებაში საერთოდ არ დამდგარა, ამიტომ გეოპოლიტიკოსებიც გვერდს უვლიან მას და თავს იკავებენ ცნებების — „საკრალური", „პროფანული", „ტრადიციული", „ანტიტრადიციული" და ა. შ. გამოყენებისაგან და ვითარების შეფასებას სხვა, უფრო თანამედროვე ტერმინებში ამჯობინებენ.

გეოპოლიტიკამ აჩვენა უკანასკნელ საუკუნეებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის რეგიონების სახელმწიფოებრივ, კულტურულ და ინდუსტრიულ განვითარებას შორის პრინციპული განსხვავება, რომელსაც ასეთი სახე აქვს: დასავლეთი წარმოადგენს „მატერიალური" და „ტექნოლოგიური" განვითარების ცენტრს. კულტურულ-იდეოლოგიურ დონეზე მასში ჭარბობს „ლიბერალურ-დემოკრატიული" ტენდენციები, ინდივიდუალური და ჰუმანისტური მსოფლმხედველობა. ეკონომიკურ დონეზე პრიორიტეტი ენიჭება ვაჭრობასა და ტექნიკურ მოდერნიზაციას. სწორედ დასავლეთში გამოჩნდა პირველად აღმოსავლეთის ტრადიციული სამყაროსთვის სრულიად უცხო „პროგრესის", „ევოლუციის", „ისტორიის წინსვლითი განვითარების" თეორიები (ეს თეორიები უცხო იყო, აგრეთვე, დასავლეთისათვის ისტორიის იმ პერიოდებში, როდესაც აქ არსებობდა სრულფასოვანი საკრალური ტრადიცია, კერძოდ, შუა საუკუნეებში). დასავლეთში სოციალურ დონეზე იძულებამ წმინდა ეკონომიკური ხასიათი შეიძინა, ხოლო იდეისა და ძალის კანონი ფულის კანონმა შეცვალა. თანდათანობით „დასავლეთის იდეოლოგიის" სპეციფიკა „ადამიანის უფლებათა იდეოლოგიის" უნივერსალურ ფორმულად ჩამოიქნა, რომელიც მსოფლიოს დასავლეთ რეგიონებისთვის — ჩრდილოეთ ამერიკისა და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სათვის უმთავრეს პრინციპად იქცა. ინდუსტრიულ დონეზე ამ იდეოლოგიას შეესაბამება „განვითარებული ქვეყნების" იდეა, ხოლო ეკონომიკურ დონეზე — „თავისუფალი ბაზრის", „ეკონომიკური ლიბერალიზმის" კონცეფცია.

ამ მახასიათებელთა ერთობლიობა, დასავლეთის ცივილიზაციის სხვადასხვა სექტორების სამხედრო-სტრატეგიულ გაერთიანებასთან ერთად, დღეისათვის განისაზღვრება „ატლანტიზმის“ ცნებით. გასულ საუკუნეში გეოპოლიტიკოსები საუბრობდნენ „ცივილიზაციის ანგლოსაქსური ტიპის“, „კაპიტალისტური, ბურჟუაზიული დემოკრატიის“ შესახებ. „გეოპოლიტიკური დასავლეთის“ ფორმულა ყველაზე სრულყოფილად სწორედ „ატლანტისტურ“ ტიპში გამოისახა.

გეოპოლიტიკური აღმოსავლეთი გეოპოლიტიკური დასავლეთის საპირისპირო ცნებას წარმოადგენს. ეკონომიკური მოდერნიზაციის ნაცვლად, აქ სჭარბობს წარმოების კორპორაციული, საამქროს ტიპის ტრადიციული არქაული ფორმები („განვითარებადი ქვეყნები“). ეკონომიკური იძულების მაგივრად, სახელმწიფო ყველაზე ხშირად სარგებლობს „ზნეობრივი“ ან უბრალო ფიზიკური ძალდატანებით (იდეისა და ძალის კანონი). „დემოკრატიისა“ და „ადამიანის უფლებების“ ნაცვლად აღმოსავლეთი მიილტვის განსხვავებული სოციალური რეჟიმებისაკენ (ტოტალიტარიზმი, სოციალიზმი და ავტორიტარიზმი), რომლებსაც აერთიანებთ ის, რომ მათი სისტემის ცენტრში დგას არა „ინდივიდუუმი“, „ადამიანი“ თავისი „უფლებებითა“ და უაღრესად „ინდივიდუალური ფასეულობებით“, არამედ, რაღაც ზეინდიდივიდუალური, ზეადამიანური „საზოგადოება“ — „ერი“, „ხალხი“, „იდეა“, „მსოფლმხედველობა“, „რელიგია“, „ბელადის კულტი“ და ა. შ. დასავლურ ლიბერალურ-დემოკრატიას აღმოსავლეთი უპირისპირებდა არალიბერალური, არაინდივიდუალური საზოგადოებების სხვადასხვა ტიპებს — ავტორიტარული მონარქიიდან დაწყებული თეოკრატიითა და სოციალიზმით დამთავრებული. თანაც წმინდა ტიპოლოგიური, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ამა თუ იმ რეჟიმის პოლიტიკური თავისებურება მეორადი მნიშვნელობის იყო დასავლეთისა (=„ინდივიდუალისტურ-სავაჭრო“) და აღმოსავლეთის (=„გარეინდივიდუალისტურ-ძალოვანი“) წყობად დაყოფასთან შედარებით. ასეთი ანტიდასავლური ცივილიზაციის ტიპიური გამოხატულება იყო საბჭოთა კავშირი, კომუნისტური ჩინეთი, იაპონია 1945 წლამდე და ჰომეინის ირანი.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ რუდოლფ ჩელენი, რომელმაც პირველად იხმარა ტერმინი „გეოპოლიტიკა“, ასე ახასიათებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის განსხვავებას. „ტიპური ამერიკული გამონათქვამი, „go ahead“, რომელიც სიტყვა სიტყვით ნიშნავს „წინ“, ასახავს ამერიკული ცივილიზაციის შინაგან და ბუნებრივ გეოპოლიტიკურ ოპტიმიზმსა და „პროგრესიზმს“, რომელიც დასავლეთის მოდელის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს. რუსები ძირითადად იყენებენ სიტყვას „არაფერი“, „ничего“ (ჩელენის ტექსტში იგი რუსულადაა მოყვანილი — ა. დ.). რაშიც მეღავნდება აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი „პესიმიზმი“, „ჭვრეტა“, „ფატალიზმი“ და „ტრადიციებისადმი ერთგულება“.

თუ ახლა დავუბრუნდებით საკრალური გეოგრაფიის პარადიგმას, ჩვენ დავინახავთ უშუალო წინააღმდეგობას თანამედროვე გეოპოლიტიკის (ისეთი ცნებები, როგორიცაა „პროგრესი“, „ლიბერალიზმი“, „ადამიანის უფლებები“, „სავაჭრო წყობა“ და ა. შ. დღეს უმრავლესობისათვის დადებით ტერმინებს წარმოადგენს) და საკრალური გეოგრაფიის პრიორიტეტებს შორის, რომელიც ცივილიზაციის ტიპებს სრულიად საპირისპირო თვალსაზრისით აფასებს (ისეთი ცნებები, როგორიცაა „სული“, „ჭვრეტა“, „ზეადამიანური ძალისა და

ზედამიანური იდეისადმი მორჩილება", „იდეოკრატია" და ა. შ. საკრალურ ცივილიზაციაში აღმოსავლეთის ხალხებისათვის უაღრესად დადებითი იყო (და დღემდე ასეთად რჩება) მათი „კოლექტიური ქვეცნობიერის" დონეზე). ამგვარად, თანამედროვე გეოპოლიტიკა (რუსი ევრაზიელების, ჰაუსჰოფერის გერმანელი მიმდევრებისა და ისლამისტი ფუნდამენტალისტების გამოკლებით) სამყაროს სურათს სრულიად საპირისპირო სახით აფასებს, ვიდრე ტრადიციული საკრალური გეოგრაფია. თუმცა, ორივე მეცნიერება, ერთმანეთის მსგავსად აღწერს ცივილიზაციის გეოგრაფიული სურათის უმთავრეს კანონზომიერებებს.

## 6.6. საკრალური სამხრეთი და საკრალური ჩრდილოეთი

აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის საკრალურ-გეოგრაფიულ განსაზღვრასთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია მეორე, ჩრდილოეთ-სამხრეთის ვერტიკალური ღერძის ორიენტაციის პრობლემა. აქაც, ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, საკრალური გეოგრაფიის პრინციპებს, სამყაროს მხარეებსა და მათ შესაბამის კონტინენტების სიმბოლიზმს გააჩნია პირდაპირი ანალოგია სამყაროს გეოპოლიტიკურ სქემაზე, რომელიც, ისტორიული პროცესის განმავლობაში შეიძლება ბუნებრივად ჩამოყალიბდეს ან წარმოადგენდეს ამა თუ იმ გეოპოლიტიკური წარმონაქმნების ლიდერების შეგნებული და ხელოვნური მიზანდასახული ქმედებების შედეგს. „ინტეგრალური ტრადიციონალიზმის" თვალსაზრისით, განსხვავება „ხელოვნურსა" და „ბუნებრივს" შორის ძლიერ პირობითია, რამეთუ ტრადიციისათვის ყოველთვის უცხო იყო კარტეზიანულისა[28] თუ კანტიანურის[29] მსგავსი დუალიზმი, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავდნენ „სუბიექტურსა" და „ობიექტურს" („ფენომენალურსა"[30] და „ნოუმენალურს"[31]). სწორედ ამიტომ ჩრდილოეთის ან სამხრეთის საკრალური განსაზღვრება არა მხოლოდ ფიზიკური, ბუნებრივი, ლანდშაფტურ-კლიმატური (ანუ „ობიექტური") ფაქტორია ან მხოლოდ ამა თუ იმ ინდივიდუუმთა გონებით შექმნილი „იდეა" ან „კონცეფცია" (ანუ „სუბიექტური" ფაქტორი), არამედ იგი არის რაღაც მესამე, რომელიც აღემატება ობიექტურ და სუბიექტურ პოლუსებს. შეიძლება ითქვას, რომ საკრალური ჩრდილოეთი, ჩრდილოეთის არქეტიპი, ისტორიის მსვლელობისას ორმაგდება, ერთი მხრივ, ჩრდილოეთის ბუნებრივი ლანდშაფტით, ხოლო მეორე მხრივ, ჩრდილოეთის იდეით, „ნორდიზმით".

ტრადიციის უძველესი და თავდაპირველი ფენა ამყარებს ჩრდილოეთის პრიმატს სამხრეთზე. ჩრდილოეთის სიმბოლიზმი დაკავშირებულია საწყისთან, თავდაპირველ ნორდიულ[32] სამოთხესთან, საიდანაც დასაბამს იღებს მთელი კაცობრიობის ცივილიზაცია. ძველირანული და ზოროასტრული ხელნაწერები იუწყებიან ჩრდილოეთში მდებარე ქვეყნის „არიანე ვაეჯას" და მისი დედაქალაქის, „ვარას" შესახებ, საიდანაც, ძველი არიელები, კეთილი ღვთაების, ორმუზდის მეტოქის, ბოროტების სულის — არიმანის მიერ თავსდატეხილმა გამყინვარებამ გამოაძევა. ძველი ვედები, ჩრდილოეთის ქვეყანას, ასევე, ინდუსების პირველ სამშობლოდ მოიხსენიებენ და მოგვითხრობენ უკიდურეს ჩრდილოეთში არსებული „სვეტადვიპას" — თეთრი მიწის შესახებ.

ძველი ბერძნები საუბრობდნენ ჰიპერბორეას, ჩრდილოეთის კუნძულისა და მისი დედაქალაქის ტულას შესახებ. ეს მიწა ნათელმოსილი ღმერთის — აპოლონის სამშობლოდ ითვლებოდა. მივიწყებული და ფრაგმენტებად ქცეული,

უძველესი, ნორდიული სიმბოლიზმის კვალს შეიძლება მრავალ სხვა ტრადიციაშიც წავაწყდეთ. ჩრდილოეთთან ტრადიციულად დაკავშირებულ მთავარ იდეას ცენტრის, უძრავი პოლუსის, მარადიული წერტილის იდეა წარმოადგენს. მის გარშემო ბრუნავს არა მხოლოდ სივრცე, არამედ დროც. ჩრდილოეთი მარადიული ნათელის მიწაა, სადაც მზე ღამითაც არ უჩინარდება. ყოველი საკრალური ტრადიცია თაყვანს სცემს ცენტრს, შუაგულს, წერტილს, სადაც თავს იყრის წინააღმდეგობები. ეს არის სიმბოლური ადგილი, რომელიც არ ემორჩილება კოსმიური ენტროპიის[33] კანონებს. ცენტრი, რომლის სიმბოლოს წარმოადგენს სვასტიკა (იგი ხაზს უსვამს ცენტრის უძრაობასა და მარადიულობას, აგრეთვე, პერიფერიის მოძრაობასა და ცვალებადობას), ყველა ტრადიციაში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება და ყოველთვის, პირდაპირ ან ირიბად, ჩრდილოეთის სიმბოლიზმს უკავშირდება. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა საკრალური ტრადიცია, ამა თუ იმ ისტორიულ პირობებთან შეგუებული, ერთიანი ჩრდილოური, ნორდიული ტრადიციის ანარეკლია. ჩრდილოეთი დედამიწის ის კუთხეა, რომელიც თავდაპირველმა ლოგოსმა ისტორიაში თვითგამოვლენისათვის აირჩია, მისი ყოველი შემდგომი გამოვლინება საწყისი პოლარულ-სამოთხისეული სიმბოლიზმის აღადგენას თუ იწვევდა.

საკრალური გეოგრაფია ჩრდილოეთს აკავშირებს სულთან, ნათელთან, სიწმინდესთან, სისავსესთან, ერთიანობასა და მარადიულობასთან.

სამხრეთი განასახიერებს სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას (მატერიალურობა, უკუნი, აღრევა, გაჭირვება, მრავლობითობა, დროისა და ჩამოყალიბების ნაკადში შთაფლვა). ბუნების თვალსაზრისითაც, პოლარულ მხარეებში არსებობს ერთი გრძელი ნახევარწლიანი დღე და ერთი გრძელი ნახევარწლიანი ღამე. ეს არის ღმერთებისა და გმირების, ანგელოზების დღე და ღამე. დეგრადირებულ ტრადიციებშიც კი შემონახულია ჩრდილოეთის ამ საკრალური სულიერი, ზებუნებრივი მხარის მოგონებები, რომელთაც ჩრდილოეთის რეგიონები „სულებისა“ და „იმქვეყნიური ძალების“ სავანედ მიაჩნდათ. სამხრეთში ღმერთების დღე და ღამე იყოფა უამრავ ადამიანურ დღე-ღამედ, ჰიპერბორეის თავდაპირველი სიმბოლურობა ქრება და მის შესახებ მოგონებები „კულტურისა“ და „გადმოცემათა“ რიგში გადადიან. სამხრეთს, საერთოდ, ხშირად უკავშირებენ კულტურას ანუ ადამიანის მოღვაწეობის იმ სფეროს, სადაც უხილავი და წმინდა სულიერი ფასეულობები მატერიალურ, გაუხეშებულ, ხილულ ელფერს იძენენ. სამხრეთი — ეს არის მატერიის, ცხოვრების, ბიოლოგიისა და ინსტინქტების სამეფო. სამხრეთი აქარწყლებს ტრადიციის ჩრდილოურ სიწმინდეს და მის კვალს მატერიალიზებული სახით ინარჩუნებს.

ჩრდილოეთ-სამხრეთის წყვილი საკრალურ გეოგრაფიაში არ დაიყვანება სიკეთისა და ბოროტების აბსტრაქტულ დაპირისპირებამდე. ეს უფრო სულიერი იდეისა და მისი გაუხეშებული, მატერიალური ხორცშესხმის დაპირისპირებაა. ნორმალურ შემთხვევაში, როდესაც სამხრეთი ცნობს ჩრდილოეთის პრიმატს, სამყაროს ამ მხარეებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა არსებობს. ჩრდილოეთი „სულიერად შთააგონებს“ სამხრეთს. ნორდიული გამოსხივება სამხრეთელებს ტრადიციას ჩუქნის და საფუძველს უყრის საკრალურ ცივილიზაციას. მაშინ, როდესაც სამხრეთი უარს აცხადებს ჩრდილოეთის პრიმატის აღიარებაზე, იწყება საკრალური წინააღმდეგობა, „კონტინენტების ომი“, თანაც, ტრადიციის თვალსაზრისით, წმინდა ნორმების ხელყოფის გამო, სწორედ სამხრეთი აგებს პასუხს ამ კონფლიქტის გაჩაღებაზე. „რამაიანში“, მაგალითად,

სამხრეთის კუნძული ლანკა იმ დემონების საუფლოდ ითვლება, რომელთაც რამას ცოლი, სიტა, მოსტაცეს და ომი გამოუცხადეს კონტინენტური ჩრდილოეთის წარმომადგენელ ქალაქ აიოდჰის.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძი, საკრალურ გეოფრაფიაში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობისაა. თუმცა, ამ აღმატებულობის მიუხედავად, იგი ციკლური ისტორიის უძველეს ეტაპებს უკავშირდება. ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ჰიპერბორეასა და გონდვანას (სამხრეთის უძველესი პალეოკონტინენტი) შორის დიდი ომი „წარღვნამდელ" ხანას მიეკუთვნება. ციკლის ბოლო ფაზებში იგი უფრო ფარული და შენიღბული ხდება. ქრება ჩრდილოეთისა და სამხრეთის უძველესი პალეოკონტინენტები. დაპირისპირების ესტაფეტა აღმოსავლეთსა და დასავლეთს გადაეცემა.

ჩრდილოეთ-სამხრეთის ვერტიკალური ღერძის შეცვლა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჰორიზონტალურ ღერძად დამახასიათებელია ციკლის უკანასკნელი ეტაპებისთვის. მიუხედავად ამისა, იგი ინარჩუნებს ლოგიკურ და სიმბოლურ კავშირს ამ ორ საკრალურ-გეოგრაფიულ წყვილს შორის. ჩრდილოეთ-სამხრეთის წყვილი (სული-მატერია, მარადისობა-დრო) ასახვას ჰპოვებს აღმოსავლეთ-დასავლეთის წყვილზე (ტრადიცია და პროფანიზმი, აისი და დაისი). აღმოსავლეთი არის ჩრდილოეთის ქვევით მიმართული, ჰორიზონტალური დაგეგმარება. დასავლეთი — სამხრეთის ზემოთ მიმართული, ჰორიზონტალური დაგეგმარება. საკრალური მნიშვნელობების ასეთი გადანაცვლებით ადვილად შეიძლება მივიღოთ ტრადიციისათვის დამახასიათებელი კონტინენტური ხედვის სტრუქტურა.

## 6.7. ჩრდილოეთის ხალხი

საკრალური ჩრდილოეთი განსაზღვრავს ადამიანის განსაკუთრებულ ტიპს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს (და არც ჰქონდეს) საკუთარი ბიოლოგიური და რასობრივი ხორცშესხმა. „ნორდიზმის" არსი მდგომარეობს ადამიანის უნარში — სამყაროს ყოველი ფიზიკური და მატერიალური საგანი დაუკავშიროს მის არქეტიპს, მის იდეას. ეს თვისება არ არის რაციონალური საწყისის უბრალო განვითარება. პირიქით, სწორედ კარტეზიანული და კანტიანური „წმინდა გონი" უძლურია ბუნებრივად გადალახოს სიფრიფანა ზღვარი „ფენომენსა" და „ნოუმენს" შორის, სამაგიეროდ სწორედ ეს უნარი უდევს საფუძვლად „ნორდულ" აზროვნებას. ჩრდილოეთის ადამიანი — ეს არ არის უბრალოდ სისხლით, ენითა და კულტურით თეთრი „არიელი" ან ინდოევროპელი ადამიანი. ჩრდილოეთის ადამიანი, ეს არის სიწმინდის ინტუიციით დაჯილდოებული სპეციფიური ტიპის არსება. კოსმოსი მისთვის ეს არის სიმბოლოებისაგან შექმნილი ჭკვიანი, რომელთაგან თითოეული მათგანი მიუთითებს თვალთაგან დაფარულ სულიერ, საწყის პრინციპზე. ჩრდილოეთის ადამიანი ეს არის „მზიური ადამიანი", Sonnenmensch, რომელიც შავი ნივთიერების მსგავსად კი არ ნთქავს ენერგიას, არამედ გამოჰყოფს მას და თავისი სულიდან ასხივებს შესაქმის, სინათლის, ძალისა და სიბრძნის ნაკადებს.

წმინდა ნორდიული ცივილიზაცია ძველი ჰიპერბორეასთან ერთად გაქრა, მაგრამ სწორედ მისმა მოციქულებმა ჩაუყარეს საფუძველი ყველა არსებულ ტრადიციას. სწორედ მოძღვართა ნორდიული რასა იდგა ყველა კონტინენტისა

და კანის ფერის, ხალხის რელიგიისა და კულტურის საწყისებთან. ჰიპერბორეული კულტის ნიშნებს შეიძლება წავაწყდეთ ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებსა და ძველ სლავებს შორის, ასევე ჩინური ცივილიზაციის დამაარსებლებთან, წყნარი ოკეანის აბორიგენებთან, ქერა გერმანელებთან, დასავლეთ აფრიკის შავკანიან შამანებთან, წითელკანიან აცტეკებთან და ღაწვმაღალ მონღოლებთან. მსოფლიოში არ არსებობს ხალხი, რომ არ ჰქონდეს მითი „მზიური ადამიანის", Sonnenmench-ის შესახებ. ჭეშმარიტი სულიერი, ზერაციონალური გონი, ღვთაებრივი ლოგოსი, სამყაროს მიღმა მისი იდუმალი სულის ხედვა — ჩრდილოეთის განმსაზღვრელი თვისებებია. იქ სადაც არის ზეციური სიწმინდე და სიბრძნე, იქვე, უხილავად იმყოფება ჩრდილოეთიც, მიუხედავად იმისა, თუ დროის ან სივრცის რომელ წერტილში ვიმყოფებით.

## 6.8 სამხრეთის ხალხი

სამხრეთის, გონდვანური ტიპის ადამიანი სრულიად ეწინააღმდეგება „ნორდიული" ტიპის ადამიანს. სამხრეთის ადამიანი, Mondmensch, ცხოვრობს შედეგების, მეორადი გამოვლინების გარემოცვაში. იგი იმყოფება კოსმოსში, რომელსაც თაყვანს სცემს, მაგრამ ვერ იგებს. იგი ეთაყვანება გარეგანს და არა დაფარულს. იგი რუდუნებით იცავს და ინახავს სულიერების კვალს, მის ხორცხშესხმას მატერიალურ გარემოში, მაგრამ არ ძალუძს განსახიერებულიდან გადავიდეს განმსახიერებლამდე (სიმბოლიზირებულიდან სიმბოლიზაციის შემოქმედამდე). სამხრეთელი ადამიანი ცხოვრობს ვნებებითა და შინაგანი მისწრაფებებით, იგი სულს უფრო დიდ უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე სამშვინველს (რომელიც უბრალოდ არ იცის) და ეთაყვანება სიცოცხლეს, როგორც უმაღლეს ინსტანციას. სამხრეთ ადამიანს ახასიათებს მრავალფეროვან ფორმათა წარმომშობი დიადი მატერიის კულტი. სამხრეთის ცივილიზაცია მთვარის ცივილიზაციაა, რომელიც ნათელს მზისგან (ჩრდილოეთისაგან) იღებს. გარკვეული ხნის განმავლობაში იგი ინარჩუნებს და ასხივებს ნათელს, მაგრამ დრო და დრო მასთან კავშირს კარგავს (ახალი მთვარე).

როდესაც სამხრეთის ადამიანები ჰარმონიაში არიან ჩრდილოელებთან, ანუ როდესაც აღიარებენ მათ ავტორიტეტს და მათ ტიპოლოგიურ (და არა რასობრივ) აღმატებულობას, მაშინ სამყაროში მეფობს ცივილიზაციური ჰარმონია. როდესაც ისინი პრეტენზიას აცხადებენ სინამდვილისადმი საკუთარი არქეტიპული დამოკიდებულების პირველობაზე, წარმოიქმნება დამახინჯებული კულტურული ტიპი, რომელიც ერთობლივად შეიძლება განისაზღვროს, როგორც **კერძოთთაყვანისმცემლობა, ფეტიშიზმი ან წარმართობა** (ამ ტერმინის უარყოფითი, კნინობითი მნიშვნელობით).

ისევე, როგორც პალეოკონტინენტებთან დაკავშირებით, წმინდა ჩრდილოური და სამხრეთული ტიპები არსებობდნენ მხოლოდ უძველეს ხანაში. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ადამიანები ერთმანეთს ოდითგანვე უპირისპირდებოდნენ. შემდეგ, ჩრდილოეთის ხალხებმა შეღწევა დაიწყეს სამხრეთის მიწებზე, სადაც საფუძველი ჩაუყარეს აშკარა „ნორდიულ" ცივილიზაციებს: ძველ ირანსა და ინდოეთს. მეორე მხრივ, სამხრეთელები ზოგჯერ ძალზე შორს იჭრებოდნენ ჩრდილოეთში, სადაც შექმნდათ თავიანთი კულტურული ტიპი. ესენი იყვნენ ფინელები, ესკიმოსები, ჩუქჩები და ა. შ. თანდათანობით საკრალური გეოგრაფიის პანორამის საწყისი სიცხადე ბუნდოვანი ხდებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, „ჩრდილოეთისა" და „სამხრეთის" ადამიანების ტიპოლოგიური დუალიზმი არსებობდა ყველა დროსა და ყველა ეპოქაში, თუმცა იგი თავს იჩენდა არა ორი განსხვავებული ცივილიზაციის გარეგანი კონფლიქტის, არამედ ერთი ცივილიზაციის ფარგლებში არსებული შინაგანი კონფლიქტის სახით. საკრალური ისტორიის გარკვეული მომენტიდან მოყოლებული, მსოფლიოს ნებისმიერი ადგილის მიუხედავად, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ტიპები ყველგან უპირისპირდებიან ერთმანეთს.

## 6.9. ჩრდილოეთი და სამხრეთი აღმოსავლეთსა და დასავლეთში

ჩრდილოეთის ადამინების ტიპი შეიძლება აისახოს სამხრეთშიც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. სამხრეთში ჩრდილოეთის სინათლე ბადებდა ინდური, ირანული ან ჩინური ცივილიზაციების მსგავს უდიდეს მეტაფიზიკურ ცივილიზაციებს, რომლებიც „კონსერვატიული" სამხრეთის პირობებში დიდხანს ინარჩუნებდნენ მათთვის განდობილ საიდუმლოებას. თუმცა ჩრდილოეთის სიმბოლიზმის სიმარტივე და გარკვეულობა გარდაიქმნებოდა საკრალური დოქტრინების, რიტუალებისა და წესების რთულ და მრავალფეროვან, დახლართულ აზრებად. მიუხედავად ამისა, სამხრეთის სიღრმეში გადანაცვლებით ჩრდილოეთის კვალი თანდათანობით იკარგება. წყნარი ოკეანის კუნძულებისა და სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის მითოლოგიასა და რიტუალებში „ნორდიული" მოტივები შენარჩუნებულია მეტად ფრაგმენტულ, რუდიმენტულ და დამახინჯებულ ფორმებში.

აღმოსავლეთში ჩრდილოეთი ვლინდება, როგორც კლასიკური ტრადიციული საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია ინდივიდუალობის მიმართ ზეინდივიდუალობის აშკარა ზეაღმატებულობაზე, სადაც ყოველივე „ადამიანური" და „რაციონალური" ქედს იხრის ზეადამიანურისა და ზერაციონალური პრინციპის წინაშე. თუ სამხრეთი ცივილიზაციას „მდგრადობას" ანიჭებს, სამაგიეროდ აღმოსავლეთი განსაზღვრავს მის საკრალურობასა და ნამდვილობას, რომელთა მთავარ გარანტს ჩრდილოეთის სინათლე წარმოადგენს.

დასავლეთში ჩრდილოეთი ვლინდება გმირულ საზოგადოებებში, სადაც დასავლეთისათვის, დამახასიათებელი დანაწევრების, ინდივიდუალიზაციისა და რაციონალიზაციის ტენდენცია ძლევდა თავის თავს, და ინდივიდუუმი, იქცეოდა რა გმირად, სცილდებოდა „მეტისმეტად ადამიანური" პიროვნების ფარგლებს. დასავლეთში ჩრდილოეთი გაიგივებულია ჰერაკლეს სიმბოლურ ფიგურასთან, რომელიც, ერთი მხრივ, ათავისუფლებს პრომეთეს (წმინდა დასავლური, ღმერთთან მებრძოლი, „ჰუმანისტური" ტენდენცია), ხოლო, მეორე მხრივ, ეხმარება ზევსსა და ღმერთებს მათ წინააღმდეგ ამხედრებული გიგანტების დამარცხებაში (ე. ი. მოღვაწეობს საკრალური ნორმებისა და სულიერი წესრიგის საკეთილდღეოდ).

სამხრეთი, პირიქით, სამივე ორიენტაციაზე საპირისპირო სახით აისახება. ჩრდილოეთში იგი იძლევა „არქაიზმისა" და კულტურული უმოძრაობის შედეგს. ყველაზე ჩრდილოური „ნორდიული" ტენდენციები (სამხრეთის „პალეოაზიური", „ფინური" ან „ესკიმოსური" ელემენტების ზემოქმედების დროს) იძენენ „კერპთაყვანისცემისა" და „ფეტიშიზმის" თვისებებს (კერძოდ, ეს დამახასიათებელია „სკალდების[34] ეპოქის" გერმანულ-სკანდინავიური ცივილიზაციისთვის).

აღმოსავლეთში სამხრეთის ძალები თავს იჩენენ დესპოტურ საზოგადოე-

ბებში, სადაც ჩვეულებრივი და სამართლიანი აღმოსავლური გულგრილობა ყოველივე ინდივიდუალურის მიმართ, დიადი ზეადამიანური სუბიექტის უარყოფაში ვლინდება. აღმოსავლეთის ტოტალიტარიზმის ყველა ფორმა ტიპოლოგიურად და რასობრივად სამხრეთთანაა დაკავშირებული.

დაბოლოს, დასავლეთში სამხრეთი ვლინდება **ინდივიდუალიზმის უკიდურესად უხეშ, მატერიალისტურ ფორმებში,** როდესაც ერთეული ინდივიდუუმები ანტიგმირული გამოფიტვის უკიდურეს ზღვარს აღწევენ. ამის შემდეგ ისინი თაყვანს სცემენ მხოლოდ კომფორტის „ოქროს კერპსა" და ეგოისტურ ჰედონიზმს[35]. აშკარაა, რომ ამ ორი საკრალურ-გეოპოლიტიკური ტენდენციის მსგავსი შეხამება, ცივილიზაციის ყველაზე უარყოფით ტიპს იძლევა, რადგან მასში ერთმანეთს თანხვდება თავისთავად უარყოფითი ორი ორიენტაცია — ვერტიკალური სამხრეთი და ჰორიზონტალური დასავლეთი.

## 6.10. კონტინენტებიდან მეტაკონტინენტებისაკენ

თუ საკრალური გეოგრაფიის პერსპექტივაში სიმბოლური ჩრდილოეთი აშკარად შეესაბამება პოზიტიურ, ხოლო სამხრეთი — ნეგატიურ ასპექტებს, სამაგიეროდ მსოფლიოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ სქემაში საქმე უფრო რთულად და, გარკვეული თვალსაზრისით, საწინააღმდეგოდაც კი მდგომარეობს. თანამედროვე გეოპოლიტიკა „ჩრდილოეთისა" და „სამხრეთის" ტერმინების ქვეშ სრულიად განსხვავებულ კატეგორიებს გულისხმობს, ვიდრე საკრალური გეოგრაფია.

უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთის პალეოკონტინენტი, ჰიპერბორეა, უკვე მრავალი ათასწლეულია რაც ფიზიკურად აღარ არსებობს. იგი წარმოადგენს სპირიტუალურ რეალობას, საითაც მიმართულია თავდაპირველი ტრადიციის თაყვანისმცემელ განდობილთა სულიერი მზერა.

მეორე მხრივ, ნორდიულ ეპოქაში პოლუსიდან მოსული უძველესი „ნორდიული", „თეთრი მასწავლებლების" რასა, სრულიადაც არ წარმოადგენს ჩვენს დროში არსებულ „თეთრი რასას", რომლის განსაზღვრა ეყრდნობა მხოლოდ ფიზიკურ მახასიათებლებს, კანის ფერს და ა.შ. ტრადიციების ჩრდილოეთი და მისი თავდაპირველი მოსახლეობა, „ნორდიული ავტოქტონები" დიდი ხანია არ წარმოადგენენ კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფულ სინამდვილეს. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ ამ ნორდიული კულტურის უკანასკნელი ნაშთები ფიზიკური რეალობიდან რამდენიმე ათასი წლის წინ გაქრნენ.

ამგვარად, ჩრდილოეთი ტრადიციაში — ეს არის მეტაისტორიული და მეტაგეოგრაფიული სინამდვილე. იგივე შეიძლება ითქვას „ჰიპერბორეული რასის" შესახებაც, იგი წარმოადგენს არა ბიოლოგიურ, არამედ წმინდა სპირიტუალურ, მეტაფიზიკურ „რასას" („მეტაფიზიკური რასების" შესახებ თეორია, თავის შრომებში, დაწვრილებით განავითარა იულიუს ევოლამ).

სამხრეთის კონტინენტი და, მთლიანად, ტრადიციების სამხრეთი, ასევე კარგა ხანია რაც წმინდა სახით აღარ არსებობს, ისევე, როგორც მისი უძველესი მოსახლეობა. გარკვეული თვალსაზრისით, რაღაც მომენტის შემდეგ, პრაქტიკულად მთელი მსოფლიო „სამხრეთად" იქცა. ეს მოხდა სამყაროზე საწყისი პოლარული, ინიციატორული ცენტრისა და მისი დესპანების გავლენის შემცირების კვალდაკვალ. სამხრეთის თანამედროვე რასები ჩრდილოეთის რასებთან

მრავალრიცხოვანი შერევის შედეგად მიღებულ ნაყოფს წარმოადგენენ, ხოლო კანის ფერი უკვე დიდი ხანია აღარ არის ამა თუ იმ „მეტაფიზიკური რასისადმი" კუთვნილების მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსოფლიოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ სქემას ცოტა რამ აქვს საერთო ზეისტორიულ და ზედროებით ასპექტში დანახულ სამყაროსთან. კონტინენტები და მათი მოსახლეობა ჩვენს ეპოქაში უკიდურესად დაშორდენ იმ არქეტიპებს, რომლებიც მათ შეესაბამებოდა ნორდიულ ხანაში. ამიტომ, ერთი მხრივ, ნამდვილად არსებულ კონტინენტებსა და რასებს შორის (თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობები) და მეორე მხრივ, მეტაკონტინენტებსა და მეტარასებს შორის (ტრადიციული საკრალური გეოგრაფიის რეალობები) დღეს აშკარაა არა უბრალოდ განსხვავება, არამედ თითქმის უკუშესაბამისობა.

## 6.11 „მდიდარი ჩრდილოეთის" ილუზია

თანამედროვე გეოპოლიტიკა ცნებას „ჩრდილოეთი" ყველაზე ხშირად იყენებს განსაზღვრებით „მდიდარი" — „მდიდარი ჩრდილოეთი" ან „განვითარებული ჩრდილოეთი". აქ იგულისხმება ერთობლივად მთელი დასავლური ცივილიზაცია, რომელიც ძირითად ყურადღებას უთმობს ცხოვრების მატერიალური და ეკონომიკური მხარის განვითარებას. „მდიდარი ჩრდილოეთი" მდიდარია არა იმის გამო რომ იგი უფრო ინტელექტუალურია ან სულიერი, ვიდრე „სამხრეთი", არამედ იმიტომ, რომ თავის საზოგადოებრივ სისტემას იგი აგებს მაქსიმალური მატერიალური მოგების (რომელიც კი შეიძლება გამოიღოს საზოგადოებრივმა და ბუნებრივმა პოტენციალმა) პრინციპზე, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაზე. „მდიდარი ჩრდილოეთი" რასობრივად არის დაკავშირებული იმ ერებთან, რომლებსაც აქვთ თეთრი კანის ფერი და ეს თავისებურება საფუძვლად უდევს აშკარა ან ფარული „დასავლური რასიზმის" (განსაკუთრებით ანგლო-საქსური) სხვადასხვა ვერსიას.

„მდიდარი ჩრდილოეთის" მიერ მატერიალურ სფეროში მიღწეული წარმატებები, პოლიტიკურ და „რასობრივ" პრინციპადაც კი, სწორედ იმ ქვეყნებში იყო აღიარებული, რომლებიც ინდუსტრიული, ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების ავანგარდს ედგა სათავეში — ე. ი. ინგლისში, ჰოლანდიაში, ხოლო მოგვიანებით გერმანიაში და აშშ-ში. აღნიშნულ შემთხვევაში მატერიალური და რაოდენობრივი კეთილდღეობა ხარისხობრივ კრიტერიუმს გაუტოლდა და ამის საფუძველზე წარმოიშვა შინაარსს მოკლებული დებულებები სამხრეთის (ე. ი. ვინც არ მიეკუთნება „მდიდარ ჩრდილოეთს") ხალხების „ბარბაროსობის", „პრიმიტიულობის", „განუვითარებლობის" თაობაზე. ასეთი „ეკონომიკური რასიზმი" ყველაზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა ანგლოსაქსურ კოლონიურ დაპყრობებში, ხოლო მოგვიანებით მისი „დამშვენებული" ვერსიები ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის ყველაზე უხეშ და საპირისპირო ასპექტებში აისახა. თანაც, ხშირად ნაცისტური იდეოლოგები თავის ბუნდოვან მოსაზრებებს (წმინდა „სპირიტული ნორდიზმისა" და „სულგაბრძნობილი არიული რასის" თაობაზე) უბრალოდ ურევდნენ ინგლისური ყაიდის ვულგარულ, მერკანტილურ, ბიოლოგიურ-სავაჭრო რასიზმთან (უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ საკრალური გეოგრაფიის კატეგორიების შეცვლა მატერიალურ-ტექნიკური კატეგორიებით იყო ნაციონალ-სოციალიზმის ყველა-

ზე ნეგატიური მხარე, რამაც იგი საბოლოოდ პოლიტიკურ, თეორიულ და სამხედრო დამარცხებამდეც კი მიიყვანა). მაგრამ, მესამე რაიხის დამარცხების შემდეგაც კი „მდიდარი ჩრდილოეთის" რასიზმის ეს ტიპი არ გამქრალა პოლიტიკური ცხოვრებიდან. მისი მემკვიდრეები გახდნენ, უპირველეს ყოვლისა, აშშ და მისი ატლანტელი თანამოაზრეები დასავლეთ ევროპაში. რა თქმა უნდა, „მდიდარი ჩრდილოეთის" უახლეს მონდიალისტურ დოქტრინებში ბიოლოგიური და რასობრივი სისუფთავის საკითხები აქცენტირებული არ არის, მაგრამ, ამის მიუხედავად, პრაქტიკულად, მესამე სამყაროს განუვითარებელი და განვითარებადი ქვეყნების მიმართ „მდიდარი ჩრდილოეთი" დღესაც იჩენს წმინდა „რასისტულ" ქედმაღლობას, რომელიც დამახასიათებელია, როგორც კოლონისტ-ინგლისელებისათვის, ისე როზენბერგის ხაზის გერმანელი ნაციონალ-სოციალისტური ორთოდოქსებისათვის.

სინამდვილეში „მდიდარი ჩრდილოეთის" სახელით აღინიშნება ის ქვეყნები, სადაც ტრადიციის სრულიად საპირისპირო — რაოდენობის, მატერიალიზმის, ათეიზმის, სულიერი დეგრადაციისა და გადაგვარების ძალებმა გაიმარჯვა. „მდიდარი ჩრდილოეთი" ნიშნავს რაღაც სრულიად განსხვავებულს „სულიერი ნორდიზმისა" და „ჰიპერბორეული სულისაგან". ჩრდილოეთის არსი საკრალურ გეოგრაფიაში — ეს არის სულის პირველობა მატერიის მიმართ, სინათლის, სამართლისა და სიწრფელობის მიერ პირუტყვული ცხოვრების, ინდივიდუალურ მისწრაფებათა განუკითხაობასა და მდაბალი ეგოიზმის საბოლოო და ტოტალური დამარცხება. ხოლო მონდიალისტური გეოპოლიტიკის „მდიდარი ჩრდილოეთი" კი, პირიქით, ნიშნავს წმინდა მატერიალურ კეთილდღეობას, ჰედონიზმს, მოხმარების საზოგადოებას, იმათ უპრობლემო და ხელოვნურ ცრუსამოთხეს, ვისაც ნიცშემ „უკანასკნელი ხალხი" უწოდა. ტექნიკური ცივილიზაციის მატერიალურ პროგრესს თან ახლდა საკრალური კულტურის უზარმაზარი სულიერი რეგრესი, რის გამოც, ტრადიციის თვალსაზრისით, თანამედროვე „განვითარებული" ჩრდილოეთის „სიმდიდრე" ვერ გამოდგება თანამედროვე „პრიმიტიულ სამხრეთის" მატერიალურ „სიღატაკეზე" და ტაქნიკურ ჩამორჩენილობაზე უპირატესობის კრიტერიუმად.

უფრო მეტიც, სამხრეთის მატერიალური „სიღატაკე" ხშირად უფრო მეტად უკავშირდება სამხრეთ რეგიონებში ცივილიზაციის ქეშმარიტად საკრალური ფორმების შენარჩუნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ „სიღატაკის" უკან ხშირად სულიერი სიმდიდრე იმალება. სულ მცირე ორი საკრალური ცივილიზაცია აგრძელებს დღეს არსებობას სამხრეთის სივრცეებზე („მდიდარი (და აგრესიული) ჩრდილოეთის" მიერ მათთვის განვითარების საკუთარი წესისა და გზის თავზე მოახვევს ყველა მცდელობის მიუხედავად). ეს არის ინდუისტური ინდოეთი და ისლამური სამყარო. შორეულაღმოსავლური ტრადიციის შესახებ ცნობილია სხვადასხვა თვალსაზრისი, რომელთაგან ზოგიერთი „მარქსისტური" და „მაოისტური" რიტორიკის საფუძვლის ქვეშაც კი ავლენენ ზოგიერთ ტრადიციულ პრინციპს, რომლებიც ყოველთვის იყო ჩინური ცივილიზაციის განმსაზღვრელი. ასეა თუ ისე, იმ ხალხებით დასახლებული სამხრეთის რეგიონები, რომლებიც ინარჩუნებენ ერთგულებას მეტად ძველი და ნახევრად დავიწყებული საკრალური ტრადიციების მიმართ, ათეისტურ და უკიდურესად მატერიალისტურ „მდიდარ ჩრდილოეთთან" შედარებით მაინც წარმოდგენილია, როგორც „სულიერი", „სრულფასოვანი" და „ნორმალური", როცა ამ დროს თვით „მდიდარი ჩრდილოეთი", სპირიტული თვალსაზრისით, სრულიად „ანორმალია" და „პათოლოგიური".

## 6. 12 „მესამე სამყაროს“ პარადოქსი

მონდიალისტურ პროექტებში ტერმინი „ღატაკი სამხრეთი“ ფაქტიურად მესამე სამყაროს სინონიმია. ამ სამყაროს „მესამე“ ცივი ომის პერიოდში ეწოდა და თვით ამ სახელწოდებით იგულისხმებოდა, რომ პირველი ორი „სამყარო“ — განვითარებული კაპიტალისტური და მცირეოდენ უფრო განვითარებელი საბჭოური — უფრო მნიშვნელოვანია გლობალური გეოპოლიტიკისათვის, ვიდრე დანარჩენი რეგიონები.

პრინციპში, გამონათქვამი „მესამე სამყარო“ დამამცირებელი ხასიათისაა, რადგან თვით „მდიდარი ჩრდილოეთის“ უტილიტალური“ ლოგიკის მიხედვით ამგვარი განსაზღვრება „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს ფაქტიურად ანიჭებს ბუნებრივი და ადამიანური რესურსების „არავისეული“ ბაზების სტატუსს, რომლებიც მხოლოდ უნდა დაიმორჩილო, გაუწიო ექსპლუატაცია, გამოიყენო საკუთარი მიზნებისათვის. ამავე დროს „მდიდარი ჩრდილოეთი“ მოხერხებულად თამაშობდა „ღატაკი სამხრეთის“ ტრადიციული პოლიტიკურ-იდეოლოგიური და რელიგიური თავისებურებებით, რითაც ცდილობდა თავის წმინდა მატერიალური და ეკონომიკური ინტერესებისათვის დაემორჩილებინა ის ძალები და სტრუქტურები, რომლებიც სულიერი პოტენციალით ბევრად აღემატებოდა თვით „ჩრდილოეთის“ სპირიტულ დონეს. ამას იგი, თითქმის, ყოველთვის ახერხებდა, რადგან თვით ჩვენი ცივილიზაციის განვითარების ციკლური მომენტი ხელს უწყობს გაუკულმართებულ, ანორმულ და არაბუნებრივ ტენდენციებს (ტრადიციის თანახმად, ჩვენ ამჟამად „ბნელი საუკუნის“ უკანასკნელ პერიოდში ვიმყოფებით). ინდუიზმი, კონფუციანზმი, ისლამი, „არათეოჩკანიანი“ ხალხების ავტოქტონური ტრადიციები მხოლოდ ზღუდედ იქმნებოდა „მდიდარი ჩრდილოეთის“ მატერიალისტი დამპყრობლების მიზნებისათვის, მაგრამ ამავდროულად ისინი ხშირად იყენებდნენ ტრადიციის ასპექტებს თავიანთი მერკანტილური მიზნების განხორციელებისათვის — თამაშით წინააღმდეგობებზე, რელიგიურ თავისებურებებზე ან ეროვნულ პრობლემებზე. ტრადიციის ასპექტების ასეთი უტილიტალური გამოყენება ანტიტრადიციული მიზნებისათვის უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე ერთიანად მთელი ტრადიციის უარყოფა, რადგან უდიდესი გაუკულმერთებაა, როდესაც დიადი იძულებულია ემსახუროს არარაობას.

სინამდვილეში „ღატაკი სამხრეთი“ მატერიალურად ღატაკია სწორედ თავისი სულიერი ორიენტაციის გამო, რომელიც არსებობის მატერიალურ ასპექტებს ყოველთვის მეორეხარისხოვნად და უმნიშვნელოდ მიიჩნევდა. გეოპოლიტურმა სამხრეთმა, ზოგადი ნიშნების სახით, ჩვენს ეპოქაშიც შეინარჩუნა წმინდა ტრადიციონალისტური — მშვიდი, განყენებული, დაბოლოს გულგრილი განწყობა გარეგანი სამყაროს ობიექტების მიმართ. ყოველივე ეს კი „მდიდარი ჩრდილოეთის“ მატერიალური შეპყობისა და მისი მატერიალისტური და ჰედონისტური პარანოიის საპირისპიროა. „ღატაკი სამხრეთის“ ხალხი (ტრადიციისადმი ერთგულების შემთხვევაში) დღემდე ცხოვრობს უფრო სრულფასოვნად, სიღრმისეულად და შეიძლება ითქვას, ფუფუნებითაც კი, რადგან საკრალური ტრადიციის ერთგულება მათ პირად ცხოვრებას ავსებს იმ შინაარსით, იმ ინტენსივობითა და იმ სისავსით, რასაც, უკვე დიდი ხანია მოკლებულნი არიან ნევროზებით, მატერიალური შიშითა და შინაგანი სიცარიელით გატანჯული „მდიდარი ჩრდილოეთის“ წარმომადგენლები, რომელთა სრულიად უშინაარსო არსებობა მხოლოდ კაშკაშა, მაგრამ შინაარსს მოკლებული სურათების დუნე კალეიდოსკოპია.

შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის პირვანდელი ურთიერთმომსახურება მკვეთრად განსხვავდება მათი დღევანდელი ურთიერთობისაგან, რადგან ჯერჯერობით სწორედ სამხრეთი ინარჩუნებს კავშირს ტრადიციასთან, ხოლო ჩრდილოეთმა იგი სრულიად დაკარგა. მაგრამ, ეს მტკიცება მაინც სრულად ვერ ასახავს რეალურ სურათს, რადგან ჭეშმარიტი ტრადიცია არ დაუშვებს ისეთ დამამცირებელ მოპყრობას, როგორსაც ახორციელებს „მდიდარი ჩრდილოეთი" „მესამე სამყაროს" მიმართ. სინამდვილე ისაა, რომ ტრადიცია სამხრეთში შენარჩუნებულია მხოლოდ ინერციულად, ფრაგმენტულად, ნაწილობრივ მას პასიური პოზიცია უკავია და მხოლოდ თავდაცვის დროს იბრძვის. ამის გამო, ბოლო ჟამს სულიერი ჩრდილოეთი სრულად ვერ გადადის სამხრეთითა, აქ მხოლოდ გროვდება და ინახება ის სულიერი იმპულსები, რომლებიც ოდესღაც საკრალური ჩრდილოეთიდან მოვიდა. სამხრეთიდან პრინციპულად ვერ წამოვა აქტიური ტრადიციული ინიციატივა და, პირიქით, მონდიალისტურმა „მდიდარმა ჩრდილოეთმა" სწორედ აქტივობისკენ განწყობილი თავისი ჩრდილოეთი რეგიონების სპეციფიკის გამო შეძლო ასე განემტკიცებინა საკუთარი განმხრწნელი ზეგავლენა პლანეტაზე. ჩრდილოეთი უპირატესად იყო და არის ძალის განსახიერება, რის გამოც ჭეშმარიტ გეოპოლიტიკურ ინიციატივას ფლობს ჩრდილოეთიდან მომდინარე ინიციატივა.

„ღატაკ სამხრეთს" დღეს ყველა სულიერი უპირატესობა აქვს „მდიდარი ჩრდილოეთის" წინაშე, მაგრამ ამავე დროს იგი არ წარმოადგენს „მდიდარი ჩრდილოეთის" პროფანული აგრესიის სერიოზულ ალტერნატივას, მას არ შეუძლია წარმოადგინოს რადიკალური გეოპოლიტიკური პროექტი, რომელიც დაარღვევდა თანამედროვე პლანეტარულ სივრცის პათოლოგიურ სურათს.

## 6.13. „მეორე სამყაროს" როლი

ორპოლუსიან გეოპოლიტიკურ სქემაში „მდიდარი ჩრდილოეთი" — „ღატაკი სამხრეთი" ყოველთვის არსებობდა დამატებითი კომპონენტი, რომელიც იყო დამოუკიდებელი და მეტად მნიშვნელოვანი. ეს არის „მეორე სამყარო". „მეორე სამყაროში" იგულისხმება საბჭოური სისტემაში ინტეგრირებული სოციალისტური ბანაკი. ეს „მეორე სამყარო" არც მთლად „მდიდარი ჩრდილოეთი" იყო (რადგან გარკვეული სულიერი მოტივები ფარულად მაინც ზემოქმედებდნენ საბჭოური სოციალიზმის ნომინალურად მატერიალისტურ იდეოლოგიაზე) და არც „მესამე სამყარო", რადგან მთლიანობაში საბჭოური სისტემის საფუძველს წარმოადგენდა „პროგრესი", ორიენტაცია მატერიალური განვითარებისკენ და სხვა წმინდა პროფანული პრინციპებისაკენ სწრაფვა. გეოპოლიტიკურადაც ევრაზიული სსრკ განლაგებული იყო, როგორც „ღატაკი აზიის" ტერიტორიებზე, ისე საკმაოდ „ცივილიზებული" ევროპის მიწებზე. სოციალიზმის პერიოდში „მდიდარი ჩრდილოეთის" პლანეტარული სარტყელი ჩახსნილი იყო ევრაზიის აღმოსავლეთით, რითაც იბინდებოდა გეოპოლიტიკურ ურთიერთმიმართებათა სიმკვეთრე ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გასწვრივ.

„მეორე სამყაროს", როგორც განსაკუთრებული ცივილიზაციის დასასრული ყოფილი საბჭოთა კავშირის ევრაზიულ სივრცეებს სთავაზობს ორ ალტერნატივას — ან ინტეგრაცია „მდიდარ ჩრდილოეთთან" (რომელიც წარმოდგენილია დასავლეთისა და აშშ-ს სახით) ან ჩაშვება „ღატაკი სამხრეთისკენ" ანუ „მესამე სამყაროდ" გადაქცევა. შესაძლებელია, აგრეთვე, კომპრომისული

ვარიანტიც, როდესაც რეგიონების ერთი ნაწილი გადადის „ჩრდილოეთისკენ", ხოლო მეორე ნაწილი — „სამხრეთისკენ". როგორც ყოველთვის უკანასკნელ ასწლეულში, ამ პროცესში გეოპოლიტიკურ სივრცეთა გარდაქმნის ინიციატივა უკავია „მდიდარ ჩრდილოეთს", რომელიც თვით „მეორე სამყაროს" კონცეფციის პარადოქსების ცინიკური გამოყენებით ავლებს ახალ გეოპოლიტიკურ საზღვრებს და ანაწილებს გავლენის ზონებს. ეროვნული, ეკონომიკური და რელიგიური ფაქტორები მონდიალისტებისათვის მხოლოდ ხელსაწყოებია მათი ცინიკური და მატერიალისტურად მიმართული მოქმედებებისათვის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ცრუ „ჰუმანისტური" რიტორიკის გარდა სულ უფრო ხშირად გაისმის თითქმის აშკარა „რასისტული" მოსაზრებები, რომლებიც მოწოდებულია იმისთვის, რათა რუსებს ჩაენერგოს „თეთრი" ქედმაღლობის კომპლექსი აზიელი და კავკასიელი სამხრეთელების მიმართ. ამასთანაა შეთანხმებული, აგრეთვე, საპირისპირო პროცესი — ყოფილი „მეორე სამყაროს" სამხრეთი ტერიტორიების განდევნა „ღატაკი სამხრეთისაკენ", სადაც მიმდინარეობს თამაში ფუნდამენტალისტურ ტენდენციებზე, ხალხის მიდრეკილებაზე, ტრადიციისა და რელიგიის აღორძინებისაკენ.

„მეორე სამყარო" იშლება და ტყდება „ტრადიციონალიზმისა" (სამხრეთის, ინერციული, კონსერვატიული) და „ანტიტრადიციონალიზმის" (აქტიური ჩრდილოეთის, მოდერნისტული და მატერიალისტური) მომიჯნავე ხაზის გასწვრივ. ასეთი დუალიზმი, რომელიც დღეს მხოლოდ სუსტად ილანდება, მაგრამ უახლოეს მომავალში ევრაზიული გეოპოლიტიკის წამყვან მოვლენად იქცევა, განპირობებულია მონდიალისტური ეშესპანსიით, სადაც სამყარო აღიქმება ტერმინებში: „მდიდარი ჩრდილოეთი", „ღატაკი სამხრეთი". ყოფილი საბჭოური დიდი სივრცის გადარჩენის მცდელობა ანუ „მეორე სამყაროს", როგორც რაღაც დამოუკიდებელისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის (წმინდა თანამედროვე შინაარსით) შორის შუალედურის უბრალოდ შენარჩუნებაც კი განწირულია დამარცხებისათვის, ვიდრე ექვის ქვეშ არ იქნება დაყენებული თანამედროვე გეოპოლიტიკის უმთავრესი კონცეფცია, რომელიც გაცნობიერებულ უნდა იქნას მისი რეალური სახით, ყველა ჰუმანური და ეკონომიკური ბუნდოვანი განცხადების გარეშე.

„მეორე სამყარო" ქრება. თანამედროვე გეოპოლიტიკურ ასპარეზზე მისი ადგილი აღარ მოიპოვება. ამავე დროს იზრდება „მდიდარი ჩრდილოეთის" ზეწოლა „ღატაკ სამხრეთზე", რომელიც დღემდე არსებული შუალედური ინსტანციის — „მეორე სამყაროს" გარეშე პირისპირ წარსდგა ტექნოკრატიული ცივილიზაციის აგრესიულ მატერიალურობასთან. რაიმე სხვა გამოსავალი, გარდა ტოტალური დაშლისა „მდიდარი ჩრდილოეთის" მიერ ნაკარნახევი წესების მიხედვით, არ არსებობს. აღნიშნული პროცესის შეჩერება „მეორე სამყაროსთვის" შესაძლებელია მხოლოდ ჩრდილოეთ-სამხრეთის დიქოტომური[18] ღერძის მსოფლიო მონდიალისტური ლოგიკის რადიკალური უარყოფის საშუალებით.

## 6.14. პროექტი „ჩრდილოეთის აღდგინება"

„მდიდარი მონდიალისტური ჩრდილოეთი" მსოფლიოში თავისი ბატონობის გლობალიზაციას „მეორე სამყაროს" განხეთქილებისა და განადგურების საშუალებით აღწევს. თანამედროვე გეოპოლიტიკაში ამას „ახალი მსოფლიოს წესრიგი" ეწოდება. ანტიტრადიციის აქტიური ძალები თავის გამარჯვებას

სამხრეთ რეგიონების პასიურ წინააღმდეგობაზე ტრადიციის (მისი შემორჩენილი ნაწილაკების) შემნახველთა და დამცველთა ეკონომიური ჩამორჩენილობის ხარჯზე ამყარებენ. „მეორე სამყაროს" შინაგანი გეოპოლიტიკური ენერგიები არჩევანის წინაშეა — ან ჩაეშენოს „ცივილიზებული ჩრდილოეთი სარტყელის" სისტემაში და ამით მთლიანად გაწყვიტოს კავშირი თავის საკრალურ ისტორიასთან (მემარცხენე მონდიალიზმი პროექტი), ან გარდაიქმნას ოკუპირებულ ტერიტორიად, სადაც ნებადართული იქნება ტრაგედიის ზოგიერთი ასპექტის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია (მემარჯვენე მონდიალიზმის პროექტი). სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება დღეს მოვლენები და განვითარდება უახლოეს მომავალშიც.

ალტერნატიული პროექტის სახით, თეორიულად შესაძლებელია გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების სხვა გზის ჩამოყალიბება, რომელიც დაეფუძნება ჩრდილოეთ-სამხრეთის ლოგიკის უარყოფას და ჭეშმარიტი საკრალური გეოგრაფიის სულისკვეთებასთან დაბრუნებას — რამდენადაც ეს შესაძლებელია ბნელი საუკუნის მიწურულს. ეს არის „დიდი დაბრუნების" ან, სხვა ტერმინოლოგიით „კონტინენტთა დიდი ომის" პროექტი.

ზოგადი მონახაზის სახით ამ პროექტის არსი შემდეგია:

1) „მდიდარ ჩრდილოეთს" წინ აღუდგება არა „ღატაკი სამხრეთი", არამედ „ღატაკი ჩრდილოეთი". „ღატაკი ჩრდილოეთი" არის ცივილიზაციის ნორდიულ სათავეებთან დაბრუნების იდეალური, საკრალური იდეალი. ასეთი ჩრდილოეთი ღატაკია იმის გამო, რომ იგი დაფუძნებულია ტოტალურ ასკეტიზმზე, ტრადიციის უმაღლესი ფასეულობების მიმართ რადიკალურ ერთგულებაზე, სულიერისათვის მატერიალურის სრულ გაწირვაზე. „ღატაკი ჩრდილოეთი" გეოგრაფიულად არსებობს მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის, რომელიც არსობრივად წარმოადგენდა კიდეც „მეორე სამყაროს" და სოციალურად და პოლიტიკურად უკანასკნელ მომენტამდე ეწინააღმდეგებოდა მონდიალისტური ცივილიზაციის ყველაზე „პროგრესული" ფორმების აღიარებას. რუსეთის ევრაზიული ჩრდილოეთის მიწები, ეს არის ერთადერთი პლანეტარული ტერიტორიები, რომლებიც ჯერ ბოლომდე არ აუთვისებია „მდიდარ ჩრდილოეთს", დასახლებულია ტრადიციული ხალხების მიერ და შეადგენენ თანამედროვე სამყაროს terra incognita-ს. „ღატაკი ჩრდილოეთის" გზა რუსეთისათვის ნიშნავს უარის თქმას მონდიალისტურ სარტყელში ჩაშენების მიმართ და, აგრეთვე, საკუთარი ტრადიციების, არქაიზაციისა და ეთნო-რელიგიური რეზერვაციის ფოლკლორულ დონეზე მათი დაყვანის უარყოფას. „ღატაკი ჩრდილოეთი" უნდა იყოს სულიერი, ინტელექტუალური, აქტიური და აგრესიული. „მდიდარი ჩრდილოეთის" სხვა რეგიონებშიც შესაძლებელია „ღატაკი ჩრდილოეთის" პოტენციური ოპოზიცია, რაც შეიძლება გამოვლინდეს დასავლური ინტელექტუალური ელიტის მხრიდან „ვაჭრუკანათა ცივილიზაციის" ძირითადი კურსის რადიკალური საბოტაჟით, შესაძლებელია ამბოხი ფინანსთა სამყაროს წინააღმდეგ სულის, სამართლიანობისა და თავგანწირვის ძველი და მარადიული ფასეულობებისათვის. „ღატაკი ჩრდილოეთი" იწყებს გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას „მდიდარ ჩრდილოეთთან", რისთვისაც უარყოფს მის პროექტებს, შიგნიდან და გარედან აფეთქებს მის გეგმებს, ძირს უთხრის მის უზადო ეფექტურობას და მის სოციალურ-პოლიტიკურ მაქინაციებს.

2) „ღატაკი სამხრეთი", რომელიც უუნარობა დამოუკიდებლად წინააღმდეგობა გაუწიოს „მდიდარ ჩრდილოეთს", რადიკალურ ალიანსს ამყარებს

„ღატაკ (ევრაზიულ) ჩრდილოეთთან“ და იწყებს განმათავისუფლებელ ბრძოლას „ჩრდილოური“ დიქტატურის წინააღმდეგ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დარტყმა მიეყენოს „მდიდარი სამხრეთის“ იდეოლოგიის წარმომადგენლებს, ე. ი. იმ ძალებს, რომლებიც ემსახურებიან „მდიდარ ჩრდილოეთს“, მხარს უჭერს ტრადიციული ქვეყნების „განვითარებას“, „პროგრესს“ და „მოდერნიზაციას“, რაც პაქტიკულად საკრალური ტრადიციის ნარჩენებიდან სულ უფრო დიდ განდგომას ნიშნავს.

3) ევრაზიული აღმოსავლეთის „ღატაკი ჩრდილოეთი“ „ღატაკ სამხრეთთან“ ერთად, რომელიც მოიცავს პლანეტის მთელ გარშემოწერილობას, ახდენს თავისი ძალების კონცენტრაციას ატლანტისტური დასავლეთის „მდიდარი ჩრდილოეთის“ წინააღმდეგ. ამ დროს სამუდამოდ დაესმება ბოლო ანგლოსაქსური რასიზმის ვულგალურ ვერსიებს, „თეთრი ხალხების ტექნიკური ცივილიზაციის“ ხოტბას და თანმხლებ მონდიალისტურ პროპაგანდას (ალენ დე ბენუამ ეს აზრი გამოხატა თავისი განთქმული წიგნის სახელწოდებით „მესამე სამყარო და ევროპა ჩვენ ერთნი ვართ ბრძოლისათვის“ — „L'Euvope, Tiersmonde — meme combat“. ამ წიგნში საუბარია, რა თქმა უნდა, „სულიერ ევროპაზე“, „ხალხებისა და ტრადიციების ევროპაზე“ და არა „ვაჭრუკანათა მაასტრიხტული ევროპის“ თაობაზე). ჭეშმარიტი საკრალური ჩრდილოეთის ინტელექტუალობა, აქტიურობა და სულიერება აბრუნებს სამხრეთის ტრადიციებს ნორდიულ სათავეებთან და აღძრავს სამხრეთელებს პლანეტარული ამბოხისკენ ერთადერთი გეოპოლიტიკური მტრის წინააღმდეგ. ყოველივე ამით „სამხრეთელების“ პასიური წინააღმდეგობა საყრდენად ჰპოვებს იმ „ჩრდილოელთა“ პლანეტარულ მესიანიზმს, რომლებმაც რადიკალურად უარყვეს იმ თეთრ ხალხთა მანკიერი და ანტისაკრალური განშტოება, რომლებიც დაადგნენ ტექნიკური პროგრესისა და მატერიალური განვითარების გზას. აღენთება ზერასობრივი და ზეეროვნული გეოპოლიტიკური რევოლუცია, რომელიც ეფუძნება „მესამე სამყაროს“ ფუნდამენტურ სოლიდარობას „მეორე სამყაროს“ იმ ნაწილთან, რომელიც უარყოფს „მდიდარი ჩრდილოეთის“ პროექტს.

## ჰელფორდ ჯორჯ მაკინდერი

## ისტორიის გეოგრაფიული ღერძი[1]

როდესაც შორეულ მომავალში რომელიმე ისტორიკოსი მოისურვებს ჩვენ ჟამთა გამოკვლევას და შემაჯამებელი ფორმულის სახით მის წარმოდგენას (როგორც ჩვენ ამას ვაკეთებთ ძველი ეგვიპტის დინასტიების მიმართ) მოსალოდნელია, რომ უკანასკნელ ოთხას წელიწადს იგი უწოდებს „კოლუმბის ეპოქას" და დაასკვნის, რომ ეს ეპოქა დასრულდა 1900 წლიდან მცირე ხნის შემდეგ.

გეოგრაფიულ გამოკვლევებს დღეს რატომღაც ყველა პრაქტიკულად დასრულებულად მიიჩნევს. ამბობენ, აგრეთვე, რომ მთელი გეოგრაფია ზედმიწევნით მიმოხილვად და ფილოსოფიურ სინთეზად უნდა იქცეს. ოთხასი წლის განმავლობაში მსოფლიოს გეოგრაფიული რუკის ობიექტებმა საკმაოდ სარწმუნო და ზუსტი მოხაზულობა შეიძინა, ხოლო ორივე პოლუსის რაიონებში ნანსენისა[2] და სკოტის[3] ექსპედიციებმა მნიშვნელოვნად შეკვეცა ახალი და უჩვეულო აღმოჩენების ალბათობა. ამასთანავე, მეოცე საუკუნის დასაწყისი განიხილება, როგორც დიდი ისტორიული ეპოქის დასასრული, თუმცა აქ არ იგულისხმება მხოლოდ ამ ეპოქის მიღწევები, რაც არ უნდა დიდი იყოს ისინი. მისიონერი, დამპყრობელი, ფერმერი, მაღაროელი და, ბოლოს, ინჟინერი სწორედ რომ მოგზაურთა ნაკვალევს მიჰყვებოდნენ. ამის გამო თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამყარო, მთელი თავისი შორეული კუნჭულებით, აღმოჩენილი იყო მანამდე დიდი ხნით ადრე, ვიდრე ჩვენ დავიწყეთ საუბარი მის ფაქტიურ პოლიტიკურ ათვისებაზე. ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და ავსტრალიაში საეჭვოა მოიძებნოს ისეთი ადგილი, სადაც ვინმე აღმართავს დროშას ან ჩაარჭობს ნიშანს ამ ნაკვეთზე საკუთრების უფლებით. ახლა ასეთი რამ შესაძლებელია, ალბათ, მხოლოდ ცივილიზებული და ნახევრადცივილიზებული სახელმწიფოების ომის დროს.

აზიაში ჩვენ მხოლოდ იმ პიესის ბოლო აქტის მაყურებლები ვართ, რომელიც დაიწყეს ერმაკის[4] ცხენოსნებმა, კაზაკებმა და ვასკო და გამას[5] მეზღვაურებმა. შედარებისთვის კოლუმბის ეპოქა შეგვიძლია წინა საუკუნეებს დავუპირისპიროთ და მისი დამახასიათებელი ნიშნის სახით გავიხილოთ ევროპის ექსპანსია, რომელსაც პრაქტიკულად არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, ხოლო შუა საუკუნეების ქრისტიანობა კი შეხიზნული იყო მცირე რეგიონის ფარგლებში და გარედან ბარბაროსების გამუდმებული თავდასხმის საფრთხე ემუქრებოდა. დაწყებული დღევანდელი დღიდან და შემდგომ, პოსტ-კოლუმბურ ეპოქაში, ჩვენ იძულებულები ვიქნებით ურთიერთობა დავამყაროთ ჩაკეტილ პოლიტიკურ სისტემასთან და სრულიად შესაძლებელია, რომ ეს სისტემა მსოფლიო მაშტაბის იქნება. საზოგადოებრივი ძალების ყოველი აფეთქება, იმის მაგივრად, რომ აუთვისებელ გარემომცველ სივრცეში ან ბარბაროსობის ქაოსში გაფანტულიყო, ხმამაღლა ექოს სახით აირეკლება დედამიწის საპირისპირო ნახევრიდან. ასე რომ, ყველა სუსტი ელემენტი დედამიწის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზმში საბოლოოდ დაირღვევა. დიდი სხვაობაა, ჭურვის ორმოში ჩავარდნასა და უზარმაზარი შენობის ან გემის მყარ კონსტრუქციებს შორის არსებულ სივრცეში მოხვედრას შორის. იქნებ ამ ფაქტის თუნდაც ნაწილობრივმა გაცნობიერებამ მოაცილოს

სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღება ტერიტორიულ ექსპანსიას და აიძულოს ისინი შეთანხმებული მოქმედებისაკენ მიმართონ თავიანთი ძალისხმევა.

აი რატომ ვფიქრობ, რომ მიმდინარე ათწლეულში ჩვენ პირველად მოვექეცით იმ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენ შეგვიძლია გარკვეული სიზუსტით დავადგინოთ კავშირი ყველაზე ვრცელ გეოგრაფიულ და ისტორიულ განზოგადოებათა შორის. პირველად ჩვენ შეგვიძლია მოვსინჯოთ ზოგიერთი რეალური პროპორცია მსოფლიო არენაზე მიმდინარე მოვლენათა მიმართ ი გამოვარკვიოთ ფორმულა, რომელიც ასე თუ ისე მაინც გამოხატავს მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული განპირობებულობის განსაზღვრულ ასპექტებს. თუ ჩვენ გაგვიმართლებს, ეს ფორმულა შეიძენს პრაქტიკულ ღირებულებასაც — მისი საშუალებით შესაძლებელი გახდება ამჟამინდელი საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი ურთიერთსაპირისპირო ძალის განვითარების პერსპექტივათა გამოთვლა. ცნობილი ფრაზა იმის თაობაზე, რომ იმპერია ვრცელდება დასავლეთისკენ, მხოლოდ ამგვარი სახის იმპერიული მცდელობაა. ასე რომ დღეს მე მსურს აღვწერო მსოფლიოს თუნდაც ის დამახასიათებელი ფიზიკური თვისებები, რომლებიც, ჩემი აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა ცხოველმყოფელობასთან, აგრეთვე, წარმოვადგინო ისტორიის ზოგიერთი ძირითადი ფაზა, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებოდა მათ, იმ დროსაც კი, როდესაც ეს თვისებები ჯერ კიდევ უცნობი იყო გეოგრაფიისათვის. მე სულაც არ ვისახავ მიზნად, ვიმსჯელო ამა თუ იმ ფაქტორის ზეგავლენაზე ან ხელი მივყო რეგიონულ გეოგრაფიას, უფრო მსურს მსოფლიო ორგანიზმის სიცოცხლის ნაწილის სახით წარმოვაჩინო კაცობრიობის ისტორია. ვაღიარებ, რომ აქ მე მხოლოდ ჭეშმარიტების ერთ ასპექტს მივაღწევდი და სულაც არ მსურს მეტისმეტად მივყვე მატერიალიზმს. ინიციატივას ავლენს ადამიანი და არა ბუნება, მაგრამ ძირითადად სწორედ ბუნება ახორციელებს კონტროლს. ჩემი ინტერესი უფრო მეტად საყოველთაო ბუნებისეული ფაქტორის შესწავლას უკავშირდება, ვიდრე საყოველთაო ისტორიის მიზეზით შესწავლის სფეროს. სრულიად აშკარაა, რომ აქ მოსალოდნელია პირველადი მიახლოება ჭეშმარიტებასთან, რის გამოც მე თავმდაბლობით მივიღებ ჩემი კრიტიკოსების ყველა შენიშვნას.

აწ გარდაცვლილი პროფესორი ფრიმენი ამბობდა, რომ ერთადერთი ისტორია, რომელიც იმსახურებს ყურადღებას, არის ხმელთაშუა ზღვისა და ევროპული რასების ისტორია. გარკვეულწილად ეს, რა თქმა უნდა, სწორია, ვინაიდან სწორედ ამ რასებს შორის აღმოცენდა ის იდეები, რომლებმაც ბერძნებისა და რომაელების შთამომავლობას მსოფლიო ბატონობა მოაპოვებინა. ის იდეები, რომლებიც ადამიანთა უბრალო ბრბოს ნაცვლად აყალიბებენ ერს, ძალას იძენს საყოველთაო უბედურების ზეწოლის ან გარეგანი ძალის მიმართ წინააღმდეგობის აღმოჩენის საერთო აუცილებლობის დროს. ინგლისის იდეა ჰეპტარქიის სახელმწიფოებში ჩაქედილი იყო დანიელი და ნორმანდიელი დამპყრობლების მიერ. საფრანგეთის იდეა შილონის ბრძოლისა და, უფრო მოგვიანებით, ინგლისთან ასწლიანი ომის დროს ურთიერთდაპირისპირებულ ფრანგებს, გუთებს და რომაელებს თავს მოახვიეს ჰუნებმა. ქრისტიანობის იდეა რომის იმპერიაში მათი დევნიდან აღორძინდა და ლოგიკური დასრულება ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში ჰპოვა. შეერთებული შტატების იდეა აღქმული იქნა (კოლონისტების ადგილობრივი პატრიოტიზმის მონაწილეობით)

მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი ომის დროს. გერმანული იმპერიის შექმნის იდეა მიღებულ იქნა, ისიც ძალისძალად, სამხრეთ გერმანიაში, როდესაც, საფრანგეთთან ომის დროს დამყარდა კავშირი ჩრდილოეთ გერმანიასთან, რასაც მე ვუწოდებ ისტორიის ლიტერატურულ კონცეფციას, უნებლიედ რჩება ყურადღების მიღმა ანუ ის თავდაპირველი მოძრაობები, რომელთა ზეწოლამაც აღმგზნები იმპულსის როლი შეასრულა იმ ატმოსფეროში, სადაც იზრდება დიადი იდეები. რომელიღაც ზიზღის გამომწვევი პერსონა ასრულებს რაღაც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციას თავისი მტრების გარემოცვაში, ასე, რომ სწორედ ბარბაროსების გარეშე ზეწოლის წყალობით შექმნა ევროპამ თავისი ცივილიზაცია. აი, ამის გამო გთხოვთ, შეხედოთ ევროპასა და ევროპულ ისტორიას, როგორც აზიასა და მის ისტორიას დამორჩილებულ მოვლენებს, რადგან ევროპული ცივილიზაცია, ძირითადად, აზიური თავდასხმების წინააღმდეგ გამართული საუკუნოვანი ბრძოლის შედეგია.

ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრასტი, რომელიც შეინიშნება თანამედროვე ევროპის პოლიტიკურ რუკაზე არის, ერთი მხრივ, კონტინენტის თითქმის მთელ ნახევარზე გადაფენილი რუსეთი (მისი უზარმაზარი სივრცეებით) და, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპული ქვეყნების მიერ დაკავებული უფრო მცირე ტერიტორიების ჯგუფი. ფიზიკური თვალსაზრისით აქ რა თქმა უნდა, არსებობს მსგავსი კონტრასტი დასავლეთის დაუმუშავებელი დაბლობებისა და იმ მთების, ხეობების, კუნძულების და ნახევარკუნძულების სიმდიდრეს შორის, რომლებიც ერთობლივად შეადგენენ დედამიწის ამ რაიონის დანარჩენ ნაწილს. ერთი შეხედვით, თქვენ შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ამ ნაცნობი ფაქტების სახით ჩვენს წინაშე თავს იჩენს იმდენად აშკარა კავშირი ბუნებრივ გარემოსა და პოლიტიკურ მოწყობას შორის, რომ საჭიროც არ არის ამაზე საუბარი, განსაკუთრებით თუ შეგახსენებთ, რომ რუსეთის ვაკეზე ცივ ზამთარს უპირისპირდება ცხელი ზაფხული და, ამგვარად, ადამიანური ცხოველმყოფელობის პირობების გამო ცხოვრებას დამატებითი ერთფეროვნება ენიჭება. თუმცა, ამის მიუხედავად, რამდენიმე ისტორიული რუკა, რომელსაც, მაგალითად, შეიცავს ოქსფორდის ატლასი, შეგვახსენებს, რომ რუსეთის ევროპული ნაწილის და აღმოსავლეთ-ევროპული დაბლობის უხეში თანხვედრა შემთხვევითი არ არის და რომ ეს მოხდა არა უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, არამედ მნიშვნელოვნად ადრე აქ სუფევდა პოლიტიკური გაერთიანების სრულიად სხვაგვარი ტენდენცია. სახელმწიფოთა ორი ჯგუფი, ძირითადად, ამ ქვეყანას ყოფდა ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლიტიკურ სისტემებად. საქმე ისაა, რომ ოროგრაფიული[6] რუკები ვერ გამოხატავენ იმ განსაკუთრებულ ფიზიკურ თავისებურებას, რომელიც უკანასკნელ პერიოდამდე კონტროლს უწევდა რუსეთის ტერიტორიაზე ადამიანის გადაადგილებასა და დასახლებას. როდესაც ამ ფართო დაბლობებიდან თოვლის საფარი თანდათან ჩრდილოეთისაკენ იწევს, მას ენაცვლება წვიმები, რომლებიც ბალტიისპირეთისა და თეთრი ზღვის რაიონებში ძალიან ხშირია ივლისსა და აგვისტოში, ხოლო მაის-ივნისში შავი ზღვის სანაპიროზე. სამხრეთით გაბატონებულია ხანგრძლივი მშრალი ზაფხული. ამგვარი კლიმატური რეჟიმის შედეგია ის, რომ ჩრდილოეთის და ჩრდილოეთ-დასავლეთის რაიონები დაფარულია ტყეებით, რომლებიც ხანდახან ენაცვლება ტბებსა და ჭაობებს, ხოლო ამავე დროს სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი წარმოადგენს უკიდეგანო ბალახოვან სტეპებს, სადაც

ხეები მხოლოდ მდინარეთა ნაპირების გასწვრივ თუ შეინიშნება. ამ ორი რეგიონის გამყოფი ხაზი იწყება კარპატის მთების ჩრდილოეთ კიდესთან, დიაგონალით მიემართება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და მთავრდება უფრო ურალის სამხრეთ რაიონებში, ვიდრე მის ჩრდილოეთ ნაწილში. რუსეთის გარეთ ამ უზარმაზარი ტყეების საზღვარი მიექანება დასავლეთით, გაივლის ევროპული ყელის, თითქმის, შუა ნაწილს, რომლის სიგანეც (ე. ი. მანძილი შავ და ბალტიის ზღვებს შორს) 800 მილს უტოლდება. ამის შემდეგ, დანარჩენ ევროპულ ტერიტორიაზე ტყეები იკავებენ გერმანიის მდელოებს ჩრდილოეთით, ხოლო ამავე დროს სტეპები სამხრეთით, კარპატებთან აყალიბებენ დიდ ტრანსილვანულ ბასტიონს და განფენილნი არიან დუნაიმდე, იქ სადაც ამჟამად ბიბინებენ რუმინული ყანები, თითქმის რკინის კარიბჭემდე. ცალკეული სტეპური რაიონი, რომელიც ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის ცნობილია „პუშტის" სახელწოდებით და (აწ უკვე კარგად დამუშავებული) იკავებს უნგრეთის დაბლობს; მას გარს ერტყმის ტყით დაფარული კარპატებისა და ალპური მთების ჯაჭვი. ხოლო რუსეთის დასავლეთით, კიდურა ჩრდილოეთის გარდა, ჭაობების დაშრობამ და აუთვისებელი მიწების წამოწევამ შედარებით მცირე ხნის წინ განსაზღვრა ლანდშაფტის თავისებურება, რითაც მნიშვნელოვნად წაიშალა ის სხვაობა, რომელიც ადრე ესოდენ შესამჩნევი იყო.

რუსეთი და პოლონეთი ტყის მდელოებზე წარმოიქმნა. ამასთან ერთად, V-XVI საუკუნეებში აზიის შორეული და გამოუკვლეველი კუნჭულებიდან, ურალის მთებისა და კასპიის ზღვის მიერ წარმოქმნილი კარიბჭის გავლით, აქეთ მიემართებოდა მომთაბარე თურინელების უწყვეტი ჯაჭვი: ჰუნები, ავარები, ბულგარები, მადიარები, ხაზარები, პაპანიკები, კუმანები, მონღოლები, ყალმუხები. ატილას მმართველობას დროს ჰუნებმა დაიმკვიდრეს პუშტის შუა ნაწილში, სტეპის ყველაზე მოშორებით მდებარე „დუნაის" კუნძულებზე და აქედან აწარმოებდნენ თავდასხმებს ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთისაკენ ევროპის ძირძველ მოსახლეობაზე. თანამედროვე ისტორიის უდიდესი ნაწილი შეიძლება დაიწეროს კომენტარის სახით ამ ლაშქრობების შედეგად პირდაპირი თუ ირიბი გზით წარმოქმნილ ცვლილებებზე. სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ მაშინ აიძულეს ანგლები და საქსები გადაელახათ ზღვა და ბრიტანეთის კუნძულებზე დაეფუძნებინათ ინგლისი. ფრანკები, გუთები და რომის პროვინციების მაცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ ბრძოლაში ამოდგომოდნენ ერთმანეთს შალონთან[7] ბრძოლის ველზე და დაესახათ საერთო მიზანი — აზიელებთან ბრძოლა. ამგვარად, მათ უნებლიედ შექმნეს თანამედროვე საფრანგეთი. აკვილეისა და პადუის დარბევის შედეგად წარმოიქმნა ვენეცია. პაპიზმიც კი, თავისი უზარმაზარი პრესტიჟს, უნდა უმადლოდეს პაპ ლევის[8] წარმატებულ შუამავლობას მილანში ატილასთან[9] შეხვედრაზე.

ასეთი იყო უმოწყალოთა ბრბოს მიერ გამოწვეული შედეგი (რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდა ცხენოსნობის კულტურაზე და, რომლებმაც დაიკავეს უმართავი დაბლობები) ეს იყო დარტყმა, რომელიც თავისუფლად მიაყენა აზიურმა ურდომ აუთვისებელ სივრცეს. ჰუნებს მოჰყვნენ ავარები. სწორედ მათთან ბრძოლის შედეგად დაარსდა ავსტრია, ხოლო კარლოს დიდის[10] ლაშქრობების შედეგად გამაგრებულ იქნა ვენა. შემდეგ მოვიდნენ მადიარები და სტეპში, უნგრეთის ტერიტორიაზე განლაგებული ბანაკებიდან თავისი უწყვეტი თავდასხმების წყალობით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადეს

ავსტრიული ავანპოსტი, რის გამოც ფოკუსმა გერმანიიდან აღმოსავლეთით გადაინაცვლა, ამ სამეფოს საზღვრისკენ. ბულგარები მმართველ კასტად იქცნენ დუნაიდან სამხრეთისკენ მდებარე მიწებზე, რითაც დაამკვიდრეს კიდეც თავისი სახელი მსოფლიოს რუკაზე, თუმცა მათი ენა სლავური წარმოშობის ხელოვნურობის ენაში იქნა გათქვეფილი.

ალბათ, ყველაზე ხანგრძლივი და ეფექტური რუსულ სტეპებში იყო ხაზარების განსახლება, რომლებიც სარკინოზების დიდი მოძრაობის თანამედროვენი იყვნენ: არაბმა გეოგრაფებმა იცოდნენ კასპიის ანუ ხაზართა ზღვა. მაგრამ, საბოლოოდ, მონღოლეთიდან მოვიდნენ ახალი ურდოები და ორასი წლის განმავლობაში აღნიშნული ტერიტორიებიდან ჩრდილოეთისკენ განლაგებული რუსული მიწები ხარკს უხდიდნენ მონღოლ ყაენებს ანუ „სტეპს“ და, ამგვარად, რუსეთის განვითარება დაბრკოლდა და დამახინჯდა სწორედ მაშინ, როდესაც დანარჩენი ევროპა სწრაფად მიაბიჯებდა წინ.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ამ მიწებიდან შავი და კასპიის ზღვებისკენ მიმავალი მდინარეები მომთაბარეების მთელი სასტეპო გზის განივად მიემართებიან და, რომ დროდადრო ამ მდინარეთა დინების გასწვრივ შეინიშნებოდა შემთხვევითი მოძრაობები აღნიშნულ მხედართა გადაადგილების საპირისპირო მიმართულებით. ასე მაგალითად, ბერძნული ეკლესიის მისიონერები აყვნენ დნეპრს კიევამდე ზუსტად ისე, როგორც მანამდე მცირე ხნის წინ ჩრდილოელი ვარიაგები გაპყვნენ იმავე მდინარეს კონსტანტინოპოლისკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ, უფრო ადრეც გუთების გერმანული ტომი მცირე ხნით გამოჩნდა დნეპრის ნაპირებზე, როდესაც მათ გაიარეს ევროპა ბალტიის სანაპიროდან იმავე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ყოველივე ეს — გარდამავალი ეპიზოდებია, რომლებიც, მიუხედავად ამისა, შინაარსს არ უკარგავენ უფრო ვრცელ განზოგადებებს. ათი საუკუნის განმავლობაში მომთაბარე მხედართა რამდენიმე ტალღა გამოვიდა აზიიდან და გადაპრა ურალისა და კასპიის ზღვის შორის არსებული ფართო დერეფანი. მათ გადაკვეთეს რუსეთის სამხრეთის ღია სივრცეები და მუდმივი საცხოვრებელი დაიმკვიდრეს უნგრეთში, ევროპის შუაგულში. ყოველივე ამის გამო ამ ტომებმა მათი მეზობელი ხალხების ისტორიაში გარდაუვალი წინააღმდეგობის მომენტი შეიტანეს: ასე იყო რუსების, გერმანელების, ფრანგების, იტალიელების და ბიზანტიელი ბერძნების მიმართ. ის, რომ მათ გამოიწვიეს ჯანსაღი და მძლავრი რეაქცია (საყოველთაოდ გავრცელებული დესპოტიზმის დროს მოსალოდნელი დამანგრეველი ოპოზიციის ნაცვლად) შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ მათი ხელისუფლების მოქნილობა თვით სტეპით იყო განპირობებული და მთლიანად უჩინარდებოდა ირგვლივ მთებისა და ტყეების გამოჩენის შემდეგ.

ხელისუფლების მსგავსი მოქნილობა ახასიათებდა, აგრეთვე, მეზღვაურ ვიკინგებს. სკანდინავიიდან ისინი ჩამოვიდნენ ევროპის ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროებზე და მდინარეების საშუალებით შეიჭრნენ მის სიღრმეში. თუმცა, მათი მოქმედების მასშტაბი შეზღუდული იყო, რადგან მათი ძლევამოსილება მხოლოდ ზღვების სანაპიროებზე ვრცელდებოდა. ამგვარად, ევროპის მკვიდრი მოსახლეობა მოჭყლეტილი აღმოჩნდა აღმოსავლეთიდან აზიელ მომთაბარეებსა და დანარჩენი სამი მხრიდან მოიერიშე მეკობრეებს შორის. თავისი ბუნების წყალობით, ამ მხარეთაგან ვერცერთმა ვერ მოიპოვა უპირატესობა, რადგან ორივე მხოლოდ მასტიმულირებელ ზემოქმედებას ახდენდა. უნდა აღინიშნოს,

რომ სკანდინავიელების ზეგავლენა ჩამორჩებოდა მომთაბარეების ანალოგიურ ზეგავლენას, რადგან სწორედ ამ უკანასკნელთა წყალობით დაიწყო ინგლისმა და საფრანგეთმა გრძელი გზა გაერთიანებისაკენ, როდესაც ერთიანმა იტალიამ ვერ გაუძლო მათ დარტყმებს და დაეცა. ოდესღაც რომს შეეძლო მოეხდინა თავისი მოსახლეობის მობილიზაცია, რისთვისაც იყენებდა გზებს, თუმცა ახლა რომაული გზები სავალალო მდგომარეობაშია და არ გამოცვლილა მეთვრამეტე საუკუნემდე.

ვეუბნობ, რომ ჰუნების შემოსევაც კი არ იყო პირველი ამ „აზიურ" სერიაში. სკვითები, ჰომეროსისა და ჰეროდოტეს მოთხრობებიდან, ალბათ ცხოვრების იმავე წესს ეწეოდნენ და, შესაძლებელია, იმავე რასას ეკუთვნოდნენ, რასაც სტეპის უფრო გვიანდელი ბინადრები. კულტური ელემენტები მდინარე დონის, დონეცკის, დნეპრის, დნესტრისა და დუნაის სახელწოდებაში შესაძლებელია სხვადასხვა რასის, მაგრამ მსგავსი ჩვევების ხალხთა მსოფლმხედველობის განსაზღვრება ყოფილიყო. ამასთანავე არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ კელტები, შემდგომი პერიოდის გუთებისა და ვარიაგების მსგავსად, ჩრდილოეთის ტყეებიდან ჩამოვიდნენ. ყოველივე ამის მიუხედავად, მოსახლეობის უზარმაზარმა ტალღამ, რომელსაც ანთროპოლოგები ბრაქიკეფალებს[11] უწოდებენ, გადმოინაცვლა ბრაქიკეფალური აზიიდან ცენტრალური ევროპის გავლით საფრანგეთამდე, ჩაინერგა დოლიქოკეფალური[12] მოსახლეობის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ ჯგუფებს შორის და ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი აზიური წარმოშობის იყვნენ.

ამასთანავე, აზიის ზეგავლენა ევროპაზე შეუმჩნეველია იმ დრომდე, სანამ არ დავიწყებთ საუბარს მეთხუთმეტე საუკუნის მონღოლთა შემოსევაზე, თუმცა, ვიდრე გადავიდოდეთ ყოველივე ამასთან დაკავშირებული ფაქტების ანალიზზე, სასურველია ჩვენი „ევროპული" თვალსაზრისი შევცვალოთ ისე, რომ შევძლოთ მთლიანობაში წარმოვიდგინოთ ძველი სამყარო.

იმის გამო, რომ ნალექების რაოდენობა განისაზღვრება ზღვის სიახლოვით, კლიმატური თვალსაზრისით უდიდესი სახმელეთო მასივების შუა ნაწილი საკმაოდ მშრალია. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ორი მესამედი თავმოყრილია დიდი კონტინენტების კიდეების გასწვრივ განლაგებულ, შედარებით მცირე.რაიონებში (ევროპაში ატლანტიკის ოკეანესთან, ინდოეთსა და ჩინეთში — ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებთან). მთელ ჩრდილოეთ აფრიკას არაბეთის ნახევარკუნძულამდე გასდევს, თითქმის, დაუსახლებელი მიწების ფართო ზოლი, რადგან აქ პრაქტიკულად არ მოდის წვიმა. ცენტრალური და სამხრეთი აფრიკა, ამერიკისა და ავსტრალიის მსგავსად, თავისი ისტორიის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, აგრეთვე, გამიჯნული იყო ევროპისა და აზიისაგან. სინამდვილეში, ევროპის საშუალო საზღვარი იყო და არის უფრო საჰარა, ვიდრე ხმელთაშუა ზღვისპირეთი, რადგან სწორედ ეს უდაბნო გამოყოფს თეთრ ხალხს შავებისაგან. ევრო-აზიის უზარმაზარი მიწები, რომლებიც ამგვარად მოქცეულია ოკეანესა და უდაბნოს შორის, შეადგენს 21 000 000 კვადრატულ მილს, ე. ი. მთელი მსოფლიო მიწების ნახევარს, თუ არ გავითვალისწინებთ საჰარისა და არაბეთის უდაბნოებს.

ცნობილია მრავალი შორეული უდაბნო რაიონი, რომელიც აზიის მთელ ტერიტორიაზე, სირიიდან და სპარსეთიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ მანჯურიის მიმართულებით არის მიმოფანტული. მაგრამ, მათ შორის არ

მოიპოვება უდაბნო, რომელიც შეედრება საჰარას. მეორე მხრივ, ევრო-აზიისთვის დამახასიათებელია მდინარეთა დინების საკმაოდ თავისებური განაწილება. ჩრდილოეთისა და ცენტრის უდიდეს ნაწილში ეს მდინარეები უვარგისი იყო ადამიანისა და გარე სამყაროს ურთიერთობისათვის. ვოლგა, ოქსი, იარქსარტი მარილიან ტბებში ჩაედინება; ობი, ენისეი და ლენა — ცივ ჩრდილოეთ ოკეანეში. მსოფლიოში არის ექვსი დიდი მდინარე. ამ რაიონებში კი არის ბევრი, თუმცა უფრო მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი მდინარე, როგორიცაა ტარიმი და ჰელმუნდი, რომლებიც აგრეთვე, არ უერთდება ოკეანეს. ამგვარად, უდაბნოს ლაქებით დაცხრილული ევრო-აზიის ცენტრი საბოლოოდ წარმოადგენს სტეპურ მიდამოს, სადაც არის ვრცელი, თუმცა ხშირად მწირი საძოვრები და, არც თუ ისე ცოტა, მდინარეების წყლით უზრუნველყოფილი ოაზისი. მაგრამ, აუცილებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ მთელი ეს ტერიტორია მაინც მოკლებულია ოკეანიდან მომავალ საზღვაოსნო გზებს ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დიდ სივრცეში არის ყველა პირობა ცხენებითა და აქლემებით მოძრავი მცირე, თუმცა საბოლოოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის მოსახლეობის — მომთაბარეების სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

ჩრდილოეთისკენ მათი სამეფო შემოფარგლულია სუბარქტიკული ტყეებისა და ჭაობების ფართო ზოლით, სადაც ჰავა, დასავლეთისა და აღმოსავლეთ შემოგარენის გამოკლებით, მეტისმეტად მკაცრია სასოფლო-სამეურნეო დასახლებების განვითარებისათვის. აღმოსავლეთით ტყეები მიემართება ამურის გასწვრივ სამხრეთისკენ წყნარი ოკეანის სანაპირომდე — მანჯურიაში. იგივე მდგომარეობაა დასავლეთითაც. ისტორიამდელ ევროპაში ტყეები იკავებდნენ ტერიტორიის ძირითად ნაწილს. ასეთი სახით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ჩრდილოეთ-დასავლეთიდან შემოზღუდული სტეპები უწყვეტლივ, 4000 მილის მანძილზე, მიემართებიან უნგრული პუშტიდან მცირე გობიმდე მანჯურიაში და, უკიდურეს დასავლეთ შემოგარენის გამოკლებით, მოკლებულია ოკეანისკენ მიმავალ მდინარეებს (ასე, რომ შეგვიძლია არც კი გავითვალისწინოთ ის მცდელობა, რომელიც შეინიშნებოდა ამ მცირე ხნის წინ ობისა და ენისეის შესართავში ვაჭრობის განვითარები-სათვის). ევროპაში, დასავლეთ ციმბირსა და დასავლეთ თურქმენეთში სტეპის მდებარეობა უახლოვდება ზღვის დონეს, ხოლო ალაგ-ალაგ მის ქვევითაც კი მდებარეობს. შემდეგ, აღმოსავლეთისკენ იგი გადაჭიმულია ფერდობის სახით, მაგრამ, მშრალი ცენტრალური მიწების შიშველი, სწორი და დაბალი რაიონების ერთი დონიდან მეორეზე გადასვლა არ წარმოადგენს დიდ სირთულეს.

ურდოები, რომლებიც, საბოლოოდ, მეთოთხმეტე საუკუნის შუა ხანებში თავს დაესხა ევროპას, აქედან 3000 მილის მოშორებით, ზედა მონღოლეთის სტეპებში, იკრებდა ძალას. ის გაპარტახება, რომელიც მათ რამდენიმე წლის განმავლობაში მოახდინეს პოლონეთში, სილეზიაში, მორავიაში, უნგრეთში, ხორვატიასა და სერბეთში, ამის მიუხედავად, იყო აღმოსავლეთის მომთაბარეთა იმ დიდი სვლის მხოლოდ შორეული და, იმავდროულად, მოკლევადიანი შედეგი, რომელიც ჩინგიზ ყაენის სახელთან იყო გაიგივებული. იმ დროს როდესაც ოქროს ორდომ დაიკავა ყივჩაღთა სტეპი არალის ზღვიდან ურალის ქედისა და კასპიის ზღვას შორის დერეფნის გავლით კარპატებამდე, სხვა ურდომ, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით, კასპიის ზღვისა და ჰუნდიკუშს შორის მდებარე გზით ჩამოვიდა სპარსეთში, შუამდინარეთსა და სირიაშიც

კი, დააფუძნა ილხანის მმართველობა. მოგვიანებით მესამე ურდო თავს დაესხა ჩრდილოეთ ჩინეთს და დაეუფლა მას. ინდოეთი და მანგი ანუ სამხრეთი ჩინეთი დროებით დაცული იყო ტიბეტის მთების (რომელთა ეფექტურობასაც, ალბათ მსოფლიოში ვერაფერი შეედრება, თუ რა თქმა უნდა, არ გავითვალისწინებთ საჰარას და პოლარულ ყინულებს) შესანიშნავი ზღუდით. მაგრამ, უფრო მოგვიანებით მარკო პოლოს დროს მანგის, ხოლო თემურ-ლენგის დროს ინდოეთის შემთხვევაში, ეს ზღუდე დაძლეულ იქნა. მოხდა ისე, რომ ამ ცნობილ შემთხვევაში ძველი სამყაროს ყველა დასახლებულმა მხარემ ადრე თუ გვიან საკუთარ თავზე იგრძნო სტეპის ფართობებზე აღმოცენებული მოქნილი ხელისუფლების მმართველობის ექსპანსიური ძალა. რუსეთი, სპარსეთი, ინდოეთი და ჩინეთი ან ხარკს უხდიდა, ან მასპინძლობდა მონღოლურ დინასტიებს. მცირე აზიაში თვით ახლად აღმოცენებული თურქთა სახელმწიფოც კი ითმენდა ამ უღელს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ევროპის მსგავსად, ცნობები უფრო ადრეული შემოსევების თაობაზე შემონახულია ევრო-აზიის სხვა სასაზღვრო ტერიტორიებზეც. ჩინეთი ემორჩილებოდა ჩრდილოეთიდან მოსულ დამპყრობლებს, ხოლო ინდოეთი — დამპყრობლებს ჩრდილო-დასავლეთიდან. სპარსეთის ტერიტორიაზე, სულ მცირე, ერთმა თავდასხმამ განსაკუთრებული როლი შეასრულა მთელი დასავლური ცივილიზაციის ისტორიაში. მონღოლების მოსვლამდე სამასი ან ოთხასი წლით ადრე, მცირე აზიის რაიონებიდან გამოსულმა თურქ-სელჩუკებმა დაიკავეს უზარმაზარი სივრცეები, რომლებსაც პირობითად შეიძლება ხუთ ზღვას (კასპის, შავი, ხმელთაშუა, მეწამული ზღვები და სპარსეთის ყურე) შორის განლაგებული რეგიონი ეწოდოს. მათ დაიმკვიდრეს ქერმანში, ხადამანში, მცირე აზიაში, დაამხეს სარკინოზების მეუფება ბაღდადსა და დამასკოში. იერუსალიმში მიმავალი მლოცველების მიმართ მათი ცუდი მოპყრობის გამო გაჩნდა მათი დასჯის აუცილებლობა, რისთვისაც ქრისტიანულმა სამყარომ სამხედრო ლაშქრობების მთელი სერია წამოიწყო, რომლებსაც ზოგადად ჯვაროსნული ეწოდა. თუმცა, ევროპელებმა ვერ მიაღწიეს დასახულ მიზნებს, ამ მოვლენებმა იმდენად ააღლვა და გააერთიანა ევროპა რომ ჩვენ სრულიად სამართლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისინი თანამედროვე ისტორიის დასაწყისად. ეს იყო ევროპის წინსვლის კიდევ ერთი მაგალითი, რასაც სტიმული მიანიჭა იმ ზეწოლაზე საპასუხო რეაქციის აუცილებლობამ, რომელიც მასზე უშუალოდ აზიის ცენტრიდან ხორციელდებოდა.

ამგვარად, ჩვენს მიერ მიღებული ევრო-აზიის ცნება ითვალისწინებს მიწებს, რომლებიც ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია ყინულებით, ყველგან დასერილია მდინარეებით და საერთო ფართობით შეადგენს 21 000 000 კვადრატულ მილს ე. ი. თითქმის სამჯერ აღემატება ჩრდილოეთ ამერიკის (რომლის ცენტრალური და ჩრდილოეთი რაიონები აღწევს მხოლოდ 900 000 კვ. მილს) და ორჯერ — ევროპის ტერიტორიას. მაგრამ, მას არ აქვს ოკეანისკენ მიმავალი კარგი სანაოსნო გზები, თუმცა სუბარქტიკული ყინულების გარდა, იგი ვარგისია ყველა სახის მომთაბარეების გადაადგილებისათვის. ამ ზონიდან დასავლეთისკენ, სამხრეთისკენ და აღმოსავლეთისკენ განლაგებულია სასაზღვრო რეგიონები, რომლებიც აყალიბებენ ფართო ნახევარმთვარეს და ხელსაყრელია ზღვაოსნობისათვის. ფიზიკური მოწყობის შესაბამისად, ამ რაიონების რიცხვი უდრის ოთხს, თანაც არც თუ ისე უმნიშვნელოა ის, რომ ისინი პრინ-

ციპში, ემთხვევა ოთხი დიდი რელიგიის — ბუდიზმის, ბრაჰმანიზმის, ისლამისა და ქრისტიანობის გავრცელების სფეროებს. პირველი ორი მდებარეობის მუსონების ზონაში, თანაც ერთ-ერთი მათგანი მიმართულია წყნარი ოკეანისკენ, ხოლო მეორე — ინდოეთის ოკეანისკენ. მეოთხე ევროპა, დასავლეთიდან (ატლანტიკიდან) მომავალი წვიმებით ირწყვება. ამ სამ რეგიონში, რომელიც მთლიანობაში შეადგენს 7 000 000 კვ. მილზე ნაკლებს, მილიარდ ადამიანზე მეტი ანუ დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედია დასახლებული. მესამე სფერო, რომელიც ემთხვევა ხუთი ზღვის ზონას ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ახლო აღმოსავლეთის რაიონი, კიდევ უფრო მეტად განიცდის წვიმების ნაკლებობას აფრიკასთან სიახლოვის გამო და, ოაზისების გამოკლებით, მეჩხერად არის დასახლებული. გარკვეულწილად იგი ითავსებს როგორც სასაზღვრო ზონის, ისე ევრო-აზიის ცენტრალური რაიონის ნიშნებს. ეს ზონა მოკლებულია ტყეებს, მისი ზედაპირი დაცხრილულია უდაბნოებით, რის გამოც იგი ვარგისია მხოლოდ მომთაბარეობის განვითარებისთვის. სასაზღვრო რაიონის ნიშნები მასში შეინიშნება იმდენად, რამდენადაც ზღვის ყურეები და ოკეანეში ჩამდინარე მდინარეები ხელმისაწვდომს ხდის მას საზღვაო მმართველობისათვის, თანაც ამასთან ერთად, საშუალებას აძლევს მათ თვითონაც განახორციელონ თავისი ძალაუფლება ზღვაზე. სწორედ ამის გამო აქ პერიოდულად წარმოიქმნებოდა „სასაზღვრო" ტიპის იმპერიები, რომელთა საფუძველსაც შეადგენდა ეგვიპტისა და ბაბილონის დიდი ოაზისების სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა. გარდა ამისა, საზღვაოსნო გზებით ისინი უკავშირდებოდნენ ხმელთაშუა ზღვისპირეთის და ინდოეთის ცივილიზაციურ სამყაროსაც. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს იმპერიები ხვდებოდნენ აქამდე არსებული მიგრაციების მოქმედების ზონაში, რომელთაგანაც ზოგიერთს ახორციელებდნენ ცენტრალური აზიიდან მომავალი სკვითები, თურქები, მონღოლები, ხოლო დანარჩენი იყო ხმელთაშუა ზღვისპირეთის ხალხების ძალისხმევის შედეგი, რომელთაც სურდათ, ხელთ ეგდოთ დასავლეთიდან აღმოსავლეთ ოკეანემდე მიმავალი სახმელეთო გზები. ეს ადგილი ამ ადრეული ცივილიზაციების ყველაზე სუსტი რგოლია, ვინაიდან სუეცის სრუტე (რომელმაც საზღვაო მმართველობა გაყო აღმოსავლეთ და დასავლეთ მმართველობად) და სპარსეთის მშრალი უდაბნოები (რომლებიც ცენტრალური აზიიდან სპარსეთის ყურემდეა განფენილი) მომთაბარეთა გაერთიანებისა და ოკეანეს სანაპირომდე მიღწევის მუდმივი საშუალება იყო. ეს ტერიტორია ერთმანეთისაგან ყოფდა, ერთი მხრივ, ჩინეთსა და ინდოეთს, ხოლო, მეორე მხრივ, ხმელთაშუა ზღვისპირეთის. ყოველთვის, როდესაც ეცემოდა ეგვიპტის, ბაბილონისა და ასურეთის ოაზისები, სტეპების ბინადრებს საშუალება ეძლეოდათ ფორტპოსტების სახით გამოეყენებინათ ირანის სწორი დაბლობები, საიდანაც მათ შეეძლოთ პენჯაბის გავლით თავს დასხმოდნენ ინდოეთს, ასურეთის გავლით — ეგვიპტეს, ხოლო ბოსფორისა და დარდანელის დანგრეული ხიდის გავლით გეზი აეღოთ უნგრეთისაკენ. ევროპის შუაგულისკენ მიმავალ მაგისტრალურ გზაზე იმყოფებოდა ვენა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა, როგორც რუსეთის სტეპებიდან პირდაპირი გზებით შემოსული, ისე შავი და კასპის ზღვების სამხრეთით მდებარე ხვეული გზებით შემოღწეული მომთაბარეების თავდასხმებს.

ამგვარად, ჩვენ აღვწერეთ თვალსაჩინო განსხვავება ახლო აღმოსავლე-

თში სარკინოზთა და თურქთა კონტროლს შორის. სარკინოზები სემიტური რასის ერთ-ერთ შტოს წარმომადგენლები იყვნენ და სახლობდნენ ნილოსისა და ევფრატის დაბლობებზე, აგრეთვე, მცირე ოაზისებში აზიის სამხრეთ რეგიონებში. ამ მიწის მიერ მათთვის შეთავაზებული ორი საშუალების (ერთი მხრივ ცხენებისა და აქლემების, ხოლო მეორე მხრივ – გემების) გამოყენებით მათ უდიდესი იმპერია შექმნეს. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში მათი ფლოტი ზედამხედველობას უწევდა ხმელთაშუა ზღვას ესპანეთამდეც კი, აგრეთვე, ინდოეთის ოკეანეს მალაის კუნძულებამდე. ამ, სტრატეგიული თვალსაზრისით, ცენტრალური პოზიციიდან, რომელიც მდებარეობდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ოკეანეებს შორის, ისინი ცდილობდნენ დაეპყროთ ძველი სამყაროს ყველა სასაზღვრო რაიონი, რითაც გარკვეულწილად ემსგავსებოდნენ ალექსანდრე მაკედონელს და წინ უსწრებდნენ ნაპოლეონს. ისინი მნიშვნელოვანი საფრთხე იყო სტეპისთვისაც კი. მაგრამ, სარკინოზთა ცივილიზაცია დაანგრიეს თურქებმა, არაბეთისაგან, ევროპისაგან, ინდოეთისა და ჩინეთისაგან სრულიად გამოყოფილმა წარმართმა თურანელებმა, რომლებიც აზიის შუაგულში იყვნენ დამკვიდრებულნი.

ოკეანის ზედაპირზე გადაადგილება, კონტინენტის შიგნით არსებულ აქლემებისა და ცხენების საშუალებით გადაადგილების ბუნებრივ მოპაექრედ იქცა. სწორედ ოკეანეში ჩამდინარე მდინარეების ათვისებაზე იყო დაფუძნებული ცივილიზაციის სამდინარო (პოტამიური[14]) სტადია: ჩინეთში იანძიზე, ინდოეთში განგზე, ბაბილონში ევფრატზე, ეგვიპტეში ნილოსზე. ხმელთაშუა ზღვის ათვისების საფუძველზე აღმოცენდა ის, რასაც უწოდებენ ცივილიზაციის (ბერძენთა და რომაელთა ცივილიზაციის) „საზღვაო" სტადიას. სარკინოზებსა და ვიკინგებს ოკეანეთა სანაპიროების მართვის უნარი შესწევდათ სწორედ წყალზე გადაადგილების შესაძლებლობის წყალობით.

კეთილი იმედის კონცხის შემოვლით ინდოეთში მიმავალი გზის აღმოჩენის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ ამ გზას, თუნდაც ასეთ გრძელს და შემოვლითს, უნდა დაეკავშირებინა ევრო-აზიის დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო-სატვირთო სანაპირო ნაოსნობა და ზურგიდან ზეწოლით გარკვეულწილად მოეხდინა სტეპების ბინადართა მიერ დაკავებული ცენტრალური მდებარეობის სტრატეგიული უპირატესობის ნეიტრალიზაცია. ერთიანი და განფენილი ოკეანე, რომელიც გარს ევლება გაყოფილ და კუნძულოვან მიწებს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს იმ ერთადერთ პირობას, რომელიც უზრუნველყოფდა მართვის კონცენტრაციის უმაღლეს ხარისხს ზღვაზე, რაზეც დაწვრილებით წერდნენ თანამედროვე სამხედრო-საზღვაო სტრატეგიისა და პოლიტიკის თეორიაში, კაპიტანი მეჰენი და სპენსერ უილკინსონი.

ყოველივე ამის პოლიტიკური შედეგი ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობათა შეცვლით გამოიხატა. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ შუა საუკუნეებში ევროპას გარს ერტყა გაუკვალავი ქვიშები სამხრეთიდან, გამოუკვლევი ოკეანე დასავლეთიდან, ყინულები ან უკიდეგანო ტყეები ჩრდილოეთიდან და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან, ხოლო აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას მომთაბარეების უჩვეულო მოძრავუნარიანობა ემუქრებოდა და აი, ახლა კი იგი აღსდგა მთელ სამყაროზე, მისწვდა ოცდათვრამეტ ზღვას და სხვა ტერიტორიებს, გაავრცელა თავისი ზეგავლენა იმ ევროაზიული მმართველობების ირგვლივ, რომლებიც ცოტა ხნის წინ თვით მის არსებობასაც

კი ემუქრებოდნენ. საზღვაო სივრცეებზე აღმოჩენილ ახალ მიწებზე იქმნებოდა ახალი ევროპები და ის, რაც ადრე ევროპელებისათვის იყო ბრიტანეთი და სკანდინავია დღეს ხდება ამერიკა და ავსტრალია, გარკვეულწილად, საჰარის მიღმა აფრიკაც კი, რომელიც ახლა ევრო-აზიას ემიჯნება. ბრიტანეთი, კანადა, შეერთებული შტატები, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და იაპონია აყალიბებენ საკუნძულო ბაზებისაგან შემდგარ თავისებურ რგოლს, რომელიც განკუთვნილია გაჟირვებისა და საზღვაო ძალებისათვის და მიუწვდომელია ევრო-აზიის სახმელეთო მმართველობისათვის.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელნი განაგრძობენ არსებობას და გარკვეულმა მოვლენებმა კვლავ დაადასტურა მათი მნიშვნელობა. ვიდრე დასავლეთ ევროპის „საზღვაო" ხალხები ეფინებოდნენ ოკეანის ზედაპირს თავისი გემებით, მიემგზავრებოდნენ შორეული მიწებისაკენ და ამა თუ იმ სახით ხარკს ადებდნენ აზიის საოკეანო სანაპიროს მცხოვრებლებს, რუსეთმა გააერთიანა კაზაკები, გამოვიდა თავისი ჩრდილოეთის ტყეებიდან და დაეუფლა სტეპს, რითაც საკუთარი მომთაბარეები თათარ-მომთაბარეებს დაუპირისპირა. ტიუდორების ეპოქამ, რომელმაც თავის თვალით ნახა დასავლეთ ევროპის ექსპანსია საზღვაო სივრცეებზე, იხილა ისიც, თუ როგორ მიიწევდა რუსული სახელმწიფო მოსკოვიდან ციმბირისკენ. მხედართა გადატყორცნა მთელი აზიის გავლით აღმოსავლეთისკენ იქცა მოვლენად, რომელიც შეიძლება ისეთივე პოლიტიკური შედეგების მომტანი ყოფილიყო, რაც კეთილი იმედის კონცხის გადალახვა, თუმცა ამ ორი მოვლენის ურთიერთზეგავლენა ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ შეინიშნებოდა.

სრულიად შესაძლებელია, რომ ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავი დამთხვევა ის იყო, რომ ევროპის როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო ექსპანსია გარკვეულწილად აგრძელებდა ბერძნების და რომაელების ძველისძველ დაპირისპირებას. რამდენიმე უიღბლო შემთხვევამ ამ სფეროში მნიშვნელოვნად უფრო შორეული შედეგები გამოიღო, ვიდრე რომის მიერ წამოწყებულმა ბერძენთა ლათინიზაციის უშედეგო მცდელობამ. ტევტონები დაემორჩილნენ ცივილიზაციას და მიიღეს ქრისტიანობა რომაელებისაგან, სლავებმა კი — ბერძნებისაგან. სწორედ რომაელ-ტევტონები ეუფლებოდნენ შემდგომში ზღვებს და სწორედ ბერძენ-სლავები მოჰქროდნენ სტეპებზე, როდესაც იპყრობდნენ თურანელ ხალხებს. ასე რომ, თანამედროვე სახმელეთო მმართველობა საზღვაოსაგან განსხვავდება არა მარტო მატერიალური პირობებითა და მოქნილობით, არამედ თავისი იდეალების წყაროებითაც კი[15].

კაზაკების შემდეგ, თვალსაწიერზე გამოჩნდა რუსეთი, რომელმაც მშვიდად მიატოვა თავისი მარტოობა, რომელშიც იგი ჩრდილოეთის ტყეებში იმყოფებოდა. სხვა, განსაკუთრებული შინაგანი მნიშვნელობის ცვლილება, რომელიც გასულ ასწლეულში ევროპაში მოხდა იყო რუსი გლეხების მიგრაცია სამხრეთისკენ. ასე რომ, თუ ადრე სასოფლო-სამეურნეო დასახლებების საზღვარი ტყეების ნაპირს მიჰყვებოდა, ახლა მთელი ევროპული რუსეთის მოსახლეობის ცენტრი განლაგებულია ამ საზღვრიდან სამხრეთისკენ, ხორბლის ყანებს შორის, რომლებმაც იქ (და უფრო დასავლეთისკენ) შეცვალა სტეპი. სწორედ ასე წარმოიქმნა უაღრესად მნიშვნელოვანი ქალაქი ოდესა, რომელიც წმინდა ამერიკული სისწრაფით ვითარდებოდა.

ჯერ კიდევ ერთი თაობის წინ თითქმის შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ

გემებმა და სუეცის არხმა, სახმელეთოსთან შედარებით, უფრო მოქნილი გახადა საზღვაო მმართველობა. სარკინიგზო მაგისტრალები, ძირითადად, საოკეანო ვაჭრობის დანამატის როლს ასრულებდნენ. მაგრამ, ახლა ტრანსკონტინენტური რკინიგზები ცვლიან სახმელეთო მმართველობის მდგომარეობას და არსად არ მოქმედებენ ისინი ისეთი დიდი ეფექტურობით, როგორც ევროაზიის ჩაკეტილ ცენტრალურ სივრცეზე, სადაც არ მოიპოვება არც ერთი მორი ან ლოდი, რომელიც ვარგისი იქნებოდა მათი აშენებისათვის. რკინიგზები სტეპში ახდენენ არნახულ სასწაულებს, რადგან ისინი უშუალოდ ჩაენაცვლა ცხენს და აქლემს[16]. ასე რომ, განვითარების აუცილებელი სტადია — საგზაო — აქ გამოტოვებული იქნა.

ვაჭრობასთან მიმართებაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოკეანური ხერხი, თუნდაც შედარებით იაფფასიანი, ითვალისწინებს საქონლის მიერ ოთხი ეტაპის გავლას — ფაბრიკა (დამამზადებელი), გამგზავნის ნავსადგური, მიმღების ნავსადგური და საცალო გაყიდვის საწყობი, როდესაც კონტინენტური რკინიგზა პირდაპირ ფაბრიკა-დამამზადებლისაგან იმპორტიორის საწყობისაკენ მიემართება. ამგვარად, შუამდებარე საოკეანო ვაჭრობა, სხვა თანაბარი პირობების დროს, კონტინენტების ირგვლივ აყალიბებს შეღწევის ზონას, რომლის შიგნითა საზღვარი უხეშადაა მოხაზული ხაზით, რომლის გასწვრივაც ერთი ოპერაციის ფასი (საოკეანო გადაზიდვისა და მეზობელი სანაპიროდან სარკინიგზო გადაზიდვის ფასი) უდრის ორი ოპერაციისა და კონტინენტური რკინიგზით გადაზიდვის ფასს.

რუსული რკინიგზები მიისწრაფვიან 6 000 მილის მანძილზე ვერბალენიდან (დასავლეთით) ვლადივოსტოკამდე (აღმოსავლეთით). რუსული ჯარი მანჯურიაში წარმოადგენს მოქნილი სახმელეთო ძალის შესანიშნავ მოწმობას, ისევე, როგორც ბრიტანეთი არის საზღვაო მმართველობის მაგალითი სამხრეთ აფრიკაში. რა თქმა უნდა, ტრანსციმბირის მაგისტრალი კვლავ ერთადერთ და არც თუ ისე უსაფრთხო საკავშირო ხაზად რჩება, მაგრამ ჯერ კიდევ არ იქნება დასრულებული ეს ასწლეული, რომ მთელი აზია დაიფარება სარკინიგზო მაგისტრალების ქსელით. რუსეთის იმპერიისა და მონღოლეთის ტერიტორიული სივრცეები იმდენად დიდია, ხოლო მათი პოტენციალი მოსახლეობის, ხორბლის, ბამბის, საწვავისა და ლითონების თვალსაზრისით იმდენად მაღალია, რომ აქ უეჭველად განვითარდება თვითმყოფადი, თუნდაც მცირედ მოშორებული, უზარმაზარი ეკონომიკური სამყარო, რომელიც მიუღწეველი იქნება საოკეანო ვაჭრობისათვის.

ისტორიის ძირითადი ტენდენციების ესოდენ ზოგადი მიმოხილვითაც კი ნუთუ ვერ ვამჩნევთ მუდმივობას, გეოგრაფიული თვალსაზრისით? ხომ არ არის მსოფლიო პოლიტიკის საღერძო რეგიონი ევრო-აზიის ეს ვრცელი რაიონი, რომელიც მიუწვდომელია გემებისათვის, მაგრამ მისაწვდომი იყო ძველად მომთაბარეებისათვის და რომელიც ახლა უნდა დაიფაროს სარკინიგზო ქსელით? აქ იყო და კვლავაც აგრძელებენ არსებობას მრავლის მაუწყებელი (თუნდაც გარკვეული ფაქტორით შეზღუდული) პირობები სამხედრო და სამრეწველო მმართველობების განვითარებისათვის. რუსეთი ცვლის მონღოლურ იმპერიას. მისი ზეწოლა ფინეთზე, სკანდინავიაზე, პოლონეთზე, თურქეთზე, სპარსეთზე, ინდოეთსა და ჩინეთზე ჩაენაცვლა ერთი ცენტრიდან მიმავალი სტეპელების თავდასხმებს. ამ სამყაროში მას უკავია ცენტრალური სტრატე-

გიული მდებარეობა, რომელიც ევროპაში ეკუთვნის გერმანიას. მას შეუძლია თავს დაესხას და იმავდროულად მიიღოს დარტყმები ყველა მიმართულებით, ჩრდილოეთის გარდა. რკინიგზებთან დაკავშირებული მისი მოქნილობის საბოლოო განვითარება მხოლოდ დროის საკითხია და ვერავითარი სოციალური რევოლუცია ვერ შეცვლის რუსეთის დამოკიდებულებას მისი არსებობის უდიდესი გეოგრაფიული საზღვრების მიმართ. კარგად უწყიან რა თავისი ძალის შესახებ, რუსეთის მმართველები მშვიდად გაშორდნენ ალიასკას, ვინაიდან რუსული პოლიტიკისათვის ფაქტიურად, წესად იქცა არ ფლობდეს არავითარ ზღვის მიღმა ტერიტორიას, ისევე, როგორც ბრიტანეთის წესია — საოკეანო სივრცეების მართვა.

ამ საღერძო რაიონის გარეთ განლაგებულია დიდი შიგნითა ნახევარმთვარე, რომელსაც შეადგენენ გერმანია, ავსტრია, თურქეთი, ინდოეთი და ჩინეთი, აგრეთვე, გარეთა ნახევარმთვარე — ბრიტანეთი, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, შეერთებული შტატები, კანადა და იაპონია. ამჟამინდელ მეგობრობაში საღერძო სახელმწიფოს, რუსეთს, ვერ უტოლდება პერიფერიული სახელმწიფოები და აქ საწინააღმდეგო ძალის სახით შეიძლება წარსდგეს მხოლოდ საფრანგეთი. სულ ახლახანს აღმოსავლურ სახელმწიფოდ იქცა შეერთებული შტატები. ევროპაში ძალთა წონასწორობაზე ისინი ზემოქმედებენ არა უშუალოდ, არამედ რუსეთის მეშვეობით და ეშვგარეშეა, რომ ისინი ააგებენ პანამის სრუტეს, რათა მისისიპის და ატლანტიკის რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს წყნარ ოკეანეში გადაქაჩვისათვის. ამ თვალსაზრისით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის რეალური გამყოფი ხაზი სწორედ ატლანტიკაში უნდა ვეძიოთ[17].

თუ ძალების წონასწორობა ღერძული სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაიხარა, ეს გამოიხატება ევრო-აზიის სასაზღვრო ტერიტორიებზე მისი ექსპანსიის სახით, რაც შესაძლებელს გახდის აურაცხელი კინტინენტური რესურსების გამოყენებას ფლოტის მშენებლობისათვის. ყოველივე ამის წყალობით ახლო მომავალში ჩვენს წინაშე შეიძლება მსოფლიო იმპერია წარსდგეს. ეს შესაძლებელია, თუ გერმანია მოისურვებს მოკავშირეს სახით შეუერთდეს რუსეთს. სწორედ ამგვარი კავშირის საშიშროების გამო საფრანგეთი უნდა მიეკედლოს საზღვაო მმართველობას და უკვე საფრანგეთი, იტალია, ეგვიპტე და კორეა შექმნიან ისეთ ძლიერ გაერთიანებას, სადაც ფლოტი მხარს დაუჭერს არმიას, რაც საბოლოოდ აიძულებს ღერძის მოკავშირეებს გაშალონ საკუთარი სახმელეთო ძალები და თავი შეიკავონ ზღვაზე ძალების სრული კონცენტრაციისაგან. თუ მოვიშველიებთ უფრო მცირე შედარებას, ყოველივე ეს წააგავს იმას, რასაც აწარმოებდა ველინგტონი საომარი მოქმედებების ბაზიდან „ტორეს ვერდასი". ხომ ვერ შესძლებს ინდოეთი, ბოლოსდაბოლოს, იგივე როლი შეასრულოს ბრიტანეთის იმპერიის სისტემაში? ეს იდეა ხომ არ უდევს საფუძვლად მისტერ ამერის კონცეფციას, სადაც იგი ამბობდა, რომ „ბრიტანეთის საბრძოლო მოქმედების ფრონტი განფენილია კეთილი იმედის კონცხიდან ინდოეთის გავლით იაპონიამდე?

სამხრეთ ამერიკის უზარმაზარი შესაძლებლობების განვითარებამ ამ სისტემაზე შეიძლება გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს. ერთი მხრივ, იგი შესძლებს შეერთებული შტატების პოზიციის გაძლიერებას, ხოლო თუ გერმანია შესძლებს ქმედითი წინააღმდეგობა გაუწიოს მონროს დოქტრინას, მათ შესწევთ

უნარი ჩამოაშორონ ბერლინი იმას, რაც მე აღვწერე ღერძის პოლიტიკის სახით. მმართველობის რეგიონულ კომბინატებს აქ მნიშვნელობა არ აქვს. მე ვამტკიცებ, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით ისინი ღერძული სახელმწიფოს ირგვლივ ასრულებენ რაღაც წრიული მოძრაობის მსგავსს, რომელიც ყოველთვის, ასე თუ ისე, არის დიდი, მაგრამ გარემომცველ სასაზღვრო და საკუნძულო მმართველებთან შედარებით, მობილური თვალსაზრისით, შეზღუდული.

ყოველივე ამის თაობაზე მე ვსაუბრობდი, როგორც გეოგრაფი. ხოლო პოლიტიკური ძალაუფლების ნამდვილი წონასწორობა ყოველ კონკრეტულ მომენტში, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ არის გეოგრაფიული (აგრეთვე, ეკონომიკური და სტრატეგიული) პირობების, ხოლო მეორე მხრივ, მოპაექრე ხალხების შეფარდებითი რაოდენობის, ვაჟკაცობის, აღჭურვილობის და ორგანიზების შედეგი. თუ გულდასმით აღვრიცხავთ ყოველივე ამას, ჩვენ თარიღის გამოყენების გარეშე წინასწარ შევძლებთ პაექრობის შედეგების განსაზღვრას. გამოთვლებში გეოგრაფიული მაჩვენებლები უფრო გამოსადეგია და მუდმივი, ვიდრე ადამიანური. სწორედ ამის გამო ჩვენ ვიმედოვნებთ მოვძებნოთ ისეთი ფორმულა, რომელიც თანაბრად მართებული იქნება, როგორც წარსული ისტორიის, ისე დღევანდელი პოლიტიკის მიმართ.

სოციალურ მოძრაობებს ყველა ხანაში დაახლოებით ერთი და იგივე ფიზიკური ნიშნები ახასიათებდა, რადგან მე ეჭვი მეპარება იმაში, რომ ჰავის თანდათან მზარდი სიმშრალე (თუ ეს იქნება დამტკიცებული) ცვლიდა აზიისა და აფრიკის გარემოს ისტორიულ დროში. იმპერიის მოძრაობა დასავლეთისკენ მე უფრო სასაზღვრო მმართველობების ხანმოკლე ბრუნვად მეჩვენება ღერძული რაიონის სამხრეთ-დასავლური და დასავლური კუთხეების ირგვლივ. ახლო, შუა და შორეულ აღმოსავლეთთან დაკავშირებული პრობლემები დამოკიდებულია ცვალებად წონასწორობაზე შიდა და გარე მმართველობებს შორის სასაზღვრო ნახევარმთვარის იმ ნაწილებში, სადაც ადგილობრივი სახელმწიფოების არსებობა, თითქმის, არ არის გათვალისწინებული.

დასასრულ, აუცილებელია ითქვას, რომ რუსეთის კონტროლის შეცვლა შიდა კონტინენტური კონტროლის რაიმე ახალი სახეობით ვერ დააკნინებს ამ ღერძული პოზიციის მნიშვნელობას, თუნდაც ჩინელებმა იაპონიის დახმარებით დაარბიონ რუსეთის იმპერია და დაიპყრონ მისი ტერიტორია, ისინი შექმნიან უვითელ საშიშროებას მსოფლიო თავისუფლებისათვის იმით, რომ უდიდესი კონტინენტის რესურსებს მიამატებენ საოკეანო სივრცეებს და მოიპოვებენ ისეთ უპირატესობას, რომელიც აქამდე არ ჰქონდა ამ ღერძული რეგიონის რუს მეპატრონეს.

პეტრე სავიცკი

# ევრაზიულობის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საფუძვლები[1]

რუსეთს უფრო მეტად ეკუთვნის სახელწოდება „შუმდებარე სახელმწიფო", ვიდრე ჩინეთს („ჩუნგო" ჩინურ ენაზე) და რაც უფრო მეტი დრო გაივლის, მით უფრო მკვეთრად გამოიკვეთება ამ დებულების მართებულობა. რუსეთისათვის ევროპა წარმოადგენს მხოლოდ ძველი მატერიკის ნახევარკუნძულს, რომელიც მისი საზღვრების დასავლეთით მდებარეობს. თვით რუსეთი ამ მატერიკზე იკავებს მის ძირითად სივრცეს. ამავე დროს, ევროპული სახელმწიფოების საერთო ფართი დაახლოებით 5 მილიონი კვადრატული კილომეტრია. რუსეთისა კი, თუნდაც თანამედროვე საბჭოთა კავშირის ფარგლებში, მნიშვნელოვნად აღემატება 20 მილიონ კვ. კმ. (განსაკუთრებით თუ ამას მივამატებთ მონღოლეთისა და ტუვის სახალხო რესპუბლიკებს — ყოფილი „გარე მონღოლეთისა" და „რიანხოის მხარის" სივრცეებს, რომლებიც ამჟამად ფაქტიურად საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნაწილებია).

XIX და XX საუკუნის დასაწყისში იშვიათი გამონაკლისის გარდა, რუსმა ხალხმა მიივიწყა ურალის მიღმა სივრცეები (ერთ-ერთი ვისაც ახსოვდა იგი, იყო გენიოსი რუსი ქიმიკოსი დ. ი. მენდელეევი). ახლა კი სხვა დრო დადგა. მთელი „ურალ-კუზნეცკის" კომბინატი თავისი ბრძმედებით, ნახშირის მაღაროებით, ასი-ორასი ათასი ადამიანით დასახლებული ქალაქებით შენდება ურალის იქით. იქვე შენდება „თურქსიბი". არსად რუსული კულტურის ექსპანსია არ გაშლილ ასე ფართოდ და სტიქიურად, როგორც ურალის მიღმა ტერიტორიების სხვა ნაწილში — ე. წ. „შუა აზიის რესპუბლიკებში" (თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი). შენდება რუსული მიწების მთელი წყება — „ნეგორელის ისრებიდან სუჩანის სადგურამდე". მოვლენათა ასეთ შემობრუნებაში თავისი წილი მიუძღვით ევრაზიელებს. მაგრამ, ამასთან ერთად, აშკარად იჩენს თავს რუსული სამყაროს, როგორც ძველი მატერიკის ცენტრის ბუნება. იყო პერიოდი, როდესაც მიაჩნდათ, რომ ძველი მატერიკის დასავლეთ პერიფერიას — ევროპასა (მასვე მიაკუთვნებდნენ რუსეთს ურალამდე ანუ ძველი გეოგრაფების „ევროპულ რუსეთს") და აზიას (ჩინეთს, ინდოეთსა და ირანს) შორის ძევს სიცარიელე. რუსული თანამედროვეობის ევრაზიული მისწრაფება ახალი სიცოცხლით ავსებს ამ სიცარიელეს.

უკვე XIX საუკუნის ბოლოდან ევროპიდან ჩინეთისა და იაპონიისაკენ მიმავალი პირდაპირი გზა რუსეთის ტერიტორიაზე გადის (დიდი ციმბირის რკინიგზა). გეოგრაფია სრული დამაჯერებლობით მიუთითებს, რომ სწორედ ამგვარად უნდა გადიოდეს გზა ევროპიდან (ჩრდილოეთ ევროპიდან მაინც) სპარსეთამდე, ინდოეთამდე და ინდოჩინეთამდე. ეს შესაძლებლობები ჯერჯერობით არ არის სრულად გამოყენებული. ტრანსსპარსული რკინიგზა, რომელიც გადაკვეთდა სპარსეთის ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და დაუკავშირდებოდა, როგორც ბრიტანული ინდოეთის, ისე ევროპის (ამიერკავკასიის, ყირიმისა და უკრაინის გავლით) სარკინიგზო ქსელს, მეორე მსოფლიო ომის წინ მზად იყო განხორციელებისათვის. მაგრამ ამჟამად, პოლიტიკური ვითარებების გამო, იგი უსაფუძვლო პროექტების რიცხვს

მიეკუთვნა. არ არის კავშირი რუსულ თურქესტანსა („შუა აზიის რესპუბლიკებს") და ინდოეთის რკინიგზებს შორის. რუსულ სარკინიგზო ქსელს არ აქვს ევროპა-ინდოეთის სატრანზიტო მოძრაობის ორიენტაცია. მაგრამ, ადრე თუ გვიან ასეთი მოძრაობა აუცილებლად შეიქმნება — ეს იქნება სარკინიგზო მაგისტრალების, საავტომობილო გზებისა თუ საჰაერო კავშირების სახით. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის უმოკლესი მანძილები, რომლებსაც მათ რუსეთი აძლევს. რაც უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს საჰაერო კავშირები მათთვის დამახასიათებელი თვისებით — სწორხაზოვანი ფრენით, მით უფრო თვალსაჩინო გახდება რუსეთ-ევრაზიის, როგორც „სამყაროს შუაგულის" როლი. ტრანსპოლარული ხაზების დადგენის შემდეგ მისი მნიშვნელობა შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს. შორეული ჩრდილოეთის უზარმაზარ სივრცეებზე რუსეთი ამერიკის მეზობელია. თუ ახალი გზები პოლუსზე ანუ, უფრო ზუსტად, პოლუსის ზევით გადაივლის იგი იქცევა აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის შემაერთებელ რგოლად.

შემდგომ სტატიებში საუბარი გვექნება ევრაზიელების მისწრაფებაზე — მოახდინონ აღმოსავლური და დასავლური საწყისების სინთეზი. აქ საჭირო აღინიშნოს ის შესაბამისობა, რომელებსაც ანიჭებს ამ მისწრაფებას გეოპოლიტიკის სფერო. რუსეთ-ევრაზია წარმოადგენს ძველი სამყაროს ცენტრს. მოაცილეთ ეს ცენტრი და მთელი მისი დანარჩენი ნაწილები, მატერიკული გარეუბნების მთელი ეს სისტემა (ევროპა, წინა აზია, ირანი, ინდოეთი, ინდოჩინეთი, ჩინეთი, იაპონია) „დანგრეულ ტაძარს" დაემსგავსება. ეს სამყარო, რომელიც ევროპის საზღვრებიდან აღმოსავლეთით, ხოლო „კლასიკური აზიისაგან" ჩრდილოეთით მდებარეობს, წარმოადგენს იმ რგოლს, რომელიც მათ ერთობლიობას ანიჭებს. ეს ახლაც თვალსაჩინოა და კიდევ უფრო გამოიკვეთება მომავალში. „სამყაროს შუაგულს" შემაკავშირებელმა და გამაერთიანებელმა როლმა ისტორიაშიც იჩინა თავი. რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში პოლიტიკური უპირატესობა ევრაზიულ სამყაროში მომთაბარეებს ეკუთვნოდათ. მათ დაიკავეს მთელი სივრცე ევროპის საზღვრებიდან ჩინეთამდე და იმავდროულად დაუმეზობლდნენ წინა აზიას, ირანს, ინდოეთს და შუამავლის როლი შეასრულეს დასაბამიდანვე განცალკევებული კულტურის მქონე სამყაროთა შორის. მაგალითად, ირანისა და ჩინეთის ურთიერთობა არასდროს ყოფილა ისეთი მჭიდრო, როგორც მონღოლური ბატონობის დროს (XII-XIV საუკუნეებში). ხოლო აქედან ცამეტი-თოთხმეტი საუკუნით ადრე და მხოლოდ მომთაბარე ევრაზიულ სამყაროში იკვეთებოდა ელინური და ჩინური კულტურების ურთიერთობების სხივები, რაც მონღოლეთში წარმოებულმა უახლესმა გათხრებმა დაადასტურა. გარდაუვალი ფაქტების ძალით რუსული სამყაროს დანიშნულება შეასრულოს გამაერთიანებლის როლი ძველი სამყაროს ფარგლებში. იმდენად, რამდენდაც რუსეთი-ევრაზია შეასრულებს ამ მოწოდებას, შეიძლება გარდაიქმნას (და განიცდის კიდეც გარდაქმნას) ერთიან ორგანულ მთლიანობად ძველი მატერიკის სხვადასხვა კულტურების ერთობლიობა, მოიხსნას აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირება. ეს გარემოება ჩვენ დროში ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად გაცნობიერებული, მაგრამ მასში გამოხატული თანაფარდობები ბუნებრივი და გარდაუვალია. გაერთიანების ამოცანები, უპირველეს ყოვლისა, კულტურული შემოქმედების ამოცანებია. გამაერთიანებელი და შემრიგებელი როლისათვის, ძველი სამყაროს ცენტრში, რუსული კულტურის

სახით აღმოცენდა ახალი და დამოუკიდებელი ისტორიული ძალა. თავის ამოცანას იგი მხოლოდ ყველა მეზობელი ხალხების კულტურებთან ურთიერთობით გადაჭრის. ამ თვალსაზრისით დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურები მისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ ასეთი ერთნაირი და თანაბარი მიმართება — რუსული კულტურისა და გეოპოლიტიკის თავისებურებაა. რუსეთისთვის ეს ორი თანასწორი ფრონტია — დასავლური და სამხრეთ-აღმოსავლური. თვალსაწიერი, რომელიც თანაბრად და სრულად მოიცავს მთელ ძველ სამყაროს — შესაძლებელია და აუცილებლად უნდა იქცეს რუსულ თვალსაწიერად.

თუმცა, დავუბრუნდეთ წმინდა გეოგრაფიული ხასიათის მოვლენებს. რუსულ „გეოსთან" შედარებით, ევროპაც და აზიაც ძველი სამყაროს გარეუბნებია. თანაც, „რუსულ-ევრაზიული თვალსაზრისით" ევროპაა, ყოველივე რაც რუსული საზღვრიდან დასავლეთით ძევს, ხოლო აზიაა — ყოველივე რაც რუსეთიდან სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. თვით რუსეთი არც აზიაა და არც ევროპა — ასე ჟღერს ევრაზიელების ძირითადი გეოპოლიტიკური თეზისი. ამიტომ არ არსებობს არც „ევროპული" და არც „აზიური" რუსეთი, არის მხოლოდ მისი ნაწილები, რომლებიც მდებარეობს ურალის აღმოსავლეთით და დასავლეთით, ისევე, როგორც არის ენისეიდან დასავლეთით და აღმოსავლეთით განლაგებული ნაწილები და ა. შ. ევრაზიელების აზრით: რუსეთი არც აზიაა და არც ევროპა, იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ გეოგრაფიულ სამყაროს. რითი განსხვავდება ეს სამყარო აზიისა და ევროპისაგან? ძველი მატერიკის დასავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის გარეუბნები გამოირჩევა როგორც თავისი სანაპიროების მნიშვნელოვანი დასერილობით, ისე რალიეფის ფორმების სხვადასხვაობით. მაგრამ, სრულიად განსხვავებულია მისი ძირითადი „ნაწილი", რომელიც ზემოთქმულის მიხედვით, შეადგენს რუსეთ-ევრაზიას.

იგი, უპირველეს ყოვლისა, შედგება სამი დაბლობისაგან (თეთრი ზღვა-კავკასიის, დასავლეთ ციმბირის და თურქმენეთის), ხოლო შემდეგ მათგან აღმოსავლეთით მდებარე მიდამოებისაგან (მათ შორის მდ. ენისეიდან აღმოსავლეთით მდებარე დაბალმთიანი ქვეყნებისაგან). მატერიკის დასავლეთ და სამხრეთ გარეუბნების ზონები ხასიათდება „მოზაიკურ-წილაკოვანი" და არც თუ ისე მარტივი მოხაზულობით. ტყიანი (თავის ბუნებრივ მდგომარეობაში) მიდამოები უცნაური თანმიმდევრობითაა ჩანაცვლებული სტეპებითა და უდაბნოებით, აგრეთვე, ტუნდრით (მაღალ მთებში). ძველი სამყაროს შუაგულოვან დაბლობებზე ზონების ამ „მოზაიკას" შედარებით მარტივი, „დროშისმაგვარი" განლაგება ცვლის. ამ უკანასკნელი აღნიშვნით ჩვენ მივუთითებთ იმ გარემოებას, რომ რუკაზე დადების დროს იგი მოგვაგონებს თარაზულ ზოლებად დაყოფილი დროშის მოხაზულობას. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით აქ ერთმანეთს ენაცვლება უდაბნო, სტეპი, ტყე და ტუნდრა. ამ ზონებიდან თითოეული ქმნის მთლიან განედურ ზოლს. რუსული სამყაროს განედურ დანაწევრებას გამოკვეთს, აგრეთვე, იმ სამთო ქედების განედური განლაგება, რომლებიც გარს ერტყმის ჩამოთვლილ დაბლობებს სამხრეთიდან: ყირიმის ქედი, კავკასიონი, კოპეტდაღი, პარაპამიზი, ჰინდუკუში, ტიან-შანის ძირითადი ქედები, ტიბეტის ჩრდილოეთ შემოგარენისა და ინ-შანის ქედები დიდი ჩინური კედლის მახლობლად. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ქედებიდან

უკანასკნელნი განლაგებულნი არიან იმავე ხაზზე, სადაც წინათ დასახელებულნი, მხოლოდ ისინი სამხრეთიდან ესაზღვრებიან უდაბნო გობის მიერ დაკავებულ ზეგანს. ჯუნგარის კარიბჭის საშუალებით ეს უდაბნო უკავშირდება თურქმენეთის (თურქესტანის) დაბლობს.

ძველი სამყაროს მატერიკის ზონურ აგებულებაში შეიმჩნევა თავისებური, აღმოსავლურ-დასავლური სიმეტრიის ნიშნები, რაც იმით აიხსნება, რომ მის აღმოსავლეთ შემოგარენში საკითხთა მიმდინარეობა დასავლეთი გარეუბანში განვითარებული მოვლენების ანალოგიურია, ხოლო სრულიად განსხვავებულია მატერიკის შუა ნაწილში მიმდინარე მოვლენების ხასიათი. მატერიკის დასავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე გარეუბნები (შორეული აღმოსავლეთიც და ევროპაც) – ჩრდილოეთ განედის 35 და 60 გრადუსს შორის განედებში თავის ბუნებრივ მდგომარეობაში წარმოადგენენ ტყიან მიდამოებს. აქ ერთმანეთს უშუალოდ ებჯინება ბორეული[1] ტყეები, რომელიც თანდათან გადადის სამხრეთის ფლორის ტყეებში. ამგვარი არაფერი შეინიშნება „შუამდებარე" სამყაროში. აქ სამხრეთის ფლორის ტყეები არის მხოლოდ მისი მთიანი არშიის მიდამოში (ყირიმი, კავკასიონი, თურქმენეთი) და იგი არსად არ ემიჯნება ჩრდილოეთის ფლორის ან ბორეულ ტყეებს, რადგან მათგან გამოყოფილია მთლიანი სტეპიან-უდაბნოიანი ზოლით. ამგვარად, ძველი სამყაროს შუაგული შეიძლება განისაზღვროს, როგორც სტეპისა და უდაბნოს ზოლის მიდამო, რომელიც უწყვეტი ხაზის სახით გადაჭიმულია კარპატებიდან ქინგანამდე და, ამასთან ერთად, მოიცავს მთიან არშიას სამხრეთით და რაიონებს, რომლებიც განლაგებულია მისგან ჩრდილოეთით (ტყიანი და ტუნდრიანი ზონები). სწორედ ამ სამყაროს უწოდებენ ევრაზიელები ევრაზიას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით (Eurazia sinsu stricto). იგი უნდა განვასხვავოთ ფონ ჰუმბოლდტის ძველი „ევრაზიისაგან", რომელიც მოიცავს მთელ ძველ მატერიკს (Eusia sensu Latiore).

ევრაზიის დასავლეთი საზღვარი გადის შავი და ბალტიის ზღვების „ზღუდეზე", ე. ი. მიდამოზე, სადაც მატერიკი ვიწროვდება (ბალტიისა და შავ ზღვას შორის). ამ „ზღუდეზე", ზოგადად ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, გადის რამდენიმე თვალსაჩინო ბოტანიკურ-გეოგრაფიული საზღვარი, მაგალითად, „ურთხმელის", „წიფელისა" და სუროს აღმოსავლეთ საზღვარი. თითოეული მათგანი იწყება ბალტიის ზღვის ნაპირებზე, ხოლო შემდეგ შავი ზღვის ნაპირებთან გამოდის. ზემოხსენებული საზღვრებიდან დასავლეთით, ე. ი. იქ სადაც კიდევ იზრდება ხის აღნიშნული ჯიშები, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე ტყის ზონა უწყვეტ ზოლად არის გადაფენილი. მათგან აღმოსავლეთით იწყება ჩრდილოეთით ტყიან და სამხრეთით სტეპურ ზონად დანაწევრება. ეს მიდამო შეიძლება მივიჩნიოთ ევრაზიის დასავლეთ საზღვრად, ე. ი. მისი საზღვარი აზიასთან შორეულ დასავლეთში გადადის მთლიანი სტეპის ზოლის შეპრის გრძედებში, იქ სადაც იგი უახლოვდება წყნარ ოკეანეს, ე. ი. ქინგანის გრძედებში.

ევრაზიული სამყარო არის „ზონების პერიოდული და, იმავე დროს, სიმეტრიული სისტემის" სამყარო. ძირითადი ევრაზიული ზონების საზღვართა განლაგება დიდი სიზუსტით შეესაბამება განსაზღვრული კლიმატური საზღვრების მდებარეობას, მაგალითად, ტუნდრის სამხრეთი საზღვარი შეესაბამება ხაზს, რომელიც აკავშირებს ისეთ პუნქტებს, სადაც ღღის პირველ საათზე საშუალო წლიური ტენიანობა დაახლოებით 79,5%-ია (ღღის პირველ საათზე

შეფარდებით ტენიანობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეულობის, სიცოცხლისა და ნიადაგისათვის). ტყიანი ზონის სამხრეთი ზონა გადის ხაზზე, რომელიც აკავშირებს პუნქტებს, სადაც იგივე შეფარდებითი ტენიანობა 67,5%-ია. სტეპის სამხრეთ საზღვარს (იქ სადაც იგი ემიჯნება უდაბნოს) შეესაბამება ერთნაირი შეფარდებითი ტენიანობა, რომელიც დღის პირველ საათზე უტოლდება 55,5%-ს. უდაბნოში იგი ყველგან ჩამორჩება ამ მაჩვენებელს. აქ ყურადღებას იქცევს ტყიანი და სტეპური ზონების მომცველი ინტერვალების ტოლობა. ასეთი თანხვედრები და ინტერვალების ასეთივე რითმული განაწილება შეიძლება განისაზღვროს სხვა ნიშნებითაც (იხ. ჩემი წიგნი „რუსეთის გეოგრაფიული თავისებურებანი, პირველი ნაწილი, პრაღა 1927 წ.“). სწორედ ამას ეფუძნება ცნება — „რუსეთ-ევრაზიის ზონების პერიოდული სისტემა“. იგი წარმოადგენს სიმეტრიულ სისტემას თუმცა არა დასავლეთ-აღმოსავლური სიმეტრიების თვალსაზრისით, რომლებზეც ჩვენ ამის წინ ვისაუბრეთ, არამედ სამხრეთ-ჩრდილოეთის სისტემათა შინაარსით. ჩრდილოეთის უტყეობას (ტუნდრა) აქ შეესაბამება სამხრეთის უტყეობა (სტეპი). მიწებში (ნიადაგში) კალციუმისა და შემცველობა შავმიწა „შუამდებარე“ ნაწილებიდან სიმეტრიულად მცირდება ჩრდილოეთისა და სამხრეთსაკენ. მოვლენათა სიმეტრიული განაწილება ნიადაგის შეფერილობაშიც აისახება. ყველაზე დიდ ინტენსივობას იგი ჰორიზონტალური ზონის იმავე შუამდებარე ნაწილებში აღწევს. ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ იგი სუსტდება (გადადის მოყავისფრო ელფერიდან მოთეთროსკენ). ქვიშებისა და ქვიანი სუბსტრატების გავლით — სატყეო და სასტეპო ზონებს შორის საზღვრიდან სიმეტრიულად მიემართება: სტეპიანი კუნძულები ჩრდილოეთისკენ და „კუნძულოვანი“ ტყეები სამხრეთისკენ. ამ მოვლენებს რუსული მეცნიერება განსაზღვრავს როგორც „ექსტრაზონალურს“. ტყიან ზონაში განლაგებული სტეპიანი უბნები შეიძლება დავახასიათოთ როგორც „სამხრეთული“ მოვლენა, ხოლო სტეპში ტყეების კუნძულები — „ჩრდილოეთურად“. სატყეო ზონის სამხრეთულ ფორმაციებს შეესაბამება სტეპის ჩრდილოეთური ფორმაცია.

არსად ძველი სამყაროს სხვა ადგილას ზონური სისტემის გადასვლათა თანდათანობა, მისი „პერიოდულობა“ და, ამასთანავე, „სიმეტრიულობა“ არ არის ისე მკვეთრად გამოხატული, როგორც რუსეთ-ევრაზიის დაბლობებზე.

რუსული სამყარო ფლობს უკიდურესად მკაფიო გეოგრაფიულ სტრუქტურას. ამ სტრუქტურაში ურალს სულაც არ ენიჭება ის განმსაზღვრელი და გამოყოფილი მნიშვნელობა, რომელსაც მას მიაწერდა (და კვლავ მიაწერს) გეოგრაფიული „ვამპუკა“. ურალი, თავისი ოროგრაფიული და გეოლოგიური თავისებურებების წყალობით არა მხოლოდ არ ყოფს, არამედ, პირიქით, უმჯიდროვესად აკავშირებს „ურალამდე და ურალის მიღმა რუსეთს,“ რითაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ გეოგრაფიულად ისინი შეადგენენ ევრაზიის ერთ მთლიან, განუყოფელ კონტინენტს. ტუნდრა, ჰორიზონტალური ზოლის სახით, მდებარეობს ურალიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით. ტყე ეფინება მის როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. სხვაგვარადაა ვითარება სტეპისა და უდაბნოს მიმართ (ეს უკანასკნელი აღმოსავლეთისა და დასავლეთიდან გარს ერტყმის ურალის გაგრძელებას სამხრეთისაკენ — მუგოჯარს). ურალის მიჯნაზე, ჩვენ ვერ შევნიშნავთ გეოგრაფიული ვითარების რაიმე არსებით ცვლილებას. უფრო მნიშვნელოვნია „ზღვათაშორისი“ გეოგრაფიული კიდე ანუ სივრცე,

რომელიც, ერთი მხრივ, მდებარეობს შავ და ბალტიის ზღვებს შორის, ხოლო მეორე მხრივ — ბალტიის ზღვას და ჩრდილოეთ ნორვეგიის სანაპიროს შორის.

რუსეთ-ევრაზიის თავისებური, უკიდურესად მკაფიო და ამავე დროს მარტივი გეოგრაფიული სტრუქტურა ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ მოვლენას უკავშირდება.

ევრაზიული სამყაროს ბუნება უაღრესად მოუხერხებელია ყოველგვარი პოლიტიკური, კულტურული ან ეკონომიკური „სეპარატიზმისათვის". ევროპისა და აზიის „მოზაიკურ-წილაკოვანი" აგებულება ხელს უწყობს მცირე, განცალკევებული სამყაროების წარმოქმნას. აქ არის მატერიალური წინაპირობები მცირე სახელმწიფოების არსებობისათვის, ეკონომიკური მიდამოებისათვის, რომლებიც მცირე სივრცეზე ფლობენ დიდ სამეურნეო მრავალფეროვნებას. სულ სხვა ვითარებაა ევრაზიაში. ზონების „დროშისებრი" განლაგების ფართოდ გამოჭრილი სფერო არავითარ ამდაგვარს ხელს არ უწყობს. უკიდეგანო დაბლობები ფართო ჰორიზონტებისა და ვრცელი, გეოპოლიტიკური კომბინაციებისაკენ განაწყობენ. სტეპებში, სადაც უსაზღვრო ხმელეთია, ტყეებში, სადაც მრავალი მდინარისა და ტბის წყალი მოედინება, ადამიანი გამუდმებულ მიგრაციაშია, განუწყვეტლივ იცვლის ადგილსამყოფელს. ეთნიკური და კულტურული ელემენტები იმყოფებოდა ინტენსიურ ურთიერთმოქმედებაში და ურთიერთშეჯვარებაში. ევროპასა და აზიაში დროდადრო ცხოვრება შესაძლებელი იყო მხოლოდ „საკუთარი სამრეკლოს" ინტერესებით. ევრაზიაში, თუნდაც ასეთი რამ მოხდეს, ისტორიული თვალსაზრისით, იგი უკიდურესად მცირე ხანს გასტანს. ევრაზიის ჩრდილოეთით არის ტყეების ასიათასობით კვადრატული კილომეტრი, სადაც ჯერ არცერთი ჰექტარი არ არის მოხნული. როგორ იცხოვრონ ამ სივრცეების ბინადრებმა სამხრეთით მდებარე მიდამოებთან შეხების გარეშე? სამხრეთით არანაკლებ სივრცეებზეა გაშლილი სტეპები, რომლებიც ვარგისია მეცხოველეობისა და მიწათმოქმედებისათვის, თუმცა იმ პირობით, რომ მრავალ ათას კვადრატულ კილომეტრ სივრცეზე თქვენ ვერ ნახავთ ვერცერთ ხეს. როგორც იცხოვროს ამ მიდამოების მოსახლეობამ ჩრდილოეთთან სამეურნეო ურთიერთობების გარეშე? ევრაზიის ბუნება მნიშვნელოვნად მძაფრად კარნახობს ხალხს პოლიტიკური, ეკონომიკური გაერთიანების აუცილებლობას, ვიდრე ეს შეინიშნება ევროპაში ან აზიაში. ამის გამოა, რომ სწორედ ევრაზიული სტეპებისა და უდაბნოების ფარგლებში იყო დამკვიდრებული ისეთი, მრავალ საკითხში „უნიფიცირებული" წყობა, როგორიც იყო მომთაბარეთა ყოფა. იგი მათი ბინადრობის მთელ სივრცეზე სუფევდა: უნგრეთიდან მანჯურიამდე და, სკვითების მთელი ისტორიის განმავლობაში, თანამედროვე მონღოლებამდე. ამიტომაც იბადებოდა ევრაზიის სივრცეებზე სკვითების, ჰუნების, მონღოლების (XIII-XIV სს.) და სხვათა, დიდი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნის მცდელობები, რომლებიც მოიცავდა არა მხოლოდ სტეპსა და უდაბნოს, არამედ მათთან ჩრდილოეთით მდებარე სატყეო ზონას და ევრაზიის „სამთო არშიის" უფრო სამხრეთ მიდამოსაც. ამიტომაც ჭრის ევრაზიაში თავისებური „ხალხთა ძმობის" სული, რომელსაც თავისი ფესვები უკიდურესად განსხვავებული რასების ხალხთა საუკუნოვანი ურთიერთშეხებისა და კულტურულ ურთიერთშერწყმაში აქვს გადგმული გერმანული (ყირიმელი გუთები) და სლავური რასებიდან — ტუნგუსურ-მანჯურიულ რასამდე, ფინური, თურქული და მონღოლური ხალხების გავლით.

ეს „ხალხთა ძმობა“ იმით გამოიხატება, რომ აქ გამორიცხულია უმაღლესი და უმდაბლესი რასების დაპირისპირება, რომ ურთიერთმიზიდულობა აქ უფრო ძლიერია ვიდრე ურთიერთგანზიდულობა, რომ აქ იოლად იღვიძებს „ნება საერთო საქმისაკენ“. ევრაზიის ისტორია, პირველი თავიდან უკანასკნელამდე, ამის დამტკიცებაა. ეს ტრადიციები აითვისა რუსეთმაც. თავის ძირითად ისტორიულ საქმეში XIX საუკუნეში და XX დასაწყისში იგი დროდადრო შემღვრეული იყო თავსმოხვეული „დასავლურობით“, რაც რუსებისაგან მოითხოვდა, რომ თავი ეგრძნოთ „ევროპელებად“ (როგორიც ისინი არასდროს ყოფილან) და მიეჩნიათ სხვა ევრაზიელი ხალხები „აზიატებად“ და „უმდაბლეს“ რასად. ასეთ განმარტებას უბედურების გარდა არაფერი მოჰქონდა რუსეთისათვის (მაგალითად XX საუკუნის დასაწყისის რუსული შორეულაღმოსავლური ავანტურა). უნდა ვიმედოვნოთ, რომ ეს კონცეფცია რუსულ ცნობიერებაში ბოლომდეა დამალული და რუსული „ევროპეიზმის“ ნარჩენები, რომლებიც ჯერ კიდევ იმალება ემიგრაციაში, მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ მნიშვნელობას. მხოლოდ თავსმოხვეული დასავლურობის გადაქცევით იხსენება გზა ევრაზიული ხალხების — სლავების, ფინელების, მონღოლების და სხვების ნამდვილი ძმობისაკენ.

ევრაზია ძველ სამყაროში ადრეც ასრულებდა გამაერთიანებელ როლს. თანამედროვე რუსეთი, რომელმაც იტვირთა ეს ტრადიცია, ვალდებულია თამამად და უკანდაუხევლად უარყოს გაერთიანების ძველი მეთოდები, რომელიც უკვე განვლილი ომისა და ძალადობის ეპოქას ეკუთვნის. თანამედროვე პერიოდში ურთიერთობათა გეზი კულტურული შემოქმედებისაკენ, აღმატებისაკენ, გაცისკროვნებისა და ურთიერთთანამშრომლობისაკენ მიემართება. ამისაკენ მოუწოდებენ მას ევრაზიელები. კავშირის ყველა თანამედროვე საშუალების მიუხედავად, ევროპისა და აზიის ხალხების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ჯერ კიდევ ყველა თავის. ნაჭუჭშია გამომწყვდეული და მხოლოდ „საკუთარი სამრეკლოს“ ინტერესებით ცხოვრობენ. ევრაზიული „ადგილგანვითარება“, თავისი ძირითადი თვისებების წყალობით, განაწყობს მათ საქმისაკენ. ევრაზიული ხალხების დანიშნულებაა — თავისი მაგალითით დააყენონ ამ გეზზე (აგრეთვე, მსოფლიოს სხვა ხალხებიც) და სწორედ მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს სასარგებლო მსოფლიოს საქმისათვის ეთნოგრაფიული ნათესაობის კავშირები, რომლითაც ზოგიერთი ევრაზიელი ხალხი არაევრაზიელ ერებს უკავშირდება. რუსების ინდოევროპული კავშირი, ევრაზიელი თურქების წინააზიური და ირანული ურთიერთობები, შენების ის წერტილები, რომლებიც ცნობილია ევრაზიელ მონღოლებსა და აღმოსავლეთ აზიის ხალხებს შორის, ისინი ყველა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ახალი, ორგანული კულტურის მნიშვნელობისათვის — ძველი, თუმცა ჯერ კიდევ (გვწამს) ახალგაზრდა, მაგრამ დიდი მომავლის მომტანი სამყაროს აღშენებისათვის.

## ჟან ტირიარი _ ზეადამიანური კომუნიზმი
### (წერილი გერმანელ მკითხველს)[5]

თანამედროვე ისტორია შემდგომში იხელმძღვანელებს არა ტერიტორიული, არამედ კონტინენტური სახელმწიფოს ცნებით. 1962-63 წლებში ჩემს წიგნში „ევროპა — იმპერია 400 მილიონი მოსახლეობით" დაწვრილებითაა აღწერილი ევროპის შექმნის გზები „დუბლინიდან ბუქარესტამდე". ვიყავი რა მოწმე 1941-1945 წლების ე. წ. „ჯვაროსნული ლაშქრობისა", მე უკვე 1963 წელს ხაზს ვუსვამდი იმას, რომ ასეთმა ევროპამ ნებისმიერ ფასად თავიდან უნდა აიცილოს კონფლიქტი აღმოსავლეთთან, უფრო მეტიც, ანტაგონიზმსაც კი არ უნდა განიცდიდეს მის მიმართ.

ისტორიული მიმდინარეობის დაჩქარება მე დღეს უკვე მაიძულებს ვთქვა, რომ ამჟამად მსჯელობა უნდა მიმდინარეობდეს არა დასავლეთ ევროპისა და სსრკ-ს შშვიდობიანი თანაარსებობის, არამედ ვლადივოსტოკიდან დუბლინამდე ერთიანი ევროპის შექმნის შესახებ. უნდა იქნას გაცნობიერებული, რომ რუსეთი მიეკუთვნება ევროპულ ქვეყანათა რიცხვს და, რომ ის არის ერთადერთი ევროპული სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებელია მსოფლიო ამერიკული იმპერიისაგან.

ჩვენი ისტორიული აზროვნება უნდა გამოცალკევდეს თანამედროვე სსრკ-ს ტიპის იდეოლოგიისაგან. მარქსისტული კომუნიზმი — ეს არის არა რაღაც საშინელი, არამედ რაღაც სულელური. ეს იდეოლოგია უნდა გაქრეს ფაქტების ზეწოლის ქვეშ. ის გაქრება, რადგან ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც უკვე შორს აღარ არის, საბჭოთა ხელმძღვანელობა დარწმუნდება იმაში, რომ სსრკ-ს ეკონომიკის ენდემური სისუსტე განპირობებულია მარქსისტული დოგმებით. თუ საბჭოთა ხელმძღვანელობას სურს შეინარჩუნოს ძალაუფლება (ეს კი დამოკიდებულია, იმაზე გადარჩება თუ არა საბჭოთა კავშირი), მაშინ მას მოუწევს „აზროვნების ისტორიულ წესზე" გადასვლა და მისი დამასუსტებელი დოგმატიზმისაგან თავის დაღწევა.

ლიუბეკ-სოფიის ხაზზე გამავალი მიჯნა, ისტორიულ სიბეცედ რჩება. ის გარდაუვალად გვახსენებს XVIII საუკუნის შუა წლებში გერმანიის გაყოფას პროტესტანტულ და კათოლიკურ სახელმწიფოებს შორის, რომელმაც რიშელიესა და მაზარინის დროიდან დაწყებული, უფლება მისცა საფრანგეთს 250 წლით გადაევადებინა მეორე რაიხის შექმნა.

როგორც ერთ დროს ვესტფალის ხელშეკრულებამ მისცა საფრანგეთს საშუალება ჩარეულიყო გერმანიის საქმეებში, ასევე იალტის ხელშეკრულებამ ნება დართო აშშ-ს ჩარეულიყო ევროპის საქმეებში. დღეს ზოგიერთი გერმანელი მზად არის უსიტყვოდ დაემორჩილოს ამერიკელებს. ეს უბრალოდ ზიზღს იმსახურებს. აი უკვე 30 წელია, რაც ბონი ცლის სახელმწიფო დეპარტამენტის ღამის ქოთანს. ამის გვერდით, თანამედროვე გერმანიაში აღინიშნება ორი სხვა ტენდენცია: მიდრეკილება ერთი მხრივ ნეიტრალიზმისაკენ, ხოლო მეორე მხრივ ნაციონალიზმისაკენ.

დასაწყისისათვის განვიხილოთ გერმანული ნაციონალიზმის საკითხი. გერმანია არ დამარცხებულა 1945 წელს. დრამატულ სიტუაციაში მისმა ვაჟკაცობამ შეიძინა შეჩპირისეული ხასიათი. მისი საბრძოლო უნარი უდაოა. 1940 წლის ივნისში საფრანგეთის მმართველი კლასი უკანმოუხედავად გაიქცა

პარიზიდან. 1945 წლის აპრილში გერმანიის ხელმძღვანელობა კი ბერლინის ქუჩებში ბრძოლის დროს იხოცებოდა. 1945 წელს გერმანია დამარცხებული კი არა, არამედ გასრესილი იქნა. ერთიან სახელმწიფოდ გერმანიამ მხოლოდ 12 წლის განმავლობაში იარსება, მაშინ როცა ინგლისი, საფრანგეთი და ესპანეთი საუკუნეების მანძილზე ერთიან მთლიან სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. თუმცა გერმანია, რომელიც გასრესილ იქნა 1945 წელს, თვითონ მიისწრაფვოდა ამისაკენ. ჰიტლერს სურდა გერმანული ევროპის შექმნა. „ევროპული" ევროპის იდეა მის შეგნებაზე მაღლა იდგა. მრავალმხრივ განსაკუთრებულმა ადამიანმა ამ საკითხში სრული სიბეცე გამოიჩინა. ცენტრალური ევროპიდან გამოსულმა პროვინციელმა ვერ შეაფასა ხმელთაშუა ზღვის უდიდესი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. ამას გარდა, იგი ვერ ამაღლდა იმ აზრამდე, რომ სხვა ხალხებიც შეიძლება ყოფილიყვნენ გამორჩეული თვისებებით დაჯილდოებულნი. მისი ზიზღი რუსი ადამიანისადმი, სლავებისადმი, იმის მიზეზი გახდა, რომ მან ჯეროვნად ვერ შეაფასა რუსი ჯარისკაცის თავდადება. ჰებელსის პროპაგანდა რუსებს წარმოაჩენდა თათრების, მონღოლებისა და ყალმუხების საეკვო ნარევად. პროპაგანდის განყოფილების ფოტოსამსახური და ფრონტის კინოოპერატორები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის გადაესწროთ ამ საკითხში.

ამჟამად მე ვიწერ ჟურნალს „Revue militaire sovietique" (საბჭოთა სამხედრო მიმოხილვა). ჰებელსისეული პროპაგანდის პუბლიკაციების საწინააღმდეგოდ, საბჭოთა ჯარისკაცები აქ გამოსახულნი არიან „მთლად ჩვენი ბავშვებივით ლამაზი სახეებით": მაღლები, ქერა, მოკლედ შეკრეჭილი თმებით და „მბიარული გამომეტყველებით". დოქტორ ჰებელსს არ უთქვამს ჩვენთვის, რომ ისინი არიან ვარიაგების შთამომავალნი. იმ ვარიაგებისა, რომელთაც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლოთ სს-ის ჯარებში შესვლა. ისინი სრულიად შეესაბამებიან იმ რასობრივ ნიშნებს, რომელთა მიხედვითაც არჩევდნენ კანდიდატებს მესამე რაიხის ამ გამორჩეული ნაწილებისათვის.

საბაზრო სურათებიც პოლიტიკური წყობისა და ისტორიული ეპოქის შეცვლასთან ერთად იცვლებიან. დღეს თელ-ავივ-ვაშინგტონის პროპაგანდის განყოფილება საბჭოთა არმიას ავღანეთში წარმოადგენს მოძალადე, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვების, ქალებისა და მოხუცების გამანადგურებელ და ამომწყვეტ არმიად.

ახალგაზრდობაში მე მწვავედ განვიცადე 1940-42 წლების ფრანკო-გერმანული დაახლოების უიღბლო მცდელობა. 1941 წლის 14 მაისს, ბერტეხსგადენში ადმირალ დარლანის მიღების დროს, ჰიტლერი ჯერ კიდევ ჰესის ინგლისში გაქცევის (1941 წლის 11 მაისი) შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა. ჰიტლერი არ იყო სულგრძელი, მას არ შეეძლო ფრანკო-გერმანული კონფლიქტის დამთავრება დამარცხებულის გარეშე, განადგურებული ამ შემთხვევაში საფრანგეთი უნდა ყოფილიყო, ის საფრანგეთი, რომელიც ჯერ კიდევ ფლობდა აფრიკისა და რაც მთავარია ხმელთაშუა ზღვის კოლონიებს, ასევე, აბსოლუტურად მთლიან ფლოტს. საფრანგეთთან კავშირის დამყარებით ჰიტლერს შეეძლო სირიაზე გავლით დაეპყრო ერაყი და დაემარცხებინა ინგლისი ხმელთაშუა ზღვაზე. ინგლისის ფლოტი ამ შემთხვევაში იძულებული იქნებოდა დაეტოვებინა ხმელთაშუა ზღვა. „ყველაფერი ეს შესაძლებელი იყო" უკვე 1940 წლის 3 ივლისის მერს-ელ-კებირის სასაკლაოს მომდევნო

დღეს, როდესაც ინგლისის ფლოტი გაუსწორდა ადმირალ ჟანსულის უიარაღო მეზღვაურებს. ამ ამბიდან ერთი კვირის განმავლობაში ჰიტლერს ადვილად შეეძლო საფრანგეთი ჩაერთო ინგლისის წინააღმდეგ ომში, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო სულგრძელობა და ევროპულად აზროვნება. ჰიტლერი არ იყო დიდი ევროპელი, ის მხოლოდ დიდი გერმანელი იყო.

მე გადავიტანე და განვიცადე ეს ყველაფერი. მე აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი მოვლენებში, მაგრამ არა გერმანიის, არამედ ნაციონალ-სოციალიზმის მხარეს. ბევრი ჩვენთაგანი იმ დროს გულგატეხილი იყო, ხოლო ზოგიერთს, ამასთან ერთად, თავისი თავი გაბიაბურებულად მიაჩნდა. და მაინც, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოდით რაიხის მხარეს. ბევრი ჩემი ამხანაგი შეეწირა კიდეც ამას: ზოგი დაიღუპა აღმოსავლეთის ფრონტზე, სხვები კი დახვრიტეს ომის დამთავრებისთანავე 1945 წლის მაისში. გავლენიანი ადვოკატების წყალობით მე ადვილად დავაღწიე თავი ციხეში ჩვეულებრივი 3 წლიანი თავისუფლების აღკვეთით. ეს თითქმის საჩუქარი იყო. მთელი ისტორიიდან მე გავაკეთე დასკვნა, რომ ნაციონალიზმს, რომელიც იმორჩილებს, ექსპლუატაციას უწევს და ანადგურებს დამარცხებულს, მოაქვს აურაცხელი ზიანი. ჰიტლერს არ შესწევდა ძალა გამაერთიანებელ ნაციონალიზმამდე ასამაღლებლად.

გერმანულმა და ფრანგულმა ნაციონალიზმმა ცოტა უბედურება და ზიანი როდი მოიტანა. ამის გამო დღესაც, ევროპული ინტერესების გამო, საჭიროა უმოწყალოდ ჩაიხშოს გერმანული ნაციონალიზმის თუნდაც მცირე გამოვლინებაც კი.

გერმანიას არაფერი აქვს დასაჩივლი იმის გამო, რომ დამარცხებულ იქნა 1945 წელს.

იგი თვითონ მიისწრაფვოდა ამისაკენ პოლონელებისა და რუსების დამცირებისა და ფრანგების მიმართ ზიზღის გზით.

ჰიტლერული გერმანია შეცდა, როდესაც მოკავშირედ მუსოლინის იტალია გაიხადა. ეს კავშირი მას დაუჯდა მთელ რიგ სისულელეებად და შეცდომებად. მუსოლინი ხელს უშლიდა საფრანგეთის გერმანიასთან თუნდაც მცირე დაახლოებას. სწორედ ამის გამო გერმანია და, კერძოდ, მთელი რიგი ნაცისტი ანგლოფილები შეცდნენ მტრის არჩევის დროსაც. რუდოლფ ჰესმა მცდარად, პირდაპირ სიტყვასიტყვით აღიქვა გენერალ ჰაუსჰოფერის კონცეფციები, რომლის ადიუტანტიც იყო პირველი მსოფლიო ომის დროს 1914–1918 წლებში. 1940 წელს გერმანიის დაუძინებელი მტერი იყო არა კონტინენტური საფრანგეთი, არამედ ზღვის მბრძანებელი ინგლისი. სწორედ ინგლისი, აი უკვე ხუთი საუკუნის მანძილზე, გვევლინება ევროპის ძველისძველ და მთავარ მტრად.

1945 წელს მესამე რაიხმა სრული კრახი განიცადა. თუმცა ეს ომი არა მარტო გერმანიამ წააგო, არამედ წავაგეთ ჩვენ ყველამ. დასაწყისში ჰოლანდიელები იქნენ გამოძევებულნი თავიანთი კოლონიებიდან. შემდგომ საფრანგეთი, ინგლისი და, ბოლოს, ბელგია. 1962 წელს ალჟირის სამარცხვინო დაკარგვის შემდგომ, საფრანგეთმა საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა, როგორც დამოუკიდებელმა, ძლევამოსილმა სახელმწიფომ. ჩვენ ყველამ ერთად წავაგეთ ეს ომი. უკვე 1941 წლის ბოლოს ინგლისელებმა დაიწყეს ფრანგების ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გამოძევება (სირია). სამაგიეროდ ფრანგები დაეხმარნენ სიონისტებს ინგლისელების პალესტინიდან განდევნაში. ჯერ კიდევ 1945

წლამდე ინგლისელები და ფრანგები შეეცადნენ დაეკარგვინებინათ იტალიისათვის აფრიკული კოლონიები. ბოლოს, 1960 წელს, ვაშინგტონის ბრძანებით, ბელგიელებმა დატოვეს კონგო, აფრიკის ყველაზე მდიდარი სახელმწიფო. ჩვენმა ნაციონალისტურმა უთანხმოებებმა დაღუპვამდე მიიყვანა მთელი ევროპა, ან უკიდურეს შემთხვევაში, მრავალეროვანი ევროპა. ახლა მოვიდა დრო შევქმნათ მონონაციონალური, ერთიანი კონტინენტური ევროპა, დიდი ევროპა „ვლადივოსტოკიდან დუბლინამდე".

ჰაუსჰოფერის ნათელი გეოპოლიტიკური კონცეფციებისა და საბჭოთა არმიის ძლიერების შეერთებით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ სვლით, უნდა შევეცადოთ იმის ხორცშესხმას, რაც ვერ განახორციელა ჰიტლერმა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობით. კომუნიზმს უნდა ჩამოშორდეს მარქსისტული და ლენინური დოგმებით განპირობებული უშედეგობა. საბჭოთა ტიპის კომუნიზმი უნდა გაიწმინდოს მარქსიზმისაგან, დაიხვეწოს, განიცადოს ძირეული ცვლილება.

**აუცილებელია განსორციელდეს არამარქსისტული კომუნიზმის სინთეზი არარასისტულ ნაციონალ-სოციალიზმთან.** მე წინააღმდეგი ვარ არაეფექტური კომუნიზმისა, ეფექტურს კი მხარს ვუჭერ. ზუსტად ამაშია ნაციონალ-კომუნიზმის არსი. ამ სინთეზში უნდა აირეკლოს ალექსანდრე დიდისა და კეისრის მიერ იმპერიის არსის გენიალური გაგება: იმპერია — ეს არის ინტეგრირებადი, მოქნილი ნაციონალიზმი. დამარცხებული ხდება პარტნიორი, თანაშემწე, და თანამემამულეც კი. მე ვლაპარაკობ „იმპერიულ კომუნიზმზე", ახალ რომზე ან „დიდ პრუსიაზე", იმპერიაზე რომელიც წარმოგვიდგება სახელმწიფოებრივი იდეის გამოხატულებად, უფრო სრულყოფილი ფუნქციური სტრუქტურით, იმპერიაზე, რომელთან შეერთების უფლება ყველას არ მიეცემა.

ამასთან ერთად არ არის გამორიცხული კლასიკური რუსული ნაციონალიზმის წარმოქმნის საშიშროება, რომელიც წარმოადგენს სხვა ხალხების ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ხერხს. თუკი საბჭოთა კავშირი შეეცდება თავს მოგვახვიოს რუსული ტიპის ევროპა, ეს მცდელობა ჩაიშლება უფრო სწრაფად, ვიდრე ჰიტლერული გერმანიის მცდელობა. პირიქით, თუ იგი შეეცდება გამოიყენოს იმპერიული ტიპის „საბჭოთა" ნაციონალიზმის ინტეგრირებადი ნაციონალიზმის პრინციპები, მას უფრო მეტი შანსი ექნება წარმატების მისაღწევად. „დიდი რუსეთისა" და „საბჭოთა იმპერიის" ცნებები ირეკლავენ ორ საწინააღმდეგო კონცეფციას. დამთრგუნველი ნაციონალიზმი შობს, აძლიერებს და ამწვავებს მეზობელ სახელმწიფოთა ნაციონალიზმს. ის თვითონ აძლიერებს თავის მოწინააღმდეგეებს, თავის ანტაგონისტებს. მის მიერ წარმოებული გენოციდის წარუმატებლობის შემთხვევაში ასეთი ნაციონალიზმი განწირულია მარცხისათვის, მასში ჩადებული შინაგანი წინააღმდეგობების გამო.

ხალხის აბსოლუტური უმრავლესობისათვის „ტერიტორიული" (დამთრგუნველი) ნაციონალიზმის „კონტინენტური", იმპერიული ნაციონალიზმის კონცეფციით შეცვლა შეუძლებელ გონებრივ ოპერაციას თუ არა, რთულ ამოცანას მაინც წარმოადგენს.

დამთრგუნველი ნაციონალიზმი მოგვაგონებს ფეხსახსრიანების ევოლუციურ არჩევანს. იგი მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული პროგრამით, მან თვითონ დაუდო ზღვარი თავის თავს. მისგან განსხვავებით ინტეგრირებადი ნაციონალიზმი, რომელშიც აისახება „იმპერიული კონცეფცია", წააგავს

ხერხემლიანებს. თეორიულად მისი ტერიტორიული გაფართოება შეიძლება უსაზღვრო იყოს, სულერთია რაში იქნება ეს გამოხატული, კონცეფციის მაღალ თუ იდეოლოგიის დაბალ დონეში, მაგრამ ხერხემლიანთა არჩევანის საპირისპიროდ ფეხსახსრიანების არჩევანს შეიძლება მოეძებნოს ანალოგია სხვა დარგებში: რელიგიიდან დაწყებული ერის წარმოქმნით დამთავრებული, პოლიტიკური თეორიების შემუშავების ჩათვლით. მაგალითად, რასობრივ თეორიაზე დაფუძნებული იუდეველთა რელიგია იზიარებს ფეხსახსრიანთა ბედს. დემოგრაფიული თვალსაზრისით, იგი მხოლოდ საკმაოდ შეზღუდულად გავრცელდა. სამაგიეროდ ენობრივი და რასობრივი კრიტერიუმებით განუსაზღვრელი ქრისტიანული და ისლამური რელიგიები საკმაოდ ფართოდ გავრცელდნენ მთელს მსოფლიოში.

რასობრივ-ეთნიკური ჩარჩოებით შეზღუდული ჰიტლერული გერმანიის ექსპანსია ფეხსახსრიანთა გზას დაადგა. იგი დასრულდა კუჭის საბედისწერო მოუნელებლობით – 200 მილიონი სლავის მონელების შეუძლებლობით. გუშინდელი „დერულედი"[2] და დღევანდელი „დებრე"[3], ასევე ისინი, რომლებიც ნატრულობენ სვასტიკიან ჩაფხუტს, მიეკუთვნებიან ფეხსახსრიანთა რიგებს. ისინი შეყუჟულნი არიან თავიანთი სასტიკი იდეოლოგიის ჯავშანში. ხოლო რაც შეეხება ევროპულ ნაციონალიზმს, ის არის ხერხემლიანთა განვითარების ანალოგია. ის არის თავისებური ღია სისტემა. იგი ხასიათდება მოქნილობით, ინტეგრაციის შესაძლებლობებით. მისი გაგებისათვის საჭიროა აზროვნების დონე, რაც მიუღწეველია „ჩვეულებრივ ნაციონალისტთა" აბსოლუტური უმრავლესობისათვის.

აქ ჩვენ ვუახლოვდებით მუდმივი ნეიტრალიზაციის მცდელობას, გერმანიის „ფინეთიზაციის" საკითხს.

ცხოვრება სასტიკია სუსტებთან მიმართებაში. იგივე შეიძლება ითქვას ისტორიის შესახებაც. დღევანდელი ევროპა (რომელსაც შუაზე ბრდღვნიან ვიწრო აზროვნების მქონე ნაციონალისტები: ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები და ა. შ.), წარმოადგენს პოტენციურ „ბრძოლის ველს". ამ მხრივ იგი ძალიან ჰგავს XVII საუკუნის შუა პერიოდის გერმანიას. რიშელიესა და მაზარინის მიერ მართვადი „მარიონეტული გერმანიების" მსგავსად, დღეს შეიძლება ვისაუბროთ იმ „ევროპის შესახებ, რომლითაც მანიპულირებს ვაშინგტონი".

ყველას, ვინც მონურად ეგუება ევროპაში ამერიკის ბატონობას (განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში, სადაც მას სრულიად დაუფარავი ხასიათი აქვს) და მზად არის დასავლეთ გერმანიის ფინეთიზაციაზე წასასვლელად, შეიძლება ისტორიის მაზოხისტები ვუწოდოთ. 1840 წელს, როდესაც გერმანიის საუკეთესო წარმომადგენლები იღწვოდნენ მეორე რაიხის გაერთიანებისათვის, ასეთი მაზოხისტები აღმერთებდნენ ვესტფალის ზავის კეთილისმყოფელთ (ხელშეკრულების დადების ორასწლიან გეგმას). მაგალითად, ვინმე კრისტოფ ჰაკი აღმერთებდა გერმანიის ისტორიულ არარაობას. კაცუნების ასეთი ტიპი, რომლებიც თანახმანი არიან იყიდონ სამყარო ისტორიული კატასტროფის ფასად, საკმაოდ ძველია.

დღეს საჭიროა მოიძებნოს საბჭოთა კავშირთან დაახლოების გზები. უნდა წარიმართოს მოლაპარაკებები ჯერ დაახლოების, შემდგომ გაერთიანების და, ბოლოს, მასთან შერწყმის შესახებ. აქ ლაპარაკია აბსოლუტურად ღია მოლაპარაკებებზე. ჩვენ არ გვჭირდება მშვიდობა კატასა და თაგვს შორის.

დასავლეთ გერმანიამ უნდა მიიღოს უფლება დასავლეთ ევროპის ფარგლებში თანასწორობასა და ღირსებაზე. ამისათვის შორს უნდა იჭნას მოსროლი „დამნაშავე ერისა“ და გერმანელთა პირველი ცოდვის ებრაულ-ამერიკული თეზისები. ეს ბოდვაა. გერმანელთა კაცთმოძულე სახე აქტიურად ინერგება საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიისა და იტალიის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. ეს პროპაგანდა მიზნად ისახავს გაყოს დასავლეთ ევროპა და ძველი ჭრილობების გაღიზიანებით ხელი შეუშალოს მის გაერთიანებას.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალები, ბუნდესვერი, დღეს დაყვანილია აშშ-ს კოლონიური ქვეითი ჯარის მდგომარეობამდე (სენეგალელებივით 1914-1918 წლების ომში).

დღევანდელმა გერმანიამ უნდა მოიკრიბოს გამბედაობა, რათა განდევნოს ბოროტი სულები და საკუთარი თავი დაარწმუნოს იმაში, რომ ნაციონალ-სოციალიზმი საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ყოველ შემთხვევაში ჰიტლერს იმაზე მეტი დანაშაული არ ჩაუდენია, ვიდრე მათ, ვინც ჰამბურგის დაბომბვისას ხელები სისხლით მოისვარა ან სრულიად დაანგრია დრეზდენი 1945 წელს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე 1500 ჭალზე, ბავშვსა და მოხუცზე, რომლებიც ამას წინათ უდანაშაულოდ ამოჟლიტეს ლიბანში. ყველამ უნდა აგოს პასუხი თავის ქმედებებზე. ბოლოსდაბოლოს დადგება დრო, როდესაც ეს ქმედებები გახდება არა პოლიტიკოსთა, არამედ ისტორიკოსთა შესწავლის საგანი. ეს დრო მოვიდა გერმანიისათვის. თითქმის ყველა, ვინც 1939-1945 წლებში გადარჩა, უკვე გარდაცვლილია. გერმანიის ახალმა თაობამ არ უნდა აიღოს თავის თავზე ჰიტლერის მემკვიდრეობა. გერმანიამ, ერთი მხრივ, სრულად არ უნდა მოიხსნას პასუხისმგებლობა ჩადენილ სამხედრო დანაშაულებებზე, ხოლო, მეორე მხრივ, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ხანდაზმულობის პრინციპის დაცვა მასთან მიმართებაში. გერმანია აღარ უნდა შეურიგდეს საერთო ბაზრის ან ნატოს გერის როლს. გერისა, რომლის დედობილ-მამობილნი „საშინელნი“ არიან.

დასავლეთ ევროპა უნდა მიისწრაფვოდეს შეიარაღებული და არა შეუიარაღებელი ნეიტრალიტეტისაკენ. მხოლოდ მაზოხისტები, გულუბრყვილო ადამიანები და საჭურისები შეიძლება იღწვოდნენ ასეთი ნეიტრალიტეტისთვის. ევროპამ უნდა გააძევოს თავის ტერიტორიაზე განლაგებული 400 000 ამერიკელი ჯარისკაცი. ომის რისკი ევროპაში ამერიკის სამხედრო ყოფნაში იმალება. სახელმწიფო დეპარტამენტს დამორჩილებულმა პენტაგონმა (რომელიც მფარველობს ისრაელის სახელმწიფოს) ევროპაში შეიძლება გაითამაშოს „ატომური პოკერი“, ხმელთაშუა ზღვაში ან მსოფლიოს სხვა ნაწილში სსრკ-ს ქმედებების საპასუხოდ.

თუ ატომური იარაღი იქნება ევროპელთა (რა თქმა უნდა, დასავლეთ გერმანელთა ჩათვლით) და არა ევროპაში განლაგებულ ამერიკელთა ხელში, მაშინ საბჭოთა კავშირი ატომური კონფლიქტის ბევრად უფრო დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდება. ევროპა — ეს არის მუდმივი ბრძოლის ველი, საცდელი პოლიგონი. აქ არის ის, რასაც შეიძლება დაუფიქრდე. ჩვენ შევიცანით როგორც რუსეთის 1941-1943 წლების, ასევე, საკუთარი, 1943-1945 წლების ომის საშინელებები. ევროპაში იციან რა არის ომი და მასზე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თანხმდებიან. ვაშინგტონში, იმ ქვეყნის დედაქალაქში, სადაც

უკვე ორი საუკუნეა არ გამოჩენილა მტრის ქვემეხიანი გემი, არ იციან რას ნიშნავს ომი.

ევროპამ, თავისი პოლიტიკის საფუძველში უნდა ჩადოს აღმოსავლეთთან კავშირის დამყარება, კავშირისა, რომელიც განპირობებულია გეოპოლიტიკური მოსაზრებებით. ევროპა, რომელიც განვრცობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, არ შეიძლება გაჩერდეს ლიუბეკ-სოფიას ხაზზე. ამასთან დიდი საბჭოეთიც, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართებოდა, არ შეიძლება შეჩერდეს ამ ხელოვნურად შექმნილ მიჯნასთან. ჩვენი შორეული მომავალი შეიძლება ამოვიკითხოთ გეოგრაფიულ რუკაზეც. გამავალი მიჯნა (ლიუბეკ-სოფიას საზღვარი), მანევრული ომის წარმოების შემთხვევაში, წარმოადგენს ძალიან მგრძნობიარე თავდაცვის ხაზს. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ასეთი საზღვრის არსებობა საკმაოდ სახიფათოა. მისი დაცვა ძალზე ძნელია. ზუსტად ამით აიხსნება ის, რომ საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კლასიკურ შეიარაღებას. ლიუბეკ-სოფიას „ფლანგი" არის ერთადერთი სუსტი წერტილი საბჭოეთის თავდაცვის შორეულ მისადგომებთან. სხვა დანარჩენი მხარეებიდან სსრკ კარგად არის დაცული თავისი კლიმატის წყალობით (ჩრდილოეთში) და დიდი მანძილით (სამხრეთში). კლასიკური სამხედრო სამეცნიერო ტერმინების გამოყენებით, დასავლეთ გერმანიაში განლაგებული ამერიკის არმია, შეიძლება შედარებულ იქნას კანადაში, მონრეალსა და ვინიპეგს შორის განლაგებულ საბჭოთა არმიასთან. ამ წმინდა ჰიპოთეტიკურ შემთხვევაში ამერიკის სახმელეთო ჯარის ნაწილი განლაგებულ იქნებოდა მინეაპოლისსა და ბოსტონს შორის.

სსრკ-ს „ბუნებრივი" სანაპიროები (საზღვრების საწინააღმდეგოდ) არის კანარის კუნძულები, აზორის კუნძულები, ირლანდია, ისლანდია. იგივე შეეხება დასავლეთ ევროპასაც.

„კულტურული" თუ „ეკონომიკურად განვითარებული" ერი წარმოუდგენელია „პოლიტიკურად ძლიერ" ერზე დაყრდნობის გარეშე. 1648 წლიდან 1870 წლამდე გერმანია განასაბიერებდა „კულტურული" ერის მაგალითს, განთქმული იყო თავისი ფაიფურითა და მუსიკოსებით. ამასთან, ერთად იგი წარმოადგენდა ბრძოლის ველს ნებისმიერისათვის. არმიის გარეშე არ არსებობს ერი, დღეს კი არ არსებობს არმია ატომური იარაღის გარეშე. თავისი კოლონიების დაკარგვის შემდეგ, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ინგლისი და საფრანგეთი, დღეს მხოლოდ დიდი ქვეყნების პაროდიებს წარმოადგენენ. ამიერიდან ერებს, რომელთა მოსახლეობა 200-300 მილიონზე ნაკლებია, არა აქვთ არანაირი საერთაშორისო წონა. ისტორია ასარჩევად გვთავაზობს ორ ვარიანტს:

1) საბჭოთა კავშირი იპყრობს დასავლეთ ევროპას ან მას მოუწევს ამის გაკეთება პრევენციული[4] ომის წესით.

2) ომი შეიძლება თავიდან იქნას აცილებული და ვაშინგტონის მოჯამაგირეობისაგან გათავისუფლებული დასავლეთ ევროპა მიდის აღმოსავლეთთან პოლიტიკურ კავშირზე.

თანამშრომლობა, პარტნიორობა, კავშირი და, ბოლოს, გაერთიანება. გერმანიას, რომელიც ამჟამად ცალი ფეხით დასავლეთში, ხოლო მეორეთი აღმოსავლეთში დგას ყველაზე უკეთესად შეუძლია გაუმკლავდეს შუამავლის როლს.

გერმანიაში არსებობს შემარცხენე ტიპის ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც წარმოიშვა დასავლეთ ბერლინში ჰეფენინგსა და ნარკოტიკებით

გაჯერებულ საღამოს წვეულებას შორის შესვენების დროს. მამა ბრანდტმა უკვე სახელი გაუტეხა თავის ქვეყანასა და თავის რასას. ახლა ჩვენ შეგვიძლია დავტკბეთ მისი შთამომავალ პეტერის რომანტიული ფანტაზიებით. ბუნდესვერის იუგოსლავური ტიპის „ეროვნულ სახალხო არმიად" გარდაქმნა — ეს წმინდა წყლის ირონია. გაერთიანების შემთხვევაშიც კი (მე ვუშვებ ასეთ ჰიპოთეზას) გერმანია გახდება ჯუჯა სახელმწიფო, აშშ-ს, სსრკ-სა და ჩინეთისაგან თავისი „დამოუკიდებლობით" მოყოყოჩე მიტერანის საფრანგეთის ან ტეტჩერის ინგლისის მსგავსად. საცოდავ ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც პეტერ ბრანდტს ეტანებიან, სურთ დაიბრუნონ რომანტიული გერმანიის დრო 1948 წლამდე, გერმანიისა ფიხტემდე. 1982 წელს არა მხოლოდ გერმანიაა „ბრძოლის ველი", არამედ მთელ ევროპა.

იდეოლოგიური, დაუნდობელი ომი „მარქსისტულ კომუნიზმსა" და „დემოკრატიას" შორის უმეტესობას აბრმავებს და ეს სიბრმავე მათ ხელს უშლის გეოპოლიტიკური რეალობის აღსაქმელად. იმისათვის, რომ ევროპა არ გადაიქცეს „ბრძოლის ველად", საჭიროა საბჭოთა შემოტევის შესაძლებლობის გადატანა ჰიბრალტარზე, დუბლინსა და კასაბლანკაზე. საჭიროა მოიძებნოს თანხმობა საბჭოთა კავშირთან, უკვე დროა დაინერგოს ეფექტური თანამშრომლობის საფუძვლები. გაჭიანურებული ბრძოლის ადგილი უნდა გახდეს აფრიკის ნაწილი, ჩრდილოეთ განედის 20 გრადუსსა და სამხრეთ განედის 20 გრადუსს შორის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ზონები ნაწილობრივ გაუკაცრიელდება, ეს არცთუ ისე ძლიერ აისახება კაცობრიობის მომავალზე.

ევროპის დანგრევის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ შეგნებულად უნდა წავიდეთ სსრკ-სთან მშიდრო თანამშრომლობაზე. თანამშრომლობაზე და არა თაღლითობაზე, რომელიც ჰიტლერმა შესთავაზა ფრანგებს 1940-1942 წლებში. დასავლეთ ევროპამ და სსრკ-მ უნდა შექმნან გეოგრაფიით ნაკარნახევი, ერთგვარი „ბედთა გაერთიანება", ქორწინება ანგარიშით, იძულებითი ქორწინება.

სსრკ-მ და დასვლეთ ევროპამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიმუშაონ მონროს დოქტრინის საპირწონე დოქტრინა. ჩვენი დოქტრინა-მონრო უნდა გახდეს დევიზი „...არცერთი ამერიკელი ჯარისკაცი ხმელთაშუა ზღვაზე". ევროპული პრობლემები უნდა გადაჭრან თვითონ ევროპელებმა. რუსები ისეთივე ევროპელები არიან, როგორც გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები და სხვა ევროპელი ხალხები.

ჩვენ უნდა ვაიძულოთ ამერიკელები დატოვონ ევროპა არა მხოლოდ გეოპოლიტიკური საბაბის გამო. მათი ყოფნა ევროპაში შეიძლება შევადაროთ კართაგენელების მიერ სიცილიის დაპყრობას რომის რესპუბლიკის გვერდით. ევროპაში დარჩენითა და ომის წარმოქმნის საშიშროების ზრდით, ამერიკელები ვერ გაუმკლავდებიან თავისი საზოგადოების კრიზისს, რომელიც მხოლოდ იწყება. ჩვენ შეიძლება გადაგვედოს მათგან. საზოგადოების ეს კრიზისი განპირობებული სამი სფეროს ნგრევით. ესენია:

1) ტექნიკურ-ეკონომიკური წყობა;
2) მრწამსზე, დემაგოგიაზე, „დემოკრატიაზე" აგებული პოლიტიკა;
3) შეშლილი კულტურა.

ტექნიკურ-ეკონომიკური წყობა არის მატერიალური მსოფლიოს ანარეკლი, სამეცნიერო, რაციონალიზმის, წინაწარშვრეტის სამყაროს. მეორე სფერო, პოლიტიკის სფეროა, იგი არ ექვემდებარება არანაირ პოლიტიკურ ანალიზს,

არანაირ რაციონალურ მიდგომას. აქ სჭარბობს დარწმუნების არგუმენტაცია (პირველ სფეროში სჭარბობს ლოგიკურ-ექსპერიმენტული არგუმენტაცია). რაც შეეხება კულტურას, ის დღეს უფრო ფსიქიატრიის დარგს შეიძლება მივაკუთვნოთ, უკიდურეს შემთხვევაში ასეა აშშ-ში. მხოლოდ ტოტალური სისტემა შესძლებს ამ სამი სფეროს წონასწორობაში მოყვანას.

პოლიტიკაში დროა დამკვიდრდეს რაციონალიზმის ცნება. ჩემს შემდგომ ნაშრომში „ევრო-საბჭოური იმპერია" მე ვუძღვნი მთელ თავს იმ საკითხს, თუ რას უნდა დაეფუძნოს პოლიტიკა, მეტაპოლიტიკა – ძალდატანებას თუ სიამოვნებას?

ჩრდილოეთ ამერიკამ თავისი საბოლოო არჩევანი ჰედონიზმის სასარგებლოდ გააკეთა და მთელი მისი პოლიტიკა მიმართულია „ტკბობის საშუალებებზე".

ასეთი არჩევანი კაცობრიობას ჩიხში მოაქცევს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვაიძულოთ კომუნისტები დაჭკვიანდნენ და ავუხსნათ მათ, თუ რაში მდგომარეობს „ქმედით საშუალებებზე", ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძალისმიერ საშუალებებზე მიმართული მეტაპოლიტიკა.

ჯერ კიდევ ჰობსმა დაამტკიცა, რომ თავისუფლება ემყარება ძალას, ჩვენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციების ეპოქაში ამას შეიძლება დაემატოს, რომ ძალა ემსახურება ცოდნას (კოსმოსური კვლევები, ფუნდამენტური კვლევები ფიზიკის დარგში), ცოდნა კი იძლევა ძალას.

თუ ჩვენ გვინდა შევქმნათ homo novus, მაშინ ჩვენ მოგვიწევს არჩევანის გაკეთება ძალასა და სიამოვნებას შორის. მარქსის ოცნება იყო ყველას მიეღო მოთხოვნილების მიხედვით. დღეს ეს ოცნება ადვილად განსახორციელებელია. სიუხვის მიღწევა – დაგეგმვისა და ნებისყოფის პრობლემაა. ამის გადაწყვეტისათვის საჭიროა საუკუნის მეოთხედი. ეს სიუხვე მიგვიყვანს ან დაღუპვისათვის განწირული (აშშ) ჰედონისტური ტიპის საზოგადოების გაჩენამდე, ან ჩვეულებრივი ადამიანის homo novus-ად გადაქცევამდე.

ჰაქსლიმ და ორუელმა „მშვენიერი ახალი სამყაროს" მხოლოდ უარყოფითი მხარე აღნიშნეს. დადებითი მხარე კი მათთვის უცნობი დარჩა.

გაიხსენეთ, ასევე, კესტლერის წინასწარმეტყველება: „თეზისი – გამარჯვებულები, ანტითეზისი – დამარცხებულები, სინთეზი – გამარჯვებულები და დამარცხებულები ხდებიან ახალი გიგანტური ევრაზიული საშშობლოს დარაზმული მოქალაქეები".

მე კი ასე შევცვლიდი მას: თეზისი – რასისტული ნაციონალ-სოციალიზმი, ანტითეზისი – მარქსისტული კომუნიზმი, სინთეზი – დიდევროპული ნაციონალ-ბოლშევიზმი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ელიტარული იმპერიული კომუნიზმი, რომელსაც უარყოფილი ჰყავს მარქსი, როგორც იდეოლოგი, ხოლო ჰიტლერი როგორც შეზღუდული, ახლომხედველი ნაციონალისტი.

ნაციონალ-სოციალიზმი იყო იმ ეფექტურობის ბრწყინვალე სკოლა, რომელიც ასე არ ჰყოფნის მარქსისტულ კომუნიზმს.

ჩვეულებრივ კომუნიზმს უნდა ჩაესახოს ბავშვი, რათა მან დაბადოს არაჩვეულებრივი ნაშიერი, ერთგვარი „ნიჭიერი ურჩხული", „ზეადამიანური კომუნიზმი".

უკვე 1941 წელს კესტლერმა იცოდა ვინ გახდებოდა ამ ბავშვის მამა.

# კარლ შმიტი _ მსოფლიო დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირება[1]

აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირება (რომელიც დღეს სრულიად აშკარაა) მოიცავს სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებს: ეკონომიკურ ინტერესებს, მმართველ ელიტათა თვისობრივ განსხვავებებსა და უმთავრესი ინტელექტუალური ღირებულებების შეუთავსებლობას. ყველა ეს წინააღმდეგობა იზრდება და აძლიერებს ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ, სოციოლოგიურ და სულიერ დაძაბულობათა ურთიერთდამოკიდებულება ვლინდებოდა კაცობრიობის ისტორიის ყველა უდიდეს ომში, თანამედროვე ანტაგონიზმის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ეს დაძაბულობა საყოველთაო გახდა და მოიცვა მთელი მსოფლიო. ამიტომ, დღეს, აუცილებელია შესაბამისად განვიხილოთ ის ისტორიული და გეოპოლიტიკური საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია ეს დაძაბული დაპირისპირება.

ჩვენ ვმსჯელობთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის წინააღმდეგობაზე. ამასთან ცხადია, რომ აქ საუბარი არ შეიძლება შეეხოს მხოლოდ გეოგრაფიულ განსხვავებას. ჩვენი კვლევის მსვლელობის დროს ზედმიწევნით განვიხილავთ თუ დაპირისპირებულობის რა სახეობებზეა აქ საუბარი და ვაჩვენებთ, რომ არსებობს დაძაბული წინააღმდეგობის ორი სხვადასხვა ტიპი: ისტორიულ-დიალექტიკური და სტატიკურ-პოლარული.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის წინააღმდეგობა არ არის პოლარული დაპირისპირება. დედამიწას აქვს ჩრდილო და სამხრეთ პოლუსები. ჩვენი პლანეტის პირობებში აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირება არ წარმოადგენს რაიმე ფიქსირებულსა თუ სტატიკურს. ეს არის მხოლოდ სადღეღამისო შუქის შემცირებასთან დაკავშირებული დინამიკური დამოკიდებულება. გეოგრაფიულად ამერიკა დასავლეთია ევროპისათვის, ამერიკისათვის დასავლეთს წარმოადგენს ჩინეთი და რუსეთი, ჩინეთთან და რუსეთთან მიმართებაში კი დასავლეთი ევროპაა. წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით მკვეთრი პოლუსები გამოკვეთილი არა გვაქვს და, მაშასადამე, მხოლოდ გეოგრაფიაზე დაყრდნობით შეუძლებელია გაიგო აღმოსავლთსა და დასავლეთს შორის რეალურად არსებული მსოფლიო მტრული დაძაბულობის საფუძველი და გაიაზრო მისი ძირითადი სტრუქტურა.

## 1

ჩვენ შეიძლება განვიხილოთ თანამედროვე აღმოსავლეთისა და თანამედროვე დასავლეთის ისტორიული, კულტურული და ზნეობრივი სპეციფიკა და ამგვარად გამოვყოთ ანტითეზათა მთელი წყება, რომელთაც უეჭველად აქვთ ანგარიშგასაწევი მნიშვნელობა. აქ მსურს გამოვიყენო გეოგრაფ ჯონ გოტმანის მიერ თავის ბრწყინვალე ნაშრომში „La politique des Etats leur geographie"[2], შემოტანილი ერთი ტერმინი: რეგიონული იკონოგრაფიის — სივრცის ხატაღმწერლობის (სივრცის იკონოგრაფიის) ცნება — iconographie regionale. მსოფლიო სურათის სხვადასხვაგვარობა და განსხვავებული რელიგიების, ტრადიციების, ისტორიული წარსულის, სოციალური მოდელების შედეგად

წარმოშობილი წარმოდგენები ქმნიან ავტონომიურ სივრცეებს. ამ გაგებით განსაზღვრული სივრცის ხატაღწერას მიეკუთვნება არა მხოლოდ სურათები და პლასტიკური ხელოვნების ნაწარმოებები, არამედ საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ყველა თვალსაჩინო ფორმები. ამასთან დაკავშირებით, ხელოვნების არსებით მნიშვნელობაზე მიუთითა ამას წინათ ლუის დიეს დელ კორალმა თავის წიგნში „ევროპის მოტაცება", რომელსაც შეიძლება ევროპის ხატაღმწერლობითი ენციკლოპედიაც კი ეწოდოს. ამა თუ იმ კულტურულ რეგიონში და, განსაკუთრებით, მმართველობის სტრუქტურისა და სახელმწიფო მოწყობის სფეროში ფორმათა და ცნებათა განსხვავება გამოიკვლია კარლოს ოლერომ. „სივრცის ხატაღმწერლობის" ცნებაში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ფორმის გვერდით ჩვენ შეგვიძლია ჩავრთოთ, აგრეთვე, ადამიანური ყოფის გამოვლინებათა ყველა სხვა ტიპიური ფორმაც, იმპლიკაციათა[3] დამახასიათებელი სისტემები, ალუზიები[4], გრძნობათა და ფიქრთა სიმბოლური ენა იმ სახით, რომლითაც ისინი ახასიათებენ განუმეორებელი კულტურის მქონე განსაზღვრულ ტერიტორიებს.

მასვე მიეკუთვნება წარსულის ხატებანი, მითები, საგები[5] და ლეგენდები, ისევე, როგორც ყველა სიმბოლო და ტაბუ, რომელიც ტოპოგრაფიულად ლოკალიზებულია ერთ განსაზღვრულ სივრცეში და მხოლოდ ამის გამო იძენს ისტორიულ მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით გოტმანი საუბრობს „იკონოგრაფიის ცირკულაციის" შესახებ ე. ი. ტერიტორიულ კულტურათა დინამიკურ ურთიერთგავლენაზე დროის მსვლელობაში. ამგვარად, პარეტოს „ელიტათა ცირკულაციის" ცნობილი თეორიის ადგილზე მოდის არანაკლებ მნიშვნელოვანი ხატაღმწერლობის ცირკულაციის თეორია.

ხატაღმწერლობის (იკონოგრაფიის), როგორც სიტყვისა და ცნების გამოყენება, ამ შემთხვევაში სრულიად მართებულად და საჭიროდ მიმაჩნია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს ტერმინი ყველაზე ზუსტად გვიხსნის აღმოსავლეთისა და დასავლეთის წინააღმდეგობის არსს. დამოკიდებულება ხატებასთან (icon) უფრო მეტად, ღრმა განზომილებაში გვიჩვენებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის არსებით თვისებებს:

აღმოსავლეთი ტრადიციულად გამოდის, როგორც მხედველობითი გამოსახულებების, სურათ-ხატების მოწინააღმდეგე, დასავლეთი კი პირიქით — გვევლინება, როგორც ხატწერისა და უფრო ზოგადად, ფერწერის თაყვანისცემის ბურჯი.

როცა საუბარი მიმდინარეობს ხატმებრძოლეობის ან ღმერთის გამოსახულების აკრძალვის შესახებ, განათლებული ევროპელი იხსენებს მოვლენებს ბიზანტიის ისტორიიდან — მეფე ლეონის (717-741)[6] დროინდელი ხატმებრძოლეობის მწვალებლობის ირგვლივ ბრძოლასა და კარლოს დიდის მიერ ხატწერის აღიარებას, გვახსენდება, აგრეთვე, ძველ აღქმასა და ისლამში ღმერთის გამოსახვის აკრძალვა. ზოგიერთები ისე შორს წავიდნენ, რომ აქ აღმოაჩინეს თავდაპირველი წინააღმდეგობა სიტყვიერ და მხედველობით გამოსახულებებს შორის, რომელნიც მათ, თავის მხრივ, აჰყავთ სმენასა და მხედველობას შორის უფრო საერთო წინააღმდეგობამდე, ამასთან სიტყვა და სმენა აშკარად იგივდება აღმოსავლეთთან, გამოსახულება და ხედვა — დასავლეთთან.

ხატაღმწერლობის, როგორც ტერმინის გამოყენებამ (ზემოთმოყვანილი

ყოვლისმომცველი მნიშვნელობით) უნდა დაგვიცვას მსგავსი გამარტივებისაგან. სინამდვილეში არ არსებობს ისეთი გეოგრაფიული არე, სადაც ადგილი არა აქვს რეალობის ვიზუალურ აღქმას. გამოსახულება, ხატი და ხატაღმწერლობა ყველგან ფიგურირებს. მხოლოდ ამიტომ შეიძლება იარსებოს ვიზუალური გამოსახულების მნიშვნელობის უარმყოფელმა საწინააღმდეგო ტენდენციამ ანუ ხატმებრძოლეობამ ყველაზე უფრო ფართო გაგებით. ამასთან, ხატმებრძოლეობა არ იფარგლება მხოლოდ ბიზანტიითა და ისლამით. დასავლეთსაც ახასიათებს ხატმებრძოლური სულის მრავალრიცხოვანი და საკმაოდ აგრესიული ფორმები. უიკლიფიანები და ჰუსისტები, სექტანტი ბაპტისტები და პურიტანები, რელიგიური მოდერნისტები და უხეში რაციონალისტები — ყველა ეს ხატმბრძოლი მოძრაობა წარმოიშვა და განვითარდა სწორედ დასავლეთში. ამ კონფლიქტმა, მსოფლიო ისტორიის ამ მთავარმა დავამ, მსოფლიო მასშტაბს მიაღწია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და ახალი სამყაროს კოლონიზაციის ეპოქაში და გარეგნულად იგი გამოვლინდა ორი კონფესიის — რომის კათოლიკობისა და ჩრდილოეთის პროტესტანტიზმის, იეზუიტებისა და კალვინისტების ბრძოლის ფორმით. შევეცადოთ განვიხილოთ ამ კონფლიქტის იკონოგრაფიული ასპექტი და ღრმად შევიცნოთ მისი აზრობრივი მნიშვნელობა.

რეკონკისტას[7] მნიშვნელობა გაიაზრებოდა იბერიის ნახევარკუნძულზე თავისუფალი სივრცის მოპოვებაში, რათა თავისუფლად ეცათ თაყვანი წმიდა ღვთისმშობლის ხატებისადმი. ერთხელ მე ვწერდი, რომ ახალი სამყაროს ესპანელი მეზღვაურები და კონკისტადორები[8] მათ მიერ აღსრულებული ისტორიული მოვლენების სიმბოლოს წმიდა ღვთისმშობლის გამოსახულების ყველგან აღმართვაში ხედავდნენ. ზოგიერთმა მკითხველმა ეს აზრი მცდარად გაიგო. ერთი კათოლიკე ავტორი ამის შესახებ წერდა კიდეც: „**შმიტი მსჯელობს კონკისტადორის ყველანაირ ქრისტიანულ აქსესუარზე, რომლებსაც მკითხველთა მხოლოდ და მხოლოდ დაბნევა შეუძლიათ**". ჩემთვის ქალწული მარიამის ხატი — „ყველანაირი ქრისტიანული აქსესუარი" არაა. უფრო მეტიც მისი ხატის თაყვანისცემას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ მოყვანილ მსჯელობებს ხატის, მხედველობით აღქმასა და დასავლური ტრადიციის არსს შორის კავშირის შესახებ.

გავბედავ იმის მტკიცებას, რომ XVI-XVII საუკუნეებში ევროპის ყველა რელიგიური ომი, გერმანულ მიწებზე ოცდაათწლიანი ომის ჩათვლით, სინამდვილეში იყო ბრძოლა ღვთისმშობლის ხატის შაუასაუკუნოვანი კათოლიკური თაყვანისცემის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ამ კონტექსტში ინგლისელი პურიტანების ხატმებრძოლეობა უაღრესად აღმოსავლურ მოვლენად, ხოლო ბავარიელი, ესპანელი და პოლონელი კათოლიკეების ხატებისადმი თაყვანისცემა მათი სულის დასავლური ბუნების გამოვლენად?

ხატმებრძოლეობის მწვალებლობის ირგვლივ ატეხილ ბიზანტიურ დავებში, საღვთისმეტყველო დონეზე, სამებრიობის ქრისტიანულ დოგმატსაც კი ეხებოდნენ. სულიერი პრობლემა გამომდინარეობდა ღვთაების ერთობისა და სამებრიობის იკონოგრაფიული შეთავსების სირთულიდან. მაგრამ მცდარი

იქნებოდა გაგვეიგივებინა სამებრიობის დოგმატი მხოლოდ დასავლეთთან, ხოლო აბსტრაქტული მონოთეიზმი – აღმოსავლეთთან. რა თქმა უნდა, ისტორიის გარკვეულ მომენტებში ასეთი თანხვედრა, თითქმის, სრული იყო. ფრანკმა ბერებმა დასავლურ ქრისტიანულ მრწამსს (სარწმუნოების სიმბოლოს) დაუმატეს ფორმულა[9], რომლის თანახმად სულიწმიდა გადმოდის არა მხოლოდ მამისაგან, არამედ ძისგანაც და Filioque-თი ბერძენი პატრიარქების აღშფოთებამ გამოიწვია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების დიდი განხეთქილება[10]. აქედან გამომდინარე შეიძლება ჩაითვალოს, რომ Filioque იყო დასავლეთის ქმედება აღმოსავლეთის წინააღმდეგ, მაგრამ, ეს თვალსაზრისი არ მტიცდება ერთი მხრივ ასურელი ეკლესიის მამების მიერ სამებისა და ღვთისმშობლის შესახებ განსაკუთრებული სწავლებით, მეორე მხრივ კი დასავლეთელი არიოზელების შეხედულებებით, რომლებიც საერთოდ უარყოფდნენ ქრისტეს ღვთიურ ბუნებას. ამგვარად, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შთამბეჭდავი ხატაღმწერლობითი განსხვავება სამებრიობის საკითხის ირგვლივ არც თუ ისე უპირობო და აბსოლუტური ხდება.

ტრადიციული ხატაღმწერლობა ცვალებადია, მასში იჭრება ყველა ახალი ფაქტორი, მაგალითად, ინდუსტრიული ტექნიკა. ასევე სრულიად შესაძლებელია, რომ თანამედროვე ფსიქოანალიზი განვიხილოთ, როგორც ხატმებრძოლობის გამოვლინება. ესპანელმა ფსიქოანალიტიკოსმა, ხუან ხოსე დე ლოპეს იბორმა, პრობლემისადმი იკონოგრაფიული მიდგომიდან გამომდინარე, ჩაატარა ამ სფეროს ძალზე საინტერესო გამოკვლევა. გარდა ამისა პრაქტიკულად მთელი თანამედროვე ფერწერა (როგორც აბსტრაქტული, ასევე საგნობრიობის შემონახული ნარჩენები) თავის თავში ატარებს ვიზუალური გამოსახულების სახების, ხატის ტრადიციული გაგების ნგრევას. სამივე მოვლენა – ტექნიკა, ფსიქოანალიზი და თანამედროვე ფერწერა – დაკავშირებულია ერთმანეთთან. თუ დავიწყებთ ასეთი ურთიერთკავშირის გამოკვლევას და შევუდარებთ მას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ წინააღმდეგობას, შეიძლება მივიდეთ გამაოგნებელ, სენსაციურ დასკვნებამდე. ერთადერთ წინააღმდეგობას ამ გზაზე წარმოადგენს ხატმებრძოლობასთან აღმოსავლეთის და ხატების თაყვანისმცემლობასთან – დასავლეთის ზუსტი გაიგივების შეუძლებლობა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლიო დუალიზმის სტრუქტურის საფუძვლიანი შეცნობისათვის ჩვენ მოგვიწევს დავეყრდნოთ სხვა კრიტერიუმებს.

## 2

აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლიო დაპირისპირების ისტორია მთელი თავისი სისრულით დაიყვანება შემდეგი ელემენტების – მიწისა და წყლის, ხმელეთისა და ზღვის დუალიზმზე.

ის, რასაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ აღმოსავლეთს, წარმოადგენს მყარი ხმელეთის ერთ მთლიან მასას. რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი – ეს ხმელეთის უზარმაზარი ნაჭერია – „შუამდებარე მიწაა"[11], როგორც მას უწოდა დიდმა ინგლისელმა გეოგრაფმა სერ ჰერლფორდ მაკინდერმა. ის, რასაც ჩვენ მოვიხსენიებთ დასავლეთად, წარმოადგენს ერთიან მსოფლიო ოკეანეს, ნახევარსფეროს, რომელშიც მდებარეობს ატლანტისა და წყნარი ოკეანეები. საზღვაო

და კონტინენტური სამყაროს წინააღმდეგობა — აი, ეს არის ის გლობალური ჰეშმარიტება, რომელიც საფუძვლად უდევს მსოფლიო დაძაბულობის მუდმივი წარმომშობისა და ისტორიის მთელი პროცესის მასტიმულირებელი ცივილიზაციური დუალიზმის ახსნას.

მსოფლიო ისტორიის კულმინაციურ მომენტებში მეომარ სახელმწიფოთა შეჯახებები გარდაიქმნება ზღვისა და ხმელეთის სტიქიებს შორის ომებად. ეს შემჩნეული აქვთ ჯერ კიდევ სპარტისა და ათენის, რომისა და კართაგენის ომების მემატიანეებს. თუმცა განსაზღვრულ დრომდე ყველა იფარგლებოდა ხმელთაშუა ზღვის რაიონით. ადამიანები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ უზარმაზარ სივრცეებს, დიდ ოკეანეებს, მსოფლიო კონფლიქტებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთმანეთისაგან კონცეპტუალურად უნდა განვასხვაოთ ზღვისა და ოკეანის სტიქიები. რა თქმა უნდა, ნაწილობრივი პარალელები არსებობენ და ამ მხრივ ხშირად იყენებენ ცნობილ პასაჟს დემოსთენეს პირველი ფილიპიკიდან (38.41)[12]. მე თვითონ მთლიანად არ ვიზიარებ პლატონის გესლიან გამონათქვამს ბერძნების შესახებ: „ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ისინი სხედან, როგორც ბაყაყები“.

მიუხედავად ამისა, შიდა მატერიკული ზღვის ცივილიზაციასა და ოკეანის ცივილიზაციას შორის არსებობს საკმაო სხვაობა. ჩვენი პერიოდის ისტორიისათვის დამახასიათებელ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ამგვარ დაძაბულობას, კონფლიქტის პრობლემის მსგავს მსოფლიო წარმოჩენას წარსულში ანალოგი არ გააჩნია. საბოლოოდ, ხმელეთისა და ზღვის წინააღმდეგობა საბოლოო მსოფლიო-ისტორიულ მოცულობას მიაღწევს მხოლოდ მაშინ, როდესაც კაცობრიობა მთელ მსოფლიო მთლიანად აითვისებს.

ხმელეთისა და ზღვის ბრძოლის მსოფლიო ხასიათი პირველად გამოვლინდა ინგლისის ომების დროს რევოლუციური საფრანგეთისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ. თუმცა მაშინ დაყოფა ხმელეთად და ზღვად, აღმოსავლეთად და დასავლეთად არ იყო ისეთი მკვეთრი, როგორც დღეს. ნაპოლეონი ხომ, ბოლოსდაბოლოს, გაანადგურა არა ინგლისმა, არამედ კონტინენტურმა რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ. მიწის „ნომოსი“[13] მაშინ ჯერ კიდევ ხმელეთისა და ზღვის ძალებს შორის თანასწორობაში მდგომარეობდა. მხოლოდ ზღვას, თავისი ძალებით, არ შეეძლო მიეღწია საბოლოო გამარჯვებისათვის. 1812 წელს, როდესაც შეტაკებებმა აპოგეას მიაღწია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა არა ნაპოლეონს, არამედ ინგლისს. ამ დროს მოხდა ამერიკისა და რუსეთის დაახლოება, ამასთან, ეს ორი ახალგაზრდა სახელმწიფო ცდილობდა დისტანცია დაეკავებინა, როგორც ნაპოლეონთან, ასევე ინგლისთან. წინააღმდეგობა ხმელეთსა და ზღვას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სტიქიათა წმინდა წინააღმდეგობად, რაც მოხდა მხოლოდ 1949 წელს, ჩრდილო ატლანტიკური კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ.

მაგრამ უკვე ნაპოლეონის დროს, საკმაოდ ნათლად გამოვლინდა ცივილიზაციური სტიქიების განსხვავების წინასწარგანსაზღვრული პოლიტიკური კონფლიქტის კანონზომიერებები, იმ კონფლიქტისა, სადაც არჩევანი უნდა გაკეთებულიყო ხმელეთსა და ზღვას შორის. 1812 წლის ივლისში, როდესაც ნაპოლეონი მოსკოვს უახლოვდებოდა, გოეთე ჰკმნიდა პანეგირიკს, ვითომდა დედოფალ მარი ლუიზასადმი. სინამდვილეში კი იგი მის მეუღლეს, ფრანგ

იმპერატორს ეძღვნებოდა:

„იქ სადაც ათასობით ადამიანი დაბნეულია, ყველაფერს წყვეტს ერთი ადამიანი (ნაპოლეონი)“

გერმანელ პოეტს მზედველობაში აქვს ხმელეთისა და ზღვის წინააღმდეგობის გლობალური ასპექტი და აგრძელებს:

„იქ, სადაც თავს იყრის საუკუნეთა ბინდები,
იგი (ნაპოლეონი) მათ ფანტავს სულიერი მზერის ნათებით,
არარაობა სულაც გამქრალა,
და აქ მხოლოდ ხმელეთსა და ზღვას აქვს მნიშვნელობა“.

(„Worueber trueb Jahrunderte gesonen
Er uebersieht·s im hellsten Geisteslicht
Das Kleinliche ist alles weggeronnen
Nur Meer und Erde haben hier Gewicht“)

გოეთე ნაპოლეონის მხარეს იყო. მისთვის ეს იყო ხმელეთის, მიწის მხარე. მაგრამ ნაპოლეონი იგივდებოდა დასავლეთთანაც. დასავლეთი მაშინ ჯერ ისევ ხმელეთი იყო და არა ზღვა. გერმანელ პოეტს გულწრფელად სჯეროდა, რომ დასავლეთი სახმელეთო, კონტინენტური ძალის განმასახიერებლად დარჩებოდა, ხოლო ნაპოლეონი, როგორც ახალი ალექსანდრე, შეებრძოლებოდა ზღვის ძალებს მიმდებარე ტერიტორიებისათვის და მაშინ „ხმელეთი მოიპოვებდა თავის უფლებებს“.

გოეთემ, დასავლეთის ტიპიურმა წარმომადგენელმა, 1812 წლის ზაფხულში აირჩია ხმელეთი, მიწა – ზღვის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, თავისი მსოფლმხედველობის შესაბამისად, გოეთე მიწისა და ზღვის წინააღმდეგობას განიხილავდა როგორც სტატიკურ, პოლარულ დაძაბულობას და არა, როგორც დიალექტიკურ ცვალებად ისტორიულ მომენტს. ამ შემთხვევაში აუცილებლია გავითვალისწინოთ სტატიის დასაწყისში აღნიშნული განსხვავება სტატიკურ პოლარობასა და ისტორიულ დიალექტიკას შორის.

## 3

გოეთე აზროვნებდა სტატიკური პოლარობის ტერმინების მიხედვით. თუმცა პოლარული დაძაბულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ისტორიულ-დიალექტიკური დაძაბულობისაგან. პოლარული დაძაბულობის სტატიკა გულისხმობს სინქრონიზმს, მუდმივობას, როდესაც მოპირდაპირე პოლუსების ურთიერთქმედება მდგრად, ფიქსირებულ სტრუქტურას ქმნის და კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ყველა გარეშე ცვლილებების მიუხედავად არსებითად ერთგვაროვანი რჩება. ეს თავისებური მარადიული ბრუნვაა.

კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა კი პირიქით, მიჰყვება კონკრეტულად განსაზღვრულ კითხვასა და მასზე გაცემულ პასუხს შორის ლოგიკური და ისტორიული ურთიერთკავშირის ძაფს. კითხვა და პასუხი იძლევა კონკრეტულ ისტორიულ დიალექტიკას და განსაზღვრავს ისტორიული ვითარებებისა და ეპოქების სტრუქტურას. არაა აუცილებელი ასეთი დიალექტიკა გაიგივდეს

ჰეგელის ცნებების ლოგიკასა ან ფატალურად მოცემულ მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობის კანონზომიერებასთან.

აქ გვაინტერესებს ჩვენს სამყაროში არსებული მსოფლიო დუალიზმის კონკრეტულად არსებული სტრუქტურის გამოკვლევა (და არა ისტორიული პროცესის საერთო თეორია). ისტორიული აზროვნება ეს არის ერთადერთი, ერთჯერადი ისტორიული ვითარებებით და, შედეგად, ერთჯერადი ჭეშმარიტებებით აზროვნება. ყველა ისტორიული პარალელი კი ემსახურება ამ ერთადერთობის მხოლოდ უფრო უკეთ შეცნობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ცხოვრებაში უბრალოდ რეალურად არარსებული აბსტრაქტული სისტემის მკვდარ ფუნქციურ ელემენტებად დარჩებიან. აბსურდულია და არარეალური შევიქმნათ ასეთი სახის წარმოდგენები: რა მოხდებოდა, თუ კი მოვლენები სხვაგვარად წარიმართებოდა, ვიდრე ეს მოხდა რეალურ ისტორიაში? მაგალითად, რა იქნებოდა პუატიესთან ბრძოლაში სარკინოზებს რომ გაემა-რჯვათ? ან, ვთქვათ, ნაპოლეონი რომ არ დამარცხებულიყო ვატერლოოში? ან, 1941-42 წლების ზამთარი ასე ცივი რომ არ გამომდგარიყო? — ასეთი გულუბრყვილო გამოთქმები (რომლებიც ხშირად შეიძლება შეგვხვდეს ცნობილი ისტორიკოსების შემოქმედებაშიც კი) აბსურდულია უკვე იმიტომ, რომ აქ მხედველობიდან საერთოდ გამორჩენილია ნებისმიერი ისტორიული მოვლენის ერთადერთობა და განუმეორებლობა. პოლარული დაძაბულობის სტრუქტურა ყოველთვის აქტუალურია, მუდმივია, როგორც მარადიული ბრუნვა.

ისტორიული ჭეშმარიტება კი, პირიქით, ჭეშმარიტია მხოლოდ ერთხელ. იგი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტება ერთზე მეტად, რადგანაც სწორედ მის ერთადერთობაში მდგომარეობს მისი ისტორიულობა. ვალტერ ვარნახის აზრით: „ისტორიული ჭეშმარიტების ერთჯერადობა არის ონტოლოგიის ერთ-ერთი საიდუმლოება". კითხვა-პასუხის დიალექტიკური სტრუქტურა, რომლის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ ისტორიის არსის ახსნისას, არავითარ შემთხვევაში არ ასუსტებს და .არ აუფასურებს ისტორიული მოვლენის ერთჯერადობის ხარისხს. პირიქით, ის მხოლოდ აძლიერებს მას, ვინაიდან აქ საუბარია განუმეორებელ კონკრეტულ პასუხზე, რომელიც გაცემულია ასევე განუმეორებელ კონკრეტულ კითხვაზე.

ხმელეთსა და ზღვას შორის თანამედროვე მსოფლიო დუალიზმში გამოხატული წინააღმდეგობა, რომ ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ სტატიკურად პოლარული ე. ი. ბუნებრივი წონასწორობისა და მარადიული ბრუნვის ჯაჭვში ჩართული, მაშინ ეს იქნებოდა მხოლოდ ფრაგმენტი წმინდა ბუნებრივი პროცესისა. სტიქიები ბუნებაში იყოფიან, ერთდებიან, შეერევიან ერთმანეთს და იშლებიან. ისინი ცვლიან და გადადიან ერთმანეთში მეტამორფოზათა უწყვეტ წრებრუნვაში, რომელიც ყოველთვის წარმოაჩენს მსგავსი პოლარული დაძაბულობის არსის სულ ახალ სახეებსა და ფორმებს. თუ საქმე დაიყვანება ასეთ ბუნებრივ, სტატიკურ დუალიზმამდე, მაშინ აღმოსავლეთისა და დასავლეთის არსებული წინააღმდეგობა იქნება, როგორც ელიტათა მუდმივი ცირკულაციის გამოხატვის მხოლოდ განსაკუთრებული ფორმა, ხატაღმწერლობის პრობლემა.

მარადიულმა ბრუნვამ და მარადიულმა გარდაქმნამ არ იცის ისტორიული მომენტის სპეციფიური სიმართლე, განუმეორებელი ვითარება. სტატიკურ-

პოლარული წინააღმდეგობა გამორიცხავს ისტორიის განმეორებადობას. კონკრეტულ ვითარებაში კი საქმე სხვაგვარადაა. განსაზღვრულ ეპოქებში ჩნდება ძლიერი, ქმედუნარიანი და ყოვლისშემძლე ხალხები და ჯგუფები, რომლებიც იპყრობენ და იყოფენ დედამიწას მეგობრული მოლაპარაკებებით ან ომებით, ბატონობენ თავიანთ ტერიტორიაზე, მწყემსავენ ჯოგს და ა. შ. აქედან წარმოიშობა დედამიწის ნომოსი. ის შეზღუდულია თავისი უნიკალური აქ და ახლათი, ხოლო დაძაბულობა ელემენტებს შორის, რომლებზედაც ჩვენ ვმსჯელობთ, ხმელეთსა და ზღვას შორის წარმოშობს მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ ობიექტურ კონტექსტს, რომელშიც ყალიბდება მოცემული ნომოსი.

თუ მიწასა და ზღვას განვიხილავთ, როგორც მხოლოდ ბუნების ელემენტებს, მაშინ ცხადია, რომ მათ არ შეუძლიათ მტრული წინააღმდეგობის წარმოშობა, რომელსაც ექნება წმინდა ისტორიული მოვლენის არსი. ზღვისა და ხმელეთის მცხოვრებნი თავისი ბუნებით არ შეიძლება იყვნენ აბსოლუტური მტრები. ხდება ხოლმე, რომ ხმელეთის ცხოველები ნთქავენ ზღვის ცხოველებს, მაგრამ ამ შემთხვევაში უმეცრებაა რაიმე მტრობაზე ლაპარაკი. თვით თევზები განუწყვეტლივ ჭამენ ერთმანეთს, განსაკუთრებით დიდები პატარებს. არც ხმელეთის მცხოვრებნი ექცევიან ერთმანეთს უკეთ. ამიტომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არსებობს ხმელეთისა და ზღვის ბუნებითი მტრობა. უფრო მეტიც, წმინდა ბუნებრივ მდგომარეობაში ეს ორი სტიქია ერთმანეთის გვერდით არსებობს სრულიად დამოუკიდებლად და გულგრილად, თანაც იმგვარად, რომ ისეთ სპეციფიურ და ინტენსიურ ურთიერთობაზე, როგორიცაა მტრობა, ლაპარაკიც კი სრული უმეცრებაა. ყოველი ცოცხალი არსება ცხოვრობს თავის სტიქიაში, თავის გარემოში. დათვი თავისი ბუნებით არ მტრობს ვეშაპს, ხოლო ვეშაპი არ უცხადებს ომს დათვს. თვით ზღვისა და ხმელეთის მტაცებლებმაც კი კარგად იციან თავიანთი საცხოვრებლის საზღვრები და მიჯნები. დათვი არ არღვევს ლომის ან ვეფხვის სამფლობელოებს, ყველაზე გაბედულმა მხეცებმაც კი იციან თავიანთი ადგილი და ცდილობენ თავი აარიდონ უსიამოვნო შეჯახებებს. ვისაც ბუნებითი მტრობის მაგალითად კატებისა და ძაღლების დამოკიდებულება მოჰყავს, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ბუნებითი მტრობა მკვეთრად განსხვავდება ადამიანური მტრობისაგან. როცა ძაღლი უყეფს კატას, ხოლო კატა უჩჰავის ძაღლს, ამ კონფლიქტს სრულიად სხვაგვარი აზრი აქვს, ვიდრე ადამიანთა მტრობაა. ყველაზე მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები, ცხოველებისაგან განსხვავებით, უკან არ იხევენ და უარყოფენ თავიანთი მოწინააღმდეგეების ყველაზე ადამიანურ თვისებებსაც კი. ცხოველებში კი ასე არაა — ძაღლის ყოფა, სულიერად და მორალურად, კითხვის ქვეშ არ აყენებს კატის ყოფას და პირიქით.

თუმცა ჭკუის სასწავლებელია, რომ სწორედ იგავები ნადირთა ცხოვრებიდან გვიხატავენ განსაკუთრებით მკვეთრად სპეციფიურ ადამიანურ პოლიტიკურ ვითარებასა და ურთიერთობებს. საერთოდ, ფილოსოფიური გაგებით, უნდა ითქვას, რომ ცხოველთა შესახებ არაკები თავისთავად საინტერესოა. ცხოველთა სამყაროში წმინდა ადამიანური, პოლიტიკური სიტუაციებით ჩვენ მათ განვამითოლოგიურებთ, ცხადად წარმოვაჩენთ, ვაცლით იდეოლოგიურ და რიტორიკულ საფუძველს. სწორედ იმის გამო, რომ ცხო-

ველთა შორის ურთიერთობას სრულიად სხვაგვარი აზრი აქვს, ვიდრე ადამიანთა ურთიერთობას, ასეთი ალეგორიული ხერხით (სწორხაზოვანი და ცალსახა ანალიზიდან შეგნებული გადახვევით, როდესაც ადამიანები გამოდიან როგორც ცხოველები და ცხოველები) ჩვენ შეგვიძლია წარმოვაჩინოთ მანამდე დაფარული აზრი. ნადირად გარდაქმნა აშორებს ადამიანს ადამიანურისაგან, მაგრამ ასეთი დაშორებით ადამიანური მხოლოდ უფრო მკვეთრი და რელიეფური ხდება. ამაზეა დაფუძნებული ცხოველების იგავ-არაკთა დედააზრი (რაზეც ჩვენ აქ მეტად აღარ შევჩერდებით).

ხმელეთი-ზღვის დუალიზმის კაცობრიობაზე გადატანით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ საუბარი უნდა იყოს საზღვაო კონფლიქტზე — ზღვის ადამიანებს შორის და სახმელეთო კონფლიქტები — ხმელეთის ადამიანებს შორის. სინამდვილეში, საქმე სრულიად სხვაგვარადაა, იმ მომენტიდან დაწყებული, როცა ისტორიული მსოფლიო დაძაბულობა აღწევს განსაზღვრულ კრიტიკულ დონეს. ცხოველებისაგან განსხვავებით ადამიანებს (მხოლოდ და მხოლოდ ადამიანებს) შეუძლიათ აწარმოონ ომი ხმელეთისა და ზღვის ხალხებს შორის. როდესაც მტრობა აღწევს თავის უმაღლეს წერტილს, საომარი მოქმედებები მოიცავენ ყველა შესაძლო არეს და ომი ორივე მხრიდან იშლება როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე. ორივე მხარე იძულებულია მიჰყვეს მოწინააღმდეგეს მტრული სტიქიის სიღრმეში. როდესაც ხდება მესამე, ჰაერის სტიქიის ათვისება, კონფლიქტი ვრცელდება მასზეც, ხოლო ომი გადადის საჰაერო ომში. მაგრამ კონფლიქტის საწყისი სუბიექტები თავიანთ თვისებებს არ კარგავენ, ამიტომ მე ძალიან ჭკვიანურად მიმაჩნია საუბარი სწორედ ხმელეთისა და ზღვის ელემენტის წინააღმდეგობაზე. როდესაც მსოფლიო-ისტორიული დაპირისპირება პიკს უახლოვდება, ორივე მხარე ძაბავს თავის ყველა მატერიალურ და სულიერ ძალას. ამ შემთხვევაში ბრძოლა ვრცელდება მეომარი მხარეების ყველა მიმდებარე სივრცეზე. ხმელეთისა და ზღვის სტიქიურ-ბუნებითი განსხვავება ამ შემთხვევაში გარდაიქმნება ამ ელემენტთა შორის ნამდვილ ომში.

ადამიანებს შორის მტრობა განსაკუთრებული დაძაბულობით ხასიათდება, რაც მრავალჯერ აღემატება ბუნების სამეფოსათვის დამახსიათებელი მტრობის დაძაბულობას. ადამიანში ბუნების ყველა ასპექტი იძენს ტრანსცენდენტურ განზომილებას. ამ დამატებით განზომილებას შეიძლება, აგრეთვე, ვუწოდოთ „სულიერი“ და გავიხსენოთ რემბო, რომელმაც თქვა: „Le combat est aussi brutal que la bataille des hommes“[14]. როგორიც არ უნდა იყოს, ადამიანთა შორის მტრობამ შეიძლება მიაღწიოს დაუჯერებელ ზომას. მტრობის ეს უმაღლესი განზომილება ცხადად ჩანს სამოქალაქო ომებში, როდესაც მოწინააღმდეგე მორალურად, იურიდიულად და იდეოლოგიურად იმდენად კრიმინალიზდება, რომ ფაქტიურად, ყოველგვარ ადამიანურ კანონზე მაღლა აყენებს თავს. ამის შესახებ გვამცნობს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი, რაღაც უაღრესად ზებუნებრივი ელემენტი, ტრანსცენდენტური თავის ბუნებრივ განზომილებასთან მიმართებაში. ეს ელემენტი შობს განმაცვიფრებელ დაძაბულობას და გარადაქმნის ბუნებით პოლარობას კონკრეტულ ისტორიულ დიალექტიკაში.

სიტყვა „დიალექტიკა“ აქ გამოხატავს იმ განსაკუთრებულ თვისებას (ადამიანისათვის დამახასიათებელს), რომელიც კარდინალურად განსხვავდება

პოლარობის ყველა სხვა ბუნებრივი ფორმისაგან. სიტყვა „დიალექტიკა" მიუთითებს „კითხვა-პასუხის" სტრუქტურაზე, რომელსაც მხოლოდ ის შეუძლია, რომ შესაბამისად აღწეროს ისტორიული ვითარება და ისტორიული მოვლენა. ისტორიული ვითარება შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ, როგორც ადამიანის გამოწვევა და მისი პასუხი ამ გამოწვევაზე. ყოველი ისტორიული ქმედება არის ადამიანის პასუხი ისტორიის მიერ დასმულ კითხვაზე. ყოველი ადამიანური სიტყვა — ეს პასუხია. ყოველი პასუხი აზრს იძენს იმ კითხვის შემდეგ, რომელზედაც იგი მოწოდებულია საპასუხოდ. მათთვის ვინც არ იცნობს კითხვას სიტყვა გაუგებარი რჩება. კითხვის აზრი კი, თავის მხრივ, ძევს იმ კონკრეტულ ვითარებაში, რომელშიც იგი იქნა დასმული.

ეს ყველაფერი გვაგონებს რ. ჯ. კოლინგვუდის[15] „კითხვა-პასუხის ლოგიკას" (Question – Answer Logic) და მართლაც, ჩვენ სწორედ ეს გვაქვს მხედველობაში. კოლინგვუდი „კითხვა-პასუხის" ტერმინებში აზროვნების საშუალებით მიისწრაფვოდა განესაზღვრა ისტორიის სპეციფიური არსი, რაც მან გააკეთა კიდეც ბრწყინვალე სიზუსტით, რადგანაც მისთვის მოცემული განსაზღვრება ნიშნავდა ფილოსოფიური გზის გვირგვინს, საკუთარი გარეისტორიული ბუნებრივ-სამეცნიერო პოზიტივიზმის გადალახვით. კოლინგვუდის ჩანაფიქრი შესანიშნავი იყო, მაგრამ ინგლისელი მეცნიერი საკმაოდ ღრმად იყო შეძრული XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი მეცნიერების ინგლისური განსაზღვრით, რის გამოც ვერ შეძლო გადაელახა „კითხვა-პასუხის" პრობლემის ფსიქოლოგიურ-ინდივიდუალისტური განმარტება. მხოლოდ ამ ფაქტორს თუ შეუძლია ახსნას მისი ავადმყოფური, დაკომპლექსებული გერმანოფობული გამოხდომები, რომელმაც გვარიანად გააფუჭა მისი ბოლო ნაწარმოები „The New Leviathan"[16], მაგრამ მისი „კითხვა-პასუხის ლოგიკის" დამსახურება აშკარაა.

აქვე აუცილებელია განსაკუთრებულად გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ აქ კითხვას სვამს არა ცალკეული ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, ან წარსულის ნებისმიერი მკვლევარი ისტორიკოსი, არამედ ისტორია, რომელიც თავის თვისობრივ ასპექტში შედგება კითხვებისა და პასუხებისაგან. კითხვა — ეს თავისთავად ისტორიული მოვლენაა, საიდანაც კონკრეტული ადამიანის პასუხის შედეგად წარმოიშობა შემდეგი მოვლენა. ზუსტად იმ ზომით, რა ზომითაც ადამიანები იღებენ გამოწვევას და პასუხობენ ისტორიის მიერ დასმულ კითხვას (რომელშიც ცდილობენ უპასუხონ მათ თავიანთი დამოკიდებულებითა და ქცევებით) ადამიანები დემონსტრაციულად წარმოაჩენენ ისტორიაში თავიანთ სარისკო მონაწილეობის შესაძლებლობებს და, შესაბამისად, ექვემდებარებიან მის სამსჯავროს. ერთი სიტყვით ისინი გადადიან ბუნებრივი მდგომარეობიდან ისტორიულში.

არნოლდ ტოინბიმ კიდევ უფრო განავითარა „კითხვა-პასუხის ლოგიკა" (Question-Answer Logic) „გამოწვევა-გამოძახილის სტრუქტურის" (challe-nge-response-structure) კულტურულ-ისტორიულ კონცეფციამდე. „კითხვის" კონცეფცია ტოინბიმ აიყვანა „გამოწვევის" ცნებამდე, ხოლო „პასუხის" კონცეფცია — „გამოძახილამდე". ეს იყო უმთავრესი ეტაპი ისტორიული მახასიათებლის არსის ნათელსაყოფად, რადგანაც აქ მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ სტატიკური პოლარობა და ბუნებრივი დაძაბულობა (არასაისტორიო, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ, საბუნებისმეტყველო სამეცნიერო

სკოლებში რომ განირჩევა) არამედ დიალექტიკურად გაგებული დაძაბულობა. ტოინბი,' თავის მეთოდზე დაყრდნობით, გამოყოფს ოცზე მეტ კულტურასა და უმაღლეს ცივილიზაციას, რომელთაგან თითოეული ამოზრდილია კონკრეტულ ისტორიულ პასუხზე, ისტორიის გამოწვევაზე.

შეცნობის მეთოდოლოგიამ, ასეთი მიდგომით, ძალიან მოიგო, რადგანაც ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა ყველანაირი ისტორიული ვითარების დიალექტიკური სტრუქტურის შესწავლა. მაგრამ თვით ტოინბიმაც ვერ შესძლო თავი დაეღწია იმ დამახასიათებელი დაბნეულობისაგან, რომელმაც საკმაოდ დააზიანა მისი კონცეფცია. როდესაც იგი იწყებს მის მიერ გამოყოფილ ცივილიზაციასა და კულტურას შორის ურთიერთქმედების მექანიზმის აღწერას, მის ანალიზში იკარგება ისტორიის ყველაზე არსებითი მხარე, ისტორიის სტრუქტურა — ყოველი კონკრეტული ვითარება და მისი გადაჭრის უნიკალური ერთჯერადობა.

არ არსებობს მსოფლიო ისტორიის არანაირი საყოველთაო კანონები. მისი აბსტრაქტული მცდელობა, დაუმორჩილოს ცოცხალი ისტორია მშრალ კანონზომიერებებს ან ვიწროდ მოქმედი სისტემის შიგნით არსებულ სტატიკურ ალბათობებს, საფუძველშივე მცდარია. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ერთჯერად კონკრეტულ ვითარებასთან და, კერძოდ, ჩვენი ეპოქის კონკრეტული ვითარება განისაზღვრება იმით, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის წინააღმდეგობამ შეიძინა მსოფლიო დუალიზმის, მსოფლიო მტრობის ხასიათი. როდესაც ჩვენ ვცდილობთ გამოვარკვიოთ ამ დუალიზმით წარმოშობილი დიალექტიკური დაძაბულობის ბუნება, არ მივისწრაფვით გამოვიყვანოთ საყოველთაო კანონი ან სტატიკური ალბათობა, რომ არ ვილაპარაკოთ რაიმე სისტემის აშენების შესახებ. როდესაც ჩვენ ვიყენებთ სიტყვას „დიალექტიკა", „დიალექტიკური", ჩვენ ვიმყოფებით რისკის ქვეშ, რომ სწორად არ გაგვიგებენ და მიგვაკუთვნებენ ვიწრო ჰეგელისტურ სკოლას. ეს მთლად ასე არაა. ჰეგელის ისტორიული დიალექტიკა სინამდვილეში საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ ისტორიული მოვლენის ერთჯერადობა და უნიკალურობა, რაც გამოსჭვივის ჰეგელის თუნდაც იმ ფრაზიდან, რომ ღვთის ძის განკაცება არის უმთავრესი მოვლენა კაცობრიობის მთელ ისტორიაში. აქედან ცხადად ჩანს, რომ ისტორია ჰეგელისთვის იყო არა უბრალოდ ობიექტური კანონზომიერების მიზანი, არამედ ფლობდა აქტიური თანამონაწილეობის სუბიექტურ განზომილებასაც. მაგრამ ჰეგელის საყოველთაო სისტემატიზაციაში ხშირად იკარგება ისტორიის უნიკალურობა და კონკრეტული ისტორიული მოვლენა ხშირად ითქვიფება ერთჯერად სააზროვნო პროცესში, ეს შენიშვნა საკმარისია იმისათვის, რომ ცხადვყოთ ტერმინ „დიალექტიკის" ჩვენებური გაგება და თავი დავიზღვიოთ ჰეგელიანებში ავტომატური ჩარიცხვისაგან, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენს თანამედროვეთა „ტექნიკური" და „ავტომატური" აზროვნებისათვის. მთლიანად ჰეგელიანობისათვის დამახასიათებელი ისტორიული დიალექტიკის არსის მცდარი გაგების მსგავსად, უნდა ვუფრთხილდეთ, აგრეთვე, XIX საუკუნის ასწლეულისათვის ტიპიურ კანონზომიერებათა ფორმულირებისა და კანონების აღმოჩენის მანიას. ამ ავადმყოფობას ვერ განერიდა პრაქტიკულად ვერცერთი დასავლეთელი სოციოლოგი და ისტორიკოსი ალექს დე ტოკვილის[18] გარდა. მოთხოვნილებამ, ყველა კონკრეტული ვითარებიდან გამოეყვანათ განვითარების საყოველთაო კანონი, გასული საუკუნის ყველაზე გამჭრიახი მოაზრო-

ვნეების სამეცნიერო აღმოჩენებსაც კი განზოგადებათა თითქმის შეუღწევადი ბურუსის საფარველი გადააფარა.

კონკრეტულ-ისტორიული ფაქტის აყვანა რაიმე ზოგადსაკაცობრიო კანონამდე იყო ის ფასი, რომლითაც XIX საუკუნე აკომპენსირებდა თავის სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო პოზიტივიზმს. სწავლულებს უბრალოდ არ შეეძლოთ წარმოედგინათ რაიმე ჭეშმარიტება ზუსტად გამოთვლილ-გაზომილი ფუნქციონირებადი საყოველთაო კანონზომიერების გარეთ. ასე მაგალითად ოგიუსტ კონტმა – თანამედროვე ისტორიოსმა, გენიალური ინტუიციით დაჯილდოებულმა ადამიანმა – ზუსტად განსაზღვრა თავისი ეპოქის არსი, წარმოიდგინა რა იგი, როგორც სამი ეტაპისაგან შემდგარი განვითარება: ღვთისმეტყველებიდან მეტაფიზიკის გავლით პოზიტივიზმისაკენ.

ეს იყო XIII-XIV საუკუნეების დასავლური აზროვნების მიერ მიგნებული სრულიად ზუსტი შენიშვნა, რომელმაც კარგად განსაზღვრა სამ მომენტში განხორციელებული ერთჯერადი ნაბიჯი. მაგრამ პოზიტივისტმა ოგიუსტ კონტმა მხოლოდ მას შემდეგ შესძლო თვითონ დაეჯერებინა თავის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპის ჭეშმარიტება, როდესაც განაცხადა, რომ სამი სტადიის კანონი ვრცელდება მთელ კაცობრიობასა და მთელ ისტორიაზე. კარლ მარქსმა, თავის მხრივ, დაუსვა ძალიან ზუსტი დიაგნოზი საქმეთა ისეთ მდგომარეობას, რომელიც დამახასიათებელი იყო შუა და აღმოსავლეთ ევროპის ინდუსტრიული რევოლუციის მეორე ეტაპისათვის XIX საუკუნის შუა წლებში. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მან თავისი მოსაზრებები აიყვანა უნივერსალურ მსოფლიო ისტორიულ დოქტრინამდე და ჩამოაყალიბა „კლასობრივი ბრძოლის" გაიოლებული თეზისი, მაშინ, როდესაც სინამდვილეში საუბარი იყო მხოლოდ ტექნოინდუსტრიული რევოლუციის კონკრეტულ მომენტზე, რომელიც უკავშირდება რკინიგზის, ტელეგრაფისა და ორთქლის მანქანის გამოგონებას. უკვე XX საუკუნეში ოსვალდ შპენგლერმა[19] მნიშვნელოვნად შეზღუდა თავისი აღმოჩენის (თანამედროვე ეპოქასა და რომის სამოქალაქო ომისა და კეისართა ეპოქებს შორის ღრმა ისტორიული პარალელების შესახებ) მნიშვნელობა იმით, რომ მან ამ საფუძველზე ჩამოაყალიბა კულტურულ წრეთა საყოველთაო თეორია და, შესაბამისად, მოკლა მთელი თავისი ნაღვაწის წმინდა ისტორიული ნერვი.

## 4

ინდუსტრიალიზაცია და ტექნიკური განვითარება დედამიწის ხვედრია. შევეცადოთ განვსაზღვროთ ერთჯერადი ისტორიული კითხვა, დიდი გამოწვევა და კონკრეტული პასუხი, გასული ასწლეულის ინდუსტრიულ-ტექნიკური რევოლუციის წარმოშობა. ამასთან განზე გადავდოთ ყველა ზედაპირული დასკვნა, რომლებიც გვითრევენ მიზეზ-შედეგობრივი სარისკო სისტემის პირობითობაში. დაძაბულობის ზოგადი ცნებიდან, ჩვენ გამოვყავით პოლარულ-სტატიკური დაძაბულობისაგან განსხვავებული წმინდა დიალექტიკური დაძაბულობა. დიალექტიკური დაძაბულობის ეს კონცეფცია ისე არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ჰეგელიანობის საბუნებისმეტყველო შეხედულება ან ნორმატიული კონსტრუქციების ბანალური პროდუქტი. ტოინბის ფორმულა „გამოწვევა-გამოძახილის" შესახებ, ასევე, გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც

ინსტრუმენტი, რადგანაც, ჩვენ, პირველ რიგში, გვჭირდება ზუსტად გავიგოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დღევანდელი მსოფლიო დუალი-ზმის უაღრესად ერთჯერადი აქტუალური ჭეშმარიტება.

აქ ჩვენ დაგვეხმარება არნოლდ ტოინბის მიერ 1953 წელს დაწერილი შრომა სათაურით „The World and the West" (მსოფლიო და დასავლეთი)[20]. ამ ნაწარმოებმა მწვავე კრიტიკა და პოლემიკა გამოიწვია, რომელსაც უმჯობესია გვერდი ავუაროთ, ვინაიდან აქ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ მიწისა და ხმელეთის წინააღმდეგობა. ტოინბი განიხილავს ჩვენს ეპოქას და მასში გამოჰყოფს მთელი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ მდგარ დასავლეთს, როგორც განცალკევებულ კატეგორიას. დასავლეთი მას წარმოუდგენია აგრესორად, რომელიც ორნახევარი ასწლეულის განმავლობაში აღმოსავლეთზე ახორციელებდა თავისი ინდუსტრიულ-ტექნიკური ძლევამოსილების ექსპანსიას ოთხი ძირითადი მიმართულებით: რუსეთი, ისლამური სამყარო, ინდოეთი და აღმოსავლეთ აზია. ტოინბისათვის მთავარია, რომ ეს აგრესია ხორციელდებოდა ქრისტიანული ნორმების ტრადიციებისაგან გათავისუფლებული ტექნიკის მეშვეობით (entfesselte technik). ის ფაქტი, რომ დღევანდელმა აღმოსავლეთმა თვითონ დაიწყო ტექნიკის ფართოდ გამოყენება, ტოინბისათვის ნიშნავს დასავლეთის წინააღმდეგ აქტიური თავდაცვის დასაწყისს. მართალია, XVII საუკუნეში იეზუიტებმა სცადეს ექადაგათ ქრისტიანული რელიგია ინდუსებისა და ჩინელებისათვის, არა როგორც დასავლეთის რელიგია, არამედ როგორც უნივერსალური, ყველა ადამიანისათვის თანაბრად მისაღები რელიგია, მაგრამ ტოინბის მიაჩნია, რომ ეს ცდა სამწუხაროდ ჩაიშალა სხვადასხვა კათოლიკურ მისიებსა და იეზუიტთა ცენტრალიზებულ საქადაგო ქსელს შორის არსებულ დოგმატურ უთანხმოებათა გამო. ტოინბის აზრით ოქტომბრის კომუნისტური რევოლუციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ აღმოსავლეთმა დაიწყო შეიარაღება ქრისტიანული რელიგიისაგან გათავისუფლებული ევროპული ტექნიკით. ამ ტექნიკას ტოინბი უწოდებს „XVI საუკუნის ბოლოს ევროპული კულტურისაგან ჩამოფცქვნილ ნაჭერს". ჩავინიშნოთ ეს უმნიშვნელოვანესი, უაღრესად ზუსტი ფორმულირება.

ახლა, „კითხვა-პასუხის ლოგიკის" ჭრილში, გამოვარკვიოთ რა იყო ის გამოწვევა და ის გამოძახილი, რომლებიც ისტორიულად გამოჩნდა ჩვენს ეპოქაში ინდუსტრიულ-ტექნიკური ნახტომის შემდგომ.

საიდან წარმოიშვა ინდუსტრიული რევოლუცია? რომელი კითხვის პასუხს წარმოადგენს იგი? როგორია მისი სათავე და სამშობლო, მისი საწყისი და მოტივაცია? იგი მომდინარეობს ინგლისის კუნძულიდან და თარიღდება XVIII საუკუნით. გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი თარიღები — 1735 (პირველი კოქსის ღუმელი), 1740 (პირველი ჩამოსხმული ფოლადი), 1768 (პირველი ორთქლის მანქანა), 1769 (პირველი თანამედროვე ფაბრიკა ნოტინჰემში), 1770 (პირველი სართავი ჩარხი), 1786 (პირველი მექანიკური საფეიქრო დაზგა), 1825 (პირველი ორთქლმავალი). დიდი სამრეწველო რევოლუცია მომდინარეობს ინგლისის კუნძულიდან, რომელიც XIX საუკუნიდან დაწყებული მსოფლიოში მთავარ მწარმოებელ ქვეყანად იქცა. ეს ისტორიული ფენომენი, რომელიც მუდმივად უნდა გვქონდეს მხედველობაში, პირველად ჯერ კიდევ გერმანელმა სოციოლოგმა, ლორენს ფონ შტაინმა შენიშნა 1842 წელს.

ამის შესახებ იგი წერდა:

„განსაცვიფრებლად და სრულიად მოულოდნელად, სწორედ იმ დროს, როდესაც საფრანგეთში ვრცელდება თავისუფლებისა და თანასწორობის იდეა, ინგლისში ჩნდება პირველი მანქანები. მათთან ერთად მთელი მსოფლიოსათვის კეთილდღეობის, წარმოების, მოხმარებისა და ვაჭრობის საკითხებში სრულიად ახალი ეპოქა იწყება. მანქანები იქცნენ ნამდვილ რევოლუციურ ძალებად მატერიალურ სამყაროში და ამგვარად დამორჩილებული მატერიალური სამყაროდან მათ დაიწყეს თავიანთი ძლევამოსილების გავრცელება სიღრმეში, სულიერი სამყაროს ყველა სფეროში“.

„განსაცვიფრებლად და სრულიად მოულოდნელად“, ამასთან მაინცდამაინც „ინგლისში“! ამ სიტყვებში მოისმის ახალგაზრდა გერმანელის ძუნწი გაკვირვება შეცნობილისადმი, რომელიც იწყებს თავისი ხალხის ისტორიული ვითარების შეცნობას და ლუი-ფილიპეს დროინდელ პარიზში აღიქვამს, რომ პოლიტიკური რევოლუცია, რომელიც გავრცელდა მთელი ევროპის კონტინენტზე დაწყებული 1789 წლიდან, წარმოადგენს მხოლოდ ფერმრკრთალ იდეოლოგიურ ზეფენომენს ინგლისიდან მომდინარე ნამდვილ რევოლუციურ ძალასთან — ინდუსტრიულ რევოლუციასთან შედარებით. ასე დაიბადა ჩვენს მიერ ახლახანს მოყვანილი შესანიშნავი ფრაზა მნიშვნელოვანი დასახელების მქონე თავში „პროლეტარიატი“. ამავე ნაშრომში, პირველად ევროპულ დისკუსიაში, შემოდის სამუშაო ძალასა და საკუთრებას შორის ფუნდამენტური განსხვავებულობის პრობლემის სამეცნიერო გააზრება.

მაშ ასე, ინდუსტრიული რევოლუცია მომდინარეობს XVIII ასწლეულის ინგლისიდან. როგორი ისტორიული ვითარება იყო ამ დროს ამ კუნძულზე? ინგლისი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც დაწყებული XVI საუკუნიდან გამოეყო ევროპის კონტინენტს და გადადგა პირველი ნაბჯები წმინდა საზღვაო არსებობისაკენ. ეს, ისტორიული თვალსაზრისით, ყველაზე არსებით მოვლენას წარმოადგენს. ყველა დანარჩენი — მხოლოდ ზედნაშენია, სუპერსტრუქტურაა. რომელი საგარეო მოვლენაც არ უნდა ამოვირჩიოთ წმინდა საზღვაო არსებობისაკენ, როგორც საბოლოო ნაბიჯი (კრომველის მიერ იამაიკის დაპყრობა 1655 წელს, სტიუარტების საბოლოო განდევნა 1688 წელს ან უტრეხტის ზავი 1713 წელს) მთავარი არის შემდეგი: ევროპის ერთმა ხალხმა განსაზღვრული მომენტიდან გადაწყვიტა, რომ კუნძული, რომელზედაც ის ცხოვრობდა, აღარ წარმოადგენდა ევროპის ოდნავ წაგრძელებულ დანამატს და აღიქვა თავისი კუნძული ბაზად წმინდა საზღვაო არსებობისა და მსოფლიო ოკეანეზე ბატონობისათვის. XVI საუკუნიდან დაწყებული ინგლისი შევიდა უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში და დაიწყო კოლონიების ბრძოლით წართმევა პორტუგალიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიისათვის. მან დაამარცხა ყველა თავისი ევროპელი მოწინააღმდეგე არა თავისი მორალური და ძალისმიერი უპირატესობის წყალობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ გადადგა მტკიცე და შემოუბრუნებელი ნაბიჯი მყარი ხმელეთიდან ღია ზღვისაკენ და ასეთ ვითარებაში სახმელეთო კოლონიების ბრძოლით მოპოვების უზრუნველყოფა ხორციელდებოდა საზღვაო სივრცეების კონტროლით.

ეს იყო ერთჯერადი, განუმეორებელი, ისტორიული პასუხი, ასევე

ერთჯერად, განუმეორებელ, ისტორიულ გამოწვევაზე — ევროპის გეოგრაფიული აღმოჩენების, საუკუნის უდიდეს გამოწვევაზე. პირველად ჩვენთვის ცნობილ კაცობრიობის ისტორიაში წარმოიშვა გამოწვევა, რომელიც ეხებოდა არა მხოლოდ კონკრეტულ მდინარეებს, სანაპიროებს ან შიდამატერიკულ ზღვებს. პირველად მიეცა მას მსოფლიო, გლობალური ხასიათი. ევროპელ ხალხთა უმრავლესობამ ეს გამოწვევა აღიქვა კონტინენტურ, სახმელეთო ტერმინებში. ესპანელებმა შექმნეს თავისი გიგანტური ოკეანის გაღმა იმპერია. ამასთან, ის არსებითად სახმელეთოდ რჩებოდა და შენდებოდა თვალუწვდენელ მატერიკულ მასებზე. რუსები მოსწყდნენ მოსკოვს და დაიპყრეს გიგანტური ქვეყანა — ციმბირი. პორტუგალიელებმა, ზღვაოსნობაში მათი საკვირველი მიღწევების მიუხედავად, ასევე ვერ შეძლეს გადასულიყვნენ წმინდა საზღვაო არსებობაზე. პორტუგალიური აღმოჩენების ეპოქის საგმირო ეპოსი კი (კომოენსის „ლუიზიადები") ინდოეთის ოკეანის შესახებ ლაპარაკობს ისე, როგორც ენეუს ვირგილიუსი ხმელთაშუა ზღვაზე. ჰოლანდიელები პირველები გადაეშვნენ გლობალურ საზღვაო ავანტიურებში და კარგახანს იმყოფებოდნენ ავანგარდში. თუმცა, მათი ბაზა საკმაოდ სუსტი იყო, სახმელეთო სახელმწიფოებს ფესვი საკმაოდ ღრმად ჰქონდათ გამდგარი და 1713 წელს უტრეხტის ზავის დადების შემდეგ ჰოლანდია საბოლოოდ მიეჯაჭვა ხმელეთს. ფრანგები ჩაერთვნენ ინგლისთან 200 წლიან ომში და ბოლოს წააგეს იგი. ინგლისს კონტინენტი მაინცდამაინც არ აწუხებდა (the least hampered by the continent) და იგი საბოლოოდ და წარმატებით გადავიდა წმინდა საზღვაო არსებობაზე. ამ მოვლენამ კი შექმნა ინდუსტრიული რევოლუციის უშუალო წინაპირობები.

ოდესღაც ევროპულმა კუნძულმა მოიშორა მსოფლიოს ტრადიციული სახმელეთო სახე და ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო მსოფლიოს განხილვა ზღვის პოზიციიდან. ხმელეთი, როგორც ადამიანის ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცე გადაიქცა ნაპირად, კონტინენტური სივრცეების სიღრმეში გადაჭიმულ ბაცკლანდად. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ორლეანელი ქალწულის დროს, ინგლისელი რაინდები, სხვა ქვეყნების რაინდთა მსგავსად, პატიოსან ბრძოლაში მოიპოვებდნენ ხოლმე ალაფს. XVI ასწლეულის ჩათვლით ინგლისელები მისდევდნენ მეცხვარეობას, ყიდდნენ მატყლს ფლანდრიაში, სადაც ქსოვილებს ართავდნენ. ამიერიდან კი ეს ხალხი გადაიქცა „ზღვის ამაქაფებელ" ერად და დააფუძნა არა მხოლოდ საზღვაო, არამედ საოკეანო, მსოფლიო იმპერია. კუნძულმა შეწყვიტა ხმელეთის ცალკე მყოფ ფრაგმენტად არსებობა და გადაიქცა კონტინენტის ახლოს ღუზაზე მოდრეიფე ხომალდად. ძველი მიწის სახმელეთო ნომოსის ადგილი დაიკავა ღია ზღვის ათვისებული სივრცეების მომცველმა ხალხმა, ნომოსმა, რომელიც, ამასთანავე, კონტინენტურ მასას ართმევდა ღია ზღვას და საზღვაო სივრცე დაუპირისპირდა სახმელეთო სივრცეს, რათა ზღვას ხმელეთის გაკონტროლების საშუალებით წონასწორობა შეექმნა.

ის, რაც ჩამოშორდა ევროპის კულტურას XVI საუკუნეში, იყო არა „ტექნიკური ნამსხვრევი", არამედ რაღაც სხვა. ევროპის კუნძული ჩამოშორდა ევროპის კონტინენტს და ახალი კუნძულის მეწინავეობით შექმნილი ზღვის სამყარო აღსდგა კონტინენტური ხმელეთის ტრადიციულ სამყაროზე. ზღვის სამყარომ შობა ხმელეთის სამყაროს საპირწონე და მშვიდობა (Frieden, peace) დედამიწა დაემსგავსა სასწორს მის ხელში. ეს იყო კონკრეტული პასუხის

გამოხატვა აღმოჩენილი მსოფლიო ოკეანის გამოწვევაზე. კუნძულ ინგლისზე (რომელმაც მიიღო გამოწვევა და გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი საზღვაო არსებობისაკენ) მოულოდნელად გამოჩნდა პირველი მანქანები.

5

ხომალდი ადამიანთა საზღვაო არსებობის საფუძველია, სახლის მსგავსად, რომელიც არის მათი ხმელეთზე არსებობის საფუძველი. ხომალდი და სახლი არ წარმოადგენენ ანტითეზებს სტატიკური პოლარული დაძაბულობის თვალსაზრისით. ისინი თავისთავად წარმოადგენენ განსხვავებულ პასუხებს ისტორიის განსხვავებულ გამოწვევებზე. ხომალდიც და სახლიც იქმნება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მაგრამ მათი ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ხომალდი – ეს არის აბსოლუტურად ხელოვნური, ადამიანის ბუნების ტოტალურ ბატონობაზე დაფუძნებული გადაადგილების ტექნიკური საშუალება. ზღვა წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს ნაირსახეობას, ხმელეთისაგან მკვეთრად განსხვავებულს. ზღვა უფრო მეტად გაუცხოებული და მტრულია. ბიბლიური გადმოცემის თანახმად ადამიანმა თავისი საცხოვრისი დაიმკვიდრა სწორედ მიწის ზღვისაგან გამოყოფით. ზღვა რჩებოდა შეუღლებული საფრთხესთან და ბოროტებასთან. აქ ჩვენ მკითხველს მივუთითებთ კარლ ბარტის „საეკლესიო დოგმატიკის“ მესამე ტომში მოთავსებულ „ცხოვრების წიგნის“ პირველი თავის კომენტარებზე. ხაზს გავუსვამთ მხოლოდ იმას, რომ ზღვის წინაშე ძველი რელიგიური შიშის გადასალახავად კაცობრიობას უნდა განეხორციელებინა მნიშვნელოვანი ძალისხმევა. ასეთი გადალახვისათვის წამოწყებული ტექნიკური ძალისხმევა არსებითად ემიჯნება ყველა სხვა სახის ტექნიკურ ძალისხმევას. ადამიანს, რომელმაც გაბედა წასულიყო საზღვაო მოგზაურობაში (სიტყვა „მეკობრე“ თავიდან ეწოდებოდა მას, ვისაც შეეძლო ასეთ რისკზე წასვლა) პოეტის სიტყვებით უნდა ჰქონოდა „მკერდზე სამმაგი ჯავშანი“ (aes triplex circa pectus). ადამიანის მიერ ბუნების ინერციული წინააღმდეგობის გადალახვა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და ცივილიზაციური შემოქმედების არსს, მკვეთრად განსხვავდება, ერთი მხრივ, გემთმშენებლობისა და ზღვის ათვისების და, მეორე მხრივ, ხმელეთზე საცხოვრებლის მოწყობისა და პირუტყვის მოშენების საქმეში.

სახმელეთო არსებობის ცენტრი და მარცვალი, მისი ყოველი კონკრეტული ნორმატივებით – საცხოვრებელი, საკუთრება, ქორწინება, მემკვიდრეობა და ა. შ. – ეს ყველაფერი სახლია. ყველა ეს კონკრეტული ნორმატივი აღმოცენდება სახმელეთო არსებობის სპეციფიკიდან და განსაკუთრებით მიწათმოქმედებიდან გამომდინარე. ფუნდამენტურმა სამართლებრივმა ინსტიტუტმა, საკუთრებამ – Dominium – თავისი სახელწოდება მიიღო სახლიდან – Domus. ეს ცხადია და ცნობილია, მაგრამ ყველა იურისტმა არ იცის, რომ გერმანული სიტყვა Bauer (paganus), გამომდინარეობს არა უშუალოდ სიტყვიდან „Ackerbau“, არამედ სიტყვისაგან „Bau“, „Gebaude“, „aedificium“ ე. ი. „შენობა“, „სახლი“. ეს დასაბამიდან აღნიშნავდა ადამიანს, რომელიც ფლობდა სახლს. მაშასადამე, სახმელეთო არსებობის ცენტრში დგას სახლი. საზღვაო არსებობის ცენტრში კი ხომალდი ცურავს. სახლი სიმშვიდეა,

ხომალდი — მოძრაობა. ამიტომ ხომალდს აქვს სხვა გარემო და სხვა ჰორიზონტი. ხომალდზე მცხოვრები ხალხი, როგორც ერთმანეთთან, ასევე გარემოსთან მიმართებაში სრულიად განსხვავებულ ურთიერთობაში იმყოფებიან. მათი დამოკიდებულება ბუნებასა და ცხოველებთან სრულიად განსხვავდება ხმელეთის ადამიანებისაგან. ხმელეთის ადამიანისათვის ყველა მხეცი სპილო, აქლემი, ცხენი, ძაღლი, კატა, ვირი, თხა და „ყველაფერი რაც მას ეკუთვნის" ექვემდებარება წვრთნას. ადამიანი მათ შინაურ ცხოველებად აქცევს. თევზები არ შეიძლება მოიჩვიო, შეიძლება მხოლოდ მათი დაჭერა და ჭამა. ისინი არ შეიძლება გახდნენ შინაური ცხოველები, რადგანაც თვით „სახლის" იდეა უცხოა ზღვისთვის.

იმისათვის, რათა აღვიქვათ უსაზღვრო განსხვავება სახმელეთო და საზღვაო არსებობას შორის, ჩვენ მოვიყვანეთ კულტურულ-ისტორიული მაგალითი. ახლა ჩვენ შევეცდებით ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე — რატომ ჩაისახა ინდუსტრიული რევოლუცია მისთვის დამახასიათებელი გათავისუფლებული ტექნიკური (entfesselte technik) აღმაფრენით საზღვაო არსებობის პირობებში?

სახმელეთო არსებობას, რომლის ცენტრს წარმოადგენს სახლი, სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ტექნიკასთან, ვიდრე საზღვაო არსებობას, რომლის ცენტრსაც ხომალდი წარმოადგენს. ტექნიკური პროცესის აბსოლუტიზაცია, ნებისმიერი პროგრესის გაიგივება ტექნიკურ პროგრესთან, მოკლედ, ის, რაც იგულისხმება გამოთქმაში „გამოთავისუფლებული ტექნიკის აღმაფრენა", „გამოთავისუფლებული ტექნიკა" — ყველაფერი ეს შეიძლება ჩასახული, ამოზრდილი და განვითარებული ყოფილიყო საზღვაო არსებობის საფუძველზე, საზღვაო არსებობის კლიმატში. კუნძულმა ინგლისმა აღმოჩენის პროცესში მყოფი მსოფლიო ოკეანისაგან მიიღო გამოწვევა და წმინდა საზღვაო არსებობაზე გადასვლა მიიყვანა ლოგიკურ დაბოლოებამდე. ამით მან ისტორიული პასუხი გასცა უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის მიერ დასმულ კითხვას. ერთდროულად ეს იყო, როგორც ინდუსტრიული რევოლუციის წინაპირობა, ასევე იმ ეპოქის დასაწყისი, რომლის პრობლემატიკასაც განვიცდით დღეს ჩვენ.

კონკრეტულად ჩვენ ვლაპარაკობთ სამრეწველო რევოლუციაზე, რომელიც დღეს ჩვენი საერთო ბედია. ეს რევოლუცია არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო არსად და არასდროს, XVIII საუკუნის ინგლისის გარდა. სამრეწველო რევოლუცია სწორედ ტექნიკური პროცესის გამოთავისუფლებას გულისხმობს, ხოლო გამოთავისუფლება გასაგები ხდება მხოლოდ საზღვაო არსებობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომლის გვერდითაც, იგი რაღაც გარკვეულ დონემდე მისაღები და აუცილებელია. ტექნიკური აღმოჩენები ხდებოდა ყველა დროს და ყველა ქვეყანაში. ინგლისელების ტექნიკური ნიჭი არ აღემატება სხვა ხალხების ნიჭს. საუბარი ეხება მხოლოდ იმას, თუ რა სახით და რა ფარგლებში ხდება ტექნიკური აღმოჩენის გამოყენება, ანუ ნორმატივების რომელ სისტემაში თავსდება ეს აღმოჩენა.

საზღვაო არსებობის პირობებში ტექნიკური აღმოჩენები უფრო ადვილად და თავისუფლად ხდება, რადგანაც აუცილებელი არაა ისინი ჩადგნენ ნორმატივების ფიქსირებულ სტრუქტურაში, რაც სახმელეთო არსებობას ახასიათებს. ჩინელებმა გამოიგონეს დენთი. ისინი ევროპელებზე (რომლებმაც,

აგრეთვე, გამოიგონეს იგი) უუკუოები სულაც არ იყვნენ, მაგრამ წმინდა სახმელეთო არსებობის პირობებმა (მაშინდელი ჩინეთის ჩაკეტილი არსებობის გამო) გამოიწვია დენთის გამოყენება მხოლოდ თამაშებისა და ფეიერვერკებისათვის. ევროპაში კი ყოველივე ამან მიგვიყვანა ალფრედ ნობელისა და მისი მიმდევრების აღმოჩენებამდე. ინგლისელები (თავიანთი ყველა ცნობილი აღმოჩენით, XVIII საუკუნეში, რამაც შემდგომში გამოიწვია სამრეწველო რევოლუცია — კოქსის ღუმელი, ფოლადსასხმელი მრეწველობა, ორთქლის მანქანა, სართავი დაზგა და ა. შ.) არ იყვნენ უფრო მეტად გენიოსები, ვიდრე სახმელეთო კანონებით მცხოვრები სხვა ეპოქებისა და სხვა ქვეყნების ხალხები, რომელთაც ინგლისელებისაგან დამოუკიდებლად გააკეთეს ანალოგიური აღმოჩენები. ტექნიკური აღმოჩენები არ წარმოადგენენ უზენაესი იდუმალი სულის გამოცხადებას. ისინი უმეტესად დროის კარნახს ემორჩილებიან, მაგრამ იმ ადამიანური კონტექსტის მიხედვით, რომელშიც ისინი აღმოაჩინეს, ან დავიწყებას ეძლევიან ან ვითარდებიან. უფრო, გასაგებად: სამრეწველო რევოლუციის საფუძველში მდებარე ტექნიკური აღმოჩენა მხოლოდ იქ მიგვიყვანს ინდუსტრიულ რევოლუციამდე, სადაც გადადგმულია გადამწყვეტი ნაბიჯი საზღვაო არსებობისაკენ.

წმინდა საზღვაო არსებობაზე გადასვლა უკვე გულისხმობს ტექნიკის, როგორც დამოუკიდებელი და თვითკმარი ძალის გამოთავისუფლებას. წინა პერიოდებში ყოველნაირი ტექნიკის განვითარებას არასდროს გამოუწვევია ისეთი პრინციპის გამოჩენა, როგორიცაა **აბსოლუტური ტექნიკა**. ამასთან ხაზი უნდა გავუსვათ, რომ სანაპირო და შიდა ზღვებთან დაკავშირებული კულტურის ფორმები ჯერ კიდევ არ ნიშნავს გადასვლას წმინდა საზღვაო არსებობაზე. მხოლოდ ოკეანის ათვისებისას ხდება ხომალდი სახლის ნამდვილი ანტითეზა. რწმენა პროგრესის (გაგებული როგორც ტექნიკური პროგრესი) გარდაუვალობისადმი არის უტყუარი ნიშანი, რომ განხორციელებულია გადასვლა საზღვაო არსებობაზე. ისტორიულად საზღვაო არსებობის სოციალურად და მორალურად უსასრულო სივრცეში თავისთავად წარმოიქმნება აღმოჩენების გაუფრთხილებელ მონაცვლეობათა ჯაჭვური რეაქცია. საუბარია არა მომთაბარე და ბინადარ ხალხებზე, არამედ ხმელეთსა და ზღვას შორის ადამიანური არსებობის ორი დაპირისპირებული სტიქიის შეუსაბამობაზე. ამიტომ მცდარია საუბარი „ზღვის მომთაბარეთა" შესახებ და არ უნდა გავაიგივოთ ისინი ცხენებსა და აქლემებზე მსხდომ მომთაბარეებთან. არ არის მართებული ხმელეთის პირობების გადატანა ზღვის სტიქიაზე. ადამიანის სასიცოცხლო სივრცე თავისი ზებუნებრივი ისტორიული გაგებით რადიკალურად განსხვავდება ყველა საგარეო და საშინაო პარამეტრით, დამოუკიდებლად იმისა, საუბარია სახმელეთო თუ საზღვაო არსებობაზე. რა პოზიციიდანაც არ უნდა ვუყუროთ ამ განსხვავებას (ზღვიდან ხმელეთს ან ხმელეთიდან ზღვას) იგი ვლინდება სრულიად სხვაგვარად სტრუქტურირებულ ცივილიზაციურ და კულტურულ ძალისმიერ არეში. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ კულტურა თავისთავად უფრო მეტად მიეკუთვნება ხმელეთს, ხოლო ცივილიზაცია ზღვას[21]. საზღვაო მსოფლმხედველობა ორიენტირებულია ტექნომორფულად, მაშინ როცა სახმელეთო — სოციომორფულად.

საზღვაო არსებობის სპეციფიკის თეორიის დახმარებით XIX საუკუნის

ახალი თვალსაზრისით შეიძლება გაშუქდეს ორი უმთავრესი ფენომენი. საუბარია XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის კლასიკურ პოლიტეკონომიასა და მარქსიზმზე. სამრეწველო რევოლუციის განვითარებასთან ერთად გამოვლენილმა გაუფრთხილებლობამ გამოიწვია გამოთავისუფლებული ტექნიკის სულ ახალი და ახალი ნაბიჯები. ე. წ. კლასიკური პოლიტეკონომია, სამრეწველო რევოლუციის პირველი სტადიის საფუძველზე გამომუშავებული კონცეპტუალური სუპერსტრუქტურა იყო. მარქსიზმმა კი, თავის მხრივ, თავისი სწავლება დააფუძნა კლასიკური პოლიტეკონომიის სუპერსტრუქტურაზე. მან განავითარა იგი და გამოიმუშავა კონცეპტუალური სუპერსტრუქტურა სამრეწველო რევოლუციის მეორე სტადიისათვის. ამის გამო მარქსიზმი შეიარაღებაში აიღო რუსეთის პროფესიონალი რევოლუციონერების ელიტამ, რომელმაც 1917 წელს შესძლო მოეხდინა რევოლუცია რუსეთის იმპერიაში და გადაეტანა ორმაგი სუპერსტრუქტურა თავიანთი აგრარული ქვეყნის პირობებში.

ეს მსჯელობა სრულიადაც არ ეხება სწავლების წმინდა პრაქტიკულ განხორციელებასა და ისტორიული განვითარების ობიექტური კანონების ლოგიკურ რეალიზაციას. საუბარი ეხება იმას, რომ მრეწველობაში ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა გრძნობდა თანამედროვე სამრეწველო ტექნიკით აღჭურვის აუცილებლობას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოელოდა დაპყრობა სხვა, უფრო მეტად განვითარებული, მსხვილი სამრეწველო სახელმწიფოების მხრიდან. ამგვარად, სამრეწველო რევოლუციის მეორე სტადიის იდეოლოგიური ზედნაშენიდან მარქსიზმი უზარმაზარი ქვეყნისათვის გადაიქცა ინდუსტრიულ-ტექნიკური დაუცველობის დასაძლევ პრაქტიკულ ინსტრუმენტად, აგრეთვე, ძველი ელიტის შემცვლელ ძალად, რომელმაც აშკარად ვერ გაართვა თავი ისტორიულ ამოცანას.

თუმცა, კლასიკური პოლიტეკონომიის შემდგომი მიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე მარქსისტული სწავლების მხოლოდ ერთი ასპექტი იყო. მარქსიზმის ფესვები ჰეგელიანურია. ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის საფუძვლების“ 243-ე პარაგრაფი შეიცავს მთელი პრობლემის აზრს. ეს ცნობილი ადგილია. პარაგრაფი აღწერს ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკას, რომელიც დაუბრკოლებლად ვითარდება თავისი საკუთარი კანონებით და ხაზს უსვამს, რომ „ეს საზოგადოება თავისთავში გარდაუვალად ატარებს მოსახლეობისა და მრეწველობის პროგრესულ ზრდას“. ჰეგელი ამტკიცებს, რომ ასეთი საზოგადოება „მთელი თავისი ფუფუნებით არასოდეს არ იქნება საკმაოდ მდიდარი, ე. ი. მხოლოდ თავისი შინაგანი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვერასოდეს ვერ შესძლებს წინ აღუდგეს სიღატაკის ზრდას და უქონელი მოსახლეობის რიცხვის გადიდებას“. ჰეგელი ამასთან დაკავშირებით მაგალითის სახით პირდაპირ მიუთითებს მაშინდელ ინგლისზე.

246-ე პარაგრაფში იგი განაგრძობს:

„ამ დიალექტიკის თანახმად კონკრეტული ბურჟუაზიული საზოგადოება იძულებულია გამოვიდეს თავისი საზღვრებიდან, რათა სამრეწველო საშუალებების განვითარების დონით ან ტექნიკური ჩვევებით ჩამორჩენილ სხვა ქვეყანათა შორის მოძებნოს თავისი პროდუქციის გამსაღებლები, ხოლო შედეგად საკუთარი არსებობის საშუალებები“[22].

ასეთია ცნობილი 243-246 პარაგრაფები ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის საფუძვლებში“, რომელთაც თავიანთ საბოლოო განვითარებას მიაღწიეს მარქსიზმში. მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არავინ არ მიაქცია ყურადღება 247-ე პარაგრაფში ჩადებულ ღრმა აზრს, რომელიც უშუალოდ მოსდევს ახლახანს ციტირებულ პარაგრაფს. მასში დასტურდება ხმელეთსა და ზღვას შორის არსებული ფუნდამენტური წინააღმდეგობა. 247-ე პარაგრაფის გაშლა შეიძლება იყოს არანაკლებ მთავარი და მნიშვნელოვანი, ვიდრე 243-246 პარაგრაფების გაშლა მარქსიზმში. აქ დასტუდება სამრეწველო განვითარების კავშირი საზღვაო არსებობასთან. 247-ე პარაგრაფი შეიცავს შემდეგ მნიშვნელოვან წინადადებას:

„როგორც ოჯახების არსებობის პირველ პირობას წარმოადგენს მყარი მიწა, ხმელეთი, ასევე, მრეწველობის მაქსიმალური გამოცოცხლების ხელშეწყობ სტიქიას წარმოადგენს ზღვა.“

აქ მე ვწყვეტ ჩემს გადმოცემას და ყურადღებიან მკითხველს ვაძლევ შესაძლებლობას დაინახოს მასში ჰეგელის „ფილოსოფიური სამართლის საფუძვლებიდან“ 247-ე პარაგრაფის გაშლის დასაწყისი, მსგავსად იმისა, როგორც 243-246 პარაგრაფების გაშლამ შექმნა მარქსიზმი.

ჩვენი განხილვა ბადებს ახალ კითხვას და მასთან ერთად ახალ საფრთხეს. თავისთავად წამოიჭრება შემდეგი პრობლემა: როგორია ისტორიის აქტუალური გამოწვევა? და იქვე წარმოიშობა ამ კითხვის ისეთი ძველებური ხერხით პასუხის გაცემის საშიში ცდუნება, რომელიც შესაბამისი და სწორი იყო წინა ეპოქაში. ადამიანებს ახასიათებთ ჩაებღაუჭონ მას, რამაც ადრე დაამტკიცა თავისი ეფექტურობა. ისინი კატეგორიულად უარს აცხადებენ გაიგონ, რომ კაცობრიობის მხრიდან ახალი პასუხი ახალ კითხვაზე შეიძლება იყოს მხოლოდ ვარაუდი და, უფრო ხშირად, როგორც ეს იყო კოლუმბის მოგზაურობის დროს, მცდარი ვარაუდი. ადამიანს აქვს დაუძლეველი მოთხოვნა მიმართოს ქრონოლოგიურად უკანასკნელ გამოცდილებას, როგორც რაღაც მარადიულს. როდესაც, ჩვენ, გერმანელები 1914 წელს შევიჭერით საფრანგეთში, გვეგონა, რომ მოვლენები ამის შემდგომ განვითარდებოდნენ, როგორც 1870-71 წლებში ჩვენი გადამწყვეტი გამარჯვების ჩათვლით. როდესაც 1870-71 წლებში ალყაშემორტყმულმა ფრანგებმა პარიზის ალყის გარღვევა სცადეს, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ყველაფერი 1792 წლის ძლევამოსილი რევოლუციის სცენარით წარიმართებოდა. როდესაც ა.შ.შ. სახელმწიფო მდივანმა სტიმსონმა 1932 წელს გამოაცხადა თავისი ცნობილი დოქტრინა, სტიმსონის დოქტრინა, მას ეგონა, რომ მთლიანობაში შექმნილი ვითარება, გაზრდილ მასშტაბში, 1861 წელსა და დამოუკიდებლობისათვის ომის დასაწყისს წააგავდა.

ისტორიის შეგრძნებამ უნდა დაგვიცვას მსგავსი შეცდომებისაგან. პარადოქსული სახით (სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებიც სხვებზე წინ წავიდნენ გამოთავისუფლებული ტექნიკის საქმეში), გავრცელებულია აზრი, რომ ამიერიდან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იწყება ახალი კოსმოსის უსასრულო სივრცეებისაკენ გაჭრა. კოსმოსში გაჭრასთან შედარებით უდიდესი გეოგრაფიული და ტექნიკური აღმოჩენების ხუთასწლიანი ეპოქა დროის უმნიშვნელო მონაკვეთად მოგვეჩვენება. ადამიანები გეგმავენ შეტევას სტრა-

ტოსფეროზე და გაფრენას მთვარეზე. თვით ჩვენი მსოფლიო ნელ-ნელა გარდაიქმნება კოსმოსურ სივრცეში მოცურავე კოსმოსურ ხომალდად.

ასეთი აზრი მე მიმაჩნია გამეორებად ძველი პასუხისა, იმ პასუხის განვითარებად, რომელიც გაცემული იყო, ოდესღაც, აღმოჩენის პროცესში მყოფ მსოფლიო ოკეანის გამოწვევაზე. ადამიანები დღევანდელი დღის გამოწვევას ამგვანებენ ამერიკის აღმოჩენის მასშტაბურ გამეორებას. ფსიქოლოგიურად ეს ასე ვთქვათ გასაგებია. მაშინ აღმოაჩინეს ახალი კონტინენტები და დედამიწის ოკეანეები. დღეს მე ვერ ვხედავ ვერავითარ აღმოჩენად კოსმოსს, არ მესმის კოსმოსის არანაირი გამოწვევა (შეგნებულად არ ვლაპარაკობ მფრინავ თეფშებზე). გამოთავისუფლებულ ტექნიკას შეუძლია რამდენიც ნებავს ისე ხანგრძლივად და გააფთრებით იჩიჩქნოს კოსმოსში, აქედან არ წარმოიშობა ახალი ისტორიული გამოწვევა და მითუმეტეს პასუხი ასეთ გამოწვევაზე. რა თქმა უნდა, გამოთავისუფლებული ტექნიკა ბადებს სასწაულებრივ ძალისმიერ იმპულსს და მისი გადალახვის სწრაფვას, მაგრამ ეს იმპულსი მთლად გამოწვევა არ არის. სწორია, რომ თანამედროვე ტექნიკა სულ წარმოშობს ხელოვნურ მოთხოვნილებებს, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის შემძლეა, საუკეთესო შემთხვევაში იძლევა უმაღლესი ხარისხის ხელოვნურ პასუხს, ასევე ხელოვნურად დასმულ კითხვაზე.

სწორედ ეს, ძველი პასუხის ულტრათანამედროვე განვითარება, წარმოგვიდგება ისტორიის თვალსაწიერიდან არაისტორიულად და ანაქრონიზმად. სხვათაშორის, სრულიად ბუნებრივია სიტუაცია, როდესაც წინა ეპოქაში გამარჯვებული ყურადღებიდან მთლიანად უშვებს ისტორიის ახალ გამოწვევას და მართლაც, შეუძლია კი გამარჯვებულმა გაიგოს, რომ მისი გამარჯვება ერთჯერად ეშმარიტებას წარმოადგენს? ვინ მიუთითებს მას ამის შესახებ? მე მივედი დასკვნამდე: უკვე კარგია, თუ ჩვენ „ახალ სამყაროს" არ მოვიაზრებთ იმ სქემით გუშინ, რომ არსებობდა. პირადად მე ახალ გამოწვევას სტრატოსფეროს მიღმა მხრიდან არ ვხედავ. მე აღვნიშნავ, რომ გამოთავისუფლებული ტექნიკა უფრო ზღუდავს ადამიანებს, ვიდრე უხსნის მათ ახალ სივრცეებს. თანამედროვე ტექნიკა საჭირო და სასარგებლოა. მაგრამ დღეს ის ძალიან შორსაა იმისაგან, რომ წარმოადგენდეს პასუხს ამა თუ იმ გამოწვევაზე. ის მხოლოდ აკმაყოფილებს ახალ, ნაწილობრივ თავის მიერ წარმოშობილ მოთხოვნებს. დანარჩენში იგი თავად არის კითხვის ქვეშ და სწორედ ამიტომ არ შეიძლება იყოს პასუხი. ყველა საუბრობს იმის შესახებ, რომ თანამედროვე ტექნიკამ დედამიწა სასაცილოდ დააპატარავა. ამის გამო ახალი სივრცე, საიდანაც გამოჩნდება ახალი გამოწვევა, უნდა მდებარეობდეს სწორედ ჩვენს დედამიწაზე და არა მის გარეთ, ღია კოსმოსში. ის, ვინც პირველი შესძლებს გამოთავისუფლებული ტექნიკის შებოჭვას, უფრო მალე გასცემს პასუხს ახლა არსებულ გამოწვევას, ვიდრე ის, ვინც მისი დახმარებით ცდილობს გადაჯდეს მთვარეზე ან მარსზე. გამოთავისუფლებული ტექნიკის მორჯულება — ეს არის ახალი ჰერაკლეს საგმირო საქმე. ამ არედან მოისმის ჩემთვის ახალი გამოწვევა, დღევანდელი გამოწვევა.

# ბოლოთქმის მაგიერ

## თავი 1. სტიქიის აპოკალიფსი

(გეოპოლიტიკიდან ისტორიის ფილოსოფიისაკენ — მსჯელობები კარლ შმიტის ელემენტების თეორიის შესახებ)

### 1.1. ცივილიზაციური სტიქია მხოლოდ ორია

ცივილიზაციური სტრუქტურის კავშირი ანუ ამ თუ იმ სტიქიის, ხმელეთისა და ზღვის ბატონობა, კარლ შმიტის კონცეფციის ღერძს, მის უმთავრეს, ძლიერ და შთამბეჭდავ მხარეს წარმოადგენს. ამასთან, აუცილებელია ხაზი გავუსვათ, რომ საუბარია არა კულტურულ-ისტორიული ანალიზისათვის საკრალური თეორიის 4 ელემენტის უბრალო აბსტრაქტული თანდართვის შესახებ, არამედ ორი სტიქიის, ხმელეთისა და ზღვის, მიწისა და წყლის ფუნდამენტურ-ისტორიული (და არა მხოლოდ ბუნებრივი) დუალიზმის გამოყოფის შესახებაც. ამასთან, ეს დუალიზმი მაშინ გადაიქცევა ნამდვილ ისტორიულ ფაქტორად, როდესაც იგი აღქმული და ინტელექტუალურად განცდილი იქნება ადამიანთა საზოგადოების მიერ. იმის ასახსნელად, თუ რა გვაქვს კერძოდ მხედველობაში, მივუთითებთ, რომ შმიტს არა აქვს ნახსენები ცეცხლის სტიქიისა და მისი ფილოსოფიური, კულტურული და ცივილიზაციური ანალიზის შესახებ (ამ მოვლენას შემდგომში შეეხებით). რაც შეეხება საჰაერო მიმოსვლის ეპოქასთან დაკავშირებულ ჰაერის სტიქიას, შმიტის მტკიცებით მას არ წარმოუშვია საკუთარი „ნომოსი", საკუთარი ცივილიზაციური ტიპი, არამედ წარმოადგენდა ზღვის ცივილიზაციით განმტკიცებული ისტორიული ტრაექტორიის ტექნიკურ გაგრძელებას. აეროკრატიას და მით უფრო აქტუალურ ეთეროკრატიას, ანუ ტექნიკის განვითარების საჰაერო და კოსმოსურ სტადიებს, კაცობრიობის ისტორიაში არ გამოუწვევია ისეთი გლობალური ცვლილებები, როგორც მსოფლიო ოკეანის აღმოჩენამ და მისმა გამოწვევამ მოახდინა.

შმიტს თავისი გენიალური ინტუიცია სრულიად სამართლიანად კარნახობდა, რომ კოსმოსი ვერ იქნებოდა ვერც ნამდვილი გამოწვევისა და ვერც ისტორიული პასუხის მატარებელი, ხოლო კოსმოსური კვლევები „ეთეროკრატიის" პირობებში, მხოლოდ დამკაბალებელი (და არა გამათავისუფლებელი) ტექნოკრატიული ცივილიზაციის აგონიის დემონსტრირებას ახდენდა. ერთი შეხედვით, შმიტის ასეთი მიდგომა სტიქიათა ისტორიული დიალექტიკის მიმართ (თუ გავითვალისწინებთ მის იმპლიციტურ ანტითალასოკრატიულ სიმპათიებს) უნდა გამხდარიყო საფუძველი ღრმა კონსერვატიული დოქტრინისათვის, რომელსაც გამოკვეთილი ეკოლოგიური სარჩული ექნებოდა. ჩნდება ცდუნება სწორედ ასე იქნეს განმარტებული მისი დასკვნითი სიტყვები მისივე სტატიიდან „მსოფლიო დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის":

„ახალი სივრცე, საიდანაც გამოჩნდება ახალი გამოწვევა, უნდა მდებარეობდეს სწორედ ჩვენს დედამიწაზე და არა მის გარეთ, ღია კოსმოსში".

ძირითადად სწორედ ამგვარად იქცევიან შმიტის მიმდევრები, რომლებიც ამასთანავე, ითვალისწინებენ პოლიტიკისადმი მის კონსერვატულ შეხედულე-

ბებს. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არის საკითხის ძალიან გამარტივება. თუ ახალი გამოწვევა სხვა არაფერია, თუ არა „გამოთავისუფლებული ტექნიკისა“ და ოკეანური ბატონობას რევოლუციური ეპოქის შემდეგ სახმელეთო ორიენტაციისაკენ შემობრუნება (თუნდაც ტექნოლოგიური ან ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების გამო) მაშინ, ისტორიული დიალექტიკის სულიერი დაძაბულობა კარგავს თავის დრამატულ განზომილებას, გადაიქცევა, თითქმის, ბუნებრივ ციკლად და უტოლდება იმ სტატიკურ-პოლარულ დაძაბულობას, რომლის გადალახვაზე, შმიტის აზრით, დაფუძნებულია ადამიანის სულიერი განვითარების ისტორია. ცივილიზაციური დუალიზმი — ხმელეთი-ზღვა — სხვაგვარად უნდა გადაწყდეს.

შმიტი აეროკრატიაზე, ხოლო შემდგომ ეთეროკრატიაზე გადასვლას ზღვის სტრატეგიის ბუნებრივ გაგრძელებად და არა ახალი რევოლუციური ეპოქის ნიშნად მიიჩნევს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ წყლის სტიქია თავისი უნივერსალური ექსპანსიით (რომელიც სწორედ რომ მისადმი ტრადიციულად მორჩილი ხმელეთისა და სივრცეების ხარჯზე ხორციელდება) თავის სამსახურში აყენებს ორ სხვა სტიქიას — ჰაერსა და ეთერს (ვაკუუმი), რომლებიც, ფიზიკის თვალსაზრისით, სხვა არაფერია თუ არა მატერიათა უფრო მეტად განმუხტული მდგომარეობა. სხვა სიტყვებით, ზღვის (წყლის) სტიქია გამოვლინებას ჰპოვებს ჰაერისა და ეთერის სტიქიების დამორჩილებით, აგრძელებს რა თავის ცივილიზაციურ მისწრაფებას „გათხევადებისაკენ“, ამასთან შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ტენდენციამ წარმოშვა „საზღვაო არსებობის“, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული ტექნიკის გამოთავისუფლებისა და სამრეწველო რევოლუციის ეტაპების ისტორიული დიალექტიკა.

მაშ როგორ აიხსნება ამ შემთხვევაში ისეთი სახმელეთო ზესახელმწიფოს წარმატებები საჰაერო მიმოსვლისა და კოსმოსის სფეროში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, რომელიც გეოპოლიტიკური ბეჰემოთის, კონტინენტური მასების ძალებისა და ხმელეთის ნომოსის უკანასკნელ (ქრონოლოგიურად) მსოფლიო გამოხატულებას წარმოადგენდა? ზუსტად ისე, როგორ გენიალურადაც ახსნა შმიტმა მარქსიზმის ისტორიული ფუნქცია რუსეთში: ეს იყო ალტერნატიული ელიტის მეორე სამრეწველო რევოლუციის დოქტრინით კონცეპტუალური შეიარაღება, რომელმაც ნებისყოფითა და შეგნებული ძალისხმევით შესძლო არქაული ტიპის სახმელეთო ქვეყანა გიგანტურ, ინდუსტრიულ-ტექნიკურ ბასტიონად ექცია. იმ ბასტიონად, რომელიც 70 წლის მანძილზე წარმატებით გაუმკლავდა ოკეანური ცივილიზაციის მრავალმხრივ დაწოლას. აღმოსავლეთის ბლოკის მიერ აეროკრატიისა და ეთეროკრატიის გამოყენება საწარმოო რევოლუციის მარქსისტული სტრატეგიის გაგრძელება იყო დასავლეთის ბურჟუაზიულ ცივილიზაციასთან წინააღმდეგობის გასაწევად.

მაშასადამე, ისტორიული დუალიზმის ერთმა წევრმა, ზღვამ, საკუთარი მსოფლიო დამკვიდრების პროცესში სხვა სტიქიები ჩართო. თუ შმიტის მიერ სტატიის „მსოფლიო დაძაბულობა“ წერის მომენტში, 1959 წელს, ეს პროცესი მხოლოდ ჩანასახში იყო, სამაგიეროდ 80-იანი წლებში იგი ყველასათვის გასაგები და ნათელი გახდა. ზღვამ აითვისა ჰაერი და კოსმოსი.

აქ ჩვენ ვუახლოვდებით უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს წერტილს, რომელიც ამ ბოლო დრომდე სრულიად მისაღებად მიჩნეულ იდეო-

ლოგიათა და სოციალურ-პოლიტიკურ დოქტრინათა დიდი უმრავლესობისათვის სასინჯ ქვას წარმოადგენდა.

მხედველობაში გვაქვს აღმოსავლეთ ბლოკის კრახი და „პერესტროიკა“.

## 1.2 მსოფლიო წარღვნის კონკრეტულობა

ეს მოვლენა უმთავრესია შმიტის შეხედულებების შესაბამისობის შესამოწმებლად. მისი ტერმინებით მსჯელობისას ამ მოვლენის აღწერა შემდეგნაირად შეიძლება:

აღმოსავლეთ ბლოკის (რომელიც გამოხატავდა ზღვის წინააღმდეგ ხმელეთის მსოფლიო მიმართებას) დასასრული მოასწავებს იმ ისტორიული ეტაპის აღსასრულს, რომელშიც ზღვის ცივილიზაციასთან, დასავლეთთან და მსოფლიოსთან გლობალური კონკურენციის მიზნით (რომელთაც საკუთარი ბედი გამოთავისუფლებული ტექნიკის შეუზღუდავ განვითარებასთან გააიგივეს) შესაძლებელი იყო სამრეწველო რევოლუციის მეორე სტადიის შემაჯამებელი კონცეპტუალური სტრუქტურის ეფექტური გამოყენება. სხვა სიტყვებით, ეს იყო მარქსიზმის შესაბამისობის დასასრული. აღმოსავლეთის ძალებმა დაკარგა თავდაცვითი კონცეპტუალობა, რომელიც მანამდე იყო მოქმედი, სანამ მარქსის მიერ მისი თანამედროვე ევროპის ისტორიის გამოწვევაზე გაცემული პასუხის პირობები საბოლოოდ და შეუქცევადად არ შეიცვალა.

საბჭოთა ბლოკის კრახის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ტექნოლოგიური კონკურენციის სფეროში მისი ჩამორჩენილობა იყო. ამ ჩამორჩენის მთავარი მიზანი იყო „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ ამერიკული პროგრამისადმი შესაბამისი პასუხის გაცემის შეუძლებლობა. მაშასადამე, ზღვამ მოიგო ტექნოლოგიური დუელი ხმელეთთან ეთეროკრატიის — კოსმოსის ათვისების საკითხის სტრატეგიულ გამოგონებებთან დაკავშირებული მაღალი ტექნოლოგიების სფეროში.

რას ნიშნავს ეს ისტორიული დიალექტიკის ჭრილში?

პირველი: ტექნიკური ნახტომისა და შემდგომში ტექნიკური ცივილიზაციის იმპულსის წარმომშობმა ზღვამ დაჯაბნა ხმელეთი, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ზღვისაგან გადაიღო თანამედროვე და ეფექტური (თავისი დროისათვის) უახლესი კონცეპტუალური ტექნოლოგია. ეს პროცესი დროში ზუსტად დაემთხვა სამრეწველო რევოლუციის მეორე ეტაპის დასასრულს. თეორიულ დონეზე ეს თვალნათლივ გამოჩნდა 70-ანი წლების დასაწყისში (ევროპაში კომუნიზმისა და სოციალიზმის სწრაფი გადაგვარების პარალელურად), პრაქტიკულად კი წერტილი „პერესტროიკის“ დროს დაესვა. სამრეწველო რევოლუციის მესამე ეტაპი, სულ მცირე ახალ მარქსსა და ახალ მარქსიზმს საჭიროებდა. ეს შეიძლება ყოფილიყო ევროპული ფაშიზმი, მაგრამ ეს მცდელობა განუხორციელებელი აღმოჩნდა, როგორც ტერიტორიულ დონეზე, ასევე ფიზიკური თვალსაზრისითაც — გერმანიამ დამარცხება იწვნია უფრო ცივილიზებული; თანმიმდევრული სახმელეთო სახელმწიფოს მხრიდან (სსრკ), რომელსაც ამ შემთხვევაში მხარს უჭერდა ზღვა (როგორც უკვე მრავალჯერ მომხდარა ისტორიაში, ნაპოლეონიდან პირველ და მეორე მსოფლიო ომებამდე). ახალი მარქსი არ ჩანდა და, ალბათ, არც შეიძლება და არც უნდა გამოჩენილიყო.

მეორე: აღმოსავლეთ ბლოკის კრახი ზღვის რეალურ გლობალიზაციას აღნიშნავს. იგი მსჯულისა და კონტროლიორის როლიდან ავტოკრატორის (თვითმპყრობელის) როლში გადადის. ეს — მონდიალიზმია, მსოფლიოს ცივილიზაციური ინტეგრაცია დასავლეთის ფრთებქვეშ. რელიგიური თვალსაზრისით ამ მოვლენას აქვს მხოლოდ ერთი სახელწოდება — მსოფლიო წარღვნა, ხმელეთის „ნომოსის" აღსასრული და ზღვის „ნომოსის" უნივერსალური ბატონობა. გავიხსენოთ, აგრეთვე, სწორედ ზღვიდან ამომავალი აპოკალიფსური ცხოველი[2]. ეს გამოიწვევს, ერთი სტიქიის მიერ მეორე, მისთვის მტრული, სტიქიის დამორჩილების ეპოქაზე საბოლოო გადასვლას. შეიძლება ითქვას, რომ ეს აღნიშნავს „უნივერსალური სამყაროს" დასაწყისს. ლევიათანი ამარცხებს ბეჰემოთს, ვეშაპი — დათვს. მობი დიკი რუსულ დათვზე გამარჯვებას ზეიმობს.

მესამე: ამიერიდან ზღვას ექვემდებარება დანარჩენი სტიქიები. დაპყრობილი ხმელეთი (დამარცხებული მტერი, Hostis), ჰაერი და ეთერი (წყლის დიალექტიკასთან სოლიდარული, მისი ბუნებრივი მოკავშირეები, Amicus) წარმოადგენენ ზღვის იდეოვარიაციებს. პლანეტური ხომალდის, მსოფლიო კუნძულის (World island სფიქმენის და არა მაკინდერის მიხედვით) ხელქვეით სტიქიებს. ეს არის One World-ის პოსტინდუსტრიული საზოგადოების, გლობალური ინფორმატიზაციისა და ავტომატიზაციის ეპოქა. მას მარქსის ავანგარდული ინტუიციის ენაზე „კაპიტალის რეალური ბატონობა"[3] ეწოდება. ეს არის იდეოლოგიათა გაქრობის, პოსტმოდერნიზმისა და „ისტორიის აღსასრულის" დრო.

„ღია ოკეანის" გამოწვევა (რომელიც მიიღეს ანგლოსაქსებმა და მათი პასუხის სახით ტექნიკურ-ინდუსტრიულ ნახტომად იქცა) ჩამოყალიბდა თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციად, დაიმორჩილა მთელი მსოფლიო და საბოლოო ფორმა ამერიკის გლობალურ ავტოკრატიაში ჰპოვა, იმ ამერიკისა, რომლის აღმოჩენის შემდეგ დასაბამი დაედო „თანამედროვე სამყაროს". ამ გამოწვევამ თავისი ისტორიული მისია აღმოსავლეთ ბლოკის კრახით, „პერესტროიკისა" და საბჭოთა კავშირის დაშლით დაასრულა. გამოთავისუფლებულმა ტექნიკამ (Enfessalte Technik) გადალახა ყველა გარეშე დაბრკოლება. ამიერიდან, ზღვის ძალაუფლება აბსოლუტურია. იგი გამოიხატება ტექნოკრატიული დასავლეთის ჰეგემონიით, აშშ-ს სტრატეგიული პირველობით, არსებული კაპიტალის ბატონობით, ტრადიციული ფასეულობითი სტრუქტურების სრული წარხოცვით. საკუთრებამ, მემკვიდრეობამ, ქორწინებამ, საცხოვრებელმა — ყველაფერმა ამან დაკარგა ის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდათ მათ ხმელეთო არსებობის, მიწის „ნომოსის" ეპოქაში.

## 13 მხედველობის მიღმა დარჩენილი ელემენტი

მიუხედავად იმისა, რომ შმიტი საუბრობს ნამდვილი ისტორიული მოვლენების ერთჯერადობის შესახებ და გაურბის დეტერმინიზმისა და სისტემატიზაციის ნებისმიერ ფორმას, მას როგორც ქრისტიანს არ შეეძლო ისტორიის აღსასრულის არსებობისა და, მაშასადამე, ტელეოლოგიისათვის გვერდის ავლა. ჰეგელისა და მარქსის თელეოლოგიაზე მისი უარი არ ნიშნავს საერთოდ ტელეოლოგიაზე[4] უარის თქმას. შმიტს, როგორც აბსოლუტურად

პატიოსან მოაზროვნეს (ამაში ის ჰგავს ჰაიდეგერს), არ სურს შეუზღუდოს არც თავის თავს და არც სხვებს ჭეშმარიტების თავისუფალი ინტუიცია და მიიჩნევს, რომ ამაში მდგომარეობს უმაღლესი ადამიანური ღირსება და ინტელექტუალური თავისუფლება, რომელიც ბოლოსდაბოლოს პოლიტიკასა (das Politische) და გადაწყვეტილების მიღებაში (die Entscheidung) ჰპოვებს ასახვას. შმიტის ყველა ნააზრევში იმპლიციტურად არსებობს ქრისტიანისათვის ნორმალური ესქატოლოგიზმი: იგი ხაზს უსვამს ახალი დროების უნიკალურობას, რომელიც მის გლობალიზმში მდგომარეობს, ხოლო მის დამოკიდებულებაში „გამოთავისუფლებული ტექნიკისა" და საზღვაო არსებობის მიმართ ნათლად ჩანს აპოკალიფსური ნიშნები.

აშკარაა, რომ შმიტმა გაცნობიერა წყლების გაყრის შედეგად ხმელეთის გაჩენის ბიბლიური თქმულებასა და ამჟამად, არსებულ ვითარებას (რომელიც წარმოადგენს შებრუნებულ პროცესს ანუ საზღვაო არსებობის შეტევას ხმელეთზე, წყლის მიერ მიწის სიმბოლურ შთანთქმას) შორის მსგავსებას. აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თალასოკრატიის ისტორიაში პერმანენტული მისწრაფება მხოლოდ დღეს შედის თავის ოკეანურ ფაზაში და იძენს მაქსიმალურად შესაძლებელ მასშტაბებს. სტრატოსფეროსა და კოსმოსში ოკეანური თალასოკრატიის „გაყონვა" მისი გამარჯვების შეზღუდულობის მაჩვენებელია.

აქვე წარმოიშობა კანონზომიერი რეტროსპექტული კითხვა: რატომ წარმოადგენს მაინცდამაინც მიწის, ხმელეთის „ნომოსი" კაცობრიობის არსებობის მატრიცას ტრადიციის ათასწლეულში? და რატომ იქცა ქაოსური ოკეანური სტიქიის მსხვერპლად ტრადიციული „ნომოსის" ასეთი მდგრადი სახმელეთო სტრუქტურა (რომელიც არ დამხობილა არც პოტამური (სამდინარო), არც შეზღუდულად თალასოკრატიული და არც მომთაბარული თავდასხმების შედეგად)?

„შესაქმე", რომელიც ხმელეთზე ადრე წყლის არსებობას ამტკიცებს, მიგვანიშნებს ქაოსის გარკვეულ პირველობაზე წესრიგთან შედარებით, რაც ინდოევროპული მითოლოგიის მრავალ სიუჟეტშიც დასტურდება. შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით ვივარაუდოთ (ჰერმესისეული ტრადიციის მსგავსად), რომ ხმელეთი შედედებული წყალია, ხოლო გეოგრაფიული ტერმინოლოგიით — ხმელეთი წყლისაგან განთავისუფლებული ოკეანის ფსკერია. ქაოსისათვის წართმეული ტერიტორია ნომოსი, ხმელეთი, კონტინენტი, მაკინდერის Heartland, ძველი გერმანელების მიტგარდი, წესრიგის ციხესიმაგრე, ისტორიული პოლისი წარმოადგენს არა ტრადიციული ნომოსის მიზეზს, არამედ რაღაც ტრანსცენდენტული ზემოქმედების შედეგს, ბუნებაში დაფიქსირებული ზებუნებრივის კვალს, იმის ანაბეჭდს რასაც შეიძლება ეწოდოს ისტორიის სათავე. მყარი მიწის (das festa Land, die Erde), აღმნიშვნელი რუსული სიტყვა საშუალებას მოგვცემს მივუახლოვდეთ ამ საიდუმლო ძალას. ეს არის სიტყვა *суша* (*ხმელეთი*) იგი ეტიმოლოგიურად შეიცავს მითითებას სიმშრალის ხარისხის შესაბამისად, რაც არ არსებობს სხვა ენებში. ეს ხარისხი თავის მხრივ იწვევს სითბოს, სიცხისა და ცეცხლის, იმ უკანასკნელი, დავიწყებული ელემენტის, მეხუთე სტიქიის ასოციაციას, რომელიც ჩვეულია ანტიკური კლასიფიკაციისათვის, მაგრამ რატომღაც შმიტის ცივილიზაციურ და ისტორიულ ანალიზში თავისი ადგილი არ გააჩნია.

აქვე, გავიხსენოთ ჰერაკლიტე, რომელმაც თალეს მილეთელისა და სხვა ფილოსოფოს-თალასოკრატების საპირისპიროდ ჩამოაყალიბა სამყაროს ცეცხლისაგან წარმოშობის რევოლუციური თეორია. ცეცხლი, რა თქმა უნდა, მიწიერი გარემოს სტიქიებთან შედარებით ტრანსცენდენტული ელემენტია. თუ მიწა, წყალი და ჰაერი, ჩვენს პლანეტასთან და მის მოსახლეობასთან მიმართებაში შიდა სტიქიას წარმოადგენს (კვინტესენციის (ეთერი) გარემოსთან მიმართებით თვით სტრატოსფეროს ირგვლივ არსებული კოსმოსური ვაკუუმიც კი, შეიძლება განხილულ იქნას შინაგანად), სამაგიეროდ ცეცხლი, სითბო, ნათელი ჩვენთან მოდის გარედან, ბრწყინვალე სამხსვერპლო ვარსკვლავიდან, დიდი მზიდან. ჩვეულებრივი ელემენტები — ადამიანების სტიქიებია, ცეცხლი — ღმერთების სტიქია, სულიერ ცათა სუბსტანციაა. სხვა დარჩენ ელემენტებთან მიმართებაში ვერც ცეცხლის პოლარულობა, ეწერება იმ სტატიკურ, უაღრესად ბუნებრივ სქემაში, რომელიც სამართლიანად გამოჰყო შმიტმა, როდესაც ხმელეთისა და ზღვის ბუნებას შორის დაძაბულობის შესახებ საუბრობდა და, რომელიც სრულიად სამართლიანად განაცალკევა კაცობრიობის ისტორიის დიალექტიკისათვის დამახასიათებელი დაძაბულობისაგან. სინამდვილეში ცეცხლის მიერ პროვოცირებული დაძაბულობა არის სწორედ დიალექტიკის არსი და თუ ბუნების წარმოშობაში თალესს შეიძლება დაეთანხმო, სამაგიეროდ ისტორიის წარმოშობაში ჰერაკლიტეა მართალი. პრომეთეს საჩუქარი — ადამიანებისათვის დედამიწაზე ჩამოტანილი ღვთიური ცეცხლი — არის ისტორიული დიალექტიკის მთავარი საიდუმლო სუბიექტი, ალქიმიკოსების agent invisible, იმავე ჰერაკლიტეს ფილოსოფიური ბავშვი, რომელიც საუკუნეებსა და ციკლებს მიღმა ცხადყოფს თავისი მზიური სულისა და ციური გნოსისის შინაარსს.

ტრანსცენდენტული ცეცხლი განდევნის თავდაპირველ წყლებს, რათა წარმოიქმნას ხმელეთი. ტრანსცენდენტულ ცეცხლს მიწის ადამიანები თაყვანს სცემენ, როგორც მთავარ პრინციპს, მას დგამენ სახლის ცენტრში (წმინდა კერა), საკუთარი ტაძრის ცენტრში (წმინდა საკურთხეველი), საკუთარი სხეულის ცენტრში (გულის პატივმიგება), საკუთარი სამყაროს ცენტრში (მზე, რომელიც სივრცეს ანიჭებს ორიენტაციას, ხოლო დროს კი განზომილებას). მიწის სახმელეთო ნომოსი, ცეცხლის სუბტილური (შემცვლელი) გავლენის შედეგია. ტრანსცენდენტულის გამოწვევას კაცობრიობამ სახმელეთო წესრიგით უპასუხა, ხოლო ამით კი მან ისტორიაში შეაბიჯა, აღზევდა ბუნებაზე და საკუთარ „მედ" იქცა. სახლი — მზის პასუხია, ხოლო ხმელეთი და მისი ცივილიზაცია — ინტელექტუალურად გააზრებული ცეცხლის შედეგი.

სანამ ხმელეთისა და ცეცხლის კავშირი გაცნობიერებული იყო, ოკეანის გამოწვევა არ არსებობდა. თალასოკრატია გაწონასწონასწორებული იყო თელუროკრატიით და რომაული ვესტა ყოველთვის ძლევამოსილად ამარცხებდა ქაფისაგან აღმდგარ კართაგენს, როცა ეს უკანასკნელი ბღალავდა კულტურული და ცივილიზაციური მისიის უნივერსალიზაციას. როდესაც ადამიანთა სახლებში, ადამიანთა გულებში, მათ ტაძრებში ღვთიური ცეცხლი ჩაქრა, გაისმა ლევიათანის აპოკალიფსური ღრიალი და ხმელეთი, რომელმაც დაკარგა თავისი აზრი, თავისი ცენტრი, თავისი ძლევამოსილება, ამიერიდან განწირულ იქნა ზღვასთან ესქატოლოგიურ დუელში დამარცხებისათვის.

გარდაქმნა და ბეჰემოთის სამსხვერპლოდ განწირვა გარდუვალი გახდა

უკვე იმ დროს, როდესაც ტრადიცია კონსერვაციულად გადაიქცა, როდესაც ტრანსცენდენტული ცეცხლის გამოწვევებზე გაცემულმა პასუხმა, საბოლოოდ დათრგუნა კითხვა, როდესაც მიწის ნომოსმა შეწყვიტა თავისი ნორმების შედარება ცის ნომოსის ნორმებთან. საბოლოოდ, კაცობრობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ინტერლუდია ჯადოსნური ვარსკვლავის პირველგამობრწყინებასა და მსოფლიო წარღვნას შორის.

## 14. ხატი და ხმელეთი

საკმაოდ საინტერესოა შმიტის შენიშვნები ხატწერის მიმართ, აგრეთვე, მისი განზოგადება თვალსაზრისი ხატისა და დასავლეთის ურთიერთკავშირის შესახებ. იგი უშუალო კავშირშია ცეცხლის სტიქიასთან, რამეთუ მხედველობითი უნარი, რეალობის სინათლისმიერი განზომილების ელემენტია, რომელიც თავის მხრივ ცეცხლის სტიქიის ერთ-ერთ ასპექტს (სიცხესთან ერთად) წარმოადგენს. ჩვენს მიერ ხმელეთსა და მზეს შორის აღმოჩენილი გენეტიკური კავშირის გათვალისწინებით, გასაგები გახდება საკრალური მხედველობითი გამოსახულების — ხატის — კავშირი ხმელეთის ნომოსთან. ბუნებრივია, სივრცობრივი უმოძრაობა და ფიქსირებულობა, გარემოს მოწესრიგებულობა, ისწრაფვიან გამოსახულებაში — სიმბოლოში, იეროგლიფში, სურათში გამოხატვისაკენ. ცეცხლი თითქოსდა გამოსტაცებს მიმდინარე რეალობას გარკვეულ ფრაგმენტს, რომელიც გარდაიქმნება პირველსახედ, ხატად, რაღაც მუდმივად. თითქოს, მეორდება წყლის ქაოსის მასიდან ხმელეთის თავდაპირველი წარმოშობის საიდუმლო. მიწის ნომოსი, ხატის საშუალებით მუდამ ხაზს უსვამს თავის საწყისს. ამ თვალსაზრისით ხატებისადმი თაყვანისცემა და, საერთოდ, ფერწერის გამოყენება ნამდვილად წარმოადგენს ტრადიციული, სახმელეთო, კონტინენტური არსებობის ნათელ გამოხატვას.

ეს მოსაზრება შმიტის მიერ ესპანეთის ისტორიული მისიის შესახებ გამოთქმული შენიშვნების განვრცობაში გვეხმარება. ყველა დაპყრობილ მიწაზე ყოვლადწმიდა ქალწულის ხატების აღმართველი კათოლიკური ესპანეთი ცეცხლის მეშვეობით ახორციელებდა ოკეანის (და მისი გამოწვევის) ნეიტრალიზაციის წარმოუდგენლად მნიშვნელოვან მისიას. ეს მსოფლიო ოპერაცია რაღაცით რუსეთში მარქსიზმის ისტორიული ფუნქციის მსგავსი იყო: ორივე შემთხვევაში ზღვის გამოწვევა იმგვარად იქნა მიღებული, რომ შეძლებისდაგვარად გაეუვნებელყოთ მისი, მიწის ნომოსისათვის, დამღუპველი შედეგები და ეცადათ შხამის წამლად გადაქცევა. ინგლისელ მეკობრეებთან ესპანეთის საზღვაო ომში დამარცხებას, უსაშინლესი შედეგები მოჰყვა მსოფლიოს მასშტაბით: ატლანტიკის მიღმა კუნძულზე ანგლო-საქსებმა იმ აპოკალიფსური ცივილიზაციის თესლი დათესეს, რომელსაც ხორცი უნდა შეესხა და წარმოეშვა ლევიათანი, მთელ თავისი ესქატოლოგიური, ფინალური ძლევამოსილებით. ქაფიდან აღმოცენდა კონტინენტი-ხომალდი, რომელიც ყველა პარამეტრით აღემატებოდა თავის ევროპელ პროტოტიპს. ამ ურჩხულს ჩამომავლობით მოსდგამდა ღვთაებრივი წმინდა ცეცხლის ჩაქრობის, ხატის დამსხვრევის, პლანეტაზე საკუთარი „ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარების სურვილი. ბუნებრივია, ახალშობილი მონსტრის ძირითად მსოფლმხედველობას იკონოკლაზმის[7] უკი-

დურესი ფორმის, ეკლესიური მოდერნიზმითა და ნათელმოძულეობით გამორჩეული პროტესტანტული სექტების — ბაბტისტების, პურიტანების, მორმონების და ა.შ. იდეები წარმოადგენდა. მარქსიზმსა (sic!) და განთავისუფლების კათოლიკურ თეოლოგიაზე (sic!!) დაფუძნებული განწირული ლათინურ-ამერიკული გერილია — აი ყველაფერი ის, რაც დარჩა ესპანელი კონკისტადორების მსოფლიო წარღვნის ჩასაშლელი ამბიციური მსოფლიო დემარშისაგან.

აქ წარმოიშობა ერთი თეორიული დაბრკოლება, რომელიც შმიტს ბოლომდე არ აქვს განხილული. საქმე იმაშია, რომ იგი ახსენებს მხედველობითი გამოსახულებისა და ხატების თაყვანისცემის დასავლეთთან, ხოლო იკონოკლაზმის — აღმოსავლეთთან გაიგივების ჩვეულებას. შმიტს მოჰყავს ასეთი გაიგივების ცალსახა სიმართლის უარმყოფელი რამდენიმე მაგალითი. განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით, მით უფრო, რომ იგი მჟიდროდ უკავშირდება ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას — რუსეთისა და მისი მისიის ისტორიულ შინაარსს.

## 1.5. აბსოლუტური AMICUS ET HOSTIS — პორტრეტები დროსა და სივრცეში

ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ იმ პრობლემაზე, რომლის მეტაფიზიკური მნიშვნელობა უკვე განხილული გვაქვს სხვა წიგნში („ევრაზიის მისტერიები", თავი „ევრაზიის ქვეცნობიერება"). საუბარია ევროპელ მოაზროვნეთათვის დამახასიათებელი, საკუთარი ტრადიციის დასავლეთთან გაიგივების შესახებ, ამასთან საუბარია არა უბრალოდ დასავლეთის, არამედ ჩრდილოეთ-დასავლეთის შესახებ, უფრო მეტიც, ხანდახან ერთმანეთს ერწყმის სამი გეოგრაფიული ცნება — დასავლეთი, ჩრდილოეთ-დასავლეთი და ჩრდილოეთი. მას უპირისპირდება სამხრეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი, რომლებიც ხშირად, ასევე, ევროპისათვის ისტორიულად უფრო ნაცნობ, ახლო აღმოსავლეთის სემიტური კულტურის ლანდშაფტით წარმოდგენილ ერთიან ცივილიზაციურ სქემაში ერწყმიან ურთიერთს. ამასთან, ასეთი შეხედულება მომდინარეობს რომაული, ზოგჯერ კი ქრისტიანული მემკვიდრეობიდან.

სინამდვილეში საქმე ეხება ოპტიკურ ილუზიას, რისთვისაც ევროპელები გეოგრაფიას უნდა უმადლოდნენ. მხოლოდ ყველაზე ღრმად მოაზროვნეებმა (პირველ რიგში, რენე გენონმა) შეძლეს გვერდი აევლოთ საგანთა ამგვარი აღრევისათვის და მოვლენებისათვის სხვა, უფრო რეალური პოზიციიდან შეეხედათ. ასე მაგალითად, რენე გენონი სრულიად სამართლიანად მიუთითებდა, რომ რეალური (და საკრალური) გეოგრაფიის თვალსაზრისით კონტინენტი — ევრაზია ხშელეთის უზარმაზარი მასაა, სადაც ევროპა მხოლოდ ატლანტიკისაკენ გაჭრილ დასავლურ კონცხს, ნახევარკუნძულს წარმოადგენს. ინდოევროპელი ხალხები კი მთელ მატერიკზე — ინდონეზიიდან, ირანისა და რუსეთის გავლით, ევროპამდე — ცხოვრობდნენ. არიული ინდოეთი თეთრი რასის უძველესი მითებისა და ინტელექტუალური შეხედულებების ხსოვნას ინახავს, ხოლო მართლმადიდებლური ქრისტიანობა მნიშვნელოვნად სცდება ურალს და აღწევს წუნარ ოკეანემდე. იგი მოიცავს სივრცეებს, რომლებიც მოცულობით ევროპას აღემატება. თუმცა, ისტორიული შეზღუდულობა და ძალად დანერგი-

ლი კლიშე, ევროპელებს საშუალებას არ აძლევს მიეკუთვნოს რუსეთის მართლმადიდებლურ კულტურას, როგორც სრულიად თვითმყოფად ქრისტიანულ ტრადიციას თანაც, რომელიც მიანდეს თეთრკანიან ინდოევროპელ ხალხს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სწორედ მართლმადიდებლურ რუსეთში, წმიდა გამოსახულებასთან მიმართებაშია შემონახულია ბერძნული სახელწოდება „იკონა", უფრო მეტიც, სწორედ რუსული მართლმადიდებლური ხატი უმაგრებს ზურგს ჭეშმარიტ ქრისტიანულ ტრადიციას, რომელიც დასავლეთში პრაქტიკულად გამქრალია.

გერმანელი პროფესორის გერმან ვირტის წიგნის — „კაცობრიობის წარმოშობა"[6], რეცენზირებისას რენე გენონმა მიუთითა, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა ჩრდილოატლანტური (ჩრდილო-დასავლური), ჰიპერბორეული (ჩრდილოური) და ატლანტური (დასავლური) რეგიონები.

სინამდვილეში, შმიტის მიერ გულდასმით შესწავლილი ცეცხლთაყვანისმცემლობა და მიწის სახმელეთო ნომოსი, ეს არის ინდოევროპელი თეთრი ხალხების განმასხვავებელი ნიშან-თვისება, რომლებიც ჩრდილოეთიდან დაეშვნენ ევროპაში და განსახლდნენ მთელ სივრცეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სადაც არიან ინდოევროპელები იქ არის ხატი, წმინდა მხატვრობა, ცეცხლისა და სინათლის თაყვანისცემა, სოლარული მითები, ტრადიციული იერარქია და ხსოვნა ჰიპერბორეას შესახებ. წმინდა გამოსახულებები უხვადაა ინდოეთში. ირანში ისლამიზაციის შემდეგაც კი (ისლამი სასტიკად კრძალავს ადამიანებისა და ცხოველების გამოხატვას) ყვაოდა მინიატურა და ნამდვილი ფერწერა. რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში თაყვანს სცემენ არა მარტო ხატებს, არამედ ხატმწერებსაც, ხოლო მართლმადიდებლური ისიქაზმი, ხელთუქმნელი სინათლის დოქტრინა, რუსული ეკლესიის ძირითადი სასიცოცხლო ხაზი იყო. ხატი — ინდოევროპელების განუყოფელი ატრიბუტია და გაიგივებული უნდა იქნას სწორედ ჩრდილოეთთან, ჰიპერბორეასთან, ნორმალური და ტრადიციული მიწის სახმელეთო ნომოსის უძველეს სამშობლოსთან.

გამოსახულების მიმართ მტრობა, იკონოკლაზმი დამახასიათებელია არა იმდენად აღმოსავლეთისათვის, რამდენადაც სამხრეთისათვის. ეს სრულიად ნორმალური გეოგრაფიული სიმეტრიაა, თუკი გავითვალისწინებთ ინდოევროპელების ჰიპერბორეულ საწყისებს. თუ ჩრდილოეთის რასა თაყვანს სცემს ცეცხლსა და გამოსახულებას, მაშინ მისი საპირისპირო სამხრეთის რასა უნდა ეთაყვანებოდეს ცეცხლისა და ხატის ანტითეზებს (მაგალითად წყალი და ბგერა). საინტერესოა, რომ რენე გენონი ამ კულტურულ დუალიზმს ბინადრობასა და მომთაბარეობას უხამებს: ბინადრობა შეუღლებულია ბიბლიური კაენის ფიგურასთან, მხედველობით გამოსახულებასა და დროსთან, ხოლო მომთაბარეობა — აბელთან, ვერბალურობასთან და სივრცესთან, რაც ბრწყინვალედ ეხამება შმიტის მიერ განხილულ ელემენტთა დუალიზმს. საზღვაო არსებობა (თუმც მკაცრად გამიჯნული მომთაბარეობისაგან) წარმოადგენს მომთაბარეობის ისეთ ექსტრემალურ განვითარებას, რომელიც ახალ ფორმას იძენს იმ მომენტში, როდესაც მთავრდება (მატერიკულ ზღვებზე ცურვიდან დაწყებული, ღია ოკეანეში გადამწყვეტი გასვლით დამთავრებული) სახმელეთო მომთაბარეობის გზა.

უაღრესად საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: გენონი ამტკიცებს, რომ სემიტური ტრადიცია წარმოადგენს არა აღმოსავლურ, არამედ ატლანტურ, დასავლურ და, იმავდროულად, მომთაბარულ ტრადიციას. გენონის აზრით აქედან მომდინარეობს მესაქონლე აბელისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ბიბლიურ თქმულებაში. უფრო მეტიც, გენონი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სოლომონის ტაძრის ასაშენებლად უცხოელი არქიტექტორი იქნა მიწვეული და ამტკიცებს, რომ აქ საუბარია ინდოევროპული ტრადიციის წარმომადგენელზე, რამეთუ საკრალური არქიტექტურის კულტივირება ამ ტრადიციისათვის იყო დამახასიათებელი (ანუ იმ სახლის მშენებლობა, რომელიც შმიტის მიხედვით მიწის ნომოსის საფუძველში დევს). თავად სემიტ-მომთაბარეებს კი განსხვავებული სოციალურ-საკრალური სტრუქტურა ჰქონდათ.

დაბოლოს, აღმოსავლეთთან დაკავშირებით, გენონი ამტკიცებდა, რომ სამყაროს ეს მხარე სხვებზე მეტადაა შეუღლებული ტრადიციასთან, საკრალური არქეტიპების მუდმივობასთან, საწყისებისადმი ერთგულებასთან. წიგნში „აღმოსავლეთი და დასავლეთი", ამ თეზისის დასამტკიცებლად მან მრავალი დეტალური არგუმენტი ჩამოაყალიბა. შეიძლება ითქვას, რომ გენონი აშკარად აკავშირებს აღმოსავლეთს ჩრდილოეთთან, მიიჩნევს რა აღმოსავლეთს საწყისი ჩრდილოური (ნორდიული) ტრადიციის ისტორიულ მემკვიდრედ. სხვათაშორის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის სინათლის კონცეფციების მსგავსების შესახებ, ბრწყინვალე პასაჟები გვხვდება ანრი კორბენთან, ირანული ტრადიციის საუკეთესო თანამედროვე სპეციალისტთან და დიდი სოჰრავარდის მთარგმნელთან.

შევაჯამოთ ჩვენი შენიშვნები. ჩრდილოეთი გაიგივებულია ინდოევროპულ ტრადიციასთან, ბინადრობასთან, ცეცხლისა და ხატის თაყვანისცემასთან, ამას გარდა, ჩრდილოეთი საკრალურად დაკავშირებულია აღმოსავლეთთან. სწორედ ეს ორი ორიენტაცია უნდა მივიჩნიოთ საწყისად მიწის ნომოსისა და მისი ძირითადი ძალოვანი ხაზების განვითარების ისტორიის განხილვის დროს. ამგვარად, ხატების თაყვანისცემლობის დაცვა, ისტორიაში არა დასავლურ, არამედ ჩრდილოურ ან აღმოსავლურ ტენდენციას წარმოადგენს. ეს მიმართულება დამახასიათებელია მთელი ევრაზიისათვის — ინდოეთიდან ირლანდიამდე. იგი ემთხვევა ჩრდილოეთის სინათლის, Nordlicht-ის ისტორიულ ტრაექტორიას, იმ ხალხებისა და კულტურების მდებარეობას, რომლებიც ამ სინათლის მატარებლები არიან. ესენია: დორიული სპარტა, იმპერიული რომი, ზოროასტრული ირანი, ვედური ინდოეთი, ბიზანტია, მართლმადიდებლური რუსეთი, კათოლიკური ირლანდია და ესპანეთი, ეს არის მიწის ნომოსის ბანაკი.

ისტორიის საპირისპირო პოლუსზე, შესაბამისად, იმყოფება სამხრეთი და დასავლეთი, მომთაბარე სემიტები, იკონაკლასტები, თალასოკრატიის, სავაჭრო ცივილიზაციისა და „ტექნოლოგიური ნახტომის" ჩანასახები. გენონი ამ ბანაკს, ალბათ, „ანტიტრადიციული ცივილიზაციის წანამძღვრებსა" და „დიადი პაროდიის მშენებლებს" დაარქმევდა. აუცილებელია, აგრეთვე, გავიხსენოთ გენონის მიერ „რაოდენობის სამეფოში" გამოხატული იდეა, „მსოფლიო კვერცხის"[8] ესქატოლოგიური გათქვეფის, „დისოლუციის" შესახებ, რაც ზუსტად, ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურად ემთხვევა შმიტის მიერ განხილულ ზღვის ტრიუმფს. გენონი, ისევე როგორც შმიტი, ამ გათქვეფას

ტექნიკურ პროგრესს, ლიბერალურ იდეოლოგიასა და ახალი დროის დასავლურ ცივილიზაციას უკავშირებს. ანგლოსაქსური სამყარო, მთლიანობაში, მის უსიამოვნო გრძნობებსა და ძლიერ შეშფოთებას იწვევდა.

დაბოლოს, სემიტური ფაქტორის როლი — დასავლური და მომთაბარული (გენონის თვალსაზრისით), სამხრეთული (თუ სემიტების გავრცელებას ევრაზიული პოზიციიდან შევხედავთ), შეუღლებულია ყველა თალასოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ვაჭრობასა და თავისუფალ გაცვლა-გამოცვლასთან (კართაგენი რომის წინააღმდეგ) დგას კაპიტალიზმის საწყისებთან (რომელსაც აკრიტიკებს როგორც მარქსი, ასევე ზომბარტი), რელიგიურ საკითხებში აქვს ხატმებრძოლური და მტრული დამოკიდებულება ყველაფერი ინდოევროპულის მიმართ (იუდაიზმი და ისლამი); სოლიდარულია კალვინისტური ვერსიის პროტესტანტული მოძრაობისადმი (კალვინიზმის გავრცელება ჰოლანდიაში, ინგლისში, მოგვიანებით ამერიკაში — უპირატესად ოკეანურ სახელმწიფოებში). ბოლოს, განსაკუთრებით აქტიურია ევროპისათვის ტრადიციული მიწის ნომოსის განადგურების საქმეში (რის შესახებაც მრავალჯერ წერდა შმიტი), რაც საბოლოო წერტილს სვამს შესაბამისობათა ჯაჭვში.

ჩრდილოეთი + აღმოსავლეთი, ხატი, ინდოევროპელები, ცეცხლი, სახლი, ბინადრობა, ტრადიცია და ხმელეთი — ეს მიწის ნომოსის ძალებია, კულტურისა და წესრიგის მიმდევარნი, რომლებმაც ტრანსცენდენტული ცეცხლის გამოწვევაზე არიული ტრადიციების „კორიანტელით" უპასუხეს თვით ქრისტიანობამდეც კი.

სამხრეთი + დასავლეთი, იკონოკლაზმი, სემიტური ხალხები, წყალი, ხომალდი, მომთაბარეობა, მოდერნიზმი და ზღვა — ეს არის მიწის უარმყოფელი ძალები, გათქვეფის, რაციონალური ქაოსის აპოკალიფსური ენერგიები, ზღვის ნომოსი. ოკეანის გამოწვევას მათ უპასუხეს იმით, რომ მხარი აუბეს მას და გაილაშქრეს დედამიწისა და იმ უძველესი, თითქმის დავიწყებული პრომეთეული საკითხის წინააღმდეგ, რომელიც წინ უძღოდა დედამიწის ნომოსსა და მთელი კაცობრიობის ისტორიას.

## 16. ცეცხლის ნომოსი

აღმოსავლეთ ბლოკის აღსასრული ზღვის ნომოსის სრულ გამარჯვებას ნიშნავს. ყველა მცდელობა, წინააღმდეგობა გაეწიათ მისი ლოგიკისა და სტრუქტურისათვის მისივე ტექნიკური საშუალებებით, უძლური აღმოჩნდა. საზღვაო ბატალიები ესპანეთმა წააგო. ზღვის ნომოსის მიმართ, ნაწილობრივ ჰაუსჰოფერის ევრაზიული პროექტით შთაგონებული (რომელიც ამ მიზნებისათვის საბჭოთა კავშირის გამოყენებასაც ითვალისწინებდა) ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის (1933-1945) ეკონომიურ-ინდუსტრიული, სტრატეგიული და დოქტრინული წინააღმდეგობა, დასავლეთის ძალითა და ცბიერებით იქნა ჩახშობილი. ტექნოლოგიური ჭიდილი, მარქსიზმის გაკვეთილების გათვალისწინებით, რომელმაც ყველაზე მეტხანს გასტანა, წაგებულ იქნა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების მიერ 60-80-იან წლებში, სამრეწველო რევოლუციის მეორე ეტაპის დასასრულისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოებისაკენ გადასვლის პარალელურად. კაცობრიობის ისტორიის ციკლმა განვლო ბუნების სტატიკური

პოლარობები და დასრულდა. ამის შესახებ გვაუწყა ერთმა იაპონური გვარის ამერიკელმა[9].

ჩვენ შეგვიძლია ხმელეთის, ბეჰემოთის, ევრაზიის, მიწის ნომოსის აბსოლუტური დამარცხების დაფიქსირება. რა თქმა უნდა, მიწის ნომოსი იყო კაცობრიობის წინაშე დასმული ყოფიერების ღია პრობლემის გადაჭრის გზა და არა ამ პრობლემის არსი. ეს იყო პასუხის გარეგნული ფორმა და არა ჰიპერბორეული პასუხის წარმომშობი ცეცხლოვანი სტიქია: მიწას აღარ შეუძლია უპასუხოს ზღვის ნომოსის გამოწვევას, რომელიც გლობალური და ერთადერთია. სამრეწველო რევოლუციის დასასრულმა, გაფანტა იმის ილუზიები, რომ გამოთავისუფლებულ ტექნიკასთან (Entfesselte Technik) პაექრობა შესაძლებელია მისივე დონეზე. აბსოლუტური თალასოკრატიის ეთეროკრატიული სტადია, კოსმოსიდან მიწისაკენ გამოტყორცნილი მზერა, მასზე მოფუთფუთე ყველა არსებას პრინციპულად ერთმანეთის მსგავსად წარმოაჩენს, მათი ფასი მკაცრად პრაგმატულია და მათივე სარგებლიანობის თანასწორი. ცხოვრება რეალურად მოქმედი კაპიტალის ფინანსურ ექვივალენტშია აღრიცხული. გენურ ინჟინერიას გამოჰყავს წიწილები და ადამიანიკლონები, ისევე, როგორც გუშინ იგონებდნენ ორთქლის მანქანას ან საქსოვ დაზგას. ტექნიკა შეიჭრა კაცობრიობის ცხოვრებაში და მისი უმთავრესი ნაწილი გახდა. 1959 წელს შმიტს შეიძლება ჯერ კიდევ ჰქონოდა იმედის ნაპერწკალი, რომ უცებ რაიმე შეიცვლებოდა. საუკუნის ბოლოს კი ასეთი იმედი აღარ არსებობს.

წყლის ტრიუმფმა აპოკალიფსურად შეისრუტა ყველა სტიქია და ყველა ისტორიული ფორმა. მან ისინი უბრალოდ კი არ გაანადგურა, არამედ მოახდინა მათი გარდაქმნა თავისი ცივილიზაციური გეოპოლიტიკის პაროდიულ ალქიმიაში. ოქრომ (ფულმა), ამ უნივერსალურმა გამხსნელმა და ზღვის ძალების ტექნიკურმა გამომგონებლობამ, კაცობრიობა კონტროლირებად ბიომასად გადააქცია. მაგრამ დარჩა რაღაც ისეთი, რაც არ ექვემდებარება ამ გლობალურ პროცესს.

ეს არის ცეცხლი.

სწორედ იგი — გაწმენდილი თავისი ბუნებრივი, კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური დანაშრევებისაგან, რომელიც მან შეიძინა ისტორიაში მოგზაურობის განმავლობაში — ამჟამად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება, იმ კომპრომისულ მდგომარეობასთან შედარებით, როდესაც იგი მხოლოდ მიწის ნომოსს, ხმელეთის წესრიგს წარმოადგენდა. მხოლოდ ახლა ხდება ნათელი მისი თავდაპირველი გამოწვევის სტრუქტურა, რადგან მხოლოდ ახლა მჟღავნდება მთელი ისტორიული მოცულობით ის, რისკენაც ეს გამოწვევა იყო მიმართული. კითხვის ნიშნის ქვეშ კი, არც მეტი არც ნაკლები, ადამიანი დგას. რაგვარად არის იგი ისტორიული? რაგვარად არის იგი ბუნებრივი? რამდენად დაემორჩილა იგი მისი ბუნებრივი ქსოვილის შემადგენელ სტიქიებს (ნუთუ მთლად ზოგადსახეობრივ რაციონალობამდე)? რამდენად შესძლო მან შეენარჩუნებინა ერთგულება თვალუხილავი ტრანსცენდენტური განზომილების მიმართ? და რამდენია, ბოლოსდაბოლოს, მასში ცეცხლი? თუ ის მთლიანად მხოლოდ წყალია?

## განმარტებები

### წინასიტყვაობა

(1) **პოზიტივიზმი** — (ლათ. positivus — დადებითი) — ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ჭეშმარიტი, ნამდვილი ცოდნის ერთადერთ წყაროდ აცხადებს კონკრეტულ (ემპირიულ) მეცნიერებებს და უარყოფს ფილოსოფიური კვლევის შემეცნებით ღირებულებას.

პოზიტივიზმის დამაარსებელი იყო ოგიუსტ კონტი (1798-1857), რომელმაც პირველმა შემოიღო ტერმინი „პოზიტივიზმი".

პოზიტივიზმის წარმოშობა განაპირობა კლასიკური (მაგ. გერმანული) იდეალიზმის უუნარობამ გადაეჭრა მეცნიერებათა განვითარების შედეგად დასმული ფილოსოფიური პრობლემები. პოზიტივიზმი მეორე უკიდურესობაში გადავარდა და სრულიად უარყო თეორიული ჭვრეტა, როგორც ცოდნის მიღების საშუალება. წინამორბედი ფილოსოფიის პრობლემები, ცნებები და დებულებები (ყოფიერების, არსების, მიზეზის და ა. შ. შესახებ), რომლებიც მათი მეტისმეტი აბსტრაქტულობის გამო არ შეიძლება გადაწყვეტილ ან შემოწმებულ იქნას ცდით, პოზიტივიზმმა გამოაცხადა მცდარად ან აზრს მოკლებულად. თვითონ პოზიტივიზმი პრეტენზიას აცხადებდა პრინციპულად ახალი, „არამეტაფიზიკური" („პოზიტიური") ფილოსოფიის წოდებაზე, რომელიც აიგებოდა ემპირიულ მეცნიერებათა მსგავსად და იჭნებოდა მათი მეთოდოლოგია, რომელიც გარკვეულ მიმართებებში უკიდურეს ლოგიკურ დასკვნებამდეა მიყვანილი, რადგან მისთვის ყოველგვარი ცოდნა ემპირიული ცოდნაა ამა თუ იმ ფორმით, ამიტომ არავითარი ჭვრეტა არ შეიძლება იყოს ცოდნა. მაგრამ თვითონ პოზიტივიზმმა ვერ შეძლო აეცილებინა წინა ფილოსოფიური მიმდინარეობის ბედი, რადგან მისი მთავარი დებულებები (გონებაჭვრეტითობის უარყოფა, ფენომენალიზმი და სხვ.) არ ექვემდებარებოდა ცდისეულ შემოწმებას და, მაშასადამე, „მეტაფიზიკური" აღმოჩნდა („მთაწმინდელი").

(2) **გეოპოლიტიკური დუალიზმი** — (ლათ. duo — ორი) — გეოპოლიტიკური ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ხმელეთისა და წყლის სტიქიებს მიიჩნევს თანაბარმნიშვნელოვან საწყისებად და ისტორიული პროცესის მამოძრავებელ -ძალად სახმელეთო (თელეოკრატიისა) და საზღვაო (თალასოკრატიის) მმართველობის წინააღმდეგობას განიხილავს („მთაწმინდელი").

(3) **mutatis mutandis** — (ლათ.) — სათანადო ცვლილებების, შესწორებების შეტანით („მთაწმინდელი").

### შესავალი

(1) გეოპოლიტიკასა და მარქსიზმს შორის აშკარა მსგავსებაზე მიუთითებდა კარლ კორში, 1943 წელს, თავის წიგნში „გეოპოლიტიკოსების ისტორიული შეხედულებები": „(...) გეოპოლიტიკოსების ახალი მატერიალიზმი ისეთივე კრიტიკული, აქტივისტური და იდეალისტური (სიტყვის ტრადიციული გაგებით) სასიათის მატარებელია, როგორსაც ატარებდა მარქსის ე. წ. ისტორიული მატერიალიზმი ადრეულ პერიოდში... ისევე, როგორც მარქსიზმი, რომელიც დღეს საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების გეგმაზომიერი კონტროლისაკენ მიისწრაფვის, ასევე, დღევანდელი „პაუსპოფერიზმი" შეიძლება განისაზღვროს, როგორც სივრცეზე პოლიტიკური კონტროლის მცდელობა". ციტატა მოყვანილია New Essaus მიხედვით. ტ. 6, 1943, გვ. 8-17.

(2) **რედუქცია** — (ლათ. reduqtio — დაბრუნება, უკან მოყვანა) — მეთოდოლოგიური ხერხი, რომელიც ზოგიერთ მონაცემს, ამოცანას აძლევს ანალიზისა თუ გადაწყვეტისათვის მოსახერხებელ სახეს, აგრეთვე, აღადგენს ძველ მდგომარეობას, რთულს დაიყვანს უფრო მარტივზე. მას იყენებენ ლოგიკაში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში, ენათმეცნიერებაში და ა. შ. რედუქციის აბსოლუტიზაცია მიდის რედუქციონიზმამდე, რომელიც ამტკიცებს, რომ შესაძლებელია დიდი მოვლენების ბოლომდე დაყვანა მცირე განმსაზღვრელებზე („მთაწმინდელი").
(3) **მონდიალიზმი** — ფრ. monde-დან „მსოფლიო" („world"-ის და არა „peace"-ის მნიშვნელობით) — განსაკუთრებული იდეოლოგია, რომელიც ყველა სახელმწიფოსა და ხალხების ერთ მსოფლიო წარმონაქმნში შერწყმას გულისხმობს მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებით, რომელსაც თან ახლავს რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ნაციონალური და კულტურული საზღვრების განადგურება. არსებობს „მემარჯვენე" და „მემარცხენე" მონდიალიზმი. მემარჯვენე ატლანტიზმის გლობალიზაციას წარმოადგენს. მემარცხენე აუცილებლად მიიჩნევს ევრაზიული სექტორის ჩართვას (ამა თუ იმ საფუძველზე) ერთიან სახელმწიფოში („მთაწმინდელი").
(4) **ultimo ratio** — (ლათ.) — უდაო ბეშმარიტება („მთაწმინდელი").

## ნაწილი 1

(1) **ორგანიზმი** — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც საზოგადოების სოციალური სტრუქტურის აღნიშვნას ცდილობს ბიოლოგიური ორგანიზმის სტრუქტურის მოშველიებით („მთაწმინდელი").
(2) **ევოლუციონიზმი** — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სპენსერმა (1820-1903). ევოლუციონიზმი (ევოლუციური ეთიკა) ადამიანის მორალურ ქცევას განიხილავს, როგორც გარემოსთან შეგუების ფუნქციას. ზნეობრიობის კრიტერიუმად ითვლება განვითარების პროცესი (ევოლუცია), რომელიც მთელ ცოცხალ სამყაროს მოიცავს. ის, რაც ხელს უწყობს მის პროგრესს, არის სიკეთე, ხოლო ის, რაც საწინააღმდეგოდ მოქმედებს ბოროტებაა. ადამიანები მორალურ წარმოდგენებს და ცნებებს გამოიმუშავებენ ბუნებრივ და სოციალურ მოვლენებში საორიენტაციოდ. თვით საზოგადოება კი მხოლოდ ერთი, განსაკუთრებული, სახის ბუნებრივი ასოციაციის ფორმაა. ბოლო წლებში ცდილობდნენ ევოლუციური ეთიკის გენეტიკურ დასაბუთებას, რაც გამოვლინდა სოციობიოლოგიურ კონცეფციებში (ე. უილსონი და სხვ.), რომლებშიც ხდება ეთიკის ევოლუციურ-გენეტიკური წინამძღვრების მნიშვნელოვანი ჰიპერტროფირება („მთაწმინდელი").
(3) **დარვინი ჩარლზ რობერტ** (1809-82) — ბუნების ინგლისელი მკვლევარი, ევოლუციური თეორიის (დარვინიზმის) შემქმნელი. განაზოგადა თანამედროვე ბიოლოგიისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მონაცემები, აგრეთვე, ფაქტობრივი მასალა, რომელიც შეკრიბა დედამიწის გარშემო მოგზაურობისას (1831-36). გააკეთა დასკვნა ბუნებრივი გადარჩევის გზით ცოცხალი ბუნების ევოლუციური განვითარების შესახებ. ნაშრომში „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით ანუ უკეთესშემგუებელ ჯიშთა გადარჩენა სიცოცხლისათვის ბრძოლაში" (1859) ჩამოაყალიბა თავისი თეორიის ძირითადი დებულებები. წიგნში „მოშინაურებული ცხოველები და მცენარეთა დამუშავება" (1868) დარვინმა შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა წარმოშობა ახსნა ხელოვნური გადარჩევის გზით. ნაშრომში „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი გადარჩევა" (1871) ამტკიცებდა, თუ როგორ წარმოიშვა ადამიანი წინაპარი ცხოველისაგან („მთაწმინდელი").

(4) იხილეთ Friedrich Ratzel „Politische Geographie“ 1887 „Einleitung“.
(5) ფერდინანდ ტენისი — გერმანელი სოციოლოგი (1855-1936) („მთაწმინდელი“).
(6) იხილეთ Ibidem.
(7) პროზელიტიზმი — თავის სარწმუნოებაზე სხვების მოქცევის მისწრაფება („მთაწმინდელი“).
(8) იხილეთ Friedrich Ratzel „Ueber die Gesetze des raeumlicher Wachstum der Steeten“ 1901.
(9) იხილეთ Friedrich Ratzel „Das Meer als Quelle der Voelkergroesse“, 1900.
(10) იხილეთ Rudolf Kjellen „Die Staat als Lebensform“, 1916.
(11) იხილეთ Ibidem.
(12) იხილეთ Ibidem.
(13) თეოდორ დოსტოევსკი — რუსი მწერალი. დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი (1843). მისი პირველი ნაწარმოები იყო „საბრალო ადამიანები“ (1846). დოსტოევსკის მთავარი რომანებია „დანაშაული და სასჯელი“ (1866), „იდიოტი“ (1868), „ეშმაკნი“ (1871-72), „ყმაწვილი“ (1875), „ძმები კარამაზოვები“ (1879-80). ეწეოდა ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ძმასთან ერთად გამოსცემდა ჟურნალებს „ვრემია“ (1861-63), „ეპოხა“ (1864-65), რედაქტორობდა რეაქციულ ჟურნალ-გაზეთს „გრაჟდანინ“ (1873-74).
(14) იხილეთ Fridrich Naumann „Mitteleuropa“, 1915.
(15) არნდტი ერნესტ მორის — გერმანელი პოეტი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი (1769-1860) („მთაწმინდელი“).
(16) Halford Mackinder „Geographical Pivot of History“ in „Geograghical Journal“. 1904. რუსული თარგმანი ჟურნალში „"лементы. Евроазийское обозрение“. 1996 №7, გვ. 26-31.
(17) H. Mackinder „Democratic ideals and reality“, New York. 1919.
(18) იხილეთ გვ. 31 „"лементы“, №7, op.cit.
(19) იხილეთ გვ. 31 „"лементы“, №7, op.cit.
(20) აქ ძალიან მნიშვნელოვანია იმის გახსენება, რომ 1917 წელს ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ზავი გერმანიასთან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყო გეოპოლიტიკური მოსაზრებებით და შეიძლება რუსეთის შიდა სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით („მთაწმინდელი“).
(21) იხილეთ H. M. „Democratic ideals and reality“, op.cit.
(22) იხილეთ Halford Mackinder „The Round Planet and the winning of the peace“, 1943.
(23) იხილეთ Ibidem.
(24) იხილეთ H. M. „Democratic ideals and reality“, op.cit.
(25) ოიკუმენე — ბერძნ. oikumene < oikeo — ვბინადრობ, დავასახლებ, ჩავასახლებ — დედამიწის იმ არეალების ერთობლიობა, რომლებიც ძველი ბერძნების წარმოდგენით დასახლებული იყო ადამიანებით. ასეთებად მიაჩნდათ ევროპა (ჩრდილოეთის გამოკლებით), წინა აზია, ინდოეთი და ჩრდილოეთი აფრიკა („მთაწმინდელი“).
(26) იხილეთ Alfred Mahan „The influence of Sea Power in history (1660-1783)“, 1890; რუსულად მეხენი „Влияние морской силы на историю (1660-1783)“, М.-Л. 1941.
(27) იხილეთ Alfred Mahan „The influence of sea power upon the French revolution and empire (1793-1812)“, Boston, 1892; А. Мехен „Влияние морской силы на Французскую Революцию и Империю (1793-1812)“, М.-Л. 1940.
(28) იხილეთ Alfred Mahan „The interest of America in Sea Power“, 1897.
(29) იხილეთ Alfred Mahan „Problem of Asia and its effects upon international politics“, 1900.

(30) იხილეთ Alfred Mahan „The Sea Power in its relations to the war" Boston, 1905.
(31) იხილეთ Alfred Mahan „The influence of Sea Power in history (1660-1783)", op. cit.
(32) იხილეთ Ibidem.
(33) იხილეთ Albert K. Weinberg "Manifest Destiny", Baltimore, 1935.
(34) იხილეთ Halford Mackinder „Geographical Pivot of History", op. cit.
(35) იხილეთ Alfred Mahan „The interest of America in Sea Power", op. cit.
(36) Vidal de la Blache "Tableau de la Geographie de la France", Paris, 1903.
(37) იხილეთ Vidal de la Blache "Principes de geographie humaine", Paris, 1921.
(38) Nicholas Spykman "Geography of peace" 1942.
(39) იხილეთ Ibidem.
(40) N. Spykman "America·s Strategy in World Politics" (1942).
(41) Op. sit.
(42) Karl Haushofer "Dai Nihon", Munich, 1913.
(43) Karl Haushofer "Kontinentalblocke: Mitteleuropa _ Eurasia _ Japon" in "Ausgewaehlte Texte zur Geopolitik", Boppard am Rhein, 1979; по русски в ""лементи" №7, op. cit, გვ. 32-36.
(44) Carl Schmitt "Der Nomos der Erde", Koeln, 1950.
(45) Carl Schmitt "Land und meer", Leipzig, 1942.
(46) Carl Schmitt "Politische Theologie", Mynchen-Leipzig, 1922.
(47) Carl Schmitt "Das Begriff des Politischen", Berlin-Grunewald, 1928; რუსულად კარლ შმიტი "Понятие политического" в "вопроси Социологии", მოსკოვი, 1992 б ტომი 1, №1.
(48) Carl Schmitt "Theodor Daueblers "Nordlicht". Drei Studien ueber die Elemente, den Geiste und die Aktualitaet des Werkes", Muenchen, 1916.
(49) Carl Schmitt "Der Nomos der Erde", op. cit.
(50) Carl Schmitt "Die planetarische Spannung zwischen Ost und West", 1959 in "Schmittiana _ III" von prof. Piet Tommissen, Brussel, 1991; რუსულად კარლ შმიტი "Планетарная напряженность между Востоком и Западом" в ""лементи", 1997, №8.
(51) Carl Schmitt "Raum und Grossraum im Volkerrecht", 1940; ციტატა მოყვანილია Julien Freund "Les lignes de force de la pensee politique de carl Schmitt" dans "Nouvelle Ecole", №44, Paris, 1987.
(52) Ibidem.
(53) **Jus bellum** — ლათ. — ომის კანონები („მთაწმინდელი").
(54) Carl Schmitt "Staatliche Souveraenitaet und freies Meer" in "Das Reich und Euripa", Leipzig, 1941.
(55) სოტერიოლოგიური — (ბერძ. soterio — ხსნა, ცხონება და logos სწავლება) — საეკლესიო სწავლება მართალთა მიერ საიქიო ცხოვრებაში მარადიული ნეტარების დამკვიდრების შესახებ. წარმოადგენს ღვთისმეტყველების ნაწილს, რომლის ძირითადი შინაარსია ცხონებისათვის საჭირო პირობების დასაბუთება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია შეუორგულებელი, ურყევი რწმენა და ეკლესიის განჩინებათა აღსრულება. ორთოდოქსული სოტერიოლოგია შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ მართლმადიდებლობის მიმდევართა ცხონებას („მთაწმინდელი").
(56) Петр Савицкий "Географические и геополитические основы евразийства" в ""лементи", №3, გვ. 51-54.
(57) П. Н. Савицкий "Степь и Оседлость" в "На путях: Утверждение евразийцев", Берлин, 1922, გვ. 341-356.

(58) Ibidem
(59) Ibidem
(60) П. Н. Савицкий "Географический обзор Росии-Евразии" в сборнике "Мир Росии – Евразия", 1926, გვ. 219-232
(61) Ibidem
(62) Ibidem
(63) **უტილიტარიზმი** – (< ლათ. utilitas – სარგებლობა) – ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის ზნეობას (მორალს) საფუძვლად უდევს სარგებლიანობის პრინციპი („მთაწმინდელი").

## ნაწილი 2

(1) **კონვერგენცია** – (< ლათ. convergens (convergentis)) – რაც ემთხვევა რასმე, ამ შემთხვევაში ინტეგრაცია, გაერთიანება („მთაწმინდელი").
(2) D. W. Meining „Heartland and Rimland in History" in „West Politics Quarterly", IX, 1956 გვ. 553-569
(3) Ibidem
(4) W. Kirk „Geographical Pivot of History", Leicaster Universal Press, 1965
(5) S. B. Cohen „Geography and politics in a divided world", New York, 1963
(6) **დისკონტინუალური** – (ინგლ. discount) – პროცენტი, რომელსაც იკავებენ თამასუქის განაღდების დროს. **დისკონტინუალური სარტყელი** – კოენის ტერმინი. დანაწევრებული სანაპირო ზონები გაურკვეველი ვარიაბელური ორიენტაციით, რომელთაც შეუძლიათ წავიდნენ, როგორც თელეოკრატიული ხმელეთის, ასევე, თალასოკრატიული ზღვის მიმართულებით („მთაწმინდელი").
(7) Ibidem
(8) Linkage – ინგლ. შეკრება („მთაწმინდელი").
(9) Colin S. Gray „The Geopolitics of the Nuclear Era", N. Y., 1977
(10) **გეოპოლიტიკური მუდმივა** – გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც მუდმივად არსებობს და არ არის დამოკიდებული სახელმწიფოთა, ეთნოსთა და ა. შ. პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებებზე, რადგან განპირობებულია გეოპოლიტიკური (სტიქიების, კონტინენტების და ა. შ.) და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირებით („მთაწმინდელი").
(11) **სტატუს ქვო** – (ლათ. status quo) – რაიმე გარკვეულ მომენტში არსებული მდგომარეობა („მთაწმინდელი").
(12) **დისუაზიური** – (ლათ. dissuadere გადარწმუნება (ანტონიმი ზმნისა persuadere დარწმუნება)) – გადამრწმუნებელი („მთაწმინდელი").
(13) **რელატივიზაცია** – (ლათ. relativus) – შეფარდება, შეფარდებითი, ფარდობითობა („მთაწმინდელი").
(14) Samuel Huntington „Clash of civilisations" in „Foreign Affairs", summer 1993, გვ 22-49;
(15) **დესეკულარიზაცია** – (ლათ. de თავსართი – მოცილება, დაშორება, შეცვლა; saecularis – საერო – ადამიანების სულიერი ღირებულებების მიმართ ინტერესის გააქტიურება. საერო, სამოქალაქო გავლენიდან საეკლესიო, სასულიერო გავლენის ქვეშ გადასვლა („მთაწმინდელი").
(16) Ibidem გვ. 25
(17) Ibidem გვ. 39
(18) Ibidem გვ. 49

(19) ციტატა მოყვანილია Paul-Marie de la Gorce „Washington et la Maitrise du Monde", „Monde Diplomatique", 1992, აპრილი № 457.
(20) ლესინგი გოტჰოლდ ეფრაიმ (1729-81) — გერმანელი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, დრამატურგი, კრიტიკოსი და ხელოვნების თეორეტიკოსი („მთაწმინდელი").
(21) ეს:ქატოლოგია — (ბერძ. eschatos უკანასკნელი და logos მოძღვრება) — მოძღვრება მსოფლიოსა და ადამიანის საბოლოო ბედზე; წარმოადგენს ბევრი რელიგიის (მათ შორის ქრისტიანობის) შემადგენელ ნაწილს („მთაწმინდელი").
(22) უნიფიკაცია — (ლათ. unus ერთი და facio ვაკეთებ) — საერთო ნორმაზე დაყვანა, გაერთნაირება. სხვათაშორის ის ტენდენცია, რომ ყველა ქვეყანა გააერთნაიროს, ანუ „ერთ თარგზე გამოჭრას" ყველა ქვეყნის არა მარტო პოლიტიკური, არამედ სოციალურ-კულტურული ცხოვრება, ახასიათებს არა მარტო ყოფილ საბჭოთა იდეოლოგიას (როგორც ეს ჩვენთან ბევრს ჰგონია), არამედ თანამედროვე ე. წ. დემოკრატიულ იდეოლოგიასაც, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა საკითხის „მის დემოკრატიულ თარგზე" მოჭრას ცდილობს („მთაწმინდელი").
(23) ზბიგნევ ბჟეზინსკი — ამერიკელი გეოპოლიტიკოსი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ გავითარებულ ევრაზიულ პროცესებში. ამ ბოლო ხანებში იგი იმითაც გახდა ჩვენთვის ცნობილი, რომ ოფიციალურად განაცხადა: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დადგა მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც დემოკრატიის ყველაზე დიდი მტრის (ხაზგასმა ჩვენია „მთაწმინდელი") წინააღმდეგ ბრძოლის ჯერი" („მთაწმინდელი").
(24) პაციფიზმი — < ლათ. pacifikus დამწყნარებელი, დამშოშმინებელი — მიმდინარეობა, რომელიც ილაშქრებს ყოველგვარი ომების, მათ შორის სამართლიანი (მაგ.: ეროვნულ-განმათავისუფლებელი) ომების წინააღმდეგ („მთაწმინდელი").
(25) Jack Attali „Lignes d·horizon", Paris, 1990
(26) იხილეთ Prof. Carlo Santoro „Progetto di ricarca multifunzionale 1994-1995 — I nuovi poli geopolitici", Milano
(27) Yves Lacosta „Dictionnaire Geopolitique", Paris, 1986
(28) Andre Siegfried „Tableau politique de la France de l·Ouest sous la Troisieme Republique", Paris, 1913
(29) Alain de Benoist „Les idess a l·endroit", paris, 1979
(30) Jean Thiriart „L·Empire Eurosovietique de Vladivostok jusque Dublin", Brussell, 1988
(31) Jordis von Lohausen „Mut zur Mact. Denken in Kontinenten", Berg, 1978
(32) Ibidem
(33) Jean Parvulesco „Galaxie GRU", Paris, 1991
(34) Robert Steukers „La Russie, L·Europe et L·Occident" dans „Orientation" №4 nov.-dec. 1983
(35) Carlo Terracciano „Nel Fiume della Storia" in „Orion", Millano, " 22-30, 1986-1987
(36) პასიონი — ფრანგ. passion < ლათ. passio — ვნება, ტანჯვა; „ვნებანი" („მთაწმინდელი").
(38) Л. Гумилев „"тногенез и биосфера земли", Ленинград, 1990.
(39) Francoise Thome „Eurasisme et Neo-Eurasisme" dans „Commentaire", ete 1994, №66

## ნაწილი 4

(1) რურიკი — სინეუსი — ტრავორი — რუსულ მატიანეთა მიხედვით, სამი ძმა, ვარიაგთა რაზმების მეთაურები, რომლებიც თითქოს და ნოვგოროდის სლოვენებმა

მოიწვიეს ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად და რომლებმაც დაარსეს ძვ. რუსული სახელმწიფო. ამ ვერსიის თანახმად, რიურიკი ნოვგოროდში იჯდა, სინეუსი ბელოზეროში, ტრავორი იზბორსკში. ძმების სიკვდილის შემდეგ რიურიკი ერთმმართველი გახდა. ზოგიერთი მეცნიერი რიურიკს მიიჩნევს ჩინორულ დანიელად, რაც IX საუკუნეში ვარიაგთა რაზმებით ხშირად ლაშქრობდა. დასავლეთ ევროპაში. არის მოსაზრება, რომ სინეუსი და ტრუკორი საერთოდ არ არსებობდნენ და რიურიკი სლავების მიწაზე სახლეულთა („სინე-ჰუს") და ერთგული რაზმით („ტრიუ ვორინგ") მოვიდა. მატიანეს მიუხედავად, რიურიკი ითვლება რუს მთავართა დინასტიის ფუძემდებლად. რიურიკის მოწვევის ვერსია საფუძვლად დაედო რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობის ანტიმეცნიერების „ნორმანულ თეორიას" („მთაწმინდელი").

(2) უტილიტარიზმი — < ლათ. utilitas სარგებლობა — ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის მორალს საფუძვლად უდევს სარგებლიანობის პრინციპი. მისწრაფება იმისაკენ, რომ ყველაფერში ნახონ სარგებლობა, გამორჩენენ რესმე („მთაწმინდელი").

(3) დეტერმინიზმი — ლათ. determino განვსაზღვრავ — მატერიალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყველა მოვლენა აუცილებელი მიზეზობრივი კავშირით არის განპირობებული („მთაწმინდელი").

(4) ტელეოლოგია — ბერძ. teleios მიზანს მიღწეული და logos მოძღვრება — იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყოველი განვითარება არის წინასწარგანსაზღვრული მიზნის განხორციელება („მთაწმინდელი").

(5) უნიფიკაცია და უნიფიცირება — ლათ. unus ერთი და facio ვაკეთებ — საერთო ნორმაზე დაყვანა; გაერთიანება („მთაწმინდელი").

(6) ვოლუნტარიზმი — < ლათ. voluntarius ნებისყოფისა — 1. (ფილოს.) იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ყოველივე არსებულის, მთელი სინამდვილის განვითარების საფუძველს ნებისყოფა წარმოადგენს; უარყოფს ობიექტურ კანონზომიერებას და აუცილებლობას. 2. პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში: თვითნებური, სუბიექტივისტური გადაწყვეტილებები, რომლებიც უგულებელყოფენ ობიექტურად არსებულ პირობებსა და კანონზომიერებებს („მთაწმინდელი").

(7) ავტარკია — ბერძ. autarkeia თვითდაკმაყოფილება, დამოუკიდებლობა — ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იმპორტის შეზღუდვას და, ამავე დროს, ექსპორტის განვითარებას. ქვეყნების მისწრაფება სარესურსო დამოუკიდებლობისაკენ; თვითკმარობა, თვითუზრუნველყოფა („მთაწმინდელი").

(8) რესტიტუცია — ლათ. restitucio — ძველი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა; ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის იმ ქონების დაბრუნება, რომელიც ომის დროს უკანონოდ იყო მიტაცებული („მთაწმინდელი").

(9) ყალმუხები — (საკ. სახელმწიფო — სალმგი) — ხალხი (რუსული სახელწოდებაა „КАЛМЫК"), ცხოვრობენ ძირითადად ყალმუხეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აგრეთვე, ასტრახანის, ვოლგოგრადის, როსტოვის ოლქებსა და სტავროპოლის მხარეში. საერთო რაოდენობა რუსეთის ფედერაციაში 147 ათ. კაცი (1979 წ.). ლაპარაკობენ ყალმუხურ ენაზე. რელიგია — ლამაიზმი. მათი წინაპრები იყვნენ ცენტრალურ აზიაში მცხოვრები ოირათები. XVI-ს დასასრულს და XVI ს-ის I მესამედში მოხდა ოირათების ნაწილის გადაადგილება რუსეთში. ვოლგის ქვემო დინებისა და კასპიისპირეთისაკენ. მიგრაციის პროცესში, თანამედროვე ტერიტორიების ათვისების დროს, მოხდა ყალმუხების ხალხად ჩამოყალიბება. ძირითადი ბირთვი იყო ოირათები, აგრეთვე, თურქები, რუსები. და სხვა ეთნიკური კომპონენტები. 1918 წ. დამკვიდრდა საბჭოთა წყობილება. 1920 წ. შეიქმნა ყალმუხეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1935 წ.

გადაკეთდა ყალმუხეთის ასსრ-დ. წარსულში ყალმუხების ძირითადი საქმიანობა იყო მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე მესაქონლეობა. ნაწილი თევზჭერას მისდევდა („მთაწმინდელი").

(10) ისტებლიშმენტი — ინგლ. establishment — ა. შ. შ-სა და დიდ ბრიტანეთში: საზოგადოების მმართველი, პრივილეგირებული ჯგუფები; ხელისუფლებისა და მმართველობის მთელი სისტემა („მთაწმინდელი").

(11) ეს საკითხი, რომელიც ასე მნიშვნელოვანი და საინტერესოა ჩვენთვის, ალ. დუგინს ძალიან ზერელედ და ბუნდოვნად აქვს განხილული, რაც ჩვენი აზრით იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ იგი, ჯერჯერობით, მასაც კი არ აქვს კარგად ჩამოყალიბებული (ეს კიდევ უფრო კარგად ჩანს მომდევნო თავებში), ჩვენ ვფიქრობთ, რომ სომხეთი კავკასიაში ვერ შეასრულებს წამყვანი სახელმწიფოს როლს, რადგან მისი მდებარეობა იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც წარმოადგენს მოხერხებულ პლაცდარმს წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთზე რუსეთის პოლიტიკური ზეწოლისათვის (ეს ფაქტი ალ. დუგინს აღნიშნული აქვს მომდევნო თავებში), ხოლო კავკასიაში მისი წონა არც ისე დიდია და არც ისეთი „დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მიწები" უკავია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. თუმცა ფაქტია ისიც, რომ ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რათა იგი მუდმივად იყოს დესტაბილიზაციის ცენტრი კავკასიაში („მთაწმინდელი").

(12) პროფანაცია — ლათ. profanatio — უპატიური, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული მოვლენის მიმართ, მისი დამცირება, შებღალვა („მთაწმინდელი").

(13) დემპინგი — ინგლ. dumping — საქონლის გაყიდვა უცხოეთის ბაზარზე შინაგანი ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც („მთაწმინდელი").

(14) სინკრეტიზმი — ბერძ. synkretismos გაერთიანება — შერწყმულად არსებობა, დაუნაწევრებლობა, რაც რაიმე მოვლენის განვითარების საწყის საფეხურებზე გვხვდება („მთაწმინდელი").

(15) ფრიდრიხ ლისტი (List) — გერმანელი ეკონომისტი (1789-1846) („მთაწმინდელი").

(16) სისმონდი (Sismond) ჟან შარლ ლეონარ სიმონდ დე — შვეიცარიელი ეკონომისტი (1773-1842) („მთაწმინდელი").

(17) შუმპეტერი (Schumpeter) იოზეფ — ეკონომისტი და სოციოლოგი; მოღვაწეობდა ავსტრიაში, გერმანიასა და აშშ-ში (1883-1950) („მთაწმინდელი").

(18) დიუმონ დიურვილი (Dumont d'Urville) ჟიულ სებასტიენ სეზარ — ფრანგი ზღვაოსანი და ოკეანოგრაფი (1790-1842) („მთაწმინდელი").

## ნაწილი 5

(1) მღიერი — (ქარაგოზები) — ანუ ლიქენები, თავისებური ჯგუფი მცენარეებისა, რომლებიც შედგება სოკოსა და წყალმცენარისგან. პირველნი სახლდებიან უნაყოფო მიწაზე. განსაკუთრებით ბევრია ტუნდრასა და ტაიგის ტყეებში.

(2) ნენი — რუს. ненец — ამჟამად პოლიტიკურ მიმოხილვებში ეს რეგიონი ხშირად იხსენიება „ნენეცის" სახელით, ქართულად მისი სწორი ფორმაა „ნენი", რის გამოც ჩვენ ყველგან ამ ფორმას ვიყენებთ („მთაწმინდელი").

(3) ბრევენციული — (< ლათ. praeventus) — ომი, რომელსაც მიმართავენ აგრესორები ვითომდა მოწინააღმდეგე მხარის თავდასხმისაგან თავის დაცვის, მისთვის დასწრების მიზნით („მთაწმინდელი").

(4) ნეშანიები — სამეფო დინასტია სერბეთში (XII საუკ. II ნახ.—1371) („მთაწმინდელი").

(5) უნია — ლათ. unio — გაერთიანება, კავშირი; კათოლიკური და ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით („მთაწმინდელი").
(6) ჰუსი (Hus) იან — ჩეხი ხალხის ეროვნული გმირი, მოაზროვნე, ჩეხეთის რეფორმაციის იდეოლოგი (1371-1415) („მთაწმინდელი").
(7) დაკები — ((ლათ. Daci) თრაკიული ტომის ნაწილი ცხოვრობდნენ დუნაის ჩრდილოეთით კარპატების მთების განშტოებამდე, ახლანდელი ტრანსილვანის ტერიტორიაზე (რუმინეთი)). ბერძნული წყაროებით მოიხსენიებენ ძვ. წ. V-ს დან. მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას, იცოდნენ მეთუნეობა და მეტალურგია, ვაჭრობდნენ ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან. სარგებლობდნენ ბერძნული, მაკედონური და რომაული ტიპის სამონეტო სისტემით.

რომაელებმა პირველად ავგუსტიუსის ნერონის დროს (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს) სცადეს დაკების დამორჩილება. ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. იმპერატორი ტრაიანეს მართველობისას 101-102 და 105-106 წწ. ომები დაკების დამარცხებით და მათი მთავარი ქალაქის სირმიზუ გეტუზას დაცემით დამთავრდა, დეცებალუსმა (დაკების ბელადი) თავი მოიკლა. დაკია რომის პროვინციად გამოცხადდა. დაკიაზე გამარჯვების აღსანიშნავად ტრაიანემ რომში 39 მ სიმაღლის სვეტი აღმართა („ტრაიანეს სვეტი") ომის ეპიზოდის რელიეფებით („მთაწმინდელი").

## ნაწილი 6

(1) შეგახსენებთ, მართლმადიდებლები მიიჩნევენ, რომ სულიწმიდა მხოლოდ „მამისაგან გამოვალს" (თომცა კი ძისაგან ხდება მისი შეცნობა), ხოლო კათოლიკეები ამტკიცებენ, რომ სულიწმიდა ძისაგანაც გადმოდის, „filioque" ლათინურად აღნიშნავს „და ძისაგან".
(2) პროვიდენციალიზმი — < ლათ. providentia განგება — რელიგიურ-იდეალისტური შეხედულება, რომელიც ცდილობს ისტორიული მოვლენები ახსნას არა მათი შინაგანი კანონზომიერებით, არამედ განგების ძალით („მთაწმინდელი").
(3) სოტერიოლოგიური — (ბერძ. soterio — ხსნა, ცხონება და logos სწავლება) — საეკლესიო სწავლება მართალთა მიერ საიქიო ცხოვრებაში მარადიული ნეტარების დამკვიდრების შესახებ. წარმოადგენს ღვთისმეტყველების ნაწილს, რომლის ძირითადი შინაარსია ცხონებისათვის საჭირო პირობების დასაბუთება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია შეუორგულებელი, ურყევი რწმენა და ეკლესიის განჩინებათა აღსრულება. ორთოდოქსული სოტერიოლოგია შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ მართლმადიდებლობის მიმდევართა ცხონებას („მთაწმინდელი").
(4) ესქატოლოგია — ბერძ. eschatos უკანასკნელი და logos მოძღვრება — მოძღვრება მსოფლიოს და ადამიანის საბოლოო ბედზე; წარმოადგენს ბევრი რელიგიის (მათ შორის ქრისტიანობის) შემადგენელ ნაწილს („მთაწმინდელი").
(5) აპოფატიკური — < ბერძ. apophatikos უარყოფითი — უხილავობა, შეუცნობლობა, მიუწვდომლობა (იესო ქრისტეს ეპითეტი) („მთაწმინდელი").
(6) თომა აქვინელი (1225-1274) — შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით ვრცლად დასავლურ სამყაროში დამკვიდრებული ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ მიმდინარეობის-სქოლასტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, დომინიკანელი (სამონასტრო ორდენის) ბერი. იგი ავითარებდა მოძღვრებას, აყალიბებდა დებულებებს, რომელიც იმდროინდელი სამყაროს, განსაკუთრებით, ევროპულ დასავლეთის იდეური მოთხოვნილებების შესაბამისად მიმართული იყო მცდელობისაკენ შეეფარდებინა ქრისტიანული დოგმატები ანტიკურ რაციონალურ ფილოსოფიას, არსებითად არისტოტელეს მოძღვრებასთან, არისტოტელესეული რაციონალურ-ლოგიკური

ჩარჩოების შესაბამისად გაერთიანებინა იგი. მისი მთელი ეს ვრცელი, ენციკლობედიურად მრავლისმომცველი მოძღვრება (არსებითად ამას მისი თხზულებების სათაურებიც, „dumma pilosophiae" „summa theologiae" („ფილოსოფიის, ღვთისმეტყველების შეჯამება") ცხადყოფენ), წარმოადგენდა ცდას რაციონალურად, გონისმიერი ლოგიკური სისტემის საფუძველზე დაესაბუთებინა ირაციონალური-ქრისტიანული, საღვთისმეტყველო დოგმები, რისთვისაც იგი წინდახედულად, არისტოტელესეული ლოგიკის შესაბამისად გამოყოფდა რაციონალურ, გონებით ნდობას დაქვემდებარებული დოგმატებსაც და, შესაბამისად, ე. წ. ირაციონალურსაც, გონებით მიუწვდომელს, თ. ა. ხელმძღვანელობდა ამოსავალით, რომ ლოგიკურ დასაბუთებას დაქვემდებარებული დოგმატი შეიძლება მცდარად მოგვეჩვენოს. მაგრამ ამ შემთხვევაში შეცდომას განაპირობებს რაციონალური მსჯელობის არასწორი გზა. არსებითად, მისი მოძღვრება ტომიზმი თავის სისტემის ფარგლებში ამოწურავდა სქოლასტიური რაციონალიზმის მაქსიმუმს და, შესაბამისად, დღესაც რომაულ-კათოლიკურ აღმსარებლობის, ვატიკანის იდეოლოგიის სახელმძღვანელო განმსაზღვრის ორიენტირად არის მიჩნეული („მთაწმინდელი").

(7) ისიქასტი — წარმომადგენელი შუასაუკუნეების (დაახლ. XII საუკუნიდან) ბიზანტიური საზოგადოებრივი, აღმსარებლობით-იდეური მიმდინარეობისა, ისიქაზმისა (ბერძნულიდან ncoxia (hesychia) „სიმშვიდე" ეს მოძღვრება შემოღებული და გავრცელებული იყო აღმოსავლური-მართმადიდებლურ ბერძნულ-აზიურ ატმოსფეროში, როგორც ფუძემდებლური სახელმძღვანელო), მთელ აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში. არსებითად კონსტანტინეპოლის მსორფლიოს საპატრიარქოს ტახტის მიერ აღიარებული და დაკანონებულ, ათენელ ბერთა და საერთოდ, სრულიად აღმოსავლეთის უწყვეტი მართლმადიდებლური ტრადიციის მიერ დამკვიდრებულ ამ მოძღვრებას საფუძვლად ედო მოძღვრება ირაციონალური, ნათლისათვის ხელქმნილი (ფიზიკურად, სხეულებრივი თვალისთვის მიუწვდომელი ღვთიური გაბრწყინებისა; იმისა, რაც მაცხოვრის ფერიცვალების დროს თაბორის მთაზე იხილეს ღვთის რჩეულმა მოციქულებმა). მოძღვრების პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენდა შესაბამისი რთული სისტემა. ისიქაზმის თეორიული საფუძვლები დაამუშავეს აღმოსავლურ-მართლმადიდებლური მოძღვრების რჩეულმა წარმომადგენლებმა, ეკლესიის მამებმა: გრიგოლ სინელმა, გრიგოლ პალამამ (იხ), ნიკოლოზ კავასილასმა („მთაწმინდელი").

(8) გრიგოლ (გრიგორიოს) პალამა — (1296-1356) ბიზანტიული ღვთისმეტყველი, ბერი, ცხოვრების ბოლო წლებში თესალონიკის მთავარეპისკოპოსი, კანონიზებულია წმინდანად, მისი წმინდა ნაწილები დასვენებულია თესალონიკის, წმ. დიმიტრის სატაძრო ტაძარში, იყო ისიქასტური (იხ. ისიქაზმი) მოძღვრების ერთ ერთი ფუძემდებელი და მიმდევარი. მართმადიდებლური ტრადიცია მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებს, როგორც დასავლური, რომაულ-კათოლიკური, მწვალებლური რაციონალიზაციის წინააღმდეგ წარმატებით მოლაშქრესა და ტრადიციული, უწყვეტი და გადმოცემის სახით წარმოდგენილი მართმადიდებლური ორიენტანციის სიწმინდისათვის მოღვაწე აპოლოგეტს („მთაწმინდელი").

(9) აღნიშნულ საკითხებზე ძალიან საინტერესო მასალები შეიძლება იხილოთ ნ. ბერდიაევის შრომებში („მთაწმინდელი").

(10) ფლორენციული უნია (უფრო ზუსტად, ფერარა-ფლორენციის უნია) 1438-1445 — („უნია"- ლათინურად unio- „ერთიანობა", „გაერთიანება"), იგულისხმება ორი XI ს-დან მართმადიდებლური და რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობად გაუყოფელი ეკლესიების შემორიგების მცდელობა; ინიციატივა, წამოწყებული კონსტანტინეპოლის წინაშე თურქეთის ექსპანსიის საფრთხით შეშფოთებული ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII პალეოლოგოსისა და უნიისათვის მოწვეულ ზემოთაღნიშნულ საეკლესიო

კრებაზე მცირეხნით უფრო ადრე ბაზელის საეკლესიო კრებაზე დასავლეთის ქრისტიანული სამყაროს (უპირატესად, პროტესტანტული ორიენტაციისათვის) მიერ განკვეთილი რომის პაპის ევგენიუს IV თაოსნებით. შესაბამისად, თითეულს აღმარებლობითი გაერთიანებისათვის ქვეტექსტად პირადი, არც თუ მთლად რელიგიური ხასიათის ინტერესები — ერთს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მეორეს — თავისი პრესტიჟის რეაბილიტაცია ამოძრავებდათ. მოლაპარაკებას თავისი, ხშირად ძალდატანებით პიროვნების დამთრგუნველი ინიციატივით მასპინძელი — რომაულ-კათოლიკური მხარე წარმართავდა. კრების სხდომებს, რომლებიც ჯერ ფერარში, შემდეგ გარკვეული, ობიექტური პირობების გამო ფლორენციაში გაგრძელდა, აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლებს ყოველნაირი გზით — ოფიციალურ სხდომებზე გაჭიანურებული რიტორიკული დებატების სახითაც და კრების სხდომათა მიღმა მიმდინარე ინტრიგებით, პაპის მიმდევრები აიძულებენ მართლმადიდებლებს მიეღოთ კათოლიციზმის ის პირობები, ანუ ის არსებითი დოგმები, რომლებმაც თავის დროზე, არსებითად, მართმადიდებლური და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების გაყოფა, დიდი ჭიზმა გამოიწვია (მაგ. დოგმატი სულიწმინდის გადმომავლობისათვის მამა და ძე ღმერთისგან, ე.წ. fihoque „და ძისგან" ჩამატების ფორმულირება რწმენის სიმბოლოს ტექსტში, დოგმატი რომის პაპის პრიმატისათვის (რომის პაპი, როგორც ე.წ. vicarius dei ღმერთის ნაცვალი და ა.შ.). კრებების, წლებით გაჭიანურებულ სხდომებს, შეიძლება ითქვას, პასიურად ესწრებოდა კონსტანტინოპოლის (მსოფლიო) პატრიარქი, იმ დროს ღრმად მოხუცი იოსებ II, რომელიც თავისი პროუნიატური ოპტიმისტური განწყობით, ასევე პატივმოყვარეობითაც იმდენად იყო არსებულ რეალობას დაცილებული, რომ ფლორენციაში კრების დამთავრებამდე მცირე ხნით ადრე თავისი გარდაცვალებით გადაურჩა რომაული მხარის მიერ ფორმულირებულ სენიის საბუთზე ხელმოწერას და ამით იმ სამარცხვინო სახედ, რომელიც კრების დამთავრების შემდეგ უნიის მომხრე მართმადიდებელ წარმომადგენლებს სრულიად მართმადიდებლურ სამყაროში ერგოთ. მიუხედავად პაპისა და მისი მიმდევრების გეგმაზომიერი პოლიტიკისა სენია ვერ შედგა, ანუ კრებაზე მონაწილეთა ხელმოწერების უმრავლესობისდა მიუხედავად იგი ვერ განხორციელდა, ვერ დამკვიდრდა მართმადიდებლურ სამყაროში. რადგანაც საერთაშორისო-საეკლესიო კონსტიტუციის პირობებით, სინოდური [ანუ ადგილობრივი-ავტოკეფალური თუ ავტონომიური ეკლესიების მეთაურთა ერთობლივი] წესით საეკლესიო კრებას, თუ მას, ფერარა-ფლორენციის კრებისა არ იყოს, მსოფლიო საეკლესიო კრების სახელის მოხვეჭისადმი აქვს განაცხადი, მას სჭირდება დამოუკიდებელი ადგილობრივი ეკლესიების წარმომადგენელთა ხმების აბსოლიტური მაქსიმუმი. ხოლო ფერარა-ფლორენციის კრების შემთხვევაში, ხელშეკრულების დოკუმენტს აკლდა ეფესოს მიტროპალიტის, ამასთანავე ალექსანდრიასა და იერუსალიმის საპატრიარქოთა რწმენებულის, კრებაზე მართმადიდებლური მოძღვრების ყველაზე აქტიური და თავდადებული დამცველის, მარკოზის, და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე მონაწილის (მათ შორის საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლისაც) ხელმოწერები. ამდენად, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება, არსებითად, წარუმატებლად დასრულდა, ვერ შედგა ვერც უნია გაერთიანება, ვერც კრებამ დაიმკვიდრა მსოფლიოს სახელი („მთაწმინდელი").

(11) დამოუკიდებელ მართლმადიდებელ საპატრიარქოებს შორის კონსტანტინოპოლის საპატრიარქო იწოდება, როგორც „პირველი, თანასწორთა შორის" („მთაწმინდელი").

(12) ცალკე აღსანიშნის ღირსია ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელმაც თურქეთის ფაქტორის მიუხედავად შეინარჩუნა თავისი შედარებითი დამოუკიდებლობა (ალ. დუგინი).

(13) სქიზმა — ბერძ. schisma — მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიაში: განხეთქილება, ერთიანი ეკლესიიდან რაიმე ნაწილის გამოყოფა („მთაწმინდელი").
(14) ობრენოვიჩები — ჯერ სამთავრო (1815-1842, 1858-1882), ხოლო შემდეგ სამეფო (1882-1903) დინასტია სერბეთში („მთაწმინდელი").
(15) ყარაგეორგიევიჩები — სამთავრო, შემდეგ სამეფო დინასტია იუგოსლავიაში (XIX ს. და XX ს. I ნახ.) („მთაწმინდელი").
(16) ზოგუ (Zogu) ახმედ — ალბანეთის სახელმწიფო მოღვაწე (1895-1961) („მთაწმინდელი").
(17) რუსეთის პატრიარქი სერგი — პატრიარქი სერგი (Старогородский Иван Николаевич 1867-1944) მოსკოვისა და სრულიად რუსეთის 1994წ. სექტემბრიდან. რუსეთის საპატრიარქოს ტახტზე მისი მოღვაწეობის ხანა ხანმოკლე იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მისი ბიოგრაფიულ მომენტებს, განსაკუთრებით სტალინიზმის პერიოდში წარმოებული ე. წ. „რკინის ფარდის" ხანის კომუნისტური რეჟიმს, საბჭოურ ქვეყანათა საეკლესიო ცხოვრებისათვის — ფრიად ნაყოფიერი და სანიმუშო. პატრიარქი სერგის სახელი დღეს ზოგიერთებს კრიტიკული კონტექსტიტაც მოჰყავთ, როგორც საბჭოური რეჟიმის ადმინისტრაციული ნების პასიური აღმასრულებელი, სულაც თითქოს მათგან საპატრიარქო ტახტზე კანდიდატურად წამოყენებული, სინამდვილე კი ბევრად უფრო რთულია და საბჭოური რეჟიმის ამ პატრიარქის მოღვაწეობა მის წინამორბედ კანონიზებული პატრიარქ ტიხონზე არანაკლებ მართალია და მოწამეობრივი. წარმომავლობითი სასულიერო პირი, არზამასელი მღვდლის შვილი (პროფესიით ღვთისმეტყველი, პეტერბურგის აკადემიის კურსდამთავრებული, ღვთისმეტყველების ხარისხით), მოღვაწეობდა საზღვარგარეთ რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლად: 1894-96 ათენში იყო რუსეთის ეკლესიის წინამძღვარი 1897-99 იაპონიის მისიაში ხელმძღვანელის თანაშემწე 1899 რუსეთის სასულიერო აკადემიაში (ინსპექტორი, შემდეგ რექტორი), 1905-17 ფინეთის ეკლესიის განმგებელი. სინოდის წევრი 1917-22 წლიდან (როცა ვლადიმირის ეპარქიის განმგებელი იყო), 1934-მოსკოვის და კალინინის მიტროპოლიტი, 1937-პატრიარქის Locum tenens (მოვალეობის აღმსრულებელი, ვიკარიუსი). ამ თარიღთა შორის მოქცეულია წინააღმდეგობები აღსავსე, საბოლოოდ — მართლმადიდებლობის სასიკეთოდ მოღვაწე მღვდელმთავრის, ეკლესიის მეთაურის ურთულესი ცხოვრების გეზი, რომელიც, შესაძლებელია, არცაა და ზღვეული შეცდომებისაგან — რეგულარული, ადმინისტრაციული რეჟიმისადმი გარდაუვალი კომპრომისებისა. მაგრამ ეს იყო, არსებითად, ეპოქის სულისკვეთებისადმი მოტანილი იძულებითი ხარკი და მართმადიდებლური სამყარო, რისთვის დიდად ნიშანდობლივია და სანიმუშოა პატრიარქი სერგის წვლილი. მოსკოვის პატრიარქი სერგი დაკრძალულია ბოგოიავლენსკის სატახტო ტაძარში („მთაწმინდელი").
(18) ჩვენ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, რადგან პეტრე I-ის მიერ რუსეთის საპატრიარქოს გაუქმება და სინოდით შეცვლა (რომელიც, საბოლოოდ, გამოიხატა სასულიერო ხელისუფლების საეროსადმი დაქვემდებარებით (ცეზარო-პაპიზმით), რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ სწავლებას საერო და სასულიერო ხელისუფლებებს შორის ურთიერთობის გამიჯვნის შესახებ „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა") წარმოადგენს ანგლოსაქსური ცეზარო-პაპიზმის რუსულ ვარიანტს, რამაც, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის განვითარებაზე, რაც შემდგომში აისახა თვით რომანოვების დინასტიის ბედზეც („მთაწმინდელი").
(19) პრუდონი (Proudhon) პიერ ჟოზეფ — ფრანგი წვრილბურჟუაზიული სოციალისტი, ანარქიზმის თეორეტიკოსი (1809-1865) („მთაწმინდელი").
(20) ეტატიზმი — < ფრანგ. etat სახელმწიფო — პოლიტიკური აზროვნების

მიმართულება, რომელიც სახელმწიფოს განიხილავს, როგორც საზოგადოების განვითარების უმაღლეს შედეგსა და მიზანს („მთაწმინდელი").
(21) **პროფანული** — ლათ. profanus — ამა თუ იმ საკითხის უმეცარი, გაუთვითცნობიერებელი. ძველ რომში profanus ეწოდებოდა პირს, რომელსაც უფლება არ ჰქონდა ტაძარში შესულიყო, ანუ იყო კულტმსახიობის უზიარებელი პირი („მთაწმინდელი").
(22) **ათათურქი** (Ataturk) **მუსტაფა ქემალ** — თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი და მისი პირველი პრეზიდენტი (1881-1938) („მთაწმინდელი").
(23) **აღვნიშნავთ**, რომ წიგნის ეს ნაწილი დაიწერა 1993 წელს ე. ი. ჩეჩნეთში ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე.
(24) **კიდევ ერთხელ შეგახსენებთ**, რომ ეს წიგნი დაწერილია 1993 წელს („მთაწმინდელი").
(25) **სეკულარიზაცია** — ლათ. saecularis საერო — საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად; ეკლესიის სასულიერო გავლენისაგან გათავისუფლება („მთაწმინდელი").
(26) **იმის გამო, რომ ამ-შემთხვევაში** საკითხი განიხილება საკრალური თვალსაზრისით, არ უნდა გაგვიკვირდეს დასავლეთის „ღარიბად" მოხსენიება, რადგან აქ იგულისხმება მისი სულიერი სიღარიბე, რაც მას, დასავლეთს, აღმოსავლეთთან შედარებით, მართლაც მნიშვნელოვნად ნაკლები აქვს („მთაწმინდელი").
(27) **კარტეზიანელობა** — წარმოდგება რენე დეკარტის სახელის ლათინური ტრანსკრიფციიდან, Renatus Cartesius-დან — დეკარტისა და, განსაკუთრებით, მის მიმდევართა მოძღვრება („მთაწმინდელი").
**დეკარტი** (descartes) **რენე** — ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფიზიოლოგი (1596-1650) („მთაწმინდელი").
(30) **კანტიანელობა** — მოძღვრება, რომელმაც ეს სახელი შეიძინა გერმანელი ფილოსოფოსისა და მეცნიერის, კლასიკური იდეალიზმის ფუძემდებლის ემანუელ კანტის (Kant) გვარის მიხედვით (1724-1804) („მთაწმინდელი").
(31) **ფენომენი** — ბერძ. phainomenon მოვლენილი — იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენა; იდეალისტურ ფილოსოფიაში: გრძნობით აღქმული მოვლენა, რომელიც უპირისპირდება ნოუმენს („ნივთს თავისთავად") („მთაწმინდელი").
(32) **ნოუმენი** — ბერძ. noumenon ჩასაფქვდომი, მისახვედრი — კანტის იდეალისტურ ფილოსოფიაში: „ნივთი თავისთავად"; ნივთის არსი, რომელიც ცდით არ შეიცნობა, შეგრძნებით არ აღიქმება („მთაწმინდელი").
(33) **ნორდიული** — გერმ. Nord ჩრდილოეთი — ჩრდილოური („მთაწმინდელი").
(34) **ენტროპია** — ბერძ. en შიგნით და trope გარდაქმნა, გარდაქცევა — ტექნიკური ტერმინი. ფიზიკაში-სხეულისა თუ სხეულთა ჯგუფის სითბური მდგომარეობის განმსაზღვრელი სიდიდე („მთაწმინდელი").
(35) **სკალდები** — სკანდინ. skald (ᛋᚴ.) — ძველი სკანდინავიელი პოეტ-მომღერლები, რომლებიც თხზავდნენ სომღერებს ვიკინგების ლაშქრობებზე; პირველი სკალდები გაჩნდნენ ისლანდიასა და ნორვეგიაში მე-10 ს.-ში („მთაწმინდელი").
(36) **ჰედონიზმი** — < ბერძ. hedone სიამოვნება — ეთიკური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება („მთაწმინდელი").
(37) **სპირიტუალიზმი** — < ლათ. spiritualis სულიერი — რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სულს განიხილავს, როგორც სინამდვილის პირველსაწყისს, როგორც განსაკუთრებულ უსხეულო სუბსტანციას, რომელიც არსებობს მატერიის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად („მთაწმინდელი").

(38) უტილიტარული — < ლათ. utilitas სარგებლობა — პრაქტიკული, გამოყენებითი („მთაწმინდელი").
(39) დიქოტომია — ბერძ. dichotomia ორად გაკვეთა — მთელის გაკვეთა ორად, შემდეგ თითოეული ნაწილისა კვლავ ორად და ა. შ („მთაწმინდელი").

## ნაწილი 7

## ჰელფორდ ჯორჯ მაკინდერი

(1) Halford Mackinder „Geographical Pivot of History" in „Geograghical Journal ",1904.
(2) ნანსენი (Nansen) ფრიტიოფ — ნორვეგიელი მოგზაური, ოკეანოგრაფი (1861-1930) („მთაწმინდელი").
(3) სკოტი (Skott) რობერტ ფოლკონ — ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი (1868-1912) („მთაწმინდელი").
(4) ერმაკი. ერმაკი ტიმოფეევიჩი (გ. 6. VIII 1585) კაზაკთა ატამანი, მეთაურობდა ციმბირში ლაშქრობას. ამ ლაშქრობით დაიწყო ციმბირის შეერთება რუსეთთან და მისი ათვისება. რუსმა ვაჭრებმა და მრეწველებმა სტროგანნოვებმა მოსკოვში მეფისაგან მიიღეს წყალობის სიგელი და დაიწყეს ციმბირის მიწების ათვისება ციმბირული ხანის კუჩუმის თავდასხმისაგან თავიანთი სამფლობელოების დაცვის მიზნით მათ მიიწვიეს ერმაკი თავისი რაზმით. დაახლოებით 1579 წ. ერმაკმა დაიწყო ლაშქრობა ციმბირში. რამდენჯერმე დაამარცხა კუჩუმი და დაიკავა ციმბირი. სახანოს ცენტრი ქ. კაშლიკი 1585 წლის 6 აგვისტოს კუჩუმი მოულოდნელად დაესხა თავს ერმაკის რაზმს და დაამარცხა. ერმაკი დაიღუპა XVI ს-ში. ერმაკზე არაერთი სიმღერა და ლეგენდა შეიქმნა („მთაწმინდელი").
(5) ვასკო და გამა (Vasko da Gama) — პორტუგალიელი ზღვაოსანი (1469-1524) („მთაწმინდელი").
(6) ოროგრაფია — ბერძ. oros მთა და grapho ვწერ — ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც დედამიწის ზედაპირის რელიეფს სწავლობს („მთაწმინდელი").
(7) შალონი — შალონ-სიურ-სონი (Chalon-sur-saon) — ქალაქი აღმ. მდ. სონას ნაპირსა და ცენტ არხზე, სონა და ლუარის დეპარტამენტში. 71 ათ. მკს. (1975). სტასანპორტის კვანძი და სამდ ნავსადგური. მეტალურგია, მანქანათსაამშენებლო, მრეწ. ლითონის კონსტრუქციების, ფოტოფირების წარმოება, შაქრის ქვეყანა („მთაწმინდელი").
(8) ლევ I დიდი (440-461) — რომის პაპი, შეუპოვარი მღვდელმთავარი და ნიჭიერი დიპლომატი. გადმოცემით, 452 წელს პირადად ეახლა თავის ბანაკში ატილას, რომელმაც ის იყო ააოხრა ვენეცია და ლიგურია, შეკრა ზავი მასთან და დაითანხმა წასულიყო იტალიიდან. მალე 455 წელს მეორედ იხსნა რომი ვანდალთა მეფის ბარბაროს ჰენზერიხისაგან, რამაც მთელს ევროპაში გაუთქვა სახელი. სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ დიპლომატიური წარმატება: უზარმაზარი გამოსასყიდით დაითანხმა ვანდალები, რომ მიწასთან არ გაესწორებიათ რომი, არ დაეხოცათ ხალხი და „მხოლოდ" 14 დღე ეძარცვათ.
ლევ დიდმა, განამტკიცა პაპის ძალაუფლება. იგი ამტკიცებდა — „რომის პატრიარქი პირველიაო" და თანხმობაც მიიღო, თუმცა იმპერატორმა მარკიანემ, თითქმის, იგივე პატივი მიანიჭა კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და „მეორე რომს" („მთაწმინდელი").
(9) ატილა — ატილა (Attila.) ეტცელი (Etzel) (გ. 453) ჰენების წინამძღოლი 434-453. მეფობდა თავის ძმა ბიძიასთან ერთად. ხოლო ძმის მოკვლის შემდეგ (445) — ერთპიროვნელად. ჰენების გარდა ატილას ემორჩილებოდნენ ოსტგუთები, ბერძნები,

ჰერელები, რუგიები და სხვას. გერმანელი ტომები აგრეთვე ადანები, სლავური, სარმატული და თურქული ტომები. ატილას რეზოლუცია მდებარეობდა პანონიაში. 447 ატილამ მოაოსრა ბალკანეთის ნახევარკუნძული, მიაღწია თერმოპილესა და კონსტანტინოპოლს. 448 წ. ხარკი დაადო ბიზანტიას. 451 გაზაფხულზე გადალახა რაინი. იერიშით აიღო მეცი, მაგრამ ვერ შეძლო ორლეანის აღება. კატალაუნის ველებზე დამარცხება განიცადა აეციურისა და მისი მოკავშირე ვესტგუთების, ბერძნებისა და ფრანკებისაგან. 452 გაზაფხულზე ატილამ მოაოხრა ჩრდ. იტალია. რომზე ლაშქრობის განზრახვაზე ხელი ააღებინა ჰენებში გავრცელებულმა დაავადებამ და რომელთა მიერ გამოსასყიდის მიცემამ. ატილა დაბრუნდა პანონიაში, სადაც მალე მოკვდა თავისი უკანასკნელი ქორწინების ღამეს. მისი უზარმაზარი სახელმწიფო ერთბაშად დაიშალა („მთაწმინდელი“).

(10) **კარლოს დიდი** — 3) კარლოს დიდი (Carolus magnus აქედან ფრანგულათ Charle megne) (2.IV. 742-28. I. 814. აახენი) ფრანკთა მეფე 768-დან, „რომელთა იმპერატორი“ 800-დან პიპინდთა ანუ რნულფიგთა დინასტიიდან (შემდგომ კაროლინგების დინასტია ეწოდა). თავდაპირველად მართავდა სამეფოს ნაწილს (ავსტრაზია, ნოისტრიისა და აკვითანიის ნაწილი). თავისი ძმის კალომანის, გარდაცვალების შემდეგ (771) დრანვთა სამეფოს ერთპიროვნული მართველი გახდა. ომების შედეგად [ლანგობადების (773-774, 776-777), ბავარიის ჰერცოგის ტასილონის 788 საქების (772-804), არაბების (778-779 796-810), დანიელი ნორმანების (810) და სხვა. წინააღმდეგ] გააფართოვა თავისი სამეფო საზღვრებისასაზღვრო ოლქების შექმნა სამხ ორგანიზაციების — „მარკები“ სამხ. რეფორმა (კაპიტალური, 808), რომელთაც არმიის ზირითად ნაწილად ცხენოსანი რაინდები იქცა, განამტკიცა მიწათმფლობელთა პრივილეგიები იმუნიტეტის საშუალებით, ამორჩეული მოსამართლეები შეცვალა მსხვილ მიწათმფლობელთაგან შერჩეული სკამინებით; საპერცოგოები დაშალა საგრაფოებად, რომელთაც სათავეში მეფის მოხელე გრაფები ჩაუყენა. სამეფო კარი მათ კონტროლს უწევდა „მეფის შიკრიკების“ (missi dominici) საშუალებით კარლოს დიდის დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიელ იმპერატორებთან, ასტურისა და ანგლოსაქსთა მეფეებთან, ბაღდადის ხალიფა ჰარუნ ალ რაშიდთან. მის დროს აღინიშნებოდა კულტ. აღმავლობა (იხ „კალოლინგური აღორძინება“) 800 რომში იმპერატორად ეკურთხა კარლოს დიდის იმპერია წარმოადგენდა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ტომებისა და ხალხების ვებერთელა მოფლიო მნიშვნელობის გაერთიანებას. კარლოს დიდის პოლიტიკამ ხელი შეუწყო ფრანკთა საზოგადოების ფეოდალიზაციას, გლეხობის ფეოდ, დამოუკიდებლობის გაძლიერებას და მსხვილი მიწათმფლობელების ძალაუფლების ზრდას, რითაც მომზადდა საფუძველი კარლოს დიდის მემკვიდრეთა მართველობის დროს ფრანკთა იმპერია დაიშალა (იხ. ვერდენინი ხელსეკრულება 843). (ლიტ: Epperlein s. Korider Grobe, B 1971.) („მთაწმინდელი“).

(11) **ბრაქიკეფალია** — ბერძ. brachys მოკლე და kephale თავი — (ანთროპ.) თავის ქალას ფორმა, რომლის სიგრძივი ზომა (ცხვირის ფუძიდან კეფამდე) ოდნავ მეტია განივზე („მთაწმინდელი“).

(12) **დოლიქოკეფალია** — ბერძ. dolichos გრძელი და kephale თავი — თავის ქალას ფორმა, რომლის სიგრძივი ზომა (ცხვირის ფუძიდან კეფამდე) მნიშვნელოვნად მეტია განივზე („მთაწმინდელი“).

(13) **მუსონი** — ფრანგ. musson < არაბ. — ქარი, რომელიც პერიოდულად იცვლის მიმართულებას, ზაფხულობით უბერავს ზღვიდან, ხოლო ზამთრობით — ხმელეთიდან („მთაწმინდელი“).

(14) **პოტამური** — ბერძ. potamos — მდინარე („მთაწმინდელი“).

(15) მოხსენების წაკითხვის შემდგომ გამართული დისკუსიის დროს ეს განცხადება გაკრიტიკდა. ამ პარაგრაფის გადახედვისას, იგი საფუძველში მაინც მართალი მეჩვენება. ბიზანტიელი ბერძენიც სხვა იქნებოდა, რომს მთლიანად ძველი საბერძნეთი რომ დაექვემდებარებინა. უეჭველია, ის იდეალები, რომელთა შესახებაც მიმდინარეობს საუბარი, უფრო ბიზანტიური იყო, ვიდრე ელინური, რომაული კი ისინი ნამდვილად არ იყვნენ (ალ. დუგინი).
(16) მაკინდერის სტატიის ეს ნაწილი, ვფიქრობთ, ცხადად გვიჩვენებს თუ რა გეოპოლიტიკური მნიშვნელობის იყო საბჭოთა ეპოქაში ბაიკალ-ამურის მაგისტრალის (BAM-ის) მშენებლობის გრანდიოზული პროექტი და, შესაბამისად, რა მოცულობის იყო, როგორც მიზანი, ისე ტექნიკურ-ფინანსური ძალისხმევა, რომელიც დღეს, ზოგიერთ ჩვენგანს, „სულელური, გიგანტური საბჭოური პროექტებისაკენ სწრაფვად" მიაჩნია („მთაწმინდელი").
(17) მაკინდერის ეს თეზისი უახლოესი ათწლეულების მიერ სრულიად იქნა უარყოფილი. უკვე პირველი მსოფლიო ომის დროს ე. ი. მხოლოდ ათი წლის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა თავი წარმოაჩინა, როგორც უაღრესად დასავლურმა, ატლანტურმა სახელმწიფომ, რომელიც აღმოსავლური, ევრაზიული, კონტინენტური და წყნარი ოკეანის გეოპოლიტიკური ვექტორის საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის გამყოფი ხაზი გადის წყნარ ოკეანეზე და არა ატლანტიკაზე (ალ. დუგინი).

## პეტრე სავიცკი

(1) ГАРФ фонд П. Н. Савицкого №5783 (ალ. დუგინი)

## შან ტირიარი

(1) 1982 წლის დეკემბერი. ამ წერილის ტექსტი გადაეცა ა. დუგინს უშუალოდ მისი ავტორისაგან 1992 წელს (რედ.)
(2) დერულედი (Deroulede) პოლ (1846-1914) — საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე, ლიტერატორი („მთაწმინდელი").
(3) დებრე (Debre) მიშელ (დაიბ. 1912 წ) — საფრანგეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი. 1958 წლიდან არაერთხელ იყო მინისტრად. 1959-62 წლებში იყო პრემიერ მინისტრი („მთაწმინდელი").
(4) პრევენციული (< ლათ. praeventus) — ომი, რომელსაც მიმართავენ აგრესორები ვითომდა მოწინააღმდეგე მხარის თავდასხმისაგან თავის დაცვის, მისთვის დასწრების მიზნით („მთაწმინდელი").

## კარლ შმიტი

(1) Carl Schmitt „Die planetarische Spannung zwischen Ost und West", 1959 in „Schmittiana-III" von prof. Tommissen, Brussel, 1991 (რედ.)
(2) „სახელმწიფოების პოლიტიკა და მათი გეოგრაფია" (ფრ.) (ალ. დუგინი)
(3) იმპლიკაცია — ლათ. implikatio — ერთ-ერთი ლოგიკური ოპერაცია; ბუნებრივ ენაში მას შეესაბამება კავშირი: „თუ... , მაშინ (მაშასადამე)" („მთაწმინდელი").
(4) ალუზია — ფრანგ. allusion გადაკრული სიტყვა — რიტორიკული ხერხი — რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოებისა გადაკვრით ხსენება („მთაწმინდელი").

(5) საგა — სკანდინ. saga — ძველი სკანდინავიური და ირლანდიური ხალხური თქმულება („მთაწმინდელი").
(6) ლეონ III, ისავრიელი — (717-741) ბიზანტიელი იმპერატორი 717-იდან, ისავრიელთა (ისავრია-ლიკაონიდან (მცირე აზია) დინასტიის ფუძემდებელი. დაწინაურდა იმპერატორ იუსტინიანე II-ის დროს. ისტორიაში იგი ძირითადად ორი ურთიერთგანსხვავებული სახის მოღვაწეობით შემორჩა. ერთი სამოქალაქო ისტორიიდან მან 726-729 წწ. კონსტანტინოპოლიდან მოიგერია არაბების შემოსევა, მეორე — ნეგატიური — საეკლესიო ისტორიაში ლეონ III ცნობილია, როგორც VII მსოფლიო საეკლესიო კრების (787) მიერ დაგმობილი მწვალებლური ხატთმებრძოლური პოლიტიკის ინიციატორი და მფარველი. 730 წლის ედიქტით აკრძალა ხატთაყვანისცემლობა („მთაწმინდელი").
(7) რეკონკისტა — ესპ. Rekonquista — მე-8-15 სს-ში: პირინეის ნახევარკუნძულის ხალხების მიერ არაბებისაგან დაპყრობილი ტერიტორიების ბრძოლით უკან დაბრუნება („მთაწმინდელი").
(8) კონკისტადორები — ესპ. conquistador — მე-15-16 სს-ში: ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ესპანელი და პორტუგალიელი დამპყრობლები („მთაწმინდელი").
(9) ამ სიტყვებით შმიტი ადასტურებს, რომ ეს ფორმულა არა მოციქულების მიერ იყო დადგინებული, არამედ მოგვიანებით, XI საუკუნეში, დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში იქნა შემოღებული. დღეს კი, მოციქულებრივი მრწამსის მიმდევარია მართლმადიდებლური ეკლესია („მთაწმინდელი").
(10) კათოლიკე შმიტს მიაჩნია, რომ, Filioque ღვთის სამსახოვნებას უსვამს ხაზს და ქრისტიანული დოგმატის იკონოგრაფიულ ორიენტაციას აძლიერებს, მაშინ როდესაც, ამ დოგმის უარმყოფელი მართლმადიდებელი ეკლესია ხატმბრძოლი, ძველი აღთქმისეული სულისკვეთების გამოხატულებად მიაჩნია. ეს სრულიად მცდარი თეზისია და ქარწყლდება ისეთი ისტორიული დაკვირვების საფუძველზე, როგორიცაა ხატების საყოველთაო გავრცელება და თაყვანისცემა მართლმადიდებელ ხალხებში და, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც ხატი, რელიგიურ პრაქტიკაში, ახლაც ისეთ კოლოსალურ როლს თამაშობს, რომელსაც ვერ ასრულებდა იგი ევროპაში, კათოლიციზმის გაფურჩქვნის პერიოდშიც კი. უფრო მეტიც, Filioque-ს შემოღება სწორედ აბსტრაქტული მონოთეიზმისა და რაციონალური თეოლოგიის გამოხატულება იყო, რომელსაც არაფერი საერთო არ ქონდა სამების მთლიანობასა და ხატის პრიმატთან. უფრო დაწვრილებით, იხილეთ ა. დუგინი „Метафизика Благой Вести" (ალ. დუგინი).
(11) თავდაპირველად მაკინდერი იყენებდა ტერმინს „Pivot area" („ღერძული მხარე"), მიგვიანებით „Heartland"-ს, („შუამდებარე მიწა") (ალ. დუგინი)
(12) დემოსთენე 38-41 (Demosthnes) სახელგანთქმული ბერძენი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე, იარაღის სახელოსნოს მდიდარი ოსტატის შვილი. გახდა ლოგოგრაფოსი ე.ს. სხვებისთვის წერდა წარმოსთქმულ სიტყვებს, ასწავლიდა რიტორიკას, მონაწილეობდა სასამართლო პროცესებში. დემოსთენემ სახელი გაითქვა ფილიპე II მაკედონელის აგრესიული ზრახვების საშიშველი სიტყვების წარმოთქმისას („ფილიპიკები"), პირველი „ფილიპიკის" წარმოთქვისანავე (ძვ. წ. აღ. 351) იგი გახდა ათენის ფაქტობრივი ხელმძღვანელი და ანტიმაკედონური პარტიის ბელადი. დემოსთენემ შემოიღო საგანგებო სახელმწიფო ბეგარა — ტრიერარქია ( სამხედრო გემის — ტრიერის აღჭურვილობა) და სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენა თეორიკონი (სანახაო ნებართვის განკუთვნილი თანხები). ათენის მეთაურობამ შექმნა ბერძნულ პოლისთა ანტიმაკედონური კავშირი. მიუხედავად ამისა, ქერონაესთან გამართულ ბრძოლაში (338) ბერძნები დამარცხდნენ და საბერძნეთში მაკედონელები გაბატონდნენ. დემოსთენე მაკედონელთა ბატონობის ვერ შეურიგდა. ალექსანდრე მაკედონელის

სიკვდილისთანავე (323) ათენში დაბრუნდა და კვლავ მაკედონიის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა ხალხს. ლამიის ომში ბერძნების დამარცხების შემდეგ მტრებისაგან დევნილმა დემოსთენემ თავი მოიწამლა (323-322). ჩვენამდე მოაღწია 61 სიტყვამ, 56 გამოსვლამ და 6 წერილმა, რომელსაც დემოსთენეს მიაწერდნენ (აქედან 20 სიტყვა და რამდენიმე წერილი მისი არ უნდა იყოს). დემოსთენეს შემოქმედება მსოფლიოს ისტორიული ხელოვნების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო („მთაწმინდელი").

(13) „ნომოსი"- კარლ შმიტის უმთავრესი კატეგორიაა, ისტორიის, სამართლის, გეოპოლიტიკის მისეული თეორიის ღერძია. მის მთავარ შრომას „Der Nomos der Erde" ეწოდება. „ნომოსი" — ბერძნულში verbum occasionalis-ია ზმნისაგან „nemein", რაც აღნიშნავს „აღებას, ფლობას, გაყოფას, განაწილებას, კეთილმოწყობას და ა.შ.". ეტიმოლოგიურად მას შეესაბამება გერმანული nehmen და Nahme, ე. ი. „აღება", „აღებული". ენათესავება სიტყვას Nahme („სახელი"), მონათესავე სიტყვაა. რუსულში ამ იდეას ყველაზე მეტად გამოხატავს სიტყვა „иметь" („ქონა") და ძველსლავური „имать" („брать", „აღება"), აქედან წარმოდგება „имя" („სახელი"), „имущество" („ქონება"), „имение" („მამული"), მათგან მომდინარეობს „поднимать" („აღება"), „перенимать" („გადაღება"), „отнимать" („წართმევა") და „понимать" („გაგება") (შდრ. ფრ. saisir). რაღაცით მსგავსია სიყვებისა: „делить", „надел", „доля" („имущество"-სა და „судьба"-ს მნიშვნელობით). „ნომოსის" იდეა — მოწესრიგებული სტრუქტურის იდეაა, რომელიც სპეციფიურად ახასიათებს კაცობრიობის ისტორიის საზოგადოების, ოჯახის, ტერიტორიის, სამართლის და ა. შ. ორგანიზებას. შესაძლებელია შმიტის „ნომოსის" ცნების მისადაგება ფრანგი სტრუქტურალისტების „სტრუქტურის" ცნებასთან, ამ შემთხვევაში არ გამოირიცხება პირდაპირი პლაგიატიც (ბუნებრივია, ფრანგების მხრიდან). ცნობილი ფაქტია, რომ შმიტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დიდ ევროპელ ჰეგელიანზე ალექსანდრ კოჟევზე, რომელიც თავის მხრივ მარკუზეს მასწავლებელი იყო (ალ. დუგინი).

(14) „სულიერი ბრძოლა ისევე სასტიკია, როგორც ადამიანური ომი" (ფრ).

(15) კოლინგვუდი (Collingvuud) რობინ ჯორჯ — ინგლისელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი (1889-1943) („მთაწმინდელი").

(16) თავის მხრივ, შესაძლებელი იყო შმიტისათვის ბრალი რუსოფობიაში დაედოთ, რაც იგივე უსაფუძვლო (ზოგადად) დებულებებზე იქნებოდა დამყარებული, თუმცა კი დასაბამს სხვა წყაროდან აიღებდა: ეს არის კათოლიციზმისადმი მისი კონფესიური კუთვნილება და შუა ევროპის მისეული გეოპოლიტიკური აბსოლუტიზაცია. არმინ მელერმა თავის ბრწყინვალე წიგნში „კონსერვატიული რევოლუცია გერმანიაში 1918-1932 წლებში" დამაჯერებლად გვაჩვენა ევროპის გეოპოლიტიკური დაყოფა სამ ზონად — დასავლეთ ევროპა (ინგლისი, საფრანგეთი), შუა ევროპა (გერმანია, ავსტრია), აღმოსავლეთ ევროპა (რუსეთი) — როგორ აისახება ამ სამი ზონის მაცხოვრებლების მიერ თავიანთი მეზობლების კულტურულ შეფასებებში. ინგლისელებისა და ფრანგებისათვის გერმანელები ტყიდან სულ ახლახან გამოსული ბარბაროსები, „ჰუნები", ატილას ველური შთამომავლები არიან. გერმანელებს ასეთ ბარბაროსებად რუსები წარმოუდგენიათ. რუსებისათვის კი, გერმანელები, რომლებიც ფრანგებსა და ინგლისელებს ბარბაროსებად მიაჩნიათ, მოჩანან უსულო ავტომატებად, უაღრესად დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის მატარებლებად (ე. ი. როგორც კლასიკური უტრირებული ევროპელები). გერმანელები, თავის მხრივ, ინგლისელებსა და ფრანგებს საყვედურობენ სასიცოცხლო და ისტორიული აღმაფრენის უქონლობას. სხვათაშორის ევროპელი ეთნოსების ამგვარმა გეოპოლიტიკურმა ტიპოლოგიამ წინაწარ განსაზღვრა „ახალგაზრდა ხალხების" კონცეფცია (რომელიც დოსტოევსკიდან ისესხეს გერმანელმა

კონსერვატორმა რევოლუციონერებმა), რომელიც ამგვარ ხალხებად რუსებსა და გერმანელებს მიიჩნევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საყვედურები ბარბაროსობის გამო, შეიძლება პოზიტიურადაც ახსნილიყო, რასაც გერმანის კონსერვატიული რევოლუციის რუსოფილურ (ძირითადად პრუსიულ, პროტესტანტულ და წარმართულ) ბანაკში ჰქონდა ადგილი. მათ რიცხვს მიეკუთვნება: არტურ მიულერ ვან დერ ბრუკი, ოსვალდ შპენგლერი, განსაკუთრებით ერნესტ ნიკიში და ნაციონალ-ბოლშევიკები. შმიტის რუსოფობიის მიუხედავად, იგი რუსების მხრიდან შესწავლის ღირსია, ისევე, როგორც თვითონ შმიტი, ეს აშკარა გერმანელი ნაციონალისტი, ინტელექტუალურ დამსახურებათა გამო ადვილად პატიობს გერმანოფობიას ინგლისელ კოლინგვუდს (ალ. დუგინი).

(17) ტოინბი (Toinbee) არნოლდ ჯოზეფ — ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი (1889-1975) („მთაწმინდელი").

(18) ტოკვილი (Tocqueville) ალექსის — ფრანგი სოციოლოგი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე (1805-1859) („მთაწმინდელი").

(19) შპენგლერი (Spengler) ოსვალდ — გერმანელი ფილოსოფოსი (1880-1936) („მთაწმინდელი").

(20) ფორმულა „The World and the West" (და იმპლიკაციურად მასში არსებული გეოპოლიტიკური კონცეფცია) აშკარა გამოძახილს ჰპოვებს სამუელ ჰანთინგტონის ნაშრომთან „Clash of civilisations", რომლის ერთ-ერთ თავსაც ანალოგიურად „The West and the Rest" ჰქვია. ამერიკელი კონსერვატორი ჰანთინგტონი ტოინბის აშკარა ზეგავლენას განიცდის და თავის თავს მისი საქმის გამგრძელებლად თვლის. (ალ. დუგინი).

(21) ოსვალდ შპენგლერის აშკარა ილუზია, რომელიც ცივილიზაციასა და კულტურას ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აყენებდა (ალ. დუგინი).

(22) ამ დებულებიდან ადვილად გამომდინარეობს ლენინის თეორიის — „იმპერიალიზმი, როგორ კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადია" — ძირითადი მომენტები და ფრიდრიხ ლისტის კონცეფციის „დიდი სივრცეების ავტარკიის" (უფრო ზოგადად „ეკონომიკური ნაციონალიზმის") ძირითადი პრინციპები. საინტერესოა, რომ გერმანელმა კონსერვატორმა რევოლუციონერებმა ლისტის თეზისების განვითარებიდან იგივე დასკვნა გამოიტანეს, რაც ლენინმა ჰეგელისა და მარქსის თეზისებიდან. ორივე შემთხვევაში საუბარია ანგლოსაქსური თალასოკრატული კოლონიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიო ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შესახებ „ხალხთა უფლებებისათვის". სხვათაშორის „ხალხთა უფლებების" მთავარი თეორეტიკოსი სწორედ კარლ შმიტი იყო. ამ პრინციპის გეოპოლიტიკური გამოყენება და მისი განვრცობა დამახასიათებელია ჰაუსჰოფერისთვისაც (ალ. დუგინი).

## ბოლოშენიშვნა

(1) **იმპლიციტური** — ლათ implicitus — გადახლართული, ჩაწნული; ბუნდოვანი, აღრეული, საიდუმლო.

**იმპლიკაცია** — ლათ implicatio — გადახლართვა, ჩაწვნა და ა.შ. სიტყვათა ამ ძირითადი მნიშვნელობებიდან სხვადასხვა კონტექსტებში წარმოებს მათი შინაარსობრივი ეკვივალენტის შესაბამისი მონაცვლეობა (ჩახლართული, ბუნდოვანიდან უსიტყვოდ, უდაოდ მისაღებამდე).

(2) საინტერესოა „ცრუწინასწარმეტყველის" ანუ „სხვა მხეცის" სიმბოლოთა გეოპოლიტიკური გაშიფვრა. აპოკალიფსში მასზე შემდეგია ნათქვამი: „და ვიხილე სხვა მხეცი, მიწიდანა ამომავალი; და ჰქონდა ორი რქა, მსგავსი კრავისა, და იზრახდა, როგორც ურჩხული." (გამოცხ. 13.11). ე. ი. „სხვა მხეცი" მიწას ეკუთვნის, მაგრამ

იქვეა აღნიშნული: „და მოქმედებს მისი წინაშე პირველი მხეცის მთელი ხელმწიფებით და აიძულებს მთელს დედამიწას და მის მკვიდრთ, თაყვანი სცენ პირველ მხეცს, ვისი სასიკვდილო წყლულებაც განიკურნება“ (გამოცხ. 13.12). სხვა სიტყვებით საუბარია ზღვის სტიქიისა და ლევიათანის მხარეზე გადასულ „ხმელეთის სულზე“. ისევე, როგორც „ზღვიდან გამოსული მხეცი“ სატანა-დრაკონს წარმოადგენს, მისი სუბსტიტუტია (ე. ი. ატლატიზმი არის მსოფლიო ბოროტების ისტორიული გამოხატულება), ასევე „სხვა მხეცი“ ანუ „ცრუწინასწარმეტყველი“, თავის მხრივ არის „ზღვის მხეცის“ წარმომადგენელი, ანუ მისი სუბსტიტუტი. ხმელეთის სახელმწიფოებში ატლანტიკური ლობი სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს.

(3) იხილეთ Жан-Марк Вивенза „От формальной доминации капитала к его реальной доминации “, „“лементы“ №7.

(4) ტელეოლოგია — ბერძ. teleios მიზანს მიღწეული და logos მოძღვრება — იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ყოველი განვითარება არის წინასწარ განსაზღვრული მიზნის განხორციელება („მთაწმინდელი“).

(5) იკონოკლაზმი — გამოსახულების მიმართ ბრძოლა, ხატმებრძოლეობა („მთაწმინდელი“).

(6) იხილეთ ж-л „Милый Ангел“ №1, Москва, 1991.

(7) იხილეთ Рене Генон „Царство количества и знаки времени“, Москва 1994.

(8) „მსოფლიო კვერცხი“ — იგულისხმება დედამიწა, მსოფლიო, რომელსაც კვერცხის ფორმა აქვს („მთაწმინდელი“).

(9) იგულისხმება ფრენსის ფუკუიამა („მთაწმინდელი“).

# გეოპოლიტიკის ძირითადი ცნებები და ტერმინები

## ა

**ადგილგანვითარება** — სავიცკის ტერმინი. იგივეა რაც ხარისხობრივი სივრცე ან უბრალოდ სივრცე (გეოპოლიტიკური თვალსაზრისით).
**აეროკრატია** — ბერძ. „ძალაუფლება ჰაერის მეოხებით". სტრატეგიის ძალისმიერი კომპონენტი, რომელიც დაფუძნებულია საჰაერო სივრცის ათვისებასა და მის გამოყენებაზე გეოპოლიტიკური ექსპანსიისათვის. ავიაციის განვითარებას, ზღვაოსნობის განვითარებისაგან განსხვავებით, არ წარმოუშვია საკუთარი ნომოსი, იგი მხოლოდ თალასოკრატიული პრინციპის განვითარებას წარმოადგენს.
**ანაკონდას სტრატეგია** — ატლანტიზმის გეოპოლიტიკური ხაზი, რომელიც მიისწრაფვის, ევრაზიის გეოპოლიტიკური ექსპანსიის შეკავების მიზნით, ჩამოაშოროს მას სანაპირო ტერიტორიების მაქსიმალურად დიდი მოცულობა.
**ატლანტიზმი** (ენათესავება ტერმინებს: წყალი, ზღვა, თალასოკრატია, sea power) — რთული გეოპოლიტიკური ცნება; თავის თავში მოიცავს: ისტორიულად — კაცობრიობის ცივილიზაციის დასავლურ სექტორს, სტრატეგიულად — დასავლური ქვეყნების კავშირს, რომლებშიც ჭარბობს ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია, საშხედრო-სტრატეგიულად — ნატოს წევრ ქვეყნებს; სოციალურად — „სავაჭრო წყობასა" და „საბაზრო ფასეულობებზე" ორიენტაციას (აშშ-ს მოდელი). ევრაზიულობის საწინააღმდეგო.
**აღმოსავლეთი** — იგივეა რაც მეორე სამყარო.
**ახალი მსოფლიო წესრიგი** — იგივეა რაც, მონდიალიზმი და მსოფლიო მთავრობის შექმნის პროექტები.
**ახალი წესრიგი** — მასშტაბური გეოპოლიტიკური რეორგანიზაციის პროექტი.

## ბ

**ბერლინი** — შუა ევროპის ბუნებრივი დედაქალაქი.
**ბეჰემოთი** — ძვ. ებრ. „მხეცი", „ხმელეთის ურჩხული" (ბიბლიაში), შმიტის ტერმინი. იგივეა რაც კონტინენტი, კონტინენტალიზმი, ევრაზიულობა:
**ბიპოლარული მსოფლიო** (ბიპოლარიზმი ანუ ორპოლარობა) — ბუნებრივი გეოპოლიტიკური კონსტრუქცია, რომელიც მსოფლიო მასშტაბში ასახავს ძირითად გეოპოლიტიკურ დუალიზმს — თალასოკრატია თელეოკრატიის წინააღმდეგ.
**ბლოკი** — რამოდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის მათ სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ თვისებას და გაჰყავს ისინი მსოფლიო მოღვაწეობის უფრო მაღალ საფეხურზე. „სივრცული პროგრესის" კანონის მიხედვით ბლოკების წარმოშობა გარდაუვალი პროცესია.

## გ

**გამოყენებითი გეოპოლიტიკა** — ლაკოსტას ტერმინი. გეოპოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება რეგიონული დონის მიკროპრობლემებისადმი, ფუძემდებლური პრინციპების გაუთვალისწინებლად. იხილეთ აგრეთვე მინიმალური გეოპოლიტიკა.
**განედური ინტეგრაცია** (ინტეგრაცია პარალელის გასწვრივ) — ყველაზე სუსტი და რთული მომენტი ცენტრისადმი დაქვემდებარებული გეოპოლიტიკური სივრცეების

დაკავშირების საქმეში, უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით. ეფუძნება სხვადასხვა რეგიონების თანდათანობით შეერთებას ცენტრალურ ნაწილთან, ცენტრისადმი უფრო ლოიალურად განწყობილი სექტორების სივრცობრივი იერარქიის საშუალებით.

**განედური ექსპანსია** (ექსპანსია პარალელის გასწვრივ) — აგრესიული გეოპოლიტიკური მისწრაფება, აუცილებლად წარმოშობს კონფლიქტურ ვითარებებს. შემტევი ხასიათის გეოპოლიტიკური სტრატეგია. თითქმის ყოველთვის მოსდევს საომარი მოქმედებები. განხორციელდება მხოლოდ მერიდიანული ექსპანსიის დასრულების შემდეგ.

**გარე ნახევარმთვარე** (ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე) — მაკინდერის ტერმინი, რომელიც თალასოკრატული გავლენის ზონაში შემავალი ტერიტორიების ერთობლიობას აღნიშნავს. კონტინენტების ნაწილები და კუნძულები, რომელნიც „საზღვაო არსებობისაკენ" მიისწრაფვიან. აგრეთვე, სტრატეგიულად მთლიანად ატლანტიზმს დაქვემდებარებული ზონა.

**გეოეკონომიკა** — ატლანტური გეოპოლიტიკის განშტოება. სივრცეს განიხილავს უტილიტარულ-ეკონომიკური თვალსაზრისით. „თალასოკრატიული" ანალიზის ერთერთი პრიორიტეტული დისციპლინა.

**გეოპოლიტიკა** — მეცნიერება, რომლის ძირითადი დებულებები ამ წიგნშია გადმოცემული.

**გეოპოლიტიკური დუალიზმი** — გეოპოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ძალად საზღვაო (თალასოკრატიისა) და სახმელეთო (თელუროკრატიის) მმართველობის წინააღმდეგობას განიხილავს.

**გეოპოლიტიკური მონაკვეთი** — სტრატეგიული დედაქალაქისა (ან გეოპოლიტიკური პოლუსის) და პერიფერიული რეგიონების ურთიერთობათა ერთობლიობა, კონკრეტულ ისტორიულ მომენტში განხილული, პოლიტიკური პროცესების საერთო დინამიკის გაუთვალისწინებლად. იხილეთ, აგრეთვე, გეოპოლიტიკური სხივი.

**გეოპოლიტიკური სხივი** — პერიფერიულ რეგიონებზე გეოპოლიტიკური პოლუსის ზემოქმედების ძალისმიერი ვექტორი (ეკონომიური, სტრატეგიული, კულტურული, სამეურნეო, ადმინისტრაციული და ა. შ.). მსოფლიოს რეალური პოლიტიკური სურათი სტატიკურ მდგომარეობაში ოპერირებს გეოპოლიტიკურ მონაკვეთებთან. გეოპოლიტიკაში მიღებულია საუბარი სხივების შესახებ, როგორც მუდმივად განგრძობადი იმპულსის ღია დინამიურ პროცესზე.

**გეოპოლიტიკური მუდმივა** — გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც მუდმივად არსებობს და არ არის დამოკიდებული სახელმწიფოთა, ეთნოსთა და ა. შ. ვინაობასა და მათ პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებებზე, რადგან განპირობებულია გეოპოლიტიკური (სტიქიების, კონტინენტების და ა. შ.) და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირებით.

**გეოსტრატეგია** — გეოპოლიტიკური ანალიზის სამხედრო ასპექტები.

## დ

**დასავლეთი** — თალასოკრატიისა და ატლანტიზმის სინონიმი.

**დემოპოლიტიკა** — ჩელენის ტერმინი. დემოგრაფიული პარამეტრების ზემოქმედება სახელმწიფოს სტრუქტურაზე. ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.

**დიდი სივრცე (Grossraum)** — შმიტის ტერმინი. რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება ერთ სტრატეგიულ წარმონაქმნში. დიდი სივრცეების წარმოშობა განპირობებულია „სივრცული პროგრესიის" თეორიით.

**დისკონტინუალური სარტყელი** — კოენის ტერმინი. დანაწევრებული სანაპირო

ზონები გაურკვეველი ვარიაბელური ორიენტაციით, რომელთაც შეუძლიათ წავიდნენ როგორც თელეოკრატიული ხმელეთის, ასევე თალასოკრატიული ზღვის მიმართულებით.

ე

ევრაზია — იგივეა რაც კონტინენტი, heartland, ხმელეთი, მიწა, თელეოკრატია. უფრო ვიწრო გაგებით გეოპოლიტიკურ რუსეთს აღნიშნავს.
ევრაზიულობა — რთული გეოპოლიტიკური ცნება. თავის თავში მოიცავს: ისტორიულად — კაცობრიობის ცივილიზაციის აღმოსავლეთ სექტორს; სტრატეგიულად — სახელმწიფოებისა და ერების არსებულ ან შესაძლო ბლოკს, რომლებიც არ ცნობენ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის იმპერატივს; სტრატეგიულად — სამხედრო ალიანსში გაერთიანებულ აღმოსავლეთ, „თელეოკრატიული" ქვეყნების არსებულ ან შესაძლო ბლოკს; სოციალურად — „იდეოკრატიაზე" ორიენტაციას, სოციალურ სახელმწიფოს, არაკაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობას.
ეთეროკრატია — ბერძ. „ძალაუფლება ზეატმოსფერული შრეების მეოხებით". კოსმოსური იარაღის გაბატონება. თალასოკრატული და აეროკრატული მისწრაფებების განვითარება.
ეკოპოლიტიკა — ჩელენის ტერმინი. სახელმწიფოს განხილვა ეკონომიკურ ძალად. ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.
ერთიანი მსოფლიო (One World — ინგ.) — იხილეთ მონდიალიზმი.
ერთპოლარული მსოფლიო — საბჭოთა კავშირის „ცივ ომში" დამარცხების შემდეგ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური მოდელი. ერთადერთ გაბატონებულ პოლუსს წარმოადგენს ატლანტიზმი და აშშ.

ზ

ზღვა — იგივეა რაც თალასოკრატია, წყალი.

თ

თალასოკრატია — ბერძ. „ძალაუფლება ზღვის მეოხებით" ან „საზღვაო ძლევამოსილება". განვითარებული საზღვაო სახელმწიფოების დახასიათება.
თელეოკრატია — ბერძ. „ძალაუფლება მიწის მეოხებით" ან „სახმელეთო ძლევამოსილება". აშკარა სახმელეთო გეოპოლიტიკური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოების დახასიათება. იხილეთ ევრაზია, Heartland, იდეოკრატია.
თემი — ორგანულად დაკავშირებული ადამიანების არსებობის ბუნებრივი ფორმა. საზოგადოების (რომელშიც ორგანული კავშირების ნაცვლად, მძლავრობენ ინდივიდუმებს შორის ფორმალიზებულ ხელშეკრულებათა ნორმატივები) ცნების საწინააღმდეგო. თემი ტრადიციებით რეგულირდება.
თურანი — ევრაზიული კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეები, ევრაზიის სტეპური სივრცეები.

ი

იდეოკრატია — ბერძ. „იდეის, იდეალების ძალაუფლება". რუსი ევრაზიელების ტერმინი (ნ. ტრუბეცკოი, პ. სავიცკი). საპირისპიროა „მატერიის ძალაუფლების", „საბაზრო სისტემის", „სავაჭრო წყობის" ცნებებისა. იდეოკრატიის დროს

საზოგადოების იერარქია და შრომის სტიმულაცია არაეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს.
**იმპერია** — ზესახელმწიფოებრივი წარმონამნი, რომელიც აერთიანებს ხალხებსა და სახელმწიფოებს რელიგიური, ეთნიკური ან იდეოლოგიური ხასიათის უნივერსალური იდეის საფუძველზე.
**ინტეგრაცია** — გეოპოლიტიკაში, რამოდენიმე სივრცული სექტორის გაერთიანების მრავალფეროვანი ფორმების აღმნიშვნელი ტერმინი. ინტეგრაცია შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც სამხედრო ექსპანსიით, ასევე მშვიდობიანი გზით. არსებობს გეოპოლიტიკური ინტეგრაციის რამოდენიმე გზა: ეკონომიკური, კულტურული, ენობრივი, სტრატეგიული, პოლიტიკური, რელიგიური და ა. შ. ყველას მივყავართ ერთ საბოლოო შედეგამდე — ბლოკის სტრატეგიული და სივრცობრივი მოცულობის გაზრდამდე.
**ისტორიის აღსასრული** — ფუკუიამას ტერმინი. თალასოკრატიისა და ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის, მთელ პლანეტაზე ტოტალური გამარჯვების მონდიალური თეზისი. ინილეთ მონდიალიზმი, ერთიანი მსოფლიო.
**ისტორიის გეოგრაფიული ღერძი** (ან ღერძული არეალი, ან heartland) — მაკინდერის ტერმინი. ევრაზიის შიდაკონტინენტური ტერიტორიები, რომელთა გარშემო მიმდინარეობს ისტორიული განვითარების სივრცული დინამიკა. ემთხვევა რუსეთის ტერიტორიას.

## კ

**კოლონია** — წყლის სივრცით გამოყოფილი ძალის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორია. განიხილება როგორც მეტროპოლიის საერთო გეოპოლიტიკური სივრციდან გამოყოფილი დროებითი და საგარეო ბაზა. საპირისპიროა პროვინციის ცნებისა.
**კონტინენტი** — ევრაზია, ხმელეთი, თელეოკრატიული პრინციპი.
**კონტინენტალიზმი** — ვიწრო სტრატეგიული ასპექტით ევრაზიულობის სინონიმი. იგი ახლოსაა ხმელეთის, მიწის ცნებასთან. მსოფლიოში გეოპოლიტიკის ერთადერთი კონტინენტალისტური სკოლა რუსეთშია. საპირისპიროა ატლანტიზმის ცნებისა.
**კრატოპოლიტიკა** — ჩელენის ტერმინი. სახელმწიფოს განხილვა მისი ძალისმიერი პოტენციალის თვალსაზრისით. ფართო გავრცელება ვერ პოვა.

## ლ

**ლევიათანი** — ძვ. ებრ. „ზღვის ურჩხული" (ბიბლიაში). შმიტის ტერმინი. იგივეა რაც ატლანტიზმი, ზღვა და ა. შ.
**ლიბერალიზმი** — მსოფლმხედველობა, რომელიც აერთიანებს მემარცხენე კომპონენტებს პოლიტიკის დარგში (მინიმალისტური ჰუმანიზმი, ინდივიდუალიზმი, ეთნიკური და კულტურული ეგალიტარიზმი) და მემარჯვენე პრინციპებს ეკონომიკის დარგში (ბაზარი, პრივატიზაცია, კერძო საკუთრება, კაპიტალიზმი). ატლანტური ბანაკის მმართველი იდეოლოგია. ლიბერალიზმის პოლიტიკურ გამოვლინებას ლიბერალ-დემოკრატია წარმოადგენს.

## მ

**მდიდარი ჩრდილოეთი** — იგივეა რაც ატლანტიზმი, დასავლეთი და ლიბერლურ-დემოკრატიული მსოფლიო.

**მეგობარი** (amicus — ლათ.) — შმიტის ტერმინი. წმინდა პოლიტიკური ცნება. აღნიშნავს სახელმწიფოებრივ, სოციალურ, ეთნიკურ ან რელიგიურ წარმონაქმნებს, რომელთა პოზიციები ემთხვევა სტრატეგიული დედაქალაქის პოზიციებს. არ გააჩნია მორალური დატვირთვა და დინამიურად შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა წარმონაქმნებზე. მოძრავი კატეგორია. იხილეთ მტერი.

**მეორე მსოფლიო** — სოციალისტური ბანაკის სახელწოდება „ცივი ომის" პერიოდში. მისი დასასრულის შემდეგ აღნიშნავს ევრაზიას.

**მერიდიანული ექსპანსია** (ექსპანსია ჩრდილოეთი-სამხრეთის ღერძის გასწვრივ) — გავლენის სფეროების გაფართოება (სამხედრო, სტრატეგიული, კულტურული ან ეკონომიკური) მერიადიანის გასწვრივ (აგრეთვე გრძედული ექსპანსია). სახელმწიფოს ტერიტორიული და სტრატეგიული სტაბილურობის მთავარი პირობა.

**მერიდიანული ორიენტაცია** (ორიენტაცია ჩრდილოეთი-სამხრეთის ღერძის გასწვრივ) — დაშორებული სივრცული სექტორების დაკავშირება ერთ მთლიანობაში მერიდინის გასწვრივ (აგრეთვე გრძედული ინტეგრაცია). პოზიტიურია, ჩრდილო და ცენტრალური მხარეების მტკიცე კონტროლის შემთხვევაში. ნეგატიურია, იმ შემთხვევაში თუკი ჩრდილოეთში ან ცენტრში იმყოფება ისეთი გეოპოლიტიკური წარმონაქმნი, რომლის ლოიალობა სტრატეგიული დედაქალაქის მიმართ საეჭვოა ან სუსტი.

**მესამე მსოფლიო** — ძირითადად, გეოპოლიტიკური სამხრეთის სუსტად განვითარებული სახელმწიფოები, რომლებიც უპირატესად გეოპოლიტიკური სამხრეთის რეგიონებს მიეკუთვნებიან.

**მიწა** (ან ხმელეთი) — სპეციალური ტერმინი გეოპოლიტიკაში, „თალასოკრატიის" აღმნიშვნელი. განსაკუთრებით დაწვრილებით „მიწის" თეორია განავითარა შმიტმა.

**მტერი** (hostis — ლათ.) — შმიტის ტერმინი. წმინდა პოლიტიკური ცნება. აღნიშნავს სახელმწიფოებრივ, სოციალურ, ეთნიკურ ან რელიგიურ წარმონაქმნებს, რომლებიც დგანან სტრატეგიული დედაქალაქის პოზიციების საწინააღმდეგოდ. არ გააჩნია მორალური დატვირთვა და შეიძლება დინამიურად გავრცელდეს სხვადასხვა წარმონაქმნებზე. მოძრავი კატეგორია. იხილეთ მეგობარი.

**მინიმალური გეოპოლიტიკა** — გამოყენებითი დისციპლინა, რომელმაც ნამდვილი გეოპოლიტიკისაგან გადმოიღო ზოგიერთი ტერმინი და მეთოდიკა, ხოლო ძირეული გეოპოლიტიკურ დუალიზმი გვერდზე მოიტოვა.

**მონდიალიზმი** — ფრ. monde-დან „მსოფლიო" („world"-ის და არა „peace"-ის მნიშვნელობით). განსაკუთრებული იდეოლოგია, რომელიც ყველა სახელმწიფოსა და ხალხების ერთ მსოფლიო წარმონაქმნში შერწყმას გულისხმობს მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებით, რომელსაც თან ახლავს რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ნაციონალური და კულტურული საზღვრების განადგურება. არსებობს „მემარჯვენე" და „მემარცხენე" მონდიალიზმი. მემარჯვენე ატლანტიზმის გლობალიზაციას წარმოადგენს. მემარცხენე აუცილებლად მიიჩნევს ევრაზიული სექტორის ჩართვას (ამა თუ იმ საფუძველზე) ერთიან სახელმწიფოში.

**მოსკოვი** — ევრაზიის ბუნებრივი სტრატეგიული დედაქალაქი. ყველა კონტინენტური ინტეგრაციის საფუძველი. იხილეთ ევრაზია.

**მრავალპოლარული მსოფლიო** — თანამედროვე ეტაპზე მხოლოდ თეორიული კონცეფცია, რომელიც რამოდენიმე დიდი სივრცის თანაარსებობას ვარაუდობს. მისი განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ ერთპოლარული მსოფლიო წყობის გადალახვის შემდეგ.

**მსოფლიო კუნძული** — მაკინდერის ტერმინი. მაკინდერი ამ ტერმინით ევრაზიასა და ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს მოიხსენიებდა. ამ განმარტებამ, სფიქმენთან რადიკალურად შეიცვალა თავისი მნიშვნელობა და აღნიშნავდა თალასოკრატიული

ზონების (გარე ნახევარმთვარის ზონები) ერთობლიობას. ორაზროვნებისაგან თავის დასაცავად, ამ ტერმინის ხშირი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

ნ

ნეოატლანტიზმი — ატლანტიზმის თანემედროვე ვერსია. უარყოფს მონდიალიზმს (მის მემარჯვენე მიმართულებასაც კი), როგორც მოცემულ პირობებში ნაადრევ და განუხორციელებელ პროექტ. მიაჩნია, რომ ერთიანი მსოფლიოს ნაცვლად ცივილიზაციათა შეჯახება მოხდება.
ნომოსი (წესრიგი) — შმიტის ტერმინი. ნებისმიერი სივრცის (გეოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ.) ჩამოყალიბების საბაზისო პრინციპი. სინონიმურია ცნებებისა: „წესრიგი", „კანონი", „წყობა". ხმელეთის ნომოსი = თელეოკრატია, წყლის (ან ზღვის) ნომოსი = თალასოკრატია.

პ

პარტიზანი — შმიტის ტერმინი. ხმელეთის „ნომოსის" სიმბოლური დამცველის ფიგურა, საპირისპირო გეოპოლიტიკური ძალის ტრიუმფის დროს.
პასიონარობა — გუმილიოვის ტერმინი. ეთნოსის შიდა ენერგია. კულტურული, პოლიტიკური და გეოპილიტიკური შემოქმედების მამოძრავებელი ძალა.
პერიფერია — სივრცეები და მიწები, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი გეოპილიტიკური ორიენტაცია, დაშორებულნი არიან სტრატეგიული დედაქალაქიდან, რომლის სახელითაც ხდება ძირითადი გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება.
პოლიტიკური გეოგრაფია — რატცელის ტერმინი, აღნიშნავს ოგივეს, რასაც ჩელენის შემდეგ „გეოპოლიტიკა" ეწოდა.
პოსიბილიზმი — ფრ. possible-დან „შესაძლებელი". ვიდალ დე ლა ბლაშის ტერმინი. მოწოდებულია გეოპილიტიკისათვის ნაწილობრივ დამახასიათებელი გეოგრაფიული დეტერმინიზმის ნიუანსირებისაკენ. პოსიბილიზმის თეორია ამტკიცებს, რომ სივრცე არ განსაზღვრავს ისტორიას, ის მხოლოდ თავის სასარგებლოდ განაწყობს მის ამა თუ იმ მიმდინარეობას.
პოტამისტური თეორია — თეორია, რომელიც შეისწავლის მდინარეებს და მათი მდებარეობის, სიდიდის, სიჩქარისა და მიმართულების მიხედვით განსაზღვრავს ამა თუ იმ რეგიონის განვითარების დადებით და უარყოფით მხარეებს.
პროვინცია — პერიფერიული ტერიტორიები, რომლებიც შედიან ძირითადი გეოპოლიტიკური წარმონაქმნის შემადგენლობაში და განიხილებიან ორგანული მთლიანობის განუყოფელ ნაწილად. საპირისპიროა კოლონიის ცნებისა.

რ

რეგიონალიზმი — ორიენტაცია პერიფერიული სივრცეების ავტონომიურობისაკენ. გააჩნია რამოდენიმე ფორმა: ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სტრატეგიული.

ს

საგაჭრო წყობა — საზოგადოების ტიპი, რომლის იერარქია და შრომის სტიმულაცია

ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარეობენ. საბაზრო, ლიბერალ-დემოკრატიული სისტემა. იდეოკრატიის საწინააღმდეგო.

**სივრცე** — გეოპოლიტიკის ძირითადი ცნება. წარმოადგენს არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ კატეგორიას. სივრცის სტრუქტურა წინასწარ განსაზღვრავს ისტორიის (პირველ რიგში პოლიტიკური ისტორიის) სტრუქტურას. ასეთია გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების ძირითადი თეზისი.

**სივრცეობრივი აზრი** — რატცელის ტერმინი. ხარისხობრივ სივრცეში ჩადებული ისტორიული წინისწარგანსაზღვრულობის სისტემა. იხილეთ სივრცე.

**სივრცული პროგრესის კანონი** — ჟან ტირიარის მიერაა ჩამოყალიბებული. იგი შემდეგნაირად ჟღერს; „ქალაქ-სახელმწიფოებიდან, ტერიტორია-სახელმწიფოების გავლით კონტინენტ-სახელმწიფოებამდე". პოლიტიკური ისტორიის გეოგრაფიული დინამიკა შეუჩერებლად მიემართება მინიმალური სოციალური წარმონაქმნების მასშტაბების გაზრდისაკენ. იხილეთ აგრეთვე „სასიცოცხლო სივრცე".

**საზოგადოება** — თემობრივი წარმონაქმნების დაშლის შედეგი. თემისაგან განსხვავებით პრინციპულად იყოფა ერთეულ წევრებად (ინდივიდუუმი).

**საზღვარი** — გეოპოლიტიკაში არსებობს საზღვრის ორი სახე: ხაზი-საზღვარი და ზოლი-საზღვარი. ხაზი-საზღვარი წარმოადგენს საზღვაო საზღვარს, ხოლო ზოლი-საზღვარი — სახმელეთო საზღვარს. მსოფლიო მასშტაბში მოქმედების პრეტენზიის მქონე ყოველი გეოპოლიტიკური ბლოკის მიზანია გადააქციოს ხაზი-საზღვარი თავისთვის მაქსიმალურად, ხოლო მოწინააღმდეგისათვის მინიმალურად და პირიქით.

**საკრალური გეოგრაფია** — ხარისხობრივი სივრცის შესახებ ძველი ხალხების წარმოდგენების ერთობლიობა. თანამედროვე გეოპოლიტიკა, ხელმძღვანელობს სივრცის მსგავსი ტიპოლოგიური გაგებით, მხოლოდ ამას რაციონალური საბუნებისმეტ-ყველო ფორმით გამოხატავს.

**სამხრეთი** — საკრალურ გეოგრაფიაში უწესრიგობის აღრევისა და გადაგვარების რეგიონები. თანამედროვე გეოპოლიტიკაში — მესამე მსოფლიო, სუსტად განვითარებული ქვეყნები, სადაც ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები არ დამკვიდრებულა.

**სანიტარული კორდონი** — ხელოვნური გეოპოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც განკუთვნილია იმ ორ მსხვილ მეზობელ ქვეყნებს შორის დესტაბილიზაციისათვის, რომლებსაც შეუძლიათ ჩამოაყალიბონ სერიოზული ბლოკი, რაც თავის მხრივ საშიშროებას შეუქმნის მესამე მხარეს. ევრაზიის ატლანტისტების სტრატეგიაში კლასიკურ ნაბიჯს წარმოადგენს ევრაზიის კონტინენტური ინტეგრაციის წინააღმდეგ სვლა.

**სასიცოცხლო სივრცე** — ჰაუსჰოფერის ტერმინი. ტერიტორიის მინიმალური მოცულობა, რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს მიაღწიოს საკუთარი ისტორიული და პოლიტიკური მისწრაფებების რეალიზებას.

**ერი-სახელმწიფო** — საერო სახელმწიფო, მკვეთრად გამოხატული ცენტრალიზმით. პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელშიც სახელმწიფო ფორმებს, ეთნოსისა და მისი კულტურის წარმოშობამდე მივყავართ. განსხვავდება ეთნიკური წარმონაქმნისა (თემი, ხალხი) და იმპერიისაგან.

**სოციოპოლიტიკა** — ჩელენის ტერმინი. სახელმწიფოს სოციალური ასპექტების შესწავლა.

**სტრატეგიული დედაქალაქი** (გეოპოლიტიკური პოლუსი ან გეოპოლიტიკური სხივის წყარო) — გეოპოლიტიკური ინტეგრაციის ცენტრი და მასშტაბური გეოპოლიტიკური პროცესის აქტიური შემოქმედი. სტრატეგიულ დედაქალაქებს შორის კავშირები გეოპოლიტიკურ ღერძებს ქმნიან.

## ტ

**ტოკიო** — წყნარი ოკეანის სივრცის ბუნებრივი სტრატეგიული დედაქალაქი.

## ღ

**ღერძი** — ერთი ან რამოდენიმე გეოპოლიტიკური დედაქალაქის გეოპოლიტიკური კავშირი.

## შ

**შიდა ზღვა** (mare internun-ლათ.) — ტერმინი, რომელიც აღნიშნავს სახმელეთო თელეოროკრატული სივრცით შემოსაზღვრულ წყლის სივრცეს. იგი არ წარმოადგენს სტრატეგიულ ან კულტურულ საზღვარს.
**შიდა ნახევარმთვარე** (ან კონტინენტური ნახევარმთვარე, ან Rimland-ი) — მაკინდერის ტერმინი. აღნიშნავს „გარე ნახევარმთვარესა" და „ღერძულ არეალს" შორის მდებარე ევრაზიის სანაპირო ტერიტორიებს.
**შიდა ოკეანე** — ტერმინი, რომელიც იგივეს აღნიშნავს რასაც „შიდა ზღვა", მხოლოდ მსოფლიო მასშტაბში. აგრეთვე, შუაგული ოკეანე.
**შიდა ღერძი** — ერთიან სტრატეგიულ (ან პოლიტიკურ) სივრცეში, ცენტრსა და პერიფერიას შორის გეოპოლიტიკური კავშირის ხარისხი. იხილეთ გეოპოლიტიკური სხივი და გეოპოლიტიკური მონაკვეთი.
**შუა ევროპა** — შუალედური სივრცე რუსეთსა და ევროპის ატლანტიკურ სანაპიროს შორის. ტრადიციულად განიხილება, როგორც გერმანიის გავლენის უპირატესი ზონა.
**შუაგული ოკეანე** (Midland Ocean) — სფიქმენის ტერმინი. ატლანტის ოკეანე, თუ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცედ განვიხილავთ.

## ჩ

**ჩრდილოეთი** — საკრალურ გეოგრაფიაში (დოიბლერთანაც) სულის და იდეალური წესრიგის სიმბოლო. თანამედროვე გეოპოლიტიკაში მისი სინონიმია „მდიდარი ჩრდილოეთი", რაც სრულიად საწინააღმდეგოს წარმოადგენს ანუ ატლანტიზმსა და ლიბერალიზმს.

## ც

**ცეცხლი** — სიმბოლურად სულიწმიდას გამომხატველი ელემენტი. ტრანსცენდენტული პრინციპი.
**ცივილიზაციათა შეჯახება** — ჰანთინგთონის ტერმინი. ცივილიზაციურ დონეზე გეოპოლიტიკური კონფლიქტების პერმანენტულობისა და მუდმივობის თეორია.

## წ

**წყალი** (ან ზღვა) — თალასოკრატიის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი. შმიტისა (das Meer) და მეჰენის (sea, sea power) მიერ დაწვრილებით განხილული.

## ხ

**ხმელეთი** — იხ. მიწა.

**Heartland** — ინგ. „შუამდებარე მიწა"; იხილეთ ისტორიის გეოგრაფიული ღერძი. მაკინდერის ტერმინი.
**Hinterland** — გერმ. „უკანა მიწა". სანაპირო ხაზიდან კონტინენტის სიღრმეში განვრცობილი ტერიტორიები. სივრცის თალასოკრატული ანალიზისთვის დამახასიათებელი ტერმინი.
**Interlend** — იგივეა, რაც (Nucleus) კონტინენტური ბირთვი, იგივე გეოპოლიტიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს „სანაპიროებიდან დაშორებულ შიდა რეგიონებს";
**Jus Publicum Europeum** — ლათ. „საერთო ევროპული კანონი". ევროპაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მარეგულირებელი იურიდიული დებულებების ისტორიული კრებული.
**Jus Publicum Euroasiaticum** — ლათ. „საერთო ევრაზიული კანონი". საერთაშორისო კანონის პროექტი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობები ევრაზიულ ქვეყნებსა და ხალხებს შორის კონტინენტური თელეოროკრატული ფასეულობების პრიორიტეტის აღიარების საფუძველზე.
**Lenaland** — ინგ. „მდინარე ლენას აუზის მიმდებარე მიწები". მაკინდერის ტერმინი. აღნიშნავს მთელ ჩრდილოევრაზიულ ტერიტორიას, მდინარე ენისეის აღმოსავლეთიდან წყნარი ოკეანის სანაპიროებამდე. მაკინდერი თავის გვიანდელ ნაშრომებში ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდა. იგი ფიქრობდა, რომ ეს მიწები არა თელეოროკრატული, არამედ თალასოკრატული გავლენის ზონებს წარმოადგენდენ.
**Linkage** — კისინჯერის ტერმინი. ატლანტისტური სტრატეგია ევრაზიის დისკონტინუალური სარტყელის უწყვეტ ტერიტორიად გადასაქცევად დასავლეთის კონტროლს ქვეშ.
**Mitteleuropa** — გერმ. იგივეა რაც შუაგული ევროპა.
**Nukleus** — იგივეა რაც „Hinterland" — კონტინენტური ბირთვი, გეოპოლიტიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს „სანაპიროებიდან დაშორებულ შიდა რეგიონებს";
**One World** — ერთიანი მსოფლიოს მონდიალისტური კონცეფცია. იხილეთ „ისტორიის აღსასრული".
**Pax Americana** — ლათ. „მშვიდობა ამერიკულად". იგივეა რაც ატლანტიზმი.
**Pax Euroasiatica** -ლათ. „მშვიდობა ევრაზიულად". იგივეა რაც ევრაზიულობა.
**Pax Persica** — ლათ. „მშვიდობა სპარსულად". შუა აზიის სივრცის რეორგანიზაციის გეოპოლიტიკური პროექტი ირანისა და რუსეთის კავშირის ეგიდით.
**Rimland** — ინგ. „სანაპირო მიწები"; იხილეთ „შიდა ნახევარმთვარე". მაკინდერის ტერმინი.
**The West and The Rest** – (ინგლ. დასავლეთი და დანარჩენები) — ჰანტინგტონის თეზისი.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

მთარგმნელთა წინასიტყვაობა . . . . . 4
ალექსანდრე დუგინი . . . . . 10
„გეოპოლიტიკის საფუძვლები“ . . . . . 10

## შესავალი . . . . . 13

თავი 1. „გეოპოლიტიკის“ განსაზღვრება . . . . . 13
თავი 2. სახმელეთო და საზღვაო მმართველობა . . . . . 15
თავი 3. გეოპოლიტიკური ტელეოლოგია . . . . . 18
თავი 4. RIMLAND–ი და „სანაპირო ზონები“ . . . . . 19
თავი 5. გეოპოლიტიკა როგორც ბედისწერა . . . . . 22

## პირველი ნაწილი. გეოპოლიტიკის მამამთავრები . . . . . 24

თავი 1. ფრიდრიხ რატცელი — სახელმწიფოები, როგორც სივრცული ორგანიზმები . . . . 24
1.1 განათლება: გერმანული „ორგანიციზმული სკოლა“ . . . . . 24
1.2 სახელმწიფოები, როგორც ცოცხალი ორგანიზმები . . . . . 24
1.3 სივრცე (RAUM) . ნიადაგის პოლიტიკური ორგანიზაცია . . . . . 25
1.4 ექსპანსიის კანონი . . . . . 26
1.5 „მსოფლიო სახელმწიფო“ WELTMACHT და ზღვა . . . . . 27
თავი 2. რუდოლფ ჩელენი და ფრიდრიხ ნაუმანი. „შუა ევროპა“ . . . . . 28
2.1 ახალი მეცნიერების განსაზღვრება . . . . . 28
2.2 სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა და გერმანიის ინტერესები . . . . . 29
2.3 შუა ევროპის კონცეფციისაკენ . . . . . 30
თავი 3 ჯორჯ ჰელფორდ მაკინდერი „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“ . . . . . 30
3.1 მეცნიერი და პოლიტიკოსი . . . . . 30
3.2 ისტორიის გეოგრაფიული ღერძი . . . . . 31
3.3 რუსეთის საკვანძო პოზიცია . . . . . 33
3.4 სამი გეოპოლიტიკური პერიოდი . . . . . 36
თავი 4. ალფრედ მეჰენი — „საზღვაო ძლიერება“ . . . . . 36
4.1 SEA POWER . . . . . 36
4.2 საზღვაო ცივილიზაცია = სავაპრო ცივილიზაცია . . . . . 37
4.3 აშშ-ს მიერ მსოფლიოს დამორჩილება. MANIFEST DESTINY . . . . . 38
თავი 5. ვიდალ დე ლა ბლაში „საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ“ . . . . . 41
5.1 საფრანგეთის გეოგრაფიული სურათი . . . . . 41
5.2 პოსიბილიზმი . . . . . 41
5.3 საფრანგეთი მზარს უპერს „საზღვაო ძალას“ . . . . . 42
თავი 6. ნიკოლას სპიქმენი — „მაკინდერის რევიზია, RIMLAND–ის ცენტრალურობა“. . . 43
6.1 ამერიკის სამსახურში . . . . . 43
6.2 მაკინდერის შესწორება . . . . . 43
6.3 ძლევამოსილების განსაზღვრის სკალა . . . . . 44
6.4 ხმელთაშუა ოკეანე . . . . . 45
6.5 ამერიკული გამარჯვების არქიტექტორი . . . . . 46

**თავი 7. კარლ პაუსპოფერი — კონტინენტური ბლოკი** ..... 47
7.1 ომი და ფიქრები ..... 47
7.2 ახალი ევრაზიული წესრიგი ..... 48
7.3 კომპრომისი თალასოკრატიასთან ..... 51
**თავი 8. კარლ შმიტი — „ბეპემოთი VERSUS ლევიათანი“** ..... 52
8.1 კონსერვატიული რევოლუციონერი ..... 52
8.2 მიწის ნომოსი (წესრიგი) ..... 53
8.3 მიწა და ზღვა ..... 54
8.4. დიდი სივრცე – GROSSRAUM ..... 55
8.5 ტოტალური ომი და „პარტიზანის“ ფიგურა ..... 55
**თავი 9. პეტრე სავიცკი „ევრაზია — შუამდებარე მიწა“** ..... 58
9.1 ევრაზიელთა ბედისწერა ..... 58
9.2 რუსეთი – ევრაზია ..... 59
9.3 თურანი ..... 60
9.4 ადგილგანვითარება ..... 60
9.5 იდეოკრატია ..... 61
9.6 სსრკ და ევრაზიულობა ..... 62
**თავი 10. გეოპოლიტიკა როგორც ერთიანული პოლიტიკის ხელსაწყო** ..... 64
10.1 მსოფლიო დუალიზმი – გეოპოლიტიკის ძირითადი კანონი ..... 64
10.2 გეოპოლიტიკოსი არ შეიძლება არ იყოს დაქირავებული ..... 64
10.3 მეცნიერთა ბედი – სახელმწიფოთა ბედი ..... 66

**ნაწილი II. თანამედროვე გეოპოლიტიკური სკოლები და თეორიები XX საუკუნის მეორე ნახევარი)** ..... 69

**თავი 1. საერთო მიმოხილვა** ..... 69
**თავი 2. თანამედროვე ატლანტიზმი** ..... 72
2.1 სფიქმენის მიმდევრები – დ. უ. მეინიგი, უ. კირკი, ს. ბ. კოენი, ჯ. გრეი, ჰ. კისინჯერი ..... 72
2.2 ცივი ომი ატლანტისტებმა მოიგეს ..... 74
2.3 აეროკრატია და ეთეროკრატია ..... 77
2.4 უახლესი ატლანტიზმის ორი ვერსია ..... 79
2.5 ცივილიზაციათა შეჯახება: ჰანთინგტონის ნეოატლანტიზმი ..... 80
**თავი 3. მონდიალიზმი** ..... 84
3.1 მონდიალიზმის წარმოშობის ისტორია ..... 84
3.2 კონვერგენციის თეორია ..... 86
3.3 დასავლეთის მსოფლიო გამარჯვება ..... 87
3.4 ფრენსის ფუკუიამას „ისტორიის აღსასრული“ ..... 88
3.5 ჟაკ ატალის „გეოეკონომიკა“ ..... 89
3.6 პროფესორ სანტოროს პოსტკატასტროფული მონდიალიზმი ..... 90
**თავი 4. ბამოყენებითი გეოპოლიტიკა** ..... 91
4.1 „შიდა გეოპოლიტიკა“ – ივ ლაკოსტას სკოლა ..... 91
4.2 ელექტრული „გეოპოლიტიკა“ ..... 92
4.3 მედიაკრატია, როგორც „გეოპოლიტიკური“ ფაქტორი ..... 93
4.4 გეოპოლიტიკის ისტორია ..... 93

4.5 „გამოყენებითი გეოპოლიტიკა“ არ არის გეოპოლიტიკა ..... 94
თავი 5. ევრომელი „ახალი მემარჯვენების“ გეოპოლიტიკა ..... 94
5.1 ასი დროშის ევროპა – ალენ დე ბენუა ..... 94
5.2 ევროპა ვლადივოსტოკიდან დუბლინამდე – ჟან ტირიარი ..... 96
5.3 აზროვნება კონტინენტებით – იორდის ფონ ლოკჰაუზენი ..... 98
5.4 დასასრულის ევრაზიული იმპერია – ჟან პარვულესკო ..... 100
5.5 ინდოეთის ოკეანე, გზა მსოფლიო ბატონობისაკენ – რობერ სტოიკერსი ..... 101
5.6 რუსეთი + ისლამი = ევროპის ხსნას – კარლო ტერაჩანო ..... 103
თავი 6. ნეოევრაზიულობა ..... 104
6.1 „ევრაზიული პასიონარობა“ – ლევ გუმილიოვი ..... 104
6.2 ახალი რუსი ევრაზიელები ..... 107
6.3 ახალი ბიპოლარობისაკენ ..... 110

ნაწილი III. რუსეთი და სივრცე ..... 113

თავი 1. „შუამდებარე მიწა“ (HEARTLAND) ..... 113
თავი 2. „საზღვაო ზონების“ (RIMLAND-ის) პრობლემა ..... 114
თავი 3. იმპერიის გაერთიანება ..... 115
თავი 4. თბილი და ცივი ზღვები ..... 118

ნაწილი IV. რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი ..... 120

თავი 1. რადიკალური ალტერნატივის აუცილებლობა ..... 120
თავი 2. რას წარმოადგენს „რუსეთის ეროვნული ინტერესები“? ..... 121
2.1 დღეს რუსებს სახელმწიფო არ გააჩნიათ ..... 121
2.2 „პოსტიმპერიული ლეგიტიმობის“ კონცეფცია ..... 124
2.3 რუსი ხალხი – გეოპოლიტიკური კონცეფციის ცენტრი ..... 127
თავი 3. რუსეთი წარმოუდგენელია იმპერიის გარეშე ..... 130
3.1 რუსები „ერი-სახელმწიფოს“ გარეშე ..... 130
3.2 რუსები – იმპერიის ერი ..... 132
3.3 „რეგიონული სახელმწიფოს“ მახე ..... 135
3.4 საბჭოთა სახელმწიფოებრიობის კრიტიკა ..... 137
3.5. სამეფო სახელმწიფოებრიობის კრიტიკა ..... 141
3.6. ახალი ევრაზიული იმპერიისაკენ ..... 145
თავი 4 სამყაროს გადაკეთება ..... 147
4.1 ხმელეთი და ზღვა. საერთო მტერი ..... 147
4.2. დასავლეთის ღერძი: მოსკოვი – ბერლინი.
ევროპული იმპერია და ევრაზია ..... 151
4.3. ღერძი მოსკოვი-ტოკიო. პანაზიური პროექტი სამხრეთი
ევრაზიული კომისიისკენ ..... 158
4.4 ღერძი მოსკოვი-თეირანი. შუა აზიის იმპერია. პანარაბული პროექტი ..... 166
4.5 მრავალ იმპერიათა იმპერია ..... 172
თავი 5. რუსეთის ბედი იმპერიულ ევრაზიაში ..... 174
5.1. გეოპოლიტიკური მაგია ეროვნული ინტერესებისათვის ..... 174
5.2 რუსული ნაციონალიზმი. ეთნიკური დემოგრაფია და იმპერია ..... 177

5.3. რუსეთის საკითხი მომავალი გამარჯვების შემდეგ ..... 181
თავი 6. იმპერიის სამხედრო ასპექტები ..... 183
6.1 ბირთვული და საკონტინენტთაშორისო პოტენციალის პრიორიტეტი ... 183
6.2. როგორი შეიარაღებული ძალები სჭირდება რუსეთს? ..... 186
თავი 7. ტექნოლოგიები და რესურსები ..... 189
7.1 ტექნოლოგიური დეფიციტი ..... 189
7.2. რუსული რესურსები ..... 191
თავი 8. „ახალი იმპერიის" ეკონომიკური ასპექტები ..... 193
8.1. „მესამე გზის" ეკონომიკა ..... 193
8.2 ეკონომიკური რეგიონალიზმი ..... 200
თავი 9. დასკვნა ..... 203

ნაწილი V. რუსეთის შიდა გეოპოლიტიკა ..... 204

თავი 1 საგანი და მეთოდი ..... 204
1.1 რუსეთის შიდა გეოპოლიტიკა დამოკიდებულია
მის მსოფლიო ფუნქციაზე ..... 204
1.2 შიდა გეოპოლიტიკა და სამხედრო დოქტრინა ..... 205
1.3 ცენტრი და პერიფერია ..... 206
1.4 შიდა ღერძები (გეოპოლიტიკური სხივები) ..... 209
თავი 2. ვსა ჩრდილოეთისაკენ ..... 211
2.1 ანალიზის მოდელი ..... 211
2.2 რუსეთის არქტიკის გეოპოლიტიკური ხასიათი ..... 211
2.3 ჩრდილოეთი + ჩრდილოეთი ..... 214
2.4 ჩრდილოეთი + ცენტრი ..... 216
2.5 ფინეთის საკითხი ..... 219
2.6 ჩრდილოეთი და არა მხოლოდ ჩრდილოეთი ..... 221
2.7 რეზიუმე ..... 227
თავი 3 აღმოსავლეთის გამოწვევა ..... 227
3.1 „შიდა აღმოსავლეთი" (ცნების შინაარსი) ..... 227
3.2 „რუსეთის ციმბირის" ზოლი (აგებულება) ..... 228
3.3 პოზიციური ბრძოლა LENALAND-ისათვის ..... 234
3.4 ციმბირის დედაქალაქი ..... 236
თავი 4. სამხრეთის ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი ..... 238
4.1 სამხრეთის „ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი" ..... 238
4.2 საზღვრები — ზონები და მთები ..... 239
4.3 ბალკანეთი ..... 241
4.4 დამოუკიდებელი უკრაინის პრობლემა ..... 243
4.5 შავ და კასპიის ზღვებს შორის ..... 244
4.6 ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი შუა აზიაში ..... 248
4.7 THE FAII OF CHINA ..... 252
4.8 ბალკანეთიდან მანჯურიამდე ..... 256
თავი 5. დასავლეთის მუქარა ..... 257
5.1 ორი დასავლეთი ..... 257
5.2 „სანიტარული კორდონის" დანგრევა ..... 260

5.3 ბალტიის ფედერაცია ..... 262
5.4 შუა ევროპაში სლავი კათოლიკეები შედიან ..... 264
5.5 ბელორუსიისა და დიდი რუსეთის გაერთიანება ..... 265
5.6 უკრაინის გეოპოლიტიკური დეკომპოზიცია ..... 266
5.7 რუმინეთი და მოლდოვა – როგორი ნიშნით გაერთიანება? ..... 271
5.8 პირობა: ნიადაგი და არა სისხლი ..... 272

**ნაწილი VI. ევრაზიული ანალიზი ..... 274**

**თავი 1. მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა ..... 274**
1.1 ქრისტიანული ოიკუმენის დასავლეთი და აღმოსავლეთი ..... 274
1.2 პოსტბიზანტიური მართლმადიდებლობა ..... 276
1.3 პეტერბურგის პერიოდი ..... 279
1.4 მართლმადიდებელი ხალხების ეროვნული განთავისუფლება ..... 280
1.5 MEGALE IDEA ..... 281
1.6 „ნაჩერტანიე". დიდი სერბეთი ..... 282
1.7 დიდი რუმინეთი ..... 283
1.8 დიდი ბულგარეთი ..... 284
1.9 მართლმადიდებლური ალბანეთი ..... 285
1.10 გეოპოლიტიკური ლობები მართლმადიდებლურ ქვეყნებში ..... 285
1.11 რუსული მართლმადიდებლური ეკლესია და საბჭოეთი ..... 286
1.12 რეზიუმე ..... 287
**თავი 2. სახელმწიფო და ტერიტორია ..... 289**
2.1 სამი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კატეგორია ..... 289
2.2 მემარჯვენეებისა და მემარცხენეების რეგიონალიზმი ..... 290
2.3 ახალი დიდი სივრცე: მონდიალიზმი თუ იმპერია? ..... 292
2.4 რუსეთის გეოპოლიტიკა ..... 294
**თავი 3. ახლო საზღვარგარეთის გეოპოლიტიკური პრობლემები ..... 296**
3.1 დიდი სივრცის კანონები ..... 296
3.2 PAX AMERICANA და მონდიალიზმის გეოპოლიტიკა ..... 298
3.3 რუსეთის პარადოქსი ..... 299
3.4 რუსეთი რჩება „ისტორიის ღერძად" ..... 299
3.5 MITTELEUROPA და ევროპული იმპერია ..... 300
3.6 გერმანია – ევროპის გული ..... 301
3.7 „ევროპასთან მიკედლება" ..... 302
3.8 „თავისუფლების" საზღვრები და დაკარგული უპირატესობა ..... 303
3.9 „სანიტარული კორდონი" ..... 303
3.10 პროვინციიდან კოლონიად გადაქცევა ..... 304
3.11 აზია არჩევანის წინაშე ..... 305
3.12 „ისლამური რევოლუციის" კონტინენტური პერსპექტივები ..... 307
3.13 „პანთურქიზმის" მახე ..... 307
3.14 ნავთობდოლარები და მონდიალიზმი ..... 308
3.15 მინიმუმ ორი პოლუსი ან... სიკვდილი ..... 309
**თავი 4. სამოქალაქო ომის პერსპექტივები ..... 311**
4.1 ეროვნული ინტერესები და მონდიალისტური ლობი ..... 311

4.2 ძალთა განლაგების ვარიანტები ... 313
4.3 ანალიზის შედეგები ... 318
თავი 5. იუგოსლავიური კონფლიქტის გეოპოლიტიკა ... 320
5.1 იუგოსლავიის სიმბოლიზმი ... 320
5.2 სამი ევროპული ძალა ... 321
5.3 ხორვატების სიმართლე ... 322
5.4 სერბების სიმართლე ... [illegible]
5.5 იუგოსლაველი მაჰმადიანების სიმართლე ... 325
5.6 მაკედონელთა სიმართლე ... 326
5.7 იუგოსლავიის ომის პრიორიტეტები ... 327
5.8 სერბეთი — ეს რუსეთია ... 329
თავი 6. საკრალური გეოგრაფიიდან გეოპოლიტიკისკენ ... 330
6.1 გეოპოლიტიკა „შუალედური" მეცნიერებაა ... 330
6.2 ხმელეთი და ზღვა ... 331
6.3 ლანდშაფტის სიმბოლიზმი ... 332
6.4 აღმოსავლეთი და დასავლეთი საკრალურ გეოგრაფიაში ... 333
6.5 აღმოსავლეთი და დასავლეთი თანამედროვე გეოპოლიტიკაში ... 335
6.6 საკრალური სამხრეთი და საკრალური ჩრდილოეთი ... 337
6.7 ჩრდილოეთის ხალხი ... 339
6.8 სამხრეთის ხალხი ... 340
6.9 ჩრდილოეთი და სამხრეთი აღმოსავლეთსა და დასავლეთში ... 341
6.10 კონტინენტებიდან მეტაკონტინენტებისაკენ ... 342
6.11 „მდიდარი ჩრდილოეთის" ილუზია ... 343
6. 12 „მესამე სამყაროს" პარადოქსი ... 345
6.13. „მეორე სამყაროს" როლი ... 346
6.14. პროექტი „ჩრდილოეთის აღდგინება" ... 347
პელფორდ ჯორჯ მაკინდერი ... 350
ისტორიის გეოგრაფიული ღერძი ... 350
პეტრე საფიცკი ... 364
ევრაზიულობის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საფუძვლები ... 364
ჟან ტირიარი — ზეადამიანური კომუნიზმი (წერილი გერმანელ მკითხველს). ... 371
კარლ შმიტი — მსოფლიო დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირება ... 380
ბოლოთქმის მაგიერ ... 401
თავი 1. სტიქიის აპოკალიფსი ... 401
1.1 ცივილიზაციური სტიქია მხოლოდ ორია ... 401
1.2 მსოფლიო წარღვნის კონკრეტულობა ... 403
1.3 მხედველობის მიღმა დარჩენილი ელემენტი ... 404
1.4 ხატი და ხმელეთი ... 407
1.5 აბსოლუტური AMICUS ET HOSTIS — პორტრეტები
დროსა და სივრცეში ... 408
1.6 ცეცხლის ნომოსი ... 411
განმარტებები ... 413
გეოპოლიტიკის ძირითადი ცნებები და ტერმინები ... 433
სარჩევი ... 442

ამერიკელი მეცნიერების, პროფესორების ჩარლზ ტეგლისა (სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტი) და იუჯინ ვიტკოფის (ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ფუნდამენტურ ნაშრომს

## „მსოფლიო პოლიტიკა
## *ტენდენციები და გარდაქმნები*“

წიგნში ვრცლად არის განხილული თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები. წიგნში უხვად არის გამოყენებული საყოველთაოდ ცნობილი თანამედროვე და კლასიკოსი ამერიკელი გეოპოლიტიკოსების (მეჰენის, მაკინდერის, ფუკუიამას, ფრიმენის, ბზეჟინსკის და ა.მ.), პოლიტიკოსების (ჩერჩილის, ტეტჩერის, ბუშის, ქლინტონის), ეკონომისტების (ეკჰარტის, ჰომტეინის), სოციოლოგებისა და ეკოლოგების თეორიები და მოსაზრებები თანამედროვე მსოფლიოს გარდაქმნებისა და განვითარების მიმართულებების შესახებ.

# გეოპოლიტიკის საფუძვლები.
# რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი
(სახელმძღვანელო )

ალექსანდრე დუგინი

გამომცემელი დავით ეფრემიძე
რედაქტორი მარინე ჯოხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა დავით ისაკაძე

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.09.99*
*ქაღალდის ზომა 60 X 84 1/16*
*მოცულობა 26,25 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი*
*შეკვეთა №9*

*ფასი სახელშეკრულებო*

გამომცემლობა „მთაწმინდელი“,
თბილისი, კ. შევარდნიძის №3, ბ. №46. ტ. 39-15-66